

მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით

II ტომი

თარგმანი შესრულებულია წიგნიდან:

„ПравылаПравославнойЦеркви.

СТолкованиямиНикодима,

епископаДалматинско-Истрийского“Издателство

„ОтчииДом“

москва2001

გამომცემლობა „ლოგოს“

თბილისი 2011

გამოცემა ეძღვნება
საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 90-ე წლისთავს
და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 30-ე წლისთავს

რეცენზენტი

ღვთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორი მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი

ტექსტის რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ია გრიგალაშვილი

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ

დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ვასილ ბურკაძეს

კომპიუტერული მომსახურება ვიქტორ დავითაშვილისა

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობის და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ. დეპარტამენტის თავჯდომარე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

	სსამებრდ	სრ
	10.02. 2011	№378

წიგნი დაიბეჭდა
საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში
„პირველად იყო სიტყვა“

ეპისკოპოსი ნიკოდიმი (მილაში)
მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები
განმარტებებითურთ

წმინდა ადგილობრივი კრებების კანონები*

მხოლოდ იმ ადგილობრივი კრებების კანონებია სავალდებულო ყველა ეკლესიისათვის, რომლებსაც ასეთი მნიშვნელობა მსოფლიო ეკლესიამ მიანიჭა. ასეთი კრება სულ თერთმეტია, სახელდობრ: ანკირიის, ნეოკესარიის, ღანგრის, ანტიოქიის, ლაოდიკიის, სარდიკიის, კონსტანტინოპოლის (394 წ.), კართაგენის (419 წ.), კონსტანტინოპოლის (861 წ.), კონსტანტინოპოლის (879 წ.) და კართაგენის კრება, რომელიც მწვალებლების ნათლობის საკითხთან დაკავშირებით შედგა კვიპრიანეს მთავარეპისკოპოსობის დროს (255 წ.). ყველა ამ თერთმეტი კრების კანონები შეტანილია ათენის სინტაგმასა და პიდალიონში. სლავურ და რუმინულ კანონიკურ კრებულებში შედის მხოლოდ ათი ადგილობრივი კრების კანონები [ასევე, ქართულ „დიდი სჯულისკანონში"]; მათში არ არის შეტანილი კართაგენის 255 წლის კრების კანონი. ამის მიზეზია მისი დადგენილება, რომელიც მართლმადიდებლობაში მოქცეული ყველა მწვალებლისა და სქიზმატიკოსის აუცილებელ მონათლვას გულისხმობს, რაც არ არის სავალდებულო ყველა ეკლესიისათვის, რადგან ამ განწესებას, – *ტრულის კრების მე-2 კანონის სიტყვებით,* – სავალდებულოა მხოლოდ ამ კრებაზე მოხსენებულ წინამძღვართა მოღვაწეობის ადგილებში, მაშინდელი დროისა და ადგილობრივ წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით, ანუ კართაგენის ამ კრების დადგენილება იყო არა საყოველთაო-სავალდებულო, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობის შემცველი. მისი განმარტებისას, **ბალსამონი** ამბობს: „ეს კანონი მოითხოვს, რომ ყველა, ვინც მართლმადიდებელი ეკლესიისაკენ მოექცევა, გინდ მწვალებლობაში და გინდ განხეთქილებაში მყოფი, თავიდან უნდა იქნეს ნათელღებული, თუნდაც მანამდე მონათლული ყოფილიყო; მაგრამ II მსოფლიო კრების მე-7 კანონი სრულიად სხვაგვარად განაჩინებს ამ საკითხის შესახებ; ის სუსტად განსაზღვრავს ვისი გადანათვლაა საჭირო და ვისი არა. წაიკითხე კანონები და მიჰყევი იმას, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული, წაიკითხე ტრულის

*შესავალი ნაწილი, სადაც გადმოცემულია ცნობები წმინდა ადგილობრივი კრებების შესახებ, თარგმნილია ამავე გამოცემის I ტომიდან, გვ. 25.

კრების მე-2 კანონიც და იხილავ, რომ რის შესახებაც ეს ეპისტოლე საუბრობს (ანუ კვიპრიანეს კრების კანონი), არ არის ყველა მამის მიერ მიღებული, რადგან აქ ნათქვამია შემდეგნაირად: „კანონი, გამოცემული **აფრიკის სამთავროს** მთავარეპისკოპოსისა და მოწამის კვიპრიანეს მიერ, სავალდებულოა მხოლოდ ამ **კრებაზე მოხსენიებულ წინამძღვართა** მოღვაწეობის ადგილებში, თანახმად გადმოცემული წეს-ჩვეულებისა“. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თავიდან ეს კანონი არ პასუხობდა ყველა იმ ადგილის წეს-ჩვეულებას, ხოლო იმის გამო, რომ II მსოფლიო კრების მე-7 კანონი სრულიად სხვას მოითხოვს მოქცეულთაგან, რომლებმაც მანამდე მწვალებლობასა და განხეთქილებაში დაჰყვეს, ვიდრე აღნიშნული ეპისტოლე, ამიტომ უკანასკნელის განწესება უგულებელყოფილ იქნა“.*

დანარჩენი ათი ადგილობრივი კრების კანონები აღიარებულია ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

*ათენის სინტაგმა, III, 19.

ანკირიის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები*

კანონი 1

იმ მღვდლების შესახებ, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ კერპს და შემდეგ განაახლეს სარწმუნოებისათვის ღვაწლი, – თანაც, არა ვინმესათვის მოსაჩვენებლად, არამედ ჭეშმარიტად, რადგან წინასწარ განზრახ არ მომზადებულან და არავისთან შეთანხმებულან იმისათვის, რომ სხვების თვალში მრავალი ტანჯვის დამთმენლებად გამოჩენილიყვნენ, რომ თითქოს ტანჯვის შედეგად განუდგნენ ეკლესიას და ამ მიზნით თავისთვის სათვალთმაქცო სატანჯველი არ მოუწყვიათ, – განვაჩინებთ: შეუნარჩუნდეთ მათ დასაჯდომელის პატივი, მაგრამ ჩამოერთვათ წირვის, დამოძღვრისა და, საერთოდ, რაიმე სამღვდელო მოქმედების უფლება.

მრავალ პირთა შორის, რომლებიც მაქსიმიანეს დროს განხორციელებულ ქრისტიანთა დევნილობისას კერპებს მსხვერპლს სწირავდნენ, მღვდლებიც იყვნენ; სწორედ მათ შესახებ საუბრობს წინამდებარე კანონი. იმ მღვდლებთან დაკავშირებით, რომლებიც ქრისტიანულ სარწმუნოებას ადამიანთა წინაშე შიშის გამო განუდგნენ, მოციქულთა 62-ე კანონი განაწესებს, რომ ეკლესიიდან განიკვეთონ, მონანიების შემთხვევაში კი, მხოლოდ ერისკაცის ხარისხით იქნენ ეკლესიაში კვლავ მიღებულნი. ანკირიის კრების წინამდებარე კანონი დამატებას აკეთებს მოციქულთა კანონის აღნიშნულ განწესებაზე და იმ მღვდლებსაც მოიხსენიებს, რომლებმაც მოინანიეს განდგომა, დათრგუნეს ტანჯვის ყოველგვარი შიში და აჩვენეს ჭეშმარიტი მოშურნეობა ქრისტეს სარწუნოებისათვის, ანუ აშკარად გადაიტანეს სატანჯველი და, დაითმინეს რა მხნედ, საზეიმოდ აღიარეს ქრისტეს სახელი. ასეთი მღვდლების მიმართ, კანონი განაწესებს, რომ მათ შეუძლიათ ატარონ სამღვდელო წოდება და მღვდელმსახურთა შორის დასაჯდომელის პატივით ისარგებლონ, მაგრამ, ამასთან, რადგან ისინი სულმოკლეობითა და შიშით ცოდვაში მაინც ჩავარდნენ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვით გამ-

---

*მაქსიმიანეს დევნილობის შემდეგ, როდესაც მშვიდობა დამყარდა, ბევრი ქრისტიანი – დევნილობის ჟამს შიშით, ან სხვა რამე მიზეზით ეკლესიისგან განმდგარი – დაბეჯითებით მოითხოვდა კვლავ მიეღოთ ეკლესიაში. საკითხი იმის შესახებ, უნდა მიეღოთ თუ არა ისინი ეკლესიაში და თვით წესი მათი მიღებისა, რომელიც იმ **მდომარეობების** ფარდი იქნებოდა, რომელთა გამოც ისინი განდგნენ, საერთოდ არ იყო ნათელი ეპისკოპოსებისათვის. ამიტომ შედგა ეს კრება, რომ ემსჯელათ და მსგავსი **დანაშაულისათვის** შესაბამისი სასჯელი განეჩინათ.

კრება შედგა ეალატიის ანკირიაში, 314 წელს; ესწრებოდა 18 ეპისკოპოსი მცირე აზიიდან და სირიიდან; თავმჯდომარეობდა **ანტიოქიის ეპისკოპოსი ვიტალი**. კრებამ 25 კანონი გამოსცა. მათგან, პირველი ცხრა და მე-12 ეხება უშუალოდ იმ საკითხს, რის გამოც შეიკრიბნენ; სხვა დანარჩენი კანონი საუბრობს საერთო საეკლესიო დისციპლინის შესახებ.

ოიხატა, და თუნდაც წამიერად შეიბილწეს სული განდგომილებით, გახდნენ, ამგვარად, ულირსნი, რომ საკურთხეველში როდესმე მსხვერპლი შესწირონ და მღვდლის ხარისხით ემსახურონ იმ ღმერთს, რომელსაც უღალატეს; ამიტომაც ართმევს მათ კანონი წმინდა მსხვერპლის შეწირვის, ქადაგებისა და, საერთოდ, რაიმე სამღვდელო მოქმედების აღსრულების უფლებას. თუმცა, ამ მღვდლებს შეუძლიათ ისარგებლონ დასაჯდომელის პატივით სხვა მღვდლებს შორის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოშურნეობა სარწმუნოებისათვის გამოავლინეს ჭეშმარიტად და არა მზაკვრული ხერხით. ხდებოდა, რომ ზოგიერთნი მღვდელთაგან, რწმენაში ასეთი მოშურნეობა რომ ეჩვენებინათ და, შესაბამისად, მიტევებაც მიეღოთ იმისათვის, რომ კერპებს შესწირეს მსხვერპლი, წამების დროს გაიძვერობას მიმართავდნენ: შეთანხმებაში შედიოდნენ მდევნელებთან და წინასწარ, სანამ სატანჯველად გადასცემდნენ, ქრთამავდა მათ. ასე რომ, როდესაც მათი ჯერი დგებოდა, მდევნელები შეთანხმებისამებრ ექცეოდნენ და არავითარ ზიანს არ აყენებდნენ, აწამებდნენ მხოლოდ მოჩვენებითად, სხვების თვალის ასახვევად. სწორედ, მსგავსი მზაკვრობა აქვთ მხედველობაში ანკირიის კრების მამებს და, მიუთითებენ რა კანონში ამაზე, აღნიშნავენ, რომ წყალობის გაღება შეიძლება მხოლოდ მათთან მიმართებით, რომლებმაც გულწრფელად მოინანიეს, რაზედაც მტკიცებულება არსებობს, და არ ინებეს, რომ წყალობა მსაკვრული გზით მიეღოთ.

ის, რასაც კანონი მღვდლებთან მიმართებით განაწესებს, ეხება, აგრეთვე, განდგომილ ეპიკოპოსებსაც. მართალია, კანონი ამის შესახებ არ საუბრობს, მაგრამ ეს დასტურდება ძველი დროის ეკლესიის პრაქტიკით, რასაც ეს კრებაც უეჭველად იწყნარებს. **კვიპრიანეს** ერთ-ერთ ეპისტოლეში,მოიხსენიება ორი ესპანელი ეპისკოპოსი – მარტიალი და ვასილიდი, რომლებსაც ხარისხი აჰყარეს სარწმუნოებისგან განდგომის გამო. შემდგომში ორივე ეს ეპისკოპოსი თვალთმაქცურად ცდილობდა მოშურნეობა გამოეჩინა და სიცრუის გზით ხარისხში აღდგენილიყო. ამ მიზნის მისაღწევად პაპი სტეფანეც (253-257) გადაიბირეს. კვიპრიანემ, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ერთ-ერთ თავის კრებაზე დაადასტურა მათი განკვეთა და მათ მიმართ გამოტანილი სასჯელი, და უსაყვედურა ყველას, ვინც მათ იცავდა, მათ შორის – პაპ სტეფანესაც.*

კანონი 2

მსგავსადვე, დიაკვნებს, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ კერპს და შემდეგ განაახლეს სარწმუნოებისათვის ღვაწლი, მინიჭებული პატივი შეუნარჩუნდეთ, მაგრამ აეკრძალოთ ყოველგვარი სამღვდელო მსახურება, პურისა და ბარძიმის ამაღლება, ლოცვების ხმამაღლა წაკითხვა. ამასთან, თუკი ეპისკოპოსები დაინახავენ მათ შრომას, სიმდაბლეს, სიმშვიდეს და მოინდომებენ სასჯელის მომატებას ან მოკლებას, მათ ხელმწიფებაში იყოს ეს.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 10, 12; ტრულის – 102; ანკირიის – 1, 3, 5, 12; პეტრე ალექსანდრიელის – 10, 14; ბასილი დიდის – 3; გრიგოლ ნოსელის – 4, 5).

---

*ამ კრების გადაწყვეტილება შეტანილია კვიპრიანეს 68-ე ეპისტოლეში.

ყველაფერი, რაც ამ კრების 1 კანონში ითქვა მღვდლებთან დაკავშირებით, წინამდებარე კანონში დიაკვნებზეც ვრცელდება, რომლებიც, საუბედურად, განდგომილების ცოდვაში ჩავარდნენ, მაგრამ შემდგომში გულწრფელად მოინანიეს. კანონი ასეთ დიაკვნებს უფლებას უტოვებს მომავალშიც ისარგებლონ დიაკვნის პატივით, მაგრამ სამუდამოდ უკრძალავს ეკლესიაში სადიაკვნო მსახურებას, განსაკუთრებით – წმინდა ძღვენის შეწირვას და ღვთისმსახურებისას დაწესებული ლოცვების წაკითხვას. განაწესებს რა ამას, როგორც ზოგად ნორმას, კანონი ნებას რთავს რწმუნებულ ეპისკოპოსს, რომ ასეთ დიაკვნებს მოექცეს თავისი შეხედულებისამებრ, მათი ცხოვრების წესებისა და რწმენისადმი ერთგულების გათვალისწინებით, რის შედეგადაც მას შეუძლია იმაზე ნაკლები ან მეტი სასჯელი შეუფარდოს, რასაც კანონი ზოგადად ითვალისწინებს, რამეთუ „ყოველგვარი სულიერი მკურნალობის გზები ეპისკოპოსის ხელმწიფებაშია“.*

კანონი 3

ვინც მდევნელებს გაექცნენ, მაგრამ შეიპყრეს, ან თავისმა შინაურებმა გასცეს, ან ქონება ჩამოერთვათ, ან სატანჯველი გადაიტანეს, ან საპყრობილეში ჩაცვივდნენ, მაგრამ მაინც ღაღადებდნენ, რომ ქრისტიანები არიან; ამასთან, თუ ტანჯულებს იძულებით ჩაუდეს ხელში შემაჭირვებლებმა რაიმე კერპისთვის შეწირული, ან ძალით მიაღებინეს ასეთივე საჭმელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი განუწყვეტლივ აღიარებდნენ, რომ ქრისტიანები არიან, – და, თუ ისინი ამ სამწუხარო შემთხვევას თავმდაბლობით, შემოსილობით და მშვიდი ცხოვრებით უპასუხებენ, ასეთები, როგორც ცოდვისაგან უცხონი, ზიარებისგან ნუ განიყენებიან. ხოლო თუ ვინმესგან (ზიარება) აეკრძალათ, – ზედმეტი სიფრთხილის ან უმეცრების გამო, – დაუყოვნებლივ შეწყნარებულ უნდა იქნენ. ეს განჩინება ერთნაირად ეხებათ როგორც კლირიკოსებს, ისე დანარჩენებსაც, ანუ ერისკაცებს. ამასთანავე, გამოკვლეულ იქნა: – შეუძლიათ თუ არა ერისკაცებს, რომლებმაც ასეთი ძალადობა გადაიტანეს, აყვანილ იქნენ სამღვდელო ხარისხში, და განვსაჯეთ: ასეთებიც იკურთხოს, როგორც უცოდველები, თუკი მათი წინანდელი ცხოვრების წესი მართალი აღმოჩნდება.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 10, 11, 12; ანკირიის – 4, 12; პეტრე ალექსანდრიელის – 2, 10, 13, 14).

წინამდებარე კანონის პირველი ნაწილი ეხება ყველა ქრისტიანს, როგორც კლირიკოსს, ისე ერისკაცს. კრების მამები პირველ რიგში საუბრობენ იმ პირთა შესახებ, რომლებიც დევნილობას გაექცნენ და ამისათვის მათ არ განიკითხავენ. ამ კანონის განმარტებაში **ზონარას** მოჰყავს სახარების ის ადგილი, სადაც იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ეუბნება, რომ როდესაც ერთ ქალაქში დაუწყებენ მათ დევნას, სხვა ქალაქში უნდა გაიქცნენ (შდრ. მთ. 10, 23). მოიხსენიებს, აგრეთვე,

*ბალსამონის განმარტებიდან, ათენის სინტაგმა III, 23

გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებსაც იმასთან დაკავშირებით, რომ მოწამეობის კანონია – საჭიროების გარეშე არ წავიდეს წამებაზე. ამგვარად, ზონარა აჩვენებს, თუ რატომ არ განსაჯეს კრების მამებმა ისინი, ვინც მდევნელებს განერიდნენ* იგივეს ამბობს თავის მე-13 კანონში **პეტრე ალექსანდრიელიც**, სადაც ამტკიცებს, რომ მცირედითაც არ არიან დამნაშავენი ისინი, რომელნიც საკუთარი სულის გადასარჩენად, ანუ რწმენის შესანარჩუნებლად, თავის მდევნელს გაექცნენ. ამრიგად, კანონი არ განიკითხავს დევნის თავიდან ამცილებლებს; არ განიკითხავს მაშინაც, როდესაც ხდება ისე, – როგორც სახარება ამბობს, – რომ ***„მისცეს ძმამან ძმაი სიკუდილად, მამამან – შვილი“*** (მთ. 10, 21), ანუ როდესაც ისინი გასცეს საკუთარმა შინაურებმა,ან შეიპყრეს რაიმე სხვა გზით და აწამეს,რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წამებისას რწმენაში შეურყევლობა შეინარჩუნეს და, მიუხედავად ყველანაირი წამებისა, მაინც ხმამაღლა და საზეიმოდ აღიარებდნენ თავს ქრისტიანებად. თუკი ასეთ პირს რომელიმე ეპისკოპოსი სჯიდა, როგორც კანონი ამბობს – ან ზედმეტი სიმკაცრით ან მის საქმეში გაუცნობიერებლობით, მაშინ მამები ბრძანებენ, რომ მსგავსი სასჯელი უნდა გაუქმდეს და მათ უფლება აქვთ სრული ლოცვითი თანაზიარება იქონიონ დანარჩენ ერთგულ მორწმუნეებთან, რადგან დანაშაული არ მიუძღვით.

ასეთი განწესების შემდეგ, კანონში ნათქვამია, რომ განსახილველად გამოტანილი იყო შემდეგი საკითხი: შეუძლია თუ არა ერისკაცს, რომელმაც მსგავსი ძალადობა გადაიტანა, შევიდეს სამღვდელო დასში? კანონი იქვე პასუხობს, რომ შეუძლია, როგორც უდანაშაულოს, მაგრამ ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი ყველა იმ საჭირო თვისებას ფლობს, რაც სამღვდელო კანდიდატს მოეთხოვება. სხვათა შორის, აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ მკაცრად ხდებოდა პირველი საუკუნეების ეკლესიაში სასულიერო დასში მისაღები კანდიდატების შერჩევა, რაც ფრიად სასწავლებელია ჩვენი დროისთვის, როდესაც ამ საკითხს საკმაოდ იოლად უყურებენ. ქრისტეს რწმენისათვის ასეთ მებრძოლებსაც კი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ასეთ დიდებულ ქრისტეს მოწამეებსაც კი, კრების მამები სასულიერო დასში არ უშვებდნენ, თუ მათ წინანდელ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეცოდებებს, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მოწამეობით ქრისტეს ამ მხედრებს საკუთარი შეეძლოთ ძველი ცოდვები წარეხოცათ.

კანონი 4

იძულებით მსხვერპლშემწირველთა შესახებ, – მით უფრო კერპების წინაშე მონადიმეებისა, რომლებიც მიიყვანეს და იქ მხიარული სახით შევიდნენ, სამოსელიც ჩვეულებრივზე უფრო ძვირფასი ჩაიცვეს და უდარდელად მიიღეს მონაწილეობა მომზადებულ ნადიმში, – განვაჩინებთ: ერთი წელი წმინდა წერილის მსმენელებად დაჰყონ, სამი წელი – შევრდომილებად, ორი წელი მხოლოდ ლოცვითი ერთობა იქონიონ მრევლთან და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდნენ სრულ თანაზიარებაში.

*ათენის სინტაგმა, III, 25.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 11; ანკირიის – 5, 8, 9; ლაოდიკიის – 2; კართაგენის – 43; გრიგოლი ნეოკესარიელის – 2, 11; ბასილი დიდის – 73, 75, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის – 2, 3; გრიგოლ ნოსელის – 2).

წინამდებარე კანონში საუბარია იმათ შესახებ, ვინც იძულებით შესწირა კერპს მსხვერპლი და ამის შემდეგ, უკვე, ქრისტიანული სარწმუნოების საწინააღმდეგოდ ყველაფერი მოიმოქმედა, რასაც მისგან მდევნელები მოითხოვდნენ; და თუ ყველაფერ ამას ისინი მხიარული სახით აღასრულებდნენ და არავითარ სინანულს არ გრძნობდნენ იმის გამო, რომ თავიანთი სარწმუნოება შებღალეს, მაშინ კანონი, – მათი მოქცევის შემთხვევაში, – განუწესებს მონანულად ყოფნას ექვსი წლის განმავლობაში ზიარების გარეშე, რომლის ღირსნიც ისინი შეიძლება გახდნენ მხოლოდ მეშვიდე წელიწადს. სინანულის პერიოდში კანონი მათ განუწესებს, რომ პირველი წელი დაჰყონ მეორე საფეხურზე მსმენელებთან ერთად, შემდეგი სამი წელი მესამე საფეხურზე – შევრდომილებთან ერთად, ამისი შემდეგი ორი წელი კი ბოლო, მეოთხე საფეხურზე, რომელსაც ეწოდებოდა „თანამდგომარე-ყოფა ერისა“.* სინანულის საფეხურების შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრობთ I მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტებაში.

კანონი 5

ხოლო, რომლებიც სამგლოვიარო სამოსლით მივიდნენ, ინახით დაჯდნენ, მაგრამ ცრემლით ჭამდნენ სუფრასთან, ისინი, თუკი შეასრულებენ სამწლიანი შევრდომის ეპიტიმიას, შეწყნარებულ იქნენ, – გარდა წმინდა საიდუმლოს ზიარებისა. ხოლო ვინც არ ჭამდა, ორი წელი შევრდომილ იყოს, მესამე წელიწადს კი თანაზიარებაში მიიღებოდეს, – გარდა წმინდა ზიარებისა; ასე რომ, სრული ზიარება მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიიღოს. მაგრამ, ამასთან, ეპისკოპოსებს უფლება ეძლევათ გამოსცადონ მათი მოქცევა და შეუმოკლონ სინანულის ვადა კაცთმოყვარეობით, ან გაუგრძელონ. განსაკუთრებით უნდა იქნეს გამოკვლეული მათი ცხოვრება ცდუნებამდე და ცდუნების შემდეგ, და კაცთმოყვარეობაც შესაბამისი საწყაოთი მიეწყოთ.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 11; ანკირიის – 4; ლაოდიკიის – 2; გრიგოლ ნეოკესარიელის – 2, 11; ბასილი დიდის – 73, 75, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის – 2, 3; გრიგოლ ნოსელის – 2).

კანონის პირველივე სიტყვებიდან ჩანს, რომ ის არის ამავე კრების მე-4 კანონის გაგრძელება. მე-4 კანონში იმათ შესახებ იყო საუბარი, როლებიც მხიარული სახეებით აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც მდევნელები უწესებდნენ, მაშინ, როდესაც

*„ამ საფეხურზე მონანულნი იდგნენ და ლოცულობდნენ მორწმუნეებთან ერთად მთელი ლიტურგიის განმავლობაში (ამბიონის ჩრდილო და სამხრეთ მხარეს), მათ არ ჰქონდათ ევქარისტიისა და მსხვერპლშეწირვის უფლება“ (მონანულთა შეწყნარებისა და დაგების შესახებ). „დიდი სჯულისკანონი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975, გვ. 596.

ამ კანონში საუბარია იმ პირების შესახებ, რომლებიც ყველაფერ ამას ასრულებდნენ წუხილითა და სინანულით. ამ უკანასკნელთა შორის, კანონი განასხვავებს იმათ, ვინც მსხვერპლისათვის შენაწირი* შეჭამა, იმათგან, ვისაც ეს შენაწირი არ უხმევია: პირველებს განუწესებს, რომ სამი წელი დაჰყონ სინანულის მესამე საფეხურზე და შემდეგ კიდევ გარკვეული დრო – მეოთხეზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ისინი დაუშვან წმინდა ზიარებაზე, ხოლო მეორეებს – მხოლოდ ორ წელიწადს მესამე საფეხურზე ყოფნას, და ერთ წელიწადს – მეოთხეზე; მეოთხე წელიწადს უკვე შეუძლიათ წმინდა ზიარება მიიღონ. კანონი ხელმწიფებას აძლევს მმართველ ეპისკოპოსს, რომ ასეთი პირების მიმართ დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინოს, თუკი ისინი გულწრფელად მოინანიებენ და, ამასთან, დამტკიცებული იქნება, რომ მათი წინანდელი ცხოვრება ზნეობრივად მოსაწონი იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში ეპისკოპოსს შეუძლია გაუგრძელოს მათ სინანულის ვადა.

კანონი 6

იმათ შესახებ, რომლებიც მხოლოდ ტანჯვის, ქონების წართმევის ან გადასახლების მუქარით ცდუნდნენ და კერპს მსხვერლი შესწირეს, და ამ დრომდე არ მოუნანიებიათ, ახლა კი, კრების დროს, მოვიდნენ და მოქცევა განიზრახეს, განჩინებულია: აღდგომის წმინდა დღემდე წმინდა წერილის მსმენელთა რიგებში იქნენ მიღებულნი, ხოლო დიდი დღიდან სამი წელი იყვნენ შევრდომილთა შორის, შემდეგ კიდევ ორი წელი წმინდა ზიარების გარეშე დარჩნენ ერთგულ მორწმუნეთა ერთობაში და ამ გზით მივიდნენ სრულ ზიარებამდე, სანამ არ ამოიწურება ექვსწლიანი სინანულის სრული ვადა. ხოლო, თუ ვინმე ამ კრებამდე იქნა სინანულად მიღებული, მას იმ დროიდან დაეწყოს ექვსწლიანი ვადის ათვლა. ამასთან, თუ ვინმეს სიკვდილის საფრთხე შეექმნება სნეულებით ან სხვა რაიმე მიზეზით, ასეთები შეწყნარებულ იქნენ გარკვეული პირობით.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 11, 12, 13; ანკირიის – 4, 5, 7, 8, 9; ნეოკესარიის – 2; კართაგენის – 7; გრიგოლ ნოსელის – 2, 5).

წინა კანონებთან თანახმიერად, ეს კანონი იმ პირთა შესახებ საუბრობს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ შიშის გამო სცემდნენ კერპებს თაყვანს, რათა მდევნელებს რაიმე სახის ზიანი არ მიაყენებინათ მათთვის და, შესაბამისად, ქრისტეს რწმენა სულმოკლეობით უარყვეს. ხოლო, მოინანიეს არა მაშინვე, როგორც ეს უნდა გაეკეთებინათ, არამედ მხოლოდ დევნილობის დასრულების შემდეგ, როდესაც გაიგეს, რომ ანკირიის კრება დაკავებულია გადაწყვეტილებების მიღებით, თუ როგორ მიიღონ ეკლესიაში ის პირები, რომლებიც ინანიებენ ეკლესიიდან განდგომას. კანონი მათ უწესებს ექვსწლიან სინანულს, თანაც, მოქცევის პირველივე დღიდან ვიდრე აღდგომის დღესასწაულამდე, რომელიც კანონში „დიდ დღედ“ იწოდება, ისინი სინანულის მეორე საფეხურზე უნდა იდგნენ. ამგვარად, თუკი კრება,

*ნაკერპევი.

მოციქულთა 37-ე კანონის განწესებით შედგა სულთმოფენობიდან მეოთხე კვირას და ამ დროს მიმართეს მას კანონში მოხსენიებულმა განდგომილებმა, მაშინ პირველ პასექამდე თითქმის ერთი წელი რჩებოდა, რაც ეთვლებოდა კიდეც მათ სინანულის პირველი წელიწადად.* ამის შემდეგ სამი წელი სინანულის მესამე საფეხურზე უნდა გაეტარებინათ, შემდეგი ორი სრული წელიწადი – მეოთხეზე და მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლოთ წმინდა ზიარებას მიახლებოდნენ. იმათ კი, რომლებმაც სინანული დაიწყეს ამ კრების მოწვევამდე, კანონი განაწესებს, რომ სწორედ იმ დროიდან დაიწყოს მათთვის ექვსწლიანი სინანულის ვადის ათვლა. თუ ისე მოხდება, რომ მონანულთაგან ვინმე სიკვდილის პირას აღმოჩნდება, კანონი განაწესებს, რომ არსებული დადგენილების თანახმად, დაუშვან ისინი წმინდა ზიარებაზე. ეს დადგენილება, ზონარას სიტყვებით თავის განმარტებაში, იმაში მდგომარეობდა, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში, მონანულნი უნდა დაბრუნებოდნენ სინანულის იმავე საფეხურს და შემდეგი ზიარების მიღების უფლება მხოლოდ სრული ექვსწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ექნებოდათ.** ანკირიის კრების ამ დადგენილების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-13 კანონის განმარტებაში.

კანონი 7

იმათ შესახებ, რომლებიც წარმართულ დღესასწაულზე წარმართების მიერ მიჩენილ ადგილზე ნადიმობდნენ, მაგრამ მიიტანეს და ჭამეს საკუთარი საჭმელი, განჩინებულია შემდეგი: შეწყნარებულ იქნენ ორწლიანი შევრდომის შემდეგ, მაგრამ ყველანი უნდა იქნენ თუ არა შეწყნარებულნი წმინდა საიდუმლოთა ზიარებით, ეს ეპისკოპოსის გადასაწყვეტი საქმეა; გამოძიებულ იქნეს, ასევე, თითოელი მათგანის ცხოვრების სხვა მხარეც.

(მოციქულთა – 62; I მსოფლიოს – 11).

ხდებოდა, რომ დევნილობის ჟამს, ზოგიერთი ქრისტიანი, წამების თავიდან ასაცილებლად, წარმართების მიერ კერპების საპატივცემულოდ მოწყობილ ნადიმს ესწრებოდა, მაგრამ სინდისის დასამშვიდებლად თან მიჰქონდა საჭმელი და მხოლოდ იმას ჭამდა, რათა არ ეხმია კერპისთვის შეწირულიდან. როდესაც ასეთების შესახებ საუბრობს, კანონი მათ იმაში ადანაშაულებს, რომ წარმართებთან ერთად ნადიმობდნენ და, მაშასადამე, მათ დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას, რისთვისაც უწესებს ორი წლით სინანულის მესამე საფეხურზე ყოფნას. ამ ვადის გასვლის შემდეგ, კანონი მმართველი ეპისკოპოსის გადასაწყვეტად ტოვებს საკითხს: შეუძლიათ მათ მიეახლონ წმინდა ზიარებას თუ კიდევ დაჰყონ გარკვეული დრო სინანულში.

---

*ვან ესპენი, „კომენტარები კანონებზე", ჯ. 110.

**ათენის სინტაგმა III, 34.

კანონი 8

ვინც ოჯერ და სამჯერ იძულებით შესწირა მსხვერპლი, ოთხი წელი შევრდომილად დაჰყოს, ორი წელი — ერთგულ მორწმუნეებთან ლოცვით ერთობაში — წმინდა ზიარების გარეშე, და მხოლოდ მეშვიდე წელს მიიღოს სრული შეწყნარება.

(მოციქულთა — 62; I მსოფლიოს — 11; ანკირიის — 4, 5, 9; ლაოდიკიის — 2; კართაგენის — 43; გრიგოლ ნეოკესარიელის — 2, 11; ბასილი დიდის — 73, 75, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის — 2, 3; გრიგოლ ნოსელის — 2).

ეს კანონი, მსგავსად მე-4 და მე-5 კანონებისა, იმათ წინააღმდეგ მიიღეს, ვინც ძალდატანებით ამსახურეს კერპებს. იმათთან დაკავშირებით, ვინც ვერ შეძლო საცდურის გადალახვა, და თუმც ძალდატანებით, მაგრამ მაინც ორ-სამჯერ თაყვანისცა კერპებს, კანონი განაწესებს ექვსწლიან სინანულს, კერძოდ: ოთხი წელი სინანულის მესამე საფეხურზე, ორი წელი — მეოთხე საფეხურზე და მხოლოდ მეშვიდე წელიწადს აძლევს მათ წმინდა ზიარების მიღების უფლებას.

კანონი 9

ხოლო, რომლებიც არამარტო თავად განდგნენ, არამედ ძმებზეც აღდგნენ და განდგომას აიძულებდნენ, ან იძულების მიზეზი გახდნენ, მათ სამი წლით მსმენელთა ადგილი დაიკავონ, შემდგომი ექვსი წელი შევრდომილთა შორის დაჰყონ, კიდევ ერთი წელი წმინდა ზიარების გარეშე იყვნენ ერთგულ მორწმუნეთა ერთობაში და, ამდენად, ათწლიანი ეპიტიმიის შემდეგ მიიღონ სრული ერთობა. გარდა ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში ყოველმხრივ უნდა ხდებოდეს მათ ცხოვრებაზე დაკვირვება.

(მოციქულთა — 62; I მსოფლიოს — 11, 12, 13; ანკირიის — 4, 5, 6, 7, 8; ლაოდიკიის — 2, 19; კართაგენის — 43; გრიგოლ ნეოკესარიელის — 2, 11; ბასილი დიდის — 73, 75, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის — 2, 3; გრიგოლ ნოსელის — 2).

წინამდებარე კანონი, ისევე როგორც I მსოფლიო კრების მე-11, საუბრობს თავის შეხედულებაში დარწმუნებული განდგომილების შესახებ, რომლებიც არამარტო თავად ქელავდნენ სარწმუნოებას, არამედ სხვებსაც იგივეს აიძულებდნენ, თანაც, ასეთებს უწესებს სინანულში ყოფნის ათწლიან ეპიტიმიას, კერძოდ: სამი წელიწადი სინანულის მეორე საფეხურზე, ექვსი — მესამეხე და ერთი — მეოთხეზე. მხოლოდ ათი წლის შემდეგ უშვებს კანონი მათთვის წმინდა ზიარების უფლებას, და ესეც იმ შემთხვევაში, თუკი მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოავლენენ გულწრფელ სინანულსა და კეთილმსახურებას.

✠

კანონი 10

დიაკვნად დასადგენლებმა, თუ მათი დადგინების დროს დაამოწმეს და განაცხადეს, რომ ქორწინებას საჭიროებენ და უიმისოდ არ შეუძლიათ, ქორწინების შემდეგაც გააგრძელონ თავიანთი მსახურება, რადგან ეპისკოპოსისგან ჰქონდათ ნებართვა. ხოლო, ვინც დუმდა ამის შესახებ და ხელდასხმა იმ პირობით მიიღო, რომ უქორწინებელი დარჩებოდა, მაგრამ შემდეგ იქორწინა, მან უნდა დატოვოს დიაკვნის მსახურება.

(მოციქულთა – 5, 26, 51; IV მსოფლიოს – 14; ტრულის – 3, 5, 13, 21, 30; ნეოკესარიის – 1; კართაგენის – 16; ბასილი დიდის – 69).

ამ კანონიდან ჩანს, რომ IV საუკუნის გალატიაში, რომლის მთავარი ქალაქი ანკირია იყო (ახლანდელი ანგური, თურქეთის მცირე აზიაში), არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც ზოგიერთ უქორწინებელ დიაკონს შეეძლო ხელდასხმის შემდეგაც ექორწინა, თუკი, მხოლოდ, ხელდასხმის დროს მმართველ ეპისკოპოსს განუცხადებდა, რომ თავის დროზე შეირთავდა ცოლს, რადგან ქალწულებრივი მოღვაწეობა არ შეეძლო. ეს დიაკვნები, დაქორწინების შემდეგ, კვლავ აგრძელებდნენ ეკლესიაში მსახურებას. იმ შემთხვევაში კი, თუკი ხელდასხმისას ასეთ სურვილს არ გამოთქვამდნენ, მაშინ მთელი ცხოვრება უქორწინებელნი უნდა დარჩენილიყვნენ, ხოლო თუ დაქორწინდებოდნენ, მაშინ დიაკვნობა უნდა დაეტოვებინათ. გალატიის ეკლესიის ამ ჩვეულების შესახებ – ხელდასხმის შემდეგ ქორწინების უფლებაზე – „კანონთა წიგნში"* არის სპეციალური შენიშვნა, რომ ის უნდა ჩაითვალოს „როგორც ადგილობრივი გამოყენებისათვის დაშვებული გამონაკლისი, მოციქულთა 26-ე კანონიდან". მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო მიღებული პრაქტიკა მხოლოდ ერთი ადგილობრივი ეკლესიისთვის, ჩვენ მაინც გვაქვს იმის მაგალითები, რომ მას სხვა ეკლესიებიც ბაძავდნენ. ტრულის კრებამ თავისი მე-6 კანონით გააუქმა ეს ჩვეულება და თავის ძალაში აღადგინა მოციქულთა 26-ე კანონი. სხვა დანარჩენი, ამ ჩვეულებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ ნათქვამია ტრულის კრების აღნიშნული კანონის განმარტებაში.

კანონი 11

დაწინდული ქალწულების შესახებ, რომლებიც შემდეგ სხვებმა მოიტაცეს, განვაჩინებთ: ისინი უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ დამწინდველებს, თუნდაც მომტაცებლებისგან ძალადობა განეცადოთ.

(მოციქულთა – 67; IV მსოფლიოს – 27; ტრულის – 92, 98; ბასილი დიდის – 22, 25, 26, 30, 49, 69).

ამ კანონში განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ ითქვა მოციქულთა 67-ე და ტრულის კრების 98-ე კანონების განმარტებებში. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ შემდგომში, ბასილი დიდის 22-ე კანონით, განიწესა, რომ დამწინდ-

*1862 წ. გამოცემა, გვ. 223. შდრ. 1901 წლის გამ., გვ. 147.

ველის უფლებაში შედის მიიღოს თუ არა თავისი დაწინდული, — სხვის მიერ გატაცებული და შეურაცხყოფილი.

კანონი 12

ვისაც ნათლისღებამდე შეუწირავს კერპისთვის მსხვერპლი, შემდეგ კი მოინათლა, განვაჩინებთ, რომ სამღვდელო წოდებაში მისი აყვანა შეიძლება, როგორც ცოდვისაგან განბანილის.

(I მსოფლიოს — 14; ნეოკესარიის — 5; კირილე ალექსანდრიელის — 5).

წინამდებარე კანონი პირდაპირ კავშირშია ამ კრების მე-9 კანონთან, სადაც საუბარი იყო სასულიერო პირებსა და მორწმუნე ერისკაცებზე, რომლებმაც კერპს შესწირეს მსხვერპლი. ამ კანონში საუბარია იგივე საკითხზე, ოღონდ ჯერ კიდევ მოუნათლავი პირების, ანუ კათაკმეველობის საფეხურზე მყოფთა მიმართებით. ქრისტეს რწმენისგან განდგომილ კათაკმეველთა შესახებ, რომლებიც ნათლისღებისთვის ემზადებოდნენ, საუბრობს I მსოფლიო კრების მე-14 კანონი, რომლის განმარტებაშიც უკვე ვისაუბრეთ, თუ ვინ იყვნენ ეს კათაკმეველები, როგორ დაიყოფოდნენ ისინი და რა სასჯელს ექვემდებარებოდნენ განდგომილებისათვის. მას შემდეგ, რაც სინანულის გამოცდას გაუძლეს და ნათლისღების ღირსნი შეიქმნენ, გადასაწყვეტი დარჩა, შეიძლება თუ არა ასეთი პირების მიღება სასულიერო დასში. ანკირიის ეს კანონი ამ საკითხს დადებითად წყვეტს. ამის საფუძვლად კი მოჰყავს ის საყოველთაო დოგმატური ჭეშმარიტება, რომ ნათლისღება ადამიანს განბანს ყველა იმ ცოდვისგან, რაც მას ნათლისღებამდე ჩაუდენია.*

კანონი 13

ქორეპისკოპოსებს არ ხელეწიფებათ მღვდლებისა და დიაკვნების დადგინება; არც რომელიმე ქალაქის ეპისკოპოსს სხვა ქალაქში, — თუ არა ცალკეული ეპარქიისათვის იქაური ეპისკოპოსის წერილობითი ნებართვით.

(I მსოფლიოს — 8; VII მსოფლიოს — 14; ნეოკესარიის — 14; ანტიოქიის - 8, 10; ლაოდიკიის — 57; ბასილი დიდის — 89).

ჩვენ ეს კანონი გადმოვთარგმნეთ ბერძნული ტექსტიდან იმ სახით, როგორც ის დაბეჭდილია ათენის სინტაგმაში (III, 46). რუსულ თარგმანში ის შემდეგს ნიშნავს: ქორეპისკოპოსებს არ შეუძლიათ სხვა ეპარქიაში აღასრულონ მღვდლებისა და დიაკვნების ხელდასხმა, და მით უფრო ნაკლებად — ქალაქის მღვდლებისა, მმართველი ეპისკოპოსის წერილობითი ნებართვის გარეშე. „კანონთა წიგნში“ მოცემული ტექსტის მიხედვით, მოცემული კანონი განაწესებს, რომ როგორც ქორეპისკოპოსებს არ შეუძლიათ საკუთარი ხელისუფლებით მოახდინონ თავის ეპარქიებში მღვდლებისა და დიაკვნების ხელდასხმა, ზუსტად ასევე, ეპისკოპოსებს არ შეუძლიათ

*ათენის სინტაგმა, III, 43.

თავიანთ კლირიკოსებს ხელი დაასხან სხვისი ეპარქიის ქალაქებისათვის, იმ ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების წერილობითი სიგელის გარეშე. თუმცა, ასეთი აზრი მხოლოდ დახლოებით შეიძლება გამოტანილ იქნეს „კანონთა წიგნის“ აღნიშნული ტექსტიდან, რადგან თვით ტექსტი, როგორც სიტყვებით, ასევე ინტერპუნქციით არ იძლევა საშუალებას კანონის განწესების ზუსტი აზრის მისაწვდომად. საიდან გაჩნდა მსგავსი ტექსტი „კანონთა წიგნში“, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ „ათენის სინტაგმის“ ეს ტექსტი რომ უფრო ზუსტი არის და, თავისთავად, აზრიანი — ეს ცხადია.

ქორეპისკოპოსები, ვიკარული ეპისკოპოსები (სოფლის ეპისკოპოსები) პირველად მოიხსენიება ანკირიის კრების წინამდებარე კანონში, ანუ IV საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ისინი რომ ადრეც არსებობდნენ, ამის შესახებ გვაქვს ორი, საკმაოდ დამაჯერებელი, მოწმობა; პირველი, ეს არის **კლიმენტი რომაელის** მოწმობა, რომელიც კორინთელთა მიმართ თავის ეპისტოლეში, მოციქულთა შესახებ ამბობს: „ქადაგებდნენ რა [სხვადასხვა] ქვეყნებსა და ქალაქებში, ისინი თავიანთ პირმშოებს [მორწმუნეთაგან] სულიერი გამოცდის შემდეგ დადგენდნენ ეპისკოპოსებად და დიაკვნებად მომავალი მორწმუნეებისათვის“.* მეორე მოწმობას ვხვდებით **ევსების** „ეკლესიის ისტორიაში“, სადაც საუბარია პავლე სამოსატელის წინააღმდეგ ანტიოქიაში 269 წელს შემდგარი კრების შესახებ; ამ კრების ოქმებში მოიხსენიება „ახლომდებარე ქალაქების ეპისკოპოსები“, ანუ მიმდებარე ადგილების და ქალაქების, და მღვდლები. ევსების ისტორიის მოხსენიებული ადგილის შესახებ გამომცემელი შენიშნავს, რომ „აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება ქორეპისკოპოსები, რადგან მათი ეპისტოლენი განსხვავებულია ქალაქების ეპისკოპოსთა ეპისტოლეებისაგან“. იქიდან, თუ როგორ საუბრობს ქორეპისკოპოსების შესახებ ეს კანონი და IV საუკუნის პირველი ნახევრის სხვა კანონები, ჩანს, რომ ქორეპისკოპოსების შესახებ იმ დროისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მათი მოქმედების სფერო უკვე გარკვეული იყო და, მაშასადამე, თვით ქორესპიკოპოსების დადგინების დრო მიეკუთვნება ეკლესიის პირველ საუკუნეებს. ეს დადგინება გამოწვეული იყო თვით იმ პირობებით, რომელშიც იმდროინდელი ეკლესია იმყოფებოდა. იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო გავრცელებულიყო ქრისტიანობა და განსაკუთრებით კი წინააღმდეგობა გაეწიათ გნოსტიკური სწავლების განვითარებისთვის, პირველ ხანებში მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს ადგინებდნენ ყველგან, უმნიშვნელო ადგილებშიც კი; მათ ქრისტეს სარწმუნოება უნდა ექადაგათ და მასში ერი განემტკიცებინათ, გაემხნევებინათ მართლმადიდებელი კრებული მწვალებლებთან ბრძოლაში, რისთვისაც ყველგან ადგენდნენ მღვდლებსა და სხვა კლირიკოსებს. ამის გამო იყვნენ ეპისკოპოსები სოფლის და ეპისკოპოსები — ქალაქის. თავიდან ყველა ამ ეპისკოპოსის ძალაუფლება, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, საკუთარი ერთნაირი იყო. შემდგომში, როდესაც ეკლესიაში იერარქიული ურთიერთობის ზუსტი განსაზღვრა დაიწყო, განისაზღვრა ურთიერთობა ქალაქებისა და სოფლების ეპისკოპოსებს შორისაც. თავიდან ეს ურთიერთობა დაახლოებით იმ ფორმით გამოიხატებოდა, როგორც ეს განსაზღვრული იყო მოციქულთა 34-ე კანონში ეპარქიის უპირველეს ეპისკოპოსსა (მიტროპოლიტს) და სხვა ეპარქიალურ ეპისკოპოსებს

*აქ, ციტატაში მოყვანული კვადრატული ფრჩხილი ავტორისაა. — მთარგ.

შორის. ანკირიის კრების წინამდებარე კანონი აჩვენებს, რომ უკვე იმ დროს ეს ურთიერთობანი ზუსტად იყო განსაზღვრული, რაც ნიშნავს, რომ ქორეპისკოპოსებს შეეძლოთ დამოუკიდებლად მოეხდინათ მღვდლებისა და დიაკვნების ხელდასხმა მათი მსახურების გარკვეულ ადგილებში. ამ ადგილებს გარეთ კი, ანუ სხვა სამთავროში, ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ ქალაქის მმართველი ეპიკოპოსის ნებართვით; ასეთი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, მათ შეეძლოთ ქალაქისთვისაც დაედგინათ მღვდელი, ანუ იმ ადგილისათვის, სადაც რეზიდენცია ჰქონდა იმ ეპისკოპოსს, რომელსაც შეეძლო მასზე დაქვემდებარებული ქორეპისკოპოსებისათვის აღნიშნული ნებართვა მიეცა. იმ უფლების ძალით, რომლის თანახმადაც ქორეპისკოპოსებს შეეძლოთ გარკვეულ საზღვრებში დამოუკიდებლად განეხორციელებინათ მღვდლების ხელდასხმა, კანონი მათ უწოდებს ეპისკოპოსის თანამწირველებს* საეკლესიო იერარქიაში ქორეპისკოპოსის იმ მდგომარეობამ, რომელიც IV საუკუნის პირველ წლებში კანონებმა აღიარა, მათში ნელ-ნელა აღძრა ამპარტავნების სული და დაიწყეს განცხადების გაკეთება ქალაქის ეპისკოპოსებთან თანასწორობის შესახებ, და უკვე მათდამი დაწესებულ დაქვემდებარებაზე უარის თქმა. ამას მოჰყვა მათი მხრიდან თვითნებური ხელდასხმა დიაკვნებისა და მღვდლების — ქალაქის ეპისკოპოსისათვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე; უწესრიგობებმა, რომლებიც ამ მიზეზით წარმოიშვა, ანტიოქიის კრების (314 წ.) მამები განსაკუთრებული კანონის მისაღებად აღძრეს, რომელიც განაწესებს, რომ ქორეპისკოპოსები მკაცრად უნდა იყვნენ დამოკიდებულნი ქალაქის ეპისკოპოსებზე და მხოლოდ იპოდიაკონისა და მასზე დაბალი ხარისხის კლირიკოსის დადგინება შეუძლიათ, ხოლო მღვდლისა და დიაკონის ხელდასხმა — მხოლოდ ქალაქის ეპისკოპოსის ნებართვით (მე-10 კან.). მათ არ შეუძლიათ, აგრეთვე, რაიმე კანონიკური სიგელის გაცემა, გარდა „სამშვიდობო ეპისტოლესა" („мирная грамата") და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათი ქცევა კანონებთან შესაბამისობაში იქნება (მე-8 კან). რამდენიმე წლის შემდეგ, ლაოდიკიის კრება იძულებული გახდა ემსჯელა ქორეპისკოპოსებთან დაკავშირებით, რათა საბოლოო წერტილი დაესვა განუწყვეტელი დავისთვის ქალაქების ეპისკოპოსებსა და ქორეპისკოპოსებს შორის. კრებამ განსაკუთრებული კანონი (57-ე) მიიღო, რომლის თანახმადაც საერთოდ აიკრძალა მომავალში სოფლის ეპისკოპოსების დადგინება, რითაც სურდათ გაეუქმებინათ ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი. თუმცა, ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული და ქორეპისკოპოსები კვლავ აგრძელებდნენ საქმიანობას და ისევ ბოროტად იყენებდნენ თავიანთ ხელისუფლებას. ამის შემდეგ, უკვე, **ბასილი დიდი** გახდა იძულებული გაეგზავნა საგანგებო ეპისტოლე (89-ე კან.) თავისი ქორეპისკოპოსების მისამართით, სადაც დაწვრილებით განუსაზღვრა მათ მოქმედების არეალი და ქალაქის ეპისკოპოსებთან დამოკიდებულება. ამის შემდეგ, მათი მნიშვნელობა ეკლესიაში ნელ-ნელა დაიმცრო და, მაშინ, როდესაც IV საუკუნის პირველ მეოთხედში ისინი კრების აქტებზე აწერდნენ ხელს ქალაქის ეპისკოპოსების თანასწორად, ასი წლის შემდეგ კრებებზე მათ უკვე სულ სხვა მდგომარეობა უკავიათ, კერძოდ, ესწრებიან

*сослужители; „დიდი სჯულისკანონში" (გამომცემლობა „მეცნიერება, 1975) ეს წოდება აღნიშნულია სიტყვით: „თანამღდელი"; — იხ. ნეოკესარიის კრებ. მე-14 კან.

როგორც ქალაქის დამოუკიდებელი ეპისკოპოსის თანაშემწენი.* დროთა განმავლობაში, აღმოსავლეთში საერთოდ გაუქმდა ქორეპისკოპოსის ხარისხი და ბალსამონი ანკირიის ამ კრების განმარტებაში ამბობს, რომ კიდევ დავწერდი რაიმეს ამ კანონთან დაკავშირებით, მაგრამ „რადგან ქორეპისკოპოსის ხარისხი სავსებით გაუქმდა, ამიტომ არც ჩვენ მოვისურვეთ ზედმეტი შრომა გაგვეწია".**

კანონი 14

კლირიკოსების — მღვდლებისა და დიაკვნების მიმართ, რომლებიც ხორცის ჭამას ეკრძალებიან, განწესებულია: იხმიონ, მერე კი, თუ მოისურვებენ, კვლავ შეიკავონ მისგან თავი. ხოლო, თუ ამას არ გააკეთებენ და ხორცთან დართულ მხალსაც არ შეჭამენ და, ამდენად, ამ კანონს არ დაემორჩილებიან, განპატიჟებულ იქნენ თავიანთი პატივიდან.

(მოციქულთა — 51, 53, 66; ლანგრის — 2, 21; ბასილი დიდის — 28, 86).

ეს კანონი უმთავრესად იმ საკითხებს ეხება, რომელთა შესახებაც საუბარია მოციქულთა 51-ე და 53-ე კანონებში, რომელთა განმარტებაც წინამდებარე კანონის განმარტების საფუძველს წარმოადგენს. ეს კანონი ზოგიერთ მღვდელსა და დიაკონს მიემართება, რომლებსაც სურდათ ყოველთვის ემარხულათ და ხორცს არასდროს ჭამდნენ. კანონი, ძირითადად, არ განიკითხავს ასეთი კრძალულებას, რადგან ეს კეთილმსახურების საქმედ მიაჩნია. მაგრამ. იმისათვის, რომ ეს კრძალულება მათ მართლაც დამსახურებაში ჩაეთვალოთ, და არ გახდეს იმის მიზეზი, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს ისინი ამას აკეთებენ გნოსტიკური ცრუსწავლების მიმდევრობით, და ხორცისგან თავს იკავებენ მის მიმართ სიძულვილის მიზეზით, — როგორც მწვალებლები, — კანონი განაწესებს, რომ ყველა შემთხვევაში მათ უნდა იხმიონ ხორცი გარკვეულ დროს, რის შემდეგაც, თუკი სურვილი ექნებათ, შეუძლიათ კვლავ მოეკრძალონ. ეს *გარკვეული დრო*, **ზონარას** სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან, იყო ის დრო, როდესაც ქრისტიანები საღაპოდ იკრიბებოდნენ.*** თუ მღვდლები და დიაკვნები მაშინაც არ შეჭამენ ხორცს და თავშეკავებით იქამდე მივლენ, რომ არ მოინდომებენ ხორცთან ერთად მოხარშული მწვანილის *(მხალის)* ჭამასაც კი, მაშინ კანონი არ აძლევს მათ შემდგომში თავიანთ ხარისხში დარჩენის უფლებას.

კანონი 15

თუკი ეპისკოპოსის არყოლის პერიოდში** მღვდლებმა რაიმე გაყიდეს ეკლესიის საკუთრებიდან, ეკლესიამ უკან უნდა მოითხოვოს. ამასთან, ეპისკო-**

*მსოფლიო კრებათა საქმენი, III, 547.

**ათენის სინტაგმა, III, 47.

***მორწმუნეთა ტრაპეზი, სიყვარულის სერობა.

****როდესაც ეკლესია დაქვრივებილ მდგომარეობაშია.

პოსის გადასაწყვეტია, ღირს თუ არა თანხის დაბრუნება მყიდველისთვის; რადგან ხშირად ხდება, რომ გაყიდულიდან მიღებულმა შემოსავალმა, ნამეტავით გაისტუმრა უკვე მყიდველის მიერ მისთვის გაღებული ფასი.

(მოკიკულთა – 38, 39, 40, 41, 73; IV მსოფლიოს – 22, 24, 25, 26; ტრულის – 35, 49; VII მსოფლიოს – 11, 12, 13; ანტიოქიის - 24, 25; ლაოდიკიის – 57; კართაგენის – 22, 26, 33, 81; კირილე ალექსანდრიელის – 2; თეოფილე ალექსანდრიელის – 10).

ზემოაღნიშნული პარალელური კანონების განმარტებებში, ჩვენ ძირითად უკვე ვისაუბრეთ ამ კანონში განხილული საკითხის შესახებ. კერძოდ, საეკლესიო ქონების ხელშეუხებლად დაცვის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ VII მსოფლიო კრების მე-12 კანონის განმარტებაში.

წინამდებარე კანონში განიხილება ის შემთხვევა, როდესაც რომელიმე ეპარქიის დაქვრივების შემთხვევაში, მღვდლები გაყიდიან ეკლესიის კუთვნილ რაიმე ნივთებს, და თვლის რა ამ საქციელს უკანონო ყიდვა-გაყიდვის აქტად, როგორც სინამდვილეში არის, კანონი ბრძანებს, რომ უნდა მოითხოვონ გაყიდულის უკან, ეკლესიაში დაბრუნება. ბერძნულ ტექსტში ორჯერ არის გამოყენებული სიტყვა „ο Κυρι χόν“, თანაც ორივეჯერ მესაკუთრის ან, უფრო ზუსტად – საეკლესიო ქონების სუბიექტის აღმნიშვნელად, რაც ჩვენ მიერ თარგმნილია სიტყვით: *ეკლესია.* სინამდვილეში, ეს ბერძნული სიტყვა ნიშნავს: „უფლის“; აქედან, Κυρι χόν βῖ νον – უფლის სერობა. პირველ შემთხვევაში ეს სიტყვა იმიტომ გამოიყენება, რომ ყველა ნივთი, რომელიც ეკლესიას ეკუთვნის, ანუ მთელი საეკლესიო ქონება, არსებითად ითვლება უფლის ქონებად, უფლისთვის შეწირულად. მეორედ ეს სიტყვა გამოყენებულია ეკლესიის საკუთრების წარმომადგენლის აღმნიშვნელად, ესენი კი ის ერთგული მორწმუნენი არიან (მათი მდგომარეობის განურჩევლად), რომლებიც ეკლესიას შეადგენენ, სხვაგვარად – უფლის ერი [მრევლი]. კანონში მხოლოდ *მღვდლები* მოიხსენიებიან, რომლებმაც უკანონოდ გაყიდეს ეკლესიის ქონების გარკვეული ნაწილი, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნული სახელის ქვეშ ზოგადად კლიროსი უნდა მოვიაზროთ, რომელზედაც, უპირატესად, მინდობილია დაქვრივებული ეპარქიის საეკლესიო ქონების მმართველობა (IV მსოფლიო კრებ. 22-ე და 25-ე კან-ბი). კანონი კი მხოლოდ მღვდლებს მოიხსენიებს მათი წოდების ამაღლებულობის გამო.

კლირიკოსთა მიერ გაყიდული საეკლესიო ნივთების დაბრუნების შესახებ განკარგულებას, კანონი ეპისკოპოსს გადასცემს, როდესაც იგი ჩაიბარებს დაქვრივებული ეპარქიის მმართველობას და დაეკისრება საკითხის გადაწყვეტა: უნდა დააბრუნოს თუ არა გაყიდულ ნივთში აღებული თანხა, რადგან, როგორც კანონი მიუთითებს, შეიძლება ისე მოხდეს, რომ გაყიდულიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბოს მის ნამდვილ ღირებულებას* თუმცაღა, საეკლესიო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ საკმარისად ითქვა VII მსოფლიო კრების მე-12 და კართაგენის 26-ე კანონების განმარტებებში, ამიტომ, ამჯერად, ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

---

*ანუ ნაყიდი ქონებიდან, მაგალითად, მიწიდან, მყიდველს შეიძლება უკვე გაცილებით მეტი სარგებელი- ჰქონდეს მიღებული, ვიდრე ყიდვისას საფასურის სახით გადაიხადა; ამიტომ, ცხადია, ასეთ შემთხვევაში, უფასოდ უნდა დაუბრუნოს ეკლესიას.

კანონი 16

პირუტყვთმავალთა შესახებ. ვინც ამ ცოდვაში ოცი წლის ასაკამდე ჩავარდა, თხუთმეტი წელი შევრდომილთა შორის გაატაროს და ამის შემდეგ მიიღოს ლოცვითი თანაზიარების უფლება; ხუთწლიანი ასეთი ერთობის შემდეგ კი, წმინდა საიდუმლოსაც ეზიაროს. გამოიცადოს მისი ცხოვრება იმ დროს, როდესაც შევრდომილთა შორის იქნება და იმისდა მიხედვით გაეწიოს კაცთმოყვარეობა. ვინც დიდხანს დაჰყო ამ ცოდვაში, შევრდომილობაშიც დიდხანს უნდა იყოს. ხოლო, ვინც აღნიშნულ ასაკს გადააბიჯა, ცოლიც ჰყავს და ასეთ ცოდვაში ჩავარდა, ის ოცდახუთი წელი უნდა დარჩეს შევრდომილთა შორის და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდეს მართლებთან ლოცვით ერთობაში. ხუთიწლიანი ლოცვითი თანაზიარების შემდეგ კი წმინდა ზიარების მიღების ღირსად ჩაითვალოს. ხოლო, რომელთაც ცოლიც ჰყავთ, ორმოცდაათ წელზე მეტი ასაკისანიც არიან და ასეთ ცოდვაში ჩავარდნენ, მხოლოდ სიკვდილის წინ მიეცეთ წმინდა ზიარების უფლება.

(ანკირიის – 17; ბასილი დიდის – 7, 63; გრიგოლ ნოსელის – 4).

ამ კანონის პირველი სიტყვები „ῥίων ἁλογυοψένων", სინამდვილეში აღნიშავენ: „რომლებიც *უგუნურად* იქცეოდნენ". მათი განმარტებისას, ზონარა ამბობს: „οὐς ζώοις ἀλόγοις υμθρένς",ანუ პირუტყვებთან დაეცნენ* ვეთანხმებით რა ზონარას ამ განმარტებას, ჩვენც კანონის აღნიშნული სიტყვები მასთან შესასიტყვისად გადმოვთარგმნეთ. ხოლო, თუ რას განუწესებს კანონი ესოდენ ბილწ ცოდვილებს, ეს ნათლად ჩანს კანონის ტექსტიდან.

კანონი 17

პირუტყვთმავლებსა და კეთროვნებს, ან განკეთრებულთ, წმინდა კრება უბრძანებს: შეპყრობილებთან ერთად ილოცონ.

(ანკირიის – 16; ბასილი დიდის – 7, 63; გრიგოლ ნოსელის – 4).

ამ კანონში საუბარია იმ პირების მსგავსთა შესახებ, რომელთაც წინა (მე-16) კანონი მოიხსენიებს, მაგრამ, რომლებმაც, გარდა ამისა, თავიანთი საძაგელი ცოდვა სხვებსაც გადასდეს. ასეთებს, კანონი შენდობას არ აძლევს და განუწესებს ილოცონ მხოლოდ *შეპყრობილებთან.* ამ კანონის განმარტებაში ზონარა ამბობს, რომ არაფერი შეუძლია თქვას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს: „ილოცონ შეპყრობილებთან". მაგრამ ეს განმარტა ბალსამონმა, რომელმაც თქვა, რომ შეპყრობილები იმათ ეწოდება, რომლებიც სტოაში დგანან და იქიდან ისმენენ საღვთო წერილს, უკავიათ რა შეპყრობილების ადგილი და არა აქვთ უფლება შევიდნენ ეკლესიის საცხონებელ ნავთსაყუდელში** მიგვაჩნია, რომ ეს განმარტება სწორად უნდა

*ათენის სინტაგმა, III, 57.

**ათენის სინტაგმა, III, 57.

ჩაითვალოს. ადგილი, ეკლესიის წინ, სადაც ბალსამონის სიტყვებით ეს ცოდვილები იდგნენ, ღია იყო, მაგრამ სამი მხრიდან შემოზღუდული; ასე რომ, სახეში ქარი ურტყამდათ და იძულებით იქ მდგომარენი, სიცივეს განიცდიდნენ. ამას ტერტულიანეც მოწმობს, რომელიც ამ უბედურების ცოდვებს *შეცოდებებს* კი არ უწოდებს, არამედ *საშინელ საქციელებს*, და ამბობს: „ვინც ბუნების კანონების საწინააღმდეგო უწმინდურ ვნებებს ეძლევა, ჩვენ მათ არამარტო კარის ზღურბლიდან ვდევნით, არამედ ეკლესიის ჭერქვეშიდანაც“. უფრო ნათელი წარმოდგენისათვის, თუ სად იყო განთავსებული მოხსენიებული ეკლესიის წინა ადგილი, უნდა მოვიხილოთ ძველი ტაძრის სურათი, რომელიც წარმოდგენილია ამ გამოცემის პირველ ტომში*

კანონი 18

თუ ეპისკოპოსად დადგინებულს არ მიიღებს ის ეპარქია, რომლისთვისაც არის დადგინებული და იგი შეეცდება სხვა ეპარქიის მიტაცებას და იქაური ეპისკოპოსის შევიწროების მიზნით მის წინააღმდეგ შფოთის მოწყობას, ეკლესიის ერთობიდან განიყენოს. თუკი მოისურვებს მღვდლებთან ჯდომას იქ, სადაც ადრე მღვდლად მსახურობდა, არ წაერთვას მას მისი პატივი. ხოლო, თუ იქაური ეპისკოპოსის წინააღმდეგ შფოთს წამოიწყებს, მაშინ ჩამოერთვას მას სამღვდელო პატივი და განკვეთილად გამოცხადდეს.

(მოციქულთა – 14, 16; I მსოფლიოს – 8; III მსოფლიოს – 9; IV მსოფლიოს – 29; ტრულის – 37; ანტიოქიის – 17, 18; ორგზისის – 17; კირილე ალექსანდრიელის – 1, 2, 3).

მოციქულთა 36-ე კანონის განმარტებაში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ კანონთა შესაბამისად, როდესაც კანონიერად დადგენილი ეპისკოპოსი არ სურთ მიიღონ მისთვის განკუთვნილ ეპარქიაში. მოცემული კანონი, იღებს რა მხედველობაში იმ შემთხვევას, როდესაც ასეთი ეპისკოპოსი (რომელსაც არ შეუძლია მისთვის განკუთვნილი კათედრის დაკავება) შეეცდება ძალით წაართვას ეპარქია სხვა კანონიერ ეპისკოპოსს, განაწესებს, რომ ასეთი ეპისკოპოსი უნდა განიკვეთოს, ანუ, კარგავს უფლებას შემდგომში ისარგებლოს ეპისკოპოსებისათვის შესაფერისი პატივით. ხოლო, თუკი ის ცუდს არაფერს ჩაიფიქრებს და კათედრის შესახებ (რომლისთვისაც გამოირჩიეს) კრების გადაწყვეტილების მიღებამდე დაკმაყოფილდება მღვდელთა რიგებში ყოფნით, მაშინ კანონი აღიარებს მის სრულ უფლებას. აქ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ასეთი ეპისკოპოსი კარგავდეს ეპისკოპოსის ღირსებას იმის საფუძველზე, რომ კანონი მას განუსაზღვრავს მღვდლების თანაბარი პატივით სარგებლობას; კანონი ამას განუსაზღვრავს მხოლოდ უფრო მაღალი ადგილის, ვიდრე სამღვდელოა, არ ქონის გამო. სხვაგვარად, მკრეხელობა იქნებოდა კანონიერად დადგინებული ეპისკოპოსის დამცრობა სამღვდელო ხარისხამდე, როგორც ამას IV მსოფლიო კრების 29-ე კანონი ამბობს. ßაგრამ თუკი ასეთი ეპისკოპოსი შეთქმულებას მოაწყობს იმ ეპისკოპოსის წინააღმდეგ

*I მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტების ბოლოში.

საეპისკოპოსო საბჭოზე, რომელთანაც მას ადგილი უკავია, მაშინ იგი ამ პატივსაც კარგავს და ეკლესიიდანაც განიკვეთება.

კანონი 19

ვინც ქალწულობის აღთქმა დადო და მერე დაარღვია, მეორედ ქორწინებულთა ეპიტიმია უნდა შეასრულოს. ქალწულებს კი, რომლებმაც გადაწყვიტეს სხვა მამაკაცებთან, როგორც ძმებთან, ერთ ჭერქვეშ იცხოვრონ, ჩვენ ამას ვუკრძალავთ.

(მოციქულთა – 5, 26; I მსოფლიოს – 3; IV მსოფლიოს – 16; ტრულის – 5, 12, 13, 40, 44, 46, 47; VII მსოფლიოს – 18, 22; კართაგენის – 3, 4, 25, 38, 44, 70; ორგზისის – 3, 4; ბასილი დიდის – 6, 18, 19, 20, 60, 88).

ეს კანონი ერთნაირად ეხებათ ქალწულობის აღთქმის შეურაცხმყოფელ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს. დედაკაცები, რომლებიც ასეთ აღთქმას აძლევდნენ, *წმინდა ქალწულებად* იწოდებოდნენ და თავისი აღთქმის შესახებ საჯაროდ აცხადებდნენ ეკლესიაში ეპისკოპოსის წინაშე (IV მსოფლიო კრებ. მე-16 კან; კართაგენის კრებ. 44-ე კან.); ზოგიერთი მათგანი დედათდიაკვნად დგინდებოდა (IV მსოფლიო კრებ. მე-15 კან.). მამაკაცები, ასევე, საზეიმოდ დებდნენ აღთქმას ეპისკოპოსის წინაშე და *ქალწულებად* იწოდებოდნენ. ისინი უმთავრესად კლირიკოსები ხდებოდნენ და ეკლესიაში მაღალ ადგილებს იკავებდნენ (ტრულის კრებ. მე-12 კან.). დანაშაული, რომლის შესახებაც კანონი საუბრობს, ანუ ქალწულობის აღთქმის დარღვევა, არ უნდა გავიგოთ, როგორც სიძვის ცოდვა, არამედ – კანონიერი ქორწინება, რაც, რა თქმა უნდა, შეწირული ქალწულებისათვის ცოდვა იყო, რის გამოც კანონი მათ განუწესებს მეორედ დაქორწინებულთათვის დაწესებულ სასჯელს. ეს სასჯელი ითვალისწინებდა ერთი წლით წმინდა ზიარებიდან განყენებას (ბასილი დიდის მე-4 კან.); რადგან სიძვის ცოდვის შემთხვევაში, დაექვემდებარებოდნენ მეძავეობისათვის დაწესებულ სასჯელს, რაც, უკვე, ოთხი წლით ითვალისწინებდა წმინდა ზიარების მოკლებას (ბასილი დიდის 22-ე კან.). კანონში მოხსენიებულ პირებში არ უნდა ვიგულისხმოთ მონოზონი მამები და მონოზონი დედები, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ კრების დროს მონოზვნობა ჯერ კიდევ არ იყო დაფუძნებული და ამიტომ არ გააჩნდა თავისი გარკვეულად განსაზღვრული და დამტკიცებული წესები; მეორეც, იმიტომ, რომ კანონები, რომლებიც IV საუკუნის მეორე ნახევარში იქნა მონოზვნებისათვის მიღებული და იგივე საკითხებს ეხება, გაცილებით უფრო მკაცრ სასჯელს განაწესებენ (ბასილი დიდის მე-60 კან.; შდრ. IV მსოფლიო კრებ. მე-16 და ტრულის კრებ. 44-ე კანონებთან).

როგორც ამ კანონის მეორე ნაწილიდან ჩანს, ისეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც ზოგიერთი ქალწული ქალწულობის აღთქმას დებდა და, იმავდროულად, უცხო. მამაკაცთან როგორც და ცხოვრობდა, რათა, მათივე სიტყვებით, ერთად გაწვრთნილიყვნენ სიკეთესა და კეთილმსახურებაში. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა ქალწულების ასეთი ერთობლივი ცხოვრება უცხო მამაკაცებთან ერთ ჭერქვეშ, საცდურის მიზეზია და კანონიც ამიტომ კრძალავს. იმის შესახებ, თუ რაგვარი

შეხედულება არსებობდა მსგავსი ცხოვრების წესის მქონე ქალწულებზე, ჩვენ ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-3 კანონის განმარტებაში.

კანონი 20

თუ ცოლი იმრუშებს, ან ქმარი იქნება მემრუშე, ასეთებს შვიდი წელი სჭირდებათ სრულ ზიარებაში მოსასვლელად, — მისკენ მიმავალი სინანულის საფეხურების გავლით.

(მოციქულთა — 48; ტრულის 87, 93, 98; კართაგენის — 102; ბასილი დიდის — 9, 21, 31, 35, 36, 46, 48, 58, 77, 80; გრიგოლ ნოსელის — 4).

კანონი ნათელია. სხვა ქალთან ურთიერთობით ცოლის მიმართ ერთგულების დამრღვევი მამაკაცი შვიდი წლით განიყენება წმინდა ზიარებიდან; ასევე, ცოლიც — მსგავსი ღალატისათვის. მემრუშეთათვის ეს კანონი ტრულის კრებამაც დაამტკიცა თავისი 87-ე კანონით, თანაც, განმარტა სინანულის ის საფეხურები, რომლებიც, ანკირიის ამ კანონის საფუძველზე უნდა გაიაროს ცოდვილმა, სახელდობრ: ერთი წელი დაჰყოს პირველ საფეხურზე, ორი — მეორეზე, სამი — მესამეზე, ერთი — მეოთხეზე, და მხოლოდ მერვე წელს შეუძლია მიიღოს წმინდა ზიარება.

კანონი 21

დედებს, რომლებმაც მრუშებაში ჩასახეს და ნაყოფი მოიშორეს, და რომლებიც ჩვილთა მოსაკვდინებელ საწამლავს ამზადებენ, ძველი განწესებებით სიკვდილამდე ეკრძალებოდათ წმინდა ზიარების მიღება, და დღემდე ასეა. ვეძებეთ რა უფრო რაიმე ლმობიერი, ასეთებს განვუწესეთ ათწლიანი სინანული, დადგენილი საფეხურების გავლით.

(ტრულის — 91; ბასილი დიდის — 2, 8).

ზოგიერთი უბედური დედაკაცი (როგორებიც, სამწუხაროდ, დღესაც გვხვდებიან), რომლებიც ფარულად ვინმესთან მრუშებაში ცხოვრობდნენ და ფეხმძიმდებოდნენ, იმის შიშით, რომ ყოველივე ეს არ გამოაშკარავებულიყო და საქვეყნოდ არ შერცხვენილიყვნენ, თავისსავე წიაღში ცდილობდნენ ნაყოფის ჩაკვლას; ამ მიზნით მუცელზე ათასნაირ თასმებსა და საბელებს იჭერდნენ, ან კიდევ, ისეთ წამალს ამზადებდნენ და სვამდნენ, რომელიც ჩანასახს აზიანებდა და კლავდა. ასეთი ქალების მიმართ ამ კრებამდეც არსებობდა განჩინება, რომლის ძალითაც, სიცოცხლის ბოლომდე, მათ არ შეეძლოთ მიახლებოდნენ წმინდა ზიარებას. დასავლელი კომენტატორების აზრით, ასეთ დადგენილებას წარმოადგენს 306 წელს შემდგარი ელვირის კრების 63-ე კანონი, მაგრამ ამ დასახელებული კანონის თანახმად, მსგავს ცოდვილებს სიკვდილის ჟამის დადგომისასაც კი არ ჰქონდათ წმინდა ზიარების მიღების უფლება. ამიტომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ კრების მე-6 და I მსოფლიო კრების მე-13 კანონებთან, რომელთა მიხედვითაც, **„თუ ვინმე კვდებოდეს, ბოლო და აუცილებელი საგზლის გარეშე არ უნდა**

დარჩეს". როგორც არ უნდა იყოს, ზემოთ მოხსენიებული განჩინება საეკლესიო პრაქტიკაში ყოველთვის არსებობდა და, როგორც კანონი ამბობს, მას მუდამ იცავდნენ. ამ კრების მამებს სურდათ ამ შემთხვევაში ლმობიერება გამოეჩინათ, თუმც კი მიიჩნევდნენ მსგავს ქმედებას განზრახ მკვლელობად, რისთვისაც დამნაშავე სიკვდილამდე უზიარებლობით ისჯება (ანკირიის კრების 22-ე კან.), და მაინც, ასეთ ცოდვილ ქალებს განუწესებენ ათწლიან სინანულს, რის შემდეგაც წმინდა ზიარების მიღების უფლებას აძლევენ. ანკირიის კრების მამების ასეთი ლმობიერების მიზეზს, ბასილი დიდი თავის მე-2 კანონში იმით ხსნის, რომ დედაკაცი, რომელიც თავისი ჩანასახის მოკვდინებას ცდილობს, ამით საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნის და, მსგავსი მცდელობისას, უმეტეს შემთხვევაში, თვითონვე იღუპება. ასეთივე ეპიტიმიას ექვემდებარება ის დედაკაციც, რომელიც სხვას აძლევს წამალს მუცლის მოსაწყვეტად (კურთხევანის 73-ე კანონი).

კანონი 22

განზრახ მკვლელობაში დამნაშავენი, სიცოცხლის ბოლომდე შევრდომილთა შორის უნდა იყვნენ და მხოლოდ სიკვდილის წინ მიეცეთ სრული ზიარება.

(ბასილი დიდის – 8, 56; გრიგოლ ნოსელის – 5).

თავის მე-8 კანონში, ბასილი დიდი განმარტავს, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს განზრახ მკვლელად. განზრახ მკვლელობისათვის კანონები სხვადასხვა ეპიტიმიებს აწესებენ. წინამდებარე კანონი, ამ მხრივ, ყველაზე მკაცრია: იგი ბრძანებს, რომ დამნაშავემ მთელი ცხოვრება სინანულის მესამე საფეხურზე გაატაროს და მხოლოდ სიკვდილის წინ მიეცეს მას წმინდა ზიარების უფლება.

კანონი 23

უნებლიე მკვლელობაში დამნაშავეებს, ადრინდელი განწესება უბრძანებს შვიდწლიან ეპიტიმიას სრულ ზიარებამდე, შესაბამისი სინანულის საფეხურების გავლით. ახალი განწესებით კი მათ ხუთწლიანი სინანული ეფარდებათ.

(ბასილი დიდის – 8, 11; გრიგოლ ნოსელის – 5).

კანონი მოიხსენიებს ამ კრების დროს უნებლიე მკვლელობისათვის ძალაში არსებულ ორ განწესებას: პირველსა და მეორეს; პირველის თანახმად დამნაშავეს სასჯელად ეფარდებოდა შვიდწლიანი სინანული, მეორეს მიხედვით – ხუთწლიანი. ეს განწესებები, როგორც ჩანს, იგივეა, რაც ამ კრების 21-ე კანონში მოხსენიებული, რადგან კანონებს შორის არ ჩანს, თუ რომელი კანონია ანკირიის კრების ამ კანონზე უფრო ძველი. ბასილი დიდი, თავის 57-ე კანონში, ადგენს ეპიტიმიას უნებლიე მკვლელობისათვის და სასჯელად ათწლიან სინანულს აწესებს.

კანონი 24

მისნობის მოქმედნი და წარმართთა ჩვეულების მიმდევარნი, ან სახლში გრძნეულებისა და ჯადოს ამხსნელთა შემომყვანნი, ხუთწლიანი სინანულის კანონს ექვემდებარებიან: სამი წელი შევრდომილობა და ორი წელი ლოცვითი ერთობა წმინდა ზიარების გარეშე.

(ტრულის – 61, 65; ლაოდიკიის – 36; ბასილი დიდის – 7, 65, 72, 81, 83; გრიგოლ ნოსელის – 3).

ამ კანონში განხილული საკითხის შესახებ, გაცილებით უფრო დაწვრილებით საუბრობს ტრულის კრების 61-ე კანონი. წინამდებარე კანონი ხუთწლიან ეპიტიმიას ითვალისწინებს იმ პირებისათვის, რომლებსაც მისნობის სწამთ, თანაც, განუწესებს სინანულის მესამე საფეხურს სამი წლის ვადით, მეოთხე საფეხურს – ორი წლის ვადით, და მხოლოდ მეექვსე წელს აძლევს წმინდა ზიარების უფლებას.

კანონი 25

მავანი ყმაწვილ ქალზე დაიწინდა, მანამდე კი მისი და გახრწნა და დააორსულა; შემდეგ დაწინდულზე დაქორწინდა, გახრწნილმა კი თავი ჩამოიხრჩო. მსგავსი დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ვბრძანებთ: ათი წლის განმავლობაში იარონ დადგენილი სინანულის საფეხურებით, ვიდრე მოვიდოდნენ მართლებთან ლოცვაზე თანამდგომარეთა რიგში.

(ტრულის – 54; ნეოკესარიის – 2; ბასილი დიდის – 78).

ამ კანონის მიღების მიზეზი გახდა განსაკუთრებული შემთხვევა. თუ რა შემთხვევა იყო ეს, ნათელია თვით კანონის ტექსტიდან. ყველა დამნაშავეს, მსგავსი დანაშაულისათვის, კანონი ათწლიანი ეპიტიმიით სჯის – სინანულის პირველ საფეხურზე განწესებით – და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ რთავს მეოთხე საფეხურზე გადასვლის ნებას. კანონი არ ამბობს, თუ რამდენ ხანს უნდა დარჩეს დამნაშავე სინანულის მეოთხე საფეხურზე და, ამგვარად, მმართველი ეპისკოპოსის გადასაწყვეტად ტოვებს ამ ვადის განსაზღვრას, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა გამოხატული სხვადასხვა კანონში. ამ კანონით განსაზღვრული ეპიტიმიის სიმკაცრის მიზეზს, **ზონარა** სავსებით სწორად ხედავს იმაში, რომ აღებულ შემთხვევაში რამდენიმე დანაშაული ერთიანდება: ქალწულის გაუპატიურება, უკანონო ქორწინება პირისა, რომელსაც ორ დასთან ჰქონდა ხორციელი კავშირი, დაბოლოს, მკვლელობა, რომელიც ამ უკანასკნელი დანაშაულის შედეგი გახდა.*

*ათენის სინტაგმა, III, 68.

ნეოკესარიის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები*

კანონი 1

თუ მღვდელი დაქორწინდება, განიკვეთოს თავისი ხარისხიდან, ხოლო თუ მრუშებას ჩაიდენს, დაე, სრულიად განიდევნოს საეკლესიო ერთობიდან და დამდაბლდეს მონანულთა რიგში.

(მოც. 5, 26, 51; IV მსოფლ. 14; ტრულ. 3, 6, 13, 21, 30; ანკირ. 10; კართ. 16; ბასილი დიდის 32, 69).

სასულიერო პირთათვის ქორწინების აკრძალვა ძველი დროის ბევრი ეკლესიის პრაქტიკაში შედიოდა; შემდგომში, ეს აკრძალვა, კანონიკურად დამტკიცდა ტრულის კრებაზე (მე-6 კან.). წინამდებარე კანონი, ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ მღვდლების შესახებ საუბრობს, მაგრამ ეს განწესება რომ ყველა კლირიკოსს ეხება, დაწყებული იპოდიაკონიდან და ზევით, აჩვენებს ერთ-ერთი უძველესი – მოციქულთა 26-ე კანონი. ამრიგად, სასულიერო პირს, რომელიც ქორწინებაზე გაკადნიერდება მას შემდეგ, რაც მისი სახელი სასულიერო პირთა დავთარში შევიდა, სასულიერო ხარისხი უნდა ჩამოერთვას, ანუ – განიკვეთოს. ხოლო, თუკი დაქორწინებული მრუშობას ჩაიდენს, ან დაუქორწინებელი სიძვის ცოდვაში ჩავარდება, მაშინ ასეთი სასულიერო პირი, წინამდებარე კანონით, კიდევ უფრო მძიმე სასჯელს ექვემდებარება, სახელდობრ: განიკვეთება ეკლესიაში მართლებთან ერთობლივი ლოცვიდან და გადაიყვანება მონანულთა რიგში. **ზონარასა** და **ბალსამონის** განმარტებების მიხედვით, მრუშობაში ან სიძვაში მხილებულმა სასულიერო პირებმა სინანულის ყველა საფეხური უნდა გაიარონ – პირველიდან მეოთხეს ჩათვლით (I მსოფ. 11), და მხოლოდ მათი გავლის შემდეგ დაიშვებიან ისინი წმინდა ზიარებაზე – რა თქმა უნდა, მხოლოდ ერისკაცებთან ერთად.

კანონი 2

დედაკაცი, რომელიც ქორწინებით შეუერთდება ორ ძმას, დაე, განიდევნოს საეკლესიო ერთობიდან სიკვდილამდე, მაგრამ სიკვდილის წინ, თუ აღთქმას დადებს, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში განქორწინდება, მაშინ, კაცთმოყვარეობის მიზეზით, დაშვებულ იქნეს სინანულისათვის. ხოლო თუ კაცი ან დედაკაცი მოკვდება ასეთ ქორწინებაში, დარჩენილს მძიმე სინანული მოელის.

(მოც. 19; ტრულ. 54; ბასილი დიდის 23, 68, 76, 78, 87).

---

*ნეოკესარიის კრება ანკირიის შემდეგ შედგა, 314 და 325 წლებს შორის. კრებას 24 ეპისკოპოსი ესწრებოდა; მიიღეს 15 კანონი. თავმჯდომარეობდა იგივე ეპისკოპოსი – ვიტალი ანტიოქიელი, რომელიც მანამდე ანკირიის კრების თავმჯდომარე იყო.

წინამდებარე კანონის განწესება იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი და იგივე დედაკაცს არა აქვს უფლება ჯერ ერთ ძმას გაჰყვეს ცოლად, მერე – მეორეს, ზუსტად ისევე, როგორც მამაკაცს არ შეუძლია ორ დაზე იქორწინოს, – თავიდან ერთზე და შემდეგ მეორეზე (ბასილი დიდის 23, 78), ეყრდნობა საღვთო რჯულს, როგორც ეს ვნახეთ მოციქულთა მე-19 და ტრულის 54-ე კანონების განმარტებებში. დედაკაცს (ან მამაკაცს), რომელიც თავისი პირველი ქმრის (ან ცოლის) სიკვდილის შემდეგ მის ძმასთან (ან დასთან) დაქორწინდება, კანონი სიცოცხლის ბოლომდე განაყენებს ეკლესიაში მართლებთან ერთობლივი ლოცვიდან,– თუ არ მოინანიებს და არ გააუქმებს უკანონო ქორწინებას. თუკი ასეთი პირი, სიკვდილის პირას მისული, აღთქმას დადებს, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში აღარ იცხოვრებს უკანონო ქორწინებაში, მაშინ კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე, შეიძლება მღვდელთან აღსარებაზე მისი დაშვება და წმინდა ზიარების მიცემა; მაგრამ შეიძლება თუ არა მისი ზიარება სიკვდილის წინ, თუ ის ასეთ აღთქმას არ იძლევა? სვამს რა **ბალსამონი** ასეთ შეკითხვას ამ კანონის განმარტებისას, თავადვე პასუხობს: „კანონი ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ, ვგონებ, უმოწყალობა იქნება არ აზიარონ იგი სულის აღმოსვლის წინ ბოლო საგზალს, თუკი, რა თქმა უნდა – მართლმადიდებელია. ამიტომ, თუნდაც არ მისცეს უკანონო ქორწინების დარღვევის პირობა, იგი მაინც უნდა იქნეს წმინდა ზიარებით გასტუმრებული; თუ გამოჯანმრთელდება და უკანონო ქორწინებას დაუტევებს, მაშინ უნდა მიიღებოდეს მონანულთა რიგში, ხოლო თუ კვლავ გააგრძელებს უმსგავსო ქორწინებაში ცხოვრებას, ასეთ შემთხვევაში სრულიად უნდა განიდევნოს ეკლესიიდან, როგორც ბოროტებაში გაჯიუტებული“.* შემდეგ, კანონი განიხილავს შემთხვევას, როდესაც ასეთ უკანონო ქორწინებაში გარდაიცვლება ქმარი ან ცოლი და, ამბობს, რომ ცოცხლად დარჩენილ მეორე ნახევარს, მძიმე სინანული მოელის, რაც ნიშნავს, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება უნდა დაჰყოს მონანულთა შორის და მხოლოდ სიკვდილის წინ დაიშვება იგი წმინდა ზიარებაზე.

კანონი 3

სინანულის ვადა, განსაზღვრული ბევრი ქორწინებით დაცემულთათვის, ცნობილია; თუმცა მათი მოქცევა და რწმენა ამოკლებს ამ ვადას.
(ანკვ. 19; ნეოკეს. 7; ბასილი დიდის 4, 50, 80).

კანონში საუბარია იმ პირთა შესახებ, რომლებიც დაქვრივდნენ მეორე ქორწინების შემდეგ და კვლავ ახალ ოჯახს ქმნიან. ამასთან, ნათქვამია, რომ ასეთი საქციელისათვის განსაზღვრული სინანულის ვადა – ცნობილია. რადგანაც, ამასთან დაკავშირებით არ არსებობს უფრო ძველი კანონიკური განწესება, ამიტომ **ზონარა** და **ბალსამონი** ვარაუდობენ, რომ ნეოკესარიელი მამები ამ შემთხვევაში გულისხმობენ *ჩვეულებას*, რომლითაც მაშინ ხელმძღვანელობდნენ, თანაც, დამნაშავენი ყოველთვის ერთი და იგივე ეპიტიმიით ისჯებოდნენ.** ჩვენ ამის შესახებ დაწვრი-

*ათენის სინტაგმა, III, 73.
**ათენის სინტაგმა, III, 74, 75.

ლებით ვსაუბრობთ ბასილი დიდის კანონების (მე-4, 50-ე და მე-80) განმარტებებში. წინამდებარე კანონი ასეთებისთვის უშვებს სინანულის ვადის შემცირებას, – თუკი ისინი სათანადოდ იცხოვრებენ და სარწმუნოებაში მოშურნეობას გამოიჩენენ.

კანონი 4

თუ ვინმე დედაკაცის ნდომით აღივსება და გადაწყვეტს დაწვეს მასთან, მაგრამ მისი განზრახვა არ იქნება სისრულეში მოყვანილი, ცხადია, რომ იგი მადლის მიერ იქნა გამოხსნილი.

(ბასილი დიდის 70).

ზონარა ამბობს, რომ წმინდა მამები გამოყოფენ ცოდვის განვითარების ოთხ საფეხურს: კვეთება (прилог, атака, ροβολή, impressio, როდესაც ცოდვა წარმოსახვებით, შთაბეჭდილებით ახორციელებს შემოტევას, ვნების აღძვრას), ბრძოლა (борьба, άλη, luctatio, მომხდური და დამხვდური აზრების არგუმენტირებული ჭიდილი, უხილავი საუბარი), თანხმობა (изволение, συκ ά& ις, assensio, დანებება ანუ ბრძოლის წაგება გულისთქმით) და ქმედება (действие, ρ ξις, actus, ცოდვის საქმით აღსრულება, დაცემა). ამათგან პირველი ორი მდგომარეობის გადატანისას ადამიანი ეპიტიმიას არ იმსახურებს, სხვა ორისას – იმსახურებს; რადგან არ განიკითხება ქრისტეს მხედარი არც მტრის შემოტევის და არც მასთან ბრძოლის გამო, – თუკი გულისთქმამ (помысл, λογι μός, ratio, ზრახვამ), გაუძლო კვეთებას და უარყო რა შთაბეჭდილება ნებისყოფით, დასძლია ის. თანხმობა კი განკითხვასა და ბრალდებას ექვემდებარება, ხოლო ქმედება – ისჯება. ამგვარად, თუკი ვინმე ქალის მიმართ ვნებით აღიძრა და დამარცხდა, ანუ დათანხმდა მასთან ხორციელ ურთიერთობაზე, მაგრამ საქმემდე არ მისულა – ქმედება არ შესრულებულა, ფაქტიური დაცემა არ მომხდარა, მაშინ, აშკარაა, რომ ცოდვით დაცემისაგან იგი საღვთო მადლმა დაიფარა.*

კანონი 5

თუ ეკლესიაში შემსვლელი კათაკმეველი, რომელიც კათაკმეველთა რიგში დგას და ცოდვაში მხილებული იქნება, შემდეგ მუხლმოდრეკილთა შორის გადაყვანილიც არ შეისმენს, რომ არ უნდა სცოდოს და მსმენელობის დროსაც შესცოდავს, დაე, განიდევნოს ეკლესიიდან.

(I მსოფ. 2, 11, 12, 13, 14; ტრულ. 96; ლაოდ. 19; ბასილი დიდის 20; ტიმოთე ალექსანდრიელის 4, 6; კირილე ალექსანდრიელის 5).

კათაკმეველებთან დაკავშირებით, ყველაფერი ნათქვამია I მსოფლიო კრების მე-14 კანონის განმარტებაში.

*ათენის სინტაგმა, III, 75, 76.

კანონი 6

ორსული დედაკაცი ჯერ-არს განათლდეს ნათლისღებით, როცა კი მოისურვებს, რამეთუ აქ დამბადებელს არანაირი ერთობა არა აქვს დასაბადებელთან, რადგან საკუთარ აღმსარებლობაში წარმოჩნდება თითოეულის ნება.

ნეოკესარიის კრების მუშაობაში ზოგიერთი ისეთი პირი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ორსული ქალი არ უნდა მოინათლოს, რომ აუცილებელია დალოდება, ვიდრე იმშობიარებდეს, რადგან, თითქოს, ასეთი დედაკაცის მონათვლისას, მასთან ერთად მოინათლებოდა მის წიაღში მყოფი ჩვილი, რომლის მონათვლაც დაბადების შემდეგ ვეღარ მოხდებოდა, რამეთუ მაშინ მეორედ ნათლობა გამოვიდოდა. სწორედ, მსგავსი მტკიცებულების წინააღმდეგ არის მიღებული წინამდებარე კანონი, რომელიც განაწესებს ორსული ქალის ნათლობას მაშინ, როდესაც ის ამას თავად მოისურვებს. არგუმენტის სახით კანონი ამბობს, რომ მშობელს, როგორც პიროვნებას, ზნეობრივად საერთო არაფერი აქვს ჩვილთან და თავისი ნათლისღებისას მხოლოდ თვითონ ინათლება, ჩვილი კი, რომელსაც იგი მუცლით ატარებს, ამით არ ინათლება; თითოეულმა პირმა ნათლობის წინ პირადად, საკუთარი თავისთავის უნდა აღიაროს სარწმუნოება და სარწმუნოების ეს აღმსარებლობა უნდა იყოს მისი თავისუფალი ნებიდან მომდინარე.*

კანონი 7

მღვდელი ნუ დაჯდება მეორედ დაქორწინებულის საქორწილო ლხინში, რადგან ორგზის დაქორწინებულს სინანული ესაჭიროება. როგორი იქნებოდა ის მღვდელი, რომელიც ლხინში თავისი მონაწილეობით მოიწონებდა ასეთ ქორწინებებს?

(მოც. 17; ტრულ. 3; ანკირ. 19; ნეოკეს. 3; ლაოდ. 1; ბასილი დიდის 4, 12).

ლაოდიკიის კრების 1 კანონის განმარტებაში, ჩვენ ვისაუბრეთ მეორედ დაქორწინებულთა შესახებ და აგრეთვე, იმაზე, რომ ვინც პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მეორედ იქორწინა, კანონის თანახმად ეპიტიმიას იმსახურებს. ამგვარად, რაკი მეორედ ქორწინება შესაბამისი ეპიტიმიის გარეშე აკრძალული იყო, ხოლო ეპიტიმიები მღვდლების შეხედულებით განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მეორედ დაქორწინებულნი თავად მიდიოდნენ ამისთვის მათთან, ამიტომ კანონი განაწესებს, რომ მღვდლებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა საქორწილო ლხინში, რადგან – კითხვას სვამს კანონი – რაგვარი იქნებოდა მღვდლის მდგომარეობა, რომელიც ვინმეს **ეპიტიმიას** დაუნიშნავდა იმის გამო, რასაც ის თავისი დასწრებით მიესალმებოდა?

---

*რასაც, ჩვილი ბავშვების შემთხვევაში მათი სახელით მათი ნათლიები აღასრულებენ.

კანონი 8

თუ რომელიმე ერისკაცის ცოლი იმრუშებს და აშკარად იქნება მხილებული ამაში, ამ ერისკაცს არ შეეძლება ეკლესიის მსახურად გახდომა. ხოლო თუ ქმრის ხელდასხმის შემდეგ დაეცემა მრუშობით, ქმარი უნდა გაეყაროს მას. იმ შემთხვევაში კი, როცა ცოლთან თანაცხოვრებას აგრძელებს, მას აღარ აქვს უფლება დაკისრებული მსახურება აღასრულოს.

(მოკ. 87; ტრულ. 3, 6, 13, 26; ბასილი დიდის 27).

კანონი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ცოლი შემჩნეულია მრუშობაში და, აჩვენებს, როგორი შედეგი მოჰყვება ამას მისი ქმრისათვის, რომელსაც სამღვდელო ხარისხის მიღება სურს ან უკვე მღვდელია. პრინციპი, რომლითაც ამ შემთხვევაში ნეოკესარიის კრების მამები ხელმძღვანელობენ, არის ქორწინებაში ქმრისა და ცოლის ერთიანობა (იხ. **დაბ. 2, 24**) და მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. ხოლო, რადგან ცოლი, რომელსაც ქმარი ჰყავს და მრუშობაში იქნება შემჩნეული, **შებილწულად** ითვლება, მამაკაცი კი, ქალთან ხორციელი კავშირით შეერთებული, მასთან ერთად *ერთჴორც* არს, ამიტომ ეს ბიწი მასზეც გადადის და შედეგად ისიც შებილწული ხდება. ამ პრინციპიდან გამომდინარე, კანონი კრძალავს სასულიერო დასში ისეთი მამაკაცის მიღებას, რომლის მეუღლეც ცოლ-ქმრულ ღალატსა და მრუშობაშია შემჩნეული. ამ კანონით მტკიცდება მოციქულთა მე-18 კანონის განწესება, რომლის თანახმადაც სასულიერო დასში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ისეთი პირი, რომლის მეუღლეც ყოველმხრივ პატიოსნებითა და კეთილი ცხოვრებით გამორჩეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოლის მრუშობა ცხადად უნდა იყოს დამტკიცებული. ბევრი კანონი ყოფილა ბერძნულ-რომაულ კანონმდებლობაში, რომლებიც განაწესებდნენ, რომ მრუშობისათვის ქალი შეიძლება გასამართლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დამოწმებული იქნება აშკარა მტკიცებულებებით. სწორედ ეს კანონები აქვთ მხედველობაში ნეოკესარიის კრების მამებს წინამდებარე კანონის მიღებისას; სახელდობრ: მემრუშედ ნამდვილად შეიძლება იწოდოს მხოლოდ ის დედაკაცი, რომლის მიმართაც ბრალი დასტურდება უეჭველი მტკიცებულებებით და არავითარ შემთხვევაში ის, ვის მიმართაც მხოლოდ ეჭვი არსებობს იმის საფუძველზე, რომ ვინმეს შეხვდა, ესაუბრა და მისთანები.

აღნიშნულ დადგენილებაში კანონს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც მრუშობა ჩადენილია მღვდლის ცოლის მიერ. მღვდელმა, განწესების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა განაძევოს ასეთი მეუღლე და გაწყვიტოს მასთან ქორწინებითი კავშირი. თვით წმინდა წერილი განუწესებს მღვდლის ცოლს იყოს ერთგული და ღვთისსათნო (შდრ. **1 ტიმ. 3, 11**); ცხოვრებაში მას ისეთივე სიფრთხილე და სიბრძნე მართებს, როგორც მის ქმარს — მღვდელმსახურს, მით უმეტეს, რომ ქორწინებით შეეკრა რა საკუთარ ქმარს, რომელმაც თავისი მსახურებისათვის საღვთო კურთხევა მიიღო, იგი ქორწინების გზით თავადაც ხდება ამ კურთხევის თანაზიარი. თუკი მღვდელმსახურის ცოლი ისე არ ცხოვრობს, როგორც მას შეეფერება და მრუშობით იბილწება, ამით ის თავის ქმარსაც ბილწავს — რადგან ორივენი ერთად ერთ სხეულს შეადგენენ — და მის სამღვდელო მსახურებას იმ სიწმინდეს ართმევს, რომელიც, ზოგადად, ამ მსახურებას სხვა მსხურებებისაგან გამოარჩევს. ამიტომ, სავსებით

სამართლიანია როგორც რელიგიური, ისე კანონიერი თვალსაზრისითაც, წინამდებარე კანონის დადგენილება, რომელიც განუწესებს ქმარს დაუყოვნებლივ გაეყაროს მრუშ ცოლს. შესაბამისად, განქორწინების ეს საბაბი უაღრეს მნიშვნელობას იძენს მღვდელმსახურთა ქორწინებით ცხოვრებაში. ამ ბოლო განწესებასთან დაკავშირებით, კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ქმარი-მღვდელი, მიუხედავად ცოლის ღალატისა, არ მოისურვებს მასთან გაყრას და გააგრძელებს მასთან ქორწინებაში ცხოვრებას. ასეთ შემთხვევაში, კანონი მას მღველმსახურების დატოვებას განუწესებს, რადგან თავისი სურვილით – იცხოვროს მემრუშე ცოლთან, იგი აჩვენებს, რომ არ გააჩნია ადამიანური ღირსება, არ ესმის თავისი მსახურების მთელი მნიშვნელობა და გულგრილი რჩება იმის მიმართ, რომ ცოლის ბიწი მასზეც გადადის, – „როგორღა შეიძლება ეგზომ შებილწული ადამიანის დაშვება რაიმე ღვთაებრივის აღსასრულებლად?“ – კითხულობს **ზონარა** ამ კანონის განმარტების დასასრულს.* წინამდებარე კანონის განწესებებს, გვიანდელი დროის კანონებიც ხშირად ამტკიცებდნენ, სადაც ვხვდებით, რომ ასეთ პირებს ეკრძალებათ სამღვდელო მსახურება მაშინაც კი, როცა ისინი უმეცრებით შეიბილწნენ უკანონო ქორწინებაში (იხ. **ბასილი დიდის 27; ტრულ. 26**).

კანონი 9

მღვდელი, რომელმაც სხეულით შესცოდა, მაგრამ ხელთადასხმა მიიღო, მერმე კი აღიარებს, რომ ხელდასხმამდე შესცოდა, დაე, ნუ იმღვდელმოქმედებს, მაგრამ მას შეუნარჩუნდეს დანარჩენი უპირატესობანი სხვა სათნოებათა გამო. რამეთუ სხვა ცოდვები, როგორც მრავალნი ამბობენ, ხელდასხმის ძალით მიეტევება. ხოლო, თუკი თავად არ აღიარებს, სხვებისგან კი ცხადად ვერ იქნება მხილებული, მაშინ თვითონ რჩება თავისი გადაწყვეტილების პასუხისმგებელი.

(მოც. 25, 61; I მსოფ. 2, 9. 10; II მსოფ. 4, 21, 23; ანკვ. 12; ნეოკეს. 1. 8, 10, 12; ბასილი დიდის 3, 32, 51, 70, 82, 89; თეოფილე ალექსანდრიელის 3, 6).

საზოგადოებაში მღვდელმსახურის პატიოსან სახელთან დაკავშირებით, მოციქულთა 61-ე კანონის განმარტებაში ჩვენ ვისაუბრეთ იმ თვისებების შესახებ, რომლებითაც უნდა გამოირჩეოდეს სამღვდელო კანდიდატი; აგრეთვე, სამღვდელო ხარისხში იმ პირთა მიღების აკრძალვის შესახებ, ვინც შემჩნეულია გარკვეული სახის ცოდვებში. ამის გამო, I მსოფლიო კრების მე-9 კანონი განაწესებს თითოეული სამღვდელო კანდიდატის მკაცრ გამოცდას, – ხელდასხმის ღირსად მის აღიარებამდე. წინამდებარე კანონი კი საუბრობს იმ მღვდლების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული გამოცდა არ გაუვლიათ და, ამასთან, თავის ხელდასხმამდე, ერისკაცობაში, ხორციელად შესცოდეს, ანუ სიძვის ცოდვით დაეცნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მღვდელი თავად აღიარებს ჩადენილ ცოდვას, კანონი მას განუწესებს მსხვერპლშეწირვის აკრძალვას, ანუ – მღვდელმოქმედებას, მაგრამ ხხვა დანარჩენ

*ათენის სინტაგმა, III, 82, 83.

უფლებას უნარჩენებს, კერძოდ, სამღვდელო ღირსებას, მღვდელმსახურთა შორის დასაჯდომელის პატივს და საკურთხეველში ზიარების უფლებას; ეს ყველაფერი მას უნარჩუნდება იმიტომ, რომ თავად მოინანია საკუთარი ცოდვა და მოშურნეა სხვა სათნოებებთან მიმართებით. რაც შეეხება იმ ნაკლები სიმძიმის ცოდვებს, რომლებიც შეიძლება მას ჩაედინა ამ მთავარი ცოდვის პარალელურად, კანონი ამბობს, რომ ბევრის აზრით (ბევრი ამტკიცებს; რადგან ამასთან დაკავშირებით არ არის რაიმე საყოველთაოდ აღიარებული სწავლება) ისინი ხელდასხმით წარიხოცებიან. თუკი გარკვეული ეჭვი არსებობს იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად ჩაიდინა თუ არა მღვდელმა სიძვის ცოდვა თავის სამღვდელო კურთხევამდე, მას კი არ სურს ამის აღიარება და არც სანდო მოწმენი ჩანან, ვინც ბრალდებას დაამტკიცებდა, ასეთ შემთხვევაში კანონი თვით მღვდლის სინდისს ანდობს გადასაწყვეტად, არის ის ღმერთისთვის მსხვეპრპლშეწირვის ღირსი თუ არა. თუკი ცოდვა დამტკიცებულია, ის კი მაინც უარზეა, მაშინ ასეთი მღვდელი დაუყოვნებლივ უნდა განიკვეთოს და ჩამოერთვას პატივი და უფლება, რომლითაც წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეეძლო ესარგებლა. თუმცაღა, ამ კანონით სარგებლობისას, აუცილებელია დამატების სახით ყურადღება მიექცეს, თუ რას განაწესებს I მსოფლიო კრების მე-9 და სხვა გვიანდელი დროის კანონები (იხ. პარალელ. კანონები), და მათთან შესაბამისობაში განისაჯოს მღვდელმსახური, რომელიც გამოცდის გარეშე იქნა ხელდასხმული და შემდეგ მის მიერ ჩადენილი რაიმე ცოდვა გამოაშკარავდა ან თავად აღიარა.

კანონი 10

მსგავსადვე დიაკონიც, თუ იმავე ცოდვაში ჩავარდება, დაე, დამდაბლებულ იქნეს ეკლესიის უბრალო მსახურის წოდებამდე.

(მოც. 25, 61; I მსოფ. 2, 9. 10; II მსოფ. 6; ტრულ. 4, 21, 23; ანკირ. 12; ნეოკეს. 1. 8, 9, 12; ბასილი დიდის 3, 32, 51, 70, 82, 89; თეოფილე ალექსანდრიელის 3, 6).

წინამდებარე კანონი წარმოადგენს ამ კრების მე-9 კანონის გაგრძელებას და იგივეს განუწესებს დიაკვნებს, რასაც – მე-9 კანონი მღვდლებს: დიაკონს უნდა ჩამოერთვას დიაკვნობა და დარჩეს ეკლესიის მსახურად.

კანონი 11

მღვდლად ნუ იქნება დადგინებული ვიდრე ოცდაათ წლამდე ასაკის ადამიანი, თუნდაც ის ყველაფრით ღირსეული იყოს; არამედ მოიცადოს, რამეთუ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ოცდაათი წლისამ ნათელიღო და დაიწყო მოძღვრობა.

(ტრულ. 14).

ეს კანონი სიტყვასიტყვით შევიდა ტრულის კრების მე-14 კანონში, რომლის განმარტებაშიც (ასევე, აღნიშული კრების მე-15 კანონის განმარტებაშიც) ყველაფერი აუცილებელი არის ნათქვამი ამ საკითხთან დაკავშირებთ.

კანონი 12

თუ ვინმე სნეულებაში იქნა განათლებული ნათლისღებით, იგი არ შეიძლება ხელდასხმულ იქნეს მღვდლად; რამეთუ მისი რწმენა იყო არა ნებსითი, არამედ იძულებითი; თუმცა, ეს შესაძლებელია მის მიერ შემდგომში გამოვლენილი სათნოებებისა და სარწმუნოების გამო, ან ღირსეულ კაცთა ნაკლებობის მიზეზით.

(მოც. 46,47,49,50,61,75,80; I მსოფ. 2,9; II მსოფ. 7; ტრულ. 95; ლაოდ. 3,13, 47; სარდ. 10; კართ. 45; ორგზ. 17; ბასილი დიდის 1, 5, 89; კირილე ალექსანდრიელის 4, 5; გრიგოლ ნოსელის 1, 4).

ზოგიერთი პირი, როგორც ზონარა ამბობს ამ კანონის განმარტებაში, გაურკვეველი დროით გადადებდა ხოლმე თავის ნათლობას იმის გამო, რომ არ უნდოდა სახარებისეული მცნებების მოთხოვნილებით შეეზღუდა თავი და საკუთარ ნებაზე ცხოვრებას ამჯობინებდა, და მხოლოდ ავადმყოფობაში, სიკვდილის შიშით, ინათლებოდა.* კანონის განწესებით, ასეთი პირები სამღვდელო ხარისხში არ უნდა მიიღონ, რადგან მათი სარწმუნოება საკუთარი ნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ – საჭიროებიდან. ამ კანონის მიღების უშუალო მიზეზი ის აზრთა შეუთანხმებლობა აღმოჩნდა, რომელიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში წარმოიშვა ნათლობის საკითხთან დაკავშირებით: შეიძლება თუ არა ჭეშმარიტად ჩაითვალოს ნათლისღება, თუ ის აღსრულებულია ავადმყოფობის დროს, და საჭიროა თუ არა ნათლობის გამეორება – თუ ის გამოჯანმრთელდა – ან, უკიდურეს შემთხვევაში, რაიმე დამატებითი ქმედებით მისი სრულყოფა. ეს დავა იმდენად შორს წავიდა, რომ ავადმყოფობისას მონათლულთა აღიარებაც კი არ უნდოდათ ჭეშმარიტ ქრისტიანებად; სხვა მიზეზთა შორის იმასაც ასახელებდნენ, რომ მათ წყლის გადასხმით ნათლავდნენ და არა შთაფლვით. ამ დავაში პირველი გადამჭრელი ხმა **კვიპრიანემ** აიმაღლა. კეთილმსახური მაგნუსის კითხვაზე: „უნდა ვაღიაროთ თუ არა ჭეშმარიტ ქრისტიანებად, ვინც საღვთო მადლი ავადმყოფობისა და განრღვეულობის დროს მიიღო, ისინი ხომ მთლიანად არ ყოფილან გამოხსნის წყლით განბანილნი, არამედ მხოლოდ დალტობილნი?“ – კვიპრიანემ უპასუხა, რომ მისი აზრით ასეთები აღიარებულ უნდა იქნენ ჭეშმარიტ ქრისტიანებად.

კვიპრიანეს აზრს ეკლესიის სხვა მამები და მასწავლებლებიც იზიარებდნენ. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო აუცილებლად სწორედ ამ აზრით, რადგან ახალშემოღებული იყო ბავშვთა ნათლობა და პედობაპტიზმი დამყარდა ეკლესიაში. უთანხმოება მაინც გრძელდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ღიად რჩებოდა საკითხი: შეიძლება თუ არა ავადმყოფობაში და, მაშასადამე, საწოლზე და, შესაბამისად, მხოლოდ სხურებით მონათლულის მიღება სასულიერო დასში. პირველ მნშვნელოვან შემთხვევას აღგვიწერს **ევსები** თავის „ისტორიაში“ რომის ეპისკოპოსის, კორნელის სიტყვებით, რომელიც საუბრობს ცნობილ კართაგენელ მღვდელ ნოვატზე. მოგვითხრობს რა ნოვატის უპატიოსნობაზე, კორნელი იხსენებს, თუ როგორ მიიღო ნოვატმა მოტყუების გზით სამღვდელო ხელდასხმა,

*ათენის სინტაგმა, III, 89.

რადგან, გარდა სხვა მიზეზებისა, მას, როგორც ავადმყოფობაში საწოლზე და წყლის გადაავლებით მონათლულს, არ ჰქონდა ამის უფლება. ეს იყო III საუკუნის ნახევარში, მაგრამ დავა გვიან დრომდე გაგრძელდა. წინამდებარე კანონით ნეოკესარიის კრების მამებმა ეს დავა გადაწყვიტეს კაპადოკიის ეკლესიისათვის. მსგავსი განწესება გამოსცა პირველმა მსოფლიო კრებამაც თავისი მე-2 კანონით. ხოლო, რადგან ნეოკესარიის ეს კანონი მიიღო მსოფლიო ეკლესიამაც (ტრულ. 2), ამიტომ მისი განწესება აღნიშნულ საკითხზე გახდა საყოველთაო-საეკლესიო. კანონი გამონაკლისს უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობაში მონათლული პირი მოშურნეობას გამოიჩენს საღვთო მცნებების მიმართ, აგრეთვე – სარწმუნოებაში სიმტკიცესა და მცოდნეობას (იხ. მოციქულთა მე-80 კან. და მისი განმარტება), და როდესაც წარმოჩნდება ისეთი ადამიანების დანაკლისი, რომლებსაც სამღვდელო კანდიდატისათვის კანონით განსაზღვრული ყველა აუცილებელი თვისება უნდა ჰქონდეთ.

კანონი 13

სოფლის მღვდლებს არ შეუძლიათ ქალაქის ეკლესიაში მღვდელმოქმედება ეპისკოპოსის ან ქალაქის მღვდლების თანდასწრებით, ასევე – პურისა და ბარძიმის *(სასუმელის)* მიცემა. ხოლო თუ ისინი არ არიან და სოფლის მღვდელი მარტოა მიწვეული ლოცვისთვის, მაშინ მისცეს წმინდა ზიარება.
(მოც. 15; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 6).

როგორც ეპისკოპოსები იყოფოდნენ ქალაქისა და სოფლის ეპისკოპოსებად, ასევე მღვდლებიც – ქალაქისა და სოფლის მღვდლებად; და როგორც სოფლის ეპისკოპოსებს ჰქონდათ შეზღუდული უფლებები ქალაქის ეპისკოპოსებთან მიმართებით, ასევე იყო სოფლისა და ქალაქის მღვდლებს შორისაც. IV მსოფლიო კრების მე-6 კანონის თანხმად, არ შეიძლება ვინმეს ხელდასხმა მოხდეს მისთვის მსახურების ადგილის განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული კანონის განმარტებისას, ვიხილეთ, თუ რაოდენ კატეგორიულად იკრძალება და გაუქმებულად ითვლება ამის საწინააღმდეგო ყველა ქმედება. თითოეული მღვდლის მსახურება მხოლოდ იმ ადგილას ითვლებოდა კანონიერად, რომელი ადგილისთვისაც მას ხელი დაასხეს. მსახურების ადგილებში სოფლის მღვდლებს უფრო შეზღუდული უფლებები ჰქონდათ, ვიდრე ქალაქისას. ამიტომ კანონი მათ განუწესებს, იცოდნენ საკუთარი საზღვრები და არ მიითვისონ ქალაქის მღვდლების უფლება იმ დროს, როდესაც გარკვეული მიზეზით ქალქში მოუწევთ ღვთისმსახურების ჩატარება, თანაც ეპისკოპოსისა და ქალაქის მღვდლების თანდასწრებით. რადგან, ამ უფლებათა დაუცველობა, **ბალსამონის** განმარტებით, იწვევს ეპისკოპოსებისა და ქალაქის მღვდლების უპატივცემულობასა და შეურაცხყოფას, – თითქოს ისინი იყვნენ რაიმეში დამნაშავენი, – და ზოგადად, უწესრიგობას.* სოფლის მღვდელს ქალაქში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მსახურება ჩაატაროს, თუ მას მიიწვევენ ქალაქის მღვდლის

*ათენის სინტაგმა, III, 91.

არყოფნის გამო, და ისიც, მხოლოდ, მმართველი ეპისკოპოსის ნებართვით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მარტო იმავე ეპარქიის მღვდლებს შეუძლიათ იმსახურონ და იმავე ეპისკოპოსის დამორჩილებაში მყოფთ, ვისაც აღნიშნული ქალაქის მღვდელი ემორჩილება. სხვა ეპარქიაში კი, როგორც ეს საერთო წესებით არის დადგენილი, მათ მხოლოდ გარკვეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლიათ ღმვთისმსახურება ჩაატარონ.

კანონი 14

ხოლო ქორეპისკოპოსები, დადგინებულნი სამოცდაათთა მოციქულთა სახედ, როგორც ეპისკოპოსის თანამწირველნი, მღვდელმოქმედებენ ქალაქის ეკლესიაშიც, მიიღებენ რა გლახაკებზე ზრუნვის პატივს.

(I მსოფ. 8; VII მსოფ. 14; ანკირ. 13; ანტიოქ. 8,10; ლაოდ. 57; ბასილი დიდის 89).

რასაც მე-13 კანონი უკრძალავს სოფლის მღვდლებს ქალაქის მღვდლებთან მიმართებით, იმის ნებას აძლევს წინამდებარე კანონი ქორეპისკოპოსებს ქალაქის ეპისკოპოსებთან მიმართებით, კერძოდ: მათ თავისუფლად შეუძლიათ იმსახურონ ქალაქის (საეპისკოპოსო) ეკლესიაში, რადგან ისინი ეპისკოპოსის თანამწირველნი არიან და სარგებლობენ საეკლესიო იერარქიაში მათი მდგომარეობიდან გამომდინარე კუთვნილი პატივით, ასევე იმიტომაც, რომ, როგორც კანონი ამბობს, დადგინებულნი არიან *სამოცდაათთა მოციქულთა* მსგავსად. ამ უკანასკნელ განსაზღვრებასთან დაკავშირებით, **არქიმანდრიტი იოანე*** აკეთებს სრულიად საფუძვლიან შენიშვნას: „ასე იწოდებიან, რა თქმა უნდა, მთავარ ეპარქიალურ ეპისკოპოსებისაგან განსასხვავებლად, რომლებიც ითვლებიან თორმეტ მოციქულთა მემკვიდრეებად, მაგრამ ეს განსხვავება უნდა მოვიაზროთ მხოლოდ საეკლესიო მმართველობასთან დაკავშირებით, სადაც ქორეპისკოპოსები იყვნენ ეპარქიალურ მღვდელთმთავრებთან შედარებით დაბალ მდგომარეობაში, ხოლო, რაც შეეხება სამღვდელო წოდებასა და სასულიერო საეპისკოპოსო უფლებებს, ამაში არ არსებობს რაიმე მიზეზი ქორეპისკოპოსების გამოყოფისა სხვა ეპისკოპოსებისაგან, რადგან მათ იგივე ეპისკოპოსის ხარისხი ჰქონდათ, როგორიც სხვებს: ყველა ეპისკოპოსი, არსებითად, წმინდა მოციქულების მემკვიდრეა“.

კანონი 15

თავდაპირველი კანონით, თუნდაც ქალაქი ძალზე დიდი იყოს, მასში მხოლოდ შვიდი დიაკვნის დადგინება შეიძლება. ამაში დარწმუნდები მოციქულთა საქმეების წიგნიდან.

(I მსოფ. 18; ტრულ. 7,16; ლაოდ. 20)

ტრულის კრების მე-16 კანონში განმარტებულია, თუ როგორ უნდა მოვიაზროთ წინამდებარე კანონი.

---

*შემდგომში სმოლენსკის ეპისკოპოსი.

ღანგრის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები*

კანონი 1

თუ ვინმე გმობს ქორწინებას და სძაგს ერთგული და კეთილმორწმუნე ცოლი, თანამცხოვრები თავის ქმართან, ან ძრახავს მას, როგორც ცათა სასუფეველში ვერშემსვლელს, – დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 5, 51; ტრულ. 13; ღანგ. 4, 9, 10, 14)

როგორც ცნობილია, ეს კრება შედგა სებასტიის ეპისკოპოს ევსტათის მიმდევართა საწინააღმდეგოდ; იგი სახარების საპირისპირო ასკეტიზმს ქადაგებდა, რის გამოც ამ კრების ყველა კანონი განიკითხავს ცალკეულად მისი ცრუსწავლების თითოეულ პუნქტს და ყველა მის მიმდევარს ანათემას გადასცემს, ანუ განაჩინებს მათ დაუყოვნებლივ და საბოლოო განკვეთას ეკლესიიდან.

ეს 1 კანონი გმობს ევსტათელთა ცრუსწავლებას ქორწინების შესახებ. მოციქულთა 51-ე კანონის განმარტებაში ვნახეთ, რომ ეკლესიის დასაბამიდანვე, ზოგიერთი გნოსტიკური სექტა, გამოდიოდა რა მატერიის შესახებ ცრუსწავლებიდან, თავისი დუალისტური პრინციპების ძალით (ბოროტებისა და სიკეთის შესახებ), სხვათა შორის, ქორწინებასაც გმობდა. ასე, მაგალითად, სატურნინი ასწავლიდა, რომ ქორწინება, თითქოს, სატანის გამოგონილია. გნოსტიკების მსგავსად ევსტათიანელებიც ასწავლიდნენ, რომ ქორწინება ცოდვაა და ყოველი ქრისტიანი უნდა განერიდოს მას. სწავლების გადმოცემაში ისინი ეფუძნებოდნენ არა გნოსტიკურ დუალიზმს, არამედ კრძალულების შესახებ წმინდა წერილის ცნობილი ადგილების თავისებურ, შერყვნილ განმარტებას.

კანონი 2

თუ ვინმე განიკითხავს იმ ადამიანს, რომელიც მოწიწებით და რწმენით ჭამს ხორცს (გარდა სისხლისა, კერპისთვის შეწირულისა და დამხრჩვალისა), როგორც სასოებას მოკლებულს მისი ჭამის გამო, – დაე, შეჩვენებულ იქნეს.

(მოც. 51, 53, 63; ტრულ. 67; ანკირ. 14; ბასილი დიდის 86)

ამ კანონით მტკიცდება მოციქულთა 51-ე და 53-ე კანონების განწესებანი.

---

*ეს კრება შედგა IV საუკუნის ნახევარში, დაახლოებით 340 წელს, პაფლაღონიის მთავარ ქალაქ ღანგრაში. შეკრების მისეული ნახევრადარიანელი ევსტათი სებასტიანელისა და მისი მიმდევრების მწვალებლური სწავლების დაგმობა იყო. ისინი უგუნურ ასკეტიზმს ქადაგებდნენ და შედეგად ეკლესიაში დიდი უწესრიგობა გამოიწვიეს. კრებას თავმჯდომარეობდა ევსევი ნიკომიდიელი, ესწრებოდა 13 ეპისკოპოსი. კანონიკურ კრებულებში შეტანილია ამ კრების 21 კანონი, კერძოდ: 20 ევსტათიანელების წინააღმდეგ, 21-ე კი შეადგენს ყველა კანონის ეპილოგს.

კანონი 3

თუ ვინმე კეთილმსახურების საბაბით ასწავლის მონას ბატონის მოძაგებას, მისი მსახურებისაგან თავის არიდებას და არა გულმოდგინებითა და ყოველგვარი პატივით მსახურებას, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 82; IV მსოფ. 4; ტრულ. 85; კართ. 64, 82; ბასილი დიდის 40, 42)

ეს კანონი იმ პერიოდს ეხება, როდესაც მონობა არსებობდა და ამტკიცებს მოციქულთა 82-ე კანონის განწესებას.

კანონი 4

ვისაც მიაჩნია, რომ არ შეიძლება წმინდა ზიარების მიღება დაქორწინებული მღვდლის მიერ აღსრულებული ლიტურგიის შემდეგ, — შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 5; I მსოფ. 3; ტრულ. 13; ღანგ. 1, 9, 10; კართ. 4)

ევსტათიანელები თვლიდნენ რა ქორწინებას ცოდვად და ასწავლიდნენ მისგან განრიდების აუცილებლობას, სასულიერო პირთათვისაც იგივეს ფიქრობდნენ, და თუ ასეთი ცოდვილი პირი, როგორიც მათი აზრით დაოჯახებული მღვდელი იყო, ლიტურგიას აღსრულებდა, მაშინ ასეთი ლიტურგია მათი მხრიდან წმინდად არ მიიჩნეოდა, როგორც მის მიერ შეწირული მსხვერპლიც. ამიტომ, ასეთი მღვდლისგან, მიიჩნევდნენ, რომ არ შეიძლებოდა წმინდა ზიარების მიღება. მღვდელთა ქორწინების კანონიერების შესახებ ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ მოციქულთა მე-5 და ტრულის კრების მე-13 კანონების განმარტებებში, ხოლო ღანგრის წინამდებარე კანონი გმობს როგორც ევსტათიანელებს, ასევე ყველა იმას, ვინც მღვდელთა ქორწინებას არ აღიარებს კანონიერ ქმედებად.

კანონი 5

თუ ვინმე ასწავლის, რომ არ არის აკრძალული ღვთის სახლისა და მასში მოწყობილი შეკრებების უგულებელყოფა, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(ტრულ. 80; ღანგ. 20; სარდ. 11)

იმის საფუძველზე, რომ წმინდა წერილის სიტყვები — ღვთის მიმართ ლოცვა ნებისმიერ ადგილზე შეიძლება (შდრ. 1 ტიმ. 2, 8), ევსტათიანელებმა სიტყვასიტყვით გაიგეს და ასწავლიდნენ, რომ ტაძრები და იქ აღსრულებული მსახურება საჭირო არ იყო; სწორედ ამის წინააღმდეგ არის ეს კანონი მიღებული.

კანონი 6

თუ ვინმე ეკლესიის გარეთ აწყობს განსაკუთრებულ შეკრებებს და უგულებელყოფს რა ეკლესიას, საეკლესიო საქმეების შესრულება ეპისკოპოსის ნებით დადგინებული მღვდლის გარეშე სურს, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 31, 47; II მსოფ. 6; III მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ანტიოქ. 2, 5; სარდ. 14; კართ. 10, 11; ორგზ. 13, 14, 15; ბასილი დიდის 1)

ევსტათიანელები, უარყოფდნენ მართლმადიდებელი საღვთო ტაძრის მნიშვნელობას და საკუთარ თავს მიიჩნევდნენ რჩეულებად და წმინდანებად, და თვითონვე დამოუკიდებლად აწყობდნენ რელიგიურ შეკრებებს; ღვთისმსახურების შესახებ საკუთარი შერყვნილი გაგებით ატარებდნენ მსახურებებს და ეგონათ, რომ ამ შეკრებებზე ასრულებდნენ სწორედ იმას, რის შესრულებაც ეკლესიას მართებდა. ამ თავყრილობებზე ევსტათიანელებს თავიანთი მღვდლებიც ჰყავდათ, რომლებიც აუცილებლად უცოლონი უნდა ყოფილიყვნენ ან ცოლებთან გაშორებულნი ზოგადად ქორწინების მოძულების მიზეზით, მღვდელთა ქორწინებისა კი – განსაკუთრებით (ღანგ. 1, 4); მაგრამ ეს მღვდლები იყვნენ არაკანონიერი (ცრუმღვდლები, იხ. მოც. 47-ე კან.) და, შესაბამისად, უკანონოდ ასრულებდნენ მსახურებას, რამეთუ არ გააჩნდათ ამაზე მართლმადიდებელი მმართველი ეპისკოპოსის კურთხევა (იხ. მოც. 31-ე და პარალ. კანონები). საეკლესიო მსახურების მსგავსი აღსრულება ცალკე, ანუ უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, კანონებში იწოდება თვითნებურ თავყრილობად (იხ. ბასილი დიდის 1) და სწორედ მის წინააღმდეგ არის მიმართული წინამდებარე კანონი.

კანონი 7

თუ ვინმეს სურს მიიღოს ან დაარიგოს ეკლესიაში შემოწირული ნაყოფი ეკლესიის გარეთ, ეპისკოპოსის ან იმ პირის ნებართვის გარეშე, ვისაც ეს დავალებული აქვს, და სურს ყოველივე მისი ნების გარეშე შეასრულოს, – შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 4, 38, 41; IV მსოფ. 26; ტრულ. 35; ანკირ. 15; ღანგ. 8; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26, 33; ორგზ. 7; თეოფილე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 2)

კანონი 8

თუ ვინმე გასცემს ან მიიღებს შემოწირულ ნაყოფს ეპისკოპოსის ან იმ პირის გვერდის ავლით, ვინც დადგინებულია წარმართოს ქველმოქმედებანი, მაშინ გამცემიცა და მიმღებიც შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 4, 38, 39, 41; IV მსოფ. 26; ტრულ. 25; VII მსოფ. 11, 12; ანკირ. 15; ღანგ. 7; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26, 33; ორგზ. 7; თეოფილე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 2)

ორივე კანონი (მე-7 და მე-8) აღადგენენ და ამტკიცებენ მოციქულთა მე-4, 38-ე, 39-ე და 41-ე კანონების განწესებას იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საეკლესიო ქონების განკარგვა ეპისკოპოსის კურთხევის გარეშე და გმობენ ევსტათიანელებს, რომლებიც ამ განწესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

კანონი 9

თუ ვინმე ქალწულობდეს, ან ქორწინებისაგან განშორებით თავს იკავებდეს, როგორც მისი მომძაგებელი, და არა როგორც თვით ქალწულობის სიკეთისა და სიწმინდისათვის ამის მოქმედი, — შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 5, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 16; ტრულ. 13, 40, 48; ღანგ. 1, 4, 10, 14; კართ. 4)

კანონი 10

თუ ვინმე უფლისთვის ქალწულობას იმარხავს და ამით თავს აღიმაღლებს დაქორწინებულებზე, — შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 5, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 16; ტრულ. 13, 40, 48; ღანგ. 1, 4, 9, 14; კართ. 4)

ამ კრების 1 კანონში ვნახეთ, რომ ევსტათიანელები განიკითხავდნენ ქორწინებას, როგორც ქრისტიანებისათვის რაღაც უწმინდურს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ისინი ყველას მოუწოდებდნენ ეცხოვრათ ქალწულებაში და სამუდამოდ უარი ეთქვათ ქორწინებაზე. ქალწულება თავისთავად წმინდაა და მისასალმებელი, მაგრამ ის შეზავებული უნდა იყოს კეთილმსახურებასა და მორჩილებასთან, და არა — ქედმაღლობასთან, როგორც ეს ევსტათიანელების შემთხვევაში ხდებოდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით არის მიღებული ეს ორი (მე-9 და მე-10) კანონი.

კანონი 11

ვინც შეურაცხყოფს იმათ, რომლებიც რწმენით აწყობენ სიყვარულის სერობებს, უფლის საპატივცემულოდ ძმებს კრებენ და უმასპინძლდებიან, და არ სურს თანაზიარი იყოს ასეთი წვეულებებისა, რადგან მდაბლად მიაჩნია, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(ტრულ. 74; ლაოდ. 27, 28; კართ. 42)

ალაპი, რომელიც წინამდებარე კანონში მოიხსენიება, არ იყო ის სიყვარულის სერობა,რომლის შესახებაც ლაოდიკიის კრების 27-ე და 28-ე კანონები საუბრობს; ეს იყო უფლის საპატივცემულოდ მდიდრების მიერ ღატაკებისთვის მოწყობილი ტრაპეზი, ყველა შესაძლებელი ნუგბარი კერძებით. ევსტათიანელები განიკითხავდნენ ასეთ ტრაპეზს და არ მიიჩნევდნენ მას უფლის საპატივცემულოდ გამართულ ტრაპეზად. ამიტომ უკრძალავდნენ თავიანთ მიმდევრებს ამგვარ წვეულებებზე დასწრებას, რადგან მათ ქრისტიანებისათვის დამამცირებელ გამასპინძლებად თვლიდნენ. მოხსენიებულ ტრაპეზთან დაკავშირებით ევსტათიანელების ასეთი დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ არის სწორედ მიმართული წინამდებარე კანონი.

კანონი 12

თუ ვინმე მამაკაცთაგან, მოჩვენებითი ღვაწლისათვის უხეშ ზედა წამოსასხამს ატარებს და ამით, ვითომცდა, მართლობის (კეთილმსახურების)

შემძენი, განიკითხავს იმათ, ვინც კდემით ატარებს აბრეშუმის შესამოსელს და იყენებს ზოგადად და ჩვეულებრივად მიღებულ სამოსელს, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(ტრულ. 27; VII მსოფ. 16)

ქრისტიანული მოღვაწეობის (მოსაგრეობის) შესახებ შერყვნილი შეხედულების საფუძველზე, ევსტათიანელები ქადაგებდნენ უხეში სამოსლის ტარების აუცილებლობას, რომელსაც კანონში *წამოსასხამი* ეწოდება და რომელსაც ზოგიერთი ფილოსოფოსი სხვა სამოსის ზემოდან იცვამდა, რათა ყოველგვარი ფუფუნებისადმი ზიზღი გამოეხატა; სწორედ ამის გამოხატვა სურდათ ევსტათიანელებსაც. განუწესებდნენ რა ამას თავის მიმდევრებს, იმავდროულად ასწავლიდნენ, რომ აუცილებლად უნდა მოეძულებინათ ისინი, ვინც აბრეშუმის შესამოსელს ატარებდა; ამ შესამოსელს, ჩვეულებრივ, მართლმადიდებელი ეპისკოპოსები და მღვდლები იცვამდნენ საზეიმო შემთხვევებში; იგი არ განიკითხება წინამდებარე ღანგრის კანონით, თუკი მას სიმდაბლითა და სამღვდელო წოდებისათვის დამახასიათებელი კდემით ატარებენ, პირიქით, იგმობა ევსტათიანელები და ყველა ისინი, ვინც კიცხავს და ცოდვილებად მიიჩნევს სამოსლის ღვთისმოშიშებით მატარებლებს.

კანონი 13

თუ რომელიმე დედაკაცი მოჩვენებითი ღვაწლისათვის შეიცვლის სამოსელს და ნაცვლად ჩვეულებრივი სადედაკაცო შესამოსელისა, მამაკაცისას ჩაიცვამს, — შეჩვენებულ იყოს.

(ტრულ. 62)

მიაჩნდათ რა ქორწინება ცოდვად (ღანგ. 1, 4, 9, 10, 14), ევსტათიანელები მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის განსხვავებას არ აკეთებდნენ და მათ თანასწორუფლებიანებად მიიჩნევდნენ. ამის გარეგნულად გამოსახატავად, ისინი თავიანთ დედაკაცებს ურჩევდნენ ეტარებინათ მამაკაცის სამოსი, — მოჩვენებითი მოსაგრეობისათვის, — რომელსაც თვითონ ატარებდნენ და რომელიც ამ კრების მე-12 კანონში *წამოსასხამად* იწოდება. ღანგრის კრების მამები გმობენ ასეთ შეხედულებას და ამის საფუძვლად მოჰყავთ ეკლესიის სწავლება იმის შესახებ, რომ ეს ცოდვაა ღმერთის წინაშე და დაგმობილი იყო ჯერ კიდევ წმინდა წერილის ძველაღთქმისეულ წიგნებში: ***„ნუ უკუმ შეიმოსს დედა-კაცი სამოსელსა მამაკაცისასა, ნუცა მამა-კაცი შეიმოსს სამოსელსა დედა-კაცისასა, რამეთუ საძაგელ არს წინაშე უფლისა ღუთისა შენისა ყოველივე რომელი იქმს ეგე ვითარსა“*** (მეორე შჯულ. 22, 5). ასეთივე იყო ეკლესიის ყველა მამის სწავლება.*

---

*ამ კანონის განმარტებაში ბალსამონი შენიშნავს: „მამებმა სწორად დასძინეს: „მოჩვენებითი მოსაგრეობისათვის“, რადგან თუკი რაიმე მსგავსი სრულდება არა პირმოთნეობითა და სიცრუით, არამედ ჭეშმარიტებით და, წმინდა და ჭეშმარიტი მოსაგრეობის მაგალითისამებრ, მაშინ ამისთვის არამცთუ ანათემირება არა უნდა მოხდეს, პირიქით, ქების შესხმის ღირსადაც კი უნდა იქნეს მიჩნეული. რამეთუ არაერთ დედაკაცს უმოღვაწეია მამაკაცის სამოსლით და ცხონების სიმაღლეებისათვის მიულწეია. ასეთები იყვნენ, მაგალითად, წმინდანები: მელანია, ევგენია და მრავალი სხვა“. ამის შესახებ არქიმანდრიტ იოანესთანაც ვკითხულობთ, დასახ. თხზ., I, 381, შენიშ. 432.

კანონი 14

თუ რომელიმე დედაკაცი მიატოვებს ქმარს და მასთან განშორებას მოისურვებს იმ მიზეზით, რომ ქორწინებას მოიძაგებს, — შეჩვენებულ იყოს.
(მოკ. 5, 48, 51; ტრულ. 13, 87; ღანგ. 1, 4, 9, 10)

ევსტათიანელთა შეხედულების თანახმად, ცოლებს უნდა მიეტოვებინათ საკუთარი ქმრები და მათთან ქორწინებითი კავშირი გაეუქმებინათ. ასეთი საქციელისათვის კანონი გმობს დედაკაცს; საფუძველი კი ამისა, მოყვანილია ტრულის კრების 87-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 15

თუ ვინმე უტევებს თავის შვილებს, არ არჩენს მათ, შეძლებისდაგვარად არ ზრუნავს ღვთისმოშიშებაში მათ აღზრდაზე და განდეგილობის საბაბით ყოველგვარ მზრუნველობას აკლებს, — შეჩვენებულ იყოს.
(კართ. 35)

ბავშვი, თავის მშობლებთან მიმართებით, მათი სიყვარულის ნაყოფია და სისხლია მათი სისხლისგან. ამიტომ, თვით საღვთო რჯული ავალდებულებს მშობლებს საკუთარ შვილებზე ზრუნვას და მათთვის ყოველმხრივი განათლების მიცემას (იხ. ეფ. 6, 4; 1 ტიმ. 5, 4, 8, 10; დაბ. 18, 19; მეორე შჯულ. 4, 10; 6, 7). მიუხედავად ამისა, ევსტათიანელები ამას ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ და ასწავლიდნენ, რომ მშობლებს მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეფიქრათ, შვილები დაეტოვებინათ და ასკეტურ ღვაწლს მისცემოდნენ. ამის გამო, დამსახურებისამებრ, კრება მათ ანათემას გადასცემს.

კანონი 16

შვილები, რომლებიც კეთილმსახურების საბაბით მიატოვებენ საკუთარ მშობლებს, განსაკუთრებით — ერთგულ მორწმუნეებს, და არ მიაგებენ მათ ჯეროვან პატივს, — დაე, შეჩვენებულ იყვნენ. თუმცა, მათი მხრიდან მართლმორწმუნეობა უპირატესად უნდა იქნეს დაცული.
(ღანგ. 1, 14, 15)

რამდენადაც საღვთო რჯულისათვის მიუღებელია, რომ მშობლებმა საკუთარი შვილები მიატოვონ მოჩვენებითი მოსაგრეობისათვის, რაზედაც ამ კრების მე-15 კანონი საუბრობს, იმდენადვე მიუღებელია ამავე რჯულისათვის, როდესაც შვილები იგივე საბაბით ტოვებენ მშობლებს და არ მიაგებენ სათანადო პატივს. *„ღმერთმან თქუა: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"; და: „რომელმან თქუას ბოროტი მამისათჳს გინა დედისა, სიკუდილით მოკუედინ"*, — ვკითხულობთ წმინდა წერილში (მთ. 15, 4; მარკ. 7, 10; ეფ. 6, 2; გამოს. 20, 12; 21, 15, 17; რიცხვ. 20, 9). შვილები მშობლების მიმართ ასეთ პატივისცემას უნდა იმარხავდნენ

არამარტო იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მართლმადიდებელი მშობლები ჰყავთ, არამედ მაშინაც, თუ მათი მშობლები სხვა სარწმუნოებისანი არიან, რადგან კანონის სიტყვები: „განსაკუთრებით ერთგულ მორწმუნეებს", ნიშნავს, რომ იგი ურწმუნოებსაც გულისხმობს. ამის გამო, შვილებმა პატივი უნდა მიაგონ მშობლებს და დაეხმარონ მათ მიუხედავად მათი სარწმუნოების გვარობისა, და ვერავითარი კეთილმსახურების მომიზეზება ვერ უშველით მათ უპატივცემულობის შემთხვევაში, თუ თავის გამართლებას ისინი მშობლების ურწმუნოებით შეეცდებიან. რამეთუ, მშობლების მიმართ სიყვარული მარადიულ კანონს ეფუძნება, კეთილმსახურება კი, რომელიც ამ კანონს უარყოფს და ამით მას თრგუნავს, არის ცრუკეთილმსახურება. ევსტათიანელებს, — მშობელთა პატივისცემის გამომხატველი ამ ღვთაებრივი კანონის უარმყოფელებს, — კრება ანათემას გადასცემს.

წარმოდგენილი კანონის ასეთი განმარტება, ბუნებრივია, თვით კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს. ზონარასა და ბალსამონს კანონის სიტყვები: „προτιμώμενης δηλονότι παρ'αὐτοῖς της θεοσέβειας", სხვანაირად ესმოდათ და ამბობდნენ, რომ მართლმორწმუნეობა (θεοσέβειας) უნდა ჩაითვალოს მშობლების სიყვარულზე უპირატესად, რადგან, თუკი მშობლებს მართლმადიდებლურად არ სწამთ, მაშინ შვილები მათ უნდა განეშორონ და საკუთარი კეთილმსახურება მშობლების პატივისცემაზე წინ დააყენონ. ამ კომენტატორების საფუძველზეა სწორედ გადათარგმნილი მოხსენიებული სიტყვები „კანონთა კრებულში" და თანაც მიწერილია სპეციალური დამატება: „თუმცა, მათი მხრიდან მართლმორწმუნეობა უპირატესად უნდა იქნეს დაცული".* ამ სიტყვებთან დაკავშირებით ჩვენ არ ვიზიარებთ მოხსენიებულ კომენტატორთა აზრს უმთავრესად იმიტომ, რომ მაშინ ჩვენ არ გვეცოდინებოდა როგორ შეგვეთავსებინა მსგავსი განმარტება კანონის სიტყვებთან: „მით უფრო ერთგული მორწმუნენი", რომელიც აჩვენებს, — როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ — რომ მართლმორწმუნეობა არასდროს ათავისუფლებს შვილებს მშობლების პატივისცემის ვალდებულებისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შემთხვევით მართლმადიდებლები არ არიან. ამ შემთხვევაში „კორმჩაიას" თარგმანი, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, უფრო შეესიტყვება კანონთა პირველწყაროს ტექსტს, ვიდრე „კანონთა კრებული": „შვილები, რომლებიც თავიანთ მშობლებს, მით უფრო ერთგულ მორწმუნეებს, დატოვებენ კეთილმსახურების საბაბით და შესაბამის პატივს არ მიაგებენ, ასეთ შემთხვევაში მათ მიერ აღსრულებული კეთილმსახურება ცრუდ უნდა ჩაითვალოს და თავად ისინი შეჩვენებულ იყვნენ".**

კანონი 17

თუ რომელიმე დედაკაცი, მოჩვენებითი ღვაწლისათვის, თმას შეიკვეცს, რომელიც ღმერთმა მისცა მას მორჩილების შესახსენებლად, მაშინ ესევითარი, როგორც მორჩილების მცნების დამრღვევი, შეჩვენებულ იყოს.

(ლაო. 1, 13, 14)

---

*დასახ. ეამოც., გვ. 241.

**დასახ. ეამოც. 1787, I, 59.

კანონი ამბობს, რომ დედაკაცებმა თმა არ უნდა შეიჭრან, რადგან თმა მათი მორჩილების გამოხატულების ნიშანია. ასე გვასწავლის პავლე მოციქულიც კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (11, 3 და შემდგომ). იმდენად, რამდენადაც ევსტათიანელები ასწავლიდნენ, რომ დედაკაცს ქმართან არ უნდა ეცხოვრა, რადგან, თითქოს ქორწინება ცოდვაა, და ამით თავისთავად უარყოფდნენ ცოლის ქმრისადმი მორჩილებას, აქედან გამომდინარეობდა, რომ დედაკაცებს თავისუფლად შეეძლოთ თმის შეჭრა ისევე, როგორც მამაკაცებს, რამეთუ თავს მათ თანასწორებად თვლიდნენ. სწორედ ამის წინააღმდეგ არის მიმართული წინამდებარე კანონი.

კანონი 18

თუ ვინმე, მოჩვენებითი ღვაწლისათვის, კვირადღეობითაც მარხულობს, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 66; IV მსოფ. 16; ტრულ. 55; ანკირ. 14; ლაოდ. 29, 49, 51)

ევსტათიანელების სწავლებით, კვირა დღესაც საჭირო იყო მარხვის დაცვა. ეს დღე, მათი აზრით, ემსახურებოდა სამწუხარო მოვლენის ხსენებას, კერძოდ, მატერიის გათავისუფლებას, რომელიც ამ გათავისუფლების შედეგად, კიდევ უფრო ცოდვილი გახდა. თუ როგორია ამის შესახებ ეკლესიის სწავლება, ჩვენ ვნახეთ მოციქულთა 66-ე კანონის განმარტებაში, რომლის დამადასტურებელიც არის ღანგრის კრების წინამდებარე კანონი.

კანონი 19

თუ ვინმე მოსაგრეთაგან სხეულებრივი საჭიროების გარეშე, ქედმაღლობით არღვევს ყველასთვის სავალდებულო და ეკლესიის მიერ დაცულ მარხვებს და ამავე დროს სრულ გონებაზეა, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 69; ტრულ. 29, 56, 89; ლაოდ. 49, 50, 51, 52; დიონისე ალექსანდრიელის 1; პეტრე ალექსანდრიელის 15; ტიმოთე ალექსანდრიელის 8, 10)

ევსტათიანელები ფიქრობდნენ, რომ უკვე მიაღწიეს სრულყოფილებას ცხოვრებასა და მოღვაწეობაში და ამიტომ აღარ უნდა იმარხულონ იმ დღეებში, როდესაც ეკლესია მარხვას გვამცნობს სინანულისა და ცოდვების შენდობისათვის. გმობს რა ევსტათიანელთა ასეთ სწავლებას, წინამდებარე კანონი ამით ამტკიცებს მოციქულთა კრების 69-ე კანონის განწესებას.

კანონი 20

თუ ვინმე, ქედმაღლურად განწყობილი, მოძაგებით განიკითხავს მოწამეთა საპატივცემულოდ მოწყობილ შეკრებებს და იქ აღსრულებულ მსახურებებსა და ხსენებებს, — დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 31; IV მსოფ. 4; ტრულ. 31; ღანგ. 5; ანტიოქ. 5; სარდიკ. 11; კართ. 83)

წინამდებარე კანონი პირდაპირ კავშირშია ამ კრების მე-5 კანონთან და განიხილავს მოწამეების ხსენებას და მათთვის აღსრულებულ მსახურებასთან დაკავშირებულ საკითხს, რადგან, ჩვეულებრივ, საეკლესიო მსახურებები ტარდებოდა ზედ მოწამეთა საფლავებზე.

კანონი 21

ამას ვწერთ არა იმათ შესაზღუდად, რომელთაც ღმერთის ეკლესიაში წმინდა წერილისამებრ მოსაგრეობა სურთ, არამედ იმათთვის, რომელნიც იღვწიან ამპარტავნების მიზეზით, თავს აღიმაღლებენ უბრალოდ მცხოვრებლებზე და საღვთო წერილისა და საეკლესიო წესების საწინააღმდეგო სიახლეები შემოაქვთ. ამგვარად, ჩვენ ქალწულებასაც, შეერთებულს სიმდაბლესა და მორჩილებასთან – პატივს ვცემთ; კრძალულებასაც, პატიოსნებითა და კეთილმსახურებით აღსრულებულს – შევიწყნარებთ; თავმდაბლურ განშორებას საერო (ქვეყნიურ) საქმეთაგან – ვიწონებთ; ქორწინებით პატიოსან თანაცხოვრებას – პატივს მივაგებთ; სიმდიდრეს, შერწყმულს სიმართლესა და ქველმოქმედებასთან – არ ვაკნინებთ; სამოსელის უბრალოებასა და არაძვირფასობას, თუ ის არანაპატიებ სხეულზე ზრუნვით გამოიყენება – ვაქებთ, ხოლო რბილ სამოსში სიარულით ნაპატიებს – განვეშორებით; ღვთის სახლებს თაყვანს ვცემთ და – მასში მოწყობილ შეკრებებსაც, ვითარცა წმინდასა და სასარგებლოს – ვაღიარებთ; არ შემოვფარგლავთ კეთილმსახურებას მხოლოდ შენობებით და პატივს მივაგებთ ყველა იმ ადგილს, სადაც კი ღმერთის სახელი იდიდება; ღვთის ეკლესიაში საზოგადო შეკრებას კი შევიწყნარებთ ვითარცა საერთო სარგებელს; ძმათა უხვ ქველმოქმედებას, როცა ის გლახაკთათვის აღესრულება გადმოცემის თანახმად ეკლესიის მეშვეობით, ფრიად სათნოდ მივიჩნევთ; და მოკლედ ვიტყვით: გვნებავს, დაე, ყოველივე ისე ყოფილიყოს ეკლესიაში, როგორც ეს წმინდა წერილითა და სამოციქულო გადმოცემებით არის მიღებული.

(მოც. 31, 51, 53; IV მსოფ. 4; ტრულ. 27, 80; VII მსოფ. 16; ღანგ. 5, 20; ანტიოქ. 5; სარდიკ. 11; კართ. 83)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს საერთო დასკვნას ამ კრების ყველა ზემოთ გადმოცემული (20) კანონისა. დაწვრილებით გადმოგვცემენ რა ევსტათიანელთა და მათ მიმდევართა ცრუსწავლებას, ღანგრის კრების მამები კიდევ ერთხელ თანმიმდევრობით მოიხსენიებენ აქ ამ სწავლების ცალკეულ პუნქტებს. თავიანთ 20 კანონში ისინი საგანგებოდ გადასცემენ ანათემას თითოეულს ამ პუნქტთაგან, ხოლო ამ (21-ე) კანონში კი, განსახილველ სწავლებასთან დაკავშირებით, გადმოგვცემენ საერთო კანონებს თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის.

რადგან ევსტათიანელები ქადაგებდნენ უმკაცრეს ასკეტიზმს და, ამასთან, თვით ასკეტიზმი ესმოდათ ცალმხრივად და ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგოდ, ამიტომ ღანგრის კრების მამები თავიდანვე, კანონის დასაწყისშივე ამბობენ, რომ მოსაგრეობა შეიძლება შედგეს მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში და არა

მის გარეთ, რომ ის ისეთი უნდა იყოს, როგორც ამას წმინდა წერილი წარმოგვიდგენს, და რომ მხოლოდ ასეთი მოსაგრეობა არის წმინდა და ღმერთისთვის სათნო. ამგვარად, რამდენადაც კრების მამები პატივს სცემენ და აფასებენ იმათ, ვინც ჭეშმარიტი კეთილმსახურებით მოღვაწეობენ, იმდენად გმობენ იმათ, ვინც წმინდა წერილისა და ეკლესიის განწესებების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, რამეთუ მოსაგრეობის ნიღაბქვეშ მალავენ ადამიანურ ამპარტავნებას, არღვევენ ეკლესიური ცხოვრების დამტკიცებულ წესრიგს და შემოაქვთ ეკლესიაში *სიახლე*. უპირისპირებენ რა ყველაფერ ამას ევსტათიანელთა შეხედულებას მოსაგრეობის (საეკლესიო მოღვაწეობის) შესახებ, წინამდებარე კანონში კრების მამებს მოჰყავთ რამდენიმე შეგონება, რომლებმაც, შემდგომში, კანონების მნიშვნელობა უნდა იქონიონ, სახელდობრ:

1) აუცილებელია პატივი მიეგოს ქალწულებას, როდესაც იგი განზავებულია სიმდაბლით და არ წარმოიჩინება სხვების წინაშე, როგორც ერთგვარი განსაკუთრებული, პირადი დამსახურება;

2) მისასალმებელია კრძალულება, როდესაც ის იმარხება ღირსეულად და კეთილმსახურებით, და როდესაც აღესრულება სიწრფელითა და ქრისტიანული განწყობით;

3) კარგია საერო ცხოვრების საზრუნავს განშორება და დაყუდებულ ცხოვრებას შედგომა, მაგრამ ყოველივე ეს უნდა აღესრულოს სიმდაბლითა და კეთილი განზრახვით;

4) ქორწინება ღმერთის მიერ არის დადგენილი და პატიოსანია, ამიტომ მისი პატივისცემა გვმართებს;

5) სიმდიდრის დაგმობა არ არის მართებული, თუკი ის პატიოსნად არის მოპოვებული და განზავებულია ღატაკების მიმართ ქველმოქმედებით;

6) სამოსელში უბრალოება და გამოურჩევლობა მოსაწონია;

7) სამოსელში ყოველგვარი ფუფუნება და ზედმეტობა გაკიცხვის ღირსია;

8) აუცილებელია სრული პატივისცემა ვიქონიოთ წმინდა ტაძრების მიმართ, ისევე, როგორც ყველა სხვა ადგილის მიმართ, რომელიც ღმერთისთვის არის მიძღვნილი და მის პატივს ემსახურება. ამიტომ იქ გამაროულ საძმო შეკრებებს აუცილებლად უნდა მივაგოთ პატივი და მასში მონაწილეობა მივიღოთ;

9) სათანადო პატივი უნდა მივაგოთ თითოეულ ტაძარში ჩატარებელ საზოგადო მსახურებას, რომელიც ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ აღესრულება;

10) პატივი უნდა ვცეთ მდიდარ ადამიანებსაც, რომლებიც თავიანთი ქონებით ღატაკებს ეხმარებიან, თუკი ისინი, ამას, გადმოცემის თანახმად, ეკლესიის მეშვეობით აკეთებენ.

ჩამოაყალიბეს რა ყველაფერი ეს წინამდებარე კანონში, კრების მამებმა ბოლოს ეაიმღერეს ის, რაც მათ მიერ დასაწყისში იყო ნათქვამი, კერძოდ, აუცილებელია წმინდა ეკლესიის დაცვა სიახლეებისაგან და ზრუნვა იმაზე, რომ ყველაფერი, რაც განწესებულია წმინდა წერილებითა და მოციქულების გადმოცემებით, ეკლესიაში იმარხებოდეს წმინდად და დაურღვევლად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გზა გაეხსნება ევსტათიანელებს და სხვა მსგავს რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც არ შეიძლება ეკლესიად იწოდებოდეს.

ანტიოქიის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები*

კანონი 1

ყველა, ვინც კადნიერდება დაარღვიოს ნიკეაში, კეთილმსახური და ღვთისმოყვარე მეფე კონსტანტინეს თანდასწრებით ჩატარებული წმინდა და დიდი კრების განსაზღვრება წმინდა დღესასწაულის – მაცხონებელი აღდგომის შესახებ, – განყენებულ იქნეს თანაზიარებიდან და მოიკვეთოს ეკლესიიდან, თუკი გააგრძელებენ ცილობისმოყვარეობით გამოსვლას კეთილი დადგენილების წინააღმდეგ. და ეს ნათქვამია ერისკაცთათვის. ხოლო თუ ვინმე სამღვდელოთაგან – ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი ამ განწესების შემდეგ გაკადნიერდება და ერის გასარყვნელად და ეკლესიაში შფოთის აღსაძვრელად განკერძოვდება და იუდეველებთან ერთ დროს აღასრულებს პასექს, ესევითარს წმინდა ეკლესია ამიერიდან რაცხს ეკლესიისთვის უცხოდ, როგორც ცოდვის მიზეზად ქმნილს არამხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მრავალთა გარდაქცევისა და გარყვნისათვის. კრება მარტო ამათ არ განაყენებს ღვთისმსახურებისაგან, არამედ ყველას, ვინც გაკადნიერდება ერთობაში დარჩეს მათთან მღვდლობისაგან მათი განკვეთის შემდგომ. განკვეთილნი კი, დაე, გარეგან პატივსაც მოაკლდნენ, რასაც ისინი წმინდა წესებითა და ღვთაებრივი მადლით იღებდნენ.

(მოც. 7,64,70,71; II მსოფ. 7; ტრულ. 11; ლაოდ. 7,37,38; კართ. 34,51,73,106)

ის, რომ ებიონიტელები (II საუკუნის იუდეველ-ქრისტიანული სექტა) პასექის დღესასწაულს იმ დღეს აღნიშნავდნენ, როდესაც ეს შეჩვენების მუქარით ნამცნები ჰქონდათ იუდეველებს (გამოს. 12,6,14,18; ლევ. 23,5; მეორე შჯულ. 27,26), ანუ პირველი თვის (ნისანი) მე-14 დღეს, ჩვენ ვიხილეთ მოციქულთა მე-7 კანონის განმარტებაში. ებიონიტელების იმ აზრს, რომ სწორედ ამ რიცხვში, შვიდეულის რა დღესაც ის არ უნდა დამთხვეოდა, უნდა ედღესასწაულათ ქრისტეს აღდგომა, ბევრი აღმოსავლელი ქრისტიანი იზიარებდა მცირე აზიის ეკლესიებში, რომლებიც ყველა სხვა წესებთან მიმართებით, ზოგადად რომ ვთქვათ, მართლმადიდებლები იყვნენ. დასავლეთში, განსაკუთრებით რომის ეკლესიაში, გარკვეული პერიოდი ეს აღდგომა იდღესასწაულებოდა იგივე თვის თოთხმეტი რიცხვის შემდგომ კვირიაკეს. მცირეაზიელი ქრისტიანები, ეყრდნობოდნენ რა მოციქულების – იოანეს, ფილიპესა და სხვა ზოგიერთთა სწვლებას, თვლიდნენ, რომ უნდა მიჰყოლოდნენ

*ანტიოქიაში, ახალი ტაძრის კურთხევაზე, 341 წელს შეიკრიბა 100 ეპისკოპოსი. ტაძრის კურთხევის შემდეგ, იქ შეკრებილმა ეპისკოპოსებმა, ადგილობრივი ეკლესიის ერთიანი მმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეადგინეს კრება ზოგიერთი დადგენილების მისაღებად. კრებას თავმჯდომარეობდა ანტიოქიის ეპისკოპოსი პლაკენტი; მიიღეს 25 კანონი და ყველა მათგანი შევიდა საყოველთაო საეკლესიო კანონიკურ კრებულში. ბევრი მათგანი განსაკუთრებული პატივით შეიწყნარეს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ეკლესიაში.

ქრისტეს მაგალითს და მისი სიკვდილის მოსახსენებლად ედღესასწაულათ იმ დღეს, როდესაც ქრისტემ თავის მოწაფეებთან ერთად იდღესასწაულა პასექი, თანაც ისეთნაირად, როგორც ეს ქრისტემ გააკეთა. ამ მიზნით ისინი განსაკუთრებულ სერობას აწყობდნენ, რასაც უფლის საიდუმლო სერობასთან აკავშირებდნენ და აწყობდნენ სწორედ იმ დღეს, როცა იუდეველები დღესასწაულობდნენ თავის პასექს – პირველი თვის მე-14 დღეს. ამასთან, ამავე დღეს იხსნილებდნენ ვნების შვიდეულის მარხვას. ამის შემდეგ ანახლებდენ მას მესამე დღის დადგომამდე და ამ დღეს უკვე ქრისტეს აღდგომას დღესასწაულობდნენ, მიუხედავად იმისა, თუ შვიდეულის რა დღეს მოუწევდა – კვირა იქნებოდა ეს თუ სხვა ნებისმიერი დღე. სწამდათ რა, რომ ამ შემთხვევაში სავსებით სწორად იქცეოდნენ, ისინი დასავლური ეკლესიის ჩვეულებას ისტორიული ჭეშმარიტების საწინააღმდეგო სიახლედ მიიჩნევდნენ. თავის მხრიდან, დასავლური ეკლესია საკუთარ ჩვეულებას საერთო ქრისტიანული თავისუფლებით ხსნიდა, რომლებმაც არ უნდა მისდიონ იუდეველთა საწეს-ჩვეულებო კანონს. მისი მტკიცებით, თუკი ქრისტიანები არ არიან ვალდებულნი იდღესასწაულონ იუდეველთა შაბათი, მაშინ მით უფრო ნაკლებად იყვნენ დავალებულნი ედღესასწაულათ იუდეველთა პასექი, რადგან მოციქულმა პავლემ არამცთუ, საერთოდ, თავისუფლება მისცა ქრისტიანებს გარკვეული დღეების დღესასწაულობასთან დაკავშირებით, არამედ განსაკუთრებით გამოთქვა ეს პასექთან მიმართებით (იხ. 1 კორ. 5, 7). გარდა ამისა, ქრისტიანებისათვის შეუძლებელია ყველაფერში მიჰყვნენ იუდეველთა პასექს, როგორც შეუძლებელია შეინარჩუნონ ყველა ის წეს-ჩვეულება, რომლებიც მასთანაა დაკავშირებული და რომლებსაც არც მცირეაზიელი ქრისტიანები იცავდნენ. დაბოლოს, დასავლეთის ეკლესია თვითნებურ ნაბიჯად და აკრძალულ საქმედ მიიჩნევდა ვნების შვიდეულში მარხვის დროებით შეწყვეტას, როგორც ამას მცირეაზიელი ქრისტიანენი აკეთებდნენ, რადგან ამ მარხვის გახსნილება, მოციქულთა გადმოცემის თანახმად, ქრისტეს აღდგომამდე არ შეიძლებოდა და მის დროებით შეწყვეტაზე საუბარიც არ შეიძლება ყოფილიყო (იხ. ტრულ. 89; დიონისე ალექსანდრ. 1). აღნიშნულ აზრთა სხვადასხვაობის გამო, მცირე აზიისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის დიდი დავა წარმოიშვა, რომელიც რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. ამასთან, ყველას, ვინც ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს მცირეაზიური ჩვეულების თანახმად აღნიშნავდა, მეთოთხმეტეანელები უწოდეს (მათ შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ II მსოფლიო კრების მე-7 კანონის განმარტებაში).

ამ საკითხის დარეგულირების შესახებ, პრაქტიკული ნაბიჯები პირველად II საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში გადაიდგა, როდესაც **სმირნელმა ეპისკოპოსმა, პოლიკარპემ**, რომში ყოფნისას დაპირა შეთანხმებულიყო რომის **ეპისკოპოს ანიკეტუსთან** საეკლესიო ცხოვრების იმ სხვადასხვა საკითხების თაობაზე, რომელთა შესახებაც აზიისა და დასავლეთ ეკლესიებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ. სწორედ მაშინ შეეხნენ საკითხს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულის თარიღთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც პოლიკარპე, ისე ანიკეტუსი, თითოეული თავისი მხრიდან, იცავდა საკუთარი ეკლესიის ჩვეულების სამართლიანობას და, ამდენად, შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა, რადგან დათმობაზე არც ერთი არ მიდიოდა და როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, მიუთითებდა მოციქულთა იმ

გადმოცემაზე, რომელიც სწორედ იმ სახით იყო მათ ეკლესიაში დაცული, რომლის შესაბამისადაც ჰქონდათ დაწესებული აღნიშნული დღესასწაული. მიუხედავად ამისა, ეპისკოპოსები ერთმანეთს ძმური სიყვარულით დაშორდნენ და თითოელი თავისი ჩვეულების ერთგული დარჩა. მალე ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა, თანაც საკმაოდ მწვავედ. დავამ თავი იჩინა ლაოდიკიასა და მელიტინში. სარდიკიის ეპისკოპოსმა (ლიდიაში) ამასთან დაკავშირებით დაწერა თხზულება მცირეაზიური ეკლესიის ჩვეულების დასაცავად. ეს გახდა მრავალი კრების მოწვევის მიზეზი, რომელთა უმრავლესობამაც თავის აზრი დასავლური ეკლესიის სასარგებლოდ გამოთქვა. გაიგო რა ამის შესახებ, რომის ეპისკოპოსმა ვიქტორმა (189-199) რამდენიმე წერილი დაწერა მცირეაზიური ეკლესიების მისამართით, რომლებშიც ზოგიერთი მათი ეკლესიების ეპისკოპოსებს განკვეთით ემუქრებოდა, თუ ისინი არ მიიღებდნენ და აღიარებდნენ დასავლეთ ეკლესიის პრაქტიკას. ამ მუქარამ ყველა მცირეაზიელი ეპისკოპოსი განაარისხა და ეფესელმა ეპისკოპოსმა პოლიკარპემ ყველას სახელით საკმაოდ მკვეთრი პასუხი მისწერა ვიქტორს, სადაც ატყობინებდა, რომ ისინი არ აპირებენ მოციქულთა გადმოცემის დარღვევას და ზიზღით ეკიდებიან მის მუქარას. პოლიკარპეს პასუხის შემდეგ მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა და საეკლესიო სამყაროს ფრიად სამწუხარო შედეგები ელოდა, რომ არა, საბედნიეროდ, **ლიონის ეპისკოპოს ირინეოსის** ჩარევა, რომელიც პოლიკარპეს მოწაფე იყო და მცირე აზიიდან გამოდიოდა. მან ვიქტორს წერილი გაუგზავნა, რომელშიც დასავლეთ ეკლესიის ჩვეულებას ემხრობოდა, მაგრამ, ამასთანავე, კეთილ რჩევას აძლევდა, რომ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით არსებული მსგავსი განსხვავების გამო, რომლებსაც ეკლესიის დაარსებიდანვე ჰქონდა ადგილი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, არ დაერღვია საეკლესიო მშვიდობა და ძმური ერთობა. ირინეოსის ავტორიტეტულმა ხმამ შესძლო ვნებათა დაცხრომა და ეკლესიაში მშვიდობის შენარჩუნება.

ამით, პასექის დღესასწაულობასთან დაკავშირებული კამათი დიდი ხნით შეწყდა; თითოეული ეკლესია თავისი ჩვეულებით აგრძელებდა ქრისტეს აღდგომის აღნიშვნას. ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა 325 წელს, I მსოფლიო კრებაზე. კრების მამებმა გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ განესაზღვრათ დღესასწაულის თარიღის გამოთვლის წესი, რათა თავიდან აეცილებინათ ყველა შესაძლო პაექრობა, რომელიც შეიძლება მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილიყო, და ერთი საერთო გადაწყვეტილებით დაემყარებინათ ეკლესიაში ერთაზროვნება მასთან მიმართებით.

უპირველეს ყოვლისა, მოციქულთა მე-7 კანონის საფუძველზე, I მსოფლიო კრების მამებმა გადაწყვიტეს, რომ ქრისტიანული პასექი არ უნდა იდღესასწაულებოდეს იმ დღეს, როდესაც იუდეველები თავიანთ პასექს აღნიშნავენ, შემდეგ, მეშვიდე დღესთან დაკავშირებით ახალაღთქმისეული სწავლების საფუძველზე, მიიღეს, რომ აღდგომა უნდა იდღესასწაულებოდეს მხოლოდ კვირა დღეს, დაბოლოს, გადაწყდა, რომ წლის დროის განსაზღვრისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ბუნიობის [დღისა და ღამის ტოლობა] შემდგომ პირველ სავსემთვარობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიიღეს შემდეგი განწესება: 1) ქრისტიანული აღდგომა ყველამ კვირა დღეს უნდა იდღესასწაულოს; 2) იგი უნდა მოდიოდეს გაზაფხულის ბუნიო-

ბის შემდგომი სავსემთვარობიდან პირველ კვირა დღეს; 3) თუკი ისე მოხდება, რომ იმავე კვირას იუდეველთა პასექი დაემთხვევა, მაშინ ქრისტიანული პასექი მის შემდგომ კვირა დღეზე უნდა გადაიწიოს. **ბლასტარი,** თავის ალფაბეტურ სინტაგმაში, ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენს პასექთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ოთხ განწესებას, რომელთაგან ორი მოციქულთა კანონიდან გამოდის, სხვა ორი კი დასაწყისს იღებს დაუწერელი გადმოცემიდან. პირველი — აღდგომა უნდა ვიდღესასწაულოთ გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ; მეორე — არ უნდა ვიდღესასწაულოთ იუდეველებთან ერთსა და იმავე დღეს; მესამე — არამხოლოდ ბუნიობის შემდეგ, არამედ პირველი სავსემთვარობის შემდეგაც, რომელიც ბუნიობის შემდგომ დადგება, და მეოთხე — სავსემთვარობის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ შვიდეულის პირველ დღეს [ანუ კვირას]"* ნიკეის კრების ეს გადაწყვეტილება მთელი ეკლესიისათვის სავალდებულო გახდა და ახლაც ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნული გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს.**

იმისათვის, რომ მომავალში აღარ წარმოქნილიყო ძველებური უწესრიგობანი იმის განსასაზღვრავად, თუ როდის უნდა აღინიშნოს ქრისტეს აღდგომის დღესასწაული და, შესაბამისად, მთელ ეკლესიას ერთ დღეს ედღესასწაულა, ნიკეის კრების მამებმა განაწესეს, რომ ალექსანდრიის ეპისკოპოსმა ყოველი წლის გარკვეულ დროს უნდა გამოაცხადოს, მიმდინარე წლის თუ რომელ კონკრეტულ დღეს უწევს ქრისტეს აღდგომის დღესასწაული.***

ალექსანდრიის ეპისკოპოსს ეს იმიტომ დაევალა, რომ ეგვიპტე მაშინ ცნობილი იყო დროის გამოთვლის საუკეთესო მეცნიერებით.**** გასაღები იმისა, თუ კერძოდ როდის უნდა იდღესასწაულებოდეს ქრისტეს აღდგომა, არის ცხრამეტწლიანი თვი-

---

*ათენის სინტაგმა, VI, 420.

**„პაპმა გრიგოლიმ XIII 1582 წელს რომის ეკლესიას გადასცა ახალი კალენდარი, თითქოსდა გასწორებული და, შესაბამისად, ახალი პასქალიაც. თუმცაღა, ამ „გასწორებული" კალენდრით ლათინები ისეთ ცდომილებაში ვარდებიან პასექის დღესასწაულის თარიღის გამოთვლასთან დაკავშირებით, რომელშიც მართლმადიდებლები არასდროს ჩავარდებიან თავიანთი გაუსწორებელი კალენდრით. ამგვარად, ლათინები პასექს ხშირად დღესასწაულობენ იუდეველებზე ადრე ან იუდეველებთან ერთად, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ნიკეის კრების ნებას", — აღნიშნავს ჰეფელე. მაგალითისათვის ავიღოთ XIX საუკუნე: ლათინებმა იუდეველებთან ერთად პასექი იდღესასწაულეს 1805, 1825, 1853, 1854 წლებში, ხოლო იუდეველთა პასექამდე — 1839, 1840, 1842, 1845, 1846, 1849, 1850 და 1856 წლებში.

***III საუკუნეში ჯერ კიდევ იყო ჩვეულება, რომლის თანახმადაც ალექსანდრიის ეპისკოპოსი განსაკუთრებული ეპისტოლეთი უცხადებდა მასზე დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს ეგვიპტეში ქრისტიანული პასექის დღეს და მასთან დაკავშირებით, ატყობინებდა დიდმარხვის დაწყების თარიღსაც. ასეთ ეპისტოლეებს **სადღესასწაულო ეპისტოლეები** ეწოდებოდათ. ევსები, იერონიმე და სხვები, მოიხსენიებენ დიონისე ალექსანდრიელისა და ათანასე დიდის ასეთ ეპისტოლეებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. კირილე ალექსანდრიელისგან ასეთი ეპისტოლე შემოგვრჩა 29. სხვა სამთავრო ეკლესიებს, ამის შესახებ, ყოველწლიურად უცხადებდა რწმენებული საეკლესიო კრება (იხ. კართ. 34-ე, 51-ე, 73-ე კან-ები.

****ლეონ დიდი იმპერატორ მარკიანეს წერს, რომ ეს საქმე ნიკეის კრების მამებმა ალექსანდრიის ეპიკოპოსს დაავალეს, რადგან ითვლებოდა, რომ ეგვიპტელებს ძველთაგანვე ჰქონდათ ასეთი სახის გამოთვლების გამოცდილება.

ური ციკლი, სწორედ ის, რომელიც მიიღეს ალექსანდრიაში და რომლის შემდეგაც სავსემთვარობა და მთვარის ფაზები მოდიოდნენ თვის იგივე დღეებზე, როგორც წინა. გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავსემთვარობა ამ ცხრამეტწლიანი ციკლის განმავლობაში, მოდიოდა თვის სხვადასხვა დღეებზე – მარტიდან აპრილამდე, თანაც, ყოველთვის 21 მარტიდან 18 აპრილამდე.*

ამ ორ თარიღს შორის რომელიღაც დღეზე მოდის იუდეველთა პასექი, ანუ ამ 39 დღიდან (21 მარტი – 18 აპრილი), რომელიმე დღე იქნება პირველი თვის (ნისანის) მე-14 დღე, – გაზაფხულის პირველი სავსემთვარობა. ხოლო, რადგანაც დადგენილია, რომ ქრისტიანული პასექი არ უნდა დაემთხვეს იუდაურს და თანაც უნდა იყოს სავსემთვარობის შემდგომ პირველივე კვირა დღეს, ამიტომ შეიძლება მოხდეს, რომ ქრისტიანული პასექი მოუწევს 18 აპრილის შემდეგაც. ხოლო თუ ისე მოხდებოდა, რომ იუდეველთა პასექი სწორედ ამ დღეს დაემთხვევოდა, ე. ი. 18 აპრილს, რომელიც ამასთანავე, კვირა იქნებოდა, მაშინ ქრისტიანული პასექი იდღესასწაულებოდა მის შემდგომ კვირას – 25 აპრილს. მაგრამ ხდება ისეც, რომ იუდეველები მას შემდეგ, რაც თვე (ნისანი) რამდენჯერმე მოტრიალდება, სათანადო ყურადღებას უკვე აღარ აქცევენ ზედმეტი (დაგროვილი) დღეების რაოდენობას, რის შედეგადაც თავიანთ პასექს დღესასწაულობენ ხანდახან ადრე, ანუ სანამ პირველი თვის სრული 14 დღე დადგებოდეს, ე. ი. 21 მარტამდე. ასეთ შემთხვევაში, – *ამბობს ბლასტარი,* – საღვთო კანონი ბრძანებს ამ თვის საერთოდ დატევებას და შემდეგი თვის სავსემთვარობაზე გადასვლას და უკვე მასთან შეთავსებას ქრისტიანული პასექისა, რათა იუდეველებთან ერთად არ ვიდღესასწაულოთ და გავწმინდოთ და გავათავისუფლოთ ჩვენი პასექი იუდეველთა დღესასწაულისგან, – ასე იყო ადრე და ასეა ამჟამადაც, რათა დიდი შუალედი იყოს ჩვენსა და იუდეველთა პასექებს შორის.

ნიკეის კრების განწესების თანახმად, ალექსანდრიელმა ეპისკოპოსებმა მაშინვე დაიწყეს განსაკუთრებული ეპისტოლეებით მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ყოველწლიურად პასექის დღის შეტყობინება. დროთა განმავლობაში ისინი სპეციალური კანონიონით – პასქალიით შეიცვალა, სადაც რამდენიმე წელიწადზე წინასწარ იყო გაწერილი აღდგომის დღე. პირველი ასეთი კანონიონი შეადგინა და გამოსცა **ტიმოთე ალექსანდრიელმა** 888 წელს. შემდეგ **კირილე ალექსანდრიელმა** გამოსცა კანონიონი გათვლილი 95 წელზე (436 წლიდან 531 წლამდე), და ასე გრძელდებოდა შემდგომშიც.

ნიკეის კრების დადგენილება, პასექის დღესასწაულის დროსთან დაკავშირებით, მართალია, მსოფლიო კრების დადგენილება იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ვერ შესძლო აეძულებინა ყველა მცირეაზიური ეკლესია დამორჩილებოდა მას და, ამდენად, ამ კრების შემდეგაც ვხვდებით ზოგიერთ ისეთ ეპისკოპოსს, რომელიც არღვევდა მსოფლიო კრების ამ დადგენილებას და ძველებურად აგრძელებდა პასექის აღნიშვნას იუდეველებთან ერთად. სწორედ, ასეთი გაჯიუტებულების წინააღმდეგ არის მიღებული ანტიოქიის წინამდებარე კანონი, რომელიც, რაც შეიძლება მძიმე საეკლესიო სასჯელს ადებს ყველას, – იქნება ის სამღვდელო თუ საერო

*აქ და ყველგან, მთელ ტექსტში, თარიღები მოყვანილია ძველი სტილით.

პირი, – ვინც არ მოისურვებს დაემორჩილოს ნიკეის კრების აღნიშნულ განწესებას. ამასთან, საერონი ექვემდებარებიან განყენებას და ეკლესიიდან განკვეთას, სამღვდელონი კი – ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები – განკვეთას, ანუ ამ პირებს არამხოლოდ სამღვდელო მსახურების უფლება ერთმევათ, არამედ ასევე, სამღვდელო წოდებაც და წარიხოცებიან სასულიერო აღრიცხვიდან (დავთრიდან), რის შემდეგაც ერისკაცებს უტოლდებიან. თუმცა კანონი არ მოიხსენიებს კლირიკოსთა დაბალი იერარქიის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ დადგენილებას დაარღვევენ, მაგრამ მათთვის განსაზღვრული სასჯელი იგივე უნდა ვიგულისხმოთ, როგორიც ერისკაცების მიმართ დაწესდა: ზიარებიდან განყენება და ეკლესიიდან განკვეთა. კანონი ასეთ სასჯელს განუსაზღვრავს არამხოლოდ იმათ, ვინც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა, არამედ იმათაც, ვისაც სულიერი თანაზიარება ექნება ასეთ განკვეთილ სამღვდელოებასთან. ამ კანონში ჩვენ ვხედავთ საეკლესიო სასჯელის გამოტანისას ერთ განსაკუთრებულ იურიდიულ ნორმას: დანაშაულის ჩადენისათვის, მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლით შესაბამისი სასჯელის გამოტანა ხდება ან **დამნატორული** (ბრალდებითი) ან **დეკლარატორული** (განმარტებითი) განაჩენით. დამნატორული განაჩენის დროს, აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს ის, რომ რწმუნებულმა საეკლესიო სასამართლომ შეასრულოს სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ყველა დაწესებული პროცედურა, რათა ამ გზით მოხდეს იმ საქმის სრული შესწავლა და გამოკვლევა, რომელიც ბრალდების დამტკიცებას საჭიროებს და ჩატარებული გამოძიების შედეგის გათვალისწინებით მოხდეს უკვე დამნაშავის მიმართ სასჯელის შეფარდება. მაგრამ ხდება ისეც, რომ გარკვეული დანაშაულისათვის დამნაშავე ასეთი განაჩენის გარეშეც ექვემდებარება სასჯელს; ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც თვით დანაშაულის ჩადენის მომენტში დამნაშავე უკვე მოხვდა კანონით განსაზღვრული სასჯელის ქვეშ. ამ დროს სასამართლოს აღარ სჭირდება შეუდგეს ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, რადგან უკვე მისი ჩადენით მიიღო დამნაშავემ შესაბამისი სასჯელი და, ამიტომ, რჩება მხოლოდ კონსტატირება იმისა, რომ მოხდა დანაშაული და აღსრულდა ამ დანაშაულით გათვალისწინებული სასჯელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განაჩენიც მხოლოდ **დეკლარატორულია** (განმარტებითი). განაჩენებში არსებული ამ განსხვავებების გამო, შესაბამისი სასჯელებიც სხვადასხვაგვარად იწოდება. **დამნატორული** ხასიათის განაჩენის გამოტანისას სასჯელს ეწოდება **სასამართლო სასჯელი**. თუ განაჩენი დეკლარატორული ხასიათისაა, მაშინ – **იურიდიული,** ანუ **კანონიერი.** ამ უკანასკნელ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დანაშაული დამნაშავეს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ სასამართლოს აღარ სჭირდება მისი გასამართლება გარკვეული უფლებების ჩამოსართმევად სასჯელის სახით, რადგან თვით დანაშაულია დაკავშირებული ამ უფლებების ჩამორთმევასთან და როგორც კი ეს დანაშაული შედგა, თავისთავად მოჰყვა მას უფლებების ჩამორთმევა. ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის, განსაკუთრებით, რომელიც საეკლესიო ერთობას ან აღებული პირის უფლებაუნარიანობას ეხება, შეასრულოს ეკლესიურ მოწყობაში გარკვეული მოვალეობა, – ასეთი სასჯელი თავისთავად ედება საეკლესიო სამართლით. ასე, მაგალითად, თუ ქრისტიანმა აშკარად უარყო ქრისტიანული სარწმუნოება და გადავიდა რომელიმე არაქრისტიანულ

რელიგიურ საზოგადოებაში, მაშინ ასეთმა ადამიანმა თვით განდგომის აქტით დაკარგა ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც ქრისტიანს. რის გამოც, საეკლესიო სასამართლოს განაჩენი, რომელიც მისთვის ამ უფლებების ჩამორთმევას გამოაცხადებდა, ზედმეტია. ან, თუკი ეკლესიის წევრი რაიმე სამოქალაქო ხასიათის დანაშაულისათვის შესაბამისი სამოქალაქო სასამართლოს მიერ გასამართლებულია და სასჯელს იხდის (საპატიმროში თუ მის გარეთ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს), მაშინ ეს პირი ექვემდებარება **კანონიერ ინფამიას** (უპატივობა), თანაც, საეკლესიო სასამართლოს მხრიდან აღარ არის საჭირო ამ განაჩენის ოფიციალურად გამოტანა, რადგან თვით ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი, უკვე ძალაშია. ასეთ და მსგავს შემთხვევებში, სასჯელი თავისთავად შედის ძალაში, როგორც დასასჯელი საქმის ჩადენის უშუალო შედეგი. სწორედ, აქედან შევიდა საეკლესიო სამართალში იურიდიული ანუ კანონიერი სასჯელის ცნება, განსხვავებით იმ სასჯელისაგან, რომელიც გამოიტანება დამნაშავის მიმართ რწმუნებული სასამართლოს განაჩენით მხოლოდ და მხოლოდ საეთანადო სასამართლო გამოძიების ჩატარების შემდეგ.

საფუძველს, მსგავსი სახის სასჯელისათვის, ვპოულობთ წმინდა წერილში. პავლე მოციქული ტიტესადმი ეპისტოლეში მოიხსენიებს მწვალებელს, რომელსაც არ სურს შეისმინოს შეგონება მართლმადიდებლური სარწმუნოებისკენ მოქცევაზე და ჯიუტად რჩება თავის აზრზე. პავლე მოციქული ამბობს, რომ ასეთი ადამიანი გაიხრწნა, რადგან ***„არს იგი თჳთ დაშჯილ“*** (ტიტ. 3, 10, 11). იგივე მნიშვნელობისაა ღანგრის ყველა კანონი, რომლებიც განაწესებს, რომ ეკლესიიდან განკვეთილად ჩაითვალოს ყველა ის პირი, რომლებმაც ჩაიდინეს ერთ-ერთი იმ დანაშაულთაგანი, რომლებიც კანონებშია მოხსენიებული. ღანგრის კრების კანონები არ ამბობენ, რომ მხოლოდ სასამართლომ უნდა გამოაცხადოს ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი, არამედ თითოეული ასეთი დამნაშავის მიმართ, – პავლე მოციქულის მსგავსად, – ამბობს: „შეჩვენებულ იყოს“, რაც ნიშნავს, რომ ასეთი გაჯიუტებული ცოდვილი უკვე დასჯილია. ანტიოქიის ეს (1) კანონი ყველაზე უკეთ ჰფენს ნათელს ამ სახის სასჯელს. *ადგენს რა ამ კანონით თუ როდის უნდა იდღესასწაულონ ქრისტიანებმა ყოველწლიურად ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ხსენება, კრება იმავდროულად ბრძანებს, რომ ეკლესიიდან განკვეთილებად ჩაითვალონ ის ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები, რომლებიც გადაწყვეტენ, იმოქმედონ მისი განწესების საწინააღმდეგოდ.* შესაბამისად, სასამართლო აღარ საჭიროებს მათ მოწვეევასა და გასამართლებას, რამეთუ ისინი უკვე დასჯილნი არიან ამ კრების კანონით იმ მომენტიდან, როგორც კი განწესება დაარღვიეს. ასეთ შემთხვევაში, საეკლესიო სასამართლოს, – თუ მას საერთოდ ექნება საქმე იმ დამნაშავესთან, რომელიც საკუთარი ქმედებით მოჰყვა სასჯელის ქვეშ, – შეუძლია მხოლოდ იმ სასჯელის კონსტატაცია გააკეთოს, რომლითაც დამნაშავე უკვე დაისაჯა და შესაბამისი განაჩენი მხოლოდ დეკლარატორული (განმარტებითი) მნიშვნელობის იქნება. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ გარკვეული სახის დანაშაულისათვის, რომელთა მიმართებითაც ასეთი იურიდიული სასჯელი კატეგორიულად არის კანონებში ასახული. რაც შეეხება სხვა საეკლესიო დანაშაულებს, განაჩენი ყოველთვის უნდა იყოს დამნატორული

(ბრალდებითი) ხასიათის, ყველა იმ კანონიერი წესის გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ოფიციალური საეკლესიო-სასამართლო პროცესის ჩასატარებლად.

კანონი 2

ყველა, ვინც ეკლესიაში შედის და ისმენს საღვთო წერილს, მაგრამ წესისაგან ერთგვარი განდრეკით არ მონაწილეობს ლოცვაში მრევლთან ერთად ან განერიდება წმინდა ევქარისტიის მიღებას — ზიარებას, დაე, განყენებულ იქნენ ეკლესიიდან მანამდე, ვიდრე აღსარებას არ ჩააბარებენ, სინანულის ნაყოფთ არ წარმოაჩენენ და შენდობას არ ითხოვენ, — და ამგვარად შეეძლებათ მისი მიღება. დაე, ნურავის მიეცეს თანაზიარების უფლება საეკლესიო ერთობისაგან განყენებულებთან, ნურც სახლებში შეკრებისა და ლოცვისა საეკლესიო ერთობისაგან გარე მყოფებთან; გაუცხოებულნი ერთი ეკლესიის ერთობისაგან არ უნდა მიიღებოდნენ მეორე ეკლესიაში. ხოლო თუ რომელიმე ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი ან სხვა რომელიმე კლირიკოსი აღმოჩნდება (საეკლესიო) ერთობისაგან განყენებულების თანამოზიარე, მაშინ, დაე, თვითონაც დარჩეს საეკლესიო ერთობის გარეთ, როგორც შფოთის შემომტანი საეკლესიო წესრიგში.

(მოც. 9, 10, 11, 12, 13, 28, 32, 33, 45, 48, 65; I მსოფ. 5; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17, 66, 80; ანტიოქ. 4, 6, 7, 8, 11; ლაოდ. 41, 42; სარდ. 9, 11; კართ. 9, 10, 23, 106)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიოქიის კრების კანონების უმეტესობა შედგენილია მოციქულთა კანონების მიხედვით და ამიტომ, მოციქულთა შესაბამისი კანონების განმარტებები, იმავდროულად, ემსახურებიან ანტიოქიის კრების იმ კანონების განმარტებას, სადაც იგივე საკითხებზეა საუბარი, რომლებიც მოციქულთა კანონებში განიხილებოდა. ანტიოქიის კრების წინამდებარე კანონში განხილულ საკითხზე, უკვე ითქვა მოციქულთა მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კანონების განმარტებებში.

კანონი 3

თუ რომელიმე მღვდელი, დიაკონი ან საერთოდ ვინმე, სამღვდელოთაგან, დატოვებს თავის საზღვრებს, გადავა სხვისაში, და შემდეგ სრულიად გადასახლებული, გადაწყვეტს დიდხანს დარჩეს იმ საზღვრებში, მაშინ ესევითარი ნუ იმღვდელმოქმედებს, და განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისი ეპისკოპოსი მოუწოდებს მას და შეაგონებს დაუბრუნდეს საკუთარ მრევლს, ის კი არ ემორჩილება. ხოლო თუ ჯიუტად განაგრძობს ყოფნას ამ უწესობაში, დაე, სრულიად იქნეს განყენებული მღვდელმსახურებისაგან, უწინდელ წოდებაში აღდგენის შესაძლებლობის გარეშე. თუ ამ მიზეზით განგდებულს, სხვა რომელიმე ეპისკოპოსი მიიღებს, მაშინ ისიც ექვემდებარება ეპიტიმიას საერთო კრებისაგან, როგორც საეკლესიო წესების დამრღვევი.

(მოც. 15, 16; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18; სარდ. 15, 16; კართ. 54, 90)

წინამდებარე კანონი იმეორებს მოციქულთა მე-15 და მე-16 კანონების განწესებებს. კანონი მოიხსენიებს „საზღვრებს“ (παροικίαν, პაროქია), საიდანაც გადავიდა მღვდელი ან დიაკონი. ძველ კანონიკურ წყაროებში ამ ტერმინით აღინიშნებოდა ეპისკოპოსის სამთავრო (საეპისკოპოსო) ანუ ახლანდელი ეპარქია. ამჟამად ამ ტერმინს იყენებენ სამხრეთ-დასავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში მღვდლის მსახურების ადგილის აღსანიშნავად (приход, სამრევლო). წინამდებარე კანონი რომ ტერმინით: „παροικίαν“ ნამდვილად ახლანდელ ეპარქიას აღნიშნავს, რომელსაც ეპისკოპოსი მართავს, ეს თვით კანონის კონტექსტიდან ჩანს. მოციქულთა კანონში იგივე „საზღვრების“ აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა: επαρχία (ეპარქია).

იმ ეპისკოპოსთან მიმართებით, რომელიც ამ კანონს დაარღვევს, კანონი ამბობს, რომ ის უნდა განსაჯოს საერთო კრებამ. როგორია ეს კრება, რომელსაც რწმუნება აქვს ასეთ ეპისკოპოსს სასჯელი განუსაზღვროს, ნათქვამია ამ კრების მე-16, მე-17 და მე-18 კანონებში, სახელდობრ: ეს ის კრებაა, რომელიც შედგება მმართველი სამიტროპოლიტო სამთავროს ეპისკოპოსებისგან მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით (რომელსაც განსასჯელი ეპისკოპოსი ექვემდებარება) და რომელსაც სხვაგვარად კიდევ სრული კრება ეწოდება, ჩვეულებრივ, ეს არის ეპარქია, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, ანუ მიტროპოლიტის სამთავრო (სამიტროპოლიტო).

კანონი 4

თუ რომელიმე ეპისკოპოსი, ხარისხიდან განკვეთილი კრების მიერ; ან მღვდელი თუ დიაკონი — თავისი ეპისკოპოსის მიერ, გაკადნიერდებიან აღასრულონ რამე წმინდა მსახურება, ეპისკოპოსი თავისი უწინდელი ჩვეულებისამებრ, და მღვდელიც ან დიაკონიც — ამგვარადვე, მაშინ ესევითარს არც იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ უწინდელ წოდებაში იქნება აღდგენილი სხვა კრებაზე, არც იმისა, რომ დაშვებული იქნება თავის გასამართლებლად. ყველა მისი თანაზიარიც, დაე, განკვეთილ იქნეს ეკლესიიდან, და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეცოდინება რა ზემოთ დასახელებულთა წინააღმდეგ გამოტანილი სასჯელი, გაკადნიერდება თანაზიარება იქონიონ მასთან.

(მოც. 26; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 29; ანტიოქ. 12, 15; სარდ. 3, 4, 5; კართ. 29, 65; ბასილი დიდის 88)

ეს კანონი, აღორძინებს და ავსებს მოციქულთა 28-ე კანონს და მიზნად ისახავს უსრულველყოს და განამტკიცოს კრებისა და ეპისკოპოსის სასამართლო ხელისუფლება: კრების, როდესაც ეპისკოპოსს ასამართლებენ, და ეპისკოპოსისა — როდესაც იგი ასამართლებს მღვდელს, დიაკონს და სხვა კლირიკოსს. ამასთან, კანონი განაწესებს, რომ თუ ეპისკოპოსი, კანონიერად გასამართლებული და განკვეთილი, — ანუ კრების მიერ, — მღვდელი და დიაკონი კი თავისი ეპისკოპოსის მიერ, გაკადნიერდება და კვლავ ჩაატარებს რამე წმინდა მსახურებას, მაშინ ასეთი განკვეთილი პირი კარგავს ყოველგვარ უფლებას აპელაციით მიმართოს გამართლებისა და თავდაცვისათვის უმაღლეს სასამართლოს და, ამასთან, აღარ რჩება

მას უკვე წინანდელ ადგილზე დაბრუნების არანაირი საშუალება. იგივე განაჩენს კანონი ავრცელებს ყველა იმ პირზეც, ვინც იცოდა რომელიმე სამღვდელო პირის მიმართ გამოტანილი განაჩენი და, მიუხედავად ამისა, მაინც შევიდა მასთან თანაზიარებაში და კანონიერად ჩათვალა ის, რისი მოქმედებაც მას აკრძალული ჰქონდა. ამ კანონში მოხსენიებული წმინდა მსახურება (священная служба, λειτουργία, ლიტურგია, საერთო საქმე, საზოგადო მსახურება), არ უნდა გავიგოთ როგორც მღვდელმოქმედება ამ სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობით: წირვა (ἱερουργίαν) ანუ უსისხლო მსხვერპლის შეწირვა; არამედ იგულისხმება ყველა ის მოქმედება, რასაც მოიცავს ამ პირის მდგომარეობა საეკლესიო იერარქიაში და ყოველივე ეს მას ეკრძალება იმის შედეგად, რომ სასჯელად განკვეთა გამოუტანეს.

თუკი ეპისკოპოსი ან სხვა რომელიმე სასულიერო პირი მის მიმართ სასამართლო განაჩენს არასწორად მიიჩნევს, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მიმართოს სხვა, უმაღლეს სასამართლოს ანუ – როგორც ეს მოციქულთა მე-12 კანონშია ნათქვამი – დიდ კრებას, მოითხოვოს თავისი საქმის ხელმეორედ გადასინჯვა და ახალი განაჩენის გამოტანა. მაგრამ ვიდრე ეს უმაღლესი სასამართლო თავის განაჩენს გამოიტანს, ბრალდებული რჩება იმ სასჯელის ქვეშ, რომელიც მას დაბალი რანგის სასამართლომ გამოუტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოელის წინამდებარე კანონით განსაზღვრული სასჯელი (შდრ. კართ. 29; სარდ. 14).

ეს კანონი განუწესებს სასჯელს ეპისკოპოსს, მღვდელსა და დიაკონს, რომლებიც განკვეთის მიუხედავად, მაინც ასრულებენ რომელიმე ისეთ სამღვდელო მოქმედებას, რომელსაც მანამდე ასრულებდნენ და ახლა უკვე აკრძალული აქვთ. ამასვე ამბობს მოციქულთა 28-ე კანონიც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე კანონი არ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება თვით იმ სამღვდელო მოქმედების მიმართ, რომელიც განკვეთილმა პირმა შეასრულა, და რა მნიშვნელობას იძენს საკუთრივ ეს ქმედება იმ პირთათვის, ვისთვისაც ან ვისზეც იქნა ის შესრულებული. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველია იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კანონიერად განკვეთილი ეპისკოპოსი და, ამდენად, ახლა უკვე ერისკაცი, ახდენს ხელდასხმას სასულიერო დასის კანდიდატზე მღვდლად ან დიაკვნად ისე, როგორც ამას განკვეთამდე აკეთებდა. ვინაიდან კანონი ამ საკითხს არ ეხება, ამიტომ ეს ისეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობასაც იძლევა, რომლის თანახმადაც განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ ხელდასმული მღვდელი ან დიაკონი მაინც შეიძლება ჩაითვალოს ხელდასხმულად ზუსტად ისე, როგორც ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა, მისი კურთხევა რომ კანონიერ და სრულუფლებიან ეპისკოპოსს მოეხდინა. ეს საკითხი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ წამოჭრილა არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ ეკლესიის საეკლესიო-კანონიკურ პრაქტიკაში, რამეთუ ყველასათვის სავსებით ცხადი იყო, რომ ასეთ ხელდასხმას არ უნდა ჰქონოდა არც კანონიკური და არც დოგმატური ძალა. ეს საკითხი პირველად წამოიჭრა დასავლურ ეკლესიაში VII საუკუნეში და მის შესახებ დავა დიდი ხანი გაგრძელდა, თითქმის XI-XII საუკუნეებამდე, როდესაც საბოლოოდ გადაწყდა იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ხელდასხმა უნდა იქნეს აღიარებული იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას უკანონოდ ჩაატარებს განკვეთილი ეპისკოპოსი. ეს ჩამოყალიბდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეკლესიო სამა-

რთლის სწავლებად, რომელიც აღნიშნულ ეკლესიაში დამტკიცდა ტრიდენტის კრების შემდეგ, როცა კანონმა მღვდლობის განუმეორებლობის შესახებ, – რომელსაც **ნეტარი ავგუსტინე** თავის დროზე მღვდლობის საიდუმლოს წარუხოცელი თვისებით ასაბუთებდა, – მიიღო ძალა, რომლის თანახმადაც, კანონიერად ქიროტონირებული ეპისკოპოსის *ყველა ქმედება*, ინარჩუნებს თავის შინაგან ძალას (მადლს) იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეპისკოპოსმა ის თავისი განკვეთის, ან განდგომის (აპოსტასიის) შემდეგ ჩაატარა. ამ სწავლების თანახმად, რომელიც ფორმულირებული და დამტკიცებული იქნა XVI საუკუნეში რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში, გამოდის, რომ მღვდლობის საიდუმლო, რომელიც გარკვეულმა პირმა ხელდასხმით მიიღო, მის სულში სულიერების ისეთ ბეჭედს ტოვებს ან ისეთ თვისებას, რომელიც ვერასოდეს წარიხოცება ამ ადამიანში, რაგვარი დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან და რაგვარი სიმძიმისაც არ უნდა იყოს ის სასჯელი, რომელიც მან დაიმსახურა, რამეთუ მასში, ნათლისღების ბეჭედის მსგავსად, სამუდამოდ რჩება მღვდლობის ბეჭედი და ის ვერასოდეს გახდება ერისკაცი. ამის გამო, კანონიერი სინოდის მიერ განკვეთილი და ერისკაცობაში გადასული ეპისკოპოსი, არსებითად მაინც არ არის განკვეთილი, რადგან მასში სულიწმიდის წარუხოცელი მადლი მკვიდრობს და ამიტომ ყოველივე, რასაც ეს განკვეთილი ეპისკოპოსი აღასრულებს მასში მარადიულად მყოფი მადლის ძალით, ყოველივე, თუნდაც უკანონო, თავისთავად კანონიერ ძალას იძენს. აქედან გამომდინარე, ასეთი ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმული მღვდელი ეკლესიამ ისევე უნდა აღიაროს, როგორც იმ შემთხვევაში აღიარებდა, მისი კურთხევა რომ ყველაზე ღირსეულ ეპისკოპოსს ჩაეტარებინა.

აღმოსავლეთ ეკლესიაში საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა კანონიერი ძალა განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ შესრულებულ ხელდასხმას, უკანასკნელ დრომდე არ წამოჭრილა, მაგრამ ბოლო ხანებში ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, და რადგან გამოთქმული იყო ისეთი აზრიც, რომ ასეთი ხელდასხმა ნამდვილია იმის საფუძველზე, რომ ეპისკოპოსი, თუნდაც განკვეთილი, მაინც ატარებს თავის თავში იმ მადლს, რომელიც მან ქიროტონიის გზით მიიღო, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ გადმოგვეცა რომაულ-კათოლიკური საეკლესიო სამართლის სწავლება ამ საკითხის შესახებ. აღმოსავლეთში მოხსენიებული მოსაზრება გამოითქვა 1874 წელს, როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დადგა საკითხი იქაური მღვდლების ხელდასხმის ნამდვილობის შესახებ, რომელთა ქიროტონია აღსრულებული იყო ბულგარელი ეპისკოპოს-ეგზარქოსების მიერ, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სინოდის აზრით განკვეთილები იყვნენ. საკითხი არაერთხელ განიხილეს საპატრიარქო სინოდში 1874-1881 წლებში, მაგრამ ვერანაირ საბოლოო დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ამიტომ ისეთი აზრი რჩებოდა, თითქოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შესაძლებლად მიაჩნდა ისეთი ხელდასხმის აღიარება, რომელსაც განკვეთილი ეპისკოპოსი აღასრულებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოვიყვანოთ განუყოფელი ეკლესიის სწავლება.

პავლე მოციქულის ქადაგების საფუძველზე, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ეპისკოპოსი იმისათვის, რომ წმინდა საიდუმლოებებში საღვთო მადლის გადაცემისას შუამავლობა შეასრულოს, **წმინდა კვიპრიანე კართაგენელი** ამ-

ბობს, რომ ეპისკოპოსი, ისევე, როგორც სხვა მღვდელმსახური, აუცილებელია, რომ არაფრით იყოს შებილწული: „მღვდლებსა და ეკლესიის მსახურებს, რომლებიც საკუთარ თავს საკურთხეველსა და საიდუმლოებებს უძღვნიან, სიწმინდესა და უბიწოებაში მართებთ ყოფნა", – წერს იგი ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში; თანაც, კატეგორიულად უარყოფს მძიმე ცოდვაში მხილებული და ამისთვის ეკლესიის მიერ გასამართლებული ეპიკოპოსის ან, საერთოდ, მღვდელმსახურის მიერ რამენაირი სამღვდელო მოქმედების შესაძლებლობას. წმინდა კვიპრიანე გვასწავლის, რომ ღვთის საიდუმლოებებში აკურთხებს არა ეპისკოპოსი, არამედ სულიწმიდა და ამიტომ, ვისაც უკვე არა აქვს თავისთავში სულიწმიდის მადლი, იმას თავისთავად არ შეუძლია ეს მადლი სხვებს გადასცეს. თავის სხვა ეპისტოლეში, იგი წერს: „რადგან ნათქვამია, ***„ცოდვილისაჲ არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკუეთუ ვინმე არნ ღმრთის-მსახურ და ნებასა ღმრთისასა ჰყოფენ"*** (ინ. 9, 31). მაშ, ვის შეუძლია გასცეს ის, რასაც თვითონ არ ფლობს, ან რაგვარად შეუძლია სულიწმიდის საქმენი აღასრულოს იმან, ვინც თავად განუდგა სულიწმიდას?" კიდევ ერთ თავის ეპისტოლეში საუბრობს იმათ შესახებ, ვინც მძიმე ცოდვაში ჩავარდა, ამის შედეგად სულიწმიდის მადლი დაკარგა და ამის გამო ხარისხი აეყარა, და თვლის, რომ არამცთუ მათ მიერ ჩატარებული ხელდასხმა, არამედ ლოცვაც კი არ შეიწირება მათგან: „არავის ეხმარება უფალი იმის ლოცვებით, ვინც უფალი თავად განარისხა". წმინდა კვიპრიანეს ეს მოძღვრება მთელმა ეკლესიამ მიიღო და აღმოსავლურ ეკლესიაში მას ყოველთვის ჰქონდა კანონის ძალა, როგორც ჰქონდა მას ეს ძალა, ზოგადად, დასვლურ ეკლესიაში XVI საუკუნემდე. ამის კლასიკურ მაგალითს ვხედავთ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელზედაც განკვეთეს იბა, ედესელი ეპისკოპოსი, სხვათა შორის იმისთვისაც, რომ მხილებული იყო სიმონიურ ხელდასხმაში. ასეთ ხელდასხმებთან დაკავშირებით მიიღეს განსაკუთრებული კანონი (მე-2): ხელდასხმისათვის სიმონიაში მხილებული ეპისკოპოსი ხარისხიდან უნდა განიკვეთოს; რაც შეეხება თვით ხელდასხმას, მას არ გააჩნია არანაირი – არც სულიერი და არც იურიდიული – ძალა და ასეთი ხელდასხმის მიმღებელი „ნაყიდი ხელდასხმისა და დადგინების გარეშე დარჩეს". ეს ეხება ხელდასხმას, რომელიც ეპისკოპოსმა ჩაატარა, სანამ ის ხარისხში იყო ჯერ კიდევ გასამართლებამდე. აქედან, ამ შედეგის მაგალითზე, თავისთავად ცხადია, რომ ასეთივე ხასიათს იძენს ყველა სხვა ხელდასხმა, რომელიც ამა თუ იმ დანაშაულისათვის გასამართლებულმა ეპისკოპოსმა შეასრულა. წმინდა **გრიგოლ დიოლოღოსი,** 694 წლის ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში საუბრობს განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ ჩატარებული ქირიტონიის შესახებ და ამბობს: „არ შეიძლება ხელდასხმა ეწოდოს იმას, რაც შესრულებული იყო ხარისხიდან განკვეთილი პირის მიერ". ხოლო, ეს რომ წმინდა გრიგოლის კერძო აზრი არ იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს მოსაზრება ცალკე კანონადაა შეტანილი დასავლეთის საერთო კანონიკურ კრებულში. მსგავსადვე გამოთქვამს **კონსტანტინოპოლის პატრიაქი ტარასიც,** რომელიც არ აღიარებდა განკვეთილი ეპისკოპისის მიერ ჩატარებულ ხელდასხმას, განსაკუთრებით, თუ ის სიმონიისთვის იყი ხარისხაყრილი, „რადგან, – *ამბობს,* – ასეთებს სულიწმიდის მადლი არ გააჩნიათ", ანუ ზუსტად იმას, რაც ნათქვამია ტრულის კრების 21-ე კანონში. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტი,

ერთ-ერთ თავის თხზულებაში სპეციალურად იხილავს საკითხს იმ პირების მიერ ჩატარებულ ხელდასხმასთან დაკავშირებით, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მართლ-მადიდებელ ეკლესიას. ამ თხზულებაში იგი მრავალ ერეტიკოსსა და სქიზმატიკო-სს მოიხსენიებს, რომელთა მიერ შესრულებული ხელდასხმა გარკვეულ პირობებში შეიძლება აღიარებული იყოს, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ეხება საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა აღიარებულ იქნეს განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ შესრულებული ხელდასხმა, თუმცა თვით ასეთ პირებს საკითხის განხილვისას მოიხსენიებს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კანონი არაფერს ამბობს იმასთან მიმართებით, შეიძლე-ბა თუ არა განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ აღსრულებული ქიროტონია ეკლესიამ აღიაროს, მაგრამ არის რამდენიმე ისეთი კანონი, რომლებსაც შეუძლიათ ირიბად დაამტკიცონ ის აზრი, რომ მსგავსი ქიროტონია არაფრით შეიძლება ჭეშმარიტად ჩაითვალოს. ასე, მაგალითად, სარდიკის კრებაზე (343 წელი), განიხილებოდა ვინმე ევტიქიანესა და მუსეის საკითხი, რომლებმაც მიითვისეს ეპისკოპოსობის უფლება და სხვადასხვა ადგილებში რამდენიმე პირი მღვდლად აკურთხეს. კრების ზოგი-ერთი წევრის აზრით, ეს მღვდლები უნდა ეღიარებინათ, რადგან „ისინი არაფერში არიან დამნაშავენი", ანუ დამტკიცებულ იქნა, რომ სამღვდელო კანდიდატებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ამ ეპისკოპოსებს ხელდასხმის უფლება არ ჰქონდათ. მიუხედავად ამ არგუმენტისა, კრება არ დათანხმდა ასეთი ლმობიერება გამოეჩინა მოხსენიებული მღვდლების მიმართ, რადგან გამოვიდა იმ პრინციპიდან, რომ არავის შეუძლია მისცეს სხვას ის, რაც თავად მას არ გააჩნია, და ვინაიდან ევტექიანე და მუსეი არ იყვნენ კანონიერი ეპისკოპოსები, ამიტომ, შესაბამისად, არავისი კურთხევა მათ არ შეეძლოთ, იმიტომ რომ, კანონიერ მღვდლად შეიძლება მხოლოდ იმ პირის აღიარება, რომელიც სრულუფლებიანი ეპისკოპოსის მიერ არის ხელდასხმული. თუ კი ეს სრულუფლებიანი ეპისკოპოსი ამის შემდეგ რამე დანა-შაულისთვის განკვეთეს, რომელ დანაშაულშიც მის მიერ ხელდასხმული მღვდლე-ბი შემჩნეულნი არ ყოფილან, მაშინ ეს მღვდლები რჩებიან კანონიერ და ჭეშმარიტ მღვდელმსახურებად. სწორედ, ეს დასკვნა გამოჰყავთ **ზონარასა** და **ბალსამონს** თავის კომენტარებში სარდიკის კრების მე-19 კანონზე, როგორც საერთო კანონ-იკური ნორმა.* აქედან, ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ თუ რომელიმე ეპისკო-პოსი თავისი განკვეთის შემდეგ მოახდენს ვინმეს მღვდლად კურთხევას, მაშინ ასეთი პირი არამცთუ მღვდელი ვერ გახდა, არამედ ვერც ვერავითარ უფლებას მოიპოვებს სამღვდელო იერარქიაში, ვინაიდან ვისაც უნდა მიეცა მისთვის ეს უფლება, მას უკვე თავად ჰქონდა ის ჩამორთმეული.

სარდიკის კრებიდან მოყვანილი მაგალითის მსგავს შემთხვევას, ჩვენ შემდგომში ვხვდებით II მსოფლიო კრებაზე. ვინმე ეგვიპტელი ფილოსოფოსი მაქსიმე, კონ-სტანტინოპოლში არასწორად იყო აყვანილი ეპისკოპოსის ხარისხში, რაც კონკრე-ტულად იმაში გამოიხატებოდა, რომ ის, მართალია, ყოველმხრივ კანონიერმა ეპისკო-პოსებმა აკურთხეს, მაგრამ მათ ამის უფლება არ ჰქონდათ კონსტანტინოპოლის ეკლესიაში, რადგან არ გააჩნდათ ამ ეკლესიაში იურისდიქცია, რამეთუ მიეკუთვნებოდ-

*ათენის სინტაგმა, III, 276.

ნენ სხვა (ალექსანდრიის) ეკლესიას. გახდა რა არასწორი გზით ეპისკოპოსი, მაქსიმემ, თავის მხრივ, რამდენიმე კლირიკოსს დაასხა ხელნი. აღნიშნულმა კრებამ განიხილა ეს საქმე და თავისი მე-4 კანონით გამოაცხადა მაქსიმე ეპისკოპოსობის უღირსად, ხოლო მის მიერ შესრულებული დადგინებები – გაუქმებულად.

მოხსენიებული კანონებიდან დამოუკიდებლად, ეს მტკიცდება, აგრეთვე, იმ კანონიკური კავშირის საფუძველზე, რომელიც არსებობს სულიერ ხელმწიფებასა და ხელდასხმის საიდუმლოს შორის. მღვდლობის საიდუმლოს შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სწავლებით, რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი სულიერი მხარე (დასადგინებელი პირისთვის საღვთო მადლის გადაცემა), იმდენადვე მნიშვნელოვანია მისი იურიდიული მხარეც, ანუ ის სულიერი ხელმწიფება, რომლის მეშვეობითაც ეს მადლი გარდამოდის სამღვდელო კანდიდატზე. ეს ხელმწიფება არის საჯარო უფლებამოსილებაში, და როდესაც ის ვინმეს ეძლევა, ანუ ხდება სულიერი ხელმწიფების ჩაბარება (შდრ. მთ. 10, 1; საქმ. 8, 16, 19) ამით იგი (სულიერი ხელმწიფება) იძენს საჯარო უფლებამოსილების საზეიმო აქტის სახეს. სანამ გარკვეული პირი ამ ხელმწიფებას ფლობს, მას შეუძლია სრულუფლებიანად იმოქმედოს მისით და მის მიერ ამ სულიერი ხელმწიფების ძალით აღსრულებული ქმედებები კანონიერი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს პირი შეძლება იყოს ბიწიერი და არ იყოს სასულიერო ხელისუფლების ღირსი. მისი უღირსობა, თავისთავად არ ართმევს მას ხელისუფლებას, არამედ შეუძლია მხოლოდ მიზეზი აღმოჩნდეს იმისა, რომ ის სასულიერო ხელისუფლებიდან დაითხოვონ, ანუ ჩამოართვან სულიერი ხელმწიფება. ჩამორთმევა კი, ასევე, შეიძლება მხოლოდ საჯარო უფლებამოსილების საზეიმო აქტით – (სხვა ეპისკოპოსების) სულიერი ხელმწიფებით, რომლის ძალითაც უქმდება მისთვის მინიჭებული უფლება (მიბარებული სულიერი ხელმწიფება), ყველა მისი იურიდიული უპირატესობით, და განსაკუთრებით უქმია და ძალას მოკლებული მის მიერ მომავალში ჩატარებული ნებისმიერი სამღვდელო ქმედება. ამიტომ, თუკი ეპისკოპოსმა დაიწყო მწვალებლობის ქადაგება ან განხეთქილებისათვის საზოგადოების ორგანიზება, ის ამის გამო ჯერ კიდევ არ კარგავს ხელდასხმის უფლებას, მაგრამ თუ მას ამისათვის ან სხვა რამე მძიმე დანაშაულისთვის კრება გაასამართლებს და საბოლოოდ განკვეთს თავისი ხარისხიდან, ის დაკარგავს ყველა იერარქიულ უფლებას, რადგან, ამით, უკვე, კარგავს მღვდლობის მადლს და ამ მადლის სხვისთვის გადაცემის შუამავლობის უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უკვე არავის დადგინება აღარ შეუძლია, რადგან განკვეთა, – ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, საბოლოო განკვეთას, – არის ის კანონიკური აქტი, რომლის თანახმადაც გარკვეული პირი კარგავს თავის აქამდე კუთვნილ წმინდა უფლებას და იქცევა ერისკაცად იგივე უფლებებით, როგორიც მას ხელდასხმამდე ჰქონდა. მღვდლობის „წარუხოცელი თვისების“ საფუძველზე რომ მოენდომებინათ კანონიერად განკვეთილი ეპისკოპოსისათვის ხელდასხმის უფლების შენაჩუნება, მას მაინც არ ექნებოდა იურიდიული ძალა იმ პირისთვის, ვინც ის მიიღო, რადგან ამ ხელდასხმით ვერ მიიღებდა იმას, რაც კანონიერი ხელდასხმის შედეგს წარმოადგენს და, შესაბამისად, იურიდიული მნიშვნელობით ეკლესიასთან იმავე დამოკიდებულებაში რჩება, როგორიც ჰქონდა თავის უკანონო ხელდასხმამდე. რაიმე სასულიერო-იერარქიული ქმედების სისწორისა და კანონიერებისათვის, აუცილებე-

ლია, რომ პირი, რომელმაც ეს ქმედება უნდა აღასრულოს, მიეკუთვნებოდეს კანონიერ იერარქიას, ანუ იყოს ამ ქმედების უფლებით მოსილი. შესაბამისად, ვინც უკვე აღარ მიეკუთვნება აღნიშნულ იერარქიას, მას არ შეუძლია ისარგებლოს და სხვებს გადასცეს ის უფლებები, რაც მას ჩამოერთვა. ტრულის კრების 21-ე კანონი ბრძანებს ყველა იმ ეპისკოპოსის ხარისხიდან განკვეთას და ერისკაცთა რიგში გადაყვანას, ვინც მძიმე დანაშაულში იქნება მხილებული, ხოლო მოციქულთა 28-ე კანონი, ანტიოქიის კრების ამ კანონის მსგავსად, განაწესებს, რომ ასეთი ყოფილი ეპისკოპოსი ეკლესიასთან თანაზიარებიდანაც განიკვეთოს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ის ეპისკოპოსობისაგან განკვეთის შემდეგ ისეთ სამღვდელო ქმედებას ჩაატარებს, რომლის ჩატარების უფლებაც მას ადრე, ეპისკოპოსად ყოფნისას ჰქონდა, მაშინ ის ეკლესიის წევრობიდანაც იკვეთება. შეიძლება, განა, ამის შემდგ ვივარაუდოთ, რომ რამეს, ამ პირის მიერ გადაცემულს, რომელსაც თავადაც არ ფლობს, ჰქონდეს იურიდიული ძალა? რა თქმა უნდა არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე სულიერი ძალა ეგრეთ წოდებული მღვდლობის საიდუმლოს წარუხოცელი თვისების საფუძველზე. რაც შეეხება მღვდლობის საიდუმლოს „წარუხოცელ თვისებას", მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს საიდუმლო არ შეიძლება ერთი და იგივე ხარისხში განმეორდეს ერთი და იმავე პირზე (შდრ. კართ. 29; სარდ. 14).

კანონი 5

თუ რომელიმე მღვდელი ან დიაკონი, უგულებელყოფს რა თავის ეპისკოპოსს, თავად განიყენებს თავს ეკლესიისაგან და საგანგებო შეკრებების აღსრულებას დაიწყებს და საკურთხეველს აღმართავს, ხოლო ეპისკოპოსისაგან მოწოდებული, არ დაემორჩილება მას და არ ისურვებს მისი ისმინოს, და იქნება რა მოწოდებული მის მიერ ერთგზის და ორგზის, არ შეისმენს, – ესევითარი, დაე, სრულიად განიკვეთოს თავისი ხარისხიდან; იგი არ შეიძლება დაშვებულ იქნეს მსახურებისათვის და არც უწინდელი პატივის დაბრუნება შეიძლება მისთვის. ხოლო თუ გაჯიუტდება, შფოთს მოაწყობს ეკლესიაში და აღდგება მის წინააღმდეგ, მაშინ როგორც მეამბოხე, დაშოშმინებულ იქნეს სამოქალაქო ხელისუფლების მიერ.

(მოც. 31; II მსოფ. 6; III მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ღანგ. 6; სარდ. 14; კართ. 11, 13, 15; ბასილი დიდის 1)

იხილეთ მოციქულთა 31-ე კანონის განმარტება, რომელიც ანტიოქიის ამ კანონში მეორდება. ერთადერთი რაც აქ დამატებულია, ეს არის ის, რომ განკვეთილი დამნაშავე გადაეცემა სამოქალაქო ხელისუფლებას, რომელიც მას დასჯის, როგორც მეამბოხეს. ეს კანონიკური განწესება მეტად საყურადღებოა, რამეთუ აჩვენებს, რომ სამოქალაქო ხელისუფლებას არ შეუძლია დასაჯოს არც ერთი მღვდელი ან დიაკონი, სანამ ის სასულიერო ხარისხშია; ეს მხოლოდ ეკლესიას შეუძლია თავისი საშუალებებით (ამის შესახებ იხ. მოციქულთა მე-5 კანონის განმარტება). როდესაც ეკლესიის სასჯელი უშედეგოა, მაშინ საეკლესიო ხელისუფლება მას ხარისხი-

დან განკვეთს და დამნაშავე პირი გადაჰყავს ერისკაცთა რიგში, რის შემდეგაც მას უკვე სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცემს, რომელიც მას სჯის როგორც ერისკაცს და არა როგორც სასულიერო პირს. ასეთი კანონიკური განწესების საფუძველი დევს თვით სასულიერო წოდების ცნებასა და სასულიერო პირის მნიშვნელობაში, ვიდრე ის ხარისხში იმყოფება. რამდენადაც დიდად მნიშვნელოვანია ეს კანონიკური განწესება მღვდლებისა და დიაკვნებისათვის, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია იგი ეპისკოპოსებისათვის, რომლებიც უბედურმა შემთხვევამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ საჭირო გახდა დასასჯელად მათი გადაცემა სამოქალაქო ხელისუფლებისათვის. ამის შესახებ ჩვენ ვსაუბრობთ კართაგენის 48-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 6

თუ ვინმე განყენებული იქნება თავისი ეპისკოპოსის მიერ საეკლესიო ერთობისაგან, — ესევითარს მანამდე ნუ მიიღებს სხვა ეპისკოპოსი თანაზიარებაში, ვიდრე მას თავისი ეპისკოპოსი არ შეიწყნარებს, ანდა როცა კრება შედგება და ის, იქ წარმდგარი, თავს გაიმართლებს და დაარწმუნებს რა კრებას, მისგან გამართლებას მიიღებს. იგივე განწესება იქნეს დაცული ერისკაცების, მღვდლების, დიაკვნებისა და ყველას მიმართ, ვინც კი საეკლესიო დასის წევრია.

(მოც. 12, 13, 16, 32; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; სარდ. 13; კართ. 11, 29, 133; სოფ. 1)

იხილეთ მოციქულთა 32-ე კანონის განმარტება.

კანონი 7

უცხოთაგან არავინ იქნეს მიღებული სამშვიდობო ეპისტოლეს გარეშე.

(მოც. 12, 13, 32, 33; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17; ანტოქ. 8, 11; ლაოდ. 41, 42; სარდ. 7, 8, 9; კართ. 23, 106)

IV მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტებაში ნათქვამია, თუ რას ნიშნავს ამ კანონში მოხსენიებული სამშვიდობო ეპისტოლე.

კანონი 8

სოფლის მღვდლები არ აგზავნიან კანონიკურ ეპისტოლეებს, მხოლოდ წერილის გაგზავნა შეუძლიათ მეზობელი ეპისკოპოსებისადმი. ხოლო უმწიკვლო ქორეპისკოპოსები, დაე, სამშვიდობო ეპისტოლეებს გასცემდნენ.

(მოც. 12, 13, 33; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17; ანკირ. 13; ანტოქ. 10; ლაოდ. 42, 57; კართ. 32, 106)

კანონიკური ეპისტოლე ეწოდება ყველა ოფიციალურ მოწმობას, რომელიც გარკვეულ პირს ეძლევა მმართველი სასულიერო ხელისუფლების მიერ. მოციქულთა

მე-12, IV მსოფლიო კრების მე-11 და ტრულის კრების მე-17 კანონების განმარტებებში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ კანონებში მოიხსენიება სამი სახის ეპისტოლე, რას აღნიშნავს თითოეული მათგანი და რა შემთხვევაში გაიცემიან. კანონიკური ეპისტოლეს გაცემის უფლება აქვს მმართველ ეპისკოპოსს. რაც შეეხება ქორეპისკოპოსებს, კანონი აღნიშნავს, რომ მათ მხოლოდ სამშვიდობო ეპისტოლეს გაცემის უფლება აქვთ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად არიან უმწიკვლონი. სხვაგვარად ისინი ამას ვერ გააკეთებენ. სოფლის მღვდლებს კანონი უკრძალავს კანონიკური ეპისტოლეების გაცემას. სოფლის მღვდლებში არ უნდა ვიგულისხმოთ ჩვეულებრივი მღვდლები, რომლებიც სოფლის სამრევლოებში მსახურობენ, რადგან მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ არ მოიხსენიებს კანონი ქალაქის მღვდლებს, რომლებიც, როგორც ვიცით, უპირატესობას ფლობენ სოფლის მღვდლებთან მიმართებით. კანონში მოხსენიებული მღვდლების შესახებ არისტინე, ამ კანონის განმარტებაში ამბობს, რომ ისინი იყვნენ უპირატესნი სოფლის მღვდლებს შორის, ბალსამონი მათ პროტოპაპებს (პროტოპრესვიტერებს, πρωτοπαπάδες)* უწოდებს. რუსულ ეკლესიაში მათ „ბლაგოჩინებს“ უწოდებენ. შესაბამისად, ეს სოფლის უფროსი მღვდლები, როგორც ჩანს, ამ კრებამდე გასცემდნენ კანონიკურ ეპისტოლეებს, კანონი კი ამას არაკანონიერ ქმედებად აფასებს და შემდგომში მათ უკრძალავს ასეთი ეპისტოლეების გაცემას. თუკი რომელიმე კლირიკოსი მეზობელი ეპისკოპოსის სამთავროში მოისურვებს გადასვლას, მაშინ მოხსენიებულ მღვდლებს უფლება აქვთ გაუგზავნონ ამ მეზობელ ეპისკოპოსს თავისი შეფასება ანუ ჩვეულებრივი წერილი (ἐπιστολήν, ეპისტოლე), რომლითაც დაამოწმებენ, რომ აღნიშნული პირის პიროვნება, როგორც კლირიკოსის, მათთვის ცნობილია და წერენ ერთგვარ დახასიათებას. ასეთ წერილებს არ ჰქონდათ ფორმალური კანონიკური ეპისტოლეების მნიშვნელობა, რადგან კანონიკური ეპისტოლეების გაცემა, კანონის თანახმად, მხოლოდ მმართველ ეპისკოპოსებს შეუძლიათ ან მათი კურთხევით — ქორეპისკოპოსებს.

კანონი 9

ყოველ სამთავროში ეპისკოპოსები უნდა სცნობდნენ სამიტროპოლიტოში მმართველ ეპისკოპოსს, რომელსაც მთელ სამთავროზე მზრუნველობა აქვს დაკისრებული, რადგან სამიტროპოლიტოში თავს იყრიან სხვადასხვა საქმეზე ყველა მხრიდან ჩამოსულები. ამიტომ განვაწესებთ, რომ იგი პატივითაც უპირატესი იყოს და სხვა ეპისკოპოსებმაც მის გარეშე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არაფერი მოიმოქმედონ, — ჩვენი მამების მიერ ძველთაგანვე მიღებული წესისამებრ, — გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც მხოლოდ თითოეული მათგანის ეპარქიასა და მათ საზღვრებში არსებულ დაბა-სოფლებს ეხება. რამეთუ ყოველ ეპისკოპოსს თავის ეპარქიაში აქვს ხელმწიფება, და დაე, განაგებდეს კიდეც მას თითოეულისათვის შესაფერისი წინდახედულობით, და მთელ იმ მხარეზეც იზრუნოს, რომელიც მის

*ათენის სინტაგმა, III, 40.

ქალაქზეა დამოკიდებული; დაადგინოს მღვდლები და დიაკვნები, და ყველა იქაური საქმე გონივრულად განაგოს. ხოლო ამის ზევით ნურაფრის ქმნას ნუ განიზრახავს სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსის (მიტროპოლიტის) გარეშე; ასევე, ესეც (მიტროპოლიტი) — ეპისკოპოსთა თანხმობის გარეშე.

(მოც. 34; I მსოფ. 4, 6, 7; II მსოფ. 2, 3; III მსოფ. 8; IV მსოფ. 28; ტრულ. 36, 39)

ეს კანონი წარმოადგენს მოციქულთა 34-ე კანონის დამატებას და უფრო დაწვრილებით მოიხილავს მასში განხილულ საკითხს. მოციქულთა კანონში ნათქვამია, რომ ყოველი ერის ეპისკოპოსი, ანუ ეპისკოპოსები თითოეული ცალკეული **ადგილობრივი ეკლესიისა,** თავის უხუცესად (უპირატესად) უნდა მიიჩნევდნენ იმ ეპისკოპოსს, რომელსაც მათ შორის პირველი (მთავარი) კათედრა უპყრია. ანტიოქიის წინამდებარე კანონში იგივეა გამოხატული, ოღონდ სხვა სიტყვებით — შესაბამისობაში პირველი მსოფლიო კრების შემდგომ დამტკიცებული ტერმინოლოგიისა საეკლესიო მოწყობის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ თითოეულ ეპარქიაში ეპისკოპოსები უნდა სცნობდნენ სამიტროპოლიტოში მთავარ ეპისკოპოსს, ანუ უნდა აღიარებდნენ და თვლიდნენ უპირატეს მიტროპოლიტად აღებულ **სამიტროპოლიტო სამთავროში.** სამიტროპოლიტო სამთავრო, ეკლესიის ძველ დროში შეესაბამებოდა ადგილობრივ ეკლესიას და თავის შინაგან მოწყობაში სრულიად **დამოუკიდებელი** იყო. ეს მტკიცდება პირველი ოთხი საუკუნის (V საუკუნის პირველ ნახევრამდე) ეკლესიის ისტორიით, როდესაც IV მსოფლიო კრებამ ამასთან დამოკიდებულებით მოახდინა ერთგვარი გადაწყობა, რის შესახებაც **ბალსამონი** მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებაში სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ძველ დროში ყველა ეპარქიის მიტროპოლიტი დამოუკიდებელი იყო და დგინდებოდნენ მხოლოდ თავისი კრებების მიერ.*

კანონი 10

წმინდა კრებამ კეთილად განაგო, რომ დაბებსა და სოფლებში მოღვაწე ეკლესიების წინამძღვრებმა, ანუ ეგრეთ წოდებულმა ქორეპისკოპოსებმა, იცოდნენ თავიანთი ხელმწიფების საზღვრები, — თუნდაც მათ ეპისკოპოსების წესით ჰქონდეთ მიღებული ხელდასხმა, — რომ მხოლოდ თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესიები უნდა განაგონ და ამით შემოიფარგლონ მზრუნველობასა და განკარგულებებში; დაადგინონ წიგნის მკითხველები, იპოდიაკვნები და მაფუცებელნი, და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ამ წოდებათა კურთხევით, ხოლო მღვდლის ან დიაკვნის დადგინებაზე არ გაკადნიერდნენ იმ ქალაქში მოღვაწე ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, რომელსაც ქორეპისკოპოსი და მისი განსაგებელი მხარე ემორჩილება. ხოლო თუ ვინმე გაბედავს ამ განწესების დარღვევას, დაე, იმ პატივსაც მოაკლდეს, რომელიც აქვს. თავად ქორეპისკოპოსი კი დგინდება იმ ქალაქის ეპისკოპოსის მიერ, რომელსაც მისი მხარე ექვემდებარება.

---

*ათენის სინტაგმა, II, 171.

(I მსოფ. 8; VII მსოფ. 14; ანკვ. 13; ნეოკეს. 14; ანტიოქ. 8; ლაოდ. 57; ბასილი დიდის 89)

ქორეპისკოპოსების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ ანკირიის კრების მე-13 კანონის განმარტებაში, სადაც ვნახეთ, რომ ისინი ხშირად ცდილობდნენ მიეთვისებინათ მთავარი ქალაქების ეპისკოპოსების უფლებამოსილება. სწორედ ამის წინააღმდეგ არის მიღებული წინამდებარე კანონი, რომელიც დაწვრილებით განსაზღვრავს ქორეპისკოპოსების სამოღვაწეო ასპარეზს მათი მსახურების ადგილებში და ქორეპისკოპოსობის პატივის ჩამორთმევით ემუქრება მათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაკადნიერდებიან და გასცდებიან ამ კანონით მათთვის განსაზღვრულ სამოქმედო ფარგლებს.

კანონი 11

თუ რომელიმე ეპისკოპოსი, ან მღვდელი, ანდა საერთოდ, დასის სხვა რომელიმე წევრი, სამთავროს ეპისკოპოსების ნებართვისა და მათ მიერ გაკეთებული კანონიერი ეპისტოლეს გარეშე, და მით უფრო — მიტროპოლიტის ნებართვის გარეშე, გაბედავს მეფესთან მისვლას, ესევითარი, დაე, განყენებულ იქნეს და მოაკლდეს არამხოლოდ თანაზიარებას, არამედ იმ ღირსებასაც, რომელიც ჰქონდა, ვითარცა გაკადნიერებული — ეკლესიის წესების საწინააღმდეგოდ — ჩვენი ღვთისმოყვარე მეფე შესმენით შეეწუხებინა. ხოლო, თუკი ვინმეს აუცილებელი საჭიროება აიძულებს მეფეს მიმართოს, მაშინ ესევითარმა, დაე, მიტროპოლიტისა და თავისი სამთავროს ეპისკოპოსების განხილვითა და ნებართვით მოიმოქმედოს ეს, და სათანადო ეპისტოლეებიც მიიღოს მათგან.

(II მსოფ. 6; სარდ. 7, 8, 9, 21; ანტიოქ. 12; კართ. 104, 106)

უწესრიგობანი, რომლებსაც IV საუკუნის პირველ ნახევარში ეკლესიაში არიანელები და ნახევრადარიანელები ქმნიდნენ, განსაკუთრებით კი იმით, რომ ეს მწვალებელი ეპისკოპოსები და სხვა კლირიკოსები — მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მიერ განკვეთილნი — უშუალოდ მეფეს მიმართავდნენ და მის მფარველობას ეძებდნენ, გახდა ამ კანონის მიღების მიზეზი. ის მკაცრად უკრძალავს ეპისკოპოსებსა და სხვა კლირიკოსებს მეფის სასახლეში გამოცხადებას განსაკუთრებული საჭიროების გარეშე, ამასთან, კანონი განაწესებს, რომ ამ კანონის დამრღვევი არა მხოლოდ განიყენება, არამედ განიკვეთება კიდეც თავისი ღირსებიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ ვინმეს გადაუდებელი საქმე აქვს და აუცილებლად საჭიროებს მეფის სასახლეში მისვლას, კანონი განაწესებს, რომ ეს მან უნდა გააკეთოს მხოლოდ და მხოლოდ მმართველი მიტროპოლიტის ან ეპისკოპოსთა კრების ნებართვით, რომელიც მასზე შესაბამის სიგელს* გასცემს. თუკი რომელიმე ეპისკოპოსი დედაქალაქში იმყოფება სამსახურეობრივი მოვალეობით, მისი ზემდგომი

*სათანადო სახის ეპისტოლე — „განსატევებელი წიგნი“.

ხელისუფლების კურთხევითა და რწმუნებით, ასეთ შემთხვევაში, — *როგორც ბალსამონი აღნიშნავს ამ კანონის განმარტებაში,* — მას არავინ უშლის მივიდეს მეფესთან მის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად და, იმავდროულად, უთხრას რაც ნებავს.*

კანონი 12

თავისი ეპისკოპოსის მიერ ხარისხიდან განკვეთილი მღვდელი ან დიაკონი, ან თუნდაც ეპისკოპოსი, კრების მიერ განკვეთილი, არ უნდა გაკადნიერდეს მეფე შესმენით შეაწუხოს, არამედ, მართებულია მიმართოს ეპისკოპოსთა დიდ კრებას, და ის, რაშიც ჰგონებს რომ მართალია, შესთავაზოს ეპისკოპოსთა უმრავლესობას და მათ მიერ გამოძიებულსა და განჩინებულს დასჯერდეს. ხოლო თუ მათ უგულებელყოფს და მეფეს შეაწუხებს, ესევითარი, დაე, ნუ იქნება ღირსი რაიმენაირი შენდობისა, და ნურც თავის მართლების საშუალება მიეცემა მას, და ნეღარც ხარისხში აღდგენის იმედი ექნება.

(მოც. 28, 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17, 29; სარდ. 7, 8, 9, 14, 21; ანტიოქ. 4, 11, 15; კართ. 29, 65, 104, 105, 106)

მოციქულთა 28-ე კანონისა და, აგრეთვე, ტრულის კრების მე-9 და მე-17 კანონების განმარტებებში, ჩვენ ვისაუბრეთ საეკლესიო-სასამართლო ინსტანციების შესახებ. იგივე საკითხზე საუბრობს წინამდებარე კანონიც და მოიხსენიებს ეპისკოპოსთა კრებას, როგორც უმაღლეს ინსტანციას, რომელსაც შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა პირმა, ვინც უკმაყოფილო იქნება მის მიმართ დაბალი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენით. თავისი ეპისკოპოსის მიერ გასამართლებულ მღვდელს ან დიაკონს შეუძლია მიმართოს ეპარქიალურ კრებას მმართველი მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით, ხოლო ეპარქიალური კრების მიერ გასამართლებულ ეპისკოპოსს, როგორც კანონი ამბობს, შეუძლია მიმართოს **უმაღლეს კრებას**, ანუ ამის რწმუნების მქონე საეკლესიო სამთავროს ყველა ეპისკოპოსისგან შემდგარ კრებას (ანტიოქ. მე-15), რომელიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება გაძლიერებული იყოს მეზობელი სამიტროპოლიტო სამთავროს რამდენიმე ეპისკოპოსით (ანტიოქ. მე-14). ასეთი დიდი წარმომადგენლობითი კრების მიერ გამოტანილი განაჩენი, საბოლოო იყო და მის შემდეგ აღარ რჩებოდა გზა სხვა რომელიმე სასამართლოსათვის მიემართათ. ანტიოქიის კრება ამტკიცებს იმას, რაც დადგენილი იყო ჯერ კიდევ მოციქულთა კანონებით (28-ე და 74-ე), და თავის ყურადღებას იმაზე აჩერებს, რომ ზოგიერთი მღვდელი, დიაკონი და ეპისკოპოსიც კი, უკმაყოფილონი რწმუნებული საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, მიმართავდნენ მეფეს და მისგან ითხოვდნენ შუამდგომლობას გამოტანილი განაჩენის შესაცვლელად. ამ კანონით ანტიოქიის კრება მთელი კატეგორიულობით გმობს მსგავს ქმედებებს და აცხადებს, რომ გამოტანილი განწესების ყველა დამრღვევი პირი ყოველგვარ

*ათენის სინტაგმა, III, 145.

უფლებას კარგავს იქონიოს შემდგომი გამართლების მცდელობა და მიტევების მიღების იმედი. წარმოდგენილ კანონში ლაპარაკია საეკლესიო ხასიათის სასამართლო საქმეებზე და ამგვარი საქმეების გადასაწყვეტად იგი კრძალავს მეფისადმი მიმართვას, ანუ სამოქალაქო სასამართლოსადმი. კანონი სასულიერო პირებს უკრძალავს სამოქალაქო სასამართლოსადმი მიმართვას სამოქალაქო ხასიათის საქმეებთან დაკავშირებითაც და ბრძანებს, რომ ამ სახის საქმეებიც საეკლესიო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუმცა, გამონაკლისი დაშვებულია რაიმე განსაკუთრებული შემთხვევისათვის (იხ. IV მსოფლიო კრების მე-9 კან. და მისი განმარტება).

კანონი 13

ეპისკოპოსთაგან ნურავინ გაკადნიერდება ერთი ეპარქიიდან მეორეში გადავიდეს, ან იქ ვინმე ღვთისმსახურების აღსასრულებლად დაადგინოს, ან სხვებიც თან წაიყვანოს უნებართვოდ, როცა იქ ჩავა იქაური მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსების ეპისტოლარული მიწვევით. ხოლო, თუ ყოველგვარი მიწვევის გარეშე გადავა სხვა ეპარქიაში და, მაშასადამე, წესის დარღვევით, — ზოგიერთთა ხელდასასხმელად და იქ საეკლესიო საქმეთა მოსაწყობად, რაც მის ხელმწიფებაში არ შედის, — ასეთ შემთხვევაში, ყოველივე, მის მიერ აღსრულებული, უქმია; თავად კი, თავისი უწესობისა და უგუნური წამოწყებისათვის, დაე, შესაფერისად დაისაჯოს წმინდა კრების მიერ, რაც ხარისხიდან მის დაუყოვნებლივ განკვეთაში მდგომარეობს.

(მოც. 14, 35; I მსოფ. 15; II მსოფ. 2; III მსოფ. 8; IV მსოფ. 5; ტრულ. 17; ანკვ. 13; ანტიოქ. 21, 22; სარდ. 3, 15; კართ. 48, 54)

იხილეთ მოციქულთა 35-ე კანონის განმარტება.

კანონი 14

თუ რომელიმე ეპისკოპოსი განისჯება რაიმე ბრალდებით და ისე მოხდება, რომ იმ სამთავროს ეპისკოპოსებს უთანხმოება ექნებათ მის გამო: ერთნი უდანაშაულოდ აღიარებენ მას, მეორენი კი — დამნაშავედ, მაშინ ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად, წმინდა კრებას სათნოდ უჩანს, რომ სამთავროს მიტროპოლიტმა მოიწვიოს მახლობელი სამთავროდან ზოგიერთი სხვა ეპისკოპოსი, რომლებიც ხელახლა განიხილავენ საქმეს და აღმოფხვრიან ეჭვებს, რათა მათ ამ სამთავროს ეპისკოპოსებთან ერთად დაამტკიცონ ის, რაც დადგენილი იქნება.

(მოც. 28, 74; II მსოფ. 6; III მსოფ. 1; IV მსოფ. 9, 17; ანტიოქ. 4, 12, 15; სარდ. 3, 4, 15)

ანტიოქიის კრების ზოგიერთი კანონის მიღების მიზანი იყო ეპისკოპოსთა კრების ავტორიტეტის უზრუნველყოფა და განმტკიცება თითოეულ, ცალკე აღებულ სასა-

მართლო საქმეში; განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომლებიც ეპიკოპოსების მიმართ იყო აღძრული (მე-4, მე-12, მე-15). თუკი საჩივარი განიხილებოდა რომელიმე ეპისკოპოსის მიმართ და კრების ყველა წევრი, ანუ ეპარქიის თითოეული ეპისკოპოსი თავიანთ მიტროპოლიტთან ერთად თანახმიერნი იყვნენ და მათი განაჩენი ერთაზროვნების შედეგს წარმოადგენდა, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, განაჩენი შეუცვლელ ხასიათს იღებდა და მის წინააღმდეგ აპელირება შეუძლებელი ხდებოდა (ანტიოქ. მე-15). ხოლო თუ ეპისკოპოსებს შორის ერთაზროვნებას ადგილი არა აქვს და კრების მიერ ბრალდებულ ეპისკოპოსზე საჩივრის განხილვისას მათი შეხედულება განსხვავდება, მაშინ კანონი მიტროპოლიტს განუწესებს სადავო საკითხის გადასაჭრელად მოიწვიოს ახლომდებარე სამთავროებიდან რამდენიმე ეპისკოპოსი – ამა თუ იმ მხარისათვის მათი ხმების მისამატებლად, რის საფუძველზეც კრება უკვე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს და თავისი განაჩენი გამოაქვს. კანონით ეს განიწესება სასამართლოში პირუთვნელობის დასაცავად და განაჩენის სამართლიანობასთან დაკავშირებით ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად.

კანონი 15

თუ რომელიმე ეპისკოპოსი, დადანაშაულებული რაღაც ქმედებებში, განისჯება იმ სამთავროს ყველა ეპისკოპოსის მიერ, და ყველა ისინი თანახმიერად გამოუტანენ მას ერთ სასჯელს, – ესევითარს, დაე, ნუ განსჯიან სხვა ეპისკოპოსები, არამედ მტკიცე იყოს სამთავროს ეპისკოპოსთა ერთაზროვანი გადაწყვეტილება.

(მოც. 28, 74; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17; ანტიოქ. 4, 12, 14; სარდ. 3, 4, 5; კართ. 29, 65; ბასილი დიდის 88)

წინამდებარე კანონი ამბობს, რომ განაჩენი, რომელიც კრებაზე ყველა ეპისკოპოსისა და მათი მიტროპოლიტის მიერ ერთხმად არის მიღებული, – კანონიერად ამ კრებას დაქვემდებარებული რომელიმე ეპისკოპოსის მიმართ საჩივართან დაკავშირებით, – უნდა იყოს მტკიცე და შეუცვლელი. ამით ეს კანონი აკეთებს დამატებას და ასრულებს ამ საკითხის განხილვას, რომელსაც კრება მანამდე შეეხო თავის მე-4, მე-12 და მე-14 კანონებში. მსგავსი განაჩენის შემდეგ, რომელიმე სხვა საამართლოს წინაშე აპელაცია დაუშვებელია.

კანონი 16

თუ რომელიმე უეპარქიო ეპისკოპოსი შეიჭრება ეკლესიაში, რომელსაც ეპისკოპოსი არ ჰყავს და მიიტაცებს მის საყდარს (კათედრას) სრული კრების ნებართვის გარეშე, ესევითარი განკვეთილ იქნეს, თუნდაც იგი მთელი იმ ერის მიერ იყოს არჩეული, რომლის მმართველობაც მან მიიტაცა. სრული კრება კი არის ის, რომელსაც, სხვებთან ერთად, მიტროპოლიტიც ესწრება.

(მოც. 14; I მსოფ. 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 20; ანტიოქ. 21; სარდ. 1, 2, 17; კართ. 48)

ზოგადად, თავისუფალი ეპისკოპოსი კანონებში ეწოდება იმ ეპისკოპოსს, რომელიც კანონიერად არის დადგინებული რომელიმე გარკვეული ეკლესიისათვის, მაგრამ, რომელშიც იგი, რაიმე ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს შესვლას და, მაშასადამე, არ შეუძლია იქ თავისი საეპისკოპოსო მსახურება აღასრულოს. ზუსტად ასევე, დაქვრივებული ეკლესია ეწოდება ისეთ ეკლესიას, რომელსაც იერარქიული მოწყობის თანახმად შეეძლო ჰყოლოდა თავისი ეპისკოპოსი, მაგრამ არ ჰყავს ან მისი გარდაცვალების გამო ან სხვა რამე ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე. წინამდებარე კანონი ლაპარაკობს თავისუფალ ეპისკოპოსზე, რომელიც თვითნებურად იკავებს რომელიმე ეკლესიაში გათავისუფლებულ საეპისკოპოსო კათედრას და იქ იწყებს ეპისკოპოსის უფლებებით სარგებლობას. ასეთი თვითნებური ქმედებისათვის კანონი განაწესებს მისი ხარისხიდან განკვეთას და ამას მოითხოვს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ დაქვრივებული ეკლესიის მრევლი გამოხატავს სურვილს იყოლიოს იგი თავის ეპისკოპოსად. ასეთი აკრძალვის საფუძველი ის არის, რომ გარკვეული ადგილისათვის ეპისკოპოსების გამორჩევისა და დადგინების უფლება უპირველეს ყოვლისა აქვს ეპისკოპოსთა კრებას, თანაც **კრებას სრული შემადგენლობით** და მმართველი მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით. მხოლოდ ასეთი სრული კრების უფლებამოსილებად თვლის კანონი იმის განსაზღვრას, საჭიროა თუ არა მმართველობაში გადაეცეს თავისუფალ ეპისკოპოსს გათავისუფლებული საეპისკოპოსო კათედრა მთელი თავისი იერარქიული უფლებებით.

კანონი 17

თუ რომელიმე ეპისკოპოსი, რომელმაც ეპისკოპოსობის ხელდასხმა მიიღო და განწესებულ იქნა მრევლის სამართავად, არ მიიღებს ამ მსახურებას და არ დათანხმდება წავიდეს მისთვის რწმუნებულ ეკლესიაში, — ესევითარი, დაე, განყენებულ იქნეს საეკლესიო ერთობისაგან, სანამ, იძულებული, მსახურებას არ შეუდგება, ანდა სანამ იმ სამთავროს ეპისკოპოსთა სრული კრება მის შესახებ რაიმე განჩინებას არ გამოიტანს.

(მოც. 36; I მსოფ. 16; IV მსოფ. 29; ტრულ. 87; ანკირ. 18; ანტიოქ. 18; ორგ ზ. 17; კირილე ალექსანდრიელის 1, 2, 3)

კანონი 18

თუ ვინმე, ეპისკოპოსად დადგინებული, არ წავა მსახურებისათვის მისთვის განწესებულ საზღვრებში არა თავისი მიზეზით, არამედ — ან ერის მიერ მისი არმიღების, ანდა სხვა რამ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, — ესევითარი, დაე, მონაწილე იყოს საეპისკოპოსო პატივისა და მსახურებისა, მაგრამ ოდნავადაც არ ჩაერიოს იმ ეკლესიის საქმეებში, სადაც იმყოფება და დაელოდეს, თუ რას გადაწყვეტს მის შესახებ იმ სამთავროს სრული კრება მას შემდეგ, რაც მისი საქმე წარედგინება.

(მოც. 36; I მსოფ. 16; IV მსოფ. 29; ტრულ. 37; ანკირ. 18; ანტიოქ. 17; ორგ ზ. 17; კირილე ალექსანდრიელის 1, 2, 3)

ორივე ეს კანონი (მე-17 და მე-18) იმეორებს მოციქულთა 36-ე კანონის განწესებას, რომლის განმარტებაც ამ კანონების განმარტებასაც ემსახურება. ორივე მათგანი ამატებს მხოლოდ იმას, რომ საბოლოოდ, ეპისკოპოსის საქმის გადაწყვეტა, რომელსაც არ სურს ჩაიბაროს მისთვის განწესებული საეპისკოპოსო კათედრა, ან რომელსაც არ იღებს მისთვის მინდობილი ეკლესიის მრევლი, ეკუთვნის სრულ ეპარქიალურ კრებას (ანტიოქ. მე-16).

კანონი 19

ეპისკოპოსის დადგინება დაუშვებელია კრებისა და სამთავროს მიტროპოლიტის გარეშე, და როცა კრებას მიტროპოლიტი ესწრება, უმჯობესი იქნება, თუ მასთან ერთად კრების მუშაობაში სამთავროს ყველა თანამწირველი ეპისკოპოსი მიიღებს მონაწილეობას; ჯეროვანია, მიტროპოლიტმა მოუწოდოს მათ ეპისტოლეს მეშვეობით, და თუ ყველა შეიკრიბება — უმჯობესია. ხოლო, თუ ეს გაძნელდება, მაშინ მათი უდიდესი ნაწილი, მაინც, უსათუოდ უნდა ესწრებოდეს, ან სიგელებით გამოხატავდეს საკუთარ თანხმობას. ამგვარად, ეპისკოპოსთა დიდი ნაწილის დასწრებით ან მათი თანხმობით აღსრულდეს ეპისკოპოსად დადგინება. ხოლო თუ ეს სხვაგვარად, ამ განჩინების საწინააღმდეგოდ მოხდება, მაშინ ხელდასხმას არ ექნება კანონიერი ძალა. ხოლო, თუ დადგინება აღსრულდება განჩინებული წესით, ზოგიერთნი კი შეეწინააღმდეგებიან მას თავიანთი ცილობისმოყვარეობის მიზეზით, მაშინ, დაე, გადასძალოს უმრავლესობის გადაწყვეტილებამ.

(მოც. 1; I მსოფ. 4,6; VII მსოფ. 3; ლაოდ. 12; სარდ. 6; კონსტ. 1; კართ. 13,49,50)

ამ კანონში ძირითად მეორდება I მსოფლიო კრების მე-4 და მე-6 კანონების განწესებანი, რომელთა განმარტებაც, იმავდროულად, ამ კანონის განმარტებასაც ემსახურება.

კანონი 20

საეკლესიო საჭიროებებისა და საეჭვო შემთხვევების გადასაწყვეტად, სასიკეთოდ იქნა მიჩნეული შემდეგი: თითოეულ სამთავროში წელიწადში ორჯერ ჩატარდეს ეპისკოპოსთა კრება: პირველი — აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მესამე შვიდეულის განსრულებიდან, ისე რომ, სულთმოფენობიდან მეოთხე შვიდეულში დასრულდეს კრება, და ამის შესახებ, დაე, მიტროპოლიტი შეახსენებდეს ეპარქიის ეპისკოპოსებს; ხოლო მეორე კრება მოწვეულ იქნეს ოქტომბრის თვის მეთხუთმეტე დღიდან, რომელიც არის იპერვერეტეს* მეათე დღე. ამ კრებებს მიმართონ მღვდლებმა, დიაკვნებმა და ყველამ, ვინც თავს დაჩაგრულად თვლის, და დაე, კრებისგან მიიღონ მსჯავრი. მაგრამ არავის მიეცეს უფლება თავადვე მოაწყოს კრება იმ ეპისკოპოსთა გარეშე, რომელთაც მინდობილი აქვთ სამიტროპოლიტო.

(მოც. 37; I მსოფ. 5; II მსოფ. 2; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ლაოდ. 40; კართ. 18, 73)

*აღნიშნული თვის დასახელება სირია-მაკედონური კალენდრით.

ეს კანონი იმეორებს მოციქულთა 37-ე კანონის განწესებას; ამატებს მხოლოდ იმას, რაც მოიხსენიება ამ კრების რამდენიმე კანონში, სახელდობრ, სრულ ეპარქიალურ (სამიტროპოლიტო) კრებად ითვლება მხოლოდ ის კრება, რომელიც მოწვეულია მმართველი მიტროპოლიტის მიერ. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით იხილეთ მოციქულთა 37-ე და I მსოფლიო კრების მე-5 კანონების განმარტებებში.

კანონი 21

ერთი საზღვრის ეპისკოპოსი, დაე, ნუ გადავა მეორეში ნურც თვითნებური შეჭრით, ნურც ხალხისაგან მიმძლავრებით, ნურც ეპისკოპოსთა მხრივ იძულებით, არამედ, დაე, იმ ეკლესიაში იყოს, რომელშიც დასაწყისში მიიღო თავისი წილხვედრი მსახურება ღმერთისგან, და ნუ გადავა იგი იქიდან, თანახმად ამის შესახებ უწინ უკვე გამოტანილი განწესებისა.

(მოც. 14; I მსოფ. 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 20; ანტიოქ. 16; სარდ. 1, 2, 17; კართ. 48)

იხილეთ მოციქულთა მე-14 და I მსოფლიო კრების მე-15 კანონების განმარტებები.

კანონი 22

ეპისკოპოსი, დაე, ნუ გადავა სხვა ქალაქში, რომელიც მას არ ექვემდებარება, ნურც სოფელში, რომელიც მას არ ეკუთვნის – ვინმეს ხელდასასხმელად, და ნუ დაადგინებს მღვდლებსა თუ დიაკვნებს სხვა ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარებულ ადგილებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას იმ მხარის ეპისკოპოსის ნებით იქმს. ხოლო თუ ვინმე გაკადნიერდება ამის საქმნელად, დაე, მისი ხელდასხმა გაუქმებულად გამოცხადდეს, თავად კი კრებისმიერ ეპიტიმიას დაექვემდებაროს.

(მოც. 35; I მსოფ. 15; II მსოფ. 2; III მსოფ. 8; IV მსოფ. 5; ტრულ. 17; ანკირ. 13; სარდ. 3, 15; კართ. 48, 54)

იხილეთ მოციქულთა 35-ე კანონის განმარტება.

კანონი 23

ეპისკოპოსს უფლება არა აქვს თავის სანაცვლოდ სხვა დაადგინოს მემკვიდრედ, თუნდაც სიცოცხლის დასასრულს იყოს მიწევნული; ხოლო თუ რაიმე ამგვარი მოხდება, მაშინ ეს დადგინება, უქმად ჩაითვალოს. უნდა იქნეს დაცული საეკლესიო წესი, რომელიც განაჩინებს, რომ ეპისკოპოსი უნდა დადგინდეს არა სხვაგვარად, თუ არა კრების მიერ და ეპისკოპოსთა განწესებით, რომელთაც აქვთ ხელმწიფება ღირსეული გამოირჩიონ შესვენებული ეპისკოპოსის შემდეგ.

(მოც. 1, 30, 76; I მსოფ. 4; VII მსოფ. 3; კართ. 22, 49)

იხილეთ მოციქულთა 76-ე კანონის განმარტება.

კანონი 24

კეთილი საქმეა საეკლესიო ქონების მთელი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით დაცვა ეკლესიისათვის, – ყოვლისმხედველი და ყოველთა მსაჯული ღმერთის რწმენით; მისი გონივრულად და ხელმწიფებით განკარგვა კი ეპისკოპოსს შეეფერის, რომელსაც ეკლესიის წიაღში შეკრებილი ყველა ადამიანი და მათი სული აქვს მინდობილი. დაე, დაუფარავი და განცხადებული იყოს ეკლესიის ქონება მისი მღვდლებისა და დიაკვნებისათვის, ისე რომ, მათ იცოდნენ და უმეცრებაში არ რჩებოდნენ ყოველივე იმის შესახებ, რაც საკუთრივ ეკლესიას ეკუთვნის, და არაფერი იყოს მათგან დაფარული. ამდენად, თუ ეპისკოპოსი ამა ცხოვრებისაგან მიიცვალება, მაშინ ეკლესიის კუთვნილი ქონება, მისი განცხადებულობის წყალობით, აღარ იქნება გაფლანგული და დაკარგული, და არც ეპისკოპოსის საკუთრება იქნება ხელყოფილი ეკლესიის კუთვნილობის საბაბით. რამეთუ სიმართლეა და სათნოც, ღმერთისა და ადამიანთა წინაშე, რომ ეპისკოპოსის საკუთრება იმას დარჩეს, ვისთვისაც თვითონ ნებავს დატოვება, ხოლო ეკლესიის ქონება შენარჩუნებულ იქნეს ისე, რომ არც ეკლესიას ადგებოდეს ზარალი და არც ეპისკოპოსმა დაკარგოს თავისი საკუთრება ეკლესიის კუთვნილობის საბაბით, ანდა მისმა ახლობლებმა არ დაიწყონ ცილობა, და ამით თავად იგიც უპატიო არ იქმნას გარდაცვალების შემდეგ.
(მოც. 38, 39, 40, 41; IV მსოფ. 22; ტრულ. 35; კართ. 22, 26, 81)

იხილეთ მოციქულთა 38-ე და მე-40 კანონების განმარტებები.

კანონი 25

საეკლესიო ქონებაზე ხელმწიფება ეპისკოპოსს უნდა ჰქონდეს და მთელი წინდახედულობითა და ღვთის მოშიშებით განაგებდეს მას, – ყოველთა შეჭირვებულთა სასარგებლოდ; და თავადაც იღებდეს მისგან სათანადო ნაწილს, თუ ამის საჭიროება ექნება, თავისი აუცილებელი მოთხოვნილებებისა და, აგრეთვე, მწირთშემწყნარებელი ძმების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რათა მათ არაფერში ჰქონდეთ ნაკლულევანება, ღვთაებრივი მოციქულის სიტყვისამებრ: *„მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარ ჴორცთა, ამათ კმა-ვიყოფდეთ ჩუენ“* (1 ტიმ. 6, 8). ხოლო, თუკი ამით არ დაკმაყოფილდება და თავისი სახლის საჭიროებისათვის მიაქცევს ნივთებს, და ეკლესიის შემოსავლებსაც ან მისი მიწების ნაყოფებს მღვდლებისა თუ დიაკვნების თანხმობის გარეშე განკარგავს, ძალაუფლებას კი მათზე თავის სახლეულებსა და ნათესავებს გადასცემს, ან ძმებს, ან შვილებს, რის გამოც საცნაური ხდება არეულობა საეკლესიო ანგარიშებში, – ესევითარმა, დაე, ანგარიში წარუდგინოს თავისი სამთავროს კრებას. მაგრამ, თუკი შეასმენენ ეპისკოპოსსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მღვდლებზე იმის შესახებ, რომ ისინი თავიანთი სარგებლობისათვის მიაქცევენ ეკლესიის კუთვნილებას – მიწის ნაყოფებსა თუ სხვა საეკლესიო საკუთრებას, შეაჭირვებენ რა

ამით ღვთის გლახაკებს, და საყვედურებსა და შეურაცხყოფას შეამთხვევენ საეკლესიო მოწყობასა და მის მმართველებს, – მაშინ ესევითარმა მღვდელმსახურებმა, დაე, შესაფერისი გამოსწორება მიიღონ წმინდა კრების განწესებისამებრ.

(მოკ. 38, 39, 40, 41; IV მსოფ. 26; VII მსოფ. 12; თეოფილე ალექსანდრიელის 10, 11; კირილე ალექსანდრიელის 2)

იხილეთ მოციქულთა 41-ე კანონის განმარტება.

ლაოდიკიის წმინდა ადგილობრივი კრება

ეს კრება შედგა დაახლოებით 343 წელს, ფრიგიის მთავარ ქალაქ ლაოდიკიაში. ესწრებოდა მცირე აზიის მრავალი ეპისკოპოსი. მიღებულ იქნა სხვადასხვა ხასიათის 60 კანონი. ყველა ისინი შესულია კანონიკურ კრებულებში.

ლაოდიკიის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები

კანონი 1

თავისუფალი ნებითა და კანონის დაცვით შეუღლებულთ მეორე ქორწინებით, და არა ფარულად შეერთებულთ, მცირე დროის გასვლის შემდეგ, რომელსაც ლოცვასა და მარხვაში გაატარებენ, სულგრძელებიდან გამომდინარე, უნდა მიეცეთ ზიარების უფლება.

(მოც. 17; I მსოფ. 8; ტრულ. 3, 87; ანკირ. 19; ბასილი დიდის 4, 12, 87, 99)

მეორე ქორწინებაში, რომლის შესახებაც წინამდებარე კანონი ლაპარაკობს, ისეთი ქორწინებითი კავშირი უნდა ვიგულისხმოთ, რომელშიც შედის რომელიმე პირი თავისი პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც, თავისი გარდაცვალებით, გაათავისუფლა იგი (ქორწინების კავშირით შეკრული). ეს მეორედ დაქორწინება, რომელიც ორივე მეუღლის თავისუფალი ნებითა და კანონის დაცვით არის შემდგარი, საღვთო კანონებითაც ნებადართულია (იხ. რომ. 7, 3; 1 კორ. 7, 39), თუ მანამდე მათ შორის ფარულ ქორწინებას არ ჰქონია ადგილი, ანუ — *ზონარას სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან,* — თუ დასაქორწინებელ პირებს ჯვრისწერამდე არ ჰქონიათ ერთმანეთთან ხორციელი კავშირი.* თუმცა, დროთა განმავლობაში, როდესაც ეკლესიაში დაიწყო უქორწინებლობის ისეთ სათნოებად მიჩნევა, რომელიც ქორწინებით ცხოვრებაზე უფრო აღმატებულია, მეორე ქორწინებასთან დამოკიდებულებაც უფრო გამკაცრდა; ბასილი დიდის სიტყვებით, მისი დაშვება მოხდა მხოლოდ, როგორც სიძვის საწინააღმდეგო წამალი (ბასილი დიდის 87-ე კან.). ლაოდიკიის ეს კანონი სწორედ ეკლესიის ამ აზრის გამომხატველია მეორედ დაქორწინების შესახებ, რომელიც, თუმც არ იკრძალება ეკლესიის მიერ, მაგრამ დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ეპიტიმიის პირობით. კერძოდ, კანონი განაწესებს, რომ მეორედ დაქორწინებულებს ჯვრისწერის შემდგომ შეუძლიათ წმინდა ზიარება მიიღონ მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, ეს ვადა კი მათ ლოცვასა და მარხვაში უნდა გაატარონ. ბასილი დიდის მე-4 კანონის თანახმად, აღნიშნული ეპიტიმია ერთ წელიწადს უნდა გაგრძელდეს. ეკლესიის ასეთი მკაცრი შეხედულება მეორე ქორწინებაზე სხვა კანონებშიც არის გამოხატული: ა) მეორედ დაქორწინებული არ შეიძლება აყვანილ იქნეს სასულ-

*ათენის სინტაგმა, III, 170.

იერო ხარისხში (მოც. მე-17; ტრულ. მე-3; ბასილი დიდის მე-12), ბ) მღვდელს ეკრძალება მეორედ დაქორწინებულთა საქორწილო ლხინზე დასწრება (ნეოკეს. მე-7) და გ) მეორედ დამქორწინებელნი იმავე წესით ვერ დაიწერენ ჯვარს, როგორითაც პირველად ქორწინებულნი (ნიკიფორე აღმსარებლის მე-2 კან.).

კანონი 2

სხვადასხვა ცოდვებში შთავარდნილნი, რომელნიც არ ცხოვრობენ ლოცვით, აღსარების ჩაბარებითა და სინანულით, მაგრამ ბოროტ საქმეებს სრულიად არიან განშორებულნი, ღმერთის მოწყალებითა და სახიერებით დაშვებულ იქნენ ზიარების მისაღებად მას შემდეგ, რაც შეცოდების ზომისამებრ მიეცემათ დრო სინანულისათვის.

(მოც. 52; I მსოფ. 12; ტრულ. 43, 87; ანკირ. 2; ბასილი დიდის 74)

რადგანაც არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც ღვთის მოწყალებას გადაწონიდა, ამიტომ წინამდებარე კანონი, ისევე, როგორც მოციქულთა 52-ე, განაწესებს, რომ ყოველი ცოდვილი, რომელიც გულწრფელად მოინანიებს და ცოდვას დაუტევებს, შეწყნარებულ უნდა იქნეს და მიეცეს მას წმინდა ზიარების უფლება, ამასთან, – *ბალსამონის სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან,* – არა იმდენად ცოდვილის გულმოდგინე მონანიების შედეგად, რამდენადაც ღვთის მოწყალებისა და სახიერების გამო.*

კანონი 3

არაჯეროვანია მცირე ხნის წინ მონათლულების სამღვდელო ხარისხში კურთხევა.

(მოც. 61, 75, 80; I მსოფ. 2, 9; ნეოკეს. 9, 10; სარდ. 10; ორგ ზ. 17; ბასილი დიდის 89; გრიგოლ ნოსელის 1, 4)

იხილეთ I მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტება.

კანონი 4

სამღვდელონი არ უნდა გასცემდნენ ფულს სარგებელით და არ უნდა იღებდნენ ვახშს, და ეგრეთ წოდებულ იმიოლიებს, ანუ აღნადგინებს.**

(მოც. 44; I მსოფ. 17; ტრულ. 10; VII მსოფ. 19; ლაოდ. 4; კართ. 5,16; ბასილი დიდის 2, 14; გრიგოლ ნეოკესარიელის 3; გრიგოლ ნოსელის 6)

იხილეთ I მსოფლიო კრების მე-17 კანონის განმარტება.

---

*ათენის სინტაგმა, III, 173.

**ძველი რომაული კანონებით ნებადართული ვახშის ყველაზე მძიმე სახე: „მილება ერთისა და ნახევრისა“, როდესაც მთელ გასესხებულ თანხას ემატებოდა მისი ნახევარი, ანუ წლიური 50%. იხ. „დიდი სჯულისკანონი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975, გვ. 591. – მთარგ.

კანონი 5

საეკლესიო ხარისხებში გამორჩევა არ უნდა ხდებოდეს მსმენელთა თანდასწრებით.

(I მსოფ. 4; VII მსოფ. 3; ანტიოქ. 19, 23; ლაოდ. 12, 13; სარდ. 6; კონსტ. 1; კართ. 13, 49, 50)

სიტყვაში: „χειροτονία“ (ქიროტონია), რომელიც გამოყენებულია ტექსტის დედანში, გვმართებს — *როგორც ზონარა ამბობს ამ კანონის განმარტებაში** — ვიგულისხმოთ „გამორჩევა“ (ψήφος). იმის შესახებ, რომ ძველ დროში ეს სიტყვა ხშირად გამოიყენებოდა *გამორჩევის* მნიშვნელობით, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოციქულთა პირველი კანონის განმარტებაში, — იმავე ზონარას სიტყვების საფუძველზე.

ამგვარად, კანონის თანახმად, სასულიერო პირთა გამორჩევისას, არავის ეძლევა ნება მოისმინოს, თუ რას ამბობენ სხვადასხვა კანდიდატის შესახებ და, საერთოდ, უყურონ თუ რა ხდება იქ. კანონში გამოყენებულ სიტყვაში „ἀκροώμενοι“, რომელიც ლათინურ ენაზე თარგმნილია სიტყვით „audientes“, ხოლო, „კანონთა კრებულში“ სიტყვით — „слушающие“ (მსმენელნი), ძველი ლათინი კანონისტები გულისხმობდნენ მეორე საფეხურის მონანულებს — „ἀκρόις“ (მსმენელებს), — რომელთა შესახებაც ჩვენ ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტებაში, — ზოგიერთები კი (მაგ., *ისიდორე*) მათში კათაკმეველებს გულისხმობენ** (კათაკმეველების შესახებ იხ. I მსოფლიო კრების მე-14 კან. და მისი განმარტება). შესაძლოა, ეს კანონი ნიშნავდეს, რომ სასულიერო პირთა გამორჩევას მხოლოდ ეკლესიის სრულუფლებიანი წევრები უნდა ახდენდნენ, და არა ისეთები, რომლებიც საკუთარი ცოდვების გამო მონანულთა რიგებში არიან განწესებულნი, ანუ რომლებიც კათაკმეველთა (κατηχούμενοι) მსგავსად, ასევე არ ითვლებოდნენ ეკლესიის სრულუფლებიან წევრებად; განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სიტყვა „ἀκροώμενοι“ ჩვეულებრივ აღნიშნავდა „მონანულებს“ — ამ შემთხვევაში, პირველი რიგის კათაკმეველებს [რომლებიც სინანულით მოექცნენ ქრისტიანობაში სხვა სარწმუნოებიდან]. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ კრების მე-12 და 33-ე კანონების განწესებებს, განსაკუთრებით მე-13 კანონისას, რომელიც კრძალავს „ხალხის თავშეყრას“ სასულიერო პირთა გამოსარჩევად, მაშინ უფრო ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ ლაოდიკიის კრების ამ (მე-5) კანონით მამებს სურდათ აეკრძალათ საერთოდ ყველას დასწრება განურჩევლად, როდესაც სასულიერო პირთა გამორჩევა ხდებოდა და მხედველობაში არ ჰქონდათ არც *მონანულნი* და არც მით უფრო *კათაკმეველნი*. სავსებით სწორად გადმოსცემს ამ კანონის აზრს ბალსამონი, როდესაც ამბობს: „რადგანაც გამორჩევის დროს ხშირად ხდება, რომ გამოსარჩევი პირის შესახებ ზოგჯერ რაღაც უარყოფითსაც იტყვიან, ამიტომ არ უნდა ხდებოდეს გამორჩევა ყველა მსურველის გასაგონად“.***

---

*ათენის სინტაგმა, III, 173.

**იმავე აზრს ემხრობა ვან ესპენიც და არქიმანდრიტი იოანეც.

***ათენის სინტაგმა, III, 175. ზონარაც ამავე აზრისაა.

კანონი 6

მწვალებლებს, რომლებიც ჩაფლულნი არიან მწვალებლობაში, არ უნდა მიეცეთ ღვთის სახლში შესვლის ნება.

(მოც. 10,45,54; III მსოფ. 2,4; ლაოდ. 9,32,33,34,37; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

„რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს“ – ამბობს იესო ქრისტე (ლუკ. 11, 23; მთ. 12, 30), ხოლო ვინც ქრისტეს მტერია, ის მისი ეკლესიის მტერიც არის. ყოველი მწვალებელი გარეშეა ეკლესიისათვის, რაკი უარმყოფელია ქრისტიანული სარწმუნოების ამა თუ იმ საფუძვლისა. რაკი თრგუნავს გაცხადებულ ჭეშმარტებას, მაშასადამე, იმასაც, ვინც ეს ჭეშმარიტება გააცხადა, ესე იგი, იესო ქრისტეს – ეკლესიის დამფუძნებელს. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ პირს აეკრძალოს ეკლესიური ლოცვა და ის მადლი, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საშუალებით შეუძლია ადამიანს მიიღოს; ასეთ პირს, როგორც ამას კანონი განაწესებს, უნდა აეკრძალოს ეკლესიაში შესვლა, – სადაც ეს მადლი მიიღება. შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა საღვთო ლიტურგიის აღსრულება, როდესაც ეკლესიაში ვინმე მწვალებელი დგას (განსაკუთრებით არიანელი), ტიმოთე ალექსანდრიელი პასუხობს, რომ ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხსენიებულმა მწვალებელმა იმის პირობა დადო, რომ განუდგება მწვალებლობას და მართლმადიდებლობას იწამებს (იხ. მისი მე-9 კან.).

კანონი 7

მწვალებლობათაგან მოქცეულნი, ანუ ნოვატიანნი, ფოტინიანნი თუ მეათოთხმეტეანნი: კათაკმეველნიც და მართალნიც – როგორც თავად ჰგონიათ, – მანამდე არ უნდა მივიღოთ, სანამ არ დაგმობენ ყოველგვარ მწვალებლობას, განსაკუთრებით კი იმას, რომელშიც თავად იყვნენ შთავარდნილნი, და მხოლოდ ამის შემდეგ, მათგან მართლებად წოდებულნი, შეისწავლიან რა სარწმუნოების სიმბოლოს, ცხებულ იქნან წმინდა მირონით და ასე ეზიარონ წმინდა საიდუმლოებებს.

(მოც. 46, 47, 68; I მსოფ. 8, 19; II მსოფ. 1, 7; ტრულ. 95; ლაოდ. 8; ბასილი დიდის 1, 5, 47)

კანონი 8

ეგრეთ წოდებული ფრიგიელთა მწვალებლობისაგან მოქცეულნი, დაე, თუნდაც მათი არაჭეშმარიტი სამღვდელო დასის წევრები იყვნენ და უდიდესებადაც იწოდებოდნენ, მთელი გულმოდგინებით დამოძღვრონ განსამზადებლად და ისე მონათლონ ეკლესიის ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა.

(მოც. 46, 47, 68; I მსოფ. 8, 19; II მსოფ. 1, 7; ტრულ. 95; ლაოდ. 8; ბასილი დიდის 1, 5, 47)

ამ ორ კანონთან (მე-7 და მე-8) დაკავშირებით იხ. II მსოფლიო კრების 1 და მე-7 კანონების განმარტებები.

კანონი 9

არ მიეცეს ნება ეკლესიურებს მივიდნენ მწვალებელთა საფლავებზე ან მათგან სამარტვილოდ წოდებულ ადგილებში, — არც სალოცავად და არც კურნებისათვის. ხოლო ვინც დადის, თუკი მართალნი არიან, გარკვეული დროით იქნენ განყენებულნი საეკლესიო ზიარებიდან. მაგრამ თუ მოინანიებენ და აღიარებენ, რომ შესცოდეს, შეწყნარებულ იქნენ თანაზიარებაში.

(მოც. 10, 11, 45, 46, 64, 70; III მსოფ. 2, 4; ლაოდ. 6, 32, 33, 34, 37; კართ. 83; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

მართლმადიდებელთა მსგავსად, მწვალებლებსაც ჰყავდათ თავიანთი მოწამენი და განადიდებდნენ მათ, განსაკუთრებით — მონტანისტები და ფრიგიელები. ასეთ მოწამეთა შესახებ საუბრობს ევსების „ისტორიაში" აპოლინარიოს იეროპოლელი. ესევითარნი სინამდვილეში არსებობდნენ, რადგან, მიეკუთვნებოდნენ რა ამა თუ იმ მწვალებლობას და სწამდათ თავიანთი სწავლების შესაბამისად, საერთო დევნილობის ჟამს სიამოვნებით მიდიოდნენ წამებაზე; მდევნელები მათ აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ მართლმადიდებლებთან ერთად. იმ ადგილებს, სადაც მწვალებელ მოწამეებს ასაფლავებდნენ, ისევე ეწოდებოდა „განსასვენებელი", „სასაფლაო", როგორც მართლმადიდებლებთან. ასე ეწოდებოდა იმ ადგილებს და ასე ეწოდება ახლაც, რადგან ქრისტიანებს სწამთ, რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა დროებითი განსასვენებელი, რომელშიც ადამიანი იმყოფება საყოველთაო აღდგომამდე. მოწამეთა სასაფლაოები „სამარტვილოებად" იწოდებოდნენ (წამების ადგილებად, μαρτύρια), მათში დასვენებული მოწამეების წმინდა ნაწილების გამო. პატივისცემის ნიშნად, ქრისტიანები ხშირად დადიოდნენ მათ საფლავებზე, ლოცულობდნენ და აღასრულებდნენ საღვთო მსახურებებს.* შემდგომში კი, მათ საფლავებზე ნამდვილი ტაძრებიც ააგეს. ქრისტიანების მაგალითისამებრ, თავინთ სამარტვილოებში იგივეს აკეთებდნენ მწვალებლებიც. ლაოდიკიის წინამდებარე კანონი უკრძალავს მართლმადიდებლებს, ან როგორც კანონის ტექსტშია ნათქვამი — „ეკლესიურებს", ანუ ვინც ეკლესიას მიეკუთვნება, მივიდეს ლოცვისა და ღვთისმსახურებისათვის ასეთ მწვალებლურ ადგილებში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მასში ეჭვი შეიტანონ როგორც ამა თუ იმ მწვალებლობის მიმდევარში და არ მიიჩნიონ სარწმუნოებით მართლმადიდებელ ქრისტიანად. ამ განწესების დამრღვევი, თუკი ის *მართალია*, ესე იგი, ნათელღებული, გარკვეული დროით უნდა განიყენოს წმინდა ზიარებიდან და საზიარებლად დაშვებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოინანიებს და აღსარებაში იტყვის თავის ცოდვას. ხოლო კათაკმეველისთვის, რომელიც ამ ცოდვით შესცოდავდა, კათაკმეველობის ვადა გრძელდებოდა მმართველი ეპისკოპოსის შეხედულებისამებრ.

*ბევერეგიას ამ კანონის განმარტებიდან.

კანონი 10

ეკლესიურები განურჩევლად არ უნდა შეაუღლებდნენ თავიანთ შვილებს ქორწინებითი კავშირით მწვალებლებთან.

(მოკ. 26, 45, 65; IV მსოფ. 14; ტრულ. 6, 72; კართ. 21)

შერეულ ქორწინებებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ლაპარაკობს წინამდებარე კანონი, ჩვენ ვისაუბრეთ IV მსოფლიო კრების მე-14 და ტრულის კრების 72-ე კანონების განმარტებებში. ასეთი სახის ქორწინებები რომ აკრძალულია, ეს ჩანს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონიდან, რომელიც კი ამ საკითხს ეხება. კანონში ნათქვამია, რომ ეკლესიურები – ვინც ეკლესიას მიეკუთვნება (τους της εκκλησίας, qui sunt ecclesiae)* ანუ ιστοί, (верные, fideles, მართლმორწმუნენი), განურჩევლად არ უნდა აქორწინებდნენ თავიანთ შვილებს მწვალებლებთან. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი სახის მწვალებელთან შეიძლება ქორწინება და მეორესთან არა – ამა თუ იმ მწვალებლობის მნიშვნელობიდან გამომდინარე. რამეთუ მწვალებლობა ყოველთვის მწვალებლობად რჩება, მიუხედავად იმისა, ასწავლის ის, მაგალითად, რომ ძე ღვთისა არ არის ერთარსი მამისაო, თუ იმას, რომ სულიწმიდა მამისგანაც გამოდის და ძისგანაცო, რადგან ყველა შემთხვევაში ერთნაირად შეურაცხყოფს სახარებისეულ სწავლებას სარწმუნოების ძირითადი დოგმატების შესახებ, რის შედეგადაც ყველა მწვალებელი შეჩვენებულია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (იხ. II მსოფ. 1; ბასილი დიდის 1). აქედან გამომდინარე, მართლმადიდებელი ვერ უნდა გაკადნიერდეს ისეთ მჭიდრო კავშირში – როგორიც არის ქორწინებითი – შევიდეს იმ პირთან, რომელიც თავისი რწმენით ეკლესიისათვის შეჩვენებულია. რაც შეეხება სიტყვას – „განურჩევლად", რომელიც ამ კანონში არის გამოყენებული, აუცილებელია, გავიგოთ ის ამავე კრების 31-ე კანონთან კავშირში, რის შემდეგაც ნათელი გახდება, თუ რას ფიქრობდნენ ლაოდიკიის კრების მამები შერეული ქორწინების თაობაზე. წმინდა ეკლესიის სწავლების თანახმად, ლაოდიკიელი მამები საერთოდ კრძალავენ შერეულ ქორწინებებს, და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევენ მას შესაძლებლად, როცა უცხო რწმენის პირი, რომელსაც მართლმადიდებელთან შეუღლება სურს, პირობას დადებს, რომ მიიღებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ესე იგი, გახდება მართლმადიდებელი ქრისტიანი (იხ. ლაოდ. 31-ე). ის მართლმადიდებელი, რომელსაც სურვილი აქვს სხვა სარწმუნოების ადამიანთან დაქორწინდეს და მხედველობაში იღებს ამ პირობას, – მოქმედებს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სწავლების თანახმად; ხოლო, ვინც ამას ყურადღებას არ აქცევს, ის „განურჩევლად" მოქმედებს, – ასეთია ამ სიტყვის მნიშვნელობა ლაოდიკის კრების წარმოდგენილ კანონში.

---

*მაშასადამე, არა „ecclesiastici" (საეკლესიონი), როგორც ეს ვან ესპენთან არის ნათქვამი (ᲗᲐ. 160), რომელიც ამ კანონს მხოლოდ სასულიერო პირებთან მიმართებით განიხილავს, რადგან, თუკი „οί της εκκλησίας" ნიშნავს „ecclesiastici"-ს („კლირიკოსებს"), მაშინ შეუძლებელია გავიგოთ თუ ვინ არის ამ კრების მე-9 კანონში მოხსენიებული „πιστοί" („fideles", „верные", „ერთგული მორწმუნენი"), და ვინ – „οί της εκκλησίας", „ვინც ეკლესიას მიეკუთვნება".

კანონი 11

ეკლესიაში არ უნდა დაიდგინებოდნენ ეგრეთ წოდებულნი პრესვიტერიდები (მოხუცი დედაკაცები), ანუ წინამსხდომარედ წოდებული დედაკაცნი.

პრესვიტერიდების (მოხუცებული დედების), ანუ წინამსხდომარეთა შესახებ, უახლესი დროის საეკლესიო მწერლები სხვადასხვა აზრისანი არიან. ერთთა აზრით, ესენი იყვნენ წინანდელი დედათდიაკვნები, და ამ კანონში მოხუცებულ დედებად იწოდებიან ხანდაზმული ასაკის გამო. ხოლო პირველმსხდომარედ – იმიტომ, რომ ეკლესიაში მათ მინდობილი ჰქონდათ დედაკაცებზე გარკვეული ზედამხედველობა. მეორეთა აზრით, ესენი იყვნენ „უფროსნი დედათდიაკვნებზედ“, რომლებიც სხვა დანარჩენ დედათდიაკვნებს ხელმძღვანელობდნენ. ორივე ეს აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ მოხუცებული დედები ანუ წინამსხდომარენი თითქოს იგივეა, რაც დედათდიაკვნები, თუმც გამაგრებულია შესაბამისი მტკიცებულებებით უძველესი ეკლესიის უმნიშვნელოვანესი ნაშრომებიდან, მაინც არ შეიძლება მიღებულ იქნეს; საქმე იმაშია, რომ კანონის მიზანი რომ იყოს თავისი განწესების დედათდიაკვნებზეც გავრცელება, რომელიც უკვე I მსოფლიო კრების დროსაც კი ძველი და საყოველთაოდ ცნობილი ინსტიტუტი იყო (იხ. I მსოფლიო კრების მე-19 კან), მაშინ იგი მათაც მოიხსენიებდა, რასაც არ აკეთებს და მხოლოდ იმას განაწესებს, რომ შემდეგში არ დადგინდნენ ეკლესიაში პრესვიტერიდები ანუ წინამსხდომარენი. გარდა ამისა, უფრო გვიანდელი კრებების კანონები (მაგალითად, ტრულის, რომელიც ამ, ლაოდიკიის კრების მოწვევიდან სამი საუკუნის შემდეგ შედგა) არამცთუ არ მოიხსენიებენ იმის შესახებ, რომ ოდესღაც აკრძალული იყო დედათდიაკვნების დადგინება, არამედ საუბრობენ მათ მსახურებაზე, როგორც სრულიად ჩვეულებრივ და ნორმალურ მოვლენაზე (იხ. ტრულის კრების მე-14 და 48-ე კანონები). წარმოდგენილი კანონის უკეთ გასაგებად, აუცილებელია ისე მოვიქცეთ, როგორც რომაელი კორექტორები მოიქცნენ **გრაციანეს** დეკრეტის გამოცემისას, როდესაც მკითხველის ყურადღება მიაპყრეს **ბალსამონის** მიერ ამ კანონის განმარტებას.

როდესაც პავლე მოციქული ტიმოთესა და ტიტეს მიმართ თავის ეპისტოლეებში (1 ტიმ. 5, 2; ტიტ. 2, 3) მოიხსენიებს **მოხუცებულ** დედებს (პრესვიტერიდებს), სხვათა შორის, მათ შესახებ ამბობს, რომ ისინი უნდა იყვნენ ***„კეთილის მოძღვარ“***. ამით პავლე მოციქული მიუთითებს მათ ვალდებულებაზე გარკვეულ ფარგლებში შეასრულონ ეკლესიაში სამასწავლებლო საქმიანობა. მათი მოღვაწეობის ამ ფარგლებზე ჩვენ ვსაუბრობთ ტრულის კრების 70-ე კანონის განმარტებაში. ამასთან შესაბამისობაში, მათ არ შეეძლოთ ეკლესიაში შეესრულებინათ მქადაგებლური საქმიანობა, ანუ საჯაროდ ექადაგათ ტაძარში, მაგრამ მათ შეეძლოთ კატეხიზატორული საქმიანობით დაკავებულიყვნენ ტაძრის გარეთ. ისინი რომ ამ მოვალეობას ასრულებდნენ, ამას სხვა მტკიცებულებათა გარდა, რომლებიც ჩვენ თავის ადგილზე მოგვყავს, მოწმობს აგრეთვე პავლე მოციქულიც, როდესაც იგი **პრისკილას** შესახებ საუბრობს (იხ. საქმ. 18, 26). მართალია, დედათდიაკვნები აგრეთვე იყვნენ დაკავებულნი დედაკაცთა კატეხიზაციით, განსაკუთრებით ქალთა საერთო საცხოვრებლებში, მაგრამ ეს არ იყო მათი მთავარი მსახურება: ისინი

სხვადასხვა ვალდებულებას ასრულებდნენ დედაკაცების ნათლობისას (იხ. IV მსოფლიო კრების მე-15 კან. განმარტება). ხოლო დედაკაცების სწორი კატეხიზაციის საქმე, მათი შეგონება-განსწავლა, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ქრისტიანული სწავლების თანახმად და, განსაკუთრებით, მათი მომზადება ნათლობის ღირსეულად მიღებისათვის, ეკუთვნოდათ პრესვიტერიდებს – მოხუცებულ და ქრისტიანულ სწავლებაში გამოცდილ დედებს, რომლებიც, როგორც ზედამხედველნი დედაკაცებზე ზოგადად, და მათ ქრისტიანული სწავლებაზე თვალყურის მიმდევნელნი კერძოდ, ასევე იწოდებოდნენ პირველმსხდომარე დედაკაცებად.* ეს მოხუცებული დედები დგინდებოდნენ განსაკუთრებული წესით, მსგავსად იმისა, როგორც – დედათდიაკვნები და მათთვისაც, როგორც დედათდიაკვნებისათვის, ეკლესიაში საგანგებო დაკთარს აწარმოებდნენ. ლაოდიკის კრების დროს,კრების მამებმა შენიშნეს, რომ მოხუცებული დედები კეთილად არ იყენებდნენ მათთვის მინდობილ სიკეთეებს; ერთი მხრივ, – *როგორც ბალსამონი განმარტავს,* – ქედმაღლობის მიზეზით, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ მსახურებაში, ყველაზე მეტად მატერიალურ სარგებელს აქცევდნენ ყურადღებას. ამის საფუძველზე კრების მამებმა კანონით აკრძალეს მომავალში პრესვიტერიდების დადგინება.

კანონი 12

ეპისკოპოსები საეკლესიო მმართველობაში უნდა დგინდებოდნენ მიტროპოლიტებისა და მახლობელი ეპისკოპოსების განსჯით, ამასთან ისეთები, რომლებიც დიდი ხანია გამოცდილნი არიან სარწმუნოების სიტყვაში და მართალი სიტყვის შესაბამის ცხოვრებაში.

(მოკ. 58, 80; I მსოფ. 2, 4; ტრულ. 12, 19; VII მსოფ. 2, 3; ანტიოქ. 19; ლაოდ. 5, 13; სარდ. 6, 10; კონსტ. 1; კართ. 13, 49, 50; ორგ ზ. 17)

იხ. მოციქულთა 58-ე, I მსოფლიო კრების მე-4, II მსოფლიო კრების მე-19 და VII მსოფლიო კრების მე-2 კანონების განმარტებები.

კანონი 13

ხალხის თავყრილობას ნუ მიეცემა უფლება აირჩიოს სამღვდელოებაში დასადგინებელნი.

(I მსოფ. 4; ანტიოქ. 19; ლაოდ. 5, 12; სარდ. 10; კართ. 50)

სიტყვაში „სამღვდელოება" (священство, ,ἱερατεῖον, sacerdotium), ზონარას სწორი განმარტების თანახმად, აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ უმაღლესი იერარქიუ-

*კართაგენის კრება ამ პრესვიტერიდებს უწოდებს „ქვრივებს" ანუ „კეთილმსახურ დედაკაცებს". თავის მე-12 კანონში, აღნიშნული კრების მამები ამბობენ: „მათი გამორჩევა ხდება ქალების ნათლობისას დახმარების გასაწევად, ამიტომაც მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ სათანადო და კეთილგონიერი სიტყვით განსწავლონ გაუნათლებელი სოფლის ქალები იმ დროისათვის, როდესაც ისინი ნათლობას მიიღებენ – როგორ უნდა უპასუხონ ნათლობის ჩამტარებელთა კითხვებზე და როგორ უნდა იცხოვრონ ნათლისღების შემდეგ",

ლი ხარისხის სასულიერო პირები და არ უნდა გამოვრიცხოთ, შესაბამისად, ეპისკოპოსებიც.* მე-5 და მე-12 კანონების განწესებებთან კავშირში, ლაოდიკიის კრების მამები წინამდებარე კანონით უკრძალავენ „ხალხის თავყრილობას" მონაწილეობა მიიღოს სასულიერო პირის გამორჩევაში. ბერძნული სიტყვა „ὄχλος" (ხალხი, ერის სიმრავლე, სიტყვასიტყვით – ბრბო), რომელიც ამ კანონშია გამოყენებული და ჩვენ გადმოვთარგმნეთ სიტყვით „ხალხის თავყრილობა" („сборище народа"), თავისი მნიშვნელობით ნიშნავს ხალხის ბრბოს – შერეული, სხვადასხვა და გაურკვეველი შეხედულებების ადამიანების საკმაოდ დიდ თავშეყრას და, როგორც წესი, გამოიყენება „ერის" – მთელი მოსახლეობის გამორჩეული და საპატივცემული ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვის – საპირისპირო სიტყვად (ამ მნიშნელობითაა წმინდა წერილში სიტყვა „ერი" გამოყენებული ზოგიერთ ადგილას, მაგალითად: მთ. 14, 5; 21, 26, 46; 27, 15 და სხვა) და აღნიშნავს უბრალო, მდაბიო ხალხის თავშეყრას ამბოხისა და უწესრიგობის მოსაწყობად (მაგალითად, საქმ. 24, 18); ლათინურად ეს არის „turbis", ან უფრო ზუსტად – tumultus, tumultuosa plebs, რუსულად – „сборище черни" (მდაბიოთა ბრბო). ხალხის ასეთ თავყრილობასაც სურდა თავისი ხმა ჰქონოდა სასულიერო პირის გამორჩევის საქმეში და ყოველთვის, როცა ის ამას ახერხებდა, შფოთსა და უწესრიგობას ჰქონდა ადგილი, რომელიც გარდაუვლად ხდება ხოლმე, როდესაც საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებს გაუცნობიერებელი ადამიანების ბრბო.** სწორედ, ამის წინააღმდეგ იქნა მიღებული წინამდებარე ლაოდიკიის კანონი. იმასთან დაკავშირებით, რომ კანონი არ ართმევდა უფლებას ერს, გარკვეულწილად, განსაზღვრულ ფარგლებში, მიეღო მონაწილეობა სასულიერო პირების გამორჩევაში და განსაკუთრებით – ეპისკოპოსების, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-4 კანონის განმარტებაში, სადაც მოვიყვანეთ დამოწმება როგორც იმ საუკუნის ისტორიიდან, როდესაც ლაოდიკის კრება იმართებოდა, ასევე მისი შემდგომი საუკუნეების ისტორიებიდანაც.

კანონი 14

აღდგომის დღესასწაულზე სხვა სამრეველოებში ნუ გააგზავნით წმინდა საიდუმლოს კურთხევის სახით.

(მოკ. 9, 10; ანტიოქ. 2; ლაოდ. 32)

ამ კანონში მოიხსენიება τα αγία (sancta, სიწმინდე) და ευλογίαι (benedictiones, ევლოგია)***, და განიწესება, რომ არ გაიგზავნოს პირველი მეორის ნაცვლად. სიწმინდე – აღნიშნავს ევქარისტულ მსხვერპლს, წმინდა საიდუმლოს. ზონარა წინამდებარე კანონის განმარტებაში ამბობს, რომ „τα αγία" ამ კანონში აღნიშნავს

*ათენის სინტაგმა, III, 183.

**სხვათა შორის, ამის გამომხატველ სურათს იძლევა ნეტარი ავგუსტინეს ეპისტოლე (ეპ. 126.

***კურთხევა, დალოცვა – ეკლესიაში ნაკურთხი სეფისკვერი, წყალი და სხვა, რომელსაც აძლევენ მორწმუნეებს სახლში წასაღებად. – *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი 2007.*

ქრისტეს ყოვლადწმინდა ხორცისა და სისხლის ნაწილებს. ჩვენს საღვთო ლიტურგიაში იგი შეესაბამება სიტყვებს „წმიდათა წმიდას“ (Святая святым, τα αγία τοις άγίοις). ქრისტეს ეკლესიის დაარსების პირველ ხანებში არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც ერთგული მორწმუნენი, – განსაკუთრებით ქრისტეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, – ერთი სამრევლოდან მეორეში ერთმანეთს წმიდა მსხვერპლის ნაწილებს უგზავნიდნენ – საეკლესიო თანაზიარებისა და ძმური სიყვარულის ნიშნად. როგორც ჩანს, ამით ბაძავდნენ იუდეველებს, რომლებიც ასევე ერთმანეთს უგზავნიდნენ სადღესასწაულო ძღვენს (იხ. მოციქულთა 70-ე კან.)* ნახეს რა, რომ ეს ჩვეულება არაფრით იყო გამართლებული, მით უმეტეს, რომ ამით ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო სიწმინდეთა პროფანაცია (შებღალვა), კრების მამებმა აკრძალეს შემდგომში ამგვარი ქმედება. თუმცა, ამასთან, ნებას იძლევიან წინანდებურად გაიგზავნოს ევლოგია (υλογί ι), ანუ ამ მხრივ შენარჩუნდეს ეს ჩვეულება. წმინდა მამების ენაზე, ამ სიტყვას ბევრი მნიშვნელობა აქვს. ამ კანონში იგი აღნიშნავს კურთხეულ პურს, ანუ პურის იმ ნაწილს, რომელიც სეფისკვერიდან რჩება (დიდი კურთხევანის 213-ე კანონით, სეფისკვერი უნდა იყოს ხუთი) მას შემდეგ, რაც მისგან კვეთაში ამოიღება წმინდა ტარიგი, რის შედეგადაც ეს პური იწმინდება და ეწოდება ევლოგია (υλογί ι, კურთხევა). საღვთო ლიტურგიის შემდეგ, ეს ნაკურთხი სეფისკვერი ნაწილდებოდა იმათ შორის, ვინც ზიარებას არ იღებდა, – ნიშნად ეკლესიასთან მათი თანაზიარებისა, და ამავე თანაზიარების ნიშნად, ამ ნაკურთხი სეფისკვერის ნაწილები სახლებში ეგზავნებოდათ იმათ, რომელთაც ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზით ვერ შეძლეს ეკლესიაში ღვთისმსახურებას დასწრებოდნენ. ასეთი კურთხეული პური და მისი ამგვარი გამოყენება პირველად მოიხსენიება მოციქულთა განწესებებში (VIII, 31); ამ კურთხეული პურს (ნაკურთ სეფისკვერს) ეწოდებოდა, ისევე, როგორც ახლა – „ანტიდორი“ (άντίδωρον) და რიგდებოდა წმინდა ევქარისტიის ძღვენის ნაცვლად. მაგრამ თავიდან, როგორც უკვე ითქვა, მას ლიტურგიის შემდეგ ურიგებდნენ იმათ, ვინც არ ეზიარებოდა. შემდგომში ეს ჩვეულება შეიცვალა და დაიწყეს ლიტურგიის შემდეგ ყველა ერთგული მორწმუნისთვის დარიგება, როგორც ეს ამჟამადაც ხდება.

კანონი 15

გარდა ამბიონზე ამსვლელი და საეკლესიო მსახურთა შორის შერაცხილი მგალობლებისა, რომლებიც წიგნის მიხედვით გალობენ, ეკლესიაში სხვამ არავინ იგალობოს.

(მოც. 26; I მსოფ. 16; ტრულ. 4, 33, 75; VII მსოფ. 14; ლაოდ. 59; კართ. 103)

ეკლესიაში თავიდანვე არსებობდნენ მგალობლები, რომლებიც ეპისკოპოსის მიერ დგინდებოდნენ და როგორც ასეთები, საეკლესიო დასს მიეკუთვნებოდნენ. ისინი შედიოდნენ ეკლესიის მსახურთა რიცხვში და ამიტომაც მათ კანონიერ

*ევსების „ისტორიაში“ მოყვანილია ირინეოს ლიონელის წერილი პაპ ვიქტორის მიმართ, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, რომ ეს იყო ეკლესიაში საყოველთაო ჩვეულება.

მგალობლებს უწოდებდნენ. მათ შეეძლოთ ამბიონზე მდგარიყვნენ და დაწესებული საგალობლები ეგალობათ წიგნიდან, რომელსაც დიფთერს (από διφθέρας, кожаная книга, ტყავის წიგნს. — იხ. 2 ტიმ. 4, 13) უწოდებდნენ. მასში ყველა ის საგალობელი შედიოდა, რაც კი ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს იგალობება (იხ. ლაოდ. 59-ე; კართ. 103-ე).* როგორც ჩანს, კანონიერი მგალობლების ეს უფლება სხვებმა მითვისეს და იმისათვის, რომ ყველაფერში დაეცვათ სავალდებულო კეთილკრძალულება და წესრიგი, ლაოდიკიის მამები, თუმც თავიანთი ამ კანონით არ უკრძალავენ მრევლს იგალობონ ეკლესიაში საღვთო საგალობლები, მაგრამ კრძალავენ, რომ მან ეს გააკეთოს თვითნებურად, და ამბიონიდან იგალობონ საღვთო საგალობლები იმ ადამიანებმა, რომლებიც საეკლესიო დასს არ მიეკუთვნებიან, რისი უფლებაც მხოლოდ და მხოლოდ კანონიერ მგალობლებს აქვთ. ერისკაცებს უფლება ჰქონდათ გალობაში აჰყოლოდნენ კანონიერ მგალობლებს, როცა ისინი ამა თუ იმ საეკლესიო გალობას იწყებდნენ.** ეკლესიაში კანონიერი მგალობელის დადგინების წესი კი იგივე იყო, როგორიც მკითხველის (მედავითნის) დადგინებისა.***

კანონი 16

შაბათს წაკითხული იქნეს სახარებაც, სხვა საკითხავებთან ერთად.
(მოკ. 66; ტრულ. 55, ლაოდ. 29, 49, 51)

იმ შეხედულების გამო, რომელიც ეკლესიაში მისი დაარსების პირველ ხანებში არსებობდა შაბათ დღესთან დაკავშირებით (იხ. მოკ. 66-ე კან.), აგრეთვე იმის გამო, რომ ამ კრების მიმდინარეობის პერიოდში ბევრი ქრისტიანი შაბათთან მიმართებით ოუდაურ წესებს მისდევდა (იხ. ლაოდ. 29-ე კან.), ზოგიერთ ეკლესიაში ამკვიდრებდნენ ჩვეულებას, რომლის თანახმადაც, შაბათობით არ აღესრულებოდა საღვთო ლიტურგია, ანუ — *როგორც ბალსამონი ამბობს* — იკრძალებოდა საეკლესიო შეკრებები.**** შესაბამისად, ამ დღეს არ იკითხებოდა წმინდა სახარება, როგორც ეს სხვა დღეებში ხდებოდა და, საერთოდ, შაბათს არაფერი იკითხებოდა. ამ ჩვეულებას კიცხავს ლაოდიკიის კრება და განაწესებს, რომ შაბათ დღესაც, სხვა დღეების მსგავსად, უნდა აღესრულოს ეკლესიაში მსახურება და იკითხებოდეს წმინდა სახარება და სხვა წმინდა წიგნები.

---

*ასე განმარატავენ სიტყვა „διφθέρας“-ს ზონარა და ბალსამონი. არისტინე კი ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობას აძლევს და ამბობს, რომ მგალობლები ამბიონზე ვერ იგალობებდნენ სხვაგვარად, თუ არა ტყავის ტანსაცმლით შემოსილნი, ანუ ფელონით; მისი აზრით ეს სიტყვა ნიშნავს ფელონს (ტყავის ტანსაცმელს), რომელიც თითქოს უნდა ჩაეცვათ კანონიერ მგალობლებს ამბიონზე გალობის წინ. შესაძლოა, არისტინეს აზრი სწორი იყოს, რადგან, მართლაც არსებობდა ჩვეულება, ახლანდელის მსგავსი, რომლის თანახმადაც ყველა დაბალი რანგის კლირიკოსი რომლებსაც ეპისკოპოსი ადგინებდა [ქიროტესიით], ღვთისმსახურებისას იცვამდნენ ამისთვის საგანგებოდ დაწესებულ საეკლესიო შესამოსელს, რომელსაც ფელონი ეწოდებოდა, რადგან ეს სიტყვა ბერძნულად აგრეთვე ნიშნავდა ტყავს, რისგანაც ამზადებდნენ ამ შესამოსელს თვდაპირველად. თუმცა, წინამდებარე კანონი ამაზე არ ლაპარაკობს, არამედ — წიგნზე.

**ბალსამონის განმარტება, ათენის სინტაგმაში, III, 184, 85.

***მთავარეპისკოპოსი ბენიამინი, „ახალი ფიქალი“, III, 5. § 2-6.

****ათენის სინტაგმა, III, 185.

კანონი 17

არაჯეროვანია საეკლესიო შეკრებებზე ფსალმუნების მოჯრით განუწყვეტლივ გალობა, არამედ ფსალმუნთა შუალედში ჩართული იყოს საკითხავები.

(ტრულ. 75; ლაოდ. 15)

ძველი გადმოცემის თანახმად, — *ამბობს ბალსამონი ამ კანონის განმარტებაში,** — დავითის ფსალმუნნი ეკლესიაში უწყვეტად იგალობებოდა; ეს მრევლს ღლიდა და ისინი ტაძრიდან გარეთ გამოდიოდნენ. ამის გამო, მამები ამ კანონით განაწესებენ, რომ არ იგალობებოდეს ფსალმუნები შეუწყვეტლივ, არამედ მათ შორის ჩართული იყოს საკითხავები, რათა დასვენებულ მრევლს ამის შემდეგ კვლავ შეეძლოს განაახლოს გალობა. ამ მიზნით მთელი ფსალმუნნი დაიყო რამდენიმე კანონად (ბერძნ. — კათიზმა).

კანონი 18

ლოცვების წესი ყოველთვის ერთი და იგივე უნდა იყოს, მეცხრე ჟამზეც და მწუხრზეც.

(ლაოდ. 15, 59; კართ. 103)

იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც თავიანთი დაუდგრომლობითა და მოუსვენრობით თავადვე ადგენდნენ ლოცვებს და მათ ეკლესიაში მწუხრის ლოცვაზე კითხულობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ამით მხოლოდ საკუთარი ღვთისმოყვარეობის გრძნობას გამოხატავდნენ და სრულებითაც არ აკნინებდენ იმ ლოცვების ღირსებას, რომლებიც დაწესებული იყო მეცხრე ჟამზე საკითხავად. კრების მამები განაწესებენ, რომ სავსებით საკმარისია უკვე არსებული ლოცვები მწუხრისთვის და მეცხრე ჟამისთვისაც, ამიტომ არავის მიეცეს უფლება შეადგინოს ახალი ლოცვანი და იკითხოს ისინი ეკლესიაში (შდრ. კართ. 103-ე კან.)**

კანონი 19

ეპისკოპოსთა სამოძღვრო საუბრების შემდეგ, საგანგებოდ უნდა აღესრულოს ლოცვა კათაკმეველთათვის, კათაკმეველთა განსვლის შემდეგ კი იყოს ლოცვა მონანულთათვის; როცა ესენიც მივლენ ხელის ქვეშ (კურთხევისათვის) და განვლენ, მაშინ აღსრულდეს მართალთა სამი ლოცვა: ერთი, ანუ პირველი — მდუმარედ, მეორე და მესამე კი — ხმამაღლა. ამის შემდეგ მიეცეთ მშვიდობა, — და როცა მღვდელნი მისცემენ მშვიდობას ეპისკოპოსებს, მაშინ ერისკაცებსაც მიეცეთ მშვიდობა და ასე აღსრულდეს წმიდა ძღვენის შეწირვა. მხოლოდ სამღვდელოდ კურთხეულთ აქვთ უფლება საკურთხეველში შესვლისა და იქ ზიარებისა.

(ტრულ. 69; ლაოდ. 44)

---

*ათენის სინტაგმა, III, 186.

**ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 187.

ამ კანონში გადმოიცემა ძველი ლიტურგიის წესი, მსგავსი იმისა, რომელიც გადმოცემული იყო მოციქულთა დადგენილებებში და რომელიც შემდგომში შეიცვალა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებით. კანონის ბოლოში განთავსებულ განწესებასთან დაკავშირებით, რომლიც სასულიერო პირთა გარდა ყველას უკრძალავს წმინდა საკურთხეველში შესვლას, იხ. ტრულის კრების 69-ე კანონის განმარტება.

კანონი 20

დიაკვნისათვის დაუშვებელია მღვდლის თანდასწრებით ჯდომა, ხოლო თუ აკურთხებს, შეუძლია დაჯდეს. მსგავსადვე, დიაკვნებსაც ჰქონდეთ პატივი იპოდიაკვნებისაგან და ეკლესიის ყველა სხვა მსახურისაგან.

(მოც. 15, 39; I მსოფ. 15, 18; ტრულ. 7, 16; ანტიოქ. 5)

იხ. I მსოფლიო კრების მე-18 და ტრულის კრების მე-7 კანონების განმარტებები.

კანონი 21

იპოდიაკვნებისთვის უჯეროა დაიკავონ დიაკვნის ადგილი და ეხებოდნენ წმინდა ჭურჭელს.

(ტრულ. 4, 6, 15; ლაოდ. 20, 22, 24, 25, 43)

ამ კანონის პარალელური ლაოდიკიის კრების სხვა კანონებში, იპოდიაკვნები არსად მოიხსენიებიან ამ სახელით, არამედ – მსახურნი (ὑπηρέται, ministri, слуги); სწორედ ამ სახელქვეშ უნდა ვიგულისხმოთ იპოდიაკვნები,– ამბობენ ზონარა და ბალსამონი. ეს უკანასკნელი, ამ კანონის განმარტებაში წერს: „მსახურები ეწოდებათ იპოდიაკვნებს“.* იპოდიაკონის ხარისხის შემოღება უკავშირდება ეკლესიის დაარსების პირველივე ხანებს. მათ მოვალეობაში შედიოდა: ღვთისმსახურებისას უნდა მდგარიყვნენ ტაძრის კარიბჭესთან და თვალყური ედევნებინათ, რომ ვინმე უღირსთგანი არ შესულიყო, მოემზადებინათ და წესრიგში ჰქონოდათ წმინდა (საღვთისმსახურო) ჭურჭელი, შეემოსათ მღვდელთმთავრები, როდესაც ისინი ღვთისმსახურებისათვის ემზადებოდნენ და, ზოგადად, ეკლესიაში დიაკვნებს დახმარებოდნენ.** თავიდან იპოდიაკვნებს ეპისკოპოსი ადგინებდა, „მცირე შესვლის“ შემდეგ სადიაკვნეში იმ მაგიდასთან, რომელზეც წმინდა ჭურჭლები იდგა. კონსტანტინოპოლის პატრიარქ მანუილ I-ის (1217-1222) დროს, ეს წესი შეიცვალა. მიზეზი ის გახდა, რომ იპოდიაკვნები, რაკი მათი კურთხევა სადიაკვნეში სრულდებოდა, მას უკვე თავის ადგილად მიიჩნევდნენ და დიაკვნებს უთანაბრებდნენ თავს. ამის აღმოსაფხვრელად, პატრიარქმა დაადგინა, რომ იპოდიაკვნების ქიროტესია აღსრულებულიყო ლიტურგიის დაწყების წინ, როგორც ეს ახლა ხდება, და თანაც არა

*ათენის სინტაგმა, III, 190.

**მთავარეპისკოპოსი ბენიამიანი, „ახალი ფიქალი“, III, 11, § 4.

სადიაკვნეში, არამედ ტაძარში.* თვლიდნენ რა თავიანთ თავს დიაკვნების თანასწორად, იპოდიაკვნები უგულებელყოფდნენ ღვთისმსახურებისას თავიანთ მთავარ მოვალეობას და ლიტურგიის დროს დიაკვნებს შორის იკავებდნენ ადგილს საკურთხეველში. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მიუთითებს კანონი: „უჯერია დაიკავონ დიაკვნის ადგილი". ლაოდიკიის კრების მამები უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად ადგენენ ამას, და თავიანთი 22-ე და 43-ე კანონებით განუწესებენ, რომ მსახურების დროს ისინი უნდა იდგენენ ტაძრის კარიბჭესთან და ერთი საათითაც კი არ დატოვონ მსახურების ადგილი. ამ (21-ე) კანონით მამამები მათ, აგრეთვე, უკრძალავენ წმინდა ჭურჭელთან შეხებას. ამ აკრძალვაში უნდა ვიგულისხმოთ წმინდა ბარძიმთან და წმინდა ფეშხუმთან შეხება მხოლოდ იმ დროს, როდესაც შეიწირება წმინდა ძღვენი, ან მათი გადაბრძანება ხდება „დიდი შესვლის" დროს; მაგრამ არ ეკრძალებათ სხვა დროს შეხება, რადგან, – როგორც ბალსამონი შენიშნავს ამ კანონის განმარტებაში,** – სწორედ მათ ევალებათ ამ ჭურჭლებზე ზრუნვა, მსახურების შემდეგ გაწმენდა-გასუფთავება და თავიანთ ადგილზე გადატანა (ჭურჭელთსაცავში).

კანონი 22

ეკლესიის დაბალი რანგის მსახურებმა არ უნდა ატარონ ოლარი, არც კარები მიატოვონ.

(ტრულ. 4, 6, 15; ლაოდ. 20, 21, 24, 25, 43)

ამ კანონის მიღების მიზეზი, ისევე როგორც წინა, 21-ე კანონისა, იყო იპოდიაკვნების მიერ იმაზე მეტი უფლების თავის თავზე აღება, ვიდრე ეკუთვნოდათ. ამჯერად კრების მამები გამოდიან მათ მიერ ოლარის ტარების წინააღმდეგ და ამ (22-ე) კანონით განუწესებენ, რომ შემდგომში აღარ უნდა ატარონ. ოლარი (სადიაკონო გინგილა), ბალსამონის სიტყვებით, ამ კანონის განმარტებიდან,*** და ზუსტად ასევე, ბლასტარის განმარტებითაც, ეს სიტყვა წარმოშობილია სიტყვიდან „ὡρῶ" (внимаю, наблюдаю, გულისხმასვყოფ, თვალყურს ვადევნებ). ღვთისმსახურების დროს დიაკვნები მას მარცხენა მხარზე ატარებდნენ და იმით მღვდლებს ნიშანს აძლევდნენ, თუ როდის უნდა წაეკითხათ გარკვეული ლოცვები. იპოდიაკვნად დადგინებისას, მათაც ეძლეოდათ ოლარი, მაგრამ არა ამ მნიშვნელობით. ამიტომ ისინი მას, დიაკვნებისაგან განსხვავებით, წელზე ირტყამდნენ.**** უკრძალავს რა კანონი იპოდიაკვნებს ოლარის ტარებას, იმავდროულად, შეახსენებს მათ ღვთისმსახურებისას ტაძრის კარიბჭესთან მოუშორებლად დგომის მოვალეობასაც (ლაოდ. 21-ე კან. განმარტება).

---

*მთავაერეპისკოპოსი ბენიამინი, „ახალი ფიქალი", III, 1, § 1.

**ათენის სინტაგმა, III, 190.

***ათენის სინტაგმა, III, 191.

****მთავაერეპისკოპოსი ბენიამინი, „ახალი ფიქალი, III, 2, § 2. 19.

კანონი 23

წიგნის მკითხველებმა ან მგალობლებმა არ უნდა ატარონ ოლარი და ოლარით შემოსილებმა არ უნდა იკითხონ და იგალობონ.

(მოც. 26, 59; I მსოფ. 16; IV მსოფ. 4; ტრულ. 4, 33, 75; VII მსოფ. 14; ლაოდ. 22, 59; კართ. 103)

ის მიზეზები,რომლებიც 22-ე კანონშია მითითებული, ლაოდიკის მამებს აღძრავენ წინამდებარე კანონით ოლარის ტარება აუკრძალონ მკითხველებსა და მგალობლებსაც, რომლებიც არ ასრულებდნენ არავითარ სადიაკონო მოვალეობას და ეკლესიაში მხოლოდ უნდა ეკითხათ და ეგალობათ.

კანონი 24

შეუფერებელია ნაკურთხი პირისთვის, — იქნება ის მღვდელი თუ დიაკონი, ან ეკლესიის სხვა რომელიმე მსახური, თუნდაც იპოდიაკონი, ან მკითხველი, ან მგალობელი, ან მაფუცებელი, ან მეკარე, ან ვინმე სამონოზვნო წესთაგანი, — სამიკიტნოში შესვლა.

(მოც. 54; ტრულ. 9; კართ. 40)

იხ. მოციქულთა 54-ე კანონის განმარტება.

კანონი 25

იპოდიაკვნისათვის უჯერია პურის დარიგება ან ბარძიმის კურთხევა.

(ტრულ. 4, 6, 7, 15; ლაოდ. 20, 21, 22, 24, 43)

როგორც ჩანს, იპოდიაკვნებმა ისეთი მსახურებების მითვისებაც დაიწყეს ღვთისმასახურების დროს, რომლებიც მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს უნდა აღესრულებინათ დიაკვნის მონაწილეობით. საუბრობს რა ამის შესახებ, წინამდებარე კანონი განიკითხავს იპოდიაკვნებს ასეთი კადნიერებისათვის და უკრძალავს მათ მრევლისთვის წმინდა ზიარების გაცემას*

კანონი 26

ეპისკოპოსისაგან უკურთხებლებმა არ უნდა დააფიცონ არც ეკლესიებში და არც სახლებში.

(II მსოფ. 7; ანტიოქ. 10)

მაფუცებლობა, რომლის შესახებაც საუბარია ამ კანონში, უნდა გავიგოთ როგორც ურწმუნოთა კატეხიზაცია,მათი განსწავლა-განმზადება ნათლისღებისთვის (оглашения,

*ზონარასა და ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 193.

катихизации неверных, κατηχεῖν απίστους), რასაც განსაკუთრებული წესით ასრულებდნენ ამისთვის დადგენილი პირები, რომლებიც საეკლესიო დასის წევრები იყვნენ და მაფუცებლებად იწოდებოდნენ. ნათლისღებისას მათ მოვალეობაში შედიოდა მოემზადებინათ კათაკმეველნი ბოროტი სულის უარსაყოფად, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდნენ თავიანთი ცრურწმენის შედეგად.* ამ მოვალეობას მაფუცებელები ასრულებდნენ ორ ჯერზე: პირველად, სანამ კათაკმეველთა მხოლოდ მზადება მიმდინარეობდა ნათლისღებისათვის, ისინი, როგორც კანონი ამბობს, ამზადებდნენ მათ კერძო სახლებში; მეორედ უკვე ეკლესიაში, თვით ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას, როდესაც მოსანათლავ პირს შეკითხვას აძლევდნენ: „განუდგები სატანას?“ რის შემდეგაც ეპისკოპოსი ან მღვდელი აღასრულებდა მის ნათლობას. მაფუცებელთა პირველი მოვალეობა შეწყდა საყოველადგილოდ პედობაპტიზმის [ბავშვების ნათლობა] შემოღებასთან დაკავშირებით, მეორემ კი შეინარჩუნა თავისი ადგილი წმინდა ნათლისღების ჩვენს ახლანდელ თანმიმდევრობაშიც. მაფუცებელთა პირველი და უმთავრესი მოვალეობის შეწყვეტასთან ერთად, ამისთვის განსაკუთრებული პირების დადგენის აუცილებლობა უკვე აღარ იყო. თუმცა, ლაოდიკიის კრების დროს, ისინი ჯერ კიდევ არსებობდნენ და ეკლესიაში გარკვეულ მსახურებას ასრულებდნენ. როგორც ჩანს, ამ მსახურებას ისეთი პირებიც იღებდნენ საკუთარ თავზე, რომლებსაც კანონიერი დადგინება არ ჰქონდათ მიღებული, რის გამოც კანონი უკრძალავს მაფუცებლის მოვალეობის შესრულებას ყველა იმ პირს, ვინც დადგენილი წესით არ არის ამ საქმისთვის ეკლესიაში დანიშნული ეპისკოპოსის ან ქორეპისკოპოსის მიერ (იხ. ანტიოქ. მე-10).

კანონი 27

უჯერია სიყვარულის ტრაპეზე მიწვეული ნაკურთხი პირებისათვის, ან ეკლესიის მსახურთათვის თუ ერისკაცთათვის, თან წაიღონ მისგან ნაწილი: რამეთუ ამით შეურაცხყოფილ-იქმნება საეკლესიო წესი.

(ტრულ. 74; ღანგ. 11; ლაოდ. 28; კართ. 42)

კანონი 28

უჯერია უფლის ტაძრებსა და ეკლესიებში ეგრეთ წოდებული სიყვარულის ტრაპეზების მოწყობა და ღმერთის სახლში ჭამა-სმა და ინახითჯდომა.

(მოც. 73; ტრულ. 74, 76, 97; ღანგ. 11; ლაოდ. 27; კართ. 41, 42)

ორივე ეს კანონი შეიცავს განწესებას აღაპის ანუ სიყვარულის ტრაპეზის (სერობის) შესახებ. პირველი სახელწოდება წარმოიშვა სიტყვიდან: αγάπη — სიყვარული. ეს სახელწოდება საერთო ტრაპეზმა იმიტომ მიიღო, რომ წარმოიშვა

*მათ მოვალეობაში შედიოდა, აგრეთვე, მოსამზადებელი პირისათვის ფიცის ჩამორთმევა ძველ სარწმუნოებაზე უარის თქმის შესახებ.

სიყვარულის შედეგად და წარმოადგენდა მის სიმბოლოს, რაც გამოიხატებოდა ტრაპეზის საერთო ძმურ გაზიარებაში.* ქრისტიანულ ეკლესიაში ამ სიყვარულის ტრაპეზის წარმოშობის მრავალ ვერსიათა შორის, ყველაზე საფუძვლიანი და ბუნებრივია ის, რომ ეს ტრაპეზი შემოტანილ იქნა ქრისტეს საიდუმლო სერობის ხსენების შესანარჩუნებლად, სადც დადგინდა წმინდა ევქარისტიის საიდუმლო; აგრეთვე, ერთგულ მორწმუნეთა შორის მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად. ტრაპეზის დროს გვერდზე რჩება განსხვავება ყველა იმ მდიდარსა და ღატაკს შორის, რომელიც ქრისტეს მიმდევარია, – ცალკეული პიროვნების ქონება ხდებოდა ყველას საერთო მონაგარი. მოციქული იუდა ამ სიყვარულის ტრაპეზებს მოიხსენიებს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას მოციქულთა დროში (მე-12 მუხ.), პავლე მოციქული კი საყვედურობს კორინთოელ ქრისტიანებს იმას, რომ ისინი ჭამენ და სვამენ თითოეული ცალ-ცალკე, არ ელოდებაინ ძმებს, რითაც ამცირებენ უქონლებს და უგულებელყოფენ საღვთო ეკლესიას (იხ. 1 კორ. 11, 21, 22). პირველ ხანებში აღაპი ლიტურგიასთან ერთად იმართებოდა, თანაც, ჩვეულებრივ, მის დაწყებამდე და, მაშასადამე, ზიარებამდე, – მოსახსენიებლად იმისა, რომ იესო ქრისტემ ჯერ სერობა გამართა თავის მოწაფეებთან და შემდეგ აზიარა ისინი თავის ხორცსა და სისხლს. შემდგომში, როდესაც დადგინდა ზიარების უზმოზე მიღება, აღაპების მოწყობა დაიწყეს ლიტურგიის შემდეგ. უწესრიგობანი კი დაიწყო მაშინვე, სიყვარულის ტრაპეზის წარმოშობისთანავე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მდიდრები ხშირად ავლენდნენ თავიანთ უპირატესობას ღატაკთა წინაშე; ადგილი ჰქონდა, ასევე, ნაყროვანებასა და სიმთვრალესაც კი.** ამის გამო, II საუკუნიდან სიყვარულის ტრაპეზი ლიტურგიისაგან სრულიად ცალკე ტარდება და უმეტესწილად საღამოობით ეწყობოდა თვით ტაძარში ან ტაძრის ეზოში. ამ ტრაპეზებში ეპისკოპოსთან ერთად მონაწილეობას იღებდა კონკრეტული ტაძრის საეკლესიო დასი და მრევლი; ისმინებოდა ქადაგება და იკითხებოდა წმინდა წერილი. თუმცაღა, ამ ტრაპეზებზეც ხდებოდა ძველებური უწესრიგობანი, დამსწრენი „წამოწოლებსაც“ კი აწყობდნენ [ქრისტეს დროინდელი „ინახით ჯდომის“ მაგალითზე]. ამიტომ, ამ კრების 28-ე კანონით აიკრძალა ტრაპეზების მოწყობა საუფლო სახლებში, ანუ ტაძრებში, ხოლო ამავე კრების 27-ე კანონით, კერძო სახლებში მოწყობილი ტრაპეზის მონაწილეებს აეკრძალათ თან წაეღოთ იქიდან საჭმელი, როგორც ეს ჩვეულებად იყო გადაქცეული ეკლესიის წესების საზიანოდ. დროთა განმავლობაში, ევქარისტული მსხვერპლიდან აღაპის ანუ სიყვარულის ტრაპეზის გამოყოფამ, გამოიწვია

*ხონარას განმარტება ტრულის 74-ე კანონზე, ათენის სინტაგმაში, II, 476.

**ამ სიყვარულის ტრაპეზისათვის ქრისტიანები განიკითხებოდნენ წარმართების მხრიდან, რადგან ისინი ამას ქეიფად და დროს ტარებად (გარყვნილობად) მიიჩნევდნენ. ტერტულიანე თავის „აპოლოგიაში“ (39) ამ ბრალდებაზე შემდეგნაირად პასუხობს: „ჩვენი ტრაპეზი... არ უშვებს რაიმე სიბილწეს, რაიმე კადნიერებას; დასხდომა მანამდე არ ხდება, ვიდრე ღვთის მიმართ ლოცვა არ აღევლინება; ჭამენ იმდენს, რამდენიც ერგებათ კეთილკრძალულთ. საზრდელს იღებენ, მაგრამ, ამასთან, არ ავიწყდებათ, რომ ღამე ღვთის მიმართ ლოცვაში უნდა გაატარონ; საუბრობენ და იციან, რომ მათ საუბარს უფალი ისმენს. ხელების დაბანვის შემდეგ, ყოველი, ვისაც შეუძლია იგალობოს ღმრთის წინაშე წმინდა წერილიდან ან თავისი ნიჭით, შუაში გამოიწვევა. ლხინს, შიგადაშიგ, ქადაგებაც წყვეტს ხოლმე“.

თვით ალაპის სიმბოლური მნიშვნელობის დაკარგვა და იგი ჩვეულებრივ ტრაპეზად იქცა, რომელიც ეწყობოდა უკვე მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით (ჩვენი ახლანდელი ქელეხი, საკურთხი), ან ჯვრისწერისა და დაბადების დღის აღსანიშნავდ, ან კიდევ, ისეთ ტრაპეზად, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ ღანგრის კრების მე-11 კანონის განმარტებაში, ანუ – რომელსაც მდიდრები ღატაკებისთვის აწყობდნენ.

კანონი 29

ქრისტიანებისთვის უჯერია იუდეველთა წესების აღსრულება და შაბათის დღესასწაულობა; ამ დღეს უნდა შრომობდნენ, კვირა დღეს კი, ვითარცა ქრისტიანენი, უპირატესად დღესასწაულობდნენ და უქმობდნენ, თუ შეუძლიათ. ხოლო თუკი იუდეველთა წესის აღმსრულებლები აღმოჩნდებიან, შეჩვენებულ იყვნენ ქრისტესგან.

(მოც. 7, 64, 66, 70, 71; ტრულ. 11, 56, 66; ლაოდ. 16, 37, 38; კართ. 51, 73, 106)

რამდენიმე კანონის განმარტებაში, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ქრისტიანებმა არ უნდა დაიცვან იუდეველთა რელიგიური წეს-ჩვეულებანი (იხ. პარალელური კანონები). წინამდებარე კანონი გამოდის იქიდან, რომ იმ დროსაც (IV საუკუნის ნახევარი), ზოგიერთები იზიარებდნენ იუდეველთა აზრს შაბათის დღესასწაულთან დაკავშირებით, და განიკითხავს რა ამ ქრისტიანობის საწინააღმდეგო ჩვეულებას, განაწესებს, რომ ქრისტიანებმა განსაკუთრებულად უნდა გამოჰყონ **კვირა** დღე. ზოგადად, ამ დღის მნიშვნელობასა და დღესასწაულობასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოციქულთა 66-ე კანონის განმარტებაში. როდესაც სადღესასწაულო დღეებს ადგენდნენ, პირველქრისტიანთა მთავარი აზრი, რომელიც ემსახურება და, საერთოდ, ამოსავალია მთელი ქრისტიანული ცხოვრებისა, იყო ის, რომ ყველაფერში მიჰყოლოდნენ ჯვარცმულ ქრისტეს: მის სიკვდილში მას იმით უნდა მიჰყოლოდნენ, რომ სინანულის გზით ამ სიკვდილის ნაყოფის ღირსნი გამხდარიყვნენ; უნდა მიჰყოლოდნენ მის აღდგომას, რომ მის მიმართ რწმენითა და მისი ძალით ადამიანმა შეძლოს აღდგეს ახალი, წმინდა ცხოვრებით, რომელიც იწყება აქ, მიწაზე და დაუსრულებლად გრძელდება ზეცაში. აქედან, ბუნებრივია, რომ ქრისტიანულ ცნობიერებაში ქრისტეს აღდგომის დღე წარმოადგენდა ზეიმისა და სიხარულის დღეს. ამ აზრმა გამოხატულება უკვე ქრისტეს ეკლესიის არსებობის პირველივე დღეებში ჰპოვა. „საქმენი მოციქულთაში“ საუბარია იმის შესახებ, რომ ქრისტეს მოწაფენი მუდმივად იკრიბებოდნენ შვიდეულის პირველ დღეს საერთო ლოცვისა და *„განტეხად პურისა“* (20, 7; შდრ. 1 კორ. 16, 2 და გამოცხ. 1, 10). **ბარნაბას ეპისტოლეში** მთელი კატეგორიულობით არის ნათქვამი კვირა დღეზე, როგორც სიხარულის დღეზე, როდესაც ერთგული მორწმუნენი აღნიშნავენ ქრისტეს აღდგომის ხსენებას. **მაგნეზიელთა** მიმართ ეგნატეს ეპისტოლეში მოიხსენიება იმის შესახებ, რომ ქრისტიანობაში მოქცეულმა იუდეველებმაც უნდა შეცვალონ შაბათი – კვირა დღეზე. როგორც იუდეველთათვის შაბათი ნიშანი იყო, ასე გახდა კვირა ახალი ცხოვრების სიმბოლო, რომელსაც

საფუძველი ქრისტეს აღდგომამ დაუდო. კვირას – როგორც სიხარულის დღეს – არ მარხულობდნენ (მოც. 66-ე), და ლოცვის დროს მუხლებზე არ დგებოდნენ (I მსოფ. მე-20), **ბასილი დიდი** კი, თავის 91-ე კანონში ამბობს, რომ ამას ჩვენ იმიტომ ვაკეთებთ, რომ აღვდეგით ქრისტესთან ერთადო. ძველი კანონი, რომელიც შაბათობით მუშაობას კრძალავდა, მაშინვე, ეკლესიის დასაწყისში, გადავიდა კვირა დღესთან მიმართებით, და **ტერტულიანე** ესაყვედურება ყველას, ვინც ამ დღეს მუშაობს.* მაგრამ გარდა კვირა დღის დღესასწაულობისა, როგორც ქრისტეს აღდგომის ხსენებისა, ზოგიერთ ისეთ ეკლესიას, – რომელიც იუდეველობიდან ქრისტიანობაში მოქცეულთაგან შედგებოდა, ანუ მაშინდელ დროში ეგრეთ წოდებულ იუდეველ-ქრისტიანებისაგან, – სურდა გარკვეულწილად შაბათიც ედღესასწაულა, ჩაეტარებინა ამ დღეს სადღესასწაულო ლიტურგია და მისი წევრები ზიარებულიყვნენ წმინდა საიდუმლოს. ეს ჩვეულება, რომელიც IV საუკუნეშიც იყო შემორჩენილი, აჩვენებდა იუდეველობისადმი აშკარა მიმდევრობას და ბევრის დაბრკოლებას ემსახურებოდა. ამის გამო, ლაოდიკიის კრების მამები იძულებული გახდნენ მიეღოთ ეს (29-ე) კანონი. ისინი კრძალავენ დასვენებას შაბათ დღეს, როგორც სხვა დღეებში, და შეჩვენებით ემუქრებიან ყველას, ვინც სხვაგვარად მოიქცევა. შემდეგ, განიწესება განსაკუთრებული პატივის მიგება კვირა დღისთვის – მუშაობისგან დასვენება და ამ დღის ქრისტიანულად გატარება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, კრების მამები დასძენენ: **„თუ შეუძლიათ“**, ანუ – როგორც ბალსამონი ამბობს ამ კანონის განმარტებაში – არავის აიძულებენ უპირობოდ რაიმეს გაკეთებას, რადგან, თუ ვინმე სიღატაკის მიზეზით ან რაიმე აუცილებლობიდან გამომდინარე, კვირა დღესაც იმუშავებს, იგი ამისთვის სასჯელს არ დაექვემდებარება.**

კანონი 30

დაუშვებელია ნაკურთხი პირისთვის, ან ეკლესიის მსახურისთვის, ან მონოზვნისთვის აბანოში ბანაობა დედაკაცებთან ერთად, ასევე ყველა ქრისტიანისა და ერისკაცისთვის, რამეთუ ეს არის პირველი ბრალდება წარმართთაგან.

(ტრულ. 77)

წინამდებარე კანონი გამეორებულ იქნა ტრულის კრებაზე (77-ე), თანაც, სასჯელი განიწესა ყველა მის დამრღვევს. საუბრობს რა ისეთ სისაძაგლეზე, რასაც ეს კანონი კრძალავს, ზონარას, ტრულის კრების მოხსენიებული კანონის (77-ე) განმარტებაში, მოჰყავს პავლე მოციქულის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ ქრისტიანებმა არ უნდა მისცენ საცდურის საბაბი არც იუდეველებს, არც ელინებს, არც საღვთო ეკლესიას (იხ. I კორ. 10, 32), არამედ იზრუნონ სიკეთისთვის როგორც

*მხოლოდ საუფლო დღეს, კვირა დღეს, უნდა მოვერიდოთ არა მხოლოდ ამას (მუხლდრეკებს), არამედ ყოველნაირ მშფოთვარე მდგომარეობას და ყველა ვალდებულებას, განვიდევნოთ ჩვენგან საქმენი, რათა არ მივცეთ ადგილი ეშმაკს“.

**ათენის სინტაგმა, III, 197.

უფლის, ისე ადამიანების წინაშეც (იხ. 2 კორ. 8, 21); აქედან ჩანს, თუ რამდენად უწესო და მიუღებელია ქრისტიანისათვის, და მით უფრო სასულიერო პირისათვის, ამ კანონის განწესების საწინააღმდეგო საქციელი.

კანონი 31

უჯეროა ქორწინებითი კავშირის შეკვრა ნებისმიერ მწვალებელთან, ანდა ესევითართათვის ძეთა და ასულთა მიცემა, უფრო ჯეროვანია მათგან მოყვანა, თუკი აღთქმას დადებენ, რომ ქრისტიანებად მოიქცევიან.

(მოც. 26, 45, 65; IV მსოფ. 14; ტრულ. 6, 72; ლაოდ. 10; კართ. 21)

ეს კანონი წარმოადგენს ამ კრების მე-10 კანონის დამატებას შერეული ქორწინების შესახებ და საერთოდ კრძალავს ამ სახის ქორწინებებს, ანუ მართლმადიდებელი პირის დაქორწინებას სხვა, არამართლმადიდებელი სარწმუნოების პირთან. ამასთან, ეს კანონი შეახსენებს, რომ ასეთი ქორწინება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არამართლმადიდებელი პირი მართლმადიდებლური სარწმუნოების მიღების პირობას დებს. ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი ტრულის კრების 72-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 32

უჯეროა მწვალებელთაგან კურთხევათა მიღება, რაც ამაოდმეტყველება უფრია, ვიდრე კურთხევა.

(მოც. 10, 11, 45, 46, 64; I მსოფ. 19; II მსოფ. 7; III მსოფ. 2,4; ტრულ. 11, 95; ლაოდ. 6, 7, 8, 9, 10, 14, 31, 33, 34, 37; ბასილი დიდის 1, 47; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლებსა და მწვალებლებს შორის არავითარი რელიგიური თანაზიარება არ უნდა არსებობდეს, სხვათა შორის, ამ კრების მრავალი კანონიც საუბრობს (იხ. პარალელური კანონები). წინამდებარე კანონში იკრძალება მწვალებლებისაგან ევლოგიის (ἀδεῖᾶβάὸ) მიღება, ანუ ნაკურთხი პურის (ნაკურთხი სეფისკვერის ნაწილის). მწვალებლებს, მართლმადიდებლების მსგავსად, ჩვეულება ჰქონდათ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ერთმანეთისთვის გაეგზავნათ ნაკურთხი სეფისკვერი, – ძმური თანაზიარების ნიშნად (იხ. ლაოდ. მე-14). რადგანაც ლაოდიკიის კრებამ ეს წეს-ჩვეულება მართლმადიდებლებს აუკრძალა, ამიტომ მით უფრო უნდა აეკრძალა მას ასეთი ძღვენის მიღება მწვალებლებისგან. ეს პური ხდება **„კურთხეული“** მასზედ წაკითხული ლოცვების შედეგად, მაგრამ, რადგანაც მწვალებლებს შეუძლებელია ჰქონოდათ ჭეშმარიტი ლოცვა, რამეთუ არ ჰყავდათ ჭეშმარიტი სამღვდელოება, არამედ, მხოლოდ – ცრუსამღვდელოება (იხ. მოც. 47-ე), ამიტომ, ცხადია, ის მწავლებლური ლოცვა-კურთხევა, რომლითაც ისინი ფიქრობდნენ წმინდა ეყოთ პური, ამ საქმისთვის ამაოდმეტყველებაა, – როგორც ამას კანონი ამბობს.

კანონი 33

უჯეროა მწვალებელთან ან განხეთქილებაში მყოფებთან ერთად ლოცვა.
(მოც. 10,11,45,46,64; I მსოფ. 19; II მსოფ. 7; III მსოფ. 2,4; ტრულ. 11,95; ლაოდ. 6, 7, 8, 9, 10, 14, 31, 32, 34, 37; ბასილი დიდის 1, 47; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

ამ კანონში მეორდება მოციქულთა 45-ე კანონი; ამასთან, ემატება, რომ არავითარი რელიგიური თანაზიარება არ უნდა არსებობდეს მართლმადიდებელსა და განხეთქილებაში მყოფს შორის (σχισματιχψ, სქიზმატიკოსი)

კანონი 34

უჯეროა ქრისტიანისათვის მიატოვოს ქრისტეს მოწამეები და ცრუ მოწამეებს მიეკცეს, ანუ იმათ, რომლებიც მწვალებლებს ჰყავთ, ანდა თავადაც მწვალებლები იყვნენ. რამეთუ ისინი განშორებულნი არიან ღმერთისგან. ამისთვის მათთან მისულნი, შეჩვენებულ იყვნენ.
(მოც. 10, 11, 45, 46, 64, 70; III მსოფ. 2, 4; ლაოდ. 6, 9, 32, 33, 37; კარტ. 83; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

წინამდებარე კანონი პირდაპირ კავშირშია ამავე კრების მე-9 კანონთან და ორივე კანონი, უმთავრესად, ერთსა და იმავე საკითხზე საუბრობს. კერძოდ, ცრუმოწამეებზე, რომლებსაც ზოგიერთი მართლმადიდებელი პატივს მიაგებდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მე-9 კანონში ლაოდიკიის კრების მამები გულისხმობენ იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც ამას უმეცრებით აკეთებდნენ ან ვინმეს ზემოქმედებით, რის გამოც მათთვის განაწესებენ წმინდა ზიარებიდან დროებითი განყენების სასჯელს. ამ კანონში კი ისინი საუბრობენ იმათ შესახებ, რომლებიც განზრახ მოქმედებდნენ ასეთნაირად, — როგორც ბალსამონი ამბობს ამ კანონის განმარტებაში, — „მთელი გულითადი განწყობით". ამიტომაც გადაეცემიან ისინი ანათემას, როგორც ღმერთისგან განდგომილები.*

კანონი 35

უჯეროა ქრისტიანთათვის მიატოვონ ღმერთის ეკლესია, წავიდნენ და ანგელოზებს ხმობდნენ და შეკრებები მოაწყონ. ეს უარყოფილია. თუ ვინმე აღმოჩნდება ასეთი ფარული კერპთმსახურების აღმსრულებელი, შეჩვენებულ იყოს, რამეთუ მიუტოვებია უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მიახლებია კერპთმსახურებას.

ძველ დროში, — *ამბობს ზონარა ამ კანონის განმარტებაში,* — იყვნენ ისეთი მწვალებლები, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ადამიანი არ არის იმის ღირსი,

*ათენის სინტაგმა, III, 201.

რომ შემწეობისათვის იესო ქრისტე მოიხმოს, რათა ამით ღმერთს არ მიედაროს, ამიტომ შესაწევნელად ანგელოზებს უნდა მიმართოსო. სავსებით შესაძლებელია, რომ მწვალებლები ამას ამბობდნენ ცრუსიმდაბლიდან გამომდინარე, რასაც მათში ბოროტი სული აღძრავდა. მოიხსენიებს რა ამ მწვალებლობას კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში, პავლე მოციქული ამბობს: *„ნუვინ თქვენ მძლე გექმნებინ, უნდეს თუ სიმდაბლითა და წესითა ანგელოზთაჲთა“* (2, 18). წმინდა მოციქულის ეს სიტყვები აღნიშნავს, რომ ვერავინ შეძლებს მოგვაკლოს ჯილდო ჩვენი რწმენისა და მართალი ცხოვრებისათვის, როგორც არ უნდა იცდილონ განგვაყენონ მართალი სარწმუნოებისაგან და გვაიძულონ ცრუ თვითდამცირების ძალით, პატივი მივაგოთ ანგელოზებს, ანუ მათ პატივსაცემად ჩავატაროთ მსახურებები და, ამასთან, უღირსად მივიჩნიოთ თავი მოვიხმოთ ძე ღვთისა – ზეციერი მამისკენ ჩვენი მეგზური. ამ მწვალებლობის მიმდევრები ანგელოზებს უხმობდნენ და მათ საპატივიცებლად შეკრებებს მართავდნენ. განიკითხავს რა ამ მწვალებლობას, კანონი ამბობს, რომ ყოველი, ვინც ამ საიდუმლო კერპთაყვანიმცემლობის ერთგულებაში იქნება მხილებული, შეჩვენებულ იყოს. ეს, – *პავლე მოციქულის სიტყვებით,* – ანგელოზების წინაშე მსახურება, კანონში იწოდება კერპთთაყვანისმცემლობად; არა იმიტომ, რომ ანგელოზების პატივისცემა ნამდვილად კერპთთაყვანიმცემლობას ნიშნავს, არამედ იმიტომ, რომ ამით ბოროტი სული, აშორებს რა ადამიანს იესო ქრისტეს მოხმობისაგან, თანდათანობით, თვით მისთვის შეუმჩნეველად, ითრევს მას კერპთთაყვანისმცემლობაში.

კანონი 36

უჯეროა ნაკურთხი პირისთვის ან ეკლესიის მსახურისთვის იყოს გრძნეული, მსახრვალი, რიცხვთამკითხავი ან ვარსკვლავთმეტყველი, ან დაამზადოს ეგრეთ წოდებული საცო, რომელი არს სულის კრულებანი. ვინც მათ ატარებს, იმათ განკვეთას ვბრძანებთ ეკლესიიდან.

(ტრულ. 61; ანკირ. 24; ბასილი დიდის 7, 65, 72, 83; გრიგოლი ნოსელის 8)

ჩვენთვის ცნობილია ტრულის კრების 61-ე კანონის განწესება იმ ერისკაცთა მიმართებით,რომლებიც მკითხაობით არიან დაკავებულნი. წინამდებარე ლაოდიკიის კრების კანონი იგივე საკითხზე საუბრობს, ოღონდ – კლირიკოსებთან მიმართებით, რომლებსაც სწამთ მკითხაობის ან თავად მკითხაობენ. კანონი მთელი კატეგორიულობით განიკითხავს მსგავს ქმედებებს და დამნაშავეს ეკლესიიდან განკვეთით სჯის. ნიკიტა, XII საუკუნის კანონისტი, ამ საკითხის შესახებ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, მიმართავს ანკირიის კრების 24-ე და ლაოდიკიის ამ (39-ე) კანონებს; მკითხაობით საქმიანობას იგი წარმართულ საქმეს უწოდებს, – ქრისტიანული სამყაროსათვის მიუღებელს და კიდევ უფრო ნაკლებად მისაღებს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.* წინამდებარე კანონი განიკითხავს, აგრეთვე, განსაკუთრებულად „საცოს“ (დასაცავი, თილისმა, предохранилище, φυλακτήρια) დამზადებას. თა-

*ათენის სინტაგმა, V, 384.

ვად „საცოს“ უწოდებს „სულის კრულებანს (ბორკილებს)“, და განაწესებს ყველა იმათგანის ეკლესიიდან განკვეთას, ვინც მას ატარებს. წმინდა წერილში მოხსენიებულია ეს „საცოები“; მათ იუდეველები ლოცვის დროს იყენებდნენ (იხ. მთ. 23,5), კერძოდ, მათ ჰქონდათ ორი სახვევი, რომლებზეც ეწერა ღმერთის სახელი და 4 მუხლი წმინდა წერილიდან. ერთი მათგანით ისინი თავს იკრავდნენ, მეორეს – მარცხენა ხელზე იხვევდნენ, და სჯეროდათ, რომ ყოველი, ვინც ამ სახვევებს ატარებდა, ამით თავისგან ბოროტებას დევნიდა და იღებდა ყოველგვარ სიკეთეს. თავისთავად ცხადია, რომ ეს აშკარა ცრურწმენაა, საწინააღმდეგო იმ სწავლებისა, რომ ცხოვრებაში, ადამიანმა, თავისი თავი ღმერთის განგებას უნდა შესწიროს, თავად კი კეთილი საქმეები აკეთოს და სიკეთეს მხოლოდ განმგებელი ღმერთისგან ელოდოს. „საცოს“ ტარების ჩვეულებას, რა თქმა უნდა, მკითხაობის მნიშვნელობა ჰქონდა, და ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი შედის ჩამონათვალში რიცხვებით, ვარსკვლავებით და ა. შ. მკითხაობასთან ერთად. იუდევლებიდან „საცოს“ ტარების ჩვეულებამ ზოგიერთ ქრისტიანშიც მოიკიდა ფეხი; ისინი მას კისერზე ატარებდნენ ან ავადმყოფობის დროს იხვევდნენ სხეულის სნეულ ადგილზე. იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც მაშინ (IV საუკ.) ამ „საცოებს“ ჰქონდათ, სავსებით გასაგებია სასჯელის სიმკაცრე, რომელსაც კანონი ადებს ყველას, ვინც კი ამზადებს ან ატარებს მათ.

კანონი 37

უჯერია იუდეველთა ან მწვალებელთაგან გამოგზავნილი სადღესასწაულო ძღვენის მიღება, ან მათთან დღესასწაულობა.

(მოც. 64, 70, 71; ტრულ. 11; ანკირ. 9; ლაოდ. 6, 9, 29, 33, 34, 38, 39)

კანონი 38

უჯერია იუდეველთაგან ხმიადების (უფუარი პურების) მიღება, ან მათ უკეთურებასთან ზიარება.

(მოც. 7, 64, 70, 71; ტრულ. 11; ანკირ. 9; ლაოდ. 6, 9, 29, 33, 34, 37, 39)

კანონი 39

უჯერია დღესასწაულობა მწვალებლებთან ერთად და ზიარება მათ უღმერთოებასთან.

(მოც. 71; ტრულ. 71, 94)

ამ სამ კანონთან დაკავშირებით იხ. მოციქულთა 70-ე და 71-ე და მათი პარალელური კანონების განმარტებები.

✠

კანონი 40

ეპისკოპოსმა არ უნდა უგულებელყოს კრებაზე მიწვევა, არამედ უნდა წავიდეს და თავისი აზრი გამოთქვას ან სხვისი მოისმინოს ეკლესიის კეთილმოწყობისა და სხვა საქმეების შესახებ. ხოლო თუკი უგულებელყოფს მიწვევას, მაშინ თავადვე იქნება საკუთარი თავის ბრალმდებელი; წაუსვლელობის მიზეზი მხოლოდ ავადმყოფობა იყოს.

(მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; კართ. 18, 76, 95)

იხ. მოციქულთა 37-ე და სხვა პარალელური კანონების განმარტებები.

კანონი 41

უჯერია ნაკურთხი პირის ან ეკლესიის მსახურისთვის მოგზაურობა ეპისკოპოსის მართებული სიგელის გარეშე.

(მოც. 12, 13, 32, 33; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17; ანტიოქ. 6, 7, 8, 11; ლაოდ. 42; სარდ. 7, 8, 9; კართ. 23, 106)

კანონი 42

უჯერია ნაკურთხი პირისთვის, ან ეკლესიის მსახურისთვის ეპისკოპოსისგან მასზე გაცემული კანონიერი სიგელის გარეშე მოგზაურობა.

(მოც. 12, 13, 32, 33; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17; ანტიოქ. 6, 7, 8, 11; ლაოდ. 42; სარდ. 7, 8, 9; კართ. 23, 106)

ამ ორი (41-ე და 42-ე) კანონისთვის იხ. მოციქულთა მე-12 და სხვა პარალელური კანონების განმარტებები.

კანონი 43

უჯერია ეკლესიის მსახურთათვის თუნდაც მცირე ხნით მიატოვონ კარი ლოცვების კითხვის მიზეზით.

(ტრულ. 4, 6, 15; ლაოდ. 20, 21, 22, 24, 25)

იხ. ამ კრების 21-ე და 22-ე კანონების განმარტებები.

კანონი 44

დედაკაცისთვის დაუშვებელია საკურთხეველში შესვლა.

(ტრულ. 69; ლაოდ. 19)

შეახსენებს რა ამ კანონის განმარტებაში ზოგადად ყველა ერისკაცს საკურთხეველში შესვლის აკრძალვის თაობაზე (იხ. ტრულ. 69-ე; ლაოდ. მე-19), ზონარა დასძენს, რომ მით უფრო უნდა აეკრძალოს ეს დედაკაცებს, რომლებსაც მათი ნებისგან დამოუკიდებლად, ემართებათ თვიური სისხლდენა (течение месячных кровей, ἡ των εμμήνων αιμάτων ρύσις)*

კანონი 45

დიდმარხვის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ მოსანათლავად არავინ მიიღებოდეს.

(I მსოფ. 14; ტრ:ულ. 78; ლაოდ. 46)

ამ კანონში საუბარია კათაკმეველთა შესახებ ზოგადად, და კერძოდ იმათ შესახებ, რომლებიც საკმაოდ განისწავლნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, და ამის შემდეგ გარკვეული დრო უნდა დაეთმოთ სულიერი წვრთნისათვის, რათა სრულიად განმზადებულიყვნენ ნათლობისათვის, ანუ „ნათლისღების საიდუმლოსათვის". ესენი იყვნენ ის კათაკმეველები, რომლებიც მოიხსენიებიან პირველშეწირულის წირვაზე, იმ დროს, როდესაც ჯვართთაყვანისცემის შვიდეულის ოთხშაბათიდან ეკლესია ლოცულობს *ნათლისღებისთვის განმზადებულ ძმათათვის.* იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ ხანგრძლივი იყო კათაკმეველობის დრო იმ პირთათვის, ვინც მოწიფულ ასაკში გადაწყვიტა გაქრისტიანება, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-14 კანონის განმარტებაში. როდესაც ქრისტიანობაში განსწავლის შემდეგ (კათაკმეველობის დასრულების შემდეგ, по окончании оглашения) მათზე მიმაგრებული კატეხიზატორები განაცხადებდნენ, რომ მათი კატეხუმენები საკმარისად არიან ქრისტიანულ სწავლებასთან გაცნობილნი, მაშინ უკვე ეს უკანასკნელნი უნდა წარმდგარიყვნენ მმართველ ეპისკოპოსთან და გაეცხადებუნათ მისთვის წმინდა ნათლისღების მიღების სურვილი. ჩვეულებრივ, დრო, როდესაც კატეხუმენები ინათლებოდნენ, იყო დიდი შაბათი, იმ დღის მოსახსენიებელი, როდესაც ქრისტე საფლავად იდო, ნიშნად იმისა, რომ *„ძველი-იგი კაცი"* მაშინ ქრისტეს თანადაეფლო იმისათვის, რომ ქრისტეს აღდგომით ახალი ცხოვრებისათვის აღდგეს (იხ. რომ. 6, 4). სწორედ იმ დღეს რომ მიეღოთ წმინდა ნათლისღება (დიდ შაბათს), კატეხუმენებს ამის შესახებ ეპისკოპოსისათვის უნდა გაეცხადებინათ ჯერ კიდევ ხორციელი კვირის ბოლო დღეებში. ასეთი განცხადების შემდეგ, ეპისკოპოსი მათ თავისთან იწვევდა დიდმარხვის პირველ დღეს და თავად სცდიდა, და თუ ქრისტიანობის ღირსად ჩათვლიდა, აძლევდა კურთხევას, ქრისტიანულ სახელს და განკარგულებას იძლეოდა მათი ჩარიცხვის შესახებ განსანათლებელთა („φωτιζόμενων") რიგებში, ე.ი. იმათ რიგებში, ვინც წმინდა ნათლისღებისთვის ემზადებოდა, რათა დიდ შაბათს შეძლებოდათ უკვე ნათლობის მიღება. ქრისტიანული სახელის მიღების დღიდან, ანუ დიდმარხვის პირველი დღიდან, მთელი „ორმეოცის" განმავლობაში, კატეხუმენები მკაცრ მარხვაზე უნდა ყოფილიყვნენ, გამუდმებით ელოცათ

*ათენის სინტაგმა, III, 212.

და ყოველდღე ეკლესიაში ევლოთ. თუ რომელიმე კატეხუმენი არ განაცხადებდა თავის დროზე ნათლობის სურვილს, და ამას მოგვიანებით გააკეთებდა, განსაკუთრებით კი, როგორც კანონი ამბობს „დიდმარხვის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ", მაშინ იგი ვერ მოინათლებოდა დიდ შაბათს, რადგან არ იმარხულა დადგენილი წესით „ორმეოცი". თუმცაღა, — *ამბობს ზონარა ამ კანონის განმარტებაში,* — მას შეეძლო მოგვიანებით მონათლულიყო, რადგან კანონის სიტყვები „არ უნდა მიიღებოდეს", უნდა გავიგოთ არა სრული შეზღუდვით, არამედ, დიდ შაბათთან დაკავშირებით.*

კანონი 46

მოსანათლავებმა უნდა შეისწავლონ სარწმუნოება და შვიდეულის მეხუთე დღეს პასუხი მისცენ ეპისკოპოსს, ან მღვდლებს.

(I მსოფ. 2, 14; ტრულ. 78, 96; ლაოდ. 19, 45)

ამ კანონის ტექსტში ნათქვამია მხოლოდ „შვიდეულის მეხუთე დღეს" (τῇ πέμπτῃ τῆς εβδομάδος), ჩვენ კი ასე გადმოვთარგმნეთ: „ყოველი შვიდეულის მეხუთე დღეს",** რადგან გვსურდა მივყოლოდით ბერძენ კომენტატორებს — **ბალსამონსა** და **ზონარას**, რომელთა განმარტებებშიც არის სიტყვები: „ყოველი შვიდეულის" (εκάστης εβδομάδος),*** რაც სავსებით სწორად მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე, არ შეგვიძლია დავეთანხმოთ **არისტინეს**, რომელიც ამბობს, რომ სიტყვებში: „τῇ πέμπτῃ τῆς εβδομάδος" („შვიდეულის მეხუთე დღეს"), უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ დიდი ხუთშაბათი: „τῇ πέμπτῃ τῆς εβδομάδος καθ'ἣν μέλλει φωτισθῆναι" („გაბრწყინების წინა შვიდეულის მეხუთე დღეს").**** ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია დასახელებულ კომენტატორთა განმარტება, რადგან ცნობილია, რომ კათაკმეველთა კატეხიზაცია საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, თანაც ეს უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ პერიოდულად ჩაებარებინათ ეპისკოპოსისთვის ანგარიში სარწმუნოებაში თავიანთი გაცნობიერების შესახებ. გარდა ამისა, ეკლესია უნდა დარწმუნებულიყო კათაკმეველთა ურყევობაში, რომ მათ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება მტკიცე დაჯერებულობით სურდათ, ხოლო ამაში დარწმუნება ეკლესიას შეეძლო, — *როგორც ზონარა შენიშნავს წარმოდგენილი კანონის განმარტებაში,* — იმით, რომ ისინი კათაკმეველობის მთელი პერიოდის მანძილზე, ყოველ ხუთშაბათს აბარებდნენ ანგარიშს ეპისკოპოსს ან მღვდელს იმის თაობაზე, თუ რა გაიარეს ქრისტიანული სწავლებიდან ერთ კვირაში, — ეს იმისთვის, რომ ვინმეს, რწმენაში არასრულად განმტკიცებულს, ნათლისღება არ მიეღო და არ ზიარებულიყო ჩვენს წმინდა საიდუმლოებას.

---

*ათენის სინტაგმა, III, 212, 213.

**თვით კანონის ტექსტი, რომელსაც ეს განმარტება ახლავს, როგორც ჩანს, არ არის განმარტების ავტორისეული (ეპისკოპოს ნიკოდიმის) ტექსტი, რადგან სიტყვა „ყოველი" კანონის ტექსტში არ გვხვდება. — მთარგმ.

***ტრულის კრების 78-ე კანონის განმარტება, ათენის სინტაგმაში, II, 486.

****ათენის სინტაგმა, II, 486.

კანონი 47

ავადმყოფობის დროს მონათლულებმა, რომლებიც შემდეგ გამოჯანმრთელდნენ, უნდა შეისწავლონ სარწმუნოება და შეიცნონ, თუ როგორი ღვთაებრივი საუნჯე მიუღიათ.

(I მსოფ. 2, 14; ტრულ. 78, 96; ნეოკეს. 12; ლაოდ. 19, 45, 46; კართ. 45)

თუკი ვინმე კათაკმეველთაგანი ავად გახდება კათაკმეველობისათვის განწესებული დროის გასვლამდე (I მსოფ. 14; ლაოდ. 46), მაშინ კანონი მისი მონათვლის ნებას იძლევა, თუმცაღა, მოითხოვს, რომ თავისი გამოჯანმრთელობის შემთხვევაში, მან ნათლობის შემდეგ გააგრძელოს ქრისტიანული სწავლების შესწავლა იმისათვის, რომ გაიგოს, თუ რაგვარი ღვთაებრივი საუნჯის ღირსი შეიქმნა.

კანონი 48

ნათელღებულნი ცხებულ უნდა იქნენ ზეციური საცხებელით და ღმერთის სასუფევლის თანაზიარნი გახდნენ.

(III მსოფ. 7; ტრულ. 95)

მირონცხება რომ ახალი აღთქმის საიდუმლოა, ამის შესახებ მართლმადიდებლური დოგმატიკა გვეუბნება, ისევე, როგორც იმის შესახებ, რომ მირონცხების საიდუმლოს აღსრულება შეუძლია ეპისკოპოსსაც და მღვდელსაც, და რომ აღსრულება ის ნათლისმიმღებელზე მაშინვე, ნათლობის დასრულებისას.* ამ კანონიდან ჩანს, რომ ზოგიერთები არ ასრულებდნენ მონათლულზე მირონცხებას მაშინვე, როგორც კი მონათვლას დაასრულებდნენ, რის გამოც კანონი აღორძინებს იმ დროისათვის უკვე არსებულ დადგენილებას, რომელიც განაწესებდა ნათლობის დასრულებისთანავე ყველა მონათლულის ცხებას წმინდა მირონით, ან, როგორც კანონი იტყვის – ზეციური საცხებელით, რათა გახდეს იგი საღვთო სასუფევლის თანამემკვიდრე და ეკლესიის ჭეშმარიტი, მოღვაწე წევრი.

კანონი 49

უჯერობა დიდმარხვაში წმიდა პურის შეწირვა, გარდა შაბათისა და კვირა დღისა.

(მოკ. 66, 69; ტრულ. 52; ლაოდ. 50, 51, 52)

იხ. ტრულის კრების 52-ე კანონის განმარტება.

*მიტროპოლიტი მაკარი, „დოგმატური ღვთისმეტყველება“, §§ 208-213.

კანონი 50

დიდმარხვის უკანასკნელი შვიდეულის ხუთშაბათს არაჯეროვანია მარხვის გახსნილება და მთელი დიდმარხვის უწესოდ გატარება, არამედ საჭირო მთელი დიდმარხვის განმავლობაში მარხვის შენახვა ხმელი საჭმელით.

(მოც. 66, 69; ტრულ. 29, 89; დიონისე ალექსანდრიელის 1; ტიმოთე ალექსანდრიელის 8, 10)

იხ. მოციქულთა 66-ე და 69-ე და მათი პარალელური კანონების განმარტებები.

კანონი 51

უჯეროა დიდმარხვაში მოწამეთა დღესასწაულების აღნიშვნა, არამედ აღესრულოს წმინდა მოწამეთა ხსენება შაბათობით და კვირადღეობით.

(მოც. 66, 69; ტრულ. 52; ლაოდ. 49, 50, 52)

კანონი 52

უჯეროა დიდმარხვაში დაქორწინება, ანდა დაბადების დღეების გადახდა (დღესასწაულობა).

(მოც. 66, 69; ტრულ. 52; ლაოდ. 49, 50, 51)

იმ მნიშვნელობასთან შესაბამისობაში, რომელიც ეკლესიაში დიდმარხვას აქვს მინიჭებული (იხ. ტრულ. 52-ე), ლაოდიკიის კრების მამები კრძალავენ მის მთელ პერიოდში წმინდა მოწამეების ხსენების აღნიშვნას (51-ე კან.), – გარდა შაბათი და კვირა დღეებისა (მოც. 66-ე); ასევე, გვირგვინის კურთხევას (ჯვრისწერას) ან დაბადების დღის ზეიმს (52-ე კან).

კანონი 53

უჯეროა ქორწილში მისული ქრისტიანებისთვის ხტუნვა და როკვა, არამედ თავმდაბლად ივახშმონ და ისადილონ, როგორც ეს ქრისტიანებს შეეფერებათ.

(ტრულ. 24; ლაოდ. 54)

კანონი 54

უჯეროა ნაკურთხი პირისთვის, ან ეკლესიის მსახურთათვის სახილველი წარმოდგენების ყურება ქორწილებსა და სხვა წვეულებებზე; არამედ სანამ მსახიობები შემოვიდოდნენ, უნდა ადგნენ და წავიდნენ.

(ტრულ. 24; ლაოდ. 53)

მხედველობაში იღებენ რა ქორწინების სიწმინდეს, ეს კანონები (53-ე და 54-ე) მოითხოვენ, რომ ქრისტიანული ქორწინებები ტარდებოდეს კდემითა და მოკრძალებით, ამიტომ უკრძალავენ როგორც სასულიერო პირებს, ისე ერისკაცებსაც ისეთ

ქორწილებში მონაწილეობის მიღებას, სადაც ისეთი რამეები ხდება, რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ წარმართებს ახასიათებთ.

კანონი 55

უჯერია ნაკურთხი პირისთვის, ან ეკლესიის მსახურთათვის და თვით ერისკაცთათვისაც კი, ერთობლივად, საერთო სახსრებით მოაწყონ ღრეობები.
(კართ. 60)

ისწრაფვიან რა იმისკენ, რომ ქრისტიანული ცხოვრება წმინდა წერილს შესაბამისი იყოს, კანონი მოითხოვს, თითოეულმა იცხოვროს სიმდაბლით და ღვთისმოთნედ. კანონი ამას მოითხოვს როგორც თითოეული ქრისტიანი ერისკაცისგან, ასევე, განსაკუთრებით იმ პირთაგან, ვინც საეკლესიო დასს მიეკუთვნება და ვალდებულნი არიან სხვებს მისაბაძ მაგალითად ემსახურონ.

კანონი 56

უჯერია მღვდლებისთვის ეპისკოპოსის შესვლამდე საკურთხეველში შესვლა და დაჯდომა, არამედ შევიდნენ ეპისკოპოსთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეპისკოპოსი უძლურებაშია ანდა სხვაგანაა წასული.
(მოც. 2, 31, 39, 55; IV მსოფ. 8, 23; ტრულ. 17)

რამდენიმე კანონის განმარტებაში (მოც. მე-2, 31-ე და ა. შ.), ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ეპისკოპოსისადმი მღვდლის კანონიკურ მორჩილებაზე. როგორც ლაოდიკიის კრების ამ კანონიდან ჩანს, ზოგიერთი მღვდელი, განსაკუთრებით ფრიგიაში, ივიწყებდა ეპისკოპოსისადმი თავიანთი დაქვემდებარებას და თავს ვალდებულად არ თვლიდა მიეგო მისთვის ეკლესიაში მისი წოდებისათვის შესაფერისი პატივი. ასეთი უწესრიგობის წინააღმდეგ მიიღეს ლაოდიკიის კრების მამებმა წინამდებარე კანონი, რომლის განწესების აზრიც ნათელია თვით ტექსტიდან.

კანონი 57

უჯერია ეპისკოპოსთა დადგინება მცირე ქალაქებსა და სოფლებში, არამედ დადგენილ იქნენ პერიოდევტები, ხოლო მანამდე უკვე დადგინებულებმა არაფერი მოიმოქმედონ ქალაქის ეპისკოპოსის უნებურად. ამგვარადვე, ნურც მღვდლები მოიმოქმედებენ რაიმეს ეპისკოპოსის ნებელობის გარეშე.
(I მსოფ. 8; ანკირ. 13; ნეოკეს. 14; ანტიოქ. 8, 10; სარდ. 6)

„მღვდელმთავრის ხარისხი პატივის ღირსია; ხოლო, როდესაც დაბაში ან სოფელში ხარ ეპისკოპოსი, იქ, სადაც არ არის ქალაქი და საკმაო რაოდენობის მრევლი, ამას ადვილად შეუძლია მღვდელმთავრობის ხარისხის დაკნინება გამოიწვიოს“, – ამ-

ბობს ზონარა ამ კანონის განმარტებაში.* სწორედ ასეთი დასკვნა იყო ლაოდიკიის მამების მიერ ამ კანონის მიღების მიზეზი, რომელიც, თავის მხრივ, განაწესებს, რომ მცირე დასახლების ადგილებსა და სოფლებში დადგინდეს არა ეპისკოპოსები, არამედ — პერიოდევტები (περιοδευτάς, „მიმომხილველი"). პერიოდევტები ეკლესიაში განსაკუთრებულ მსახურებას ასრულებდნენ და მათი ინსტიტუტი ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან არსებობდა. ესენი იყვნენ უმაღლესი ხარისხის მღვდლები, რომლებიც უშუალოდ ქალაქის ეპისკოპოსთან მსახურობდნენ. მათი მოვალეობა იყო ზედამხედველობითი მსახურება; ეპისკოპოსის სახელით უნდა მოევლოთ (περιοδεόουσι) წლის გარკვეულ დროს ეპარქიის დაბა-სოფლების ეკლესიები და მათი მდომარეობის შესახებ ეპისკოპოსისთვის ანგარიში ჩაებარებინათ. დროთა განმავლობაში, როდესაც ეკლესიების ეპარქიალურმა მმართველობამ სრულ მოწყობილობას მიაღწია, პერიოდევტების სამსახურმა თავისი ფუნქციონალური მნიშვნელობა და დამოუკიდებლობა დაკარგა, თავად ისინი კი სხვა პირებმა შეცვალეს. ამჟამად, ამ მოვალეობას, უმთავრესად, პროტოპრესვიტერები ასრულებენ, ანუ მთავარხუცესები (მაგ., სერბეთში,** და კეთილმოწესენი („ბლაგოჩინოსნები") — რუსეთში. გამოსცა რა ასეთი განწესება პერიოდევტების შესახებ, ლაოდიკიის წინამდებარე კანონი იმ ეპისკოპოსებთან მიმართებით, — რომლებიც იმ დროისათვის უკვე მსახურობდნენ დაბებსა და სოფლებში, — განაწესებს, რომ მათ არაფერი გადაწყვიტონ ქალაქის მმართველი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, ისევე, როგორც მღვდლებმა (იხ. მოც. 39-ე).

კანონი 58

უჯეროა ეპისკოპოსთათვის ან ხუცესთათვის სახლებში შესწირავდნენ ძღვენს (აღასრულებდნენ ლიტურგიას).

(მოც. 31; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34, 59; VII მსოფ. 7, 10; ლანგ. 6; ანტიოქ. 5; კართ. 10; ორგ ზ. 12)

იხ. ტრულის კრების 31-ე კანონის განმარტება.

კანონი 59

უჯეროა ეკლესიაში იმ ფსალმუნების ან წიგნების კითხვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული კანონით, არამედ — მხოლოდ კანონში აღნიშნული ძველი და ახალი აღთქმის წიგნები უნდა იკითხებოდეს.

(მოც. 60; ტრულ. 63; კართ. 103)

ეკლესიის პირველ საუკუნეებში იესო ქრისტესთვის პატივის მისაგებად ბევრი კეთილმსახური ადამიანი ადგენდა განსაკუთრებულ საგალობლებს (особые песнопения, ἰδιωτικούς ψαλμούς, pruuatos psalmos), და სწორედ ამ საგალობლებს გალობდნენ ეკლესიებში ღვთისმასხურებისას. მაგრამ შემდგომში საგალობლების შედგენა

*ათენის სინტაგმა, III, 22, 223.

**1985 წლიდან საქართველოშიც.

მწვალებლებმაც დაიწყეს და ეკლესიაში ხშირად განურჩევლად ასრულებდნენ სხვადასხვა საგალობელს, რის გამოც ლაოდიკიის კრების მამებმა აკრძალეს ეკლესიაში ასეთი „განსაკუთრებული საგალობლების“ კითხვა, ანუ — „არაკანონიკური წიგნების“, და განაწესეს, რომ გამოყენებაში უნდა იყოს მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის „კანონიკური წიგნები“, რომლებიც შემდგომ (მე-60) კანონშია ჩამოთვლილი.

კანონი 60

უნდა იკითხებოდეს შემდეგი წიგნები:

ძველი აღთქმისა — 1. დაბადებისა (ქვეყნის შექმნათა). 2. გამოსვლათა ეგვიპტიდან. 3. ლევიტელთა. 4. რიცხვთა. 5. მეორე შჯულისა. 6. ისუ ნავესი. 7. მსაჯულთა, რუთისა. 8. ესთერისა. 9. მეფეთა პირველი და მეორე წიგნები. 10. მეფეთა მესამე და მეოთხე წიგნები. 11. პარალიპომენონი (ნეშტთა) პირველი და მეორე წიგნები. 12. ეზდრასი პირველი და მეორე წიგნები. 13. წიგნი ას ორმოცდაათი ფსალმუნისა (დავით მეფისა). 14. იგავნი სოლომონისა. 15. ეკლესიასტე (სოლომონისა). 16. ქებათა ქება (სოლომონისა). 17. წიგნი იობისი. 18. წიგნი თორმეტი წინასწარმეტყველისა. 19. ესაიასი. 20. იერემიასი, ბარუქისა, გოდებისა და ეპისტოლე. 21. ეზეკიელისა. 22. დანიელისა.

ახალი აღთქმისა — ოთხი სახარება: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი; საქმე მოციქულთა; შვიდი კათოლიკე (საზოგადო) ეპისტოლე: იაკობისა — ერთი, პეტრესი — ორი; იოანესი — სამი; იუდასი — ერთი; პავლეს ეპისტოლენი — თოთხმეტი: რომაელთა მიმართ — ერთი; კორინთელთა მიმართ — ორი; გალატელთა მიმართ — ერთი; ეფესელთა მიმართ — ერთი; კოლასელთა მიმართ — ერთი; თესალონიკელთა მიმართ — ორი; ებრაელთა მიმართ — ერთი; ტიმოთეს მიმართ — ორი; ტიტეს მიმართ — ერთი და ფილიმონის მიმართ — ერთი.

(მოც. 85; კართ. 24; ათანასე დიდის „დღესასწაულების შესახებ“; გრიგოლი ღვთისმეტყველის „წმინდა წერილის წიგნების შეახებ“; ამფილოქეს „წმინდა წერილის წიგნების შესახებ“)

იმის გამო,რომ თავიანთი 59-ე კანონით ლაოდიკიის კრების მამებმა აკრძალეს არაკანონიკური წიგნების კითხვა და განაწესეს, რომ უნდა იკითხებოდეს მხოლოდ კანონიკური წიგნები, ამიტომ წინამდებარე (მე-60) კანონში ისინი აკეთებენ ამ წიგნების რიგითობით ჩამონათვალს; ითვლიან ძველი აღთქმის 22 წიგნს, რომლებიც ახლაც ძალაშია კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიაში. ახალი აღთქმიდან კი ჩამოთვლილია ყველა კანონიკური წიგნი, გარდა აპოკალიფსისა (გამოცხადება). ეს იმით აიხსნება, რომ მოციქულთა ყველა ნაშრომი ერთდროულად ვერ აღწევდა ყველა ადგილობრივ ეკლესიამდე და, ადვილი შესაძლებელია, რომ ამ კრების მიმდინარეობის დროს „გამოცხადება“ არ იყო ცნობილი ფრიგიაში, როგორც ახალი აღთქმის კანონიკური წიგნი.

სარდიკიის წმინდა ადგილობრივი საეკლესიო კრება

ეს კრება შედგა სარდიკიაში (ახლანდელი სოფია) 343 წელს, ბერძნულ-რომაული იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევრების საზღვარზე; კრება მრავალრიცხოვანი იყო. შეკრების მიზანს წარმოადგენდა, ათანასე დიდთან დამოკიდებულებით შეთანხმებისათვის მიეღწიათ აღმოსავლელ და დასავლელ ეპისკოპოსებს, რადგან არიანელთა ინტრიგების შედეგად, მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდნილიყო. კრებას 300 დასავლელი და 76 აღმოსავლელი ეპისკოპოსი ესწრებოდა. თავმჯდომარეობდა კორდუბის ეპისკოპოსი ოსიოსი, ცნობილი ჯერ კიდევ ნიკეის კრებიდან. მას შემდეგ, რაც უსაფუძვლოდ მიიჩნიეს ათანასეს წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება და დაამტკიცეს ნიკეის სიმბოლო (მრწამსი), კრება საკანონმდებლო საქმიანობას შეუდგა; მიიღო 21 კანონი საეკლესიო დისციპლინასთან დაკავშირებით. ყველა ეს კანონი შეტანილია საყოველთაო საეკლესიო კანონიკურ კრებულში.

სარდიკიის წმინდა ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონები

კანონი 1

ოსიოსმა, ქალაქ კორდუბის ეპისკოპოსმა, თქვა: ჯერ არს საფუძველშივე აღმოიფხვრას არა იმდენად ცუდი ჩვეულება, რამდენადაც უდიდესი ზიანის მომტანი წესრიგის დარღვევა საეკლესიო საქმეებში. ეპისკოპოსთაგან ნურავის მიეცემა ნება პატარა ქალაქიდან სხვა ქალაქში გადავიდეს. რამეთუ ამ საქმეში აშკარაა მიზეზი, რისთვისაც ეს ხდება: იმიტომ, რომ არასდროს ყოფილა შესაძლებელი თუნდაც ერთი ეპისკოპოსის პოვნა, რომელიც დიდი ქალაქიდან პატარა ქალაქში ეცდებოდა გადასვლას. აქედან, ცხდია, რომ ესევითარნი მრავლის მოხვეჭის ვნებით აღენთებიან და უმეტესად ამპარტავნებით იღვწიან იმისთვის, რომ აშკარად მეტი ძალაუფლება მიიღონ. ამრიგად, თუკი ყველას ნება იქნება, დაე, უფრო მკაცრად დაისაჯოს ასეთი გარდაქცეულება; ხოლო მე ვეჰგონებ, რომ ესევითართ არ უნდა ჰქონდეთ თანაზიარება ერისკაცების თანასწორადაც კი. ყველა ეპისკოპოსმა მიუგო: სათნოდ გვიჩანს.

(ანკვ. 14; I მსოფ. 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 20; ანტიოქ. 13, 16, 18, 21; სარდიკ. 2, 17; კართ. 48)

კანონი საუბრობს იმ სახის საეკლესიო მმართველობის დარღვევაზე, რასაც, ზოგადად, გამხრწნელი შედეგები მოჰქონდა ეკლესიისათვის. საქმე ეხება ზოგიერთი ეპისკოპოსის მიერ თავისი კათედრის დატოვებას და სხვა საეპისკოპოსო

კათედრაზე გადასვლას. მიზეზი, რისთვისაც ეპისკოპოსები ასე იქცეოდნენ, დიდი მატერიალური სარგებლის მიმართ ლტოლვა და მეტი პატივის სურვილი იყო, რადგან, როგორც კანონი ამბობს, ვერასდროს ნახავთ ისეთ ეპისკოპოსს, რომელიც მოინდომებდა დიდი ქალაქიდან უფრო პატარაში გადასვლას, მდიდარი ეპარქიიდან – ღატაკში, არამედ ყოველთვის პირიქით ხდება. ეპისკოპოსების მსგავსი გადასვლები ამ კრებამდეც ყოფილა განსჯის საგანი (იხ. მოც. 14; I მსოფ. 15), მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი ეპისკოპოსი ცუდად იცავდა კანონიკურ დადგენილებებს, რის გამოც სარდიკიის კრების მამებმა აუცილებელ ზომად მიიჩნიეს გაეძლიერებინათ ისინი და განაწესებენ, რომ ამგვარი ქმედებებისათვის ეპისკოპოსები არამხოლოდ ხარისხიდან განიკვეთონ, არამედ მათ ეკლესიაში ერისკაცების უფლებებიც უნდა ჩამოერთვან, ანუ აეკრძალოთ ერთგულ მორწმუნეებთან თანაზიარება.*

კანონი 2

თუ აღმოჩნდება ვინმე ისეთი უგუნური ან კადნიერი, რომ მოიგონებს რაღაც გამართლების მოტანას ასეთ საქმეში და დაიწყებს მტკიცებას, რომ ხალხმა გამოუგზავნა მას მიწვევის წერილი, მაშინ ცხადია, თუ როგორ შეეძლოთ მავანთ, არამრავალთ, სამაგიეროს მიგებითა და სასყიდლით მოხიბლულებს თავყრილობა მოეწყოთ ეკლესიაში თითქოსდა იმის სურვილით, რომ იგი ჰყოლოდათ ეპისკოპოსად. ამიტომ ვჰგონებ სრული სასჯელით დაისაჯოს ეს ხრიკები და აშკარა სიცრუე, რათა ესევითართაგან არავინ, თვით თავისი სიკვდილის ჟამსაც, არ იქნეს ღირსი თანაზიარობისა, ერისკაცების თანასწორადაც კი. მისაღები თუ არის ეს შეხედულება? მიპასუხეთ. და მიუგეს: ნათქვამს ვიწყნარებთ.

(მოც. 14; I მსოფ. 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 20; ანტიოქ. 13, 16, 18, 21; სარდიკ. 1, 17; კართ. 48)

ეს კანონი წარმოადგენს პირველი კანონის გაგრძელებას. მაშინ არსებული კანონიკური პრაქტიკით, ეპისკოპოსის გამორჩევაში ერი აქტიურად მონაწილეობდა და, საერთოდ, ეპისკოპოსად დგინდებოდა ის პირი, ვინც ერს სურდა და ვისაც ის ითხოვდა (იხ. I მსოფ. მე-4 კან. და მისი განმარტება). იმ მიზნით, რომ კანონიერი სასჯელი თავიდან აერიდებინათ, ეპისკოპოსები, რომლებსაც სურდათ მცირე ეპარქიებიდან უფრო მდიდარ ეპარქიებში გადასულიყვნენ, ამის მიზეზად იმ ეპარქიიდან საეკლესიო ერის მიერ წერილობით მიწვევას ასახელებდნენ. კანონი არ ითვალისწინებს ასეთ დასაბუთებას, რადგან სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში რამდენიმე მოსყიდულ პირს შეუძლია ერის სახელით მიიწვიოს ესა თუ ის ეპისკოპოსი. ასეთ საქციელს კანონი უწოდებს აშკარა სიცრუეს, რის გამოც მისი ჩამდენი ექვემდებარება უმკაცრეს განკითხვასა და სასჯელს, სახელდობრ, ასეთი დამნაშავე ვერ ეღირსება თუნდაც საერისკაცო

*იხ. ზონარასა და ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმეში, III, 228-230.

თანაზიარებას სიკვდილის ჟამსაც კი. არისტინე ასეთ სასჯელს საშინელს უწოდებს, რადგან ადამიანს არ შეუძლია წმინდა ზიარებას ეღრსოს სასიკვდილო სარეცელზეც, ამასთან, არ არსებობს სხვა რომელიმე კანონი, რომელიც ასეთ სასჯელს ითვალისწინებდეს რაიმე ცოდვისთვის.* ამ კანონით განწესებული სასჯელის სიმძიმე იმით აიხსნება, რომ იმ ქმედებაში, რაზედაც კანონშია საუბარი, ერთმანეთს ერწყმის რამდენიმე დანაშაული: გამორჩენის სურვილი, ამპარტავნება, მოსყიდვა, სიცრუე და ყველაფერ ამის ზევით — სიმონია. თუმცა, ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ I მსოფ. კრების მე-13 კანონის განწესება, რომლის თანახმადაც სიკვდილის წინ წმინდა ზიარება აუცილებლად უნდა მიეცეს ყველა მონანულ ქრისტიანს.

კანონი 3

ესეც უნდა დავსძინოთ, რომ, დაე, ეპისკოპოსთაგან არავინ გადავიდეს თავისი სამთავროდან სხვა სამთავროში, სადაც თავიანთი ეპისკოპოსები ჰყავთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოწოდებული იქნება იქ მყოფი ძმების მიერ, — რომ არ გამოგვივივდეს სიყვარულის კარების დახშვა. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგიც: თუ რომელიმე სამთავროს ეპისკოპოსს სადავო საქმე აქვს თავის ძმასთან და თანაეპისკოპოსთან, დაე, ნურც ერთი მათგანი ნუ მოიწვევს შუამავლად სხვა სამთავროს ეპისკოპოსებს. ხოლო თუ ვინმე ეპისკოპოსთაგან დადანაშაულებული აღმოჩნდება რაიმე საქმეში, მაგრამ მიიჩნევს, რომ მისი საქმე უსამართლო კი არ არის, არამედ მართალია, და უნდა, რომ ხელმეორედ დაინიშნოს სამსჯავრო, მაშინ, თუკი თქვენი სიყვარული ინებებს, პატივი მივაგოთ პეტრე მოციქულის ხსოვნას და, დაე, მიეწეროს ამ მოცილეთაგან რომის ეპისკოპოსს იულიუსს, რათა განახლდეს, თუ საჭიროა, სამსჯავრო იმ სამთავროს უმახლობელეს ეპისკოსპოსთა მონაწილეობით და, დაე, მან დანიშნოს საქმის განმხილველნი. ხოლო თუ ბრალდებული ვერ შესძლებს თავისი საქმის ისეთად წარმოდგენას, რომელიც მეორედ განსჯას მოითხოვს, მაშინ ერთხელ განჩინებული, დაე, ნუ დაირღვევა, არამედ რაც იქმნა, მტკიცე იყოს.

(მოც. 35; I მსოფ. 5; IV მსოფ. 5; ანტიოქ. 13, 16, 21; სარდიკ. 2, 4, 5)

დასაელელი კანონისტები ამ კანონს სამად ყოფენ, რაც სავსებით გამართლებულია მისი შინაარსით, რადგან, სინამდვილეში ის საუბრობს სამ საკითხზე, რომელთაგან თითოეული მათგანი შეიძლება სრულიად დამოუკიდებლად იქნეს განხილული. კანონის პირველ ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ არც ერთ ეპისკოპოსს არ აქვს უფლება გადავიდეს სხვა სამთავროში რაიმე მღვდელმოქმედების აღსასრულებლად, თუ ამისთვის იმ სამთავროს ეპისკოპოსის მიწვევა არ გააჩნია. მეორე საკითხი, რაზედაც ეს კანონი საუბრობს, არის ის, რომ ეპისკოპოსებს შორის წარმოქმნილი დავა უნდა განიხილოს იმ სამთავროს კრებამ, რომელ სამთავროსაც

*ათენის სინტაგმა, III, 233.

ეს ეპისკოპოსები მიეკუთვნებიან და ამ განხილვაზე არ უნდა იქნეს მიწვეული სხვა სამთავროს ეპისკოპოსი. კანონის მესამე ნაწილში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დადანაშაულებული ეპისკოპოსი თავს მართლად მიიჩნევს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ განჩინების მიმართ, რომელიც თავისი სამიტროპოლიტო სამთავროს ეპარქიების ეპისკოპოსების გადაწყვეტილებით იქნა მის. მიმართ გამოტანილი. მსგავს შემთხვევებში კანონი განაწესებს, რომ მან უნდა მიმართოს რომის **ეპისკოპოს იულიუსს,** რომლმაც უნდა გადაწყვიტოს, განახლდეს თუ არა სამსჯავრო, და დადებით შემთხვევაში თავად დანიშნოს სასამართლოს შემადგენლობა მეზობელი ეპარქიების ეპისკოპოსთა შემადგენლობით. ხოლო, თუკი რომის ეპისკოპოსი იულიუსი სასამართლოს განახლებას არ ჩათვლის საჭიროდ, მაშინ პირველი სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი რჩება. სარდიკიის კრების ამ კანონის ასეთ დაყოფას ჩვენ ვხვდებით **ბალსამონთანაც,** რომელსაც მისი განმარტებისას, პირველი ნაწილის განხილვის შემდეგ, მოჰყავს კანონის მეორე თავი, ანუ ზემომოხსენიებული მისი მეორე ნაწილი, რის შემდეგაც საუბრობს მესამე ნაწილზე, ანუ იმ შემთხვევაზე, როდესაც ეპისკოპოსი უკმაყოფილოა პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებით.*

კანონის პირველ ნაწილში განხილულ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ანტიოქიის კრების მიერ იქნა გამოტანილი დაწვრილებითი დადგენილება (მე-13 კან.) მოციქულთა 35-ე კანონის საფუძველზე, და მათი განმარტება (ანტიოქ. მე-13 და მოც. 35-ე კანონების) სარდიკიის კრების წინამდებარე კანონის ამ ნაწილის განმარტებასაც ემსახურება.

კანონის მეორე საკითხი მანამდე განხილულ იქნა I მსოფლიო კრებაზე და მისი მე-5 კანონის განწესება, ზოგადად, ამ კანონშიც მეორდება.

მესამე ნაწილი კი, ამ კანონისა, სავსებით ახალია და თავისი არსით გამორჩეული. მასზე, ამ კანონის გარდა, საუბარია აგრეთვე სარდიკიის მე-4 და მე-5 კანონებში, იმდროინდელ რელიგიურ ურთიერთობათა გამო და გარკვეული პირის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს (მე-3) კანონი, როგორც მომდევნო ორი, თავისი არსით არ მიეკუთვნება ძირითად (ანუ საერთო) კანონებს, ე. ი. იმ სახის კანონებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ყველა დროის მთელი მსოფლიო ეკლესიისათვის,** არამედ არის სპეციალური, ან, უფრო ზუსტად, კერძო მნიშვნელობის და მოქმედებს გარკვეულ, კონკრეტულ პირობებში. ამ ნაწილში კანონი განაწესებს, რომ იულიუსს, რომის ეპისკოპოსს, უფლება აქვს გადწყვიტოს, განაახლოს თუ არა სასამართლო ეპისკოპოსების მიმართ, შესაბამისად, აღიარებს რომის ეპისკოპოსისადმი სააპელაციო გადაწყვეტილების უფლებას გარკვეული ეპარქიალური კრების მიერ გამოტანილ განაჩენზე. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ მსგავსი დადგენილება, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ვითარება, რომელიც სარდიკიის კრების დროს არსებობდა და რის გამოც იქნა აღნიშნული კრება მოწვეული. როგორც ცნობილია, სარდიკიის კრება მოიწვიეს **ათანასე დიდის** საქმესთან დაკავშირებით, რომელიც

*ათენის სინტაგმა, III, 235-236.

**იხ. ათენის სინტაგმაში, III, 239, 518, ბალსამონის განმარტება სარდიკ. მე-4 და კართ. 88-ე კანონებზე.

უკანონოდ განკვეთეს ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს მოწინააღმდეგეებმა, რაშიც მთავარი როლი ევსევიანელებმა შეასრულეს (საშუალო არიანელთა პარტია, რომელიც ამ სახელით იწოდებოდა მისი საკმაოდ გავლენიანი ხელმძღვანელის, ნიკოდიმიის ეპისკოპოს ევსევის სახელთან დაკავშირებით). კრების მიზანი, ერთი მხრივ, ათანასე დიდის თავის ხარისხში აღდგენა იყო, მეორე მხრივ, არამართლმადიდებელთა განსჯა, რომლებიც გაკადნიერდნენ აღმდგარიყვნენ ამ „მართლმადიდებლობის ბურჯის" (ათანასე დიდის) წინააღმდეგ. ეს ამოცანა კრებაზე უნდა შეესრულებინათ დასავლელ ეპისკოპოსებს, რომის ეპისკოპოს იულიუსის ხელმძღვანელობით (337-352) და დასავლეთის იმპერატორის კონსტანტის მფარველობით. ეს ამოცანა მათ იმიტომ დაეკისრათ, რომ აღმოსავლელთა უმრავლესობა ნიკეის სარწმუნოების მოწინააღმდეგეთა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და, ამასთან, სარგებლობდა აღმოსავლეთის იმპერატორის კონსტანტიოსის მფარველობით, რომელიც ათანასე დიდის მძვინვარე მტრად მოიაზრებოდა. ამის შედეგად, ამ კრების მოწვევის ადგილად შეირჩა ქალაქი სარდიკა, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერიების საზღვარზე მდებარეობდა და იმ დროს „რომის ეპისკოპოსიის იურისდიქციაში" შედიოდა. ამით აიხსნება კრებაზე დასავლელ ეპისკოპოსთა სიმრავლე და, ასევე, ის, რომ კრების თავმჯდომარე იყო დასავლელი, კორდუბელი (ესპანეთის ქალაქი) ეპისკოპოსი ოსიოსი. იმ მიზნით, რომ ასეთ გარემოებაში, რომის საპატრიარქოს დამორჩილებული მართლმადიდებელი ეპისკოპოსები არიანელთა თვითნებურობისგან დაეცვათ, სარდიკიის კრების მამები იძულებული გახდნენ გამონაკლისი დაეშვათ საერთო კანონიკური ნორმიდან, რომელიც არსებობდა ეპარქიალური ეპისკოპოსების კრებების სასამართლოთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და რომელიც გამოხატულია I მსოფლიო კრების მე-5 კანონში, და შეეზღუდათ ამ კრებების უფლებები რომის საპატრიარქოში შემავალი სამთავროს ეკლესიებისათვის. ეს ეკლესიები, თავის მხრივ, მეტ-ნაკლები დოზით ყველა არიანელობით იყო მოწამლული; განსაკუთრებით ეს ეხებოდა და კეთდებოდა უპირატესად აღმოსავლეთ ილირიკეში განლაგებული ეკლესიებისათვის. კრების თავმჯდომარე ოსიოსი, ათანასე დიდისა და სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსების ერთგული იყო; მან, რომელმაც გამოცდილებით იცოდა, თუ როგორ ხშირად ხდებოდა მართლმადიდებელი ეპისკოპოსების უმიზეზოდ, განსაკუთრებით კი არიანელთა ღვარძლით, თავიანთი კათედრებიდან დამხობა, კრებას შესთავაზა ვინმესთვის მიეცათ ისეთი ხელმწიფება, რომელის დაქვემდებარებაშიც იქნებოდა სამთავრო კრებების მიერ მათი ეპისკოპოსების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების გადახედვა და ახალი სასამართლო მოსმენის დანიშვნა, თუ პირველი გადაწყვეტილება მისგან არ იქნება სამართლიანად შეფასებული. სავსებით ბუნებრივია, რომ ის ეპისკოპოსი, რომლისთვისაც კრებას შეიძლება აღნიშნული ხელმწიფება მიენდო, იყო იმ საპატრიარქოს უხუცესი ეპისკოპოსი, რომელსაც ქალაქი სარდიკა მიეკუთვნებოდა, კერძოდ – რომის ეპისკოპოსი, განსაკუთრებით კი მაშინდელი რომის ეპისკოპოსი იულიუსი; ეს უკანასკნელი ღიად იცავდა ათანასე დიდს და ევსევიანელებისადმი მიწერილ ერთ-ერთ თავის წერილში აფიქსირებს თუ რაზომ კიცხავს ათანასე დიდისა და სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მიმართ მათ დამოკიდებულებას. თუმცა, ოსიოსს არ ეჩვენებოდა იოლი აეძულებინა მთელი კრება ეპარქიალური კრებების

სასამართლოების უკვე დამტკიცებული დამოუკიდებლობების შეზღუდვა და, ამიტომ, იმისათვის, რომ მაინც მიეღო ამ საკითხზე კრების მამების თანხმობა, იგი მათ თხოვნით მიმართავს („თუკი თქვენი სიყვარული ინებებს"), და ამბობს, რომ ასეთი საქციელი იქნება პატივის მიგება წმინდა პეტრე მოციქულისადმი. ოსიოსის ეს წინადადება კრებამ მიიღო და მის საფუძველზე იქნა წინამდებარე კანონი მიღებული, რომლის შინაარსიც ახლა უკვე ჩვენთვის ნათელია და კიდევ უფრო ნათელი გახდება, როდესაც განვიხილავთ ამ კრების მე-4 და მე-5 კანონებს. უფრო მეტი სიცხადისთვის, აქვე მოვიყვანთ „კანონთა კრებულიდან"* ამ კანონის სქოლიოს: „მსოფლიო კრების მე-6 კანონით, ძველი ჩვეულების შესაბამისად, რომის ეპისკოპოსს დაქვემდებარებაში გადაეცა დასავლეთის ბევრი ეპარქია, ისევე, როგორც ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს სამხრეთისა და აღმოსავლეთის ბევრი ეპარქია. ამ დაყოფასთან შესაბამისობაში, ესპანეთის ქალაქ კორდუბის ეპისკოპოსს ოსიოსს, რომელიც რომის ეპისკოპოსის სამთავროს შემადგენლობაში შედის, წინადადება შემოაქვს, მის განხილვას დაუქვემდებაროს დასავლეთ ეპარქიების საეჭვო შემთხვევები, და ამ აზრით მიიღო მისი (ოსიოსის) მიერ შემოთავაზებული წინადადება სარდიკიის ადგილობრივმა კრებამ ისე, რომ არ დაურღვევია I მსოფლიო კრების მე-6 კანონი".

კანონი 4

თუ რომელიმე ეპისკოსი მეზობელი ეპისკოპოსების სამსჯავროთი განკვეთილი იქნება წოდებიდან და იტყვის, რომ კვლავ შეუძლია წარმოაჩინოს თავის გასამართლებელი საბუთი, მაშინ მის ადგილას მანამდე ნუ დადგინდება სხვა ეპისკოპოსი, ვიდრე რომის ეპისკოპოსი, გამოიკვლევს რა საქმეს, თავის განჩინებას არ გამოიტანს ამის შესახებ.

(მოც. 14, 74; სარდიკ. 3, 5; ორგზ. 16)

ეს კანონი მჭიდრო კავშირშია ამავე კრების მე-3 კანონის ბოლო ნაწილთან. იგი ეხება იულიუსის, რომის ეპისკოპოსის უფლებას, დაუქვემდებაროს ახალ სასამართლო განხილვას ეპისკოპოსთა შორის სადავო საკითხზე გამოტანილი სამთავროს კრების გადაწყვეტილება. კანონი ამბობს, რომ თუ სამთავროს კრების განჩინებით უკმაყოფილო რომელიმე ეპისკოპოსი მიმართავს იულიუს რომაელს და ეს უკანასკნელი საჭიროდ მიიჩნევს ამ განაჩენის ხელახლა გადახედვას, მაშინ შესაბამისი განაჩენის გამოტანამდე, ანუ ხელმეორე სასამართლო განხილვამდე, არ უნდა დადგინდეს ახალი ეპისკოპოსი ძველის ადგილზე. კანონის სიტყვები: **„მეზობელი ეპისკოპოსების სამსჯავროთი"**, მისი ორმაგი განმარტების საბაბად იქცა. ერთთა აზრით, ეს აღნიშნავს სასამართლოს, რომელიც მეზობელი ეპარქიების ეპისკოპოსებისგან შედგება, სახელდობრ ისეთ სასამართლოს, რომლზედაც ამ კრების მე-3 კანონშია საუბარი: **„იმ სამთავროს უმახლობელეს ეპისკოპოსთა"**. სხვათა აზრით, იგივე სიტყვები აღნიშნავენ ეპისკოპოსთა კრებას, რომელიც შედგება იმავე

*1862 წ. გამოცემა გვ. 184.

ეპარქიის (სამიტროპოლიტო სამთავროს) ეპისკოპოსებისგან, საიდანაც არის თვით ბრალდებული ეპისკოპოსი, ანუ მისი უშუალო მეზობელი ეპისკოპოსებისგან და რომლებიც მასთან ერთად ერთი და იმავე მიტროპოლიტს ემორჩილებიან. ამ ორ აზრთა შორის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველთა აზრის თანახმად იულიუს რომაელის სასამართლო ასეთ შემთხვევაში იქნებოდა მესამე ინსტანცია, ხოლო თუ მეორეთა აზრს მივყვებით, მაშინ – მეორე ინსტანცია. ჰეფელე და სხვები ამ მეორე აზრს უფრო მართებულად მიიჩნევენ. ჩვენც ასე მიგვაჩნია სწორად, რადგან ასეთი განმარტებისას სრულ კავშირს და თანმიმდევრობას ინარჩუნებს ეს კანონი ამავე კრების მე-3 და მე-5 კანონებთან, რომებიც ერთი და იგივე საკითხებზე გარკვეული თანმიმდევრობით საუბრობენ. ამავე მნიშვნელობით განმარტავს ამ კანონს **არისტინეც**, რომელიც საუბრობს მხოლოდ „სამთავროს ეპისკოპოსებზე", რომლებმაც განკვეთეს რომელიმე ეპისკოპოსი, და არ მოიხსენიებს მეზობელი ეპარქიის (სამიტროპოლიტო სამთავროს) ეპისკოპოსებს, რომელთა შესახებაც, როგორც მეორე ინსტანციაზე, საუბრობს ამ კრების მე-3 კანონი.* ამ ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვების ასეთი განმარტების შემდეგ, წინამდებარე კანონი სავსებით გასაგები ხდება. ის არის სხვა არაფერი, თუ არა დამატება და განმარტება მე-3 კანონისა იმ ეპისკოპოსთან დაკავშირებით, რომელიც გასამართლებულ იქნა რწმუნებული კრების მიერ და მიიჩნია რა მისი ეს განაჩენი უსამართლოდ, შუამდგომლობით მიმართა იულიუს რომაელს ახალი სასამართლოს დანიშვნის თხოვნით. ამასთან, კანონი განაწესებს, რომ მისი კათედრა დაუკავებელი დარჩეს იქამდე, ვიდრე რომის ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით არ იქნება გამოცხადებული ახალი განაჩენი ამ სამიტროპოლიტო სამთავროს მეზობელი ეპისკოპოსების მიერ.

კანონი 5

თუ რომელიმე ეპისკოპოსზე შესმენა შემოვა, და მეზობელი სამრევლოების ეპისკოპოსები შეიკრიბებიან და ჩამოართმევენ მას ხარისხს, ის კი, გადაიტანს რა საქმეს რომის ეკლესიის უნეტარეს ეპისკოპოსს მიმართავს, ხოლო ეს თუ ისურვებს ისმინოს მისი და სამართლიანად აღიარებს მისი საქმის გამოძიების განახლებას, – მაშინ ესეც უნდა დავადგინოთ, რომ კეთილად ინებოს და მისწეროს იმ სამთავროს მოსაზღვრე ეპისკოპოსებს, რათა გულმოდგინედ და ზედმიწევნით გამოიძიონ ყველა გარემოება და ჭეშმარიტებაში დარწმუნების შემდეგ წარმოთქვან მსჯავრი საქმეზე. ხოლო თუ ვინმე მოითხოვს, რომ მისი საქმე კვლავ იქნეს მოსმენილი, და მისი თხოვნით კეთილად განსჯის რომის ეპისკოპოსი თავისი ხუცესები წარგზავნოს, – ასეთ შემთხვევაში, დაე, ამ ეპისკოპოსის ხელმწიფებაში იყოს, რასაც უმჯობესად და საჭიროდ ჩათვლის, და დაადგინოს: ეპისკოპოსებთან ერთად საქმის განსჯისათვის წარგზავნოს გამომგზავნის ადგილის მო-

*ათენის სინტაგმა, III, 239.

ნაცვლენი. ანდა თუ საკმარისად მიიჩნევს უკვე ჩატარებულ განხილვას და მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ეპისკოპოსის საქმეზე, დაე, ის განაჩინოს, რასაც თავისი უკეთილგონიერესი მსჯელობით სასიკეთოდ მიიჩნევს. ეპისკოპოსებმა მიუგეს: ნათქვამს ვიწყნარებთ.

(მოც. 14, 74; I მსოფ. 5, 6; II მსოფ. 2, 6; IV მსოფ. 9. 17, 28; ანტიოქ. 14, 15; კართ. 23, 28, 105, 125)

ეს კანონი წარმოადგენს იმის დასკვნას, რაზედაც საუბარია მე-3 და მე-4 კანონებში. უკეთ რომ ვთქვათ, იგი წარმოადგნეს იმის დაწვრილებით ახსნას, რაც ნათქვამია მე-3 კანონში ხელახალი სასამართლოს შესახებ, რომელსაც აწესებს იულიუს რომაელი სათანადო საეპარქიო სასამართლოს მიერ გასამართლებული ეპისკოპოსის მიმართვის საფუძველზე. კერძოდ, კანონი ამბობს, რომ თუ თავისი კრების მიერ განკვეთილი რომელიმე ეპისკოპოსი მიმართავს იულიუს რომაელს, მაშინ ეს უკანასკნელი, იმ შემთხვევაში, თუ მართებულად მიიჩნევს შეიწყნაროს მისი თხოვნა, უნდა განუწესოს შესაბამის სამიტროპოლიტო სამთავროს ეპისკოპოსებს, – უახლოესებს იმ სამთავროსი, რომელსაც გასამართლებული მიეკუთვნება, – რომ შემოსული საჩივარი მხოლოდ მათ უნდა განიხილონ ან იულიუსის მიერ გაგზავნილ რომელიმე მღვდელან ერთად და გამოიტანონ სამართლიანი განაჩენი. სარდიკიის კრების მამების მიერ იულიუს რომაელისათვის გადაცემული უფლება, – რომელიც ითვალისწინებდა თავის სასამართლო დაქვემდებარებაში აეყვანა **რომის საპატრიარქოს** ეპარქიალური კრებების გადაწყვეტილებები, იმ შემთხვევებში, როდესაც შეიძლებოდა ეჭვი გამოეწვია არიანელების ან არიანელობისაკენ მიდრეკილი ეპიკოპოსების მიერ გამოტანილ განაჩენს რომელიმე მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მიმართ (რაც მიზნად ისახავდა დაემცირებინათ **ათანასე დიდი** და მართლმადიდებლობისთვის ზიანი მიეყენებინათ), – რომის ეპისკოპოსებმა მოინდომეს მიეთვისებინათ თავიანთი საპატრიარქოს **საზღვრებს გარეთაც,** და **ყველა შემთხვევაში.** მათ ჩათვალეს, თითქოს მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ სააპელაციო უფლება მთელი მსოფლიოს ეპისკოპოსებისა, და **უკანასკნელ ინსტანციაში** შეეძლოთ თითოეულზე განაჩენის გამოტანა. ამის დამახასიათებელ მაგალითს წარმოგვიდგენს **რომის ეპისკოპოსი ზოსიმე** (417-418), აპიარიოსის, აფრიკის პროკონსულატის სიკსელი მღვდელმსახურის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით; იგი თავისმა ეპისკოპოსმა ურბანმა ხვადასხვა დანაშაულისათვის განკვეთა. ამით უკმაყოფილო აპიარიოსმა საჩივრით რომს მიმართა და დაცვა ითხოვა. აფრიკის პროკონსულატი, რომლის მთავარი ქალაქი კართაგენი იყო, დამოუკიდებელ საეკლესიო სამთავროს წარმოადგენდა, საკუთარი ავტონომიურს თავის შინაგან მმართველობაში. ზოსიმე რომაელმა მშვენივრად იცოდა, თუ რაზომ პატივისცემას იმსახურებდა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო კრებაზე დამტკიცებული ეკლესიების პრივილეგიები (იხ. I მსოფ. მე-6), თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც მიიჩნია შესაძლებლად მიეღო აპიარიოსის საჩივარი და თავისი სასამართლოსათვის დაექვემდებარებინა გადაწყვეტილება მიღებული სათანადო ხელმწიფებით იმ ეკლესიაში, რომელიც მის იურისდიქციაში საერთოდ არ შედიოდა. ამის საფუძვლად მას უნდა

აელო რომელიმე მსოფლიო ეკლესიის ერთ-ერთი კანონი. ასეთი კანონი მან იპოვა I მსოფლიო კრების კანონებში. მაგრამ, რადგანაც, ამ კრების კანონების სარწმუნო კრებულში ასეთი კანონის ნახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ მან იგი მოიძია მის ხელთ არსებულ კრებულში და ასეთი საფუძვლიანობით დაკმაყოფილებულმა, არამხოლოდ განკვეთილი აპიარიოსი მიიღო საკუთარი დაცვის ქვეშ, არამედ, როდესაც აფრიკელმა ეპისკოპოსებმა შეახსენეს მას, რომ მისი ქმედება, ამასთან დაკავშირებით, არსებული კანონის დარღვევა იყო, მან საპასუხოდ სპეციალური ლეგატები გაგზავნა კართაგენში, რომლებიც, თითქოსდა, ეკლესიის უმაღლესი უხუცესის ხელმწიფებით უფლებამოსილნი იყვნენ თავიდან განეხილათ ყველა ის გადწყვეტილება, რაც იმ კრებაზე კრების აფრიკელი ეპისკოპოსების მიერ იყო მიღებული. ეს გახდა მიზეზი ცნობილი კართაგენის კრების მოწვევისა (419 წ., VIII ადგილობრივი კრება), სადაც დამტკიცდა, რომ კანონი, რომელსაც ზოსიმე თავისი უფლებების გამოსავლენად იყენებდა, სრულებითაც არ იყო ნიკეის კრების, არამედ – სარდიკის სწორედ ეს (მე-5) კანონი, რომელსაც რომში ნიკეის კრების კანონად თვლიდნენ, ანუ მსოფლიო კრების დადგენილებად. ამის შემდეგ რომში აღიარეს თავიანთი შეცდომა და მრავალი ხნის განმავლობაში აღარ წარმოუდგენიათ რომის ეპისკოპოსის უმაღლესი უფლება იმ საქმეებში, რომლებიც მათ მართვა-განგებულებას არ ექვემდებარებოდა. ძირითადად ასე გაგრძელდა ნიკოლოზ I-ის პაპობამდე 858-867), ან, უფრო სწორედ – ცრუისიდორემდე, როდესაც რომის ეკლესიაში ყველაფერი მთლიანად შეიცვალა და სულ სხვა კანონები გაბატონდა.

კანონი 6

თუ რომელიმე სამთავროში, სადაც ბევრი ეპისკოპოსია, ეპისკოპოსთა შეკრებაზე დასასწრებლად ჩამოსვლას შეაყოვნებს რომელიმე ეპისკოპოსი და რაღაც დაუდევრობით არ ისურვებს მონაწილეობა მიიღოს შეკრებაში და დაეთანხმოს ეპისკოპოსთა დადგინებას, ხოლო ადამიანთა სიმრავლე ითხოვს, რომ დადგინდეს მათ მიერ მოთხოვნილი ეპისკოპოსი, – მაშინ, პირველ ყოვლისა, სამთავროს ეგზარქოსის წერილის მეშვეობით (ვგულისხმობ სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსს), შეახსენდეს ამ შეყოვნებულ ეპისკოპოსს, რომ ერი მისთვის მწყემსის დადგინებას ითხოვს. სასიკეთოდ მივიჩნევ დაცდას, რათა იგიც ჩამოვიდეს. ხოლო თუ წერილითაც შეევედრებული არ ჩამოვა და არც მოიწერება, მაშინ ჯერ არს დაკმაყოფილდეს ხალხის სურვილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსის დასადგინებლად მახლობელი სამთავროებიდანაც უნდა იყვნენ მოწვეული ეპისკოპოსები. და პირიქით, სრულიად არ მიეცეთ ნება ეპისკოპოსის ხელდასასხმელად რომელიმე სოფელში ან პატარა ქალაქში, რომელთათვისაც ერთი ხუცესიც საკმარისია. რამეთუ არ არის საჭირო ეპისკოპოსის დადგინება იქ, რათა არ დაკნინდეს ეპისკოპოსის სახელი და ხელმწიფება. ხოლო სამთავროს ეპისკოპოსებმა, როგორც ზემოთ ვთქვი, იმ ქალაქებში უნდა დაადგინონ ეპისკოპოსები, სადაც ადრეც ყოფილან ეპისკოპოსები. ხოლო თუ აღმოჩნდება რომელიმე ქალაქი, ხალხის მრავალრიცხოვნობით ისე

გაზრდილი, რომ ალიარებულ იქნება ღირსად ეპისკოპოსის ყოლისა, დაე, მიიღოს. თანახმანი თუ ხართ ყველანი ამაზე? — ყველამ მიუგო: თანახმანი ვართ.
(მოც. 1; I მსოფ. 4, 6; ანტიოქ. 16, 19; ლაოდ. 12, 57; კართ. 53, 56)

არისტინესთან, ასევე, **„კორმჩაიაში“** (საჭეთმპყრობელი), ეს კანონი სამი ქვედანაყოფისგან შედგება. შეცდომა ამაშია არაფერია, რადგან სინამდვილეში ეს კანონი, ჩვენი ტექსტის (ანუ **„ათენის სინტაგმის“**) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამ საკითხზე საუბრობს: ა) ეპისკოპოსის გამორჩევაზე, ბ) მიტროპოლიტის დადგინებაზე, გ) და იმის შესახებ, რომ ეპისკოპოსები არ უნდა დადგინდნენ უმნიშვნელო ადგილებში. ამ კანონის პირველ ნაწილში არსებითად იმაზეა საუბარი, რაზედაც I მსოფლიო კრების მე-4 კანონში, და მისი განმარტება, ზოგადად, ამ კანონის პირველი ნაწილის განმარტებასაც ემსახურება. მოხსენიებული კანონის (I მსოფ. მე-4) განმარტებაში ჩვენ ვისაუბრეთ და დავამტკიცეთ, რომ ეპისკოპოსების გამორჩევაში ერსაც ჰქონდა ხმის უფლება და მისი სახელით გამორჩევაში მონაწილეობას იღებდნენ ერის წარჩინებული და პატივცემული პირები. ამის ახალ მტკიცებულებას წარმოადგენს სარდიკიის კრების წარმოდგენილი კანონი, რომელიც მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ერმა უნდა გამოირჩიოს, უფრო სწორედ, შესთავაზოს ეპისკოპოსთა კრებას გარკვეული პირი თავის ეპისკოპოსად, თუმცა, იმავე ეპარქიის ერთ-ერთი ეპისკოპოსის გამოუცხადებლობის მიზეზით, ეს გამორჩეული პირი არ შეიძლება დაუყოვნებლივ დადგინდეს. ამ მტკიცებულობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, საკმაოდ კარგად ჩანს **არისტინეს** სიტყვებიდან, რომელიც ამ კანონის განმარტებაში ამბობს: „ამჟამად (XII საუკ.) ძალა დაკარგა დადგენილებამ, რომლის თანახმადაც ეპისკოპოსის გამორჩევა ხდებოდა კლირიკოსებისა და ქალაქის წარჩინებულთა მიერ“.*

მიტროპოლიტის დასადგინებლად, ამბობს შემდეგ კანონი, აუცილებელია მოწვეულ იქნეს ეპისკოპოსები მეზობელი ეპარქიებიდანაც. ასე ხდებოდა, — ამბობს **ბალსამონი** ამ კანონის განმარტებაში, — მიტროპოლიტის ხარისხის დიდმნიშვნელოვნებიდან გამომდინარე.**

ამ კანონის მესამე განწესება ძირითად იმეორებს ლაოდიკიის კრების 57-ე კანონს იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის საჭირო ეპისკოპოსების ხელდასხმა დაბებსა და სოფლებში, იმ მიზეზით, რომ **„არ დაკნინდეს ეპისკოპოსის სახელი და ხელმწიფება“**; ხოლო, თუკი რომელიმე ადგილმდებარეობის მოსახლეობა გაიზრდება და თვით ხალხიც ეპისკოპოსის ყოლის ღირსი აღმოჩნდება, მაშინ კანონი უშვებს, რომ იქ მის დადგინებას.

კანონი 7

ეპისკოპოსმა ოსიამ თქვა: ჩვენმა უდროო, მეტად ხშირმა და უსამართლო თხოვნებმა ქმნეს ის, რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი მადლი და კადნიერე-

*ათენის სინტაგმა, III, 247. შდრ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 245.
**ათენის სინტაგმა, III, 246.

ბა, როგორიც უნდა გვქონდეს. რამეთუ ეპისკოპოსთაგან ბევრი არ ანებებს თავს სამხედრო ბანაკში (ხელმწიფესთან) მისვლას, განსაკუთრებით აფრიკელები, რომლებიც, როგორც ჩვენი საყვარელი ძმისა და ეპისკოპისის — ღრატოსაგან შევიტყვეთ, არ იღებენ სასარგებლო რჩევებს და იმდენად უგულებელყოფენ მათ, რომ ერთ ადამიანს ბევრი და სხვადასხვა თხოვნა მიაქვს სამხედრო ბანაკში; ეს ვერ მოუტანს სარგებლობას ეკლესიას, რადგან ხელს უწყობენ და მფარველობენ არა ღარიბ-გლახაკთ და უბრალო ადამიანებს, ან ქვრივებს, როგორც ჯეროვანი და შესაფერისია, არამედ მხოლოდ საერო, ქვეყნიურ ღირსებებსა და თანამდებობებს ეძიებენ ზოგიერთთათვის. ასეთი უმეცრება ზიანს გვაყენებს ჩვენ, საცთურსაც და გარკვეულ სირცხვილსაც მოგვაწევს. უფრო შესაფერისად მივიჩნევ, რომ ეპისკოპოსი თავის შეწევნას იმას აღმოუჩენდეს, ვინც შევიწროებულია სხვისგან, ან თუ არის ქვრივი, რომელიც წყენას ითმენს, ანდა თუ რომელიმე ობოლს თავის კუთვნილს ართმევენ, თანაც იმ შემთხვევაში, თუ ამ საგანზე თხოვნა სამართლიანი იქნება. უკეთუ ეს ყველას სათნოდ გიჩანთ, საყვარელო ძმებო, მაშინ დაამტკიცეთ, რომ არც ერთი ეპისკოპოსი არ მიდიოდეს სამხედრო ბანაკში, იმათ გარდა, რომელთაც ჩვენი კეთილმსახური მეფე თავად მიიწვევს საკუთარი წერილით. მაგრამ, რადგან მრავალგზის ხდება, რომ ზოგიერთნი, თავიანთი დანაშაულის გამო საპყრობილემისჯილნი ან კუნძულზე გადასახლებულნი ან სხვა რაიმე სასჯელს დაქვემდებარებულნი, ეკლესიას მომართავენ შეწევნისათვის და მოწყალებას ითხოვენ, — ესევითართათვის უჯეროა უარის თქმა შეწევნაში, უეჭველია, რომ მათთვის დაუყოვნებლივ უნდა ვითხოვოთ ლმობიერება. უკეთუ ესეც სათნო გიჩანთ, ამაზე ყველამ მიბოძეთ თანხმობა. ყველამ მიუგო: დაე, ესეც იქნეს დადგენილი.

(ანტიოქ. 11; სარდ. 8, 9, 20, 21; 19; კართ. 104, 106)

კანონი 8

ესეც განვსაჯოთ: რათა ეპისკოპოსთაგან ვინმე არ იქნეს განკითხული სამხედრო ბანაკში (ხელმწიფესთან) მისვლის გამო, ამისათვის, თუ რომელიმე მათგანს ისეთი სავედრებელი ექნება, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაშინ ისინი თავიანთი დიაკვნების მეშვეობით გააგზავნონ. რამეთუ მსახური პირი გაკიცხვას არ ექვმდებარება და უფრო სწრაფად შეუძლია იმის მიტანა დანიშნულების ადგილზე, რასაც დაავალებენ. ყველამ მიუგო: დაე, ესეც იქნეს დადგენილი.

(ანტიოქ. 11; სარდ. 8, 9, 20, 21; 19; კართ. 104, 106)

კანონი 9

თუ რომელიმე სამთავროს ეპისკოპოსები სავედრებელს მიუტანენ თავიანთ ძმასა და თანაეპისკოპოსს, მაშინ დიდ ქალაქში, ანუ მიტროპოლიაში მყოფმა (ეპისკოპოსმა), დაე, წარავლინოს მათი დიაკვანიცა და მათი სავე-

დრებელი წიგნიც, მისცემს რა მას დასამტკიცებელ ეპისტოლესაც, ანუ მისწეროს თანამიმდევრულად ძმებსაც და ჩვენს თანაეპისკოპოსებსაც, მყოფთ ამ დროს იმ ადგილებსა თუ ქალაქებში, სადაც კეთილმსახური მეფე პირადად განაგებს საზოგადოებრივ საქმეებს. ხოლო თუ რომელიმეს ეპისკოპოსთაგანს მეგობრები ჰყავს მეფის კარზე და ისურვებს რაიმე შესაფერისი ითხოვოს, დაე, ნუ აეკრძალება მას თავისი დიაკვნის მეშვეობით ითხოვოს და ამცნოს კიდეც მათ, რათა კეთილი შეწევნა აღმოუჩინონ თავის თხოვნაში. ხოლო რომში მისული სავედრებელნი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რომლებიც მეფისადმი არის გაგზავნილი, უნდა წარედგინოს ჩვენს საყვარელ ძმას და თანაეპისკოპოსს იულიუსს, რათა პირველად მან განიხილოს — ხომ არ არის მათგან რომელიმე სამარცხვინო, და ამის შემდეგ გაგზავნოს სამხედრო ბანაკში (ხელმწიფესთან), თან აახლებს თავის წარდგინებასა და მზრუნველობას. ყველა ეპისკოპოსმა მიუგო, რომ იწონებენ ამას და ჯეროვნად მიაჩნიათ ეს აზრი.

(ანტიოქ. 11; სარდ. 8, 9, 20, 21; 19; კართ. 104, 106)

ყველაფერი, რაც ჩვენ მიერ ნათქვამია ანტიოქიის კრების მე-11 კანონის განმარტებაში, საკმარისია ამ სამი კანონის განმარტებისთვისაც.

კანონი 10

ჯერ არს ზედმიწევნით და გულმოდგინედ დავუკვირდეთ იმას, რომ მდიდარი ან განსწავლული კაცი ვინმე, საერო მსახურებიდან ეპისკოპოსად არჩევისათვის ღირსქმნილი, მანამდე არ დადგინდეს ეპისკოპოსად, სანამ არ აღასრულებს წიგნის მკითხველის, დიაკვნის და ხუცესის მსახურებებს, რათა გაივლის რა თითოეულ ამ საფეხურს და ღირსეულად იქნება მიჩნეული, შეეძლოს ეპისკოპოსობის სიმაღლეზე ასვლა. ამასთან, ცხადია, რომ წოდების თითოეული ამ საფეხურისათვის არ უნდა იქნეს განკუთვნილი მეტისმეტად მცირე დრო, რომლის განმავლობაში უნდა წარმოჩინდეს მისი რწმენა, კეთილზნეობა, ურყევობა და სიმშვიდე, და მანაც, აღიარებულმა ღირსად ღვთაებრივი მღვდელმსახურებისა, უდიდესი პატივი მიიღოს. რამეთუ არ არის ჯეროვანი, კადნიერად და დაუფიქრებლად გადავწყვიტოთ ეპისკოპოსის, ხუცესისა თუ დიაკვნის ნაჩქარევად დადგინება; და არც ცოდნა, არც საქციელი (კანდიდატისა) არ არის საკმარისი ამ უფლების მისაღებად. რამეთუ ესევითარს სამართლიანად ჩათვლიდნენ ძალზე ახლად — „ახალნერგად“ (1 ტიმ. 3, 6), და არა განმტკიცებულად, მით უფრო, რომ უნეტარესი მოციქულიც, რომელიც ენათა — ერთა მოძღვარი იყო, საეკლესიო ხარისხებში სწრაფად დადგინების ამკრძალავად გვევლინება, რადგან გამოძიებას სათანადო დროის განმავლობაში შეუძლია უფრო უტყუარად წარმოგვიჩინოს თითოეულის ზნე და საქციელი. ყველამ თქვა, რომ ესეც სათნოა მათთვის, და ეს არ უნდა დაირღვეს.

(მოც. 80; I მსოფ. 2,9; ტრულ. 14,15; VII მსოფ. 2; ნეოკეს. 9,10,11,12; ლაოდ. 2, 3, 12; კართ. 16; ორგზ. 17; კირილე ალექსანდრიელის 4)

მოციქულთა მე-80 და I სოფლიო კრების მე-2 კანონების განმარტებებიდან ჩვენ ვნახეთ, თუ რაოდენ მკაცრად იკრძალება უმაღლეს იერარქიულ ხარისხებში იმ პირების დადგინება, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი შუამდგომლობა იმისა, რომ ურყევნი არიან რწმენაში, შესწევთ თავიანთი სიტყვით სხვისი განსწავლის უნარი და შეუძლიათ საკუთარი ცხოვრებით სხვებს მაგალითად ემსახურონ. აღორძინებს რა ძირითად ყველაფერ ამას, წინამდებარე კანონი ზემოთ მოყვანილი ორი კანონის მსგავსად, მოიხსენიებს მოციქულთა განწესებას იმასთან დაკავშირებით, რომ საეკლესიო მსახურებაზე არ უნდა დადგინდეს პირი, რომელიც წარმართობიდან სულ ახლახან მოექცა და მოინათლა (იხ. 1 ტიმ. 3, 6). მოიხსენიებს, ამასთანავე, მოციქულთა სხვა განწესებებსაც, რომლებიც კრძალავენ ნაჩქარევად ხელდასხმას (იხ. 1 ტიმ. 5, 22)* ამ კანონის მიზანია, ეპისკოპოსად ვინმეს დადგინებისას მკაცრად იქნეს დაცული წმინდა წერილის მოხსენიებული განწესებანი, განსაკუთრებით როცა ეს ვინმე მდიდარს ან სამოქალაქო წოდების მეცნიერს ეხება. მდიდარი, რაკი მას ცხოვრების საკმარისი სახსრები აქვს, ჩვეულებრივ, განებივრებულია და ლატაკზე მეტად არის წუთისოფლის სიტკბოებს მიცემული და მეტი ვნება აქვს, რის გამოც კანონი განაწესებს, რომ განსაკუთრებული სიზუსტითა და მზრუნველობით მიექცეს ასეთ პირს ყურადღება და გამოძიებულ იქნეს, ნამდვილად არის თუ არა იგი ღვთისმსახურებისათვის მზად და, საერთოდ, წარმოადგენს თუ არა საამისოდ შესაფერის კანდიდატურას. იგივეს განაწესებს კანონი სამოქალაქო წოდების სწავლულთა მიმართაც. აქ ის ადამიანები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებმაც საერო განათლება მიიღეს, სიტყვით გამოდიან საჯარო-საერო შეკრებებზე ან როგორც ადვოკატები, ან კიდევ – საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელები, რის გამოც ნათელია, რომ ნაკლებად გამოდგებიან სამღვდელო მსახურებისათვის. „კორმჩაია“ ამ შემთხვევაში გულისხმობს ვაჭრობით დაკავებულ ადამიანებს და ზოგადად მდიდარ ვაჭრებს.** თუკი ისე მოხდებოდა, რომ ასეთი ადამიანი, ერის სურვილით, ეპისკოპოსის კანდიდატად იქნებოდა წარდგენილი, მაშინ კანონი უშვებს ამ სურვილის აღსრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანი ღირსია ეპისკოპოსობისა და თანმიმდევრული წესით გაიარა ყველა სასულიერო წოდების ქვედა საფეხური: მკითხველის, დიაკვნის, მღვდლის და ყველა ამ ხარისხში თავისი მოქმედებით აჩვენა, რომ ღირსია ეპისკოპოსობისა. იმისათვის, რომ ამაში სრულიად დარწმუნდნენ, ანუ, რომ მისი რწმენა ურყევია, ქმედებები მოსაწონია, რომ იგი თავის შეხედულებებში მტკიცეა, ხასიათით არის მშვიდი, მიუკერძოებელი, აუღელეველი, ანუ ფლობს ყველა იმ თვისებას, რაც ეპისკოპოსისათვის აუცილებელია, მაშინ კანონი განაწესებს, რომ მან ყველა მოხსენიებულ სასულიერ ხარისხში უნდა დაჰყოს **სათანადო** დრო, ან, როგორც IX (კონსტ. 861 წ.) ადგილობრივი კრების მე-17 კანონი ამბობს – კანონით დაწესებული დრო.

*პავლე მოციქულის მიერ ნათქვამი: **„ახალნერგ“** (1 ტიმ. 3, 6) – ანუ ახალნათელღებული (ახალმოქცეული) არ უნდა გავიგოთ – როგორც ამას ზონარა და ბალსამონი შენიშნავენ (ათენის სინტაგმა, III, 257, 258) – ამ კანონში პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ – გადატანითი, რადგან ის, ვინც სულ ახლახან საერო საქმეებით იყო დაკავებული, სასულიერო პირთათვის „ახლად“ ითვლება ისევე, როგორც ქრისტიანობისთვის ის, ვინც ახლახან მოინათლა.

**1787წ. გამოც., I, 112, 11.

კონკრეტულად რამდენია ეს დრო, ანუ თითოეულ ხარისხში რა დრო უნდა დაჰყოს საეპისკოპოსო კანდიდატმა, ან, სხვაგვარად, რომის საეკლესიო სამართლის ტერმინი რომ გამოვიყენოთ – დროის რა ინტერვალით უნდა მოხდეს ერთი ხარისხიდან მეორეში გადასვლა, კანონში ზუსტად არ არის განსაზღვრული. თუკი მხედველობაში მივიღებთ კანონიკურ განწესებას ასაკთან დაკავშირებით, – თუ რა ასაკში რომელ საეკლესიო ხარისხში შეიძლება გარკვეული პირის აყვანა, მაშინ ვიხილავთ, რომ რადგანაც მკითხველისათვის საჭიროა 18 წლის ასაკი,იპოდიაკონისთვის – 20, დიაკვნისთვის – 25, მღვდლისთვის – 30 და ეპისკოპოსისთვის 35 წელი (იხ. ტრულის კრების მე-14 და მე-15 კანონები და მათი განმარტებები), ამიტომ ამის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ მკითხველობასა და დიაკვნობას შორის დროის ინტერვალი დაახლოებით 7 წელი უნდა იყოს, დიაკვნობასა და მღვდლობას შორის – 5 და ასევე მღვდლობასა და ეპისკოპოსობას შორისაც 5 წელიწადი; შესაბამისად, პირს, რომელიც ეპისკოპოსად დადგინდება, ღვთისმასხურებაში გატარებული უნდა ჰქონდეს 17, უკიდურეს შემთხვევაში – 15 წელი (თუ დავუშვებთ, რომ ეს პირი ერთდროულად გახდა მკითხველიც და იპოდიაკონიც). ეს თხუტმეტწლიანი ვადა დაწესებული იყო აგრეთვე იმპერატორ იუსტინიანეს მიერ იმ პირთათვის, რომლებიც მანამდე სახელმწიფო სამსახურში იდგნენ (ეს დრო მათ მონასტერში უნდა გაეტარებინათ, უსაყვედურო მონოზვნური ცხოვრებით). თუმცაღა, გარკვეული პირის რომელიმე ამა თუ იმ იერარქიულ ხარისხში ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება საეკლესიო ხელისუფლების შეხედულებისამებრ (იხ. მოც. მე-80; I მსოფ. მე-2; ტრულ. მე-14 და მე-15 კანონები და მათი განმარტებები). ყოველ შემთხვევაში, ეს დრო არაფრით არ უნდა იყოს ძალიან ხანმოკლე, მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, რომლის შესახებაც სარდიკიის წინამდებარე კანონი საუბრობს, რადგან, როგორც მასში არის აღნიშნული, არც ცოდნა და არც ბრწყინვალე საქციელები რომელიმე ადამიანისა, არ იძლევა იმის უფლებას, რომ ნაჩქარევად მოხდეს მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მაშინვე დადგინდეს იგი ეპისკოპოსად, მღვდლად ან დიაკვნად, საფუძვლიანად იმაში დარწმუნების გარეშე, თუ როგორია მისი რწმენა, ზნეობა და ქმედებანი.

კანონი 11

როცა ეპისკოპოსი ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში გადადის, ან ერთი სამთავროდან – მეორეში, პატივმოყვარეობის გამო იღვწის რა საკუთარი ქება-დიდებისათვის ან ღმრთისმსახურების აღსრულებისას ქედმაღლობით გამოირჩევა, და სურს დიდხანს დაჰყოს იქ, მაშინ, როცა იმ ქალაქის ეპისკოპოსი არ არის დახელოვნებული დამოძღვრასა და ქადაგებაში, – დაე, ნუ უგულებელ-ჰყოფს მას და ნუ იქადაგებს ხშირად, ნუ ეცდება შეარცხვინოს და დაამციროს ადგილობრივი ეპისკოპოსის პიროვნება. რამეთუ ამ საბაბით, ჩვეულებრივ, შფოთი აღმოცენდება ხოლმე, და ასეთი ხრიკებით ცდილობს ეპისკოპოსი სხვის საყდარს დაეწინდოს და მიიტაცოს იგი, მზად არის უყოყმანოდ მიატოვოს მისთვის მინდობილი ეკლესია და სხვაში გადავიდეს. ამრიგად, ჯეროვნად გვიჩანს ამისთვის განისაზღვროს გარკვეული

დრო: რადგან, ეპისკოპოსის სავსებით მიუღებლობა არაკაცთმოყვარეობისა და სისასტიკის გამოვლინება იქნებოდა. ამასთან გაიხსენეთ, რომ უწინდელ დროშიც ჩვენმა მამებმა განაჩინეს: თუ რომელიმე ერისკაცი, ქალაქში ყოფნისას სამ კვირა დღეს, სამი შვიდეულის განმავლობაში არ მივა საკრებულოში (ეკლესიაში), – დაე, განყენებულ იქნეს საეკლესიო თანაზიარებიდან. ამრიგად, თუკი ეს ერისკაცთათვის არის დადგენილი, მაშინ მით უფრო უჯერია ეპისკოპოსისთვის, არ შეეფერება მას და არც სასარგებლოა მისთვის, თუ რაიმე მნიშვნელოვანი საჭიროება არ აიძულებს და არც რაიმე სამძიმო საქმე აწუხებს, რომ მიატოვოს თავისი ეკლესია უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში და დაამწუხროს მისდამი რწმუნებული ერი. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: ეს აზრიც მეტად მოსაწონია.

(მოკ. 8, 9, 14, 15, 33, 35; I მსოფ. 8, 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 20, 66, 80; ანტიოქ. 2, 13, 16, 18, 21; სარდ. 1, 2, 3, 12, 17; კართ. 48, 71; ორგზ. 16)

ამ კანონის განწესებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეპისკოპოსმა არ უნდა დატოვოს თავისი ეპარქია და გადავიდეს სხვა ეპარქიაში ქადაგების ან მსახურებისათვის, ძირითად შეიცავს მოციქულთა მე-14 კანონი. როგორც ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ რამდენიმე კანონის განმარტებაში, საღვთო ერს უფლება ჰქონდა თავისი სურვილი გამოეთქვა ეპისკოპოსის დადგინებასთან დაკავშირებით და როგორც წესი, ზოგადად, სწორედ ერის მიერ გამორჩეულ პირს ადგინებდნენ ეპისკოპოსად. ამის გამო, ის პირი, რომელსაც სურდა გარკვეული საეპისკოპოსო ადგილი, ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, იმ ადგილზე მცხოვრებთა კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. ასევე იქცეოდა ზოგიერთი ისეთი ეპისკოპოსი, რომლებსაც ღატაკი და ნაკლებ საპატივცემულო საეპისკოპოსო კათედრები ეკავათ და ესწრაფვოდნენ გადასულიყვნენ უფრო მდიდარ და საპატივცემულო კათედრაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს იმ კათედრის მმართველი ეპისკოპოსი ცოცხალი და სრულიად საღსალამათი იყო. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ასეთი ეპისკოპოსი – განსაკუთრებით, თუ მისთვის სასურველი ეპარქიის ეპისკოპოსი ღვთის სიტყვის ქადაგებასა და საეკლესიო მსახურებაში საკმარისად დახელოვნებული არ იყო – გადადიოდა იქ ყოველგვარი მიწვევის გარეშე და ამა თუ იმ ხერხით ცდილობდა ძირი გამოეთხარა ადგილზე კანონიერი ეპისკოპოსიის გავლენისათვის და ყოველმხრივ დაემცირებინა იგი, და ამ გზით თავისკენ მიეზიდა იქაური მრევლი, რათა მას უარი ეთქვა კანონიერ ეპისკოპოსზე და მის ადგილზე ამ ეპისკოპოსის დადგინება მოეთხოვა. მსგავსი ბოროტების აღმოსაფხვრელად, კანონი განაწესებს, თუ რა დროით შეიძლება ეპისკოპოსმა დატოვოს თავისი ეპარქია და დაჰყოს სხვა ეპარქიაში, რადგან, როგორც კანონი ამბობს: „ეპისკოპოსის მიუღებლობა არაკაცთმოყვარეობისა და სისასტიკის საქმეა“. იმისათვის, რომ უფრო ზუსტად განსაზღვროს ეპისკოპოსის არყოფნის შესაძლებელი დრო თავის ეპარქიაში, კანონი იხსენებს ერისკაცთათვის გამოცემულ ძველი დროის კანონიკურ განწესებას, სახელდობრ: თანაზიარებიდან განყენებას ექვემდებარება ყოველი ქრისტიანი, ვინც სამი კვირის განმავლობაში არც ერთ კვირა დღეს არ მივა ეკლესიაში, რისთვისაც მას საფუძვლიანი მიზეზი არ გააჩნდა. თუკი მსგავსი განწესება

ერისკაცთათვის არსებობს, მაშინ მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას სასულიერო პირთთათვის ზოგადად და განსაკუთრებით ეპისკოპოსებისათვის, რადგანაც საკმაოდ საზიანო და მიუღებელი, რომ ეპისკოპოსმა ხანგრძლივი დროით დატოვოს თავისი ეკლესია და ამით დაამწუხროს მასზე რწმუნებული ერი. შემდგომში IX (კონსტ. 861 წ.) ადგილობრივი კრების მე-16 კანონით, ეს დრო მთელი სიზუსტით იქნა განსაზღვრული, კერძოდ განიწესა, რომ არც ერთი ეპისკოპოსს არა აქვს უფლება 6 თვეზე მეტი ხნით დატოვოს თავისი კათედრა.

წინამდებარე კანონში მოხსენიებული კანონიკური განწესება, ერისკაცთა ეკლესიაში დასწრების ვალდებულებასთან დაკავშირებით, არის ელვირის (ქალაქი ესპანეთში) 307 წლის ადგილობრივი კრების 21-ე კანონი, რომელზედაც ერთ-ერთი გამორჩეული პირი იყო იგივე ოსიოსი, სარდიკიის კრების თავმჯდომარე, რომლის წინადადებითაც იქნა სწორედ ეს კანონი მიღებული. ტრულის კრებამ ააღორძინა ეს კანონი (თავისი მე-80 კანონით), და განაკრცო იგი ყველა სასულიერო პირზე – ეპიკოპოსიდან და ქვევით.

კანონი 12

ზოგიერთი ძმათა და ეპისკოპოსთაგანს ქალაქებში, რომლებშიც ისინი დაიდგინებიან ეპისკოპოსებად, როგორც ჩანს, ძალზე მცირე საკუთრება აქვთ, ხოლო სხვა ადგილებში დიდი მოსახვეჭელია, საიდანაც შეუძლიათ ღარიბ-გლახაკთ შეეწიონ. ვჰგონებ, რომ თუ ისინი მოისურვებენ თავიანთ სამემკვიდრეო მამულებში მისვლას და იქ ნაყოფთა შეკრებას, მაშინ შეიძლება ამის ნება მიეცეთ, ისე, რომ სამ კვირას, ანუ სამი შვიდეულის განმავლობაში იმყოფებოდნენ თავიანთ მამულებში, ოღონდ უახლოეს ეკლესიაში, სადაც ხუცესი აღასრულებს მსახურებას, დაესწრონ და იმსახურონ, რათა არ აღმოჩნდნენ საეკლესიო ღმრთისმსახურებას მოკლებულნი, და რომ ხშირად არ ჩადიოდნენ იმ ქალაქში, სადაც ეპისკოპოსია. თუ ამგვარად მოიქცევიან, მაშინ მათი საკუთარი საქმეებიც არ დაზარალდება მათი არყოფნით და, ცხადია, ამპარტავნებასა და პატიემოყვარეობაში ბრალდებებსაც აიცილებენ თავიდან. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: ეს განწესებაც სათნო გვიჩანს.

(მიც. 36, 58; ტრულ. 19, 80; ღანგ. 5, 20; სარდ. 11; ორგზ. 16; კართ. 71, 120, 121)

ეს კანონი წარმოადგენს მე-11 კანონის დამატებას, და როგორც ის შეიცავს განწესებას ეპისკოპოსთა მიმართ, რომლებიც სხვა სამთავროებში მიემგზავრებინ, ასევე ეს კანონიც განაწესებს, რომ ეპისკოპოსებს, რომლებსაც სხვის სამთავროებში საკუთარი მამული და მიწები აქვთ, შეუძლიათ თავისუფლად გაემგზავრონ იქ საკუთარი მოსავლის ასაღებად, რათა ამით უქონლებს შეეწიონ; მაგრამ, ამასთან, იქ შეუძლიათ დარჩნენ არაუმეტეს სამი კვირისა, რის შემდეგაც თავიანთ ეპარქიებს უნდა დაუბრუნდნენ. თავის მამულში ყოფნისას, ეპისკოპოსს უფლება აქვს თავიდან აირიდოს ხშირი მგზავრობები ქალაქში, სადაც ადგილობრივი ეპისკოპოსის რეზიდანცია მდებარეობს, რათა არ მოხდეს ის, რაზედაც მე-11 კანონშია საუბარი, ანუ

რაიმე უსიამოვნება არ მიადგეს ადგილობრივი ქალაქის ეპისკოპოსს. საკუთარ მამულში ყოფნისას, ეს ჩამოსული ეპისკოპოსი ყოველკვირეულად უნდა დაესწროს წრვა-ლოცვებს იმ სამრევლო ეკლესიაში, რომელიც უახლოესი იქნება მის სამემკვიდრეო მამულთან და მასში იმსახუროს. ეს „იმსახუროს", – **ზონარას** სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან, – არ ნიშნავს, რომ მან უნდა შესწიროს უსისხლო მსხვერპლი,ანუ ლიტურგია აღასრულოს არამედ – დაესწროს ლიტურგიას,რომელსაც ადგილობრივი მვდელმსაური აღასრულებს და სხვებთან ერთად ილოცოს, რადგან, თუკი ის ლიტურგიას ან სხვა რაიმე მღდელმთავრულ მსახურებას აღასრულებდა სხვის ეპარქიაში ადგილობრივი ეპისკოპოსიის ნებართვის გარეშე, ასეთ შემთხვევაში ის ამით მოციქულთა 36-ე კანონის წინაშე შესცოდავდა.*

კანონი 13

ეპისკოპოსმა ოსიამ თქვა: თუ რომელიმე დიაკვანი ან ხუცესი, ან ვინმე სხვა ეკლესიის მსახურთაგან განყენებულ იქნება საეკლესიო თანაზიარებისაგან და მის ნაცნობ სხვა ეპისკოპოსს მიმართავს, რომელმაც ისიც უწყის, რომ იგი განყენებულია მისი ეპისკოპოსის მიერ თანაზიარებისაგან, – არაჯერეროვანია აწყენინოს ეპისკოპოსს, თავისი ძმას და თანაზიარებისთვის დაუშვას იგი. ხოლო თუ გაკადნერდება და იქმს ამას, იცოდეს, რომ პასუხი უნდა მისცეს ეპისკოპოსებს, როცა ისინი შეიკრიბებიან.

(მოც. 12, 13, 16, 32, 33; I მსოფ. 5; ანტიოქ. 6; კართ. 11, 29, 133; კონსტ. სოფ. 1)

იხ. მოციქულთა 32-ე კანონის განმარტება.

კანონი 14

თუ აღმოჩნდება რომელიმე ეპისკოპოსი, მიდრეკილი მრისხანებისაკენ (რასაც ასეთ კაცში ადგილი არ უნდა ჰქონდეს), და ანაზდად განრისხებული მღვდელზე ან დიაკონზე, მოისურვებს მის გაძევებას ეკლესიიდან, – ჯერ-არს სიფრთხილე გამოვიჩინოთ, რათა ესევითარი მაშინვე არ იქნეს განსჯილი და თანაზიარებიდან განყენებული. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: დაე, გაძევებულს უფლება ჰქონდეს იმ სამთავროს სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსს მიმართოს, ხოლო თუ სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსი ადგილზე არ იმყოფება, მიმართოს მეზობელ ეპისკოპოსს და ეეედროს, რომ გულმოდგინედ იქნეს გამოძიებული მისი საქმე. რამეთუ არ უნდა დავხშათ სასმენელნი მთხოვნელის წინაშე. ხოლო იმ ეპისკოპოსმა, რომელმაც სამართლიანად თუ უსამართლოდ განაძევა ესევითარი, სულგრძელად უნდა დაითმინოს, რომ საქმე გამოძიებულ იქნეს, და მისი განაჩენი ან დამტკიცდეს, ან გამოსწორდეს. მაგრამ სანამ გულმოდგინედ და მართებულად იქნება გამოძიებუ-

*ათენის სინტაგმა, III, 263.

ლი ყველა გარემოება, საქმის განხილვამდე თანაზიარებიდან განყენებულმა არ უნდა მიითვისოს ზიარება. ხოლო თუ ზოგიერთნი შეკრებილ სამღვდელოთაგან მასში საეკლესიო ხელისუფლების უგულებელყოფასა და ქედმაღლობას დაინახავენ, – მაშინ (რადგანაც უჯეროა დავუშვათ წყენინება თუ უსამართლო გაკიცხვა), მოვალენი არიან რაოდენმე მკაცრი და სამძიმო სიტყვებით მოაქციონ იგი წესრიგისაკენ, რათა ეპისპოსკოპოსის ბრძანებისადმი ჯეროვანი მორჩილება და დამჯერებლობა იქნეს დაცული. რამეთუ როგორც ეპისკოპოსია ვალდებული გულწრფელი სიყვარული და კეთილგანწყობა იქონიოს ქვეშევრდომების მიმართ, ასევე არიან მსახურნიც ვალდებულნი შეუორგულებელად აღასრულებდნენ ეპისკოპოსისადმი მსახურების მოვალეობას.

(მოკ. 12, 16, 28, 32; I მსოფ. 5; ანტიოქ. 4, 6, 20; სარდ. 13, 15; კართ. 9, 10, 11, 20, 29, 132)

ამ კანონის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს იმ მღვდლებსა და დიაკვნებს, რომლებიც თვლიან, რომ ეპისკოპოსმა, რომლის მმართველობაშიც იმყოფებიან, განრისხებისას სრულიად უსაფუძვლოდ განკვეთა და განაყენა ისინი. ამიტომ კანონი მათ უფლებას აძლევს საჩივრით მიმართონ ეპარქიალურ მიტროპოლიტს. ამის შესახებ უმთავრესად საუბარია I მსოფლიო კრების მე-5 კანონში. სარდიკიის კრების ეს კანონი კი ამატებს, რომ თავიანთი მიტროპოლიტის არყოფნის შემთხვევაში, განკვეთილთ შეუძლიათ მიმართონ სხვა უახლოეს მიტროპოლიტს, საქმის დაწვრილებითი გამოძიებისათვის. თუმცა, ეს უკანასკნელი სიტყვასიტყვით არ უნდა იქნეს გაგებული, რადგან სხვა ეპარქიის მიტროპოლიტი ვერასდროს იქნება სათანადო მსაჯულის როლში ეპიკოპოსსა და მღვდელს შორის, როცა ისინი იერარქიულად მის დაქვემდებარებაში არ არიან (იხ. IV მსოფ. მე-9, მე-17 და სხვ.), არამედ – ამ კანონის **ბალსამონისეული** განმარტებით – ეს იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ შემთხვევით სხვაგან გამგზავრებულმა ეპარქიალურმა მიტროპოლიტმა უფლება მისცა მეზობელ მიტროპოლიტს სადავო საკითხის გამოსაძიებლად, ან კიდევ, ეპიკოპოსი და მღვდელი, რომელთა შორისაც დავა არსებობს, თავად ირჩევენ მსაჯულად – შუამავლად ერთ-ერთ მეზობელ მიტროპოლიტს. შემდეგ კანონი აღნიშნავს, რომ მმართველი ეპიკოპოსი, რომელმაც სამართლიანად თუ უსამართლოდ დასაჯა რომელიმე კლირიკოსი, მშვიდად უნდა შეხვდეს იმას, რომ მისი დადგენილება გამოძიებას გაივლის და მისი განჩინება ან დამტკიცდება ან გაუქმდება. რამეთუ ამას მოითხოვს როგორც მიუკერძოებლობა, რომლითაც ეპიკოპოსი უნდა გამოირჩეოდეს მასზე დაქვემდებარებულ კლირიკოსთა საქმეების განხილვისას, ასევე, ზოგადად, საეპისკოპოსო სამსჯავროს ღირსება და მნიშვნელობა (იხ. მოკ. 74-ე; I მსოფ. მე-5; VII მსოფ. მე-4 და სხვ.). მთელი გამოძიების განმავლობაში, სანამ მიტროპოლიტი გამოტანილ განჩინებასთან დაკავშირებით თავის გადაწყვეტილებას გამოიტანდეს, ის სასულიერო პირი, ვის მიმართაც ეპისკოპოსმა ბრალდებითი განჩინება გამოიტანა, უნდა დარჩეს ამ სასჯელის ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ ახალი სასამართლოს – აპელაციის განხილვის მოლოდინში, დაირღვეოდა საეკლესიო წესრიგი და არ შესრულდება თვით ყველაზე სამართლიანი

განჩინებაც კი, – ეპისკოპოსის ხელმწიფებით მისდამი დაქვემდებარებულ კლირიკოსთა მიმართ გამოტანილი. თუკი ამგვარად გასამართლებული კლირიკოსი რაიმე საუბარს წამოიწყებს ეპისკოპოსის წინააღმდეგ, უხეშად დაიქადნის საკუთარი სიმართლით და იმის მტკიცებას მოჰყვება, რომ არასწორად იქნა შეურაცხყოფილი და დასჯილი, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, კანონი ამბობს, რომ ეს კლირიკოსი მწვავე შენიშვნით უნდა იქნეს გაჩერებული და შეგონებული, რომ მას მორჩილება მართებს და იმ პირის დაქვემდებარება, ვისაც ბრძანების უფლება აქვს, და შეუკამათებლად უნდა ასრულებდეს ეპისკოპოსის ყველა განწესებას.

კანონი 15

თუ რომელიმე ეპისკოპოსი სხვა საზღვრების ეკლესიის უცხო მსახურის დადგინებას მოისურვებს თავისთან რომელიმე ხარისხში მისი ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე, – მაშინ ასეთი დადგინება, დაე, გაუქმებულად და დაუმტკიცებლად ჩაითვალოს. ხოლო თუ ზოგიერთნი ამის უფლებას მისცემენ საკუთარ თავს, მაშინ ისინი ძმათა და თანაეპისკოპოსთაგან შეგონებულ იქნენ, და გამოსწორებულნი. ყველამ წარმოთქვა: ეს განწესებაც დაე, შეურყეველი იყოს.

(მოც. 35; I მსოფ. 16; II მსოფ. 2; III მსოფ. 8; IV მსოფ. 5, 20; ტრულ. 17; ანკირ. 13; ანტიოქ. 13, 22; კართ. 48, 54, 90)

იხ. მოციქულთა 35-ე კანონის განმარტება.

კანონი 16

ეპისკოპოსმა აეტიოსმა თქვა: თქვენთვის უცნობი არ არის, თუ როგორია და რაოდენ დიდია თესალონიკის სამიტროპოლიტო. ხშირად ჩადიან იქ სხვა ეპარქიებიდან მღვდლები და დიაკვნები, და არ კმაყოფილდებიან რა მცირე ხნით ყოფნით, რჩებიან ხოლმე მასში, მუდმივი საცხოვრებელი აქვთ იქ, ანდა მეტად ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ძლივს იიძულებიან თავიანთ ეკლესიებს დაუბრუნდნენ. ამათ შესახებაც ჯერ-არს ასეთი განჩინების გამოტანა. ოსიოს ეპისკოპოსმა თქვა: ის განჩინებანი, ეპისკოპოსთა მიმართ რომ იქნა დადგენილი, დაე, ამ პირთათვისაც შენარჩუნდეს.

(მოც. 8, 9, 14, 15, 33, 35, 36, 58; I მსოფ. 8, 15; IV მსოფ. 5; ტრულ. 5, 20, 66, 80; ანტიოქ. 2, 13, 16, 18, 21; ლანგ. 5, 20; სარდ. 11, 12; კართ. 48, 71, 120, 121; ორგზ. 16)

ამ კრების მე-11 და მე-12 კანონების განწესებანი, – თავიანთი სამთავროებიდან ეპიკოპოსების გამგზავრებასთან დაკავშირებით, – ამ კანონით მიესადაგება მღვდლებსა და დიაკვნებს.

✠

კანონი 17

თუ რომელიმე ეპისკოპოსის მიმართ ძალადობა იქნება გამოყენებული და უსამართლოდ განკვეთენ, ან თავისი ცოდნის ან კათოლიკე ეკლესიის აღიარებისათვის, ანდა იმისთვის, რომ ჭეშმარიტებას იცავდა, და სხვა ქალაქში წავა, – უდანაშაულო და ბრალდებას დაქვემდებარებული, ასეთ შემთხვევაში, კეთილად განვსჯით, თუ მას არ აეკრძალება დაბრუნებამდე იქ ყოფნა, ანუ სანამ არ შეძლებს მისთვის მიყენებული შეურაცხყოფისაგან თავის დახსნას. რამეთუ სასტიკი და მეტად სამძიმო იქნებოდა ჩვენთვის, თუკი არ შევიწყნარებდით უსამართლოდ დევნილს; პირიქით, განსაკუთრებული კეთილგანწყობითა და ძმური სიყვარულით გვმართებს ასეთის მიღება.

(მოც. 15; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18; VII მსოფ. 10, 15; ანკირ. 18; ანტიოქ. 3; სარდ. 11, 12, 16; კართ. 30)

ეს კანონი წარმოადგენს ამ კრების მე-11 და მე-12 კანონებიდან გამონაკლისს, იმასთან დაკავშირებით, რომ ეპიკოპოსს არ შეუძლია სამ კვირას მეტი ხნით დატოვოს თავისი კათედრა. დასავლელი კანონისტების შენიშვნით, ეს კანონი მიიღეს ათანასე დიდის გამო, რომელიც ევსევიანელებმა, სარგებლობდნენ რა იმპერატორ კონსტანტიოსის მხარდაჭერით, ეკლესიიდან განდევნეს იგი და იძულებული გახადეს სხვა ადგილებში ეძებნა თავშესაფარი. სხვა მხრივ კანონი თავისთავად სავსებით ნათელია.

კანონი 18

ეპისკოპოსმა ლავდენტიოსმა თქვა: უწყი, შენ, ძმაო აეტიოს, რომ ეპისკოპოსად შენი დადგინებისას მშვიდობა სუფევდა. იმისთვის, რომ ეკლესიის მსახურებზე აზრთა სხვადასხვაობის რაიმე კვალი არ დარჩეს, კეთილად მიმაჩნია, რომ მოსეს და ევტვიქიანეს მიერ დადგინებულნიც ყველანი მივიღოთ, რადგან მათში არანაირი ბრალეულობა არ აღმოჩნდა. ეპისკოპოსმა ოსიამ თქვა: ჩემი სიმდაბლის აზრი ასეთია: რადგან ჩვენი ვალია მშვიდობისმოყვარენი და დამომენნი ვიყოთ და ყველას მიმართ საკმარის გულმოწყალებას ვიჩენდეთ, ამიტომ ჯერ-არს საეკლესიო დასში ზოგიერთი ჩვენი ძმის მიერ ერთხელ დადგინებულნი, მხოლოდ მაშინ არ მივიღოთ, თუ არ ისურვებენ თავიანთ ეკლესიებს დაუბრუნდნენ, რომლებშიც განწესებულ იქნენ. ხოლო ევტვიქიანე, დაე, ნუ მიისაკუთრებს ეპისკოპოსის სახელს; და ნურც მოსე ჩაითვლება ეპისკოპოსად. მაგრამ თუ თანაზიარებას როგორც ერისკაცნი ითხოვენ, ამაში არ უნდა ეთქვას მათ უარი. ყველამ წარმოთქვა: თანახმანი ვართ.

(II მსოფ. 4; სარდ. 19)

ეს კანონი, რომელიც ათენის სინტაგმაში ორ ნაწილად არის გაყოფილი მე-18 და მე-19, ერთი და იგივე საკითხზე საუბრობს. იგი ეხება კრების თანამედროვე მომენტისათვის თესალონიკის ეკლესიას მდგომარეობას. როდესაც აღნიშნული ეკლესიის ეპისკოპოსად დაადგინეს აეტიოსი, ორმა მღვდელმა, მოსემ და ევტვი-

ქიანემ, ერთდროულად დაიწყო საკუთარი უფლებების წამოყენება იმავე თესალონიკის კათედრის მმართველობაზე. ორივემ, მიუხედავად იმისა, რომ ქიროტონია არ ჰქონდათ მიღებული, მაინც, – ამბობს **ბალსამონი,** – როგორც ეპისკოპოსებმა, დაასხეს ხელნი ზოგიერთ კლირიკოსს. როდესაც სარდიკიის კრებაზე ეს საკითხი აღიძრა, ღავდენტიოსმა, ნაისელმა ეპისკოპოსმა, მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, წინადადება შეიტანა, რომ ჭეშმარიტ კლირიკოსებად შეერაცხად ყველა ის პირი, რომლებიც მოსესა და ევტვიქიანეს მიერ იყვნენ ხელდასხმულნი, რადგან თავად კლირიკოსებმა მათი უკანონო ეპისკოპოსობის შესახებ არაფერი იცოდნენ და, მაშასადამე, ბრალი არაფერში მიუძღოდათ. ღავდენტიოსის წინადადება არ იქნა მიღებული, რამეთუ კრების თავმჯდომარემ, ოსიოსმა, განაცხადა, რომ მართალია, აუცილებელია სულგრძელობა და ზომიერება, მაგრამ ჭეშმარიტ კლირიკოსებად მაინც მხოლოდ ის პირები უნდა იყვნენ აღიარებულნი, რომლებიც ჭეშმარიტი ეპისკოპოსების მიერ არიან ხელდასსხმულნი. ეპისკოპოსები რომ შემდგომში რაიმე დანაშაულისთვის განეკვეთათ და, თანაც, მათ მიერ (ჯერ კიდევ კანონიერების) ხელდასხმული კლირიკოსები არ ყოფილიყვნენ შემჩნეულნი მათივე დანაშაულში, მაშინ ისინი აუცილებლად უნდა ეღიარებინათ კანონიერ კლირიკოსებად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კლირიკოსები არ ემორჩილებიან თავიანთ ხელისუფლებას და ეწინააღმდეგებიან მის დადგენილებებს. ხოლო, რაც შეეხება მოსესა და ევტვიქიანეს შემთხვევაში მათ მიერ ხელდასხმულ კლირიკოსებს, ოსიოსმა განაცხადა, რომ მათ შეიძლება შეუნარჩუნდეთ საერისკაცო თანაზიარება, ანუ იყვნენ ეკლესიასთან ერთობაში როგორც მხოლოდ და მხოლოდ ერისკაცები, რადგან მათი ხელთდამსხმელნი არამცთუ ეპისკოპოსები, არამედ ეპისკოპოსის სახელის ღირსნიც კი არ ყოფილან. კრებამ მიიღო ოსიოსის ეს წინადადება. ამის მსგავს განწესებას ვხვდებით II მსოფლიო კრების მე-4 კანონშიც, მაქსიმე ცინიკოსთან დაკავშირებით.

კანონი 19

ეპისკოპოსმა ღავდენტიოსმა თქვა: ეს მაცხონებელი და კეთილად განსჯილი დადგენილებები, ჩვენი სამღვდელო ღირსებისთვისაც შესაფერისი, და სათნონი ღმერთისა და ადამიანებისთვისაც, ვერ შეინარჩუნებენ თავიანთ ძალმოსილებასა და სიმტკიცეს, თუ წარმოთქმული გადაწყვეტილებები თანხლებულნი არ იქნებიან შიშით. რამეთუ ჩვენ თავადაც ვიცით, რომ არცთუ იშვიათად მცირედთა ურცხვობის მიზეზით, შეურაცხყოფა მიეყენებოდა მღვდლობის ღვთაებრივ და პატივმისაგებელ სახელს. ასე, რომ თუ ვინმე, ყველას მიერ აღიარებულის საწინააღმდეგოდ გაკადნიერდება რაიმე სხვა მოიმოქმედოს, ეცდება რა უფრო მეტად თავის ამპარტავნებასა და პატივმოყვარეობას აამოს, ვიდრე ღმერთს ეყოს სათნოდ, ასეთმა, დაე, იცოდეს, რომ საკუთარ თავს სამსჯავროზე პასუხისგების წინაშე აყენებს და კარგავს ეპისკოპოსის პატივსა და ღირსებას. ყველამ მიუგო: ეს აზრი შესაფერისია და ჩვენც სათნოდ გვიჩანს.

(ანტიოქ. 11; სარდ. 7, 8, 9, 21; კართ. 104, 106)

კანონი 20

ხოლო ეს უფრო მეტად იქნეს მოკვლეული და ამგვარად აღსრულებული: თუ თითოეული ჩვენგანი, ეპისკოპოსად დადგინებული, ხმელეთით თუ ზღვით მიმავალ ეპისკოპოსს იხილავს, აუცილებლად გამოჰკითხოს მგზავრობის მიზეზი და გზის მიმართულება. და თუ შეიტყობს, რომ იგი სამხედრო ბანაკში მიდის (ხელმწიფესთან), მაშინ, დაე, შეეკითხოს ზემდგომთ თანრიგთა მიხედვით.* და თუ ის მიწვეულია (ხელმწიფისაგან) და ამის გამო მიდის, მაშინ ნურანაირი დაბრკოლება ნუ ექნება მიმავალს. ხოლო თუ ის თავისი პატივმოყვარეობით ან ზოგიერთთა თხოვნების გამო ისწრაფვის სამხედრო ბანაკში მისვლას, როგორც ეს ადრე უკვე მოეხსენა თქვენს სიყვარულს, მაშინ ნურც მის სიგელებზე მოვაწერთ ხელს და ნურც თანაზიარება გვექნება ესევითართან. ყველამ მიუგო: დაე, ესეც განწესებულ იქნეს.

(ანტიოქ. 11; სარდ. 7, 8, 9, 20; კართ. 104, 106)

ეს კანონი, როგორც მისი დასაწყისი სიტყვებიდან ჩანს, წარმოადგენს წინა, მე-19 კანონის გაგრძელებასა და დამატებას. ორივე კანონი ამ კრების მე-7, მე-8 და მე-9 კანონების განწესებებთან არის მჭიდრო კავშირში, რომლებიც იმ ეპიკოპოსების წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც ყოველგვარ საქმეზე იმპერატორის სასახლეს ეშურებოდა. ყველა ამ კანონის მიზანი ერთია: ეპისკოპოსის ღირსებისა და მნიშვნელობის დაცვა.

*იხ. ამავე კრების კანონები: მე-7, მე-8, მე-9.

კონსტანტინოპოლის წმინდა ადგილობრივი კრება

394 წელს კონსტანტინოპოლში შედგა კრება სადავო საკითხის გადასაწყვეტად ორ ეპისკოპოსს, აღაპისა და ვაღადის შორის; ორივე მათგანი თავის უფლებას ამტკიცებდა არაბეთის ბოსტრიის სამიტროპოლიტო კათედრაზე. კრებას ესწრებოდნენ ნეკტარიოს კონსტანტინოპოლელი, თეოფილე ალექსანდრიელი, ფლაბიანე კონსტანტინოპოლელი და კიდევ 17 ეპისკოპოსი. თავმჯდომარეობდა ნეკტარიოსი. განაჩინეს, რომ ეპისკოპოსის განკვეთა შეუძლია მრავალი ეპისკოპოსისგან შემდგარ კრებას და არა მხოლოდ სამ ეპისკოპოსს. ეს განჩინება გამოიცა, როგორც განსაკუთრებული კანონი და შემდგომში შევიდა საყოველთაო საეკლესიო კანონიკურ კრებულში.

კონსტანტინოპოლის წმინდა (მეშვიდე) ადგილობრივი კრების კანონი

განვაჩინებთ: აღარ მოხდეს მომავალში განსასჯელი ეპისკოპოსის განკვეთა სასულიერო ხარისხიდან ორი და არც სამი ეპისკოპოსის მიერ, არამედ დიდი კრების განაჩენით, და თუ შესაძლებელი იქნება, მისი სამთავროს ყველა ეპისკოპოსის მონაწილეობით, როგორც ეს მოციქულთა კანონებით არის დადგენილი; დაე, ამრიგად წარმოჩნდეს კეთილგანხილულად განკვეთის ღირსი პირის გასამართლება – მრავალთა მიერ გამოტანილი და განსასჯელის თანდასწრებით გამოცხადებული განაჩენის გზით.

(მოც. 1,34,37,74; I მსოფ. 4; VII მსოფ. 3; ანტიოქ. 14,15,19,20,23; ლაოდ. 12, 40; სარდ. 4, 6; კართ. 8, 10, 11, 12, 13, 15, 18, 19, 49, 50, 59, 104, 107, 128, 129, 130, 132; ორგზ. 13; თეოფილე ალექსანდრიელის 9)

ბოსტრიის საეპისკოპოსო კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად ვაღადი. გარკვეული დროის შემდეგ, სხვადასხვა დანაშაულისათვის, ვაღადი, მისი არყოფნის დროს, ორი ეპისკოპოსის მიერ განკვეთილ იქნა. მათ შემდგომში არ მოისმინეს მის მიერ წარმოდგენილი თავის გასამართლებელი არგუმენტები და მის ადგილზე აღაპი დაადგინეს. ვაღადიმ ამას საჩივრით უპასუხა, სადაც თავისი განკვეთის უკანონობას ამტკიცებდა. როდესაც საქმე განსახილველად კონსტანტინოპოლის კრებას გადაეცა, ანკირიის ეპისკოპოსმა არაბიანემ წინადადება შეიტანა გამოეკვლიათ ეს საქმე და განჩინება კანონის სახით დაემტკიცებინათ მომავალი დროებისათვის. I მსოფლიო კრების 1 და მე-4 კანონების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, დაადგინეს, რომ როგორც ორ ეპისკოპოსს არ შეუძლია გამოირჩიოს და დაადგინოს მესამე, ზუსტად ასევე, ორ ეპისკოპოსს არ შეუძლია დამოუკიდებლად რომელიმე ეპისკოპოსის განკვეთა. ხოლო, რამდენადაც ვაღადი ისე გაასამართლეს, რომ არც კი მოუსმინეს, მაშინ, როდესაც ყოველ განაჩენს მტკიცე საფუძველი სჭირდება და

ამას გარდა ის უნდა მტკიცდებოდეს ხმების უმრავლესობით, ამიტომ კრებამ ორი ეპისკოპოსის ქმედება, ვალადისთან მიმართებით, უკანონოდ სცნო და მოციქულთა 74-ე კანონის საფუძველზე განაწესა, რომ ეპისკოპოსის განსაკვეთად სამართლიანი სამსჯავრო უნდა შედგეს, რომელზედაც მოწვეული და მოსმენილი იქნეს ბრალდებული; ამასთან, განაჩენი უნდა გამოცხადდეს მხოლოდ სრული კრების შემთხვევაში, ანუ სამთავროს ყველა ეპისკოპოსის თანდასწრებით, უკიდურეს შემთხვევაში კრება უნდა შედგეს სამ წევრზე მეტი შემადგენლობით, და „აუცილებლად მიტროპოლიტის მონაწილეობით“, დასძენს „კორმჩაია“.

კართაგენის წმინდა ადგილობრივი კრება

კართაგენის ეს დიდი კრება შედგა 419 წელს; ესწრებოდა 217 ეპისკოპოსი, მათ შორის რომის ეკლესიის წარმომადგენლებიც. კრებას თავმჯდომარეობდა კართაგენის მთავარეპისკოპოსი ავრილიოსი. შეკრების მიზეზი იყო, გაერკვიათ, რამდენად სამართლიანი იყო რომის პაპის პრეტენზიები კართაგენის ეკლესიის კრებების გადაწყვეტილებებზე აპელაციების მიღების უფლებასთან დაკავშირებით. გაიმართა ორი მთავარი სხდომა: პირველი — 25 მაისს, მეორე — 30 მაისს.

მას შემდეგ, რაც მთავარი საქმე განიხილეს და საზეიმოდ უარყვეს რომის პაპის ყოველგვარი უფლება კართაგენის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებებზე აპელაციის მიღებისა, კრების მამებმა რამდენიმე კანონი გამოსცეს საეკლესიო დისციპლინის შესახებ. შემდეგ გადაიხედა ყველა კანონი, რომელიც გამოცემული იყო აფრიკული ეკლესიის წინანდელ კრებებზე, მოყოლებული 348 წლიდან. არც ერთ სხვა ეკლესიაში, როგორც ეს აფრიკულში, არ იყო ეგზომ მკაცრად დაცული ყოველწლიურ შეკრებებთან დაკავშირებით მიღებული საყოველთაო წესი. ისტორიამ ბევრი მონაცემი შემოგვინახა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საკანონმდებლო მიზნებით მოწვეულ ამ ეკლესიის მრავალი კრებისა და მისი მუშაობის შედეგების თაობაზე. შესაბამისად, უნდა გამოჩენილიყო მრავალი საეკლესიო-დისციპლინარული კანონი, რომლებიც ყველა ამ კრებაზე მიიღებოდა. ამ სახის კანონებში ბევრი ერთმანეთის მსგავსი იყო და ერთი და იგივე საკითხზე საუბრობდა, ბევრიც ადგილისა და დროის გათვალისწინებით იყო გამოცემული, ამიტომ მხოლოდ ადგილობრივი და დროებითი მნიშვნელობის შემცველი იყო და, შესაბამისად, ყველასათვის სავალდებულო დატვირთვა არ გააჩნდა. 419 წლის კართაგენის კრების მამებმა განიხილეს ყველა წინანდელი კანონი, და მათ შორის მიიღეს და მთელი აფრიკული ეკლესიისთვის სავალდებულოდ დაამტკიცეს შემდეგი თოთხმეტი კრების კანონები: ა) 348 წლის კართაგენის; ბ) 390 წლის კართაგენის; გ) 393 წლის იპონის; დ) 397 წლის კართაგენის; ე) 401 წლის 16 ივნისის კართაგენის; ვ) 401 წლის 13 სექტემბრის კართაგენის; ზ) 402 წლის მილევიანის; თ) 403 წლის კართაგენის; ი) 404 წლის კართაგენის; კ) 405 წლის კართაგენის; ლ) 40 წლის კართაგენის; მ) 409 წლის კართაგენის; ნ) 410 წლის კართაგენის; ო) 418 წლის კართაგენის. სულ მიიღეს ამ კრებების 121 კანონი. თვით, 419 წლის კრებამ, მათ კიდევ დაუმატა თავისი 12 კანონი და, ამგვარად, ამ კრებაზე მიღებულ და აღიარებულ იქნა ყველასათვის საერთო-სავალდებულოდ 133 კანონი, რომლებიც ამჟამად ცნობილია კართაგენის კრების კანონების სახელწოდებით.

ზოგიერთ კანონიკურ კრებულში, გარდა დასახელებულისა, შედის კიდევ ხუთი,* თუმცა ისინი პირდაპირი გაგებით კანონები კი არა, კართაგენელი მამების ეპისტოლეებია, ან ამა თუ იმ მამის პასუხი თვით კრების მიერ

*მათ შორის ჩვენს „დიდი სჯულისკანონში". — მთარგ.

მათთვის დასმულ შეკითხვებზე. ამათგან, პირველი კანონი ეს არის კრების ეპისტოლე პაპ ბონიფაციუსის მისამართით, იმ მთავარი საკითხის შესახებ, რომლის გამოც ეს კრება შედგა; მეორე და მესამე — ესენია კირილე ალექსანდრიელისა და ატიკე კონსტანტინოპოლელის პასუხები, რომლებიც ნიკეის კრების ნამდვილ აქტებს ახლავს თან; მეოთხე — ეს არის ეპისტოლე ნიკეის კრების სიმბოლოთი და კანონებით, რომელიც გაეგზავნა კართაგენის კრების მამების მიერ პაპ ბონიფაციუსს, და მეხუთე — იმავე მამების 424 წლის ეპისტოლე, რომელიც გაეგზავნა პაპ კელესტინეს იგივე საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც შედგა 419 წლის კრება. ამ ბოლო ეპისტოლეს წარმოშობის მიზეზი ის იყო, რომ ერთმა მღვდელმა, სახელად აპიარიოსმა, რომელიც ადგილობრივი აფრიკული ეკლესიის კრებამ გაასამართლა, დაცვისათვის პაპ კელესტინეს მიმართა. პაპმა შესაძლებლად მიიჩნია თავისი დაცვის ქვეშ აეყვანა ეს მღვდელი და ამასთან შესაბამისობაში მისწერა კართაგენელ მამებს. მამების პასუხი კელესტინეს ამ წერილზე, სადაც ისინი პაპს მღვდლის შესახებ შუამდგომლობაზე უარს ეუბნებიან, შეადგენს წორედ დასახელებულ ეპისტოლეს. ის იმიტომ დგას კართაგენის 419 წლის კრების კანონების გვერდით, რომ შინაარსობრივად და მნიშვნელობით უშუალოდ ამ კრებას უკავშირდება და წარმოადგენს კრების მთავარი საკითხის შესახებ დასკვნით განწესებას.

კართაგენის წმინდა ადგილობრივი კრების კანონები

კანონი 1

(1)* ნიკეის კრების განსაზღვრებანი, დაე, ყოველმხრივ იქნეს დაცული. ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ეს განსაზღვრებანი როგორცაა დაცული ჩვენს ხელნაწერებში, რომლებიც ჩვენმა მამებმა მაშინ თან მოიტანეს ნიკეის კრებიდან, და შემდგომში, ჩვენ მიერაც მიღებული განწესებანი, ზედმიწევნით შესატყვისნი ამ კრებისა, ამის დადასტურების შემდეგ, დაე, შესრულებულ იყოს.**

(IV მსოფ. 1; ტრულ. 2; VII მსოფ. 1)

---

*ძირითადი ნუმერაცია მიჰყვება ათენის სინტაგმას, ხოლო ფრჩხილებში ნაჩვენებია, თუ რა ნომრით არის ესა თუ ის კანონი შეტანილი კანონთა კრებულის წიგნში. რადგან მრავალი კანონი, მისი შინაარსიდან გამოდინარე, დაყოფილია ორ ან მეტ ნაწილად, ამიტომ საერთო რიცხოვნობა აღნიშნულ წიგნში გაცილებით მეტია. ქართულ დიდი სჯულისკანონში ნუმერაცია მიჰყვება ათენის სინტაგმას (რადგან ის შევიდა ფოტის ნომოკანონში, რომლის ქართული თარგმანსაც წარმოადგენს დიდი სჯულისკანონი), იმ განსხვავებით, რომ დამატებითი ხუთი კანონი, ანუ ეპისტოლენი, ქართულ სჯულისკანონში საერთო ნუმერაციაში შედის და, ამდენად, სულ გამოდის 138 კანონი. — მთარგ.

**ეს არის კართაგენის 419 წლის 1 კანონი. რადგან ეს კანონები ფაქტობრივად სხვადასხვა კრების კანონების კრებულია, ამიტომ მივუთითებთ მათ წარმომავლობას.

ეს კრება შედგა კართაგენში 419 წელს. შეკრების მიზეზი იყო საკითხი იმის შესახებ, შეეძლო თუ არა რომის ეპისკოპოსს მიეღო აპელაცია აფრიკული ეკლესიის კრებების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. რომის ეპისკოპოსი თავის უფლებას აფუძნებოდა სარდიკიის კრების ერთ-ერთი კანონზე (მე-5), რომელსაც იგი I მსოფლიო კრების კანონად მიიჩნევდა. კართაგენის კრების მამებს ხელთ ჰქონდათ ნიკეის კრების საქმეთა ასლები, რომლებშიც ვერ მოიძიეს რომის ეპისკოპოსის მიერ მოყვანილი კანონი. იმისათვის, რომ უკეთ ეჩვენებინათ რომის ეპისკოპოსის მტკიცებულების უსაფუძვლობა და მისი შეცდომა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ერთი კრების კანონს სხვა კრების კანონად თვლიდა, მათ მიმართეს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს, – გამოეგზავნათ მათთან დაცული ნიკეის კრების ნამდვილი აქტები. თხოვნაზე პასუხის მოლოდინში, კრებამ თავისი სახელოვანი თავმჯდომარის – ავრილიოსის წინადადებით დაადგინა, უცვლელად დაეცვათ ნიკეის კრების განწესებანი, ანუ იმ სახით, რა სახითაც იყო ეს განწესებანი გადმოცემული კრების მამების ხელთ არსებულ ხელნაწერებში, რომლებიც თავის დროზე ნიკეის კრებიდან ჩამოეტანათ იმ კრების მონაწილე აფრიკელ ეპისკოპოსებს. კრებამ ასევე დაადგინა, დაეცვათ ნიკეის კრების შემდგომ გამოცემული ყველა კანონიკური განწესება ისევე, როგორც ის განწესებები, რომლებსაც თავად მიიღებდნენ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ისინი შესაბამისობაში აღმოჩნდებოდნენ ნიკეის კრების განწესებებთან. სწორედ ამ შინაარსის შემცველია ამ კრების პირველი კანონი.

იმის შესახებ, თუ როგორი პასუხი გასცეს კართაგენის კრების მამებმა რომის ეპისკოპოსს მის მიერ წამოყენებულ უფლებაზე, რაც ითვალისწინებდა სხვისი საეკლესიო სამთავროებიდან აპელაციების მიღება-განხილვას, ჩვენ ვგებულობთ ავრილიოსის მიერ კრების სახელით რომის ეპისკოპოს ბონიფაციუსისადმი 419 წლის 31 მაისს გაგზავნილ ეპისტოლედან. ხუთი წლის შემდეგ, 424 წელს, როდესაც რომის ეპისკოპოსმა კელესტინემ კვლავ წამოაყენა თავისი უფლება აპელაციების მიღების შესახებ, აფრიკელმა მამებმა ავრილიოსის თაოსნობით კვლავ გაგზავნეს რომში ახალი ეპისტოლე, რომლითაც, თუმც დროებით, აიძულეს რომის ეპისკოპოსი აღარ გამოსულიყო განცხადებებით თავისი უფლებების შესახებ.*

---

*ამ კანონამდე კრებაზე წაიკითხეს ნიკეის კრების სარწმუნოების სიმბოლო და კანონები. ხოლო ამის გარდა, პიკენის ეპისკოპოსმა ფავსტინემ, რომის ეპისკოპოს ბონიფაცის ადგილმონაცვლემ, წარმოადგინა მისთვის წერილობით მიცემული დარიგება, რომლითაც კრებისთვის შემოთავაზებული იყო კანონები სამსჯავრო საქმეების გადატანის შესახებ საეპარქიო ეპისკოპოსისაგან რომის ეპისკოპოსთან და მეზობელ ეპისკოპოსებთან; ეს კანონები ამ ჩანაწერში წოდებული იყო ნიკეის მსოფლიო კრების კანონებად, მაგრამ სინამდვილეში წარმოადგენდნენ სარდიკიის ადგილობრივი კრების მე-5 და მე-14 კანონებს. ამაზე კართაგენის კრების მამებმა მიუგეს, რომ მათთან დაცულ ნიკეის კრების ნუსხებში ისინი ვერ პოულობენ ამ კანონებს, და ეჭვის გასაფანტავად დაადგინეს ნიკეის კრების კანონების ნამდვილი ასლები გამოეთხოვათ ანტიოქიის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსებისაგან. ხოლო იმისთვის, რომ არანაირი ეჭვი არ დაეტოვებინათ თავიანთ მორჩილებაში ნიკეის კრების კანონებისადმი, კართაგენის ეპისკოპოსის ავრილიოსის წინადადებით, მიიღეს კიდეც ეს კანონი.

კანონი 2 (2)*

ღმერთის ნებით თავდაპირველად გვმართებს, თანახმიერი აღმსარებლობით ვაღიარებდეთ ეკლესიის სარწმუნოებას, რომელიც ამ დიდებულ კრებას ჩვენ მიერ გადმოეცა. მერმე, კვალად თითოეულისა და ყველასი ერთობლივი თანხმობით უნდა იქნეს დაცული საეკლესიო წეს-განგება. ხოლო ჩვენი მცირე ხნის წინ დადგინებული ძმებისა და თანაეპისკოპოსების ზრახვათა განსამტკიცებლად, უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ჩვენ მამებისგან გვაქვს მიღებული, მტკიცე განჩინება იმისა, რომ სამების ერთობას, ანუ, – მამისას და ძისას და სულიწმინდისას, არავითარი შეცნობადი განსხვავება არ გააჩნია. ეს წმიდად გვიპყრია გონებით და, როგორც გვისწავლია, იმგვარადვე ვასწავლოთ ღვთის ერს.

(II მსოფ. 1; III მსოფ. 7; ტრულ. 1)

ეს კრება შეახსენებს იმის შესახებ, თუ რამდენად მტკიცედ და ურყევად უნდა იქნეს დაცული წმინდა მამების მიერ გადმოცემული სარწმუნოების აღმსარებლობა. იმავდროულად, კანონი აჩვენებს, რომ მთავარი მიზანი, რისთვისაც კრებები დგება, ეს არის წმინდა სარწმუნოების საზეიმო აღმსარებლობა, რომლის საფუძველზეც მიიღება მაშინ კანონები, რომლებიც, თავის მხრივ, ამტკიცებენ საეკლესიო წესრიგს, რომლის დაცვაც ყველასათვის მკაცრად სავალდებულოა.

კანონი 3 (3)**

კრძალულებისათვის ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: უწინდელ კრებაზე, როცა კრძალულებისა და უბიწოების შესახებ კითხულობდნენ, კეთილად იქნა განგებული, რომ ამ სამ ხარისხში დადგენილნი (ანუ ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები), რომელნიც თვით კურთხევის ძალით არიან მოვალენი შეიკვრებოდნენ უბიწოების საკრველებით, როგორც ეს წმინდა ეპისკოპოსებს, ღმერთის მღვდლებსა და ლევიტელებს შეჰფერით, და ასევე საღმრთო მღვდელმოქმედებათა დროს მათ მსახურებსაც, – განკრძალულნი უნდა იყვნენ ყოველივეში; დაე, მიეღოთ, რასაც უბრალოებით ითხოვენ ღმერთისგან, რათა მოციქულთაგან გადმოცემულსა და უძველესი დროიდან შენარჩუნებულს ჩვენც მსგავსადვე ვიცავდეთ.

(მოც. 5, 17, 26, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 14; ტრულ. 5, 6, 12, 13, 30; VII მსოფ. 18; ანკირ. 19; ნეოკეს. 1, 8; ლანგ. 4; კართ. 4, 25, 35, 70; ბასილი დიდის 12, 27, 88)

ეს კანონი მიღებულ იქნა კართაგენის 390 წლის კრებაზე, ეპისკოპოს გენეთლის დროს. [ქადაგებისათვის წმიდისა სამებისა] *აქ და შემდგომ ამ კრების კანონების ქვეშ მათი შინაარსის ამსახველი მინაწერები დასესხებულია ქართული „დიდი სჯულისკანონიდან“, სე-მოდასახ. გამოც.

**კართაგენის 390 წლის მე-2 კანონის პირველი ნახევარი.

[კრძალულებისათვის]

კანონი 4 (4)*

განვაჩინეთ, რომ ეპისკოპოსიც, მღვდელიც და დიაკონიც, და ყველა, ვინც კი სიწმინდესთან შეხებაშია, უბიწოებას იცავდეს და ცოლს განეკრძალოს.

(მოც. 5, 17, 26, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 14; ტრულ. 5, 6, 12, 13, 30; VII მსოფ. 18; ანკირ. 19; ნეოკეს. 1, 8; ღანგ. 4; კართ. 3, 25, 35, 70; ბასილი დიდის 12, 27, 88; ტიმოთე ალექსანდრიელის 5, 13)

ეს ორივე კანონი ლაპარაკობს სასულიერო პირთა მხრიდან თავშეკავების შესახებ. პირველი მათგანი (მე-3 კან.) განაწესებს, რომ ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს, როგორც საღმრთო მსახურებისა და უსისხლო მსხვერპლშეწირვისათვის დადგინებულთ, ყველაფერში თავშეკავება მართებთ; არ უნდა მოიქცნენ ისე, რომ რამე ერთისგან თავი შეიკავონ, მეორის მიმართ კი გულგრილობა გამოიჩინონ, არამედ ყველაფერში უნდა მიაქციონ საკუთარ თავს ყურადღება, უნდა გამოირჩეოდნენ სათნოებებით, რათა საშუალება ჰქონდეთ, – როგორც კანონი ამბობს, – ღმერთისგან მიიღონ შეევედრებული, რადგან, – ზონარას სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან, – ისინი შუამავლები არიან ღმერთსა და ადამიანებს შორის, და გულმოწყალე უნდა ჰყონ ღმრთეება ადამიანთა მიმართ, გამოითხოვონ ხსნა ერთგული მორწმუნეებისათვის და მშვიდობა მთელი ქვეყნისათვის.** მეორე (მე-4) კანონი განუწესებს იმავე ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს თავი შეიკავონ ცოლებთან ხორციელი კავშირისაგან. იგივეს ამბობს ამ კრების 25-ე კანონიც და განმარტავს, რომ ეს თავშეკავება მათ უნდა დაიცვან **გარკვეულ დროს,** კერძოდ – როდესაც ემზადებიან სიწმინდეებთან მისაახლებლად. სხვა დანარჩენის შესახებ იხ. ტრულის კრების მე-12 და მე-13 კანონების განმარტებები.

კანონი 5 (5)***

თავშეკავება გვმართებს მომხვეჭელობის გულისთქმისაგან, რომლის სახელდებაშიც „ყველა ბოროტების დედად", ვერავინ დაეჭვდება; დაე, ნურავინ შეიჭრება სხვათა საზღვრებში, და ანგარებისმოყვარეობით ნუ გარდავა მამათა მიერ დადგენილ საზღვრებს, და სამღვდელო დასის წევრთაგან, დაე, ნურავის მიეცემა ნება ვახში აიღოს რაც არ უნდა იყოს ნივთისაგან. თუ რამე იქნება კვლავ წარმოდგენილი, როგორც არაცხადი და სრულიად დაფარული, ჩვენ მიერ განიხილება და მის მიმართ განჩინება შედგება. ხოლო, რაც საღმრთო წერილმა სავსებით ცხადად დაგვიდგინა, მათ შესახებ შეხედულებებს კი არ უნდა განვიხილავდეთ, არამედ მეტადრე მივსდევ-

---

*კართაგენის 390წლის მე-2 კან.-ის მეორე ნახევარი.

[ცალკეული დასისათვის, რომელთა უხმს (მართებთ) განყენება მეუღლეთაგან]

**ათენის სინტაგმა, III, 301.

***ეს კანონი შედგენილია კართაგენის 348 წლის კრების მე-10 და მე-13 კანონებიდან, რომელიც შედგა ეპისკოპოს გრატის დროს.

[უძღებებისათვის (მომხვეჭელობისათვის)]

დეთ და აღვასრულებდეთ. რაც ერისკაცთა შორის გასაკიცხია, რაზომ უფრო დაგმობის ღირსია იმათ შორის, რომელნიც სამღვდელო დასს განეკუთვნებიან. მთელმა კრებამ თქვა: არცა წინასწარმეტყველთა, არცა სახარების წინააღმდეგ, არავის უმოქმედია დაუსჯელად.

(მოც. 44; I მსოფ. 17; ტრულ. 10; VII მსოფ. 19; ლაოდ. 4; კართ. 16; ბასილი დიდის 2, 14; გრიგოლ ნეოკესარიელის 3; გრიგოლ ნოსელის 6)

წინამდებარე კანონი უპირველეს ყოვლისა ლაპარაკობს იმ ეპისკოპოსების წინააღმდეგ, რომლებიც ანგარების მიზნით გადადიან თავიანთი სამთავროების საზღვრებს და იტაცებენ სხვის ეპარქიებს; ამის შემდეგ – ზოგადად იმ სასულიერო პირების შესახებ, რომლებიც მევახშეობას ეწევიან. მოციქულთა 44-ე, I მსოფლიო კრების მე-17 და სხვა პარალელური კანონების განმარტებები ამ კანონის განმარტებასაც ემსხურება.

კანონი 6 (6)*

მირონის მომზადებასა და ქალწულთა კურთხევას მღვდელი ნუ აღასრულებს. ასევე, ნუ მიეცემა მას ნება განცხადებულად, ლიტურგიაზე შეარიგოს ეკლესიასთან მონანულნი. ყველას სათნო გვიჩანს ეს.

(მოც. 52; I მსოფ. 12, 13, 19; III მსოფ. 7; IV მსოფ. 16; ტრულ. 4, 31, 95, 102; VII მსოფ. 7; ლაოდ. 48; კართ. 7, 43, 44)

წინამდებარე კანონი მღვდლებს უკრძალავს შემდეგს: 1) მირონის მომზადებას, 2) ქალწულების შეწირვას, 3) ტაძრების კურთხევას და 4) მონანულთა ეკლესიასთან შერიგებას, და ყველაფერ ამას მხოლოდ ეპისკოპოსის ხელმწიფებას უქვემდებარებს.

1) წმინდა მირონის მომზადება, – როგორც ამ კანონის განმარტებაში **ზონარა და ბალსამონი** აღნიშნავენ, – ნიშნავს **წმინდა მირონის** კურთხევას, რომელიც მირონცხების საიდუმლოში გამოიყენება. ეკლესიის პირველ ხანებში მიროცხებას ცვლიდა მოსანათლავ პირზე ნათლობის პროცესში ხელდასხმა, რომელსაც თვით მოციქულები აღასრულებდნენ და ამ გზით ნათელღებულს სულიწმიდის მადლს გადასცემდნენ. ***„მაშინ დაასხამდეს ჭელთა მათ ზედა, მიაქუნდა სული წმიდაჲ“*** – ვკითხულობთ „საქმე მოციქულთაში“ (8, 17). მოციქულები ამას აკეთებდნენ მათ მიერ მაცხოვრისგან მიღებული განსაკუთრებული ხელმწიფებით. მაგრამ უკვე იმავე მოციქულთა დროში ჩვენ ვპოულობთ მირონცხების საიდუმლოს ახლადელი დროის ფორმის საფუძველს, კერძოდ, ვპოულობთ, რომ **ნათელღებულებს ცხებდნენ მირონს.**** ამის ზუსტი მოწმობა წმინდა წერილში არ არის, მაგრამ ამას ვხვდებით იმ წმინდა მამებისა და ეკლესიის მოძღვრების ნაშრომებში, რომ-

*კართაგენის 390 წლის მე-3 კანონი.

[რაითა საცხებელი (მირონი) ხუცისა მიერ არა შეიქმნებოდის]

**იხ. მიტროპოლიტ მაკარის (ბულგაკოვი) „დოგმატური ღვთისმეტყველება“, § 209.

ლებიც მოციქულთა დროსთან ახლო პერიოდში მოღვაწეობდნენ. რაც შეეხება მოციქულთა განწესებებს, იქ არამცთუ ხშირად მოიხსენიება მირონცხება (მაგალითად, III, 17; VII, 22), არამედ მირონცხებისათვის სამადლობელი სრული ლოცვაც კი არის შეტანილი, რომელიც ნათლისღებას მოსდევს. **კირილე იერუსალიმელი** ამის შესახებ დაწვრილებით დარიგებას იძლევა, ადარებს რა წმინდა მირონს (მირონცხების საიდუმლოში) პურის კურთხევას ევქარისტიაში და ამბობს, რომ წმინდა მირონის გამოყენება სათავეს იღებს მოციქულთა გადმოცემიდან. ამგვარად, როგორც ნათლისღებისას ხელდასხმის უფლება მოციქულთაგან გადაეცათ მათ მემკვიდრეებს — ეპისკოპოსებს, ასევე გადაეცათ მათ მირონცხებისათვის წმინდა მირონის მომზადებისა და კურთხევის უფლება (ტაძრებისა და ოდიკის კურთხევისათვის და სხვა). ეპისკოპოსის ეს უფლება ეფუძნება საეკლესიო იერარქიაში მის მდგომარეობას, როგორც მღვდელთმთავრისას, მით უფრო, რომ ეპისკოპოსის ხარისხი თავისთავში მოიცავს მღვდელმსახურების სავსებას და ითავსებს ყველა სამღვდელმოქმედო უფლებას, რომლისგანაც გამომდინარებს სასულიერო იერარქიის სხვა დანარჩენი ხარისხი. მღვდლებს ეკლესიაში აქვთ უფლება, რომელიც განპირობებულია ეპისკოპოსის ხელისუფლებით, თანაც, სამღვდელო მოქმედებებს მღვდელი აღასრულებს მხოლოდ იმ საშუალებათა მეშვეობით, რომლებიც ნაკურთხია ეპისკოპოსის სამღვდელთმთავრო ხელმწიფებით. ამდენად, მღვდლებს ეკლესიაში ყოველგვარი ქმედების ჩატარება შეუძლიათ, გარდა იმისა, რაც წარმოადგენს თვით საფუძველს ამ ქმედებებისას. გარდა ამისა, მღვდლებს უფლება აქვთ საიდუმლოთა გზით ადამიანებს გადასცენ სხვადასხვა სულიერი ძღვენი, მაგრამ თვით ამ საშუალებათა მომზადების უფლება, რომლის წყალობითაც ადამიანი ამ ძღვენთა მიმღებუნარიანი ხდება (კერძოდ, მირონცხების საიდუმლოსათვის წმინდა მირონის მომზადების უფლება), მხოლოდ მღვდელთმთავარს აქვს. მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლის ეს მთავარი პრინციპია სწორედ საფუძველი კართაგენის კრების წინამდებარე კანონის განწესებისა იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ეპისკოპოსს შეუძლია აკურთხოს წმინდა მირონი; მღვდელს კი ამის გაკეთება არ შეუძლია. დროთა განმავლობაში წმინდა მირონის კურთხევის უფლება გადაეცათ პატრიარქებს და მხოლოდ ზოგიერთი, პრივილეგირებული ეკლესიის ეპისკოპოსებს.

2) მეორე, რაც ამ კანონით მღვდლებს ეკრძალებათ, ეს არის ქალწულების შეწირვა, რაც ასევე ეპისკოპოსის უფლებამოსილებაში შედის. აქ, — როგორც ამ კანონის განმარტებაში **ზონარა** აღნიშნავს, — არ უნდა ვიგულისხმოთ დედათდიაკვნები (დიაკონისები). აქ საუბარია იმ დროს არსებულ ჩვეულებაზე, რომლის თანახმადაც ზოგიერთი ქალწული ეკლესიაში მიდიოდა და იქ დებდა აღთქმას, რომ ბოელ ცხოვრებას ქალწულობაში გაატარებდა. ასეთ ქალწულებს, როგორც ღმერთისთვის შეწირულებს, ეპისკოპოსები განსაკუთრებული ლოცვით აკურთხებდნენ და ეკლესიათა მარუნველობის ქვეშ იტოვებდნენ, რადგან ამის შემდეგ ისინი უკვე საკუთარ ბრალებს ეთხოვებოდნენ.*

3) შემდეგ, კანონი მღვდლებს უკრძალავს **ტაძრების კურთხევას**, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ ეპისკოპოსის ხელმწიფებაში შედის. ამის საფუძველი იმავე

*ათენის სინტაგმა, III, 310.

პრინციპში დევს, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ მირონის კურთხევის უფლებასთან დაკავშირებით. თუმცა, აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ისიც, რაც ნათქვამია ტრულის კრების 31-ე და VII მსოფლიო კრების მე-7 კანონების განმარტებებში.

4) დაბოლოს, წინამდებარე კანონი მღვდლებს უკრძალავს მიიღონ მონანულნი და საჯაროდ, საღმრთო წირვის მიმდინარეობისას, შეუნდონ მათ ცოდვები. რამდენადაც ძველ ეკლესიაში ეპისკოპოსებს ჰქონდათ ეპიტიმიის დადების უფლება და, შესაბამისად, შეეძლოთ მიეღოთ მონანულნი და მათთვის განესაზღვრათ სინანულის ხარისხი და ვადა, ზუსტად ასევე, მათ განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენდა საჯაროდ და საზეიმოდ მიეღოთ ეკლესიაში და მიეცათ წმინდა ზიარება იმ განყენებულ მონანულთათვის, რომლებმაც მათთვის დაწესებული ეპიტიმია გაირეს. შემდგომში, ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ შეიცვალა, როდესაც შემოღებულ იქნა ცოდვების აღსარების საიდუმლო და მათი შენდობა, რისი უფლებაც, ჩვეულებრივ შემთხვევებში, მღვდლებსაც მიეცათ.

კანონი 7 (7)*

თუ ვინმე, ვის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება, წმინდა საკურთხეველთან შერიგებას ითხოვს ეპისკოპოსის არყოფნისას, მაშინ მღვდელმა ეპისკოპოსს უნდა ჰკითხოს, როგორც წესიერება მოითხოვს, და ასე, მისი ნებართვით შეარიგოს საფრთხეში მყოფი.

(მოკ. 52; I მსოფ. 11, 13; ანკირ. 6, 22; ნეოკეს. 2; კართ. 43; გრიგოლ ნოსელის 2, 5)

მომაკვდავი ადამიანი უნდა ეღირსოს წმინდა ზიარებას, — განაწესებს I მსოფლიო კრების მე-13 კანონი. ამ კრების წინა კანონში (მე-6), ნათქვამია, რომ მღვდელს არა აქვს უფლება საღმრთო წირვის დროს, ანუ საჯაროდ, გარკვეული ცოდვების გამო წმინდა ზიარებიდან განყენებულ პირს შენდობა მისცეს. ეს კანონი კი განაწესებს, რომ ეს არ უნდა მიემართოს იმ შემთხვევას, როდესაც ვინმე სიკვდილის პირასაა ნასული, რადგან ასეთს შეიძლება მღვდელმაც მისცეს შენდობა და იმავდროულად — წმინდა ზიარებაც, თუკი მმართველი ეპისკოპოსი იმ დროს ადგილზე არ იმყოფება. კანონი დასძენს, რომ ასეთ შემთხვევაში მღვდელმა წინასწარ ნაინც უნდა ბიმართოს ეპისკოპოსს და მხოლოდ მისი თანხმობით შეუნდოს მომაკვდავს, ან როგორც კანონი ამბობს „შეარიგოს“ (საკურთხეველთან) ის, ვისაც სიკვდილი ემუქრება. აქედან ჩანს, რომ საუბარია იმ მონანულთა შესახებ, როლებსაც ჯერ არ გასვლიათ სინანულისათვის დადგენილი ვადა, მაგრამ იმყოფებიან რა სიკვდილის პირას, სურთ ეღირსონ წმინდა ზიარებას („უკანასკნელ საგზალს“). თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ეპისკოპოსი შორს არის აღებული ადგილიდან და მღვდელს ასე სწრაფად არ შეუძლია მისგან ნებართვის მიღება, — დასაშვებია

*კართაგენის 390 წლის კრების მე-4 კან.

[ეროელნი ჭირთა და შიშსა სიკუდილისასა შინა იყვნენ, მაგისა დაკვებისათვის (ეკლესიასა) შერიგებისათვის]

თუ არ ასეთ შემთხვევაში, რომ მონანული ადამიანი უზიარებლად გარდაიცვალოს? – ასეთ შემთხვევაში მღვდელს შეუძლია, არ დაელოდოს ეპისკოპოსს და თვითონ შეუნდოს ცოდვები, როგორც ამას ამავე კრების 43-ე კანონი განაწესებს.

კანონი 8 (8)*

მრავალნი არიან არაკეთილზნეობისანი, რომელნიც მართებულად მიიჩნევენ, რომ როგორც კი რამე ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემათ, მაშინვე ბრალი დასდონ მამებსა და ეპისკოპოსებს. უნდა მივიღოთ თუ არა ესევითარნი? ყველა ეპისკოპოსისგან ითქვა: თუ სახელგატეხილი იყოს, არ შეიწყნარებოდეს.

(მოც. 34, 37, 74, 75; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17, 19, 21; ტრულ. 8; ანტიოქ. 14, 15, 20; ლაოდ. 40; სარდ. 4; კართ. 128, 129, 130; ორგზ. 13; თეოფილე ალექსანდრიელის 9)

ამ კანონთან დაკავშირებით იხ. II მსოფლიო კრების მე-6 კანონის განმარტება; კიდევ უფრო დაწვრილებით ლაპარაკობენ წარმოდგენილ საკითხზე ამ კრების 128-ე, 129-ე და 130-ე კანონები.

კანონი 9 (9)**

თუ რომელიმე ეპისკოპოსი ან მღვდელი თანაზიარებაში მიიღებს დანაშაულისათვის სამართლიანად განკვეთილს ეკლესიიდან, დაე, თავადაც იმის თანაბარ სასჯელს დაექვემდებაროს, ვისაც თავისი ეპისკოპოსის მართებული განაჩენისათვის თავი აურიდებია.

(მოც. 11, 12, 13, 32, 33; I მსოფ. 5; IV მსოფ. 11, 13; ტრულ. 17; ანტიოქ. 6, 7, 8, 11; ლაოდ. 41, 42; სარდ. 13; კართ. 23, 106)

იხ. მოციქულთა მე-11, მე-12 და I მსოფლიო კრების მე-5 კანონების განმარტებები, ასევე, სხვა პარალელური კანონებისაც.

კანონი 10 (10)***

თუ რომელიმე მღვდელი, თავისი ეპისკოპოსის მიერ დასჯილი, ერთგვარი ქედმაღლობითა და ამპარტავნებით გადიდგულებული, საჭიროდ ჩათვლის, რომ ცალკე უნდა შესწიროს ღმერთს წმიდა ძღვენი, ანდა მოისაზრებს

---

*კართაგენის 390 წლის კრების მე-7 კან.

[მათ შესახებ, რომელნიც ბრალს სდებენ მამებს და ეპისკოპოსებს; არ უნდა შეეიწყნაროთ ბრალმღებლად ბოროტებაში შემჩნეული]

**კართაგენის 390 წლის კრების მე-7 კან.

[მათთვის, რომლებიც თავისი უწესობის შესაბამისად, საეკლესიო დასიდან განიკვეთებიან]

***კართაგენის 390 წლის კრების მე-8 კანონის პირველი ნახევარი.

[ეპისკოპოსის მიერ დასჯილი ხუცესისთვის, რომელსაც განხეთქილება შეეოაქვს]

სხვა საკურთხეველი აღმართოს ეკლესიის სარწმუნოებისა და წესდებულების საწინააღმდეგოდ, — ესევითარი, დაე, ნუ დარჩება დაუსჯელი. კრებამ წარმოთქვა: თუ რომელიმე მღვდელი თავის ეპისკოპოსს აუმხედრდება და განხეთქილებას შემოიტანს, დაე, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 31; II მსოფ. 6; III მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ღანგ. 6; სარდ. 14; ანტიოქ. 5; კართ. 11; ორგზ. 13, 14, 15; ბასილი დიდის 1)

კანონი 11 (11)*

თუ რომელიმე მღვდელი თავისი რამე საქციელის გამო დასჯილი იქნება, ესევითარმა მეზობელ ეპისკოპოსებს უნდა აცნობოს ამის შესახებ, რათა მათ მოისმინონ მისი საქმე და მათი მეშვეობით შეურიგდეს თავის ეპისკოპოსს. ხოლო თუ ამას არ მოიმოქმედებს, არამედ (ღმერთმა დაიფაროს ამისგან!), ამპარტავნებით აღზევებული, თავადვე განიშორებს თავს თავის ეპისკოპოსთან თანაზიარებისაგან, და ზოგიერთებთან ერთად განხეთქილებას შემოიტანს, წმინდა ძღვენს შესწირავს ღმერთს, — ესევითარი, დაე, შეჩვენების ქვეშ მყოფად იქნეს მიჩნეული და თავის ადგილს მოაკლდეს, თუმცაღა, გამოკვლეულ იქნეს — სამართლიანი საჩივარი ხომ არ აქვს ეპისკოპოსის მიმართ.

(მოც. 31; I მსოფ. 5; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ანტიოქ. 4, 5, 6; ღანგ. 6; კართ. 10, 29, 107; ორგზ. 13, 14, 15)

ამ ორ კანონთან დაკავშირებით (მე-10 და მე-11) იხ. მოციქულთა 31-ე, ღანგრის კრების მე-6 და ანტიოქიის კრების მე-4 კანონების განმარტებები. იმასთან დაკავშირებით, რაზეც საუბარია მე-11 კანონში იმის შესახებ, რომ თავისი ეპისკოპოსის მიერ გასამართლებულმა მღვდელმა მეზობელ ეპისკოპოსებს უნდა მიმართოს, რათა მათი დახმარებით შეძლებისდაგვარად გათავისუფლდეს ბრალდებისაგან, არქიმანდრიტი იოანე შენიშნავს, რომ ძველი დროში საერთო წესი არსებობდა — ყველა მსგავსი საქმე ოფიციალურ სასამართლო განხილვამდე გადაეცემოდა ჩვეულებრივ საშუამავლო სასამართლოს, რომელიც შეთახმებისამებრ შედგებოდა გამორჩეულ პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ და არცთუ იშვიათად ახერხებდნენ კიდეც, შეერიგებინათ მოდავე მხარეები, და მხოლოდ საშუამავლო სასამართლოს წარუმატებლობის შემთხვევაში გადაეცემოდა საქმე ფორმალურ გამოძიებას და სამთავრო კრებების სასამართლოებს**

*კართაგენის 390 წლის კრების მე-8 კანონის მეორე ნახევარი. [ეპისკოპოსთა თვისთა მიერ ბრალეულქმნილთა ხუცესთათვის]

**დასახ. თხზ., II, 138.

კანონი 12 (12)*

ეპისკოპოსმა ფელიქსმა თქვა: დაე, წესად იქნეს შემოღებული ძველი კრებების მიერ განწესებულის თანახმად ესეც: თუ რომელიმე ეპისკოპოსი (ნუ იყოფინ!) რაიმე ბრალდებას იწვნევს და დიდი სიძნელეების გამო შეუძლებელი იქნება ბევრი ეპისკოპოსის ერთად შეკრება, მაშინ, რათა დიდი ხნით არ დარჩეს იგი ბრალდების ქვეშ, დაე, თორმეტმა ეპისკოპოსმა მოუსმინოს მას სამსჯავროზე; მღვდელს, ასეთივე შემთხვევისათვის — ექვსმა ეპისკოპოსმა და თავისმა; დიაკონს — სამმა.

(მოც. 74; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4, 6, 14, 15, 20; სარდ. 13, 14; კონსტ. 1; კართ. 14, 15, 20, 96, 107)

კანონის განწესების თანახმად, სადავო საკითხის გადასაწყვეტად და, ზოგადად, სასამართლოს წარმოებისათვის, ყველა ეპარქიაში (აქ: რამდენიმე საეპისკოპოსოსაგან შედგენილი საეკლესიო სამთავრო, იგივე სამიტროპოლიტო) აუცილებლად უნდა შედგეს გარკვეულ დროს ეპისკოპოსთა საერთო კრება მმართველი მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით (მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; ლაოდ. 40; კართ. 18). კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც რამე სიძნელეების გამო შეუძლებელი ხდება ჩვეულებრივი კრების მოწვევა აღებული ეპარქიის ყველა ეპისკოპოსის დასწრებით, მაგრამ, ამავე დროს, სასურველი იქნებოდა დროულად გადაწყვეტილიყო საქმე ეპისკოპოსის, მღვდლის ან დიაკვნის წინააღმდეგ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით. კანონი განაწესებს, რომ ასეთ შემთხვევაში შეიკრიბოს **განსაკუთრებული სასამართლო**, რომელიც უნდა შედგებოდეს ეპისკოპოსისათვის — 12, მღვდლისათვის 6 და დიაკვნისათვის — 3 ეპისკოპოსისაგან.

ჩვენ ვიხილეთ კონსტანტინოპოლის 394 წლის ადგილობრივი კრების განწესება, რომლის თანახმადაც ეპისკოპოსი შეიძლება განიკვეთოს მხოლოდ დიდი კრების და, შესაბამისად, ეპარქიის ყველა ეპისკოპოსის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ეს წესი ყოველთვის დაცული იყო ეკლესიაში და უცვლელადვე უნდა დარჩეს. რაც შეეხება ეპისკოპოსთა რაოდენობას, აუცილებელს იმისათვის, რომ ეპიკოპოსს განკვეთა მიესაჯოს, ეს უკვე განპირობებულია აღებული საეკლესიო სამთავროს ეპისკოპოსთა რიცხოვნობით (იხ. მაგალითად, ამ კრების მე-14 კან.). დიდ საეკლესიო სამთავროებში კი, სადაც მრავალი ეპისკოპოსია, ერთი მათგანის განკვეთისათვის აუცილებლად ითვლებოდა 12 ეპისკოპოსის შეკრება. ამაში გვარწმუნებს შემთხვევა, რომელსაც ამ კანონის განმარტებისას აღწერს **ბალსამონი**. ამატუნის ეპისკოპოსი (კვიპროსის კუნძულზე) იოანე განკვეთეს 11 ეპისკოპოსის შემადგენლობითი კრებით და მთავარეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. მსჯავრდებულმა ეპისკოპოსმა საჩივრით მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ლუკას (1156-1169), ამ, მისი აზრით, უკანონო განაჩენზე. საპატრიარქო კრებამ განაჩენი გააუქმა; პირველ რიგში იმის საფუძველზე, რომ არ იყო სრულად შეკრებილი კვიპროსის ეკლესიის მთელი საეპისკოპოსო კრება, რაც აღებულ მომენტში ფაქტიურად შესა-

*კართაგენის 390 წლის კრების მე-10 კან.

ძლებელი იყო, მეორეც, იმიტომ, რომ არ იყო 12 ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსის გარდა, და იყო მხოლოდ 11 ეპისკოპოსი და მთავარეპისკოპოსი.*

ამ კანონის მეორე განწესება იმის შესახებ, რომ მღვდლის განსაკვეთად 6 და დიაკვნის განსაკვეთად 3 ეპისკოპოსია საჭირო, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. ეს განწესება მოიაზრება სხვა კანონებთან კავშირში, რომლებიც ასევე ლაპარაკობენ მღვდლებისა და დიაკვნების განკვეთის შესახებ. ის კანონები (ანტიოქ. მე-4 და სხვა მისი პარალელური) საუბრობენ და განაწესებენ, რომ მხოლოდ მმართველ ეპისკოპოსს აქვს ხელმწიფება მღვდლისა და დიაკვნის განკვეთისა და ეს წარმოადგენს ზოგად ძირითად ნორმას. ხოლო ის, რომ წინამდებარე კართაგენის კრება მოიხსენიებს 6 და 3 ეპისკოპოსს, ეს იმ შემთხვევას უნდა მივაწეროთ, როდესაც განკვეთილი მღვდელი ან დიაკონი თვლის, რომ არასამართლიანად მოექცნენ, რის გამოც უნდა, რომ უმაღლეს სასამართლოს მიმართოს, როგორც მეორე ინსტანციას. სწორედ ეს მეორე სასამართლო უნდა ყოფილიყო შემდგარი ეპისკოპოსთა დასახელებული რიცხოვნობით, აგრეთვე იმ ეპისკოპოსის მონაწილეობით, ვისაც ეს მღვდელი ან დიაკონი ექვემდებარება. თავისთავად ცხადია, რომ ეს მაშინ ხდება, როდესაც არ არის საშუალება ჩვეულებრივი ეპარქიალური კრების მოწვევისა.**

კანონი 13 (13)*

ეპისკოპოსის გამორჩევა უნდა აღესრულოს ერთად შეკრებილი ბევრი ეპისკოპოსის მიერ. ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, სამმა ეპისკოპოსმა, რა ადგილასაც არ უნდა იმყოფებოდნენ, უპირატესი ეპისკოპოსის ბრძანებით, დაე, გამოირჩიონ ეპისკოპოსი. და თუ ვინმე თავისი თანხმობისა და ხელმოწერის საწინააღმდეგოდ მოიქცევა რამეში, ამით თავადვე მოაკლებს საკუთარ თავს პატივს.

(მოკ. 1; I მსოფ. 4; VII მსოფ. 3; ანტიოქ. 19, 23; სარდ. 6; კონსტ. 1; კართ. 49, 50)

ამ კანონის ბერძნულ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა: χειροτονήσουσιν ἐπίσκοπον, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ეპისკოპოსის ხელდასხმას (ქიროტონირებას), როგორც ეს მოციქულთა 1 კანონით არის განწესებული, სადაც ასევე ეს სიტყვაა გამოყენებული, მაგრამ სიტყვა: χειροτονία (ქიროტონია), კანონებში ზოგჯერ გამორჩევასაც ნიშნავს, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მოციქულთა მოხსენიებული კანონის განმარტებაში. კართაგენის წინამდებარე კანონში რომ ეს სიტყვა (ქიროტონია) სწორედ ამ აზრით (გამორჩევა) არის ნახსენები, ეს ჩანს კანონის დასკვნითი ნაწილიდან, სადაც ნათქვამია, რომ პირი, რომელიც ეპისკოპოსის დადგინებისას თავისი ხელმოწერის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, კარგავს საეპისკოპოსო

*ათენის სანტაგმა, III, 324.

**ზონარას განმარტება ათენის სიტაგმაში, III, 322, 323. აფრიკულ ეკლესიაში V საუკუნის დასაწყისში ყოველთვის იყო შესაძლებლობა დიდი რიცხოვნობითი შემადგენლობით მოეწვიათ ეპისკოპოსთა კრება, რადგან ეს ეკლესია 466 საეპისკოპოსო კათედრას აერთიანებდა.

*კართაგენის 390 წლის კრების მე-12 კან.

პატივს. ხელმოწერას კი, ეპისკოპოსის ხელდასხმისას ადგილი არა აქვს, არამედ მხოლოდ — ეპისკოპოსის გამორჩევისას, როდესაც წმინდა სინოდის სხდომაზე სინოდის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ ხმა მისცეს გარკვეულ კანდიდატს. წინამდებარე კანონში მთლიანად მეორდება I მსოფლიო კრების მე-4 კანონის განწესება, ეპისკოპოსის გამორჩევასთან დაკავშირებით, და მისი განმარტება ამ კანონის განმარტებასაც ემსახურება. ნიკეის მოხსენიებულ კანონში (I მსოფ. მე-4) ნათქვამია, რომ ეპისკოპოსები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ვერ ესწრებიან ეპისკოპოსის გამოსარჩევ კრებას, შეუძლიათ ხმა მისცენ სიგელის საშუალებით (через грамоту; δια γραμμάτων). კართაგენის ამ კანონში მოყვანილია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ეპისკოპოსი კრებაზე პირადად ვერ გამოცხადდება და თავის თანხმობას, კანდიდატის გამორჩევასთან დაკავშირებით, მისცემს ზეპირად ან გამორჩევის აქტზე ხელმოწერით დაადასტურებს, შემდგომში კი უარს იტყვის და ამით საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვა. კანონი განაწესებს, რომ ასეთი ეპისკოპოსი თვითონ ართმევს თავის თავს ეპისკოპოსობის პატივს, ანუ ხდება განკვეთილი, — ამბობს ზონარა ამ კანონის განმარტებაში, — თუკი, ამასთან, ვერ გაამართლებს თავის ქმედებას და ვერ დაამტკიცებს ცხადად და საფუძვლიანად, რომ ის, ვისაც მანამდე ხმა მისცა, არ არის ეპისკოპოსობის ღირსი*

კანონი 14 (14)**

განვაჩინეთ, რომ ტრიპოლიდან, ქვეყნის სიმწირის გამო, ერთი ეპისკოპოსი მოდიოდეს კრებაზე ადგილისმცველად,* და რომ იქ, სამსჯავროზე, მღვდელს უსმენდეს ხუთი ეპისკოპოსი, დიაკონს — სამი, როგორც ზემოთ ითქვა; ხოლო ის ცხადია, რომ თავმჯდომარე თავისი ეპისკოპოსი იქნება.**

(მოც. 74; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4, 6, 14, 15, 20; სარდ. 13, 14; კართ. 12, 15, 20, 96, 107)

წინამდებარე კანონი ორ განწესებას შეიცავს: პირველი, ყოველწლიურად უნდა შედგეს კრებები, რომლებზედაც თითოეულმა საეკლესიო სამთავრომ უნდა წარგზავნოს თავისი წარმომადგენლები; ამასთან, ტრიპოლს, რადგან მცირე რიცხოვნობის ეპისკოპოსი ჰყავს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი. მეორე — იმავე მიზეზით, თუ ტრიპოლში მღვდელი ან დიაკონი თავისი ეპისკოპოსის განაჩენს გაასაჩივრებს, მაშინ ასეთი მღვდელი მეორე ინსტანციაში უნდა გაასამართლოს მმართველმა ეპისკოპოსმა ხუთ სხვა ეპისკოპოსთან ერთად, დიაკონი კი — ასევე მმართველმა ეპისკოპოსმა სამ სხვა ეპისკოპოსთან ერთად. წინამდებარე კანონი გამონაკლისს წარმოადგენს ამ კრების (419 წ.) მე-12 კანონიდან და ამ უკანასკნელის განმარტება მის განმარტებასაც ემსახურება.

---

*ათენის სინტაგმა, III, 326.

**ეს კანონი შედგენილია იპონის მე-5 და მე-8 კანონებიდან.

***წარმომადგენელი.

კანონი 15 (15-18)*

15. განვაჩინეთ, ასევე, რომ თუ ვინმეს, — ვინც არ უნდა იყოს იგი: ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი თუ ეკლესიის მსახური, — ბრალდების ან ცილობის საქმე აქვს აქვს ეკლესიაში და იგი უარს იტყვის საეკლესიო სასამართლოზე და საერო სასამართლოების წინაშე მოინდომებს თავის გამართლებას, — ესევითარი, დაე, მოაკლდეს თავის ადგილს, თუნდაც მის სასარგებლოდ იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება. და ეს დადგენილ იქნა ბრალდების საქმის გამო, ხოლო ცილობის საქმეზე, დაე, მოაკლდეს იმას, რაც საქმის გადაწყვეტით შეუძენია, თუკი თავისი ადგილის შენარჩუნება სურს.

16. განვაჩინეთ ასევე, ესეც: რომელ საეკლესიო მსაჯულთაგანაც არ უნდა მივიდეს საქმე სხვა საეკლესიო მსაჯულებთან, რომელთაც უფრო მაღალი საეკლესიო ძალაუფლება აქვთ, დაე, ნურანაირ გაკიცხვას ნუ დაექვემდებარებიან ისინი, ვისი განაჩენიც გაუქმდება, თუკი არ იქნებიან მხილებულნი იმაში, რომ ან მტრობით, ანდა მიკერძოებით განუსჯიათ საქმე, ანდა რაღაც მაამებლობით და ქრთამით ყოფილან ცთუნებულნი.

17. ხოლო თუ ორივე განსჯადი (სამსჯავროზე წარმდგარი) მხარის თანხმობით იქნებიან არჩეულნი მსაჯულნი, მაშინ, თუნდაც მათი რიცხვი კანონებში დადგენილზე ნაკლები იყოს, ნუ მიეცემათ იმის ნება, რომ სამსჯავრო საქმე სხვებთან გადაიტანონ.

18. მღვდელმსახურთა შვილები ნუ წარმოადგენენ საერო სამარცხვინო სანახაობებს და ნურც თავად უყურებენ. ეს ყოველთვის ექადაგებოდა ყველა ქრისტიანს, დაე, ნუ შევლენ იქ, სადაც ღმერთს გმობენ.

(მოც. 74; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17; ტრულ. 24, 51, 63, 66; ანტიოქ. 5, 12, 14, 15; ლაოდ. 54; სარდ. 3, 5, 14; კართ. 12, 28, 61, 97, 104, 122; ორგზ. 9)

კართაგენის ეს კანონი ლაპარაკობს ორ სრულიად განსხვავებულ საკითხზე: პირველი საკითხი ეხება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო დანაშაულის საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო განხილვებს, მეორე — სასულიერო პირთა შვილების ყოფა-ქცევას. პირველ საკითხთან დაკავშირებით რუსულ **კანონთა კრებულში** სამი კანონია მოცემული (მე-15, მე-16, მე-17), ასევე ბერძნულ **პიდალიონშიც** (მე-14, მე-15, მე-16). მეორე საკითხს **კანონთა კრებულში** ეძღვნება განსაკუთრებული მე-18 კანონი; **პიდალიონში** — განსაკუთრებული მე-17 კანონი. **ათენის სინტაგმაში** ორივე ეს საკითხი ერთ (მე-15) კანონშია გადმოცემული, ამიტომ ჩვენც ყველა აღნიშნული განწესება ერთ კანონში მოგვყავს.

1) **კან. კრებ. 15; პიდ. 14.** ყველა სასულიერო პირისათვის კანონიერ სასამართლოს წარმოადგენს იმ ეპისკოპოსის სამსჯავრო, რომელსაც ეს პირები ექვემდებარებიან; ეპისკოპოსისათვის კი — მმართველი მიტროპოლიტის სამსჯავრო. ეს წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლის საერთო ნორმას. ამ ნორმის საფუძველზე კანონი განაწესებს, რომ არც ეპისკოპოსს არც სხვა სასულიერო პირს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს სათანადო სასულიერო

*იპონის 393 წლის კრების მე-9, მე-10 და მე-11 კანონები.

სასამართლოს და თავის გამართლების ძიებაში საერო სასამართლოს მიმართოს (შდრ. II მსოფ. მე-6 და მისი პარალელური კანონები). კანონი მათ ამას უკრძალავს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე ეხება სისხლის სამართლის სფეროსაც, ან თუნდაც სამოქალაქო სამართალს და მოითხოვს, რომ ყველა მსგავსი საქმე ასევე განიხილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო სასამართლოში. თუ ვინმე უგულებელყოფს საეკლესიო სასამართლოს და სამოქალაქო სასამართლოს მიმართავს, კანონი ასეთი პირისთვის განაწესებს ადგილის ჩამორთმევას, ანუ სამღვდელო ხარისხის ჩამორთმევასა და განკვეთას, — თუნდაც, საერო სასამართლომ განაჩენი მის სასარგებლოდ გამოიტანოს. ხოლო, თუკი საქმე სამოქალაქო სამართლის ხასიათის იქნება, — ანუ, როგორც **ზონარა** ამბობს, — ფულთან დაკავშირებული, მაშინ ასეთი პირი საეკლესიო სასჯელის გარდა იმასაც კარგავს, რასაც საერო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღებს. თუმცაღა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ეკლესიას თითქოს სურდეს ყოველთვის და ყველაფერში გაათავისუფლოს თავისი მსახურები სამოქალაქო სასამართლოს დამოკიდებულებიდან და არ აღიარებდეს, რომ ისინი აღნიშნულ სასამართლოსაც ექვემდებარებიან. რამეთუ არის ისეთი საკითხები, რომლებიც თავისი ხასიათით სამოქალაქო სასამართლოს განხილვას ექვემდებარებიან. მაგალითად, ისეთები, როგორიცაა მძიმე სახელმწიფო დანაშაული, რომელთანაც დაკავშირებით ეკლესიას არასდროს მიუთვისებია სასამართლო უფლება, — პირიქით, ეკლესია თვითონ გადასცემდა ხოლმე სამოქალაქო სასამრთლოს მსგავს, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ სასულიერო პირებს (იხ. ანტიოქ. მე-5 და ორგზ. მე-9 კანონები). ეკლესია უკრძალავს თავის მსახურებს მიმართონ საერო სასამართლოს მხოლოდ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც თავიანთი ხასიათით საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებას ექვემდებარება, რადგან საერო სასამართლოში თავიანთი მიმართვით ისინი დაარღვევდნენ ამ სასამართლოს უფლებამოსილებას, და იმავდროულად — ეკლესიის კანონიკურ განწესებას; ამასთანავე, თუ ეს პირები საერო სასამართლოს წინაშე გამართლდებოდნენ, ამით დააკნინებდნენ საეკლესიო ხელისუფლებას და სამღვდელო წოდების ულირსნი გახდებოდნენ, ხოლო თუ საერო სასამართლო მათ მიმართ ბრალდებით განაჩენს გამოიტანდა, მაშინ ისინი, მსგავსად ყველა სხვა ერისკაცისა, შესაბამის სასჯელს მიიღებდნენ და ამით დაამცირებდნენ სამღვდელო წოდების ღირსებას. აღნიშნული აკრძალვა ასევე ეხება ისეთ სადავო საკითხებს, რომლებიც შეიძლება ორ სასულიერო პირს შორის წარმოიშვას. ხოლო, როდესაც ერთი მოდავე მხარე სასულიერო პირია, მეორე — ერისკაცი, ძალაში შედიოდა საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილებები; როდესაც საქმე ეხება კერძო ხასიათის დავას სასულიერო პირსა და ერისკაცს შორის, ასეთ შემთხვევევაში შესაძლებელია სასულიერო პირი დაექვემდებაროს საერო სასამართლოს, ისევე, როგორც ერისკაცი — საეკლესიო სასამართლოს. ამ დროს, ზოგადად, გამოიყენებოდა **ნომოკანონის** მიერ მიღებული ბერძნულ-რომაული კანონები. სისხლის სამართლისა და მძიმე სახელმწიფო დანაშაულებებში სასულიერო პირის ბრალდება ორივე (სასულიერო და საერო) ხელისუფლების მიერ უნდა იქნეს აღიარებული და ამ შემთხვევაში სამღვდელო პატივჩამორთმეული პირები, ანუ საეკლესიო ხელისუ-

ფლების მიერ განკვეთილები, გადაეცემოდათ საერო ხელისუფლებას, რომელსაც გამოჰქონდა უკვე მათთვის შესაბამისი სასჯელი.*

2) **კან. კრებ. 16; პიდ. 15.** კანონები არაერთხელ აღიარებენ იმის უფლებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილების შემთხვევაში, მსჯავრდებულს შეუძლია მიმართოს უმაღლეს სასამართლოს (იხ. I მსოფ. კრების მე-5 და მისი პარალელური კანონები). იგივე უფლება არის ამ კანონითაც აღიარებული, რომელიც, კერძოდ, ამბობს, რომ პირველი ინსტანციის მსაჯულებისათვის არაფერია იმაში შეურაცხმყოფელი, თუკი უმაღლესი სასამართლოს მიერ, ანუ მეორე ინსტანციაში, მათი განაჩენი შეიცვლება, გარდა იმ შეთხვევებისა, როდესაც დამტკიცებული იქნება, რომ ამ მოსამართლეებმა უსამართლოდ განსაჯეს – ან ბრალდებულთა მიმართ ბოროტი ანგარიშისწორებით; ან მიკერძოებით იმასთან მეგობრობის გამო, ვინც გაამართლეს; ან კიდევ, მოსყიდვის შედეგად. თუ დამტკიცდება, რომ პირველი ინსტანციის საეკლესიო მსაჯულებმა უსამართლო განაჩენი გამოიტანეს, მაშინ ისინი თავადვე, – როგორც ზონარა აღნიშნავს, – კარგავენ თავიანთ წოდებას** და VII მსოფლიო კრების მე-6 კანონის თანახმად, იმავე სასჯელს იმსახურებენ, როგორიც უდანაშაულოებს გამოუტანეს.

3) **კან. კრებ. 17; პიდ. 16.** თუმცა, ეს კანონი, როგორც სხვა, მისი მსგავსი კანონები, უშვებს დაბალი რანგის სასამართლოდან უმაღლეს სასამართლოში აპელირებას, მაგრამ, ამასთანავე, ის კრძალავს აპელაციას იმ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილია **შეთანხმებით გამორჩეული მსაჯულების** მიერ. IV მსოფლიო კრებამ (მე-9 კან.) საზეიმოდ აღიარა შეთანხმებით გამორჩეულ მსაჯულთა სამსჯავროს კანონიერება. ასეთ სასამართლოს ეკლესიის დაარსებიდანავე ენიჭებოდა უდიდესი მნიშვნელობა და საკმარისი იყო, რომ სამ ღირსეულ სასულიერო პირს, ორივე – ბრალმდებელისა და ბრალდებულის – მხრიდან გამორჩეულებს, განაჩენი გამოეტანათ, რომ ის უკვე შეუცვლელად ითვლებოდა. იღებს რა ამას მხედველობაში, კანონი თმობს ნორმას მსაჯულთა რიცხოვნობის შესახებ, რომელიც ფორმალური სასამართლოსათვის ამ კრების მე-12 კანონით იქნა დამტკიცებული, და უშვებს, რომ ასეთ შემთხვევაში მსაჯულთა ნაკლები რიცხვიც დასაშვებია, თუმცაღა, აპელაციის შეტანა ამ გამორჩეულ მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ ისევ ისე შეუძლებელია.

4) **კან. კრებ. 18; პიდ. 17.** ამ კანონის ბოლო განწესებასთან დაკავშირებით, იხ. ტრულის კრების 24-ე და 51-ე კანონების განმარტებები. ეს კანონი უკრძალავს სასულიერო პირთა შვილებს ისეთ სანახაობებზე დასწრებას, სადაც მკრეხელობას აქვს ადგილი, რადგან სამღვდელოებამ, პავლე მოციქულის სიტყვებით, თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ მორჩილებასა და ღვთის მოშიშებაში, და როგორც მოციქულ ტიტეს ახსენებს, მღვდელი შეძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც ***„შვილნიმცა უსხენ მორწმუნენი, ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გინა ურჩებისა“*** (1, 6; შდრ. I ტიმ. 3, 4), ხოლო ვინც თეატრებსა და სხვა მსგავს ადგილებში დადის, იოლად შეიძლება მრუშობისაკენ ლტოლვაში იქნეს

*ათენის სინტაგმა, I, 164.

**ათენის სინტაგმა, III, 332.

დადანაშაულებული, და მის შესახებ უკვე არ შეიძლება თქმა, რომ ქრისტიანული თავმდაბლობით გამოირჩევა. თუკი კანონი, ზოგადად, ყველა ერთგულ მორწმუნეს ურჩევს, არ გამოჩნდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ღვთის გმობას აქვს ადგილი (ტრულ. 51-ე), მაშინ მით უფრო არ უნდა მიეცეთ ამის ნება ისეთი პირების შვილებს, რომელთა მთავარი მოვალეობაც ღვთის პატივისცემისა და ქრისტიანული თავმდაბლობის ქადაგებაა.*

კანონი 16 (19-23)**

19. განვაჩინეთ, რომ ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები არ უნდა იყვნენ მეიჯარეები ანდა რამე საერო საქმის განმგებელნი, და არ უნდა მოიპოვებდნენ სარჩოს უპატიო და საძრახისი საქმიანობით. რამეთუ გვმართებს მივხედოთ დაწერილს: *„არავინ მოღუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა“* (2 ტიმოთე, 2, 4).

20. წიგნის მკითხველნი, რომელნიც სრულყოფილ ასაკს მიაღწევენ, აღვძრათ, რომ ან შეუღლდნენ, ან უბიწოების აღთქმა დადონ.

21. განვაჩინეთ, აგრეთვე, რომ სამღვდელო დასის წევრმა რამდენიც სესხად გასცა ფული, იმდენივე მიიღოს უკან; ხოლო ნივთების გამცემმაც იმდენივე დაიბრუნოს, რამდენიც გასცა.

22. დიაკვნებად, დაე, ნუ იქნებიან დადგინებულნი უცდახუთ წელზე ადრე.

23. წიგნისმკითხველნი ღვთისმსახურების დროს, დაე, ნუ აღასრულებენ თაყვანისცემას მორწმუნე ერისადმი.

(მოც. 5, 6, 20, 26, 44, 51, 81, 83; I მსოფ. 17; IV მსოფ. 3, 7, 14; ტრულ. 6, 9, 10, 13, 33; VII მსოფ. 10, 14, 15; ანკირ. 10; ლაოდ. 4; კართ. 5, 25, 126; ორგზ. 11; ბასილი დიდის 14, 69; გრიგოლ ნოსელის 6)

ეს კანონი შეიცავს ხუთ სხვადასხვაგვარ განწესებას.

1) **კან. კრებ. 19; პიდ. 18.** პირველ განწესებასთან დაკავშირებით, რომელიც სასულიერო პირებს საერო საქმიანობებს უკრძალავს, იხ. IV მსოფლიო კრების მე-3 და მისი სხვა პარალელური კანონების განმარტებები. ამასთან, კანონი ამატებს კიდევ იმას, რომ არც ერთ სასულიერო პირს არა აქვს უფლება თავის გამოსაკვებად გამოიმუშავოს თანხა რაიმე სასირცხო ან უწესო საქმიანობით; ასეთ საქმიანობებს შორის ზონარა მოიხსენიებს – დუქანს.***

2) **კანონთა კრებ. 20; პიდ. 19.** მოციქულთა 26-ე კანონის თანახმად, წიგნის მკითხველებს (მედავითნეებს) უფლება ჰქონდათ თავისუფლად დაქორწინებულიყვნენ,

---

*იხ. ზონარას ქადაგება ათენის სინტაგმაში, III, 333.

**იპონის 393 წლის კრების 1, მე-15, მე-18 და მე-22 კანონები.

***ამ კანონის განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 343. ბალსამონი მოიხსენიებს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ლუკას დადგენილებას, რომლის თანახმადაც სასულიერო პირებს ექიმობაც კი ეკრძალებოდათ. – ათენის სინტაგმა, III, 344.

როგორც კი ამას მოისურვებდნენ. ამიტომ ამ კანონის განწესებას, რომლის თანახმადაც, ზრდასრულ ასაკს მიღწეული მკითხველები აუცილებლად ან უნდა დაქორწინებულიყვნენ, ან სამუდამო ქალწულობის აღთქმა დაედოთ, მხოლოდ აფრიკული ეკლესიისთვის ჰქონდა მნიშვნელობა.*

3) **კანონთა კრებ. 21; პიდ. 20.** ამ კანონის მესამე განწესებასთან დაკავშირებით, იმის შესახებ, რომ სასულიერო პირმა არ უნდა აიღოს გასესხებული ფულისთვის პროცენტები, იხ. მოციქულთა 44-ე და I მსოფლიო კრების მე-17 კანონების განმარტებები.

4) **კანონთა. კრებ. 22; პიდ. 21.** ასევე იხ. ტრულის კრების მე-14 და მე-15 კანონების განმარტება, რომ არავის აქვს უფლება 25 წლამდე ასაკის პირი დიაკვნად დაადგინოს.

5) **კანონთა კრებ. 23; პიდ. 22.** წინამდებარე კანონის ბოლო განწესებასთან დაკავშირებით, იმის შესახებ, რომ მკითხველებმა თაყვანი არ უნდა სცენ ერს (ეკლესიო მრევლს), ზონარა ამბობს, რომ ღვთისმსახურების დროს ისინი მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს უნდა სცემდნენ თაყვანს, და არა ეკლესიაში მყოფ მრევლს, რადგან მათ კურთხევა მიიღეს (ქიროტესია), მრევლი კი, თავისი მდგომარეობით, შორს დგას სამღვდელოებისაგან, ამიტომ მრევლმა თვით იმათ (მკითხველებს) უნდა მიაგოს პატივი, მით უმეტეს ღვთისმსახურებისას.**

კანონი 17 (24)***

კეთილად იქნა განჩინებული, რომ სიტიფენსის მავრიტანიას თავისი უპირატესი ეპისკოპოსი ჰყავდეს, რადგან მან ამის შესახებ ნუმიდიის მხარის უპირატეს ეპისკოპოსს სთხოვა, რომლისგანაც კრების მიერ არის გამოყოფილი. აფრიკის სამთავროების ყველა უპირატეს ეპისკოპოსთა და ყველა ეპისკოპოსის თანხმობით, მას ნება დაერთო, მისი მოშორებულობის გამო, ჰყავდეს თავისი უპირატესი ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი).

(I მსოფ. 6; კართ. 86, 96, 127)

აფრიკის ძველებური დაყოფა IV საუკუნის მეორე ნახევარში ძირეულად შეიცვალა; ჩამოყალიბდა ექვსი ცალკეული პროვინცია: Africa proconsularis (მთავარი ქალაქი – კართაგენი), numidia, Byzacium, Tripolls, Mauritania Sitifensis etMauritania Caesariensis. მიწების პოლიტკურ დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოსულიყო საეკლესიო სამთავროების დაყოფაც, რაც გაკეთდა კიდეც ერთ-ერთ კრებაზე – რომელიც არ არის ამ კანონში მოხსენიებული – და იქვე მოხდა სიტიფენსის მავრიტანიის ეკლესიის გამოყოფა ნუმიდიის ეკლესიისგან, რომლებიც ადრე ერთ საეკლესიო სამთავროს წარმოადგენდნენ. მოხსენიებული კრების ეს გადაწყვეტილება

*ზონარასა და ბალსამონის განმარტება ათენის სიტაგმაში, III, 343, 345.

**ამ კანონის გამარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 343.

***იპონის 393 წლის კრების კანონი.

უკმაყოფილოდ მიიღო ნუმიდიის პრიმასმა* და როგორც ჩანს, პრაქტიკულად არ სრულდებოდა სიტიფენსის მავრიტანიის ეკლესიის დამოუკიდებელი მართვა, რის გამოც ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა იპონის 393 წლის კრებაზე, და განსაკუთრებული (მე-17) კანონით დადგინდა, რომ უნდა შეწყდეს ყოველგვარი დავა და ამიერიდან სიტიფენსის მავრიტანიას უნდა ჰყავდეს თავისი „პრიმასი". შემდგომში მართლაც ასე მოხდა და კართაგენის 407 წლის კრებაზე სხვა წარმომადგენლებთა შორის ვხედავთ სიტიფენსის მავრიტანიის წარმომადგენელსაც (იხ. კართ. კრების 96-ე კან.), ასევე – კართაგენის 418 წლის კრებაზეც (კან. 127).

კანონი 18 (25-27)

25. კეთილად განვაჩინეთ, აგრეთვე: ეპისკოპოსად დასადგინებელთ, ანდა სამღვდელო ხარისხებში საკურთხებელთ, ხელთდამსხმელნი ჯერ, დაე, ასმენინებდნენ (ჩააგონებდნენ) კრებების დადგენილებებს, რათა არ იქცეოდნენ კრებების განწესებების საწინააღმდეგოდ და შესანანებელი არ გაუხდეთ.

26. განვაჩინეთ, არ მიეცეს ევქარისტია გარდაცვლილთა სხეულებს, რამეთუ წერილ არს: *„მიიღეთ და ჭამეთ"* (მათე 26, 26), ხოლო მკვდართა სხეულებს არც მიღება, არც ჭამა არ შეუძლიათ. ასევე, დაე, ნუ აღიძრება მღვდელთა უცნობლობა იმად, რომ უკვე გარდაცვლილები მონათლონ.

27. გვმართებს ამ წმიდა კრებაზე დავამტკიცოთ, რომ ნიკეის კრების კანონების თანახმად, საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად, რომლებსაც ხშირად გადადებენ ხოლმე ერისათვის საზიანოდ, ყოველწლიურად იქნეს მოწვეული კრება, რომელზეც სამთავროების პირველ კათედრებზე დადგინებულნი თავიანთი კრებებიდან გამოაგზავნიან ორ, ან რამდენსაც აირჩევენ, იმდენ ეპისკოპოსს თავიანთ წარმომადგენლებად, რათა ამგვარად შემდგარ კრებას შეეძლოს სრულყოფილი უფლებამოსილება იქონიოს.

(მოკ. 37; I მსოფ. 5, 9, 13; IV მსოფ. 9, 19; ტრულ. 8, 83; VII მსოფ. 2, 6; ანტიოქ. 20; კართ. 76, 77, 95)

წინამდებარე კანონი შეიცავს სამ ცალკეულ განწესებას:

1) **კანონთა კრებ. 25; პიდ. 24.** VII მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებიდან ვიცით, რომ ეპისკოპოსობის კანდიდატმა კარგად უნდა იცოდეს წმინდა წერილი და კანონიკური სამართალი, თანაც, თავისი ცოდნა გამოცდაზე უნდა დაამტკიცოს. იგივეს გვეუბნება მღვდლობის შესახებ I მსოფლიო კრების მე-9 კანონიც. ამასვე ამბობს წინამდებარე კანონიც ყველა იმ პირთან დამოკიდებულებით, ვინც სასულიერო დასში შესვლას აპირებს, ანუ ვინც ხელდასხმისათვის (ქიროტონიისათვის) ემზადება, ამასთან, ნათქვამია, რომ მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ იმის შესახებ, რომ თავიანთი ცოდნის გამოვლენა მოუწევთ შესაბამის გამოცდაზე, ასევე, ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ შემდგომში, სამღვდელო ცხოვრე-

*საეკლესიო სამთავროს მთავარი ქალაქის ეპისკოპოსი, საეკლესიო კრების თავმჯდომარეობის უფლების მქონე; შემდგომში – მიტროპოლიტი.

ბაში, არ მოიქცნენ განწესების საწინააღმდეგოდ, რათა მონანიება არ მოუხდეთ, ანუ, – როგორც ზონარა ამბობს, – რათა შემდგომში სასჯელი არ შეხვდეთ.*

2) **კანონთა კრებ. 26; პიდ. 25.** ამ კანონის მეორე ნაწილში, უპირველესად საუბარია იმის შესახებ, რომ წმინდა ზიარების მიცემა არ შეიძლება გარდაცვლილთათვის და ამის დასამტკიცებლად მოყვანილია იესო ქრისტეს სიტყვები **მათეს სახარებიდან (26, 26).** კანონის ტექსტში ნათქვამია των τελευτώντων (morientium). ეს პირდაპირი თარგმანით ნიშნავს, რომ წმინდა ზიარება არ უნდა მიეცეთ მომაკვდავებს (умирающим), მაგრამ კანონში რომ საუბარია არა მათზე, არამედ გარდაცვლილთა გვამებზე, ამის ნათელი დასტურია – როგორც ზონარა შენიშნავს – კანონში მოყვანილი წმინდა წერილის ტექსტის შემდგომი სიტყვები „გარდაცვლილთა გვამებს არც მიღება შეუძლიათ და არც ჭამა", მაშინ, როდესაც თითოეულს, ჯერ კიდევ ცოცხალს, თუნდაც რომ მისი გადარჩენის იმედი აღარ იყოს და სულს ღაფავდეს, მაინც ეკუთვნის წმინდა ზიარება (იხ. I მსოფლიო კრების მე-13 კან.)** ოდესღაც არსებული ჩვეულება, რომლის თანახმადაც მიცვალებულს პირში უდებდნენ წმინდა ზიარებას, განპირობებული იყო კეთილმორწმუნეობრივი სურვილით, გაეცილებინათ მიცვალებული წმინდა საგზლით და ამგვარად, ერთგვარი სიწმინდე გადაეცათ გვამისთვის. ეს ჩვეულება რომ საკმაოდ ფესვგადგმული აღმოჩნდა, ეს იქიდან ჩანს, რომ VII საუკუნეში ტრულის კრების მამები იძულებული გახდნენ აეღორძინებინათ კართაგენის (უფრო სწორად – იპონის) ეს განწესება თავიანთი 83-ე კანონით.

შემდეგ, ამ კანონის (მე-18) მეორე ნაწილი ამბობს, რომ არ შეიძლება მიცვალებულის მონათლვა. ეს ჩვეულებაც რელიგიური მოშურნეობის ნიადაგზე არსებობდა იმის ღრმა რწმენით, რომ ნათლისღება ახალდაბადებას აძლევდა გარდაცვლილს სხეულს. იგი (ჩვეულება) ქრისტიანობაში მონტანისტებიდან გადმოვიდა, რომლებიც მკვდრებსაც ნათლავდნენ და გავრცელდა არამარტო აფრიკულ ეკლესიებში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

3) **კანონთა კრებ. 27; პიდალიონი 26.** ამ კანონის მესამე ნაწილი შეიცავს განწესებას ყოველწლიურად საეკლესიო კრებების მოწვევის აუცილებლობის შესახებ, სადაც ყველა ეპარქიის პირველმოსაყდრის, ანუ მიტროპოლიტის დასწრება სავალდებულოა. თუკი თავად მიტროპოლიტებს, გარკვეული საპატიო მიზეზების გამო, პირადად დასწრება არ შეეძლებათ, მაშინ კანონის განწესების თანახმად, მათ თავიანთი ეპარქიებიდან (სამიტროპოლიტო სამთავროებიდან) უნდა წარმოაგზავნონ ორ-ორი ეპიკოპოსი – თავიანთი ეპარქიების წარმომადგენლები – ადგილისმცველების (პოტირიტასების) სტატუსით, რათა ამ საყოველთაო კრებას ესწრებოდეს საეკლესიო ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენლობა. აქედან ჩანს, რომ აქ საუბარი არ არის ჩვეულებრივ ეპარქიალურ ან საეპისკოპოსო კრებებზე (იხ. მოციქულთა 37-ე კან.; IV მსოფლიო კრების მე-19 კან. და სხვა), არამედ, საუბარია დიდი საეკლესიო სამთავროების კრებების შესახებ, ანუ დიეცეზალურ კრებებზე (იხ. IV მსოფლიო კრების მე-9 კან.). კართაგენელ (ან იპონელ) მამებს ასეთი

*ათენის სინტაგმა, III, 352.

**ზონარას განმარტება ამ კანონზე, ათენის სინტაგმაში, III, 353.

კრების შესახებ განწესება შეეძლოთ გამოეცათ მხოლოდ თავიანთ სამთავროსთან დამოკიდებულებით, რამეთუ აფრიკის საკონსულოს დამოუკიდებელი მმართველობა ჰქონდა და ექვსი პროვინციისგან შედგებოდა, რომლებიც ჩვენ მიერ მოხსენიებულია ამ კრების მე-17 კანონის განმარტებაში. ამასთან, მისი მთავარი ქალაქის, კართაგენის მიტროპოლიტი იყო „პირველმოსაყდრე სრულიად აფრიკისა" (Primas universae Africae). თუმცაღა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად საყოველთაო კრების შესახებ მოწვევის განწესება, შეიცვალა ამავე კრების 95-ე კანონით, რომლის თანახმადაც დაადგინეს, რომ მსგავსი კრებები მოეწვიათ მხოლოდ უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში; ხოლო, ჩვეულებრივ – ეპარქიალური, სამიტროპოლიტო კრებები.

კანონი 19 (28)*

თუ ვინმე ეპისკოპოსთაგანს ბრალს დასდებენ, ბრალმდებელმა, დაე, წარუდგინოს საქმე იმ ოლქის უპირატესს (ეპისკოპოსს), რომელსაც ბრალდებული ეკუთვნის, და ნუ განეყენება ბრალდებული ზიარებისაგან, თუ არ იმ შემთხვევაში, როცა, სიგელით (წერილით) მიხმობილი პასუხისგებისათვის, დანიშნულ დროს არ გამოცხადდება მის განსასჯელად შეკრებილთა სამსჯავროზე, ანუ ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა, მოკვლევის მიხედვით, მან სიგელი მიიღო. ხოლო თუ წარმოადგენს ჭეშმარიტ და აუცილებელ მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს მას პასუხის მიგებაში იმის წინააღმდეგ, რაც წარდგენილია მასზე, – მაშინ განუკითხავად ჰქონდეს თავისუფლება გამართლებისათვის მეორე თვის განმავლობაში, და ნუ იქნება თანაზიარებაში, ვიდრე არ განიწმედს თავს მტკიცებულებებით საქმეზე. ხოლო თუ იმ წლის სრულ კრებაზე გამოცხადებას არ ისურვებს, რათა უკიდურეს შემთხვევაში ამით მაინც დასრულდეს მისი საქმე, მაშინ უნდა განისაჯოს როგორც განაჩენის გამომტანი საკუთარი თავის წინააღმდეგ. ხოლო იმ დროის განმავლობაში, როცა ის განყენებული იქნება ზიარებიდან, დაე, ნუ შეერთვება ნურც თავის ეკლესიას და ნურც სხვას მთელ (იმ) საზღვრებში. ამის საწინააღმდეგოდ, მის შემასმენელს, თუკი არსად წასულა მისი საქმის განხილვის დღეებში, სულაც ნუ აეკრძალება თანაზიარება. ხოლო თუ წავა და მიეფარება, მაშინ ეპისკოპოსი დაბრუნებულ იქნეს თანაზიარებაში, თავად შემასმენელი კი განყენებულ იქნეს ზიარებიდან, ოღონდ ისე, რომ არ წაერთვას ფავისუფლება თავისი ბრალდების დასადასტურებლად, თუკი შეძლებს დაამტკიცოს, რომ შეუძლებლობის გამო არ წარუდგა სამსჯავროს, და არა იმის გამო, რომ არ სურდა ეს. თუმცა, ეს კი ცხადია, რომ თუ საქმის მოძრაობის დროს ეპისკოპოსთა სამსჯავროში, ჩირქი მოეცხება შემასმენელ პირს, მაშინ მისგან არ უნდა იქნეს მიღებული ბრალდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის საკუთარი საქმის განხილვას ისურვებს, და არა – საეკლესიოს.

*იპონის 393 წლის კრების მე-6 და მე-7 კანონები.

(მოც. 34, 37, 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17, 19, 21; ტრულ. 8; ანტიოქ. 14, 15, 20; ლაოდ. 40; სარდ. 4; კართ. 8, 10, 11, 12, 15, 18, 59, 104, 107, 128, 129, 130, 132; ორგზ. 13; თეოფილე ალექსანდრიელის 9)

წინამდებარე კანონი, რომელიც თავისი შინაარსით სამ ნაწილად იყოფა, გადმოგვცემს სასამართლო პროცესის მსვლელობას, რომელიც განიხილებოდა ერთ-ერთი ეპისკოპოსის საჩივრის საფუძველზე. ეს პროცესი მსგავსია იმისა, რომლის შესახებაც საუბარია მოციქულთა 74-ე კანონის განმარტებაში.

რომელიმე ეპისკოპოსის ბრალმდებელი, ვალდებულია თავისი საჩივარი ამ ეპისკოპოსის ზემდგომი ხელისუფლების სამსჯავროს გადასცეს, ანუ იმ ეპარქიის მიტროპოლიტს, რომლის იურისდიქციაშიც შედის ბრალდებული ეპისკოპოსი. ბრალდებაწაყენებული ეპისკოპოსი ჯერ კიდევ არ კარგავს თავის უფლებებს და აგრძელებს ამ უფლებებით სარგებლობას მანამ, ვიდრე არ იქნება გამოტანილი შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს წესი ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული ეპისკოპოსი მიწვეულია სასამართლოზე და ის იქ არ გამოცხადდება მთელი თვის განმავლობაში, – დღიდან წერილობითი მიწვევის მიღებისა. ასეთ შემთხვევაში, იგი, სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობის გამო, უკვე იმსახურებს შესაბამის სასჯელს. თუკი დამტკიცდება, რომ სასამართლოში არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მოტივაცია წარმოუდგენია ნამდვილად მნიშვნელოვანი და საპატიო (და არა გამოგონილი) მიზეზების გამო, მაშინ მას კიდევ ერთი თვის ვადა ეძლევა, რათა არ წაერთვას სასამართლოს წინაშე თავის გამართლების შესაძლებლობა. ხოლო თუ იგი არც მეორე თვის განმავლობაში გამოცხადდება სასამართლოში, მაშინ კანონი მას ეკლესიასთან ერთობიდან აყენებს იქამდე, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ არაფერშია დამნაშავე და მის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი უსაფუძვლოა.

და მაინც, ამ ეპარქიალურ კრებას ჯერ კიდევ არ გამოაქვს თავისი ბრალდებითი განაჩენი ბრალწაყენებული ეპისკოპოსის მიმართ, მიუხედავად მისი სასამართლოში გამოუცხადებლობისა: იგი ელოდება – ხომ არ მიმართავს ეს ეპისკოპოსი აპელაციით დიდ საყოველთაო კრებას. თუ ამას არ იქმს, მაშინ – კანონის სიტყვებით – მას თავად გამოაქვს საკუთარი თავისთვის განაჩენი, და სანამ ეკლესიასთან ერთობა შეჩერებული აქვს, ვერ უნდა გაბედოს საღმრთო მსახურების ჩატარება ვერც თავის ეკლესიაში, ვერც სხვა რომელიმე ადგილას, მაგალითად, მასზე დაქვემდებარებულ რომელიმე სამრევლო ეკლესიაში.

რაც შეეხება ბრალმდებელს, როგორც კანონი განაწესებს, მას შეუძლია სრულ ერთობაში დაჰყოს ეკლესიასთან, თუკი ყველაფერში ემორჩილება სასამართლოს დადგენილებებს. ხოლო, თუ ბრალმდებელი სასამართლოს თავს არიდებს იმდენად, რომ მას ვერ პოულობენ, და მსაჯულებს აქვთ იმის საფუძველი, რომ მისი საჩივარი ეპისკოპოსის ცილისწამებად შეაფასონ (რომელიც სასამართლოში გამოუცხადებლობის მიზეზით განყენებულია), მაშინ ბრალდებული ეპიკოპოსი კვლავ მიიღება ერთობაში, თავად ბრალმდებელი კი განიყენება ეკლესიის ერთობიდან და ისჯება როგორც ცილისმწამებელი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ განსაზღვრულ დროს სასამართლოში ბრალმდებლის გამოუცხადებლობის მიზეზი

ნამდვილად საპატიოა, მაშინ ის სასჯელს არ დაექვემდებარება და უფლება მიეცემა თავისუფლად დაიცვას სხვა დროს სასამართლოს წინაშე ეპისკოპოსის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი.* რაც შეეხება სხვა დანარჩენს, რაც კანონში ბრალმდებლის პიროვნებასთან დაკავშირებით არის ნათქვამი, იხ. II მსოფლიო კრების მე-6 და IV მსოფლიო კრების 21-ე კანონის განმარტებებში.

კანონი 20 (29)**

თუ მღვდლებს ან დიაკვნებს ბრალს დასდებენ, მაშინ მახლობელ ადგილთაგან არჩეულ ეპისკოპოსთა დაკანონებული რაოდენობის კრების შემდეგ, რომელთაც ბრალდადებულნი მოითხოვენ, – ანუ მღვდლის ბრალდების შემთხვევაში – ექვსი ეპისკოპოსისა, ხოლო დიაკვნის ბრალდების შემთხვევაში – სამისა, და მათთან ერთად ბრალდადებულთა საკუთარმა ეპისკოპოსმაც, გამოიკვლიონ მათზე მოტანილი ბრალდებები იმავე წესების დაცვით, რაც დღეებსა და ვადებს, გამოძიებას, ბრალმდებელ პირებსა და ბრალდადებულებს შეეხება. ხოლო ეკლესიის სხვა მსახურების მიმართ აღძრული საქმეები, ადგილობრივმა ეპისკოპოსმა განიხილოს და დაასრულოს.

(მოც. 14; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4; კართ. 14, 15)

როგორც მე-19 კანონი შეიცავს განწესებას ბრალდებულ ეპისკოპოსებთან დამოკიდებულებით, ასევე, წინამდებარე კანონი შეიცავს მსგავს განწესებას მღვდლებთან, დიაკვნებთან და სხვა კლირიკოსებთან დამოკიდებულებით. რომ გავიგოთ ამ კანონის განწესება იმის შესახებ, რომ მღვდლებს ასამართლებს – 6, დიაკვნებს კი – 3 ეპისკოპოსი, უნდა მივმართოთ იმას, რაც ნათქვამია ამ კრების მე-12 და მე-14 კანონების განმარტებებში.

კანონი 21 (30)***

კეთილად იქნა განჩინებული, რომ სამღვდელო დასის წევრთა შვილები არ უნდა დაქორწინდნენ წარმართებსა და მწვალებლებზე.

(IV მსოფ. 4; ტრულ. 72; ლაოდ. 10, 31)

ჩვენთვის უკვე ცნობილია ტრულის კრების 72-ე კანონის განწესება, რომელიც ზოგადად კრძალავს მართლმადიდებლის ქორწინებას მწვალებელთან. თუ ასეთი ქორწინება მანამდე იყო შემდგარი, მაშინ ის უნდა დარღვეულიყო, და ის გაუქმებულად ითვლებოდა. ასეთი განწესების საფუძვლად წინამდებარე კანონი ასახელებს იმას, რომ მსგავსი ქორწინების ნებადართულობა ტოლფასი იქნებოდა ისეთი სურვილისა, ვინმეს რომ მოენდომებინა ცხვრის მგელთან შეერთება, და ცოდვილის

*ხონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 359.
**იპონის 393 წლის კრების მე-8 კანონი.
***იპონის 393 წლის კრების მე-12 კანონი.

ხვედრისა — ქრისტეს საქმესთან. ამდენად, თუკი ამ სახის ქორწინება ეკრძალება მართლმადიდებლური აღმსაარებლობის მქონე ნებისმიერ ერისკაცს, მაშინ მით უფრო უნდა აეკრძალოს ეს სასულიერო პირთა შვილებს. სწორედ ამაში მდგომარეობს კართაგენის (იპონის) კრების ამ კანონის განწესება.

კანონი 22 (31)*

ეპისკოპოსები და სამღვდელო დასის წევრები ნურაფერს მიაკუთვნებენ იმათ, რომელნიც არ არიან მართლმადიდებელი ქრისტიანები, დაე, თუნდაც მათი ნათესავები იყვნენ; ნურაფერს თავიანთი ნივთებიდან, როგორც ითქვა, ნუ დაუმტკიცებენ ჩუქების სახით ეპისკოპოსები და სამღვდელო დასის წევრები.

(მოც. 38, 40; IV მსოფ. 22; ტრულ. 35; ანტიოქ. 24; კართ. 81)

წინამდებარე კანონი უკრძალავს ყველა კლირიკოსს, განურჩევლად მისი იერარქიული ხარისხისა, გადასცეს რამე თავისი ქონებიდან არამართლმადიდებელ ქრისტიანს — ანდერძით, ჩუქებით, ან სხვა რამე ნებისმიერი გზით, — თუნდაც ისინი მისი ნათესავები იყვნენ. თავიანთი პირადი ქონებიის განკარგვა, რომელიც საეკლესიო მსახურებიდან დამოუკიდებლად აქვთ შეძენილი, კლირიკოსებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგონ, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელს შეუძლიათ გადასცენ, რა გზითაც არ უნდა მოხდეს ეს — მემკვიდრეობითი, ჩუქებითი თუ სხვა რამე სახით. ასეთი ნორმა დადგენილია მოციქულთა მე-40 და ანტიოქიის კრების 24-ე კანონებით. კლირიკოსებისათვის ნებადაურთველობა საკუთარი ქონების არამართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის დათმობის შესახებ, რაც კართაგენის (იპონის) წინამდებარე კანონით არის განწესებული, ასევე იყო დადგენილი ბერძნულ-რომაული კანონმდებლობითაც, რომელიც მოყვანილია **ზონარას** მიერ წინამდებარე კანონის განმარტებაში.** კლირიკოსთა ღვიძლი შვილებიც კი, მართლმადიდებლობიდან განდგომის შემთხვევაში, ვერ გახდებოდნენ საკუთარი მართლმადიდებელი მშობლების მემკვიდრენი, და იმათი ქონება — თუ სხვა მართლმადიდებელი მემკვიდრე არ ჰყავდათ — უნდა გადასულიყო ადგილობრივი ეკლესიის საკუთრებაში.

კართაგენის 81-ე კანონი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ამ კანონთან, ეპისკოპოსებთან დაკავშირებით განაწესებს, რომ თუ ვინმე თავის მემკვიდრედ გამოაცხადებს მწვალებელს ან წარმართს, მაშინ იგი სიკვდილის შემდეგაც ექვემდებარება შეჩვენებას, და მისი სახელი წმინდა ეკლესიაში არ უნდა იქნეს მოხსენიებული (იხ. 81-ე კანონის განმარტება).

---

*იპონის 393 წლის კრების მე-14 კანონი.

**ათენის სინტაგმა, III, 365.

კანონი 23 (32)*

ეპისკოპოსები, დაე, სხვაგვარად ნუ გაემგზავრებიან ზღვის გაღმა, თუ არა მხოლოდ თითოეული თავისი სამთავროს პირველმოსაყდრე ეპისკოპოსის ნებართვით, ანუ მიიღებენ რა უპირატესად თვით პირველი ეპისკოპოსისაგან ეგრეთ წოდებულ განტევების სიგელს, ანუ დამადასტურებელ მოწმობას.

(მოც. 33; IV მსოფ. 13; ანტიოქ. 11; კართ. 28, 89, 105)

აფრიკის ადგილდმდებარეობიდან გამომდინარე, სიტყვა „ზღვის გაღმა" ნიშნავს იტალიას და უფრო ზუსტად – რომს. ეპისკოპოსები აფრიკიდან სიხარულით მიდიოდნენ იქ, როდესაც იმპერატორის სასახლეში წარდგომა სჭირდებოდათ, ან – საჩივრის შეტანა რომის ეპისკოპოსთან აფრიკის კრებების გადაწყვეტილებებზე. თუ რაოდენ დიდი სიამოვნებით ხვდებოდნენ რომის ეპისკოპოსები ასეთ საჩივრებს, ამაზე, სხვათა შორის, ის მიზეზიც მიუთითებს, რა მიზეზითაც იქნა მოწვეული კართაგენის ეს კრება (419 წელს). წინამდებარე კანონი, ზოგადად, არ უკრძალავს აფრიკელ ეპისკოპოსებს რომში გამგზავრებას, თუ მათ ნამდვილად აქვთ ამის საჭიროება, მაგრამ განაწესებს, რომ ამის ნებართვა მათ უნდა აიღონ მმართველი მიტროპოლიტის, ანუ, როგორც კანონშია ნათქვამი, თავიანთი სამთავროს პირველ-მოსაყდრე ეპისკოპოსისგან. როდესაც ეპისკოპოსი მიტროპოლიტს შეატყობინებს თავის განზრახვას „ზღვის გაღმა" გამგზავრების შესახებ, მიტროპოლიტი, თუ მისი გამგზავრების მიზეზს საპატიოდ ჩათვლის, ასეთ შემთხვევაში აძლევს მას გამგზავრების წერილობით ნებართვას ეგრეთ წოდებულ **განსატევებელ წიგნს (სიგელს)**. ეს წიგნი კანონში იწოდება, აგრეთვე, **დამადასტურებელ მოწმობად**, რადგან მას მიტროპოლიტი ბეჭდითა და ხელმოწერით ადასტურებს; ეწოდება აგრეთვე **შუამდგომლობა** (შეწყნარება, одобрение), რადგან ამასთანავე ემსახურებოდა გამგზავრებული ეპისკოპოსის რეკომენდაციას იმ პირებისათვის, რომლებთანაც ის მიემგზავრებოდა და ამტკიცებდა და იწყნარებდა ყველაფერს, რაც ამ ეპისკოპოსის პიროვნებას შეეხებოდა.* შემდეგ, კანონში ნათქვამია, რომ ეს განსატევებელი წიგნი ეპისკოპოსმა უნდა მიიღოს აუცილებლად მიტროპოლიტისგან, ეს იმიტომ არის ხაზგასმული, რომ ანტიოქიის კრების მე-11 კანონის თანახმად, ეპისკოპოსს, რომელიც თავისი ეპარქიიდან გამგზავრებას განიზრახავდა, თან უნდა ჰქონოდა სამთავროს ყველა ეპისკოპოსის ნებართვის დამადასტურებელი წერილობითი მოწ-მობა, ისევე, როგორც მიტროპოლიტისგან. ამიტომ, ამ კანონის აზრი ის არის, რომ ეპისკოპოსს ეს ნებართვა უნდა ჰქონდეს ყველა ეპიკოპოსისგან, განსაკუთრებით კი მიტროპოლიტისგან.

კანონი 24 (33)

დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ ეკლესიაში არაფერი იქნეს წაკითხული საღმრთო წერილის სახელით, გარდა კანონიკური წიგნებისა. ხოლო კანონ-

*იპონის 393 წლის კრების მე-27 კანონი.

**ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 37.

იკური წიგნები შემდეგია: დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე შჯულისა, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი, მეფეთა ოთხი წიგნი, პარალიპომენონი (ნეშტთა) – ორი წიგნი, იობი, ფსალმუნნი, სოლომონის ოთხი წიგნი, წინასწარმეტყველთა თორმეტი წიგნი, ესაია, იერემია, ეზეკიელი, დანიელი, ტობია, ივდითი, ესთერი, ეზდრას ორი წიგნი. ახალი აღთქმისა – ოთხი სახარება, საქმე მოციქულთა – ერთი წიგნი, პავლეს ეპისტოლეები – თოთხმეტი; პეტრე მოციქულისა – ორი ეპისტოლე, იოანე მოციქულისა – სამი, იაკობ მოციქულისა – ერთი, იუდა მოციქულისა – ერთი, იოანეს გამოცხადება – ერთი წიგნი. ამ კანონის სიმტკიცისათვის ეუწყოთ ამის შესახებ ჩვენს ძმასა და თანამწირველს ბონიფაცის (რომის ეპისკოპოსს) და იმ ქვეყნების სხვა ეპისკოპოსებს; რამეთუ ჩვენ მამებისაგან გადმოგვეცა, რომ ამ წიგნების კითხვაა ჯეროვანი ეკლესიაში.

(მოკ. 60,85; ლაოდ. 60; ათანასე დიდის „დღესასწაულების შესახებ; გრიგოლ ღვთისმეტყველის „წმინდა წერილის წიგნების შესახებ"; ამფილოქესი იგივე წიგნების შესახებ)

ეს არის იპონის 393 წლის კრების კანონი, და იმ სახით, როგორითაც ამ (კართაგენის) კრებაზეა ის ჩამოყალიბებული, – ანუ წმინდა წერილის წიგნების ჩამონათვალი, რომლებიც კანონიკურად უნდა იქნეს აღიარებული, – სრულად შეესაბამება **ლათინური ეკლესიის** კანონს წმინდა წიგნების შესახებ, რომელიც შემდგომში იქნა მიღებული ტრიდენტის კრებაზე. კართაგენის კრების (419 წ.) ამ კანონის ჩვენ მიერ წარმოდგენილ ტექსტში, ესე იგი, **ათენის სინტაგმის** ტექსტში, იპონის კრების კანონისაგან განსხვავებით არ არის მოხსენიებული მაკაბელთა წიგნები, მაგრამ, სამაგიეროდ მოხსენიებულია შემდეგი წიგნები: „სიბრძნე სოლომონისა", „სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა",* „ტობია", და „ივდითი", შესაბამისად, ოთხი წიგნი, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ არ არის შეტანილი ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნთა შორის. ასეთი ჩამონათვალი, ანუ წმინდა წერილის წიგნების ასეთი ნუსხა წარმოადგენს კართაგენის ეკლესიის განსაკუთრებულობას და, ის, რომ კართაგენის კრების წინამდებარე კანონი ყველა ამ წიგნს მოიხსენიებს კანონიკურად, უნდა გავიგოთ უფრო ფართო მნიშვნელობით, კერძოდ, როგორც სასარგებლო და დასამოძღვრავი წიგნები კანონით დაშვებული ეკლესიაში კითხვისათვის. მოციქულთა 85-ე კანონის განმარტებაში ჩვენ ვნახეთ, რომ წმინდა წერილის როგორც მკაცრად კანონიკური, ისე არაკანონიკური წიგნები (თუკი ისინი დაშვებული იყო გამოყენებისათვის) ყოველთვის ითვლებოდა პატივსაცემ და წმინდა წიგნებად და, მაშასადამე, კეთილმსახურ ადამიანთათვის სულის სასარგებლო საკითხავად. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით იხ. **ათანასე დიდის ეპისტოლე** დღესასწაულების შესახებ და **ამფილოქეს კანონი.**

*თუმცა ეს წიგნი კანონში პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ ის იგულისხმება სოლომონის წიგნებს შორის, რადგან მის ავტორად სოლომონს მიიჩნევდნენ.

კანონი 25 (34)*

ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: უპატიოსნესო ძმებო, მსჯელობისას, ცოლებთან კავშირისაგან თავშეკავების შესახებ ზოგიერთი კლირიკოსისათვის, წიგნის მკითხველთა გარდა, მე კიდევ დავუმატებ სხვადასხვა კრებებზე დამტკიცებულს: იპოდიაკვნებს, რომლებიც წმიდა საიდუმლოთ ეხებიან, დიაკვნებსა და მღვდლებს, ასევე ეპისკოპოსებსაც. თითოეული ამ წოდებისათვის დამახასიათებელი წესის შესაბამისად, დაე, ყოველი ზემოდასახელებული განეკრძალოს თავის ცოლს და იყოს ისე, როგორც უცოლო; და ვინც ამგვარად არ იმოქმედებს, განკვეთილ იქნეს საეკლესიო წოდებიდან. ხოლო ეკლესიის სხვა მსახურთ ნუ აიძულებენ ამას, თუ არა, მხოლოდ, ხანდაზმულ ასაკში. მთელმა კრებამ თქვა: თქვენი სიწმინდის მიერ სამართლიანად განსჯილს, ვითარცა შესაფერისს სამღვდელოებისთვის და სათნოს ღმერთისთვის, ვამტკიცებთ.

(მოც. 5, 17, 26, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 14; ტრულ. 5, 6, 12, 13, 30; VII მსოფ. 18; ანკირ. 19; ნეოკეს. 1, 8; ლანგ. 4; კართ. 3, 4, 25, 35, 70; ბასილი დიდის 12, 27, 88; ტიმოთე ალექსანდრიელის 5, 13)

წინამდებარე კანონი მჭიდრო კავშირშია ამავე კრების მე-3 და მე-4 კანონებთან. რადგანაც ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები და იპოდიაკვნები შეიძლება იყვნენ დაქორწინებულები, ესე იგი, ჰყავდეთ კანონიერი ცოლები, ამიტომ ეს კანონი განაწესებს, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ ცოლებთან ხორციელი კავშირისაგან იმ დროს, როდესაც მათი მსახურების რიგი დგება, ანუ წმინდა საიდუმლოს აღსრულების წინ, და იმ დროსაც, როდესაც პავლე მოციქულის სიტყვებით, ვისაც ცოლი ჰყავდეს, უნდა იყოს *ვითარმცა* უცოლო (1 კორ. 7, 29). კართაგენის კრების წინამდებარე კანონის განწესება სიტყვასიტყვით არის მოყვანილი ტრულის კრების მე-13 კანონში, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიღებულ იქნა რომის ეკლესიის ჩვეულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ყველა სასულიერო პირისგან **ცელიბატობას** მოითხოვდა.

ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნების გვერდით კანონი მოიხსენიებს იპოდიაკვნებსაც და მათ შესახებ ამბობს, „რადგან ეხებიან წმინდა საიდუმლოს", ამიტომ მათაც თავი უნდა შეიკავონ გარკვეულ დროს ცოლებთან ურთიერთობისაგან. ლაოდიკიის კრების 21-ე კანონში იპოდიაკვნებთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ისინი არ უნდა შეეხონ წმინდა ჭურჭელს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ წმინდა ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულების დროს, როგორც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამის შესახებ აღნიშნული კანონის განმარტებაში. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ორი კანონი (კართაგენის 25-ე და ლაოდიკიის 21-ე) ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის,რადგან ერთი მათგანის თანახმად იპოდიაკონს უფლება ეძლევა წმინდა ჭურჭელს შეეხოს უსისხლო მსხვერპლის გადაბრძანებისას, მეორეს მიხედვით კი — ამის უფლება არ აქვთ. ჩვენი აზრით, უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ლაოდიკიის კრების კანონის განწესება, რადგან მართლმადიდებელი

*კართაგენის 401 წლის კრების მე-4 კანონი.

ეკლესიის სამართლის საერთო სწავლებით იპოდიაკვნები არ იღებენ ქიროტონიას და არ ფლობენ სასულიერო იერარქიის ხარისხს, და როგორც ასეთები, უშუალოდ არ მონაწილეობენ ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულებაში და, შესაბამისად, ამ დროს ვერ შეეხებიან წმინდა ჭურჭელს. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ძნელია მოიძებნოს საფუძვლიანი მიზეზი იმისა, რომ კართაგენის წინამდებარე კანონი იპოდიაკვნებს განუწესებს თავშეკავებასთან დაკავშირებით იმასვე, რასაც ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს, რომლებსაც ხელდასხმა (ქიროტონია) აქვთ მიღებული და მიეკუთვნებიან სასულიერო იერარქიას, და არ ათანასწორებს ამასთან დაკავშირებით მკითხველებსა და სხვა დაბალი რანგის კლირიკოსებთან, რომლებიც ასევე არ მიეკუთვნებიან სასულიერო იერარქიას. მოხსენიებულ კანონებს შორის წინააღმდეგობრივობას შუასუკუნეების ბერძენმა კომენტატორებმაც მიაქციეს ყურადღება. ამასთან დაკავშირებით, **ზონარამ** გამოთქვა აზრი, რომ კართაგენელმა მამებმა შესაძლებელია იმის საფუძველზე გამოსცეს მსგავსი განწესება ოპოდიაკვნების მხრიდანაც თავშეკავების აუცილებლობაზე, რომ იმ ადგილების ჩვეულების თანახმად, იპოდიაკვნებიც ეხებოდნენ „წმინდა საიდუმლოებს". საერთოდ, საეკლესიო-მართლამდიდებლურ წყაროებში გვხვდება ხოლმე ერთგვარი გაურკვევლობა იპოდიაკვნებთან მიმართებით, — ღვთისმსახურებისას მათ მსახურებასა და მოვალეობასთან დაკავშირებით, — რითაც აიხსენება ის, რომ ზოგიერთი კანონისტი,უახლოესი დროისაც კი,იპოდიაკვნებს მიიჩნევს განსაკუთრებული (მეოთხე) ხარისხის ღვთისმსახურად სასულიერო იერარქიაში, და არა ეკლესიის მსახურად, როგორც ეს სინამდვილეშია.

კანონი 26 (35)*

განჩინებულია, რომ არავინ გაყიდოს საეკლესიო საკუთრება; მაგრამ თუ ამ საკუთრებას არ მოაქვს შემოსავალი და დიდი გაჭირვება დგას, მაშინ წარედგინოს ამის შესახებ სამთავროს პირველ (უპირატეს) ეპისკოპოსს, და ეპისკოპოსთა განსაზღვრულმა რაოდენობამ მოითათბიროს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ. ხოლო თუკი ისეთი გაჭირვებაა ეკლესიაში, რომ შეუძლებელია მოთათბირება (საკუთრების) გაყიდვამდე, მაშინ მოუწოდოს ეპისკოპოსმა მოწმეებად თუნდაც მეზობელ ეპისკოპოსებს და იზრუნოს იმისთვის, რომ წარუდგინოს კრებას ყველა ის გარემოება, რომელთა გამოც ეკლესია იძულებული იყო ეს გაეკეთებინა. თუ ამას არ იქმს, დაე, ღმერთისა და კრების წინაშე ბრალეულად წარმოსდგეს (საეკლესიო საკუთრების) გამყიდველი, და მოაკლდეს თავის პატივს.

(მიც. 38, 39, 40, 73; IV მსოფ. 24, 26; ტრულ. 35, 49; VII მსოფ. 11, 12, 13; ანკირ. 15; ანტიოქ. 24, 25; კართ. 35, 70; კირილე ალექსანდრიელის 2; თეოფილე ალექსანდრიელის 10)

იმასთან დაკავშირებით, რომ საეკლესიო ქონება ყოველთვის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ უნდა იყოს და ხელშეუხებლად ინახებოდეს,ბევრი კანონი ლაპარა-

*კართაგენის 401 წლის კრების მე-5 კანონი.

კობს და მათ შორის, VII მსოფლიო კრების მე-12 კანონიც, რომლის განმარტებასაც უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება. კართაგენის წინამდებარე კანონში ეს განწესება კატეგორიულად არის გამოხატული: **არავინ გაყიდოს საეკლესიო საკუთრება.** თუ ეკლესიაში უკიდურესი ნაკლულევანება შეიქმნება და ამ დროს ეკლესიის საკუთრებაში იქნება გარკვეული ქონება, რომელსაც არანაირი შემოსავალი არ შემოაქვს, მაგრამ რომლის გაყიდვიდანაც შესაძლებელი გახდება ნაკლულევანების შევსება, ასეთ შემთხვევაში კანონი უშვებს საერთო ნორმიდან გამონაკლისს და ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ ქონების გაყიდვისას; კერძოდ, კანონი განაწესებს, რომ მმართველმა ეპისკოპოსმა ყველაფერი ეს მიტროპოლიტს უნდა შეატყობინოს, რომელიც მასზე დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებთან შეთანხმებით გადაწყვეტს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს. თუკი საქმე იმდენად სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს, რომ მმართველი ეპისკოპოსი ვერ ასწრებს მიტროპოლიტისათვის შეტყობინებას, მაშინ მან, უკიდურეს შემთხვევაში, მოწმეებად უნდა მიიწვიოს ტერიტორიულად უახლოესი ეპისკოპოსები იმის დასადასტურებლად, რომ თავსმოწეული გასაჭირი მართლაც გადაუდებელ გადაწყვეტილებას მოითხოვს, ხოლო საეკლესიო ქონება შემოსავალს არ იძლევა და, მაშასადამე, თავისუფლად შეიძლება მისი გაყიდვა ეკლესიის საჭიროებისათვის; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლა მას გაყიდოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ეპისკოპოსი ვალდებულია, როგორც კი საეკლესიო სამთავროს კრება შედგება, წარუდგინოს მას ამ საქმის შესახებ ანგარიში და კრების წინაშე თავი გაიმართლოს. თუ ამგვარად არ მოიქცევა, — დამნაშევე იქნება ღმრთის წინაშე (იხ. მოც. 38-ე კან.), კრებამ კი მას ასეთი ქმედებისათვის ის პატივი უნდა აყაროს, რომლითაც სარგებლობდა, ანუ ეპისკოპოსობიდან განკვეთოს.

კანონი 27 (36)*

ასევე დამტკიცდა, რომ არ უნდა მოხდეს იმ მღვდლებისა და დიაკვნების ხელთდადება, ვითარცა მონანულთა ან ვითარცა მორწმუნე ერისკაცთა, რომლებსაც მძიმე ცოდვების გამო ჩამოერთვათ მღვდელმსახურების უფლება; არ უნდა დაიშვას მათი ხელმეორედ მონათვლა და კლირიკოსის ხარისხში ამაღლება.

(მოც. 25, 47, 68; ტრულ. 21; კართ. 48; ბასილი დიდის 3, 32, 51)

ზოგიერთი მღვდელი და დიაკონი, როდესაც გარკვეული დანაშაულისათვის ხარისხიდან განკვეთდნენ და ერისკაცთა რიგში ჩამოიყვანდნენ, ცდილობდა კვლავ შესულიყო კლირიკოსთა დასში და დაეკავებინა, მაგალითად, წიგნის მკითხველის ან ეკლესიის მსახურის სხვა ადგილი, რომელიც ქიროტესიის გზით მიიღებოდა. ამასთან, ისინი ამტკიცებდნენ, რომ რაკი მათ მოინანიეს და ერთგულმორწმუნე ერისკაცთა რიგებში ჩადგნენ, ამიტომ ამ უკანასკნელთა მსგავსად, მათაც შეუძლიათ ეკლესიის მსახურები გახდნენ. კანონი არ ცნობს ასეთ არგუმენტებს და მისი განწესებით ეპისკოპოსებმა არ უნდა აიყვანონ ასეთი განკვეთილი პირები კლირი-

*კართაგენის 401 წლის კრების მე-12 კანონი.

კოსთა რაიმე ხარისხში – მიუხედავად იმისა, რომ მოინანიეს და ეკლესიაში ერისკაცთა რანგით არინ მიღებულნი. მიზეზი შემდეგია: გარკვეული დანაშაულისათვის სამღვდელო ან საეკლესიო დასიდან განკვეთილი პირი, ვეღარასოდეს გახდება კლირიკოსი (ანუ რომელიმე ამ დასის წევრი – სასულიერო ან საეკლესიო). ამ განწესებიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი კანონიკური წესი, რომლის თანახმადაც, ვინც კანონიერად იქნა თავისი იერარქიული ხარისხიდან ერთხელ განკვეთილი, ის ვეღარასოდეს შეასრულებს კლირიკოსის რაიმე მსახურებას, იმის უფლებაც კი არა აქვს, – როგორც ბალსამონი ამბობს, – წაიკითხოს ამბიონიდან, ან ვინმეს ლოცვა წაუკითხოს, ან კურთხევა გადასცეს.*

ამ კანონის დასკვნითი ნაწილს ბერძენი კომენტატორები იმ აზრით იგებენ, რომ განკვეთილი კლირიკოსების მიღება დასში არ შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ხელმეორედ მოინათლებოდნენ, იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა, ნათლისღების მიღება მხოლოდ ერთხელ შეიძლება.** ეს სიტყვები, იმ სახით, როგორც ისინი კანონშია მოყვანილი, თითქოს უფრო სწორი იქნებოდა ისე გაგვეგო, რომ მათში მოიაზრებიან არა ისინი, ვისაც მართლა ხელმეორედ უნდოდა მონათვლა, ანუ მკაცრი გაგებით – მოუნათლავნი, არამედ ისინი, რომლებიც სინანულით განიბანნენ, რაც, აგრეთვე, ნათლისღებად იწოდებოდა. შესაბამისად, უფრო სწორი იქნება ის პირები ვიგულისხმოთ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი უკვე ცოდვისგან განწმენდილები არიან და როგორც ახალმონათლულები, შეიძლება მიღებულ იქნენ დასში.

კანონი 28 (37)

ასევე განჩინებულ იქნა, რომ როცა მღვდლები და დიაკვნები, ასევე ეკლესიის სხვა დაბალი ხარისხის მსახურნი, ჩივიან თავიანთი საქმეების გამო ეპისკოპოსების მიერ განაჩენზე, დაე, მოუსმინონ მათ მეზობელმა ეპისკოპოსებმა, და რომ მათი საკუთარი ეპისკოპოსების თანხმობით შეწყვიტონ მათ შორის აღმოცენებული უთანხმოებანი მათ მიერ მოწვეულმა ეპისკოპოსებმა. ხოლო თუკი ამის გამო მათგანაც უმაღლეს სამსჯავროში ისურვებენ საქმის გადატანას, მაშინ, დაე, სასამართლოს ზღვის გადაღმა მხარეს კი ნუ გადაიტანენ,* არამედ – თავიანთი სამთავროების უპირატეს ეპისკოპოსებთან, როგორც ეს მრავალგზის იქნა განჩინებული ეპისკოპოსთათვისაც. ხოლო, რომელნიც ზღვის გაღმა მხარეს გადაიტანენ საქმეს განსასჯელად, დაე, ნურავინ მიიღებს მათ თანაზიარებაში აფრიკის ეკლესიებში.**

(II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4; კართ. 10, 11, 12, 14, 15, 20, 23, 105, 125)

იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეული მღვდლის, დიაკვნისა და დანარჩენი დაბალი ხარისხის კლირიკოსების განსასჯელი რწმუნებული სამსჯავრო არის იმ

*ათენის სინტაგმა, III, 373; იხ. ტრულის კრების 21-ე კანონის განმარტება.

**ზონარა, ბალსამონი და არისტინე (ათენის სინტაგმა, III, 375-377).

***ანუ იტალიასა და რომში

ეპისკოპოსის სასამართლო, რომელსაც ყველა ეს პირი ემორჩილება, არაერთხელ ითქვა სხვადასხვა კანონში. ზუსტად ასევე, ბევრი კანონი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ყველა ამ პირს თავისუფლად შეუძლია აპელაციით მიმართოს სამთავრო კრებას, თუ ჩათვლის, რომ მის მიმართ სასამართლომ არასწორი განაჩენი გამოიტანა. ამ კრების კანონებში, ჩვეულებრივი სამთავრო კრების, – როგორც მეორე ინსტანციის სასამართლოს, – ნაცვლად, არაერთხელაა მოხსენიებული ტერიტორიულად უახლოესი რამდენიმე ეპიკოპოსებისაგან შემდგარი განსაკუთრებული სასამართლო. უმეტესწილად, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც რაიმე წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება დადგენილი სამთავრო კრების მოწვევა (იხ. ამავე კრების მე-11, მე-12, მე-14, მე-20 და 125-ე კანონები). ამ კანონებიდან – მე-12, მე-14 და მე-20 – განსაზღვრავენ იმ უახლოეს ეპისკოპოსთა რიცხოვნობასაც, რომლებმაც სასამართლო უნდა შეადგინონ, კერძოდ – მღვდლებისთვის 6 ან 5 ეპისკოპოსი, დიაკვნისთვის კი 3 ეპისკოპოსი, იმ პირის მმართველ ეპისკოპოსთან ერთად, რომელიც უკმაყოფილოა გამოტანილი განაჩენით; მე-11, 125-ე და წინამდებარე (28-ე) კანონები კი არაფერს ამბობენ ეპისკოპოსების რიცხოვნობაზე და მხოლოდ იმას მიუთითებენ, რომ აუცილებელია რამდენიმე უახლოესი ეპისკოპოსის მიწვევა, რა თქმა უნდა, იმ პირის შეხედულებისამებრ, ვისაც საჩივარი შეაქვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მმართველი ეპისკოპოსის ნებართვით (იხ. 125-ე კან.). როგორც კანონი ამბობს, ასეთი სასამართლოს დადგენილებამ საქმე საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს. თუკი ეს პირები, ამ სასამართლოების გადაწყვეტილებებითაც უკმაყოფილონი დარჩებიან და კვლავ გააგრძელებენ გამართლების მიღწევას, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, უნდა მიმართონ მმართველ მიტროპოლიტს, რომელიც თავის ეპისკოპოსებთან ერთად სამთავროს რიგით კრებაზე გამოიტანს საბოლოო განაჩენს. ამით წინამდებარე კანონი ადასტურებს ეკლესიის საერთო ნორმას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი სასამართლო პროცესი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს იმ საეკლესიო სამთავროს ფარგლებში, სადაც ეს საქმე წარმოიშვა და მისი უმაღლესი იერარქების ხელმწიფებით. ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი მღვდელი და აფრიკული ეკლესიის სხვა კლირიკოსები თავს ნებას აძლევდნენ უგულებელყოთ თავიანთი ეკლესიის სასამართლო და საჩივრით მიემართათ „ზღვის გაღმა“, ანუ რომში, და იქ ეთხოვათ აფრიკული ეკლესიის ხელისუფლების გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი სასამართლო განხილვა (ჩვენ ეს ვიხილეთ მღვდელ აპიარიოსის მაგალითზე, ვის გამოც მოიწვიეს კიდეც ეს, 419 წლის კრება), კანონი შეგვახსენებს, რომ თუკი ეპისკოპოსებს მკაცრად ეკრძალებათ სამართალი რომში ეძიონ, მაშინ მით უფრო უნდა ეკრძალებოდეს ეს მღვდლებსა და დანარჩენ კლირიკოსებს. ეს აკრძალვა და, საერთოდ, კანონწინააღმდეგობა იმისა, რომ ერთი ადგილობრივი ეკლესიის იერარქები შეიძლება ჩაერიონ მეორე, ასეთივე ადგილობრივი ეკლესიის სასამართლო საქმეებში და შეცვალონ მისი სასამართლო გადაწყვეტილებები, საზეიმოდ იქნა გაცხადებული ამ კრების მამების მიერ თავიანთ ეპისტოლეში პაპ კელესტინეს მიმართ, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-5 კანონის განმარტებაში და რომელიც შემდგომში სრულად მოგვყავს. იმათ შესახებ კი, ვინც დაარღვევს ამ განწესებას და გადაწყვეტს აფრიკული ეკლესიიდან რომს მიმართოს ახალი სასამართლო გადაწყვეტილების

მისაღწევად, კანონი განაწესებს, რომ მათგან არავინ მიიღოს აფრიკულ ეკლესიაში თანაზიარებისათვის. ამ განწესებასთან დაკავშირებით ბალსამონი შენიშნავს: „ამგვარად, თუკი რომს არ აქვს უფლება აფრიკული ეკლესიის საჩივრები განიხილოს (რომელიც თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით უახლოესია რომთან), მაშინ მით ნაკლებად შეიძლება მას ჰქონდეს ამის უფლება სხვა საზღვრებთან მიმართებით* თუმცაღა, რომში კარგად გაიგეს ამ კანონიკური დადგენილების მნიშვნელობა, რომელიც მკაცრად იყო შედგენილი როგორც ღვთაებრივი სულით, ისე ქრისტიანული ეკლესიის კანონიკური განწესებით და ამიტომ, თავის ოფიციალურ კანონიკურ კრებულში, კართაგენის კრების ეს კანონი თავის ყაიდაზე გადააკეთეს – კანონის ტექსტს რამდენიმე სიტყვა შესძინეს, რის გამოც განწესებამ სულ სხვა აზრი მიიღო. სიტყვები: „**ზღვის გაღმა მხარეს**“, მათ ისე გადმოსცეს, თითქოს აქ საუბარი იყოს იტალიის ჩვეულებრივი საეკლესიო სასამართლოების – და არა რომის საყდრის სასამართლოს – შესახებ, და, რომ ეს უკეთედ გამოეხატათ, კანონის ბოლოს დაამატეს: „თუკი მხოლოდ რომის საყდარს არ მიმართავენ“.

კანონი 29 (38)

სათნოა მთელი კრებისთვის, რომ თავისი დაუდევრობის გამო ზიარებისაგან განყენებული ეპისკოპოსი ან ნებისმიერი სხვა კლირიკოსი, რომელიც თავისი ამ განყენების განმავლობაში, მისი გამართლების მოსმენის უწინარეს, გაკადნიერდება და ზიარებას მიეახლება, აღიარებულ იქნეს საკუთარი თავის მიმართ განკითხვის განაჩენის წარმომთქმელად.

(მოც. 28; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 29; ანტიოქ. 4, 12, 15; სარდ. 3, 4, 5, 14; კართ. 19, 65; ბასილი დიდის 88)

წინამდებარე კანონში ძირითადად ხდება სარდიკიის კრების მე-14 (მისივე მსგავსი კანონის) განწესების აღორძინება. მოხსენიებული კანონი ლაპარაკობს ეპისკოპოსის შესახებ, რომელმაც აღგზნებულმა და გულისწყრომის მდგომარეობაში მყოფმა, რომელიმე მასზე დამორჩილებული კლირიკოსი დაუქვემდებარა საეკლესიო სასჯელს, თანაც აძლევს ამ კლირიკოსს უმაღლეს სასამართლოში აპელაციის უფლებას, თუმცა, მოხსენიებული კანონი იქვე დასძენს, რომ დასჯილ კლირიკოსს ეკრძალება საეკლესიო თანაზიარება იქამდე, ვიდრე უმაღლესი საეკლესიო სასამართლო თავის განაჩენს არ გამოიტანს.

კართაგენის წინამდებარე კანონში საუბარია პირველი ინსტანციის ჩვეულებრივ საეკლესიო სასამართლოზე, რომელმაც გაასამართლა ეპისკოპოსი ან სხვა კლირიკოსი, ამასთან, მსჯავრდებულებს უფლება ეძლევათ მიმართონ უმაღლეს საეკლესიო სასამართლოს. ეს კანონი, ისევე, როგორც სარდიკიის კრების მოხსენიებული კანონი, განაწესებს, რომ პირველ ინსტანციაში გასამართლებული თითოეული პირი უნდა დარჩეს იმავე სასჯელქვეშ, რომელიც მის მიმართ ამ პირველმა სასამართლომ გამოიტანა, და ეს იქამდე, ვიდრე უმაღლესი სასამართლო არ გააუქმებს მის

*ათენის სინტაგმა, III, 379.

მიმართ გამოტანილ განაჩენს. თუკი მსჯავრდებული შეეწინააღმდეგება პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებას, ანუ უმაღლესი სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე უგულებელყოფს მის (პირველი სასამართლოს) მიერ გამოტანილ მსჯავრს, ასეთ შემთხვევაში ამით იგი, – როგორც კანონი ამბობს, – თავად არის საკუთარი თავის წინააღმდეგ განაჩენის გამომტანი, რადგან კარგავს აპელაციის უფლებას. ამ კანონის განწესება ფრიად მნიშვნელოვანია იმასთან დამოკიდებულებით, რომ იგი აცხადებს მტკიცედ და უცვალებლად ყოველი ჩვეულებრივი საეკლესიო სასამართლოს განაჩენისადმი დაქვემდებარებას იმ დრომდე, სანამ ეს იგი არ იქნება შეცვლილი უმაღლესი საეკლესიო სასამართლოს მიერ.

კანონი 30 (39)

განჩინებულია: ბრალდებულმა ან ბრალმდებელმა, რომელიც გარკვეულ ძალადობას მოელის შფოთიანი ხალხმრავლობის გამო იმ ადგილას, სადაც ბრალდებული იმყოფება, ამოირჩიოს თავისთვის უახლოესი ადგილი, სადაც მისთვის ძნელი არ იქნება მოწმეთა წარდგენა და სადაც დამთავრდება მისი საქმე.

(მოც. 15; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18; VII მსოფ. 10, 15; ანკირ. 18; ანტიოქ. 3; სარდ. 17)

ამ კანონში რომ საუბარია კლირიკოსთა შესახებ, რომელთა შორისაც სადავო პროცესი წარმოიშვა და ერთი მათგანი ბრალმდებელია, მეორე კი ბრალდებული, ჩანს იმ კავშირიდან, რომელიც ამ კანონს მის წინა და სამ მომდევნო კანონთან აქვს. ყველა აღნიშნული კანონი მიიღეს ამ კრების 419 წლის 25 მაისის სხდომაზე; ჩანს, აგრეთვე, ამის შესახებ ზონარას შეხსენებიდანაც, როდესაც იგი ამ კანონს განმარტავს.

კანონიდან არ ჩანს, თუ რომელი სახის სასამართლოზე საუბრობენ კართაგენელი მამები, თუკი მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ისინი საუბრობენ უახლოესი ადგილის შესახებ, სადაც უნდა მოხდეს საქმის გამოკვლევა და გადაწყვეტა, ანუ, სადაც, შესაბამისად, მდებარეობდა ჩვეულებრივი სასამართლო. ვეარაუდობთ, რომ აქ არ შეიძლება საუბარი ეხებოდეს მიტროპოლიტის, პირველმღვდელთმთავრის (პრიმასის) ან პატრიარქის სასამართლოს, რადგან არ შეიძლება ერთმანეთს შორის უახლოესი ადგილი ეწოდოს მიტროპოლიტის, ან პირველმღვდელთმთავრისა და პატრიარქის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს. არ შეიძლება აგრეთვე ამის თქმა ეპარქიალურ (სამთავროს) ეპისკოპოსთა სასამართლოზეც, რადგან მათი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, თუ ახლანდელი ეპარქიალური მოწყობით ვიმსჯელებთ, ერთმანეთთან ისე ახლოს არ იყო განლაგებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ადვილად უზრუნველეყოთ სასამართლოზე ყველა მოწმის დასწრება, როგორც ამას კანონი მოითხოვს. ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ ჩრდილოეთ აფრიკის ეკლესიასთან მიმართებით, რომელიც მრავალ (466) საეპისკოპოსო კათედრას აერთიანებდა. ასე რომ, თითოეულ დიდ დასახლებულ ადგილს თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა და, შესაბამისად, თავისი ეპარქიალური სასამართლო. თავისთავად გასაგებია, რომ კლირიკოსებს შორის პროცესის ასეთი გადატანა სხვა ადგილას, დასაშვები იქნებოდა მხოლოდ მმართველ ეპისკოპოსთან შეთანხმებით.

კანონი 31 (40)

განიჩინა ასევე: თუ ეკლესიის ზოგიერთნი დაბალ მსახურთაგან და დიაკვანთაგან ეურჩებიან საკუთარ ეპისკოპოსებს, რომელთაც თავანთი ეკლესიების აუცილებელ გარემოებათა გამო სურთ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ისინი თავის ეკლესიაში, — ესევითარნი ნუღარ იმსახურებენ იმ ხარისხშიც, რომლიდანაც უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა არ მოისურვეს.

(მოც. 39, 55; IV მსოფ. 8; ტრულ. 34; ლაოდ. 57; ბასილი დიდის 89)

თითოეული სასულიერო პირის (დაწყებული მღვდლიდან და ქვევით) კანონიკური მორჩილების შესახებ თავის ეპისკოპოსთან მიმართებით, როგორც უკვე ვიხილეთ, არაერთი კანონი ლაპარაკობს. ამ მორჩილების საფუძვლად, ზონარას მოჰყავს წმინდა წერილიდან ის ადგილი, სადაც განიწესება წინამძღვრისადმი მორჩილება და დაქვემდებარება (იხ. ებრ. 13, 17).* წინამდებარე კანონში საუბარია ყველა იმ პირზე, ვინც მიეკუთვნება სამღვდელო თუ საეკლესიო დასს, ვინც დამოკიდებულია მმართველ ეპისკოპოსზე. დიაკონი აქ უფრო ფართო მნიშვნელობით არის მოხსენიებული არა როგორც იერარქიულ ხარისხის მატარებელი ან საკურთხევლის მსახური, არამედ, ზოგადად, როგორც ეკლესიის მსახური, ანუ გარკვეული საეკლესიო მსახურების აღმსრულებელი; ეს თვით კანონის ტექსტში გამოყენებული სიტყვიდან ჩანს: **„იმსახურებენ“ („დიაკონეინ“).**** ეკლესიის ყველა ასეთი მსახურის მიმართ კანონი განაწესებს, რომ ისინი უნდა დაემორჩილონ თავიანთ ეპისკოპოსს, როდესაც ეს უკანასკნელი, ეკლესიის მნიშვნელოვანი საჭიროების გამო, მათ მაღალ პატივში აღზევებას მოინდომებს, ანუ ერთი ხარისხიდან სხვა, უფრო მაღალ ხარისხში აყვანას. თუ ეკლესიის რომელიმე მსახური შეეწინააღმდეგება ამას და არ მოისურვებს დაემორჩილოს თავის ეპისკოპოსს, შესაძლოა იმ მიზეზით, რომ დაკავებულ ხარისხში დარჩენა მისთვის უფრო სარგებლიანია დიდი ფულადი შემოსავლის გამო, ან იმ მიზეზით, რომ არ სურს თავის თავზე აიღოს დიდი ჯაფის შემცველი სამუშაო, ასეთ შეთხვევაში კანონი განაწესებს მათთვის იმ მსახურების ჩამორთმევასაც, რომელსაც ისინი ძველ ხარისხში ასრულებდნენ. კანონში ნათქვამია, რომ ასე უნდა დაისაჯოს ეკლესიის ის მსახურები, რომლებიც არ მოისურვებენ დაემორჩილონ მმართველ ეპისკოპოსს, როდესაც ის განიზრახავს მათ უფრო მაღალ ხარისხში აყვანას ეკლესიისათვის აუცილებელი ვითარებიდან გამომდინარე; მაგრამ თუკი ასეთი აუცილებელი საჭიროება არ არის? ასეთ შემთხვევაშიც ეპისკოპოსს, ეკლესიაში დადგენილი წესის საფუძველზე, სრული უფლება აქვს აიყვანოს თავისი კლირიკოსები უფრო მაღალ ხარისხებში, თუნდაც მათ ეს არ სურდეთ.***

---

*ამ კანონის განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 383.

**ზონარას განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 383.

***ამ კანონთან დაკავშირებით იხ. მასზე ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 383-386, რადგან ზოგადად საეკლესიო ხარისხებში აყვანის საკითხთან მიმართებით, ეს განმარტება კანონიკური სამართლისათვის ფრიად მნიშვნელოვანია.

კანონი 32 (41)

განჩინებულია: თუ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები ან სხვა რომელიმე კლირიკოსი, რომლებსაც თავიანთი დადგინებისას არავითარი საკუთრება არ გააჩნიათ და თავიანთი ეპისკოპოსობის ან კლირიკოსობის დროს, თავის სახელზე იყიდიან მიწებს, ან რაიმე სავარგულებს, – მაშინ, დაე, ჩაითვალონ უფლის ქონების მიმტაცებლებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეგონების მიღების შემდეგ, ეკლესიას გადასცემენ მათ. ხოლო თუკი რამე მათ საკუთრებაში აღმოჩნდება ვინმესგან ჩუქების გზით, ან ნათესავთაგან მემკვიდრეობით, ის, დაე, თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგონ. ხოლო თუკი რაიმე ქონების ეკლესიისათვის გადაცემას გადაწყვეტენ, მაგრამ მერე უკან მიიქცევიან, ასეთები, დაე, საეკლესიო პატივის ულირსებად და განკვეთილებად გამოცხადდნენ.

(მოც. 4, 38, 40, 41; IV მსოფ. 22; ტრულ. 23, 35; ანტიოქ. 24, 25; კართ. 22, 26, 81; ორგ ზ. 7)

ეპისკოპოსებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მოციქულთა კანონით იქნა დადგენილი, რომ ყოველთვის ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა შეადგენს მათ საკუთრებას და რა – ეკლესიისას. ამასთანავე, რამდენად თავისუფლად შეუძლიათ მათ განკარგონ საკუთარი სურვილისამებრ თავიანთი კუთვნილი ქონება, რამდენად უნდა დაიცვან საეკლესიო საკუთრება და ყოველთვის ახსოვდეთ, რომ მათ ქმედებას ღმერთი ადევნებს თვალყურს (იხ. მოციქულთა მე-40 და ანტიოქიის კრების 24-ე კანონები). მაგრამ ეპისკოპოსის ამ პირად საკუთრებაში უნდა განვასხვავოთ ის, რაც მან მოიპოვა თავისი ეპისკოპოსად მსახურების პერიოდში იმისგან, რაც – ამ მსახურებისგან დამოუკიდებლად. ის ქონება, რომელიც მან მოიპოვა მემკვიდრეობით ან სხვა კერძო, კანონიერი გზით (ეპისკოპოსობამდე), მას შეეძლო განეკარგა საკუთარი შეხედულებისამებრ, ხოლო იმას, რაც თავისი საეკლესიო მსახურების შემოსავლიდან მოიპოვა, იგი საკუთარი სურვილისამებრ ვერ განკარგავს, არამედ ვალდებულია გადასცეს ეკლესიას თავის სიცოცხლეშივე ან ანდერძით სიკვდილის შემდეგ.* ყველაფერი, რაც ამასთან დაკავშირებით ეპისკოპოსებისთვის იყო დადგენილი, კართაგენის კრების წინამდებარე კანონით ვრცელდება ეკლესიაში მომსახურე ყველა სასულიერო პირზე. ქრისტიანობის პირველ ხანებში, სასულიერო პირებს უფლება არ ჰქონდათ ეკლესიაში მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის – რა მსახურებაც არ უნდა შეესრულებინათ – გასამრჯელო მოეთხოვათ. VII საუკუნეშიც კი, წოდებიდან განკვეთით სჯიდნენ ყველა იმ სასულიერო პირს, ვინც ფულს ან სხვა რაიმე სახის ანაზღაურებას მოითხოვდა წმინდა საიდუმლოს აღსრულებისათვის (იხ. ტრულის კრების 23-ე კანონი). სახსრები, სამღვდელოების შესანახად, იმ საერთო საეკლესიო შემოსავლიდან გამოიყოფებოდა, რომელსაც ერთგულ მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემონაწირი და, აგრეთვე, ეკლესიის სამფლობელო მიწებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა. ამასთან, სამღვდელოების შესანახად ეპისკოპოსი ზრუნავდა თავის თანაშემწეებთან ერთად,

*ათენის სინტაგმა, I, 239-241.

და თითოეულს თავისი საჭიროებისამებრ აძლევდა (იხ. მოციქულთა მე-4 კანონი). აქედან გამომდინარე, სამღვდელოებას ვერ ექნებოდა იმდენი ფული, რომ ადგილ-მამულები შეეძინა, და მით უფრო ნაკლებად ექნებოდა ამის საშუალება, თუკი, – როგორც კანონი ამბობს, – ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს დასში შესვლისას თავისი პირადი არაფერი გააჩნდა. თუ გამოჩნდებოდა ისეთი ეპისკოპოსი ან დასის სხვა წევრი, რომელიც მანამდე ღატაკი იყო და მსახურების პერიოდში იმდენად გამდიდრდა, რომ თავის სახელზე რაიმე უძრავი ქონება შეიძინა, მაშინ ჩნდება ეჭვი: ხომ არ შეიძინა მან ეს ეკლესიის ფულით? რის გამოც, კანონის სიტყვებით, იგი უნდა ჩაითვალოს უფლის საკუთრების მიმტაცებლად, და როგორც ასეთი, სასჯელის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მანამ, ვიდრე არ შეიგონებს მმართველი ხელისუფლებისას და არ დაუთმობს ეკლესიას ყველაფერ იმას, რაც მის მიერ იქნა შეძენილი. კანონი მხოლოდ ვინმეს მიერ შეძენილ უძრავ ქონებას მოიხსენიებს, თუმცა, აქ, როგორც **ბალსამონი** ამბობს, უნდა ვიგულისხმოთ – მოძრავიც, რადგან სადაც საქმე ყიდვას ეხება, იქ აღარ არის განსხვავება უძრავსა და მოძრავ ქონებას შორის.* ყველაფერს, რაც კართაგენელი მამების მიერ ამ კანონშია ნათქვამი, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სასულიერო პირთთავის, რომლებიც თავიანთი მსახურებისას მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ რაც შეიძლება მეტი მიწა შეიძინონ, აიშენონ სახლები და, საერთოდ, რაც შეიძლება მეტად გამდიდრდნენ. ასეთ პირებთან მიმართებით **ნეტარი იერონიმე** ამბობს, მათ როგორც **შავი ჭირს, ისე მოერიდეთო.****

დასის წევრების კერძო ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ ვინმესგან საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიიღეს, კანონი ძირითად აღორძინებს მოციქულთა მე-40 კანონს. თუ ვინმემ ამ ქონების გარკვეული ნაწილის ეკლესიისათვის შეწირვა გადაწყვიტა და ამის შესახებ განაცხადა, მაგრამ შემდეგ დაეწანა და თავისი სიტყვები უკან წაიღო, ასეთ პირს საეკლესიო ღირსება ერთმევა, ანუ დასიდან ირიცხება, როგორც უღირსი.

კანონი 33 (42)

განჩინებულია აგრეთვე, რომ მღვდლებმა თავიანთი ეპისკოპოსების ნებართვის გარეშე არ გაყიდონ ეკლესიისათვის შემოწირული ნივთები. ასევე ეპისკოპოსებსაც არა აქვთ უფლება გაყიდონ ეკლესიის მიწები კრებასთან ან თავიანთ მღვდლებთან შეუთანხმებლად. ამის გამო, უკიდურესი საჭიროების გარდა, ეპისკოპოსებსაც არ აქვთ უფლება გახარჯონ ეკლესიის ნუსხაში შეტანილი ნივთები.

(მოც. 38, 39, 41; IV მსოფ. 25, 26; ტრულ. 35; VII მსოფ. 11, 12; ღანგ. 7, 8; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26; ორგზ. 7; თეოფილე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 2)

---

*ამ კანონის განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 383.

**„დაჟინებით გთხოვ... და ყოველთვის კვლავ და კვლავ შეგაგონებ, რომ კლირიკოსის მოვალეობა მსახურების ერთ-ერთ მრავალსახეობად არ ჩათვალო, ანუ იმ სამსახურის მსგავს სამსახურად, რომლითაც მანამდე იყავი დაკავებული; არ ეძებო ქრისტეს სამსახურში ამ წუთისოფლის სარგებელი... კლირიკოს-მოვაჭრეს კი, რომელიც ღატაკიდან მდიდარი გამხდარა, უჩინოდან – ყველასათვის საჩინო, მოერიდე, როგორც ერთგვარ შავ ჭირს“.

ეს კანონი ძირითადად ამ კრების 26-ე კანონის დამატებას წარმოადგენს. როგორც არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს საეკლესიო ქონების გაყიდვის უფლება შესაბამისი საეპისკოპოსო კრების თანხმობის გარეშე, ზუსტად ასევე, ვერც ერთი მღვდელი ვერ გაყიდის იმ ეკლესიის კუთვნილებას, რომელშიც მსახურობს, ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსის უნებართვოთ.

როდესაც ეპისკოპოსზე საუბრობს, კანონი შეგვახსენებს, რომ მან არ უნდა გაასხვისოს საეკლესიო ქონება გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამას ეკლესიის უკიდურესი გაჭირვება აიძულებს; მაშასადამე, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ეს გააკეთოს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავასხვავოთ მოძრავი ქონება უძრავისგან. ამ უკანასკნელის გასხვისება დაუშვებელია ეპისკოპოსთა კრებასთან ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავის სამღვდელო საბჭოსთან შეუთანხმებლად; თუ მას გადაუდებელი საეკლესიო საჭიროება აიძულებს ამ წესს გვერდი აუაროს და დამოუკიდებლად იმოქმედოს, მაშინ მან შემდგომში ამ გადაწყვეტილების აუცილებლობა და მართებულება საფუძვლიანად უნდა დაუმტკიცოს კრებას, რათა მისგან კეთილად იქნეს შეწყნარებული მის მიერ აღსრულებული ქმედება. თუ საქმე მოძრავ ქონებას ეხება, მაშინ ასეთი შემთხვევისათვის მოქმედებს მოციქულთა 41-ე კანონის განწესება, რომლის თანახმადაც, ეპისკოპოსს ხელეწიფება აუცილებლობიდან გამომდინარე, გაყიდოს ის და ამის შესახებ არ განუცხადოს კრებას და არც თავისი სამღვდელო საბჭოს აზრი მოისმინოს. ეს კართაგენის წინამდებარე კანონიდანაც ჩანს, სადაც მხოლოდ საეკლესიო მიწები მოიხსენიება, ანუ უძრავი ქონება, რომელიც ეპისკოპოსმა არ უნდა გაყიდოს კრებასთან ან თავის მღვდლებთან შეუთანხმებლად, მაშინ, როდესაც, მოძრავი ქონება საერთოდ არ მოიხსენიება, რომელიც შეიძლება გაფუჭდეს და ეკლესიაში მოსახმარებლად უვარგისი გახდეს, მაგრამ გაყიდვის შემთხვევაში შეიძლება რამე შემოსავალი შემოიტანოს, რადგან ფასი ჰქონდეს როგორც მასალას და არა – ნივთს. ეკლესიის ამ სახის საკუთრება პირადად ეპისკოპოსს თავისუფლად შეუძლია გაყიდოს, თუმცა, თავისთავად ცხადია, მხოლოდ ეკლესიის სასარგებლოდ და ეკლესიის საჭიროებისათვის.

კანონი 34 (43)

მასზედ, რომ იპონის კრებაზე განჩინებულთაგან არაფერს სჭირდება შესწორება.

ეპიღონიოს ეისკოპოსმა თქვა: იპონის კრების საქმეებიდან ამოკრებილ ამ შემოკლებაში* ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც შეიძლება შესწორებას ან დამატებას მოითხოვდეს, გარდა იმისა, რომ წმინდა აღდგომის დღე წინასწარ იქნეს უწყებული კრების დროს.**

(მოც. 7, 64, 70, 71; II მსოფ. 7; ტრულ. 11; ლაოდ. 7, 37, 38; კართ. 51, 73, 106)

---

*განჩინებების შემოკლებულ ნუსხაში.

ზემოთ მოყვანილი ხუთი კანონი (29-33) კართაგენის 419 წლის კრებამ მიიღო თავისი 25 მაისის სხდომაზე. ისინი **კანონთა კრებულის წიგნში შეტანილია ნომრებით – 38-42. **პიდალიონში** – 37-41. წინამდებარე (34-ე) კანონი შეადგენს კართაგენის 397 წლის კრების მე-5 კანონის დასაწყისს. **პიდალიონში** ის არ შედის, **კანონთა კრებულის** წიგნში კი შედის 43-ე ნომრით.

I მსოფლიო კრების განწესების ძალით, ალექსანდრიის ეპისკოპოსს ყოველწლიურად გარკვეულ დროს უნდა გაეცხადებინა ყველა ეკლესიისათვის იმ დღის შესახებ, რომელ დღესაც უნდა ედღესასწაულათ ქრისტეს აღდგომა. აფრიკულ ეკლესიებთან მიმართებით იპონის 393 წლის კრებამ დაადგინა,რომ ყველა სამთავრო ეკლესიამ უნდა იზრუნოს, რომ კართაგენის ეკლესიიდან დროულად მიიღოს შეტყობინება ამ დღესასწაულის დღესთან დაკავშირებით.* ეს დამტკიცდა, აგრეთვე, კართაგენის 397 და 419 წლების კრებებზე. ჩვეულებრივ, აფრიკული ეკლესიის საერთო კრება დგებოდა აგვისტოს თვის მეორე ნახევარში (იხ. 73-ე კანონი), შესაბამისად, საკმაოდ დიდი ხნით ადრე შეიძლებოდა იმის გაგება, თუ მომავალი წლის რომელ დღეს უნდა ედღესასწაულათ ქრისტეს აღდგომა.

კანონი 35 (44)

ეპისკოპოსები და სხვა სასულიერო პირები ნუ გაუშვებენ მოწიფული ასაკის შვილებს ცალკე საცხოვრებლად, თუ დარწმუნებულნი არ იქნებიან მათ კეთილ ზნეობაში, რათა შემდგომში მათი ცოდვები თავად მშობლებს არ მოეკითხოს.**

(მოც. 5, 17, 26, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 14; ტრულ. 5, 6, 12, 13, 30; VII მსოფ. 18; ანკირ. 19; ნეოკეს. 1, 8; ლანგ. 4, 15; კართ. 3, 4, 25, 70; ბასილი დიდის 12, 27, 88; ტიმოთე ალექსანდრიელის 5, 13)

ეს კანონი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აჩვენებს, რამდენად უსაფუძვლოა ლათინური ეკლესიის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ თითქოს კართაგენის კრებამ თავისი მე-3, მე-4, 25-ე და 70-ე კანონებით დადგინა **სამღვდელოების ცელიბატობა**. კართაგენის კრებას რომ მართლაც დაეწესებინა სასულიერო პირთა ცელიბატობა, მაშინ ისმის შეკითხვა: საიდან ეყოლებოდათ ეპისკოპოსებსა და სამღვდელო დასის სხვა წევრებს შვილები?

მშობლების ზედამხედველობისგან შვილების გათავისუფლება და მათთვის დამოუკიდებლობის (სრულუფლებიანობის) მინიჭება განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროს და აღესრულებოდა სათანადო სასამართლოს მიერ კანონიერი აქტით. მსგავსი **ემანსიპაცია** შეიძლება დამდგარიყო მაშინ, როდესაც ძე მიაღწევდა მეტ-ნაკლებად მოწიფულ ასაკს, მაგრამ ხშირად ხდებოდა, – როგორც ეს ახლაც ხდება, – რომ თავისუფლების მიმღებელნი გონივრულად ვერ იყენებდნენ თავიანთ სრულუფლებიან მდგომარეობას და, ამდენად, თავისუფლება მათ მხოლოდ და მხოლოდ ზიანს აყენებდა. კართაგენელი მამები სამოქალაქო სამართლის ამ დადგენილებაზე მიაქცევენ ეპიკოპოსებისა და დანარჩენი სამღვდელო დასის წევრთა ყურადღებას, და რეკომენდაციას აძლევენ მათ, არ მიანიჭონ შვილებს თავისუფლება იქამდე, ვიდრე ისინი არ შეიძენენ თავშეკავების უნარს და არ

*იმის შესახებ, თუ რომელი იყო ეს ეკლესიები, იხ. I მსოფლიო კრების მე-6 და კართაგენის კრების მე-18 კანონების განმარტებები.

**იპონის 393 წლის კრების მე-13 კანონი.

შესძლებენ იმოქმედონ თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად. ის პასუხისმგებლობა, რომელსაც კანონი მშობლებს აკისრებს შვილების ცოდვებისათვის, ღმრთის სამსჯავროსა და სულიერ სასჯელს უნდა დაეუკავშიროთ, რამეთუ, – როგორც **ბალსამონი** ამბობს,* – თავისი შვილების ცოდვებისათვის, იქნება ისინი ჩადენილი შვილების მშობლებთან ცხოვრებისას თუ ამის გარეშე, მშობლებს ვერც ბრალი წარედგინებათ და ვერც დაისჯებიან, რადგან, კანონის აზრით, ცოდვა თავს მიჰყვება** ეს კანონი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აჩვენებს თუ რაზომ ზრუნავს საეკლესიო ხელისუფლება არამხოლოდ თვით სასულიერო პირებზე, არამედ მათ შვილებსა და, ზოგადად, ყველა მათ ნათესავზე (შდრ. კართაგენის კრების 36-ე კან.)

კანონი 36 (45)

ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონები მანამდე ნუ დადგინდებიან, სანამ თავიანთ სახლეულთაგან ყველას არ მოაქცევენ მართლმადიდებლობაზე.***

(მოც. 58, 80; ტრულ. 19; სარდ. 11; კართ. 121, 123)

ამ კანონის აზრი საკმაოდ გასაგებია. თუკი სასულიერო პირი, უწინარეს ყოვლისა, სარწმუნოების მასწავლებელი უნდა იყოს და იზრუნოს არა მხოლოდ იმაზე, რომ თითოეული განამტკიცოს მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში, არამედ ამ სარწმუნოების ყოველგან გავრცელებაზეც, სადაც კი ხელეწიფება, მაშინ, რაოდენ სარწმუნო იქნება, რომ ამ წმინდა მოვალეობას შეასრულებს ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს სურვილი წმინდა დასში შევიდეს და, იმავდროულად, ჰყავს ისეთი შინაური, რომელიც არ აღიარებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და არ შეუძლია მისი ჭეშმარიტებისაკენ მოქცევა? ეყრდნობა რა ამას, კანონი კრძალავს სამღვდელო დასში იმ პირის მიღებას, ვისი ოჯახის წევრიც მართლმადიდებლურ სარწმუნოების აღმსარებელი არ არის.

კანონი 37 (46)

წმიდათა წმიდაში (საკურთხეველში) ნურაფერი შეიწირება, გარდა უფლის ხორცისა და სისხლისა, როგორც ეს თავად უფალმა გადმოგვცა, ანუ – გარდა პურისა და წყლით განზავებული ღვინისა. ხოლო პირველი ნაყოფები, გინდაც თაფლი, გინდაც რძე, ჩვეულების თანახმად, შეიწირებოდეს ერთ განსაზღვრულ დღეს, როგორც ჩვილთათვის განჩინებული საიდუმლო ნიში. თუმცა ეს ნაყოფები საკურთხეველთან მიიტანება, მაგრამ მათ, დაე, თავისი საკუთარი კურთხევა ჰქონდეთ, გამოყოფილი უფლის ხორცისა და სისხლისგან. ხოლო პირველ ნაყოფთაგან ყურძნისა და ხორბლის გარდა სხვას ნურაფერს მიიტანენ.****

(მოც. 3, 4; ტრულ. 28, 32, 57, 99.)

---

*ამ კანონის განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 398.

**ანუ ცოდვა პიროვნულია და თითოეული პირი თავად აგებს პასუხს საკუთარ ცოდვაზე.

***იპონის 393 წლის კრების მე-17 კანონი.

****იპონის 393 წლის კრების 23-ე კანონი.

ამ კანონის განწესების შესახებ, ჩვენ ძირითადად უკვე ვისაუბრეთ მოციქულთა მე-3 კანონის განმარტებაში; რაც შეეხება კანონის დადგენილებას იმის თაობაზე, რომ წმინდა ევქარისტიის საიდუმლოსათვის სხვა არაფერი უნდა შეიწირებოდეს, გარდა პურისა და წყალთან შერეული ღვინისა, იგი ტრულის კრებამ თავისი 32-ე კანონით ააღორძინა.

წინამდებარე კანონი მოიხსენიებს თაფლსა და რძეს; ჩეულების თანახმად, ისინი ერთ გარკვეულ დღეს შეიწირებოდა და საკურთხეველთან მიიტანებოდა, როგორც ჩვილთთათვის დაწესებული საიდუმლო ნიშანი. ეს რომ გავიგოთ, ამისათვის აუცილებელია გავიხსენოთ ეკლესიაში დამკვიდრებული ძველი ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ახალნათელღებულ პირებს, როგორც ქრისტეში აღმოშობილ ბავშვებს – ჩვილებს, აძლევდნენ თაფლსა და რძეს. ეს ჩვეულება, სხვათა შორის, ეფუძნებოდა წმინდა წერილის სიტყვებს: *„ვითარცა აწინდელ შობილთა ყრმათა, სიტყჳერისა მის უზაკუველისა სძისა გსუროდენ, რაჲთა მას შინა აღჰორძნდეთ“* (1 პეტ. 2, 2). ამ ჩვეულების შესახებ გვიმოწმებენ აგრეთვე ტერტულიანე და იერონიმე. ეს რძე და თაფლი ეკლესიაში მიჰქონდათ ქრისტეს აღდგომის დღისათვის; სწორედ ამ დღეს ხდებოდა ძირითადად კათაკმეველთა ნათლობა. რძესა და თაფლს აგებდნენ საკურთხეველში ტრაპეზზე ქრისტეს ხორცისა და სისხლის წმინდა საიუმლოებებთან ერთად და აკურთხებდნენ ისევე, როგორც პურსა და ღვინოს. ამის შემდეგ მათ აძლევდნენ ახალნათელღებულებს წმინდა ზიარებასთან ერთად (ანუ წმინდა ზიარების სახით). წინამდებარე კანონით კართაგენელი მამები აუქმებენ ამ ჩვეულებას, თუმცა, უშვებენ საკურთხეველში თაფლისა და რძის შეწირვას, მაგრამ, ამავე დროს, განაწესებენ, რომ ისინი ცალკე, ქრისტეს ხორცისა და სისხლისგან გამოყოფილად იკურთხოს. ტრულის კრება კი, თავისი 57-ე კანონით, საერთოდ კრძალავს საკურთხეველში თაფლისა და რძის შეწირვას.

კანონი 38 (47)

კლირიკოსები ან კრძალულები, ქვრივებთან და ქალწულებთან ნუ შევლენ, თუ არა მხოლოდ თავიანთი ეპისკოპოსის ან მღვდლების ნებართვითა და თანხმობით; თუმცა, ამ შემთხვევაშიც, დაე, შევიდნენ არა მარტონი, არამედ სხვა კლირიკოსებთან ან იმათთან ერთად, რომლებთან ერთადაც ეპისკოპოსს ან მხოლოდ მღვდლებს მიესვლებათ ასეთ დედებთან; ანდა ისაუბრონ მათთან იქ, სადაც კლირიკოსები იმყოფებიან, ან სხვა პატივცემული ქრისტიანები.*

(IV მსოფ. 3, 16; ტრულ. 4, 46, 47; VII მსოფ. 18, 20, 22)

წინამდებარე კანონში მოხსენიებულ „კლირიკოსებში“, დანარჩენი ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიგულისხმოთ უქორწინებელი პირები – დიაკვნიდან და ქვევით; „კრძალულებში“ იგულისხმება მონოზვნები (იხ. ბასილი დიდის მე-19 კან.). შესა-

*იპონის 393 წლის კრების 24-ე კანონი.

ბამისად, ამ კლირიკოსებსა და კრძალულებს კანონი უკრძალავს ქვრივებთან და ქალწულებთან შესვლას. „ქალწულებში", – ამბობს **ზონარა**, – უნდა ვიგულისხმოთ **შეწირული** ქალწულები,* რომელთა შესახებაც ჩვენ საუბარი გვქონდა IV მსოფლიო კრების მე-16 და ტრულის კრების მე-4 კანონების განმარტებებში. რაც შეეხება ამ კანონში მოხსენიებულ „ქვრივებს", ისინი იყვნენ ეკლესიის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დედაკაცები, რომლებზეც ეკლესია ზრუნავდა (იხ. IV მსოფლიო კრების მე-3 კან.) და განუწესებდა მათ ტაძრებში გარკვეულ მოვალეობების შესრულებას. რაიმე სახის ეჭვისა და დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად (შდრ. 1 კორ. 10, 32), კანონი განაწესებს, რომ ასეთ ქალებთან კლირიკოსები და კრძალულები შეიძლება შევიდნენ მხოლოდ მმართველი ეპისკოპოსის კურთხევით, ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, იმ მღვდლების ნებართვით, რომლებიც ეპისკოპოსთან მსახურობენ და მისი საბჭოს წევრები არიან. თუმცა, ნებართვის მიღების შემთხვევაშიც კი, მოხსენიებულ ქალებთან შესვლა მათ შეუძლიათ სხვა არანაირად, თუ არა სხვა კლირიკოსების ან იმ პირთა თანხლებით, რომლებთან ერთადაც მათთან მოსანახულებლად შედის ეპისკოპოსი; და მათთან საუბარიც, ასევე შეუძლიათ სხვა კლირიკოსების ან საპატივცემულო ქრისტიანების თანდასწრებით.

კანონი 39 (48)

პირველმოსაყდრე ეპისკოპოსი ნუ იწოდება სამღვდელოთა ეგზარქოსად, ან უმაღლეს მღვდლად, ანდა რამე ამდაგვარი სახელწოდებით, არამედ იწოდოს ოდენ პირველი საყდრის ეპისკოპოსად.**

(მოც. 34; IV მსოფ. 9; სარდ. 6)

როგორც ამ კრების მე-17 კანონის განმარტებაში ვიხილეთ, აფრიკულ ეკლესიაში ბევრი უპირატესი კათედრა (ანუ სამიტროპოლიტო ეკლესია) იყო. მართალია, ამ უპირატესი კათედრების ეპისკოპოსები აფრიკაში სხვადასხვაგვარად იწოდებოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი ყოველთვის მაღალ ტიტულს ფლობდა.*** ამ საპატიო წოდებების გამო ხშირად ხდებოდა მათ შორის კამათი და დავა; განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ კართაგენის ეპისკოპოსის შემდეგ, რომელსაც აფრიკის პირველიერარქი ეწოდებოდა, პირველ ეპისკოპოს-პრიმასად ითვლებოდა ქიროტონიით უხუცესი. დავის აღსაკვეცად, აგრეთვე ამაოებისა და ამპარტავნების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, კანონი უკრძალავს უპირატესი კათედრის ეპისკოპოსს იწოდებოდეს სამღვდელოთა ეგზარქოსად ან უმაღლეს მღვდლად (მღვდელთა ზედამდგომელად), და ტოვებს მისთვის მხოლოდ პირველი საყდრის ეპისკოპოსის („პრიმასის" ანუ უპირველესის) ტიტულს.****

*ამ კანონის განმარტება იხ. ათენის სინტაგმაში, III, 402.

**იპონის 393 წლის კრების 25-ე კანონი.

***იხ. ამ კანონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 404.

****იხ. ამ კანონის განმარტება „კორმჩაიაში" (საჭეთმპყრობელი), I, 133.

კანონი 40 (49)

კლირიკოსები ნუ შევლენ საჭმელ-სასმელად სამიკიტნოებში, თუ არა მხოლოდ დანაყრების აუცილებლობით იძულებულნი გზაზე დგომისას.*

(მოც. 54; ტრულ. 9; ლაოდ. 24)

იხ. მოციქულთა 54-ე კანონის განმარტება.

კანონი 41 (50)

საკურთხევლის წმიდა საიდუმლო, დაე, უზმოზე მყოფ ადამიანთა მიერ აღესრულებოდეს. აქედან გამონაკლისია ერთი დღე წელიწადში, როცა უფლის სერობა აღესრულება. ხოლო თუკი საღამო ხანს აღასრულებენ გარდაცვლილ ეპისკოპოსთა ან სხვათა ხსენებას და ამ დროს აღმსრულებლები ნავახშმეენი არიან, მაშინ იგი მხოლოდ ლოცვებით აღესრულოს.**

(მოც. 69; ტრულ. 29; ლაოდ. 50; ანტიოქ. 1; კართ. 47; ტიმოთე ალექსანდრიელის 16)

ის, რომ იესო ქრისტემ ევქარისტიის საიდუმლო დააწესა სერობის (ვახშმობის) შემდეგ, ანუ საკვების მიღების შემდეგ და არა სერობამდე, — მოწმობს როგორც წმინდა წერილი (იხ. ლუკ. 22,20; 1 კორ. 11,25), ასევე ეკლესიის მრავალი მამა და მოძღვარი. თუმცა, იმავდროულად, ეკლესიის მამები და მოძღვრები მოწმობენ იმისაც, რომ წმინდა ევქარისტიის საიდუმლო ეკლესიის დასაბამიდანვე აღესრულებოდა ყველას მიერ მხოლოდ უზმოზე. როგორც ჩანს, აფრიკულ ეკლესიაში ისეთი პირებიც იყვნენ, რომლებიც ამ წესს არ იცავდნენ, რის გამოც მიიღეს წინამდებარე კანონი, რომელიც განაწესებს, რომ საკურთხევლის საღმრთო მსახურება მხოლოდ უზმოზე შეიძლება.

ამ კანონის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უშვებს ევქარისტული საიდუმლოს აღსრულებას წელიწადში ერთხელ საჭმლის მიღების შემდეგაც, კერძოდ — **დიდ ხუთშაბათს**. სავარაუდოა, რომ ასეთ დაშვებას კავშირი ჰქონდეს მცირე აზიის ეკლესიების ჩვეულებასთან, შეწყვიტონ მარხვა პირველი თვის (ნისანის) მე-14 დღეს, როდესაც აღესრულებოდა უფლის სერობის ხსენება და რომლის აღსანიშნავადაც აწყობდნენ განსაკუთრებულ ტრაპეზს — სერობას (ვახშამს), იმის მსგავსს, რომელიც იესო ქრისტემ თავის მოწაფეებთან ერთად მოაწყო, და ამის შემდეგ ეზიარებოდნენ წმინდა საიდუმლოს (იხ. ანტიოქიის კრების 1 კანონის განმარტება). ყველაფერი, ჩვენ მიერ თქმული, დასტურდება **ნეტარი ავგუსტინეს** სიტყვებით მის ეპისტოლეში იანუარის მიმართ: „ზოგს ფრიად ეამა ის ნამდვილად მოსაწონი წესი, რომლის თანახმადაც, წელიწადის მხოლოდ ერთ დღეს, როდესაც უფალმა სერობა გამართა, ვახშმობის შემდეგ შეიძლებოდა შეთავაზება და მიღება უფლის ხორცისა და სისხლის, ერთგვარად,

*იპონის 393 წლის კრების 26-ე კანონი.

**იპონის 393 წლის კრების 28-ე კანონი.

უფრო ნათელი მოგონებისათვის...". ეს წესი, ვგონებ, ეკლესიაში გრძელდებოდა VII საუკუნემდე, როდესაც ის გადაჭრით აიკრძალა ტრულის კრების 29-ე კანონით.

განაგრძობს რა დადგენილებას იმის შესახებ, რომ ევქარისტია ყოველთვის (დიდი ხუთშაბათის გარდა) უზმოზე უნდა აღესრულებოდეს, კანონი განიხილავს, აგრეთვე, ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ტრაპეზის შემდეგ ხდება გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდის ჩატარება (ამ დროს, ჩვეულების თანახმად, წირვასაც აღასრულებდნენ). ამასთან დაკავშირებით კანონი ადგენს,რომ ლიტურგია უნდა აღასრულოს უზმოზე მყოფმა მღვდელმსახურმა, ხოლო თუ ის უზმოზე არ არის,მაშინ მოსახსენებელი პანაშვიდი მხოლოდ ლოცვებით უნდა შემოიფარგლოს, ლიტურგიის გარეშე.

კანონი 42 (51)

ეპისკოპოსები ან სხვა კლირიკოსები ეკლესიაში ნუ ინადიმებენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგზაურობისას იძულებულნი გახდებიან მოსასვენებლად ტაძარში გაჩერდნენ. ერისკაცებსაც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აეკრძალოთ ამის გაკეთება.*

(მოკ. 73; ტრულ. 74, 76, 97; ღანგ. 11; ლაოდ. 27, 28)

ეს არის იპონის 393 წლის კრების 29-ე კანონი და მიღებულ იქნა **ნეტარი ავგუსტინეს** წინადადებით. მანამდე იგი ბევრს წერდა ეკლესიაში შეჭრილი იმ ბოროტი ჩვეულების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, ტაძრებში ზოგჯერ აწყობდნენ (განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში) ერთგვარ ნადიმს. თავიდან ეს წვეულებები და ურთიერთგამასაპინძლებები კეთილი განზრახვით იწყებოდა: მასში იდო აღაპის (სიყვარულის ტრაპეზის) შინაარსი, და ღატაკ თანამოძმეთა დაპურებას ემსახურებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს, ჩვეულებრივ, მთავრდებოდა სიმთვრალითა და დებოშით. იგივე მოხდა აღაპებთან დაკავშირებით; ამის შესახებ საუბრობს ლაოდიკიის კრების 28-ე კანონი და კრძალავს მათ, მსგავსად იმისა, როგორც კართაგენის კრების ეს კანონი ამტკიცებს იპონის კრების დადგენილებას და კრძალავს ამ ნადიმებს. იქიდან, რომ კანონი უშვებს, მიუხედავად ყოველივე ამისა, გამვლელი მგზავრის ტაძარში გამასპინძლებას, ჩანს, თუ რამდენად ღრმად ჰქონდა გამდგარი ფესვი აზრს იმის შესახებ, რომ ღმერთის სახლში შეიძლებოდა ჭამა და სმა. გადაჭრით უკვე, მსგავსი ნადიმების აკრძალვა არამხოლოდ ეკლესიაში, არამედ მის გალავანშიც, მიიღო ტრულის კრებამ თავისი 74-ე კანონით.

კანონი 43 (52)

დრო სინანულისათვის მონანულთ, მათი ცოდვებისდა მიხედვით, დაუწესდეთ ეპისკოპოსთა მსჯავრით (განაჩენით, გადაწყვეტილებით); მღვდელი კი, ეპისკოპოსის უნებართვოდ, ნუ შეიწყნარებს მონანულს, გარდა ისეთი შემთხ-

*იპონის 393 წლის კრების 29-ე კანონი.

ვევებისა, როცა საჭიროების გამო იქმს ამას ეპისკოპოსის არყოფნისას. ზოგადად კი, ყველა მონანულს, თუკი მისი ბრალი აშკარა და ყველასათვის ცნობილი იყო, და აღაშფოთებდა მთელ ეკლესიას, ხელი დაადონ ეკლესიის კარიბჭეში.*

(მოც. 52; I მსოფ. 11, 13; ტრულ. 102; ნეოკეს. 2; კართ. 6, 7; ბასილი დიდის 73, გრიგოლ ნოსელის 2, 5)

წინამდებარე კანონი სამ საკითხზე საუბრობს. **პირველი** — მონანულთათვის სინანულის დროის განსზღვრა მათი ცოდვების გვარობისა და ხარისხის მიხედვით, ხელეწიფება მხოლოდ ეპიკოპოსს. ამის შესახებ ტრულის 102-ე კანონიც ლაპარაკობს. **მეორე** — მღვდელს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია შეუნდოს მონანულ ცოდვილს და ისიც ეპისკოპოსის არყოფნისას, რომლის ხელმწიფებაშიც შედის ეს უფლება (იხ. კართაგენის კრების მე-7 კან.) **მესამე** — დიდი ცოდვილები, რომელთა დანაშაულიც ყველასათვის იყო გაცხადებული და საზოგადოების ცდუნებას ემსახურებოდა, მათთვის განჩინებული სინანულის ვადის გასვლის შემდეგ, შენდობას იღებენ საჯაროდ ეკლესიის კარიბჭის წინ, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლმობიერ-ჰყოფენ საღმრთო სამართალს, დაიშვებიან ეკლესიაში ერთგულ მორწმუნეებთან ერთად.

კანონი 44 (53)

ღმერთისათვის შეწირული ქალწულები, როცა თავიანთ მშობელ მამებს — მათ შემკრძალველებს განეშორებიან, ეპისკოპოსის მზრუნველობით, ან მისი არყოფნისას — მღვდლის მეურვეობით, დაე, მიბარებულ იქნენ უპატიოსნეს დედებთან; ანდა ერთად იცხოვრონ და თანაზიარად დაიცვან ერთურთი, რათა აქეთ-იქით მოგზაურობისას (მიმოსვლისას) არ შებღალონ ეკლესიის კეთილი სახელი.**

(IV მსოფ. 16; ტრულ. 4; კართ. 6, 126; ბასილი დიდის 18)

ტრულის კრების მე-4 კანონის განმარტებიდან ვიცით, თუ ვინ იყვნენ ეს შეწირული ქალწულები, რომელთა შესახებაც წინამდებარე კანონი ლაპარაკობს. ხოლო ამავე კრების (კართაგენის) მე-6 კანონში ვიხილეთ, რომ ქალწულების შეწირვის უფლება, რომლებმაც თავიანთი თავი ღმერთს მიუძღვნეს, მხოლოდ ეპისკოპოსს ეკუთვნოდა. წინამდებარე კანონი მიუთითებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ამ ღმერთს შეწირულმა ქალწულებმა; კერძოდ, როდესაც ისინი საკუთარ მშობლებს დაშორდებიან, რომლებიც მათზე ზრუნავდნენ და ზედამხედველობას უწევდნენ სახლში ცხოვრების პერიოდში, მას შემდეგ, რაც შეწირვის კურთხევას მიიღებენ, არ უნდა დარჩნენ საკუთარი თავის ანაბარა, არამედ ეპისკოპოსმა, ან, მისი არყოფ-

*იპონის 393 წლის კრების 30-ე კანონი; კანონთა კრებულში — 52-ე; პიდალიონში — 50-ე.
**იპონის 393 წლის კრების 31-ე კანონი.

ნის შემთხვევაში ამის უფლების მქონე მღვდელმა, საზედამხედველოდ უნდა ჩააბაროს ისინი ღვთისმოშიშ დედაკაცებს, რომლებიც ყურადღებას მიაქცევენ, რომ იცხოვრონ მიცემული აღთქმის შესასრულებლად. თუკი ღმერთისთვის შეწირული ქალწულები ერთად ცხოვრობენ ზოგადსაცხოვრებელში, მაშინ კანონი განუწესებს ერთმანეთზე ზრუნვას, ცხადია, ეპისკოპოსის, მღვდლის ან სულიერი მოძღვრის ზედამხედველობის პირობებში. როგორც კანონიდან ჩანს, ეს საეკლესიო ზედამხედველობა არ იყო საკმარისად მკაცრი, რამეთუ, მათ შეეძლოთ ეცხოვრათ ცალკე და საკუთარი შეხედულებისამებრ აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. ეს, ზოგიერთი მათგანის მიმართ, ეჭვს ბადებდა და ძირს უთხრიდა ეკლესიის ავტორიტეტს. ამის გამო, იპონის 393 წლის კრებამ მიიღო წინამდებარე კანონი, რომელიც კართაგენის წმინდა ადგილობრივი კრების (ჩატარდა 419 წელს) მამებმაც გაიზიარეს.

კანონი 45 (54-55)

54. სნეულნი, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის გამო სიტყვის მიგება, დაე, მაშინ მოინათლონ, როცა, მათი ნების შესაბამისად, სხვები თავიანთი პასუხისმგებლობით დაამოწმებენ მათზე.

55. სამარცხვინო სანახაობების მსახიობები და მქირდველნი (მკრეხელნი) და სხვა ასეთი პირები, ან განდგომილები, რომლებიც შეინანებენ და ღმერთისაკენ მოიქცევიან, დაე, ნუ მოაკლდებიან შემორიგების მადლს.*

(მოც. 46, 47, 49, 52, 61, 75, 80; I მსოფ. 2, 9, 11, 12; ტრულ. 24, 51, 95, 102; VII მსოფ. 8; ლაოდ. 2,3,12,17,47,75; ნეოკეს. 12; კართ. 63; ორგ ზ. 17; ბასილი დიდის 1, 5, 88; კირილე ალექსანდრიელის 4, 5; გრიგოლ ნოსელის 1, 4)

წინამდებარე კანონი ორ ცალკეულ განწესებას შეიცავს:

1) ზრდასრულ ადამიანთა ნათლისღება (რამეთუ ასეთებზეა ამ კანონში საუბარი) სრულფასოვანი რომ იყოს, ამისათვის საჭიროა მათ ამ საიდუმლოს აზრი ესმოდეთ და გულწრფელად სწამდეთ (შდრ. VII მსოფლ. 8). ამიტომ არ შეიძლება იმ პირის მონათვლა, რომელიც იმდენად მძიმე ავადმყოფია, რომ პასუხის გაცემა არ შეუძლია. ამ აზრს კატეგორიულად გამოხატავს ეს (45-ე) კანონი. იგი უშვებს ასეთი პირების მონათვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ისეთი პირი გამოჩნდება, რომელიც, ერთი მხრივ, ეკლესიის ნდობას იმსახურებს და, მეორე მხრივ, დაამოწმებს, რომ ავადმყოფს მართლაც სურდა მონათვლა და როცა ის გონზე იყო, ეს სურვილი მისთვის განუცხადებია. ამგვარ შემთხვევაში კანონი უშვებს ავადმყოფის მონათვლას, მაგრამ აუცილებლად იმ პირის პირადი პასუხისმგებლობით, რომელმაც დაამოწმა ავადმყოფის სურვილი ამის თაობაზე და თავდებად უდგება, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში იგი ნამდვილად იქნება მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი. რაც შეეხება თვით ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებას ავადმყოფებზე, ამის თაობაზე იხ. ნეოკესარიის მე-12 და ლაოდიკიის 47-ე კანონების განმარტებები.

*იპონის 393 წლის კრების 32-ე და 33-ე კანონები.

2) მსახიობები და ტაკიმასხარები ამ კანონში გათანბრებულნი არიან ქრისტეს სარწმუნოებიდან განდგომილებთან. რა თქმა უნდა, აქ ის მსახიობები და კომიკოსები იგულისხმება, რომლებიც კანონში აღწერილ ქმედებებს წარმოაჩენენ სხვადასხვა სცენაზე და რომელთა შესახებაც საუბარია ტრულის კრების 24-ე და 51-ე კანონების განმარტებებში. ყველა ამ ცოდვილთა მიმართებით კანონი განაწესებს, რომ თუკი ისინი შეინანებენ საკუთარ ცოდვებს და ღმერთისკენ მიიქცევიან, ანუ მოითმენენ მათთვის განსაზღვრულ სისანულის ვადას (იხ. I მსოფლო კრების მე-11 კან.), მაშინ მათ არ უნდა აეკრძალოთ საღმრთო მადლი და ეკლესიასთან შემორიგება.

კანონი 46 (56)

ნებადართულია მომავალშიც იკითხებოდეს მოწამეთა მარტვილობანი იმ დღეებში, როცა მათი ყოველწლიური ხსენება აღესრულება.*

(მოც. 60; ტრულ. 63; ათანასე ალექსანდრიელის „დღესასწაულების შესახებ“)

ამ კრების 24-ე კანონის განმარტებაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ის შედგენილია იპონის კრების 36-ე კანონიდან. მასში ჩამოთვლილი იყო წმინდა წერილის ის წიგნები, რომლებიც კანონიკურად მიღებულია ეკლესიაში საკითხავად, ამასთან, დასკვნაში (იპონის კრების 36-ე კანონის) ნათქვამი იყო, რომ გარკვეულ დროს ეკლესიაში შეიძლება იკითხებოდეს მოწამეთა ცხოვრებები, რომლებიც მათ ღვაწლსა და წამებას ასახავენ. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზეა შედგენილი კართაგენის წინამდებარე (46-ე) კანონი. მოხსენიებული 24-ე კანონით განიწესება, წმინდა წერილის რომელი წიგნები შეიძლება, ჩვეულებრივ, იკითხებოდეს ეკლესიაში, და ჩამოთვლილის გარდა იკრძალება სხვა ნებისმიერი წიგნის წაკითხვა. ეს (46-ე) კანონი კი უშვებს წელიწადის იმ დღეებში, როდესაც აღესრულება წმინდა მოწამეთა ხსენება, იკითხებოდეს მათი წამების აღწერა.

კანონი 47 (57-58)

57. დონატისტებისა და მათ მიერ მონათლული ბავშვების შესახებ.

კეთილად განვსაჯეთ ჩვენ, რომ ჩვენს ძმებსა და თანამწირველთ — სიროკონს და სიმპლიკიანონს ეკითხოთ დონატისტების მიერ მონათლული ჩვილების შესახებ, რათა იმან, რაც მათზე აღასრულეს არა მათი ნებელობით, არამედ მშობლების ცდომილების მიზეზით, ხელი არ შეუშალოს მათ კურთხევას წმინდა საკურთხეველის მსახურებად, როცა ღვთის ეკლესიისკენ მოიქცევიან მაცხონებელი განწყობით.

58. ონორატოსმა და ორბანოსმა, სიტიფენის მავრიტანიის ქვეყნის ეპისკოპოსებმა, თქვეს: ჩვენ გვსმენია ნიკეის კრების სარწმუნოების აღსაარე-

*იპონის 393 წლის კრების 36-ე კანონი.

ბიდან ნაშუადღევს აღსრულებული მღვდელმოქმედების შესახებ, რომ ჭეშმარიტად ასეა: უჭმელის მიერ ღირსეულად აღესრულება. და მაშინ დამტკიცებულ იქნა ესეც.*

(ტრულ. 29; ანკირ. 3; კართ. 1, 41, 57, 67, 68, 69, 91, 99, 117, 118, 119, 124; ბასილი დიდის 1)

წინამდებარე კანონი ორ სრულიად სხვადასხვა საკითხზე საუბრობს: კანონის პირველი ნაწილი დონატისტების შესახებ განწესებას შეიცავს, მეორე – წმინდა ზიარების საიდუმლოს ეხება.

1) IV საუკუნის მეორე ათწლეულიდან მოყოლებული, დონატისტების შესახებ საკითხი რამდენიმე კრებაზე იქნა წამოჭრილი. როგორც ჩანს, დონატისტები, ეკლესიაში ოდესმე არსებულ სქიზმატებს შორის, ყველაზე კადნიერები ყოფილან. ეს განხეთქილება აფრიკის საკონსულოში წარმოიშვა მაშინვე, როგორც კი დასრულდა დიოკლეტიანეს დევნილობის ხანა. რამდენიმე ეპისკოპოსმა, ნუმიდიის პრიმასის, სეკუნდის მეთაურობით გაილაშქრეს ზოგიერთი სასულიერო პირის წინააღმდეგ და განიკითხავდნენ მათ იმის გამო, რომ არასაკმაო შემართებით მიდიოდნენ ტანჯვაზე დევნილობისას, და თუმც ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავიანთი სარწმუნოებას, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, რათა თავი დაეღწიათ მდევნელებისგან, რაც, სხვათაშორის, სავსებით პასუხობდა კანონს მოწამეობის შესახებ (იხ. ანკირიის მე-3 კან.). ის შეუპოვრობა, როგორითაც მოხსენიებული ეპისკოპოსები თავიანთ შეხედულებას იცავდნენ, საბოლოდ გადაიზარდა სასტიკ ფანატიზმში, და იქამდე მივიდა, რომ ისინი საეკლესიო ერთობასაც კი გაურბოდნენ იმ პირებთან, რომლებიც არ იზიარებდნენ მათ შეხედულებას, და ასეთებს სარწმუნოების მოღალატეებად თვლიდნენ. სხვებთან ერთად, სარწმუნოების ღალატში ისინი ბრალს სდებდნენ აგრეთვე კეთილმსახურ და ეკლესიის სასიკეთოდ დამაშვრალ კართაგენელ ეპისკოპოსს მანსურის, იმ მიზეზით, რომ დევნილობის ჟამს, წამების თავიდან ასაცილებლად, მან მდევნელებს ბიბლიის მაგივრად რაღაც მწავლებლური წიგნები შეაჩერა. მათი დაჟინებული მოთხოვნით, ამ საქმის გამოსაძიებლად და მანსურის გასასამართლებლად, დაინიშნა საგანგებო კომისია. ამ დროს მანსური გარადაიცვალა; კართაგენის ეკლესიის მმართველობა დროებით მისი პირველი თანაშემწის, სწავლული და კეთილმსახური ცეცილიანეს ხელში გადავიდა. ფანატიკოსების მხრიდან მოთხოვნილი კომისია შეიკრიბა კართაგენში 312 წელს; თავმჯდომარეობდა ამ ფანატიკოსების მფარველის, ნუმიდიის ეპისკოპოს სეკუნდის წარმომადგენელი დონატოს, ეპისკოპოსი Casis de nigris. კომისიამ, რა თქმა უნდა, დაადანაშაულა გარდაცვლილი მანსური, რამაც მართლმადიდებლების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და მათ შეწყვიტეს ფანატიკოსებთან ყოველგვარი ურთიერთობა. დონატისტებმა კი ამ დროისათვის აფრიკაში უკვე ბევრის გადაბირება მოასწრეს და თავისი მხრიდანაც შეწყვიტეს ყოველგვარი კავშირი მართლმადიდებლებთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კართაგენის

*ეს კანონი შეადგენს იპონის 393 წლის კრების 37-ე კანონისა და კართაგენის 397 წლის I კანონის დასაწყისის ერთობლიობას.

ეპისკოპოსად ცეცილიანე იქნა დადგინებული. იმავე წლის შემოდგომაზე, კართაგენში, თავისი მიმდევრების მონაწილეობით, დონატისტებმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კრება მოიწვიეს, სადაც ცეცილიანე ულირს ეპიკოპოსად გამოაცხადეს და თავად გამოირჩიეს კართაგენის ეკლესიის კათედრისათვის მათი თანამზრახველი მაიორინი. იმავე კრებაზე დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანად მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო აღიარებული, ვინც მათ სწავლებას იზიარებდა, — ყველა დანარჩენი მწვალებლად გამოაცხადდა. ამავე დროს, „აღმოაჩინეს", რომ წმინდა საიდუმლო ყველგან შეერყვნათ და, სწორად, თურმე, მას მხოლოდ მათი სასულიერო პირები ასრულებდნენ. ამიტომ, ამის საფუძველზე დაადგინეს, თავიდან მოენათლათ ყველა ის პირი, ვინც მათთან თანაზიარებას გადაწყვეტდა. ასევე, თავიდან ახდენდნენ იმ სასულიერო პირების ხელდასხმას, რომლებიც მათთან ერთობაში გადაწყვეტდნენ მღვდლად ან ეპისკოპოსად მსახურებას და, საერთოდ, თავიდან ატარებდნენ ყველა იმ საიდუმლოს, რომელიც ვინმეს მიმართ აღსრულებული იყო მათი საზოგადოების გარეთ. ასე წარმოიშვა ეკლესიაში განხეთქილება. მაიორინმა ამის შემდეგ ძალიან ცოტა ხანს იცოცხალა და მის ადგილზე ვინმე დონატი აირჩიეს. ამ დონატის (მას შემდგომში დიდი უწოდეს) და სხვა — ყოფილი Casis de nigris ეპისკოპოსის სახელებიდან მიიღეს ამ სქიზმატებმა სახელწოდება **დონატისტები**. ისინი საკმაოდ მჭიდროდ გაერთიანდნენ და ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც მართლმადიდებლებს აფრიკაში, ისე სახელმწიფო ხელისუფლებასაც, რომელიც არ იწონებდა მათ ფანატიზმს. მალე მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი და გარკვეული დროის შემდეგ, მათ უკვე ეხედავთ სექტებად დაყოფილებს: ცირკუმცელიანელნი, პრიმიანისტოველნი, მაქსიმიანიტელნი და ა. შ. მიუხედავად რამდენიმე სექტად დაყოფისა, ისინი ერთსულოვანნი იყვნენ მართლმადიდებლებთან მტრობაში. ბუნებრივია, რომ ასეთი განხეთქილება ზიანის გარდა ვერაფერს მოუტანდა ეკლესიას. მიიღეს რა ყველაფერი ეს მხედველობაში, მით უმეტეს, რომ დონატისტები საწმუნოების საფუძველში არაფერს სცოდავდნენ, მართლმადიდებელმა ეპისკოპოსებმა თავიდანვე და, მით უფრო, მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად იპონის ეპისკოპოსი **ნეტარი ავგუსტინე** გამოვიდა, გადაწყვიტეს სქიზმატებს მოქცეოდნენ რაც შეიძლება ლმობიერად, გამოეყენებინათ ყველაზე რბილი საშუალება თანაზიარებაში მათ დასაბრუნებლად და საეკლესიო მშვიდობის აღსადგენად (იხ. კართაგენის 66-ე კან. და სხვა). მშვიდობის აღდგენა ძალიან ძნელად ხდებოდა და არცთუ იშვიათად მართლმადიდებლები იძულებულნი ხდებოდნენ დახმარებისათვის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მიემართათ. ამ კრების კანონებიდან ბევრია ისეთი, რომელიც დონატისტების საკითხს ეხება, — როგორც ამას შემდგომში ვიხილავთ, — და ყოველთვის ჩვენ მიერ აღნიშნული აზრით. კართაგენის წინამდებარე (47-ე) კანონი ლაპარაკობს დონატისტების მონათლვაზე. ხელმძღვანელობენ რა იმ პრინციპით, რომ საჭიროა ლმობიერად მიუდგნენ ამ ფანატიკოს-სქიზმატებს, კანონი აღიარებს მათ ნათლობას და უშვებს მართლმადიდებლურ დასში მათგან იმ პირების მიღებას, რომლებიც, როგორც ყრმები, მოინათლნენ დონატისტებთან, რადგან კანონის სიტყვებით, შვილებს ბრალი არ მიუძღვით მშობლების ცდომილებაში და, თანაც, მათი ცდომილება არ ეხებოდა ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლებს. თუმცაღა,

კანონი დასძენს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი მაცხონებელი განწყობით მიმართავს საღმრთო ეკლესიას და, აღიარებს რა მშობლების შეცდომას, დაგმობს მათ.

2) ამ კანონის მეორე ნაწილში კრების მამები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ნიკეის დადგენილებით,როგორც მათთვის ცნობილია,საღმრთო ლიტურგიის აღსრულება მხოლოდ უზმოზე შეიძლება, რასაც წინამდებარე კანონით ადასტურებენ. ნიკეის კრების (I მსოფ.) კანონებს შორის ასეთი დადგენილება არ არის, მაგრამ შესაძლოა ამის შესახებ ემსჯელათ ნიკეის კრებაზე, ისევე როგორც იმსჯელეს აღდგომის დღესასწაულის დღისა და მღვდლებისთვის დაქორწინების ნებართვასთან დაკავშირებით და გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნა, რომელიც იმ აქტებში ყოფილიყო ასახული, რომლებიც აღნიშნული კრებიდან აფრიკელმა მამებმა ჩამოიტანეს (იხ. კართ. 1); მაგრამ ჩვენ ვერ ვირწმუნებთ, რომ ამ კანონით კართაგენელ მამებს სურდათ დაემოწმებინათ 41-ე კანონით გამოცემული განწესება იმის თაობაზე, რომ დიდ ხუთშაბათს ლიტურგიის აღსრულება შეიძლება საჭმლის მიღების შემდეგაც, – როგორც ამას **არქიმანდრიტი** იოანე ამტკიცებს თავისეულ განმარტებაში. პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს (47-ე) კანონი მიღებულია კრების იმავე სხდომაზე (419 წლის 25 მაისის), რომელ სხდომაზეც – დასახელებული 41-ე კანონი, რის გამოც გაუგებარი იქნებოდა, ერთი კანონის მიღების შემდეგ, რატომ უნდა მიეღოთ კრების მამებს იმავე დღეს და იმავე სხდომაზე მისი გამაბათილებელი კანონი; მეორეც, დასახელებული (41-ე) კანონი რომ თვით კართაგენელ მამებს გაეუქმებინათ, მაშინ ტრულის კრების მამებისთვის სრულიად ზედმეტი იქნებოდა თავიანთი 29-ე კანონით ასე მძაფრად გაენადგურებინათ კართაგენის კრების 41-ე კანონის განწესება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ (47-ე) კანონით, ეყრდნობოდნენ რა I მსოფლიო კრების დადგენილებას, კართაგენელ მამებს იმის დადასტურება სურდათ, რომ საღმრთო ლიტურგია ზოგადად მხოლოდ უზმოზე უნდა აღსრულოს და სხვა არანაირად; რაც შეეხება დიდ ხუთშაბათთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვებას, ეს შემდგომშიაც გრძელდებოდა და ამიტომ მისი გაუქმება ტრულის კრებას მოუხდა.

კანონი 48 (59)

ჩვენთვის მოცემული დავალებით, გთავაზობთ ამასაც, განჩინებულს კაპუოში შემდგარ კრებაზე, რამეთუ დაუშვებელია ხელმეორედ მონათვლა ან ხელმეორედ ხელდასხმა, ანდა ეპისკოპოსების გადასვლა სხვა საყდარზე. რეგტენსის მხარის ეპისკოპოს რეკტენიოსმა უგულებელყო და მიატოვა თავისი სამწყსო, შეიჭრა ვიკენის ეკლესიაში და დღემდე, მიუხედავად კანონთა შესაბამისად მისი მრავალი შეგონებისა, მაინც არ ისურვა იმ ეკლესიის დატოვება, რომელიც მიიტაცა. ამის შესახებ ჩვენ მოვისმინეთ ზემოთ უწყებული, როგორც სარწმუნო, და ჩვენთვის მოცემული დავალების შესაბამისად, ვითხოვთ თქვენს კეთილნებას მოგვეცეს ჩვენ უფლება, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მის დასაცხრომად, მივმართოთ ქვეყნის მთავარს, სახელოვან მეფეთა ბრძანებებისამებრ, რათა ის, ვინც არ ისურვა

დამორჩილებოდა თქვენი სიწმინდის მშვიდ შეგონებას და გამოესწორებინა ყოვლადდაუთმენელი ქმედება, დაუყოვნებლივ იქნეს შეჩერებული მთავრობის ძალაუფლებით.

ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: დადგენილი წესის თანახმად, ესევითარი, დაე, არ ჩაითვალოს, რომ მიეკუთვნება კრებას, ვინაიდან არ მოისურვა, თქვენი სიყვარულით მშვიდად შეევედრებულმა, დაეტოვებინა მიტაცებული ადგილი; ახლა კი უკვე, თავისი ამპარტავნებითა და ურჩობით საერო ხელისუფლების ხელთ აღმოჩნდეს. ეპისკოპოსებმა ონორატოსმა და ორბანოსმა იკითხეს: არის თუ არა ამაზე ნება ყველასი? ყველა ეპისკოპოსმა მიუგო: სამართლიანია, გვნებავს.*

(მოც. 14, 47, 68; ანტიოქ. 5; ორგ ს. 91)

უწინარეს ყოვლისა, ამ კანონით დასტურდება მოციქულთა 47-ე კანონი ნათლისღების განუახლებლობის შესახებ, შემდეგ – მოციქულთა 68-ე კანონი სწორად აღსრულებული ხელდასხმის განუახლებლობაზე და, ბოლოს, მოციქულთა მე-14 კანონის განწესება, რომელიც ეპისკოპოსს უკრძალავს თავისი კათედრის დატოვებას და თვითნებურად სხვა კათედრის დაკავებას. ყველა ეს განწესება კაპუშიც იქნა დამტკიცებული 391 წელს, შემდეგ – 419 წლის კრებაზე. უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, კანონი მოიხსენიებს რეგტენსის ეპისკოპოს რეკტენიოსთან დაკავშირებულ შემთხვევას, რომელმაც მიატოვა თავისი მსახურების ადგილი და ძალადობრივი გზით დაიკავა ტუბუნის (ზოგან „ვიკენის“) გამოთავისუფლებული საეპისკოპოსო კათედრა. რადგან დასახელებული ეპისკოპოსი არ დაეთანხმა კრების დადგენილებას, დაბრუნებულიყო თავის ძველ კათედრაზე, ამიტომ კანონი განაწესებს მის გადაცემას სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, რომელსაც შეუძლია მოექცეს მას თავისი (სამოქალაქო) კანონების შესაბამისად. თუმცა, ეს არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, თითქოს ეპისკოპოსი, როგორც ასეთი, დასასჯელად გადაეცა სახელმწიფო ხელისუფლებას. კანონში ავრელიოსის სიტყვებით ნათქვამია: **„დადგენილი წესის თანახმად, –** *ვინაიდან რეკტენიოსმა არ მოისურვა* **დამორჩილება – დაე, არ ჩაითვალოს რომ მიეკუთვნება კრებას“.**

ეს ნიშნავს, რომ თუ ყველაფერი დაცული იქნება, რასაც ასეთ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს, ანუ გარკვეული ეპისკოპოსი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – რეკტენიოსი) სწორად, წესების დაცვით მიიწვიეს სასამართლოზე და მას გააცნეს ყველა ის უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლებოდა მის სიჯიუტეს მოჰყოლოდა, რის შემდეგაც მან მაინც არ მოისურვა საეკლესიო სასამართლოს დამორჩილებოდა, მაშინ ითვლება, რომ მას უკვე კრება აღარ განაგებს, რაც ნიშნავს, რომ ეპისკოპოსად აღარ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, როგორც ასეთი, ანუ აღხოცილი საღვთისმსახურო დაეთარიდან, შესაბამისად – განკვეთილი, აუცილებლად უნდა გადაეცეს სამოქალაქო ხელისუფლებას, რამეთუ არ შეიძლება აღნიშნულ ხელისუფლებას დასასჯელად გადაეცეს სასულიერო პირი, რომელიც წინასწარ არ იქნება ხარისხაყრილი. სამოქალაქო ხელისუფლება კი მას უკვე – სასულიერო წოდება-

*კართაგენის 397 წლის 1 კანონი.

ჩამორთმეულს — სჯის, როგორც საკლესიო ხელისუფლებისათვის ჯიუტად ხელისშემშლელ პირს. აქ, დაახლოებით იგივე აზრია ჩადებული, რასაც ანტიოქიის კრების მე-5 და ორგზისის კრების მე-9 კანონები განაწესებენ.*

კანონი 49 (60)

დაე, დაცულ იქნეს უძველესი წესი: სამ ეპისკოპოსზე ნაკლები, როგორც ეს კანონებშია განსაზღვრული, ნუ იქნება მიჩნეული ეპისკოპოსის დადგინებისათვის საკმარისად.**

(I მსოფ. 4; VII მსოფ. 3; ანტიოქ. 19, 23; ლაოდ. 12; სარდ. 6; კართ. 13, 15)

ამ კანონის სრული ტექსტიდან ჩანს, როგორც ის მოყვანილია სერბულ გამოცემაში (ბერძნულიდან თარგმნილში),*** რომ ნუმიდიის ეკლესიაში დაცული იყო კანონი, რომლის თანახმადაც, ხელდასხმა (ქიროტონია) აღესრულებოდა მხოლოდ და მხოლოდ თორმეტი ეპისკოპოსის თანდასწრებით. ეს საკითხი განიხილებოდა კართაგენის 397 წლის კრებაზე და რადგან აღმოჩნდა, რომ ახალი ეპისკოპოსის დასადგინებლად ასეთი რიცხოვნობით ეპისკოპოსების შეკრება ყოველთვის შესაძლებელი არ იყო, გადაწყდა, რომ ხელდასხმის საიდუმლოს აღსრულებაში საკმარისია სამი ეპისკოპოსის მონაწილეობა. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღეს მაშინ ეს კანონი, ხოლო, თავის მხრივ, კართაგენელმა მამებმაც, 419 წელს, იგივე შინაარსით შეიწყნარეს (შდრ. მოციქულთა 1 კანონის განმარტებას).

კანონი 50 (61)

ამის განჩინებაც გვმართებს: თუკი ეპისკოპოსის გამორჩევისას წარმოიშვება გარკვეული წინააღმდეგობა, — რამეთუ გვქონია ჩვენ განსახილველად ასეთი შემთხვევები, — კადნიერება იქნება, თუ მხოლოდ სამი ეპისკოპოსი შეიკრიბება ხელდასასხმელის გასასამართლებლად, ამიტომ ზემოდასახელებულ რაოდენობას დაემატოს ერთი ან ორი ეპისკოპოსი, და მორწმუნე ერის თანდასწრებით, ვისთვისაც გამორჩეული დაიდგინება ეპისკოპოსად, უპირველეს ყოვლისა, გამოძიებულ იქნეს მოდავე (მოწინააღმდეგე) პირთა შესახებ; შემდეგ დაერთოს გამოძიებას მათ მიერ გაცხადებული, და როცა უბიწო წარმოჩინდება ერის წინაშე, მაშინ უკვე, დაე, ხელნი დაასხან. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: სავსებით ვეთანხმებით.**

(I მსოფ. 4, 6; VII მსოფ. 3; ანტიოქ. 19, 23; ლაოდ. 12, 13; სარდ. 6; კართ. 13, 49, 55)

წინამდებარე კანონი საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა, ის ადასტურებს იმას, რაც ჩვენ მიერ ნათქვამია I მსოფლიო კრების მე-4 კანონის განმარტებაში,

---

*იხ. 'სონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 420.

**კართაგენის 397 წლის მე-2 კანონი.

***ქართულ დიდი სჯულისკანონშიც სრული ტექსტია მოყვანილი.

****კართაგენის 397 წლის მე-3 კანონი.

კერძოდ, ეს არის მრევლის კუთვნილი უფლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისთვის ეპისკოპოსის დადგინების საქმეში. მრევლის უფლება – თავის ეპისკოპოსად გამოირჩიოს მისთვის სასურველი პირი, შესთავაზოს ეს პირი ეპისკოპოსთა კრებას აუცილებელი კანონიკური გამოცდისათვის, შემდგომი დამტკიცებისა და ქიროტონიისათვის (იხ. კართ. 55-ე კან.) – წინამდებარე კანონს მიაჩნია ბუნებრივად და უცილობელ ფაქტად, მაგრამ, ამავე დროს, ყურადღებას ამახვილებს იმ შესაძლო დაპირისპირებაზე, რომელიც შეიძლება ერში წარმოიშვას ეპისკოპოსის დადგინებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, – კანონის სიტყვებით, – უდიდესი სითამამე იქნებოდა ამ სამი ეპისკოპოსის მხრიდან თავად გადაეწყვიტათ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომ აუცილებელია, რომ მათ შეუერთდნენ ერთი ან ორი ეპისკოპოსი და ყველამ ერთად (ხუთმა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ოთხმა) მრევლის თანდასწრებით, რომლისთვისაც კონკრეტულად დგინდება ეპისკოპოსი, გაიგონ წარმოდგენილი კანდიდატის მიმართ გამოვლენილი წინააღმდეგობის მიზეზი. უპირველეს ყოვლისა, კანონი მოითხოვს ცნობილი გახდეს იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ხმა აიმაღლეს წარმოჩენილი კანდიდატის წინააღმდეგ, აქვთ თუ არა მათ ხმის უფლება ეპისკოპოსის გამორჩევის დროს და, საერთოდ, ფლობენ თუ არა ისინი იმ თვისებებს, რომლებიც კანონით მოეთხოვება თითოეულ იმ პირს, ვისაც განზრახული აქვს ბრალმდებლად გამოვიდეს სასულიერო პირების წინააღმდეგ საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით (იხ. II მსოფლ. მე-6, კართ. 128-ე, 129, 130-ე კანონები). თუკი ნამდვილად დამტკიცდება, რომ მოწინააღმდეგეებს აქვთ საამისოდ ყველა აუცილებელი მონაცემი, მაშინ, როგორც ამას კანონი განაწესებს, უნდა გაიგონ რა არგუმენტები მოჰყავთ მათ წარმოდგენილი კანდიდატის წინააღმდეგ, და თუ ეს არგუმენტები უსაფუძვლო იქნება და, შესაბამისად, კანდიდატი სრულიად სუფთა აღმოჩნდება ერის წინაშე, მაშინ, დაე, შესრულდეს მასზე ქიროტონია. ხოლო, თუკი დამტკიცდება, რომ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები საკმაოდ საფუძვლიანია, მაშინ, რა თქმა უნდა, მართებული იქნება, რომ ახალ გამორჩევას შეუდგნენ.

ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შეგვიძლია წავიკითხოთ XIV ტიტლოვანი ნომოკანონის I ტიტულის მე-8 თავში, სადაც მოყვანილია დადგენილებები CXXIII (c. 2) და CXXVII (c. 3) **იმპერატორ იუსტინიანეს ნოველიდან,** რომელიც შევიდა რა ნომოკანონში, მიიღო მთელი ეკლესიისათვის საკანონმდებლო ძალა.*

კანონი 51 (62)

როგორც გვახსოვს, უკვე დიდი ხანია გადავწყვიტეთ, რომ ყოველ წელიწადს შევიკრიბოთ ბჭობისათვის, ამიტომ, როცა ერთად შევიკრიბებით, მაშინ იქნეს გამოცხადებული აღდგომის დღე კრებაზე დამსწრე ადგილისმცველთა მიერ.**

(მოც. 7, 65, 70, 71; II მსოფ. 7; ტრულ. 11; ლაოდ. 7, 37, 38; კართ. 34, 73, 106)

ამ კრების მე-18 კანონით დადგინდა, რომ აფრიკის თითოეულ ეპარქიას (სამიტროპოლიტო სამთავრო) თავისი წარმომადგენლების სახით უნდა წარეგზავნა ორ-

*ათენის სინტაგმა, I, 46.

**კართაგენის 397 წლის მე-4 კანონის პირველი ნაწილი.

ორი ეპისკოპოსი აფრიკული ეკლესიის ყოველწლიურ საერთო კრებაზე. წინამდებარე კანონი ამატებს, რომ ამ წარმომადგენლების მეშვეობით, ყველასთვის უნდა გაცხადდეს, თუ რომელ დღეს უნდა იდღესასწაულონ მიმდინარე წელს ქრისტეს აღდგომა. დანარჩენთან დაკავშირებით იხ. ამ კრების 34-ე კანონის განმარტება.

კანონი 52 (63)

ეპისკოპოსებმა ონორატოსმა და ორბანოსმა თქვეს: სიტყვიერად გვაქვს, ასევე, დავალებული ვითხოვოთ, რომ რადგანაც იპონის კრების განწესებით კრების დროს მონახულებულ უნდა იქნეს ყოველი სამთავრო, რიგის მიხედვით მოინახულოთ მავრიტანიაც, რასაც თქვენ წლიდან წლამდე გადასდებდით. ეპისკოპოსმა ავრილიოსმა თქვა: მაშინ ჩვენ არაფერი განგვიწესებია მავრიტანიის ქვეყნისათვის, რადგან იგი აფრიკის განაპირას მდებარეობს და ბარბაროსთა ქვეყანას ესაზღვრება. ღმერთმა მოგვმადლოს, რომ დაუპირებლად შევძლოთ სიჭარბით აღვასრულოთ ეს და ჩამოვიდეთ თქვენს ქვეყანაში.*

(მოც. 58; ტრულ. 19; სარდ. 11; ლაოდ. 19; კართ. 71, 121, 123)

ყოველი ადგილისა და ეკლესიის მონახულება, და მათზე ზედამხედველობა, წარმოადგენს — როგორც ეს ეკლესიის დასაბამიდანვე იყო დაწესებული — თითოეული ეპისკოპოსის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას.** ამ კანონით იგივე ევალება მიტროპოლიტსაც, თანაც განეწესება ყოველწლიურად, კრების ჩატარების პერიოდში, თავად ან მისმა თამაშემწემ ყველა საეპისკოპოსო ეკლესია მოიაროს თავის სამიტროპოლიტოში, ისე რომ ამ მონახულებისას მოაგვაროს ადგილებზე არსებული ყველა უთანხმოება და გაუგებრობა.***

---

*კართაგენის 397 წლის მე-4 კანონის მეორე ნაწილი.

**ეპისკოპოსების მიერ მათზე დაქვემდებარებული ეკლესიების მონახულების ვალდებულება საფუძველს იღებს თვით მაცხოვრისა (იხ. მთ. 9, 35) და წმინდა მოციქულების სამწყსო მოგზაურობების მაგალითებიდან. საეკლესიო ისტორიამ შემოგვინახა რამდენიმე ბრწყინვალე მაგალითი ცნობილი ეპისკოპოსების ცხოვრებებიდან, რომლებიც თავიანთი ეპარქიების ეკლესიების მოშურნე მომნახულებლები და ზედამხედველები იყვნენ. ასე, მაგალითად, ბასილი დიდთან მიმართებით, სოკრატე წერს, რომ იგი დადიოდა თავისი ეპარქიის ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან ამტკიცებდა რწმენაში დაუძლურებულთ. ნეტარი ავგუსტინე ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში წერს: „მე ვალდებული ვიყავი აუცილებლად მომენახულებინა ყველა ჩემი მწრუნველობის ქვეშ მყოფი ეკლესია“. ხოლო, რადგან ერთ-ერთი ეკლესია მისი კათედრიდან ძალიან შორს მდებარეობდა, ამიტომ მან მოახერხა, რომ იმ ეკლესიისათვის დაედგინათ სხვა ეპისკოპოსი მხოლოდ იმის გამო, რომ ის ეკლესია უშუალო ზედამხედველობის გარეშე არ დარჩენილიყო: „რადგან დასახელებული სიმაგრე იპონიდან 40 მილით იყო დაშორებული [1 მილი = 1478 მ.], ამიტომ, როდესაც დავინახე, რომ მომიწევდა იმაზე შორს გავმგზავრებულიყავი, ვიდრე შესაძლებელია იქაური მოსახლეობის მართვა... მე ვიზრუნე, რომ იქ სხვა ეპისკოპოსი დამედგინა“.

***იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 31.

კანონი 53 (64)

ეპისკოპოსმა ეპიღონემ თქვა: ბევრ კრებაზე სამღვდელოთა მიერ განწესებულია, რომ ერმა, რომელიც სამრევლოებში ეპისკოპოსებზეა დამოკიდებული და რომელსაც არასდროს ჰყოლია საგანგებო ეპისკოპოსი, სხვაგვარად არ მიიღოს თავისი მმართველები, ანუ ეპისკოპოსები, თუ არა იმ ეპისკოპოსის თანხმობით, ვისაც თავიდან ემორჩილებოდა. რამეთუ ზოგიერთები იწყებენ რა რომელიმე ადგილის ძალადობრივ მფლობელობას, ძმებთან თანაზიარებას გაურბიან; ხოლო როცა ამისთვის პასუხს თხოვენ, მაშინ თითქოსდა მფლობელობის რაღაც ძველი უფლებით ინარჩუნებენ თავისთვის მეუფებას. ბევრი მღვდელი კი, გოროზი და უგუნური, ქედს იმაღლებს საკუთარი ეპისკოპოსის წინააღმდეგ, გამასპინძლებითა და ბოროტგანზრახვითი რჩევებით აღძრავს ერს, რომ მან, უწესო განწყობით, თავად ისინი დაადგინოს მმართველებად. უერთგულესო ძმაო ავრილიოს, შენს კეთილგონიერებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ იმ განსაკუთრებულად სასურველ შედეგს, რომ ასეთი მცდელობები მრავალგზის დარჩენილა განუხორციელებელი. ასეთი ადამიანების ბოროტი განზრახვების, უჯერო რჩევებისა და შეთქმულებების საპირისპიროდ, გთავაზობთ შემდეგს: უმართებულოდ მივიჩნიოთ საგანგებო მმართველის მიღება იმ ერისათვის, რომელიც ეგრეთ წოდებულ საზღვრებში უნდა დაემორჩილოს უწინდელ ეპისკოპოსს და არასდროს ჰყოლია საგანგებო ეპისკოპოსი; თუ მთელ უწმინდეს კრებას სათნო გამოუჩნდება ჩემ მიერ შემოთავაზებული, დაე, დამტკიცებულ იქნეს. ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ჩვენი ძმისა და თანაეპისკოპოსის გადმოცემულს არ ვეწინააღმდეგები, არამედ ვაღიარებ, რომ ამას ვაკეთებდი და კვლავაც გავაკეთებ; ასეთ შეთქმულებებს ვამხილებ არა მხოლოდ კართაგენის ეკლესიაში, არამედ მთელ სამღვდელო განსაგებელში. რამეთუ საკმაოდ ბევრნი არიან, თავიანთ სამწყსოსთან რომ თანამზრახველობენ, რომელიც მათ, როგორც ითქვა, შეცდომაში შეჰყავთ, აამებენ მათ სმენას და ალერსით იზიდავენ თავისკენ საძრახისი ცხოვრების მქონე ადამიანებს; უფრო კი ზესთამჩენობენ და ამის გამო განეშორებიან ჩვენს წოდებას, ეყრდნობიან რა თავიანთ მრევლს, ისინი, მრავალგზის მოწვეულნი კრებაზე, უარს ამბობენ მოსვლაზე, რათა არ გამომჟღავნდეს მათი შეუსაბამოებანი. ამისთვის, თუ სათნოდ გიჩანთ, გთავაზობთ: გვმართებს, ყველანაირად ვიღვაწოთ მათ წინააღმდეგ, რათა მათ ხელმწიფებაში არ დარჩეს არამხოლოდ ასეთი, მათ მიერ ძალადობით მიტაცებული სამთავროები, არამედ მათი საკუთარი ეკლესიებიც, რომლებიც უმართებულოდ მოხვდნენ მათ დაქვემდებარებაში; დაე, ხელმწიფებით იქნენ ისინი გაძევებულნი ღიად და თვით უპირატეს ეპისკოპოსთა საყდარმა უარყოს ისინი. რამეთუ სამართლიანობა მოითხოვს, რომ შეერთებულნი ყველა ძმასთან და მთელ კრებასთან არამხოლოდ ინარჩუნებდნენ თავისთვის თავიანთ საყდარს, არამედ ხელმწიფებაში მიიღებდნენ ასეთ სადავო სამთავროებსაც; და პირიქით, იმათ, რომელთაც ჰგონიათ კმაყოფილები იქნებიან თავიანთ სამწყსოსთან და უგულებელყოფენ ძმათა სიყვარულს, არამხოლოდ მათ მიერ მიტაცებული სამთავროები

ჩამოერთვათ, არამედ, როგორც ვთქვი, მათი საკუთარი ადგილებიც წაერთვათ საერო მთავრების ხელმწიფებით, როგორც შფოთის შემომტანთ. ეპისკოპოსებმა ონორატოსმა და ორბანოსმა თქვეს: თქვენი სიწმინდის უდიდესი განსჯადობა ყველას გონებაში ჩაგვენერგა, და ვგონებთ, რომ მართებული იქნება ყველას პასუხით დავამტკიცოთ თქვენი წინადადება. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: თანახმა ვართ, ვეთანხმებით.*

(მოც. 31, 34; I მსოფ. 8; II მსოფ. 6; III მსოფ. 3, 8; IV მსოფ. 17, 18; ტრულ. 25, 31,34,38; ანკირ. 13; ნეოკეს. 14; ღანგ. 6; ანტიოქ. 5,8,10; ლაოდ. 57; სარდ. 6,14; კართ. 10, 11, 56; ორგზ. 13, 14, 15)

ბევრი კანონი საუბრობს იმის შესახებ, რომ ეპისკოპოსები არ უნდა დადგინდნენ მცირე დასახლების ადგილებში, სადაც ერთი მღვდელიც საკმარისია (იხ. ლაოდიკიის კრების 57-ე, სარდიკიის კრების მე-6 და სხვ. კანონები). თუკი დროის ან ადგილის პირობები მოითხოვს, რომ გაიხსნას ახალი საეპისკოპოსო კათედრა (იხ. IV მსოფლიო კრების მე-17 და ტრულის კრების 38-ე კანონები), მაშინ ეს უნდა მოხდეს აუცილებლად იმ ეპისკოპოსის ნებართვით, რომელსაც იქამდე ის ადგილი ან სამთავრო ექვემდებარებოდა. კართაგენელი მამები იძულებულნი გახდნენ, აეღორძინებინათ ეს ძირითადი საეკლესიო კანონი, რომელიც ირღვეოდა აფრიკის ეკლესიის ზოგიერთი მთავრობისმოყვარე ეპისკოპოსისა და მღვდლის მხრიდან. ივიწყებდნენ რა ამ კანონს, ბევრი ეპისკოპოსი ძალადობრივი გზით ითვისებდა სხვა ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში მყოფ დასახლებულ ადგილს და საკუთარ ქმედებებს იმით ამართლებდა, რომ ეს ადგილი თითქოს მას ეკუთვნოდა რაღაც მის მიერვე გამოგონილი ხანდაზმულობის უფლებით. როდესაც მმართველი ეპისკოპოსები მიუთითებდნენ მათ თავიანთი კანონიერი უფლების დარღვევაზე, ეს მთავრობისმოყვარენი ამპარტავნულად უარყოფდნენ წაყენებულ ბრალდებებს და, – როგორც კანონი ამბობს, – ძმებთან ურთიერთობებსაც კი წყვეტდნენ. ეპისკოპოსების გარდა, აღნიშნულ საეკლესიო კანონს ზოგიერთი მღვდელიც არღვევდა, და უფრო მეტადაც კი: იმ დროს მრევლს, როგორც ვიცით, უფლება ჰქონდა გაეცხადებინა, თუ ვინ სურდა ეხილა ეპისკოპოსად (იხ. კართ. 50-ე კან.). ამიტომ ზოგიერთი მღვდელი, – „გოროზნი და უგუნურნი", – ხელმწიფების ხელში ჩასაგდებად, თავიანთი კანონიერი ეპისკოპოსების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ცდილობდნენ ადგილობრივი მრევლიც მათ საწინააღმდეგოდ განეწყოთ; იმავდროულად, მოსყიდვისა და ყველანაირი ხრიკებით დარწმუნების გზით, იმავე მრევლს აიძულებდნენ თვითონ ისინი გამოერჩიათ ეპისკოპოსებად, რასაც ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც. კართაგენელი მამები მთელი სიმკაცრით ილაშქრებენ მსგავსი შემთხვევების წინააღმდეგ, – რამეთუ ისინი ძირს უთხრიდნენ თვით საეკლესიო წესრიგის საფუძველს, – და განაწესებენ, რომ ასეთ პირებს ძალით (ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევით) უნდა ჩამოერთვათ თავიანთი უფლებამოსილება; აგრეთვე, უკანონოდ მითვისებული ადგილების მმართველობის უფლება და უფრო მეტიც – თვით იმ ადგილებზე მსახურების უფლებაც კი, სადაც მანამდე მსახურობდნენ ეპისკოპოსე-

*კართაგენის 397 წლის მე-4 კანონის მეორე ნაწილი.

ბის ან მღვდლების ხარისხში საკუთარი თავის საზიანოდ. ამასთან, პირველი საყდრის მმართველმა ეპისკოპოსმა სამუდამოდ უნდა აუკრძალოს მათ მღვდელმოქმედება, რამეთუ ისინი სახელმწიფო ხელისუფლებას გადაეცემიან დასასჯელად, — როგორც მეამბოხენი და მშვიდობისა და წესრიგის დამრღვევნი.

კანონი 54 (65)

დაე, ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ შეიწყნარებს უცხო კლირიკოსს მისი უწინდელი ეპისკოპოსის განჩინების გარეშე.*

(მოც. 15, 35; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18; ანტიოქ. 3; სარდ. 15, 16; კართ. 50, 90)

წინამდებარე კანონით ხდება აღორძინება I მსოფლიო კრების მე-16 კანონის განწესებისა, იმასთან დაკავშირებით, რომ არც ერთმა ეპისკოპოსმა არ უნდა მიიღოს და ხელნი დაასხას თავის ეკლესიაში კლირიკოსს, რომელიც სხვა ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედის. დასახელებული ნიკეის კრების კანონის ჩვენეული განმარტება, კართაგენის ამ კანონის განმარტებასაც ემსახურება. ამ კანონის სრული ტექსტის საფუძველზე (ანუ კართაგენის 397 წლის მე-6 კანონის) შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ამ კრების მამებისთვის ცნობილი არ იყო ნიკეის კრების მოხსენიებული განწესება, და რომ, საერთოდ, ეს საკითხი, — კართაგენის მამებისათვის ახალი, — აღიძრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსმა ეპიღონემ საჩივარი შეიტანა ეპისკოპოს იულიანეს წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელმა თავისთან გადაიბირა ერთ-ერთი მისი კლირიკოსი და დიაკვნად აკურთხა. ამ აზრს თვით კრების გადაწყვეტილებაც ადასტურებს იმ სახით, როგორითაც ის კანონშია გადმოცემული, და კრების მოთხოვნილება, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადო გახდა, გავრცელდეს ყველა ეპარქიაზე.

კანონი 55 (66)

ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ჩემი სიტყვა მიიღეთ, ძმებო. მრავალგზის მომხდარა, რომ ეკლესიებს გამოუთხოვიათ ჩემთვის დიაკვნები, მღვდლები თუ ეპისკოპოსები. მახსოვს რა კანონები, ვიცავ მათ: მივმართავ მოთხოვნილი მღვდელმსახურის ეპისკოპოსს და ვუცხადებ, რომ მის მღვდელმსახურს ითხოვს ესა თუ ის ეკლესია. დღემდე წინააღმდეგი არავინ ყოფილა. მაგრამ იმისათვის, რომ მომავალშიც არ მოხდეს ეს, ანუ რომ არ შემეწინააღმდეგონ ჩემ მიერ თხოვილნი (რამეთუ თქვენც იცით, რომ მე მრავალ ეკლესიაზე და ხელდასხმებზე ვზრუნავ), როდესაც რომელიმე თანამწყემსთაგანისადმი მომიწევს მიმართვა თქვენი წოდებიდან ორი ან სამი მოწმის თანდასწრებით, თუკი მოთხოვნილი პირი უღირსი არ აღმოჩნდება; მართებული იქნება თქვენმა სიყვარულმა განსაჯოს, თუ როგორ უნდა მოვიქცე,

*კართაგენის 397 წლის მე-6 კანონი.

რამეთუ მე, როგორც თქვენ იცით, ძმებო, ღვთის ნებით, მრავალ ეკლესიაზე მაკისრია მზრუნველობა. ნუმიდიის ეპისკოპოსმა თქვა: ამ საყდარს ყოველთვის ეკუთვნოდა ეს უფლებამოსილება, რათა თითოეული ეკლესიის სურვილით დაადგინოს ეპისკოპოსი, საიდანაც ენებება და ვინც არ უნდა იყოს მისთვის დასახელებული. ეპისკოპოსმა ეპიღონემ თქვა: კეთილი ნება ზომიერ-ჰყოფს ხელმწიფებას, რამეთუ შენ, ძმაო, ნაკლებად კადნიერი ხარ, ვიდრე ძალგიძს იყო, უჩვენებ რა ყველას შენს სიკეთესა და კაცთმოყვარეობას. შენს განმსჯელობას წინ უძღვის თითოეული ეპისკოპოსის მიმართ პატივისცემის გამოვლინება, მაგრამ მათთან პირველი და ერთჯერადი ურთიერთობისას, თუკი კეთილად ინებებ, მტკიცედ მოითხოვე ის, რაც ამ საყდრის ხელმწიფებაში შედის, რადგან აუცილებლობა გაქვს ყველა ეკლესია განამტკიცო. ამიტომ კი არ გაძლევთ შენ ხელმწიფებას, არამედ დავბეჭდავთ მას შენის ნებართვით, რომ შენ ჩვენგან ნება გეძლევა ყოველთვის წარიყვანო ვისაც კი მოისურვებ, და დაუდგინო წინამძღვრები ეკლესიას, და სხვა მოთხოვნილნი, საიდანაც კეთილად და საჭიროდ ჩათვლი. ეპისკოპოსმა პისტუმიტანოსმა თქვა: თუკი ვინმეს მხოლოდ ერთი მღვდელი ჰყავს, ნუთუ ისიც უნდა წაერთვას? ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ღმერთის წყალობით, ერთ ეპისკოპოსს შეუძლია მრავალი მღვდელი დაადგინოს, ხოლო ეპისკოპოსობის შემძლებელი მღვდელი ადვილად არ მოიძებნება. ამიტომ, ვისაც მხოლოდ ერთი მღვდელი ჰყავს და, ამასთან – ღირსიც ეპისკოპოსობისა, მაშინ ეს ერთიც უნდა მისცეს ხელდასხმისათვის. ეპისკოპოსმა პისტუმიტანოსმა თქვა: მაგრამ თუ ერთ ეპისკოპოსს ბევრი მღვდელი ჰყავს, სხვისი ეს სიმრავლე მოვალეა დამეხმაროს მე. ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ნამდვილად, როგორადაც შენ დაეხმარე სხვა ეკლესიას, ამგვარადვე, კლირიკოსთა უფრო დიდი რიცხოვნობის მქონე აღძრული იქნება იმად, რომ მათი რიცხვიდან გამოგიყოს შენ ხელდასხმისათვის.*

(მოც. 15, 16; IV მსოფ. 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18; ანტიოქ. 3; სარდ. 15, 16; კართ. 54, 90)

ამ კრების წინა (54-ე) კანონით დადგინდა, რომ არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება თავისი ეპარქიისათვის აკურთხოს კლირიკოსი, რომელიც სხვა ეპარქიას მიეკუთვნება. ამის გაკეთება მას შეუძლია მხოლოდ იმ მმართველი ეპისკოპოსის თანხმობით, რომლის იურისდიქციაშიც იმყოფება განსახილველი კლირიკოსი. ეს არის საერთო კანონიკური განწესება ყველა ეპარქიალური ეპისკოპოსისათვის. ამ განწესებით მართებულია სარგებლობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება რომელიმე ეპარქიის ეპისკოპოსად ხელდასხმა სასულიერო პირისა, რომელიც არ მიეკუთვნება იმ სამიტროპოლიტო სამთავროს, რომლის შემადგენლობაშიც აღნიშნული ეპარქია შედის. თუკი იმის აუცილებლობა იქნება, რომ სხვა სამიტროპოლიტო (ან საპატრიარქო) სამთავროდან მოიწვიონ კანდიდატი გამოთავისუფლებულ საეპისკოპოსო კათედრაზე დასადგინებლად, მაშინ ამ სამთავროს მმართველმა მიტრო-

*კართაგენის 397 წლის მე-6 კანონი.

პოლიტმა (ან პატრიარქმა) უნდა მიმართოს იმ მიტროპოლიტს, რომელსაც კანონიკურად ექვემდებარება კანდიდატად გამორჩეული აღნიშნული სასულიერო პირი, და მისგან ითხოვოს სათანადო თანხმობა. ამ საერთო კანონიკური ნორმიდან იყო გათავისუფლებული კრების მიმდინარეობის დროს კართაგენის ეპისკოპოსი, – როგორც primas totus Afrikae, – რომელსაც კრება, უდასტურებს რა წინამდებარე კანონით ამ პრივილეგიას, უფლებას აძლევს ხელნი დაასხას გამოთავისუფლებულ საეპისკოპოსო კათედრაზე ნებისმიერს, ვისაც მოისურვებს (სხვა სამთავროდანაც), იმ მოთხოვნის გვერდის ავლით, რომლის თანახმადაც მას თანხმობა უნდა ეთხოვა იმ ეპისკოპოსისათვის, რომლის დაქვემდებარებაშიც აღმოჩნდებოდა მის მიერ შერჩეული საეპისკოპოსო კანდიდატი. მსგავსი პრივილეგია ვერ ჩაითვლებოდა საერთო კანონის განწესებად: ყველა სხვა სამთავრო ეკლესიისათვის, რომელთა წინამძღვრებსაც ასეთი პრივილეგია არ გააჩნდათ, ძალა ჰქონდა საერთო კანონის განწესებას. ამგვარად, თუკი აუცილებელი გახდება გამოთავისუფლებულ საეპისკოპოსო კათედრაზე მოწვეულ იქნეს სხვა სამთავროს სასულიერო პირი, მაშინ ამ სამთავროს მთვრობამ, ანუ სინოდმა, უნდა სთხოვოს და მიიღოს თანხმობა იმ წინამძღვრისაგან, რომლის იურისდიქციის ქვეშაც მსახურობს ეპისკოპოსობის კანდიდატად შერჩეული სასულიერო პირი. ამ განწესების შეუსრულებლობა იქნებოდა კანონიკური განწესების დარღვევა.

კანონი 56 (67)

თითოეული ეპისკოპოსისათვის დაქვემდებარებული სამრევლო დაცულია განწესებით, კერძოდ, გარკვეულ სამრევლოს შემადგენლობას არც ერთი ადგილი არ უნდა ჩამოერთვას და მისი მმართველი ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე არ უნდა დადგინდეს იქ საგანგებო ეპისკოპოსი; თუკი ის დაუშვებს, რომ გარკვეულმა რაიონმა თავისი ეპისკოპოსი მიიღოს, მაშინ ამ ადგილზე დადგინებულმა, არ უნდა გაავრცელოს თავისი ხელმწიფება სხვა მეზობელ რაიონებზე, რადგან მხოლოდ ეს ერთი იყო გაყოფილი სხვათა შემადგენლობიდან და პატივდებული იმით, რომ ჰყოლოდა თავისი საგანგებო ეპისკოპოსი.*

(მოკ. 31, 34; I მსოფ. 8; II მსოფ. 6; III მსოფ. 3, 8; IV მსოფ. 17, 18; ტრულ. 25, 31,34,38; ანკირ. 13; ნეოკეს. 14; ღანგ. 6; ანტიოქ. 5,8,10; ლაოდ. 57; სარდ. 6,14; კართ. 10, 11, 53, 98; ორგზ. 13, 14, 15)

სარდიკიის კრების მე-6 კანონის განწესების თანახმად, ისეთ პატარა ქალაქსა თუ სოფელში, სადაც ერთი მღვდელიც საკმარისია, ეპისკოპოსი არ უნდა დგინდებოდეს. ამ კანონს კი მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ეპარქიის მთავარი ქალაქის მმართველი ეპისკოპოსის სურვილით, გარკვეული სამრევლოების მქონე ერთ-ერთ პატარა ქალაქში დგინდება საგანგებო ეპისკოპოსი. მსგავსი შემთხვევისათვის

*კართაგენის 397 წლის მე-6 კანონი.

კანონი განაწესებს, რომ ამ ეპისკოპოსს შეუძლია იურისდიქციით ისარგებლოს მხოლოდ ამ ქალაქში და, ასევე, იმ სამრევლოებში, რომლებიც მას კრებამ დაუქვემდებარა, და არასგზით გაავრცელოს თავისი ხელისუფლება სხვა ახლო სამრევლოებზე, რათა არ დაარღვიოს იმ ეპისკოპოსის უფლებანი, რომლის თანხმობითაც მას ზუსტად განესაზღვრა მართვის რაიონი. ამ განწესების დამრღვევი ეპისკოპოსი სასჯელს იმსახურებს ამავე კრების 53-ე კანონის განაჩენით, კერძოდ, უფლებას კარგავს არამხოლოდ უკანონოდ მითვისებულ სამრევლოებზე, არამედ იმათზეც, რომლებიც კრების დადგენილებით შედიოდა მის მმართველობაში. ამასთანავე, სამოქალაქო ხელისუფლებისგანაც ექვემდებარება სასჯელს, როგორც სხვისი საკუთრების მიმთვისებელი.

კანონი 57 (68)

თქვენს ერთსულოვნებას ჩემთან ერთად* ახსოვს წინამორბედ კრებაზე განსაზღვრული: მცირეწლოვანებისას დონატისტების მიერ მონათლულნი, რომლებსაც მაშინ არ შეეძლოთ იმის შეცნობა, თუ რა დამლუპველია მათი ცდომილება, მაგრამ რომლებმაც განსჯის უნარის შემძლე ასაკის მიღწევის შემდეგ, შეიცნეს ჭეშმარიტება და მოიძაგეს მათი ცდომილება, დაე, უძველესი წესის მიხედვით – ხელდადებით იქნენ მიღებულნი ღმერთის კათოლიკე, მთელ ქვეყნიერებაზე გავრცობილ ეკლესიაში. უწინდელი ცდომილების სახელწოდება არ უნდა იყოს დაბრკოლება მათი მიღებისათვის სამღვდელო ხარისხში, როცა ისინი, შეუდგნენ რა სარწმუნოებას, ჭეშმარიტი ეკლესია თავისად აღიარეს და მასში ქრისტე იწამეს, მიიღეს სამების საიდუმლონი, რომელნიც, ცხადია, ჭეშმარიტი, წმიდა და ღვთაებრივია, და რომლებზეც დამყარებულია სულის მთელი სასოება, მიუხედავად იმისა, რომ მწვალებელთა წინანდელი კადნიერება უგუნურად ესწრაფვოდა ჭეშმარიტების სახელით გადმოეცა (ექადაგა) რაღაც საწინააღმდეგო. ეს მარტივია, როგორც წმინდა მოციქული გვასწავლის, როდესაც ამბობს: *„ერთ არს უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლი-სღება“* (ეფეს. 4, 5), და ის, რაც ერთხელ უნდა მიეცეთ, დაუშვებელია ხელახლა მიიღონ. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ცდომილების (მწვალებლობის) სახელწოდებას შეაჩვენებენ, დაე, ხელდადებით მიღებულ იქნენ ერთიან ეკლესიაში, რომელიც, დაწერილისამებრ, არის მტრედი (შდრ. ქებათა ქება, 2, 10), ერთადერთი დედა ქრისტიანეთა, და რომელიც საცხონებელად გვანიჭებს ყველა საუკუნო და ცხოველმყოფელ საიდუმლოს, ხოლო მწვალებლობაში მყოფებზე დიდი სასჯელით განკითხვას მოაწევს. რაც ჭეშმარიტების ნათელში მათი წინამძღოლი შეიძლება ყოფილიყო საუკუნო ცხოვრებისაკენ, ის კიდევ უფრო დამაბნელებელი და განმკითხველი ხდება მათთვის ცდომილებაში ყოფნისას. ეს ზოგიერთებმა აიცილეს თავიდან, და შეიცნეს რა დედის – კათოლიკე ეკლესიის პირდაპირი (მართალი) გზა, ყველა სხვა წმინდა საიდუმლოც,

*ამას. კრებაზე, ავრილიოსი წარმოთქვამს, კართაგენის ეპისკოპოსი.

ჭეშმარიტების სიყვარულით ირწმუნეს და მიიღეს. ვერავინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ესევითარნი, როცა ყოველივეს მათი კეთილი ცხოვრების შესახებ მოწმობაც დაემატება, უეჭველად მართებულად იქნებიან დადგინებულნი სამღვდელო წოდებაში წმინდა საიდუმლოთა მსახურებისათვის, განსაკუთრებით ესოდენ მძიმე ვითარებაში. ხოლო თუკი იმავე, ანუ დონატის სწავლების მიმდევარი კლირიკოსები მოისურვებენ თავიანთ მრევლთან ერთად შემოგვიერთდნენ ჩვენ, და თავიანთ ხარისხებში, პატივმოყვარეობისა გამო, რათა ერს ცხოვრებაში რჩევები მისცენ, და ცხონებისათვის ხარისხები შეინარჩუნონ, ვგონებ, შეიძლება მათთვის ამ მდგომარეობის დატოვება სანამ ზემოხსენებული ძმები* ძალზე ყურადღებიანი განსჯის შემდეგ, თავიანთ შეხედულებას არ მოგვაწვდიან, რათა მათ თავიანთი უკეთილგონიერესი ბჭობით გამოიძიონ ჩვენი წინადადების საგანი და ღირსგვყონ იმაში განსამტკიცებლად, თუ რისი დადგინებაა საჭირო ამ საქმესთან დაკავშირებით. ამჯერად კი შემოვიფარგლებით მხოლოდ დონატისტების მიერ ჩვილობაში მონათლულებით, დაე, თანხმობა განაცხადონ ზემოხსენებულმა ძმებმა ჩვენს გადაწყვეტილებაზე, თუკი სათნოდ უჩანთ, რათა ხელნი დავასხათ ხოლმე ესევითართ.**

(მოკ. 46, 47, 68; I მსოფ. 8; II მსოფ. 7; ტრულ. 95; კართ. 47, 66, 67, 68, 69, 92, 93, 94, 99, 117, 118, 119, 124)

47-ე კანონის პირველი ნაწილის განმარტებაში, უმთავრესად საუბარი იყო იმის შესახებაც, თუ რა შეადგენს ამ კანონის განსახილველ საგანს, რომელშიც ნათლისღების საიდუმლოსთან დაკავშირებით გამოთქმულია შესანიშნავი აზრი, რომ საიდუმლოთა დანიშნულებისა და მნიშვნელობის საკითხს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ისინი მართლმადიდებელ ეკლესიაში აღესრულება.

საკითხი იმის შესახებ, უნდა მიიღებოდნენ თუ არა მართლმადიდებელ სამღვდელო დასში დონატისტელი კლირიკოსები თავიანთი იერარქიული ხარისხის შენარჩუნებით, რის შესახებაც ამ კრების 68-ე კანონიც საუბრობს, ავრილიოსის აზრით (რომელიც ამ (57-ე) კანონის მიღების წინადადებით შემოვიდა) განსახილველად უნდა გადაეცეს ზემოხსენებულ უფროს ძმობას, რომელმაც თავისი აზრი უნდა გამოთქვას ამასთან დაკავშირებით. ამ ძმობის წევრები იყვნენ რომის ეპისკოპოსი ანასტასი და მილანის ეპისკოპოსი ვევირი. ისინი გაცილებით მკაცრად მსჯელობდნენ დონატისტებთან მიმართებით, ვიდრე აფრიკელი მამები და უარყოფდნენ მართლმადიდებელ ეკლესიაში მიღებისას მათი იერარქიული ხარისხების აღიარების აუცილებლობას. კრების შეკითხვაზე ანასტასი რომაელმა განსაკუთრებული წერილით გამოთქვა თავისი მოსაზრება და ის 401 წლის კრების 13

*ანუ რომელთა შეხედულებებსა და რჩევებს მოელის აქ კრება, როგორც ეს ავრილიოსის წინარე სიტყვებიდან ჩანს ამ კრების საქმეებში: ესენი არიან ანასტასი, — რომის ეპისკოპოსი და ვევირი, — მედიოლანის ეპისკოპოსი. ამ ორი საყდრის შეხედულება ავრილიოსს საჭიროდ მიაჩნია საეკლესიო ერთმანეთობის შესანარჩუნებლად, იმიტომ, რომ რომისა და მედიოლანის ეპისკოპოსები მანამდე ფიქრობდნენ, რომ არ მიეღოთ ყოფილი დონატისტები სამღვდელო წოდებაში.

**კართ. 401 წლის კრების 1 კანონი.

სექტემბრის სხდომაზე იქნა წაკითხული, – როგორც ეს ჩვენთვის ცნობილია ამ კრების საქმეთა შესავალი ნაწილიდან.* წერილის შინაარსი ცნობილი არ არის, მაგრამ შესავალი სიტყვიდან ჩანს, რომ ანასტასი არ იწონებს აფრიკელი მამების დათმობაზე წასვლას და ურჩევს ერიდონ ვერაგობასა და თავხედობას მწვალებლებისა და სქიზმატ-დონატისტების მხრიდან, რომლებმაც ეგზომ ბოროტება მოუტანეს აფრიკულ ეკლესიას. აფრიკელმა მამებმა ამისთვის მადლიერება გამოხატეს ანასტასის მიმართ, მაგრამ რადგანაც მდგომარეობა აიძულებდა მათ ლმობიერად მოპყრობოდნენ დონატისტებს (იხ. 66-ე კან.), ამიტომ გადაწყდა მიეღოთ მართლმადიდებელი ეკლესიის დასში დონატისტელი კლირიკოსები (კან. 68).

კანონი 58 (69)

გვმართებს, თხოვნით მივმართოთ უკეთილმსახურეს მეფეებს, რათა ბრძანონ, სრულიად აღმოფხვრან კერპების ნარჩენები მთელ აფრიკაში (რამეთუ ბევრ ზღვისპირა ადგილებში და სხვადასხვა სამფლობელოებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ამ ცდომილების უკეთური ძალა). დაე, მცნებად იქნეს დადებული, რომ კერპებიც მოისპოს და მათი საკერპე ბომონებიც, უსახურად მდგარნი სოფლებსა და დაფარულ ადგილებში; ყველა საშუალებით დაინგრეს ისინი.**

(კართ. 8)

მოყვანილი ტექსტი, არსებითად, სრულიადაც არ არის კანონი, არამედ – ბრძანების (наказ) ერთ-ერთი პუნქტი, „შეხსენება“ (напоминание, commonitorium) კრების მიერ იმპერატორებთან (არკადისთან და ჰონორესთან) წარგზავნილი დელეგატებისათვის, თუ რის შესახებ უნდა იშუამდგომლონ მათ წინაშე. დელეგატებისთვის გადაცემული ბრძანების დანარჩენი პუნქტები შეადგენს შემდეგ ექვს კანონს (59-64). ხოლო, რაც შეეხება ამ კანონის (58-ე) შემცველ თხოვნას, მოესპოთ აფრიკაში კერპების ნაშთები, დაკმაყოფილებულ იქნა და გამოიცა ამის შესაბამისი კანონები. სახელმწიფო ხელისუფლებისადმი კართაგენის კრების ეს მიმართვა დახმარების აღმოსაჩენად, ზოგადად წარმოადგენს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის იმ ძირითად პრინციპს, რომელიც სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ქვეყანაში საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად. გარდა ამისა, აქედან ჩანს, რომ ერში რწმენისა და ზნეობრიობის შესანარჩუნებლად, ეკლესია საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებას და ელოდება მას, უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც არასაკმარისია უშუალოდ ეკლესიის ზნეობრივი ზემოქმედება. თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლება ეკლესიის თხოვნას ყოველთვის ეხმაურებოდა და უწევდა იმ დახმარებას, რომელიც შეეძლო გაეწია იმის გათვალისწინებით, რომ მის ხელთ იყო შეიარაღებული ძალები და შეეძლო გამოეყენებინა ისინი საეკლესიო ხელისუ-

*ათენის სინტაგმა, III, 474.

**კართ. 401 წლის კრების მე-2 კანონი.

ფლების იმ დადგენილებათა ძალით შესასრულებლად, რომლებიც მიმართული იყო სარწმუნოების განმტკიცებისა და მშვიდობიანი წესრიგის შენარჩუნებისაკენ, მაშინ, როდესაც თავად ეკლესია, თავისი თვისებიდან გამომდინარე, მხოლოდ ზნეობრივ საშუალებებს ფლობს. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ამგვარი დამოკიდებულების შედეგად დაწესდა მნიშვნელოვანი კანონი, უფრო სწორად — სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულება, დაიცვას ეკლესიის უფლებები და კანონები, დაიცვას საწმუნოება და იზრუნოს იმაზე, რომ საეკლესიო ცხოვრებაში შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობა და წესრიგი.

კანონი 59 (70)

გვმართებს, თხოვნით მივმართოთ უკეთილმსახურეს მეფეებს, რათა კეთილად ინებონ ამის დაკანონებაც: თუკი ზოგიერთნი ისურვებენ რაიმე საქმის განხილვას ეკლესიის სამსჯავროში იმ სამოციქულო უფლების თანახმად, რომელიც ეკლესიებს აქვთ, და თუ, ვინძლო, ერთ-ერთი მხარე უკმაყოფილო დარჩება სამღვდელოთა გადაწყვეტილებით, მაშინ ნუ იქნება ნებადართული სამსჯავროზე მოწმედ იმ სამღვდელოს მოწოდება, რომელიც მანამდე განიხილავდა საქმეს, ან მის განხილვას ესწრებოდა, და საეკლესიო პირის თვით სახლეულთაგანაც ნურავინ იქნება მიყვანილი სასამართლოში მოწმის ვალდებულებით.*

(მოც. 74, 75; IV მსოფ. 9; კართ. 131)

ამ კანონის, უფრო ზუსტად — იმპერატორებისადმი თხოვნების, უკეთ გასაგებად, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის ნებართვით, თითოეულ ქრისტიანს უფლება ჰქონდა **კერძო უფლების** საკითხებთან დაკავშირებით მიემართა საეკლესიო სასამართლოსათვის, თანაც, ამ სასამართლოს გადაწყვეტილებას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორიც — სამოქალაქო სასამართლოს განაჩენს. საეკლესიო სასამართლოს ეს პრივილეგია შემდგომში შეზღუდა იმპერატორმა ჰონორემ, თავისი 399 წლის კანონით: „როდესაც საქმე რელიგიას ეხება, სასამართლო ეპისკოპოსებმა უნდა აწარმოონ, მაგრამ დანარჩენი საქმენი, რომლებიც ჩვეულებრივი სასამართლო მოხელის კომპეტენციაში შედის ან განეკუთვნება ჩვეულებრივი სამართლის სფეროს, უნდა მოისმინებოდეს კანონიერი წესით“. იმპერატორის ამ დადგენილების შედეგად, საეკლესიო სასამართლოს საერთოდ ჩამოერთვა უფლება ეწარმოებინა ქრისტიანებს შორის კერძო სადავო საკითხებთან დაკავშირებული საქმეები. თავიანთ „შეხსენებაში“, კართაგენელი მამები შეახსენებენ დელეგატებს, რომ მათ უნდა იშუამდგომლონ იმპერატორების წინაშე საეკლესიო სასამართლოებისათვის ამ საქმეების წარმოების უფლების გადაცემაზე, და რომ მათ მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოო უნდა ყოფილიყო და ამის შემდეგ ვერც ერთ მხარეს ველარ უნდა მიემართა სხვა სასამართლოსათვის ამ საკითხზე. თავიანთ თხოვნას კართაგენელი მამები ამართლებენ მოციქულთა კანო-

*კართ. 401 წლის კრების მე-3 კანონი.

ნით, კერძოდ, ეყრდნობიან პავლე მოციქულის დადგენილებას (იხ. 1 კორ. 6, 1-5) იმის თაობაზე, რომ ქრისტიანებმა ყველა სადავო საკითხი უნდა გადაწყვიტონ საეკლესიო სასამართლოში. გამოაქვთ რა ასეთი დადგენილება, კართაგენელი მამები იმასაც ითვალისწინებენ, რომ ზოგიერთი პირი მიმართავდა ჯერ საეკლესიო სასამართლოს და შემდეგ, განაჩენით უკაყოფილო, იმავე საქმით სამოქალაქო სასამართლოში მიდიოდა, თანაც ითხოვდა იქ, მოწმის სახით, იმ სასულიერო პირების გამოძახებას, რომლებიც მანამდე საეკლესიო სასამართლო პროცესში იყვნენ ჩართულნი, ან — მათი ნათესავებისას. იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ საქმის ასეთ არასწორ მსვლელობას, მამები თავიანთ „შეხსენებაში“ დელეგატებს ახსენებენ, რომ იმპერატორებს ამის შესახებაც უნდა სთხოვონ.

კანონი 60 (71)

გვმართებს, ვთხოვოთ ქრისტიან მეფეებს ესეც: რადგანაც საღმრთო მცნებების საწინააღმდეგოდ ბევრ ადგილებში აღესრულება წარმართული ცდომილებიდან შემოტანილი ღრეობები, ისე, რომ წარმართთა მიერ ქრისტიანებიც მიიზიდებიან ფარულად მათში მონაწილეობისათვის, ამიტომ, დაე, ბრძანონ ამგვარი ღრეობების აკრძალვა ქალაქებშიც და სოფლებშიც, და მეტადრე იმიტომ, რომ ზოგიერთ ქალაქში არ ეშინიათ ამგვარად შესცოდონ თვით ნეტარი მოწამეების ხსენების დღეებშიც და თანაც წმინდა ადგილებში. ამ დღეებში, — სათქმელადაც კი სირცხვილია, — მინდვრებსა და მოედნებზე უჯერო როკვებს ასრულებენ და უხამსი სიტყვებით შეურაცხყოფენ ოჯახის დედათა ღირსებას და სხვა ურიცხვი კეთილმორწმუნე დედის უბიწოებას, რომლებიც წმინდა დღეებში იკრიბებიან, ისე, რომ ლამის გაქცევა ხდება საჭირო თვით წმინდა სარწმუნოების სავანიდან.*

(ტრულ. 24, 51, 62, 65; ლაოდ. 54; კართ. 15, 45, 63)

იხ. ტრულის კრების 24-ე და 62-ე კანონების განმარტებები.

კანონი 61 (72)

გვმართებს, აგრეთვე, ვითხოვოთ ისიც, რომ აიკრძალოს სამარცხვინო თამაშების წარმოდგენა კვირა დღეს და ქრისტიანული სარწმუნოების სხვა ნათელ დღეებში, მით უმეტეს, რომ წმინდა აღდგომის რვა დღის განმავლობაში ხალხი უფრო ცხენების ჯირითის ადგილას იკრიბება, ვიდრე ეკლესიაში. საჭიროა შეიცვალოს სამარცხვინო სანახაობებისათვის განკუთვნილი დღეები, როცა ისინი ემთხვევა (ეკლესიის) სადღესასწაულო დღეებს, და ქრისტიანთაგან არავის აიძულონ ამ სანახაობებზე წასვლა.**

(მოც. 9; ტრულ. 24, 66; ანტიოქ. 2)

იხ. ტრულის კრების 66-ე კანონის განმარტება.

---

*კართ. 401 წლის კრების მე-4 კანონი.

**კართ. 401 წლის კრების მე-5 კანონი.

კანონი 62 (73)

გვმართებს, ვითხოვოთ ესეც, რათა კეთილად ინებონ დააკანონონ, რომ ნებისმიერი ხარისხის სამღვდელოს გამოქომაგების ნება, განსჯილისა რაიმე დანაშაულისათვის ეპისკოპოსთა სამსჯავროს მიერ, არ მიეცეს არც იმ ეკლესიას, სადაც ის მსახურობდა, არც რომელიმე ადამიანს, და რათა სასჯელად ამისთვის დადგენილ იქნეს ფულადი ზღვევინება, ანდა პატივის აყრა, და რათა ბრძანონ, რომ ამაში გასასამართლებლად არ იქნეს მხედველობაში მიღებული არც ასაკი, არც სქესი.*

(მოც. 28; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 12, 14, 15; კართ. 29, 65, 129)

ამ კანონით მტკიცდება საერთო საეკლესიო ნორმა იმასთან დაკავშირებით, რომ რომელ იერარქიულ ხარისხშიც არ უნდა იყოს კლირიკოსი, მმართველ ეპისკოპოსს აქვს მისი გასამართლების უფლება. თუ კლირიკოსს, გასამართლების შემთხვევაში მოეჩვენება, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ არის სამართლიანი, მას უფლება ეძლევა მიმართოს უმაღლეს საეკლესიო სასამართლოს და იქ ეძებოს თავისი სიმართლე. საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოცხადებული განაჩენი შეუცვლელი უნდა დარჩეს და ვერავინ გაბედოს მსჯავრდებულის თავისი დაცვის ქვეშ აყვანა და მისი სასჯელისაგან გათავისუფლების მოთხოვნის წამოყენება. თუმცალა, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებული თავიანთი დაცვის ქვეშ აჰყავდათ იმ ეკლესიის კლირიკოსებს, სადაც ის მანამდე მსახურობდა, ან სხვა რომელიმე ცნობილი პირს. ამის გამო, კართაგენელი მამები წინამდებარე კანონით შუამდგომლობენ იმპერატორების წინაშე და თხოვენ, გამოსცენ კანონი მსგავსი დაუპატიჟებელი ადვოკატების წინააღმდეგ, რამეთუ ისინი ამით მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ავტორიტეტს უთხრიან ძირს და ხელს უშლიან მათი გადაწყვეტილებების აღსრულებას, რისთვისაც მართებული იქნება მათი შესაბამისად დასჯა. ეს სასჯელი, მათი აზრით, უნდა იყოს ფულადი გადასახადი ან – პატივის აყრა (უპატივობა). ამასთან, ასეთი პირები საკუთარი თავის გამართლებას და პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენას არ უნდა ეცადონ ასაკის მომიზეზებით (ხადაზმულობის ან ახალგაზრდობის გამო), არც სქესის – თე ეს ქალის მიერ არის ჩადენილი.

ამ კანონში კართაგენელი მამები საუბრობენ ფულადი ჯარიმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა დააკისროს იმ პირს, ვინც ეპისკოპოსების მიერ გასამართლებული მსჯავრდებულის დაცვას დაიწყებს; ვინც არ უნდა იყოს იგი, – როგორც **ბალსამონი** განმარტავს, – სასულიერო თუ საერო პირი. კანონი ამბობს, რომ მმართველი ეპისკოპოსის სასამართლოთი, რომელსაც უფლება ექნება ასეთი სახის დამნაშავენი თავისთან გამოიძახოს, ფულადი ჯარიმები მათ არ ეკისრებათ, მაგრამ ამ სასამართლოს თხოვნით, სასჯელს, ფულადი ჯარიმის სახით, აკისრებს სახელმწიფო ხელისუფლება. აქედან ჩანს ამ სასჯელის ხასიათი, რომ იგი წარმოადგენს სამოქალაქო და არა საეკლესიო სასჯელს; რადგანაც ეკლესია არ ითვისებს უფლებას დაადოს დამნაშავეს რამე საერო

*კართ. 401 წლის კრების მე-6 კანონი.

სასჯელი, ამიტომ არც ფულადი ჯარიმების გადახდისას ითვისებს ამას. ეს საკუთრივ ეთანხმება მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის საერთო სწავლებას იმის შესახებ, თუ რა სასჯელები შეიძლება გამოიტანოს საეკლესიო სასამართლომ დამნაშავეთა მიმართ. ფულადი ჯარიმა, როგორც სამოქალაქო ხასიათის შემცველი სასჯელი, შეიძლება დააკისროს მხოლოდ სამოქალაქო ხელისუფლებამ. თუკი საეკლესიო მთავრობა თავისი სასამართლო მოღვაწეობის ზოგიერთ შემთხვევაში შეხვდება იმის აუცილებლობას, რომ ასეთ სასჯელს დაუქვემდებაროს რომელიმე სასულიერო ან საერო პირი, – რაიმე ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც საეკლესიო სასამრთლოს მიერ არის განსახილველი, – მაშინ, რადგან თვითონ არ ფლობს არავითარი ფიზიკური იძულების საშუალებებს, ამიტომ მიმართავს სამოქალაქო ხელისუფლებას, რომელიც გამოიყენებს იმ საშუალებებს, რაც მის ხელთ არის იმისათვის, რომ აიძულოს დამნაშავე შეასრულოს მის მიმართ გამოტანილი განაჩენი. უახლეს საეკლესიო-სასამართლო პრაქტიკაში, ეს ფულადი სასჯელი ითვლება როგორც სრულიად დამოუკიდებელი სასჯელი, რომელიც დამნაშავეს ეკისრება საეკლესიო სასამართლოს მიერაც, მაგრამ მისი მხრიდან ამ სასჯელის გამოტანას შეიძლება ჰქონდეს აღმასრულებელი ძალა არა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ შესაბამისი თანამედროვე საეკლესიო-სასამართლო წესდებებმა მიიღეს სახელმწიფო სანქცია, რის საფუძველზეც სახელმწიფო ხელისუფლებამ საეკლესიო სასამართლოს დაუთმო ერთ-ერთი თავისი უფლება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო წარმოებისას.

კანონში საუბარია დამნაშავეთა სხვა სასჯელის შესახებაც, კერძოდ, პატივის აყრის შესახებ, რომელიც აქ წარმოდგენილია ისევე, როგორც სამოქალაქო (და არა საეკლესიო) სისხლის სამართლის სასჯელი. ეს სწორედ რომ სამოქალაქო სასჯელი არის, რომელიც რომაულ სამართალში იმ „სამოქალაქო უფლებების (ან ჩამორთმევის) შეზღუდვის“-ის ნუსხაში შედიოდა, რომლის მიხედვითაც დამნაშავე, გარკვეული დანაშაულისათვის, კარგავდა ყველა სამოქალაქო უფლებას ან მის ნაწილს,* და საზოგაოდებისათვის ხდებოდა „უპატივო“, რის გამოც თვით სასჯელს ეწოდება „უპატივობა“. ეს სასჯელი საეკლესიო სისხლის სამართლის კანონმდებლობამაც მიიღო და საეკლესიო სამართალში კიდევ მეტი მნიშვნელობა ჰპოვა, ვიდრე მას რომაულ სამართალში ჰქონდა, – ეკლესიის წმინდა ხასიათიდან გამომდინარე, რომლის ყოველი წევრიც თავისუფალი უნდა იყოს ყველაფერ იმისგან, რასაც შეუძლია დააკნინოს მისი ღირსება და შეურაცხყოს საზოგადოებაში მისი კეთილი სახელი. როგორც სასჯელი, საეკლესიო სამართლის თანახმად, ის მოიცავს სრულ ან ნაწილობრივ ჩამორთმევას საეკლესიო პრივილეგიებისა და უფლებებისა, და ეკლესიის მიერ იგი იმ პირის მიმართ გამოიტანება, რომელმაც თავისი არაქრისტიანული ყოფაქცევით აჩვენა, რომ არ არის ღირსი ამ უფლებების და პრივილეგიების; მას უკვე, ამ კრების 129-ე კანონის განწესების თანახმად, აღარ აქვს უფლება რამე სახის საჩივარი შეიტანოს სამოქალაქო საქმეების მწარმოებელ სასამართლოში.

---

*რომის სამართალში „უპატივობა“ (ინფამა) შეიძლება ყოფილიყო მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური; ზუსტად ასევე საეკლესიო სამართალშიც. იხ. XIV ტიტლოვანი ნომოკანონი, IX, 27; XIII, 21.

კანონი 63 (74)

გვმართებს, ვითხოვოთ ესეც: თუ ვინმე, მსახიობობით გატაცებულთაგან, მოისურვებს ქრისტიანობის მადლს მიეახლოს და გათავისუფლდეს იმ ბიწისაგან, მაშინ, დაე, ნურავის მიეცემა უფლება კვლავაც მიდრიკოს ან აიძულოს იგი იმავე საქმიანობას დაუბრუნდეს.*

(მოც. 52; ტრულ. 24, 51; კართ. 45)

ქრისტიან მსახიობებთან დაკავშირებით, ჩვენ ვიხილეთ ამ კრების 45-ე კანონის დადგენილება, რომელიც განაწესებს მათ ეკლესიასთან შერიგებას და მათთვის წმინდა ზიარების პატივმიგებას, თუ ისინი შეინანებენ და სამსახურს მიატოვებენ. წინამდებარე კანონში კი საუბარია იმ მსახიობების შესახებ, რომლებიც ქრისტიანები არ ყოფილან, მაგრამ გამოხატეს ნათლისღების სურვილი. მსახიობების სამსახური, გარკვეულწილად მუდმივი იყო და ვინც ერთხელ მათ რიგებში ჩაეწერებოდა, თავაურიდებლად ბოლომდე უნდა ემსახურა, რადგან, მაშინდელი სამოქალაქო კანონმდებლობით, ვინც თავის დროზე სამსახურში არ გამოცხადდებოდა, ისჯებოდა. კართაგენელი მამები ამ კანონით შეახსენებენ თავიანთ დელეგატებს, იშუამდგომლონ იმპერატორების წინაშე ისეთი კანონის გამოსაცემად, რომელიც აკრძალავდა იმ პირების თეატრალური მსახურების იძულებას, რომლებიც ქრისტიანობისკენ მოექცნენ, ნათლობა მიიღეს და სურთ წმინდად შეინარჩუნონ თავი მსგავსი უწმინდურობისაგან.

კანონი 64 (75)

ეკლესიაში (მონის) გათავისუფლების (გააზატების) გამოცხადების შესახებ თუკი მოკვლეული იქნება, რომ ამას აკეთებენ ჩვენი თანამწირველნი იტალიაში, მაშინ, მათდამი ნდობით, ჩვენც ეჭვშეურევნელად მივსდიოთ მათ წესგანგებას; ამის მოკვლევაც დაევალოთ ჩვენ მიერ წარგზავნილ ადგილისმცველს. რაც შეიძლება აღსრულდეს როგორც სარწმუნოების შესაბამისი ეკლესიის საკეთილდღეოდ და სულების საცხონებლად, იმას ჩვენც ქება-დიდებით შევიწყნარებთ უფლის წინაშე.**

(მოც. 82; IV მსოფ. 4; ტრულ. 85; ღანგ. 3; კართ. 82)

საკითხი, რომლის შესახებაც წინამდებარე კანონშია საუბარი, კერძოდ, ეკლესიის მიერ მონების გათავისუფლება, ეხება იმ დროს, როდესაც ქრისტიანებს შორის ჯერ კიდევ არსებობდა მონობა.

ამ კანონით მთავრდება „შეხსენება“ (напоминание, commonitorium), რომელიც დელეგატებმა – რომლებიც ეკლესიის საქმეების მოსაგვარებლად იმპერატორებთან, არკადისთან და ჰონორიესთან უნდა გამგზავრებულიყვნენ – კრებისგან მიიღეს, ამ „შეხსენების“ დამატებას წარმოადგენს შემდეგი, 65-ე კანონი.

---

*კართ. 401 წლის კრების მე-7 კანონი.

**კართ. 401 წლის კრების მე-8 კანონი.

კანონი 65 (76)

ავრილიოს ეპისკოპოსმა თქვა: ასევე მიმაჩნია, რომ იტალიაში წარგზავნილმა ადგილისმცველმა ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს ეკვიტის საქმე, რომელიც დიდი ხნის წინ იქნა განსჯილი ეპისკოპოსთა სამართლიანი განჩინებით. თუ წარგზავნილს მოუხდება მისი ნახვა იმ ადგილებში, მაშინ, დაე, ამ ძმამ (წარგზავნილმა) იზრუნოს საეკლესიო კეთილწესიერების დასაცავად და იმოქმედოს მის (განსჯილი ეპისკოპოსის) წინააღმდეგ ჯეროვნად და სადაც შეეძლება. ყველა ეპისკოპოსმა მიუგო: ფრიად ვეთანხმებით ამ წინადადებას.*

(მოც. 28; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 12, 14, 15; კართ. 29, 62, 78, 93)

ვინმე ეკვიტი – ეპისკოპოსი (არისტინეს სიტყვებით: „იპონის კათედრის ეპისკოპოსი“),** გასამართლებული და განკვეთილი იყო სათანადო კრების მიერ, მაგრამ ის არ დაემორჩილა კრების გადაწყვეტილებას და აფრიკიდან იტალიაში გაემგზავრა. იქ მან ხალხი აამბოხა და უწესრიგობანი მოაწყო. კართაგენელი მამები, ადგენენ რა სახელმძღვანელო ბრძანებას – რომელიც გადმოცემულია ზემომოყვანილ კანონებში (58-65) – თავიანთი დელეგატებისათვის, რომლებსაც იმპერატორებთან აგზავნიან, ამ კანონით განაწესებენ, რომ თუკი მათ მოუწევთ მოხსენიებულ ეკვიტისთან შეხვედრა, მაშინ მათ უნდა იმოქმედონ მის წინააღმდეგ და ეკლესიის ავტორიტეტისა და წესრიგისათვის ყველა ზომა გამოიყენონ მის განსაჯეენათ, რათა მან შეწყვიტოს ეკლესიაში მშვიდობის რღვევა.

კანონი 66 (77)

დონატისტებთან მშვიდი ურთიერთობის შესახებ. ყოველივეს მოკვლევისა და გამოძიების შემდეგ, რამაც კი შეიძლება ხელი შეუწყოს ეკლესიის სარგებლობას, სულიწმინდის მინიშნებითა და კარნახით, ჩვენ უმჯობესად მივიჩნიეთ, რომ უწყინარად და მშვიდად ვიმოქმედოთ ზემოხსენებულ ადამიანებთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთი განსხვავებული შეხედულებებით ძალზე განეშორებიან უფლის სხეულის ერთიანობას. ამგვარად, ჩვენი ძალისხმევის კვალობაზე, დაე, ყველასთვის სრულიად ცნობილი გახდეს – მთელ იმ აფრიკულ სამთავროებში, რომლებიც მონადირებულ იქნენ მათთან ურთიერთობებითა და მეგობრობით, თუ რა სავალალო ცდომილებით შეუბორკავთ თავი. ვინძლო მაშინ, როცა ჩვენ სიმშვიდით შემოვიკრებთ სხვაგვარად მოაზროვნეთ, მოციქულის სიტყვისამებრ, ღმერთი მისცემს მათ სინანულს ჭეშმარიტების გულისხმისსაყოფად, და აღმოვლენ ეშმაკის ბადეთაგან, რომელშიც მონადირებულ იქნენ თავიანთი ნებით (შდრ. 2 ტიმოთე, 2, 25, 26).***

(კართ. 47, 57, 67-69, 91-94, 99, 117-119, 124)

---

*კართ. 401 წლის კრების მე-9 კანონი.

**ათენის სინტაგმა, III, 474.

***კართ. 401 წლის კრების 1 კანონი.

კანონი 67 (78)

კეთილად იქნა განსჯილი, რომ ჩვენი კრების სახელით სიგელები (წერილები) წარგვეგზავნა მთავრებთან აფრიკაში, და ჯეროვნად ვცანით გვეთხოვა მათთვის, დაეხმარონ ჩვენს საერთო დედას – კათოლიკე ეკლესიას იმ შემთხვევებში, როცა ეპისკოპოსთა ხელისუფლება უგულებელ-იყოფა ქალაქებში, ანუ თავიანთი ხელმწიფებრივი უფლებამოსილებითა და მზრუნველობით, და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი გულმოდგინებით მოახდინონ მომხდარის გამოძიება ყველა იმ ადგილის შესახებ, სადაც ეკლესიები მაქსიმეანელებმა დაიპყრეს, და ასევე იმ ადგილებისა, რომლებიც მათ მიერ ჩამოცილებულია (განყენებულია დედა-ეკლესიიდან), და ამ მოვლენების შესახებ ყველასათვის უტყუარი ცნობების შეტანა უბრძანონ სამოქალაქო საქმეების ჩანაწერებში.*

(კართ. 47, 57, 66, 68, 69, 91-94, 117-119, 124)

კანონი 68 (79)

დონატისტი სამღვდელოების მიღების შესახებ კათოლიკე ეკლესიის სამღვდელო დასში. ბოლოს კეთილად იქნა განსჯილი სიგელების (წერილების) გაგზავნა ჩვენი ძმებისა და თანა-ეპისკოპოსებისათვის, და უფრორე სამოციქულო საყდრისათვის, რომელსაც წინამძღვრობს ხსენებული ღირსად პატივდებული ძმა და თანამსახური ჩვენი, ანასტასი; მასზედ, რომ როგორც მისთვისაც არის ცნობილი, აფრიკის დიდი საჭიროებისათვის, ეკლესიის სიმშვიდისა და სარგებლობისთვის, თვით დონატისტების იმ სამღვდელოთაგან, რომელთაც გამოასწორეს საკუთარი განწყობა და კათოლიკე ერთობაში შემოსვლა მოისურვეს, თოთოეული კათოლიკე ეპისკოპოსის განმსჯელობითა და ნებელობით, რომელიც იმ ადგილზე განაგებს ეკლესიას, მიღებულ იქნენ მღვდელმსახურნი მღვდლობის თავ-თავიანთ ხარისხებში, თუკი ეს ხელს შეუწყობს ქრისტიანთა მშვიდობას. ცნობილია, რომ უწინდელ დროშიც ასე ეპყრობოდნენ ამ განხეთქილებას, რასაც ბევრი იმ მხარისა და აფრიკის თითქმის ყველა ეკლესიის მაგალითები (გამოცდილება) მოწმობს, სადაც კი ეს ცდომილება აღმოცენდა. ეს კეთდება არა იმ კრების საწინააღმდეგოდ, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით შედგა ზღვის იქით მდებარე ქვეყნებში, არამედ რათა ეს შენარჩუნებულიყო იმათ სასარგებლოდ, ვისაც სურს ამგვარად გადმოვიდეს კათოლიკე ეკლესიაში და არანაირი დაბრკოლება შეექმნას მათ ერთიანობას. ვინც თავის საცხოვრებელ ადგილებში შემჩნეული იქნება ყოველმხრივ თანამდგომასა და შემწეობაში კათოლიკე-საყოველთაო ერთიანობისათვის, რათა ძმათა სულებს აშკარად არგოს, მათთვის ნუ იქნება დაბრკოლება მათი ხარისხების წინააღმდეგ ზღვის გაღმა კრებაზე მიღებული განჩინება, რამეთუ ცხონება არც ერთი პირისაგან დახშული არ არის. ანუ თუკი დონატისტების მიერ ხელდა-

*კართ. 401 წლის კრების 1 კანონი.

სხმულნი მოისურვებენ შეუერთდნენ კათოლიკე ეკლესიას, დაე, ნუ მოაკლდებიან მიღებას თავიანთ ხარისხებში, ზღვის იქითა კრებაზე მიღებული განჩინების მიხედვით, არამედ, დაე, იქნან ისინი შეწყნარებულნი, რამეთუ ეს ხელშეწყობა იქნება კათოლიკე ერთიანობისათვის.*

(კართ. 47, 57, 66, 67, 69, 91-94, 99, 117-119, 124)

კანონი 69 (80)

დონატისტებთან წარსაგზავნი ელჩობის დანიშვნის შესახებ სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად.

მერმე განგებულ იქნა, რომ ამ ქმედებათა კვალად, მშვიდობისა და ერთიანობის მისაღწევად, რომელთა გარეშეც შეუძლებელია აღსრულდეს ქრისტიანთა ცხონება, ჩვენგან წარიგზავნონ ადგილისმცველნი თავად დონატისტების ეპისკოპოსებთან, თუკი მათ ჰყავთ ასეთები, ანდა მათ ერისკაცებთან. ამ ადგილისმცველთა მეშვეობით, დაე, ყველასთვის ცნობილი გახდეს, რომ დონატისტების მოქმედებას კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგ არც გამართლება აქვს და არც კურთხევა. უფრო კი, უცილობელი დამტკიცებისათვის, დაე, ყველასთვის ცხადი გახდეს, ქალაქის საქმეთა ჩანაწერების მეშვეობით, თუ როგორ მოექცნენ ისინი მაქსიმეანელებს, მათგანვე განდგომილებს. ამ შემთხვევაში, თუკი სურთ გულისხმისყოფა, ღმერთმა აჩვენა მათ, რომ რაზომ უკეთურადაც თავად ისინი განეშორნენ მაშინ საეკლესიო ერთობას, ასევე უკეთურად, როგორც თვითონ ღაღადებენ, აწ განვარდნენ მათგან მაქსიმეანელები. იმათი რიცხვიდან რომელნიც მათ (დონატისტებმა) განიკითხეს საკუთარი ზრახვის განცხადებული ხელმწიფეებით, შემდეგში ზოგიერთებს იღებდნენ მღვდლობის იმ ხარისხებში, რაც მათ ჰქონდათ, და აღიარებდნენ იმ ნათლობებს, რომლებსაც მათ მიერ განკითხული და განგდებული მაქსიმეანელები აღასრულებდნენ. ამით მტკიცდება, თუ რაოდენ უგუნური გულით ეწინააღმდეგებიან ისინი მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელებულ ეკლესიის მშვიდობას, და ამგვარად მოქმედებენ დონატის სასარგებლოდ, და არ მიიჩნევენ რა თავს შებილწულებად იმათთან თანაზიარებით, რომლებიც იძულების გამო ამგვარად მიუღიათ მშვიდობით, ხოლო ამავე დროს ჩვენ გვექიშპებიან, ანუ კათოლიკე ეკლესიას, ქვეყნიერების უკიდურეს საზღვრებამდე გავრცელებულს, და ვერ შესძლეს შეეგონათ იმათთან არაწმინდა ურთიერთობის მეშვეობით, რომელთაც მანამდე თავადვე განიკითხავდნენ.**

(კართ. 47, 57, 66-68, 91-94, 99, 117-119, 124)

ზემომოყვანილი ოთხი კანონის ტექსტი (66-69) თავისთავად საკმაოდ ნათელია. ყველა ოთხი კანონი მხოლოდ და მხოლოდ დონატისტებს ეხება, რომელთა შესახ-

*კართ. 401 წლის კრების მე-2 კანონი.

**კართ. 401 წლის კრების მე-3 კანონი.

ებაც საკმარისად ითქვა კართაგენის 47-ე და 57-ე კანონების განმარტებებში. რაზე ლაპარაკობს ეს ოთხი კანონი, თვით ტექსტებიდან ჩანს.

კანონი 70 (81)

კეთილად იქნა განგებული, რომ ეპისკოპოსებმა, მღვდლებმა და დიაკვნებმა, მათი ხარისხებისათვის შესაფერისი წესებისამებრ თავი უნდა შეიკავონ ცოლებთან კავშირისაგან, რომლებიც უკვე ჰყავთ. თუ ამას არ გააკეთებენ, დაე, განიკვეთონ საეკლესიო ხარისხიდან. სხვა კლირიკოსები დაე, ნუ იქნებიან ამის ვალდებულნი, მაგრამ მათაც მართებთ თითოეული ეკლესიის ჩვეულების დაცვა.*

(მოც. 5, 17, 26, 51; I მსოფ. 3; IV მსოფ. 14; ტრულ. 5, 6, 12, 13, 30; VII მსოფ. 18; ანკირ. 19; ნეოკეს. 1, 8; ღანგ. 4; კართ. 3, 4, 25, 38; დიონისე ალექსანდრიელის 3; ბასილი დიდის 12, 27, 88)

ამ კანონის განწესების შესახებ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რამდენიმე კანონის, და განსაკუთრებით ვრცლად – ტრულის კრების მე-12 და მე-13 კანონების განმარტებებში. იმასთან დაკავშირებით, რომ ცოლ-ქმარმა გარკვეულ დროს, ლოცვის გამო, ერთმანეთისგან თავი უნდა შეიკავონ, ჯერ კიდევ III საუკუნეში საუბრობდა **ალექსანდრიის ეპისკოპოსი დიონისე** თავის ეპისტოლეში ბასილიდის მიმართ (იხ. მე-3 კან.). კართაგენის მამები ამ განწესებას მიმართავენ ეპისკოპოსების, მღვდლების, დიაკვნებისა და იპოდიაკვნებისადმი, და ამით ადასტურებენ მათ მიერ უკვე გამოცემულ განწესებას (იხ. 25-ე კან.). წინამდებარე კანონი მხოლოდ იმას ამატებს, რომ აღნიშნულ იერარქიულ ხარისხებში მყოფი სასულიერო პირების თავშეკავებასთან დაკავშირებული განწესება არ ვრცელდება დაბალი რანგის კლირიკოსებზე, რამეთუ ისინი სიწმინდეებს არ ეხებიან. ამიტომ ამ საკითხში ისინი თავიანთი ეკლესიების ჩვეულებებს უნდა მიჰყვნენ.

კანონი 71 (82)

კეთილად იქნა განგებული, რომ არც ერთ ეპისკოპოსს არ მიეცეს უფლება მიატოვოს თავისი კათედრის მთავარი ადგილი და განვიდეს მის ეპარქიაში შემავალ რომელიმე სხვა ეკლესიაში, ანდა სათანადოზე მეტად დაშვრებოდეს თავის კერძო საქმეში და არ ზრუნავდეს და გულმოდგინებდეს თავისი საყდრისათვის.**

(მოც. 52; IV მსოფ. 25; ტრულ. 19; სარდ. 11, 12; ლაოდ. 19; კართ. 121, 123; ორგზ. 16)

---

*კართ. 401 წლის კრების მე-4 კანონი.

**კართ. 401 წლის კრების მე-6 კანონი.

ამ კანონის მიზანია, თითოეულ ცალკე აღებულ საეპისკოპოსო სამთავროში, ეპისკოპოსის რეზიდენცია დაამტკიცოს კათედრალურ საეპისკოპოსო ეკლესიასთან, ანუ იმ ქალაქში, რომელიც თავისი მნიშვნელობით საეპისკოპოსო კათედრის ღირსიქმნა. ამასთან შესაბამისობაში, კანონი უკრძალავს თითოეულ ეპისკოპოსს იმ ადგილის დატოვებას, რომელიც მისთვის თავიდანვე იყო განსაზღვრული მუდმივ ადგილსამყოფელად, და მის მიერ მართულ სამთავროში სხვა ადგილზე დამკვიდრებას. ზოგიერთი ეპისკოპოსი ამას პირადი გამორჩენის მიზნით აკეთებდა, რადგან სხვა რომელიმე ადგილას ეს მისთვის ზოგჯერ უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე თავის მუდმივ რეზიდენციაში. ამიტომ კანონი საყვედურობს იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც იმის გამო, რომ პირად საქმეებს ზედმეტ ყურადღებას უთმობენ, თავის კათედრაზე ნაკლებად ზრუნავენ.

კანონი 72 (83)

ყრმათათვის, როცა არ მოიძებნებიან სარწმუნო მოწმეები იმისა, რომ ისინი ნამდვილად მონათლულები არიან, და თავადაც თავიანთი ასაკის გამო არ ძალუძთ დამაკმაყოფილებლად გვიპასუხონ მათზე აღსრულებული საიდუმლოს შესახებ, განვსაჯეთ, რომ მართებული იქნება ყოველგვარი შეეჭვების გარეშე მოვნათლოთ ისინი, რათა მსგავსმა ეჭვმა არ მოაკლოს მათ განწმედა ამ სიწმინდით. ეს ჩვენმა მავრიტანელმა ადგილისმცველებმა გვირჩიეს, იმიტომ, რომ მრავალ ასეთ ყრმას ყიდულობენ ბარბაროსთაგან.*

(მოც. 49, 50; II მსოფ. 7; ტრულ. 84; VII მსოფ. 8; კართ. 45, 48, 110; ბასილი დიდის 1, 91)

როგორც კანონიდან ჩანს, პედობაპტიზმი [ბავშვთა ნათლობა] იმ დროს (401 წ.) ითვლებოდა საერთო წესად აფრიკულ ეკლესიაში. ამიტომ კანონი განაწესებს თითოეული ბავშვის მონათვლას, რომელთა შესახებაც არ არის ცნობილი, იყო იგი მანამდე მონათლული თუ არა; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა მცირე ასაკის გამო ბავშვი თავად ვერ ატყობინებს მიიღო თუ არა ნათლობა და არც ვინმე ისეთი პირი არის, ვინც ამას დაამოწმებდა. კართაგენელი მამები ასეთ დადგენილებას მოტივად უდებენ იმას, რომ არ შეიძლება არცოდნის გამო ბავშვი მოაკლო ისეთი სიწმინდით განწმენდას, როგორიცაა ნათლისღების საიდუმლო. ამ კანონის მიღების მიზეზი გახდა ბევრი ქრისტიანის მხრიდან არაქრისტიანი ერისგან მონების შესყიდვა, რომელთა შორის არცთუ იშვიათად ბავშვებიც ხვდებოდნენ და იმისათვის, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ ეკლესიის ჭეშმარიტი წევრები გამხდარიყვნენ, აუცილებელი გახდა დასახელებული დადგენილების შექმნა.** ამ-

*კართ. 401 წლის კრების მე-7 კანონი.

**იხ. VII მსოფლიო კრების მე-8 კანონის განმარტება.

ჟამად ამ დადგენილებას მნიშვნელობა აქვს უმთავრესად მიტოვებული ან „მიგდებული“ ბავშვებისათვის.*

კანონი 73 (84)

კეთილად იქნა განგებული აგრეთვე, რომ აღდგომის თაყვანისცემის დღე ყველასთვის უწყებულ იქნეს მინაწერით კრების განჩინებაზე. კრების დღედ კი აღიარონ სწორედ ის, რომელიც დაინიშნა იპონის კრებაზე, ანუ ოცდაერთი აგვისტო. და ამის შესახებ უნდა მივწეროთ ყველა სამთავროს პირველ ეპისკოპოსს, რათა როცა კრებას მოიწვევენ თავისთან, ეს დღე ხელშეუხებელი დატოვონ.**

(მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 18; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; კართ. 34, 51, 95, 106)

ამ კრების 51-ე კანონის განწესების საფუძველზე, აფრიკის საკონსულოს ყველა ეკლესიისათვის, ყოველწლიური კრების შემდეგ, რომელიც, როგორც წესი, კართაგენში იმართებოდა, უნდა გაეცხადებინათ თუ რომელ დღეს იდღესასწაულებოდა იმ წელიწადს ქრისტეს აღდგომა. ეს ჯერ კიდევ იპონის 393 წლის კრებაზე დამტკიცდა და შემდეგ აღორძინდა ამ, 419 წლის კრების 34-ე, 51-ე და წინამდებარე (73-ე) კანონებით. იმავე იპონის კრებაზე დადგინდა,რა დროს უნდა შეიკრიბოს მთელი აფრიკული ეკლესიის ყოვლწლიური საეპისკოპოსო კრება. იგივე დასტურდება ამ კრებითაც, თანაც შეკრების დღედ ინიშნება 21 აგვისტო.*** ამავე კანონში კართაგენელი მამები განუწესებენ ყველა პირველ ეპისკოპოსს (მიტროპოლიტებს) მკაცრად დაიცვან ეს დღე თავიანთ სამთავროებში, ანუ თავიანთი ჩვეულებრივი კრებები იმ ანგარიშით მოიწვიონ, რომ აღნიშნული დღისათვის, როდესაც საერთო კრებაზე მართებთ ერთობლივი შეკრება, ყველა საქმე უკვე დამთავრებული ჰქონდეთ.

---

*როცა ხდება რომელიმე „მიგდებული“ ბავშვის ნათლობა, რომლის შესახებაც არ არის ცნობილი იყო თუ არა იგი მონათლული, ასეთ დროს ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი ფორმულა: „ინათლება მონა ღვთისა (სახელი), თუ აქამდე არ იყო მონათლული, სახელითა მამისათა...“ და ასე შემდეგ (იხ. § 86-ის შენიშვნა წიგნიდან „О должностях пресвитеров приходских“). თუმცა, პეტრე მოგილა თავის კურთხევანში (Требник) ამ ფორმულას უწევს რეკომენდაციას, მაგრამ ეს რეკომენდაცია არ შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან ის არ ეფუძნება მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლის არც ერთ დადგენილებას და აღებულია ლათინური ეკლესიის კანონიკური სამართლიდან. ლათინურ ეკლესიაში არ იყო ეს ფორმულა ცნობილი XII საუკუნემდე, ვიდრე პაპ ალექსანდრე III-მ (1159-1164) არ გამოსცა დადგენილება, რომ ყველა, ვისი ნათლობაც ეჭვს იწვევს, უნდა მოინათლოს შემდეგი სახით: „თუ მონათლული ხარ, არ გნათლავ, თუ არა ხარ მონათლული, – გნათლავ და ასე შემდეგ... ecretal. Gregorii IX, III, 42, c. 2 (Corpus juris can., II, p. 619. ed. Richter, 1839). მას შემდეგ ეს ფორმულა მუდამ იყო დაცული ლათინურ ეკლესიაში. რადგანაც პეტრე მოგილამ თავისი კურთხევანისათვის იქიდან ბევრი რამ დაისესხა (იხ. მაგ. § 44 ჩემს თხზულებაში „მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი“ შენიშვნა 14), ამიტომ საეჭვოთ სარწმუნოა, რომ მან ეს ფორმულაც შეიტანა იმ პირთა ნათლობისათვის, რომელთა მიმართაც ზუსტად არ იყო ცნობილი, იყვნენ თუ არა მონათლულნი.

**კართ. 401 წლის კრების მე-8 კანონი.

***ზონარასა და ბალსამონის განმარტებები იხ. ათენის სინტაგმაში, III, 489.

კანონი 74 (85)

ასევე განჩინებულ იქნა, რომ დროებით მმართველ ეპისკოპოსთაგან არავის მიეცეს ნება შეინარჩუნოს ის საყდარი, რომელიც მას მიენდო როგორც დროებით მმართველს, ერში მოსალოდნელი უთანხმოებისა და შფოთის მიზეზით, არამედ, ეცადოს, რომ ერთი წლის განმავლობაში ერისთვის არჩეულ იქნეს ეპისკოპოსი. ხოლო თუკი არ იგულმოდგინებს ამისთვის, მაშინ წლის გასრულების შემდეგ, დაე, სხვა დროებითი მმართველი აირჩიონ.*

(მოც. 36; IV მსოფ. 25; ტრულ. 35)

ჩვეულებრივ, დაქვრივებულ ეკლესიას მართავდა მისი დასი, იქამდე, ვიდრე ახალი ეპისკოპოსი არ დადგინდებოდა (იხ. პარალელური კანონები), მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა, რომ ამ დასს არ შეუძლია იქ სათანადო წესრიგის შენარჩუნება და ხალხში რაღაც დაჯგუფებები გამოჩნდებოდა, რომლებსაც ერთმანეთში უთანხმოებები ჰქონდათ საეპისკოპოსო კანდიდატებთან დაკავშირებით, მაშინ მიტროპოლიტი აგზავნიდა იქ რომელიმე უახლოეს ეპისკოპოსს. ეს ეპისკოპოსი თავის თავზე იღებდა დაქვრივებული ეკლესიის დროებით მართვას და ინარჩუნებდა იქ სიმშვიდესა და წესრიგს, სანამ მუდმივი ეპისკოპოსი არ დადგინდებოდა. თუმცაღა, ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ის ეპისკოპოსები, რომლებსაც ხალხში სიყვარული უნდა შეენარჩუნებინათ და ხელი შეეწყოთ ახალი ეპისკოპოსის გამორჩევისათვის, პირიქით, უწესრიგობებს უწყობდნენ ხელს და უთანხმოებას აღძრავდნენ იმ მიზნით, რომ შემდგომშიც მუდმივი ეპისკოპოსის გარეშე დარჩენილიყო ეკლესია, ხოლო მათ შესაძლებლობა მისცემოდათ მეტი დროის განმავლობაში ემართათ ის. მსგავსი ბოროტად გამოყენების ასალაგმავად, კართაგენელი მამები განაწესებენ, რომ დროებით მმართველი ეპისკოპოსი დაქვრივებულ ეკლესიაში წელიწადზე მეტ ხანს არ უნდა დარჩეს. თუ ის ამ ხნის განმავლობაში ვერ შესძლებს ყველაფერი მოამზადოს ახალი ეპისკოპოსის დასადგინებლად, მაშინ მას ერთმევა მმართველობა და ის გადაეცემა სხვა ეპისკპოსს – ახალ დროებით მმართველს.

კანონი 75 (86)

ყველამ კეთილად განსაჯა, რომ ღარიბ-ღატაკთა შევიწროების მიზეზით, რომლებიც ამის გამო განუწყვეტლივ აწუხებენ ეკლესიას საჩივრებით, ეთხოვოთ მეფეებს არჩეულ იქნენ მათთვის, ეპისკოპოსთა ზედამხედველობით, დამცველები მდიდართა მიმძლავრებისაგან.**

(IV მსოფ. 2, 23; კართ. 97)

ეპისკოპოსის მოვალეობას, – ამბობს ამ კანონის განმარტებაში ზონარა, – შეადგენს არამხოლოდ მისთვის რწმუნებული ხალხის განსწავლა, არამედ მათი გამოქომაგებაც, როდესაც ისინი უსამართლობას განიცდიან, და შეძლებისდაგვარად

*კართ. 401 წლის კრების მე-9 კანონი.

**კართ. 401 წლის კრების მე-10 კანონი.

მათი დაცვა.* იმის გამო, რომ ზოგიერთი მდიდარი ავიწროებდა გლახაკებს და ყოველმხრივ ბოროტად ექცეოდა, ხოლო ეპისკოპოსებს არ ჰქონდა საკმარისი ხელმწიფება ძალადობისაგან მათ დასაცავად, კართაგენელი მამები ამ კანონით ადგენენ იშუამდგომლონ იმპერატორების წინაშე საგანგებო ვექილების – ეკდიკების დასანიშნად („ეკლესიის ბჭე", „თანამოსაჯული"), რომლებსაც საშუალება მიეცემოდათ დაეცვათ ღარიბ-ღატაკნი მდიდრების მხრიდან ჩაგვრისაგან და ამით ეკლესიაც გაეთავისუფლებინათ იმ მუდმივი საჩივრებისაგან, რომლებითაც მას მდიდრებისგან შევიწროებული ხალხი მიმართავდა. იგივე შუამდგომლობა კვლავ იქნა მიღებული ამ კრების 97-ე კანონით. მამების თხოვნა დააკმაყოფილეს იმპერატორებმა თეოდოსიმ და ჰონორემ, რომლებმაც თავის მხრივ დაადგინეს, რომ თითოეულ საეპისკოპოსო კათედრასთან უნდა მსახურობდეს განსაკუთრებული ნაფიცი ვექილი, რომელსაც აირჩევენ ეპისკოპოსები და სხვა სასულიერო პირები, აგრეთვე ერის საპატივცემულო მოქალაქეები.**

კანონი 76 (87)

განვაჩინეთ, რომ ყოველთვის, როცა კრება დაინიშნება, დროულად უნდა მოდიოდნენ მასზე ეპისკოპოსები, რომელთაც ხელს არ უშლით არც ხანდაზმულობა, არც სნეულება, არც სხვა რამ გადაუდებელი აუცილებლობა; და ეუწყოთ პირველ ეპისკოპოსთ, თითოეულს თავის სამთავროში ყველა ეპისკოპოსის შესახებ, – ორ ადგილას დგება მათი კრებები თუ სამ ადგილას, – და თითოეული ამ კერძო კრებიდან რიგითობით არჩეულები, დაე, უსათუოდ მოვიდნენ კრებაზე დასასწრებლად. როცა მოსვლას ვერ შესძლებენ რაღაც მიზეზთა გამო, მაშინ, თუკი არ განუმარტავენ თავიანთ უპირატეს ეპისკოპოსს მოსვლის ხელშემშლელ მიზეს, მაშინ ესევითარნი უნდა დაკმაყოფილდნენ თანაზიარებით მხოლოდ თავიანთ ეკლესიებში.***

(მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; ლაოდ. 40; კართ. 18, 73, 77, 95)

აქ საუბარია ისეთი კრების შესახებ, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდით ამ კრების მე-18 კანონის მესამე ნაწილის განმარტებაში, ანუ – აფრიკული ეკლესიის საერთო კრების შესახებ. ეს ეკლესია ეპისკოპოსების მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა, მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ საერთო კრებაზე ყველა მათგანი, რა თქმა უნდა, ვერ შეიკრიბებოდა. ამიტომ ყოველი ეპარქიიდან ჩამოდიოდნენ საგანგებოდ ამისათვის არჩეული წარმომადგენლები (იხ. მე-18 კან.). ამ კანონიდანვე ჩანს, რომ მიტროპოლიტები, თავიანთ სამთავროებში, მათზე დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს ორ ან სამ ჯგუფად ყოფდნენ და საერთო კრებაზე ყველა ამ ჯგუფიდან აგზავნიდნენ წარმომადგენლებს, რომლებსაც რიგრიგობით ირჩევდნენ.

*ათენის სინტაგმა, III, 494.

**ეკდიკების შესახებ იხ. IV მსოფლიო კრების 23-ე კანონის განმარტება.

***კართ. 401 წლის კრების მე-11 კანონი.

ეს ამორჩეული წარმომადგენლები აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ კრებას, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ამას ვერ შეძლებდნენ რაიმე საპატიო მიზეზით. ამასთან, ისინი პატიებას იღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზეზის შესახებ წინასწარ აცნობებდნენ თავის მმართველ მიტროპოლიტს. სხვაგვარად, როგორც კანონი განაწესებს, მხოლოდ საკუთარ ეკლესიასთან თანაზიარებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ეს ნიშნავს, რომ ისინი მღვდელმოქმედების უფლებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ გარკვეული დროით განიყენებოდნენ სხვა ეპისკოპოსებთან თანაზიარებიდან.* IV მსოფლიო კრების მე-19 კანონის განწესებით, ყველა ის ეპისკოპოსი, რომელიც კრებაზე არ გამოცხადდებოდა, ექვემდებარებოდა საყვედურს — ძმური სიყვარულით გულისწყრომის გამოცხადებას.

კანონი 77 (88)

კრესკონიოს ვილარეკენსიელის მიმართ კეთილად იქნა განსჯილი ყველას მიერ შემდეგი: აქედან ეუწყოს ნუმიდიის პირველ ეპისკოპოსს, რომ თავისი სიგელით შეაგონოს ზემოხსენებული კრესკონიოსი ჩამოსვლის თაობაზე, რათა არ გადადოს აფრიკის უახლოეს საერთო კრებაზე წარმოდგომა. ხოლო თუკი უგულებელყოფს და არ მოვა, იცოდეს, რომ მის მიმართ განჩინება იქნება გამოტანილი.**

(მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; ლაოდ. 40; კართ. 18, 48, 73, 76, 95)

კრესკონიოსი, რომლის შესახებაც წინამდებარე კანონი საუბრობს, უკვე მოიხსენიებოდა ამ კრების 48-ე კანონში, მაგრამ, რადგანაც ეს ეპისკოპოსი ამის შემდეგაც ჯიუტად არ თმობდა უკანონოდ დაკავებულ კათედრას, ამიტომ კართაგენელი მამები წინამდებარე კანონით განუწესებენ მას საერთო კრების წინაშე წარდგომას; წინააღმდეგ შემთხვევაში განაჩენი უიმისოდ გამოცხადდება.

კანონი 78 (89)

იპონის ეკლესიის დატოვება მმართველთა გარეშე არ უნდა იქნეს დიდი ხნით გადადებული; და რადგან იქაური ეკლესიები იმათი ხელისუფლების ქვეშ არიან, რომელნიც განეშორნენ უკანონო თანაზიარებას ეკვიტისთან, ამიტომ კეთილად იქნა განჩინებული, რომ ამ კრების მიერ წარგზავნილ იქნენ ეპისკოპოსები: რიგინოსი, ალვიპი, ავგუსტინოსი (ავგუსტინე), მატერნოსი, თეასი, ევოდი, პლაკიანე, ურვანოსი, ვალერიოსი, ამვიკი, ფურტუნატე, კუოდვულდტე, ონორატოსი, იანუარი, აპტუ, ონორატე, ამპელიოსი, ვიკტორიანე, ევანგელოსი და როპატიანე, რათა მათ შეჰკრიბონ და შეაგონონ ისინი, — რომელნიც თავიანთი სიჯიუტით გაკიცხვის ღირსნი, ფიქრობენ დაელო-

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 498.

**კართ. 401 წლის კრების მე-11 კანონის დამატება.

დონ სანამ იგივე ეკვიტი არ გაიქცევა, – და საერთო ლოცვით დაუდგინონ მათ ეპისკოპოსი. ხოლო თუკი ისინი არც კი ისურვებენ მშვიდობაზე იფიქრონ, მაშინ ნუ შეეწინააღმდეგებიან წინამძღვრის არჩევას, რათა იგი დადგენილ იქნეს ეკლესიის სარგებლობისათვის, ეგზომ დიდხანს რომ რჩებოდა უეპისკოპოსოდ.*

(მოც. 58; IV მსოფ. 25; ტრულ. 19; სარდ. 11; კართ. 65, 71, 74, 93, 121, 123)

კანონში საუბარია გასამართლებულ ეპისკოპოს ეკვიტიზე, რომლის შესახებაც ერთხელ უკვე იყო საუბარი ამ კრების 65-ე კანონში. წინამდებარე კანონი ადგენს, რომ იპონში გაიგზავნოს რამდენიმე ეპისკოპოსი ეკვიტის მიერ დარღვეული მშვიდობის აღსადგენად და იქ ახალი ეპისკოპოსის დასადგინებლად. ამ წარგზავნილ ეპისკოპოსებს შორის ნეტარი ავგუსტინეც მოიხსენიება,იპონის ეპისკოპოსი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ აფრიკაში ამ სახელწოდებით ორი ქალაქი იყო, ერთი ნუმიდიაში, სადაც ეპისკოპოსი ავგუსტინე იყო, მეორე – სადაც ეკვიტი იმყოფებოდა.

კანონი 79 (90)

განჩინებულ იქნას ესეც: როცა სასულიერო პირებზე შესმენა შემოვა და გამოცხადდება ზოგიერთი ბრალდება, მაშინ, ერთი მხრივ, ეკლესიის მიმართ გამოთქმული საყვედურების უარსაყოფად, მეორე მხრივ, სამღვდელო დასის წევრთა ღირსების დასაცავად, რა მიზეზითაც გამოვუვლენთ კიდეც მათ შეწყნარებას, ნაწილობრივ კი მწვალებელთა და წარმართთა ამპარტავნული ღვარძლისა და ნიშნის მოგების თავიდან ასაცილებლად, – თუკი სურთ სათანადოდ დაიცვან თავიანთი საქმე და იზრუნონ საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, – დაე, მოიმოქმედონ ეს ერთ წელიწადში, რომლის განმავლობაში ისინი განყენებულნი უნდა იყვნენ ზიარებიდან, ხოლო თუკი წლის განმავლობაში უგულებელყოფენ თავიანთი საქმის განწმედას, მაშინ მათგან არანაირი საჩივარი არ იქნეს მიღებული.**

(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9)

თითოეულ კლირიკოსს, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე, – ყოველთვის ორი რამ უნდა ედგას თვალწინ; სინდისი და კეთილი სახელი. თავად ჩვენთვის საკმარისია სინდისი, მაგრამ სხვებისთვის ჩვენ აუცილებლად გვჭირდება კეთილი სახელი: „სინდისი შენთვის, კეთილი სახელი კი შენი მოყვასისთვის“. რადგან, ყოველი კლირიკოსი კეთილი სახელით უნდა სარგებლობდეს, ამიტომ კანონი, მიღებული ამასთან დაკავშირებით, განაწესებს შემდეგს: თუკი კლირიკოსზე, რაიმე დანაშაულის შედეგად, საჯაროდ არის შეტანილი საჩივარი ან საზოგადოებაში ხმა დაირხა, რომ რაღაც დანაშაული ჩაიდინა, მაშინ მან, თავისი კეთილი სახელისა და ეკლესი-

*კართ. 401 წლის კრების მე-13 კანონის დამატება.

**კართ. 401 წლის კრების მე-13 კანონი.

ის ავტორიტეტისათვის, ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ერთი წლის განმავლობაში თავი გაიმართლოს საეკლესიო სასამართლოზე და, ამასთანავე, აჩვენოს საზოგადოების აზრის წინაშე თავისი უდანაშაულობა. თუ ამას ვერ შეძლებს განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაშინ კარგავს თავის გამართლების უფლებას და გადაეცემა სასამართლოს. ის, რომ კანონი ასეთ კლირიკოსებს ამ ერთი წლის განმავლობაში უზიარებლობას განუწესებს, — **ზონარას** სიტყვებით ამ კანონის განმარტებიდან, — არ ნიშნავს, რომ ეს მათ განეწესებათ იმის გამო, თითქოს შეტანილი საჩივრის საფუძველზე დამნაშავეებად ცნეს (ასეთ შემთხვევაში მათ განკვეთდნენ), ეს მხოლოდ იმიტომ განეწესებათ, რომ ხალხს ეჭვის საფუძველი მისცეს მათში დამნაშავენი დაენახათ.*

კანონი 80 (91)

განვაჩინეთ ესეც: თუ რომელიმე ეპისკოპოსი მიიღებს ვინმეს სხვისი მონასტრიდან და მოისურვებს მის შეყვანას თავის სამღვდელოთა დასში, ან დაადგენს თავისი მონასტრის იღუმენად, მაშინ ამის ჩამდენი ეპისკოპოსი, დაე, განყენებულ იქნას სხვებთან თანაზიარებისგან და დაკმაყოფილდეს თანაზიარებით მხოლოდ თავის სამწყსოსთან; ხოლო ის ნუ დარჩება ნურც კლირიკოსად და ნურც იღუმენად.**

(მოც. 14, 15, 16; I მსოფ. 15, 16; IV მსოფ. 4, 5, 10, 20, 23; ტრულ. 17, 18, 20; VII მსოფ. 19, 21; სარდ. 1, 2, 13, 15, 16; კართ. 54, 90; ორგ ზ. 2, 3, 4)

ზუსტად იმ სასჯელით, რომლითაც ამ კრების 76-ე კანონი, ეს კანონიც ყველა იმ ეპისკოპოსს სჯის, რომელიც სხვა ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში მყოფ მონოზონს მიიღებს თავის დასში ჩასარიცხად ან თავისი რომელიმე მონასტრის იღუმენად დასადგენად, თუ იმ მონაზონს თავისი მმართველი ეპისკოპოსისგან თან არა აქვს „განსატევებელი წიგნი“. ხოლო თუ ხელთ აქვს ეს მოწერილობა, ანუ თავისი ეპისკოპოსისგან სხვა ეპარქიაში გადასვლის ნებართვის დამადასტურებელი მოწმობა, მაშინ მას თავისუფლად შეუძლია კლირიკოსიც გახდეს და იღუმენიც.*** ამასთან დაკავშირებით იხ. I მსოფლიო კრების მე-16 კანონის განმარტება. წინამდებარე კანონში, ისევე, როგორც ამ კრების 76-ე კანონში, საუბარია ერთ განსაკუთრებულ სასჯელზე, რომელსაც შეიძლება გარკვეული დანაშაულისათვის დაექვემდებაროს ეპისკოპოსი, კერძოდ: თანაზიარების შეზღუდვა „მხოლოდ თავის სამწყსოსთან“ ერთობით. ეპისკოპოსის ეს სასჯელი მოხსენიებულია ამ კრების 123-ე და 133-ე კანონებშიც. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ეპისკოპოსი გარკვეული დროით განიყენებოდა სხვა ეპისკოპოსებთან ერთობიდან; აღნიშნული საჯელი, თანახმად დასავლურ საეკლესიო კრებებზე გამოყენებული ტერმინებისა, იწოდებოდა „ძმურ განყენებად“. აღმოსავლური ეკლესიის სხვა არც ერთ კანონში ნახსენები არ არის

*ათენის სინტაგმა, III, 502.

**კართ. 401 წლის კრების მე-14 კანონი.

***იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 503.

ეპისკოპოსისათვის მსგავსი სასჯელი, ასევე უცნობია (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის), რომ ის ოდესმე პრაქტიკაში ყოფილიყო მართლმადიდებელ ეკლესიაში, გარდა ძველი კართაგენის ეკლესიისა, რის გამოც ეს სასჯელი შეიძლება მივიჩნიოთ კართაგენის ეკლესიის თავისებურებად.

კანონი 81 (92)

განჩინებულ იქნა ესეც: თუ რომელიმე ეპისკოპოსი თავის მემკვიდრეებად მწვალებლებს ან წარმართებს დატოვებს — სულ ერთია ისინი მისი ნათესავები იქნებიან თუ არა — და ეკლესიას მათ ამჯობინებს, ესევითარი, დაე, მისი სიკვდილის შემდეგაც შეჩვენებულ იყოს და მისი სახელის ხსენება ნურასდროს აღევლინება ღვთის მღვდელთა მიერ. ვერც ის გაამართლებს მას, თუ ანდერძის დაუტოვებლად აღესრულა, რამეთუ იყო რა დადგინებული ეპისკოპოსად, წესისამებრ უნდა დაეტოვებინა თავისი წოდების შესაფერისი ანდერძი საკუთარი ქონების განსაკარგავად.*

(მოკ. 38, 40; IV მსოფ. 22; ტრულ. 35; კართ. 22, 32)

ამ კრების 22-ე კანონით ეპისკოპოსებს და, ზოგადად, სასულიერო პირებს ეკრძალებათ საკუთარი ქონების არაქრისტიანებისათვის მემკვიდრეობით დატოვება, თუნდაც ისინი მისი ნათესავები იყვნენ, ხოლო ამავე კრების 32-ე კანონი რეკომენდაციას აძლევს მათ ყველაფერი ეკლესიას დაუტოვონ, რაც კი მათ საკუთრებაში აღმოჩნდა, — იქნება ეს მემკვიდრეობით თუ სხვა რამე სახით შეძენილი ქონება. წინამდებარე კანონშიც საუბარი პირად საკუთრებას ეხება, თანაც, დაწვრილებით გადმოგვცემს 22-ე კანონის განწესებას იმ ეპისკოპოსების შესახებ, რომლებიც თავიანთ მემკვიდრეებად არაქრისტიან პირებს ადგენენ; კერძოდ — მწვალებლებს ან წარმართებს, თუნდაც მათთან ნათესაობა აკავშირებდეთ. იმასთან დამოკიდებულებით, რომ ეპისკოპოსებს უფლება ჰქონდათ თავიანთი კერძო ქონება პირადი შეხედულებისამებრ განეკარგათ, ჩვენ ვიხილეთ მოციქულთა მე-40 კანონის განწესებაში (შდრ. ანტიოქ. 24-ე კან.), რომლის თანახმადაც, ეპისკოპოსს, ამ მიზნით, უნდა ჩაეტარებინა პირადი ქონების აღწერა და ის საეკლესიო ქონებიდან გამოცალკავებული ჰქონოდა. ამაზე კართაგენის წინამდებარე კანონის დასკვნითი ნაწილიც საუბრობს. ამდენად, ეპისკოპოსი, რომელიც თავს უფლებას მისცემდა თავისი სიკვდილის შემდეგ რომელიმე მწვალებლის ან წარმართისთვის, — თუნდაც ის მისი ნათესავი ყოფილიყო, — საკუთარი ქონება მემკვიდრეობით დაეტოვებინა, კანონის განწესებით ექვემდებარება საშინელ სასჯელს — შეჩვენებას, და მის სახელს საეკლესიო დიპტიქში აღარ მოიხსენიებენ.** თუ რას ნიშნავს „შეჩვენება“

*კართ. 401 წლის კრების მე-15 კანონი.

**დიპტიქონი — ხისგან, ძვლისგან ან ლითონისგან დამზადებული ორი დასაკეცი დაფა, შეერთებული თასმით ან ზონარით, წიგნის მსგავსად აკინძული, გარედან გლუვი ან ჩუქურთმებით შემკობილი, შიგნიდან კი სანთლის ფენით დაფარული და ირგვლივ ნაპირებზე წერილი ამობურცული კანტით შემოვლებული, რომელზეც შეიძლებოდა წერა, უფრო სწორად, ამოკაწერა

(ანათემა) — ჩვენთვის ცნობილია II მსოფლიო კრების 1 კანონის განმარტებიდან, წინამდებარე კანონში ის ცხადდება უკვე გარდაცვლილი ეპისკოპოსისს მიმართ. საეკლესიო ისტორიიდან მრავალი მაგალითი ვიცით, როდესაც ზოგიერთი პირის შეჩვენება ხდებოდა მათი სიკვდილის შემდეგ*** თუმცა, მიცვალებულის მიმართ გაცხადებული ანათემა არ არის ეკლესიიდან ის მოკვეთა, რომელიც უმძიმესი საეკლესიო სასჯელია და, ჩვეულებრივ, ცნობილი დამნაშავეების მიმართ გამოიყენება. შეჩვენება, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სასჯელი, შეიძლება გამოტანილ იქნეს საეკლესიო მთავრობის მიერ მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებიც მის იურისდიქციაში შედიან, ანუ მხოლოდ ეკლესიის ცოცხალი წევრების მიმართ. მიცვალებულები კი რომლებიც აღარ არიან მებრძოლი ეკლესიის წევრები და უკვე აღარ შედიან მის იურისდიქციაში, ექვემდებარებიან უმაღლეს სამსჯავროს.****

ფოლადის წვეტიანი ხიხირით. ძველი ბერძნები და რომაელები იყენებდნენ ჩასაწერ წიგნაკებად. კონსტანტინე დიდის დროიდან მათ „დიპტიქონი" ეწოდათ. თუ მას ორზე მეტი დაფა ჰქონდა, ეწოდებოდა ტრიპტიქი, ტეტრაპტიქი და ა. შ. ძველ რომში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ე. წ. „კონსულთა დიფტიქონები". ისინი ჩვეულებრივზე უფრო დიდები იყო (დაახლ. 40 სმ. სიგრძისა), ამზადებდნენ მხოლოდ სპილოს ძვლისაგან, მხატვრულად აფორმებდნენ და წარმოადგენდნენ ძვირფას საჩუქარს. როდესაც რომის იმპერიაში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, დიპტიქები გამოიყენებულ იქნა საეკლესიო მოხმარებისათვის. ხმარობდნენ მას სახარების გარეკანისათვის, ამკობდნენ ოქროჭედულობით, ძვირფასი თვლებით და მინანქრით, სხვა ეგზემპლარებს იყენებდნენ საკურთხევლის მოსართავად: მთავარი დანიშნულება დიპტიქისა მაინც ის იყო, რომ მათ ამავე დროს იყენებდნენ საღვთისმსახურო ლოცვების, აგრეთვე მიცვალებულთა და ცოცხლების მოსახსენებლების ჩასაწერად და საკითხავად. IV ს. ჩნდება სპეციალურად დამზადებული დიპტიქები ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე გამოსაყენებლად, რომლებიც გაფორმებული იყო ბიბლიური სიუჟეტებით. მათზე იწერებოდა გარდაცვლილთა და ეკლესიის წინაშე დამსახურების მქონე ცოცხალი პირების სიები, ეგრეთ წოდებული **სინოდიკონები**. ამიტომ გაჩნდა სამგვარი დიპტიქი: 1. საეპისკოპოსო დიპტიქები, ადგილობრივ იერარქთა მოსახსენებლად; 2. დიპტიქები ცოცხალ პირთა (მეფეებისა, იერარქთა, შემომწირველთა); 3. დიპტიქები მიცვალებულ საეკლესიო მოღვაწეთა და ქველმოქმედთათვის. დიპტიქები ხშირად ასრულებდნენ ხატების მაგივრობას მღვდელმსახურთა და მორწმუნეთა მგზავრობის დროს სალოცავად. ასეთი დიპტიქები მომრავლდა IX საუკუნიდან, ხატმებრძოლობის შემდეგ. ფიქრობენ, რომ ასეთ დანიშნულებას ხელი შეუწყო ხატების დევნამ. — **„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი", თბილისი, 2007, ავტორ-შემდგენელნი ენრიკო გაბიძაშვილი, მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე.**

***მაგალითად, ორიგენე თავისი სიკვდილიდან 150 წლის შემდეგ იქნა **ანათემირებული** თეოფილე ალექსანდრიელის მიერ და შემდეგ, ხელმეორედ — კონსტანტინოპოლის 543 წლის კრებაზე; ასევე, თეოდორე მომფსუესტელი — V მსოფლიო კრებაზე; პაპი ჰონორე — VI მსოფლიო კრებაზე. თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში (185-ე) ნეტარი ავგუსტინე ბონიფაცე კომიტს (კომიტი — რომის იმპერიაში ერთ-ერთი უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობა) წერს: „იმას რომ ნამდვილად ჰქონოდა ადგილი, რასაც დონატისტები ცეცილიანეს აბრალებდნენ (კართაგენის ეპისკოპოსს) და მათ რომ შესძლებოდათ ეს ჩვენთვის ერთხელ მაინც დაემტკიცებინათ, მაშინ ჩვენ მას უკვე გარდაცვლილსაც შევაჩვენებდით".

****აღმოსავლელ პატრიარქთა ეპისტოლეს მე-10 წევრი. ლეონ I თავის მე-18 ეპისტოლეში წერს: „რაც ადამიანს სხეულში ყოფნისას არ მიუღია, ის არ შეიძლება მას გაპყვეს სხეულის დატოვების შემდეგ. არ არის იმის აუცილებლობა, რომ ჩვენ განესაჯოთ გარდაცვლილთა შეცოდებანი და ქმედებანი, რამეთუ თვით უფალი ღმერთი ჩვენი, რომლის განჩინებანი მიუწვდომელია, თავის მართლმსაჯულებისათვის იტოვებს იმას, რისი შესრულებაც სამღვდელოებამ ვერ შეძლო".

ზოგადად, საეკლესიო სასჯელი უმთავრესად იმ მიზნით გამოიტანება, რომ გამოსწორდეს და სიკეთისაკენ მიიქცეს ეკლესიის წევრები, რომლებიც შეცდნენ და ჭეშმარიტი გზიდან გადაუხვიეს. ეს მიზანი კი ვერასგზით იქნება მიღწეული მიცვალებულების მიმართ. მათი ანათემირება, რაც კართაგენის ამ კრების კანონში გვხვდება და ზოგიერთ სხვა საეკლესიო ხელისუფლების კანონიკურ გადაწყვეტილებებშიც, ხდება ეკლესიის ცოცხალ წევრთა სარგებელისათვის, რომლებსაც ამის საშუალებით მიეთითებათ, რომ კონკრეტული მიცვალებული, თავისი დანაშაულებების გამო, რომლებიც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ გახდა ცნობილი, ულირსი იყო ეკლესიური ერთობისა და ამიტომ მათთან უნდა შეწყვიტონ სულიერი კავშირი, არ ილოცონ და არ შესწირონ მისთვის. თანაც მისი სახელი უნდა წარიხოცოს საეკლესიო დიპტიქებიდან, ხოლო თუ შესაძლებელია, არც დასაფლავების ეკლესიური ადგილი მიეცეს. ამგვარად, ეკლესიის მიზანი, რომელიმე გარდაცვლილის შეჩვენებისას, მდგომარეობს იმაში, რომ მისმა ცოცხლმა წევრებმა დაინახონ მის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე და გაფრთხილდნენ, რომ თავად არ ჩავარდნენ მსგავს ცოდვაში, უმთავრესად კი იმიტომ, რომ თუ ეკლესია არ განსჯიდა ცუდ მაგალითს, შეიძლება ცოცხალ წევრებს მიებაძათ მისთვის.

საეკლესიო დიპტიქების გამოყენების შესახებ საუბარია, აგრეთვე, მოციქულთა განწესებებში (VIII, 12). კანონის სიტყვები: **„მისი სახელის ხსენება** (ცნობილი ცოდვილის) **ნურასდროს აღევლინება ღვთის მღვდელთა მიერ“**, გულისხმობს მისი სახელის ამოშლას „საეპისკოპოსო დიპტიქიდან“ და მოუხსენიებლობას ღვთისმსახურების დროს. ზუსტად ასეთივე განწესება გამოსცა მეხუთე მსოფლიო კრებამაც თეოდორე მოფსუესტელის მისამართით*

კანონის მეორე ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ანათემიდან განთავისუფლებულ იქნეს ის ეპისკოპოსი, რომელიც სულიერი ანდერძის გარეშე გარდაიცვალა, რის გამოც მისი ქონება საერთო წესის თანახმად მისმა ნათესავებმა დაიმკვიდრეს — მწვალებლებმა ან წარმართებმა, რადგან, როგორც კანონი ამბობს, იგი ვალდებული იყო ამის შესახებ წინასწარ ეზრუნა და ქონება კანონისამებრ განეკარგა, როგორც ეს მის წოდებას შეეფერება.**

კანონი 82 (93)

განვაჩინეთ, აგრეთვე მონობიდან გათავისუფლების შესახებაც, რაც ეკლესიაში ხდება, რომ ამის თაობაზე თხოვნა-ვედრება გაიგზავნოს ხელმწიფესთან.***

(მოც. 72; IV მსოფ. 4; ტრულ. 85; კართ. 64)

ამ კანონით ხდება კართაგენის 64-ე კანონის აღორძინება იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის შუამდგომლობით მიმართვა, რათა მან სცნოს ეკლესიის უფლება მონების გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

*იხ. მსოფლიო კრებების საქმენი, V, 189, 191.

**იხ. მოც. მე-40; ანტიოქ. 24-ე, და კართ. 32-ე კანონები.

***კართ. 401 წლის კრების მე-16 კანონი.

კანონი 83 (94)

განვაჩინეთ ესეც: ყველგან, მინდვრებსა თუ ბაღ-ვენახებში, სადაც კი, ვითომცდა მოწამეთა მოსახსენებლად, აღმართულია საკურთხevლები, რომლებშიც არ აღმოჩნდება დასvენებული მოწამეთა სხeულები თუ წმიდა ნაწილები, უნდა დაინგრეს, თუ ეს შესაძლებელია – ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ. ხოლო თუკი ამას არ დაუშvებს ხალხის მღელvარება, უკიდურეს შემთხvevაში, დამოძღvრილი მაინც იქნეს ერი, რათა აღარ შეიკრიბოს აღნიშნულ ადგილებში და მართლმადიდებლურად მოაზროvნენი ცრუ-რწმენით არ მიეჯაჭvონ მსგავს ადგილებს. მოწამეთა ხსenება სრულებითაც არ უნდა აღინიშნებოდეს ისეთ ადგილებში, სადაც არ განისvenებენ მათი სხeულები ან წმიდა ნაწილები, ან თუ არ არის იქ ძvელი და მართალი გადმოცemის თანახმად მათი საცხოvრebელი, მოღvაწeობის ან მარტvილობის ადგილი. ხოლო საკურთხevლები, სადაც არ უნდა იყოს ისინი აღმართული ზოგიერთი ადამიანის სიზმრebისა თუ ამაო გამოცხადebების კარნახით, დაe, ყოvelმხრივ უარყოფილ იქნეს.*

(მოc. 31; IV მსოფ. 4; ტრულ. 31; VII მსოფ. 7; ანტიოქ. 5)

რამდenიმე კანონის განწesebის თანახმად (ტრულ. 31-ე და პარალ. კანონebი), არც ერთი ეკლesია არ შეიძlebა აიგოს მმართvelი ეპისკოპოსის ნebართvის გარeშე, რომelმაც უშუალოდ ან სხvისი მeშveებით უნდა აკურთხოს ის, საკურთხevლის საფუძvelში წმინდა მოწამebების წმინდა ნაწილebის დაბრძანebით. როგორც კანონიდან ჩანს, ზოგიერთebი თავიანთ მინდvრebსა და venახebში აგebდნenენ საკურთხevლebს და ამას იმით ხსნიდნenენ, რომ სიზმარში რაღაც სასწაული იხილesებ ან გაeცxადათ ეს ზოგიერთთა წინასწარმეტყvelური ნიჭით. ამით შეცდომაში შეჰყავdათ უბრალო ხალხი და ზიანს აყenebdnenენ მართლმადიდebლურ სარწმunოebას. ამიტომ კანონი განაწesebს ეპისკოპოსის განკარგulebით თითოeული ასeთი საკურთხevლის დანგრevებას, რომelიც თითქოსდა აშenebulია მოწამeთა სადიდebლად, სინამდvილeში კი საკურთხevლის ქveშ არამცოუ წმინდა ნაწილebი არა აქvთ, არამed არცკი ახსოvს vინმეს, რომ იქ ოდesმე წმინდანი eწამათ. თუკი ხალხი წინ აღუდგebა საკურთხevლის დანგრevებას და ამბოხს მოაწყობს, მაშინ, როგორც კანონი ამბობს, აუცilebelია განemარტოს მას, შeegონოს, რომ ასeთ ადგილebში მართლმადიდebლebის შeკრebა ცოდvაა, ისინი არ უნდა გაჰყvenენ ცრურწmenას და ამით შeurაცxყონ თvით ქრისტეს ჭeშmარიტი მოწამeebის ხსოvნა.

კანონი 84 (95)

კeთილად განvაჩინეთ ისიც, რომ eთxოvოთ უდიდebულეს მeფeebს ყveლანაირად აღმოფxvრან კeრპთთაყvანისmცemლობის ნაშთebი – არამxოლოდ გამოძeრწილი ქანდაკebebი, არამed რაღაც ადგილebის, ჭalebisა თუ xeebის სახითაც არსebulი.**

(კართ. 58)

---

*კართ. 401 წლის კრebის მe-17 კანონი.

**კართ. 401 წლის კრebის მe-18 კანონი.

ეს კანონი აღორძინებს კართაგენის 58-ე კანონის განწესებას იმასთან მიმართებით, რომ აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობა აფრიკაში იმ დროს ჯერ კიდევ არსებული კერპთა ნაშთების გასანადგურებლად.

კანონი 85 (96)

ყველა ეპისკოპოსმა თქვა: თუ კეთილად იქნება განსჯილი გარკვეული სიგელების დაწერა კრებაზე, მაშინ, დაე, ღირსად პატივდებულმა ეპისკოპოსმა, თავმჯდომარემ ამ საყდარზე, კეთილინებოს და ყველას სახელით დაწეროს სიგელები, რომელთა გაგზავნასაც გადავწყვეტთ და ხელიც მოაწეროს. აგრეთვე, იმ ადგილისმცველ ეპისკოპოსებს, რომლებიც უნდა წარიგზავნონ აფრიკის სამთავროებში დონატისტების საქმის გამო, დაე, მიეცეთ სიგელები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მათთვის მიცემული დავალების ძალა, და ამ ძალისგან არ უნდა გადაიხარონ.*

(კართ. 55)

ნეტარი ავგუსტინე ერთ-ერთ თავის თხზულებაში საუბრობს რომისა და კართაგენის ეკლესიების ერთნაირ მნიშვნელობაზე და ორივე მათგანს ბრწყინვალე ეკლესიებს უწოდებს. გარდა ამისა, ამ კრების 55-ე კანონიდან ჩვენ ვხედავთ, რომ **კართაგენის ეპისკოპოსი ავრილიოსი** ამბობს, რომ მას აწევს მოვალეობა იზრუნოს აფრიკის ყველა ეკლესიაზე, რის საფუძველზეც აფრიკის ეკლესიებში ეს ეპისკოპოსი აღიარებული იყო სრულიად აფრიკის პრიმასად. ამ მდგომარეობის ძალით, კართაგენის ეპისკოპოსი მრავალი პრივილეგიით სარგებლობდა; ერთ-ერთი მათგანი ამ კანონშია მოხსენიებული, კერძოდ ის, რომ იგი ყველას სახელით ადგენს და ხელს აწერს ყველა იმ სიგელს, რომელიც კრების სახელით იგზავნება.

კანონი 86 (97)

რადგან საერთოა ეს საქმე, რომელსაც ამჟამად ყურადღება მიაპყრო ჩვენმა ძმამ და თანამწირველმა, დაე, უწყოდეს თითოეულმა ჩვენგანმა მისთვის ღმერთისგან განსაზღვრული წეს-განგება, რომ სხვათა შემდგომად დადგინებულებმა უპირატესობა მიანიჭონ მათზე უადრეს დადგინებულებს და ნუ გაკადნიერდებიან რამე მოიმოქმედონ მათი ნების გაუთვალისწინებლად; ამისთვის გთავაზობთ ჩემს მოსაზრებას: გვმართებს, მთელი კრების ძალისხმევით ავლაგმოთ შესაფერისად ყოველი, რომელიც უგულებელყოფს მასზე უადრესად დადგინებულებს და მათ მიმართ გარკვეულ კადნიერებას ავლენს. ნუმიდიის პირველი საყდრის ეპისკოპოს სანკტიპიოსმა, თქვა: რას იტყვით ამაზე აქ მყოფი ძმები, მოისმინეთ რა ჩვენი ძმისა და თანამწირველის – ავრილიოსის მოსაზრება? ეპისკოპოს დატიმიოსმა თქვა: რაც ძველი

*კართ. 401 წლის კრების მე-19 კანონი.

დროის მამათა შეხედულებებით იქნა განჩინებული, ის შემოგვთავაზეს თანხმობის მისაცემად; კართაგენის ეკლესიის უწინდელი კრებების საქმენი რასაც შეიცავენ, დაე, ის ყოველივე თქვენი თანხმობით დადასტურდეს და ყველას მიერ აღსრულდეს. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: ეს წესი, დაცული იყო მამათა და ძველთა მიერ, და ჩვენგანაც, ღმრთის ნებით, აღსრულდება. მაგრამ, ამასთანავე, დაე, შენარჩუნებულ იქნეს ნუმიდიისა და მავრიტანიის ეპისკოპოსთა უფლება, ნუმიდიის წერილთსაცავისა და საყდართა ნუსხების საფუძველზე. მერმე ყველა ეპისკოპოსმა, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ კრების განწესებას, ისურვა, რომ საყდართა ნუსხაც და ნუმიდიის თავდაპირველი დადგენილებაც ინახებოდეს კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტოს პირველ საყდარში.*

(მოც. 34; I მსოფ. 4, 6, 7, 18; II მსოფ. 2, 3; III მსოფ. 8, 9; IV მსოფ. 9, 17, 28; ტრულ. 7, 36, 39; ანტიოქ. 9; ლაოდ. 20, 56; სარდ. 3, 4, 5; კართ. 17, 39, 89)

აფრიკული ეკლესიის ძველი ჩვეულების თანახმად, პირველ ეპისკოპოსად ის ითვლებოდა, რომელიც უწინ იყი ხელდასხმული. ამას, ამ კანონის მოტივირებისას, კატეგორიულად ამტკიცებს ეპისკოპოსი ავრილიოსიც. თუმცა, ბევრი ეპისკოპოსი არ ეთანხმებოდა ამ აზრს და ცდილობდა თავისი კათედრის პრივილეგია და მნიშვნელობა წინა პლანზე წარმოეჩინა. ისინი ეპისკოპოსთა საერთო კრებაზე ცდილობდნენ მცირე კათედრის ეპისკოპოსებზე მაღლა დაეკავებინათ დასაჯდომელები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი კურთხევით მათზე უფროსები იყვნენ. სწორედ ამ მიზეზით მიიღეს წინამდებარე კანონი, თანაც, კრების ერთობლივი ხმით დამტკიცდა მთელი აფრიკული ეკლესიისათვის უკვე არსებული პრაქტიკის კანონიკური მნიშვნელობა. იმ მიზნით, რომ მომავალში ადგილი აღარ ჰქონოდა პირველობისათვის დავას, ამ კრებამ თავისი 89-ე კანონით დაადგინა, რომ თითოეულმა ეპისკოპოსმა კურთხევისას უნდა მიიღოს მაკურთხებელთაგან საგანგებო სიგელი მათი ხელმოწერებით, სადაც ზუსტად იქნება აღნიშნული მისი ეპისკოპოსად კურთხევის დღე.

ზოგიერთი აფრიკული ეკლესიის უპირველეს კათედრასთან მიმართებით, კანონი უშვებს გამონაკლისს, რაც გამოხატულია მის დასკვნით ნაწილში მავრიტანიასა და ნუმიდიასთან დაკავშირებით.

კანონი 87 (98)

კუოდვულტდეოსა და კენტვირის შესახებ. რადგანაც მისი მოწინააღმდეგის თხოვნის შემდეგ, რომ ჩვენი კრებისთვის წარმოგვედგინა ის, მიეცა შეკითხვა, სურდა თუ არა ეპისკოპოსების წინაშე განსჯილიყო მისი საქმე, თავიდან დათანხმდა, მაგრამ მეორე დღეს მოგვიგო, რომ არ სურდა ეს, და გაგვშორდა, ამიტომ ყველა ეპისკოპოსს სათნოდ უჩანს, რომ არავინ მიიღოს ერთობაში ეს კუოდვულტდეო, სანამ მისი საქმე არ დასრულდება. რამეთუ

*მილევიანის 402 წლის კრების 1 კანონი.

მის შესახებ საქმის დამთავრებამდე მისთვის ეპისკოპოსობის ჩამორთმევა არც ერთი ქრისტიანისთვის მისაღები არ იქნებოდა.*

(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9,17,19,21; ტრულ. 8; ანტიოქ. 14; ლაოდ. 40; სარდ. 4; კართ. 8, 12, 15, 19, 96, 121, 128, 129, 130; ორგზ. 13, 16)

ეპისკოპოსმა კუოდვულტდეოსმა, შეკითხვაზე, სურს თუ არა გამოცხადდეს კრებაზე თავის ბრალმდებელთან დასაპირისპირებლად, რომელსაც საჩივარი ჰქონდა მის წინაღმდეგ შეტანილი, თავიდან თანხმობა განაცხადა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა და სასამართლოზე მისვლას თავი აარიდა. ამის გამო, კრებამ დაადგინა შეეწყვიტათ ეპისკოპოს კუოდვულტდეოსთან ერთობა იქამდე, ვიდრე მის საქმეს სასამართლო არ განიხილავდა. მიუხედავად ამისა, კრება მას ეპისკოპოსობიდან არ განკვეთს, მაგრამ ამის გაკეთებას აპირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოზე მისი ბრალდება დამტკიცდება, როგორც ეს დაწესებულია საერთო საეკლესიო კანონებით.

კანონი 88 (99)

ვალატენსის ეპისკოპოს მაქსიმიანეს შესახებ, განჩინებულია: კრების სახელით გაეგზავნოს სიგელები მასაც და მის სამწყსოსაც, რათა მან დატოვოს ეპისკოპოსობა, იმათ კი სხვა ეძიონ თავისთვის.**

(III მსოფ. 9; ორგზ. 16; პეტრე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 2, 3)

როდესაც ვალანტესის საღმრთო ერმა არ მოისურვა მაქსიმიანეს ეპისკოპოსად მიღება, რომელიც განხეთქილებიდან მოქცეული ყოფილი დონატისტი იყო, მან საეკლესიო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა თავის კათედრაზე და ეს კრებას განუცხადა. კრებამ საერთო მშვიდობისათვის მოიწონა მაქსიმიანეს გადაწყვეტილება და მიიღო მისი გადადგომა, მის ნაცვლად კი სხვისი დადგინება განაწესა.***

კანონი 89 (100)

კეთილად განვაჩინეთ ესეც: ამიერიდან აფრიკის სამთავროებში ხელდასხმულებმა, დაე, მიიღონ თავიანთი ხელთდამსხმელებისაგან სიგელები,

---

*მილევიანის 402 წლის კრების მე-2 კანონის პირველი ნაწილი.

**მილევიანის 402 წლის კრების მე-2 კანონის მეორე ნაწილი.

***ამასთან დაკავშირებით ნეტარი ავგუსტინე შენიშნავს: „მნიშვნელოვნად უფრო სასახელოა მოიხსნა ეპისკოპოსობის ტვირთი იმ მიზნით, რომ ეკლესიას ხიფათი აარიდო, ვიდრე ის მის სამართავად აიღო. რამეთუ ეპისკოპოსობის პატივის ღირსეულად ტვირთზიდვას ის ამტკიცებს, ვინც იმ დროს, როდესაც ეკლესიის მშვიდობას სჭირდება, თავისუფლად დათმობს თავის კათედრას.“

მათივე ხელმოწერით, კონსულის ანუ ხელდასხმის წლისა და დღის აღნიშვნით, რათა არანაირი ეჭვი არ წარმოიშვას უმცროს-უფროსობის გამო.*
(კართ. 86)

კანონი სავსებით ნათელია; ის მიიღეს, რათა კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ ამ კრების 86-ე კანონი, რომელიც განაწესებს, რომ ეპისკოპოსთა კრებაზე პირველობა ეკუთვნის იმ ეპისკოპოსს, რომელმაც დროში უფრო ადრე მიიღო ქიროტონია. ამ კანონში მოხსენიებული სიგელები სხვა არაფერა, თუ არა ახლანდელი **სინგელიები,** რომლებიც ეპისკოპოსებს მმართველი სინოდისაგან ეძლევათ. მათში აღინიშნება ქიროტონიის მიღების დრო და ადგილი, და დაბეჭდილია (დამტკიცებულია) მიტროპოლიტისა და სინოდის სხვა ნამდვილი წევრების ხელმოწერით.**

კანონი 90 (101)

განჩინებულია ესეც: ვისაც თუნდაც ერთხელ წაუკითხავს ეკლესიაში, იგი სხვა ეკლესიის მიერ, დაე, ნუ მიიღება დასში.***
(ტრულ. 33; VII მსოფ. 14; ლაოდ. 15)

VII მსოფლიო კრების მე-14 კანონის განმარტებიდან ჩვენ ვიხილეთ, რომ ეკლესიის მედავითნენი ეპისკოპოსისგან მანამდე იღებდნენ კურთხევას, ვიდრე თავის მსახურებას შეუდგებოდნენ გარკვეულ ეკლესიაში, და მხოლოდ ამ კურთხევის ძალით ხდებოდნენ ეკლესიის დასის წევრები გარკვეული ეპარქიისა და ემორჩილებოდნენ მმართველი ეპარქიალური ეპისკოპოსის ხელმწიფებას. როგორც გარკვეული ეპარქიის კლირიკოსებს, მათ უკვე აღარ შეეძლოთ თვითნებურად გადასულიყვნენ სხვა ეპარქიის ეკლესიის დასში, ისევე, როგორც სხვა ეპარქიის ეპისკოპოსი ვერ მიიღებდა მას იმ ეპისკოპოსის განსატევებელი სიგელის გარეშე, რომელმაც ის წიგნის მკითხველად აკურთხა და რომლის ეკლესიის დასსაც მიეკუთვნება. მაშასადამე, მედავითნისათვის, ისევე, როგორც ეკლესიის დასის სხვა წევრებისთვის, ძალაში იყო ერთი ეპარქიიდან მეორეში გადასვლასთან დაკავშირებული საერთო კანონიკური ნორმა.

კანონის სიტყვებიდან – „**ვისაც თუნდაც ერთხელ წაუკითხავს ეკლესიაში**“ შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ აკრძალულია სხვა ეპარქიაში მიღება მხოლოდ იმ მკითხველისა, რომლებიც უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას ეკლესიაში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა კანონიერად დადგინებულნი და, შესაბამისად, შეიძლება მათი მიღება სხვა ეპარქიაში მმართველი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშეც, თუკი მათ სულ ახლახან მიიღეს კურთხევა თავისი ეპისკოპოსისგან და ჯერ კიდევ არ შედგომიან თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობას (მედავითნეობას) მის ეპარქიაში. ამ აზრით, – როგორც **ბალსამონი** განმარტავს, –

*ბილევიანის 402 წლის კრების მე-3 კანონი.
**ამ სიგელების ფორმების შესახებ იხ. ათენის სინტაგმაში, V, 544 და შემდგ.
***ბილევიანის 402 წლის კრების მე-4 კანონი.

გაიგებოდა ზოგიერთების მხრიდან კანონის ზემომოყვანილი სიტყვები, თუმცა, მისი შეხედულებით, უფრო სწორი იქნებოდა ეს კანონი გავეგო იმ მოსაზრებით, რომ თითოეული, ვინც გარკვეულ ერპარქიაში მკითხველად ეკურთხა, ამის შემდეგ ველარ შესძლებს მმართველი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე სხვა ეპარქიაში გადასვლას, რადგან იმ ეპარქიის დასის წევრია, სადაც ის აკურთხეს. ბალსამონის ეს განმარტება ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ თვით კითხვის აქტი წარმოადგენს დადგინების შემადგენელ ნაწილს, რომლის დროსაც ეპისკოპოსი კონკრეტულ პირს გადასცემს „სამოციქულოს", საიდანაც იგი (წიგნის მკითხველად დადგინებული) კითხულობს გარკვეულ ამონარიდებს. ამის გამო, კანონის ზემომოყვანილი სიტყვები უნდა გავიგოთ დადგინების აზრით, დამოუკიდებლად იმისგან, შეუდგა თუ არა დასის ახალი წევრი თავის მოვალეობის შესრულებას გარკვეულ ეკლესიაში.

კანონი 91 (102)

თქვენ ყველამ აღთქმა დადეთ და ვვარაუდობდით, რომ თითოეული ჩვენგანი თავის ქალაქში ან ერთი-ერთი მაინც საგანგებოდ, ურთიერთობაში შევიდოდა დონატისტების წინამძღვრებთან, ანდა შემოიკავშირებდა სხვა, მეზობელ ეპისკოპოსებს, რათა მათი დახმარებით დაგვემყარებინა მათთან ურთიერთობა ყველა ქალაქსა და ადგილზე, იმ ადგილების მმართველებისა თუ პირველების მეშვეობით. ყველასათვის არის თუ არა ეს სათნო, გვეცნობოს. ყველა ეპისკოპოსმა თქვა: ყველასათვის სათნოა.*

(კართ. 47, 57, 66-69, 92-94, 99, 117-119, 124)

კანონი 92 (103)

კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსმა თქვა: მოწვევა, რომელიც თქვენი პატიოსნების მიერ უნდა წარეგზავნოს დონატისტებს, კეთილინებეთ მოისმინოთ და კრების საქმეებში ჩავრთოთ, და მათთან გავგზავნოთ, რათა მერმე მათი პასუხიც თქვენი (კრების) საქმეთა მეშვეობით ჩვენთვის ცნობილი გახდეს.**

რჯულიერად შემოვდივართ თქვენთან ურთიერთობაში, წარმოგზავნილნი ჩვენი კანონიერი კრებისგან, გვსურს რა განვიხაროთ თქვენი გამოსწორების გამო. რამეთუ ვუწყით ჩვენ სიყვარული უფლისა ჩვენისა, რომელმა თქვა: *„ნეტარ იყვნენ მშჳდობისმყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღმრთისად იწოდნენ"* (მათე 5, 9). მოიხსენია მან აგრეთვე წინასწარმეტყველის მეშვეობითაც, რათა იმათაც კი, ვისაც არ სურს ჩვენს ძმად იწოდებოდეს, ეუთხრათ — ჩვენი ძმები ხართ! ამგვარად, ნუ დააკნინებთ ამას, ჩვენი მშვიდობისმყოფელი სიყვარულიდან მომდინარე შეხსენებას. თუ ჰგონებთ, რომ ჭეშმარ-

*კართაგენის 403 წლის კრების I კანონი.

**კართაგენის ეპისკოპოსი აკრილიოსი.

იტი გაქვთ რამე, შეუეჭვებლად დაიცავით ის: ანუ მოიწვიეთ თქვენი კრება, ამოირჩიეთ თქვენგან ისინი, რომელთაც მიანდობთ თქვენი გამართლების საქმეს; ჩვენც შეგვიძლია იგივე მოვიმოქმედოთ, ანუ ჩვენი კრებიდანაც იქნენ ამორჩეულნი, რომლებიც გარკვეულ ადგილას და განსაზღვრულ დროს თქვენი წრიდან ამორჩეულებთან ერთად მშვიდად გამოიკვლევენ ყოველივეს, რაც კითხვის ქვეშ დგას და რაც თქვენ ჩვენთან თანაზიარებისაგან განგაშორებთ, და ჩვენი უფალი ღმერთის შეწევნით, თუნდაც დაგვიანებით, ბოლო მოეღოს ამ გაჭიანურებულ გაურკვეველობას, რათა კაცობრივ რწმუნებებს შედგომილი უძლური და უმეცარი სულები არ წარწყმდენ მკრეხელურ დაყოფაში. რამეთუ თუკი ძმურად მიიღებთ ამას, მაშინ ჭეშმარიტება სწრაფად გამოჩნდება; ხოლო თუკი არ ისურვებთ ამის ქმნას, მაშინ თქვენი ურწმუნოებაც უმალვე საცნაური გახდება.

ამ ნიმუშის წაკითხვის შემდეგაც ყველა ეპისკოპოსმა თქვა: სავსებით ვეთანხმებით, დაე, ასე იყოს.*

(კართ. 47, 57, 66-69, 91, 93, 94, 99, 117-119, 124)

კანონი 93 (104)

კომონიტორი** ძმებს, თეასიოსსა და ევოდიოსს, კართაგენის კრების მიერ წარგზავნილებად დანიშნულთ უსახელოვანეს და უკეთილმსახურეს თვითმპყრობელთადმი. როცა უფლის შეწევნით მიეახლებიან ისინი უკეთილმსახურეს მეფეებს, გამოუცხადონ მათ, თუ როგორი სრული თავისუფლებით, სამოქალაქო შეტყობინებათა მეშვეობით იქნენ გასული წლის კრების დროს მოწვეულნი დონატისტების უხუცესნი ჩვენთან შესაკრებად, რათა, თუკი აქვთ კადნიერება თავიანთი შეხედულების დასაცავად, ამოერჩიათ თავიანთი წრიდან მავანნი, უნარის მქონენი და მშვიდობიანად შეგვპაექრებოდნენ ჩვენ, და ქრისტიანული სიმშვიდით შეუეჭვებლად ეჩვენებინათ, თუკი რამე შეინარჩუნეს ჭეშმარიტებისაგან, რათა ამგვარად კათოლიკე სიწრფელე, ძველთაგანვე გამობრწყინებული გარდასულ დროებში, ახლაც მსგავსადვე ყოფილიყო შეცნობილი მოწინააღმდეგის დაბნეულობასა და სიჯიუტეში. მაგრამ რადგანაც ისინი ლამის უიმედობამ მოიცვა, პასუხადაც ვერაფრის თქმა გაბედეს. ამრიგად, რადგან გამოყენებულ იქნა მოქმედების საეპისკოპოსო და მშვიდობიანი საშუალებანი ესეევითართა მიმართ და მათაც, არ შეეძლოთ რა სიტყვის მიგება ჭეშმარიტების წინააღმდეგ, უაზრო ძალადობრივი ქმედებები დაიწყეს, ისე, რომ ბევრი ეპისკოპოსი და მრავალი კლირიკოსი (ერისკაცებზე აღარაფერს ვამბობთ) შეაჭირვეს დაბეზღებებით, და ზოგიერთ ეკლესიაში შეიჭრნენ კიდეც, ხოლო სხვაგან კი – სცადეს შეჭრა, ამიტომ ხელმწიფეთა კაცთმოყვარეობამ უნდა იჩქაროს, რათა კათოლიკე ეკლესია, ქრისტესთვის მათი მშობელი თავისი კეთილპატიოსანი წიაღიდან

*კართაგენის 403 წლის კრების მე-2 კანონი.

**შემახსენებელი წერილი, ერთგვარი სახელმძღვანელო, ინსტრუქცია.

და მტკიცე რწმენით აღმზრდელი, დაცული იყოს მათი ზრახვებისაგან, რათა მათი კეთილმსახური ზეობისას კადნიერი ადამიანები არ გაბატონდნენ უძლურ ერზე ერთგვარი დაშინების მეშვეობით, როცა შეგონების გზით ვერ ახერხებენ მის შეცდენას. რამეთუ ცნობილია და მრავალგზის კანონებითაც გამოცხადებულია, თუ რას აღმოაცენებენ განხეთქილების შემომღებთა საძაგელი ჯგროები. ეს მრავალგზის ყოფილა დაგმობილი ზემოხსენებულ კეთილმსახურ თვითმპყრობელთა ბრძანებებითაც. ამიტომ ამ განხეთქილების შემომღებთა მძვინვარების წინააღმდეგ, გთხოვთ, მოგვცეთ საღმრთო შეწევნა — არც უჩვეულო და არც უცხო წმინდა წერილისათვის. რამეთუ მოციქულმა პავლემ, როგორც ეს მოციქულთა ჭეშმარიტ საქმეებშია ნაჩვენები, უწესო ადამიანთა თვითნებური განზრახვები მხედართა შეწევნით დაამარცხა. ამგვარად, ჩვენც იმას ვითხოვთ, რომ განუხრელად ეძლეოდეს მფარველობა ეკლესიათა კათოლიკე წესებს თითოეულ ქალაქსა და სხვადასხვა ადგილებში, თითოეულ სამფლობელოს რომ ესაზღვრებიან. მართებული იქნება ერთობლივად ვთხოვოთ ესეც უკეთილმსახურეს თვითმპყრობელთ, რომ დაიცვან მათი ნეტარხსენებული მამის, თეოდოსის მიერ გამოცემული კანონი ხელდამსხმელი და ხელდასხმული მწვალებლებისაგან ათ-ათი გირვანქი ოქროს ზღვევინების შესახებ, აგრეთვე სამფლობელოთა მთავრებისგანაც, სადაც შემჩნეული იქნება მათი შეკრება. ამასთან, დაე, ბრძანონ აღნიშნული კანონის დადასტურება, მათი მოქმედების ძალის განვრცობით იმათზე, ვისი დასმენების წინააღმდეგაც წარმოადგინეს მოწმობები იმათ, რომლებმაც მზრუნველობა იკისრეს კათოლიკე ეკლესიაზე, რათა, უკიდურეს შემთხვევაში, ამის შიშით მაინც იქნენ შეკავებულნი განხეთქილებათა შემოღებისაგან და მწვალებლური უგუნურებისაგან ისინი, რომელნიც გადასდებენ თავიანთ განწმედასა და გამოსწორებას, რადგან თავს არ იწუხებენ საუკუნო სასჯელზე ფიქრით. კიდევ იმის თხოვნა გვმართებს, რომ მათმა კეთილმსახურებამ აღადგინოს აქამდე არსებული კანონი, რომელიც უფლებას ართმევს მწვალებლებს რამე გადაახდევინონ ხელდასხმის დროს, ან ანდერძების მიხედვით, ანდა რაიმე დატოვონ, და უბრალოდ რომ ითქვას, თავიანთი უგუნური ცრუ-რწმენებით დაბრმავებულთ და დონატისტების შეცთომილებაში ყოფნის მსურველთ, დაე, წაერთვათ ხელმწიფება რაიმეს ანდერძით დატოვებისა ან საკუთარის გადახდევინებისა. ხოლო იმათ, რომელნიც ერთიანობაზე და მშვიდობაზე ფიქრით ისურვებენ გამოსწორებას, დაე, ნება მიეცეთ ასეთი კანონის არსებობის პირობებშიც მიიღონ მემკვიდრეობა, რომელიც მათ საჩუქრად ან მემკვიდრეობით ერგოთ ჯერ კიდევ მანამდე, როცა ისინი მწვალებლურ ცთომილებაში იმყოფებოდნენ, იმათ გარდა, რომელთაც სამსჯავროზე მოწოდების შემდეგ, საჭიროდ მიიჩნიეს კათოლიკე ეკლესიაში გადმოსულიყვნენ. რამეთუ ესევითართათვის უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ზეციური სამსჯავროს შიშით კი არ ისურვეს კათოლიკე ეკლესიასთან ერთიანობა, არამედ მიწიერი სარგებლის წყურვილით მოისურვეს კათოლიკე ერთიანობა. ყოველივე ამის გარდა, საჭიროა კიდევ შეწევნა თითოეული ოლქის ხელისუფალთაგან. მაგრამ თუკი ადგ-

ილისმცველნი, რომელნიც საეკლესიო სარგებლობისათვის იღვწიან, სხვა რამესაც მიიჩნევენ საჭიროდ, იმის გაკეთებისა და აღსრულების უფლებამოსილებასაც ვაძლევთ.*

(კართ. 47, 57, 66-69, 91, 92, 94, 99, 117-119, 124)

კანონი 94 (105)

რადგანაც მხოლოდ კართაგენში აღსრულდა გაერთიანება, ამიტომ გაიგზავნოს სიგელები მმართველებთან, რათა სხვა ეპარქიებსა და ქალაქებშიც უბრძანონ ამ მმართველებმა გულმოდგინების გამოჩენა ერთიანობისათვის. სამეფო სასახლეში კართაგენის ეკლესიიდან მთელი აფრიკის სახელით გაიგზავნოს მადლობა ეპისკოპოსთა სიგელებით დონატისტების უარყოფისათვის.**

(კართ. 47, 57, 66-69, 91-93, 99, 117-119, 124)

ზემომოყვანილი ოთხ კანონი (91-94) ეხებათ დონატისტებს, რომელთა შესახებაც საუბარი იყო კართაგენის 47-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 95 (106)

მასზედ, რომ არ უნდა იქნეს მოწვეული საერთო და სრული კრება, თუ არა მხოლოდ აუცილებლობის მიზეზით.

განვაჩინეთ, რომ არ არის საჭირო მომავალშიც ყოველწლიურად შეევაწუხოთ ძმები, არამედ — როცა ამას მოითხოვს საერთო, ანუ სრულიად აფრიკის საჭიროება; როდესაც საიდანმე ამ საყდრის მიმართ სიგელები შემოვა, მაშინ გვმართებს კრების მოწვევა იმ სამთავროში, სადაც საჭიროება და საშუალება მოგვიხმობს. ხოლო საქმეები, რომლებიც საერთო ხასიათის არ არის, დაე, თითოეულ სამთავროში ცალკეულად განისაჯოს.***

(მოც. 37; I მსოფ. 5; IV მსოფ. 19; ტრულ. 8; VII მსოფ. 6; ანტიოქ. 20; ლაოდ. 40; კართ. 18, 51, 73, 76)

ჩვენ ვნახეთ, რომ ამ კრების მე-18, 51-ე და 73-ე კანონები განაწესებენ აფრიკული ეკლესიის საერთო კრების მოწვევას ყოველწლიურად ერთ გარკვეულ დროს, კერძოდ 21 აგვისტოს. წინამდებარე კანონი აუქმებს ამ განწესებებს და ადგენს, რომ საერთო კრებები მხოლოდ იმ შემთხვევებში უნდა იქნეს მოწვეული, როდესაც ამას მოითხოვს მთელი აფრიკული ეკლესიისათვის რაიმე აუცილებელი საქმე. სხვა შემთხვევაში, ყოველწლიურად უნდა შედგეს ჩვეულებრივი ეპარქიალური კრებები ყველა იმ საქმის გადასაწყვეტად, რომლებიც ყველასათვის საერთო არ

*კართაგენის 404 წლის კრების კანონი.

**კართაგენის 405 წლის კრების კანონი.

***კართაგენის 407 წლის კრების I კანონი.

არის. საერთო საქმეების ქვეშ, — ბალსამონის განმარტებით, — იგულისხმება დოგმატური საკითხები, ყველა სხვა დანარჩენი იწოდება „კერძო“ საქმედ და მათი გადაწყვეტა მართებულია სამთავროების დონეზე.* მიზეზი, რისთვისაც კართაგენელი მამები ამ კანონს იღებენ, საკმაოდ საპატიოა, სახელდობრ: რათა ამაოდ არ შეაწუხონ ეპისკოპოსები და უკიდურესი საჭიროების გარეშე, არ მოუწიოთ საღვთო ერის მწყემსების გარეშე დატოვება.

კანონი 96 (107-108)

107. საქმეების გადატანის აკრძალვის შესახებ ნებაყოფლობით არჩეული მსაჯულებისაგან.

თუ მოხდება საქმის გადატანა უმაღლეს სამსჯავროში და პირველი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირი აირჩევს მსაჯულებს, ხოლო მასთან ერთად ისიც, ვის წინააღმდეგაც მოითხოვს იგი ახალ სამსჯავროს, მაშინ, ამის შემდეგ ნურც ერთ მათგანს ნუ მიეცემა ნება სხვა სამსჯავროში გადაიტანოს საქმე.

108. საეკლესიო აღმასრულებელთა შესახებ. გარდა ამისა, კეთილად განვსაჯეთ გვეთხოვა, რომ არჩეულ იქნეს ყველა საეკლესიო საჭიროებისათვის ხუთი აღმასრულებელი, რომელნიც სხვადასხვა სამთავროებზე უნდა განაწილდნენ.**

(მოკ. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; კართ. 15, 100, 122)

ეს კანონი სამ ნაწილად იყოფა

1) კანონის პირველი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ამავე კრების 95-ე კანონის ერთგვარ დამატებას, ამბობს, რომ ყველა საქმე, რომლებიც არ არის საერთო მნიშვნელობის, უნდა გადაწყვიტოს შესაბამისმა ეპარქიალურმა კრებებმა; რადგან წინა კანონში არ ახსენებენ აპელაციის შემთხვევებს, ამიტომ წინამდებარე კანონი ადგენს, რომ ეპარქიალურ კრებებზე გადაწყვეტილი ზოგიერთი საქმე შეიძლება გადახედული და ხელმეორედ გადაწყვეტილი იქნეს. ამასთან, განიწესება, რომ ურთიერთ შეთანხმებით არჩეული მოსამართლეების განაჩენის შემდეგ, აღარ შეიძლება უმაღლესი სასამართლოსთვის მიმართვა. ასეთი განაჩენის მნიშვნელობა აღიარებულია IV მსოფლიო კრების მე-9 კანონითაც და დადასტურებულია, ასევე, კართაგენის კრების მე-15 და 122-ე კანონებით.

---

*ათენის სინტაგმა, III, 536.

**„კანონთა კრებულში“ *[საიდანაც არის აღებული კანონების რუსული ტექსტი]* არ შედის 107-ე კანონის მეორე ნაწილი, რომელიც ბერძნულიდან რუსულ ენაზე თარგმანით ასე გამოითქმის: „სხვადასხვა ეპარქიათა ადგილისმცველებს სიხარულით შევიწყნარებთ, კერძოდ — ნუმიდიელთა, ვიზაკინელთა, სიტიფენის მავრიტანელთა, მათთან ერთად კესარიანელთა და ტრიპოლელთა“. — ათენის სინტაგმა, III, 537.

კართაგენის 407 წლის კრების მე-2 კანონი.

2) კანონის მეორე ნაწილში ნახსენებია კრების მიერ სიხარულით მიღებული აფრიკული ეკლესიის სხვადასხვა სამთავროს მიერ წარმოგზავნილი დელეგატები.*

3) კანონის მესამე ნაწილი საუბრობს აღმასრულებელთა (მოურნეთა) შესახებ, რომლებსაც ეკისრებოდათ ეკლესიის საჭიროებისათვის ზრუნვა, განსაკუთრებით საეკლესიო შემოსავლების მოკრება იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული პირი უარს ამბობდა ნებაყოფლობით გადახდაზე. კანონი ადგენს, იშუამდგომლონ სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე ხუთი ასეთი აღმასრულებლის დასანიშნად და აფრიკის ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიაში მათ გასანაწილებლად.

კანონი 97 (109-110)

109. კვლავ კეთილად განვაჩინეთ, რომ ყველა ეპარქიის სახელით წარგზავნილებმა — ვიღკენტიოსმა და ფურტუნატიანოსმა სთხოვონ ყოვლადდიდებულ მეფეებს, რათა ბრძანონ სწავლულ ეკდიკტთა („ბრძენ მოსაჯულთა") დაფუძნება, რომელთა მოვალეობაც იქნებოდა საქმეთა დაცვა, და რომლებსაც, როგორც ეპარქიების მღვდელმსახურთ, — თავთ იდებდნენ რა ეშუამდგომლათ ეკლესიის საქმეებზე, — თავისუფლად შეეძლებოდათ, საჭიროებიდან გამომდინარე, შესულიყვნენ სასამართლოში შეპასუხებათა უარსაყოფად და იმის წარსადგენად, რაც საჭიროა.

110. განვაჩინეთ, რომ თავისუფალი ადგილისმცველობა ჰქონდეთ მეფის კარზე წარგზავნილ ადგილისმცველებს.*

(IV მსოფ. 2, 23; კართ. 75, 93)

ეს კანონიც სამ ნაწილად იყოფა

1) კანონის პირველი ნაწილი აღადგენს ამ კრების 75-ე კანონს იმის შესახებ, რომ აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობა ეკდიკების დასადგენად, რათა მათ დაიცვან ეკლესიისა და ასევე, უქონელთა ინტერესები.

2) იმპერატორის კარზე გაგზავნილ კრების დელეგატებს — ადგილისმცველებს (პოტირიტისებს) (იხ. 93-ე კან.) კრება მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს; იმპერატორთან საუბარში მათ უფლება ეძლევათ არამხოლოდ ის გამოიკითხონ და მოახსენონ, რასაც მათ კრება ავალებს, არამედ ყველაფერი ის, რასაც თავად ჩათვლიან ეკლესიისათვის სასარგებლოდ.

---

*„კანონთა კრებულში" არ შედის წინამდებარე კანონის მესამე ნაწილი, რომელიც ბერძნულიდან რუსულ ენაზე თარგმანით ასე გამოითქმის: „ცნობილია, რომ კესარიის მავრიტანიელებმა თავიანთ სიგელებში დაამოწმეს, რომ თებაიდელ სამოქალაქო ხელისუფალთა მეშვეობით პრიმოსო მოწვეული იყო, — იმპერატორის ბრძანების თანახმად, — კრების წინაშე დაუყოვნებლივ წარმოსადგომად; მაგრამ, ამავე დროს, მიუხედავად საძებნი ღონისძიებების გატარებისა, მისი აღმოჩენა ვერ მოხერხდა, — როგორც ამის შესახებ დიაკვნებმა გვაცნობეს. ახლა კი, როცა მოხსენიებულმა მავრიტანიელებმა გვთხოვეს ამასთან დაკავშირებით გაგვეგზავნა სიგელები თავ!ვანსაცემი ძმის უხუცესი ინოკენტიოსის შიმართ, კეთილად განვსაჯეთ გაგვეგზავნა ასეთი სიგელები, რათა იცოდნენ, რომ ძებნილ პრიმოსოს კრებამ ვერ მიაკვლია". — *რუსული გამოცემის რედ.*

*კართაგენის 407 წლის კრების მე-3 კანონი.

3) კანონის მესამე ნაწილში საუბარია ეპისკოპოს პრიმოსოზე. იგი კესარიის მავრიტანიიდან იყო კრებაზე წარგზავნილი დელეგატის სტატუსით, მაგრამ კრებაზე გამოცხადება არ ისურვა. კანონი ადგენს, ეცნობოს ამის შესახებ უხუცეს ინოკენტის, რომელიც მაშინ კესარიის მავრიტანიის პირველეპისკოპოსი (პრიმასი) იყო, მაგრამ სრულიადაც არ ეცნობოს ამის შესახებ, – როგორც ამ კანონის მისეულ განმარტებაში ამბობს ზონარა, – იმდროინდელი რომის პაპ ინოკენტის (402-417).*

კანონი 98 (111)

განჩინებულ იქნა ესეც: ერს *{სამწყსოს}*, რომელსაც არასდროს ჰყოლია თავისი ეპისკოპოსი, არ მიეცეს იგი, თუ არა მხოლოდ თითოეული სამთავროს მთელი კრებისა და უპირატესი ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით, და იმ ეპისკოპოსის თანხმობით, რომლის საზღვრებშიც იმყოფებოდა აღნიშნული ეკლესია.**

(მოც. 34; სარდ. 6; კართ. 53, 56)

წინაბდებარე კანონი მოკლედ აღადგენს კართაგენის 397 წლის კრების ერთ-ერთ ადრინდელ შესაბამის კანონს. მოხსენიებული კანონი ჩვენ მიერ მოყვანილია კართაგენის 419 წლის კრების კანონების კრებულში 53-ე ნომრით და მისი განმარტება ზემოთ არის მოყვანილი. კანონის დადგენილება საკვლევით ცხადია მისი ტექსტიდან. ახალი ეპარქია შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ პირობებში, თუ არსებობს სამიტროპოლიტო სამთავროს ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით გაიმართება და, ამასთან, ადგილობრივ ეპისკოპოსის თანხმობა იქნება, რომ მის იურისდიქციაში შემავალი ეპარქიის ტერიტორიის ნაწილი გამოეყოს ახალ ეპარქიას.

კანონი 99 (112)

დონატისტებისაგან მოქცეული ერისა და ეპარქიების შესახებ.

დონატისტებისაგან მოქცეული ერი, რომელსაც კრების დაუდგინებლად ჰყავს ეპისკოპოსი, დაე, ღირსი იყოს მისი ყოლისა, – ყოველგვარ ეჭვგარეშე. იმ ერს კი, რომელსაც ეპისკოპოსი ჰყავდა და მისი სიკვდილის შემდეგ არ ისურვა თავისი ეპისკოპოსის ყოლა, არამედ ინება წესის გამოყენებით შეერთებოდა სხვა რომელიმე ეპისკოპოსის ეპარქიას, არ უნდა ეთქვას ამაზე უარი. შემოთავაზებულ იქნა ესეც: რომ იმ ეპისკოპოსებმა, რომელთაც ერთიანობის შესახებ სამეფო კანონის გამოცხადებამდე მოაქციეს კათოლიკე სარწმუნოებისაკენ ერი, რომელიც თავიანთ მმართველობაში ჰყავდათ, უნდა შეინარჩუნონ ხელისუფლება მასზე. ერთიანობის შესახებ კანო-

*ათენის სინტაგმა, III, 541.

**კართაგენის 407 წლის კრების მე-4 კანონი.

ნის შემდგომ და მომავალში, ყველა ეკლესია და მათი საზღვრები, და ყოველივე ის, რაც შეიძლება აღმოჩნდეს მათი საკუთრება, – კანონიერად მითვისებული ამ ეკლესიების მიერ, – დაე, დაუმტკიცდეს კათოლიკე ეპისკოპოსებს იმ ადგილებში, რომლებსაც მწვალებლები დაეუფლნენ – შემდგომში კათოლიკე სარწმუნოებისაკენ მოქცეულნი თუ არმოქცეულნი. და თუკი ზოგიერთმა მათგანმა სამეფო კანონის შემდეგ მიისაკუთრა რაიმე, ის უკან უნდა დაბრუნდეს.*

(მოც. 38; კართ. 47, 57, 66-69, 91-94, 117-119, 124)

წინამდებარე კანონში განიხილება დონატისტების საკითხი, რომელთა შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ კრების 47-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 100 (113)

ეპისკოპოსმა მავრენტიმ თქვა: გთხოვთ, მსაჯულებად დაინიშნონ: უწმინდესი უხუცესი ქსანთიპე, უწმინდესი ავგუსტინე, ფლორენტინე, თეასიოსი, სამფსვიქიონი, სეკუნდი და პოსიდონი; ბრძანეთ, რომ ეს განჩინება იყოს ჩემთვის. წმიდა კრება დაეთანხმა მოთხოვნილი მსაჯულების დანიშვნას, ხოლო სხვა მსაჯულებს, რომლებიც დაკანონებული რაოდენობაზე დასამატებლად იქნება საჭირო, უხუცესი ქსანთიპე თავად ახალი გერმანიის ყველაზე უხუცესებს აარჩევინებს.**

(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; კართ. 12, 15, 96, 121)

ამ კანონის სრული ტექსტიდან (იხ, ათენის სინტაგმა, III, 546-546),*** ჩანს რომ ახალი გერმანიიდან რამდენიმე ბერმა ნუმიდიაში საჩივარი შეიტანა თავიანთ ეპისკოპოს მავრენტიზე. საჩივრის შედეგად მავრენტი კრებაზე გამოცხადდა, მაგრამ ამ დროისათვის ბრალმდებლები მიიმალნენ. კრებამ ისინი სასჯელის ღირსად ჩათვალა, თუმცა, მაინც, „საეკლესიო სიმშვიდისათვის“, არ მოისურვა მათ მიმართ განაჩენის გამოტანა, და დაადგინა: იმისათვის, რომ დიდი ხნით არ ჩამოშორებოდა მავრენტი თავის ეკლესიას, მის მიმართ სასამართლო ჩაეტარებინათ იმ სამთავროში, რომელსაც ის, როგორც ეპისკოპოსი, მიეკუთვნებოდა და სადაც პირველ კათედრას უხუცესი (სენეხ, სხვაგვარად – პრიმასი) ქსანთიპე იკავებდა; ამასთანავე, თვით მავრენტის შესთავაზეს თავად აერჩია მოსამართლეები. მავრენტიოსმა აირჩია **ქსანთიპე** და კიდევ ექვსი სხვა მოსამართლე, რაზედაც კრება დათანხმდა, ხოლო სხვა მოსამართლეების არჩევა, კანონიკურად დადგენილი რიცხოვნობის შესაავსებად, უხუცეს ქსანთიპეს მიანდო. ეს კანონიკური რიცხოვნობა ეპისკოპოსებისა, აუცილებელი იმისათვის, რომ ეპისკოპოსის მიმართ სასამართლო შედგეს, ამავე კრების მე-12 კანონის თანახმად არის – თორმეტი. შესაბამისად,

*კართაგენის 407 წლის კრების მე-5 კანონი.
**კართაგენის 407 წლის კრების მე-6 კანონი.
***ასევე ქართული „დიდი სჯულისჯანონი“.

მავრენტის მიერ არჩეულ ეპისკოპოსებს უნდა დამატებოდათ კიდევ ხუთი ეპისკოპოსი. ამ კანონში ფრიად მნიშვნელოვანია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ არ უნდა მიეყენოს შეურაცხყოფა ეპისკოპოსს იმის გამო, რომ ეს სურს მასზე დაქვემდებარებულ მრევლს.

კანონი 101 (114)

რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებს შორის მშვიდობისათვის.

რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებს შორის არსებული უთანხმოების თაობაზე კეთილად იქნა განსჯილი, მიეწეროს უწმინდეს პაპ ინოკენტის, რათა ორივე ეკლესია ერთობლივად იცავდეს უფლის მიერ მცნებად დადებულ მშვიდობას.*

დასავლელი კომენტატორების (ვან ესპენი, ჰეფელე) აზრით, კართაგენელი მამების წინამდებარე გადაწყვეტილება გამოიწვია რომისა და ალექსანდრიის ეკლესიებს შორის არსებულმა უთანხმოებამ და არაკეთილგანწყობამ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ალექსანდრიის ეპისკოპოსმა თეოფილემ განდევნა იოანე ოქროპირი, ხოლო რომის ეპისკოპოსმა ინოკენტიმ გადაჭრით განაყენა იგი (ალექსანდრიის ეპისკოპოსი) ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის ეკლესიის ერთობიდან. თუმცა, აფრიკელი ეპისკოპოსები აშკარად იოანე ოქროპირის მხარეს იჭერდნენ (განსაკუთრებით, ეპისკოპოსი ავრილიოსი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, პაპის, ინოკენტის ქმედება უადგილოდ მიიჩნიეს. ამის გამო, კრებაზე მათ დაადგინეს მიეწერათ მისთვის და ეთხოვათ ორივე ეკლესიაში მშვიდობის დამკვიდრება, რამეთუ ეს უფლისგან მცნებად მოგვეცა (იხ. ინ. 14, 27). ის მეთოდი, როგორითაც კანონი არის ფორმულირებული, მოწმობს, რომ კართაგენის ეკლესია ყოველთვის იჩენდა თავის დამოუკიდებლობას რომის ეპისკოპოსებთან მიმართებით, რომლებსაც ფრიად უხალისოდ უხდებოდათ მისი დამოუკიდებლობის აღიარება და მუდმივად ცდილობდნენ ყველა ამისათვის მოსახერხებელ შემთხვევაში, თავიანთი ხელისუფლების უპირატესობა წარმოეჩინათ. სწორედ ეს იყო მიზეზი კართაგენის 419 წლის კრების მოწვევისა, რომელმაც ეს (101-ე) კანონი (თორმეტი წლით ადრე მიღებული კართაგენის ერთ-ერთ კრებაზე) თავის კანონადაც აღიარა.

კანონი 102 (115)

განვაჩინეთ: დაე, სახარებისა და მოციქულთა სწავლებისამებრ, ნურც ცოლისაგან მიტოვებული და ნურც ქმრისაგან გაშვებული ნუ შეეუღლება სხვა პირს, არამედ ან ასევე დარჩნენ (მარტონი), ანდა ერთმანეთს შეურიგდნენ. ხოლო თუ უგულებელყოფენ ამას, დაე, იიძულონ სინანულად მიიქცნენ. საჭიროა ვითხოვოთ, რომ ამის შესახებ გამოიცეს სამეფო კანონიც.**

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკირ. 20; ბასილი დიდის 9, 21, 31, 35, 36, 46, 77, 80)

---

*კართაგენის 407 წლის კრების მე-7 კანონი.

**კართაგენის 407 წლის კრების მე-8 კანონი.

წინამდებარე კანონის დადგენილების თანახმად, არ შეიძლება კანონიერი ქორწინების გაუქმება იმის საფუძველზე, რომ ქმარმა ან ცოლმა მიატოვა თავისი მეორე ნახევარი. ქორწინება თავისთავად ძალაში რჩება და თუ მეუღლეები არ შერიგდებიან, ისინი სამუდამოდ გაყრილებად რჩებიან სხვა პირთან ახალ ქორწინებაზე უფლების გარეშე. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საუბარია ერთობლივი ქორწინებითი ცხოვრების თვითნებურ შეწყვეტაზე, – ქმრის ან ცოლის მხრიდან, – რაც სრულ თანხმობაშია წმინდა წერილისა და ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან. ერთობლივი ქორწინებითი ცხოვრების შეწყვეტის შესახებ, როდესაც ამის საპატიო მიზეზი არსებობს, ამ კანონში არაფერია ნათქვამი, რის გამოც შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ვერც ქმარი და ვერც ცოლი ვერასდროს შეძლებენ მეორედ დაქორწინებას, თუნდაც რომ არსებობდეს რამე მიზეზი, რის გამოც მათ შეწყვიტეს ერთობლივი ქორწინებითი ცხოვრება. უეჭველია, სწორედ ასეთი პრაქტიკა არსებობდა კართაგენის ეკლესიაში V საუკუნის დასაწყისში, რასაც თვით ამ კანონის გადმოცემის წესი ამტკიცებს. თუმცაღა, დროთა განმავლობაში, ასეთმა პრაქტიკამ ცვლილება განიცადა და VII საუკუნის ბოლოს ჩვენ ვხედავთ, რომ ტრულის კრების ერთ-ერთი კანონი (87-ე) სასჯელს უქვემდებარებს იმ პირს, ვინც „უმიზეზოდ“ დაარღვევს ქორწინებრივ კავშირს, რაც, შესაბამისად, დასაშვებია ასეთი მიზეზის არსებობის შემთხვევაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, საეკლესიო სამართლის თანახმად, მეუღლეები ამას ვერ გააკეთებენ თვითნებურად, რადგან მიზეზი (ერთ-ერთი მათგანის დანაშაული) სასამართლომ უნდა დაამტკიცოს და თუ ის მართლაც საფუძვლიანი აღმოჩნდა, მაშინ ხდება განშორება, და ქორწინება არამცთუ გაუქმებულად ცხადდება, არამედ უდანაშაულო მხარეს თავისუფლადაც კი შეუძლია იქორწინოს სხვა პირთან. თვით მიზეზები, რომელთა გამოც შეიძლება ქორწინება გაუქმდეს, ნორმირებულია საეკლესიო და სამოქალაქო კანონმდებლობებით. ამის შესახებ შეგიძლიათ იხ. ტრულის კრების აღნიშნული კანონის განმარტება.

წინამდებარე კანონის დასკვნით ნაწილში, კართაგენელი მამები საუბრობენ აუცილებელი შუამდგომლობის შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, რათა გამოიცეს საგანგებო სამეფო ბრძანება მათ მიერ გამოცემულ განწესებასთან შესაბამისობაში. ეს მოწმობს, რომ ქრისტიანული ეკლესია ცნობს სამოქალაქო კანონმდებლობის უფლებად ქორწინების საკითხებთან დაკავშირებულ გარკვეულ კანონებს, მსგავსად იმისა, როგორც ეს იყო ძველი რომის იმპერიაში, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ქორწინების ყველა სამოქალაქო შედეგის გარანტირება, როგორც, საერთოდ, ნებისმიერი სხვა იურიდიული ხელშეკრულებისა.

კანონი 103 (116)

განვაჩინეთ ესეც: დაე, ყველას მიერ იქნეს აღსრულებული კრებაზე დამტკიცებული ლოცვები, როგორც საწყისნი, ასევე დასკვნითნი, და ლოცვები წინადაგებისა თუ ხელდასხმისა; და ნურასდროს იქნება აღვლენილი სხვა

ლოცვები საწინააღმდეგოდ სარწმუნოებისა, არამედ ყოველთვის წარმოითქვას მხოლოდ ის ლოცვები, რომლებიც უგანათლებულესთა მიერაა შეკრებილი.*

(მოც. 60; ტრულ. 63; ლაოდ. 59)

ჯერ კიდევ ლაოდიკიის კრების განწესების თანახმად (59-ე კან.), ეკლესიაში მხოლოდ იმის წაკითხვა შეიძლებოდა, რაც კანონებით იყო დამტკიცებული. კართაგენის წინამდებარე კანონი აღადგენს აღნიშნულ განწესებას და ადგენს, რომ ეკლესიაში მხოლოდ ის ლოცვები უნდა იკითხებოდეს, რომლებიც განხილულია კრებებზე და შეწყნარებულია ეკლესიებში გამოსაყენებლად. ამასთანავე, კრძალავს ყველა სხვა ლოცვების წაკითხვას, როგორც სარწმუნოებისათვის მიუღებელს. კანონს მხედველობაში აქვს ზოგადად ყველა ლოცვა, კერძოდ კი ისინი, რომლებითაც იწყება საღმრთო ლიტურგია, შემდეგ დაგების ლოცვები და ბოლოს ის ლოცვები, რომლებსაც ეპისკოპოსი წარმოთქვამს ხეთლდასხმისას. „კანონთა კრებულში" ამათ გარდა, მოიხსენიება კიდევ განტევების ლოცვები.

კანონი 104 (117)

განვაჩინეთ: კლირიკოსი, რომელიც მეფეს შესთხოვს თავისი საქმის განხილვას საერო სამსჯავროებში, დაე, მოაკლდეს თავის ღირსებას. ხოლო თუკი მეფისგან თავისთვის ეპისკოპოსთა სამსჯავროს მოითხოვს, ნუ აეკრძალება ეს.**

(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 12; კართ. 15, 96)

ამ კრების მე-15 კანონი განაწესებს, რომ სამღვდელო და საეკლესიო დასის წევრებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს მიერ უნდა წყდებოდეს. ანტიოქიის კრების მე-12 კანონი კი შეიცავს განწესებას, რომელიც კრძალავს საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იმპერატორისადმი საჩივრით მიმართვას. წინამდებარე კანონი ადასტურებს ორი ზემომოხსენიებული კანონის დადგენილებებს და განაწესებს, რომ მისთვის კუთვნილი პატივი ჩამოერთვას დასის იმ წევრს, რომელიც, რამე სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში, უგულებელყოფს სათანადო საეკლესიო სასამართლოს და საქმის გადასაწყვეტად მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებასა და მის სამოქალაქო სასამართლოს.

თუმცაღა, კანონი დასძენს, რომ დასის ნებისმიერ წევრს თვისუფლად შეუძლია იშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე მისთვის საეპისკოპოსო სასამართლოს დანიშვნის თაობაზე; მაგრამ ეს მხოლოდ გამორჩეულად მნიშვნელოვან შემთხვევებში, რადგან IV მსოფლიო კრების მე-9 კანონის დადგენილებით, საეპისკოპოსო სასამართლო გარკვეულ დროს იხილავს ყველა სადავო საკითხს კლირიკოსთა შორის

*კართაგენის 407 წლის კრების მე-9 კანონი.

**კართაგენის 407 წლის კრების მე-10 კანონი)

და ამიტომ ისინი არ საჭიროებენ ამისთვის იმპერატორის წინაშე შუამდგომლობის დაყენებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით რაგვარი შეიძლება იყოს გარემოება, რომელიც გამოიწვევდა იმპერატორის საგანგებო ბრძანებულების აუცილებლობას საეპისკოპოსო კრების მოწვევასთან დაკავშირებით სასამართლოს საწარმოებლად. რამეთუ ცნობილია, რომ ეპისკოპოსთა კრებების მოწვევა ხდება ყოველწლიურად, უკიდურეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ მაინც, დასის წევრებთან დაკავშირებულ უკლებლივ ყველა საქმის გადასაწყვეტად.

კანონი 105 (118)

თუკი ვინმე, განყენებული საეკლესიო თანაზიარებისაგან აფრიკაში, გაიპარება ზღვისიქითა ქვეყნებში, რათა მიღებულ იქნეს ეკლესიასთან ერთობაში, ესევითარი, დაე, სამღვდელო დასისგან განიკვეთოს.*

(მოც. 12,13; I მსოფ. 5; IV მსოფ. 11,13; ტრულ. 17; ანტიოქ. 6,7,8,11; ლაოდ. 41, 4; სარდ. 9; კართ. 23)

მოციქულთა მე-12 კანონის განწესების თანახმად, სასჯელს ექვემდებარება ყველა ის კლირიკოსი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ განყენებულია თავისი ეპისკოპოსის მიერ, გადავა სხვა ეპარქიაში და იქ შეწყნარებული იქნება. მასთან ერთად იგივე სასჯელი ეკუთვნის მის შემწყნარებელსაც. ამ კრების 23-ე კანონი განაწესებს, რომ არც ერთი ეპისკოპოსი და, მაშასადამე, არც ერთი კლირიკოსი, რომელიც აფრიკულ ეკლესიას მიეკუთვნება, არ უნდა გაემგზავროს იტალიაში და რომში განსატევებელი სიგელის გარეშე, რომელიც ამოწმებს, რომ ის არ არის განყენებული ეკლესიის ერთობიდან. ეფუძნება რა ზემომოყვანილ კანონებს, წინამდებარე კანონი აფრიკული ეკლესიის ყველა იმ კლირიკოსის დასიდან გარიცხვას განაწესებს, რომელიც, მიუხედავად განყენებისა, ფარულად გადავა „ზღვისიქითა ქვეყნებში", ანუ იტალიაში, იმ მიზნით, რომ იქ მიიღოს ეკლესიასთან თანაზიარება. აქედან გამომდინარეობს, რომ ზღვის გაღმა მოღვაწე ეპისკოპოსი, რომელიც განსატევებელი სიგელის გარეშე შეიწყნარებს განყენებულ კლირიკოსს, თავად ექვემდებარება განყენებას, თანახმად ზემოთ მოყვანილი მოციქულთა კანონისა.

კანონი 106 (119-120)

119. განჩინებულია: თუ ვინმე მოისურვებს სამეფო პალატში წასვლას, მაშინ ეს, აღინიშნოს რომის ეკლესიისადმი გასაგზავნ განტევების სიგელში, და იქიდან კიდევ მიიღოს განტევების სიგელი სამეფო კარისადმი. ამისთვის, თუკი განტევების სიგელის მხოლოდ რომამდე მიმღები არ გაამხელს იმ საჭიროებას, რამაც იგი აღძრა სამეფო კარზე წასასვლელად, და მოისურვებს პირდაპირ მეფესთან მივიდეს, დაე, განყენებულ იქნეს ზიარებისაგან. ხოლო თუ იქ, რომში, გამეღავნდება ანაზდეული საჭიროება სამე-

*კართაგენის 407 წლის კრების მე-11 კანონი.

ფო კარზე მისვლისა, მაშინ, დაე, გამოუცხადოს ეს საჭიროება რომის ეპისკოპოსს, და წაიღოს მისგან წერილი. განტევების სიგელებში, რომლებიც კლირიკოსებს ეძლევათ უპირატესი, ანდა სხვა ნებისმიერი ეპისკოპოსისგან, აღინიშნოს აღდგომის დღე. ხოლო თუკი იმ წლის აღდგომის დღე ჯერ არ არის ცნობილი, მაშინ აღინიშნოს გასული წლის აღდგომის დღე, მსგავსად იმისა, როგორც საერო ჩანაწერებში წერენ ხოლმე: „შემდგომად კონსულობისა“.

120. განჩინებულია ესეც: ამ პატიოსანი კრებისაგან წარგზავნილი ადგილისმცველნი, დაე, ყოველივე იმას სთხოვდნენ ყოვლადდიდებულ მეფეებს, რასაც სასარგებლოდ მიიჩნევენ დონატისტებისა და ელინების, და მათი ცრუსარწმუნოების წინააღმდეგ.*

(მოც. 12; ანტიოქ. 11; სარდ. 7, 9; კართ. 97)

„კანონთა კრებულში“ წინამდებარე კანონი სრულიად საფუძვლიანად გაყოფილია ორ კანონად (119-ე და 120-ე), რამეთუ საუბარია ორ განსხვავებულ საკითხზე.

1) კანონი უკრძალავს ეპისკოპოსებს აუცილებელი საჭიროების გარეშე მიმართონ იმპერატორის კარს (იხ. სარდ. მე-7 და მე-9 კანონები); ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში კი მათ ეს უნდა გააკეთონ სხვა არანაირად, თუ არა მმართველი პირველეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის თანხმობით, და ამისათვის საგანგებო სიგელის მიღების შემდეგ (იხ. ანტიოქ. მე-11 კან.). კართაგენის წინამდებარე კანონი ამტკიცებს ამ კანონებს და ამატებს შესაბამის განმარტებას. საუბარია ეპისკოპოსებსა და სხვა სასულიერო პირებზე, რომლებიც იმპერატორის კარზე მიემგზავრებიან, რომლის ტახტიც მაშინ რომში მდებარეობდა. ამასთან, კანონი განაწესებს თითოეული იმ პირისათვის, ვინც რომში მიემგზავრება, გაიცეს განსატევებელი სიგელი რომის ეპისკოპოსის სახელზე, რომელსაც, თავის მხრივ, ასეთივე სიგელი უნდა გაეცა უშუალოდ იმპერატორის კარზე მისასვლელად. თუკი რომელიმე სასულიერო პირი იმპერატორის სასახლეში ისე წარსდგებოდა, რომ წინასწარ არ წარუდგებოდა რომის ეპისკოპოსს, მაშინ ასეთ პირს კანონი განყენებას განუწესებს.

2) კანონის მეორე ნახევარში გამეორებულია ყველაფერი ის, რაც უკვე ნათქვამი იყო 97-ე კანონის მეორე პუნქტში იმ დელეგატებთან მიმართებით, რომლებიც წარიგზავნებიან იმპერატორის კარზე დონატისტებისა (იხ. 93-ე კან.) და წარმართების საწინააღმდეგო ბრალდებით.

კანონი 107 (121)

ამ კრებაზე დადგენილ იქნა, რომ მხოლოდ ერთი ეპისკოპოსის მსჯავრით გამოტანილი გადაწყვეტილება ნუ იქნება მიღებული.

*კართაგენის 407 წლის კრების მე-12 კანონი.

ამ კრების საქმენი არ იქნა დაწერილი იმიტომ, რომ მასზე განიხილეს ადგილობრივი, და არა საერთო მნიშვნელობის საქმეები.*
(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; კართ. 12, 15, 20, 96)

წინამდებარე კანონის განწესება არასკმარისად ნათელია, როგორც ეს კარგად არის შემჩნეული რუსულ „კანონთა კრებულში". ზონარას განმარტების თანახმად, კანონის აზრი ასეთია: როდესაც ორ ეპისკოპოსს ერთმანეთში დავა აქვთ, ან ერთ-ერთი კლირიკოსი რაიმეში ბრალს დებს ეპისკოპოსს, მაშინ ერთ ეპისკოპოსს არ შეუძლია თავისთავზე აიღოს საქმის გამოძიება და ეს საქმე უნდა გადაეცეს სამთავრო კრებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გაცილებით სწორია **ბალსამონის** განმარტება, რომელიც მოყვანილია დასახელებულ „კანონთა კრებულში", კერძოდ: „როდესაც ეპისკოპოსის მიერ გასამართლებული მღვდელი ამ განაჩენს ასაჩივრებს, მაშინ ეპისკოპოსმა არ უნდა დაიჟინოს თავისი გადაწყვეტილების სისწორე და არ ეცადოს მისი სისრულეში მოყვანა, არამედ საქმე განსახილველად გადასცეს სრულ კრებას ან კანონებით განსაზღვრულ ეპისკოპოსთა სიმრავლეს". თავის ასეთ განმარტებას ბალსამონი ხსნის კართაგენის ამავე კრების მე-11 კანონთან შესაბამისობაში.

კანონი 108 (122)

ამ დროს გამოცემულ იქნა კანონი მასზედ, რომ თითოეულმა, დაე, თავისუფალი ნებით იტვირთოს ქრისტიანობის ღვაწლი.****
(მოც. 80; ნეოკეს. 12; კართ. 99)

წინამდებარე კანონი თავისი ტექსტის მიხედვით არ შეიცავს რაიმე კანონიკურ დადგენილებას. მისი აზრი შემდეგია: 409 წელს ატილა დაპყრობას უქადდა მთელ აფრიკის საკონსულოს. იმპერატორმა ჰონორემ, დაშინებულმა იმით, რომ მართლმადიდებლებისადმი სიძულვილით დონატისტებს შეიძლება ბუნტი მოეწყოთ და ამით ატილასათვის აფრიკის დაპყრობის შესაძლებლობა გაეადვილებინათ, გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც დონატისტებს სახელმწიფოში ისეთივე თავისუფლებით შეეძლოთ ესარგებლათ, როგორითაც მართლმადიდებლები სარგებლობდნენ. შემდეგ წელიწადს (410), როდესაც მტრის საფრთხემ განვლო, აფრიკელმა მამებმა დონატისტების წინააღმდეგ კრება მოაწყვეს, სადაც მოხდა იმის კონსტატირება, რომ ჰონორეს მხრიდან გამოიცა კანონი იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულ პირს შეუძლია თავის თავზე აიღოს „ქრისტიანობის ღვაწლი", რაც ნიშნავს: ყველას ეძლევა თავისუფალი არჩევანი – იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი თუ დონატისტი. ასეთია კანონი თავისი ტექსტით. ამ კანონიდან **ზონარას** სავსებით საფუძვლიანად გამოაქვს ქრისტიანული სარწმუნოების სწავლების ზოგადი კანონი.

*კართაგენის 409 წლის კრების კანონიდან.
**წინა კანონის მიღებიდან ერთი ან ორი წლის შემდეგ.
***კართაგენის 410 წლის კრების კანონიდან.

*„სათნოება უნდა იყოს არჩევითი და არა იძულებითი, არა უნებლიე, არამედ ნებსითი“.** ამიტომ, ქრისტიანობის მიმღების მსურველმა ეს თავისუფლად უნდა გააკეთოს, თავისი კეთილი ნებით, და არა ძალადობითა და რაიმე პრაგმატული აუცილებლობით, რამეთუ რაც აუცილებლობითა და ძალდატანებით კეთდება, ის არ არის მტკიცე და მუდმივი. ამის საფუძველზე ნეოკესარიის კრებაც თავის მე-12 კანონში ამბობს, რომ სამღვდელო დასში არ შეიძლება ისეთი პირის მიღება, რომელმაც მიწიერი ხიფათის ასარიდებლად მიიღო ნათლისღება, რადგან ასეთი პირის რწმენა არ არის დარწმუნებულობის შედეგი, არამედ — იმწუთიერი აუცილებლობიდან გამომდინარე ნაბიჯი.**

კანონი 109 (123)

კრება პელაგისა და კელესტის მწვალებლობის წინააღმდეგ.

კართაგენის ეკლესიის წმინდა კრებაზე წარმდგარი ყველა ეპისკოპოსის მიერ, რომელთა სახელები და ხელმოწერები შეტანილია საქმეებში, აღიარებულ იქნა, რომ ადამი ღმერთს მოკვდავი არ შეუქმნია. ხოლო თუ ვინმე იტყვის, რომ პირველქმნილი ადამიანი — ადამი მოკვდავი შექმნა ღმერთმა, ისე, რომ, გინდ შეეცოდა და გინდ — არა, მაინც მოკვდებოდა სხეულით, ანუ გამოვიდოდა სხეულიდან — არა სასჯელად ცოდვისათვის, არამედ ბუნებითი აუცილებლობით, — შეჩვენებულ იყოს.***

(III მსოფ. 1, 4; კართ. 110-116)

კანონი 110 (124)

ასევე განჩინებულია: ვინც უარყოფს ყრმათა და დედის მუცლიდან ახლადშობილ ჩვილთა მონათვლის საჭიროებას, ანდა ამბობს, რომ თუმცა კი ისინი ნათელს-იღებენ ცოდვათა მისატევებლად, მაგრამ ადამის პირველქმნილი ცოდვისაგან არ მიიღებენ არაფერს, რისი განბანვაც აუცილებელი იქნებოდა მეორედ შობის ემბაზში (საიდანაც დაასკვნიდნენ, რომ ნათლისღების სახე ცოდვათა მისატევებლად გამოიყენება მათზე არა ჭეშმარიტი, არამედ ცრუ მნიშვნელობით), შეჩვენებულ იყოს. რამეთუ ნათქვამია მოციქულის მიერ: *„ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით — სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“* (რომ. 5, 12), რაც უნდა გავიგოთ არა სხვაგვარად, არამედ მხოლოდ ისე, როგორც ეს ყოველთვის ესმოდა კათოლიკე ეკლესიას — ყოველგან განფენილსა და გავრცობილს. რამეთუ სარწმუნოების ამ კანონის მიხედვით, ყრმებიც, რომელთაც თავისით

---

*კურსივი ჩვენია. — მთარგ.

**ათენის სინტაგმა, III, 559.

***როგორც ეს, ისე შემდგომი შვიდი კანონი, 116-ის ჩათვლით, აღებულია კართაგენის 418 წლის კრების განწესებებიდან და შეადგენენ მის პირველ რვა კანონს.

ჯერ არანაირი ცოდვის ჩადენა არ ძალუძთ, ნათელს იღებენ ცოდვათა მისატევებლად, რათა მეორედ შობით განიწმიდონ იმისგან, რაც ძველი შობით მიუღიათ.

(III მსოფ. I, 4; კართ. 109, 111-116)

კანონი 111 (125)

განჩინებულია ასევე: ვინც იტყვის, რომ მადლი ღმრთისა, რომლითაც ჩვენ განვმართლდებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, ნამდვილია მხოლოდ უკვე ჩადენილ ცოდვათა მისატევებლად, და ამის უმეტეს არ მოგვანიჭებს შეწევნას, რათა სხვა ცოდვები არ ჩავიდინოთ, ესევითარი, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ ღმერთის მადლი არამხოლოდ იმი ცოდნას გვაძლევს, თუ რისი ქმნა არის საჭირო, არამედ სიყვარულსაც შთაგვბერავს, რათა იმის აღსრულებაც შეგვეძლოს, რასაც შევიცნობთ.

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109, 110, 112-116)

კანონი 112 (126)

ასევე, ვინც იტყვის, რომ იგივე მადლი ღმრთისა, რომელი არს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, მხოლოდ იმისთვისაა, რომ არ ვცოდოთ, რადგან მისით გამოგვეცხადება და გვეძლევა ჩვენ ცოდვათა შეცნობა, რათა ვიცოდეთ, რას უნდა ვეძიებდეთ და რას – განვეშორებოდეთ, მაგრამ მისით არ გვეძლევა სიყვარული და ძალა იმის საქმნელად, რაც შეგვიცვნია, რომ უნდა ვაკეთოთ, – ესევითარი, დაე, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ როცა მოციქული ამბობს *„მეცნიერება განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს“* (1 კორინთ. 8, 1), მაშინ ძალზე უკეთური რამ იქნებოდა იმის რწმენა, რომ ჩვენი თავის ამაღლებისათვის გვაქვს მონიჭებული საღმრთო მადლი, ხოლო აღშენებისათვის – არა; მაშინ, როდესაც ერთიცა და მეორეც ღმერთის საბოძვარია, ანუ იმის ცოდნაც, თუ რისი ქმნა გვმართებს, და სიყვარულიც სიკეთისა, რომლის ქმნაც გვმართებს, რათა აღმშენებლობითი სიყვარულის დროს გონება არ ამპარტავნებდეს. რამეთუ, როგორც ღმრთისგანაა დაწერილი – *„რომელი სწავლის თესლებსა, არა ნუ ამხილოსა, რომელმან ასწავის კაცთა მეცნიერებაჲ“* (ფსალმ. 93, 10), და ასევე ესეც წერილ არს, რომ *„სიყუარული ღმრთისაგან არს“* (1 იოანე 4, 7).

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109-111, 113-116)

კანონი 113 (127)

ასევე განჩინებულ იქნა: ვინც იტყვის, რომ განმართლების მადლი ჩვენ იმისთვის მოგვეცა, რომ მადლის მეშვეობით უფრო მარჯვედ აღვასრულებდეთ იმას, რისი ქმნაც თავისუფალი ნებითაა შესაძლებელი, ისე, რომ, თითქოსდა, რომც არ მიგვეღო საღვთო მადლი, ჩვენ, მართალია, არცთუ

მარჯვედ, მაგრამ მაინც უმისოდაც შეგვეძლებოდა ღვთისგან მოცემული მცნებების აღსრულება, — ესევითარი, დაე, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ მცნებების ნაყოფთა შესახებ უფალმა ის კი არ თქვა, რომ უჩემოდ მარჯვედ ვერ შესძლებთ მცნებების აღსრულებასო, არამედ თქვა: *„თუნიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“* (იოანე 15, 5).

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109-112, 114, 116)

კანონი 114 (128)

ასევე განჩინებულ იქნა წმიდა მოციქულ იოანეს ნათქვამის გამო: *„უკუ-ეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაი არა გუაქუს, თავთა თჳსთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებაი არა არს ჩუენ თანა“* (1 იოანე 1, 8). ვინც ამას ისე გაიგებს, თითქოსდა მოციქული ამბობდეს: „თავმდაბლობისა გამო არაჯეროვანია თქმა იმისა, რომ ცოდვები არ გვაქვსო“, და არა იმის გამო, რომ ეს ჭეშმარიტად ასეა, - დაე, შეჩვენებულ იყოს. რამეთუ მოციქული განაგრძობს და დასძენს: *„უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს მართალ, რაითა მოგჳტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოვლისაგან სიცრუისა“* (1 იოანე 1, 9). აქ ძალზე ცხადად არის ნაჩვენები, რომ არამხოლოდ თავმდაბლობისა გამო ვაღიარებთ ცოდვებს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ჭეშმარიტად გვაქვს. რამეთუ მოციქულს შეეძლო ეთქვა: „თუკი ვიტყვით, ცოდვა არა გვაქვსო, ამით თავს აღვიმაღლებთ და თავმდაბლობა არ არის ჩვენშიო“, მაგრამ როცა მან თქვა: „თავს ვიცთუნებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში“, მაშინ ამით ცხადად გვიჩვენა, რომ საკუთარ თავზე ვინც ამბობს, ცოდვები არ მაქვსო, ჭეშმარიტებას კი არ ამბობს, არამედ ცრუობს.

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109-113, 115, 116)

კანონი 115 (129)

ასევე, განჩინებულ იქნა ესეც: ვინც იტყვის, რომ საუფლო ლოცვის აღვლენისას, როცა წმინდანები ამბობენ — *„მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი“* (მათე 6, 12), საკუთარი თავისთვის კი არ ღაღადებენ, არამედ თავიანთ ერში მყოფი სხვა ცოდვილებისთვისო, რამეთუ თავად მათ უკვე აღარ ესაჭიროებათ ცოდვათა მიტევებაო, და რომ წმინდანთაგან თითოეული განკერძოებით თავისთვის კი არ შესთხოვს — მომიტევე მე ჩემი თანანადებნი, არამედ მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნიო, ისე, რომ მართლის ეს ვედრება სხვისთვის უფრო აღვლენილი, ვიდრე თავად მისთვისო, — ესევითარი, დაე, შეჩვენებულ იყოს. წმინდა და მართალი იყო მოციქული იაკობი, როცა თქვა: *„ფრიად ვსცთებით ყოველნივე“* (იაკ. 3, 2). რამეთუ რისთვის არის დართული ეს სიტყვა — *„ყოველნივე“*, თუ არა იმისთვის, რომ ეს აზრი თანახმიერი იყოს ფსალმუნთან, რომელშიც ვკითხულობთ: *„და ნუ შეხუალ საშჯელსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი“* (ფსალმ. 142, 2), და ბრძენი სოლომონის ლოცვასთ-

ან: *„არა არს კაცი, რომელმან არა გცოდოს შენ“* (მესამე მეფ. 8, 46); და წმინდა იობის წიგნის სიტყვებთან: *„ჴელსა შინა ყოვლისა კაცისასა დანიშნავს, რათა ცნას ყოველმან კაცმან თჳსი უძლურებაჲ“* (იობ. 37,7). ამიტომაც, ამგვარადვე, წმინდა და მართალი დანიელ წინასწარმეტყველიც თავის ლოცვაში მრავლობით რიცხვში ღაღადებს – *„ვცოდეთ, ვიუსამართლოეთ, ვიუთნოეთ, და განვსდეგით, და მივსდეგით მცნებათაგან შენთა, და მსჯავრთაგან შენთა“* (დან. 9, 5) და მისთანები, რასაც იგი იქ თავმდაბლად და ჭეშმარიტებით აღიარებს. ხოლო ვინმეს რომ არ ეფიქრა – თავის ცოდვებზე კი არა, უფრო თავისი ერის ცოდვებზე ლაპარაკობსო, მან თქვა: *„და მერმე მზრახველობასაღა ჩემსა და მლოცველობასა, და აღმსაარებლობასა ცოდუათა ჩემთა, და ცოდუათა ერისა ჩემისა ისრაელისათა, და დაგდებასა შეწყალებისა ჩემისასა წინაშე უფლისა ღვთისა ჩემისა“* (დან. 9, 20); არ უნდოდა ეთქვა: ცოდვანი ჩვენნიო, არამედ თქვა ცოდვანი ერისა ჩემისაო და ცოდვანი ჩემნიო, რადგან წინასწარმეტყველი თითქოსდა ჭვრეტდა, რომ ამგვარი ადამიანები, ამის ცუდად მზრახველნი, გამოჩნდებოდნენ.

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109-114, 116)

კანონი 116 (130)

განჩინებულ იქნა ესეც: ვინც ჰგონებს, რომ საუფლო ლოცვის სიტყვებს – *„და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი“* – წმინდანები წარმოთქვამენ თავმდაბლობით, და არა – ჭეშმარიტებით, – შეჩვენებულ იყოს. რამეთუ ვინ მოითმენდა იმ მლოცველს, რომელიც ადამიანებს კი არა, თვით უფალს ეცრუვებოდა? ანუ თავისი ბაგეებით იტყოდა – ცოდვების მოტევება მინდაო, გულით კი საპირისპიროს იტყოდა – არა მაქვს ცოდვები, რომელთა მოტევებაც მესაჭიროებაო.

(III მსოფ. 1, 4; კართ. 109-115)

ყველა რვა ზემომოყვანილი კანონი (109-116) შეიცავს პელაგიანური სწავლების ცალკეული პუნქტების განსჯას. ამ სწავლებისა და მისი მთავარი მოძღვრების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ III მსოფლიო კრების 1 კანონის განმარტებაში. კართაგენის კრების (418 წლის) მიერ პელაგიანელობის დაგმობის შესახებ, არსებობს ეპისტოლე – „ავრილიოსის ეპისტოლე ბიზანცენისა და არბუტიანის სამთავროების ყველა ეპისკოპოსს, პელაგისა და კელესტის დაგმობის შესახებ“, რომელიც პაპ ადრიანე I-ის მიერ 774 წელს კარლოს დიდისადმი გაგზავნილ კანონიკურ კრებულში შედის.

კანონი 117 (131)

მანამდე რამდენიმე წლით ადრე, ამ ეკლესიაში, სრული კრების მიერ განჩინებულ იქნა, რომ განსაზღვრული არსებული ეკლესიები, რომლებიც დონატისტების შესახებ კანონების გამოცემამდე კათოლიკე გახდნენ, განეკუთვნონ იმ საყდრებს, ვისი ეპისკოპოსების მიერაც იქმნენ შეგონებულნი

დაბრუნებოდნენ კათოლიკე ერთიანობას; ხოლო კანონების გამოცემის შემდეგ შემოერთებულნი იმავე საყდრებს განეკუთვნონ, რომელთაც დონატისტების მხარეზე ყოფნისას ეკუთვნოდნენ. მაგრამ რადგანაც შემდგომში ეპისკოპოსებს შორის წარმოიშვებოდა და წარმოიშვება ბევრი ცილობა და უთანხმოება საზღვრების გამო, რომელთა უწინდელი მოწყობა არასრულყოფილად მიიჩნეოდა, ამიტომ ამჟამად ამ წმინდა კრებაზე განვაჩინებთ: თუ სადმე იყო კათოლიკე ეკლესია და იქვე დონატისტების მხარეზე გადასული სხვა ეკლესია, და ისინი სხვადასხვა საყდრებს განეკუთვნებოდნენ, მაშინ რა დროსაც არ უნდა მომხდარიყო ან მოხდეს იქ შეერთება, კანონების გამოცემამდე თუ შემდეგ, — დაე, იმ საყდარს ეკუთვნოდეს, რომელსაც ძველთაგანვე ეკუთვნოდა იქ მყოფი კათოლიკე ეკლესია.*

(კართ. 47, 57, 66-69, 91-94, 118, 119, 124)

კანონი 118 (132)

მასზედ, თუ როგორ გაინაწილებენ ეპარქიებს ერთმანეთს შორის კათოლიკე ეპისკოპოსები და დონატისტების მხრიდან მოქცეულნი.

გაინაწილებენ ასე: თუ ეპისკოპოსები დონატისტებისაგან კათოლიკე ერთიანობისაკენ მოიქცევიან, მაშინ თანაბრად გაინაწილონ ერთმანეთს შორის ამ მდგომარეობაში მყოფი საზღვრები, რომლებშიც ამა თუ იმ ქვეყნის ერია; ანუ ზოგი ადგილები მიეცეს ამ ეპისკოპოსს, სხვანი კი — მეორეს, ისე, რომ ეპისკოპოსობაში უფროსი ანაწილებდეს, უმცროსი კი — ირჩევდეს. ხოლო თუკი საქმე ერთ ადგილს შეეხება, დაე, იმას გადაეცეს, ვისთანაც უფრო ახლომდებარე აღმოჩნდება. ხოლო თუკი თანაბარ სიახლოვეში იქნება ორივე საყდართან, დაე, იმასთან გადავიდეს, ვისაც ერი აირჩევს. თუ მოხდება, რომ ძველთაგანვე კათოლიკე-მართლმადიდებელი ქრიატიანები თავის ეპისკოპოსს მოითხოვენ, ხოლო დონატის მხრისგან მოქცეულნი — თავისას, მაშინ, დაე, მეტი რაოდენობის ერისგან არჩევანს მიეცეს უპირატესობა ერის ნაკლები რაოდენობის არჩევანთან შედარებით. ხოლო თუ ორივე მხარე ამრჩევთა თანაბარი რაოდენობისა აღმოჩნდება, დაე, ადგილი მიეწეროს უპირატესი ეპისკოპოსის საზღვრებს. თუ რამდენიმე ადგილი იქნება, რომლებშიც ორივე მხარის ერია, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდება მათი თანაბრად გაყოფა, რადგან იმ ადგილების რიცხვი არაა თანაბარი, მაშინ, პირველად, თანაბარი რაოდენობისანი იქნეს გაყოფილი, მერმე კი დარჩენილ ადგილის მიმართ ისე მოიქცნენ, როგორც ზემოთაა ნათქვამი ერთი ადგილის შესახებ მსჯელობისას.**

(კართ. 47, 57, 66-69, 91-94, 117, 119, 124)

---

*კართაგენის 418 წლის მე-9 კანონი.

**კართაგენის 418 წლის მე-10 კანონი.

კანონი 119 (133)

განვაჩინეთ ესეც: თუ ვინმემ, კანონების გამოცემის შემდეგ, მოაქცია რომელიმე ადგილი კათოლიკე ერთიანობისაკენ და შემდეგ სამი წლის განმავლობაში თავის მმართველობაში ეპყრა, და არავის მოუთხოვია იგი მისთვის, მაშინ, ამის შემდეგ, დაე, ნუ ჩამოერთმევა მას ეს ადგილი, თუკი, ამასთან, ამ სამი წლის განმავლობაში არსებობდა ეპისკოპოსი, რომელიც მოვალე იყო მოეთხოვა, მაგრამ დუმდა. ხოლო თუკი არ იყო ასეთი ეპისკოპოსი, მაშინ, დაე, ეს ნუ შეექმნება დაბრკოლებად ამ ადგილის შეყვანის მოთხოვნას სამრეველოთა სიაში; მაგრამ როცა დაქვრივებული კათედრა ეპისკოპოსს მიიღებს, დაე, მიეცეს მას ნება მოითხოვოს ეს ადგილი სამი წლის განმავლობაში. ამგვარადვე, თუკი დონატისტების მხარის ეპისკოპოსი კათოლიკე ეკლესიისაკენ მოიქცევა, სამრეველოების ნუსხა, დაე, ნუ ექმნება მას საძრახისად განსაზღვრულ ვადამდე; ხოლო მოქცევის დღიდან უფლება აქვს სამი წლის განმავლობაში ეძიებდეს თავისი საყდრის კუთვნილ ადგილებს.*

(კართ. 47, 57, 66-69, 91-94, 117, 118, 124)

ზემომოყვანილი სამი კანონი (117-119) ეხება დონატისტებს, რომელთა შესახებაც იხ. ამ კრების 47-ე კანონის განმარტება.

კანონი 120 (134)

განჩინებულ იქნა ესეც: თუკი ზოგიერთი ეპისკოპოსები, სხვა ეპისკოპოსთა განჩინების გარეშე მოითხოვენ სამრეველოებს, რომლებსაც თავიანთი საყდრის კუთვნილად მიიჩნევენ, მაგრამ განავრცობენ ძალაუფლებას სხვა ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარებულ ერზე, გაუთვალისწინებლად იმისა, აქვს თუ არა იმ ერს ამის სურვილი, – ესევითარნი, დაე, დაისაჯონ თავიანთი საქმის დაკარგვით. ანუ, თუ ზოგიერთებმა ჩაიდინეს ეს, და თუ ეპისკოპოსებს შორის საქმე არ დასრულდა შეთანხმებით, არამედ ჯერ კიდევ დავა აქვთ მასზე, მაშინ, დაე, ჩამოერთვას სადავო ადგილი იმას, ვის მიმართაც დამტკიცდება, რომ ზურგი აქცია ეკლესიის მსაჯულებს და შეჭრა მოახდინა. ნუ აცთუნებს ვინმე საკუთარ თავს იმით, რომ პირველი ეპისკოპოსისაგან აქვს სიგელი იმ ადგილის თავის დაქვემდებარებაში მიღებაზე, რამეთუ გინდ ჰქონდეს სიგელი და გინდაც არა, მაინც, დაე, მიმართოს იმას, ვისაც ეს ადგილი თავის მმართველობაში აქვს და მისგან მიიღოს სიგელი, რათა ცხადი იყოს, რომ მას მშვიდობიანად გადაეცა სადავო ეკლესია. ხოლო თუკი ის ეპისკოპოსიც განაცხადებს თავის უფლებას, მაშინ ესეც მსაჯული ეპისკოპოსების მიერ გადაწყდეს, რომელთაც ან

*კართაგენის 418 წლის მე-11 კანონი.

პირველი ეპისკოპოსი დაუნიშნავს მათ, ანდა თავად ისინი აირჩევენ მეზობელი ეპისკოპოსებისაგან.*

(I მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17; ტრულ. 25)

წინამდებარე კანონის მიზანია აღმოფხვრას ზოგიერთ საეპისკოსო სამთავროსა და სამწყსოს საზღვრებთან დაკავშირებით ეპისკოპოსთა შორის წარმოქმნილი გაურკვევლობა. ასეთ გაურკვევლობებს განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი დონატისტებთან დავის შედეგად. კანონი განაწესებს, რომ არც ერთმა ეპისკოპოსმა არ გაავრცელოს თვითნებურად თავისი უფლება რომელიმე სამრევლოზე, რომელიც ფაქტიურად სხვა ეპისკოპოსის დაქვემდებარებაშია. თუკი ეპისკოპოსი ჩათვლის, რომ აქვს უფლება ამ სამრევლოზე, მაშინ უნდა მიმართოს ეპისკოპოთა კრებას და გადაწყვეტილებას დაელოდოს. ესე იგი, თუ თვითნებურად მოიქცა, ისჯება პატივის ჩამორთმევით, ანუ ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ კარგავს სადავო სამრევლოზე ყოველგვარ შემდგომ უფლებას. შესაბამისად, წინამდებარე კანონის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არავის აქვს უფლება თვითნებურად (ან აღძრას ამისთვის მრევლი), უკანონო გზით მიითვისოს რამე ადგილი საეპისკოპოსო მართვისათვის, რომელიც სხვისი ხელმწიფების ქვეშ არის, რადგან, – როგორც ამ კანონის განმარტებაში ბალსამონი ამბობს, – სამოქალაქო კანონებითაც კი, უნდა ჩამოერთვას საკუთრება იმას, ვისაც თვითნებურად სურს მისი მიტაცება.** შემდეგ, კანონი ამატებს, რომ რომელიმე ადგილის დასასაკუთრებლად, რომელიც ფაქტიურად სხვისი ხელმწიფების ქვეშ იმყოფება, არ არის საკმარისი სამიტროპოლიტო სიგელი, რომელიც მას ამ ადგილზე უფლებას მისცემდა, არამედ საჭიროა ასეთი სიგელი სადავო ადგილის მმართველი ეპისკოპოსისგანაც მიიღოს. თანაც, ამ უკანასკნელმა თავის სიგელში უნდა დაამოწმოს, რომ პირველმა სწორად (ანუ, როგორც კანონი ამბობს – „მშვიდობიანად") დაიკავა ის ეკლესია, რომელზედაც თავის უფლებებს აცხადებდა. თუკი ეპისკოპოსი, რომელიც ფაქტიურად მართავს სადავო სამრევლოს, ახალ დასაბუთებებს წარმოადგენს თავის სასარგებლოდ, მაშინ ეს არგუმენტები, – კანონის განწესების თანახმად, – უნდა განიხილოს ამაზე რწმუნების მქონე ეპისკოპოსების სასამართლომ.

კანონი 121 (135)

განვაჩინეთ ესეც: თუკი ზოგიერთნი არ გულმოდგინებენ თავიანთი საყდრის კუთვნილი ადგილების მოსაყვანად კათოლიკე ერთიანობაში, დაე, მხილებულ იქნენ მეზობელი გულმოდგინე ეპისკოპოსების მიერ, რათა არ გადაიდოს ეს საქმე. ამიტომ, თუკი ამის თაობაზე მოთათბირებიდან ექვსი თვის განმავლობაში არაფერს მოიმოქმედებენ, მაშინ ამის შემდეგ ის ადგილები იმ ეპისკოპოსს გადაეცეს, ვისაც შეუძლია მათი ეკლესიისთვის ფაქტიურად მოპოვება. მაგრამ, თუკი ის, ვისაც აღნიშნული ადგილები

*კართაგენის 418 წლის მე-12 კანონი.

**ათენის სინტაგმა, III, 578.

თავის კუთვნილებად მიაჩნია, დაამტკიცებს, რომ გარკვეული მოსაზრებით უმჯობესად ჩათვალა ჯერ არ ემოქმედა, რათა მწვალებელი ეპისკოპოსების მოქცევას აპირებდა უშფოთველად, ხოლო ამასობაში სხვა ეპისკოპოსმა დაასწრო მას ეს მოქმედება, – ანუ მწვალებელი ეპისკოპოსების განმგებლობასი არსებული ადგილების თავისი კათედრისათვის დაქვემდებარება, – მაშინ მსაჯული ეპისკოპოსების მიერ ამ საქმის განხილვის შემდეგ, ის ადგილები, დაე, დაუბრუნდეს მის საყდარს. როცა მსაჯული ეპისკოპოსები სხვადასხვა სამთავროებიდან უნდა იყვნენ, მაშინ მსაჯულებს ის უპირატესი ეპისკოპოსი დანიშნავს, რომლის სამთავროშიც მდებარეობს სადავო ადგილი. ხოლო თუკი საერთო თანხმობით მეზობელი ეპისკოპოსებისაგან აირჩევენ მსაჯულებს, მაშინ, დაე, ან ერთი იქნეს არჩეული, ან სამი. და თუ სამნი იქნებიან არჩეულნი და აღიარებულნი, მაშინ დაემორჩილონ ან ყველას გადაწყვეტილებას, ანდა – ორისას.*

(მოც. 58; ტრულ. 19; სარდ. 11; ლაოდ. 19; კართ. 47, 71, 123, 124)

წინამდებარე კანონი, ისევე, როგორც წინა, იხილავს დონატისტების მხრიდან აფრიკულ ეკლესიაში შექმნილ ვითარებას, და მიმართულია იმისკენ, რომ აღძრას ფხიზელი ეპისკოპოსები მთელი ძალისხმევის მოსაკრებად დონატისტების კათოლიკე (საყოველთაო) ერთობაში მოსაყვანად. თუ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ამას ვერ შეასრულებენ, მაშინ, როგორც კანონი ამბობს, ისინი თავიანთ დაუდევრობაში უნდა იყვნენ მხილებულნი უფრო ქმედითი მეზობელი ეპისკოპოსების მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურ კრებაზე, კათოლიკე ერთობისათვის მოშურნე ეპისკოპოსებმა უნდა შეახსენონ მათ თავიანთი ვალდებულებების შესახებ.**** თუ ეს უკანასკნელნი არ გამოსწორდებიან ექვსი თვის განმავლობაში, ამ შეხსენების შემდეგაც, და არაფერს მოიმოქმედებენ ერთობის სასარგებლოდ, მაშინ ყველა ის ადგილი, რომლებიც მათ კათედრებს ეკუთვნის და ჯერ კიდევ მოწამლულია დონატისტების სწავლებით, უნდა გადავიდეს იმ სხვა ეპისკოპოსის მმართველობის ქვეშ, რომელსაც უნარი შესწევს წესრიგში მოიყვანოს ის, რაც მოოხრებული იყო მისი წინამორბედი ეპისკოპოსის დუდევრობით. თუმცაღა, კანონი უშვებს აღნიშნული განწესების მოქმედების შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ დადანაშაულებული ეპისკოპოსი ასე მოიქცა არა დაუდევრობით, არამედ იმ განზრახვით, რომ მან უარი თქვა გადამჭრელ ზომებზე, რათა შემდგომში უფრო იოლად და დანამდვილებით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მიეღწია დონატისტების მოქცევისათვის. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა განსაჯოს ეს საქმე, საკმაოდ ნათლად არის კანონში გამოთქმული.

კანონი 122 (136)

ხოლო, საერთო თანხმობით არჩეული მსაჯულებისგან, დაე, ნუ იქნება ნებადართული, რომ საქმე უმაღლეს სამსჯავროში გადაიტანონ. თუკი ვინ-

*კართაგენის 418 წლის მე-13 კანონი.

**იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 582.

მეზე მოიკვლევენ, რომ სიჯიუტით არ სურს დაემორჩილოს მსაჯულებს, მაშინ ამის შემტყობმა პირველი საყდრის ეპისკოპოსმა ამაზე გასცეს სიგელი, რომ ეპისკოპოსთაგან არავინ შეიწყნაროს იგი თანაზიარებაში, ვიდრე არ დამორჩილდება.*

(მოც. 58, 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; კართ. 15, 96, 100)

წინამდებარე კანონი „პიდალიონში" განთავსებულია არა ცალკე კანონად, არამედ შეადგენს 121-ე კანონის დასკვნით ნაწილს (პიდალიონში 131-ეს), რაც ჩვენ სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია, რადგან ეს (122-ე) კანონი საუბრობს იმ მსაჯულების შესახებ, რომლებიც აირჩიეს 121-ე კანონში განხილული საკითხის გადასაწყვეტად. ამასთანავე, ამტკიცებს ადრე გამოცემულ განწესებას (იხ. მე-15 და 96-ე კანონები) იმასთან დაკავშირებით, რომ არჩეული მსაჯულების მიერ ჩატარებული სასამართლოს შემდეგ, აღარ შეიძლება უმაღლესი სასამართლოსთვის მიმართვა (სასჯელის მუქარით). წინამდებარე კანონი რომ 121-ე კანონის შემადგენელი ნაწილია, ამას აჩვენებს აგრეთვე სიტყვა „ხოლო", რომლითაც ეს (122-ე) კანონი იწყება.

კანონი 123 (137)

თუ ეპისკოპოსი არ იზრუნებს ეკლესიისათვის აღნუსხული კუთვნილებისა და მწვალებლების მიერ მითვისებული კათედრების დაბრუნებაზე, მაშინ, დაე, შეაგონონ მას გულმოდგინე მეზობელმა ეპისკოპოსებმა და მიუთითონ მის უდიერებაზე, რათა თავის მართლება ვეღარ შესძლოს. ხოლო თუკი შეგონების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, იმავე ეპარქიაში მყოფი, თავს არ იდებს მზრუნველობას კათოლიკე ერთიანობაში დასაბრუნებლად, ესევითართან ნუ ექნებათ თანაზიარება, სანამ არ აღასრულებს ამას. ხოლო თუკი არ მოვა ამ ადგილებში თანამდგომი [საერო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც მოვალეა დაეხმაროს ეპისკოპოსს. იხ. ამავე კრების 93-ე კან.] მაშინ ეპისკოპოსს ნუ შეერაცხება ბრალად უმოქმედობა.**

(მოც. 58; ტრულ. 19; სარდ. 11; კართ. 47, 57, 71, 121, 122, 124)

კანონი 124 (138)

ხოლო თუ დამტკიცდება, რომ ესევითარმა ცრუდ აჩვენა ხსენებულთა, ანუ დონატისტების თანაზიარების შესახებ, თქვა რა, რომ ისინი ზიარებას შეუდგნენ, მაშინ, როცა, როგორც დამტკიცებულია, არ შედგომიან, და მანაც იცოდა ამის შესახებ, — ესევითარი, დაე, ეპისკოპოსობასაც მოაკლდეს.***

(მოც. 58; ტრულ. 19; სარდ. 11; კართ. 47, 57, 71, 121-123)

---

*კართაგენის 418 წლის მე-14 კანონი.

**კართაგენის 418 წლის მე-15 კანონი.

***კართაგენის 418 წლის მე-16 კანონი.

ორივე ეს კანონი (123-ე და 124-ე) კავშირშია ორ წინა კანონთან (121-ე და 122-ე) და ამატებს ზოგიერთ დაზუსტებას დონატისტების მოქცევასთან დაკავშირებით იმაზე, რაც ამის შესახებ უკვე ითქვა ამ კრების 121-ე კანონში.

კანონი 125 (139)

განჩინებულ იქნა ესეც: თუ მღვდლები, დიაკვნები და სხვა დაბალი წოდების კლირიკოსები უკმაყოფილონი არიან თავიანთი ეპისკოპოსების გადაწყვეტილებით საკუთარი საქმეების თაობაზე, მაშინ, დაე, მეზობელმა ეპისკოპოსებმა მოუსმინონ მათ, და მათი შეპასუხებები გადაწყვიტონ მათ მიერ არჩეულებმა საკუთარი ეპისკოპოსების თანხმობით. ხოლო თუკი მათგანაც მოისურვებენ საქმის გადატანას უმაღლეს სამსჯავროში, დაე, გადაიტანონ, ოღონდ მხოლოდ აფრიკის კრებებზე, ანდა თავიანთი სამთავროების უპირატეს ეპისკოპოსებთან. ზღვის იქით საქმის გადატანის მსურველი კი, ნუ იქნება თანაზიარებაში მიღებული.*

(II მსოფ. 6; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4; კართ. 10, 11, 12, 14, 15, 20, 23, 28, 105)

იხ. კართაგენის 28-ე კანონის განმარტება.

კანონი 126 (140)

განვაჩინეთ ესეც: თუკი აუცილებლობის გამო, როდესაც საქმე ქალწულის უბიწოებას ეხება: არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეიძლება ის მოიტაცოს მავანმა მასზე ძლიერად შეყვარებულმა ან მავანმა მოძალადემ, ანდა თავად ქალწული გრძნობს სასიკვდილო საშიშროებას და ამ მიზეზით მისი მშობლები ან მეურვე თხოვნით მიმართავს ეპისკოპოსს, შემოსოს იგი, ან უკვე შემოსა ღმერთისადმი შეწირულთა შესამოსელით ოცდახუთი წლის ასაკამდე, რათა არ გარდაცვლილიყო მონოზვონობის ხატის მიუღებლად, — ასეთ შემთხვევაში, დაე, ნუ განუწესებს მას სასჯელს კრების დადგენილება, რომლის მიერაც განისაზღვრება შემოსვისასთვის დადგენილი ეს ასაკი.**

(IV მსოფ. 16; ტრულ. 4, 40; კართ. 6, 16, 44; ბასილი დიდის 18)

კრების დადგენილება, რომელსაც წინამდებარე კანონი მოიხსენიებს, იმასთან დაკავშირებით, რომ 25 წლამდე ასაკის ქალწული არ შეიძლება სამონოზვნო ხარისხში იქნეს აყვანილი, სხვა არაფერია, თუ არა იპონის 393 წლის კრების დადგენილება, წინამდებარე კანონი კი უშვებს მოხსენიებული განწესებიდან გადახვევას იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ქალწულის უბიწოებას საფრთხე ემუქრება, ანდა, როდესაც სიკვდილის პირას არის და თვითონ, ან მისი მშობლები, ან

*კართაგენის 418 წლის მე-17 კანონი.
**კართაგენის 418 წლის მე-18 კანონი.

მეურვეები ივედრებიან, რომ წყალობის ღირსყონ იგი და არ დაუშვან მისი სიკვდილი სამონოზვნო წესის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, კანონი ნებას რთავს ეპისკოპოსს, რომელსაც უფლება აქვს მონოზვნად აღკვეცოს ქალწულები, და რომლის ნებართვის გარეშეც საერთოდ ვერავინ გახდება მონოზონი,* შეიწყნაროს ქალწული და შემოსოს იგი სამონოზვნო შესამოსელით მანამდე, ვიდრე 25 წელი შეუსრულდებოდეს; ეპისკოპოსის ასეთი ქმედება, მსგავს შემთხვევაში, განკითხვას არ ექვემდებარება. თუმცაღა, აქ, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ტრულის კრების მე-40 და ბასილი დიდის მე-18 კანონები და, ამასთან, სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო გვიანდელი განწესება, ანუ – ტრულის კრების დასახელებული კანონისა.

იმ ექვსი კანონის გარდა (1, 29-33), რომლებიც ნამდვილად ამ კრებამ (419 წლისამ) მიიღო, წინამდებარე (126-ე) კანონი არის ბოლო – აფრიკული ეკლესიის წინანდელი კრებების კანონებს შორის, რომლებიც განიხილა და მიიღო კართაგენის ამ (419 წლის) კრებამ მთელი აფრიკული ეკლესიისათვის. ყველა ეს კანონი წაიკითხეს და მიიღეს კრების პირველ სხდომაზე, 419 წლის 25 მარტს. იმის გამო, რომ ყველა წმინდა მამისთვის (რიცხოვნობით – 217), რომლებიც აქამდე კრებაზე იყვნენ, ძნელი იყო კართაგენში ყოფნის გაგრძელება კიდევ ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად, ამიტომ დადგინდა, რომ მუშაობის საბოლოო დამთავრებამდე დარჩენილიყო 15 ეპისკოპოსი, დანარჩენებს კი ნება მიეცათ თავ-თავიანთ ეპარქიებს დაბრუნებოდნენ. სწორედ ამ გადაწყვეტილებას შეიცავს შემდეგი, 127-ე კანონი.

კანონი 127 (141-142)

141. მთელ კრებას სათნოდ მიაჩნია, რომ იმისთვის, რათა დიდხანს არ შეყოვნდეს კრებაზე მოსული ყველა ეპისკოპოსი, თითოეული სამთავროდან არჩეულ იქნეს სამ-სამი მსაჯული.

142. ზოგიერთ საქმეთა დასრულების შემდეგ, როცა ბევრი ეპისკოპოსი წუხდა სხდომათა გაჭიანურების გამო, რომ სხვა საქმეები დასამთავრებელი იყო, მათ კი აღარ შეეძლოთ დარჩენა, რადგან თავიანთ ეკლესიებში დაბრუნებას ჩქარობდნენ, – მთელმა კრებამ ინება, რომ თითოეული სამთავროდან არჩეულნი ყოფილიყვნენ ისინი, რომელნიც უნდა დარჩენილიყვნენ კრებაზე სხვა საქმეების დასამთავრებლად, და ესეც აღსრულდა.**

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ყოველი მიტროპოლიიდან აირჩიეს სამ-სამი წარმომადგენელი, გარდა ტრიპოლის ეპარქიისა, საიდანაც ერთი წარმომადგენელი დატოვეს (იხ. მე-14 კან.). ყველა ამ წარმომადგენელს, ავრილიოსის თავმჯდომარეობით უნდა დაესრულებინა კრების საქმე.

ამ, 127-ე კანონის შემდეგ, „კანონთა კრებულის წიგნში“ კიდევ ერთი კანონია, სადაც ნათქვამია, რომ ბევრი ეპისკოპოსი ჩიოდა კართაგენში შემდგომი ყოფნის

*იხ. ბალსამონის განმარტება, III, 592.

**კართაგენის 418 წლის მე-19 კანონი.

სიძნელეებზე, რის გამოც მათ ადგილზე კრებაზე დასასწრებად აირჩიეს შესაბამისი თანაშემწეები, ანუ ძირითადად კვლავ საუბარია იმაზე, რაც უკვე ითქვა წინა (141-ე) კანონში. ეს კანონი დასახელებულ თხზულებაში შედგენილია ამ კრების შემდეგი სხდომის (419 წლის 30 მაისის) შესავალი სიტყვის დასკვნითი ნაწილიდან.*

კანონი 128 (143)

ყველას მიერ განჩინებულია: რადგანაც კრებების უწინდელ დადგენილებებში არის განჩინება იმ პირთა შესახებ, რომელთაგანაც არ უნდა იქნეს მიღებული შესმენა დასის წევრებზე, მაგრამ ზუსტად არ არის აღნიშნული, თუ რომელ პირთაგან არ მიიღონ ის, - ამისთვის განვაჩინებთ, რომ უმართებულოა შესმენის მიღება იმ პირისაგან, ვინც განყენებულია ზიარებიდან და დასმენის მომენტში კვლავაც განყენებაში რჩება, — იქნება ის კლირიკოსი თუ ერისკაცი.

(მოც. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 21; კართ. 8, 19, 30, 129, 130)

წინამდებარე კანონში მოხსენიებულია „დასის წევრები", რომელთა წინააღმდეგაც გარკვეული პირისგან არ შეიძლება მიღებულ იქნეს საჩივარი. დასის ამ წევრებს შორის პირველ ადგილზე დგას ეპისკოპოსი, რის გამოც ეს კანონი შეგვიძლია მოვიყვანოთ კართაგენის მე-8 კანონთან კავშირში. რომელშიც მოხსენიებულია მხოლოდ ეპისკოპოსები, რომელთა წინააღმდეგაც ზოგიერთ პირს არა აქვს საჩივრის შეტანის უფლება. მისი (მე-8 კან.) მიხედვით, ეპისკოპოსზე საჩივარი არ მიიღება არაკეთილსინდისიერი და საზოგადოებაში უწესოდ მიჩნეული პირისგან, მაშინ, როდესაც ამ (128-ე) კანონის თანახმად იგივე ეკრძალება ყველა იმ პირს (კლირიკოსი იქნება თუ ერისკაცი), რომელიც დასჯილია ეკლესიასთან ერთობის მოკლებით.

წინამდებარე კანონში არ არის ნათქვამი, საერთოდ ეკრძალებათ თუ არა განყენებულთ რამე სახის საჩივრის შეტანა კლირიკოსების წინააღმდეგ. თუმცა ეს განწესებულია სხვა კრების მიერ, რომელიც კართაგენის კრებამდე დიდი ხნით ადრე შედგა, კერძოდ, მეორე მსოფლიო (კონსტანტინოპოლის პირველი) კრების მე-6 კანონით, რომელიც ასხვავებს რა ერთმანეთისგან კერძო სახის საჩივარს საეკლესიო ხასიათის საჩივრისაგან, განაწესებს, რომ დასის წევრის მიმართ პირველი სახის საჩივრის შეტანა ნებისმიერს შეუძლია, დამოუკიდებლად მისი სარწმუნოებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რადგან, როგორც მოხსენიებული კანონი ამბობს, „ეპისკოპოსის სინდისი სუფთა და თავისუფალი უნდა იყოს და მომჩივანმაც სამართალი ჰპოვოს — რა სარწმუნოების მიმდევარიც არ უნდა იყოს იგი". ხოლო როდესაც საქმე ეკლესიური ხასიათის ბრალდებას ეხება, მაშინ აუცილებელია მხედველობაში მიღებულ იქნეს ბრალმდებლის პიროვნება და ამასთან შესაბამისობაში გადაწყდეს, მიიღონ თუ არა მისგან საჩივარი. ამ აზრით უნდა გავიგოთ ის „შესმენა დასის წევრებზე", რომლებზედაც საუბარია კართაგენის წინამდე-

*ათენის სინტაგმა, III, 594-695.

ბარე კანონში. ამავე საკითხზე საუბრობს ამ კანონთან კავშირში მყოფი შემდეგი (129-ე) კანონიც.

კანონი 129 (144)

განჩინებულ იქნა ესეც: არ იქნეს მიღებული შესმენები მონებისგან, ასევე, თავისუფლებაზე გაშვებულთაგან – თუ ისინი ყოფილ პატრონებს ასმენენ, და ყველა იმათგან, ვისაც სამოქალაქო კანონები არ უშვებს ბრალმდებლად; აგრეთვე – ვისაც უპატივობის ჩირქი აქვს მოცხებული, ანუ სამარცხვინო საქმეთა მოქმედთაგან და იმ პირთაგან, რომლებიც შეხებაში არიან ბილწ საქმეებთან; არც მწვალებელთაგან, არც ელინელთაგან [წარმართთაგან] და არც იუდეველთაგან. თუმცა, ყველა ამათ, ვისგანაც არ დაიშვება ამგვარი ბრალდება, დაე, ნუ წაერთმევათ საჩივრების შემოტანის უფლება პირად საქმეებზე.

(მოკ. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 21; კართ. 8, 19, 30, 128, 130)

ამ კანონის მიზანია, სამღვდელო დასის წევრების დაცვა იმ პირთა საჩივრებისაგან, რომლებიც საზოგადობის ყურადღებასაც არ იმსახურებენ; ასეთია ყველა ის პირი, რომლებიც სამოქალაქო კანონმდებლობითაც არ დაიშვებიან მბრალდებლებად. კანონი დასის წევრებზე საჩივრის მიღებას კრძალავს განსაკუთრებით იმ პირებისგან, რომლებსაც უპატივობის ლაქა ადევთ. თუ რაში მდგომარეობდა „უპატივობა“, ვინ და რისთვის ექვემდებარებოდა პატივის ჩამორთმევას – „ინფამიას“, ამ თემებზე ჩვენ ვისაუბრეთ კართაგენის კრების 62-ე კანონის განმარტებაში. ყველაფერი, რაც იქ ითქვა იმ პირთა შესახებ, რომლებსაც არა აქვთ საჩივრის შეტანის უფლება სასულიერო პირების წინააღმდეგ, მნიშვნელოვანია ახლაც და მნიშვნელოვანი იქნება მანამ, სანამ ისეთი პირები იარსებებენ, ვისაც ეს ეკრძალება. ის, რაც კანონში მოხსენიებულ პირებს ეხებათ, მნიშვნელოვანი იყო ამ კანონის მიღების პერიოდში, როცა ჯერ კიდევ მონობა არსებობდა, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ახლანდელ დროშიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს განწესება იმასთან დაკავშირებით, რომ არ უნდა მიიღებოდეს სამღვდელო დასის წევრებზე საჩივრები იმ პირთაგან, რომლებიც „შეხებაში არიან ბილწ საქმეებთან“.

კანონი 130 (145)

განვაჩინეთ ესეც: როცა სამღვდელო დასის წევრებზე ბევრი ბრალდებაა წარმოდგენილი, მაშინ თუ პირველი მათგანი არ დამტკიცდა საგანგებო გამოკვლევის მიუხედავად, მაშინ სხვა ბრალდებები ნუ იქნება მიღებული.

(მოკ. 74; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 21; კართ. 8, 19, 30, 128, 129)

წინამდებარე კანონი მჭიდრო კავშირშია ამავე კრების 128-ე და 129-ე კანონებთან. თუ ვინმე ერთი და იგივე სასულიერო პირის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე საჩივარს შეიტანს და პირველი მათგანი, როგორც მტკიცებულების

არმქონე, უარყოფილი იქნება, მაშინ ბრალმდებელი, კანონის განწესების თანხმად, არ უნდა დაიშვას სხვა საჩივრების შესატანად. ეს გადაწყვეტილება იყო შედეგი იმისა, რომ ძველი კანონების მიხედვით, ბრალმდებელს, ჩვეულებრივ, წერილობითი განცხადება შეჰქონდა იმის თაობაზე, რომ მზად იყო დაუმტკიცებლობის შემთხვევაში თავად მიეღო ის სასჯელი, რომელიც, დამტკიცების პირობებში ბრალდებულს დაეკისრებოდა. ამ საეკლესიო სასჯელის გარდა, ბრალმდებელი ითვლებოდა უპატივოდ და, შესაბამისად, კარგავდა ვინმეს წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლებას. ხოლო თუ ის წინასწარ არ წერდა მოხსენიებულ განცხადებას, საჩივარი კი უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა, იგი ცილისმწამებლად ითვლებოდა და, შესაბამისად, საჩივრის შეტანაზე უფლებაჩამორთმეულად.*

კანონი 131 (146)

მოწმეებად კი ნუ შეიწყნარებიან ისინი, ვისგანაც არ შეიძლება შესმენების მიღება; ნურც ისინი, ვისაც თავად მომჩივანი წარმოადგენს თავისი სახლიდან. მოწმედ არ მიიღებიან, ასევე, თოთხმეტ წლამდე ასაკის მოზარდები.**

(მოც. 75; I მსოფ. 2; II მსოფ. 6; კართ. 8, 19, 30, 59, 128-130, 132)

რაც შეეხება სამღვდელო დასის წევრების წინააღმდეგ მოწმეებს, მათ შესახებ საუბარია მოციქულთა 75-ე კანონში. იქ ნათქვამია, რომ ბრალმდებლად მხოლოდ მწვალებლები არ მიიღებიან; რა თქმა უნდა, იგულისხმება ის საქმეები, რომლებიც არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართლის სფეროს. რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, მათში მონაწილეობის მისაღებად მწვალებლები დაშვებული არიან, როგორც ეს II მსოფლიო კრების მე-6 კანონიდან ჩანს, სადაც ბრალმდებლებზეა საუბარი. კართაგენის კრების წინამდებარე კანონი კი განაწესებს, რომ კლირიკოსების წინააღმდეგ მოწმეებად არ უნდა მიიღონ ის პირები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მათ წინააღმდეგ საჩივრის უფლება; ასეთებია ყველა ის პირი, რომლებიც ამ კრების 128-130 კანონებში მოიხსენიებიან. ყველაფერ თქმულს კანონი უმატებს, რომ მოწმეებად არ მიიღებიან ის პირები, რომლებსაც ბრალმდებელი თავისი შინაურებიდან წარმოადგენს, შემდეგ – არასრულწლოვანი პირები, ანუ, როგორც კანონი ამბობს, თოთხმეტ წლამდე ასაკის მოზარდები. შემდგომი საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობით ეს უკანასკნელი მოთხოვნა შეიცვალა და ახლანდელ დროში სწორედ ამის შესაბამისად უნდა ვიხელმძღვანელოთ.

კანონი 132 და 133 (147)

განვაჩინეთ ესეც: თუ ეპისკოპოსი ამბობს, რომ მავანმა მხოლოდ მის წინაშე აღიარა თავისი დანაშაული, ის კი არ აღიარებს ამას, მაშინ ეპისკოპოსი ნუ მიიღებს საწყენად, რომ მხოლოდ მის სიტყვას არ ერწმუნენ. ხოლო თუკი იტყვის, რომ თავისი სინდისის შეშფოთების გამო არ

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, III, 599.

**„კორმჩაიაში“ ეს კანონი გაყოფილია ორ კანონად – 131-ე, 132-ე.

სურს თანაზიარება ჰქონდეს არამღიარებელთან (132), მაშინ, სანამ ამ შემთხვევის გამო ზიარებიდან განყენებულს არ მიიღებს თანაზიარებაში მისი ეპისკოპოსი, მანამდე ამ ეპისკოპოსსაც ნუ შეიწყნარებენ თანაზიარებაში სხვა ეპისკოპოსები, რათა ამით უფრო გაფრთხილდეს ეპისკოპოსი, რომ არ თქვას ვინმეზე ისეთი რამ, რისი დამტკიცებაც სხვების წინაშე მტკიცებულებებით არ შეუძლია.

კანონი 132 (147)

(მოც. 75; კართ, 131)

„წამებასა ერთისა მოწამისასა ნუ თავს იდებთ კაცსა ზედა, რომელ წამებს ყოვლისაგე უშჯულოებისათჳს, და ყოვლისა ცოდვისათჳს, რომლითა სცოდა რამეთუ პირითა ორისა და სამისა მოწამისათა, დაემტკიცების ყოველივე სიტყუა“ – ბრძანებს ძველათქმისეული წმინდა წერილი (მეორე შჯული, 19, 15). იგივეს გვაძლევს მცნებად იესო ქრისტე ახალ აღთქმაში (იხ. მთ. 8, 16; ინ. 8, 17). წმინდა წერილის ამ ძირითადმა განწესებამ, რომელიც ვრცელდება ყველაზე და თითოეულზე განურჩევლად, მათ შორის ეპისკოპოსებზეც, კანონიკური გამოხატულება ჰპოვა კართაგენის წინამდებარე კანონში. იგი უყურადღებოდ და უმნიშვნელოდ ტოვებს ერთი ეპისკოპოსის მოწმობას იმ შემთხვევაში, თუ იგი ამბობს, რომ მავანმა მას აღსარება ჩააბარა დანაშაულის ჩადენის შესახებ, რისი აღიარებაც აღსარების ჩამბარებელს სასამართლოზე არ სურს. ასეთ შემთხვევაში, ამბობს კანონი, ეპისკოპოსი ნუ განაწყენდება, რომ მისი, ერთის მოწმობა არ იქნება სარწმუნოდ მიღებული, თუნდაც იგი გათქმის მიზეზად იმას ასახელებდეს, რომ სინდისი ნებას არ აძლევს დამნაშავესთან მისი დანაშაულებრივი საიდუმლოს ზიარი იყოს, რომელმაც მას პირისპირ მოუთხრო თავისი დანაშაულის შესახებ, რამეთუ სახარების სწავლებით ორი ან სამი კაცის მოწმობით მტკიცდება საქმე (იხ. მთ. 18, 16; 2 კორ. 13, 1). **ბალსამონი** იხილავს ამ კანონის განწესებას ისეთ შემთხვევასთან კავშირში, როდესაც ეპისკოპოსი ან მღვდელი ამხელს ვინმეს აღსარებას, ანუ საიდუმლოდ ნათქვამ ცოდვას, და ამასთან დაკავშირებით იხსენებს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ლუკას (1156-1169) გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც მან მღვდელმსახურება აუკრძალა გიროტროფის მონასტრის იღუმენს, იმ მიზეზით, რომ მან თავისი სულიერი შვილის მიერ აღსარებაში ნათქვამი ცოდვა გააცხადა.* ეს კანონი ისევე, როგორც მოხსენიებული პატრიარქის განჩინება, მოყვანილია დიდი კურთხევანის ნომოკანონის 120-ე კანონში, სადაც ნათქვამია შემდეგი: „სულიერი მამა, რომელიც ვინმეს აღმსარებლის ცოდვას მოუყვება, შემდეგ ეპიტიმიას იმსახურებს: სამი წელი მღვდელმსახურებიდან განყენებული იყვეს,

*ათენის სინტაგმა, III, 604.

ეზიაროს მხოლოდ თვეში ერთხელ, და ყოველდღიურად ასი მეტანია გააკეთოს; სამოქალქო კანონი კი ამბობს, ასეთს ენა უნდა ამოეძროს".*

საიდუმლოს შენახვა, რომელსაც აღსარებაში ამბობენ, ახლაც უცილობელი კანონია ყოველი მღვდლისთვის.

კანონი 133 (147)

(მოც. 12, 16, 28, 32, 75; I მსოფ. 5; VII მსოფ. 4; ანტიოქ. 4, 6, 20; სარდ. 13, 14, 15; კართ. 9, 10, 11, 20, 29, 132)

წინამდებარე კანონი ლოგიკურ კავშირშია წინასთან (132-ე) და წარმოადგენს მის დამატებას. დასკვნითი სიტყვიდან, უფრო მეტად კი 132-ე კანონის სათაურიდან ჩანს,** რომ მავანი, რომელმაც ეპისკოპოსს პირისპირ თავისი დანაშაული ამცნო, მის მიერ განყენებულ იქნა ეკლესიის ერთობიდან. ასეთი ქმედება თავისთავად უკანონოა, და სწორედ ამ უკანონობაზე საუბრობს წინამდებარე (133-ე) კანონი, კერძოდ, იგი განაწესებს, რომ ეპისკოპოსი, რომელიც ეკლესიასთან ერთობიდან განაყენებს ვინმეს იმ ცოდვისათვის, რომელიც მან აღსარებაში მოისმინა, თავად უნდა იქნეს იმავე სასჯელით დასჯილი სხვა ეპისკოპოსების მხრიდან და ეს იქამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე თანაზიარებაში არ შევა იმ პირთან, ვინც უკანონოდ განაყენა. კანონში ის საფუძვლებიც არის ნახსენები, რომელთა ძალითაც გამოტანილია ასეთი განწესება. კერძოდ, ეპისკოპოსი უნდა იყოს წინდახედული და სანამ ვინმეს ბრალს დადებდეს და ზიარებიდან განაკანონებდეს, ამისთვის საკმაოდ დასაბუთებული არგუმენტები უნდა ჰქონდეს. თუკი დამტკიცდება, რომ ეპისკოპოსმა ეკლესიის ერთობიდან ვინმე მხოლოდ პირადი ანგარიშსწორებით განაკანონა, მაშინ ასეთი ეპისკოპოსი, VII მსოფლიო კრების მე-4 კანონის თანახმად, კიდევ უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებს.

წინამდებარე კანონით მთავრდება კართაგენის 419 წლის კრების მუშაობა. ამის შემდეგ, იმ საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც შედგა აფრიკული ეკლესიის ეს დიდი კრება, ანუ აფრიკის ეკლესიების კრებების გადაწყვეტილებების რომში აპელაციასთან დაკავშირებით, გაგზავნილ იქნა ანკონის ეპისკოპოსის ფავსტინისა და რომის მღვდლების ფილიპესა და ასელას ხელით (ისინი ამ კრებაზე რომის ეპისკოპოსის ადგილისმცველებს წარმოადგენდნენ) ქვემოთ მოყვანილი ეპისტოლე რომის ეპისკოპოსთან.

---

*დიდი კურთხევანის ნომოკანონი (ოდესა 1872), გვ. 119. ნომოკანონში სამწლიანი ეპიტიმია განსაზღვრულია ერთ-ერთი ძველი კანონის თანახმად, რომელსაც ეფრემ ასურს მიაწერენ. რაც შეეხება სულიერი მოძღვრისთვის ენის ამოძრობის სასჯელს აღსარებაზე თქმული ცოდვის გათქმისათვის, ეს სარწმუნოა, რომ აღებული იყოს პროქირონიდან (XXXIX, 46; შდრ. კორმჩაიაში თავ. 48), სადაც ეს სასჯელი დაწესებულია ცრუმოწმეობისათვის.

**„ეპისკოპოსისათვის, რომელიც უსიარბლეოფს იმას, ვინც მხოლოდ მას უთხრა აღსარებაში თავისი დანაშაული".

ეპისტოლე

რომის ეკლესიის ეპისკოპოს ბონიფაციუს მიმართ. სრულიად აფრიკის კრებისგან. რომის ეკლესიის ადგილისმცველთა - ეპისკოპოს ფავსტინიანესა. და ხუცესების - ფილიპესა და ასელის მეშვეობით გაგზავნილი

უნეტარეს ბატონსა და უპატიოსნეს ძმას ბონიფაციუს: ავრილიოსი, ვალენტინი, პირველი კათედრის ეპისკოპოსი ნუმიდიის ეპარქიაში, და სხვა ეპისკოპოსები, რიცხვით ორასჩვიდმეტნი, ჩამოსულნი სრულიად აფრიკის კრებაზე.

რადგანაც უფალს ენება, რომ იმის შესახებ, რაც ჩვენთან ერთად მოიმოქმედეს ჩვენმა უწმიდესმა ძმებმა — თანაეპისკოპოსმა ფავსტინემ და თანახუცესებმა ფილიპემ და ასელმა, ჩვენს მორჩილებას ეპასუხა არა ნეტარხსენებული ეპისკოპოსის ზოსიმესადმი, ვისგანაც მათ სიგელები და განაწესები მოგვიტანეს, არამედ შენი პატიოსნებისათვის, ვინაც, ღმერთის ნებით, მისი ადგილი დაიკავე, — ამიტომ ჩვენ ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ მოკლედ გამოგიცხადოთ ჩვენი ორმხრივი თანხმობით აღსრულებული, ისე, რომ არ შევეხოთ ყოველივე იმას, რასაც კრების საქმეთა ვრცელი გრაგნილები შეიცავენ და რაზეც ჩვენ დიდხანს ეჩერდებოდით, ვცდილობდით რა, ძნელი და ხანგრძლივი კამათებით, მაგრამ სიყვარულის შენარჩუნებით, შეგვეტანა აქტებში ყოველივე ის, რაც (ამ) საქმეს განეკუთვნება. და იგიც (ზოსიმა), ამ სხეულში რომ დარჩენილიყო, დიდი სიხარულით მიიღებდა, ჰოი, საყვარელო ძმაო, იმას, რასაც უფრო მეტი სიმშვიდით აღსრულებულად იხილავდა. ხუცესმა აპიარიუსმა, რომლის დადგინების, განკვეთისა და (კრებაზე) გამოძახების გამოც არამცირედი ჩოჩქოლი აღმოცენდა არამხოლოდ სიკსის ეკლესიაში, არამედ მთელ აფრიკაშიც, ყოველივეში შენდობა გამოითხოვა, რაშიც კი შეუცოდავს, და კვლავ მიღებაც თანაზიარებაში. მანამდე კი ჩვენმა თანაეპისკოპოსმა ურბან სიკსელმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოასწორა ის, რაც მას უნდა გამოესწორებინა. ხოლო რადგანაც ეკლესიის სიმშვიდესა და უშფოთველობაზე ზრუნვა გვმართებდა არამხოლოდ აწინდელი, არამედ მომავალი დროისთვისაც, ამიტომ ჩვენ, იმის გამო, რომ ასეთი საქმეები უკვე ბევრჯერ წარმოშობილა და იმ მიზნითაც, რომ თავი დავიზღვიოთ მსგავსი და კიდევ უფრო მძიმე საქმეებისაგან, დავადგინეთ მღვდელ აპიარიუსის ჩამოშორება სიკსის ეკლესიიდან, მისთვის პატივისა და ხარისხის შენარჩუნებით, ისე, რომ მას, ჩვენგან სიგელის მიღების შემდეგ, შეძლებოდა ნებისმიერ სხვა ადგილას ემსახურა, თავისი სურვილისა და შესაძლებლობებისამებრ, და აღესრულებინა ყველაფერი ის, რაც მღვდლის წოდებას შეეფერება. ამაზე ჩვენ ყოველგვარი გართულების გარეშე დავთანხმდით თავად აპიარიუსის საკუთარი თხოვნისამე-

ბრ. მაგრამ მანამდე, სანამ საქმე მიყვანილი იქნებოდა ასეთ დაბოლოებამდე, ჩვენ, სხვათა შორის, იძულებულნი ვიყავით განგვეხილა სხვა საკითხებიც, რომლებიც ხანგრძლივ დავა-კამათში გვითრევდნენ.

რადგანაც საკითხების თვით არსებრიობა მოითხოვდა, რომ გვეთხოვა ჩვენი ძმებისთვის — ეპისკოპოს ფავსტინესა და თანახუცესების — ფილიპესა და ასელისათვის, შეეტანათ საეკლესიო აქტებში ის, რისი გაკეთებაც მათ დავალებული ჰქონდათ ჩვენთან ერთად, ამიტომ მათ ზოგიერთი რამ სიტყვიერად განგვიცხადეს და არა წერილობით; ხოლო როცა ჩვენ დაჟინებით მოვითხოვეთ მათ მიერ მოტანილი წერილობითი განაწესი (ინსტრუქცია), მათ წარმოადგინეს ის, და ეს განაწესი, ჩვენ წინაშე წაკითხვის შემდეგ, ჩართულ იქნა აქტებში, რომლებსაც ახლა მათი ხელით გიგზავნით. მათში შეტანილი იყო ოთხი პუნქტი, რომლებიც მათ უნდა განეხილათ ჩვენთან ერთად: პირველი — ეპისკოპოსების აპელაციების შესახებ რომის ეკლესიის პირველმღვდელმთავრისადმი, მეორე — მასზედ რომ, ეპისკოპოსები არ უნდა მიდიოდნენ სასახლეში, როცა მათ მოესურვებათ; მესამე — მასზედ, რომ მღვდლებისა და დიაკვნების საქმეები განხილულიყო მეზობელი ეპისკოპოსების მიერ; მეოთხე — მასზედ, რომ ეპისკოპოსი ურბანი უნდა მოკლებულ იქნას თანაზიარებას და, გარდა ამისა, გამოძახებულიც რომში, თუკი არ გამოასწორებს იმას, რაც გამოსწორებას მოითხოვს. ამ პუნქტებიდან პირველსა და მესამეზე, ანუ მასზედ, რომ ეპისკოპოსებს ნება მიეცეთ საჩივარი შეიტანონ რომში და რომ კლირიკოსთა საქმეები საბოლოოდ გადაწყვიტონ ადგილობრივმა ეპისკოპოსებმა, ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს ვიზრუნეთ განგვემარტა იმავე ღირსპატიოსნად ხსენებულ ეპისკოპოს ზოსიმესადმი გაგზავნილ ჩვენს სიგელებში; კერძოდ, მივწერეთ, რომ მისთვის ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე, გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენ დავიცავთ და აღვასრულებთ ერთსაც და მეორესაც, — ვიდრე მოიძებნება ნიკეის კრების განჩინების ნამდვილი ნუსხები. ახლა კი თქვენს სიწმინდესაც ვთხოვთ, რომ როგორადაც ამაზე დადგენილ და განჩინებულ იქნა მამების მიერ ნიკეაში, იმგვარადვე აღსრულდეს ჩვენთანაც; მანდ კი თქვენთან, დაე, ის აღსრულდეს, რასაც ინსტრუქცია შეიცავს, კერძოდ: „თუ რომელიმე ეპისკოპოსზე შესმენა შემოვა, და გარშემო სამთავროების ეპისკოპოსები შეიკრიბებიან და ჩამოართმევენ მას ხარისხს, ის კი გადაიტანს საქმეს და რომის ეკლესიის უნეტარეს ეპისკოპოსს მიმართავს, ხოლო რომის მღვდელმთავარი ისურვებს მოუსმინოს მას და სამართლიანად აღიარებს მისი საქმის გამოძიების განახლებას, მაშინ ესეც უნდა დავადგინოთ, რომ კეთილად ინებოს და მისწეროს იმ სამთავროს მოსაზღვრე ეპისკოპოსებს, რათა გულმოდგინედ და ზედმიწევნით ჩასწვდნენ ყველა გარემოებას და ჭეშმარიტებაში დარწმუნების შემდეგ წარმოთქვან მსჯავრი მოცემულ საქმეზე. ხოლო თუ ვინმე მოითხოვს, რომ მისი საქმე ხელმეორედ იქნეს მოსმენილი, და რომის ეპისკოპოსი მისი თხოვნით კეთილად განაგებს თავისი მღვდლები წარგზავნოს, მაშინ, დაე, ამ ეპისკოპოსის ხელმწიფებაში იყოს, რასაც უმჯობესად და საჭიროდ ჩათვლის

ეპისკოპოსებთან ერთად საქმის განსჯისათვის, და წარგზავნოს გამომგზავნის ადგილის მონაცვლენი. ანდა თუ საკმარისად მიიჩნევს უკვე ჩატარებულ განხილვას და მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ეპისკოპოსის საქმეზე, დაე, ის განაჩინოს, რასაც თავისი უკეთილგონიერესი განსჯით სასიკეთოდ ჩათვლის".

ასევე, მღვდლებისა და დიაკვნების შესახებ: „თუ აღმოჩნდება რომელიმე ეპისკოპოსი, მიდრეკილი მრისხანებისაკენ (რასაც ასეთ კაცში ადგილი არ უნდა ჰქონდეს), და ანაზდად, მღვდელზე ან დიაკონზე განრისხებული, მოისურვებს ვინმეს გაძევებას ეკლესიიდან, — ჯერ-არს სიფრთხილე გამოვიჩინოთ, რათა ესევითარი მაშინვე არ იქნეს განსჯილი და თანაზიარებისგან განყენებული. ყველა ეპისკოპოსმა წარმოთქვა: დაე, განკვეთილს უფლება ჰქონდეს იმ სამთავროს სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსს მიმართოს, ხოლო თუ სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსი არ იმყოფება ადგილზე, მიმართოს საკუთარ ეპისკოპოსს და ევედროს, რომ გულმოდგინედ იქნეს გამოძიებული მისი საქმე. რამეთუ არ უნდა დავხშათ სასმენელნი მთხოვნელის წინაშე. ხოლო იმ ეპისკოპოსმა, რომელმაც სამართლიანად თუ უსამართლოდ განაძევა ესევითარი, სულგრძელად უნდა დაითმინოს, რომ საქმე გამოძიებულ იქნეს, და მისი განაჩენი ან დამტკიცდეს, ან გამოსწორდეს". სწორედ ეს კანონები, ნიკეის კრების სარწმუნო ეგზემპლარების მიღებამდე, იქნა შეტანილი ჩვენი კრების საქმეებში და თუ კი იქ მართლაც არსებობს ეს კანონები, რომლებსაც შეიცავს ჩვენთვის სამოციქულო კათედრიდან მოვლინებული ძმების მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციები, და ასეთი წესია დაცული თქვენთან იტალიაში, მაშინ ჩვენ არანაირად არ უნდა გვაიძულონ იმის მიღება, რისი გახსენებაც კი არ გვსურს; მაგრამ გვწამს, რომ ჩვენი უფალი ღმერთის წყალობით, სანამ შენი სიწმინდე წინამძღვრობს რომის ეკლესიას, ჩვენ არ მოვითმენთ ასეთ ქედმაღლური უფლების განცხადებას (მოთხოვნას), პირიქით, ჩვენთან მიმართებაში დაცული იქნება, ძმური სიყვარულით და ყოველგვარი შედავების გარეშე ჩვენი მხრიდან, ის კანონები, რომელთა აღსრულებასაც, შენთვის უზენაესის მიერ მოცემული სიბრძნითა და სამართლიანობით, შენ თავადაც აუცილებლად მიიჩნევ, თუკი სხვა რამეს არ შეიცავს ნიკეის კრების კანონები. რამეთუ, ჩვენ მრავალი წიგნი ვნახეთ და ნიკეის კრების (კანონების) არც ერთ ლათინურ ეგზემპლარში (ასლში) არ წაგვიკითხავს ისინი იმ სახით, როგორითაც გამოგზავნეს ზემოხსენებულ ინსტრუქციაში; მაგრამ, არ გვქონდა რა შესაძლებლობა მოგვეძია აქ თუნდაც ერთი ბერძნული ეგზემპლარი, ჩვენ საგანგებოდ ვიზრუნეთ, რომ ისინი აღმოსავლეთის ეკლესიებიდან ჩამოეტანათ, სადაც, როგორც ამბობენ, სწორედ ამ განწესებათა დედნების მოძიება ამჟამადაც შესაძლებელია. ამიტომაც ვევედრებით თქვენს ღირსპატიოსნებას, რათა ინებო და შენი სახელითაც მისწერო იმ ქვეყნების მღვდელმთავრებს, ანუ ანტიოქიის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლისა და სხვა ეკლესიებს, თუ შენი სიწმინდისთვისაც სათნო იქნება, რათა იქიდან გამოგვიგზავნონ ნიკეაში წმინდა მამების მიერ დადგენილი კანონები. და შენც, უპირატესად,

შეგეფერება ასეთი კეთილმოქმედება აღმოუჩინო ღვთის შეწევნით დასავლეთის ეკლესიებს. რამეთუ, აბა, ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ბერძნებთან ჩატარებული ნიკეის კრების ყველაზე სარწმუნო ნუსხა სწორედ ისინი იქნება, რომლებიც სხვადასხვა სახელოვანი ეკლესიებიდან ჩამოტანისა და ერთურთთან შედარების შემდეგ თანახმიერნი აღმოჩდება? ხოლო სანამ ეს არ მოხდება, ჩვენ ვაცხადებთ, რომ დავიცავთ ყოველივე იმას, რასაც ზემოხსენებული ინსტრუქცია (განაწესი) შეიცავს ეპისკოპოსთა აპელაციების შესახებ რომის ეკლესიის მღვდელმთავრებთან და კლირიკოსთა საქმეების განხილვის შესახებ მათი ოლქების ეპისკოპოსებთან, და ვასაოებთ, რომ შენი ნეტარება ღვთის ნებით შეგვეწევა ამაში. სხვა ყველაფერზე კი, რაც გაკეთდა და დამტკიცდა ჩვენს კრებაზე, თუ ინებებთ, მოახსენებენ თქვენს სიწმინდეს ზემოხსენებული ძმები — ჩვენი თანაეპისკოპოსი ფავსტიანე და მღვდლები ფილიპე და ასელი, რადგან მათ კრების ყველა საქმე თან მოაქვთ.

და ხელი მოაწერეს: უფალმა ჩვენმა მრავალ წელს გვიმყოფოს შენი თავი, საყვარელო ძმაო.

ასევე ხელი მოაწერეს: ალიპიუსმა, ავგუსტინემ, პოსიდიუსმა, მარინმა და სხვა ეპისკოპოსებმა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აფრიკის საკონსულოს მღვდელი აპიარიოსი, სხვადასხვა დანაშაულის გამო, თავისმა ეპისკოპოსმა ურბან სიკსელმა განკვეთა. მაშინ მან შუამდგომლობით მიმართა რომის ეპისკოპოსს განაჩენის გაუქმებაზე. რომის ეპისკოპოსმა ზოსიმემ მიიღო აპიარიოსის საჩივარი და ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში კართაგენელ მამებს მისწერა თავისი უფლების შესახებ, რომლის ძალითაც, მისი აზრით, შეეძლო გადაეხედა აფრიკელის ეკლესიების მიერ განხილული საქმე და საკუთარი გადაწყვეტილება გამოეტანა. თავისი უფლების არგუმენტად მას მოჰყავდა სარდიკიის კრების კანონები, რომლებიც ზოსიმეს ნიკეის I მსოფლიო კრების კანონად მიაჩნდა. ამასთანავე, იგი სთხოვდა აფრიკელ მამებს დაწვრილებით ეცნობებინათ განსახილველი საქმის შესახებ, რათა მას შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი განაჩენი არგუმენტირებულად გამოეტანა. ზოსიმემ ეს ეპისტოლე აფრიკელ მამებს ზემოთ დასახელებული თავისი ადგილსმცველების ხელით გაუგზავნა. ამ მიზეზით შედგა ეს, 419 წლის კრება. იმის შესახებ, თუ რა სამუშაო ჩაატარა ამ კრებამ და რატომ იქნა ეპისტოლე მომზადებული, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ კრების 1 კანონის განმარტებაში. ამასობაში ზოსიმე გარდაიცვალა; მისი ადგილი ბონიფანტემ დაიკავა (418-422) და აფრიკელეთა მიმართ თავისი წინამორბედის მსგავსი პოზიცია დაიკავა. ამდენად, აფრიკელმა მამებმა ბონიფანტეს ეპისტოლე გაუგზავნეს ზოსიმეს ეპისტოლეს პასუხად; ისინი მას მოკლედ აცნობებენ კრების მუშაობის შედეგებს. აპიარიოსთან დაკავშირებით კი წერენ, რომ თუმც ნება დართეს მას მღვდლის პატივით ესარგებლა, — რადგან აღიარა თავისი შეცდომები, მოინანია და შენდობა ითხოვა, — მაგრამ ისინი ითხოვენ, რომ მან დატოვოს სიკსის ეკლესია და რომელიმე სხვა ეკლესიაში გადავიდეს. ზოსიმეს მიერ წამოჭრილ საკითხს რაც შეეხება, რომში აპელაციასთან დაკავშირებით,

აფრიკელი მამები აცხადებენ, რომ ამ საკითხზე არ შევლენ ისინი კამათში, სანამ არ მიიღებენ I მსოფლიო კრების კანონების დედანს, რომელსაც ზოსიმე ეყრდნობოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მიიღებენ, დაიცავენ იმ წესს, რაც იქნება იმ კანონებით განწესებული. იმავდროულად, ისინი თხოვენ ბონიფანტეს მიმართოს აღმოსავლეთს და იქ მოიძიოს აღნიშნული კრების კანონების დედანი.

რამდენიმე თვის შემდეგ, კართაგენში მიიღეს ნიკეის კრების ნამდვილი აქტები კანონების იმავე რიცხოვნობით და იგივე ტექსტით, როგორც ეს მანამდე იყო დაცული კართაგენში და რომელიც სავსებით პასუხობს ჩვენს ახლანდელ ტექსტს და კანონების რიცხვს. ეს აქტები, რომლებიც „კორმჩაიაში" 136-ე და 137-ე კანონებს შეადგენენ, ბონიფანტეს გაეგზავნა 419 წლის 26 ნოემბერს.*

დაუდგრომელი მღვდელი აპიარიოსი, მას შემდეგ, რაც სიკსიდან გაემგზავრა, დასახლდა თაბრაკენელებთან, მაგრამ იქ კვლავ დანაშაულები ჩაიდინა და მეორედ იქნა განკვეთილი. ამის შემდეგ, 423 წლის ბოლოს, კვლავ რომში გაემგზავრა აფრიკელი მამების გადაწყვეტილებაზე საჩივრით. რომის ეპისკოპოსი ამჯერად კელესტინე იყო, რომელმაც ბონიფანტეს შემდგომ დაიმკვიდრა კათედრა. მან მიიღო აპილიაროსი, დაუბრუნა მას ყველა ჩამორთმეული უფლება და კართაგენის სასულიერო ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, იგი ეპისკოპოს ფავსტიანეს თანხლებით და საკუთარი დადგენილებით — სადაც იგი ამ მღვდლის წინააღმდეგ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას აუქმებდა — კართაგენში გამოამგზავრა. კართაგენში მაშინვე შეუდგნენ ამ საქმის განხილვას და დამთავრებისთანავე კელესტინეს გაუგზავნეს შემდეგი ეპისტოლე:

ეპისტოლე

აფრიკის კრებისა კელესტინეს, რომის პაპს საყვარელ მეუფეს და უპატიოსნეს ძმას კელესტინეს: ავრილიოსი, პალატინოსი, ანტონიოსი, ტუტიოსი, სერვუსდელი, ტერენტიოსი და სხვანი ყოველნი, პოვნილნი კართაგენის საერთო კრებაზე

როგორადაც თქვენმა სიწმიდემ გამოხატა სიხარული აპიარიოსის ჩამოსვლის გამო წერილითურთ, გამოგზავნილით ჩვენი თანამწირველის — ლეონის მეშვეობით, ასევე ჩვენც ვისურვებდით, რომ ამავე სიხარულით იყოს გამოგზავნილი ეს წერილიც მის გასამართლებლად. რამეთუ ჭეშმარიტად ჩვენი განწყობაც და თქვენიც უცხო იყო უნდობლობისა, და გამომცდელი როდი იყო იგი, თავდაპირველად იმის სასარგებლოდ მიდრეკილი, ვისაც უკვე თითქოს მოუსმინეს, მაშინ როცა ჯერ არ უნდა დაკითხულიყო. ამრიგად, როცა ჩამოვიდა ჩვენთან უწმინდესი ძმა და თანამწირველი ეპისკოპოსი ჩვენი — ფავსტინე, ჩვენ კრება მოვიწვიეთ, და ვგონებდით, რომ იგი

*ათენის სინტაგმა, III, 615-617.

აპიარიოსთან ერთად წარმოგზავნილი იყო იმისთვის, რომ როგორადაც მისი მცდელობით იქნა აღდგენილი მღვდლობაში, ასევე ახლაც შესძლებდა მისივე მზრუნველობით გამართლებას ესოდენ ბრალდებათაგან, თაბრაკინის მცხოვრებლებმა რომ წაუყენეს. მაგრამ ჩვენმა მრავალრიცხოვანმა კრებამ იმდენად ბევრი ურჯულოება ჰპოვა აპიარიოსის თავს, რომ მათ გადასძალეს ზემოხსენებული ფავსტინეს მცდელობა, თუმცა ის მფარველობა უფრო იყო, ვიდრე სამსჯავრო, და ეკდიკისათვის დამახასიათებელი მეოხმყოფელობა უფრო, ვიდრე გამომძიებლისათვის ჩვეული სამართლიანობა. რამეთუ, პირველად, ფავსტინე ძალზე დაუპირისპირდა მთელ კრებას, მიაყენა რა მას სხვადასხვა შეურაცხყოფა, რათა, ვითომცდა, რომის ეკლესიის უპირატესობანი დაეცვა, და სურდა რა, რომ ჩვენ მიერ თანაზიარებაში ყოფილიყო მიღებული აპიარიოსი, რომელიც თქვენმა სიწმიდემ შეიწყნარა თანაზიარებაში, დაუჯერა მის ჩივილს, რისი დამტკიცებაც მას არ შეეძლო; თუმცა, ესეც ნაკლებად დაეხმარა მას, რასაც უკეთ შეიტყობ, თუკი კრების საქმეებს წაიკითხავ. რამეთუ, როცა სამი დღის განმავლობაში მძიმედ მიმდინარეობდა სამსჯავრო, რომელზეც ჩვენ შემუსრვილნი გამოვიძიებდით აპიარიოსის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, მაშინ ღმერთმა, მართალმა მსაჯულმა, ძლიერმა და მრავალმოთმინემ, ანაზდად აღკვეთა ჩვენი თანაეპისკოპოსის — ფავსტიანეს მიერ საქმის გაჭიანურება და თვით აპიარიოსის გერგილიანი თავისმართლებანი, რომლებითაც ის ცდილობდა დაეფარა თავისი სამარცხვინო ურჯულოებანი. ამაო გახდა დასანანი და საძაგელი სიჯიუტე და ურცხვი გამოუტეხლობა, რომლითაც აპიარიოსს სურდა დაეფარა ესოდენ მრავალი ავხორცული საქმის ჭაობი. რამეთუ, როცა ღმერთმა ჩვენმა შეაჭირვა მისი სინდისი და ყოველთა ადამიანთა წინაშე გამოამჟღავნა მის გულში დაფარული, თითქოსდა უკვე განკითხული დანაშაულობათა თვით სისაძაგლით, მაშინ ამ მზაკვრულად გამოუტეხელისაგან ანაზდად ამოხეთქა აღიარებამ მისადმი წაყენებულ ყველა ბრალდებაში, და ბოლოს მან ნებაყოფლობით თავადვე ამხილა საკუთარი თავი ყველა, ძლივს დასაჯერებელ სიბილწეებში, და ამგვარად თვით ჩვენი იმედიც, რომელსაც ჩვენ მასზე ვამყარებდით, გვსურდა რა, რომ მას განეწმიდა თავი ესოდენ სამარცხვინო ლაქებისაგან, გლოვად მიაქცია. ესოდენი ჩვენი მწუხარება მან მხოლოდ ერთი და ერთადერთი ნუგეშით შეარბილა, — იმით, რომ ჩვენც გაგვათავისუფლა გამუდმებული ჭმუნვის სიმძიმისაგან, და თავის საკუთარ წყლულებსაც, თუმც კი უნებლიეთ და თავის სინდისთან ჭიდილით, ბოლოსდაბოლოს განუმზადა კურნება თავის აღიარებაში. ამრიგად, პირველ ყოვლისა, აღვასრულებთ რა შესაფერის პატივმოგების ვალს, გევედრებით, მეუფეო და ძმაო, რომ მომავალში ადვილად არ მიუშვებდე შენს სმენამდე აქედან მოსულთ, და ნუ ინებებ ჩვენ მიერ განკვეთილების თანასაზიარებლად შეწყნარებას, რამეთუ შენი ღირსება მარჯვედ პოვებს, რომ სწორედ ეს ნიკეის კრების მიერაც არის განჩინებული. რამეთუ თუკი ეს წესი ეგზომ არის დაცული დაბალი წოდების სამღვდელოთა და ერისკაცებთან მიმართებით, მაშინ რაოდენგზის უფრო მეტად ნებავს კრებას, რომ

დაცული და აღსრულებული იყოს იგი ეპისკოპოსების მიმართაც. ამრიგად, ისინი, ვინც თავიანთ ეპარქიებში განყენებულნი არიან ზიარებიდან, დაე, ნუ იქნებიან შეწყნარებულნი თანაზიარებაში შენი სიწმინდის მიერ (რაღაც) განზრახვით, რამეთუ არ არის ჯეროვანი ეს საქმე. მსგავსადვე, მღვდელთა და მათ მიმდევარ კლირიკოსთა ურცხვი გადმოპარვები, დაე, აღკვეთოს შენმა სიწმიდემ, როგორც ღირსშეგეფერება შენ ეს. რამეთუ არც არის ეს აკრძალული აფრიკის ეკლესიებისათვის მამათა არანაირი განჩინებით, და ასევე არც ნიკეის კრების განჩინებებითაც, რომ როგორც დაბალი წოდების სამღვდელონი, ასევე, თვით ეპისკოპოსნიც, უკანვე წარიგზავნებოდნენ მათ საკუთარ მიტროპოლიტებთან. გონივრულად და სამართლიანად აღიარა კრებამ, რომ რა საქმეებიც არ უნდა იყოს, ისინი თავის ადგილებში უნდა დასრულდეს. რამეთუ მამებმა განსაჯეს, რომ არც ერთ სამთავროს არ მოაკლდება სულიწმიდის მადლი, რომლის ძალითაც სიმართლე იხილვება და აღესრულება ქრისტეს მღვდელთმთავართა მიერ, და მეტადრე, როცა თითოეულს, თუ ეჭვი გაუჩნდება უახლოეს მსაჯულთა გადაწყვეტილებების მიმართ, ნება ეძლევა მიმართოს თავისი სამთავროს კრებას, და თვით მსოფლიო კრებასაც კი. განა არის ვინმე, ვინც ირწმუნებდა, რომ ჩვენს ღმერთს შეუძლია მხოლოდ ერთ ვინმეს შთააგონოს მართლმსაჯულება, ხოლო კრებაზე მოსულ უამრავ მღვდელთმთავარს უარი უთხრას ამაში?! ამასთან, მტკიცე როგორ იქნება საზღვარგარეთის კრება, რომლის წინაშეც ვერ წარსდგებიან აუცილებელი მოწმეები: შეუძლებლობის, უძლურებისა თუ მოხუცებულობის გამო, ან სხვა მრავალი დაბრკოლების მიზეზით? ხოლო იმის შესახებ, რომ ზოგიერთნი თითქოსდა შენი სიწმინდის გვერდიდან უნდა იყვნენ წარმოგზავნილნი, ჩვენ მამათა ვერც ერთი კრების განსაზღვრება ვერ ვნახეთ. რამეთუ რაც მანამდე თქვენგან, იმავე ჩვენი თანაეპისკოპოსის — ფავსტინესაგან იქნა გამოგზავნილი ჩვენთან, თითქოსდა ნიკეის კრების დადგენილებისაგან, იმის მოძიება ჩვენ ვერ შევძელით ამ კრების დედნებიდან გადმოღებულ სარწმუნო ნუსხებში, რომლებიც უწმინდესი კირილესაგან, ალექსანდრიის ეკლესიის ჩვენი თანაეპისკოპოსისაგან, და ატიკესგან, კონსტანტინოპოლის თანამწირველი ეპისკოპოსისგან მივიღეთ, და რომლებიც ჯერ კიდევ მანამდეც, მღვდელ ინოკენტისა და იპოდიაკვან მარკელის, ჩვენთან მათი მომტანების მეშვეობით ჩვენგან ნეტარხსენებულ ეპისკოპოს ბონიფანტეს გაეგზავნა, თქვენს წინამორბედს. ამრიგად, ნუ ინებებთ, ზოგიერთების თხოვნით, თქვენს სამღვდელოთა აქ წარმოგზავნას გამომეძიებლებად, და ნურც დაუშვებთ ამას, რათა არ წარმოვსდგეთ ამა ქვეყნის კვამლისებრი ქედმაღლობის შემომტანებად ქრისტეს ეკლესიაში, რომელიც უზაკველობის ნათელსა და თავმდაბლობის დღეს ანიჭებს ღმერთის ჭვრეტის მსურველთ. ხოლო, რადგანაც ცრემლთა ღირსი აპიარიოსი თვით ჩვენი ძმის, ფავსტინეს მიერაც იქნა განკვეთილი ქრისტეს ეკლესიიდან, ამიტომ ჩვენ აღარ ვშიშობთ, რომ მომავალში ასეთი ჩარევის დათმენა, — თქვენი სიწმინდის ღვაწლისა და ზედმიწევნულობის წყალობით შენარჩუნებული ძმური სიყვარულის ძალით, — აფრიკას აღარ მოუწევს.

ხელმოწერა

ღმერთიმც დღეგრძელჰყოფს და დაიფარავს თქვენს სიწმიდეს, ჩვენს უფლისმიერ ძმას, ჩვენზე მლოცველს.

ეპისტოლე იმდენად ნათელი და საფუძვლიანია, რომ რომის არც ერთი ეპისკოპოსი ნიკოლოზ I-მდე (IX საუკუნის ნახევრამდე), არანაირ პრეტენზიებს აღარ გამოთქვამდა რამე უფლებებზე, როგორც ამას მანამდე ზოსიმე და კელესტინე აკეთებდნენ. ნიკოლოზ I-დან დაწყებული, დასავლეთში ამოქმედდა ახალი კანონიკური სამართალი, და იმ დროიდან მოყოლებული, ბუნებრივია, ყველაფერი სულ სხვა მიმართულებას იღებს, ვიდრე ეს იყო განუყოფელი ეკლესიის პერიოდში. რაც შეეხება უმაღლეს საეკლესიო ინსტანციებს, რომლებსაც სასამართლო საქმეებზე საბოლოო განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდათ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ II მსოფლო კრების მე-6 და IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონების განმარტებებში; ყველაფერი, რაც იქ არის ნათქვამი, ემსახურება აგრეთვე ეპისკოპოს კელესტინეს მიმართ აფრიკელი მამების ზემომოყვანილი ეპისტოლეს განმარტებას.

კონსტანტინოპოლის წმინდა ადგილობრივი კრება (სხვაგვარად - ორგზისი), რომელიც შედგა წმინდა მოციქულთა სახელობის ტაძარში

მეცხრე საუკუნე, — საუკუნე ნიკოლოზ I-სა და ფოტის, — რომელიც თავისი შედეგებით შეიძლება ჩაითვალოს ეკლესიისათვის ერთ-ერთ ყველაზე ბობოქარ და, ამასთანავე, სამწუხარო პერიოდად. პატრიარქ ეგნატეს დამხობას და საპატრიარქო ტახტზე ფოტის აღსაყდრებას, აღმოსავლეთში დიდი შფოთი მოჰყვა, რამაც რომის პაპს საბაბი მისცა ჩარეულიყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შიდა საქმეებში. მეორე მხრივ, თუმც ხატმბრძოლობა დაიგმო მეშვიდე მსოფლიო კრებაზე, ის მაინც აგრძელებდა ამ საუკუნეშიც ეკლესიის მღელვარებას. იმისათვის, რომ საბოლოო განაჩენი გამოეტანათ ხატმბრძოლობისათვის და ეკლესიაში დარღვეული მშვიდობა აღედგინათ, გადაწყდა ეპისკოპოსთა დიდი კრების მოწვევა, რომელიც შედგა კიდეც 881 წლის მაისის დასაწყისში — კონსტანტინოპოლში, წმინდა მოციქულთა სახელობის ტაძარში. კრებას ესწრებოდა იმპერატორი მიქაელ III; კრების მუშაობაში 318 ეპისკოპოსი იღებდა მონაწილეობას. რომის პაპს საგანგებო ლეგატები წარმოადგენდნენ. თავის პირველ შეკრებაზე კრებამ, არამართლმადიდებელთა მხრიდან აღშფოთების გამო, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია; მხოლოდ მეორე შეკრებაზე შეძლეს თავისუფლად ემოქმედათ. ორგზის შეკრების გამო, ის იწოდება პირველ-მეორე კრებად (ორგზისი). თავის მეორე შეკრებაზე კრებამ დაადასტურა ხატმბრძოლობის დაგმობა, შემდეგ — სწორად მიიჩნია და აღიარა პატრიარქ ფოტის დადგინება კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრაზე, ბოლოს კი მიიღო 17 კანონი საეკლესიო დისციპლინის სფეროში.

კონსტანტინოპოლის წმინდა ადგილობრივი კრების (სხვაგვარად - ორგზისი) კანონები

კანონი 1

მონასტრების შექმნა, ესოდენ მნიშვნელოვანი და ღირსსაქები საქმე, ჩვენი ნეტარი და ღირსი მამების მიერ ძველთაგანვე კეთილგონივრულად წამოწყებული, ამჟამად უჯერო საქმედ მოჩანს. რამეთუ ზოგიერთებმა, მისცეს რა თავიანთ მამულებსა და კარ-მიდამოებს მონასტრის სახელი და აღთქმაც დადეს, რომ ღმერთს მიუძღვნან ისინი, საკუთარ თავს მაინც მათ მფლობელებად აცხადებენ. მათ მზაკვრულად განიზრახეს ღმერთისთვის მიეძღვნათ მხოლოდ სახელწოდება; რამეთუ არ რცხვენიათ შეწირვის შემდეგაც მიითვისონ ამ ქონებაზე იგივე უფლება, რაც მანამდე ჰქონდათ. და ისეთი უწესოება შეერთო ამ საქმეს, რომ მხილველთა გასაკვირად და სამწუხაროდ, ბევრი რამ ღმერთისათვის მიძღვნილთაგან განცხადებულად იყიდება თავად შემწირველთა მიერ. და მათში არათუ სინანული არ არის იმის გამო, რომ თავს ნებას აძლევენ დაეპატრონონ იმას, რაც ერთხელ უკვე ღმერთს მიუძღვნეს, არამედ შიშის გარეშე სხვებსაც გადასცემენ მას. ამისთვის წმინდა კრებამ განაწესა: ეპისკოპოსის უცნობელად და უნებართვოდ, დაე, ნურავის მიეცემა ნება მონასტერი დააფუძნოს, არამედ მისი მცნობელობითა და ნებართვით, სათანადო ლოცვის აღსრულებით დაფუძნდეს მონასტერი, როგორც ეს ძველთაგანვეა ღვთისსათნოდ დაკანონებული; ხოლო მონასტრისთვის მიკუთვნებული ყოველივე, თვით მასთან ერთად, შეტანილ იქნეს წიგნში, რომელიც შეინახონ ეპისკოპოსის არქივში (წიგნთსაცავში). შემწირველსაც, ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, ნუ ექნება იმის კადნიერება, რომ ან საკუთარი თავი, ან თავის ნაცვლად სხვა ვინმე დაადგინოს ილუმენად. რამეთუ თუკი ერშიც არავის ძალუძს კვლავაც იმის მფლობელი იყოს, რაც უკვე ადამიანს მიუძღვნა, მაშ, როგორღა შეიძლება ვინმეს ნება ჰქონდეს მიიტაცოს ფლობა იმისა, რაც ღმერთისთვის მიუძღვნია და შეუწირავს.

(IV მსოფ. 4, 8, 24; ტრულ. 49; VII მსოფ. 12, 13, 14, 17)

ამ კანონში ორი მთავარი საკითხი განიხილება და მტკიცდება, სახელდობრ, ვერც ერთი მონასტერი ვერ დაფუძნდება მმართველი ეპისკოპოსის გვერდის აულით და მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე. კანონების თანახმად,უშუალოდ სწორედ ეპისკოპოსს ემორჩილება როგორც ყველა მონასტერი, ისე თითოეული მონოზონი; და რომ მონასტრები და სამონასტრო ქონება სამუდამოდ უნდა დარჩეს ხელშეუხებელი, ანუ არ შეიძლება მათი სხვა რამე მიზნით გამოყენება, ან კერძო საკუთრებაში გადაცემა. ეს დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ მანამდელ კრებებზე (იხ. პარალური კანონების განმარტებები). ამ ორგზისის კრებაზე კი გამეორებულ და უფრო მძაფრად იქნა გამოხატული – დროსთან შესაბამისად და აგრეთვე იმიტომ, რომ ბევრმა მხედველობიდან დაკარგა კანონიკური განწესებები მონატრების დაფუძნებისა და სამონასტრო ქონების შესახებ.

მონასტრების აგება ანუ დაფუძნება ყოველთვის ითვლებოდა ღვთისსათნო საქმედ. ამ კრების მამები მას პატივის ღირს და საპატივცემულო საქმეს უწოდებენ. ვინც თავისი ღვთისმოსაობით მოისურვებდა მონასტრის აშენებას და მის შესანახად ყველა საჭირო სახსრებს გაიღებდა, ასეთ კეთილმსახურ ქრისტიანს ეკლესია ნებას რთავდა თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა და ამ საქმეს მას დამსახურებადაც კი უთვლიდა (იხ. VII მსოფ. მე-17). აგებული მონასტერი და ყველაფერი, რაც მის შესანახად იყო შემოწირული, მაშინვე მმართველი ეპისკოპოსის ხელმწიფებაში გადადიოდა,რომელიც მონასტრის სწორი ტიპიკონით ცხოვრებაზე ზრუნავდა, აგრეთვე — მონასტრის ქონების ხელშეუხებლობასა და მის კანონიკურ განმგებლობაზე (იხ. IV მსოფ. 24-ე). თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წინამდებარე კანონის სიტყვებით, მონასტრებს აშენებდნენ და ამბობდნენ, რომ გარკვეულ ქონებასა და მიწას სწირავდნენ აშენებულ მონასტერს, მაგრამ, იმავდროულად, შემდგომშიაც საკუთარ თავს თვლიდნენ იმის მეპატრონედ, რაც შესწირეს, ზოგჯერ, დროთა განმავლობაში, ყიდდნენ კიდეც. ასე რომ, მონასტერი ყველაფრის გარეშე რჩებოდა და საბოლოოდ იქაურობა ოხრდებოდა. ამის მხილველ ღვთისმოსავ ქრისტიანებში კი ეს გაკვირვებასა და გულისტკივილს იწვევდა. კრების მამები ყურადღებას მიაპყრობენ ასეთ უკანონობას და მოიხსენიებენ რა არსებულ კანონიკურ განწესებას ამის შესახებ, ადგენენ: არავინ ააშენოს მონასტერი მმართველი ეპისკოპოსის ნებართვისა და ლოცვა-კურთხევის გარეშე. როდესაც ეპისკოპოსი დაეთანხმება და მისცემს ვინმეს მონასტრის აგებისა და მისი მომარაგების უფლებას, რაც საჭიროა მისი ფუნქციონირებისათვის, მაშინ მონასტერი მთელი თავისი კუთვნილებით ჩაიწერება საინვენტარიზაციო წიგნში. ეს წიგნი ინახება ეპისკოპოსის არქივში, რათა საყოველდროოდ ცნობილი იყოს, რომ შეადგენს სამონასტრო ქონებას და სამუდამოდ უნდა დარჩეს მის მფლობელობაში (იხ. IV მსოფ. 24-ე; ტრულ. 49-ე; VII მსოფ. მე-13). პირი, რომელიც მონასტერს საჭირო და აუცილებელით მოამარაგებს, უკვე ამით წყვეტს თავის მესაკუთრეობრივ უფლებას ამ ქონებაზე, და მით უფრო აღარ არის ის მონასტრის მესაკუთრე, როცა მას ეკლესიას სწირავს. რამეთუ, დასძენს კანონი, თუკი მავანი ვერ იქნება იმ საკუთრების მფლობელი, რაც სხვას აჩუქა, მაშინ როგორღა შეიძლება იმან, ვინც რაიმე ქონება ღმერთს შესწირა და მიუძღვნა, თავის თავს უფლება მისცეს კვლავ მისი მესაკუთრეობისათვის იბრძოლოს?

გარდა იმისა, რომ მონასტრის დამფუძნებელი (ქტიტორი, მაშენებელი) ითვისებდა მონასტრისა და მისი ქონების მფლობელობას, იგი ითვისებდა აგრეთვე უფლებას ან თავად დამდგარიყო მონასტრის იღუმენად, ან ვინმე დაენიშნა საკუთარი სურვილისამებრ. კანონი ამასაც გმობს, როგორც ბოროტადგამოყენებას, და განაწესებს, რომ გარკვეულ პირს — დამფუძნებელს (ქტიტორს, მაშენებელს) ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვით. თემად მცხოვრებთა მონასტრის წესდებით იღუმენს ირჩევს მისი საძმო და ამ არჩევანს ეპისკოპოსი ამტკიცებს (იხ. VII მსოფ, მე-7). წინამდებარე კანონიდან აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა ისეთ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მონასტრის დამფუძნებელს თავად შეეძლო იღუმენის დადგინება, — რა თქმა უნდა, ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვითა და კურთხევით. სხვა სიტყვებით, მონასტრის დამფუძნებელს უფლება

ჰქონდა ეპისკოპოსისთვის წარედგინა ის პირი, ვინც მას მონასტრის იღუმენად სურდა. ამ უპირატესობას ეკლესია ცნობდა ცალკეული, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი დამფუძნებლების მიმართ, როგორც კეთილი საქმისათვის ჯილდოს, და ამ უპირატესობის ასახვა ხდებოდა დამფუძნებელ (ქტიტორულ) წესდებაში (ტიპიკონში).* ამ დამფუძნებელ ანუ ქტიტორულ წესდებებზე ამ კანონის განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს **ბალსამონი;** მას მოჰყავს სხვადასხვა აზრი მასთან მიმართებით, რომელთა შორისაც არის ისეთიც, რომელიც აჩვენებს, რომ **ბოროტგამომყენებლობა,** რომელზედაც კანონი საუბრობს, თვით ამ დამაფუძნებელ წესდებებშიც აღწერდა. ბალსამონი ქტიტორის უფლებად აღიარებს მის მიერ აშენებული მონასტრისათვის ტიპიკონის შედგენას,ოღონდ მასში ყველაფერი უნდა იყოს მონასტრების შესახებ კანონიკურ განწესებებთან შესაბამისობაში. თუ ამ წესდებებში რამე კანონსაწინააღმდეგო და არაკანონიკური აღმოჩნდა, მაშინ მას ძალა არ გააჩნია და უქმია.** მონასტრის დამფუძნებელი წესდება, ჩვეულებრივ, აღწერის შემდეგ – როგორ დაფუძნდა მონასტერი, ვინ დააფუძნა და რა შესწირა – შეიცავს განაწესს მონასტრის ცხოვრების ყველა საკითხთან დაკავშირებით, ეს არის: ღვთისმსახურება, საჭმელ-სასმელის მიღება, მარხვები და დღესასწაულები, მონასტრის მართვა და ღვთისმასხური პირების დადგინება, მონოზვნების სამონასტრო ცხოვრების პირობები, მიცვალებულთა მოსახსენიებელი მსახურება ქტიტორისა და ძმებისთვის, სამონოზვნო ხარისხში ახალი ძმის მიღება, მოწყალების გაღება გლახაკთათვის,საავადმყოფოებისა და ავადმყოფებისთვის,ტიპიკონის მოთხოვნილებების დაცვა და იმის შესახებ,რომ მონასტრის წესდება (ტიპიკონი) უნდა იკითხებოდეს ყოველი თვის დასაწყისში.***

კანონი 2

ზოგიერთნი ბერ-მონოზვნური ცხოვრების მხოლოდ გარეგან სახეს იღებენ, და იღებენ არა იმისთვის, რომ სიწმინდით ემსახურონ ღმერთს, არამედ იმისთვის, რომ პატივსაცემი შესამოსელისაგან მიიღონ კეთილმსახურთა დიდება და ამით თავიანთი სიამოვნებებით დაუბრკოლებელი ტკბობა შეიძინონ. ისინი მხოლოდ თმებს შეიკვეცენ და საკუთარ სახლებში რჩებიან, სადაც არ ასრულებენ არანაირ სამონოზვნო ღვაწლსა და წესდებულებას. ამისთვის წმინდა კრებამ დაადგინა: არავინ გახდეს საბერმონაზვნო ხატის ღირსი იმ პირის დაუსწრებლად, რომელმაც თავის მორჩილებაში უნდა მიიღოს იგი, მთავრობა ჰქონდეს მასზე და მზრუნველობა იტვირთოს მის სულიერ სიწმინდეზე. ასეთი, დაე, ღვთისმოყვარე კაცი იყოს, მონასტრის

*მხოლოდ იმ მონასტრებს შეეძლოთ დამოუკიდებლად აერჩიათ და დაედგინათ იღუმენები, რომლებიც სპეციალური სამეფო ბრძანებულებით სარგებლობდნენ განსაკუთრებული უპირატესობით.

**ათენის სინტაგმა, II, 551. შდრ. XIV ტიტ. ნომოკანონი, II, 1 (ათენის სინტაგმა, I, 88).

***ასეთია ზოგადად ხილანდარის ტიპიკონი. ასეთია ძირითადად სხვა მონასტრების ტიპიკონებიც (დამფუძნებელი წესდებები).

წინამძღვარი, შემძლებელი იმისა, რომ იხსნას ქრისტესადმი ახლად მოყვანილი სული. ხოლო თუ აღმოჩნდება ვინმე მავანის ბერად აღმკვეცი იღუმენის დაუსწრებლად, რომელსაც მართებს მორჩილებაში მიიღოს იგი, ესევითარი, დაე, განკვეთილ იქნეს თავისი წოდებიდან, როგორც კანონთა ურჩიც და კეთილმოწესეობის დამრღვევი; ხოლო უკანონოდ და უწესოდ აღკვეცილი იმ მონასტერს გადაეცეს მორჩილებაში, რომლისთვისაც მის გადაცემას ადგილობრივი ეპისკოპოსი კეთილად ინებებს. რამეთუ განუსჯელი და მცდარი აღკვეცებით დაუშვეს საბერ-მონოზვნო ხატის უპატივო-ყოფა და ამით ქრისტეს სახელს გმობა შეამთხვიეს.

(IV მსოფ. 4, 24; ტრულ. 40-49; VII მსოფ. 17-21; ლანგ. 3; კართ. 63; ორგზ. 3-7)

ხატმბრძოლობის პერიოდში მონოზვნობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთში და მართლმადიდებლობის დაცვის საქმეში თავისი დამსახურებისათვის დიდი პატივით სარგებლობდა. თუმცა, თავისი პატივისა და მნიშვნელობის შენარჩუნება ყველა მონოზონს არ შეეძლო, როგორც ეს მათ თავიანთი წმინდა ჩინებულობით მართებდათ. ბევრი უწესრიგობა გამოჩნდა როგორც ცალკეული მონოზვნის ცხოვრებაში, ისე მთელი რიგი მონასტრების ცხოვრებებში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხატმბრძოლობამ მხოლოდ დაიწყო დამარცხება. ამიტომ VII მსოფლიო კრება იძულებული გახდა მიეღო რამდენიმე კანონი მონოზვნობაში კეთილწესიერების აღსადგენად (იხ. 17-22). თუმცა უწესრიგობები შემდგომშიაც გრძელდებოდა, ასე რომ, წინამდებარე კრებაც იძულებული გახდა შეეხსენებინა საეკლესიო საზოგადოებისათვის ადრე არსებული კანონიკური განწესებების შესახებ მონოზვნებთან მიმართებით და რამდენიმე ახალიც დაემატებინა. მიზეზი, რამაც კრება ამ კანონის მისაღებად აღძრა, გამოხატულია მის დასკვნით ნაწილში, კერძოდ, სამონოზვნო ხარისხის მნიშვნელობა დაეცა, რის გამოც შეურაცხყოფა მიეყენებოდა თვით ქრისტეს სახელს. სამონოზვნო ცხოვრების სხვა უწესრიგობათა შორის, კანონი ყურადღებას მიაპყრობს ბევრი პირის ნაჩქარევ და წინდაუხედავ მიღებას სამონოზვნო წესში. მსგავსად იმისა, როგორც მღვდელმსახურთა მიმართებით არსებობდა კანონი, რომ არავის ხელდასხმა შეიძლებოდა გარკვეულ ადგილზე მსახურებისათვის დაწესების გარეშე (იხ. IV მსოფლიო კრების მე-6 კან.), ასევე მონოზვნების მიმართაც, ანუ არავის მონოზვნად აღკვეცა არ შეიძლება მისთვის მონასტრის განსაზღვრის გარეშე, სადაც იგი საძმოში იქნება მიღებული. არსებობდა აგრეთვე, ჯერ კიდევ **ბასილი დიდის** მიერ გამოცემული კანონი, რომლის მიხედვითაც, მონოზვნად აღკვეცის საიდუმლოს აუცილებლად უნდა დასწრებოდა ერთ-ერთი უხუცესი მონოზონი; მას უნდა მიეღო ახალაღკვეცილი მორჩილებაში, განესწავლა და განემტკიცებინა სამონოზვნო ცხოვრებაში. ბევრი უგულებელყოფდა ყველაფერ ამას, და არ გააჩნდათ რა სულ მცირე ჩინებაც კი მონოზვნური ცხოვრებისაკენ, მაინც იკვეცებოდნენ და იმოსებოდნენ სამონოზვნო შესამოსელით. თუმცა, სრულიადაც არა იმისთვის, რომ – კანონის გამოთქმით – „სიწმინდეში ემსახურათ ღვთის წინაშე“, არამედ, რათა საზოგადოებაში მოეხვეჭათ მონოზვნის სახელი და პატივი, რომ ადვილად მიეღოთ „საკუთარი კმაყოფილებით ტკბობა“. ისინი ცხოვრობდნენ მონასტერს გარეთ, კერძო სახლებში და მონოზ-

ვნურს არაფერს ასრულებდნენ. ასეთი უწესრიგობების თავიდან ასაცილებლად, კანონი განაწესებს — არავინ მიიღებოდეს სამონოზვნო წესში, ანუ არავინ ჰყონ აღკვეცის ღირსად იმ მონასტრის იღუმენის დაუსწრებლად, რომელ მონასტრის საძმოსაც ახალაღკვეცილი უნდა შეუერთდეს, ასევე, საგანგებო უხუცესი მონოზვნის გარეშე, რომელმაც უნდა მიიღოს ის თავისი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, ასწავლოს და განამტკიცოს ყველა მონოზვნური წესის ზუსტ აღსრულებაში. ეს უხუცესი მონოზონი „კორმჩაიაში“ წოდებულია „შუამავლად“, დიდი კურთხევანის 79-ე კანონში კი — „მიმრქმელად“, მსგავსად ნათლიისა, რომელიც ნათლობისას თავის თავზე იღებს ნათლულის აღზრდაზე ზრუნვას. წინამდებარე კანონი დაუმორჩილებლობისთვისაც აწესებს სასჯელს, კერძოდ: განკვეთა ემუქრება იმას, ვინც სამონოზვნო დასში მიიღებს ვინმეს დადგენილი წესების დაუცველად, და — სხვა მონასტერში მორჩილად გადაყვანა იმას, ვინც არაკანონიერად აღკვეცეს მონოზვნად.

კანონი 3

განვაჩინეთ შემდეგი დაუწყობლობის გამოსწორებაც, რომელიც დაშვებულ იქნა და, რაც უარესია, მიუხედაობითა და დაუდევრობით ვრცელდება კიდეც. თუ მონასტრის რომელიმე წინამძღვარი დიდი გულმოდგინებით არ დაიწყებს თავის მორჩილებაში მყოფი გაქცეული მონოზვნების მოძიებას, ანდა როცა იპოვნის, არ შეიწყნარებს და გულმოდგინედ არ იშრომებს დაცემულის აღდგინებისა და განმტკიცებესათვის ჯეროვანი და მისი სენისათვის შესაბამისი კურნებით, მაშინ წმინდა კრებამ განსაზღვრა ესეეითარის განყენება საიდუმლოთაგან. რამეთუ თუკი პირუტყვთა ზედამხედველად დადგინებულიც არ რჩება დაუსჯელი, როცა არ იგულმოდგინებს სამწყსოსათვის, მაშ, როგორღა არ ეწიოს დასჯას თავისი კადნიერებისათვის ის, ვისაც სამწყემსო მთავრობა მიეღია ქრისტეს სამწყსოზე და თავისი უდებობითა და მცონარებით ფლანგავს მათ ცხონებას? ხოლო თუ დაბრუნებად მოწოდებული მონოზონი არ დამორჩილდება, დაე, განყენებულ იქნეს ეპისკოპოსის მიერ.

(IV მსოფ. 4; ტრულ. 46; VII მსოფ. 21; კართ. 8; ორგ ს. 2, 4)

წინამდებარე კანონში მეორდება ტრულის 46-ე და VII მსოფლიო კრების 21-ე კანონების განწესებანი. ამ კანონით განეწესება სასჯელი აგრეთვე იმ იღუმენსაც, რომელიც არ ზრუნავს მონასტრიდან წასული მონოზვნების დასაბრუნებლად, კერძოდ, იგი ისჯება განყენებით. „პიდალიონში“, ისევე, როგორც „კანონთა წიგნში“, აღნიშნულია ამ კანონით განწესებული სასჯელი იმ მონოზვნისთვისაც, რომელმაც თავისი მონასტერი დატოვა და უკან დაბრუნება აღარ სურს. „ათენის სინტაგმაში“ არ არის ეს დამატება, მაგრამ სინტაგმაში (ისევე, როგორც კანონთა სხვა კრებულებში) ის შედის ამ კრების შემდეგ (მე-4) კანონში.

კანონი 4

მრავალგვარად ცდილობდა მზაკვარი შეეგინებინა მონოზვონობის ღირსად პატივდებული სახე და ამისთვის უდიდესი შეწევნა ჰპოვა უწინდელ დროში არსებულ მწვალებლობაში. რამეთუ მწვალებლობისაგან შეჭირვებული ბერ-მონოზვნები ტოვებდნენ თავიანთ სავანეებს, სახლდებოდნენ სხვა სავანეებში, ხოლო ზოგიერთნი ერისკაცთა საცხოვრებლებშიც. მაგრამ რასაც ისინი მაშინ კეთილმსახურებისათვის იქმოდნენ, და რაც ამიტომ ნეტარ-ყოფის ღირსად ხდიდა მათ, – ის, როცა განუსჯელ ჩვეულებად იქცევა, დაცინვის ღირსად წარმოაჩენს. რამეთუ ჯერ კიდევ ახლაც, როცა კეთილმსახურება უკვე ყოველგან განივრცო, და ეკლესიამ აირიდა საცთურნი, ზოგიერთები განეშორებიან თავიანთ მონასტრებს, და როგორც რაღაც შეუკავებელი ნაკადი, აქეთ-იქით რომ აწყდება და ნაპირს გადადის, მსგავსად იმისა, მრავალი უსახურობით აღავსებენ სავანეებს, შეაქეთ მათში დიდი უწესრიგობა, და არღვევენ და სპობენ მორჩილების კეთილმშვენიერებას. მათი არამდგრადი და ურჩი მისწრაფების აღსაკვეთად წმინდა კრებამ განაჩინა: თუკი რომელიმე მონოზონი გაიქცევა თავისი სავანიდან, გადავა სხვა მონასტერში ან ერისკაცთა საცხოვრებელში შესახლდება, – ესევითარი, ისევე, როგორც მისი შემფარებელი, დაე, განყენებულ იქნეს საეკლესიო ერთობისაგან, სანამ გაქცეული არ დაბრუნდება სავანეში, საიდანაც დანაშაულებრივად წამოსულა. თუმცა, თუკი ზოგიერთ ისეთ მონოზონთა ეპისკოპოსი, რომელთა კეთილმსახურებასა და პატიოსან ცხოვრებას მავანნი მოწმობენ, ისურვებს მათ გადაყვანას სხვა მონასტერში სავანის კეთილმოწყობისათვის, ანდა კეთილად განსჯის მათ გაგზავნას საერო სახლში იქ მცხოვრებთა ხსნისათვის, ანდა კეთილად ინებებს მათ დადგინებას სხვა რომელიმე ადგილას, – ამის გამო, ნუ იქნებიან ბრალეულნი ნურც ეს ბერ-მონოზვნები და ნურც მათი მიმღებნი.

(IV მსოფ. 4, 23; ტრულ. 23, 41; VII მსოფ. 13, 21; კართ. 80; ორგზ. 2, 3. 6)

სამონოზვნო ცხოვრებაში წარმოშობილი უწესრიგობის მიზეზი, რომელთა შესახებაც ამ კანონშია საუბარი, იგივეა, რომელმაც გამოიწვია VII მსოფლიო კრების მე-13 კანონის მიღება, კერძოდ, ეს არის – ხატმბრძოლობა. ზოგადად, წინამდებარე კანონი იმ საკითხზე საუბრობს, რაზედაც – ამავე კრების წინა კანონი, თანაც განყენებას უქვემდებარებს ყველა იმ მონოზონს, ვინც თავის მონასტერს დატოვებს და ზუსტად ასევე – ვინც მას თავისთან მიიღებს. ტრულის კრების 23-ე კანონის თანახმად კი ასეთი მონოზონი, თუ თავის მონასტერში დაბრუნებას არ მოინდომებს, იმ ეკლესიის ეკდიკის მხრიდან, რომელ ეკლესიასაც ის მიეკუთვნება, ქალაქიდან ძალით განდევნასა და მონასტერში დაბრუნებას ექვემდებარება.

ძალიან მნიშვნელოვანია ის განწესება, რომელსაც კანონის დასკვნითი ნაწილი შეიცავს. საერთოდ, კანონების თანახმად (იხ. პარალ. კანონები), მონოზონი სამუდამოდ უნდა დარჩეს თავის მონასტერში. აქედან გამონაკლისის შესახებ საუბარია წინამდებარე კანონის დასკვნაში, რომლის თანახმადაც, ეპისკოპოსს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მონოზონს მონასტრის გარეთ ცხოვრების უფლება მისცეს

და არასამონასტრო მსახურებაც დააკისროს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ IV მსოფლიო კრების მე-4 კანონის განმარტებაში. ბალსამონი, კონსტანტინოპოლის კრების ამ კანონის განმარტებისას, დაწვრილებით საუბრობს ეპისკოპოსის ამ უფლების შესახებ და დასკვნის სახით დასძენს, რომ ეპისკოპოსის ნებართვითა და მისი შეხედულებით მონოზონი შეიძლება ნებისმიერი სახის არამონასტრული მსახურებით იყვეს დაკავებული.*

კანონი 5

სამონოზვნო კეთილწესიერებას დიდ ზიანს აყენებენ ისინი, რომელნიც განსჯისა და გამოცდის გარეშე განეშორებიან ამა ქვეყანას. რამეთუ ზოგიერთნი დაუდევრად იტვირთავენ ხოლმე მონოზვონურ ცხოვრებას, და უგულებელყოფენ რა მოსაგრეობის სიმკაცრესა და შრომას, კვლავ უბადრუკად მიიქცევიან ხორცისათვის საამო და გემოთმოყვარე ცხოვრებისაკენ. ამის გამო, წმინდა კრებამ განაჩინა: არავინ გახადონ ღირსი მონოზვონური ხატის მიღებისა, ვიდრე გამოსაცდელად დაწესებული სამწლიანი ვადა არ გამოავლენს მათ ასეთი ცხოვრების შემძლედ და ღირსად, და კრებამ ბრძანა ამ წესის ყოველმხრივ დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოწევნული რაღაც მძიმე ავადმყოფობა აიძულებთ შეამოკლონ გამოცდის დრო, ანდა თუკი იქნება ვინმე კეთილმოშიში კაცი, რომელიც ერისკაცის შესამოსელშიც მონოზვუნურ ცხოვრებას ატარებს. რამეთუ ასეთი კაცის სრულყოფილი გამოცდისათვის ექვსთვიანი ვადაც საკმარისია. ხოლო თუკი ვინმე ამის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, მაშინ იღუმენს, წინამძღვრობის ჩამორთმევის შემდეგ, სხვათა მორჩილების მდგომარეობა ექმნას სასჯელად წესისაგან განდგომის გამო; ხოლო მონოზვონობაში შესული, დაე, სხვა მონასტერში გადავიდეს, რომელშიც მკაცრადაა დაცული საბერმონოზვნო წესდებულება.

(ტრულ. 40; კართ. 126; ბასილი დიდის 18; ორგზ. 2)

როგორც ამ კრების მე-2, ასევე ეს კანონიც მიმართულია სამონოზვნო წესში გაუფრთხილებელი და ნაჩქარევი არჩევანის წინააღმდეგ. ბევრი იწყებდა მონოზვნურ ცხოვრებას, მაგრამ შემდეგ ნანობდა და ერისკაცობას უბრუნდებოდა. ამით კი ერში დაბრკოლებას წარმოშობდა და მონოზვნობის მნიშვნელობას აკნინებდა. ამის თავიდან ასაცილებლად, წინამდებარე კანონი განაწესებს, რომ არავის მიეცეს მონოზვნის წოდება, სანამ მონასტერში სამწლიან გამოცდას არ გაივლის და საქმით არ დაამტკიცებს, რომ მისი გადწყვეტილება, – შეუდგეს მონოზვნურ ცხოვრებას, – ურყევია, და რომ იგი ღირსია ამ წოდებისა. გამონაკლისი დასაშვებია, თუ გამოსაცდელი პირი მძიმედ დაავადდა და მაშინ იღუმენს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ აღკვეცოს. ასევე, გამონაკლისი დასაშვებია, როდესაც ამის გადაწყვეტილებას იღებს ერში სამაგალითო ცხოვრებით გამორჩეული ღვთისმოსავი პი-

*ათენის სინტაგმა, II, 662.

რი; ასეთი პირის მიმართ კანონი უშვებს, რომ მისი გამოსაცდელი ვადა შეიძლება ექვს თვემდე იქნეს შემცირებული. იმ შემთხვევაში, თუ იღუმენი ამ კანონის განწესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაშინ კანონი მას ხარისხის ჩამორთმევასა და მონოზვნობის დაბალ რანგში ჩამოქვეითებას განუწესებს. ხოლო საკმარისი გამოცდის გარეშე აღკვეცილ პირს – სხვა მონასტერში გადაყვანას, სადაც მკაცრად იცავენ სამონოზვნო წესებს.

ამ კანონის განმარტებაში, ასევე სტატიაში „შემოსილთა შესახებ", ბალსამონი იხილავს საკითხს, თუ რა სამოსელი უნდა ეცვას მორჩილს. ამასთან, იგი შენიშნავს, რომ ზოგიერთი მორჩილი სამონოზვნო შესამოსელს იცვამდა, შემდეგ კი, როდესაც გადაიფიქრებდა მონოზვნად აღკვეცას, გაიხდიდა და ერში ბრუნდებოდა, ბუნებრივია, ერისკაცის ტანსაცმლით. ბალსამონი მათ საქციელს განიკითხავს როგორც უწესოს, რომელიც მხოლოდ მონოზვნის წოდების შერცხვენას ემსახურება და შენიშნავს, რომ მორჩილმა, თავისი მორჩილების პერიოდში, ერისკაცის სამოსელი უნდა ატაროს. თუკი მორჩილი, როგორღაც შეიმოსა მონოზვნის შესამოსელით და მონოზვნურად ცხოვრობს, მაშინ მას აღარ აქვს ერში დაბრუნების უფლება და ამიტომ თუ შემდგომში აღკვეცას აღარ მოისურვებს, იგი ძალდატანებით უნდა იქნეს აღკვეცილი. ბალსამონის ეს აზრი ეკლესიამ გაიზიარა და, სხვათა შორის, დიდი კურთხეევანის მე-80 კანონში ვკითხულობთ: „გამოსაცდელი პირი (რომელსაც მონოზვნად აღკვეცა სურს) საერო სამოსლით უნდა იყოს, და არა – სამონოზვნო".*

კანონი 6

ბერ-მონაზვნებს არაფერი ჰქონდეთ საკუთარი, არამედ მათი კუთვნილი ყველაფერი, დაე, მონასტრის კუთვნილებად იქნეს დამტკიცებული. რამეთუ ნეტარი ლუკა ასე ამბობს ქრისტეს მორწმუნეთა შესახებ, რომელნიც თავისი თავით მონოზვნური სცხოვრების სახეს წარმოადგენენ: „და *არცა ერთმან ვინ თქუს მონაგები მისი თჳსად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად*" (საქმე მოციქ. 4, 32). ამიტომ მონოზონობის მსურველთ თავისუფლება ენიჭებათ თავიანთი ქონება-მამულის წინდაწინვე ანდერძით დატოვებაში და მის გადაცემაში იმათთვის, ვისაც ისურვებენ, ანუ ვისთვისაც კანონი არ კრძალავს გადაცემას. რამეთუ მონასტერში შესვლის შემდეგ, მონასტერს ხელმწიფება აქვს მთელს მათ ქონებაზე, და მათ არა აქვთ უფლება რაიმე საკუთრებას განკარგავდნენ, ან ანდერძით გადასცემდნენ. ხოლო თუ ვინმე აღმოჩნდება რაიმე მოსახვეჭელის მიმთვისებელი, ისე, რომ არ გადაუცია იგი მონასტრისათვის და დამონებია მომხვეჭელობის ვნებას, – ესევითარს იღუმენმა ან ეპისკოპოსმა, დაე, ჩამოართვას ის მონახვეჭი, მრავალთა თანდასწრებით გაყიდოს და ღარიბ-გლახაკთ და შეჭირვებულთ დაურიგოს. ხოლო ვინც, ძველი დროის მავანი ანანიას მსგავსად, გულში ჩაიდებს დამალოს თავისი მონაგები, კრებამ განაჩინა მისი შეგონება

*ა. პავლოვის დასახ. თხზ., გვ. 92.

შესაფერისი ეპიტიმიით. ხოლო ცხადია, რომ წმინდა კრების მიერ ბერებისათვის დადგენილი კანონები სამართლიანად იქნა აღიარებული მონოზონი დედებისთვისაც.

(მოც. 40; IV მსოფ. 22; ტრულ. 35; VII მსოფ. 19; ანტიოქ. 19; კართ. 22, 26, 81; ორგზ. 4)

ერთ-ერთი აღთქმა, რომელსაც მონოზონი აღკვეცისას დებს, არის – უპოვარება. **ბასილი დიდი,** მონოზვნების შესახებ თავის კანონებში, განაწესებს, სხვათა შორის, რომ მონოზვნებს საკუთარი არაფერი ჰქონდეთ, და თავის ამ განწესებას აფუძნებს წმინდა წერილზე (იხ. საქმ. 4, 32).* წინამდებარე კანონი იმეორებს ბასილი დიდის ამ განწესებას და, ამასთან, დაწვრილებით ანვითარებს მას. კერძოდ, ეს კანონი ადგენს, რომ პირს, რომელიც მონოზვნად აღკვეცას აპირებს, სრული უფლება აქვს წინასწარ განკარგოს საკუთარი ქონება თავისი შეხედულებისამებრ და გადასცეს იმათ, ვისაც სურს, თუ კი მხოლოდ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ, კანონის შესაბამისად, მისი მიღება (იხ. კართ. 22, 81). თუ მან აღკვეცამდე არ განკარგა თავისი ქონება, მაშინ აღკვეცის შემდეგ ის კარგავს ქონების უცხოებზე გადაცემის უფლებას; ეს ქონება გადადის მონასტრის საკუთრებაში. იმ შემთხვევაში, თუ მონოზონი მოინდომებს თავისი ქონების ან მისი ნაწილის თავის საკუთრებაში დატოვებას, მაშინ იღუმენმა ან ეპისკოპოსმა უნდა ჩამოართვას ეს ქონება, საჯაროდ გაყიდოს და აღებული თანხა გლახაკებს დაურიგოს. ხოლო თუ მონოზონი ამ ქონებიდან მაინც გადამალავს რაიმეს თავისთვის, მაშინ იგი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს; ეს სასჯელი კი, ბასილი დიდის მე-13 კანონის თანახმად, რომელიც მონოზვნების ეპიტიმიის შესახებ განწესებას შეიცავს, არის – ეკლესიის ერთობიდან განყენება.

წინამდებარე კანონის დასკვნითი ნაწილი შეიცავს შენიშვნას, რომ ყველაფერ იმას, რასაც ეს კრება ადგენს და განაწესებს მამაკაცი-მონოზვნებისათვის (2-6), იგივე ძალა და მნიშვნელობა აქვს დედაკაცი-მონოზვნებისთვისაც.

წინამდებარე კანონი (მე-6), როგორც ჩანს, საუბრობს ზოგადად იმ პირზე, რომელსაც ერში რაიმე ქონება აქვს და მონოზვნად აღკვეცას აპირებს, მაგრამ ეს არ ეხება იმ შემთხვევებს: 1) როდესაც ასეთ პირს ჰყავს შვილები და მშობლები და 2) როდესაც იგი მემკვიდრეობით რაიმე ქონებას მიიღებს მონოზვნობის წოდების მიღების შემდეგ. პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით, მოქმედებდა სამოქალაქო სამართლის კანონები, რომლებსაც წინამდებარე კანონი იღებს და აღიარებს; მეორესთან დაკავშირებით კი შემდგომში გამოიცა შესაბამისი საგანგებო განკარგულება.

იმ პირთან მიმართებით, რომელსაც მონოზვნობა სურს და, ამასთანავე, ცოცხალი ჰყავს ცოლ-შვილი, იუსტინიანეს CXXIII ნოველა განაწესებს, რომ მისი ქონება უნდა განაწილდეს, კანონის თანახმად, შვილებს შორის, და მხოლოდ ნაწილი, ამ გაყოფის შემდეგ, უნდა გადავიდეს მონასტრის საკუთრებაში. იგივე ხდება მშობლების შემთხვევაშიც.** რაც შეეხება მეორე შემთხვევას, – ანუ როგორ უნდა განკარგონ

*მცირე კანონები. კანონი (კითხვა) 85-ე.

**ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, II, 670.

ქონება, რომელსაც მონოზონი მემკვიდრეობით მიიღებს, ან სხვა რომელიმე კანონიერი გზით, — ამასთან დაკავშირებით იმპერატორმა ლეონ ბრძენმა (886-911) გამოსცა სპეციალური ნოველა, რომლის თანახმადაც მონოზენებს, რომლებიც რაიმეს მიიღებენ მონოზვნად აღკვეცის შემდეგ, შეუძლიათ განკარგონ ის თავისი სურვილისამებრ, თუკი მონასტერს უკვე შესწირეს როდესაც იქ მივიდნენ. ხოლო თუ არაფერი მიუტანიათ, მაშინ იმის ერთი მესამედი, რაც შემდეგ მიიღეს, მონასტრის საკუთრებაში უნდა გადასცენ, დანარჩენი კი შეუძლიათ თავისი შეხედულებისამებრ განკარგონ. მიქაელ ატალიატმა, XI საუკუნის მეორე ნახევარში ეს ნოველა თავის „სამართლიან საქმეში" შეიტანა, როგორც ყველასათვის სავალდებულო, — იმპერატორ მიქაელ XII დუკის ბრძანებით. ზუსტად ასევე მოჰყავს ეს ნოველა ბალსამონსაც, ამ კანონის განმარტებაში.*

კანონი 7

ვხედავთ, რომ ბევრი საეპისკოპოსო დაკნინებულია და სრული გაუკაცრიელების საშიშროების წინაშე დგას იმის გამო, რომ მათი წინამძღვრები თავიანთ მონასტრებზე ზრუნვისა და გულმოდგინების ნაცვლად, მთელ ძალისხმევას ახალი მონასტრების დაფუძნებისკენ მიაქცევენ, და გამოლევენ რა საეპისკოპოსოების სახსრებს და სხვადასხვა ხრიკებით მიითვისებენ შემოსავლებს, ცდილობენ მონასტრები შეიმატონ. ამის გამო წმინდა კრებამ განაჩინა: დაე, ეპისკოპოსთაგან ნურავის მიეცემა უფლება დააფუძნოს თავისთვის განსაკუთრებული მონასტერი თავისი საეპისკოპოსოს საზიანოდ და გასატიალებლად. ხოლო თუ ვინმე აღმოჩნდება კადნიერად ამის ჩამდენი, ესევითარი, დაე, შესაფერის ეპიტიმიას დაექვემდებაროს, მისი ახალი ნაგებობა კი, რომელსაც მართებული დასაბამიც კი არ ჰქონია, მიეკუთვნოს საეპისკოპოსოს, როგორც მისი საკუთრება. რამეთუ კანონისა და წესრიგის საწინააღმდეგოდ შემოპარულს არაფერს ძალუძს მიიტაცოს იმ საქმეთა უპირატესობა, რომლებიც წესებისა და კანონების თანახმად აღესრულება.

(მოც. 38; IV მსოფ. 26; VII მსოფ. 1. 12; ანკირ. 15; ღანგ. 7; ანტიოქ. 24. 25; კართ. 26, 33; თეოფილე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 2)

ბევრი კანონი განუწესებს ეპისკოპოსს, რომ მან ხელშეუხებლად შეინახოს იმ ეკლესიის ქონება, რომლის მმართველადაც დადგინებულია (იხ. მოციქულთა 38-ე და სხვა პარალ. კანონები). წინამდებარე კანონში საგანგებოდ არის საუბარი საეპისკოპოსოს შესახებ, ანუ კათედრალურ საეპისკოპოსო ეკლესიაზე და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელ სახლზე. საეპისკოპოსოს ქონებაზე, რომლის შემოსავლითაც ხდებოდა ეკლესიის, ეპისკოპოსისა და მისი რეზიდენციის შენახვა. ზოგიერთი ეპისკოპოსი ამ შემოსავალს არ ახმარდა საეპისკოპოსოს საჭიროებას, არამედ იშენებდნენ სახლებს საკუთარი საჭიროებისათვის, და ამ სახლებს მონასტრის

*ამჟამად ეს საკითხი ცალკეულ სახელმწიფოებში დარეგულირებულია სპეციალური კანონებით.

სახელს არქმევდნენ. ამის წინააღმდეგ გამოდის წარმოდგენილი კანონი და განაწესებს, რომ ეპისკოპოსი, რომელიც საეპისკოპოსოს საზარალოდ ააგებს მონასტერს, შესაბამის სასჯელს უნდა დაექვემდებაროს. თვით ასეთი მონასტრები კი, როგორც არაკანონიკური გზით ნაგები, მონასტრებად არც უნდა ჩაითვალოს – ისინი უნდა მიეწეროს საეპისკოპოსოს, როგორც მისი საკუთრება.

კანონი 8

წმიდა მოციქულთა საღმრთო და წმინდა კანონი თვითმკვლელებად აღიარებს საკუთარ თავთა დამსაჭურისებლებს, და თუკი ასეთნი მღვდელმსახურნი არიან, წოდებიდან განკვეთს მათ, ხოლო თუ არ არიან, უკრძალავს სამღვდელო ხარისხში აღსვლას. აქედან ცხადია, რომ თუკი საკუთარი თავის დამსაჭურისებელი თვითმკვლელია, მაშინ სხვისი დამსაჭურისებელი, უეჭველად, არის ნამდვილი მკვლელი. შეიძლება სამართლიანად ითქვას, რომ ესევითარი თვით ღმერთის ქმნილებას შეურაცხყოფს. ამის გამო წმინდა კრებამ განაჩინა: თუ რომელიმე ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მხილებული იქნება იმაში, რომ ვინმე დაასაჭურისა – ან საკუთარი ხელით, ანდა ბრძანების გაცემით, ესევითარი, დაე, განიკვეთოს თავისი წოდებიდან; ხოლო თუ ასეთი ერისკაცი იქნება, განკანონდეს საეკლესიო ერთობისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოწევნული სნეულება აიძულებს სნეულის დასაჭურისებას. რამეთუ როგორადაც ნიკეის კრების პირველი კანონი არ სჯის სნეულების მიზეზით სხეულის წევრთა მომკვეთთ სწორედ მათი სნეულების გამო, ასევე არც ჩვენც განვიკითხავთ არც მღვდელმსახურებს, სნეულთა დასაჭურისებას რომ ბრძანებენ, და არც ერისკაცთ ვდებთ ბრალს, საკუთარი ხელით რომ ისაჭურისებენ თავისთავს მსგავს შემთხვევაში, რადგან ამას სნეულების განკურნებად ვაღიარებთ, და არა ბოროტგანზრახულ ქმედებად ქმნილების წინააღმდეგ და არც დაძრახვად შემოქმედებითი საქმისა.

(მოც. 22, 23, 24; I მსოფ. 1)

იხ. პარალ. კანონების განმარტებები.

კანონი 9

სამოციქულო და საღმრთო კანონი წოდებიდან განკვეთას უქვემდებარებს იმ მღვდელმსახურებს, რომლებიც კადნიერდებიან გვემონ შემცოდე მორწმუნენი, ანდა ურწმუნონი, რომელთაც წყენა მიაყენეს ვინმეს. საკუთარი მრისხანების მზაკვრულად მაამებელნი ამახინჯებენ სამოციქულო განწესებას, იგებენ რა მას როგორც ნათქვამად მხოლოდ საკუთარი ხელით მგვემელებზე, თუმცა აღნიშნული კანონი არაფერს მსგავს არ გულისხმობს და სწორი აზრი ამგვარ აღქმას არ დაუშვებს. რამეთუ ჭეშმარიტების თანახმად, უგუნური მსჯელობა და მეტად მცდარი შეხედულება იქნებოდა

ის, რომ საკუთარი ხელით ვინმეს სამი თუ ოთხი დარტყმა მიეყენებინა ვინმესთვის და ამის გამო განკვეთით დაესაჯათ, ხოლო, იმავდროულად, ვინც ბრძანების მეშვეობით მიანიჭებს მავანს თავისუფლებას სასტიკად და თვით სიკვდილამდეც კი გვემოს ვინმე, დაუსჯელი დარჩენილიყო. ამრიგად, რადგან ამ კანონით განსაზღვრულია სასჯელი საერთოდ გვემისათვის (ფიზიკური დასჯისათვის), ამიტომ ჩვენც ამის თანახმიერად განვაჩინებთ; მართებულია ღმერთის მღვდელმსახურმა დამოძღვრითა და შეგონებებით მოიყვანოს გონს უზნეო კაცი, ზოგჯერ საეკლესიო ეპიტიმიებითაც, და არა როზგითა და ცემით მივარდეს ადამიანთა სხეულებს. ხოლო თუკი ზოგიერთნი სრულიად დაუმორჩილებელნი იქნებიან და ვერ შეგონდებიან ეპიტიმიების მეშვეობით, ესევითართა შეგონებას ადგილობრივ სამოქალაქო მთავართა სამსჯავროზე გადაცემით არავინ კრძლავს. რამეთუ ანტიოქიის კრების მეხუთე კანონით დადგენილია, რომ ეკლესიაში შფოთისა და ჯანყის შემომტანნი წესრიგისაკენ იქნენ მოწოდებულნი გარეგანი, სამოქალაქო ხელმწიფეებით.

(მოც. 27; ანტიოქ. 5)

მოციქულთა 27-ე კანონის განმარტებაში ჩვენ ვიხილეთ, რომ ახალი აღთქმის წმინდა წერილის თანახმად, არ შეიძლება მღვდელმსახურმა ვინმეს სცემოს. წიგნში „სამრეველო მღვდლების მოვალეობათა შესახებ“, მოყვანილია (§ 60) იოანე ოქროპირის სიტყვები ტიტეს მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეს განმარტებიდან: „მოძღვარი სულის მკურნალია; მკურნალი კი არ სცემს, არამედ სნეულსა და მოწყლულს ექიმობს და კურნავს“. როგორც წინამდებარე კანონიდან ირკვევა, ზოგიერთი ცდილობდა სხვაგვარად გაეგო მოციქულთა 27-ე კანონის განწესება, და ირწმუნებოდა, რომ ის გამოცემულია იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც საკუთარი ხელით სცემს სხვას, ხოლო რაც შეეხება უბრძანო სხვას ვინმეს გალახვა, ამაზე კანონში არაფერია ნათქვამი და, ამდენად, არც აკრძალული არისო. ამ გზით ასეთი მღვდელმსახურები ცდილობდნენ გაქცეოდნენ სასჯელს, რომელსაც მოციქულთა მოხსენიებული კანონი განაწესებს და, იმავდროულად, საკუთარი მრისხანებისთვისაც გამოსავალი მიეცათ და ცემისადმი მიდრეკილებაც დაეკმაყოფილებინათ. სწორედ ასეთი მღვდელმსახურების საწინააღმდეგოდ არის მიღებული წინამდებარე კანონი, რომელიც მოციქულთა კანონის ჭეშმარიტ აზრს განმარტავს და განკვეთის მუქარით უკრძალავს მღვდელმსახურებს ვინმეს ცემას საკუთარი ხელით იქნება ეს თუ სხვა პირების მეშვეობით. შემდეგ, კანონი მიუთითებს, როგორ უნდა მოექცნენ დაუმორჩილებელს; თუ ზნეობრივი ზომები და სულიერი სახის სასჯელები ვერაფერ შედეგს გამოიღებენ, მაშინ ეს ურჩი პირი სასჯელისთვის სამოქალაქო ხელისუფებას უნდა გადაეცეს, მღვდელმა კი არც თვითონ სცემოს, არც სხვას გაალახვინოს.

წინამდებარე კანონი კიცხავს საეკლესიო სასამართლოების ისეთ პრაქტიკას, როდესაც განსაკუთრებული სახის დამნაშავეების მიმართ გამოიყენებოდა (უმეტესწილად შუასაუკუნეებში) ფიზიკური სასჯელი, რაც კანონის სიტყვებიდან ჩანს: „ვინც ბრძანების მეშვეობით ცემის უფლება მისცა“, ანუ იმათ, ვინც ბრძანებას

გასცემდა, რომ გარკვეული დამნაშავენი ფიზიკურად დაესაჯათ. რომის სამართალში არსებობდა ფიზიკური სასჯელი, შემდგომში კი – ბიზანტიურშიც. ამ სამართალიდან ფიზიკური სასჯელი საეკლესიო მსაჯულთა პრაქტიკაშიც გადავიდა – ჯერ დასავლურ, მერე კი აღმოსავლურ ეკლესიაში. ეს განსაკუთრებით მაშინ მოხდა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სასულიერო სასამართლოებს გადაეცათ სხვადასხვა საქმეების დამოუკიდებლად წარმოების უფლება. საეკლესიო სასამართლოებში ეს შემოიღეს ხელისუფლების ბოროტადგამოყენების შედეგად, თანაც დამნაშავეთა ასეთი დასჯა ზოგჯერ საშინელი წამების სახეს იღებდა. ეს, ჩვეულებრივ, მონასტრებში ხდებოდა, სადაც დამნაშავეებს ეპიტიმიებისთვის აგზავნიდნენ; იქ კი მათ როზგებითა და მათრახებით სცემდნენ და თან ისე ძლიერად, რომ დასჯილი ხშირად ცემისგან კვდებოდა; ამასთან, გამონაკლისი არ კეთდებოდა ავადმყოფებისა და მოხუცებულთა შემთხვევებშიც კი. მაგრამ ეს რომ დიდი ბოროტადგამოყენება იყო და ფიზიკური სასჯელი რომ საძულველია როგორც საღმრთო, ისე საეკლესიო სამართლისთვისაც, – ამის შესახებ საუბრობს წინამდებარე კანონი და კიდევ უფრო უკეთ და ნათლად – მოციქულთა 27-ე კანონი.

კანონი 10

თავიანთ ვნებებს აშკარად მიცემულნი არამცთუ არ ძრწუნდებიან წმიდა კანონებით განსაზღვრული სასჯელების წინაშე, არამედ კადნიერდებიან აბუჩად აიგდონ კიდეც ისინი. რამეთუ გარდააქცევენ მათ და თავიანთი ვნებიანი ნების დასაკმაყოფილებლად ამახინჯებენ მათ მნიშვნელობას, რათა ვნებისმიერი ცთუნების სიჭარბით, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველს აქვს ნათქვამი, ბოროტება მოჩანდეს მათთან არამცთუ გასაკიცხ რამედ, არამედ – ღვთაებრივადაც კი. სამოციქულო კანონი გვიღაღადებს: ნაკურთხ ოქროს ან ვერცხლის ჭურჭელს, ანდა კრეტსაბმელს, დაე, ნურავინ აიღებს საკუთარი სარგებელისათვის, რამეთუ ეს ურჯულოებაა. ხოლო თუ ვინმე შემჩნეული იქნება ამაში, ესევითარი, დაე, განყენებით დაისაჯოს. გადმოსცემენ რა ამ კანონს თავიანთი ურჯულოებების გასამართლებლად, ისინი ამბობენ, რომ არ უნდა განისაჯონ ეკლესიიდან განკვეთის ღირსად არც ისინი, რომელნიც საყდრის წმინდა შესამოსელს საკუთარ პერანგად გადააქცევენ, ანდა რაღაც სხვა სამოსად, და არც თვით ისინიც კი, რომელნი წმიდა ბარძიმს, – ჰოი, უკეთურებავ! – ანდა საღმრთო ფეშხუმსა თუ ამის მსგავსს (საეკლესიო ჭურჭელს) საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ, ანდა შებილწავენ. რამეთუ, – ამბობენ ისინი, – კანონი სამართლიანად მიიჩნევს ამ დანაშაულში შთავარდნილთა განყენებას, და არა განკვეთასო. მაგრამ ვის შეუძლია აიტანოს ესოდენ დიდი მკრეხელობა და უკეთურება? რამეთუ კანონი განყენებას უქვემდებარებს ნაკურთხის მხოლოდ მოხმარებისათვის წამღებთ, და არა სრულიად მიმტაცებელთ; ისინი კი წმიდათა წმიდის მიმტაცებელთაც და სიწმიდეთმკრეხელთაც ათავისუფლებენ განკვეთისაგან, აგრეთვე ღირსადპატივსადები ფეშხუმებისა თუ წმინდა ბარძიმების გამომყენებელთ ჩვეულებრივი საზრდოსათვის აღიარებენ განკვეთას დაუ-

ქვემდებარებლებად, მაშინ, როდესაც ეს აშკარა შებილწვაა სიწმინდეებისა, და ცხადია, რომ ამის ჩამდენნი არამხოლოდ განკვეთას იმსახურებენ, არამედ დადანაშაულებასაც უკიდურეს უკეთურებაში. ამის გამო წმინდა კრებამ განაჩინა: ისინი, რომელნიც საკუთარი ანგარებისთვის მიიტაცებენ ანდა გამოსაყენებლად მიაქცევენ წმინდა ბარძიმს, ფეშხუმს, კოვზს, საყდრის ტრაპეზის ღირსად პატივდებულ შესამოსელს, ან პერექელს, ანთუ საკურთხეველში არსებულ სხვა სამღვდელო და წმიდა ჭურჭელსა და შესამოსელს, რაც არ უნდა იყოს ეს, დაე, სრულ განკვეთას დაექვემდებარონ თავიანთი წოდებიდან. რამეთუ ამათგან ერთი არის სიწმინდის შებილწვა, მეორე კი — მკრეხელობა. ხოლო ვინც თავისთვის ან სხვებისთვის იღებს საეკლესიო ჭურჭელსა თუ შესამოსელს არა სამღვდელმსახურო გამოყენებისათვის, არამედ საკურთხეველის გარეთ მოხმარებისათვის, იმათ კანონიც განაყენებს და ჩვენც ყველანი ერთად განვაყენებთ; მათ სრულიად მიმტაცებლებს კი ჩვენ მკრეხელთა სასჯელს ვუქვემდებარებთ.

(მოც. 25, 38, 72, 73; ანტიოქ. 25; გრიგოლ ღვთისმეტყველის 8; კირილე ალექსანდრიელის 2)

მოციქულთა 73-ე კანონის თანახმად, რომლის შინაარსიც წინამდებარე კანონში მეორდება, განკანონებას ექვემდებარება ყოველი, ვისაც ეკლესიიდან სახლში, შინაური მოხმარებისათვის მიაქვს რაიმე წმინდა ნივთი. მოციქულთა ამ კანონს ზოგიერთები თავისებურად განმარტავდნენ, რადგან მიეჩვივნენ პირადი ან არასაეკლესიო მიზნებისთვის გამოეყენებინათ საეკლესიო ჭურჭელი, და ამაში, — გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-8 კანონის სიტყვებით, — იქამდე გაუკულმართდნენ, რომ ბოროტება სიკეთედ მიაჩნდათ. ეყრდნობდნენ რა მოციქულთა დასახელებულ კანონს, ისინი ამართლებდნენ ასეთ პირებს, და ამბობდნენ, რომ ისინი ექვემდებარებიან არა განკვეთას, არამედ განყენებას და მათ შორის ისინიც კი, რომლებიც წმინდა ტრაპეზის საფარველისგან თავისთვის კაბას იკერავენ, წმინდა ბარძიმს შინაური გამოყენებისათვის ხმარობენ და, საერთოდ, ითვისებენ ეკლესიის ნივთებს და ამ დროს სრულიადაც არ ფიქრობენ, წმინდა არის თუ არა ეს ნივთები, ემსახურებიან ეკლესის მორთვას თუ მის შინაარსს. სწორედ ასეთების წინააღმდეგ, — რომლებიც აუკულმართებენ მოციქულთა მოხსენიებული კანონის აზრს, — გამოდის წინამდებარე კანონი. ის ერთმანეთისგან ასხვავებს სახლში გამოყენებას ზოგიერთი საეკლესიო ნივთისა და ამ ნივთების მითვისებას. ამ უკანასკნელს უწოდებს ქურდობას, მიტაცებას, ეკლესიის გაძარცვას და, განმარტავს და ავსებს რა მოციქულთა მოხსენიებული კანონის აზრს, უქვემდებარებს სრულ განკვეთას ყველა იმ პირს, ვინც იმდენად გაკადნიერდება, რომ აიღებს და მიითვისებს ეკლესიის რაც არ უნდა იყოს ნივთს და, შესაბამისად, შებილწავს მას, რამეთუ ასეთები მიეკუთვნებიან მკრეხელებს; განყენებას კი კანონი იმ პირებს უქვემდებარებს, რომლებიც საკურთხეველს გარეთ მყოფ ეკლესიის მოსართავ ან ეკლესიის სხვა საჭიროებისათვის გამოსაყენებელი ნივთებით სარგებლობენ, თუმცა არ ითვისებენ არასაეკლესიო, არაწმინდა მიზნებისათვის; იმათ, შესაბამისად, ვინც არ შეიძლება იწოდოს „მკრეხელად“ — ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით.

კანონი 11

მღვდლებს ან დიაკვნებს, რომელნიც საერო მთავრობის თანამდებობებს ან მზრუნველობებს კისრულობენ, ანდა მმართველ-ერისკაცთა სახლებში იღებენ მოურავთა წოდებას, საღმრთო და წმინდა კანონები განკვეთას უქვემდებარებენ. იგივეს ვადასტურებთ ჩვენც სამღვდელო დასის სხვა წევრთათვისაც და განვაწესებთ: თუ რომელიმე მათგანი საერო მმართველობის თანამდებობაში შევა, ან მმართველი პირების სახლებსა თუ ქალაქის გარე სანახებში მიიღებს მმართველის წოდებას, ესევითარი, დაე, განგდებულ იქნეს თავისი სამღვდელო დასიდან. რამეთუ თავად ქრისტეს, ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთის ნათქვამისა და უტყუარი სიტყვის თანახმად, *„ვერვის ჰელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“* (მათე, 6, 24).

(მოც. 6, 20, 81, 83; IV მსოფ. 3, 7; VII მსოფ. 10; კართ. 16)

იხ. მოციქულთა 81-ე, IV მსოფლიო კრების მე-3 და სხვა პარალელური კანონები. წინამდებარე კანონში მხოლოდ დამატება კეთდება, რომლის თანახმადაც, დაბალი საფეხურის კლირიკოსებსაც არ შეუძლიათ საერო საქმეებით დაკავდნენ; შესაბამისად — არავის, ვინც შეტანილია სამღვდელო-საეკლესიო მსახურების დავთარში.

კანონი 12

წმინდა მეექვსე მსოფლიო კრება სამღვდელო დასიდან განგდებას უქვემდებარებს იმათ, რომელნიც ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე აღასრულებენ საღმრთო ლიტურგიას ანდა ნათლობებს კარის ეკლესიებში. ჩვენც ამის თანახმიერად განვაჩინებთ. რამეთუ მაშინ, როდესაც წმიდა ეკლესია სამართლიანად წარმართავს ჭეშმარიტების სიტყვას, ქადაგებს მას და იცავს, პატიოსანი ცხოვრება უპყრია და მას ასწავლის, უჯერო საქმე და დანაშაულებრივიც იქნებოდა, თუკი ნებას მივცემდით უმღვდელმთავროდ და სასჯელის გარეშე მცხოვრებთ სახლებში შეყუჟულიყვნენ და დაერღვიათ ეკლესიის კეთილწესიერება, და ექმნათ ეს მრავალი შფოთისა და ცთუნების შემოტანით. ამისთვის აწინდელმა წმინდა და ღმრთივშეწევნულმა კრებამ, წმინდა მსოფლიო მეექვსე კრების თანახმიერად, განაჩინა: დაე, დანიშნულ იქნან სახლებში მოწყობილ სამლოცველოებში ლიტურგიის აღმასრულებელნი, ხოლო ცხადია, რომ ეს დანიშვნა მათ იმ ადგილის ეპისკოპოსის მიერ ეძლევათ, და თუკი მათ გარდა ვინმე სხვა, ეპისკოპოსის ნებადაურთველად, შეიჭრება სახლებში და გაკადნიერდება შეუდგეს ლიტურგიის აღსრულებას, ესევითარი, დაე, განკვეთილ იქნეს, ხოლო მასთან თანაზიარებაში მყოფნი — განყენებულნი.

(მოც. 31; IV მსოფ. 18, 31; ტრულ. 31, 34, 59; VII მსოფ. 7, 10; ლანგ. 6; ანტიოქ. 5; ლაოდ. 58)

წინამდებარე კანონში მეორდება ტრულის კრების 31-ე კანონის განწესება, რომლის თანახმადაც, მღვდლებს არა აქვთ უფლება ადგილობრივი ეპარქიალური

ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე აღასრულონ წირვა ან ნათლისღების საიდუმლო კარის ეკლესიებში. ურჩობის შემთხვევაში ბრალდებული განკვეთას ექვემდებარება. წინამდებარე კანონიკური განწესება ახსნილი იყო ზემოთ მოხსენიებული ტრულის კრების კანონის განმარტებაში. მის განწესებას ეს (მე-12) კანონი ავსებს იმის დადგენილებით, რომ მმართველმა ეპისკოპოსმა საგანგებოდ უნდა დააწესოს მღვდლები კარის ეკლესიებში სხვადასხვა მსახურების ჩასატარებლად, და ამ დაწესებისათვის უნდა არსებობდეს ეპისკოპოსის წერილობითი ნებართვა. ამჟამად კარის ეკლესიები არსებობენ საავადმყოფოებთან, ციხეებთან, სასწავლებლებთან და საქველმოქმედო დაწესებულებებთან, სადაც მსახურობენ საგანგებოდ ამისთვის დაწესებული მღვდლები.

კანონი 13

ყოვლადმზაკვარმა, დათესა რა ქრისტეს ეკლესიაში მწვალებლობის ღვარძლი და იხილა რა, რომ ისინი სულიერი მახვილით ძირფესვიანად აღმოიფხვრებიან, გადაწყვიტა თავის მანქანებათა სხვა გზას დასდგომოდა, და აწ ცდილობს განხეთქილების შემომღებთა უგნურებით დაფლითოს ქრისტეს სხეული; მაგრამ მისი ამ თავდასხმის გასაუნებელყოფადაც წმინდა კრება აწ განაჩინებს: თუ რომელიმე მღვდელი ან დიაკონი ზოგიერთი ბრალდებით ეჭვს მიიტანს და დაადანაშაულებს თავის ეპისკოპოსს და საკრებო გამოძიებისა და განხილვის უწინარეს, – მის სრულ გასამართლებამდე, – გაკადნიერდება განეშოროს მასთან თანაზიარებას და აღარ მოიხსენიებს, მის სახელს ლოცვებში ლიტურგიებზე, როგორც ამას საეკლესიო გადმოცემა ავალდებულებს, – ესევითარი განკვეთას დაექვემდებაროს და მოაკლდეს ყოველგვარ სამღვდელო პატივს. რამეთუ მღვდლის წოდებაში დადგინებული და მიტროპოლიტებისათვის მინიჭებული მსჯავრის მიმტაცებელი, რომელიც კადნიერდება საეკლესიო სამსჯავროს აღსრულებამდე თვითონვე განსაჯოს და განიკითხოს თავისი მამა და ეპისკოპოსი, არ არის ღირსი მღვდლის არც პატივისა და არც სახელწოდებისა. ესევითარს შედგომილნი კი, თუკი მავანნი სამღვდელო წოდებიდან არიან, ასევე მოაკლდნენ თავიანთ პატივს, ხოლო თუკი მავანნი მონოზვნები ან ერისკაცები არიან, დაე, სრულიად განკანონდნენ ეკლესიიდან, ვიდრე არ უარყოფენ თანაზიარებას განხეთქილებაში მყოფებთან და დაუბრუნდებიან თავიანთ ეპისკოპოსს.

(მოც. 31; II მსოფ. 6; III მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ღანგ. 6; სარდ. 14; ანტიოქ. 5; კართ. 10, 11; ორგზ. 14, 15)

განწესებას, თავისი ეპისკოპოსისადმი საეკლესიო დასის სავალდებულო მორჩილების შესახებ, მრავალი კანონი შეიცავს – დაწყებული მოციქულთა და ამ, IX საუკუნის კრებამდე (იხ. პარალ. კანონები). ძველ დროში ადგილი ჰქონდა ცალკეული მღვდლების არასამართლიან ბრალდებებს თავიანთი ეპისკოპოსის წინააღმდეგ: თითქოს მისი საქმიანობა მიმართული იყო კეთილმსახურებისა და სიმართლის საწინააღმდეგოდ; ამ საბაბით გამოეყოფდნენ ხოლმე მას და განხეთქილებას წარ-

მოშობდნენ. ამის გამო, როგორც ეს მღვდლები, ისე მათი ხელშემწყობნი მკაცრად ისჯებობდნენ (იხ. მოც. 31-ე კან.). როდესაც მსგავს დაუდგრომელ მღვდლებს არ გამოსდიოდათ თავისი ეპისკოპოსის მწვალებლობის დამტკიცება, ამის საფუძველზე კი მისაგნ გამოყოფა და დამორჩილებაზე უარის თქმა, მაშინ ისინი ეძებდნენ მიზეზს ბრალი დაედოთ სხვა რამე დანაშაულში, მაგრამ გამოძიებასა და დამტკიცებას არ ელოდებოდნენ, თვითნებურად წყვეტდნენ მასთან საეკლესიო ერთობას, აღარ იხსენიებდნენ ღვთისმსახურებისას, და ამგვარად ქმნიდნენ განხეთქილებას. ასეთი დაუდგრომელი მღვდლების წინააღმდეგ არის მიღებული წინამდებარე მე-13 კანონი; ის განაწესებს, რომ განიკვეთონ და ყოველგვარ სამღვდელმსახურო პატივს უნდა მოაკლდნენ ის მღვდლები და დიაკვნები, რომლებიც გაბედავენ დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ თავიანთ ეპისკოპოსს მანამდე, ვიდრე მისი დანაშაული განხილული და დამტკიცებული არ იქნება, ვიდრე სათანადო საეკლესიო სასამართლო არ გამოიტანს თავის საბოლოო განაჩენს. რამეთუ, — ამბობს კანონი, — არ არის პატივის ღირსი, არც მღვდლის სახელისა ის, ვინც ხმამაღლა და სასამართლო განხილვის გარეშე ბრალს სდებს თავის ეპისკოპოსსა და მამას, და ამით ითვისებს მიტროპოლიტის ხელმწიფებას, რომელიც გამორჩეულად არის მოწოდებული განსაჯოს ეპისკოპოსების დანაშაულობანი. ასეთ სასჯელს განუწესებს წინამდებარე კანონი ყველა სხვა კლირიკოსსაც, რომლებიც განხეთქილებაში მყოფ მღვდლებს შეუერთდებიან. რაც შეეხება მონოზვნებსა და ერისკაცებს, კანონი მათ მიმართ განაწესებს, რომ განყენებულ უნდა იქნენ ეკლესიის ერთობიდან, სანამ გონს არ მოეგებიან და დაუბრუნდებიან თავიანთ კანონიერ ეპისკოპოსს.

კანონი 14

თუ რომელიმე ეპისკოპოსი საბაბად თავისი მიტროპოლიტის ბრალეულობას წარმოადგენს და საკრებო განხილვამდე განეშორება მასთან თანაზიარებას, აღარ მოიხსენებს რა, ჩვეულებისამებრ, მის სახელს საღმრთო საიდუმლოს აღსრულებისას, ესევითარისთვის წმინდა კრებამ განაჩინა: დაე, განკვეთილი იქნეს ხარისხიდან, ოღონდ თუკი ნამდვილად იქნება მხილებული, რომ განუდგა თავის მიტროპოლიტს და განხეთქილება შემოიღო. რამეთუ თითოეულმა უნდა იცოდეს თავისი საზომი: და ნურც მღვდელი უგულებელყოფს თავის ეპისკოპოსს, და ნურც ეპისკოპოსი — თავის მიტროპოლიტს.

(მოც. 31; II მსოფ. 6; II მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ღანგ. 6; სარდ. 14; ანტიოქ. 5; კართ. 10, 11, 62; ორგზ. 13, 15)

რასაც ამ კრების მე-13 კანონი ამბობს მღვდლებისა და სხვა დანარჩენი კლირიკოსების ურთიერთობასთან დაკავშირებით თავიანთი ეპისკოპოსის მიმართ, იგივეს განაწესებს წინამდებარე (მე-14) კანონი მიტროპოლიტისადმი ეპისკოპოსის დამოკიდებულებაზე.

კანონი 15

რაც განიწესა მღვდლების, ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტებისათვის, ის ამგვარადვე, და უფრო მეტადაც, შეეფერებათ პატრიარქებს. ამიტომ, თუკი რომელიმე მღვდელი, ეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი გაკადნიერდება განეშოროს თანაზიარებას თავის პატრიარქთან და აღარ აღავლენს (არ მოიხსენიებს) მის სახელს განსაზღვრული და დადგენილი წესისამებრ საღმრთო საიდუმლოთ-მოქმედებისას (ლიტურგიაზე), და საკრებო გამოცხადებამდე და მის სრულყოფილ განსჯამდე შემოიღებს განხეთქილებას ეკლესიაში, ესევითარისთვის წმინდა კრებამ განაჩინა, რომ იგი სრულიად უცხო ეყოს მღვდლობას, ოღონდ თუკი ნამდვილად იქნება მხილებული ამ ურჯულოებაში. თუმცა, ეს განისაზღვრა და დამტკიცდა იმათთვის, რომელნიც ზოგიერთ ბრალდებათა საბაბით განუდგებიან თავიანთ წინამძღვრებს, განხეთქილება შემოაქვთ ეკლესიაში და არღვევენ მის ერთიანობას. რადგან, თუკი მღვდლები იმის გამო განუდგებიან ეპისკოპოსს, რომ იგი რომელიმე მწვალებლობას, დაგმობილს წმინდა კრების თუ მამების მიერ, საჯაროდ ქადაგებს ეკლესიაში, და ასეთ ეპისკოპოსთან თანაზიარებისაგან თავს შემოიზღუდავენ საკრებო განხილვამდე, ესევითარნი არამცთუ კანონებით დადგენილ ეპიტიმიას არ იმსახურებენ, არამედ, პირიქით, მართლმადიდებელთათვის შესაფერ პატივსაც მიიღებენ, რამეთუ მათ ეპისკოპოსები კი არ განუკითხავთ, არამედ — ცრუ-ეპისკოპოსები და ცრუ-მოძღვრები, და განხეთქილებით კი არ აღუმართავთ ეკლესიის ერთიანობაზე ხელი, არამედ, პირიქით, გულმოდგინება გამოიჩინეს ეკლესიის დასაცავად განხეთქილებისა და გაყოფისაგან.

(მოც. 31; II მსოფ. 6; II მსოფ. 3; IV მსოფ. 18; ტრულ. 31, 34; ღანგ. 6; სარდ. 14; ანტიოქ. 5; კართ. 10, 11, 62; ორგზ. 13, 14)

ავსებს რა ამ კრების მე-13 და მე-14 კანონებს, წინამდებარე (მე-15) კანონი განაწესებს, რომ თუკი აღნიშნული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მღვდლისა ეპისკოპოსისადმი, და ეპისკოპოსისა მიტროპოლიტისადმი, მაშინ ასეთი დამოკიდებულება მით უფრო უნდა არსებობდეს პატრიარქისადმი, რომლის კანონიკურ მორჩილებაშიც შედის ყველა ის მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი, მღვდელი და სხვა კლირიკოსები, რომლებიც მის მიერ მართულ საპატრიარქოს ტიპიკონალურ დაქვემდებარებაში არიან.

განაწესა რა ეს პატრიარქისადმი დამორჩილებასთან დაკავშირებით, წინამდებარე კანონი აკეთებს საერთო შენიშვნას სამივე კანონთან მიმართებით (13-15): კერძოდ, ყველა ამ განწესებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, რომელსაც განხეთქილება წარმოიშვება პატრიარქის, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსის მიმართ დაუმტკიცებელი ბრალდების გამო. ხოლო თუ რომელიმე პატრიარქი, მიტროპოლიტი ან ეპისკოპოსი დაიწყებს მართლმადიდებლობისათვის მიუღებელი რაიმე მწვალებლური სწავლების ქადაგებას, მაშინ დასარჩენ საჭიროებელი და საეკლესიო მსახურებს შეუძლიათ — და ვალდებულნიც არიან — განუდგეს ასეთ ეპისკოპოსს, მიტროპოლიტსა და პატრიარქს. თანაც, ამისთვის არაჭეროა რაიმე კანონიკურ სასჯელს

არ მიიღებენ, პირიქით, შექებას დაიმსახურებენ. რამეთუ ამით ისინი არ გამოსულან ნამდვილი, კანონიერი ეპისკოპოსების წინააღმდეგ და არ განუსჯიათ ისინი, არამედ – ცრუეპისკოპოსებისა და ცრუმოძღვრების წინააღმდეგ, და განხეთქილება კი არ შეუქმნიათ ეკლესიაში, პირიქით – საკუთარი ძალისხხმევით იხსნეს ეკლესია განხეთქილებისა და გაყოფისაგან. **არქიმანდრიტი** იოანე (შემდგომში სმოლენსკის ეპისკოპოსი) ამ კანონის განმარტებისას, რუსული ეკლესიის ისტორიული მდგომარეობიდან გამომდინარე, სავსებით სწორად და კანონიკურ მეცნიერებასთან სრულ შესაბამისობაში შენიშნავს, რომ მღვდელი არ იქნება დამნაშავე და პირიქით, შექებას დაიმსახურებს თავისი ეპისკოპოსისაგან განდგომისათვის, თუ ეს უკანასკნელი „ქადაგებს მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო რამე მწვალებლურ სწავლებას“, თანაც, თუკი ა) ქადაგებს სწავლებას, რომელიც კათოლიკე ეკლესიის საწინააღმდეგოა და უკვე დაგმობილია წმინდა მამების ან წმინდა საეკლესიო კრებების მიერ, და არა რამე კერძო აზრს, რომელიც შეიძლება ვინმეს მოჩვენებოდა არასწორად და რომელიც თავისთავში არ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველი; ასე რომ, ადვილად შეიძლება გამოსწორებული იქნეს განზრახულ არამართლმადიდებლობაში ბრალდების გარეშე; შემდეგ ბ) თუ ცრუსწავლება მის მიერ ეკლესიაში იქადაგება ღიად და საჯაროდ, მაშინ ეს უკვე წარმოადგენს გააზრებულ ქმედებას და აშკარად მიმართულია ეკლესიის საწინააღმდეგოდ. ესე იგი, ის აღარ წარმოადგენს მხოლოდ კერძო გამონათქვამს, რადგან კერძო გამონათქვამი შეიძლება იმხილოს და უარყოფილ იქნეს ეკლესიის მშვიდობის დაურღვევლად“.* თუ სახეზე არ არის ეს პირობები, ანუ, მაგალითად, რომელიმე ეპისკოპოსი გამოთქვამს რაიმე თავის კერძო აზრს, – სარწმუნოებასა და ზნეობრიობასთან დაკავშირებით, – რომელიც შეიძლება ვინმეს არასწორად მოეჩვენოს, მაგრამ რომელიც არ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის და შეიძლება ადვილად გამოსწორდეს. ასეთ დროს ეპისკოპოსს ჯერ კიდევ არ შეიძლება ბრალი დაედოს განზრახ არამართლმადიდებლობაში; ან თუ ეპისკოპოსი ცალკეულ პირთა ვიწრო წრეში გამოთქვამს თავის ცდომილ აზრს, რომელიც იქვე შეიძლება გამოსწორებულ იქნეს საეკლესიო მშვიდობის დაურღვევლად, ასეთ შემთხვევაში არც ერთ მღვდელს არ აქვს უფლება თვითნებურად გამოეყოს თავის ეპისკოპოსს და შექმნას განხეთქილება. ურჩობის შემთხვევაში კი დაექვემდებარება სასჯელს მოციქულთა 31-ე კანონთან შესაბამისობაში.

კანონი 16

ეკლესიაში დროდადრო ჩამოვარდნილი ქიშპობისა და შფოთის გამო აუცილებელია ამის განჩინებაც: არაფრით შეიძლება იმ ეკლესიაში იქნეს დადგინებული ეპისკოპოსი, რომლის წინამძღვარიც ჯერ კიდევ ცოცხალია და თავის ღირსებაშია, თუკი თავადვე ნებაყოფლობით არ იტყვის უარს ეპისკოპოსობაზე. რამეთუ ჯერ ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი იმ ბრალეულობის კანონიერი გამოძიება, რომლისთვისაც იგი შეიძლება ჩამოშორე-

*დასახ. თხზ. II, 567-568.

ბულ იქნეს ეპისკოპოსობას და მხოლოდ მაშინ, მისი გადაყენების შემდეგ, შეიძლება აყვანილ იქნეს საეპისოპოსო კათედრაზე მის ნაცვლად სხვა. ხოლო თუ ეპისკოპოსთაგან ვინმე, თავის ღირსებაში მყოფი, უარს არ ამბობს თავის წოდებაზე, მაგრამ, ამასთან, არ სურს თავისი ერის მწყემსვა, არამედ განეშორება რა თავის საეპისკოპოსოს, ექვს თვეზე მეტ ხანს რჩება სხვა ადგილას, სადაც მას არც სამეფო ბრძანება აკავებს, არც თავისი პატრიარქის დავალებათა შესრულება, არც მძიმე სნეულება, რომელიც სრულიად უმოძრაოს ხდის, – მაშინ არც ერთ ამ ზემოდასახელებულ მიზეზთაგან შეყოვნებული, მაგრამ მაინც განშორებული თავისი ეპარქიისაგან და სხვა ადგილზე დარჩენილი ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, დაე, სრულიად უცხო ეყოს ეპისკოპოსის პატივსა და ღირსებას. რამეთუ ვინც მისთვის მინდობილ სამწყსოზე არ ზრუნავს, და სხვა ადგილზე ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაშია დადგრომილი, წმინდა კრებამ განაჩინა, რომ იგი სრულიად უცხო იქმნეს მღვდელმთავრობისაგან, რომლის ძალითაც მწყემსობა ერწმუნა მას და მის საეპისკოპოსო ადგილზე სხვა იქნეს მის ნაცვლად დადგინებული.

(III მსოფ. 9; ანტიოქ. 17; სარდ. 12; კართ. 71; პეტრე ალექსანდრიელის 10; კირილე ალექსანდრიელის 3)

წინამდებარე კანონი ორ კანონიკურ საკითხს განიხილავს: ეპისკოპოსის გადადგომას თავისი კათედრიდან და ეპისკოპოსის არყოფნის ხანგრძლივობას თავის ეპარქიაში.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, კანონი განაწესებს, რომ ეპარქიაში არ შეიძლება ახალი ეპისკოპოსის დადგინება, სანამ მისი ეპისკოპოსი ცოცხალია და თავის პატივშია. ახალი ეპისკოპოსის დადგინება მაშინაც კი არ შეიძლება, როდესაც კანონიერი ეპისკოპოსი ნებაყოფლობით იტყვის უარს თავის ეპარქიაზე; ასეთ შემთხვევაში მართებულია წინასწარ მოხდეს კანონიკური გზით იმ მიზეზების შესწავლა, რამაც ეპისკოპოსი კათედრიდან გადასადგომად აღძრა, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსთა სათანადო კრების, ანუ წმინდა სინოდის წინაშე დამტკიცდება, რომ ის რაიმეში დამნაშავეა და კათედრიდან განკანონდება, შეიძლება მის ადგილზე სხვა ეპისკოპოსის დადგინება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საეპისკოპოსო კათედრა ითვლება თავისუფლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ეპისკოპოსი გარდაიცვალა, ან – ეპისკოპოსთა კრებამ განკვეთა. იმისათვის, რომ საეპისკოპოსო კათედრა გამოთავისუფლდეს, არ არის საკმარისი მისი მმართველი ეპისკოპოსის ნებაყოფლობითი გადადგომა თავისი კათედრიდან: ამისათვის საჭიროა, ადგილობრივ სინოდში დამტკიცდეს მისი კანონიკური დანაშაული, რის შემდეგაც იგი განიკვეთება და ეპისკოპოსის პატივი ჩამოერთმევა. ამ საკითხის შესახებ საკმაოდ ითქვა პამფილიის კრების მიმართ III მსოფლიო კრების ეპისტოლეს განმარტებაში. ამის შესახებ საუბარია, ასევე, **კირილე ალექსანდრიელის მე-3 და პეტრე ალექსანდრიელის მე-10 კანონებში.** მოიხსენიებს რა ვინმე პეტრეს, რომელმაც თავის კათედრაზე უარი განაცხადა, კირილე ალექსანდრიელი დასახელებულ კანონში შენიშნავს, რომ „საეკლესიო დადგენილებებთან შეუსაბამოა,

როდესაც საღვთო საქმის აღმსრულებელნი წარმოადგენენ გადადგომის თხოვნას, რადგან თუ ულირსნი არიან, მსახურებიდან უნდა წავიდნენ არა გადადგომით, არამედ დანაშაულისათვის გასამართლების გზით". ესე იგი, უნდა დატოვონ კათედრა მაშინ, როდესაც ისეთ დანაშაულს ჩაიდენენ, რომლისთვისაც ეპისკოპოსთა კრება გაასამართლებს მათ და განკვეთს. **ბალსამონი,** როდესაც ამ (მე-16) კანონს განმარტავს, მოიხსენიებს კირილე ალექსანდრიელის კანონს, იწონებს მას და ამბობს: „რადგან, თუ მიღებული იქნება ეპისკოპოსის გადადგომა მიზეზების განუხილავად, მაშინ, საქმის არანორმალური მსვლელობის გამო, ეპისეპისკოპოსები უფრო მეტი იქნებიან, ვიდრე ეპისკოპოსები, რაც უდიდესი ზიანის მომტანი იქნება ეკლესიის კეთილმოწყობისათვის, და გავკადნიერდები და ვიტყვი — თვით ღმერთის შეურაცხმყოფელი".

რამდენსაც არ უნდა განიკითხავდნენ ძველი საეკლესიო კანონები ეპისკოპოსის გადადგომას თავისი კათედრიდან, ორგზისის კრება, თავისი წინამდებარე კანონით, მაინც უშვებს კათედრიდან ეპისკოპოსის ნებაყოფლობითი გადადგომის შესაძლებლობას. როგორ უნდა დასრულდეს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ეპისკოპოსი რაიმე განსაკუთრებული გარემოების შედეგად, წარადგენს კათედრიდან გადადგომის თხოვნას, მაგრამ ადგილობრივი სინოდი ვერ მიიღებს ამ გადადგომას იმ მიზეზით, რომ არა გააჩნია მის მიმართ კანონიკური ხასიათის ბრალდება და ამიტომ არ შეუძლია მსჯავრი გამოუტანოს — განკვეთოს და ეპისკოპოსის პატივი ჩამოართვას? ან როგორ უნდა მოიქცეს ეპისკოპოსი, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო კათედრიდან გადადგომის თხოვნით შედის, მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მმართველი სინოდი ბოლომდე მიიყვანს ბრალდების კანონიკურ გამოძიებას, რისთვისაც — ამ კანონის გამოთქმით — იგი უნდა განიკვეთის ეპისკოპოსობისაგან? ორივე ამ კითხვაზე პასუხი — მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლის საერთო კანონიკური განწესებების საფუძველზე — საკმაოდ მოკლეა. პირველ შემთხვევაში, თუ სინოდმა ეპისკოპოსის გადადგომა არ მიიღო, იმის გამო,რომ მისი ბრალი ვერ იპოვა და ამიტომ ვერც განკვეთა,მაშინ მან უნდა გააგრძელოს ეპარქიის მართვა და განახორციელოს თავისი მღვდელმთავრული მოვალეობანი. თუკი ეპისკოპოსი უარს იტყვის ეპარქიის მართვაზე, მაშინ მოციქულთა 36-ე კანონის განწესებით იგი ექვემდებარება განკვეთას და ეპისკოპოსობის პატივისა და ღირსების სამუდამოდ აყრას. მეორე შემთხვევაში, ახალი ეპისკოპოსის დადგინება საეპისკოპოსო კათედრაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ კათედრიდან მისმა მმართველმა უბრალოდ გადადგომის თხოვნა დაწერა, არ შეიძლება. ამისთვის ჯერ სინოდმა უნდა ჩაატაროს გადადგომის მიზეზების კანონიკური გამოძიება. ზემომოყვანილი საკითხების ორივე ეს გადაწყვეტა განპირობებულია იმ დამოკიდებულებით, რომელიც არსებობს კანონიკურად დადგინებული ეპისკოპოსის ხელმწიფობრივ (მმართველ) და სულიერ ხელისუფლებებს შორის. ეპისკოპოსის ადმინისტრაციული მმართველობა (ხელმწიფება) დამოკიდებულია მის სულიერ ხელისუფლებაზე, რომელსაც იგი ქიროტონიისას იღებს. ეს ხელმწიფება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მმართველ ეპისკოპოსს ჩამოერთმევა იგი სინოდის გადაწყვეტილებით, ანუ როცა ის განიკვეთება. თუ მას სულიერი ხელისუფლება ჩამორთმეული არა აქვს სინოდის დადგენილებით, ანუ

მღდელმოქმედების უფლება, მაშინ ვერ იქნება ადმინისტრაციული მმართველობა-ჩამორთმეული მანამ, ვიდრე ადგილი არ ექნება მისი მხრიდან ისეთ დანაშაულს, რომელიც თავისი სიმძიმიდან გამომდინარე, მის განკვეთას გამოიწვევდა.

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ეხება მხოლოდ იმ ეპისკოპოსს, რომელსაც ეპარქიის მმართველობიდან გადადგომა სურს, რამე განსაკუთრებულად მძიმე გარემოების შედეგად, როდესაც ეს შექმნილი გარემოება ხელს უშლის მას მშვიდად მართოს ქრისტეს სამწყსო და თავისუფლად შეასრულოს თავისი მწყემსმთავრული მოვალეობანი. თუკი ეპისკოპოსს თავისი ეპარქიის მმართველობიდან გადადგომა სურს აუხსენელი თვითნებურებით, ან იმ მიზეზით, რომ გათავისუფლდეს მწყემსმთავრული მოვალეობის თანმდევი მძიმე შრომისგან, რათა საშუალება მიეცეს დაწყნარებულად იცხოვროს უშრომელად და უზრუნველად, ასეთ შემთხვევაში მას აღარ აქვს მღვდელმოქმედების უფლება, რამეთუ მსგავსი საქციელისათვის იგი სამღვდელო წოდების ჩამორთმევას იმსახურებს. პეტრე ალექსანდრიელის მე-10 კანონის განმარტებაში, ბალსამონს მოჰყავს XII საუკუნის პირველი ნახევრიდან ეპისკოპოს ნიკოლოზ მუზოლონის მაგალითი, რომელმაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე უარი თქვა თავის კათედრაზე და რამდენიმე წელიწადი წყნარად იცხოვრა კონსტანტინოპოლში. ამასთან, დაუბრკოლებლად აღასრულებდა ყველა მღვდელმოქმედებას და სარგებლობდა ეპისკოპოსის პატივით. ამის შემდგომ, ეპისკოპოსი მუზოლონი დაადგინეს კოსტანტინოპოლის პატრიარქის კათედრაზე და რამდენიმე წელი პატრიარქად დაჰყო. ამ შემთხვევას ბალსამონი მკაცრად განიკითხავს და ამტკიცებს, რომ მუზოლონი იმსახურებს ყველაზე მკაცრ საეკლესიო საჯელს, რადგან დატოვა თავისი კათედრა თავისთვის მშვიდი გარემოს შესაქმნელად, და ამ დროს ის დააჯილდოვეს – დაადგინეს რა კონსტანტინოპოლის პატრიარქად. ბალსამონის ასეთ მსჯელობას არ შეიძლება არ ვუწოდოთ სავსებით სწორი და კანონიკურად დასაბუთებული.

წინამდებარე კანონი მოიხსენიებს აგრეთვე უქმად მყოფ ეპისკოპოსებს; საეკლესიო ცხოვრებაში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ისეთ არანორმალურ შემთხვევებს, როდესაც გარემოება ხელს უშლის ეპისკოპოსს შეასრულოს თავისი მღვდელთმთავრული მოვალეობა თავის სამთავროში (მაგალითად, როდესაც წარმართები დაეუფლებიან ეკლესიას, – **ზონარასა და ბალსამონის** სიტყვებით ანტიოქიის კრების მე-16 კანონის განმარტებიდან). თუმცა, ასეთ დროსაც ეს დროებით უქმად მყოფი ეპისკოპოსი ფლობს ყველა მმართველ უფლებას თავის სამთავროზე; პირველ რიგში ეს არის თავის ეპარქიაში მღვდელმსახურების ხელთადსხმისა და დადგინების უფლება.

მეორე საკითხი, რაზედაც ორგზისის კრების წინამდებარე (მე-16) კანონი ლაპარაკობს, ეს არის, თუ რაოდენ დიდხანს შეუძლია ეპისკოპოსს დატოვოს თავისი ეპარქია. ამის შესახებ საუბარი იყო სარდიკიის კრების მე-11 და მე-12 კანონების განმარტებებში. წინამდებარე კანონი კი განსაზღვრავს ეპისკოპოსის თავის ეპარქიაში არყოფნის ექვსთვიან უკიდურეს ვადას, – თუ რამე საეკლესიო საქმით არ იქნა იგი კიდევ უფრო მეტი ვადით დაყოვნებული. თუ კი არ არის ასეთი საქმე და ეპისკოპოსიც ჯანმრთელია, და მაინც რჩება თავისი ეპარქიის

გარეთ ექვს თვეზე მეტ ხანს, ასეთ შემთხვევაში კანონი განაწესებს მისთვის მღვდელთმთავრობის ჩამორთმევას და მის კათედრაზე სხვა ეპისკოპოსის დადგინებას.

კანონი 17

ვიღვწით და ვზრუნავთ რა საეკლესიო კეთილწესიერებისათვის ყოველივეში, ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ ამის განჩინებაც: მომავალში არავინ ერისკაცთაგან თუ მონოზონთაგან უეცრად არ იქნეს აყვანილი ეპისკოპოსის სიმაღლემდე, არამედ ყოველმა კანდიდატმა საეკლესიო ხარისხებში გამოცდის შემდეგ მიიღოს ეპისკოპოსად ხელდასხმა. რამეთუ, მართალია, დღემდეც მონოზონთაგან თუ ერისკაცთაგან ზოგიერთნი, საჭიროებიდან გამომდინარე, ღირსნი გამხდარან სწრაფად მიეღოთ საეპისკოპოსო პატივი და შემდეგ სხვებსაც აღმატებიან სათნოებებით და აღუმაღლებიათ კიდეც მათთვის მინდობილი ეკლესიები, მაგრამ, იმისათვის, რომ იშვიათი შემთხვევები ეკლესიას კანონად არ დაეუწესოთ, ამიტომ ჩვენ განვაჩინეთ, რომ ამიერიდან ასეთი რამ უკვე აღარ მოხდეს, არამედ საეპისკოპოსო კანდიდატს გავლილი უნდა ჰქონდეს სამღვდელო ხარისხის ყველა საფეხური და თითოეულ მათგანზე — კანონით დადგენილი დრო ნამსახურები, რის შემდეგაც შეიძლება მისი კანონიერად ხელდასხმა.

(მოკ. 80; VII მსოფ. 2; ნეოკეს. 12; ლაოდ. 3,12; სარდ. 10; კირილე ალექსანდრიელის 4)

ამ კრების მამები ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ ზოგიერთი ერისკაცი ან მონოზონი, „უეცრად“ იქნა დადგინებული ეპისკოპოსად, ისე, რომ არ გაუვლია კანონით განსაზღვრული დრო მღვდელმსახურების ყველა დაბალ საფეხურზე, რასაც მამები ეკლესიური კეთილმსახურებისათვის საზიანოდ მიიჩნევენ. თუმცა, ასეთი პრაქტიკა დაგმობილია სხვა კანონებითაც, კერძოდ, მოციქულთა მე-20 და სარდიკის კრების მე-10 კანონებით. ეს უკანასკნელი ამის შესახებ დაწვრილებით საუბრობს და ჩვენც, მის განმარტებაში, ყველაფერი ვთქვით, რაც საჭიროა ამ კანონიკური საკითხის გასაცნობიერებლად. მოციქულთა მე-80 კანონის განმარტებაში ჩვენ მაგალითებიც მოვიყვანეთ, როდესაც ზოგიერთები, წარმართობიდან ქრისტიანობაში მოქცევის შემდეგ, მაშინვე დგინდებოდნენ ეპისკოპოსებად და, მაინც, წინამდებარე კანონის გამოთქმით, „ბევრს გაასწრეს სათნოებებით და აამაღლეს მათთვის ჩაბარებული ეკლესიები“. თუმცაღა, ის „რაც იშვიათად ხდება“, არ შეიძლება საეკლესიო კანონად იქცეს — ამ კანონის სიტყვებით — და ამიტომაც განიწესება, რომ თითოეულმა ხელდასხმულმა ყოველ სამღვდელმსახურო საფეხურზე დაჰყოს „კანონით დაწესებული დრო“. რამდენად ხანგრძლივი უნდა იყოს ეს „კანონით დაწესებული დრო“ (ვადა), ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა სარდიკის კრების მე-10 კანონის განმარტებაში. ამ (მე-17) კანონის განმარტებაში ბალსამონი მოიხსენიებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგებას სულთმოფენობის დღესასწაულზე, სადაც ეს წმინდა მამა ამბობს, რომ „მღვდელი დგება შვიდ დღეში“, და ამის

საფუძველზე ბალსამონი ასკვნის, რომ „ხელდასხმა ყოველ საფეხურზე, აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა შედგეს შვიდღიანი ინტერვალით, და მით უფრო, რომ ეს მიღებულია ეკლესიის დაუწერელი ჩვეულებით, რომელიც უშვებს ასეთ ხელდასხმას ყოველ საფეხურზე". ბალსამონის ეს დასკვნა შეიძლება შეთვისებული ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ საგანგებო მდგომარეობისათვის; ნორმალური პირობებში კი, ვფიქრობთ, წესი ისეთი უნდა იყოს, როგორიც ჩვენ მივუთითეთ სარდიკიის კრების მე-10 კანონის განმარტებაში.

კონსტანტინოპოლის წმინდა ადგილობრივი კრება (წმინდა სოფიას ტაძრის)

მშვიდობა, რომელიც ეკლესიაში 881 წელს დამყარდა, მალე კვლავ დაირღვა. ეს იყო შედეგი სრულიად განსაკუთრებული მოვლენებისა; მშვიდობა აღდგენილ იქნა მხოლოდ ყოფილი პატრიარქის, ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც რომში აღსაყრდა პაპი იოანე VIII. 879 წელს კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიას ტაძარში შედგა კრება, რომელსაც საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა აღდგენილი მშვიდობა ორ – აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებს შორის. კრების მუშაობაში ეკლესიის 383 მამა იღებდა მონაწილეობას. რომის პაპს სამი საგანგებო ლეგატი წარმოადგენდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის მშვიდობის დამყარების საზეიმოდ გამოცხადების შემდეგ, კრებამ 3 კანონი მიიღო.

კანონები წმინდა ადგილობრივი კრებისა, რომელიც შედგა ღვთის სიტყვის სიბრძნის (სოფიას) ტაძარში

კანონი 1

წმიდა და მსოფლიო კრებამ განაჩინა: თუ ვინმე იტალიელ სამღვდელოთა, ერისკაცთა თუ ეპისკოპოსთაგან, მცხოვრებნი აზიაში, ევროპასა თუ ლიბიაში, საიდუმლოთაგან განყენების, თავისი წოდებიდან განკვეთის სასჯელს ან ანათემას სწევია (დაქვემდებარებია) უწმინდესი პაპის იოანესაგან, – ის კონსტანტინოპოლის პატრიარქის, უწმინდესი ფოტისაგანაც საეკლესიო სასჯელის იმავე ხარისხს დაექვემდებაროს, ანუ იქნეს წოდებიდან განკვეთილი, შეჩვენებული ან განყენებული ზიარებისგან. და რომელ კლირიკოსს, ერისკაცს, სამღვდელმთავრო თუ სამღვდელო წოდების პირს, – რა საზღვრებშიც არ უნდა იყვნენ ისინი, – დაუქვემდებარებს ზიარებიდან განყენებას, წოდებიდან განკვეთასა თუ შეჩვენებას უწმინდესი პატრიარქი ფოტი, ის, დაე, უწმინდესმა პაპმა იოანემაც, და მასთან ერთად რომის წმინდა საღმრთო ეკლესიამაც, აღიაროს იმავე ეპიტიმიით დასჯილად. ამასთან, რომის ეკლესიის უწმინდესი საყდრისა და მისი ზედამჯდომელის კუთვნილ უპირატესობებში, დაე, ნუ იქნება ნურანაირი სიახლე შემოღებული, – ნურც ახლა და ნურც მომავალში.

(მოკ. 12, 13, 32; I მსოფ. 6; II მსოფ. 3; IV მსოფ. 28; ტრულ. 36; ანტიოქ. 6; სარდ. 14; კართ. 11, 29)

წინამდებარე კრება, რომელმაც მიიღო ეს და ამის შემდეგი კანონი, თავის თავს (ამ კანონის დასაწყისში) უწოდებს მსოფლიო კრებას. თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ანუ იმის მიხედვით, რომ ამ კრებას ესწრებოდა მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს ყველა ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენელი, იგი შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო კრებად, ზუსტად ასევე შეიძლება ის ასეთად ჩაითვა-

ლოს იმ მთავარი საკითხიდან გამომდინარე, რის გამოც შედგა, კერძოდ: დასავლური ეკლესიის აღმოსავლურთან შესარიგებლად. დასავლეთის კანონთა კოდექსებში იგი იწოდება კიდეც მსოფლიო კრებად. ეს სახელწოდება (მსოფლიო) ამ კრებამ ვერ შეინარჩუნა შემდგომში რომსა და აღმოსავლურ ეკლესიას შორის განვითარებული მოვლენების შედეგად. აღმოსავლური ეკლესიის კანონიკურ კრებულებში ის შედის ადგილობრივ კრებებს შორის და მისი კანონები მიღებული და აღიარებულია მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

შერიგებას, რომლის შესახებაც ეს კანონი საუბრობს და რომელიც მან დაამტკიცა, თავობდა პაპი იოანე VIII. მას სურდა წაეშალა იმ უსამართლობის კვალი, რაც რომმა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტის და მთელ აღმოსავლურ ეკლესიას მიაყენა. საამისოდ მას რომის ეკლესიის ინტერესი ამოძრავებდა, რათა არ დაეტოვებინა თავისი შედარებით მცირე ეკლესია ცალკე მოწყვეტილად დიდი აღმოსავლური ეკლესიისაგან, რომელიც მთლიანად ერთმუჭად იყო შეკრული პატრიარქ ფოტის ირგვლივ. რომის პაპის ხელმწიფების ქვეშ, იმ დროს, IX საუკუნის მეორე ნახევარში, უშუალოდ იმყოფებოდა მხოლოდ 229 საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო მისი მეშვეობით იმართებოდა კიდევ – 268, შესაბამისად, სულ 497 საეპისკოპოსო კათედრა. ამ დროს, აღმოსავლეთში იყო 1087 საეპისკოპოსო კათედრა, აქედან 656 კონსტანტინოპოლის პატრიარქის უშუალო მმართველობის ქვეშ, ანუ 159 კათედრით მეტი. თუ ანგარიშში შევიყვანთ ყველა საეპისკოპოსო კათედრას, რომლებიც როგორც უშუალოდ, ისე მის მეშვეობით შედიოდა რომის პაპის მართველობაში, ესე იგი, სულ 497-ს, მაინც აღმოსავლეთში ორჯერ მეტი იყო, ანუ 590 კათედრით მეტი, ვიდრე რომის პაპის განმგებლობის ქვეშ.* მსოფლიო ეკლესიის ინტერესები ფოტის აიძულებდა დაევიწყებინა ძველი უსამართლობანი და შეწეოდა ეკლესიაში მშვიდობის აღდგენას. ეს მშვიდობა ახლა დამტკიცებულ იქნა ამ კრებაზე 383 ეპისკოპოსის ერთსულოვანი ხმით, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ და მიიღეს წინამდებარე კანონი.

მოყოლებული პაპ ნიკოლოზ I-ის დროიდან, რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ხშირი ჰქონდა ადგილი შემთხვევებს, როდესაც ერთ ეკლესიაში რამე დანაშაულისათვის გასამართლებული მღვდელმსახურები თავშესაფარს მეორეში პოულობდნენ. ასეთი არაკანონიკური ქმედებები კიდევ უფრო ამწვავებდა ურთიერთობას და ამ ორ ეკლესიას ერთმანეთისადმი მტრულად განაწყობდა. ახლა კი, რაკი სურვილი ჰქონდათ, რომ წინანდელი გაუგებრობები დაევიწყებინათ და სწორი ურთიერთობა ჩამოეყალიბებინათ ერთმანეთში რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს, ამიტომ ამ კანონით დადგინდა, რომ პატრიარქ ფოტის მიერ გარკვეული დანაშაულისათვის გასამართლებულნი, ასეთივე დამნაშავედ ჩაითავალოს პაპ ოანეს მხრიდანაც და, პირიქით, რაიმე დანაშაულისათვის პაპ იოანეს მიერ გასამართლებულნი ასეთივედ უნდა ჩათვლილიყო პატრიარქ ფოტის მხრიდანაც. იმის გამო, რომ იოანეს ცალკეული წინამორბედნი

*იმ დროს აფრიკა უკვე ანგარიშში ვერ შევიდოდა, რადგან ვანდალებისა და სარიცინების თავდასხმების შემდეგ, ოდესღაც აფრიკის მრავალრიცხოვანი ეკლესიები თითქმის განადგურებული იყო.

პრეტენზიას აცხადებდნენ რაღაც, იმ დრომდე უცნობ უფლებებზე მთელ ეკლესიაზე, წინამდებარე კანონმა დაადასტურა რა წინა კრებების განწესებები რომის კათედრის უპირატესობასთან დაკავშირებით, განაწესა, რომ არაფერი დაემატოს ამ უპირტესობას, არც ახლა, არც მერმე, არც არასდროს. ხოლო, თუ რაგვარი იყო ეს უპირატესობა, ნაჩვენებია I მსოფლიო კრების მე-6, II მსოფლიო კრების მე-3, IV მსოფლიო კრების 28-ე და ტრულის კრების 36-ე კანონებში. მაგრამ ეს იყო მაშინ, ამბობს ზონარა ამ კანონის განმარტებაში, როცა რომის ეკლესიას ჯერ კიდევ არ შეუცოდავს სარწმუნოების მიმართ და არ ჰქონდა კამათი ჩვენთან; ახლა კი ჩვენთვის შეუძლებელია მათთან თანხმობა.*

კანონი 2

თუმცა, აქამდე ზოგიერთი მღვდელთმთავარი, დამდაბლდებოდა რა მონოზვნის ხატებამდე, ცდილობდა კვლავაც მღვდელმთავრობის მაღალ მსახურებაში დარჩენილიყო და მათი ამგვარი ქმედებები უყურადღებოდ რჩებოდა, მაგრამ, ასეთი დაუხედაობის აღსაკვეთად და ამ, უწესრიგოდ შესრულებული ქმედების საეკლესიო წესდებულებათა საზღვრებში მოსაქცევად, ამ წმინდა და მსოფლიო კრებამ განაჩინა: თუ რომელიმე ეპისკოპოსი, ან სამღვდელთმთავრო წოდების მქონე სხვა პირი, მოისურვებს შთახდომას სამონოზვონო ცხოვრებაში და სინანულის ადგილზე დადგომას, ესევითარი მომავალში, დაე, ნულარ ეძიებს სამღვდელმთავრო ღირსებით სარგებლობას. რამეთუ მონოზონთა აღთქმები შეიცავენ მორჩილებისა და მოწაფეობის მოვალეობას, და არა — მოძღვრობისა თუ მთავრობისას; ისინი აღთქმას დებენ არა სხვები მწყემსონ, არამედ თავად იყვნენ დამწყსილნი. ამის გამო, როგორც ზემოთ ითქვა, დავადგენთ: მღვდელთმთავართა და მწყემსთა წოდებისაგან, დაე, ნურავინ დაიმდაბლებს თავს დამწყემსვადთა და მონანულთა ადგილზე დაყენებით. ხოლო თუ ვინმე გაკადნიერდება აწ წარმოთქმული განჩინების გამოცხადებისა და მისი ყველასთვის გაცნობის შემდეგ ჩაიდინოს ეს, დაე, ნულარ დაუბრუნდება, ვითარცა საკუთარი თავის განმაყენებელი, თავის უწინდელ ღირსებას, რომელსაც თვით საქმით მოკლებია.

(IV მსოფ. 4; ტრულ. 43; ორგ ზ. 5)

როგორც ჩანს, ზოგიერთი ეპიკოპოსი, რომლებიც ეპიკოპოსად ხელდასხმულ იქნენ ერისკაცთა ან ქალწულთა რიგებიდან (იხ. ტრულის კრების მე-12 კან. განმარტება), იღებდნენ მონოზვნობას და, შესაბამისად, მონოზვნებისათვის დამახასიათებელ აღთქმებს დებდნენ. წინამდებარე კრება, მიიჩნევს რა ასეთ პრაქტიკას უწესრიგობად, რომელიც ეკლესიაში დამკვიდრდა (ეკლესიის განწესებების საწინააღმდეგოდ) უყურადღებობის შედეგად, შენიშნავს, რომ მორჩილებისა და მოწაფეობის მონოზვნური აღთქმები არ ეთანხმება ეპისკოპოსის წოდებას, რომელიც თავად უნდა იყოს სხვისი მოძღვარი, მთავარი და მწყემსი, — საწინააღმდეგოდ

*ათენის სინტაგმა, II, 706.

მონოზენისა, რომელსაც მწყემსის მორჩილებასა და დაქვემდებარებაში ყოფნა მართებს და მთელი თავისი ცხოვრების სინანულში გატარება. რადგანაც სამონოზენო აღთქმები ყველა მონოზენისთვის უპირობოდ სავალდებულოა და, ამასთან, ეს აღთქმები შეუსაბამოა ეპისკოპოსის, როგორც მოძღვრისა და მწყემსმთავრის მდგომარეობასთან, ამიტომ კრება თავისი კანონით განაწესებს, რომ ეპისკოპოსმა არ უნდა დადოს სამონოზენო აღთქმები და ამგვარად არ დაიმცროს თავი მღვდელთმთავრის სიმაღლიდან სამწყსოსა და მონანულთა თანრიგამდე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ეპიკოპოსი ამას გააკეთებს, ის იმ წუთიდანვე აღარ არის ეპისკოპოსი და აღარასოდეს ექნება მას უფლება მღვდელმთავრის ღირსების მისაკუთრებისა. მას შემდეგ ეს კანონი ძალმოსილია მთელ ეკლესიაში, როგორც აღმოსავლურში, ისე დასავლურში. ანკირიის კრების მე-3 კანონის განმარტებაში, **ბალსამონს** მოჰყავს შემთხვევა ლაკონიის ამიკლიელი ეპისკოპისის ნიკოლოზ მუზოლონის ცხოვრებიდან, რომელიც საერო ხელისუფლების განკარგულებით მონოზენად იქნა აღკვეცილი და შემდგომში ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ სამონოზენო აღთქმებისაგან განთავისუფლებულიყო და კვლავ სრულუფლებიანი ეპისკოპოსი გამხდარიყო. ბოლოსდაბოლოს ამ მიზნით იგი კონსტანტინოპოლის სინოდში გამოცხადდა. პატრიარქ ლუკამ (1156-1169) დაინახა რა ნიკოლოზი ეპისკოპოსის სამოსელში, უარი უთხრა მას თხოვნაზე და უთხრა, რომ თუმც შეიძლებოდა მისთვის დახმარების გაწევა, მას რომ სინოდის გადაწყვეტილებისათვის დაეცადა, მაგრამ ახლა, რაკი მან არსებული წესების საწინააღმდეგოდ, თავად გაიხადა სამონოზენო სამოსელი, რომლითაც მართალია ძალით იქნა შემოსილი, მისთვის უკვე დახმარება შეუძლებელია.* ეს შემთხვევა გვაჩვენებს, თუ რაოდენ მკაცრად იცავდნენ ამ კანონს XII საუკუნეში. თუმცაღა, პატრიარქ ლუკას გარდაცვალების შემდეგ, პატრიარქ მიქაელ III-მ (1169-1177) შეიწყნარა ეპისკოპოს ნიკოლოზის თხოვნა და საგანგებო სინოდალური სიგელით დაუბრუნა მას ეპისკოპოსის უფლება** ამ კანონის განმარტებაში ბალსამონი ეხება, ასევე, ეპოსკოპოსის საკითხს მონოზენებიდან, თანაც, აღიარებს, როგორც წესი და რიგია, წინამდებარე კანონის ძალას, და შენიშნავს, რომ ასეთი ეპისკოპოსებისათვის ამ კანონის მისადაგება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ისინი დიდ სქემას მიიღებდნენ – ასეთ შემთხვევაში უკვე აღარ იქნებოდნენ ეპისკოპოსები.*** იგივეს ამბობს დიდი კურთხევანის 90-ე კანონიც.

კანონი 3

თუ რომელიმე ერისკაცი იმძლავრებს და, უგულებელყოფს რა ღმერთისა და მეფის ბრძანებებს და შეურაცხყოფს კეთილკრძალულების ღირს საეკლესიო წესდებულებებსა და კანონებს, გაკადნიერდება ეპისკოპოსის ცემით

*ათენის სინტაგმა, III, 27.

**იხ. ბალსამონის განმარტებები ანკირიის კრების მე-3 და კართაგენის კრების 50-ე კანონებზე ათენის სინტაგმაში, III, 427.

***ათენის სინტაგმა, II, 709.

ან საპყრობილეში მისი ჩააგდებით, – უმიზეზოდ, ანდა ბრალდების მოგონილი საბაბით, – ესევითარი, შეჩვენებულ იყოს.

(მოც. 55; IV მსოფ. 18; ტრულ. 34)

ეკლესიისა და მისი მსახურების იმუნიტეტი (ხელშეუხებლობა), კერძოდ, ეპისკოპოსის, – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ იმ დროს და მაშინვე, როგორც კი ის ქრისტიანული გახდა. არსებობს 313 წლის განწესება კონსტანტინე იმპერატორისა, რომლითაც ის სახელმწიფოში სამღვდელოების იმუნიტეტს აცხადებს, რათა ის თავისუფლად და დაუბრკოლებლად ემსახუროს ღმერთს. დროთა განმავლობაში ეს იმუნიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, თანაც ბერძენი და რომაელი იმპერატორები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ მეტ უპირატესობას მიანიჭებდა ეკლესიასა და მის მსახურებს. განსაკუთრებული გულუხვობით გამოირჩეოდნენ იმპერატორები ეპისკოპოსების მიმართ. სამოქალაქო ხელისუფლებას, სხვათა შორის, აკრძალული ჰქონდა სასამართლოში ეპისკოპოსების მიწვევა, თავიანთი სასამართლოსათვის მათი დაქვემდებარება და მით უფრო – დასჯა. თუ შემთხვევით სამოქალაქო ხელისუფლება რომელიმე ეპისკოპოსს შეურაცხყოფას მიაყენებდა, ეს უკვე მთელი ეკლესიის შეურაცხყოფად ითვლებოდა და დამნაშავე მკაცრად ისჯებოდა. ამას კი უფრო იმ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი, როცა მსგავს საქციელს ერისკაცი ჩაიდენდა. სწორედ სამოქალაქო ხელისუფლების ეს სხვადასხვა განწესება სამღვდელობის და, კერძოდ, ეპისკოპოსების იმუნიტეტთან დაკავშირებული, აქვს მხედველობაში ამ კრებას თავის წინამდებარე კანონში. ეს კანონი გვახსენებს საღმრთო მცნებებს: ***„მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა ბოროტი“*** (საქ. 23, 5). იმ პატივის შესახებ, რომელიც თითოეულმა უნდა მიაგოს ეპისკოპოსს, **ეგნატე ღმერთშემოსილი** წერს: „პატივი მიაგე ღმერთსა და ეპისკოპოსს. ვინც პატივს სცემს ეპისკოპოსს, ის პატივცემული იქნება ღმერთისგან; ვინც ფარულად ვნებს ეპისკოპოსს, ის ეშმაკს ემსახურება“.* სახელმწიფო ხელისუფლების არსებული ბრძანებულებებისა და ეკლესიის სწავლების საფუძველზე, კრებამ მიიღო წინამდებარე კანონი; ის შეაჩვენებს ყველას, ვინც გაბედავს ეპისკოპოსის ცემას ან საპყრობილეში ჩასმას. სასჯელი საშინელია, რამეთუ დამნაშავე არამხოლოდ ეკლესიიდან განიკვეთება, არამედ თვით ღმერთისგანაც, და ხდება ეშმაკის მსხვერპლი.** ეს სავსებით დამსახურებული სასჯელია, რადგან თუკი სახელმწიფო კანონები ხელშეუხებლად თვლიან მიწიერ მთავრებს, მაშ, როგორღა არ უნდა ჩაითვალოს ასეთებად საღმრთო პირები, რომლებსაც ღმერთისგან გარდამოსული ხელდასხმა აქვთ მიღებული და ყველა სხვა ადამიანისაგან გამოირჩევიან წმინდა ჩინებითა და თავიანთი დანიშნულებით? სამღვდელონი და, განსაკუთრებით, ეპისკოპოსები, არსებითად წმინდა პირები არიან, რომელთა შესახებაც ფსალმუნთმგალობელი ამბობს: ***„ნუ შეეხებით ცხებულსა ჩემსა“*** (ფს. 104, 15), ასევე, წინასწარმეტყველიც: ***„შემხები თქუენი, ვითარცა შემხებელნი გუგასა თვალისა მისისასა“*** (ზაქ. 2, 8), ამიტომ, ღვთის სასჯელი ულმობელად მოწევა ყველას, ვინც გაბედავს ღვთისმსახურის ხელშეხებას.

*იხ. შენიშვნა ამ კანონთან „პიდალიონ“ში“

**ათენის სინტაგმა, II, 711.

კანონში ნათქვამია, რომ ანათემას გადაეცემა ყოველი, ვინც გაკადნიერდება სცემოს ან საპყრობილეში ჩასვას ეპისკოპოსი უმიზეზოდ, ან შეეხზული მიზეზით. ამ სიტყვებიდან, — შენიშნავს ბალსამონი განმარტებაში* — არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს სამოქალქო ხელისუფლების ჩინოსნებს უფლება ჰქონდეთ მათ ხელთ არსებული კურთხეული მიზეზის შემთხვევაში სცემონ ან თავისუფლება აღუკვეთონ ეპისკოპოსს, რამეთუ სხვა განწესებებიდან და სახელმწიფო კანონებიდან ცნობილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ჩინოსნებს არა აქვთ უფლება ეპისკოპოსების გასამართლებისა, ამიტომ საერო ჩინოსანი, რომელიც მოინდომებდა ეცემა ან საპყრობილეში მოეთავსებინა ეპისკოპოსი, თუნდაც მას ამისათვის ყველაზე კურთხეული {კანონიერი} მიზეზი ჰქონოდა და თუნდაც მისი უფლებამოსილება ფრიად ფართო ყოფილიყო, — მაინც უნდა დასჯილიყო. კურთხეული მიზეზი არასდროს გაამართლებს ასეთ ერისკაცს, რადგან მხოლოდ კრებების უფლებაში შედის მღვდელთმთავართა დასჯა. ხოლო კანონის სიტყვა — „უმიზეზოდ", მოყვანილია ანათემის გამო, რომელსაც ის განაწესებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საერო ჩინოსანი ეპისკოპოსს ისე მოექცევა, როგორც ეს კანონშია ნათქვამი, მაგრამ, ამასთან, დრწმუნებული იქნება, რომ რამე მძიმე დანაშაულის გამო ეპისკოპოსი ამას სავსებით იმსახურებს, მაშინ ასეთ შემთხვევაში იგი ანათემას არ გადაეცემა, მხოლოდ წმინდა ზიარებიდან განიყენება, თანაც ამ სასჯელისგან გათავისუფლება ანუ წმინდა ზიარებაზე მისი დაშვება, შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მისივე სამთავრო ეკლესიის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას, თუმცა — მკაცრი ეპიტიმიის შემდეგ.

*ათენის სინტაგმა, II, 712.

წმინდა მამების კანონები
წმინდა მამების კანონების შესახებ

ტრულის კრების მე-2 კანონში მოიხსენიება თორმეტი მამა, რომელთა კანონები სავალდებულოა მთელი ეკლესიისათვის. ეს მამებია: 1. **დიონისე ალექსანდრიელი**, 2. **გრიგოლ ნეოკესარიელი**, 3. **პეტრე ალექსანდრიელი**, 4. **ათანასე დიდი**, 5. **ბასილი დიდი**, 6. **ტიმოთე ალექსანდრიელი**, 7. **გრიგოლ ღვთისმეტყველი**, 8. **ამფილოქეე იკონიელი**, 9. **გრიგოლ ნოსელი**, 10. **თეოფილე ალექსანდრიელი**, 11. **კირილე ალექსანდრიელი**, 12. **გენადი კონსტანტინოპოლელი**; ასევე, სავალდებულო ძალა აქვს **კონსტანტინოპოლელ პატრიარქ ტარასის** ეპისტოლეს სიმონიის შესახებ.

როგორც წმინდა წერილებისა და ეკლესიის გადმოცემებში გამოხატული ძირითადი იურიდიული ნორმების განმმარტებლები იყვნენ წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრებები, ასევე იყვნენ კრებების განმმარტებლები ცალკეული მამები. კრებების კანონები წარმოადგენს საერთო განწესებებს, რომლებიც ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მწყემსებმა თავიანთი შეხედულებითა და პირადი პასუხისმგებლობით უნდა გამოიყენონ ცალკეულ შემთხვევებში და შექმნილ მდგომარეობასთან შესაბამისობაში. საეკლესიო განწესებების პრაქტიკული გამოყენება, ცალკეული მწყემსების მხრიდან, ხშირად თვალნათლივ ხდებოდა სამწყსოებისადმი მიმართულ საზოგადო ეპისტოლეებში, ერთი რომელიმე მწყემსის კანონიკურ ეპისტოლეში სხვა მწყემსის მიმართ, კანონიკურ პასუხებში მათ წინაშე დაყენებულ კითხვებზე და ასე შემდეგ. კანონების ღრმა ცოდნამ სხვადასხვა მწყემსებს საყოველთაო აღიარება და პატივისცემა მოუტანა ეკლესიაში. მათი ეპისტოლეებიდან ან თხზულებებიდან დასესხებულია შესაბამისი ადგილები, რომლებიც საკუთრივ წარმოადგენენ სამწყემსო მმართველობის ამაღლებულ კანონებს და მოწონებული და მიღებულია მთელი ეკლესიისათვის, და კრების კანონებთან ერთად შესულია საერთო საეკლესიო კანონიკური კრებულების შემადგენლობაში. კრებისა და მამების კანონებს შორის განსხვავებას სავსებით ზუსტად აღწერს ახალი დროის ერთ-ერთი საუკეთესო კანონისტი:* „ეს განსხვავება, კრებებისა და მამების კანონებს შორის, იმაში მდგომარეობს, რომ კრებები თავიანთ კანონმდებლობით ხელმწიფებას ავრცელებდნენ ეკლესიაში უმაღლეს მხარეებზე, განაწესებდნენ თვით მისი მმართველობის წესრიგსა და კანონებს, ეხებოდნენ მის იერარქიას, ახორციელებდნენ თავიანთ უმაღლეს სამსჯავროს ეკლესიის მმართველი პირების მიმართ; მამები კი თავიანთ განწესებებს ცალკე ნაწილებად გადმოგვცემდნენ სხვადასხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებით და მეტადრე იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ეკლესიის იერარქების მმართველობას ემორჩილებიან. მათი განწესებები უფრო სულიერ სამსჯავროს ეხება, ვიდრე – გარეგანს, ოფიციალურს; მამები არა იმდენად ეკლესიის ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებიან, რამდენადაც ეკლესიის წევრთა ზნეობრივ მხარესა და საქმეებს“.

---

*არქიმანდრიტი იოანე, (ელადიერ სოკოლოვი, 1866 წლიდან სმოლენსკის ეპისკოპოსი, † 1869) „Опыт курса церковного законоведения“, II, 1-2.

მამების კანონები თავიდან არ იყო გამოცემული ცალკეული საკანონმდებლო განწესებების სახით; ისინი წარმოადგენდნენ ან ამონარიდებს მამათა სხვადასხვა თხზულებებიდან, ან კიდევ, უმთავრესად, ეს იყო მათ მიერ ცალკეული პირების მიმართ გაგზავნილი ეპისტოლენი, რომლებსაც მათი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, ეწოდათ „კანონიკური ეპისტოლენი". დროთა განმავლობაში, ისინი დაყოფილ იქნენ რამდენიმე კანონად (შინაარსობრივი შემცველობის შესაბამისად) და ამ სახით შევიდნენ ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულებში. პირველი იყო **იოანე სქოლასტიკოსი** (VI ს.) რომელმაც თავის კრებულში შეიტანა ბასილი დიდის ორი ეპისტოლე ამფილოქე იკონიელის მიმართ; მას შემდეგ ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულებში ჩვენ ვხედავთ მამების კანონებს, განსაკუთრებით ტრულის კრების შემდეგ, რომელმაც დაამტკიცა კიდეც მათი კანონიკური მნიშვნელობა.

დიონისე ალექსანდრიელი († 265). ალექსანდრიის სკოლის აღსაზრდელი, შემდეგ ამავე სკოლის ხელმძღვანელი, თავისი ღრმა გასწავლულობისა და მთელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის – განსაკუთრებით საბელიოსთან და პავლე სამოსათელთან ბრძოლაში, – წოდებულ იქნა „დიდად" და „მსოფლიო ეკლესიის მოძღვრად".

კანონები, რომელნიც შესულია ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში დიონისეს სახელით, შეადგენს კანონიკურ ეპისტოლეს მის მიერ 260 წელს ლიბიაში ეპისკოპოს ბასილის მიმართ ოთხი კითხვის პასუხად გაგზავნილს, რომლებიც ამ უკანასკნელმა მის წინაშე გადასაჭრელად დააყენა. ამ კითხვებზე პასუხების მიხედვით დიონისეს ეპისტოლე ოთხ კანონად არის დაყოფილი, რომელთა სრული ტექსტი მოყვანილია „კანონთა წიგნში" და „პიდალიონში", ბოლოში კი მიერთებულია კიდევ ეპისტოლეს დასკვნა.

გრიგოლ ნეოკესარიელი, სასწაულთმოქმედი († 270). ალექსანდრიის სკოლაში აღზრდილი გრიგოლი სიღრმისეული გონებითა და უაღრესი კეთილმსახურებით გამოირჩეოდა. იმ მრავალი სასწაულებისთვის, რომლებსაც იგი განსაკუთრებით ნეოკესარიაში თავისი ეპისკოპოსობის დროს აღასრულებდა, თანამედროვეებმა მას „სასაწაულთმოქმედი" უწოდეს. იგი დიდი მოშურნეობით გამოირჩეოდა წარმართების ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის საქმეში; ისტორია გვიმოწმებს, რომ ნეოკესარიაში, როდესაც იგი ეპისკოპოსად აღსაყდრდა, სულ 17 ქრისტიანი იყო, ხოლო როდესაც გარდაიცვალა, მხოლოდ 17 წარმართიღა იყო დარჩენილი – ყველა სხვა ქრისტიანი გახდა. გრიგოლის ბევრ თხზულებათაგან, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ის კანონიკური ეპისტოლე, რომელიც მან 258 წელს თავის ეპარქიაში დააგზავნა* ამ ეპისტოლეს საბაბი თვით მის სათაურშია გამოტანილი; ეს საბაბი, კერძოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც გრიგოლ ნეოკესარიელი ეპისკოპოსი იყო, ბარბაროსული ტომები თავს დაესხნენ პონტოს და ქალაქი მოაოხრეს. ამ ბარბაროსული შემოსევებისას ქრისტიანები თავისი სახელისათვის შეუფერებე-

*„კანონთა წიგნში" მოყვანილი შენიშვნა (1843 წ. გამოც. გვ. 271, 1862 წ. გამოც. გვ. 477), რომ ეს ეპისტოლე გაგზავნილია ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის მიმართ, არ არის ზუსტი. ამის შესახებ იხ. საფუძვლიანი შენიშვნა: პიტრა, I, 566.

ლი ულირსობით იქცეოდნენ; ბევრი მათგანი ბარბაროსებს ეხმარებოდა და მძიმე ცოდვაში ჩავარდა. პონტოს მთავარეპისკოპოსმა, გრიგოლმა გამოსცა თავისი ზემოაღნიშნული ეპისტოლე, სადაც იგი განმარტავს ჩადენილი ცოდვების სიმძიმეს და მათთვის შესაბამის სასჯელებს აკისრებს.

ეპისტოლე რამდენიმე კანონადაა დაყოფილი. თუმცა, კანონიკურ კრებულებში ჩვენ მათ სხვადასხვა რიცხოვნობით ვხვდებით: „ათენის სინტაგმაში“ 11 კანონად შედის, „კანონთა წიგნში“ და „პიდალიონში“ მათი რიცხვი 12-ია, „კორმჩაიაში“ (28-ე თავ.) – 13. თვით განწესება, საკუთრივ, შეადგენს პირველ ათ კანონს სინტაგმის ათენური გამოცემით, ან პირველ 11 კანონს „კანონთა წიგნისა“ და „პიდალიონის“ მიხედვით, ხოლო უკანასკნელი კანონი არ არის თვით ეპისტოლეს შემადგენელი ნაწილი, არამედ შემდგომშია მიმატებული და წარმოადგენს ბასილი დიდის კანონიდან სინანულის ხარისხებთან დაკავშირებული ნაწილის დამატებას. ამიტომ მე-11 კანონის თარგმანში სიტყვის: „ამბობს“ შემდეგ, ჩვენ ფრჩხილებში ჩავსვით – ვინ ამბობს, კერძოდ, ბასილი დიდი თავის 75-ე კანონში, ხოლო რადგანაც ეს დამატება ანუ მე-11 კანონი „სინოპსისში“ არ შედის, ამიტომ ამით აიხსნება, თუ რატომ არ შედის იგი „კორმჩაიაში, რომელიც „სინოპსისის“ მიხედვით არის შედგენილი. პირველ კანონებს შორის რიცხოვნობითი განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი გამოცემის პირველი კანონი იმ კრებულებში გაყოფილია ორად, და ათ სხვა კანონთან ერთად იქ აღმოჩნდა თერთმეტი კანონი. „კორმჩაიაში“ კი, როგორც აღვნიშნეთ, ეს დამატება არ არის, ხოლო რიცხოვნობა – 13, იქ იმით აიხსნება, რომ ჩვენი გამოცემის მე-2 და მე-4 კანონები იქ თითოეული ორად არის გაყოფილი.

პეტრე, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი († 311). პეტრემ, თავისი განსწავლულობით გამორჩეულმა, 295 წელს ალექსანდრიის სკოლის ხელმძღვანელობა ჩაიბარა და მას ხუთი წლის განმავლობაში მართავდა. 300 წელს პეტრეს ხელნი დაასხეს ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსად, რომლის მშვიდობიანი მმართველობაც მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა. 303 წელს კი, როდესაც დიოკლეტიანემ ქრისტიანების დევნის ბრძანება გამოსცა, უკვე დიდი განსაცდელები იწყება ალექსანდრიის მწყემსისთვის, რაც მისი მოწამეობრივი სიკვდილით დასრულდა. დევნილობის ჟამს ბევრი ქრისტიანი განუდგა სარწმუნოებას და ყველა ძალღონეს მიმართავდა ტანჯვისაგან თავის დასაღწევად. უმრავლესობა, განდგომისათვის სინანულის შეწირვით, მაინც უბრუნდებოდა ეკლესიას. პეტრემ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას; ქრისტიანული სიყვარულით განმსჭვალულს, სურდა დახმარება აღმოეჩინა იმათთვის, ვინც უძლურებით განუდგა ქრისტეს და ეკლესიას, და ახლა სინანულის გზით კვლავ ბრუნდებოდა ეკლესიის წიაღში. ამ მიზნით მან 306 წელს დაწერა სიტყვა სინანულის შესახებ, სადაც მიუთითებს მეთოდს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკლესიიდან განდგომილთათვის ეკლესიის ერთობაში დაბრუნება. პეტრეს ეს სიტყვა, რომელიც 14 კანონადაა დაყოფილი, შევიდა ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში. ასეთივე რიცხოვნობით არის ის შესული „კანონთა წიგნში“ და „პიდალიონში“. „კორმჩაიაში“ (27-ე თავ.) კანონთა რაოდენობა, როგორც „სინოპსისში“ – არის 13, რადგან ჩვენი გამოცემის მე-6 და მე-7 კანონები მასში ერთ (მე-6)

კანონს შეადგენს. ბოლო (მე-15) კანონი, ისევე, როგორც სამ დასახელებულ კრებულში, ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვის შესახებ, აღებულია პასექთან დაკავშირებით დაწერილ პეტრეს სიტყვიდან.*

ათანასე დიდი († 373). ათანასემ ღრმად შეისწავლა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებანი და სამარადისო დიდება მოიხვეჭა, როგორც არიანელობისაგან მართლმადიდებლობის დამცველმა, ამისთვის იგი სამართლიანად იწოდა „მართლმადიდებლობის მამად“ და „დიდად“. ეკლესიის სასარგებლოდ თავისი მოღვაწეობის განვითარება მან გაძლიერებულად დაიწყო იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც არიანელობა წარმოიშვა, და თანმიმდევრულად განაგრძობდა თავისი ცხოვრების ბოლომდე.

ათანასე დიდმა მრავალი თხზულება დაგვიტოვა – აპოლეგეტური, პოლემიკური, ისტორიულ-დოგმატური და ზნეობრივი ხასიათის. ეკლესიის სამართლისათვის მნიშვნელოვანია სამი მათგანი, კერძოდ: მისი ეპისტოლე ამონის მიმართ, XXXIX ეპისტოლე დღესასწაულების შესახებ და ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ. პირველი ეპისტოლე დაწერილია დაახლოებით 356 წელს მონოზონ ამონისადმი პასუხად, რომელმაც ათანასეს კითხვით მიმართა, თუ როგორ განესაჯა ღამისეული უნებლიე ხორცშებილწვა. მეორე დაწერილია 367 წელს და შეიცავს წმინდა წერილის კანონიკური წიგნების შესახებ მსჯელობას. ამ ეპისტოლემ ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია, დასაწყისის გარეშე. ამის აღსანიშნავად ეპისტოლეს დასაწყისში ჩვენ რამდენიმე წერტილი დავსვით. მესამე ეპისტოლე დაწერილია 370 წელს ეპისკოპოს რუფინიანეს მიმართ, პასუხად კითხვაზე, თუ როგორ უნდა მიიღებოდნენ მწვალებლები, როდესაც ეკლესიისკენ ექცევიან.

ამ ეპისტოლეების რიგითობა, რომელიც დაცულია „ათენის სინტაგმაში“ და ჩვენს „კრებულში“, იგივეა რაც „კორმჩაიასა“ და „პიდალიონში“; „კანონთა წიგნში“ ყველაზე უწინ დგას ამონის მიმართ ეპისტოლე, შემდეგ – რუფინიანეს მიმართ, და ბოლოს – დღესასწაულების შესახებ. „კორმჩაიაში“ (29-ე თავ.) რუფინიანეს მიმართ ეპისტოლეს შემდეგ მოყვანილია კიდევ ერთი ნაწყვეტი სათაურით: „მისივე სხვა ეპისტოლედან“, და საუბარია ქალწულობის ამაღლებულობაზე. თუმცა, ეს არ არის რამე სხვა ახალი ეპისტოლე, არამედ მხოლოდ ამონარიდია ამონის მიმართ ეპისტოლედან.

ბასილი დიდი († 379). ყველა წმინდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა შორის, საეკლესიო სამართლისა და, ზოგადად, საეკლესიო დისციპლინისათვის, ყველაზე მეტი მნიშვნელობა ბასილი დიდს ენიჭება. თავისი მეცნიერული განათლება მან ათენში დაასრულა, სადაც იმავე დროს სწავლობდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელთანაც ბასილი დიდს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ამის შემდეგ მან იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინასა და მესოპოტამიაში. მოგზაურობისას ბასილი დიდი მრავალ წმინდა კაცს გაეცნო (მაკარის, პაფნუტის და სხვ.), რომლებმაც მასში მონოზვნური ცხოვრებისადმი ღრმა პატივისცემა

*ქართულ „დიდი სჯულისკანონშიც“, ასევე, 15 კანონადაა შესული.

აღძრეს. როდესაც ის დაბრუნდა, მთლიანად განმხოლოებულ ცხოვრებას მიეცა და ერთ-ერთ სრულიად უდაბნო ადგილას დასახლდა; იქ მან გრიგოლთან ერთად საკმაოდ დიდი დრო დაჰყო. 370 წელს დადგინებულ იქნა კესარიის სამღვდელთ-მთავრო კათედრაზე. მასში იმდენად გამოვლინდა მოშურნეობა ქრისტეს სადიდებლად, მართლმადიდებლური სარწმუნოების განსამტკიცებლად — მაშინდელ შფოთიან დროს — და ეკლესიაში წესრიგისა და ზნეობის დასამკვიდრებლად, რომ დაიმსახურა სახელწოდება „დიდი" და „ეკლესიის დიდება და მშვენება".

ბასილი დიდისგან ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში შეევიდა 92 კანონი. ისინი შედგენილია მისი რვა ეპისტოლედან და აგრეთვე მისი წიგნიდან „სულიწმიდის შესახებ". პირველი 85 კანონი სამ ეპისტოლეს შეადგენს, რომლებიც ბასილმა იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს გაუგზავნა. ამფილოქე ბასილის მიმართ განსაკუთრებული პატივით იყო განმსჭვალული და გარდა მასთან წარმოებული კერძო მსჯელობებისა — ეკლესიის კეთილდღეობის შესახებ, იგი ხშირად წერილობითი კითხვებითაც მიმართავდა მას საეკლესიო მმართველობასა და ზოგადად, ეკლესიურ დისციპლინასთან დაკავშირებით; თხოვდა აგრეთვე, წმინდა წერილიდან ზოგიერთი მისთვის გაუგებარი ადგილის განმარტებასაც. ამფილოქეს ამ კითხვებზე პასუხები წარმოადგენს სწორედ ბასილი დიდის პირველი 85 კანონის შინაარსს. შემდეგი (86-ე) კანონი — ეს არის კვლავ ამონარიდი ერთ-ერთი ეპისტოლედან, რომელიც წმინდა ბასილმა 376 წელს გაუგზავნა ამფილოქეს. 87-ე კანონი წარმოადგენს ტარსის ეპისკოპოს დიოდორეს მიმართ ეპისტოლეს. ბასილი დიდის ხელში აღმოჩნდა მისი სახელით ხელმოწერილი წერილი, სადაც დიოდორე თავს ესხმოდა ბასილი დიდის ერთ-ერთ განწესებას ნათესაობასთან დაკავშირებით. 88-ე კანონი წარმოადგენს ბასილი დიდის გადაწყვეტილებას მღვდელ გრიგოლთან მიმართებით, რომელსაც სახლში უცხო ქალი ჰყავდა. 89-ე კანონი არის ქორეპისკოპოსების მიმართ ეპისტოლე, რომლებმაც თავიანთი ხელმწიფების საზღვარი დაარღვიეს. მისი ქვეშევრდომი ეპისკოპოსების მიმართ აღძრული ეჭვების გამო, თითქოს ისინი სიმონიტები იყვნენ, ბასილი დიდმა დაწერა საგანგებო ეპისტოლე, რომელიც 90-ე კანონს შეადგენს. ბოლო ორი (91-ე და 92-ე) კანონი ამოკრებილია ბასილის განთქმული თხზულებიდან „სულიწმინდის შესახებ", რომელიც დაწერილია მის მიმართ გამოთქმული ბრალდების გამო (თითქოს იგი სულიწმინდის ღმრთეებრიობას არ აღიარებდა). ეს ეპისტოლეც ამფილოქეს მიმართ არის დაწერილი, რამეთუ მან აღძრა იგი მის დასაწერად.

მამების კანონებიდან კანონთა კრებულებში პირველი ბასილი დიდის კანონები შეევიდა და შემდეგ უკვე — სხვა მამების. ეს კანონები ყველა ახლანდელ კრებულშია შეტანილი. განსხვავება არსებობს მხოლოდ რიცხოვნობაში. „პიდალიონსა" და „კანონთა წიგნში" ერთნარი რიცხოვნობაა, ისევე, როგორც „ათენის სინტაგმასა" და ჩვენს „კრებულში". „კორმჩაიაში" 91 კანონი შედის; ეს იმიტომ, რომ ამფილოქეს მიმართ მესამე ეპისტოლეს დასკვნითი ნაწილი იქ არ არის, ხოლო პირველი სამი ეპისტოლე 84 კანონად არის დაყოფილი.

„კორმჩაიაში" ბასილი დიდის კანონები შეადგენს 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე თავებს.

ტიმოთე ალექსანდრიელი († 355). ტიმოთე იყო ათანასე დიდის მოწაფე და თავისი ძმის, პეტრეს მემკვიდრე ალექსანდრიის კათედრაზე. მისი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარდა იმის, რომ ესწრებოდა II მსოფლიო კრებას და ცხოველ მონაწილეობას იღებდა კონსტანტინოპოლის კათედრესთან დაკავშირებული სადავო საკითხის განხილვაში.

ჩვენამდე ბევრმა მისმა კანონიკურმა პასუხმა მოაღწია იმ კითხვებზე, რომლებითაც მას ეპისკოპოსები და სხვა კლირიკოსები მიმართავდნენ. ამ პასუხებიდან ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში შევიდა 18 კანონი. ასეთი რიცხოვნობით არიან ისინი შესული „პიდალიონსა" და „კანონთა წიგნშიც".

გრიგოლ ღვთისმეტყველი († 389). მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი – განმხოლოებული ცხოვრების ერთგული და ღრმად კეთილმსახური – თავის თავს მღვდელმსახურობის უღირსად თვლიდა, იგი დაჰყვა საერთო ნებას და 381 წელს კონსტანტინოპოლის სამღვდელმთავრო საყდარი ჩაიბარა. მალე მან შენიშნა, რომ ზოგიერთებს არ მოეწონათ მისი აღსაყდრება, ამიტომ მაშინვე უარი თქვა მღვდელმთავრობაზე და ნაზიანზი წავიდა, სადაც დაყუდებულ ცხოვრებასა და წიგნებთან მუშაობაში გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

თხზულებებს გრიგოლი წერდა ხან პროზაში, ხან პოეზიაში. როგორც თვითონ ამბობდა, ლექსებით გადმოცემის მეთოდით უმეტესწილად იმიტომ სარგებლობდა, რომ დაეცვა ქრისტიანული ჭეშმარიტება აპოლინარელთაგან, რომლებიც ლექსებით ავრცელებდნენ თავიანთ ცრუსწავლებას. გრიგოლის ასეთი პოეტური ნაწარმოებებიდან ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში მიღებულია მისი ლექსები წმინდა წერილის ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესახებ. „კანონთა წიგნში" და „პიდალიონში" ისინი თავთავიანთ ადგილებზეა განთავსებული. „კორმჩაიაში" ამფილოქეს ლექსებთან ერთად იგივე საკითხზე ისინი 30-ე თავს შეადგენს.

ამფილოქე იკონიელი († 395). ამფილოქე მონაწილეობას იღებდა II მსოფლიო კრების მუშაობაში, სადაც დიდი მოშურნეობით იცავდა მართლმადიდებლობას სულიწმინდის მგმობელთაგან. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე კი მონაწილეობა მიიღო კონსტანტინოპოლის 394 წლის კრების მუშაობაში, რომელიც შედგა აღაპისა და ვალადის საკითხთან დაკავშირებით, და სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საეპისკოპოსო ღირსების ავტორიტეტის გამყარებისათვის.

ამფილოქეს ეპისტოლე სელევკის მიმართ წმინდა წერილის კანონიკური წიგნების შესახებ, შევიდა ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში და დგას თავის ადგილზე „პიდალიონშიც" და „კანონთა წიგნშიც". „კორმჩაიაში" იგი შეადგენს 30-ე თავს იგივე საკითხზე გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსებთან ერთად.

გრიგოლ ნოსელი († 395), ბასილი დიდის უმცროსი ძმა, გამოირჩეოდა ცხოვრების მკაცრი წესით, განსწავლულობით, განათლებული მოშურნეობით მართლმადიდებლობისადმი და მჭერმეტყველობის ნიჭით. როგორც ნოსის ეპისკოპოსი, იგი მონაწილეობდა II მსოფლიო კრების მუშაობაში და თავისი მოშურნეობისა და მართლმადიდებლობის დაცვისათვის წოდებულ იქნა „მართლმადიდებლობის სვეტად".

შემდეგ მონაწილეობდა კონსტანტინოპოლის 394 წლის კრების მუშაობაში ნექტარიოსის დროს, რომელიც შედგა ბოსტრიის სამიტროპოლიტოს ცნობილ საკითხთან დაკავშირებით.

მისი მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან კანონიკურ კრებულებში შევიდა ეპისტოლე სომხეთის მელიტინის ეპისკოპოს ლიტოის მიმართ. ამ უკანასკნელმა გრიგოლს შეკითხვით მიმართა ეპიტიმიების შესახებ სხვადასხვა ცოდვისათვის. პასუხად გრიგოლმა ეს ეპისტოლე გაუგზავნა, სადაც თავის ღრმა ფსიქოლოგიურ ცოდნას ამჟღავნებს და, ამასთანავე, აჩვენებს, რომ ცოვებისათვის უფრო მკაცრი სასჯელის მომხრეა, ვიდრე მისი წინამორბედნი.

ეს ეპისტოლე 8 კანონად არის დაყოფილი და ასეთი რიცხოვნობით შედის „პიდალიონში", „კანონთა წიგნსა" და „კორმჩაიაში".

თეოფილე ალექსანდრიელი († 412). თეოფილე ალექსანდრიელი ცნობილია თავისი არაკეთილგანწყობით იოანე ოქროპირის მიმართ. ჩვენამდე მოაღწია მისმა საპასექო სიტყვამ, რამდენიმე ეპისტოლემ და კანონმა. ამ ეპისტოლეებში შედის: ა) მისი ერთი განწესება, რომელიც ეხება საკითხს, როდესაც ღმრთის განცხადების მწუხრი კვირა დღეს ემთხვევა; ბ) შეგონება ამონისადმი განსაკუთრებული ხასიათის შემცველ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, რომლებიც საეკლესიო წესებს უკავშირდება; გ) შეგონება კათარების საეკლესიო დასში მიღების შესახებ; დ) შეგონება ეპისკოპოს მინასადმი. პირველი, ღმრთისგანცხადების შესახებ შეადგენს ერთ კანონს, ამონისადმი შეგონება 10 კანონად არის დაყოფილი, დანარჩენი შეგონებანი შეადგენს თითოეული თითო კანონს, შესაბამისად, სულ — 14 კანონი.

კირილე ალექსანდრიელი († 444). კირილე ალექსანდრიელი, რომელიც თეოფილე ალექსანდრიელის დისშვილი იყო, არ იზიარებდა მის აზრს ოქროპირის შესახებ და ამ უკანასკნელისადმი ღრმა პატივისცემას გრძნობდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში. მთავარეპისკოპოსად კირილე ხელდასხმულ იქნა 412 წელს და იმ დროიდან დიდ მოშურნეობას იჩენდა როგორც წმინდა მართლმადიდებლობის აპოლოგეტი, ეგზეგეტიკოსი და ეკლესიის ბრძენი მმართველი. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ნესტორიანელობასთან ბრძოლითა და ენერგიული მოღვაწეობით III მსოფლიო კრებაზე.

კანონიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კირილეს რამდენიმე კანონი, რომლებიც მისი ორი ეპისტოლესგან შედგება, ესენია: პირველი, ანტიოქიის მთავარეპისკოპოს დომნას მიმართ ეპისკოპოს პეტრესთან დაკავშირებით, რომელიც ჩიოდა, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა თავის კათედრაზე. მეორე — ლიბიისა და პენტაპოლისის ეპისკოპოსების მიმართ უკანონო ხელდასხმასთან დაკავშირებით. ამ ორი ეპისტოლედან შედგა 5 კანონი, რომლებიც შევიდა ზოგადსაეკლესიო კანონთა კრებულში. მათგან სამი — პირველი ეპისტოლედან, და ორიც — მეორედან.

გენადი კონსტანტინოპოლელი († 471). დაადგინეს რა კონსტანტინოპოლის კათედრაზე, გენადიმ ძლიერ აამაღლა მისი ავტორიტეტი, რომელიც მანამდე შებღალული იყო იმ მიზეზით, რომ მისი ცალკეული საჭეთმყრობელნი ცრუსწავლებებს

ავრცელებდნენ. ღრმა კეთილმსახურებით გამორჩეული გენადი, განსაკუთრებით იმაზე წუხდა, რომ ბევრ ეპისკოპოსთა შორის გავრცელებული იყო სიმონია, რაც არაკეთილმოსურნეთ საბაბს აძლევდა თვით ეკლესიის მოწყობა განეკითხათ. იმისათვის, რომ ეკლესიაში შეჭრილ ამ უდიდეს ბოროტებას შეწინააღმდეგებოდა, გენადიმ 459 წელს კონსტანტინოპოლში კრება მოიწვია – 81 ეპისკოპოსის შემადგენლობით. ამ კრებაზე შეადგინეს ცირკულარი ეპისტოლე სიმონიის წინააღმდეგ, რომელიც შემდგომში ყველა კანონიკურ კრებულში შევიდა. როგორც სათაურიდან ჩანს, ის მიემართებოდა აღმოსავლეთის ყველა ეპისკოპოსსა და აგრეთვე რომის პაპს.

ტარასი კონსტანტინოპოლელი († 471). ტარასის კონსტანტინოპოლის კათედრაზე ხელნი დაასხეს 786 წელს. დედოფალ ირინესა და კონსტანტინე პორფიროდიმის მიმართ თავისი დაჟინებული თხოვნისათვის – VII მსოფლიო კრების მოსაწვევად, რომელსაც ხატმბრძოლობისათვის წერტილი უნდა დაესვა – ტარასიმ სამარადჟამო დიდება მოიხვეჭა ეკლესიაში.

მისი მრავალი თხზულებიდან კანონიკური მნიშვნელობა ჰპოვა მისმა ეპისტოლემ რომის პაპ ადრიანეს მიმართ სიმონიის შესახებ, რომელიც (სიმონია) ასე ბილწავდა ქრისტეს ეკლესიას და, ზოგადად, სასულიერო პირთა ღირსების ავტორიტეტს ჩრდილს აყენებდა.

დამატებითი კანონების შესახებ

ტარასის ეპისტოლეთი მთავრდება მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი კანონიკური კრებული. მას მოსდევს დამატებანი, კერძოდ:

1. **იოანე მმარხველის** († 595) კანონიკონი. იოანე კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა 582 წელს და ერში განსაკუთრებული პატივი მოიხვეჭა. იმის გამო, რომ მარხვებს მუდამ განსაკუთრებულად მკაცრად იცავდა, მას „მმარხველი“ უწოდეს. საეკლესიო სამართალისთვის მისი ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანია „კანონიკონი“, სადაც იგი აღმსარებლებს შეაგონებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ აღსარების ჩაბარების დროს და როგორ უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი კანონები სხვადასხვა ცოდვის შემთხვევაში. მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ეს წიგნი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. XIV საუკუნეში **ბლასტარმა** მისგან შეადგინა სახელმძღვანელო აღმსარებელთათვის. ბლასტარის ეს სახელმძღვანელო წიგნი, იოანე მმარხველის კანონიკონიდან შედგენილი, ბერძნულ კანონიკურ კრებულებში გადავიდა, უპირველესად – „პიდალიონში“, მერე – „ათენის სინტაგმაში“. იოანე მმარხველის „კანონიკონი“ აღმოჩნდა საფუძველი „ნომოკანონისათვის“, რომელიც შედის სლავურ დიდ კურთხევანში.

2. **ნიკიფორე აღმსარებლის** († 818) კანონები. ნიკიფორე კონსტანტინოპოლის პატრიარქად დაადგინეს 806 წელს და ეკლესიას 815 წლამდე მართავდა, ვიდრე კათედრიდან განკვეთდა ხატმბრძოლი იმპერატორი ლეონ სომეხი, იმისათვის, რომ იგი VII მსოფლიო კრების განწესებების ერთგული რჩებოდა; ნიკიფორე საპყრობილეში გარდაიცვალა. მისი მრავალი თხზულებიდან, ზოგიერთი მნიშვნელოვანია

საეკლესიო სამართლისათვის. ასეთად ჩვენთვის ცნობილია: ა) კანონი პირველი ექვსი მსოფლიო კრების შესახებ; ბ) კანონიკური განწესებანი სხვადასხვა საკითხებზე; გ) კანონები, ამოკრებილი მისი ტიპიკონიდან; დ) კანონები, ამოკრებილი იმ საეკლესიო განწესებებიდან, რომლებიც მან სხვა წმინდა მამებთან ერთად გამოსცა. ნიკიფორეს ყველა კანონიდან **ბლასტარმა** შეკრიბა 37 მთავარი, რომლებიც „პიდალიონში" შევიდა, სხვა ხელნაწერიდან კი 38 შევიდა „ათენის სინტაგმაში". ორივე ამ კრებულში დამატებულია კიდევ 7 კანონი; შემდეგ, „ათენის სინტაგმაში" კიდევ 9 კანონი – ნიკიფორეს საერთო საეკლესიო განწესებებიდან, და 17 კანონიკური კითხვა-პასუხი მისი ერთ-ერთი კანონიკური ეპისტოლედან. „კორმჩაიაში" (57-ე თავ.) შევიდა ბლასტარის მიერ შეკრებილი 23 კანონი.

3. **ნიკოლოზ კონსტანტინოპოლელის** სინოდალური პასუხები. ამ პატრიარქის საჭეთმპყრობელობისას (1086-1111), წმინდა მთის (ათონის) ბერებმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სინოდს მიმართეს საეკლესიო მსახურების საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა შეკითხვით. სწორედ ამ საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს მოხსენიებულ პასუხებს.* პიდალიონში, ისევე, როგორც ათენის სინტაგმაში, შედის 11 კითხვა და ამდენივე პასუხი. ამ უკანასკნელში მოყვანილია აგრეთვე ცალკეული პასუხის განმარტება.

4. **კანონიკური განწესებანი:** ა) **ბასილი დიდის** „სიკეთეში დადგრომილობისათვის", ამოკრებილი ბასილი დიდის ეპისტოლედან ნიკოპოლისელთა მიმართ; ბ) იოანე ოქროპირის „დამნაშავეთა გამოსასწორებლად"; გ) „წმინდა საიდუმლოთა მიღების ჟამზე"; დ) წმინდა ანასტასის ერთი კანონიკური პასუხი; ე) ბასილი დიდის კანონიკური განწესება, რომელსაც მისი ეპისტოლე შეიცავს** და ვ) განწესება იმავე საკითხზე იოანე ოქროპირის განმარტებიდან პავლე მოციქულის ეპისტოლეებზე ეფესელთა და ებრაელთა მიმართ;*** ზ) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მღვდელი ეკლესიაში, – ბასილი დიდის შეგონებელი სიტყვა მღვდლებისადმი.****

---

*ათენის სინტაგმაში ეს კითხვა-პასუხები შემდეგნაირად სათაურდება: „კითხვები ქალაქის [კონსტანტინოპოლის] გარეთ მოსაგრე ბერებისა და კონსტანტინოპოლის სინოდის პასუხები მათზე, უწმინდესი პატრიარქის ნიკოლოზის დროს და მარადმოსახსენიებელი იმპერატორის ალექსი კომნენის ზეობისას, ანტიოქიის პატრიარქის თეოდორე ბალსამონის განმარტებებით".

**ეს ეპისტოლე დაწერილია 372 წელს.

***პიტრა კიდევ აღნიშნავს იოანე ოქროპირის შემდეგ კანონებს, რომლებიც შედის მის მრავალრიცხოვან თხზულებებში: 1) ცოდვების მიტევების შესახებ (50-ე ფსალმუნზე); 2) აღსარების შესახებ (იოანეს სახარების განმარტებიდან); 3) იმის შესახებ, რომ ერისკაცებმა ვერ უნდა გაბედონ მღვდლის შეურაცხყოფა და განკითხვა (იოანეს სახარების განმარტებიდან); 4) ქრისტესა და მღვდლის შესახებ (თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეს განმარტებიდან); 5) მღვდელების, მათი თვისებებისა და მოვალეობების შესახებ (ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეს განმარტებიდან); 6) მღვდლების შესახებ (სიტყვიდან „მღვდლობის შესახებ"); 7) კვლავ იმათ შესახებ (იმავე სიტყვიდან); 8) 143-ე კანონი, რომლითაც დაენიშნებათ სასჯელები სხვადასხვა დანაშაულისათვის; 9) შემაგონებელი მუხლები.

****ათენის სინტაგმა, IV, 391-392.

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა დიონისესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა ეპისკოპოზს ვასილიდის მიმართ

კანონი 1

ეპისტოლეში ჩემ მომართ, ჩემო უერთგულესო და უგანათლებულესო შვილო, მეკითხებოდი: რომელ ჟამს უნდა შევწყვიტოთ მარხვა აღდგომის დღის წინ? რამეთუ ძმათაგან ზოგიერთნი ამტკიცებენ, როგორც შენ ამბობ, რომ ეს უნდა გავაკეთოთ მამლის ყივილისას, სხვანი – მწუხრიდანო. რომში მყოფი ძმები, როგორც ამბობენ, მამლის ყივილს მოელიან, ხოლო აქ მყოფთა შესახებ შენ თქვი, რომ ისინი უფრო ადრე წყვეტენ მარხვას. შენ მოითხოვ ზუსტი დროის დადგენას – სავსებით განსაზღვრულ ჟამს, მაგრამ ეს არც მარჯვეა და არც უხიფათო. რამეთუ უფლის მკვდრეთით აღდგომის ჟამის შემდეგ რომ დღესასწაულობისა და მხიარულების დაწყებაა ჯეროვანი, ხოლო მანამდე სულთა დამდაბლება და დამორჩილება, – ამას ყველანი ერთად აღიარებენ. მაგრამ შენს ეპისტოლეში ჩემდამი შენ საკმაოდ ჯანსაღად დაამტკიცე, – თანახმიერად ღვთაებრივ სახარებათა ცნებასთან, – რომ მათში არაფერი არ არის განსაზღვრულად ნათქვამი აღდგომის ჟამისათვის. რამეთუ მახარებლებმა სხვადასხვაგვარად აღწერეს საფლავთან სხვადასხვა დროს მოსულნი, და თქვეს, რომ მათ ყველამ უკვე მკვდრეთით აღმდგარი ჰპოვეს უფალი. *„მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად“*, – როგორც თქვა მათემ (28, 1); *„განთიად, ვიდრე ბნელღა იყო“*, – როგორც წერს იოანე (20, 1); „ცისკარსა მსთუად“, – როგორც (ამბობს) ლუკა (24, 1), *„და ნიად განთიადსა... მერმეცა აღმოსლვასა ოდენ მზისასა“*, – როგორც ამბობს მარკოზი (16, 2). მაგრამ საკუთრივ როდის აღდგა უფალი მკვდრეთით, ამას არც ერთი მათგანი ცხადად და ზედმიწევნითი სიზუსტით არ გვიჩვენებს. ხოლო უეჭველია ის, რომ შაბათის ღამეს, რომელიც თენდებოდა ერთშაბათის დღედ, საფლავად მოსულებმა უკვე ვერ ნახეს უფალი მასში მდებარე. და ნუ წარმოვადგენთ მახარებლებს ნურც შეუთანხმებლებად ერთმანეთთან, ნურც წინააღმდეგობაში მყოფებად ურთიერთისადმი. მაგრამ თუ გვეჩვენება კიდეც რაღაც სხვადასხვასიტყვაობა წაკითხულიდან გამომდინარე, და თუ ყველანი, თანახმიერად შეთანხმებულნი, რომ იმ ღამეს აღმოხდა ნათელი მსოფლიოსი – უფალი ჩვენი, სხვადასხვაგვარად ამბობენ ჟამის შესახებ, მაშინ ვეცადოთ კეთილგონივრულად და სწორად შევათანხმოთ ერთმანეთთან მათი ნათქვამი. მათეს მიერ გამოთქმული იკითხება ასე: *„ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის. და აჰა, ძრვაჲ იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. ხოლო იყო ხილვაჲ მისი ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი – სპეტაკ, ვითარცა თოვლი.*

ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: „ნუ გეშინინ თქუენ! ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა“ (მათე 28, 1-6). ზოგიერთნი იფიქრებენ, რომ სიტყვა „მწუხრი“ მისი საერთო გამოყენებით აღნიშნავს შაბათის საღამოს, მაგრამ უფრო გონიერად ჩაკვირვებულნი იტყვიან — არა ამას, არამედ ღრმა ღამესო, რამეთუ „მწუხრი“ აღნიშნავს შენელებულ და ხანგრძლივ დროს. და სწორედ ამის აღსანიშნავად, რომ ღამეზე ლაპარაკობს და არა — დღეზე, (მახარებელმა) დასძინა: „რომელი განთენდებოდა ერთშაბათად“-ო. და მოვიდნენ (საფლავად) ჯერ არა ნელსაცხებელთა მოსატანად, როგორც სხვა მახარებლებმა თქვეს, არამედ საფლავის სანახავად, და ჰპოვეს მომხდარი მიწისძვრა და ლოდზე მჯდარი ანგელოზი, რომლისგანაც ესმათ: *„არ არს აქა, რამეთუ აღდგა“*. მსგავსადვე იოანეც ამბობს: *„ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდანელი განთიად, ვიდრე ბნელლა იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა“* (20, 1). ამრიგად, ამ მახარებლის მიხედვით, მარიამი საფლავად მივიდა იმ დროს, „ვიდრე ბნელლა იყო“. ლუკა კი ამბობს: *„და შაბათი იგი და-ლა-იდუმეს მცნებისა მისთჳს. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას და მოაქუნდა, რაჲ-იგი მოემზადა სულნელი და ნელსაცხებელი... და ჰპოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან“* (23, 56-24, 1, 2). „ცისკარსა მსთუად“, შესაძლოა, ნიშნავს შვიდეულის პირველი დღის ალიონის გამონათების დაწყებას, რამეთუ უკვე სავსებით გასულა შაბათი, მთელი მისი მომდევნო ღამით, და იწყება მეორე დღე, როცა მოვიდნენ სურნელებათა და ნელსაცხებელთა მომტანნი. საიდანაც ცხადია, რომ უფალი მანამდე დიდი ხნით ადრე აღდგა მკვდრეთით. ამასვე მიჰყვება მარკოზიც, ამბობს რა: *„იყიდეს ნელსაცხებელი, რაჲთა მოვიდენ და სცხონ მას. და ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლვასა ოდენ მზისასა“* (16, 1, 2); ამანაც თქვა: „ნიად განთიადსა“-ო, რაც ერთმნიშვნელოვანია გამოთქმისა „ცისკარსა მსთუად“, და დასძინა: „აღმოსლვასა ოდენ მზისასა“-ო. ცხადია, მათი გამოსვლა და გზაზე დადგომა დაიწყო ღრმა დილით, „ნიად განთიადსა“; ხოლო მსვლელობასა და საფლავთან დაყოვნებაში განლიეს მათ დრო მზის ამოსვლამდე. და მაშინ სპეტაკი თოვლივით თეთრი სამოსით შემოსილმა ჭაბუკმა — ანგელოზმა უთხრა მათ: *„აღდგა, არა არს აქა“* (მარკ. 16, 6). დავადგენთ რა, რომ ეს სწორედ ასეა, ჩვენ შემდეგს მივუგებთ იმის ზუსტი გადაწყვეტის მომთხოვნთ, თუ საკუთრივ რომელ საათზე (ჟამს), რომელი საათის ნახევარზე თუ რომელი საათის მეოთხედშია ჯეროვანი მხიარულების დაწყება ჩვენი უფლის მკვდრეთით აღდგომის გამო: ჩვენ არ ვიწონებთ იმათ, რომლებიც ზედმეტად ჩქარობენ და შუაღამის დადგომამდე, თუნდაც სულ მცირედიდაც ადრე, წყვეტენ მარხვას, — როგორც სულმოკლეთ და თავშეუკავებელთ, როგორც ბოლომდე ცურვამიუყვანელთ. რამეთუ როგორც ბრძენი კაცი ამბობს, ცხოვრებაში სულაც არ არის ნაკლებმ-

ნიშვნელოვანი ის, როცა რაიმეს მცირედს აკლებენ. ხოლო იმათ, რომელთაც სურთ უკანასკნელნი იყვნენ მარხვის შეწყვეტაში და მომდევნო ზღვრამდე – მეოთხე სახუმილავამდე (ღამის მეოთხე სადარაჯომდე) ითმენენ, რომელშიც ჩვენი მაცხოვარი ზღვაზე სლვით გამოეცხადა ნავში მყოფ მოწაფეებს, – ვიწონებთ, ვითარცა მხნეთ და შრომისმოყვარეთ. დიდად არც იმათ გავკიცხავთ, რომელნიც თავიანთი განსაკუთრებული აღძვრითა თუ შესაძლებლობით, ამასთან, სხვა დროსაც დასცხრებინ მარხვისაგან. რამეთუ მარხვის ექვს დღესაც ყველანი როდი ატარებენ თანასწორად და ერთნაირად: არამედ ერთნი უსაჭმელოდ დაჰყოფენ, და ასე განლევენ ყველა ამ დღეს, სხვანი ორს, კიდევ სხვანი სამს და სხვანი ოთხ დღეს მარხულობენ, ზოგნი კი – არც ერთ დღეს. სრულიად დამაშვრალთ ყველა დღის უსაჭმელოდ გატარებაში, მერმე გათანგულთ და ლამის მთლიანად ძალადაკარგულთ, ეპატიებათ მალე თუ იგემებენ საზრდოს. ხოლო რომელთაც არათუ უსაჭმელოდ არ გაუტარებიათ დღეები, არამედ საერთოდ არც უმარხულიათ, ანდა ფუფუნებითაც (ნებიერადაც) კი ყოფილან წინამავალ ოთხ დღეს, შემდეგ კი ბოლო ორ დღეს მიწევნულნი მხოლოდ ამ ორ დღეს – პარასკევსა და შაბათს ატარებენ უჭმელად, და ჰგონიათ, რაღაც დიდი და ნათელი აღვასრულეთო, როცა ალიონამდე დაჰყოფენ მარხვით, – არა მგონია, რომ ესევითართ იმათი თანასწორი ღვაწლი ჰქონდეთ აღსრულებული, რომლებიც დღეთა დიდი რაოდენობის განმავლობაში იღვწოდნენ მარხვით. ეს მე, ჩემი გულისხმის-ყოფით, მოგწერე რჩევის მოსაცემად.

(მოკ. 66; ტრულ. 89)

წინამდებარე 1 კანონი, მის შემდგომ სამ კანონთან ერთად, შეადგენს დიონისეს ეპისტოლეს ლიბიის პენტაპოლისის ეპისკოპოს ვასილიდის მიმართ. ეს არის პასუხი ამ უკანასკნელის თხოვნაზე, განემარტათ მისთვის ის საკითხები, რომლებსაც აღნიშნული ეპისტოლე განიხილავს. დიონისეს ეს კანონი დაედო საფუძვლად ტრულის კრების 89-ე კანონს, რომელსაც დაწვრილებით განმარტავს დიონისეს წინამდებარე კანონი.

კანონი 2

დედაკაცთათვის, რომელნიც განწმედის წესში არიან, ნებადართულია თუ არა ასეთ მდგომარეობაში შესვლა ღმერთის სახლში, – ეს შეკითხვაც კი ზედმეტად მიმაჩნია. რამეთუ არა ვჰგონებ, რომ ისინი, თუკი ერთგული მორწმუნენი და კეთილმსახურნი არიან, ამ ყოფაში მყოფნი, გაკადნიერდნენ ან წმინდა ტრაპეზთან მიახლებით, ანდა ქრისტეს სისხლსა და ხორცთან შეხებით. რამეთუ თორმეტწლიანი სისხლმდინარეობის მქონე დედაკაციც თავისი განკურნებისათვის თავად უფალს კი არ შეეხო, არამედ მისი სამოსის კალთას. ლოცვა, უფლის ხსენება და შეწევნის თხოვნა, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ადამიანი და როგორც არ უნდა იყოს განწყო-

ბილი, არ არის აკრძალული. მაგრამ მიახლება იმასთან, რაც არის წმიდათა წმიდა, დაე, აეკრძალოს არც თუ მთლად განწმენდილს სულითა და სხეულით.
(ტრულ. 69; ლაოდ. 19, 44; ტიმოთე ალექსანდრიელის 6, 7)

საუბარია ქალების შესახებ, რომლებსაც ბუნებრივად ახასიათებთ თვიური განწმენდა. კანონი უკრძალავს მათ დედობრივი წესის მოქმედების დროს ეკლესიაში შესვლას და მით უფრო – წმინდა ზიარებას, სანამ სხეულითაც სავსებით განწმენდილნი არ იქნებიან.

საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით, ბიზანტიურ კანონმდებლობაში არსებობს კანონი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს წინამდებარე კანონის განწესებასთან, კერძოდ, ნამშობიარებს შეეძლო ზიარებულიყო მხოლოდ ორმოცი დღის გასვლის შემდგომ, ანუ, როდესაც სხეულითაც განიწმინდებოდა. ახალშობილებთან დაკავშირებით არსებობდა მოთხოვნა, რომ ისინი, თუ ავადმყოფობა არ ემუქრებოდათ, უნდა მონათლულიყვნენ მერვე დღეს, ხოლო თუ სიკვდილი ემუქრებოდათ, მაშინ მათზე ნათლისღების საიდუმლოს ჩატარება რვა დღის გასვლამდეც შეიძლებოდა.* ჩვილების ნათლობასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი განმარტება I მსოფლიო კრების მე-14 კანონზე, ხოლო ამ ჩვეულების წარმოშობის შესახებ – კართაგენის 72-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 3

დაქორწინებულნი თავადვე უნდა იყვნენ საკუთარ თავთა სრული მსაჯულები. რამეთუ მათ სმენიათ პავლესი, რომელიც წერს, რომ საჭიროა ურთიერთშეთანხმებით ერთმანეთისგან თავშეკავება *„ჟამ რავდენმე, რაჲთა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად; და კულად ურთიერთასვე იყვენით“* (1 კორ. 7, 5).
(ტრულ. 13; კართ. 3, 4, 25; ტიმოთე ალექსანდრიელის 5, 13)

წინამდებარე კანონის მოთხოვნილების საფუძვლიანობისათვის, დიონისე ეყრდნობა პავლე მოციქულს, რომლის მიხედვითაც ცოლ-ქმარმა ერთობლივი შეთანხმებით უნდა შეიკავონ თავი სქესობრივი ურთიერთობისაგან იმ დროის განმავლობაში,რომელიც ლოცვისთვის არის განსაზღვრული; ურჩებისათვის კი მსაჯული,დაე, მათი სინდისი ყოფილიყოს.

კანონი 4

ასევე ისინიც, რომელთაც უნებლიე ღამისეული დენა შეემთხვევათ, დაე, თავიანთ სინდისს მიენდონ და თავად განიხილონ – განიკითხავენ თუ არა ამისთვის საკუთარ თავს, მსგავსად იმისა, როგორც საზრდოს შესახებ ამბობს მოციქული: *„ხოლო რომელი-იგი ორგულებდეს, დაღაცათუ ჭამოს,*

*ათენის სინტაგმა, IV, 7.

და-ვე-შჯილ არს, რამეთუ არა სარწმუნოებით ჭამს" (რომ. 14, 23). ამ შემთხვევაშიც ყოველ ადამიანს, ვინც ღმერთს მიეახლება, დაე, დაწყნარებული სინდისი და კეთილი კადნიერება ჰქონდეს საკუთარი განსჯით.

ეს შეკითხვები შენ, საყვარელო შვილო, შემოგვთავაზე ვითარცა პატივის-მომგებელმა ჩვენმა (და უეჭველია, არა როგორც არმცოდნემ), განგვაწყობ რა ვიყოთ ერთი აზრისანი და ერთსულოვანნი შენთან, ვითარცა ვართ კიდეც. ხოლო მე, არა როგორც მოძღვარმა, არამედ როგორც შეგვეფერება ჩვენ ერთმანეთთან საუბარი, მთელი უბრალოებით, შემოგთავაზე ჩემი შეხედულება. განსაჯე ეს, ჩემო უკეთილგონიერესო ძეო, და მომწერე, თუ რა წარმოგიდგენია უფრო სამართლიანად და უმჯობესად, თუმცა როგორც გადაწყვეტ, ისე იყოს. გისურვებ, საყვარელო ძეო, სიმრთელეს და უფლის წინაშე მშვიდობით მსახურებას.

(ათანასე დიდის 1; ტიმოთე ალექსანდრიელის 12)

ღამისეულ უნებლიე დენაში, რომლის შესახებაც წინამდებარე კანონი ლაპარაკობს, იგულისხმება თესლის დენა. ათანასეს პირველ კანონში, სხვაგვარად ამონის მიმართ ეპისტოლეში, ამას „ბუნებრივი დენა" ეწოდება და იქ ამის შესახებ დაწვრილებითაა საუბარი. ამასთან დაკავშირებით შდრ. „სიტყვა იმათ შესახებ, ვისაც ბუნებრივი თესლდენა შებილწვად მიაჩნია".* ასევე, ბალსამონის მე-10 კანონიკური პასუხი.** წინამდებარე კანონის მეორე ნაწილი წარმოადგენს ეპისკოპოს ვასილიდის მიმართ დიონისეს ეპისტოლეს ბოლო ნაწილს.

*ათენის სინტაგმა, IV, 598 და შემდგ.

**ათენის სინტაგმა, IV, 455.

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა გრიგოლისა, ნეოკესარიის მთავარეპისკოპოსისა, სასწაულთმოქმედისა

კანონი 1 (1-2)

1. ჩვენ არ გვამძიმებს საზრდო, ყოვლადუსამღვდელოესო პაპო,* თუმცა, ჭამდნენ კიდეც ტყვეები მათთვის მათი მფლობელებისაგან შეთავაზებულ საჭმელს, განსაკუთრებით, როცა ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ ჩვენს ქვეყნებზე შემოსეული ბარბაროსები მსხვერპლს არ შესწირავდნენ კერპებს. ხოლო მოციქული ამბობს: *„საზრდელი მუცლისათჳს და მუცელი საზრდელისათჳს; ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარვოს“* (1 კორ. 6, 13). მაცხოვარმაც, რომელი განსწმედს ყოველგვარ საზრდოს, თქვა: *„არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა“* (მთ. 15, 11).

2. სამძიმო არც ის არის, რომ დატყვევებული ქალები განიხრწნენ ბარბაროსთაგან, რომლებმაც შეაგინეს მათი სხეულები. მაგრამ თუკი მანამდეც საძრახისი იყო ზოგიერთი მათგანის ცხოვრება, რომელნი ვლენან მემრუშეთა თვალთა წინაშე, — როგორც ამბობს საღმრთო წერილი, — მაშინ ცხადია, რომ მათი მრუში განწყობა ეჭვს იწვევს ტყვეობის დროსაც, და ესევითარნი არცთუ მალე უნდა იქნენ დაშვებულნი ლოცვითი ერთობისათვის. ხოლო თუ რომელიმე ქალი, სრულ კეთილკრძალულებაში მცხოვრები, რომელმაც თავისი უწინდელი ცხოვრება უბიწო და ყოველგვარი ეჭვისაგან თავისუფალი წარმოაჩინა, აწ შეგინებას ეწია ძალადობითა და იძულებით, ასეთი შემთხვევისათვის მეორე რჯულის წიგნში ყრმა ქალის მაგალითი გვაქვს, რომელიც ვიღაც კაცმა იპოვა ველად და ძალდატანებით დაეუფლა მას: *„ხოლო ქალსა მას ნურასა ვინ აჳნებ, — ამბობს რჯული, — რამეთუ არა თანა აცს მას ბრალი სიკუდილისა, ვითარცა უკუეᲗ ვინმცა აღდგა მოყუასსა თჳსა ზედა, და მოჰკლა სული მისი, ეგრეთ არს საქმე ესე ვინათგან ველსა ზედა იპოვა იგი: ჴმა ყო ქალმან მან დაწინდულმან და არა იყო შემწე მისა“* (მეორე სჯული 22, 26, 27). ასეთივეა ის შემთხვევებიც.

(მოც. 62, 67; I მსოფ. 11; IV მსოფ. 27; ანკვირ. 4, 5; პეტრე ალექსანდრიელის 14; ბასილი დიდის 49)

წინამდებარე კანონი, მის შემდგომ ცხრა კანონთან ერთად, შეადგენს გრიგოლის კანონიკურ ეპისტოლეს. იგი მიემართება პონტოს ერთ-ერთ ეპისკოპოსს, — რომელსაც გრიგოლი „ყოვლადუსამღვდელოეს პაპს“ უწოდებს, როგორც, ზოგადად, იმ დროში ეპისკოპოსებს მიმართავდნენ ხალხში, — თუმცა, ეპისტოლე განკუთვნილია პონტოს ყველა ეპისკოპოსისათვის. იგი იმათ ეხება, ვინც ბარბაროსების შემოსევისას (მაგალითად, გოთების), კერპებისთვის შენაწირი შეჭამეს ან სხვა შეცოდებე-

*ეპისტოლე მიწერილია ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისადმი, რომელიც, ძველი ჩვეულებისამებრ, პაპადაც იწოდება.

ბი ჩაიდინეს, როგორც ეს თვით ეპისტოლეს სათაურშია აღნიშნული,* და 10 ცალკეული კანონით შესაბამის სასჯელებს განუწესებს მათ.

წინამდებარე კანონი თავიდან იმ ქრისტიან ტყვეებზე საუბრობს, რომლებიც ბარბაროსებთან ჭამდნენ, შემდეგ კი იმ ტყვე ქალებზე, რომლებიც ბარბაროსებმა ხორციელად შებილწეს. იმ ორი საკითხის შესაბამისად, რომელთა შესახებაც წინამდებარე კანონი საუბრობს, ის „კანონთა წიგნში“ და ასევე „პიდალიონში“ ორად არის გაყოფილი.

პირველთან დაკავშირებით, ანკვირიის კრებამ თავისი მე-4 და მე-5 კანონებით ეპიტიმიას დაუქვემდებარა ის ქრისტიანები, რომლებმაც კერპისთვის მსხვერპლად შეწირული ჭამეს, თუნდაც მათ ეს გაეკეთებინათ მტანჯველების მხრიდან ძალის გამოყენებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, წმინდა გრიგოლი მხედველობაში იღებს იმას, რომ ქრისტიანებს, რომლებიც ბარბაროსებთან ერთად ჭამდნენ, შეიძლება ეჭამათ მხოლოდ შიმშილის მოსაკლავად და არა როგორც კერპისთვის შეწირული მსხვერპლი; ასეთ შემთხვევაში მათ არ მიიჩნევს შემცოდებლებად და არ აკისრებს რამე სასჯელს, რამეთუ ეყრდნობა წმინდა წერილიდან მაცხოვრის სიტყვებს: ***„არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა.“*** რაც შეეხება ბარბაროსების მიერ დატყვეებულ ქალებს და მრუშობით შებილწულებს, წმინდა მამა ამ კანონის მეორე ნაწილში (ან „კანონთა წიგნის“ რედაქციით მე-2 კანონში), ერთმანეთისგან ასხვავებს ქალებს, რომელთა ცხოვრებაც მანამდე წმინდა და ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალი იყო, და მხოლოდ ახლა იქნა ბარბაროსების მიერ გაუპატიურებული, – იმ ქალებისაგან, რომლებიც მსუბუქი ყოფაქცევით იყვნენ ცნობილნი და მანამდეც სამარცხვინოდ ცხოვრობდნენ. პირველებს არ თვლის იგი დამნაშავედ და არ უწესებს რაიმე სასჯელს, მეორეთა შესახებ კი ამბობს, რომ ისინი „არცთუ მალე“ დაიშვებიან ლოცვით ერთობაში და, მაშასადამე, უნდა დაექვემდებარონ შესაბამის ეპიტიმიებს. განწესებას იმის შესახებ, რომ მრუშობით შებილწული ქალი (ძალადობის მსვერპლი) სასჯელს არ იმსახურებს, ბასილი დიდის 49-ე კანონშიც ვხვდებით.

კანონი 2 (3)

მაგრამ მძიმე საქმეა ანგარება, და შეუძლებელია ერთ ეპისტოლეში გადმოვცეთ საღმრთო წერილის ყველა ის ადგილი, სადაც არა მხოლოდ მძარცველობა, არამედ საერთოდაც მომხვეჭელობა და სხვისი საკუთრების მითვისება საძაგელი მონაგარისთვის გამოცხადებულია საზიზღარ და საშინელ საქმედ, და მასში ბრალეული ადამიანი ექვემდებარება ღმერთის ეკლესიიდან გაძევებას. ხოლო ის, რომ ბარბაროსთა შემოსევისას, ესოდენი ჭირისა და გოდების ჟამს, ზოგიერთნი გაკადნიერდნენ ეს დრო, ყველას დაღუპვით რომ ემუქრება, საკუთარი გამდიდრების დროდ მიეჩნიათ, – დამახასიათებელია უკეთური და ღმერთმოძულე ადამიანებისთვის, რომ-

*„ბარბაროსების შემოსევისას კერპებისთვის შეწირული საკვების მჭამელთა და სხვა რაიმეში შემცოდებელთა შესახებ“.

ლებიც სისაძაგლის უკიდურეს ზღვრამდე მისულან. ამიტომ სამართლიანადაა აღიარებული ყველა ასეთი ადამიანის განდევნა ეკლესიიდან, რათა მთელს ერს არ ეწიოს (ღმერთის) რისხვა, და პირველ ყოვლისა თავად (ეკლესიის) წინამძღვრებს, რომლებიც შემცოდებლებს პასუხს არ სთხოვენ ამისთვის. მეშინია, ღმერთმა *არა წარსწყმიდოს მართალი უღმრთოსა თანა*, როგორც ამის შესახებ წმინდა წერილშია ნათქვამი (იხ. დაბ. 18, 23), რადგან წერია აგრეთვე, რომ *„ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაპრსა, რომელ არს კერპთ-მსახური, არა აქუს მკუდრობა სასუფეველსა ქრისტესსა და ღმრთისასა“* და *„ამისთჳს მიიწევის რისხვაჲ ღმრთისაჲ ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა. ნუუკუე იქმნებით მსგავს მათა, რამეთუ იყვენით ოდესმე ბნელ, ხოლო აწ ნათელი ხართ უფლისა მიერ; ვითარცა შვილნი ნათლისანი, ვიდოდეთ, რამეთუ ნაყოფი სულისაჲ ყოვლითა კეთილითა და სიმართლითა და ჭეშმარიტებითა. გამოიცადეთ, რაჲ-იგი არს სათნო უფლისა, და ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ უფროისღა ამხილებდითცა. რამეთუ რაჲ-იგი ფარულად იქმნების მათ მიერ, საძაგელ არს სიტყუადცა. ხოლო ყოველივე მხილებული ნათლისაგან გამოცხადნების, რამეთუ ყოველივე განცხადებული ნათელ არს”* (ეფეს. 5, 5-13), – ასე ამბობს მოციქული. ხოლო თუკი ზოგიერთნი, რომლებსაც უწინდელი მომხვეჭელობისათვის სასჯელი დაედოთ, როდესაც მშვიდობა სუფევდა, ახლა – მრისხანების ჟამს – კვლავ მიექცევიან მომხვეჭელობისაკენ და საკუთარ ანგარებას ეძებენ ლტოლვილი ადამიანების სისხლსა და დაღუპვაში, ან ტყვეების მოკვდინებაში, – მაშინ სხვას რას უნდა ველოდოთ, თუ არა იმას, რომ მომხვეჭელობას შევრდომილნი (ღვთის) რისხვას მოიწევენ საკუთარ თავზეც და მთელ ერზეც?

(კართ. 5; გრიგოლ ნოსელი 6)

წინამდებარე კანონში საუბარია „ანგარებაზე“, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით (კოლ. 3, 5), ყველა ბოროტებისა და მოყვასთა ქონების წინააღმდეგ სხვა დანაშაულებათა ფესვია. გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონის განმარტებაში ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით ანგარების საკითხზე. იმ ქრისტიანებთან მიმართებით, რომლებმაც პონტოზე ბარბაროსების შემოტევისას ანგარებისადმი ლტოლვა გამოამჟღავნეს, – ცდილობდნენ რა მიეტაცებინათ სხვისი საკუთრება საძაგელი მონაგარისათვის, – წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელი, თავის ამ კანონში ამბობს, რომ ყველა ისინი უნდა მოიკვეთონ ეკლესიიდან ანუ, უქვემდებარებს მათ ყველაზე უმძიმეს სასჯელს, რაც კი შეიძლება განეწესოს ერისკაცს მძიმე დანაშაულისთვის.

კანონი 3 (4)

განა ამ აქარმა, ზარას ნათესავისაგან, არ შესცოდა შეცოდებით, როდესაც აიღო *„შეჩვენებულისა მისგან“* და *განარისხა „გულის წყრომითა უფალი ძეთა ზედა ისრაელისათა“* (ისუ ნავესი 7, 1, 2)? მხოლოდ მან ერთმა შესცოდა, მაგრამ მარტო არ მომკვდარა თავის ცოდვაში. ჩვენც ახლა

ასევე გვმართებს ჩვენთვის შეჩვენებულად ჩავთვალოთ ყოველგვარი ქონება, რაც სხვისია დ არა – ჩვენი. რამეთუ როგორც აქარმა აიღო ნადავლისაგან, ამგვარადვე ნადავლისგან იღებენ ახლა ესენიც, ოღონდ იმან მტრისა აიღო, ესენი კი ახლა ძმათა მიმართ ანგარებენ. დამღუპველი ანგარებაა.
(მოც. 72; ორგზ. 10; ბასილი დიდის 61; გრიგოლ ნოსელის 6, 8)

წინამდებარე კანონი „შეჩვენებულს" უწოდებს ყველა იმ ნივთს, რომელიც ჩვენი არ არის, სხვისია, და ვითვისებთ თვითანგარების მიზნით. ამ ტერმინს აქ წმინდა მამა იყენებს იმ ფაქტთან ანალოგიით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისო ნავეს დროს. როდესაც ებრაელებმა იერიქონი ალყაში მოიქციეს, ისო ნავეს ძე გამოაცხადა, რომ ქალაქის მთელი ნადავლი ღმერთისთვის უნდა შეეწირათ. მიუხედავად ამისა, ვინმე აქარმა, ბრძოლით მოპოვებული ქონებიდან, რამდენიმე ძვირფასი ნივთი მიითვისა. როდესაც ეს ამბავი გამეღავნდა, ის თავის ცოლ-შვილთან ერთად ქვებით ჩაქოლეს, მთელი მათი ქონება კი გაანადგურეს. კიდევ უფრო მძიმე სასჯელს უნდა დაექვემდებარონ ის ქრისტიანები, – წინამდებარე კანონის თანახმად, – რომლებმაც სამხედრო ნადავლიდან რამე მიითვისეს ბარბაროსების შემოსევისას, რამეთუ აქარმა მიითვისა მტრის კუთვნილი ნივთები, ამათ კი – ძმების საკუთრება. სხვა სიტყვებით, მძიმე სასჯელს ექვემდებარება ყველა ის პირი, ვინც სამხედრო ნადავლიდან მიითვისებს რამე ისეთ ნივთს, რაც მტერს არ ეკუთვნოდა. თუკი სამხედრო ნადავლი მტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ წინასწარ იყო განპირობებული, რომ ის მთლიანად ეკლესიას უნდა გადასცემოდა და, შესაბამისად, ღმერთის შესაწირი იყო, ასეთ შემთხვევაში ის პირები, რომლებიც ამ ნადავლიდან რაიმეს მოიპარავენ, ასევე ექვემდებარებიან მძიმე სასჯელს, თუმცა, მაინც, – წმინდა მამის აზრით, – არც იმდენად მძიმეს, როგორც პირველ შემთხვევაში.

კანონი 4 (5)

დაე, ნურავინ იცთუნებს თავს იმით, რაც იპოვა: რამეთუ არ შეიძლება ანგარებას ეწეოდე ნაპოვნითაც. მეორე რჯულის წიგნში ნათქვამია: *„ნუ უგულებელს ჰყოფ ზრახასა, გინა ცხოვარსა შეცთომილსა ძმისა შენისასა, ნუ უდებ ჰყოფ მას, არამედ მოქცევით მოაქციო იგი და მისცე ძმასავე მას შენსა. უკეთუ შორს იყოს ძმა იგი შენი, ადგილ, უბანსა ნუ დაუტევებ მას, არამედ მოიყუანე იგი სახიდ შენდა, და რაჟამს ეძიებდეს ძმა იგი შენი მიეც მას. ეგრეცა კარაული მისი ჰყო, ეგრეცა სამოსელი მისი ჰყო, ეგრეცა ყოველივე რაიცა წარწყმედილ იყოს ძმისა შენისა, რაჟამს ჰპოო იგი, არა უგულებელს ჰყო იგი, არამედ აღიღო იგი და მისცე მას. ნუ უგულებელს ჰყოფ კარაულსა ძმისა შენისსა ანუ ჴარსა, რომელი დაცემულ იყოს შეეწიო მას და აღადგინო იგი"* (მეორე რჯ. 22, 1-4), – ასე გვიღაღადებს მეორე რჯული. გამოსვლათა წიგნში კი არამხოლოდ ძმის (მოყვასის) საკუთრების მპოვნელზეა ნათქვამი, არამედ მტრისაზეც – როცა სხვისას იპოვი, უნდა *„მოაქციო და მისცე იგი"* პატრონს (გამოსვ. 23, 4, 5). ხოლო თუკი დაუშვებელია მშვიდობის დროს ანგარებდე შენი უზრუნველი და ფუფუნებაში

მყოფი ძმისა თუ მტრის დაუდევრობით დაკარგული საკუთრების მიმართ, მაშინ რაოდენ მეტადრე დაუშვებელია უბედურებაში მყოფის, მტრისაგან ლტოლვილის მიმართ იქმოდე ამას, რომელიც იძულებით ტოვებს თავის საკუთრებას.

(გრიგოლ ნოსელის 6)

ჩვენთვის ცნობილია მე-2 კანონის განწესება, რომლის თანახმადაც, ეკლესიიდან მოიკვეთება ყოველი, ვინც მხილებულ იქნება ანგარებაში, ანუ ვინც რაიმე გზით ცდილობს მითვისოს ის, რაც მას არ ეკუთვნის – რაზედაც კანონიერი უფლება არა აქვს. წინამდებარე კანონით ისჯება ის პირიც, ვინც მითვისებს გზაზე ნაპოვნ ნივთს, რომელიც მას არ ეკუთვნის. მტკიცებულებისათვის წმინდა მამას მოჰყავს ორი ადგილი ძველი აღთქმიდან. მსგავსი ქმედება ისჯება როგორც ძველი, ისე ახალი სამოქალაქო კანონებითაც. ყოველგვარი უკანონო მითვისებისათვის იმ ნივთისა, რაზედაც უფლება არ გაგვაჩნია, ანტიოქიის კრება თავისი 25-ე კანონით კანონიკურ სასჯელს განუწესებს ეკლესიის დასის წევრებს ზოგადად. და ეპისკოპოსებს – კერძოდ. იგივე საგანზე საუბრობს კიდევ ამ წმინდა მამის მე-5, მე-9, და მე-10 კანონები.

კანონი 5 (6)

სხვანი კი თავს იმით იცთუნებენ, რომ ინახავენ ნაპოვნ სხვის საკუთრებას, ნაცვლად თავისი დაკარგულისა. ამგვარად, რადგანაც ვორადები და გოთები მტრულად ექცეოდნენ მათ, ამიტომ ისინიც სხვებისთვის ვორადებად და გოთებად იქცნენ. ამისთვის ჩვენ წარმოგივლინეთ ჩვენი ძმა და თანამოღვაწე ბერი ევფროსინოსი, რათა მან მოქმედების აქაური წესის მაგალითისამებრ, მანდაც დააწესოს მსგავსი, და დაადგინოს, თუ ვისგან არის ჯეროვანი ბრალდებების მიღება და ვინ უნდა განიყენოს ლოცვებიდან.

(მოც. 74; II მსოფ. 6; კართ. 30, 128, 129; გრიგოლ ნეოკესარიელის 2, 3)

სასჯელს ექვემდებარებიან ისინიც, ვინც სხვისი, ნაპოვნი ნივთის მითვისებას იმით ამართლებს, რომ მითვისა ის მანამდე მის მიერ დაკარგული ნივთის საზღაურად. თუმცა, ასეთნაირი თავის მართლება სხვა არაფერია, თუ არა მოპარვის გამართლება, ამიტომ მსგავსი დანაშაულისათვის სასჯელი სავსებით კანონიერია.

წინამდებარე კანონში წმინდა მამა ამატებს, რომ იგი პონტოს ეპისკოპოსთან, რომელსაც წინამდებარე კანონიკური ეპისტოლე მიემართება, აგზავნის ძმას ევფროსინოსს, რომელიც იმათ გააცნობს, თუ როგორ იქცევა ის თავის ეპარქიაში მსგავსი შემთხვევებისას, შემდეგ – ვისგან არის მართებული საჩივრების მიღება ზოგიერთი პირის წინააღმდეგ, დაბოლოს – ვინ უნდა განკანონდეს ლოცვებიდან ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, ანუ გაძევდეს ეკლესიიდან – როგორც ზონარა განმარტავს კანონის გამოთქმას: „განყენებას“ – და გამოცალკევდნენ ერთგული მორწმუნეებისგან, რათა არ ილოცონ მათთან ერთად. თუმცა, რაგვარად მოქმედებდა ეს წმინდა მამა თავის საეკლესიო სამთავროში ბრალმდებლებთან

დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას (ეს იყო III საუკუნის მეორე ნახევარი), — ამ კანონიდან არ ჩანს. ხოლო შემდგომი საეკლესიო კანონმდებლობის შესახებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ვისაუბრეთ II მსოფლიო კრების მე-6 და კართაგენის კრების 30-ე, 128-ე და 129-ე კანონების განმარტებებში.

კანონი 6 (7)

გვეუწყა აგრეთვე რაღაც დაუჯერებელი რამ, რაც ჩვენს ქვეყანაში მომხდარა, უეჭველია, ურწმუნო და უკეთურ ადამიანთაგან, რომელთაც უფლის სახელიც კი არ შეუცვნიათ: რომ თითქოს ზოგიერთნი ისეთ სისასტიკემდე და არაადამიანურობამდე მისულან, რომ თავისთან მონობაში ჰყავთ ბარბაროსთა ტყვეობისაგან გამოქცეულნი. წარგზავნეთ იმ მხარეში ვინმე ამის გამოსაძიებლად, რათა მეხი არ დაეცეთ ამის ჩამდენთ.

(ტრულ. 85; ღანგ. 3; კართ. 64)

წინამდებარე კანონი თავისთავად ნათელია. ზოგიერთი მართლმადიდებელი თავისთვის იტოვებდა, მონების სახით, სამხედრო-ტყვეებს, რომლებმაც ძლივს ბარბაროსებს დააღწიეს თავი. უწოდებს რა ამას სისასტიკესა და არაადამიანურობას, წმინდა მამა განაწესებს საქმის გამოძიებას და თუ დამნაშავენი აღმოჩნდებიან, უნდა დაისაჯონ ისინი მათი უკეთური საქციელებისათვის.

კანონი 7 (8)

ხოლო რომელნი თანაშეერაცხნენ ბარბაროსებს და მათთან ერთად, თავიანთი ტყვეობის დროს, დაივიწყეს რა, რომ პონტოელები და ქრისტიანები იყვნენ, იმ ზომამდე გასასტიკდნენ, რომ საკუთარ თანატომელებს ხელკეტებითა თუ მოშთობით ხოცავდნენ, ასევე უმეცარ ბარბაროსებს გზებსა და სახლებს უჩვენებდნენ, — ასეთებს მსმენელთა რიგში შესვლაც კი აეკრძალოთ, ვიდრე მათთვის რამეს არ გადაწყვეტენ ერთად შეკრებილი წმინდა მამები, და უწინარეს მათთა — სულიწმინდა.

(ანკვირ. 9; ბასილი დიდის 11, 13; გრიგოლ ნოსელის 5)

წინამდებარე კანონში საუბარია სახელმწიფო მოღალატეების შესახებ, რომლებიც მტრის მხარეს გადავიდნენ და ეხმარებიან მათ თავისიანების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ებრძვიან თავისიანებს, როგორც ნამდვილი მტრები. ასეთ ქრისტიანებთან მიმართებით, რომლებმაც თავი შეირცხვინეს აღნიშნული ბოროტმოქმედებით, კანონი განაწესებს, რომ არ შეიძლება მათი დაშვება მეორე ხარისხის მონანულებთანაც კი, ანუ მსმენელთა რიგში; მათ უნდა დაჰყონ *შეტირილებს* შორის, ესე იგი, უნდა იდგნენ ტაძრის გარეთ და ტირილით ევედრონ ტაძარში შემავალ ერთგულ მორწმუნეებს ილოცონ ღმერთის წინაშე მათთვის ცოდვების მიტევებისათვის. სინანულის ამ საფეხურზე კი იქამდე უნდა დარჩნენ, სანამ ეპისკოპოსთა კრება არ გადაწყვეტს, თუ რა სასჯელს დაუქვემდებარონ ისინი. კანონის დასკვნით ნაწილში ნათქვამია სულიწმინდის შესახებ, რომელიც შთააგონებს

ეპისკოპოსებს, როდესაც კრებაზე იქნებიან, და შეაგონებს მათ, რაგვარად გაასამართლონ მსგავსი დამნაშავენი. ამაზე ზონარა, ამ კანონის თავისეულ განმარტებაში, შენიშნავს, რომ ამით წმინდა მამა აჩვენებს, რომ ყველაფერი, რასაც ეპისკოპოსები საერთო ბჭობით აწყობენ, ან ზოგადად, ერთგული მორწმუნენი, მათ სულიწმინდის მიერ შთაეგონებათ.

კანონი 8 (9)

თუკი სხვათა სახლებზე თავდასასხმელად გაკადნიერებულნი ბრალის წაყენების შემდეგ მხილებულ იქნებიან ამაში, დაე, წმინდა წერილის მსმენელთა რიგში დადგომის ღირსნიც ნუ გახდებიან. მაგრამ თუკი თავადვე განაცხადებენ საკუთარი დანაშაულის შესახებ და მიტაცებულსაც დააბრუნებენ, მაშინ, დაე, მონანულთათვის განწესებული შეწყნარების წესით შეუვრდნენ.

(ბასილი დიდის 61; გრიგოლ ნეოკესარიელის 2; გრიგოლ ნოსელის 6)

როგორც მე-7, ისე წინამდებარე და შემდგომ კანონშიც წმინდა მამა განაწესებს სასჯელებს შესაბამისი დანაშაულებებისათვის. აქ საუბარია ქურდობის მიზნით სხვის სახლებზე თავდამსხმელთა შესახებ; კანონი ადგენს, რომ დამნაშავეებს, — თუ მათ არა საკუთარი ნებით აღიარეს ცოდვები, არამედ მხილებულ იქნენ სასამართლოზე, — სასჯელის სახით განეწესოთ *შეტირილთა* რიგში დგომა, ესე იგი, უნდა დადგნენ სინანულის ყველაზე დაბალ საფეხურზე. ხოლო, თუკი თავად აღიარეს ჩადენილი დანაშაული და მოპარული მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ისინი უნდა განწესდნენ სინანულის მესამე საფეხურზე, *შევრდომილთა* რიგში. რაც ნიშნავს, რომ ეკლესიაში შეეძლოთ ყოფილიყვნენ მორწმუნეებთან ერთად, მაგრამ — მუხლმოდრეკილნი, და მხოლოდ — კათაკმეველთათვის ლოცვამდე,რომლის შემდეგაც ტაძარი უნდა დაეტოვებინათ.*

კანონი 9 (10)

ხოლო რომლებიც ველზე ან საკუთარ სახლებში ბარბაროსებისგან დარჩენილ რაიმე ნივთს მიიხვეჭენ, და ამაში ბრალდების წაყენების შემდეგ იმხილებიან, დაე, დადგინდნენ შევრდომილთა რიგში, ხოლო, თუკი თავადვე განაცხადებენ და ნაპოვნს დააბრუნებენ, მაშინ ლოცვის ღირსნიც გახდნენ.**

(ბასილი დიდის 61; გრიგოლ ნეოკესარიელის 2, 5, 8; გრიგოლ ნოსელის 6)

**შევრდომილნი* მუხლმოდრეკილნი იდგნენ მორწმუნეებთან ერთად ამბიონის დასავლეთ ნაწილში. მსმენელთა ეკლესიიდან გასვლისთანავე (*მსმენელები* კათაკმეველებთან ერთად გამოდიდონენ ეკლესიიდან), ისინი დაემხობოდნენ მიწაზე; ეპისკოპოსი ლოცულობდა მათთვის და შემდეგ ისინი გადიოდნენ ეკლესიიდან" — „დიდი სჯულისკანონი", გამომცემლობა „მეცნიერება", 1975, გვ. 596.

***ცხადია, არა ბარბაროსების საკუთრებაზეა საუბარი, არამედ მათ მიერ ადგილზე მიტაცებულის შესახებ. — *მთარგ.*

ამ კანონში, ისევე, როგორც მე-4 და მე-5 კანონებში, საუბარია ვინმეს მიერ ნაპოვნ და მითვისებულ ნივთებზე. თანაც, თუ მპოვნელი არ დააბრუნებს ნივთებს კუთვნილებისამებრ და არ აღირებს მითვისებას, საქმე კი სასამართლოს გადაეცემა და იქ იგი მხილებული აღმოჩნდება, ასეთ შემთხვევაში მას, სასჯელის სახით, *შეერდომილთა* რიგებში ყოფნა განეწესება. ხოლო თუ განაცხადებს ნაპოვნის შესახებ და დააბრუნებს მას, მაშინ დამნაშავე არ არის, თუმცა კანონი ასეთის მიმართაც ამბობს, რომ მხოლოდ ლოცვით ერთობაში უნდა დარჩეს *(თანამდგომარე)* და წმინდა ზიარების უფლება არ აქვს. სასჯელი, ერთი შეხედვით, გაუმართლებელია, ამიტომაც **ბალსამონი** მისეულ განმარტებაში შენიშნავს, რომ ეს რაღაც ახალია, რამეთუ ის უმალ მადლობას იმსახურებს იმისათვის, რომ შეინახა ტყვედყოფილის ქონება და დააბრუნა იგი.

კანონი 10 (11)

ამ მცნების აღმსრულებლებმა ყოველგვარი ბილწი მომხვეჭელობის გარეშე უნდა აღასრულონ ის, და არ მოითხოვონ საზღაური აღნიშნული ნივთების დაბრუნებისათვის, არც მათი შენახვისათვის, არც პოვნისათვის თუ სხვა რაიმესათვის, რა სახელიც არ უნდა უწოდონ ამის საბაბს.

(გრიგოლ ნეოკესარიელის 4, 5; გრიგოლ ნოსელის 6)

ეს კანონი განაწესებს, რომ ის, ვინც რაიმე ნივთს იპოვის, არ უნდა მოითხოვოს იმის სანაცვლოდ, რომ განაცხადა და დააბრუნა, რაიმე სახის ჯილდო, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი დაამტკიცებდა რომ „სიბილწის მომხვეჭელს" წარმოადგენს. მან ეს უნდა გააკეთოს კეთილი ნებითა და ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნილების საფუძველზე. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევას ეხება, რომლის შესახებაც წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელის კანონები ლაპარაკობს. ხოლო როდესაც ვინმე იპოვის ნივთს, რომლის მფლობელმაც ის შემთხვევით ან დაუდევრობით დაკარგა, მაშინ არანაირ „სიბილწის მომხვეჭელობას" არ ექნება ადგილი, თუკი მპოვნელი დაკარგულ ნივთს მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნებს და ამისთვის დასაჩუქრებას მოითხოვს.

კანონი 11 (12)

შეტირება სამლოცველო ტაძრის კარიბჭის გარეთ ხდება, სადაც შემცოდებელი უნდა იდგას და მისთვის ლოცვას ევედროს (ტაძარში) შემსვლელ მორწმუნეებს. *მსმენელობა* ტაძრის კარიბჭის შიგნით ხდება – სტოაში, სადაც ცოდვილი უნდა იდგეს კათაკმეველთათვის ლოცვამდე, ხოლო ამის შემდეგ გარეთ გავიდეს. რამეთუ წესი გვიღაღადებს: მოისმენს რა წერილსა და დამოძღვრას, დაე, განვიდეს, და ნუ იქნება ღირსი ლოცვისა. *შეერდომილთა* წესი ის არის, როცა მონანული ტაძრის შიგნით დგას და კათაკმეველებთან ერთად გადის ტაძრიდან. ხოლო *თანამდგომარეთა* წესი – როცა მონანული მართლმორწმუნეებთან ერთად დგას ტაძარში და არ

გადის კათაკმეველებთან ერთად. საბოლოო კი არის წმინდა საიდუმლოთა ზიარება.

(I მსოფ. 11; ანკვირ. 4, 8, 9; ბასილი დიდის 22, 56, 75, 81, 83)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლეს უფრო გვიანდელ დამატებას, რომელიც 10 კანონს მოიცავს; თუმცა, ყველა ძველ კანონიკურ კრებულში ეს კანონი მიჩნეულია ეპისტოლეს შემადგენელ ნაწილად. ჩვენ ასევე აღვნიშნეთ, რომ წინამდებარე (მე-11) კანონი შედგენილია იგივე საკითხთან დაკავშირებით ბასილი დიდის განწესებიდან, კერძოდ, ბასილი დიდის 75-ე კანონიდან. დაწვრილებით სინანულის ხარისხების შესახებ ნათქვამია „კანონების მიმოხილვაში", რომელიც დაბეჭდილია „ათენის სინტაგმაში" (IV, 405) და ეს იქ დგას ბასილი დიდის სახელით. იგივეს ვხვდებით „კორმჩაიაშიც" (თავ. 23-ე), სადაც მოხსენიებულია, როგორც ამ კანონში, სინანულის ოთხი ხარისხი: *„შეტირება", „მსმენელობა", „შევრდომა"* და *„ერთგულებთან თანამდგომარე-ყოფა"*. წინამდებარე კანონის განწესების შესახებ ჩვენ მიერ უკვე ნათქვამია, რაოდენიც საჭიროა, I მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტებაში. უფრო მეტი ცნობიერებისათვის შეგიძლიათ იხ. იქვე მოყვანილი ძველი ქრისტიანული ეკლესიის გეგმის გამოსახულება.

კანონები წმინდა პეტრესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა და მოწამისა, მისი სიტყვიდან სინანულის შესახებ

კანონი 1

რადგანაც უკვე მეოთხე პასექი ახლოვდება დევნილობის დასრულებიდან, ამიტომ საკმარისია განყენების დრო იმათთვის, რომელნიც დასმენას ეწივნენ, საპყრობილეში იყვნენ ჩაგდებულნი, სასტიკი ტანჯვა-წამება და აუტანელი ჭრილობები და ბევრი სხვა მძიმე შეჭირვება დაითმინეს და რომელთაც, ბოლოს, სხეულის უძლურებამ უღალატა. მართალია, ისინი თავიდან არ იყვნენ შეწყნარებულნი ეკლესიაში მათი უმძიმესი დაცემის გამო, მაგრამ რადგანაც მათ ბევრი იღვაწეს და დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ მტერს (რადგან რწმენას გარდახდნენ არა თავიანთი ნებით, არამედ იმის გამო, რომ სხეულის უძლურებამ დააღალატა ისინი, რამეთუ იესოსნაირ ჭრილობებსაც კი წარმოაჩენენ ხოლმე თავიანთ სხეულებზე და ზოგიერთი მათგანი უკვე მესამე წელია შეტირილთა რიგში დგას), ამიტომ მათ ამ ეპიტიმიას კიდევ ორმოცი დღე დაემატოს, იმის გახსენებით, თუ როდის მიეახლნენ ისინი ეკლესიას. ამ რაოდენობის დღეთა განმავლობაში უფალი და მაცხოვარი ჩვენი იმარხვიდა ნათლის-ღების შემდეგ და მერმე გამოცდილ იქნა ეშმაკისგან. ამ რაოდენობის დღეთა განმავლობაში, დაე, ესენიც დაშვრებოდნენ და უფრო გულმოდგინედ მარხულობდნენ, ამასთან ლოცვებში მღვიძარებდნენ და განუწყვეტლივ ფიქრობდნენ იმ სიტყვებზე, უფალმა რომ უთხრა მაცთურს, რომელიც მისგან თავის თაყვანისცემას მოითხოვდა: *„წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“* (მთ. 4, 10).

(მოკ. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 4; გრიგოლ ნოსელის 2)

წინამდებარე და შემდგომი 13 კანონი, რომლებსაც ლათინურ გამოცემებში „სინანულის კანონები“ ეწოდებათ, შედგენილია პეტრეს სიტყვიდან „სინანულის შესახებ“, რომელიც მან ალექსანდრიაში დაწერა მაქსიმიანეს დევნილობიდან მე-4 წელიწადს – ანუ ქრისტიანული ერის 306 წელს – იმათთვის, ვინც დევნილობის ჟამს დაეცა, და განაწესებს, თუ რა სახის ეპიტიმიებს უნდა დაექვემდებარონ ისინი სინანულში მოსვლის შემთხვევაში.

წმინდა პეტრე ალექსანდრიელის ყველა ეს კანონი, ზოგადად, შეიცავს იმას, რასაც ანკვირიის კრების პირველი 9 კანონი, რომლის სხდომაც შედგა მხოლოდ 8 წლის თავზე იმის შემდეგ, რაც ამ წმინდა მამამ დაწერა თავისი სიტყვა „სინანულის შესახებ“, რომლისგანაც შედგენილია წინამდებარე კანონები. მოხსენიებული ანკვირიის კრების კანონებში ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ იმათ შესახებ, ვინც დევნილობისას განუდგა ქრისტიანობას, მათი განდგომის ხარისხებსა და მიზეზებზე, ასევე იმ სასჯელებზე, რომლებსაც უნდა დაქვემდებარებოდნენ შემდგომში, როდესაც დევნილობა შეწყდებოდა და ისინი კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდებოდნენ.

ამის გამო ჩვენ ვტოვებთ ამ წმინდა მამის ყველა 14 კანონს სპეციალური განმარტების გარეშე, რამეთუ ანკვირიის კრების შესაბამისი კანონების მოხსენიებული განმარტებანი იმავდროულად ემსახურება ამ კანონების განმარტებასაც. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების სისტემატიზირებული გადმოცემა ქრისტიანობიდან განდგომის შესახებ კი ჩვენ წარმოვადგინეთ სხვა ადგილას.*

კანონი 2

იმათთვის, რომლებიც შეპყრობისა და საპყრობილის ჭირთა და სიმყრალის დათმენის შემდეგ, თითქოსდა მტრისაგან გარემოცულნი, შემდგომში უბრძოლველად, სატანჯველთა დათმენის გარეშე გახდნენ ტყვეები და შეიმუსრნენ ძალთა უკიდურესი სიმწირისა და ერთგვარი სიბრმავის გამო, – საკმარისია წინამავალ დროზე ერთი წლის დამატება, რამეთუ ისინიც მთლიანად მიეცნენ სატანჯველს ქრისტეს სახელისათვის, თუმც კი დიდ ნუგეშს ილებდნენ საპყრობილეში ძმებისგან. ამისთვის, სურთ რა გათავისუფლდნენ ეშმაკის უმწარესი ტყვეობისაგან, დაე, ბევრად აღმატებული მიუზღან, გაიხსენებენ რა უმჯობესად მეტყველს: *„სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე მახარებელად გლახაკთა, მომავლინა მე განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა აღხილვად, განვლინებად მომსრვალთა განტევებითა, და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული“* (ეს. 61, 1, 2; ლუკ. 4, 18, 19)

(მოც. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 1, 2, 3, 9, 12; ბასილი დიდის 73, 81; გრიგოლ ნოსელის 2, 5)

კანონი 3

ხოლო რომელთაც არაფერი ასეთი არ გადაუტანიათ და არ უჩვენებიათ რწმენის ნაყოფნი, არამედ ნებაყოფლობით გაქცეულან ბოროტის მხარეს, ვისაც სულმოკლეობისა და შიშის გამო ჩაბარებიან, აწ კი სინანულად მოსულან, – ჯერ არს და შეეფერებათ მივუყენოთ იგავი უნაყოფო ლეღვის შესახებ, როგორც უფალი ამბობს: *„ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი საევნაჴესა თჳსსა; მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა. და ჰრქუა ვენაჴისმოქმედსა მას: „აჰა ესერა, სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქვეუანაჲცა დაუპყრიეს უქმად?“* ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: *„უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოჴნო მას გარემო და სკორე დაუდვა, ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი“* (ლუკ. 13, 6-9). ექნებათ რა ეს იგავი თვალწინ და წარმოაჩენენ სინანულის ღირს ნაყოფს იმავე დროის, ანუ ოთხი წლის განმავლობაში, ამისგან უდიდეს სარგებელს მიიღებენ.

(მოც. 62; ანკვირ. 6, 9; გრიგოლ ნოსელის 2)

---

*იხ. ჩემი: „Црквено казнено право“ (Мостар, 1911), стр. 344-352.

კანონი 4

ხოლო სრულიად სასოწარკვეთილთა და შეუნანებელთათვის, რომელთაც კანის მუდმივი სიშავე და ფოცხვერის სიჭრელე შეუძენიათ, დაე, სხვა ლეღვის მიმართ გამოთქმული განაჩენი იქნას გამოყენებული: *„ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ“* (მათე 21, 19), რის გამოც იგი მაშინვე გახმა. მათზე ეკლესიასტეს ნათქვამიც აღესრულება: *„გარდაქცეული არა შესაძლებელ არს შემკობად, და ნაკლული არა შესაძლებელ არს აღრიცხვად“* (ეკლესიასტე 1, 15). რამეთუ გარდაქცეულისათვის (გარყვნილ-დამახინჯებულისათვის) შეუძლებელია გამშვენიერდეს, თუ ჯერ არ გამოსწორდა, და ნაკლულიც შეუძლებელია აღირაცხოს, თუკი ჯერ არ შეივსება. ამიტომაც, ბოლოს, მათ შეიძლება ის შეემთხვათ, რაც წინასწარმეტყველ ესაიას მიერ არის ნათქვამი: *„და განვიდენ და იხილონ ძვალები კაცთა, გარდამავალთა ჩემდამო, რამეთუ მატლი მათი არა დაესრულოს და ცეცხლი მათი არა დაშრტეს, და იყვნენ სახილველ ყოვლისა ჭორცისა“* (ეს. 66, 24), და კიდევ *„ხოლო ცრუნი ვითარცა ზღვა აღდუღებული ეგრეთ იღელვებოდინ, და განსუფნებად ვერ შემძლებელ იყუნენ. არა არს სიხარული უთნოთა, იტყჳს უფალი ღმერთი“* (ეს. 57, 20, 21).

(მოკ. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 9; ბასილი დიდის 84, 85; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 5

ზოგიერთნი თავს დავითის მსგავსად მოაჩვენებდნენ, რომელიც სულელად იკატუნებდა თავს სიკვდილისაგან გადასარჩენად, თუმცა კი სულაც არ იყო გონებანაკლული. მათ პირდაპირ არ მოუწერიათ ხელი რწმენისაგან განდგომაზე, არამედ მეტად მძიმე გარემოებებში შეაგინეს მტრების მანქანებანი, მსგავსად იმისა, როგორც გონიერი და მოხერხებული ბავშვები დასცინიან ხოლმე უგუნურ ბავშვებს, – ანუ მათ გვერდით ჩაუარეს საკერპე სამსხვერპლოებს, ან ხელწერილი მისცეს, ანდა წარმართები დააყენეს თავიანთ სანაცვლოდ. მართალია, ზოგიერთ მათგანს, როგორც მსმენია, გამოუვლინეს კიდეც შემწყნარებლობა ცალკეულმა აღმსარებლებმა, რადგანაც ისინი დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ცეცხლის დანთება და კმევა არაწმიდა დემონებისათვის საკუთარი ხელით, და მართალია, ვერ შენიშნეს და მიუხვედრელობით გააკეთეს ეს, მაგრამ მაინც დაეკისრათ ექვსთვიანი ვადა სინანულისათვის ღმერთისკენ მოსაქცევად. რამეთუ ასე ესენიც უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ, იფიქრებენ რა წინასწარმეტყველის ნათქვამზე: *„რამეთუ ყრმა იშვა ჩუფნდა ძე, და მოგუფცა ჩუფნ; რომლისა მთავრობა იქმნა მჴარსა ზედა მისსა; და ჰქჳან სახელი მისი, დიდისა განზრახვისა ანგელოზი; საკჳრველი თანა განმზრახი ღმერთი ძლიერი ჴელმწიფე მთავარი მშჳდობისა; მამა მერმეთა საუკუნოსა“* (ეს. 9, 6). ეს ყრმა, როგორც იცით, ჩასახული ექვსი თვის შემდეგ სხვა ყრმის ჩასახვიდან, რომელიც მისი გამოსვლის წინ ქადაგებდა სინანულს მისატევებელად ცოდვათა, ჩასახულ იქნა ასევე იმისთვის, რომ

სინანული ექადაგა. რამეთუ გვესმის ორივე მქადაგებელისა, პირველ ყოვლისა, არამხოლოდ სინანულისათვის, არამედ ცათა სასუფეველისათვის, რომელიც, როგორც გვასწავლეს, *შორის ჩუენსა არს* (შდრ. ლუკ. 17, 21), რადგანაც *„მახლობელ შენდა არს სიტყუაჲ ეგე პირსა შენსა და გულსა შენსა, ესე იგი არს, სიტყუაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელსა ვქადაგებთ, ვითარმედ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, რამეთუ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხონდე“* (რომ. 10, 8, 9).

(მოც. 62; ანკვირ. 1, 6; პეტრე ალექსანდრიელის 7; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 6

ზოგიერთებმა ქრისტიანი მონები თავიანთ სანაცვლოდ დააყენეს (დევნილობის ჟამს), მონები კი, როგორც ხელქვეითნი და გარკვეული სახით თავადაც თავიანთი ბატონების ტყვეობაში მყოფნი, მათი მუქარისა და შიშის გამო იქნენ მიყვანილნი კერპთმსახურებამდე და დაეცნენ. ასეთმა მონებმა, დაე, ერთი წლის განმავლობაში გამოაჩინონ სინანულის საქმენი, და ისწავლონ ამიერიდან, როგორც ქრისტეს მონებმა, რომ ღმერთის ნება უნდა აღასრულონ და მისი ეშინოდეთ, განსაკუთრებით კი ის ისმინონ, რომ *„რაჲცა ვინ ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან გინა თუ აზნაურმან“* (ეფეს. 6, 8).

(მოც. 62; ანკვირ. 3; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 7

აზნაურნი (თავისუფალნი) კი, დაე, სამი წლის განმავლობაში გამოიცდებოდნენ სინანულში, — იმიტომაც, რომ თვალთმაქცობდნენ, და იმიტომაც, რომ აიძულეს თავიანთი (უფლისმიერი) თანამონები მსხვერპლი შეეწირათ კერპებისათვის, რამეთუ ამის ჩადენით მათ არ შეისმინეს მოციქულისა, რომელსაც სურს, რომ *„უფალნი* (ბატონნი) *ეგე ეგრეთვე ჰყოფდით მათა* (მონათა) *მიმართ, შეუნდობდით რისხვასა, უწყოდეთ, რამეთუ თქუენი და მათი უფალი ცათა შინა არს, და თუალთ-ღება არა არს მის თანა“* (ეფეს. 6, 9); ხოლო თუკი ჩვენ ერთი, მიუკერძოებელი უფალი გვყავს, — რადგან *„არა არს წარმართ და ჰურია,... ბარბაროზ, სკჳთელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“* (კოლ. 3, 11), მაშინ რომელთაც საკუთარი სულის ცხონება სურთ, უნდა შეხედონ, თუ რა ჩაიდინეს, როცა კერპთმსახურებაში ჩააგდეს თავიანთი (უფლისმიერი) თანამონები, რომლებსაც ასევე შეეძლებოდათ თავიდან აეცილებინათ ეს, თუკი მათი ბატონები *„სამართალსა და სწორსა* (თანასწორობას) *მისცემდით მონათა მათ“*, — როგორც კვლავაც იტყვის მოციქული (კოლ. 4,1).

(მოც. 62; ანკვირ. 1, 6; პეტრე ალექსანდრიელის 5; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 8

რომლებიც გაცემულ იქნენ და დაეცნენ, მაგრამ თავად მოვიდნენ ღვაწლად, თავი ქრისტიანებად აღიარეს და ჩაგდებულ იქნენ საპყრობილეში და ეწამნენ, სამართლიანი იქნება განვამტკიცოთ გულის მხიარულებაში და ყოველივეში გვქონდეს მათთან ერთობა, – როგორც ლოცვებში, ასევე ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარებაში, და სიტყვით ნუგეშინის-ცემაში, რათა განუწყვეტელი ღვაწლით ისინიც ღირს იქმნენ გარეგანი წოდების პატივისა. რამეთუ ნათქვამია: *„შუდ გზის დაეცეს მართალი და აღდგეს“* (იგავ. 24, 16). ყოველი დაცემული რომ ამგვარად მოქცეულიყო, ამით სრულყოფილ და უგულმოდგინეს სინანულს წარმოაჩენდა.

(მოც. 62; I მსოფ. 12; ანკვირ. 3; პეტრე ალექსანდრიელის 9; ბასილი დიდის 3)

კანონი 9

ერთობა უნდა გვქონდეს იმათთანაც, რომლებიც, თითქოსდა ძილისგან გამოფხიზლდნენო, დიდი მოშურნეობით შეუდგნენ ღვაწლს, მაშინ, როცა ის (განსაცდელი) ჯერ არ გაცხადებულიყო, არამედ მხოლოდ ემზადებოდა მათ მისაზიდად და თავადვე მოაწიეს საკუთარ თავზე მსგავსი ზღვის ძლიერი მღელვარებისა; განსაკუთრებით ძლიერად ძმების მიმართ აღაგზნეს ცოდვილთა ნაკვერცხალი. ასეთნი, თუმც, ქრისტეს სახელით ეძლევიან ამას (განსაცდელს), მაგრამ არ შეისმენენ მის სიტყვებს, რომლებითაც იგი განგვსწავლის: *„იღუძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხუდეთ განსაცდელსა“* (მთ. 26, 41), და კვლავაც ლოცვით შეეღაღადებდეთ მამას: *„და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა; არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან“* (ლუკა 11, 4). შესაძლოა მათ არც კი იციან, რომ ჩვენი სახლის უფალი და მოძღვარი ხშირად არიდებდა თავს იმათ, რომელთაც მისი ცილშეწამება სურდათ, და რომ ზოგჯერ მათი გულისთვის არც ვიდოდა განცხადებულად, და როცა მისი ვნების დრო მოახლოვდა, თავად კი არ მისცა თავი, არამედ ელოდა, სანამ მახვილითა და წათებით არ მივიდნენ მის შესაპყრობად, და მაშინღა უთხრა მათ: *„ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით თქუენ მახულითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა“* (მარკ. 14, 48). ხოლო მათ, – ამბობს მახარებელი. – პილატეს გადასცეს იგი. მის მსგავსად, ევნენ მისი მიზნისკენ მავალნიც, ახსოვდათ რა მისი ღვთაებრივი სიტყვები, რომლებითაც განგვამტკიცებს ჩვენ, ლაპარაკობს რა დევნილობებზე: *„ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდნენ თქუენ კრებულსა, და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ“*, – მიგცემდნენო, ამბობს, და არა თავად მისცემთ თავსო; – *„და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთჳს საწამებელად მათდა და წარმართთა“* (მთ. 10, 17, 18), და არა თავად მიხვალთო. რამეთუ მას სურს, რომ მისი სახელისთვის დევნილობის დათმენისას, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადავდიოდეთ, როგორც გვესმის ამის შესახებ მისი სიტყვები, როცა ამბობს: *„რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიიელტოდეთ სხუად“* (მთ. 10, 23), რადგანაც მას არ

ნებავს, რომ ჩვენ თავად მივეახლოთ ეშმაკის საჭურველთმტვირთველთ და შუბოსნებს, რათა მათთვის მრავალი სიკვდილის მიზეზნი არ გავხდეთ, როცა თითქოსდა ვაიძულებთ მათ უფრო მეტ გასასტიკებას და მომაკვდინებელ საქმეთა აღსრულებას, არამედ (სურს, რომ) მოველოდეთ და თავს ჩავუკვირდებოდეთ, ვმღვიძარებდეთ და ვლოცულობდეთ, რათა არ შევიდეთ განსაცდელში. ასე, სტეფანე, რომელმაც მის კვალად პირველმა მიიღო სატანჯველი, ურჯულოებმა შეიპყრეს იერუსალიმში, მიიყვანეს საკრებულოში, სადაც ჩაიქოლა უფალ იესო ქრისტეს სახელისათვის, განდიდდა და ასე ლოცულობდა: *„უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“* (საქ. 7, 60). ასევე, იაკობიც, მეორე შეიპყრო ჰეროდემ და თავი მოჰკვეთა. ასე, მოციქულთაგან რჩეული პეტრეც მრავალგზის იქნა შეპყრობილი, საპყრობილეში ჩაგდებული, შეგინებული და ბოლოს, რომში ჯვარცმული. ყოვლადქებულ პავლესაც, მას შემდეგ, რაც მრავალგზის გასცეს იგი, ჭირნი დაითმინა თვით სიკვდილამდე, ბევრი იღვაწა და იქადოდა მრავალი დევნითა და შეჭირვებებით, იმავე ქალაქში მოჰკვეთეს თავი მახვილით. იგიც, თავს იქებს რა დათმენილი ტანჯვით, დაასკვნის, რომ დამასკოში ღამით კალათით ჩაუშვეს გალავნიდან *„და განვერი ჴელთაგან მისთა“*, ვისაც ჩემი შეპყრობა უნდოდაო (2 კორ. 11, 33). ვინაიდან მათი მთავარი საქმე ღვთის სიტყვის ქადაგება და დამოძღვრა იყო, რითაც ძმებს რწმენაში განამტკიცებდნენ და იმასაც ამბობდნენ, რომ *„მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა“* (საქ. 14, 22), რამეთუ ისინი სარგებელს თავისთვის კი არ ეძებდნენ, არამედ მრავალთათვის, რათა ცხონება მიეღოთ. და კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ასეთი ადამიანებისათვის, რათა გონივრულად მოქცეულიყვნენ, მაგრამ როგორც მოციქული ამბობს, *„დამაკლებს მე ჟამი ესე მითხრობად“** (ებრ. 11, 32).

(მოც. 62; ანკვირ. 3, 5; პეტრე ალექსანდრიელის 8; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 10

ამიტომ, ვინც სამღვდელოთაგან ნებაყოფლობით გავიდა სამოღვაწეოდ, დაეცა და კვლავ განაახლა ღვაწლი, არ არის მართებული, რომ შემდგომში მღვდელმსახურებაში დარჩეს, რამეთუ მიატოვა უფლის სამწყსო და შეიგინა თავი, რაც არც ერთ მოციქულს არ გაუკეთებია. რამეთუ, მართალია, მრავალდევნაგამოვლილმა და მოღვაწეობაში მრავალი გამარჯვებით გამორჩეულმა ნეტარმა მოციქულმა პავლემ იცოდა, რომ უმჯობესია მოკვდე და ქრისტესთან იყო** მაგრამ მაინც დასძენა და თქვა: *„ხოლო დადგრომაჲ ჴორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს“* (ფილიპ. 1, 24). რამეთუ მხედველობაში მუდამ ჰქონდა არა საკუთარი სარგებლობა, არამედ — მრავალთა, რათა ცხონდნენ; საკუთარ სიმშვიდეზე უფრო საჭიროდ მიიჩნევდა ძმებთან

*ანუ, დრო არ მეყოფა უფრო მეტის მოსათხრობადო.

**„ჩემდა ცხორება ქრისტე არს, და სიკუდილი — შესაძინელ“, — ფილიპ. 1, 21.

ყოფნას და მათზე ზრუნვას. იგი მოძღვარსაც მოძღვრობაში ყოფნას უბრძანებს და მართლმორწმუნეთათვის მაგალითის მიცემას. ამიტომაც ისინი, რომლებიც დაცემისა და საპყრობილეში ღვაწლის განახლების შემდეგ, მღვდელმოქმედების უფლებას ეძიებენ თავისთვის, სრულიად არაგონივრულად იქცევიან. რამეთუ როგორ მოითხოვენ იმას, რაც თავადვე მიატოვეს მაშინ, როცა შეეძლოთ სასარგებლონი ყოფილიყვნენ ძმებისთვის ასეთ დროს? სანამ ისინი შეურყეველნი იყვნენ, შენდობა ჰქონდათ თავიანთ განუსჯელ საქციელში, მაგრამ როცა დაეცნენ, ამის შემდეგ უკვე აღარ ძალუძთ მღვდელმოქმედება, როგორც უწესობის ჩამდენთ და საკუთარი თავის შემაგინებელთ. ამრიგად, გვერდზე გადადონ ქედმაღლობა და თავმდაბლობით იზრუნონ განსაკუთრებით იმისთვის, თუ როგორ დაასრულებენ თავიანთ მსვლელობას. რამეთუ საკვლებით საკმარისია მათთვის გულმოდგინებითა და ზედმიწევნით აღსრულებული ერთობა (ეკლესიასთან), ორი მიზეზის გამო: იმისთვისაც, რომ მწუხარება არ ეწიოთ და მისგან თავის დაღწევა არ გაუჭირდეთ, და იმისთვისაც, რომ დაცემულთაგან ზოგიერთს საბაბი არ მიეცეთ იფიქრონ, თითქოსდა ისინი, მოსალოდნელ ეპიტიმიათა შიშით, სულით მოუძლურდნენ. ასეთები სხვებზე მეტად შერცხვებიან და შეიგინებიან, მსგავსად იმ კაცისა, რომელმაც (გოდოლს) საფუძველი ჩაუყარა და ვეღარ შეძლო (მშენებლობის) დასრულება, რამეთუ, როგორც ნათქვამია, *„ყოველნი, რომელნი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად მისა და თქუან, ვითარმედ: „კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად“* (ლუკ. 14, 29, 30).

(მოც. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 1, 2; ათანასე დიდის 3; ბასილი დიდის 10; თეოფილე ალექსანდრიელის 2)

კანონი 11

ზოგიერთებმა, დასაწყისში, თავადვე ჩაიგდეს თავი მძვინვარე დევნილობაში: იდგნენ რა სამსჯავროთა შორიახლოს და ხედავდნენ უმაღლესი წოდების პატივისაკენ მოსწრაფე წმინდა მოწამეებს, კეთილმოშურნეობით აღიძრნენ და დიდი კადნიერებით თავადაც მიეცნენ მოწამეობრივ ღვაწლს; განსაკუთრებით მაშინ, როცა მრავალს ხედავდნენ მტრის მიერ გატაცებულთ და რწმენისგან განდგომილთ. შინაგანად ანთებულნი და ქედმაღალი მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად შინაგანი ხმით მოწოდებულნი, ისინი ჩქარობდნენ ამაზე წასვლას, რათა მოწინააღმდეგე თავად არ წარმოჩენილიყო საკუთარი თავის წინაშე ბრძენად, იმიტომ, რომ იგი ფიქრობდა მზაკვრობით ეძლია ისინი (მოწამენი), მაშინ, როდესაც თავისდა შეუმჩნეველად მარცხდებოდა მათი მხრიდან ხორცთა ფლეთისა და გვემის, მახვილის, ცეცხლისა და წყალში დახრჩობის ახოვანი დათმენით. ამგვართათვის, ან საპყრობილეში ვნებულთა და ძლეულთათვის შიმშილითა და წყურვილით, ანდა საპყრობილის გარეთ ტანჯულთათვის სხეულის დაფლეთითა და გვემით, დაბოლოს, ძლეულთათვის სხეულის უძლურების მიზეზით, — როცა

მათთვის ზოგიერთები რწმენით ითხოვენ ლოცვისა და ვედრების აღვლენას, მართებული იქნება დავეთანხმოთ მათ. რამეთუ სულაც არ არის ვინმესთვის საზიანო თანაგრძნობა და თანალმობა აღმოუჩინონ მშობლების, ძმებისა თუ შვილებისათვის მოტირალებსა და მკვნესარეებს, რომლებიც მონდომებით იღვწოდნენ, მაგრამ ბოროტმა და მზაკვარმა ეშმაკმა დიდი ძალისხმევით დაამარცხა. ჩვენ ვუწყით, რომ სხვების რწმენითაც მიუღიათ ზოგიერთებს ღვთის სიკეთე ცოდვათა შენდობაში, სხეულის სიჯანსაღესა და მკვდართა აღდგინებაშიც. ამრიგად, მოვიხსენიებთ რა ქრისტეს სახელისათვის მათ მიერ დათმენილ ღვაწლსა და ჭირს, და არა მხოლოდ ამას, არამედ იმასაც, რომ მათ შეინანეს, და იმ ქმედებას, რომლითაც ულალატეს საკუთარ თავს, დასტირიან სხეულის გათანგვითა და მოკვდინებით, და რომ განეშორნენ ამა ქვეყანას და კეთილი მოწმობა აქვთ თავიანთი ცხოვრების შესახებ, ჩვენც მათთან ერთად ვლოცულობთ და ვითხოვთ მათ განწმედასა და სხვა შესაფერის სიკეთეებს უფლისგან, რომელიც მეოხი გვეყო მამის წინაშე და მოწყალებისათვის მისი მომდრეკელი ჩვენი ცოდვების მოსატევებლად, რამეთუ ნათქვამია: *„უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გუკვის მამისა მიმართ ქრისტე იესუ მართალი. და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთაჲ“* (1 იოანე 2, 1, 2).

(მოც. 62; ანკვირ. 4; პეტრე ალექსანდრიელის 9; გრიგოლ ნოსელის 2, 5)

კანონი 12

იმათ, რომელთაც ვერცხლი მისცეს, რათა არანაირი ბოროტებით არ შეეწუხებინათ ისინი, ნუ შეერაცხებათ ეს ბრალად. რამეთუ მათ ზარალი და ფულის დაკარგვა იწვნიეს, რათა არ განმდგარიყვნენ და არ დაეღუპათ თავიანთი სული, რაც სხვებს არ გაუკეთებიათ ანგარებისმოყვარების გამო, თუმცა კი ამბობს უფალი: *„რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს?“* (მთ. 16, 26); და ასევე: *„ვერ ჰელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“* (ლკ. 16, 13). რამეთუ მდევნელთა წინაშე ისინი წარმოჩნდნენ ღმერთის მსახურებად, რომელთაც მოიძულეს და ფეხით გათელეს ვერცხლი, უგულებელჰყვეს ის და ამით აღასრულეს წერილი: *„სახსრდ სულისა კაცისა სიმდიდრე თჳსი მას“* (იგავ. 13, 8). რამეთუ „საქმე მოციქულთაში“ ეკითხულობთ, რომ თესალონიკში პავლესთან და შილასთან ერთად ქალაქის თავთან სამსჯავროზე წაყვანილნი, სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ იქნენ გათავისუფლებულნი: მას შემდეგ, რაც ძალიან გააბოროტეს წარმართები ქრისტეს სახელის ქადაგებით და აღაშფოთეს ერი და ქალაქის თავნი, *„მოჰხადეს თავსა-მდები იასონს, და მაშინ-ღა განუტევნეს იგი. ხოლო ძმათა მეყსეულად ღამე წარგზავნნეს პაელე და შილა ბერიად“* (საქმე მოციქ. 17, 9, 10).

(მოც. 62; ანკვირ. 5)

კანონი 13

ამიტომ, რომლებმაც ყველაფერი მიატოვეს სულის ხსნისათვის და იქაურობას განეშორნენ, დაე, ნუ იქნებიან დადანაშაულებულნი იმაში, რომ მათ ნაცვლად სხვები შეიპყრეს. რამეთუ ეფესოშიც პავლეს ნაცვლად მისი მხლებელნი — გაიოზი და არისტარქო წაიყვანეს სამსჯავროზე თეატრონში, და როცა მას ხალხში გამოსვლა უნდოდა, — რადგანაც შფოთი მისი მიზეზით მოხდა, ხალხის დიდი სიმრავლის კეთილმსახურად მოქცევის გამო, — მაშინ, როგორც ნათქვამია: *„არა უტევეს მოწაფეთა. და რომელნიმე ასიადსა მთავარნი მეგობარ იყვნეს მისა, მიავლინნეს მისა და ჰლოცვიდეს, რაჲთა არა მისცეს თავი თჳსი სახილველსა მას“* (საქ. 19, 30, 31). ხოლო, თუკი ზოგიერთნი გაჯიუტდებიან და შეედავებიან იმათ, რომლებიც გულწრფელად შეისმენენ ნათქვამს: *„ცხოვნებით აცხოვნე სული შენი, ნუ უკმოიხედავ“* (დაბ. 19, 17), — ასეთებმა მოციქულთა შორის რჩეული პეტრე გაიხსენონ, უკვე ჩაგდებული საპყრობილეში, სადაც მას თექვსმეტი მცველი — *„ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა დაუყენეს ცვად“* (საქ. 12, 4), მაგრამ საიდანაც მან თავი დააღწია ჰეროდეს მომაკვდინებელ ხელს და იუდეველთა ყველა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გამოხსნილ იქნა უფლის ანგელოზის ბრძანებით: *„და ვითარცა განთენა, არა მცირედი შეზრუნებაჲ იყო ერის კაცთაჲ მათ, ვითარმედ: რაჲმე იქმნა პეტრე? და ჰეროდე ეძიებდა მას და პოვა. მაშინ განიკითხნა მცველნი იგი და ბრძანა მოკლვაჲ მათი“* (საქ. 12, 18, 19); მაგრამ მათ გამო არანაირი ბრალი არ ედება პეტრეს. რამეთუ იმათ, ყოველივე იხილეს და შეეძლოთ გაქცეულიყვნენ, ისევე, როგორც ბეთლემსა და მის სანახებში მყოფ ყრმებს, თუკი მათს მშობლებს ეცოდინებოდათ, — რა მოელოდათ; მაგრამ ისინი მოსწყდნენ ბილწი მკვლელის ჰეროდეს მიერ მისგან მოსაკლავად ძებნილი ერთი ყრმისთვის, რომელიც ასევე ილტვოდა უფლის ანგელოზის ბრძანებით და რომელმაც სწრაფად იწყო დატყვევება და მიტაცება, მისთვის წოდებული სახელის შესაბამისად, როგორც დაწერილია: *„უწოდე სახელი მისი მალიად წარმოტყუმნე, მსწრაფლ იავარ ყავ მით რამეთუ პირველ ვიდრე ცნობადმდე ყრმისა ხდად მამისა ანუ დედისა, მოიღო ძალი დამასკისა და ნატყვენავნი სამარიასნი, წინაშე მეფისა ასურასტანელთასა“* (ეს. 8, 3, 4). ამიტომაც მოგვები, როგორც უკვე დატყვევებულნი და ნადავლად ქმნილნი (მიტაცებულნი), მორჩილად და მოწიწებით ეთაყვანებიან ყრმას, ხსნიან თავიანთ საუნჯეს და მიართმევენ მას, როგორც მეფეს, ღმერთსა და ადამიანს, უდიდებულეს და ყველაზე შესაფერის ძღვენს: ოქროს, გუნდრუკსა და მურს. ამიტომაც, საღმრთო განგებულებისაგან შეწევნილებმა, აღარ ისურვეს ასურასტანელთა მეფესთან დაბრუნება.* *„და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით, — ამბობს სახარება. — რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა“* (მთ. 2, 12). ამიტომ მძვინვარე ჰეროდემ, დაინახა რა, *„რამეთუ*

---

*ასურეთის მეფედ აქ წმინდა პეტრე სახელდებს ჰეროდეს, ზემოთ მოყვანილი ესაიას წინასწარმეტყველების შესაბამისად, როგორც საღმრთო ყრმის მტერს და მისგან დამარცხებულს.

მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად; წარაელინნა და მოსწყჳდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა, ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან“ (მთ. 2, 16); მასთან ერთად სხვა ყრმასაც ეძებდა მოსაკლავად, მის უწინარეს შობილს ქვეყნად, და რაკი ვერ იპოვა, მამამისი ზაქარია მოკლა ეკლესიასა და საკურთხეველს შორის, მაშინ, როდესაც ყრმა თავის დედასთან – ელისაბედთან ერთად გაიქცა, მაგრამ ამისთვის არავინ კიცხავს მათ.

(მოც. 62; ანკვირ. 3, 5; გრიგოლ ნოსელის 2)

კანონი 14

ხოლო თუკი ზოგიერთებმა ბევრი ძალადობა და შევიწროება დაითმინეს – რკინის (ლაგამის) ამოდებაც პირში, ბორკილების დადებაც – და მაინც შეურყეველნი დარჩნენ რწმენის სიყვარულით, მხნედ დაითმინეს უწმინდური მსხვერპლისკენ ძალით გაწვდილი ხელების დაწვაც, როგორც ლიბიაში მყოფთა შესახებ მომწერეს საპყრობილედან ყოვლადნეტარმა მოწამეებმა და, ასევე, სხვა თანამუშაკებმა, – ასეთებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათთვის სხვა ძმები მოწმობენ, შეუძლიათ მღვდელმსახურებაში დაპყონ და აღმსარებელთა შორისაც შეირაცხონ, იმათ მსგავსად, რომლებიც მრავალი ტანჯვით ლამის სიკვდილამდე დაუძლურდნენ და უკვე აღარც სიტყვის წარმოთქმა ძალუძთ, აღარც ხმის გაღება და აღარც წინააღმდეგობის გაწევა ამაოდ მოძალადეთათვის. რამეთუ ისინი არ დათანხმდნენ მათ სისაძაგლეს, როგორც კვლავ თანამუშაკთაგან მოვისმინე. დაე, აღმსარებელთა შორის შეირაცხოს ყველა სხვაც, ვინც ტიმოთეს მაგალითისამებრ ცხოვრობს და მორჩილია იმისი, რომელმაც მოგვიწოდა: *„შეუდეგ სიმართლესა, ღმრთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, სიმშჳდესა; მოიღუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისაჲ, შეიტკბე საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ, რომელსაცა იჩინე, და აღიარე კეთილი იგი აღსარებაჲ წინაშე მრავალთა მოწამეთა“* (1 ტიმ. 6, 11, 12).

(მოც. 62; ანკვირ. 3, 5)

კანონი 15
მისივე. პასექის სიტყვიდან

დაე, ნურავინ გვისაყვედურებს ჩვენ ოთხშაბათისა და პარასკევის დაცვისათვის, რომელთა განმავლობაშიც კურთხეულად მოგვეცა ჩვენ მცნებად მარხვის შენახვა – გადმოცემით. ოთხშაბათს – იუდეველთა მიერ უფლის გასაცემად მოწყობილი შეკრების მიზეზით, პარასკევს კი იმიტომ, რომ უფალი ამ დღეს ევნო ჩვენთვის. ხოლო კვირა დღეს ჩვენ ვატარებთ როგორც სიხარულის დღეს, ამ დღეს მკვდრეთით აღმდგარის პატივსაცემად; ამ დღეს ჩვენ მუხლმოდრეკასაც არ ვიწყნარებთ.

(მოც. 66, 69; ტრულ. 29, 89; ლაოდ. 49, 51; ბასილი დიდის 91; ნიკოლოზ კონსტანტინოპოლელის 2)

წინამდებარე კანონი იგივეს შეიცავს, რასაც წმინდა მოციქულთა 66-ე და 69-ე კანონები, ანუ მარხვა უნდა შევინახოთ ოთხშაბათსა და პარასკევს და ვიდღესასწაულოთ კვირა დღეს; შესაბამისად, კვირას მარხვა არ შეიძლება და ლოცვების დროს — მუხლებზე დგომა. კანონში იმაზეც არის საუბარი, თუ რატომ უნდა მოქმედებდნენ ქრისტიანენი ამგვარად, სახელდობრ: ასე არის ნამცნები გადმოცემით. თუ რომელია ეს გადმოცემა, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოციქულთა დასახელებული კანონების განმარტებებში. გარდა ამისა, ჩვენ იქ ვთქვით, რომ გარდა გადმოცემისა, მარხვა ქრისტიანებისათვის განწესებულია წმინდა წერილითაც. ხოლო, თუ რატომ არ უნდა დავდგეთ კვირაობით ლოცვის დროს მუხლებზე, ეს განმარტებულია ბასილი დიდის მიერ მის წიგნში სულიწმინდის შესახებ, რომლის საფუძველზეც არის შედგენილი მისივე 91-ე კანონი.

ეპისტოლე წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა მონოზონ ამონის მიმართ

კანონი 1

ღმერთის ყველა ქმნილება კეთილი და წმინდაა. რამეთუ არაფერი უსარგებლო ან არაწმინდა არ შეუქმნია ღმერთის სიტყვას. *„რამეთუ ქრისტეს სურნელებანი ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა მათ შორის* და *წარწყმედულთა“* (2 კორ. 2, 15), — როგორც მოციქული ამბობს. ხოლო რადგანაც განსხვავებული და მრავალფეროვანია ეშმაკის ისრები და უბიწოდ მზრახველნი მას აღშფოთებამდე მიჰყავს, განაშორებს ძმებს ჩვეულებრივ ღვაწლთაგან, თესავს მათში არაწმიდა და ბილწ ზრახვებს, ამიტომ, ჩვენი მაცხოვრის მადლით და მოკლე სიტყვით, მზაკვრის ცთუნებაც უკუვაგდოთ და უმარტივესთა აზრიც დავამტკიცოთ. *„რამეთუ ყოველივე წმიდა არს წმიდათათჳს, ხოლო შეგინებულთათჳს* და *ურწმუნოთა არარაჲ არს წმიდა, არამედ შეგინებულ არს მათი გულიცა* და *გონებაჲცა“* (ტიტე 1, 15). ხოლო მაკვირვებს ეშმაკის მანქანება, რომელიც, არის რა თავად გარყვნილება და წარწყმედა, აშკარად (გარეგნულად) სიწმინდის ზრახვებს ნერგავს. მაგრამ მის მიერ მოქმედებული უფრო ცილისწამებაა, ანდა საცთური. რამეთუ, როგორც ვთქვი, იმისთვის, რომ განაშოროს მოსაგრეები ჩვეული და მაცხონებელი მზრუნველობისაგან, და ყოველივეში, როგორც ჰგონია, დაამარცხოს ისინი; ამ მიზნის მისაღწევად იგი აღძრავს ისეთ ხმას (შეხედულებას), რომელსაც არანაირი სარგებლობა არ მოაქვს ცხოვრებისათვის, არამედ მხოლოდ ამაო შეკითხვებს და ფუჭსიტყვაობას იწვევს, რომელთაც უნდა ვერიდოთ. რამეთუ მითხარ მე, საყვარელო და კეთილკრძალულო, რა აქვს ცოდვისა თუ არაწმიდებისა რომელიმე ბუნებრივ გამონადენს? ეს იგივეა, მაგალითად, ვინმემ რომ ისურვოს ბრალად შერაცხოს სისველის წამოდენა ნესტოებიდან და ნერწყვის გადმოსვლა ბაგეთაგან. შეიძლება ვისაუბროთ ამაზე მეტზეც, მუცლიდან გამონაყოფებზეც, რაც აუცილებელია ყოველი ცოცხალი არსების სიცოცხლისათვის. გარდა ამისა, რაკი გვწამს საღმრთო წერილისა, რომ ადამიანი ღმერთის ხელთა საქმეა, მაშინ როგორ შეიძლებოდა დაგვეჯერებინა, რომ წმინდა ძალისგან შეიძლება შებილწული საქმე წარმოიშვას?! ხოლო რადგან ჩვენ *„ნათესავცა ვართ“* ღმრთისა, წმინდა წერილის თანახმად (საქ. 17, 28), მაშინ, ცხადია, არაწმიდა არაფერი გვაქვს საკუთარ არსებაში. რამეთუ ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიბილწებით, როცა ცოდვას — ყოველგვარ სიმყრალეზე უარესს — ჩავდივართ. ხოლო როცა (ორგანიზმიდან) რაიმე ბუნებრივი და უნებლიე გამოყოფა ხდება, ამას ჩვენც, სხვებთან ერთად, როგორც ზემოთ ითქვა, ვექვემდებარებით ბუნებრივი აუცილებლობით. მაგრამ რადგანაც იმათ, რომელთაც სურთ მხოლოდ შეეწინააღმდეგონ სამართლიან სიტყვებს, უფრო მეტად კი ღმერთის მიერ

შექმნილს, არასწორად მოჰყავთ სახარების სიტყვებიც იმის შესახებ, რომ არა (პირით) შემავალი შებილწავს ადამიანს, არამედ (პირიდან) გამომავალი,* – ამიტომ საჭიროა მათი ეს უაზრობაც ვამხილოთ. ჯერ ერთი, ისინი საღმრთო წერილსაც, თავიანთი უმეცრებით, ვითარცა სარწმუნოებაში განუმტკიცებელნი, დამახინჯებულად იყენებენ. ხოლო ღვთაებრივი სიტყვის გონიერი გაგება შემდეგია: როცა ზოგიერთნი, ამათ მსგავსად, ორჭოფობდნენ საზრდელის გამო, მაშინ თავად უფალმა, რათა გადაეჭრა მათი უმეცრება, ანდა, უფრო მეტიც, ემხილებინა მათი ცდომილება, თქვა: *„არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა“* (მთ. 15, 11). და დასძენს ამასაც: საიდან გამომავალი? – გულიდან. რამეთუ უწყის, რომ მასშია ბილწ ზრახვათა და სხვა ცოდვათა ბოროტი საუნჯეები. უფრო მოკლედ კი ამაში განსწავლული მოციქული ამბობს: *„საჭმელმან ჩუენ არა წარგუადგინნეს ღმრთისა“* (1 კორ. 8, 8). ამ შემთხვევაში სამართლიანად შეუძლია მავანს თქვას: გარკვეული ბუნებრივი გამონაყოფიც არ მიგვიყვანს ჩვენ სასჯელამდეო. შესაძლოა, მკურნალებმაც (დაე, გარეშეთაგან მაინც დარწმუნდნენ მოკამათენი) ამის დასაცავად თქვან, რომ ცოცხალ არსებას მიცემული აქვს რაღაც აუცილებელი გამოსავალნი ზედმეტი სითხის გამოსადევნად, რაც თითოეული ჩვენგანის ორგანოებში გროვდება, როგორებიცაა თავის თმის ზედმეტობები და თავისაგან გამოყოფილი სინოტიეე, და მუცლიდან გამონაყოფი, ასევე გარკვეული სიჭარბე თესლოვან სადინარებში. ამდენად, ღვთივსაყვარელო მოხუცო, რა ცოდვაა აქ ღმერთის წინაშე, როცა ცოცხალი არსების შემქმნელმა უფალმა თავად ინება და შეჰქმნა ისე, რომ ამ ორგანოებს ასეთი გამონაყოფები ჰქონოდათ? მაგრამ საჭიროა დავასწროთ მზაკვართა საწინააღმდეგო სიტყვებს. რამეთუ შეიძლება გვითხრან: ამიტომაც ცოდვა არ იქნება თვით გამოყენებაც, როცა იარაღები (საშუალებები) შემოქმედის მიერაა მოწყობილი. ამგვარი შეკითხვის ავტორებს დადუმებას ვაიძულებთ, მივუგებთ რა შემდეგს: რომელ გამოყენებაზე ლაპარაკობ? რჯულიერზე ხომ არა? იმაზე ხომ არა, რომლის ნებაც ღმერთმა დაგვრთო, როდესაც გვითხრა: *„აღორძნდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქუეყანაჲ“* (დაბ. 1, 28)? ან იმაზე ხომ არა, მოციქულმა რომ დაუშვა, როცა თქვა: *„პატიოსან არს ქორწილი ყოველითავე და საწოლი შეუგინებელ“* (ებრ. 13, 4)? ან იქნებ იმაზე, რომელიც ადამიანებს შორის ხდება ხოლმე, მაგრამ სრულდება ფარულად და მრუშობით? რამეთუ ცხოვრების სხვა შემთხვევებშიც ვპოვებთ განსხვავებას, რაც ზოგიერთ გარემოებებში იჩენს თავს, მაგალითად: ნებადართული არ არის მოკვლა, მაგრამ მტრების მოკვლა ომში რჯულიერიცაა და შექებასაც იმსახურებს. ისეთი დიდი პატივის ღირსნი იქმნებიან ბრძოლისას სიმამაცით თავგამოჩენილნი, რომ მათი აღმატებული საქმეების წარმოსაჩენად, ხშირად ძეელებსაც კი აღმართავენ ხოლმე. ამდენად, ერთი და იგივე საქმე, დროისა და ზოგიერთ გარემოებათა გათვალისწინებით – ზოგჯერ ნებადართული არ

*იხ. მთ. 15, 11.

არის, ხოლო სხვა გარემოებებში – კეთილდროულიცაა, დაშვებულიც და ნებადართულიც. ამგვარადვე უნდა ვიმსჯელოთ ადამიანთა შორის ხორციელი კავშირის შესახებაც. ნეტარია, ვინც სიჭაბუკიდანვე თავისუფალ ოჯახს შექმნის და ბუნებრივ მოთხოვნილებას შვილების გაჩენისათვის გამოიყენებს. ხოლო თუკი – ავხორცობისათვის, მაშინ მეძავნი და მემრუშენი მოციქულის მიერ ნაუწყებ სასჯელს მოიწევენ (იხ. ებრ. 13, 4). რამეთუ ორი გზაა ცხოვრებაში ამ საგანთან მიმართებით. ერთია – ჩვეულებრივი და ცხოვრებისეული გზა, ანუ ქორწინება; მეორე კი – ანგელოზებრივი, რომელზე უფრო აღმატებული არაფერია, ანუ – ქალწულება. თუ ვინმემ საერო გზა აირჩია, ანუ ქორწინება, არ იმსახურებს გაკიცხვას, მაგრამ ვერ მიიღებს იმოდენა მადლს, თუმცა, მაინც მიიღებს გარკვეულწილად, რამეთუ მასაც მოაქვს ოცდაათმაგი ნაყოფი. ხოლო თუ ვინმემ წმინდა და ყოვლადმშვიდობიანი გზა აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ მისი გზა პირველზე უფრო სასტიკი და ძნელია, იგი უფრო საკვირველ მადლს მიიღებს, რამეთუ სრულყოფილი ნაყოფი გამოიღო – ასმაგი. ასე რომ, მათ უწმინდურ და მზაკვრულ შეკითხვებს თავისი გადაწყვეტა აქვს, – საღმრთო წერილებით ძველთაგანვე წინასაწარ განმზადებული. ამრიგად, განამტკიცე, მამაო, შენდამი დაქვემდებარებული სამწყსო სამოციქულო შეგონებებით, სახარებისეული ნუგეშინისცემით, ფსალმუნთა რჩევებით და უღაღადე უფალს: *„მაცხოვნე მე სიტყვსაებრ შენისა“* (ფსალმ. 118, 25). ხოლო მისი ეს სიტყვა მდგომარეობს მისდამი მსახურებაში წრფელი გულით. რამეთუ იცის რა ეს, იგივე წინასწარმეტყველი, თითქოსდა, თავისსავე სიტყვებს განმარტავსო, ამბობს: *„გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო“* (ფსალმ. 50, 12), რათა ბილწმა ზრახვებმა და გულისთქმებმა არ აღმაშფოთოსო, და შემდეგ: *„სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე მე“* (ფსალმ. 50, 14), რათა, თუკი გულისთქმები მაინც აღმაშფოთებენ, მაშინ რაღაც დიდმა ძალამ, შენგან გამომავალმა, განმამტკიცოს მე – როგორც ერთგვარმა სიმტკიცემ. მისცემ რა ასეთ და მსგავს რჩევებს, შენც ასე უთხარი იმათ, რომელნიც ძნელად ემორჩილებიან ჭეშმარიტებას: *„ვასწავლნე უშჯულოთა გზანი შენნი“* (ფსალმ. 50, 15), და მას შემდეგ, რაც უფლის სასოებით დაარწმუნებ მათ განეშორნონ ასეთ ბოროტებას, უგალობე ღმერთს: *„და ულმრთონი შენდა მოიქცენ“* (ფსალმ. 50, 15). დაე, დასცხრნენ ბოროტგანზრახვით შემკითხველნი ასეთი ამაო შრომისაგან, ხოლო თავიანთი უბრალოებით შეეჭვებულნი, დაე, განმტკიცდნენ სულითა მთავრობისაითა; თქვენ კი, რომლებმაც მტკიცედ იცით ჭეშმარიტება, დაურღვევლად და შეურყეველად გეპყრათ იგი, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, რომლისა მამისა თანა არს დიდება და ხელმწიფება და სიმტკიცე სულიწმიდითურთ, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

(მოც. 5, 51; ტრულ. 4, 13; დიონისე ალექსანდრიელის 4; ტიმოთე ალექსანდრიელის 12)

ათანასე დიდის წინამდებარე ეპისტოლე, რომელიც 356 წლამდეა დაწერილი, ცნობილ ნიტრიელ მონოზონ ამონს მიემართება. ზოგიერთი მონოზონი დააბრკოლა

ღამით ნანახმა სხვადასხვანაირმა სიზმარმა; კერძოდ, ღამით, როდესაც ადგილი ჰქონდა ხოლმე ეკრიზისს, ისინი ამას ხორციელ შებილწვად თვლიდნენ, რის გამოც რჩევისათვის ამონს მიმართეს. მან კი, თავის მხრივ, ათანასეს დაუსვა შეკითხვა, რომელმაც ამ ეპისტოლეთი უპასუხა; იგი თავის თავში შეიცავს დიონისე ალექსანდრიელის მე-4 კანონის დაწვრილებით განმარტებას. საინტერესოა, რომ ეპისტოლეს ბოლოში ათანასე მოიხსენიებს ცხოვრების ორ – ქორწინებისა და ქალწულობის – გზას; ქორწინებას იწონებს, მაგრამ გაცილებით აღმატებულად ქალწულებას მიიჩნევს, რამეთუ ქორწინებას ადამიანისთვის ოცდაათი წილი ნაყოფი მოაქვსო, – ამბობს, – ქალწულებას კი – ასი წილი. თავის ამ სწავლას ათანასე დიდი აფუძნებს წმინდა წერილზე (იხ. მთ. 19, 29; მარკ. 10, 29, 39; 1 კორ. 7, 1, 32-36 და სხვ.)*

წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა დღესასწაულების შესახებ 39-ე ეპისტოლედან

კანონი 2

რადგანაც მოვიხსენიე მე მწვალებლები, ვითარცა მკვდრები, ხოლო თავად ჩვენ, როგორც ცხონებისათვის საჭირო სამართო წერილის მქონებლები, *„მეშინის“*, – როგორც კორინთელებს მისწერა პავლე მოციქულმა (2 კორ. 11, 3), – რომ ზოგიერთი გულწრფელი კაცი ადამიანთა ხრიკებით არ ცდუნდეს და არ განეშოროს სიწრფელესა და სიწმინდეს, და შემდეგ არ დაიწყოს სხვა – ეგრეთ წოდებული აპოკრიფული წიგნების შესწავლა, მოტყუებულმა მათი ჭეშმარიტი წიგნების მსგავსი სახელწოდებით. ამიტომ გევედრებით, მოითმინოთ, თუკი თქვენთვის უკვე ცნობილის შესახებ მეც ვიტყვი ეკლესიის საჭიროებისა და სარგებლობისათვის. მსურს რა ვისაუბრო ამის შესახებ, ჩემი კადნიერების გასამართლებლად გამოვიყენებ მახარებელ ლუკას სიტყვებს და მეც ვიტყვი: რადგანაც ზოგიერთებმა თავისთვის ეგრეთ წოდებული აპოკრიფული წიგნების შედგენა დაიწყეს და ურევენ მათ ღვთივსულიერ წერილთან, რომელიც ჩვენ დარწმუნებით ვიცით, როგორც ეს თავიდანვე გადმოსცეს მამებს სიტყვის თვითმხილველებმა და მსახურებმა, ამიტომ მეც მოვინდომე, აღძრულმა ჭეშმარიტი ძმების მიერ და ხელახლა გამომეძიებელმა ამისა, თანმიმდევრულად გადმომეცა, თუ რომელი წიგნებია მიღებული კანონში, თანახმად წერილისა; რომელი წიგნები მიიჩნევა ღვთივსულიერად, რათა ყოველმა შეცდომილმა უარყოს მაცთურნი და თითოეულმა მათგანმა, შეურყვნელად დარჩენილმა, განიხაროს ამ ახალი გაფრთხილებით. ამრიგად, ძველი აღთქმის წიგნები რიცხოვნობით ოცდაო-**

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 70 და შემდგ.

**ბერძნულად ნიშნავს: „დაფარულნი“, – ასე უწოდებდნენ მათ მწვალებლები, რათა სხვები დაერწმუნებინათ მათ ნამდვილობაში.

რია, რამეთუ, როგორც მსმენია, ამდენივე ასონიშანი გამოიყენება ებრაელთა მიერ. ხოლო რიგის მიხედვით და სახელწოდებებით ეს წიგნები შემდეგია: პირველად დაბადება, მერე გამოსვლათა, შემდგომ ლევიტელთა, ამის მერე რიცხვთა და ბოლოს — მეორე რჯული; ამათ მოსდევს: ისუ ნავესი, მსაჯულთა და შემდეგ რუთის წიგნი; ამის შემდეგ რიგის მიხედვით მოდის მეფეთა ოთხი წიგნი, რომელთაგანაც როგორც პირველი და მეორე ითვლება ერთ წიგნად, ასევე მესამე და მეოთხეც — ერთად; ამათ შემდეგ — პარალიპომენონი (ნეშტთა) პირველი და მეორე, რომლებიც ასევე ითვლება ერთ წიგნად; შემდგომ ეზრასი — პირველი და მეორე, ასევე ერთ წიგნად მიჩნეულნი; ამათ შემდეგ — წიგნი ფსალმუნთა და მერმე იგავნი, შემდეგ ეკლესიასტე და ქებათა ქება; ამათ შემდეგ — იობი; და ბოლოს წინასწარმეტყველნი — თორმეტნი, რომლებიც ერთ წიგნად ითვლება; შემდეგ ესაია, იერემია და მასთან — ბარუქი, გოდება და ეპისტოლე; ხოლო ამათ შემდგომ — ეზეკიელი და დანიელი. ეს წიგნები შეადგენენ ძველ აღთქმას.

აქვე, დაუცადებლად უნდა ვთქვათ ახალი აღთქმის წიგნების შესახებაც. ისინი შემდეგია: ოთხი სახარება: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი; ამათ შემდგომ საქმე მოციქულთა და შვიდი ეგრეთ წოდებული კათოლიკე (საზოგადო) ეპისტოლე მოციქულებისა: იაკობისა — ერთი, პეტრესი — ორი, მერმე იოანესი — სამი, და იუდასი — ერთი; ამათთან თოთხმეტი ეპისტოლე მოციქულ პავლესი, რომლებიც იწერება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველი — რომაელთა მიმართ, მერმე კორინთოელთა მიმართ — ორი ეპისტოლე, ამათ შემდეგ — გალატელთა მიმართ, მერმე ეფესოელთა მიმართ, შემდეგ ფილიპელთა მიმართ, კოლასელთა მიმართ, თესალონიკელთა მიმართ — ორი, ებრაელთა მიმართ, ტიმოთეს მიმართ — ორი და ტიტეს მიმართ — ერთი და უკანასკნელი ეპისტოლე — ფილიმონის მიმართ. და ბოლოს აპოკალიფსისი (გამოცხადება) იოანესი.

ესენია ცხონების წყარო, რათა მათში არსებული სიტყვებით დაიცხროს მწყურვალმა წყურვილი, რამეთუ მათში მხოლოდ კეთილმსახურების სწავლებაა ხარებული. ამათ ნურავინ დაუმატებს და მოაკლებს რამეს. ასეთებისთვის ამბობდა უფალი, როდესაც სადუკეველებს არცხვენდა: *„სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ“* (მთ. 22, 29), იუდეველებს კი შეაგონებდა: *„გამოეძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ შინა; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს“* (იხ. 5, 39). ხოლო მეტი სიზუსტისათვის, რადგანაც ვწერ ამას საჭიროების გამო, დავსძენ იმასაც, რომ ამათ გარდა, სხვა წიგნებიცაა, არშეტანილნი კანონში, მაგრამ მამების მიერ საკითხავად დაწესებულნი ახალმოქცეულთათვის, და კეთილმსახურების სიტყვით განმზადების მოსურნეთათვის. ესენია: სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ზირაქისი, ესთერი, იუდითი, ტობია და ეგრეთ წოდებული „მოციქულთა სწავლა“ (დიდაქე) და „მწყემსი“. საყვარელნო, ამ საკითხავ (არაკანონიკურ) და კანონიკურ წიგნებს შორის, არსად მოიხსენიება აპოკრიფული წიგნები, რადგან ისინი მწვალებელთა ჩანაფიქრია, რომლებიც წერენ მათ, როცა სურთ, აწესებენ წასაკითხ-

ად და უმატებენ ხანს, რათა წარმოაჩინონ ისინი როგორც ძველი წიგნები და სარწმუნო გახადონ გულუბრყვილოთა საცთუნებლად.

(მოც. 60,85; ლაოდ. 60; კართ. 24; გრიგოლ ღვთისმეტყველისა და ამფილოქესი წმინდა წერილის წიგნების შესახებ)

წინამდებარე კანონი: „დღესასწაულების შესახებ 39-ე ეპისტოლეედან", ათანასე დიდის მიერ დაწერილია 367 წელს; ის დიდი მნიშვნელობის შემცველია, ვინაიდან განმარტავს მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველსა და პირველწყაროს. ამ ეპისტოლეს ეფუძნება – და ასევე იმას, რასაც ამ საკითხზე ამბობს კირილე იერუსალიმელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი,ამფილოქე და ლაოდიკიის მე-60 კანონი – ახლანდელი სწავლება მართლმადიდებელი ეკლესიისა წმინდა წერილისა და იმ წიგნების შესახებ, რომლებიც მას შეადგენენ. როგორც ამ ეპისტოლეში წმინდა წერილის წიგნების რიცხოვნობაზე საუბარია, აგრეთვე, „საღმრთო წერილის მოკლე მიმოხილვაში", რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ათანასეს სახელით, ასევე იოანე დამასკელის „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემაში" (წიგ. IV, თავ. 17).

წინამდებარე ეპისტოლეში ათანასე ლაპარაკობს წმინდა წერილის კანონიკურ, შემდეგ არაკანონიკურ და ბოლოს, აპოკრიფულ წიგნებზე.

კანონიკურ წიგნებთან დაკავშირებით, ანუ რომლებიც რჯულისკანონში შევიდნენ, წმინდა ათანასე ამბობს, რომ ისინი გადმოცემის სახით მის დრომდე დაცულია ეკლესიაში, რომ ისინი ღვთივსულიერი წიგნებია და გადარჩენის წყაროს წარმოადგენს, რამეთუ მხოლოდ მათშია გადმოცემული კეთილმსახურების მეცნიერება და ამიტომ არავის აქვს უფლება მათ რამე დაამატოს ან გამოაკლოს. ხაზს უსვამს რა წმინდა წერილის კანონიკური წიგნების დიდ მნიშვნელობას, წმინდა ათანასე რიგის მიხედვით ჩამოთვლის ამ წიგნებს, თავიდან ძველი აღთქმისას, რომელთა შესახებაც ამბობს რომ ისინი რიცხოვნობით – ოცდაორია (ებრაული ალფაბეტის ასოთა რაოდენობის მიხედვით; ამდენსავე ითვლიდნენ ებრაელებიც, თვლიდნენ რა ერთ წიგნად ორ და მეტ წიგნს), შემდეგ კი – ახალი აღთქმის წიგნებს, იმ რიგითობით და რიცხოვნობით, როგორც მათ ამჟამადაც აღიარებს და იწყნარებს მართლმადიდებელი ეკლესია.

ძველაღთქმისეული წიგნებიდან წმინდა ათანასეს ცალკე მოჰყავს წიგნი „მსაჯულთა" და ცალკე – „რუთი", და ეს იმიტომ, რომ წიგნი „ესთერი" მოხსენიებული არ აქვს,* რის გამოც წიგნების საერთო რიცხოვნობა 22 გამოდის, როგორც ეს ლაოდიკიის კრების მე-60 კანონშია გადმოცემული.

---

*კირილე იერუსალიმელთან წიგნი „რუთი" შეერთებულია წიგნთან „მსაჯულთა", წიგნი „ესთერი" კი ცალკეა ჩათვლილი კანონიკურ წიგნებს შორის. ათანასე დიდთან წიგნი „ესთერი" არ მოიხსენიება, ასევე – არც გრიგოლ ღვთისმეტყველთან და არც მელიტონ სარდიკიელთან, რადგან ქრისტიანულ ეკლესიაში ყველგან არ იყო დამტკიცებული ყველა (პალესტინისა და ალექსანდრიის) ებრაელთან ითვლებოდა თუ არა ის კანონიკურ წიგნად, ვინაიდან ეკლესიის ბევრი მამა ამ კრიტერიუმს უმთავრესად თვლიდა წიგნის კანონიკურად ან არაკანონიკურად აღიარებისათვის. ამფილოქეს, ისევე, როგორც იოანე დამასკელს, ეს წიგნი კანონიკური წიგნების სიაში აქვს შეტანილი, ზუსტად ასევე – კირილე იერუსალიმელსაც, ასევეა ჩვენს კატეხიზმოშიც („ერცელი ქრისტიანული კატეხიზმო", 1889 წ.

ახალაღთქმისეული წიგნებიდან კი წმინდა ათანასე მოიხსენიებს 27 წიგნს, ამდენივეა ამფილოქესთან, იოანე დამასკელთან და ჩვენს კატეხიზმოში.

ჩამოთვლის რა ძველი და ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნებს, წმინდა ათანასეს შემდეგ მოჰყავს არაკანონიკური წიგნები, რომლებიც, შეაბამისად, რჯულისკანონში არ შესულან, მაგრამ რომლებსაც იგი მიიჩნევს ასევე საჭირო და სასარგებლო საკითხავ წიგნებად და განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც უნდა ქრისტიანი გახდეს და კეთილმსახურების მეცნიერებას გაეცნოს. ასეთ არაკანონიკურ წიგნებად ათანასე დიდი ასახელებს ხუთს ძველი აღთქმიდან და ორს ახალი აღთქმიდან, სახელდობრ:

1. სიბრძნე სოლომონისი,
2. სიბრძნე ზირაქისი,
3. ესთერი,
4. ივდითი,
5. ტობია,
6. „მოციქულთა სწავლად“ წოდებული,
7. მწყემსი (პიმენი – ბერძნულად).

წიგნი „ესთერი“ არაკანონიკურ წიგნებთან ალბათ იმიტომ დგას, რომ იმ დროს ალექსანდრიელი ებრაელები ჯერ კიდევ არ ეთახმებოდნენ პალესტინელ ებრაელებს ამ წიგნის კანონიკურად შერაცხვაზე და მას ისეთად თვლიდნენ, როგორადაც აღმოსავლეთის ეკლესისათვის მიაჩნდა იგი კირილე იერუსალიმელს* სხვა დანარჩენი ოთხი წიგნი: სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ზირაქისი, ივდითი და ტობია აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის არაკანონიკურად იყო აღიარებული, მაგრამ მაინც – ფრიად კეთილ, განმასწავლებელ და წმინდად.** დაბოლოს, ორი უკანასკნელი წიგნი – „მოციქულთა სწავლა“ და „მწყემსი“, ეკლესიის მიერ აღიარებული იყო როგორც ფრიად კეთილი და კათაკმეველთათვის სასარგებლო წიგნები.

პირველ წიგნთან დაკავშირებით („მოციქულთა სწავლა“) ზონარა შენიშნავს, რომ ზოგიერთები ამბობენ, ეს კლიმენტის მიერ შეკრებილი მოციქულთა განწესებები არისო; ტრულის კრებამ თავისი მე-2 კანონით აკრძალა მათი კითხვა.*** „მოციქულთა სწავლა“ ძველ დროში იგივდებოდა „მოციქულთა განწესებებთან“**** ამიტომ შეიძლება ჰგონებოდათ, რომ წმინდა ათანასეც მიიჩნევდა „სწავლებას“ (დიდაქე – ბერძნულად) მოციქულთა განწესებად. უახლოესი დროის მეცნიერულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ეს ასე არ არის. „დიდაქეში“ წმინდა ათანასე არ გულისხმობს მოციქულთა განწესებებს, არამედ სრულიად სხვა წიგნს, რომელიც

*იხ. წინა სქოლიო.

**გარდა ოთხი მოხსენიებული ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნისა, მართლმადიდებელი ეკლესიის წავლების თანახმად, არაკანონიკურად ითვლება კიდევ ესდრას მე-2 და მე-3 წიგნი (ხოლო ზემოთ კანონიკურად მოხსენიებულ ესდრას მე-2 წიგნში, უნდა ვიგულისხმოთ „ნეემიას“ წიგნი), მაკაბელთა ექვსა სამი წიგნი, ასევე ზოგიერთი ადგილი ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებიდან. იხ. ყოველადგანწმენდილი მაკარის „Введение в православное богословие“, ჰ 127.

***იხ. ამ ეპისტოლეს განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 81.

****ამასთან დაკავშირებით იხ. I ტომში ტრულის კრების მე-2 კან. განმარტება.

რედაქტირებული იყო ეგვიპტეში II საუკუნის პირველ ნახევარში (სხვა ვერსიით – სირიაში ან პალესტინაში). ამ წიგნის შინაარსი ცნობილია. ეს არის სრულიად დამოუკიდებელი თხზულება, რომელსაც მოციქულთა განწესებებთან ის საერთო აქვს, რომ გამოყენებულ იქნა მოციქულთა განწესებების VII წიგნის პირველი განყოფილების (თავ. 1-32) წყაროდ. ხოლო იმის მტკიცებულებას, რომ წმინდა ათანასე ამ თავის ეპისტოლეში გულისხმობდა სწორედ „დიდაქეს“ და არა მოციქულთა განწესებებს, ემსახურება ის, რომ როგორც დღეს არის ცნობილი, ათანასე თავად სარგებლობდა ამ თხზულებით და, კერძოდ, „სწავლა, გადმოცემული მონოზნებისათვის“, რომელმაც ჩვენამდე ათანასეს სახელით მოაღწია, თავის პირველ ნაწილში სხვა არაფერია თუ არა „დიდაქეს“ დამუშავებული გამოცემა.

წიგნი „მწყემსი“, ერმას მიერ შედგენილი II საუკუნის დასაწყისში, შინაარსობრივად, გარკვეულწილად, „დიდაქესთან“ მჭიდრო კავშირში დგას და ძველ ეკლესიაში უაღრესად ფასობდა. ორიგენე მას „ღვთივსულიერადაც“ კი მიიჩნევდა. „მწყემსის“ ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წმინდა ათანასეს შეეძლო რეკომენდაცია გაეწია მისთვის „დიდაქესთან“ ერთად, როგორც კათაკმეველთათვის სულის სასარგებლო წიგნისათვის.

წმინდა ათანასე, იმის შემდეგ, რაც თავის ეპისტოლეში ჩამოთვლის ძველი და ახალი აღთქმების კანონიკურ წიგნებს, და მერე იმ წიგნებს, რომლებიც რჯულის-კანონში არ შევიდნენ, მაგრამ სასარგებლოა კათაკმეველთათვის, – საუბრობს „აპოკრიფული წიგნების“ შესახებაც, რომლებიც მწვალებლებმა შეადგინეს იმ მიზნით, რომ გულუბრიყვილონი ჭეშმარიტების გზიდან გადაეცდინათ; ისინი თავიანთ წიგნებს ძველ ქრისტიანულ წიგნებად ასაღებდენ, სინამდვილეში კი მათი წიგნები ქრისტიანული სწავლების შერყვნილ სახეს წარმოადგენდა. სწორედ იმისათვის, რომ ერთგული მორწმუნენი ამ ცრუ, მწვალებლურ წიგნებს მოარიდოს, წმინდა ათანასემ დაწერა ეს ეპისტოლე, – როგორც თავად ამბობს. ამ წიგნების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ, რაოდენიც საჭიროა, მოციქულთა მე-60 კანონის განმარტებაში.

ეპისტოლე წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა, რუფინიანეს მიმართ

კანონი 3

ჩემს ძესა და უსასურველეს თანამწირველს, უფალ რუფინიანეს, ათანასესგან, გიხაროდენ უფლის მიერ.

შენ მე, მამას, ისე მწერ, როგორც საყვარელ ძეს შეეფერება. წერილის მეშვეობით მოახლებულს, გულში გიკრავ, ყველაზე მეტად სასურველო რუფინიანე. მეც შემეძლო შენთვის, როგორც ძისადმი, მომეწერა დასაწყისშიც, შუაშიც და მაშინაც, როცა საქმე ბოლოსკენ მიდიოდა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან წერილებით არ შეიცნობა თანაზიარება და მოწმობა. რამეთუ

შენ ხარ ჩემი წიგნი, საღმრთო წერილში ნათქვამისაებრ (2 კორ. 3, 2), უწყებული და აღმოკითხული ჩემს გულში. ვარ რა შენდამი ამგვარად განწყობილი (მერწმუნე მე, ჰოი, მერწმუნე), გიწვევ და გარწმუნებ მომწერო, რამეთუ ამის ქმნით მცირედ კი არა, დიდად მანუგეშებ. ხოლო რადგანაც ღმერთის სიყვარულითა და ეკლესიურად მეკითხები (როგორც ეს შენს კეთილმსახურებას შეშვენის) შეჭირვებით გატაცებულთა, მაგრამ ბოროტ-მორწმუნეობით წარუხდენელთა შესახებ, და სურვილი გამოხატე, რომ მო-მეწერა შენთვის, თუ რა არის დადგენილი მათ შესახებ კრებებზე და ყველგან, ამიტომ იცოდე, ჩემო სასურველო უფალო, რომ თავიდან, არსებული ძალადობის (არიოზელთაგან მომძლავრების) შეწყვეტის შემდეგ, შედგა გარე ქვეყნებიდან შეკრებილ ეპისკოპოსთა კრება; შედგა, ასევე, ელადაში მცხოვრებ თანამწირველთა კრება, ზუსტად ასევე შეიკრიბნენ ესპანეთსა და გალიაში მოღვაწენიც. დადგენილ იქნა, როგორც აქ, ისე ყველა სხვა ადგილას, რომ დაცემულებსა და უკეთურების* შემწეებს (წინამძღვრებს) თუკი შეინანებენ, შემწყნარებლობა გამოვუვლინოთ, მაგრამ არ მივცეთ მათ ადგილი სამღვდელო დასში; ხოლო იმათ, ვინც არ იყო უკეთურების თვითხ-ელმწიფებრივად მოქმედი, არამედ შეჭირვებითა და ძალადობით იქნა მიტა-ცებული, შენდობა მივცეთ, და ადგილიც შევუნარჩუნოთ მათ კლირიკოსთა შორის; განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ რწმენის ღირსი გამართლება მოუტანიათ, და ეს დადგინდა, ცხადია, გარკვეული კეთილგანზრახულობით. რამეთუ ასეთები ამტკიცებდნენ, რომ არ ცთუნებულან უკეთურებაში შთა-ვარდნით, მაგრამ იმ მიზნით, რომ ზოგიერთებს, უკიდურეს უკეთურებამდე მისულთ, არ მოეშალათ ეკლესიები, უმჯობესად ჩათვალეს დაეთმოთ ძალა-დობისათვის და სიმძიმე ეტვირთათ, ვიდრე ერი დაეღუპათ. ყვებოდნენ რა ყოველივე ამას, ისინი, ჩვენი აზრითაც, შეწყნარებას იმსახურებდნენ, ვი-ნაიდან თავის გასამართლებლად, მოსეს ძმის, აარონის მაგალითი მოიყვ-ანეს, რომელმაც უდაბნოში დაუთმო ერის დანაშაულებრივ მოთხოვნას, მაგრამ გამართლება ჰქონდა მის განზრახვებს: ერი ეგვიპტეში არ უნდა დაბრუნებულიყო და კერპთმსახურებაში არ დარჩენილიყო: ფრიად სარწმუ-ნოდ ჩანდა, რომ თუ უდაბნოში დარჩებოდნენ, ერი უწმინდურებას განე-შორებოდა, ხოლო ეგვიპტეში დაბრუნების შემთხვევაში, ერში უწმინდურე-ბა კიდევ უფრო გაიზრდებოდა და გაძლიერდებოდა. ამ მიზეზით ნება-დართულია ასეთების მიღება სამღვდელო დასში, რადგან ცთუნებულთ და ძალადობის დამთმენთ შენდობა ეძლევათ. ეს შენს კეთილკრძალულებასაც გამოეცხადა, და მე ვსასოებ, რომ შენი კეთილმსახურებაც შეიწყნარებს განწესებულს და არ განიკითხავს იმათ ლმობიერებას, რომლებიც ამაზე შეთანხმდნენ. ღირს ჰყავი ამის წაკითხვა სამღვდელოთა წინაშეც და

*უკეთურება – ესე იგი, არიოსელობა; დაცემულნი – რომლებიც ქრისტეს განუდგნენ და არიანელობაში გადავიდნენ; უკეთურების შემწენი – არიანელობისკენ მიქცეულნი და ამაში სხვების მაცთუნებელნიც.

შენდამი დაქვემდებარებული ერის წინაშეც, რათა ისინიც, ეცოდინებათ რა ეს, არ დრტვინავდნენ იმის გამო, რომ შენ ამგვარად ხარ განწყობილი ასეთების მიმართ. რამეთუ ჩემთვის შეუფერებელი იქნებოდა მიმეწერა მაშინ, როცა შენს კეთილკრძალულებას თავად შეუძლია ჩვენი მათდამი კეთილგანწყობაც აუწყოს მათ და ყოველივე დაკლებულიც შეავსოს. მადლობა უფალს, რომელმაც აღგავსო შენ ყოვლითა სიტყვითა და მეცნიერებით. ხოლო მონანულებმა, დაე, გაცხადებულად შეაჩვენონ სახელების ხსენებით ევდუქსიოსი და ევზოიოსი – ბოროტმორწმუნენი. რამეთუ ამ პირებმა, მკრეხელურად უწოდებენ რა ღმერთის სიტყვას ქმნილებას, თავიანთი თავი არიოზის მწვალებლობის დამცველებად წარმოაჩინეს; მაშ, დაე, აღიარონ ნიკეაში მამათაგან აღიარებული სარწმუნოება, და ნურც ერთ სხვა კრებას ნუ ამჯობინებენ აღნიშნულ კრებას. მომიკითხე შენთან მყოფი ძმები, ხოლო ჩვენთან მყოფნი უფლის მიერ მოგიკითხავენ შენ.

(მოც. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 1, 2, 3, 5, 8; პეტრე ალექსანდრიელის 10, 14; თეოფილე ალექსანდრიელის 2)

იმ დროში, როდესაც არიანელობა ძალაში იყო და ის ამ მწვალებლობის დამცველი იმპერატორების მფარველობით სარგებლობდა, – განსაკუთრებით, იმპერატორ ვალენტინოსისა, – ბევრ სასულიერო პირს ძალით უხდებოდა არიანული სწავლების აღიარება. შემდგომში, როცა ძალადობა შეწყდა და მართლმადიდებლებს საშუალება მიეცათ თავისუფლად ეაღმსარებლათ საკუთარი სარწმუნოება, იმ სასულიერო პირთაგან ბევრმა დატოვა მწვალებლობა და კვლავ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა. ამის შედეგად, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რაგვარად დაებრუნებინათ ისინი ეკლესიაში, რაკი საერთო განწესება ამის თაობაზე არ არსებობდა. საკითხის გადასაჭრელად, ეპისკოპოსმა რუფინიანემ 370 წელს მიმართა ათანასე დიდს, რომელსაც, როგორც ჩანს, რუფინიანეს გარდა სხვა ბევრიც მიმართავდა აღნიშნული საკითხის გასარკვევად. ათანასემ საგანგებო ეპისტოლეთი უპასუხა და სწორედ ეს ეპისტოლე შეადგენს წინამდებარე კანონს. ათანასე მოიხსენიებს ამავე საკითხის გადასაჭრელად ესპანეთში, გალიასა და ელადაში შემდგარ კრებებს, კერძოდ კი იმ კრებას, რომელიც საზღვარგარეთელი ეპისკოპოსების მონაწილეობით შედგა და მიიღო სპეციალური კანონი. ეს არის – ალექსანდრიის 362 წლის კრება, მოწვეული ათანასეს თავმჯდომარეობით ეკლესიაში მშვიდობისა და ქრისტიანებს შორის ერთიანობის აღსადგენად, რაც არიანელობამ დაარღვია. ამ კრებაზე, სხვათა შორის, დადგინდა, რომ ყველა იმ პირს, რომლებიც იძულებით გადავიდნენ არიანელების მხარეს, მაგრამ საქმითა და საკუთარი შეხედულებებით ასეთები არ იყვნენ, უნდა მიეტევოთ და ნება მიეცეთ დარჩნენ საეკლესიო იერარქიის იმ ხარისხებში, რომლებშიაც იყვნენ არიანელობაში გადასვლამდე; მთავრები და მწვალებლობის აქტიური დამცველებიც, მათი მოქცევისა და მონანიების შემთხვევაში, ასევე შეიძლება მიღებულ იქნენ ეკლესიაში, მაგრამ კლერიკოსები უკვე ვეღარ გახდებიან. ალექსანდრიის კრების ამ განწესებას წმინდა ათანასე ატყობინებს რუფინიანეს სახელმძღვანელოდ. იმის გამო,

რომ იმ დროს წარმოჩნდნენ – როგორც არიოზის სწავლების მოშურნე მომხრენი – ევდუქსიოსი, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი (360-370) და ევზოიოსი, ანტიოქიის ეპისკოპოსი (364-376), რომლებმაც არიანული მწვალებლობა მართლმადიდებლურ სწავლებად გამოაცხადეს, წმინდა ათანასე თავის ამ ეპისტოლეში შეახსენებს რუფინიანეს, რომ მან ყველასგან, ვინც ეკლესიაში არიანელობისგან მოექცევა, მოითხოვოს: შეაჩვენონ დასახელებული ორი ეპისკოპოსის მოძღვრება და საზეიმოდ აღიარონ ნიკეის წმინდა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მრწამსი.*

*ბასილი დიდის ეპისტოლეედან ნეოკესარიელთა მიმართ (ეპ. 204, 6), ჩანს, რომ ათანასე დიდი ამის შესახებ ბასილი დიდსაც წერდა.

წმინდა ბასილი დიდის კანონები პირველი კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა იკონიის ეპისკოპოს, ამფილოქეს მიმართ

შესავალი

უგუნურს, — როგორც წმინდა წერილშია ნათქვამი, — სიბრძნის შესახებ შეკითხვა, სიბრძნედ შეერაცხება (იხ. იგავნი, 17, 28), ხოლო ბრძენის შეკითხვა, როგორც ვფიქრობ, უგუნურსაც აბრძნობს. ღვთის მადლით, ეს ჩვენ ყოველთვის გვემართება, როდესაც შენი შრომისმოყვარე სულის წერილებს ვიღებთ. რამეთუ მაშინ მე ვხდები საკუთარ თავზე უფრო მეტად მცოდნე და მოაზროვნე, და თვით შეკითხვიდან ბევრს ისეთს ვსწავლობ, რაც მანამდე არ ვიცოდი. პასუხზე ზრუნვა ჩემთვის სასწავლებელი ხდება. საკითხები, რომლებსაც შენი შეკითხვები შეიცავს, არასდროს ყოფილა ჩემი ფიქრის საგანი, ამიტომ, ჭეშმარიტად, ახლაც იძულებული ვარ განვიხილო ისინი მთელი სიზუსტით და გავიხსენო, რაც მათ შესახებ მსმენია უხუცესთაგან, და ჩემი მხრიდანაც ვიფიქრო შესაბამისად იმისა, რაც ვისწავლე.

კანონი 1

ამგვარად, კათარების შესახებ ადრეც იყო ნათქვამი, და შენ კეთილგონივრულად შენიშნე, რომ უნდა მივყვეთ თითოეული ქვეყნის ჩვეულებას, რადგან მათი ნათლობის შესახებ თავის დროზე სხვადასხვავარად მსჯელობდნენ ამ საკითხით დაკავებული მამები. პეპუზიანელებს, როგორც ვფქრობ, არაფერი გააჩნიათ თავის დასაცავად და მე მიკვირს როგორ ვერ შენიშნა ეს დიდმა დიონისემ, კანონებში ეგზომ გაცნობიერებულმა. რამეთუ ძველებმა დააწესეს მხოლოდ იმათი ნათლისღების შეწყნარება, რომლებიც არაფერში განდგომიან სარწმუნოებას; ამიტომ სხვას დაარქვეს მწვალებლობა, სხვას — განხეთქილება, სხვას კიდევ — თვითნებური თავყრილობა. მწვალებლები მათ უწოდეს სრულიად განშორებულებს და თვით სარწმუნოებაში გაუცხოებულებს. სქიზმატები (განხეთქილებაში მყოფნი) — ვისაც საეკლესიო და, ასევე, მკურნალობას დაქვემდებარებულ საკითხებში განსხვაებული აზრები აქვთ; ხოლო კიდეშესაკრებელი — ეს არის დაუმორჩლებელი მღვდლების ან ეპისკოპოსების და მათთან ერთად განუსწავლელი მრევლის შეკრება. მაგალითად, თუკი ვინმე, ცოდვაში მხილებული და მღვდელმსახურებიდან დაყენებული, არ დაემორჩილა კანონებს, არ დაუტევა მღვდელმსახურების უფლება და მასთან ერთად ზოგიერთი სხვაც განუდგა კათოლიკე ეკლესიას, — ეს არის თვითნებური თავყრილობა. სინანულის შესახებ სხვანაირი აზროვნება, ვიდრე ეს ეკლესიაშია დამკვიდრებული — არის განხე-

თქილება. მწვალებლობა კი არის, მაგალითად, მანიქეური, ვალენტიანური, მარკიონიტური და თვით ეს პეპუზიანური. ვინაიდან აქ ადგილი აქვს განსსხვავებას თვით ღმერთის რწმენაში. აი, რატომაც უარყვეს მამებმა თავიდანვე მწვალებელთა მიერ აღსრულებული ნათლისღება; სქიზმატების ნათლისღება შეიწყნარება, რადგან ეკლესიისთვის ისინი გაუცხოებულნი ჯერ კიდევ არ არიან. ხოლო ვინც თვითნებურ თავყრილობაშია — გამოსწორებულ იქნენ შესაფერისი სინანულითა და მოქცევით, და კვლავ შეერთდნენ ეკლესიას. ამგვარად, საეკლესიო ხარისხებში მყოფნიც კი, რომლებიც ურჩებთან ერთად განდგნენ, როდესაც მოინანიებენ, არცთუ იშვიათად მიიღებიან ისევ იმავე ხარისხში. პეპუზიანელები კი აშკარად მწვალებლები არიან. რამეთუ მათ გმობა წარმოთქვეს სულიწმინდაზე, — უკეთურად და უსირცხვილოდ მიაკუთვნეს რა ნუგეშინისმცემლის სახელწოდება მონტანს და პრისკილეს. ამიტომ რაკი აღმერთებენ ისინი ადამიანს, — ამისთვის განკითხვას იმსახურებენ; შეურაცხყოფენ თუ არა სულიწმიდას, როდესაც ადარებენ მას ადამიანებს? — ამ შემთხვევაშიც მარადიულ სასჯელს იმსახურებენ, რამეთუ სულიწმინდის გმობა მიუტევებელია. როგორი შესაბამისობა იქნებოდა იმათი ნათლისღების შეწყნარება, რომლებიც ნათლავენ სახელითა მამისათა, და ძისათა, და მონტანისათა ან პრისკილისათა? რამეთუ არსებითად მონათლულნი არც არიან ვინც იმ ნათლობით ინათლება, რაც ჩვენ გადმოცემით არ მიგვიღია. ამიტომ, თუმც დიდმა დიონისემ ეს ვერ შეამჩნია, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოთ არასწორის მიმბაძველები, რამეთუ უაზრობა თავისთავად ნათელია და ყველასთვის ცხადია, ვისაც კი ოდნავ განსჯის უნარი აქვს. კათარები სქიზმატთა რიცხვიდან არიან. თუმცა, სათნოდ მიიჩნიეს ძველებმა, — როგორც ეს კვიპრიანემ და ჩვენმა ფირმილიანემ, — რომ ერთი განწესების ქვეშ დაეყენებინათ ყველა ისინი: კათარები, ენკრატიტები, ჰიდროპარასტატები და აპოტაკტიტები. რადგან, თუმც განდგომა განხეთქილების მეშვეობით დაიწყო, მაგრამ ეკლესიიდან განდგომილებს უკვე აღარ გააჩნდათ სულიწმინდის მადლი. რამეთუ მოიკლო მადლის გადმოსვლამ, იმიტომ, რომ შეწყდა კანონიერი მემკვიდრეობითობა. ვინაიდან პირველმა განდგომილებმა მიიღეს კურთხევა მამებისგან და მათგან ხელდასხმის გზით — სულიერი ნიჭი. მაგრამ მას შემდეგ, რაც განდგნენ, გახდნენ ერისკაცნი და აღარ გააჩნდათ ხელმწიფება არც ნათლობის, არც ხელდასხმის, და აღარ შეეძლოთ სხვებისთვის გადაეცათ სულიწმინდის მადლი, რომელსაც თვითონ მოაკლდნენ. აი, რატომაც, მათგან ეკლესიაში მოსულებს, როგორც ერისკაცების მიერ მონათლულთ, ძველები ბრძანებდნენ კვლავ გაწმენდას ჭეშმარიტი ეკლესიური ნათლისღებით. მაგრამ, რადგანაც ასიაში ბევრს გადაჭრით სურდა, მრავალთა აღსაშენებლად, მიეღო მათი ნათლისღება, ამიტომ, დაე, მიღებულ იქნეს იგი. ჩვენ უნდა შევნიშნოთ ენკრატიტების ცბიერება. ისინი თავიანთ თავს ეკლესიისთვის მიუღებლად ჰყოფენ, ჩაიფიქრეს რა საკუთარი, ნაჩქარევი ნათლისღება ჩაეტარებინათ, რითაც თავიანთ ჩვეულებას უღალატეს. ამდენად, რადგანაც მათ შესახებ აშკარად არაფერი თქმულა, ვგონებ, რომ

შეგვშვენის მათი ნათლისღების უარყოფა. და თუ ვინმე მათგანს ის მიულია, მაშინ ესევითარი, ეკლესიაში მოქცევისას – მოინათლოს. მაგრამ თუ ეს დაბრკოლების მიზეზი ხდება საერთო კეთილშენებისათვის, მაშინ საჭიროა კვლავ ჩვეულებას მივსდიოთ და მამებს მივყვეთ, რომლებმაც კეთილგანჭვრეტით მოაწყვეს ჩვენი საქმეები. რამეთუ ვშიშობ, რომ იმ დროს, როდესაც გვინდა ისინი ნაჩქარევი ნათლობისგან შევაკავოთ, სრულიად არ გავიუცხოოთ. თუ ისინი ინარჩუნებენ ჩვენს ნათლობას, ამან ჩვენ არ უნდა შეგვარცხვინოს, რამეთუ ჩვენ ვალდებულნი ვართ არა მადლობა მივაგოთ მათ ამისთვის, არამედ ზუსტად დავემორჩილოთ კანონებს. აუცილებლად უნდა დაწესდეს, რომ მათი ნათლობის შემდეგ ეკლესიაში მოქცეულნი, ცხებულ იქნენ ერთგულთა მიერ და ისე მოხდეს საიდუმლოებზე მათი დაშვება. თუმცა, ვიცი, რომ ზოისა და სატორნის ძმები, რომლებიც მათ საზოგადოებაში იყვნენ, ჩვენ მივიღეთ საეპისკოპოსო კათედრაზე, ამიტომ მათთან ერთობაში მყოფთ, ჩვენ უკვე მკაცრი სასჯელით ვერ გავაუცხოებთ ეკლესიისგან, რადგან ეპისკოპოსების შეწყნარებით გარკვეული წესი მივიღეთ მათთან ერთობისა.

(მოც. 46, 47; I მსოფ. 8; II მსოფ. 7; ტრულ. 95; ლაოდ. 7; ბასილი დიდის 47)

წინამდებარე და შემდგომი კანონები, მე-16-ის ჩათვლით, შეადგენენ ბასილი დიდის 374 წლის პირველ კანონიკურ ეპისტოლეს ფრიგიის იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს მიმართ. მასში ბასილი დიდი იძლევა პასუხებს მის წინაშე ამფილოქეს მიერ დაყენებულ ზოგიერთ კანონიკურ კითხვაზე და თხოვნის თანახმად განუმარტავს მას წმინდა წერილის ზოგიერთ ადგილს. ეპისტოლე იწყება სიტყვებით: *„უგუნურსა ჰკითხე სწავლისათჳს, სიბრძნედ შეერაცხყოს“* (იგავნი, 17, 28). – პირველი კითხვა, რომელიც ამფილოქემ ბასილი დიდს დაუსვა, იყო შეკითხვა ნათლობის შესახებ, კერძოდ, როგორ უნდა ვიმსჯელოთ ცალკეულ არამართლმადიდებელ თემში აღსრულებულ ნათლისღებაზე, ანუ საჭიროა თუ არა იმ პირების გადანათვლა, რომლებიც ამ თემებიდან მართლმადიდებელი ეკლესიისკენ მოექცევიან? ბასილი დიდის პასუხი შეადგენს წინამდებარე პირველ კანონს.

იმისათვის, რომ შეგვეძლოს ვიმსჯელოთ, თუ რამდენად ჭეშმარიტად არის აღსრულებული ნათლისღება ამა თუ იმ არამართლმადიდებელ საზოგადოებაში და, შესაბამისად, ვიცოდეთ როგორ უნდა მივიღოთ მართლმადიდებელ ეკლესიაში იქიდან მოქცეული პირი, ბასილი დიდი მიუთითებს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად არის ესა თუ ის თემი მართლმადიდებელ ეკლესიას განშორებული, – როგორც ამას წინა დროის წმინდა მამები განაწესებენ, – და ამის შესაბამისად იმოქმედონ. მართლმადიდებელი ეკლესიიდან ყველა განდგომილი იყოფა: 1) მწვალებლებად, 2) სქიზმატებად [ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფებად] და 3) პარასინაგოგებად [კიდეშესაკრებელობაში მყოფებად]* ეყრდნობა რა ძველი მამების დადგენილებებს, წმინდა ბასილი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან ამ განდგომილებს.

*„კიდეშესაკრებელი – ეკლესიისაგან გამოყოფით თვითნებური შეკრება სალოცავად ურჩი ეპისკოპოსის ან ხუცის თაოსნობით“ – დიდი სჯულისკანონიდან.

მწვალებლები არიან ის პირები, რომლებიც სრულიად მოსწყდნენ ეკლესიას და თვით სარწმუნოება დაკარგეს. ეფუძნება რა ბასილი დიდის წინამდებარე კანონს, ზონარა უფრო დაწვრილებით განმარტავს: „არსობრივად მწვალებელი არის ყველა ის პირი, ვინც მართლამდიდებელ სარწმუნოებასთან შეუსაბამოდ აზროვნებს და ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა როდის განკანონდნენ ისინი ეკლესიიდან – დიდი ხნის წინათ თუ სულ ახლახან; ძველი ერესის მიმდევრები არიან, თუ – ახლის".* მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის მიუღებელი სწავლება, სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ მაინდამაინც მართლმადიდებლური სწავლების საფუძვლებს ეხებოდეს იმისათვის, რომ მისი მიმდევარი მწვალებლად ჩაითვალოს, – საკმარისია მან თუნდაც ერთ დოგმატში შესცოდოს და იგი უკვე მწვალებელია. „მწვალებლებში იგულისხმებიან ვინც ჩვენ საიდუმლოებებს აღიარებენ, მაგრამ სწავლების ზოგიერთ ნაწილებში სცოდავენ და მართლმადიდებლებს არ ეთანხმებიან" – ამბობს ზონარა IV მსოფლიო კრების მე-14 კანონის განმარტებაში.** ზოგადად, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სწავლებით, ვინც მართლმადიდებელი არ არის, ის მწვალებელია.***

სქიზმატებს ისინი წარმოადგენენ, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ ზოგიერთი საეკლესიო საკითხის შესახებ, მაგრამ რომელთა შემორიგებაც ადვილად შეიძლება. ასე ამბობს ბასილი დიდი წინამდებარე კანონში. როდესაც ის აცხადებს, რომ უნდა აღიარონ სქიზმატების ნათლობა, მას მხედველობაში აქვს, რომ ისინი ეკლესიას მიეკუთვნებიან. II მსოფლიო კრების მე-6 კანონის განმარტებაში ზონარა იმეორებს ბასილი დიდის ამ სიტყვებს განხეთქილების შესახებ,**** ლაოდიკიის კრების 33-ე კანონის განმარტებაში კი დასძენს: „სქიზმატები ეწოდებათ იმ პირებს, რომლებიც სარწმუნოებასა და დოგმატებთან მიმართებით სალად აზროვნებენ, მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამო, გამოიყვნენ და ცალკე თავიანთი საკრებულოები მოაწყვეს".***** საერთოდ, განხეთქილებას ეკლესია ყოველთვის უყურებდა, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს მის წინაშე. ასე, მაგალითად, ოპტატოს მილევიტელი (IV საუკუნე) განხეთქილებას უდიდეს ბოროტებად მიიჩნევდა, იმაზე უფრო მეტ ბოროტებად, ვიდრე მკვლელობა და კერპთაყვანისმცემლობაა. ეკლესიას კათოლიკედ ქმნის – (წერს ოპტატოს) – მარტივი და ჭეშმარიტი ცნობიერება, სახელდობრ, უმაგალითო და ჭეშმარიტი საიდუმლოებების გაცნობიერება და სულების ერთობა.

ადარებს რა განხეთქილებას მწავალებლობასთან, წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ეკლესიის ერთობისა და სავსების დარღვევა (განხეთქილება) არანაკლებ ბოროტებაა, ვიდრე მწვალებლობის დაარსება. აქედან გამომდინარე, რაკი განხეთქილება გმობას იმსახურებს, თავისი შედეგების გამო ის უფრო მეტი განკითხვის ღირსია, ვინაიდან საბოლოოდ ყველა განხეთქილება მწვალებლობაში გადა-

*II მსოფ. კრების მე-6 კან. განმარტება ათენის სინტაგმაში, II, 182.
**ათენის სინტაგმა, II, 252.
***ათენის სინტაგმა, VI, 74.
****ათენის სინტაგმა, II, 183.
*****ათენის სინტაგამა, II, 183.

იზრდება. იერონიმესა და ავგუსტინეს შესაბამისი მოსაზრებები ჩვენ მოვიყვანეთ II მსოფლო კრების მე-6 კანონის განმარტებაში.

პარასინაგოგა ეწოდება, როდესაც რომელიმე დაუმორჩილებელი ეპისკოპოსი ან მღვდელი და მასთან ერთად უბრალო ხალხი ეკლესიისგან განცალკევებით სალოცავად იკრიბებიან. მაგალითად, როდესაც სასულიერო პირი, რომელსაც მმართველი ხელისუფლების მიერ აკრძალული აქვს მღვდელმსახურება, არ მოისურვებს დამორჩილებას, გამოეყოფა კათოლიკე ეკლესიას, თავის ირგვლივ კიდევ სხვებსაც შემოიკრებს და თვითნებურად დაიწყებს მღდელმოქმედებას. ბასილი დიდის განსაზღვრება მოგვაგონებს საეკლესიო ხელისუფლებას დაუმორჩილებელ იმ სასულიერო პირებს, რომლებსაც თავიანთი კანონიერი ეპისკოპოსების გვერდის აევლით თვითნებურად სურთ იმსახურონ ეკლესიაში და რომელთა წინააღმდეგაც მრავალი კანონი ყოფილა მიღებული (მოც. 31; IV მსოფ. 18; ტრულ. 31 და ასე შემდეგ). როგორც ვხედავთ, **პარასინაგოგა** მცირედით თუ განსხვავდება განხეთქილებისაგან, როგორც დახასიათებულია ისინი ბასილი დიდთან. ამიტომაც არ არის I მსოფლიო კრების მე-7 კანონში პარასინაგოგა ნახსენები, და მხოლოდ ის არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა მიიღონ ეკლესიაში მწვალებლები და სქიზმატები, ამ უკანასკნელებში კი პარასინაგოგებიც იგულისხმება, რომლებსაც, სხვთა შორის, ბევრი სხვა კანონის განწესებებიც მიემართებათ.

მას შემდეგ, რაც ჩამოთვლის მართლმადიდებელი ეკლესიიდან განდგომილთა ყველა კატეგორიას, ბასილი დიდი ამფილოქეს არიგებს, თუ როგორ უნდა მიიღონ ეს განდგომილები ეკლესიასთან ერთობაში. შემდგომში ეს აზრი არსებითად მიიღო და დაამტკიცა ტრულის კრებამ (95-ე კან.), რომლის განწესება ამჟამადაც ძალმოსილია ჩვენს ეკლესიაში.

თავის წინამდებარე კანონში ბასილი დიდი ჩამოთვლის მართლმადიდებელი ეკლესიიდან ყველა განდგომილი დაჯგუფების (სექტის) სახელწოდებას: პეპუზიანელებს, მანიქეველებს, ვალენტიანელებს და მარკიონიტებს — როგორც ერეტიკოსებს, ხოლო კათარებს, ეკრატიტებს, ჰიდროპარასტატებს და აპოტაკტიტებს — როგორც სქიზმატებს.

პაპუზიანელების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ II მსოფლიო კრების მე-7 კანონის განმარტებაში. რაც შეეხება მანიქეველებს, ისინი დასაბამს იღებენ ვინმე მანესიდან, რომელიც II საუკუნეში ცხოვრობდა და თავის სწავლებას თავიდან სპარსეთში ქადაგებდა, საიდანაც ის უკვე ევროპაშიც გავრცელდა. მანესი გნოსტიკოსთა იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელიც იუდაიზმს ებრძოდა და თითქოსდა ქრისტიანული სწავლების აღორძინება სურდა მთელი თავისი სიწმინდითა და დამოუკიდებლობით, და მისი მსოფლიოს ერთადერთ რელიგიად გადაქცევა. მანესმა საკუთარი სისტემა ააგო ძველსპარსულ ზოროასტრას დუალიზმზე: ნათელსა და ბნელზე, რასაც გარკვეული თანდათანობითობით ეონებს უკავშირებდა. იგი თვლიდა, რომ მოციქულებმა თითქოს ქრისტეს სწავლება გააუკულმართეს და საკუთარ თავს მოციქულების მიერ შერყვნილი ქრისტეს მოძღვრების განსაწმენდელად წარმოგზავნილ ნუგეშინისმცემელად აღიქვამდა. ამის გამო მან ახალი აღთქმიდან ამოიღო ყოველივე ის, რაც მის სისტემას არ შეესაბამებოდა. მანიქეველობამ VII საუკუნემდე იარსება, თუმცა ფარულად შემდგომ პერიოდშიც

გეხვდება (იხ. ტრულ. 95-ე კან.). იმავე იუდაიზმის საწინააღმდეგო მიმართულებისა იყვნენ მარკიონიტებიც; ისინი თავიანთ დასაბამს პონტოელი მარკიონისგან იღებდნენ. მარკიონმა თავისი სწავლება ჯერ რომში იქადაგა (II საუკუნე) საიდანაც შემდგომ მთელ იტალიაში, ეგვიპტესა და ბოლოს აღმოსავლეთში გავრცელდა. მისი საწინააღმდეგო მიმართულების იყო, ანუ – იუდაიზმური, ვალენტინიანური გნოსტიციზმი, რომელმაც დასაბამი ეგვიპტელი ვალენტინისგან მიიღო, დაახლოებით II საუკუნის შუანახევარში. ვალენტინის სისტემა არ ყოფილა დუალისტური – აღმოსავლური გაგებით, მაგრამ მან განავითარა პარალელიზმი ზეციურ, იდეალურსა და მიწიერ, ხილულ სამყაროებს შორის, და ეს ისეთი ფორმით გააკეთა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე სრულ და სრულყოფილად ყველა სხვა გნოსტიკურ სისტემებს შორის. ვალენტინის სისტემა, როგორც ასეთი, თავის დროზე პატივისცემით სარგებლობდა. მისი სკოლიდან ბევრი ცნობილი ადამიანი გამოვიდა, რომლებმაც მრავალი აცდუნეს და ამიტომ ქრისტიანობისათვის საფრთხეს წარმოადგენდნენ.

ბასილი დიდის მიერ წინამდებარე კანონში მოხსენიებულ სქიზმატთაგან, ჩვენ ვისაუბრეთ კათარების შესახებ I მსოფ. კრების მე-8 კანონის განმარტებაში და ჰიდროპარასტატების შესახებ – ტრულის კრების 32-ე კანონის განმარტებაში. რაც შეეხება ენკრატიტებსა და აპოტაკტიტებს – ამ სექტების წარმოშობა უკავშირდება ასურელი ტატიანეს გნოსტიკურ სკოლას (II საუკუნის მეორე ნახ.). სამყაროს წარმოშობის შესახებ გნოსტიკურ სწავლებასთან ერთად, რომელიც ძირითადად ვალენტინის სისტემის მსგავსი იყო, ტატიანე ქადაგებდა, ასევე, მკაცრ ასკეტიზმს, რათა ადამიანის სული მატერიისგან გათავისუფლებულიყო და ღმერთს მიახლოებოდა. ზნეობრიობის შესახებ მისი სწავლების თანახმად, ნამდვილი ქრისტიანი ვალდებულია ყოველგვარ მიწიერს ეკრძალოს, განსაკუთრებით – ქორწინებას, ხორცსა და ღვინოს, როგორც ბოროტ და უწმინდურ საგნებს, რომლებიც ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ აუცხოებენ ღმერთისგან და მატერიასთან აჯაჭვებენ. ამ თვითაკრძალვის (თავშეკავების) გამო, ტატიანეს მოწაფეები იწოდებოდნენ ენკრატიტებად, ხოლო იმის გამო, რომ ისინი სიტყვასიტყვით მიჰყვებოდნენ ქრისტეს მოძღვრებას ამქვეყნიურისაგან განშორების შესახებ (შდრ. ლუკ. 14, 33) მათ უწოდებდნენ აპოტაკტიკებს (პირდაპირი მნიშვნელობით: „უარმყოფელნი"). დაბოლოს, იმის გამო, რომ წმინდა ზიარებაში ღვინის ნაცვლად წყალს იყენებდნენ, იწოდებოდნენ ჰიდროპარასტატებად („წყლის დამცველები").

ამ უკანასკნელებთან დაკავშირებით (კათარები და სხვა სქიზმატები) ბასილი დიდი წინამდებარე კანონში ამბობს, რომ მათ თემებში მღვდლის მიერ შესრულებული ნათლობა უნდა ჩაითვალოს როგორც ერისკაცის მიერ შესრულებული, ამასთან ხაზს უსვამს წმინდა იერარქიის შესახებ ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ კანონიკურ აზრს, კერძოდ – რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ეს იერარქია კანონიერად. კანონში მოხსენიებულ სქიზმატებთან დაკავშირებით, ბასილი დიდი ამბობს: „ბანდგომა განხეთქილების მეშვეობით დაიწყო, მაგრამ ეკლესიიდან განდგომილებს უკვე აღარ გააჩნდათ სულიწმინდის მადლი. რამეთუ მოიკლო მადლის გადმოსვლამ, იმიტომ, რომ შეწყდა კანონიერი მემკვიდრეობა. ვინაიდან პირველმა განდგომილებმა მიიღეს კურთხევა მამებისგან და მათგან ხელ-

დასხმის გზით — სულიერი ნიჭი. მაგრამ მას შემდეგ, რაც განდგნენ, გახდნენ ერისკაცნი და აღარ გააჩნდათ ხელმწიფება არც ნათლობის, არც ხელდასხმის, და აღარ შეეძლოთ სხვებისთვის გადაეცათ სულიწმინდის მადლი, რომელსაც თვითონ მოაკლდნენ“. ამგვარად, ეპისკოპოსის უფლებამოსილება (აღასრულოს სხვისი ხელდასხმა, გადასცეს მას სამღვდელო მადლი) დამოკიდებულია მემკვიდრეობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად მიიღო, დაიმკვიდრა ეს ხელმწიფება მმართველმა ეპისკოპოსმა იმ პირებისგან, რომლებსაც შეეძლოთ ეს მისთვის კანონიერად გადაეცათ, და რამდენად შეუძლია მას, თავად, გაუფრთხილდეს ამ მემკვიდრეობით მიღებულ ხელმწიფებას, თავის მხრივ კი, მემკვიდრეობით გადასცეს იგი სხვას. თუკი ეპისკოპოსი ამ ხელმწიფებას დაკარგავს განხეთქილების ან მწვალებლობის მიზეზით, მაშინ, თავისთავად ცხადია, რომ მას უკვე აღარ ძალუძს მისი სხვისთვის გადაცემა, რადგან ასეთ ეპისკოპოსში მეკვიდრეობითობა შეწყდა, ანუ მან დაკარგა მემკვიდრეობა, რომლის თანამონაწილეც იგი მანამდე — მსგავსად სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებისა — ქიროტონიის გზით გახდა. ეკლესიაში წმინდა იერარქიის შესახებ ეს კანონიკური აზრი, რომელიც ბასილი დიდს წინამდებარე კანონში მოჰყავს, სხვა არაფერია, თუ არა ამის შესახებ წმინდა წერილის, წმინდა მამებისა და ეკლესიის მოძღვრების მოკლედ ჩამოყალიბებული სწავლება.

მოციქულთა 47-ე და 68-ე კანონებში უკვე ითქვა, რომ კანონიერი სამღვდელოების საფუძველს წარმოადგენს იერარქიული ხელისუფლების უწყვეტი მემკვიდრეობითობა მოციქულებიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე. ეს ხელმწიფება მოციქულებმა ეპისკოპოსებს გადასცეს — თავიანთ უშუალო მემკვიდრეებს; ამ უკანასკნელებმა კი, თავისი მხრიდან, თავიანთ მემკვიდრეებს და ასე, მთელი საუკუნეების განმავლობაში ვიდრე დღევანდელ დღემდე. ამგვარად, ეპისკოპოსი არის მოციქულის მემკვიდრე, რომელმაც მისგან მემკვიდრეობითი წესით მიიღო იგივე ხელმწიფება.*

თავისი აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტე მოძღვრავს მოციქულებს ამქვეყნად მათი უდიდესი მისიის შესახებ (იხ. ლუკ. 24, 46-48; საქმ. 1, 8), ანიჭებს მათ ცოდვების მიტევების ხელმწიფებას (იხ. ინ. 20, 23), აძლევს მცნებას რომ წავიდნენ და განსწავლონ ერები, და ნათლისღების გზით შეიყვანონ ისინი მის სასუფეველში; აღუთქვამს მათთან ყოფნას *ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა* (მთ. 28. 20). როდესაც ქრისტე ამაღლდა, მოციქულებმა, ძველი რიცხოვნობის შესავსებად, მაშინვე აირჩიეს ახალი თანამოციქული დალუპული იუდას ნაცვლად (იხ. საქმ. 1, 21-26). ხოლო ამის შემდეგ, როგორც კი მიიღეს აღთქმული სულიწმინდა (იხ. საქმ. 2, 4), დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქრისტესგან მათთვის მინდობილი მსახურების შესრულებას; დაიწყეს იერუსალიმიდან, სადაც დააფუძნეს და დაამტკიცეს პირველი ქრისტიანული თემი (იხ. საქმ. 2, 41-44), რომლის სათავეშიც მოციქული იაკობი დადგინდა (იხ. საქმ. 21, 18; გალ. 1, 19), დანარჩენი მოციქულები კი წარემართნენ სხვა თემების დასაფუძნებლად პალესტინის გარეთაც, და ყველა მათგანზე განუწყვეტლივ ზრუნავდნენ (იხ. 2 კორ. 11, 28). შემდგომში, როდესაც ქრისტიანობა თანდათანობით შორს გავრცელდა, ისე, რომ თავად მოციქულებსაც

*შდრ. „აღმოსავლელ პატრიარქთა ეპისტოლე“, მე-10 წევრი.

აღარ შეეძლოთ თავის მიერვე დაარსებულ თემებზე უშუალოდ ეზრუნათ, მათ გამოირჩიეს რწმენაში გამოცდილ ადამიანთაგან თანაშემწენი* ამ შორეული ეკლესიებისათვის, და გადასცეს მათ ხელმწიფება მათი სახელით შეესრულებინათ ყოველივე შესაძლებელი სარწმუნოების განმტკიცებისა და ქრისტიანული ცხოვრების კეთილმოწყობისათვის (იხ. 1 ტიმ. 1, 2, 4; 5, 19-22; ტიტ. 1, 3, 5; 2, 15). მოციქულთა ეს თანაშემწენი ცალკეული ეკლესიებისათვის სახელწოდებულ იქნენ ეპისკოპოსებად („ზედამხედველი"). ყოველ ეკლესიას ერთი ეპისკოპოსი ჰყავდა და თითოეული მათგანი რომელიმე გარკვეული მოციქულისგან იყო უფლებამოსილი და მის უშუალო მემკვიდრედ ითვლებოდა. ამასთან, თავადაც იწოდებოდა მოციქულად (იხ. ფილიპ. 2, 25). ასეთ, მოციქულთა მემკვიდრე ეპისკოპოსებს რამდენიმეს თვით წმინდა წერილშიც ვხვდებით: **ტიტეს** — კუნძულ კრეტაზე, რომელსაც პავლე მოციქული წერს, რომ მან უნდა დაადგინოს ყველა ქალაქის მღვდლები (იხ. ტიტე 1, 5); **ტიმოთეს** — ეფესოში (იხ. ეფ. 5, 19-22), **ეპაფროდიტეს** — ფილიპიაში (იხ. ფილიპ. 2, 254); **დიოტროფეს** (იხ. 3 ინ. 1, 9). მცირე აზიის შვიდი ეკლესიის ეპისკოპოსებს (იხ. გამოცხ. 1, 20). ყოველივე ამის საფუძველზე, რაც მხოლოდ ნაწილობრივ არის მოყვანილი წმინდა წერილიდან, აგებულია ჩვენი ეკლესიის კანონიკური სწავლება მოციქულებისგან ეპისკოპოსების მემკვიდრეობითი ხელმწიფების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა წერილის სწავლება შემდგომში ყოველმხრივ სრულყოფილად განმარტეს ეკლესიის მამებმა და მოძღვრებმა. ასე, მაგალითად, მოციქულის მოწაფე, რომის ეპისკოპოსი **კლიმენტი** თავის ეპისტოლეში კორინთოელთა მიმართ წერს: „ჩვენმა მოციქულებმაც იცოდნენ იესო ქრისტესგან, რომ უთახმოებას ექნებოდა ადგილი ეპისკოპოსის სახელის გამო. ამ მიზეზით, — მოიპოვეს რა სრულყოფილი წინასწარმეტყველობა, — დაადგინეს ზემოდასახელებული (ეპისკოპოსები) და შემდეგ დაუმატეს კანონი, რომ, როდესაც ისინი გარდაიცვლებიან, სხვა გამოცდილმა კაცებმა აიღონ თავის თავზე მათი მსახურება". II საუკუნის საეკლესიო მწერალმა, **ეგეზიპემ**, თავის „სამახსოვრო ჩანაწერებში" (რომელსაც ევსები და იერონიმე მოიხსენიებენ), შემოგვინახა ეკლესიის ცხოვრებაში მოციქულთა სწავლების ფაქტიური გამოყენების კვალი, მოციქულებისგან ეპისკოპოსობის მემკვიდრეობითად მიღების შესახებ. მან, კერძოდ, შემოგვინახა რამდენიმე ეკლესიის ეპისკოპოსთა თანმიმდევრული სია, დაწყებული მოციქულებისგან, და გვიჩვენა, თუ როგორ გადადიოდა კონკრეტულ ეკლესიაში ეპისკოპოსებზე უწყვეტად სამოციქულო ხელმწიფება. ირინეოს ლიონელი, როდესაც ამხილებდა თავისი დროის მწვალებლებს, სთავაზობდა მათ დაემტკიცებინათ, რომ მათ ეპისკოპოსებსაც იმავე მემკვიდრეობითი გზით ჰქონდათ მიღებული საეპისკოპოსო უფლება მოციქულებისგან, როგორც ეს მართლმადიდებელ მღვდელთმთავრებს. ერთ ადგილას, თავის ცნობილ თხზულებაში მწვალებლობის წინააღმდეგ, **ირინეოსი** წერს: „ყველას, ვისაც სურს ჭეშმარიტება იხილოს, შეუძლია ყოველ ეკლესიაში გაიგოს მთელ მსოფლიოში გაცხადებული მოციქულების გადმოცემა; და ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მოციქულების მიერ ეკლესიებში დადგინებული ეპისკო-

*„თანამშაკი", სიტყვიდან: „სინერგია".

პოსები და მათი მემკვიდრენი უშუალოდ ჩვენამდე...". კიდევ: „უნდა ვემორჩილებოდეთ იმათ, რომლებმაც მამის ნებით ეპისკოპოსობასთან ერთად ჭეშმარიტების უეჭველი ქარიზმა (მადლის ნიჭი) მიიღეს, ხოლო იმათ, რომლებიც გაურბიან დასაბამიდან მომდინარე მემკვიდრეობას, ეჭვით უნდა შევხედოთ, როგორც მწვალებლებს ან ავადგანწყობილ ადამიანებს". და კიდევ: „მოციქულთა სწავლება, ეკლესიის ძველი მოწყობა და ქრისტეს სხეულის ხატება მთელ მსოფლიოში გამოიცნობა ეპისკოპოსების მემკვიდრეობითობით, რომლებსაც მოციქულებმა ეს ეკლესია გადასცეს ყოველ ადგილზე". ირინეოსის გარდა, იგივეს ამბობს ტერტულიანეც, რომელიც ამხელს რა მწვალებლებს, სთავაზობს დაამტკიცონ თავიანთი ეპისკოპოსების მემკვიდრეობითობა რომელიმე მოციქულისგან, ან, თუნდაც – მოციქულის მოწაფისგან, როგორც ეს შეუძლიათ დაამტკიცონ მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსაარებელ ეკლესიებს".

კლასიკური საეკლესიო მწერალი ეკლესიის ერთიანობის შესახებ, ცნობილი კვიპრიანე წერს: „ყველაზე მეტად ჩვენ ვშრომობთ და უნდა ვიშრომოთ იმისათვის, რომ რამდენადაც ეს ჩვენს ძალებშია, შევინარჩუნოთ ერთობა, რომელიც უფლისგან მოციქულების მეშვეობით მოგვეცა ჩვენ, მათ მემკვიდრეებს"; კიდევ: „ცოდვების მიტევების ხელმწიფება მიცემული აქვთ მოციქულებსაც და ეკლესიასაც, რომლებმაც, როგორც ქრისტეს წარგზავნილებმა, ისინი დააარსეს; ასევე, ეპისკოპოსებსაც, რომლებიც ხელდასხმის გზით გახდნენ მოციქულთა მემკვიდრენი". იერონიმე ამბობს: „მოციქულების ადგილი ჩვენთან ეპისკოპოსებს უკავიათ"; და კიდევ: „ყველა ეპისკოპოსი მოციქულის მემკვიდრეა". ავგუსტინეს სიტყვებია: „მოციქულების ადგილზე მან [უფალმა] ჩვენ დაგვადგინა". შეგვეძლო კიდევ უამრავი მოწმობა მოგვეყვანა წმინდა მამებისეული ლიტერატურიდან, რომლებიც დაგვანახებდნენ, რომ ეკლესიაში ეპისკოპოსთა მმართველობა იმიტომ არის კანონიერი, რომ დაცულია უწყვეტი მემკვიდრეობითობა მოყოლებული მოციქულებიდან, ან მოციქულთა მოწაფეებიდან – ვიდრე დღევანდელ დღემდე. ამის შესახებ ჩვენი ეკლესიის სიმბოლური სწავლება გადმოცემულია „აღმოსავლელ პატრიარქთა ეპისტოლეს" მე-10 წევრში. მას დღესაც აქვს გადამწყვეტი ძალა მართლმადიდებელ ეკლესიაში, და მას მიმართავენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, უნდა სცნონ თუ არა სხვა სარწმუნოების ამა თუ იმ რელიგიური საზოგადოების სამღვდელოება, როგორც ეს ვიხილეთ მოციქულთა 47-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 2

ვინც განზრახ მოიწყვეტს მუცლიდან ჩასახულ ნაყოფს, განზრახ მკვლელობისათვის სასჯელს ექვემდებარება. ზუსტი განსხვავება ჩამოყალიბებულია უკვე ნაყოფი თუ არა, – ჩვენ არა გვაქვს. რამეთუ აქ სასჯელი განიწესება არამარტო იმის გამო, ვინც უნდა დაბადებულიყო, არამედ იმისთვისაც, რომ თავის თავს ავნო, რადგან დედაკაცები, ასეთი მცდელობისას, საკმაოდ ხშირად კვდებიან. ამას ემატება ნაყოფის დაღუპვაც, როგორც მეორე მკვლელობა, – ამაზე განზრახ გაკადნიერებულთა მხრიდან. მაგრამ

სიცოხლის ბოლომდე არ უნდა გაგრძელდეს მათი სინანული, არამედ უნდა მოხდეს ესევითართა შეწყნარება საეკლესიო ერთობაში ათწლიანი ეპიტიმიის შემდეგ. მკურნალობა კი განიზომოს არა დროით, არამედ სინანულის ხარისხით.

(მოც. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21; ბასილი დიდის 8, 33, 52)

წინამდებარე კანონში ბასილი დიდი იმეორებს ანკვირიის კრების 21-ე კანონის განწესებას, რომელიც შემდგომში ტრულის კრებამაც დაამტკიცა თავისი 91-ე კანონით. წმინდა ბასილი შეგვახსენებს, რომ აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით მართლმადიდებელ ეკლესიაში არ კეთდება განხსხავება, მიიღო თუ არა ნაყოფმა მუცელში ადამიანური სახე. ამით იგი ჩრდილავს ძველაღთქმისეული ეკლესიის განწესებას, სადაც განსხვავებას ჰქონდა ადგილი, ამიტომაც დანაშაულის შესახებ სხვაგვარად მსჯელობდნენ. „გამოსლვათა“ წიგნში წერია: ***„უკუეთუ იბრძოდიან ორნი კაცნი, და სცნენ დედაკაცსა მიდგომილსა და მოურყუნენ ყრმა მისი არღა გამოხატული, ზღვევით იზღუს რაცა იგი დასდვას ქმარმან მის დედაკაცისმან მისცეს მას ვედრებით უკეთუ გამოხატული იყოს, მისცეს მას სული სულისა წილ“*** (21, 22, 23). პირველ შემთხვევაში დამნაშავეს უნდა გადაეხადა ფულადი ჯარიმა, მეორე შემთხვევაში – სიკვდილით ისჯებოდა. ქრისტიანობა ფულად ჯარიმას არ აწესებს, მაგრამ დედაკაცი, რომელიც განზრახ მუცლის მოწყვეტით ნაყოფს მოკლავს, კაცისმკვლელის თანაბრად ისჯება. პირველ რიგში იმიტომ, რომ ნაყოფი მოაკვდინა, მეორე რიგში – თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდო, რადგან ხშირ შემთხვევაში ამ დროს თვითონვე კვდებიან.* მსგავს დამნაშავე ქალებს ბასილი დიდი ათწლიან ეპიტიმიას უფარდებს, თუმცა, ამასთან, სასჯელის ვადის შემცირებასაც უშვებს, თუკი დამნაშავე თავის ცოდვას გულწრფელად მოინანიებს. მე-8 კანონში იგი იმ ქალებსაც უქვემდებარებს სასჯელს, რომლებიც სხვებს აძლევენ მუცლის მოსაშლელ წამალს (იხ. ანკვირ. 21-ე კან. განმარტება).

აღნიშნული დანაშაული ითვლება განქორწინების მიზეზად. თუკი ქმარი გაიგებს, რომ ცოლმა განზრახ მოაკვდინა მუცელში ნაყოფი, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მასთან ქორწინების გაუქმება. ეს ჯერ კიდევ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ იყო განწესებული, შემდგომში კი საგანგებო ნოველით (XXXI) გაიმეორა იმპერატორმა ლეონ ბრძენმა. სწორედ ამ ნოველას მოიხსენიებს ბალსამონი ტრულის კრების 91-ე კანონის განმარტებაში.** განქორწინების ეს მიზეზი დღესაც ძალაშია მართლმადიდებელ ეკლესიაში.

კანონი 3

დიაკონი, რომელიც დიაკვნად კურთხევის შემდეგ ისიძვებს, თუმც უნდა განიკვეთოს დიაკვნობიდან, მაგრამ ერისკაცობამდე დამცრობის მერე, დაე,

*ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 304.

**ათენის სინტაგმა, II, 520.

ნუ განიყენება ზიარებიდან. რამეთუ ძველი კანონია: სასულიერო ხარისხიდან განკვეთილები მხოლოდ ამ სახის სასჯელს დაექვემდებარონ, რაშიაც, როგორც, ვფიქრობ, ძველები მიყვნენ შემდეგ კანონს: *„არ შურ იგო ორ გზის ერთბამად ჭირსა შინა“* (ნაუმ. 1, 9). ამის სხვა მიზეზიც არსებობს: ერისკაცის ხარისხში მყოფი, თუ ერთგულთა რიგებიდან განიკვეთა, კვლავ მიიღება იმ ადგილზე, საიდანაც დაემხო, დიაკონი კი თავისი ხარისხიდან სამუდამოდ განკვეთილი რჩება. ამდენად, ისინი შემოიფარგლნენ ამ ერთი სასჯელით, რადგან მას უკვე დიაკვნობა აღარ უბრუნდება. ასეა წესებით. საერთოდ კი, ყველაზე ჭეშმარიტი მკურნალობა ეს არის ცოდვისგან განრინება. ასე რომ, ხორციელი სიამოვნებისათვის მადლის უარმყოფელი, იმ შემთხვევაში გვიჩვენებს თავისი განკურნების სრულ მტკიცებულებას, თუკი შემუსვრილი გულით და თავშეკავების გზით, ხორცის ყოველმხრივი დამორჩილებით, განეშორება იმ სიამოვნებას, რითაც შეირყვნა. ამგვარად, ჩვენ გვმართებს ერთიც ვიცოდეთ და მეორეც: რაც სინანულის სრულყოფილებას ეხება და რაც ჩვეულებად არის მიღებული; იმათთან დამოკიდებულებით, ვინც სინანულის სრულყოფილებას ვერ მიაღწევს, გადმოცემულ წესს უნდა მივყვეთ.

(მოც. 25; IV მსოფ. 15, 16; ტრულ. 4, 21, 44; ანკვირ. 19; კართ. 27; ბასილი დიდის 6, 18, 32, 44, 51, 60, 69. 70)

წინამდებარე კანონით ბასილი დიდი იმეორებს მოციქულთა 25-ე კანონის განწესებას, რომლის თანახმადაც მრუშობაში მხილებული სასულიერო პირი უნდა განიკვეთოს, ანუ ჩამოერთვას სასულიერო ხარისხი, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა განიკვეთოს ეკლესიის ერთობიდან. ამ განწესების საფუძველად მას მოჰყავს იგივე ადგილი წმინდა წერილიდან (ნაუმ. 1, 9), რომელიც მოყვანილი იყო მოციქულთა აღნიშნულ კანონში. ბასილი დიდის ამ კანონზე დაყრდნობით, მართლმადიდებელ ეკლესიაში დადგინდა სასჯელებში განსხვავება სასულიერო პირებისა და ერისკაცებისათვის, რაზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მოციქულთა მე-5 კანონის განმარტებაში (იხ. I ტომი).

კანონი 4

მესამედ და მრავალგზის ქორწინებულთათვის ჩვენ იგივე კანონი დავაწესეთ, როგორიც მეორედ ქორწინებულთათვის, სინანულის ზომისამებრ. მეორედ დაქორწინებულებს ერთნი განაყენებენ ერთი წლით, მეორენი — ორი წლით, მესამედ დაქორწინებულებს — სამი წლით, ხშირად — ოთხი წლითაც, და ასეთ კავშირს უწოდებენ უკვე არა ქორწინებას, არამედ — მრავალცოლიანობას, ან უფრო — სიძვით დასჯას. ამიტომ უფალმაც, სამარიტელ დედაკაცს, რომელმაც ხუთი ქმარი გამოიცვალა, უთხრა: „ის, რომელიც ახლა გყავს, შენი ქმარი არ არის“ (იოანე, 4, 18), რითაც აჩვენა, რომ მეორე ქორწინების ზღვარს ვინც გადალახავს, უკვე არ არის ღირსი ქმრად ან ცოლად იწოდებოდეს. ჩვენ კი არა კანონიდან, არამედ წინაპართა მიბაძვით მივიღეთ ჩვეულება: მესამედ დაქორწინებულნი განვაყენოთ ხუთი

წლით. ამასთან, არ არის საჭირო სრულიად დავუხშოთ მათ ეკლესიის კარი, არამედ ნება დავრთოთ ისმინონ წმინდა წერილი ორი ან სამი წელი, რის შემდეგაც დავუშვათ დგომად, მაგრამ სიწმინდესთან ზიარების გარეშე, და ამგვარად გამოავლენენ რა ერთგვარ სინანულის ნაყოფს, დაშვებულ იქნ-ნენ ერთობის ადგილზე.

(მოკ. 17; I მსოფ. 8; ტრულ. 3,87; ანკვირ. 19; ნეოკეს. 3,7; ლაოდ. 1; ბასილი დიდის 12, 30, 41, 50, 53, 80, 87)

ქორწინებისათვის კანონიერ ზღვრად ბასილი დიდი აწესებს **მეორე ქორწი-ნებას** და შენიშნავს, რომ ქმრისა და ცოლის სახელის ღირსნი არ არიან ის პირები, რომლებიც ამ ზღვარს გადავლენ, მაგრამ ამ მეორე ქორწინებასაც იგი მიიჩნევს მხოლოდ დათმობად ადამიანური სისუსტისადმი. თუმცაღა, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ ეკლესიის მიერ დადგენილ ამ ზღვარს, და ქორწინდებოდნენ მესამედ და მეოთხედაც კი. სწორედ მათზე აჩერებს თავის ყურადღებას წმინდა ბასილი წარმოდგენილ კანონში (ასევე, 50-ე და მე-80 კანონებში). განაწესა რა მეორედ დაქორწინებულთთავის ერთი ან ორწლიანი ეპიტიმია, – სინანულის ხარისხის მიხედვით (იხ. ლაოდიკიის კრების 1 კანონის განმარტება), – წმინდა ბასილი თავის 50-ე კანონში აღნიშნავს, რომ მესამედ დაქორწინება კანონით აკრძალულია, ხოლო თუ მაინც, რამე მიზეზით ვინმე მესამ-ედ იქორწინებს, მათთვის ხუთწლიან ეპიტიმიას განაწესებს. მეოთხე ქორწინებას, თავის მე-80 კანონში, იგი მიიჩნევს უფრო მეტ ცოდვად, ვიდრე არის სიძვა, და უფრო მეტიც, მას პირუტყვულ ცოდვას უწოდებს. ბასილი დიდის ეს სწავლება იმავდროულად ეკლესიის სწავლებასაც წარმოადგენდა, რომლის დაცვასაც ასევე სავალდებულოდ მიიჩნევდა თავისთვის ბერძნულ-რომაული კანონმდებლობაც.

X საუკუნის დასაწყისში კი მოხდა შემთხვევა, რომლის გამოც დამახინჯდა ეკლესიის აღნიშნული სწავლება. შედეგად, ეკლესია იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს კანონშემოქმედებითად და განესაზღვრა: რამდენი ქორ-წინება არის დასაშვები დაქვრივებულ პირთათვის. მოხსენიებული შემთხვევა უდიდესი მნიშვნელობის შემცველია, რამეთუ მან საკმაოდ დიდი შფოთი გამოიწვია ეკლე-სიაში. იმპერატორმა ლეონ ბრძენმა ხანმოკლე დროის განმავლობაში (სულ რაღაც რამოდენიმე წელიწადში) ორი ცოლი დაკარგა და მესამედ დაქორწინდა. მაგრამ იმავე წელს მისი მესამე ცოლიც გარდაიცვალა. ლეონი ამ დროს ახალგაზრდა იყო, არც კანონიერი მემკვიდრე ჰყავდა და მეოთხედ დაქორწინება გადაწყვიტა, თანაც იმ ქალზე, რომელთანაც ქორწინების გარეშე ჰყავდა შვილი. კონსტანტინოპ-ოლის პატრიარქს, ნიკოლოზ I-ს, არ სურდა ამ ქორწინებაზე კურთხევა გაეცა, რადგან ასეთი ქმედება საეკლესიო განწესებას ეწინააღმდეგებოდა. იმპერატორმა პასუხად სამეფო კარის მოძღვარს უბრძანა გვირგვინის კურთხევა, რაც მან შეას-რულა კიდეც. ამას პატრიარქის მხრიდან იმპერატორის ეკლესიის ერთობიდან განყენება და მღვდლის ხარისხიდან განკვეთა მოჰყვა. იმპერატორმა თავი შეურა-ცხყოფილად იგრძნო და პატრიარქის ექსორიაში გაგზავნა ბრძანა. გარდა ამისა, მოიწვიეს საეკლესიო კრება (908 წ.) რომელიც იმპერატორის მხარდამჭერი ეპისკო-პოსებისგან შედგებოდა; კრების მუშაობაში ასევე იღებდნენ მონაწილეობას საგა-

ნგებოდ ამისთვის პაპი სერგი III-ის მიერ წარმოგზავნილი ლეგატები. კრებამ ნიკოლოზს პატრიარქის ღირსება ჩამოართვა და ახალი პატრიარქი (ეფთვიმე) დაადგინა, იმპერატორის ქორწინება კი კანონიერად გამოაცხადა. ამ ამბავმა ყველა იმ ეპისკოპოსის გულისწყრომა გამოიწვია, რომლებიც პატივს სცემდნენ კანონიკური განწესებების სიწმინდეს და მომხდარში სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის უფლებების დარღვევა დაინახეს. ამ ყველაფერმა უაღრესად აღაშფოთა თანამედროვენი და გამოიწვია მწვავე დაპირისპირება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. დედაქალაქს ამბოხება დაემუქრა. საფრთხის თავიდან ასაცილებად, იმპერატორმა პატრიარქი ნიკოლოზი გადასახლებიდან დააბრუნა. მიუხედავად ამისა, შფოთი მაინც არ დაცხრა. გარდაიცვალა იმპერატორი ლეონი, მისმა მემკვიდრემ, იმპერატორმა ალექსანდრემ, როგორც კი აღსაყდრდა (912 წელს), მაშინვე ეპისკოპოსთა კრება მოწვია. კრების გადაწყვეტილებით ნიკოლოზი პატრიარქის კათედრაზე დაბრუნდა, ეფთვიმე კი – განიკვეთა. პატრიარქ ნიკოლოზის მცდელობამ, დაეშოშმინებინა აღშფოთებული საზოგადოება, ნაყოფი მხოლოდ მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ გამოიღო. იმპერატორების – კონსტანტინე VII-ისა და რომან I-ის ზეობის ხანაში, პატრიარქმა ნიკოლოზმა კონსტანტინოპოლის დიდი კრება მოიწვია (920 წ.), სადაც დაგმეს ყოველივე, რასაც ადგილი ჰქონდა 908 წლის კრებაზე ეკლესიის კანონიკური განწესების წინააღმდეგ, და დაამტკიცეს საეკლესიო სამართლის ისტორიაში ცნობლი „ტომუს უნიონი", ანუ სახელმწიფოს ეკლესიასთან შერიგების ქარტია.*

ეს „ტომოსი" („ტომუსი"), შესავლის გარდა, კიდევ 7 კანონს შეიცავს. პირველი 3 კანონი იმ საკითხს ეხება, რაც აღნიშნული კრების მოწვევის მიზეზი გახდა. 1 კანონში ნათქვამია, რომ ამიერიდან არავის მიეცეს მეოთხედ დაქორწინების უფლება; ასეთი ქორწინების აღიარება არ უნდა მოხდეს, ხოლო დამნაშავე არამცთუ ეკლესიის ერთობიდან უნდა განიყენოს, არამედ საერთოდ აეკრძალოს ეკლესიაში შესვლა სანამ ასეთ უკანონო ქორწინებაში რჩება. მე-2 კანონი საუბრობს მესამე ქორწინებაზე და შეგვახსენებს, რომ ზოგადად ისიც აკრძალულად ითვლება, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში გამონაკლისი დასაშვებია. კერძოდ, მესამე ქორწინების შესახებ ეს კანონი განაწესებს: ა) 40 წლის უშვილო ადამიანს, რომელიც მესამედ დაქორწინებას მოისურვებს, ხუთი წლის განმავლობაში ეკრძალება წმინდა ზიარების მიღება; ბ) 40 წლის ასაკის ადამიანს, რომელსაც შვილები ჰყავს, მესამედ დაქორწინება ეკრძალება; გ) 30 წლის ასაკისას, თუ მას წინა ქორწინებებიდან შვილები ჰყავს და მესამედ დაქორწინებას გადაწყვეტს, ოთხი წლის განმავლობაში ეკრძალება წმინდა ზიარების მიღება; დ) 30 წლის ასაკის უშვილო ადამიანს აქვს მესამედ დაქორწინების უფლება, მაგრამ – ეპიტიმიის შესრულების ვალდებულებით. მე-3 კანონი შვიდწლიან ეპიტიმიას განსაზღვრავს პირველი და მეორე ქორწინებისთვისაც, თუ დამტკიცდება, რომ მამაკაცმა ცოლი გაიტაცა ან ქორწინებამდეც იმყოფებოდა მასთან უკანონო კავშირში. ამას კიდევ ისიც ემატება, რომ მღვდელი, რომელიც მოცემული კანონის განწესებების დარღვევით გასცემს წმინდა ზიარებას, მაშინვე კარგავს მღვდელმოქმედების უფლებას და ეკისრება

*ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ათენის სიტაგმა, VI, 159-161.

შვიდწლიანი ეპიტიმია. აი, ამ სამ კანონს შეიცავს აღნიშნული „ტომოსი“, რომელიც ზემოთ მოხსენიებულმა იმპერატორებმა დაამტკიცეს და სახელმწიფო კანონად გამოაცხადეს.

თუმცაღა, წინამდებარე განწესებამაც ვერ დააკმაყოფილა წმინდა კანონების მკაცრი დამცველები, ვინაიდან მასში დაინახეს სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დათმობა მესამე ქორწინების დაშვებით, ამიტომაც გაუწიეს მას წინააღმდეგობა. მხოლო პატრიარქ სისინიოსის და იმპერატორების — ბასილი II-ისა და კონსტანტინე VII-ის დროს, 997 წელს, მოხდა სიმშვიდის მიღწევა. აღნიშნულ წელს „ტომოსი“ წარედგინა დიდ კრებას და საზეიმოდ დამტკიცდა; ამასთან, მას კიდევ ოთხი კანონი დაემატა. მათგან 1 (მე-4) შეაჩვენებს ყველას, ვინც გაბედავს რაიმე სიახლის შემოტანას ეკლესიის ტრადიციულ სწავლებაში; მე-2 (მე-5) კანონი შეაჩვენებს იმათ, ვინც ეკლესიას თავისი პრინციპების დათმობაში სდებს ბრალს, ვინაიდან საეკლესიო მშვიდობისათვის მოხდა იმპერატორ ლეონ ბრძენის მეოთხე ქორწინების აღიარება; მე-3 (მე-6) კანონი ასევე გადასცემს ანათემას იმათ, ვინც გაბედავს თქმას, რომ წმინდა ეკლესიამ არ დაიცვა წმინდად და შეურყვნელად მისთვის გადმოცემული სწავლება; დაბოლოს, მე-4 (მე-7) კანონი შეაჩვენებს იმათ, ვინც არ შეიწყნარებს მანამდე მიღებულ და მთელი ეკლესიის მიერ აღიარებულ რომელიმე კანონს.* ამის შემდეგ ეკლესიაში პროტესტები შეწყდა და „ტომოსი“ საყოველთაოდ იქნა მიღებული და აღიარებული, ხოლო მისი განწესებები მთელი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სავალდებულო გახდა დღევანდელ დღემდეც.

ამგვარად, მეოთხე ქორწინება მართლმადიდებლი ეკლესიის კანონიკური სამართლის თანახმად, სრულიად აკრძალულია, მესამე კი შეიძლება დაიშვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და, თანაც, მმართველი ეპისკოპოსის ნებართვით.

კანონი 5

მწვალებლები შეიწყნარებიან სინანულის ვადის გასვლის შემდეგ, ცხადია, არა განუსჯელად, არამედ გამოცდით: აჩვენებენ თუ არა ჭეშმარიტ სინანულს, და აქვთ თუ არა სინანულის ნაყოფნი, რომლებიც დაამოწმებენ ცხონების გულმოდინებას.

(I მსოფ. 2,14; II მსოფ. 7; ტრულ. 78,96; ნეოკეს. 12; ლაოდ. 19,47; კართ. 45)

მართლმადიდებლობაში მოქცეული მწვალებლების შეწყნარება, კანონების თანახმად, ხდება სხვადასხვა ჯგუფებისათვის მათთვის დადგენილი წესის შესაბამისად (იხ. II მსოფ. მე-7 კან.). ეს პროცესი განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს, როდესაც სულის ხსნის მსურველი მწვალებელი სიკვდილის პირას იმყოფება. ამის შესახებ საუბრობს ბასილი დიდიც წარმოდგენილ კანონში. ამასთან, დასძენს, რომ საჭიროა გამოიცადოს, ნამდვილად გმობს თუ არა შესაწყნარებელი პირი იმ მწვალებლობას, რომელსაც მანამდე აღიარებდა, ასევე, თუკი ცოცხალი გადარჩება, იქნება თუ არა ერთგული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მწვალებელი არც სიკვდილის წინ უნდა აზიაროს.

*ათენის სინტაგმა, V, 9-10.

კანონი 6

ღვთისთვის შეწირული პირებისათვის სიძვაში ცხოვრება ქორწინებად არ უნდა იქცეს, პირიქით, ყოველნაირი მცდელობაა საჭირო მათი კავშირის გასაწყვეტად. რამეთუ ეს ეკლესიის სიმტკიცისთვისაც სასარგებლოა და მწვალებლებსაც არ მიეცემათ საყვედურის საბაბი, თითქოს ჩვენკენ ვიზიდავდეთ ცოდვების უგულებელყოფით.

(მოც. 25, 26; IV მსოფ. 14, 15, 16; ტრულ. 4, 6, 44; ანკვირ. 19; ბასილი დიდის 3, 18, 20, 32, 44, 60, 70)

ღვთისთვის შეწირულ პირებში, რომლებიც კანონში მოიხსენიებიან, იგულისხმება უქორწინებელი კლირიკოსები (იხ. მოც. 26-ე კან.), შემდეგ მონოზვნები, როგორც ქალწულობის აღთქმის დამდებნი. სიძვის ცოდვაში ჩავარდნილი სასულიერო პირი კარგავს თავის ხარისხს (იხ. მოც. 25-ე კან.). თუმცაღა, იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ამის შემდეგ უკვე მოითხოვდნენ, რომ ნება დაერთოთ შეუღლებულიყვნენ იმ ქალთან, ვის გამოც სასულიერო ხარისხი დაკარგეს და ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ასეთი ქორწინების აკრძალვა დაუშვებელია.* იგივეს მოითხოვდნენ მონოზვნებიც. წმინდა ბასილი ყურდღებას ამახვილებს ყოველივე ამაზე და საეკლესიო წესრიგისა და სამღვდელო ღირსების ინტერესებიდან გამომდინარე, — ასევე, სამონოზვნო წესის ღირსების დაცვის მიზნით, და იმისათვის, რომ ისეთ მწვალებლებს, როგორიც, მაგალითად, ევსტათიანელები იყვნენ (იხ. ღანგ. 1, 4 და სხვ.) ეკლესიის სასაყვედურო საბაბი არ მისცემოდათ, — განაწესებს, რომ იმათთაგან, ვინც კანონით არის შეკრული (ანუ ღმერთს მიუძღვნა თავი), არავის მიეცეს იმ ქალთან თანაცხოვრების გაგრძელების უფლება, ვისთანაც სიძვით დაეცა და კიდევ უფრო ნაკლებად — მასთან კანონიერი ქორწინებისა. იგი ამბობს, რომ პირიქით, ყოველმხრივ უნდა ეცადონ მათ დაშორებას და უკანონო და ცოდვილი კავშირის შეწყვეტას.

კანონი 7

მამათმავლები და პირუტყვთმავლები, მკვლელები, მომწამვლელები, მემრუშენი და კერპთაყვანისმცემლები — ერთნაირ სასჯელს იმსახურებენ. ამიტომ კანონი, რომელიც სხვათა მიმართ გაქვს, ამათ შესახებაც დაიცავი. ხოლო ეჭვის შეტანა იმაში არ გემართებდა, რომ ოცდაათწლიანი სინანულის შემდეგ უნდა შეეიწყნაროთ ისინი, ვინც უწმინდურება უმეცრებით ჩაიდინა. რამეთუ უმეცრებაც ჰყოფს მათ სულგრძელობის ღირსად, და ნებაყოფლობითი აღსარებაც და ესოდენ დიდი დროც სინანულისა, რადგან ისინი ადამიანური ცხოვრების მთელი დრო სატანის ტყვეობაში იყვნენ, დაე, ისწავლონ, რომ არ მოიქცნენ უწესოდ. ამიტომ უბრძანე უკვე დაუყოვნებლივ შეიწყნარონ ისინი, და მით უფრო თუ ცრემლი აქვთ, — ლმობიერებისაკენ შენი მიმდრეკელი, — და ავლენენ შენდობის ღირს ცხოვრებას.

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 108.

(ტრულ. 61, 87; ანკირ. 16, 17, 20, 22, 24; ბასილი დიდის 58, 62, 63, 65; გრიგოლ ნოსელის 4)

წინამდებარე კანონი მძიმე საეკლესიო სასჯელს ადებს გარკვეული სახის დამნაშავეებს, რომელთა შორის პირველ ადგილზე მოხსენიებულია მამათმავლები. ასეთ პირთა დანაშაული ყველაზე მდაბალი და სამარცხვინოა ყველა სიბილწეთა შორის და განეკუთვნება ეგრეთ წოდებული ბუნების საწინააღმდეგო დანაშაულებს. სხვაგვარად ამ დანაშაულს სოდომური ცოდვა ეწოდება, ბიბლიური ქალაქის – სოდომის მიხედვით, რომლის მცხოვრებლებმაც ყველანაირი სახის გარყვნილობით ღვთის რისხვა გამოიწვიეს (იხ. დაბ. 18, 20 და შემდგ.). ცოდვას, რომელიც გამოიხატება მამაკაცის მხრიდან მამრობითი სქესის მიმართ ჩადენილი სიბილწით, ბასილი დიდი თავის 62-ე კანონშიც მოიხსენიებს, თანაც, ისეთივე სასჯელს განუწესებს, როგორსაც – მრუშობისათვის. წმინდა გრიგოლ ნოსელი, თავის მე-4 კანონში, ამ დანაშაულს „პედერასტიას“ უწოდებს.

ამის შემდეგ, ბასილი დიდი წინამდებარე კანონში მოიხსენიებს პირუტყვთან დაცემის ცოდვას, ან, როგორც თავის 63-ე კანონში ამბობს: „პირუტყვზე ნაჩვენებ უწმინდურებას“. ძველაღთქმისეული კანონმდებლობა მსგავსი სახის დამნაშავეებისათვის სასიკვდილო სასჯელს განაწესებდა (იხ. ლევ. 20, 15, 16). წინამდებარე კანონი კი მათ მემრუშეების თანბრად სჯის. ამის შემდეგ კანონში საუბარია მკვლელებზე და განსაკუთრებით – მკვლელობის განზრახ ჩამდენთა შესახებ და მათ ზემოხსენებულ დამნაშავეების თანაბრად სჯის. კაცთმკვლელების შესახებ დაწვრილებით ნათქვამია მომდევნო, მე-8 კანონში. იგივე სასჯელს ექვემდებარებიან მომწამვლელებიც – ისინი გათანაბრებულნი არიან განზრახმკვლელებთან. ამის შემდეგ საუბარია მრუშების შესახებ, რომელთათვისაც წმინდა მამა თხუთმეტწლიან ეპიტიმიას განაწესებს. მათ შესახებ ბასილი დიდი საუბრობს კიდევ მე-9 დ 21-ე კანონებში. დაბოლოს, წინამდებარე კანონში მოიხსენიებიან, ასევე, კერპთაყვანისმცემლები, რომელთათვისაც იგივე სასჯელი განიწესება, როგორიც – მრუშებისათვის. ზონარას სიტყვებით – ამ კანონის განმარტებიდან – კერპთაყვანისმცემლებში აქ არ უნდა ვიგულისხმოთ კერპებისათვის მსხვერპლის შემწირველნი (რამეთუ კერპის შემწირველი ქრისტიანი სინანულის ეპიტიმიით ისჯება თავისი ცხოვრების ბოლომდე), არამედ – გრძნეულნი (ჯადოს მკეთებელნი) და ყველა ის, ვინც მსგავსი ბნელი საქმეებითაა დაკავებული, რადგან ასეთი ქმედებებისას ისინი დასახმარებლად ეშმაკს იხმობენ და ამით მას ემსახურებიან და პატივს მიაგებენ.* ამ სახის კერპთაყვანისმცემლებთან მიმართებით, ისევე როგორც სხვა ცოდვილების მიმართ, ბასილი დიდი ამბობს, რომ ისინი ერთნაირ სასჯელს იმსახურებენ. ამის შემდგომ კანონში საუბარია იმათ შესახებ, ვინც უწმინდურებაში რჩებიან, რომელშიც უმეცრებით ჩავარდნენ, რისთვისაც ოცდაათი წელი უნდა დაპყონ სინანულის ეპიტიმიის ქვეშ. ბალსამონი, წინამდებარე კანონის განმარტებაში, შენიშნავს, რომ ამ უწმინდურებაში უნდა ვიგულისხმოთ სისხლაღრევა და არა სხვა რაიმე ცოდვა, ვინაიდან სხვა ცოდვები, თავისი ბუნებით, არ მიეკუთვნებიან უმეცრებით ჩადენილი ცოდვის სახეობას.**

*ათენის სინტაგმა, IV, 110.
**ათენის სინტაგმა, IV, 112.

კანონი 8

ვინც რისხვაში თავისი ცოლის წინააღმდეგ ცულს გამოიყენებს, — მკვლელია. სამართლიანად და შენი კეთილგონიერებისათვის ფრიად ღირსეულად შემახსენე, და ვიტყვი ამის შესახებ უფრო ვრცლად, რამეთუ დიდი განსხვავებაა უნებლიე და განზრახ ქმედებებს შორის. თუკი ვინმე ქვას ესვრის ძაღლს ან ხეს და ადამიანს მოხვდება, — ეს არის სრულიად უნებლიე საქმე, რომელიც არ ყოფილა ამ ქმედების ჩამდენის განზრახვაში, რადგან მისი განზრახვა იყო მოეგერიებინა მხეცი ან ჩამოეგდო ხიდან ნაყოფი. ხოლო, ვინც დარტყმა მიიღო, ის თვითონ გავიდა მასზე, რადგან გვერდით გაიარა. ამდენად, ეს არის უნებლიე ქმედება. უნებლიე არის, ასევე, ისიც, თუ ვინმე, გამოსწორების მიზნით, დაარტყამს სხვას ქამარს ან მსუბუქ კვერთხს, და იგი მოკვდება, რადგან აქ განიხილება განზრახვა, რომ დარტყმის მიმყენებელს შემცოდებლის გამოსწორება ეწადა, და არა — მოკვლა. მსგავსადვე, უნებლიე მკვლელობას მიეკუთვნება ისიც, თუკი ვინმე ჩხუბში თავს იცავს, და ამ დროს ხელით ან ჯოხით დაუზოგავად დაარტყამს მოწინააღმდეგეს საშიშ ადგილას, იმ განზრახვით, რომ ტკივილი მიაყენოს, და არა სულ მოკლას, მაგრამ ეს უკვე უახლოვდება ნებსით მკვლელობას; რამეთუ თავდაცვისათვის ასეთი იარაღის გამოყენება ან დაუზოგავად მიყენებული დარტყმა, აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ ვნებით შეპყრობილმა არ დაინდო ადამიანი. მსგავსადვე, იარაღად მძიმე შეშისა და ქვის გამოყენება, რომლის დარტყმასაც ადამიანის ძალა ვერ გაუძლებს, ითვლება უნებლიე მკვლელობად, ვინაიდან განზრახვა ერთი იყო, ქმედება კი — მეორე, და განრისხებულმა ისეთი დარტყმა მიაყენა, რომ დაზარალებული გარდაიცვალა. თუმცა, შესაძლოა მისი მიზანი იყო დაეჭრა და არა სულ მოეკლა. მაგრამ, ვინც მახვილი ან რაიმე ამდაგვარი გამოიყენა, მას არავითარი პატიება არა აქვს, და განსაკუთრებით, თუ ცული ესროლა. რამეთუ მას ხელიდან კი არ მიუყენებია დარტყმა, რომ დარტყმის სიძლიერე მასზე ყოფილიყო დამოკიდებული, არამედ ესროლა ისე, რომ დარტყმა — გამომდინარე რკინის სიმძიმიდან, მისი სიბასრიდან, დიდი მანძილიდან ნასროლის სისწრაფიდან — აუცილებლად ყოფილიყო სასიკვდილო. ზუსტად ასევე არის განზრახ (ნებსითი) დანაშაული, რასაც ავაზაკები სჩადიან, ან მტრის თავდასხმისას ხდება, და ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. რამეთუ ავაზაკი კლავს ფულისთვის და ცდილობს დამალოს ბოროტმოქმედების სამხილი, ხოლო ომში მიდიან მოწინააღმდეგის განადგურების აშკარა განზრახვით: არც შესაშინებლად და არც შესაგონებლად, არამედ გასაულეტად. კიდევ, თუ ვინმე დაალევინებს სხვას ფარულ შენარევს (თუნდაც სხვა რაიმე მიზნით) და მოაკვდინებს, — ესევითარს ვაღიარებთ განზრახ მკვლელად. ამას ხშირად დედაკაცები აკეთებენ, — ცდილობენ რა ერთგვარი ჯადოთი და გრძნეულებით გარკვეულ პირს თავი შეაყვარონ, და აძლევენ მათ გონების დასაბნელებელი წამლის შემადგენლობას. თუმცა, მიაყენეს რა სიკვდილი, ქმნეს არა ის, რისი განზრახვაც ჰქონდათ, მაგრამ გრძნეულობისა და აკრძალული ქმედებისათვის მიეკუთვნებიან ნებსით

მკვლელებს. ამიტომ, ვინც მუცლისმოსაწყვეტ საშუალებას აძლევს, – მკვლელია; ზუსტად ასევე – ვინც ნაყოფისმომაკვდინებელ საწამლავს მიიღებს. ასეა აქამდეც.

(მოკ. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 56, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

წინამდებარე კანონში ბასილი დიდი საუბრობს ადამიანის მკვლელობის გვარობაზე – განზრახ, უნებლიე და ისეთ მკვლელობაზე, რომელიც ახლოა განზრახ მკვლელობასთან; განსხვავება გულისხმობს მკვლელობის ჩამდენის განწყობას. მკვლელობის სხვადასხვაგვარობა გვხვდება ძველ რომაულ სამართალში, რომლის თანახმადაც, განზრახ მკვლელობის მიზეზად სახელდება დამნაშავის ბოროტი განზრახვა, ხოლო უნებლიე მკვლელობისა – გაუფრთხილებლობა (დაუდევრობა, წინდაუხედაობა, უყურადღებობა). უნებლიე მკვლელობასთან ახლო დგას შემთხვევითი მკვლელობა. აქედან განისაზღვრება მკვლელობის კატეგორიები: განზრახვითი, გაუფრთხილებლობითი და შემთხვევითი. მკვლელობების ზუსტად ასეთ დაყოფას აკეთებს გრიგოლ ნოსელიც თავის მე-5 კანონში, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ.

წინამდებარე კანონის თანახმად, განზრახ მკვლელობა ჰქვია, როდესაც ადამიანი (ქალი იქნება ის თუ კაცი) შეგნებულად და წინასწარგანზრახვით გამოასალმებს ვინმეს სიცოცხლეს. თუ რა სახის მკვლელობებს მიაკუთვნებს ბასილი დიდი ამ კატეგორიას, ეს თვით კანონიდან ჩანს. ამ კატეგორიასვე აკუთვნებს იგი ომში მებრძოლთა მკვლელობასაც, რომლებიც **„ომში მიდიან მოწინააღმდეგის განადგურების აშკარა განზრახვით: არც შესაშინებლად და არც შესაგონებლად, არამედ გასაჟლეტად“**, და მათ იგივე სასჯელს უწესებს, როგორსაც სხვა განზრახ მკვლელებს. თუმცა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, იგივე წმინდა მამა თავის მე-13 კანონში არბილებს ამ კანონში წარმოდგენილ მკაცრ მსჯელობას მეომრების შესახებ, რომლებიც მტრებს ომში კლავენ.

თვით კანონიდან კარგად ჩანს – რა სახის მკვლელობები შედის ამ წმინდა მამის განსაზღვრებით გაუფრთხილებელ (უნებურ) და განზრახულთან ახლომდგომ კატეგორიებში.

მკვლელობების კვალიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება – როგორც ეს ზემოთ ითქვა – უმთავრესად მოტივი, რის გამოც დანაშაული მოხდა, შესაბამისად, ეს არის მკვლელის სუბიექტური მხარე, კერძოდ: ჩადენილია თუ არა დანაშაული ბოროტგანზრახვით, თუ გაუფრთხილებლობითა და დაუდევრობით, ან იქნებ – შემთხვევით. პირველ შემთხვევაში მკვლელობა არის ნებსითი, შეგნებული (განზრახული) დარღვევა არსებული კანონისა, რომლის მეშვეობითაც (დანაშაულის გზით) ვინმე ისწრაფვის მიაღწიოს იმას, რაც კანონით ერძალება. აქ მთავარია – კანონსაწინააღმდეგო ნება, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას აღასრულებს. ეს კანონსაწინააღმდეგო ნება იმსახურებს სასჯელს არამხოლოდ მაშინ, როდესაც ბოროტება ჩადენილია, არამედ მაშინაც კი, თუ ის (ბოროტება) სისრულეში არ არის მოყვანილი და, შესაბამისად, თუნდაც სახეზე არ იყოს დაზარალებული. დაუდევრობა ან გაუფრთხილებლობა გარკვეულ პირს დანაშაულად ეთვლება იმ შემთხვევაში, როდესაც, უყურადღებობის შედეგად, განუსრახველად, ჩაიდენს რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას,

რომლის შესახებაც ის მანამდე სრულებითაც არ ფიქრობდა, მაგრამ რომლის თავიდან აცილებაც – მუდმივი ყურადღებისა და სიფხიზლის პირობებში – სავსებით შესაძლებელი იყო. ეს იურიდიული საწყისი, რომელიც რომის სამართალში უხსოვარი დროიდან არსებობდა, ეკლესიამაც მიიღო. მით უმეტეს, რომ მისი კანონმდებლობის მიზანი იყო, არამარტო ის, რომ კანონის განწესებები შეესრულებინა მის ყველა წევრს, რათა კეთილი წესრიგი დამყარებულიყო ეკლესიაში, არამედ მის თითოეულ წევრს ყურადღება მიექცია იმისათვის, რომ ისეთი არაფერი მომხდარიყო, რაც საზიანო იქნებოდა როგორც საზოგადოებისთვის მთლიანობაში, ისე მისი ცალკეული წევრებისთვისაც, რათა, შესაბამისად, სწორად წარმართულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება. აღნიშნულის თანახმად, ნებისმიერი ზიანი, რომელიც საზოგადოებას ან ცალკეულ პირს ადგება, ვინმეს წინდაუხედაობის მიზეზით, თუმც კი განისჯება უფრო ლმობიერად, ვიდრე წინასწარგანზრახული დანაშაული, მაგრამ მაინც ისჯება, და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი წინდაუხედაობის შედეგი მძიმეა და წინდაუხედაობაც დიდი დაუდევრობით არის გამოწვეული. ასეთ დროს წინდაუხედაობა (გაუფრთხილებლობა) ბოროტ გაზრახვას ესაზღვრება, რის გამოც განსაკუთრებული დაუდევრობის შედეგად ჩადენილი დანაშაული ხშირად ისჯება, როგორც ბოროტგანზრახული. შემთხვევით ჩადენილი დანაშაული არ ისჯება, თუმცა, თუკი ეს შემთხვევა რაიმე ქმედების შედეგად, რომელიც თავისთავად სასჯელს არ იმსახურებს, გახდება დასჯადი ქმედების მიზეზი, მაშინ სასამართლო ამ კონკრეტულ პირს აღნიშნულ ქმედებას ბრალდებად წაუყენებს და იგი დაექვემდებარება შესაბამის სასჯელს – თუნდაც სულ მცირეს.

კანონი 9

უფლის სიტყვა, რომ ქორწინების დარღვევა დაუშვებელია, გარდა მრუშობის მიზეზისა (იხ. მათე, 5, 32), მისი შინაარსიდან გამომდინარე, ერთნაირად მიესადაგება როგორც ქმრებს, ისე – ცოლებს, მაგრამ ასე არ არის ჩვეულებაში. ცოლების შესახებ ბევრ მკაცრ გამონათქვამს ვხვდებით. მოციქული ბრძანებს: *„რომელი შეეყოს მეძავსა, ერთ ჴორც არიან“* (1 კორინ. 6, 16); და იერემიაც: (იერ. 3, 1), და კვლავ: (იგავნი, 18, 23). ცოლებს კი ჩვეულება აიძულებთ შეინარჩუნონ თავიანთი ქმრები, თუნდაც ისინი მრუშობდნენ და სიძვაში ცხოვრობდნენ. ამიტომ, არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა პირდაპირ მრუშად იწოდებოდეს იმ მამაკაცთან მცხოვრები დედაკაცი, რომელიც თავის ცოლმა მიატოვა, რადგან აქ ბრალი ედება ქმრის მიმტოვებელს, რა მიზეზით დაარღვია ქორწინებითი კავშირი? თუკი იმ მიზეზით, რომ ცემდა და ვერ დაითმინა, უფრო მართებდა დათმენა, ვიდრე მეუღლესთან დაშორება; თუ იმიტომ, რომ ქონება გაანიავა, ვერც ეს გამოდგება საპატიო მიზეზად. თუკი, თუნდაც იმიტომ, რომ ქმარი სიძვობს, არც ასეთი მაგალითები გვაქვს საეკლესიო ჩვეულებით: მოღალატე ქმრისგანაც არ აქვს ცოლს განშორების უფლება, არამედ უნდა დარჩეს მასთან, რამეთუ არ იცის ამას რა მოჰყვება: *„რამეთუ რაჲ იცი, ჰკდედაკაცო, აცხოვნო თუ ქმარი*

შენი?“ (1 კორინ. 7, 16). ამიტომ ცოლი, რომელიც ქმარს მიატოვებს, არის მემრუშე – თუ სხვა ქმართან შეუღლდა, ხოლო მიტოვებული ქმარი ლმობიერების ღირსია და მასთან თანამცხოვრები არ განიკითხება. თუკი ქმარი დაშორდება ცოლს და სხვასთან დაიწყებს ცხოვრებას, მაშინ თვითონაც არის მემრუშე, – რადგან ცოლყოფილს იძულებით ამრუშებს, – და მასთან თანამცხოვრებიც მემრუშეა, რამეთუ სხვისი ქმარი მიიზიდა.

(მოც. 48; ტრულ. 87, 93; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 18, 21, 35, 77)

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას განქორწინების შესახებ, ჩვენ გავეცანით ტრულის კრების 87-ე კანონის განმარტებაში. მასში ტრულის კრების მამები ეყრდნობიან ბასილი დიდის წინამდებარე კანონს და, აგრეთვე, წმინდა წერილის იმ ადგილებს, რომლებიც წმინდა ბასილს მოჰყავს. ამფილოქეს კითხვაზე, ცოლსაც შეუძლია თუ არა განქორწინების მოთხოვნა, როდესაც მისი ქმარი მრუშობაშია მხილებული, – როგორც ეს ქმარს შეუძლია მრუში ცოლის შემთხვევაში, – წმინდა ბასილს პასუხად მოჰყავს იესო ქრისტეს სიტყვები (მთ. 5, 32) და შენიშნავს, რომ ეს მცნება ერთნაირად ეხება როგორც ქმარს, ისე – ცოლს. ანუ როგორც ქმარს შეუძლია განქორწინება მიიღოს ცოლის მრუშობის შემთხვევაში, ზუსტად ასევე შეუძლია ცოლსაც – მოითხოვოს განქორწინება, თუ მისი ქმარი მრუშია. ბასილი დიდის ნათქვამი წმინდა წერილიდან მოყვანილი ადგილის საფუძველზე, მტკიცდება მისი სხვა ადგილებითაც. როდესაც ფარისევლები სცდიდდნენ უფალს და ლამობდნენ იგი შეცდომაში ემხილებინათ, ეკითხებოდნენ განქორწინების შესახებაც. მან ისინი მოსეს რჯულთან გაგზავნა, რომელიც მათი გულის სისასტიკის მიზეზით ნებას რთავდა ქმარს ცოლი გაეშვა, მაგრამ იქვე დასძინა: ეს ასე თავიდან არ ყოფილა, ასე რომ, მრუშობს ისიც, ვინც განქორწინებულს შეირთავსო (შდრ. მთ. 19, 3-9), რითაც ქორწინებაში ქმრისთვის ღალატი მთლიანად გაუთანაბრა ცოლისთვის ღალატს (იხ. მარკ. 10, 11, 12). ამასთან, ეკლესიის ეს სწავლება ქმრისა და ცოლის მეუღლეობრივი უფლების თანასწორობის შესახებ, რომელიც საღმრთო სამართალზე განისვენებს და რომელიც წმინდა ბასილს კანონის დასაწყისში მოჰყავს, დიდ ხანს ვერ მკვიდრდებოდა ქრისტიანულ საზოგადოებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, მტკიცედ იყო შენარჩუნებული ქრისტიანობამდელი ჩვეულება, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ქმარს შეეძლო გაეწყვიტა ქორწინებითი კავშირი ცოლის მხრიდან ღალატის შემთხვევაში, ცოლს კი მრუში ქმარი უნდა დაეთმინა. სწორედ ამ ჩვეულებას მოიხსენიებს ბასილი დიდი წარმოდგენილ კანონში და შენიშნავს, რომ ის ძალაში იყო ჯერ კიდევ მის დროს.

ქრისტიანობამდელი რომაული კანონების მიხედვით, ცოლი საზოგადოების უუფლებო წევრი იყო, – ყველაფერში ქმარს დამორჩილებული. სწორედ ქმრის ეს ძალაუფლება იყო ჩადებული იმ დროის საზოგადოების კეთილმოწყობის საფუძველში. კანონმდებლობა, ზოგადად, ქმრის უფლებების დაცვას ემსახურებოდა, ცოლის უფლებებზე კი საერთოდ არავინ ფიქრობდა. ამის გამო ქორწინებით კავშირში კანონი მხოლოდ ქმრის უფლებებს იცავდა და ცოლის ღალატი ისჯებოდა როგორც მრუშობა, მაშინ, როდესაც ქმრის ღალატი კანონით არ ისჯებოდა, და ცოლი, როგორც უუფლებო პირი, უნდა დამორჩილებოდა ქმრისა და მისი ნათესავების

დესპოტურ ხელისუფლებას – დაეთმინა და შეგუებოდა ქმრის ღალატს, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ამ მხრივ, ზოგიერთი ცვლილებები დაიწყო კეისარ ავგუსტინეს დროს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ადგილი ჰქონდა მცდელობებს რაიმე გაეუმჯობესებინათ ამ თვალსაზრისით. კერძოდ, გამოიცა „იულიუსის კანონი მრუშობის აღკვეთის შესახებ", რომელმაც ძალა გამოაცალა ბევრ მანამდე გამოცემულ ისეთ კანონს, რომლებიც კანონიერი ცოლის გარდა, ქმარს აგრეთვე სხვა, უცხო ქალებთან ურთიერთობის თავისუფლებას ანიჭებდნენ. აღნიშნულმა კანონმა კანონსაწინააღმდეგოდ და დასჯად ქმედებად გამოაცხადა მესამე პირთან ყოველგვარი კავშირი როგორც ქმრის, ისე ცოლის მხრიდან. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ კანონის მიღებით რომაულ საზოგადოებაში შეწყდებოდა გარყვნილობა და დამტკიცდებოდა ქმრისა და ცოლის თანასწორუფლებიანობა ქორწინებით კავშირში, – თანასწორუფლებიანობა, რომელსაც მოითხოვს როგორც საღმრთო რჯული, ასევე ადამიანის ბუნება, და რომლითაც განპირობებულია თვით ოჯახის ბედნიერება და კეთილდღეობა. თუმცაღა, საზოგადოებრივ გარყვნილებას იმდენად ღრმად ჰქოდა ფესვები გადგმული, რომ ვერც ავგუსტინეს ამ კანონმა – მრუშობისათვის მასში გათვალისწინებული სასჯელით – შეძლო ბოროტი ჩვეულების აღმოფხვრა, და რაც ამ შემთხვევაში ყველაზე ცუდია, ეს მანკიერება გადმოვიდა ქრისტიანულ საზოგადოებაში იმ პირების ძალისხმევით, ვინც ქრისტიანობაში მოექცნენ რომაულ-წარმართულ საზოგადოებიდან. ქრისტიანულ საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, იგმობოდა ქორწინებითი კავშირის ყოველგვარი ღალატი – როგორც ცოლის, ზუსტად ასევე, ქმრის მხრიდანაც, თუმცა ტრადიციული მოსაზრებიდან გამომდინარე, რაც ქმრისადმი ცოლის მორჩილებასა და ქორწინებაში ქმრის უპირატესობას გულისხმობდა,ქმრის მხრიდან ღალატი გაცილებით ლმობიერად ისჯებოდა, ვიდრე ცოლის მხრიდან; ქმარი მხოლოდ მეძავად იწოდებოდა, ცოლი – კი მრუშად (იხ. ბასილი დიდის 21-ე კან.). ეკლესიის მამები მკაცრად განიკითხავდნენ ასეთ გაუკუღმართებულ მოსაზრებას ქმრისა და ცოლის მეუღლეობრივი უფლებების შესახებ. III საუკუნეში ამის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა **ტერტულიანემ**. მან მრუში უწოდა ყველა იმ პირს, „ვინც შეეყოფა სხვა სხეულს, გარდა იმისა, რომელთანაც ღმერთმა შეაერთა ის ერთხორცად, ან ვისთანაც უკვე შეუსწრო შეერთებულს". შემდგომში ეკლესიის დასახმარებალად მოვიდა სამოქალაქო კანონმდებლობა: კონსტანტინე დიდის კანონი სიკვდილით დასჯას განუწესებდა მრუშობაში მხილებულთ. მომდევნო საუკუნეების ეკლესიის მამები თავიანთ თხზულებებში დაუღალავდ ასწავლიდნენ დაქორწინებულ პირებს მეუღლეთა უფლებებს. **ათანასე დიდი,** როდესაც ეპასუხება იმათ, რომლებიც უარყოფენ ცოლის უფლებას, უჩივლოს მოღალატე ქმარს, განმარტავს, რომ მრუშობის ცოდვას ყოველთვის აქვს ადგილი დამოუკიდებლად იმისა, მრუშობს ქმარი სხვა ქალთან, თუ ცოლი – უცხო კაცთან. **იოანე ოქროპირი** უფრო მკაცრად და გადაჭრით ამბობს: „მრუშობას აქვს ადგილი არამარტო მაშინ, როდესაც დაქორწინებული მამაკაცი გათხოვილ ქალთან სიძვობს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი ისიძვის გაუთხოვარ და დაუწინდავ ქალთანაც". ბასილი დიდიც რომ ამ საკითხზე ისევე მსჯელობს, როგორც ეკლესიის სხვა მამები და მოძღვრები, ამას მოწმობს ამ კანონის დასაწყისიც და შემდგომი სიტყვებიც იმის შესახებ, რომ მრუშია ქმრის მოღალატე ყველა ქალი, და

მრუშია ყველა ქმარი, რომელიც ცოლს ღალატობს. იგივეა ნათქვამი ბასილი დიდის 77-ე კანონშიც, სადაც მრუშობისათვის იგმობა ყოველი, ვინც თავის ცოლს ულალატებს, თანაც, როგორც ამის საფუძველი, მოიხსენიება წმინდა წერილის სწორედ ზემოაღნიშნული ადგილი (მათე, 19, 9). შესაბამისად, ბასილი დიდის სწავლით, ისევე როგორც ეკლესიის სხვა მამებისა და მოძღვრების მიხედვით, მრუშობა წარმოადგენს განქორწინების მიზეზს როგორც ცოლის, ისე ქმრისთვისაც. რაც შეეხება რომაულ ჩვეულებას, — ჯერ კიდევ ბასილი დიდის დროს არსებულს (IVსაუკუნე), რომლის თანახმადაც ქორწინებით კავშირში ქმარს ყველა უფლება ჰქონდა, ცოლს კი არავითარი, — წმინდა ბასილი, რა თქმა უნდა, არ იწონებს და მას მხოლოდ იმიტომ მოიხსენიებს, რომ აღნიშნული ჩვეულება მის დროსაც არსებობდა; ხოლო ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას მოწმობს როგორც საკითხისადმი მიდგომა, ასევე ის გაურკვევლობა, როგორითაც ის საერთოდ ამის შესახებ ლაპარაკობს. თუმცა, ამაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ ბასილი დიდის 21-ე კანონში.

კანონი 10

ფიცის დამდებნი ნუ მიიღებიან ხელდასასხმელად, ხოლო როდესაც ფიცს დადებენ, დაე, ნუ იიძულებიან, რომ დაარღვიონ იგი. მაგრამ, ვგონებ, არსებობს რომელიღაც კანონი, რომელიც ლმობიერებას იჩენს ესევითართა მიმართ, თუმცა, გამოცდილებით ვიცით, რომ კეთილად არ წაუვა საქმე ფიცის დამრღვევს. გამოძიებულ უნდა იქნეს ასევე ფიცის გვარობა, მისი შემცველი სიტყვები და განწყობა, რომლითაც მათ დაიფიცეს, და სიტყვების აქცენტიც კი; და თუ არ არსებობს არც ერთი მხრიდან ფიცის ძალისგან რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, მაშინ სრულიად უნდა დაუტევონ ესევითარნი. სევირის საქმეში კი, ან მის მიერ დადგინებული მღვდლისა, ჩემი აზრით (თუ შენი აზრიც თანახმიერია) შეიძლება ფიცის ერთგვარად გახსნა შემდეგნაირად: ის სოფელი, რომელშიც დადგინებულია ეს კაცი, და აქამდე მისთიას ექვემდებარება, ბრძანე, მასადას შეუერთდეს. რამეთუ ამგვარად არც ის იქნება ფიცისდამრღვევი, ვინაიდან ადგილს არ გამოიცვლის, და ლონგინოზიც — ეყოლება რა თავისთან კვირიაკე — არ დახურავს ეკლესიას და არ ავნებს საკუთარ სულს მისი მოოხრებისათვის განკითხვით. არც ჩვენ ვიქნებით იძულებული რაიმეში უკანონო ვყოთ ვირიაკესადმი ლმობიერების გამოჩენით, რომელმაც მინდნაებში ყოფნის ფიცი დადო, მაგრამ მერე იქიდან გადასვლაზე დათანხმდა. რამეთუ მისი დაბრუნება ფიცის დაცვა იქნება, ვინაიდან მის ფიცში არ იყო დამატებული, რომ მოკლე დროითაც არ დატოვებს მინდანებს და მთელი დარჩენილი ცხოვრება მუდამ იქ იქნება. სევირს კი, რომელმაც გულმავიწყობისათვის მოიბოდიშა, ჩვენ შევუნდობთ და ვეტყვით, რომ, რომელმა იცის დაფარული, არ დაუშვებს, მისმა ეკლესიამ ზიანი მიიღოს იმისგან, ვინც თავიდან არაკანონიერად მოიქცა და თვითონვე შეიკრა თავი ფიცით სახარების საწინააღმდეგოდ, ვინც გადაადგილების გზით ასწავლიდა ფიცის დარღვევას, ახლა კი ცრუობს მოჩვენებითი გულმავიწყობით. მაგრამ რამდენადაც ჩვენ

გულთა მსაჯულნი არა ვართ, არამედ მოსმენილით ვმსჯელობთ, ამიტომ უფალს მივანდოთ შურისგება, თავად კი ეჭვშეურევნელად შევიწყნარებთ მას, მივცემთ რა შენდობას გულმავიწყობისათვის, როგორც ადამიანის სისუსტეს.

(მოც. 25; ტრულ. 95; ბასილი დიდის 17, 28, 29, 64, 81, 82)

თავის რამდენიმე კანონში ბასილი დიდი საუბრობს ფიცის, მისი მნიშვნელობისა და აგრეთვე იმათ შესახებ, ვინც მიცემულ ფიცს არღვევს. წინამდებარე კანონში ამ უკანასკნელთა შესახებ არის საუბარი, ხოლო 64-ე კანონში წმინდა ბასილი მათთვის უკვე სასჯელებს განსაზღვრავს, რომლის განმარტებაშიც ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.

წინამდებარე კანონში ბასილი დიდი აცნობს ამფილოქეს თავის აზრს ვინმე კვირიაკეს მიერ მიცემულ ფიცთან მიმართებით; ფიცის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მიმცემი, კვირიაკე, სამუდამოდ დარჩებოდა ერთ გარკვეულ სოფელში მღვდლად. ეკლესიის პირველ ხანებში ხდებოდა, რომ ზოგიერთები ფიცს დებდნენ, რომ არასდროს მიიღებდნენ სამღვდელო ხარისხს, ხოლო თუკი მიიღებდნენ, არასდროს დატოვებდნენ სოფელს ან იმ ადგილს, რომლისთვისაც მღვდლად იქნენ ხელდასხმულნი, და რომ, შესაბამისად, არ მიიღებენ არავითარ უმაღლეს იერარქიულ პატივს. ამას ბევრი იმის შიშით აკეთებდა, რომ შემდგომში იძულებულნი არ გამხდარიყვნენ მიეღოთ ეპისკოპოსის წოდება, ვინაიდან ასეთ უმაღლეს იერარქიულ ხარისხში მსახურებას რთულად თვლიდნენ და თავიც ულირსად მიაჩნდათ. მათი აღთქმა, ანუ ფიცი, საყოველთაოდ ცნობილი ხდებოდა, რის გამოც, შემდგომში ამის გათვალისწინება უხდებოდათ. ასეთ ფიცს, თავისთავად, არ შეიძლებოდა განსაკუთრებული მნოშვნელობა ჰქონოდა, რადგან ძნელი იყო მისთვის გონივრული ახსნის მიცემა და, შესაბამისად, მისი დამრღვევი ვერ დაექვემდებარებოდა მკაცრ კანონიკურ სასჯელს, რომელიც განწესებულია საზეიმოდ მიცემული აღთქმის დამრღვევთათვის (იხ. მოციქულთა 25-ე კან.). მაგრამ ბასილი დიდი არ იწონებს ამგვარი ფიცის გატეხვასაც, რადგან გამოცდილებით ვიცით, – ამბობს იგი, – რომ იშვიათად წაუვა საქმე კეთილად იმას, ვინც თავის აღთქმებს არ ასრულებს; თუმცაღა, დასძენს წმინდა ბასილი, მსგავს შემთხვევებში მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ როგორ იქნა ფიცი მიცემული: ხომ არ ჰქონდა ადგილი ღვთის სახელის მოხმობას, რა სიტყვებით იყო ფიცი გამოხატული, როგორი იყო სულიერი მდგომარეობა ფიცის მიმცემისა, და ყველაფერ ამის საფუძველზე უნდა ვიმსჯელოთ თვით ფიცის შესახებ. ასეთი წინასწარი შენიშვნების შემდეგ, წმინდა ბასილი იძლევა თავის დასკვნას კვირიაკეს მიერ მიცემულ ფიცთან დაკავშირებით, რაც მას ამფილოქემ სთხოვა. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: ვინმე ლონგინოზმა, თავისი სახსრებით ააგო ტაძარი სოფელ მინდანებში, მისთიის ეპარქიაში. მასადის ეპისკოპოსმა სევირმა, ამ ეკლესიის მღვდლად აკურთხა კვირიაკე, რომელმაც აღთქმა დადო, რომ მუდამ იმ ტაძარში იმსახურებდა. მაგრამ მისთიის ეპისკოპოსმა კვირიაკეს აუკრძალა იქ მსახურება, ვინაიდან მისი ხელთადსხმა სხვა ეპისკოპოსმა აღასრულა და არა მან – ეპარქიის ეპისკოპოსმა. ამის შედეგად კვირიაკე სამღვდელმსახუროდ გადადის სხვა ეკლესიაში, ხოლო განაწყენებული ქტიტორი ლონგინოზი თავისი სახსრებით აშენებული ტაძრის დახურვით იმუქრება. ეს უნდა

აღკვეთილიყო და სწორედ ამიტომ ბასილი დიდი ასკვნის, რომ მინდანები უნდა დაექვემდებაროს მასადის ეპარქიას, თუმცა მანამდე სხვა ეპარქიას მიეკუთვნებოდა. კვირიაკე კი უნდა დაუბრუნდეს მინდანების ტაძარს და ამგვარად თვითონაც თავისი სიტყვის ერთგული დარჩება, და აღარც ლონგინოზს ექნება ტაძრის დახურვის მიზეზი და თავის სულსაც ზიანს არ მიაყენებს. ამ საქმეში დამნაშავე ეპიკოპოსი სევერიც გამოვიდა, რომელმაც სხვის ეპარქიაში დაადგინა ეკლესიისათვის მღვდელი, მაგრამ რადგან სევერმა თავი იმით გაიმართლა, რომ არ ახსოვდა თუ საკამათო ტაძარი მისი ეპარქიის საზღვრებში არ შედიოდა, ამიტომ ბასილი დიდმა ეს ახსნა-განმარტება საპატიოდ ჩათვალა, თუმცა, ამასთან, ღვთის სამსჯავროს მიანდო თავისგასამართლებლად მოყვანილი არგუმენტის ნამდვილობის გამოცდა.*

კანონი 11

მკვლელობის უნებლიეთ ჩამდენმა საკმარისი სასჯელი მოიხადა, — იყო რა განყენებული თერთმეტი წლის განმავლობაში. რამეთუ აშკარაა, რომ ჭრილობის მიმღებთა შესახებ უნდა დავიცვათ მოსეს რჯული (გამოსვ. 21, 18, 19), და ჭრილობებისგან ლოგინში ჩაწოლილი, რომლმაც მერე კვლავ დაიწყო სიარული ყავარჯნების დახმარებით, არ უნდა ჩაითვალოს მოკლულად; ხოლო თუნდაც არ ამდგარიყო ჭრილობების შემდეგ, მაინც იმის გამო, რომ მის მცემელს არ უნდოდა მისი მოკვლა, თუმც კი არის იგი მკვლელი, მაგრამ განზრახვის მიხედვით — უნებლიე.

(მოკ. 65; ანკვირ. 23; ორგზ. 9; ბასილი დიდის 2, 8, 13, 54, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

თავის 57-ე კანონში ბასილი დიდი ათწლიან ეპიტიმიას უქვემდებარებს განუზრახველ, უნებლიე მკვლელს; აქ კი, ამფილოქეს შეკითხვაზე, პასუხობს, რომ უნებლიე მკვლელი, რომელიც თერთმეტი წლით იყო წმინდა ზიარებიდან განკანონებული, მით უფრო ღირსია ზიარების მიღებისა.

კანონი 12

მეორედ დაქორწინებულებს კანონმა (მოციქულთა მე-17) საერთოდ აუკრძალა ეკლესიის მსახურებაში ყოფნა.

(მოკ. 17; ტრულ. 3; ნეოკეს. 7)

აქ ბასილი დიდი ეყრდნობა მოციქულთა მე-17 კანონს, რომლის განმარტებაშიც ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საღმრთო სამართლის თანახმად, მღვდელმსახური შეიძლება იყოს მხოლოდ ერთხელ დაქორწინებული პირი. ეს განწესება მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის ძალაში იყო და ახლაც ძალაშია. ეპისკოპოსი კი, რომელიც მეორედ დაქორწინებულს აკურთხებს მღვდლად, განკვეთას ექვემდებარება.**

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 125.

**შდრ. კონსტანტინოპოლის პატრიარქ ალექსის განწესება ათენის სინტაგმაში, V, 28.

კანონი 13

ომში მოკვლისათვის ჩვენი მამები მკვლელობის ბრალდებას არ უყენებდნენ, პატიობდნენ, როგორც ვფიქრობ, უბიწოებისა და კეთილმსახურების დამცველებს. მაგრამ, იქნებ, კეთილი საქმე ყოფილიყო რჩევა მიგვეცა, რომ მათ, როგორც უსუფთაო ხელების მქონეთ, სამი წელი თავი შეეკავებინათ წმინდა ზიარებიდან.

(ანკვირ. 22, 23; ათანასე დიდის 1; ბასილი დიდის 8, 43, 55; გრიგოლ ნოსელის 5)

„მკვლელობა დაუშვებელია, მაგრამ ბრძოლაში მტრის მოკვლა კანონიერიც არის და ქებასაც იმსახურებს", – ამბობს ათანასე დიდი ეპისტოლეში ამუნის მიმართ (1 კან.). სწორედ ამას გულისხმობს აქ ბასილი დიდი, როდესაც ჩვენს მამებს მოიხსენიებს. წმინდა ბასილი აქვე დასძენს, რომ მაინც არ არის საჭირო ადამიანის სისხლის დამღვრელი მეომრების წმინდა ზიარებაზე დაშვება სამი წლის განმავლობაში. ამ რჩევას ბასილი დიდი ძველაღთქმისეული ეკლესიის მაგალითებით ამყარებს (იხ. რიცხვ. 31, 17-24); ის ამით ცდილობს მეომრებს შეუმსუბუქოს ადამიანის დაღვრილი სისხლით გამოწვეული სულიერი სიმძიმე. თუმცა, ზონარასა და ბალსამონის ვარაუდით, წმინდა ბასილის ეს რჩევა არსად სრულდებოდა, ხოლო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა ბასილი დიდის მიერ მოყვანილი ათანასე დიდის სიტყვები. ბალსამონს, ამასთან, მოჰყავს ზოგიერთი სასულიერო პირის მაგალითი, რომლებიც ბრძოლებში მონაწილეობდნენ და, შესაბამისად, ადამიანებს კლავდნენ, და ამის გამო არამცთუ მღვდელმოქმედების უფლება არ დაუკარგავთ, არამედ, პირიქით, ჯილდოს ღირსნიც კი გახდნენ.*

კანონი 14

მევახშენი, თუ მოისურვებენ უსამართლო მონაგარის ლატაკებზე დახარჯვას და მომავალში მომხვეჭელობის სენისგან გათავისუფლებას, შეიძლება სამღვდელოებაში იქნენ მიღებულნი.

(მოც. 44; I მსოფ. 17; ტრულ. 10; ლაოდ. 4; კართ. 5; გრიგოლ ნოსელის 6)

იმის შესახებ, რომ სასულიერო პირთათვის მევახშეობა ყოვლად დაუშვებელია და რომ ამ საქმეში მხილებულნი ხარისხიდან უნდა განიკვეთონ, – მრავალი კანონი ლაპარაკობს (იხ. მოციქულთა 44-ე და I მსოფლიო კრების მე-17 კანონების განმარტებები). აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი იყო არ მიეღოთ სასულიერო დასში ის ერისკაცები, რომლებიც მევახშეობას ეწეოდნენ. ამფილოქეს ამ შეკითხვაზე, ბასილი დიდი წინამდებარე კანონში პასუხობს, რომ მევახშეობით დაკავებული ერისკაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სასულიერო პირი, თუკი უსამართლოდ – მევახშეობის გზით – მოხვეჭილ ქონებას ლატაკებს დაურიგებს იმ დაპირებით, რომ მევახშეობას სამუდამოდ თავს დაანებებს.

*ათენის სინტაგმა, IV, 132, 133.

კანონი 15

მიკვირს, რომ წმინდა წერილისგან შენ სიტყვასიტყვით სიზუსტეს მოითხოვ და ფიქრობ, რომ მისი თარგმანის სიტყვები იძულებითია, როდესაც ისინი კარგად გამოხატავენ მის მიერ აღნიშულ საგანს, მაგრამ არ არის გადმოცემული საკუთრივ ებრაული სიტყვის მნიშვნელობა. თუმცაღა, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ცნობისმოყვარე კაცების მიერ დასმული შეკითხვა. ცის ფრინველებსა და ზღვის თევზებსაც, სამყაროს შექმნის დროსაც ერთნაირი წარმომავლობა ჰქონდათ, რადგან ცხოველთა ეს ორივე სახეობა წყლიდან არის ამოყვანილი; ამის მიზეზი ის არის, რომ ორივეს ერთი და იგივე თვისება აქვს. რამეთუ ერთნი ცურავენ წყალში, მეორენი – ჰაერში. ამიტომაც მოიხსენიებიან ისინი ერთად. ფსალმუნის შემადგენელი სიტყვები* კი არაზუსტია თევზებთან მიმართებით, მაგრამ წყალში მცხოვრებ ყველა ქმნილებასთან მიმართებით სავსებით სწორია. რამეთუ ადამიანს ემორჩილებიან ცის ფრინველებიც და ზღვის თევზებიც, და არა მხოლოდ ესენი, არამედ ყველა ქმნილება, რომელიც ზღვის გზებით დადის. რამეთუ ზღვაში ყველა ბინადარი თევზი არ არის: ვეშაპის ჯიშის ცხოველები, ვეშაპები, ზვიგენები, დელფინები, სელაპები, კიდევ არიან ცხენები, ძაღლები, ხერხა და ხმალ თევზები, და ზღვის ძროხები; და თუ გნებავს, ჭინჭარი და საკარცხელი, და კუსნაირები, რომელთაგან არც ერთი არ არის თევზი, მაგრამ ყველა მათგანი ზღაში დადის. ამგვარად, სამი სახეობაა: ცის ფრინველები, ზღვის თევზები და ის ცხოველები, რომლებიც წყლებში ბინადრობენ და რომლებიც განსხვავდებიან თევზებისგან, მაგრამ ასევე დადიან ზღვის გზებით.

სხვათა შორის, ამფილოქემ ისიც სთხოვა ბასილი დიდს, რომ განემარტა მისთვის, თუ როგორ უნდა გაეგო დავითის სიტყვები: *„მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღუსანი, რაოდენნი ვლენან ალაგებსა მას ზღუათასა“*. (ფს. 8, 9). წმინდა ბასილის პასუხი ამ კითხვაზე შეადგენს წინამდებარე კანონს, რომელიც არ შეიცავს თავისთავში რამე კანონიკურ განწესებას.

კანონი 16

ნეემენი დიდია არა უფალთან, არამედ თავის ბატონთან (მეოთხე მეფეთა, 5, 1), ანუ ისიც იყო ასურეთის მეფის ერთი მთავართაგანი. ამდენად, სიზუსტით გამოიკვლიე წმინდა წერილი, და თავად მოიძიებ მასში შეკითხვებზე პასუხს.

ბასილი დიდის წინამდებარე კანონიც არის პასუხი ამფილოქეს შეკითხვაზე ნეემენის შესახებ (იხ. 4 მეფ. 5, 1). ამასთან, როგორც მე-15 კანონი, ესეც არ შეიცავს თავისთავში რაიმე კანონიკურ განწესებას.

---

*ეს ეხება მე-8 ფსალმუნის მე-9 მუხლის ბერძნულ სიტყვებს: *„მფრინველნი ცისანი და თევზნი ზღუსანი, რაოდენნი ვლენან ალაგებსა მას ზღუათასა“*. ამ სიტყვების გრამატიკულმა შეუსაბამობამ გამოიწვია წმინდა ამფილოქეს შეკითხვა.

მეორე კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს მიმართ

შესავალი

დიდი ხანია დავწერე რა პასუხები შენი კეთილმსახურების მიერ შემოთავაზებულ კითხვებზე, არ გამომიგზანია მე ეს წერილი; შემაყოვნა ნაწილობრივ ავადმყოფობამ, — ხანგრძლივმა და სახიფათომ, ნაწილობრივ კი მსახურთა უკმარისობამ. რამეთუ არა გვყავს ჩვენ ბევრი ისეთი ადამიანი, ვინც გზაც იცის და ასეთი მორჩილების მზადყოფნაც აქვს. ამიტომ, შეიტყობ რა შეყოვნების მიზეზებს, მომეცი მე ამაში შენდობა. გამაკვირვა მე შენმა სიყვარულმა სწავლების მიმართ და ამასთანავე შენმა თავმდაბლობამ. რამეთუ შენ გსურს ისწავლო, როდესაც მინდობილი გაქვს მასწავლებლის ხარისხი, და თანაც ისწავლო ჩვენგან, როდესაც ჩვენ დიდი არაფერი გაგვაჩნია, შემეცნებასთან მიმართებით. თუმცაღა, რამდენადაც შენ, ღვთის შიშის გამო, უარს არ ამბობ ისეთი საქმე ქმნა, რაც სხვებისთვის იოლი გასაკეთებელი არ იქნებოდა, ამიტომ ჩვენც მთელი ძალისხმევით უნდა შევეწიოთ შენს კეთილგანწყობასა და გულმოდგინებას.

კანონი 17

გვეკითხებოდი მღვდელ ვიანორის შესახებ, შეიძლება თუ არა მისი მიღება სამღვდელო დასში ფიცის დადების შემდეგ? მახსოვს, რომ ანტიოქიის დასისათვის მე უკვე გამოვეცი ერთგვარი საერთო განწესება ყველას შესახებ, ვინც მათთან ერთად დაიფიცა; რაც იმაში მდგომარეობს, რომ საჯარო შეკრებიდან ისინი უნდა განიყენონ, კერძო სახით კი შეუძლიათ მღვდელმოქმედება. ამით მასაც ეძლევა თავისი მსახურების უფლება, რადგან მისი სამღვდელოება არა ანტიოქიაში, არამედ იკონიაშია, რომელიც, როგორც შენ გვწერდი, მან საცხოვრებლად აირჩია ანტიოქიის ნაცვლად. ასე რომ, შეიძლება შეწყნარებულ იყოს ეს კაცი, მხოლოდ შენმა კეთილმსახურებამ მოითხოვოს მისგან სინანული ფიცისკენ მიდრეკილების გამო, რომელიც მან ურწმუნო ადამიანს მისცა, რამეთუ სულმოკლეობა გამოიჩინა მცირე გასაჭირში.

(მოც. 25; ტრულ. 95; ბასილი დიდის 10, 28, 29, 64, 81, 82)

წინამდებარე და მისი შემდგომი 33 კანონი (17-50) შედგენილია ბასილი დიდის 375 წლის მეორე კანონიკური ეპისტოლედან იმავე ამფილოქეს, იკონიის ეპისკოპოსის მიმართ, რომელსაც მიემართებოდა პირველი ეპისტოლეც. ზემომოყვანილი შესავლის შემდეგ, ბასილი დიდი იწყებს პასუხის გაცემას ამფილოქეს ყველა კითხვაზე.

წარმოდგენილი კანონი წარმოადგენს პასუხს შემდეგ კითხვაზე: შეიძლება თუ არა სასულიერო დასში მიიღონ ვინმე ვიანორი, რომელმაც კვირიაკოზის მსგავსი აღთქმა მისცა, რაზედაც საუბარი იყო ბასილი დიდის მე-10 კანონში. წინამდებარე კანონის ტექსტიდან საკმაო სიცხადით არ ჩანს, თუ კონკრეტულად რაში იყო საქმე. მაგრამ წინამდებარე კანონის ზონარასეული განმარტებიდან ჩანს, რომ მავანმა ურჯულო ანტიოქიელმა მთავარმა მუქარით აიძულა ზოგიერთი იქაური მღვდელი ფიცი დაედოთ, რომ აღრ შეასრულებდნენ სამღვდელო მსახურებას. იმ მღვდლებს შორის, რომლებიც მთავარს დაემორჩილნენ, იყო მღვდელი ვიანორიც. ნანობდა რა ჩადენილ საქციელს, ვიანორი ანტიოქიიდან იკონიაში გადავიდა და ეპისკოპოს ამფილოქეს სთხოვა მიეღოთ იგი იკონიის ეკლესიის სამღვდელო დასში. ამფილოქეს კითხვაზე – როგორ უნდა მოიქცეს არსებულ ვითარებაში, წმინდა ბასილი პასუხობს, რომ მან უკვე გამოსცა ერთი საერთო განწესება ყველა ანტიოქელ კლერიკოსთან მიმართებით, რომლებმაც ვიანორთან ერთად მისცეს აღნიშნული ფიცი, სახელდობრ, ამ განწესების მიხედვით მათ არ უნდა ემსახურათ აშკარად, არამედ შეეძლოთ აღესრულებინათ სასენაკო, ანუ კერძო მსახურება შინ (**служить келейно**). წმინდა ბასილმა ამგვარად იმიტომ განაწესა, რომ ეს მღვდლები ერისთვის საცდურად არ ქცეულიყვნენ, რომელსაც შეიძლება სცოდნოდა, რომ მათ ფიცი დადეს არ ემსახურათ, ახლა კი, მიუხედავად ამისა, კვლავ იმსახურებდნენ და, შესაბამისად, ფიცის დამრღვევებად წარმოჩნდებოდნენ. ამიტომ ბასილი დიდი ვიანორს ნებას რთავს იმსახუროს მღვდლის ხარისხში, – მით უმეტეს, რომ მას არ ჰქონდა განზრახული ანტიოქიაში დაბრუნება, სადაც აღნიშნული ფიცი დადო, – მაგრამ იმსახუროს იკონიაში, სადაც დასახლდა; თუმცა, იმ პირობით, რომ იტვირთებს შესაბამის ეპიტიმიას იმის გამო, რომ სულმოკლეობით იჩქარა აღნიშნული ფიცის მიცემა.* რაც შეეხება ნებართვას, რომელიც ბასილი დიდმა ანტიოქელ მღვდლებს მისცა, რომ ემსახურათ არა აშკარად, არამედ სენაკებში, უნდა შევხედოთ როგორც საერთო წესიდან გამონაკლისს. ლაოდიკიის კრების 58-ე კანონის თანახმად,არამხოლოდ მღვდლებს, არამედ ეპისკოპოსებსაც ეკრძალებათ წმინდა მსხვერპლის შეწირვა სასენაკო მსახურებისას, კერძო სახლებში. შემდგომში, როდესაც ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით უკვე შესაძლებელი გახდა „კარის ეკლესიების“ გახსნა, ტრულის კრების 31-ე კანონით მასში მსახურება აეკრძალათ მღვდლებს ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე. მღვდლების ამ მსახურებას კერძო სახლებში თვით ბასილი დიდიც კრძალავს და გმობს (1 კან.), როგორც ამას ეკლესიის სხვა მამები და მოძღვრები აკეთებდნენ. ანტიოქიელ მღვდლებს წმინდა ბასილმა ამის უფლება მისცა განსაკუთრებული ვითარებიდან გამომდინარე, – რომელიც ზემოხსენებულმა მთავარმა ანტიოქიაში შექმნა, – რათა ეხსნა ისინი დევნისაგან.

კანონი 18

დაცემულ ქალწულთა შესახებ, რომლებმაც უფლის წინაშე სიწმინდეში ცხოვრების აღთქმა დადეს, მაგრამ შემდეგ ჩავარდნენ ხორციელ ვნებაში

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 139.

და აღთქმები დაარღვიეს, ჩვენმა მამებმა, მარტივად და მშვიდად – დაბრკოლებულთა მიმართ სულგრძელობით – განაჩინეს, რომ შეწყნარებულ იქნენ ისინი ერთი წლის შემდეგ; დააწესეს ასე მეორედ დაქორწინებულთა მაგალითისამებრ. მაგრამ, რადგანაც, ქრისტეს მადლით, ეკლესია დროთა განმავლობაში უფრო მტკიცე ხდება, ქალწულთა დასი კი ამჟამად მრავლდება, ამიტომ, ვგონებ, მართებული იქნება ვითარებაში ზუსტად გარკვევა, თვით მის შესახებ..., რამეთუ ქვრივობა ქალწულობაზე დაბალია, და ქვრივთა ცოდვა ბევრად უფრო მსუბუქია ქალწულთა ცოდვაზე. ვნახოთ რას წერს პავლე მოციქული ტიმოთეს: *„ხოლო ქურივთა ჭაბუკთა განეშორე, რამეთუ რაჟამს დაიმღერნიან ქრისტესნი იგი, ქორწინების უნებენ. აქუს მათ საშჯელი, რამეთუ პირველი იგი სარწმუნოებაჲ შეურაცხყვეს“* (1 ტიმ. 5, 11, 12). ამდენად, თუკი ქვრივი ექვემდებარება უმძიმეს სასჯელს, როგორც, ერთგვარად, ქრისტეს სარწმუნოების უარმყოფელი, მაშინ რა უნდა დავასკვნათ ჩვენ ქალწულთან მიმართებით, რომელიც არის ქრისტეს სასძლო და უფლისთვის შეწირული წმინდა ჭურჭელი? დიდია ცოდვა, როდესაც მონა-ქალი ფარულად იქორწინებს, სახლს გარყვნილობით აავსებს და უწესო ცხოვრებით მის პატრონს შეურაცხყოფს, მაგრამ გაცილებით მძიმეა, როდესაც სასძლო მემრუშე გახდება, შერყვნის სიძესთან თავის კავშირს და აღვირახსნილ სიამტკბილობას მიეცემა. ამდენად, ქვრივი განიკითხება როგორც გარყვნილი მონა-ქალი, ქალწული კი მრუშის სასჯელს იმსახურებს. როგორც სხვის ცოლთან შეყოფილს მრუშს ვუწოდებთ, და მანამ არ ვიღებთ ეკლესიის ერთობაში, ვიდრე ცოდვას არ განეშორება, – ასეთნაირადვე ვიმოქმედოთ დაცემულ ქალწულთან მიმართებითაც. ახლა კი გვმართებს იმის გაცხადება, რომ ქალწულად იწოდება ნებაყოფლობით უფალს შეწირული ქალწული, რომელმაც უარყო ქორწინება და სიწმინდეში ცხოვრება ირჩია. აღთქმებს კი მაშინ ვაღიარებთ ჭეშმარიტად, როდესაც ასაკმა სრულ გონივრულობას მიაღწია, რამეთუ ბავშვური სიტყვები ამ საქმეში არ შეიძლება საკუთრივ მტკიცედ იქნეს მიჩნეული. მაგრამ თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკისანი, რომლებიც თავიანთ აზროვნებაზე უფლებენ, დიდხანს გამოიცდებოდნენ, განმტკიცებულნი არიან განზრახვაში და ვედრებით ითხოვენ მიღებას, საჭიროა, საბოლოოდ, მივიღოთ ქალწულთა დასში, და ესევითართა აღთქმები დავამტკიცოთ, დარღვევისათვის კი გადაუდებლად დავსაჯოთ. ხოლო იმის გამო, რომ ბევრი მათგანი თავიანთ მშობლებსა და ძმებს, და ზოგიერთ ნათესავს, ჯერ კიდევ სრულწლოვანობამდე მოჰყავთ უქორწინებლობის შესახებ არა საკუთრივ მათი გადწყვეტილებით, არამედ იმიტომ, რომ ამის საშუალებით რაღაც სარგებელის მიღწევას თავისთვის იზრახვენ, ამიტომ ასეთები ადვილად იქამდე არ მივიღოთ, ვიდრე ნათლად არ გვეცოდინება მათი საკუთარი განწყობა.

(I მსოფ. 19; IV მსოფ. 15, 16; ტრულ. 4, 40, 44; ანკვირ. 19; კართ. 6, 44, 126; ორგზ. 5; ბასილი დიდის 44, 58, 60)

აქ საუბარი ეხება არა მონოზონ დედებს, არამედ შეწირულ ქალწულებს, რომლებიც მოიხსენიებიან კართაგენის კრების მე-6 და 44-ე კანონებში და რომელთა

შესახებაც ჩვენ, სხვათა შორის, ვისაუბრეთ ტრულის კრების მე-4 კანონის განმარტებაში. ამფილოქეს კითხვაზე, როგორ უნდა მოექცნენ იმ ქალწულებს, რომლებმაც დაარღვიეს საზეიმოდ მიცემული ქალწულობის აღთქმა და სიძვაში ჩავარდნენ, წმინდა ბასილი პასუხობს, რომ ძველი დროის განწესებების თანახმად, ასეთები ექვემდებარებიან ერთწლიან ეპიტიმიას, როგორც მეორედ დაქორწინებულები (იხ. ანკვირ. მე-19 კან.). ასე იყო დადგენილი ადამიანთა სისუსტისადმი ანგარიშგაწევით. ასევე იმიტომ, რომ ქრისტეს ეკლესია იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად განვითარებული და შეწირულ ქალწულთა წოდება მხოლოდ ჩანასახში იმყოფებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი სხვაგვარად არის, წმინდა ბასილი განაწესებს, რომ სიძვაში ჩავარდნილი ქალწული მრუშობისათვის სასჯელს იმსახურებს, კერძოდ – თხუთმეტწლიან ეპიტიმიას (იხ. ბასილი დიდის 58-ე და მე-60 კანონები). იმისათვის, რომ გაამყაროს თავისი წინამდებარე განწესება, წმინდა ბასილი ეყრდნობა წმინდა წერილს და შენიშნავს, რომ ქვრივის მდგომარეობა თავისი მნიშვნელობით, უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ქალწულების, ამიტომ, თუკი სასჯელს ექვემდებარება სიძვის ცოდვაში ჩავარდნილი ქვრივი, მაშინ რაზომ უმეტესად უნდა დაისაჯოს თავისი აღთქმის დამრღვევი ქალწული. ამასთან, იგი ქვრივს მონა ქალთან ადარებს, ქალწულს კი – თავისუფალი ადამიანის სასძლოსთან, და აქედან აკეთებს დასკვნას შეწირული და სიძვით დაცემული ქალწულისათვის აღნიშნული სასჯელის დადების საფუძვლიანობისათვის. ხოლო, მომავალში რომ მსგავსი არ განმეორდეს, ამისათვის წმინდა ბასილი განაწესებს, რომ შეწირულ ქალწულთა რიგებში მიიღონ მხოლოდ 17 წლის ასაკს მიღწეული პირები, უკიდურეს შემთხვევაში – 16-ს; ანუ ისეთი ასაკის გოგონები, რომლებიც საკუთარ გონებასა და ნებას ფლობენ, რამეთუ აღთქმები, რომლებსაც ადრეულ ასაკში იძლევიან, სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი ბავშვური სიტყვები, რომლებზეც დაყრდნობა შეუძლებელია. თანაც, ხდება, რომ მშობლები და სხვა ნათესავები, საკუთარი ანგარების მიზნით, ადრეულ ასაკში აიძულებენ ქალწულებს შეწირულ ქალწულთა დასში შესვლას, ამავე დროს, მათ არ შეუძლიათ თქვან, შეძლებენ თუ არა ქორწინების გარეშე ცხოვრებას, რის გამოც ხშირად ასეთი ქალწულებისგან, როდესაც ისინი უკვე სრულასაკოვანნი ხდებიან, ეკლესიას ზიანი ადგება.

კანონი 19

მამაკაცთა აღთქმები სხვა არ ვიცით, თუ არა იმათი, რომლებიც მონოზონთა წესში ჩაირიცხნენ, რომლებიც მდუმარებით ადასტურებენ, რომ აღიარებენ უქორწინებლობას. მაგრამ მათთვისაც, ვგონებ, შესაფერისი იქნება წინასწარ გამოიკითხონ, და საზეიმოდ იქნეს მიღებული ქალწულობის აღთქმა, და თუ შეირყვნებიან ხორცისთვის სათნო და სიამტკბილობითი ცხოვრებით, – დაე, დაექვემდებარონ მეძავეობისათვის დაწესებულ ეპიტიმიას.

(მოც. 26; IV მსოფ. 7, 16; ტრულ. 44; ანკვირ. 19; ბასილი დიდის 6, 18, 20, 60)

ქალწულობის ანუ უქორწინებლობის აღთქმის დადება ნებისმიერს შეუძლია, რომელ საზოგადოების ფენასაც ის უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ ქალწულობა ან

უქორწინებლობა სავალდებულო პირობა არის მხოლოდ მონოზვნებისთვის, რადგან მონოზონი, როდესაც სამონოზვნო აღკვეცას იღებს, ამით უკვე თავისთავად აღთქმას დებს, თუნდაც ეს საზეიმოდ არ იქნეს წარმოთქმული. აღთქმის წარმოთქმა, რომელსაც ამჟამად თითოეულ სამონოზვნო წესში შემსვლელთაგან მოითხოვენ, ბასილი დიდის დროს ჯერ კიდევ არ იყო განწესებული, რითაც აიხსნება დასაწყისში მოყვანილი სიტყვები: „რომლებიც მდუმარებით ადასტურებენ, რომ აღიარებენ უქორწინებლობას“. წმინდა ბასილის მაინც მიაჩნია, რომ მათაც უნდა დადონ უქორწინებლობის საზეიმო აღთქმა, რათა შემდგომში, მისი დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი დასჯა. ეს არის საერთო წესი მონოზვნების შესახებ, გამოცემული ბასილი დიდის მიერ ამფილოქეს კონკრეტულ კითხვასთან დაკავშირებით. თუმცაღა, ბასილი დიდმა მონოზვნებისა და სამონოზვნო ცხოვრების შესახებ მრავალი სხვა კანონი გამოსცა, რომლებსაც ახლაც აქვთ ძალა მართლმადიდებელ ეკლესიაში.

მონოზვნობა ეკლესიაში არსებობდა ბასილი დიდის მოღვაწეობამდე, მაგრამ ის არ იყო რეგლამენტირებული საერთო წესებით და სხვადასხვა მონასტრის მონოზვნები იმართებოდნენ თავიანთი იღუმენების განაწესებითა და დარიგებებით. ბასილი დიდს ეკუთვნის სამონაზვნო ცხოვრების რეგლამენტირების პატივი. ბასილი დიდის თხზულებებს შორის, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ვხვდებით მთელ რიგ წერილობით სერიებს დასათაურებულთ „ასკეტიკური თხზულებები“, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხება მონოზვნობას. ვიდრე მონოზვნობის შესახებ თავის კანონს გამოსცემდა, წმინდა ბასილმა სამი მოკლე თხზულება დაწერა: ქრისტეს მხედრის (მონოზვნის) ამაღლებული წოდების, სულიერი სრულყოფილებისა და სამონოზვნო ცხოვრების შესახებ. საკმაოდ ვრცელი მსჯელობის შემდეგ, საღმრთო სამჯავროსა და სარწმუნოების შესახებ, ბასილი დიდმა ამ თხზულებებს მიუმატა 80 წესი ქრისტიანული ზნეობის შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი რამდენიმე პარაგრაფს შეიცავს (მაგალითად, 70-ე კანონი – 36 პარაგრაფს), თანაც ყოველ წესთან და პარაგრაფთან მოყვანილია შესაბამისი ადგილები წმინდა წერილის ძველი დ ახალი აღთქმების წიგნებიდან. ზოგიერთი მათგანი ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც საერთო კანონიკურ სამართალში შედის, მაგ., წმინდა ჭურჭლის სიწმინდის შესახებ (30-ე და 31-ე კანონები), სიმონიის შესახებ (58-ე კან.), სასულიერო პირების პატივისცემის შესახებ ((61-ე კან.), ეპისკოპოსების შესახებ (70-ე კან.), განქორწინების შესახებ (73-ე კან.) და სხვა. მას შემდეგ, რაც გამოსცა ეს საერთო ზნეობრივი წესები, ბასილი დიდმა გამოსცა მონოზვნობის შესახებ ორი ჯგუფი სპეციალური კანონებისა – ვრცელი და მოკლე. მათგან ვრცელი შეიცავს 55 კანონს, მოკლე – 313. ყველა ისინი შედგენილია კითხვა-პასუხის ფორმით. პირველი მათგანი, ვრცელი, გადმოსცემს სამონოზვნო ცხოვრების საფუძვლებს; მეორე, მოკლე, ეხება კერძო საკითხებს – თუ როგორ უნდა იცხოვროს მონოზონმა. ამ კანონებს წმინდა ბასილმა დაუმატა ეპიტიმიები მონოზვნებისათვის, ამა თუ იმ კანონის დარღვევისათვის. მათ შორის 60 მონოზონ მამებს ეხებათ, 19 კი – მონოზონ დედებს. ყველა ამ კანონს ეპიტიმიის შესახებ, ბასილი დიდმა შემდგომში ერთ კრებულში მოუყარა თავი, სათაურით: „ასკეტიკური განწესებანი“; კრებული 34 თავს შეიცავს. იმისათვის, რომ წინამდებარე მე-19 კანონი სათანადოდ გავაც-

ნობიეროთ, ყველა შემთხვევაში უნდა გავეცნოთ ბასილი დიდის „ასკეტიკურ თხზულებებს“ და შევისწავლოთ იგი, ვინაიდან მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი გავიგოთ ჭეშმარიტი მონოზვნური ცხოვრების მთელი აღმატებულება.

კანონი 20

თუ ვინმე ქალთა სქესიდან მწვალებლობაში იყო, ქალწულობის აღთქმა დადო, მაგრამ შემდეგ ქორწინება აირჩია, ესევითარნი, ვფიქრობ, არ უნდა დაისაჯონ: *„რამეთუ რაოდენსა შჯული იტყჳს, მათ ეტყჳს, რომელნი-იგი შჯულსა ქუეშე არიან“* (რომ. 3, 19). მაგრამ იმათ, რომლებსაც ჯერ არ უტვირთიათ ქრისტეს უღელი, არ იციან არც უფლის მცნებები. ამიტომ ისინი შეიძლება შეწყნარებულ იქნენ ყველასთან ერთად ეკლესიაში და მიიღონ ამ შემთხვევაში მიტევება ქრისტეს რწმენის საშუალებით, და საერთოდ, რაც კათაკმეველობის დროს გააკეთეს, არ ექვემდებარება სასჯელს. ცხადია, რომ ეკლესიაში არ მიიღებიან ესევითარნი ნათლისღების გარეშე. ამიტომ მათთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აღმოშობის უპირატესობა.

(I მსოფ. 14; II მსოფ. 7; ნეოკეს. 5; ლაოდ. 19; ტიმოთე ალექსნდრიელის 6; კირილე ალექსანდრიელის 5)

იმისათვის, რომ რომელიმე აღთქმა ეკლესიამ აღიაროს, ის უნდა იყოს მიცემული ეკლესიაში და ეკლესიის კანონების თანახმად. თუკი აღთქმის დამდები პირი ეკლესიის წევრი არ არის და, შესაბამისად, მისი აღთქმა ეკლესიაში არ არის დადებული, ეკლესიისათვის ძალისშემცველი ის ვერ იქნება. ამიტომ ასეთი აღთქმის დარღვევა საეკლესიო სასჯელს არ ექვემდებარება. ქალმა, რომელიც მწვალებლურ სექტას ეკუთვნოდა, ქალწულობის აღთქმა დადო, შემდეგ ეს აღთქმა დაარღვია და გათხოვდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მწვალებლობა მიატოვა და მართლმადიდებლობის მიღება გადაწყვიტა. სწორედ მის მიერ მიცემული აღთქმის შესახებ ეკითხებიან ბასილი დიდს და მას პასუხად მოჰყავს პავლე მოციქულის სიტყვები (რომ. 3, 19), რომლის თანახმადაც კანონი თუკი რამეს ამბობს, ამბობს კანონისქვეშ მყოფთათვის და, შესაბამისად, ვინც ამ კანონის გარეთ არის, ვინც არ აღიარებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ის არც არის კანონით შეკრული, რომელიც არ იცის. ამის მიხედვით, წმინდა ბასილი ადგენს, რომ მოხსენიებული დედაკაცის შეწყნარება ეკლესიაში შეიძლება, ვინაიდან ქრისტეს რწმენით იღებს იგი ყველა ცოდვის მიტევებას, მათ შორის ზემოთ აღნიშნულსაც. წმინდა ბასილი აქ ახსენებს ნათლისღებას და, მაშასადამე, გულისხმობს მწვალებლებს, რომელთა ეკლესიაში მიღება შეიძლება მხოლოდ ნათლისღების გზით.

კანონი 21

ქმარი, რომელიც თავის ცოლთან ცხოვრობს, არ დაკმაყოფილდება ქორწინებით და სიძვის ცოდვას ჩაიდენს, ესევითარს მეძავედ ვთვლით და

დიდი ხნით ვტოვებთ ეპიტიმიის ქვეშ. თუმცა, არა გვაქვს კანონი, რომ დაეუქვემდებაროთ იგი მრუშობისათვის სასჯელს, თუ ცოდვა ჩადენილია ქორწინებიდან თავისუფალ დედაკაცთან. რამეთუ ნათქვამია: *„უკეთუ განავლინოს ქმარმან ცოლი თჳსი. და წარვიდეს მისგან და იქმნეს ქმრისა სხჳსა, ნუ მოქცევით მოიქცესა მისდამი მერმე? არა შეგინებით შეიგინოსა დედაკაცი იგი?“* (იერ. 3, 1), ასევე: *„რომელმან დაიყენოს მემრუშე, უგუნურ და უღმრთო არს“* (იგავნი, 18, 23). მაგრამ სიძვისმოქმედი არ განიშორება თავის ცოლთან თანაცხოვრებას, და ცოლმა უნდა მიიღოს სიძვისგან მოქცეული თავისი ქმარი; თუმცა, ამასთან, ქმარი შებილწულ ცოლს სახლიდან განაძევებს. ამის მიზეზის ახსნა იოლი არ არის, მაგრამ ასეა ჩვეულებად მიღებული.

(ბასილი დიდის 9, 19, 21, 26, 34, 37, 39, 58, 59, 77, 79, 80; გრიგოლ ნოსელის 4)

აქაც აქვს ადგილი იმ გაურკვევლობას, რაც ვიხილეთ ბასილი დიდის მე-9 კანონში, თანაც აქ ის უფრო შესამჩნევია. ბასილი დიდი საუბრობს მის დროს არსებული ჩვეულების შესახებ, როგორც მე-9 კანონში. ოღონდ აქ .იგი ხაზს უსვამს მის უსაფუძვლობას და შენიშნავს, რომ მისი არსებობისათვის ძნელია გამართლების მოძებნა. აღნიშნული ჩვეულების თანახმად, ცოლის მოღალატე ქმარი ისჯებოდა როგორც მეძავი, და არა – როგორც მრუში, თუკი მხოლოდ ქორწინებითი კავშირისაგან თავისუფალ ქალთან და, შესაბამისად, უქმროსთან შესცოდავდა. ამასთან, კანონიერ ცოლს არ ჰქონდა უფლება გაშორებოდა თავის მოღალატე ქმარს. იმავდროულად, ქალთან მიმართებით ყველაფერი პირიქით იყო: ცოლი, რომელიც ქმარს უღალატებდა, ცოლიან თუ უცოლო მამაკაცთან, ისჯებოდა როგორც მრუში, ქმარი კი მისი თავიდან მოშორების უფლებას ფლობდა. ეს ჩვეულება რომ ქრისტიანობაში წარმართული რომაული კანონმდებლობიდან გადმოვიდა (რომლის მიხედვითაც ყველა მეუღლებრივი უფლება მხოლოდ ქმარს ეკუთვნოდა, ცოლი კი თითქმის უუფლებო იყო), ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ბასილი დიდის მე-9 კანონის განმარტებაში. იქვე შევნიშნეთ, რომ ეკლესიის მამები და მოძღვრები ყოველთვის განიკითხავდნენ ამ ჩვეულებას. თავის წინამდებარე (21-ე) კანონში ბასილი დიდი ხაზს უსვამს ასეთი ჩვეულების უსაფუძვლობას, რომელიც IV საუკუნეში მაინც არსებობდა, და რომლის შესახებაც XII საუკუნეში **ზონარა** ამ კანონის განმარტებაში ამბობს, რომ იგი მოკლებულია გონივრულ საფუძველს.* ქმარი დამნაშავეა მრუშობაში, თუ თავის ცოლს უღალატა და ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ქმრიანია თუ უქმრო ის ქალი, ვისთანაც უღალატა. ზუსტად ასევე, ქალსაც მრუშობის ცოდვად ეთვლება ქმრის ღალატი სხვა მამაკაცთან. მრუშობის შედეგი ერთნაირია როგორც ქმრის, ისე ცოლისთვის. ეს არის სახარებისეული და წმინდამამებისეული სწავლება, რომელმაც ზუსტი გამოხატულება ბასილი დიდის უმცროსი ძმის **გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონში** ჰპოვა. ეს მამა მრუშობას აძლევს შემდეგ განსაზღვრებას: „სხვისთვის მიყენებული შეურაცხყოფა და წყენინება“. ბერძნულ-რომაულ კანონმდებლობაში მხოლოდ VI საუკუნეში შეაღწია ეკლესიის სწავლებამ მეუღლე-

*ათენის სინტაგმა, IV, 149.

თა თანასწორობის შესახებ. იუსტინიანე უკვე ცოლს აძლევს სხვათა შორის იმის უფლებასაც, რომ მოითხოვოს ქმრისგან განქორწინება, თუკი დაამტკიცებს, რომ ქმარი უკანონო კავშირშია სხვა ქალთან და არ სურს აღნიშნული კავშირის გაწყვეტა. ეკლესიის ამ სწავლებისა და, კერძოდ, გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონის საფუძველზე, ჩვენ განვსაზღვრეთ მრუშობა, როგორც უკანონო კავშირი სხვის ცოლთან ან სხვის ქმართან.

კანონი 22

თუ ვინმემ მოტაცების გზით მოიყვანა ცოლი, რომელიც სხვის მიერ იყო დაწინდული, მაშინ ესევითარის მიღება სინანულად დაუშვებელია, ვიდრე მისგან მას არ წაიყვანენ, და მის პირვანდელ დამწინდველს არ მიეცემა თავის დაწინდულზე უფლება – ან მიიღოს, თუ სურს, ან გაუშვას. ხოლო თუ ვინმე დაუწინდავს მოიტაცებს, მაშინ მას იგი უნდა წაერთვას, დაუბრუნდეს ნათესავებს და მისიანების ნებით გადაწყდეს, – იქნებიან ესენი მშობლები, ძმები თუ სხვა ვინმე მზრუნველები ქალწულზე; და თუ ინებებენ მისცენ მას, მაშინ დაე, მტკიცე იყოს მათი თანაცხოვრება, ხოლო თუ არ დათანხმდებიან, მაშინ დაე, არ იიძულონ. ცოლის მომყვანმა, მისი შერყვნის შემდეგ, ან ფარულად, ან ძალადობით, აუცილებლად უნდა მიიღოს სიძვისთვის დაწესებული საეკლესიო სასჯელი. სასჯელი კი, მეძავთათვის, განწესებულია ოთხი წლის ვადით: პირველი უნდა გაატარონ ლოცვისაგან განყენებაში და ეკლესიის კარიბჭესთან ტირილში. მეორე წელიწადს მიიღებიან წმინდა წერილის მოსასმენად. მესამე – სინანულისთვის. მეოთხე – მრევლთან დგომისთვის, მაგრამ ზიარების გარეშე. მხოლოდ ამის მერე დაიშვებიან ისინი წმინდა საიდუმლოს ზიარებაზე.

(მოც. 67; IV მსოფ. 27; ტრულ. 92, 98; ანკვირ. 11; ბასილი დიდის 25, 26, 30, 38, 40, 42, 69)

წინამდებარე კანონში პირველ რიგში საუბარია იმათ შესახებ, ვინც სხვასთან დაწინდულ ქალწულს გატაცების გზით ისაკუთრებს, ამის შემდეგ კი – ვინც გაიტაცებს თავისუფალ, დაუწინდავ ქალწულს. ყოველივე ამის შესახებ საკმარისად არის ნათქვამი პარალელური – კერძოდ, IV მსოფლიო კრების 27-ე და ბასილი დიდის 30-ე – კანონების განმარტებებში. ასეთი სახის დამნაშავეთათვის წმინდა ბასილი განაწესებს, რომ ყველა ისინი უნდა დაექვემდებარონ ეპიტიმიებს თანახმად არსებული კანონებისა. პირველი სახის დამნაშავეებთან მიმართებით, ანუ ვინც სხვისი საცოლე გაიტაცა, წმინდა ბასილი ამბობს, რომ მათი დაშვება წმინდა ზიარებაზე შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განეშორება ის სხვის საცოლეს და ეს უკანასკნელი დაუბრუნდება თავის ნამდვილ საქმროს, რომლის უფლებაშიც შედის – მიიღოს ან არ მიიღოს იგი. იმათთან მიმართებით კი, ვინც თავისუფალი ქალწული გაიტაცა, წმინდა ბასილი განაწესებს, რომ ის უნდა წაერთვას გამტაცებელს და დაუბრუნდეს თავის მშობლებს ან მეურვეებს, და უკვე იმათ უნდა გადაწყვიტონ, მისცენ თუ არა გამტაცებელს გატაცებული ცოლად (ზონარას შენიშვნის

თანახმად, თუ თავის თანხმობას ქალწულიც მისცემს).* მიუხედავად იმისა, შედგება თუ არ შედგება ასეთი ქორწინება (მშობლებისა და ქალწულის თანხმობით), გამტაცებელი, რომელმაც ფარულად ან ძალით შებილწა გატაცებული, მაინც უნდა დაექვემდებაროს სიძვისმოქმედთათვის დაწესებულ ოთხწლიან ეპიტიმიას, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ეზიაროს წმინდა საიდუმლოს. თუმცაღა, ბასილი დიდის წარმოდგენილი განწესება გამტაცებლის მიმართ, თავისი შინაარსით საკმაოდ ლმობიერი,საეკლესიო პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდა. როგორც ჩანს,იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინათ დიდი ბოროტება და დაეცვათ ოჯახური სიმყუდროვე, საეკლესიო პრაქტიკაში უპირატესობა მიიღო IV მსოფ. კრების 27-ე კანონმა, რომელიც შემდგომში ტრულის კრების მამებმა თავიანთი 92-ე კანონით გაიმეორეს; მისი მიხედვით ქალწულის გამტაცებელი ანათემას გადაეცემა. კომენტატორებს კი მოჰყავთ, როგორც ძალმოსილი კანონი, ბერძნულ-რომაული კანონმდებლობის განწესება, რომლის თანახმადაც გამტაცებელის ქორწინება გატაცებულ ქალწულთან დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამაზე გატაცებულის მშობლები დათანხმდებიან.**

კანონი 23

იმათ შესახებ, ვინც ორ დასთან შეუღლდა ან – ორ ძმასთან, ჩვენგან გამოცემულია ეპისტოლე, რომლის ასლიც ჩვენ გამოვაგზავნეთ შენს კეთილმსახურებასთან. ხოლო თავისი ძმის ცოლის მომყვანი, მიიღება არა უადრეს, ვიდრე მას დატოვებს.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 68, 76, 78, 87; თეოფილე ალექსანდრიელის 5; ტიმოთე ალექსანდრიელის 11)

კითხვაზე იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ქვრივ მამაკაცს თავისი გარდაცვლილი ცოლის დასთან იქორწინოს (ან ქვრივ დედაკაცს – გარდაცვლილი ქმრის ძმასთან), წმინდა ბასილი პასუხობს, რომ მან ამის შესახებ უკვე გამოსცა ეპისტოლე ტარსის ეპისკოპოს დიოდორეს მიმართ, რომელიც მოყვანილია მის 87-ე კანონში და სადაც იგი მკაცრად გმობს მსგავსი სახის ქორწინებას. ხოლო თუ ვინმე შემთხვევით შევა მსგავს ქორწინებაში, მაშინ იგი სინანულისათვის დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული უკანონო ქორწინება გაუქმდება. სხვა დანარჩენის შესახებ იხ. ბასილი დიდის 87-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 24

ქვრივი, რომელიც ქვრივთა რიცხვში ითვლება, ანუ ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ არის, მოციქული ბრძანებს, რომ ზრუნვის გარეშე უნდა დარჩეს, თუ ქმარს მოინდომებს. ხოლო დაქვრივებული ქმრისთვის კანონი

*ათენის სინტაგმა, IV, 151.

**იხ. ზონარას, ბალსამონისა და არისტინეს განმარტებები ათენის სინტაგმაში, IV, 152-153.

არ არის დადებული: მოქმედებს მის მიმართ მეორედ დაქორწინებულისთვის ეპიტიმია. სამოცი წლის ქვრივი, თუკი კვლავ მოინდომებს ქმართან ცხოვრებას, დაე, უღირსი იქმნეს სიწმინდესთან ზიარებისა, ვიდრე არ განეშორება უწმინდურ ვნებას. ხოლო თუ სამოც წლამდე შეევიყვანთ მას ქვრივთა რიცხვში, მაშინ ჩვენი ბრალია, და არა ამ დედაკაცის.

(IV მსოფ. 3; ტრულ. 40; კართ. 38; თეოფილე ალექსანდრიელის 11; ბასილი დიდის 4, 41)

ქვრივებს, რომლებიც არავისზე არიან დამოკიდებულნი, ქორწინების უფლება რომ აქვთ, – ეს ცნობილია წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნებიდან (იხ. რომ. 7, 3; 1 კორ. 7, 39). ამასვე ამბობს ბასილი დიდიც თავის 41-ე კანონში. თუმცაღა, იყვნენ განსაკუთრებული სახის ქვრივები, რომლებსაც ეკლესია ინახავდა; ისინი ერთგვარ ორდენს შეადგენდნენ და **ეკლესიის ქვრივებად** იწოდებოდნენ. ასეთებს წმინდა წერილიც მოიხსენიებს და თანაც – მოწონებით (იხ. 1 ტიმ. 5, 3, 5, 16), თუმცა, ნებას არ იძლევა, რომ ისინი ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ აიყვანონ ახალგაზრდა ასაკში (იხ. 1 ტიმ. 5, 11), არამედ მას შემდეგ, რაც 60 წელი შეუსრულდებათ (იხ. 1 ტიმ. 5, 9). სწორედ ასეთი ქვრივების შესახებ საუბრობს ბასილი დიდი წინამდებარე კანონში; თანაც განაწესებს, რომ თუ ისინი ეკლესიაში 60 წლის ასაკამდე მიიღეს, მაშინ მათ დაუბრკოლებლად შეუძლიათ გათხოვდნენ, და ამისთვის მხოლოდ მეორედ დაქორწინებულთათვის დაწესებული ეპიტიმიის ტვირთვა მოუწევთ, ისევე, როგორც ჩვეულებრივ ქვრივ მამაკაცს, რომელიც მეორედ დაქორწინებას გადაწყვეტს. თუკი ისეთი „ეკლესიის ქვრივი“ მოინდომებს გათხოვებას, რომელიც ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ ჯეროვან, ანუ 60 წლის ასაკში მივიდა, მაშინ ასეთ გონგადასულ დედაკაცს წმინდა ზიარება უნდა აეკრძალოს იქამდე, ვიდრე ბოდვას არ შეწყვეტს და უწმინდური ვნებისგან არ განიკურნება, რამეთუ მხოლოდ უწმინდური შეიძლება ეწოდოს იმას, როდესაც 60 წლის მოხუც დედაკაცს მამაკაცთან ურთიერთობა მოაფიქრდება.

კანონი 25

ვისაც მის მიერ გარყვნილი ჰყავს ცოლად, გარყვნისათვის ეპიტიმიას ექვემდებარება, მაგრამ, ამასთან, დაე, მიეცეს მას უფლება იყოლიოს იგი ცოლად.

(მოკ. 67; ბასილი დიდის 22)

ბალსამონის სიტყვებით, წინამდებარე კანონის განმარტებიდან, გარყვნა (შებილწვა) სიტყვის ჭეშმარიტი, მნიშვნელობით უკავშირდება არასრულწლოვან ქალწულებს.* ამგვარად, ამ დანაშაულში დამნაშავეს წარმოადგენს ის, ვინც გააუპატიური ყრმა, უმწიფარი ქალწული ძალადობის გზით. მსგავსი დანაშაულისათვის დამნაშავე ისჯება უზიარებლობით (მოკ. 67-ე კან.), ხოლო ბასილი დიდის 22-ე

*ათენის სინტაგმა, IV, 158.

კანონის თანახმად, ეს უზიარებლობა ოთხი წლით არის განსაზღვრული. ეპიტიმიის შემდეგ მას შეუძლია მასზე იქორწინოს, – თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის სხვა წინაღობა არ არსებობს, – მაგრამ სხვაზე უკვე ვეღარ იქორწინებს (იხ. მოც. 67-ე კან.).

კანონი 26

სიძვა არ არის ქორწინება, და არც ქორწინების დასაწყისი. ამიტომ სიძვით შეერთებულთა განშორება უკეთესია, თუკი შესაძლებელია. ხოლო თუ ყველა ზომას მიმართავენ, რომ თანაცხოვრება შეინარჩუნონ, მაშინ მიიღონ სიძვის ეპიტიმია, და დარჩნენ ქორწინებით ცხოვრებაში, რათა უარესი არ მოხდეს.

(ბასილი დიდის 4, 21, 26, 59, 79, 80)

წინამდებარე კანონში საუბარია თავისუფალ მამაკაცსა და თავისუფალ დედაკაცზე, რომლებიც სიძვის გზით ხორციელად თანაცხოვრობენ, რადგან არ არიან კანონიერი ქორწინებით ერთმანეთთან შეუღლებულნი და ამიტომ, არსებითად, ერთმანეთის მიმართ ცოლსა და ქმარს არ წამოადგენენ. მათთან მიმართებით ბასილი დიდი ამბობს, რომ საჭიროა ძალისხმევის გამოჩენა მათ დასაშორებლად, რადგან სიძვა არ არის არც ქორწინება და არც ქორწინების დასაწყისი, ანუ – **ზონარას** გამოთქმით – სიძვა არ შეიძლება ჩაითვალოს ქორწინების საბაბად.* იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოხერხდა მათი ერთმანეთისგან დაცილება ან მათ შორის კანონიერი ქორწინების მიღწევა, მაშინ ისინი მეძავეობისათვის უნდა დაისაჯონ და დაე, გააგრძელონ თანაცხოვრება, რათა არ მოხდეს რაიმე უარესი, ანუ, ზონარას გამოთქმით, ძალით დაშორების შემთხვევაში არ დაიწყონ ფარული შეხვედრები და ცოდვები, ან რათა ქალი, რომელიც მერე იძულებული გახდება სხვაზე გათხოვდეს, შემდგომში არ ჩავარდეს მრუშობის ცოდვაში, დაბოლოს, რათა არ მოხდეს თვითმკვლელობა, რაც შესაძლებელია ჩაიდინონ საყვარელებმა, როდესაც მათ ხელს შეუშლიან ურთიერთსიყვარულით ტკბობაში.**

იმისათვის, რომ სათანადოდ გავაცნობიეროთ წარმოდგენილი განწესება, უნდა გავიხსენოთ დრო – როდის არის ის გამოცემული და რა შეხედულებები ბატონობდნენ მაშინ ბერძნულ-რომაული კანონმდებლობის მფარველობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მრავალი საუკუნე უნდა გასულიყო, ვიდრე ქრისტიანულ საზოგადოებაში დამკვიდრდებოდა ცნობიერება, რომ კანონიერი არის მხოლოდ ეკლესიის მიერ კურთხეული ქორწინება. ამის რეგლამენტირება მოხდა მხოლოდ IX საუკუნეში, როდესაც ლეონ ბრძენმა გამოსცა თავისი LXXXIX ნოველა, რომლის თანახმადაც კანონიერად ითვლებოდა ერთადერთი ეკლესიის მიერ კურთხეული ქორწინება. მანამდე, განსაკუთრებით უფრო ადრეულ საუკუნეებში, ქორწინება დარეგულირებული იყო მარტოოდენ ბერძნულ-რომაული კანონმდებლობით, რომლის განწესებაც, გარდა კანონიერი ქორწინებისა, უშვებდა, აგრეთვე, ორი თავისუ-

*ათენის სინტაგმა, IV, 159.

**ათენის სინტაგმა, IV, 160.

ფალი პირის ერთად ცხოვრების სხვა გვარობასაც – კანონიერი ქორწინების კავშირის გარეშე. ასეთი თანაცხოვრება რომაულ საზოგადოებაში სხვადასხვა გარემოებით იყო გამოწვეული, უმთავრესად – საზოგადოებაში არსებული მკვეთრი ფენობრივი განსხვავებით, რაც ხშირად უშლიდა ხელს შეეკვარებულების ქორწინებას. იმპერატორმა იუსტინიანემ „კონკუბინატს“ (თანაცხოვრება) მისცა ერთგვარი კანონებრივი ფორმა: თუკი ქალი და მამაკაცი საჯაროდ, მოწმეების თანდასწრებით, ერთობლივი ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ და, ამასთანავე, ეს მათი ერთობლივი ცხოვრება კანონს არაფერში ეწინააღმდეგებოდა, მაშინ, იუსტინიანეს კანონმდებლობით, ასეთი კავშირი ნებადართულად უნდა ჩათვლილიყო და გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი თანაცხოვრების შედეგად დაბადებული ბავშვების ლეგალიზებაც (დაკანონება) ხდებოდა. ხოლო თვით „კონკუბინა“ (თანამცხოვრები ქალი) მემკვიდრეობით უფლებას იღებდა თანამცხოვრები კაცის ქონებაზე მისი გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ამ სახის ქორწინებას გულისხმობს ბასილი დიდი წინამდებარე (26-ე) კანონში. როგორც, ზოგადად, ყოველთვის ითვალიწინებს იგი სამოქალქო კანონმდებლობის არსებულ ნორმებს, ასევე მოქმედებს აქაც, თუმცა, ეკლესიის შეხედულებებიდან გამომდინარე, მას არ სურს და არც შეუძლია აღიაროს „კონკუბინატისადმი“ რაიმე იურიდიული უფლება, მაგრამ მაინც, უკიდურეს შემთხვევებში, ითმენს ასეთ დაშვებებს, რათა უფრო უარესი არ მოხდეს. კონკუბინატს, როგორც კაცისა და ქალის ერთად ცხოვრების კანონით აღიარებულ ფორმას, თავისი პირვანდელი მნიშვნელობა მხოლოდ VIII საუკუნეში ჩამოერთვა, როცა გამოიცა იმპერატორების ლეონ ისავრიელისა და კონსტანტინე კოპრონიმის „ეკლოგია“. შემდგომში, IX საუკუნეში, იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა გამოსცა განწესება, რომლის თანახმადაც არავის ჰქონდა უფლება სახლში ჰყოლოდა „კონკუბინა“ – ან უნდა დაქორწინებულიყო მასზე და იგი მისი კანონიერი ცოლი ხდებოდა, ან – სახლიდან გაეშვა. როდესაც კონკუბინატმა ბერძნულ-რომაული კანონმდებლობით დაკარგა ყოველგვარი კანონიერი მნიშვნელობა და როდესაც იმპერატორ ლეონ ბრძენის ზემოთ მოხსენიებული ნოველით გამოცხადდა მხოლოდ ეკლესიის მიერ კურთხეული ქორწინების კანონიერება, მაშინ შეწყდა, რა თქმა უნდა, ბასილი დიდის წინამდებარე კანონის განწესების ძალმოსილება. ასე რომ, უპირობოდ უნდა გაწყდეს ყოველგვარი კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, გარდა კანონიერი ქორწინებისა.

კანონი 27

მღვდლის შესახებ, რომელიც უმეცრებით შეიკრა არასწორი ქორწინებით, მე განვაწესე, როგორ უნდა იყოს, ანუ: სამღვდელო დასაჯდომელით ისარგებლოს, სხვა სამღვდელო მოქმედებებიდან, დაე, დაეყენოს, რამეთუ ესევითარისათვის შენდობა საკმარისია. სხვისი კურთხევა კი იმისთვის, ვინც საკუთარი წყლულების მკურნალობას საჭიროებს, არ არის მართებული. რამეთუ კურთხევა არის განწმენდის გადაცემა. მაგრამ ვისაც ეს არ გააჩნია, უმეცრების ცოდვის მიზეზით, მაშ, როგორღა გადასცემს სხვას? ამის გამო, დაე, არ აკურთხოს არც საჯაროდ, არც ცალკე, და ქრისტეს

ხორცი არ გაუნაწილოს სხვებს, არც სხვა რაიმე მსახურება შეასრულოს, არამედ, დაკმაყოფილდეს მღვდელმსახურის ადგილით, და იტიროს სხვებისა და უფლის წინაშე, რათა მიეტეოს მას უმეცრების ცოდვა.

(მოც. 19; ტრულ. 3, 26, 54; ნეოკეს. 9)

ბასილი დიდის წინამდებარე კანონი სიტყვასიტყვით არის შეტანილი ტრულის კრების 26-ე კანონში, რომლის თანახმადაც უმეცრებით არასწორად დაქორწინებულ მღვდელს ერთმევა წმინდა მსახურების უფლება; მას მხოლოდ სამღვდელო წოდება უნარჩუნდება და შეუძლია, აგრეთვე, სამღვდელოებას შორის დასაჯდომელის პატივით ისარგებლოს. თუმცა, ყოველივე ესეც იმ პირობით, – როგორც ტრულის კრების აღნიშნული კანონი დასძენს, – თუკი გაწყვეტს ქორწინებას, რომელშიც კანონის განწესების საწინააღმდეგოდ უმეცრებით აღმოჩნდა, ხოლო თუ იცოდა შესაბამისი კანონის განწესება და განგებ დაქორწინდა, მაშინ სამღვდელო წოდებასაც კარგავს და ექვემდებარება არასწორი და დაუშვებელი ქორწინებების შესახებ სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებულ განაჩენს.* რომის სამართლით, აკრძალულ ქორწინებებს ბალსამონი სამ ჯგუფად ჰყოფს: უწესო, დასაგმობი და უკანონო. პირველ ჯგუფს ისეთ ქორწინებებს მიაკუთვნებს, რომლებიც სამოქალაქო სამართლის განწესებებს ეწინააღმდეგება, მაგალითად, მეურვისა – სამეურვეო პირთან; მეორე ჯგუფში შედის მონოზვნებთან და შეწირულ ქალწულებთან ქორწინება და მესამე ჯგუფი, ეს არის ქორწინება, რომელიც ნათესაური ხარისხებით არის აკრძალული.** თუმცა, კანონიკური სამართლის ტერმინოლოგიით, ყველა აკრძალული ქორწინება ჩვეულებრივ იწოდება არასწორ ქორწინებად, როგორც ეს ბასილი დიდის წინამდებარე კანონშია წოდებული. გამოსცემს რა წარმოდგენილ განწესებას იმ მღვდლების წინააღმდეგ, რომლებიც თუნდაც უმეცრებით დაქორწინდნენ არასწორად, წმინდა ბასილი ამართლებს სასჯელის სიმკაცრეს და შენიშნავს, რომ უხერხულია სხვები აკურთხოს პირმა, რომელმაც თავად შესცოდა და, შესაბამისად, ვალდებულია მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ღმრთის წინაშე ვედრებით ცოდვის მიტევება გამოითხოვოს. სიმკაცრე გამართლებულია თვით მღვდლის წოდებით და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობითაც, ვინაიდან, უპირველესად იმას მოეთხოვება სულისა და სხეულის სრული სიწმინდე, ვინც მოწოდებულია ღვთის წმინდა საკურთხეველს ემსახუროს და საიდუმლონი აღასრულოს. ამ დროს კი ისე არაფერი ეწინააღმდეგება ამ სიწმინდეს, როგორც ხორციელი უწმინდურება, რომლის საფუძველიც უკანონო ქორწინებაში დევს, სადაც ქმარი და ცოლი, რომლებიც *ერთხორც* არიან, თვით ქორწინების ბუნებიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ, ერთიმეორეს უწმინდურებით წამლაევენ. შემდეგ, ეს სიმკაცრე განპირობებულია თვით მღვდლის მსახურებით, რომელიც ლოცვისა და მღვდელმოქმედების გზით მადლმოსილი განწმენდის გადასაცემად არის მოწოდებული. მაგრამ, როგორ შეუძლია მღვდელს ეს გააკეთოს, თუ იგი ცოდვაში ჩავარდნით თავად მოაკლდა ამ განწმენდას? მართალია, ყოველგვარი განწმენდის წყაროს

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 163.

**ათენის სინტაგმა, IV, 162.

ღვთის მადლი წარმოადგენს, რომლის მსოლოდ იარაღი არის მღვდელი, რომლის მეშვეობითაც მადლი ადამიანებზე მოქმედებს, მაგრამ ის, ვინც არასწორად და კანონის განწესებების საწინააღმდეგოდ იქნა მღვდლად დადგინებული და, შესაბამისად, საიდუმლოს აღასრულებს არასამართლიანად, ვერ იქნება სხვებისთვის მადლმოსილი განწმენდის წმინდა და ჭეშმარიტი იარაღი. დაბოლოს, ეს სიმკაცრე გამართლებულია არასწორი ქორწინებების გარდაუვალი შედეგით მღვდლებისთვის – როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში, რადგან, უკანონო ქორწინებაში უკანონო ბავშვები იბადებიან. ასე რომ, მთელ ოჯახზე რჩება სამარცხვინო ლაქა და მღვდელს, როგორი სამაგალითოც არ უნდა იყოს თავისი მსახურებით, ვერასდროს ექნება საზოგადოებაში ის დაფასება და მნიშვნელობა, რაც მას თავისი მდგომარეობით ეკუთვნის – როგორც მღვდელსა და მწყემსს. აი, რატომაც განაწესებს წმინდა წერილი ყურადღება მიექცეს სამღვდელო კანდიდატის ოჯახურ ცხოვრებას, რომელიც უნდა იყოს წმინდა და შეუბილწავი, და სამღვდელო წოდების ღირსებისათვის ყოელმხრივ შესაფერისი (იხ. 1 ტიმ. 3, 2 და შემდგ.).

კანონი 28

ეს მე სასაცილოდ მომეჩვენა, რომ მავანმა ღორის ხორცისგან განკრძალვის აღთქმა დადო. ამიტომ კეთილად ინებე ასწავლო მათ, რომ განეკრძალონ უგუნურ ფიცსა და აღთქმებს, და დაუშვი მიიღონ უცოდველი საგნები. რამეთუ *„ყოველი დაბადებული ღმრთისაი კეთილ არს, და არარაი არს განსაგდებელ მადლობით მიღებული“* (1 ტიმ. 4, 4). აქედან, რადგანაც აღთქმა სიცილს იმსახურებს, ამიტომ თავშეკავებაც არ არის საჭირო.

წარმოდგენილი კანონი თავისთავად ცხადია.

კანონი 29

მმართველები, რომლებიც იფიცებენ, რომ მათზე დაქვემდებარებულებს ბოროტებას შეამთხვევენ, უაღრეს მკურნალობას საჭიროებენ. მკურნალობა კი მათი ორმაგი სახისაა: ერთი – უნდა ისწავლონ, რომ ნაჩქარევად არ დაიფიცონ; მეორე – არ შეინარჩუნონ ბოროტი განზრახვა. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე შემჩნეული იქნება ფიცით სხვის მიმართ ბოროტების ჩადენაში, დაე, მოინანიოს კადნიერი ფიცის მიცემა, მაგრამ ფიცისადმი კეთილკრძალულების საბაბით, ნუ გამყარდება ბოროტებაში. ფიცის დაცვას ჰეროდესთვის სარგებელი არ მოუტანია, რომელიც, იმის გამო, რომ ფიცი არ დაერღვია, წინასწარმეტყველის მკვლელად იქცა. ფიცი საერთოდაც აკრძალულია, მით უფრო განკითხვას იმსახურებს ბოროტების ჩასადენად მიცემული ფიცი. ამიტომ, ფიცის დამდებმა თავისი აზრები უნდა გამოასწოროს, და არა – თავისი ურჯულოების დამტკიცებას ეცადოს. გამოიძიე დაწვრილებით ეს შეუსაბამობა. თუ ვინმემ დაიფიცა, თავის ძმას თვალი ამოთხაროს – კეთილი იქნებოდა მისთვის ამ ფიცის შესრულება? თუ ვინმემ დაიფიცა

მკვლელობა ჩაიდინოს, ან რომელიმე მცნება დაარღვიოს? *„ვფუცე და გადავწყვიტე, არა ცოდვა ჩამედინა, არამედ დამეცვა მე განკითხვანი სიმართლისა შენისანი“* (ფსალმ. 118, 106). როგორც მცნებაში განმტკიცება მართებულია უცვალებელი განზრახვით, ცოდვაც ასეთივე განზრახვით უნდა განიკვეთოს და აღმოიფხვრას.

(მოც. 25; ტრულ. 95; ბასილი დიდის 10, 17, 28, 64, 81, 82)

ფიცი საერთოდაც აკრძალულია, მით უფრო განკითხვას იმსახურებს — ამბობს ბასილი დიდი, — ბოროტების ჩასადენად მიცემული ფიცი.

ამფილოქეს კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოექცეს თავისი ერის უხუცესებს, რომლებმაც დაიფიცეს ბოროტება უყონ თავიანთ ქვეშევრდომებს, — ეს კი მათ გააკეთეს, სხვა მიზეზთა შორის იმის გამოც, რომ მიცემული ფიცი არ დაერღვიათ, — წმინდა ბასილი პასუხობს, რომ მან უნდა ასწავლოს იმათ, რომ ბოროტება არ უნდა ჩაიდინონ, და რომ მათ მიერ მიცემული ფიცი თავისთავად არის ურჯულოება. ამის შემდეგ წმინდა ბასილი განუმარტავს ნათქვამს და ამყარებს მას მაგალითებით.

ბასილი დიდის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს უპირობოდ ყველა ფიცი აკრძალულია, არამედ წინამდებარე კანონის განწესება ფიცის შესახებ უნდა განვიხილოთ ამავე მამის სხვა კანონებთან კავშირში და ამის გათვალისწინებით ვიმსჯელოთ წამოჭრილ საკითხზე. სხვათა შორის, თავის 64-ე კანონში ბასილი დიდი ათწლიან ეპიტიმიას განაწესებს ფიცის დარღვევისათვის. ამგვარად, თუკი ფიცის დარღვევისათვის წმინდა ბასილი სასჯელს აწესებს, ეს ნიშნავს, რომ იგი აღიარებს ფიცს, როგორც, საკუთრივ, ნებადართულს. ეს ასეც უნდა იყოს საღმრთო სამართლითაც. ფიცს ძველი აღთქმაც აწესებს: *„ფიცი ღმრთისაჲ იყოს შორის ორთავე“*, — ამცნობს ღმერთი ისრაელიანებს მოსეს მეშვეობით (გამოს. 22, 11). როდესაც აბრაამთან აღთქმას ამტკიცებს, ავიმელაქი მას ეუბნება: *„აწ უკუე მეფუცე მე, ღმერთსა... მე უკუე გეფუცო შენ... მუნ იფიცნეს ურთიერთას“* (დაბ. 21, 23-31). დავითი წერს: *„ვფუცე და დავამტკიცე, რაჲთა დავიცვნე მე განკითხვანი სიმართლისა შენისანი“* (ფს. 118, 106). ახალ აღთქმაში იესო ქრისტე სასამართლოზე თავად ამტკიცებს ღმერთის სახელით ფიცს, როდესაც მღვდელთმთავრის კითხვაზე *„გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ“*, პასუხობს: *„შენ სთქუ“* (მთ. 26, 63, 64), ვინაიდან ებრაელებს წეს-ჩვეულებად ჰქონდათ, რომ სასამართლოზე მსაჯულს უნდა წარმოეთქვა ფიცის გარკვეული ფორმულა, ხოლო ვისაც ფიცი უნდა დაედო, ის მხოლოდ პასუხობდა: „ამენ“, ან „შენ სთქუ“. წმინდა წერილი, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებით უშვებს ფიცს ღმერთის სახელით, მაგრამ განიკითხავს და მკაცრად სჯის ცრუ ფიცისთვის: *„და არა ჰფუცვიდეთ სახელითა ჩემითა ნაცვლად და არა შეაგინოთ სახელი უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ. მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი“* (ლევ. 19, 12), — მცნებად აძლევს ღმერთი თავის ერს. წინასწარმეტყველ ზაქარიას მეშვეობით ღმერთი ამცნობს იუდას სახლს: *„იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცადი მოყუსისა მიმართ თჳსისა და საშჯელი მშუდობითი სიმართლით*

საჯეთ ბჭეთა შორის თქუენთა. და თითოეული უკეთურებასა მოყუსისა თჳსისა ნუ ჰსიტყუაეთ გულთა შინა თქუენთა და ფიცი ცრუი ნუ გიყუარსყე; მით, რამეთუ ესე ყოველნი მოვიძულენ, — იტყჳს უფალი, ყოველისა მჰყრობელი" (ზაქ. 8, 16, 17). ცნობილია ფარისეველთა სხვადასხვა ფიცი, რომლითაც მზაკვრულად ცდილობდნენ შეეცვალათ ძველი აღთქმის ფიცი, ასევე ცნობილია ამისათვის ქრისტეს მხრიდან მათი დაგმობა (იხ. მთ. 5, 33-37; 23, 16-22). იესო ქრისტე ყოველთვის განიკითხავდა როგორც ცრუ ფიცისთვის, ასევე იმათ, ვინც იგონებდა მათ ჭეშმარიტების საზიანოდ; გმობდა აგრეთვე ამაოდ მიცემულ ფიცს, რჯულის თანახმად: „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისაი ამაოსა ზედა". მთაზე ქადაგებაში (მთ. 5, 3) ქრისტე ასწავლის თავის მოწაფეებს, მათი მეშვეობით კი მთელ მსოფლიოს, ქრისტიანული ზნეობის სრულყოფილებაზე ზოგადად და, კერძოდ, ფიცის შესახებ. ქრისტეს ამ სიტყვების თანახმად, განკითხვის ღირსია სიცრუეზე მფიცავი, როდესაც ფიცით იძლევა რაიმე დაპირებას და არ ასრულებს, როდესაც იფიცებს არა ღმერთის სახელით, არამედ სხვა რაიმეთი იმ მიზეზით, რომ ფიცით ნაკლებად იყოს შეკრული, დაბოლოს, როდესაც იფიცებს ღმერთის სახელით საჭიროების გარეშე და ფუჭად. ამ დროს, ყველაზე უმაღლესი საფეხური ზნეობრივი სრულყოფილებისა იქნებოდა, როდესაც ქრისტიანი არასდროს დაიფიცებდა, ანუ როდესაც იგი იმდენად მართალი და კეთილშობილი იქნებოდა, რომ მას ყველა დაუჯერებდა, რაკი მისი: *„ჰმ" „ჰე"* იქნებოდა და — *„არაი" „არა"* (მათე 5, 37). ამის დამადასტურებელია იაკობ მოციქულის დამოძღვრება ამ საკითხთან დაკავშირებილ: *„ყოველისა წინა, ძმანო ჩემნო, ნუ ჰფუცავთ ნუცა ცასა, ნუცა ქუეყანასა, ნუცა სხუასა რომელსამე ფიცსა, არამედ იყავნ თქუენი ჰეი ჰე და არაი არა, რაითა არა ორგულებასა შესცჳვეთ"* (იაკ. 5, 12). სხვა სიტყვებით: ნუ დაიფიცებთ რამე ფიცით, როგორც ეს არაქრისტიანული ჩვევით ხდება, და ხშირად ყოველგვარი საჭიროების გარეშე, რათა დამფიცებელმა არ დაივიწყოს, არ დაარღვიოს ფიცი და შედეგად ღვთის წინაშე დამნაშავე არ აღმოჩნდეს. მაგრამ, ამასთანავე, საჭირო და მნიშვნელოვან ვითარებებში ფიცის გამოყენება, თანაც, ჭეშმარიტი ფიცისა, საღმრთო სამართალს არამცთუ არ აუკრძალავს, არამედ გარკვეულ შემთხვევებში განაწესა კიდეც, როგორც ეს ზემოთ ვიხილეთ. ამ აზრით უნდა გავიგოთ წინამდებარე (29-ე) კანონში ბასილი დიდის სიტყვები, რომლებიც ჩვენ განმარტების დასაწყისში მოვიყვანეთ. საღმრთო სამართლის წინამდებარე განწესების სულისკვეთებითაა გამოცემული სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილებებიც ფიცის შესახებ. იმპერატორ კონსტანტინეს დროში შემოვიდა უკვე ქრისტიანული ფიცის დადება საზეიმო შემთხვევებში, შემდგომ ეს დაამტკიცა იუსტინიანეს კანონმდებლობამაც. ერთ-ერთ თავის ნოველაში იუსტინიანემ დაადგინა, რომ თითოეულმა მსაჯულმა უნდა დაიფიცოს წმინდა სახარებაზე;* ზუსტად ასევე უნდა დაიფიცოს წმინდა სახარებაზე თითოეულმა ეპისკოპოსმა, რომ არ დაემონება სიმონიას.**

*Nov. CXXIV, 1.

**Nov. CXXIII, 1; CXXXVII, 2.

კანონი 30

ცოლის მომტაცებელთა შესახებ, ჩვენ ძველი კანონი არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩამოვაყალიბეთ კერძო აზრი: ისინიც და მათი დამხმარენიც, დაე, განკანონდნენ საერთო ლოცვებიდან სამი წლის ვადით. თუ ძალადობის გარეშე მოხდა, მაშინ სასჯელი არ ეკუთვნით, თუკი არ ჰქონია ადგილი გარყვნას ან ქურდობას. ხოლო ქვრივს, თავის თავზე აქვს უფლება და მასზეა დამოკიდებული გაჰყვება თუ არა გამტაცებელს. ჩვენი საზრუნავი არ არის საქმის გარეგნული მხარეები.

(მოც. 67; IV მსოფ. 27; ტრულ. 92, 98; ანკვირ. 11; ბასილი დიდის 4, 22, 25, 26, 38, 40, 41, 42, 53, 69)

როდესაც ქალის მოტაცებაზე საუბრობს, ბასილი დიდი ერთმანეთისგან განასხვავებს ძალადობით და მის გარეშე მოტაცებებს. პირველთან მიმართებით ის ამბობს, რომ გამოთქვამს თავის კერძო აზრს, როდესაც გამტაცებლისათვის სამწლიან ეპიტიმიას განაწესებს, და ზუსტად ამდენსავე – გატაცებაში მონაწილეთათვის. თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს სასჯელი, ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრეთ ბასილი დიდის 22-ე კანონის განმარტებაში. მეორესთან მიმართებით, ბასილი დიდი არანაირ სასჯელს არ აწესებს, თუკი ქალი თავისი ნებით გაჰყვა ვინმეს, თანაც თუ ადგილი არ ჰქონია არც შერყვნას და არც გაქურდვას, ანუ მომტაცებელს ქალწულთან არ უცხოვრია, ვიდრე სახლში არ მიიყვანა; ანდა თუ მანამდე არ იმყოფებოდა მასთან ფარულ ცოდვით კავშირში. წმინდა ბასილის ეს განწესება რომ შემდგომში შეიცვალა, ამას გვეუბნება IV მსოფლიო კრების 27-ე და ტრულის კრების 92-ე კანონები. თუმცა, მეორე სახის მოტაცება არც ბასილი დიდის მიხედვით არის თავისუფალი კანონიკური სასჯელისგან იმ შემთხვევაში, თუკი მოტაცებული ქალი ვინმეს მორჩილებაში იმყოფებოდა და, შესაბამისად, არ იყო დამოუკიდებელი, რადგან, როგორც სხვაზე დამორჩილებულს, უფლება არ ჰქონდა დაქორწინებულიყო და ამიტომ, იმას, ვისაც ის ეკუთვნოდა, შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დაიბრუნოს იგი თავის სახლში (იხ. ბასილი დიდის 38-ე და 42-ე კანონები). აქედან გამომდინარე, ბასილი დიდი წინამდებარე კანონში მიიჩნევს, რომ თავისუფალ ქვრივს შეუძლია თავისი ნებით გაჰყვეს მომტაცებელს, და ასეთ შემთხვევაში მისი მომტაცებელი არ დაისჯება. წარმოდგენილი კანონი მთავრდება შენიშვნით იმის თაობაზე, რომ ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ თუ როგორ ჩანს გარეგნულად ქმედება. ეს კი, – ამ კანონის ბალსამონისეული განმარტებით, – ნიშნავს, რომ „თუ ქალს ესირცხვილება ცოლად გაჰყვეს მის მოსიყვარულე ან თავის შეყვარებულ ადამიანს იმ მიზეზით, რომ ის დაბალი ფენის წარმოშობისაა და ამიტომ ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს მოტაცებულია, სინამდვილეში კი თავის ნებით გაჰყვა, მაშინ ჩვენ არ გვაინტერესებს ის, რაც მოჩვენებითად კეთდება, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტებას მივაპყრობთ ყურადღებას“.*

*ათენის სინტაგმა, IV, 167.

კანონი 31

სხვაგან გამგზავრებული და უმისამართოდ გადაკარგული ქმრის ცოლი, თუ სხვასთან შეუღლდება მანამ, ვიდრე ქმრის სიკვდილის ამბავს შეიტყობდეს, — მრუშობს.

(ტრულ. 93; ბასილი დიდის 36, 46)

იხ. ტრულის კრების 93-ე კანონის განმარტება, რომელშიც შედის ბასილი დიდის წინამდებარე კანონი.

კანონი 32

ის კლირიკოსები, რომლებმაც სასიკვდილო ცოდვით შესცოდეს, თავიანთი ხარისხიდან განიკვეთებიან, მაგრამ არ ეკრძალებათ ერისკაცებთან ერთად ზიარება. რამეთუ „*არა შურ იგო ორ გზის ერთბამად ჭირსა შინა*“ (ნაუმ. 1, 9).

(მოც. 25, 29, 30; I მსოფ. 9; ტრულ. 4, 21; ნეოკეს. 1, 8; კართ. 27; ბასილი დიდის 3, 51, 70, 82)

წინამდებარე კანონში ბასილი დიდი იმეორებს მოციქულთა 25-ე კანონის განწესებას, იმის თაობაზე, რომ გარკვეული სახის დანაშაულისათვის სასულიერო პირები უნდა განიკვეთონ ხარისხიდან, მაგრამ, ამასთან, არ უნდა განკანონდნენ წმინდა ზიარებიდან. ეს ეფუძნება საერთო კანონიკურ პრინციპს სასულიერო პირთა დასჯის შესახებ, რაზედაც ჩვენ ვისაუბრეთ მოციქულთა მე-5 და 25-ე კანონების განმარტებებში და რასაც, ასევე, ეყრდნობა ბასილი დიდი თავის წინამდებარე კანონში.

წმინდა ბასილი აქ სასულიერო პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს სასიკვდილო ცოდვას უწოდებს. ასევე უწოდებს წმინდა წერილიც ზოგიერთ ცოდვას და ამით მათ არასასიკვდილო ცოდვისაგან განასხვავებს (იხ. 1 ინ. 5, 16, 17). განმარტავს რა ამ ადგილს, **ზონარა** ამბობს, რომ სასიკვდილო ცოდვა არის სისრულეში მოყვანილი ცოდვა, ხოლო არასასიკვდილო, რომელიც ვინმემ ჩაიფიქრა, მაგრამ საქმით არ შეუსრულებია.* ამის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რომელ ცოდვებს გულისხმობს ბასილი დიდი წარმოდგენილ კანონში, და თუ მათ შევადარებთ იმას, რასაც იგი თავისი 69-ე და 70-ე კანონებით განუწესებს კლერიკოსებს სხვადასხვა დანაშაულისათვის, რისთვისაც იქ ნაკლებად მკაცრი სასჯელია განწესებული, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ წინამდებარე (32-ე) კანონში იგი გულისხმობს მძიმე ცოდვებს, რომელთა გამოც უკვე განაწესებს მათში მხილებულთა საბოლოო განკვეთას. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აქ ბასილი დიდი გულისხმობდეს ყველაზე მძიმე ცოდვებს, რომელთა ჩადენაც კლერიკოსებს შეუძლიათ, რამეთუ მათ გამო ისინი არამხოლოდ განიკვეთებიან, არამედ განიყენებიან კიდევაც საერისკაცო ეკლესიური ერთობიდანაც, მაგალითად, სიმონიისთვის (იხ. მოც. 29, 30).

*ათენის სინტაგმა, IV, 173.

კანონი 33

დედაკაცი, რომელიც გზაში შობს, და ახალშობილს უგულებელყოფს, დაე, მკვლელობისათვის სასჯელს დაექვემდებაროს.

(ბასილი დიდის 52)

აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ფეხმძიმე დედაკაცი, რომელიც გზაში შობს და ბავშვს სასიკვდილოდ მიატოვებს, რამეთუ არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი არის მკვლელი და, შესაბამისად, მსგავსი შემთხვევისათვის არავითარი კანონი საჭირო არ არის. მაგრამ ბასილი დიდი აქ მკვლელის სასჯელს უფარდებს ისეთ დედაკაცსაც, რომელმაც გზაში დაბადა, ბავშვი თავის ბედს მიანდო, შემდეგ კი იგი სხვამ აიყვანა და სიცოცხლე შეუნარჩუნა.* სწორედ ამაში მდგომარეობს წარმოდგენილი კანონის არსი. უფრო დაწვრილებით ახსნას ამის შესახებ, ბასილი დიდი იძლევა თავის 52-ე კანონში.

კანონი 34

იმ დედაკაცების ცოდვის სააშკარაოზე გამოტანა, რომლებმაც იმრუშეს და აღიარეს, — ღვთისმოშიშებით ან რამე სახის მხილების შედეგად, — ჩვენმა მამებმა აკრძალეს, რათა მხილებულთ სასიკვდილო მიზეზი არ მივცეთ; მათ ბრძანეს, რომ შეუძლიათ ერთგულ მორწმუნეების გვერდით იდგნენ ზიარების გარეშე, ვიდრე არ ამოიწურება სინანულის ვადა.

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 21, 31, 35, 46, 48, 77, 80)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს ბასილი დიდის 58-ე კანონიდან დაშვებულ გამონაკლისს. მრუშობისათვის წმინდა ბასილი იქ განაწესებს თხუთმეტწლიან ეპიტიმიას, რომელიც საჯაროდ უნდა მოიხადოს დამნაშავემ გარკვეული თანმიმდევრობით. წინამდებარე კანონში კი საჯაროობა არ მოითხოვება, რაკი საქმე ეხება დედაკაცს, რომელმაც იმრუშა, მაგრამ მისი ცოდვა არ გახმაურებულა და მის შესახებ სულიერმა მოძღვარმა თავად ცოდვილისგან გაიგო აღსარების გზით; აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს — ნებაყოფლობით მოხდა აღსარების ჩაბარება თუ გარემოებებმა აიძულეს იგი. მსგავსი შემთხვევებისათვის ბასილი დიდი განაწესებს, რომ ასეთი დედაკაცი მაინც ექვემდებარება ეპიტიმიას, თანაც, ეკრძალება წმინდა ზიარება იმ დროის განამვლობაში, რა დროც (ვადაც) არის დაწესებული მრუშებისათვის. მაგრამ ამ ეპიტიმიას ის არ იხდის საჯაროდ (საჯაროობაში იგულისხმება ცოდვილის დგომა სხვა ცოდვილებთან ერთად სინანულის გარკვეულ საფეხურებზე); მას ეძლევა საშუალება იდგეს ეკლესიაში ლოცვაზე სხვა ერთგული მორწმუნეების გვერდით, რათა არ გამოჩნდეს, რომ მან მძიმე ცოდვა ჩაიდინა. ასე განაწესებს წმინდა ბასილი, რამეთუ მხედველობაში იღებს ქალის სისუსტეს ზოგადად, და ცდილობს გახმაურებას მოარიდოს ქალის ამგვარი ცოდვა; წინააღმდეგ შემთხ-

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 176.

ვევაში შეიძლება ეს საზიანოდ აისახოს როგორც მის ოჯახზე, ისე თვით საზოგადოებაზეც. აქვე აღვნიშნავთ, რომ მრუშობისათვის ეპიტიმია შემცირებულია ტრულის კრების 87-ე კანონით.

კანონი 35

თუ ცოლმა ქმარი მიატოვა, საჭიროა მიტოვების მიზეზის გამოკვლევა, და თუ აღმოჩნდება, რომ უმიზეზოდ მიატოვა, მაშინ ქმარი სულგრძელობას იმსახურებს, ცოლი კი — ეპიტიმიას. ქმრის მიმართ გამოჩენილი სულგრძელობა გამოიხატება ეკლესიის ერთობაში მისი დაშვებით.

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 77)

ბასილი დიდის წინამდებარე კანონი ტრულის კრებამ შეიტანა თავის 87-ე კანონში, რომლის განმარტებაც ამ კანონის განმარტებასაც ემსახურება.

კანონი 36

უგზოუკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა ცოლები, რომლებიც სხვებთან შეუღლდნენ, იმავე სასჯელს ექვემდებარებიან, რასაც ისინი, რომლებიც არ დაელოდნენ სხვაგან გამგზავრებული ქმრების დაბრუნებას. თუმცა, ასეთი შემთხვევა გარკვეულ ლმობიერებას იმსახურებს, ვინაიდან უფრო სარწმუნოა, რომ ადგილი ჰქონდეს ქმრის გარდაცვალებას.

(ტრულ. 93; ბასილი დიდის 31, 46)

ბასილი დიდის წინამდებარე კანონი, მისივე 31-ე და 46-ე კანონებთან ერთად, შესულია ტრულის კრების 93-ე კანონში, რომლის განმარტებაც ამ კანონის განმარტებასაც ემსახურება.

კანონი 37

ვინც დაქორწინდება მისთვის სხვისი ქალის წართმევის შემდეგ, პირველი ქმედებისთვის დაე, მრუშობისათვის სასჯელი დაედოს, მეორისთვის კი — უდანაშაულოა.

(ტრულ. 87; ბასილი დიდის 21, 34, 39, 48, 58, 77)

ამ კანონში მოხსენიებულ „სხვის ქალში" იგულისხმება ან კანონიერი ქორწინების კავშირით შეკრული დედაკაცი, ან ვინმესთან კანონიერად დაწინდული ქალწული.*

შესაბამისად, ვინც იმრუშებს ასეთ „სხვის ქალთან" და კანონიერი განაჩენით ამ ქალს მისგან წაიყვანენ, — იქნება ის სხვისი ცოლი თუ საცოლე, — და იგი, ამ

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 181.

თანამცხოვრებს ჩამოშორებული, დაქორწინდება სხვაზე (თავისუფალ, უქმრო დედაკაცზე), მაშინ, წინამდებარე კანონის თანახმად, იგი უნდა დაექვემდებაროს მრუშებისათვის განსაზღვრულ ეპიტიმიას – სხვის ცოლთან ან საცოლესთან თანაცხოვრებისათვის, ხოლო იმ ქალთან კავშირისათვის, რომელზედაც დაქორწინდა, სასჯელს არ იმსახურებს. თუმცა, ეს უკანასკნელი უნდა მოვიაზროთ არა როგორც საეკლესიო ქორწინება, არამედ – თანაცხოვრება, რომლის შესახებაც საუბარია ბასილი დიდის 26-ე კანონის განმარტებაში. ანუ – „კონკუბატის" მნიშვნელობით. ვინაიდან, აქ რომ საუბარი ყოფილიყო კანონიერ საეკლესიო ქორწინებაზე, მაშინ მრუშობის ცოდვაში ჩავარდნილს შეეძლო ხელახლა დაქორწინებულიყო დაქვრივების შემდეგ, თუ თხუთმეტწლიან ეპიტიმიას მოიხდიდა (იხ. ბასილი დიდის 58-ე კან.), ან – შვიდწლიანს (იხ. ტრულის კრების 87-ე კან.); ხოლო თუ თავისი მრუშობით ვინმეს განქორწინების საბაბი მისცა, მაშინ ის ხელმეორედ ვეღარასოდეს დაქორწინდება (იხ. ბასილი დიდის 48-ე კან.).

კანონი 38

მამის ნებართვის გარეშე გათხოვილი ყმაწვილქალები, – სიძვობენ. მაგრამ მშობლებთან შერიგებით ვითარება, ვგონებ, განკურნებადია. თუმცა, ზიარებაზე ისინი მაშინვე არ დაიშვებიან, არამედ სამი წლით განიყენებიან.

(ბასილი დიდის 22, 40, 42)

ძველ რომაულ სამართალში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც ქორწინების კანონიერებისათვის უფროსების თანხმობაც იყო საჭირო: მშობლების, მეურვეების, ბატონების; ქორწინება, რომელიც ამ პირობების დაუცველად შედგებოდა, კანონიერად ვერ ჩაითვლებოდა. რომის სამართლის ეს განწესება ეფუძნებოდა იმ ურთიერთობებს, რომლებსაც ბუნება და საღმრთო რჯული განსაზღვრავდა მშობლებსა და შვილებს შორის, უფროსებსა და უმცროსებს შორის. და თუმცა, რომის სამართლის აღნიშნულ განწესებას ეკლესია მისი დაფუძნებიდანვე პატივს სცემდა, მაგრამ მაინც, იმის გამო, რომ საეკლესიო კანონმდებლობაში არ არსებობდა კატეგორიული განწესება, ჩნდებოდა ეჭვი – აქვს თუ არა რომის სამართლის აღნიშნულ განწესებას ეკლესიისთვისაც სავალდებულო ძალა. ამიტომ ამფილოქე მიმართავს ბასილი დიდს წამოჭრილი საკითხის განმარტებისათვის, რაზედაც წმინდა ბასილმა უპასუხა თავის 22-ე კანონში, უფრო დაწვრილებით კი წინამდებარე (38-ე), მე-40 და 42-ე კანონებში.

„მამის ნებართვის გარეშე გათხოვილი ყმაწვილქალები, – სიძვობენ", – ამბობს ბასილი დიდი წინამდებარე კანონში და ამით აჩვენებს, თუ რაზომ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კანონიერი ქორწინებისათვის მშობლების თანხმობა. იმ ქალწულებთან დაკავშირებით, რომლებიც მშობლების თანხმობის გარეშე გათხოვდნენ, ბასილი დიდი განაწესებს აეკრძალოთ მათ წმინდა ზიარება სამი წლის ვადით, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობლებმა დამატებით მისცეს მათ თანხმობა უკვე შემდგარ ქორწინებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ქორწინება უნდა გაუქმდეს, როგორც უკანონო. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით იხ. ამავე მამის მე-40 და 42-ე კანონების განმარტებები.

კანონი 39

მრუშთან მცხოვები, მრუშია მთელი მასთან თანაცხოვრების განმავლობაში.

(მოკ. 48: ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 21, 34, 37, 58, 77)

ამ კანონის ბალსამონისეული განმარტების თანახმად, აქ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მრუშთან მცხოვრები ყველა ქალი, გამონაკლისის გარეშე – მრუშია, რადგან, მაგალითად, მრუშის კანონიერი ცოლი, თუმც მასთან ცხოვრობს, მაინც არ იმსახურებს ამისთვის რაიმე სახის ეპიტიმიას; აქ უნდა ვიგულისხმოთ გათხოვილი დედაკაცი, რომელმაც კანონიერ ქმარს უღალატა და მრუშთან დაიჭირა კავშირი. ერთ-ერთმა ასეთმა ქალმა, კანონიერი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გადაწყვიტა იმ მრუშთან შეუღლებულიყო, წმინდა ბასილი კი ამაზე თავისი განწესებით პასუხობს, რომ არ შეიძლება მას ამის უფლება მიეცეს, და რომ ის უნდა დარჩეს ეპიტიმიის ქვეშ მანამ, ვიდრე მრუშთან ცხოვრობს, თუნდაც მას თხუთმეტწლიანი ეპიტიმია უკვე ჰქონდეს მოხდილი მრუშობისათვის, ვინაიდან, ფაქტიურად, ეპიტიმიას იხდის და შენდობას იღებს ის, ვინც თავს ანებებს ბოროტებას, ხოლო ვინც ბოროტებას განაგრძობს, ის სამუდამოდ ეპიტიმიის ქვეშ უნდა დარჩეს.

კანონი 40

ვინც თავისი ბატონის ნებართვის გარეშე ქმარს მიეცემა – სიძვობს. თუკი ამის შემდეგ, ნებართვით დაქორწინდება, მაშინ ითვლება კანონიერ შეუღლებულად. ამიტომ, პირველი არის სიძვა, უკანსკნელი კი – ქორწინება. რამეთუ პირობას, რომელსაც სხვის სრულუფლებიან დამოკიდებულებაში მყოფი პირი იძლევა, არანაირი სიმტკიცე არ გააჩნია.

(მოკ. 82; IV მსოფ. 4; ტრულ. 85; ლანგ. 3; კართ. 82; ბასილი დიდის 22, 38, 42, 53)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს ბასილი დიდის 38-ე კანონის შემდგომდროინდელ დამატებას. რომის სამართლის შინაარსიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც სხვებზე დამოკიდებულ პირთა შეთანხმებებს კანონიერი ძალა არ გააჩნია,* – წმინდა ბასილი საქორწინო შეთანხმებას მიიიჩნევს ფუჭ, არაფრისმთქმელ შეთანხმებად, თუ ის მონა ქალის მხრიდან არის ვინმესთან დადებული და ასეთ ქალს მეძავედ აცხადებს, მის ქორწინებას კი – სიძვად. თუკი შემდგომში ეს ქალი მიიღებს თავისუფლებას ან ქორწინებაზე თავისი ბატონის თანხმობას, მაშინ ბასილი დიდი უშვებს, რომ მათი მანამდელი ურთიერთობა ჩაითვალოს ქორწინებად, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს მათ მეძავეებისათვის დაწესებული ეპიტიმიისაგან, მათი ძველი არაკანონიერი კავშირის გამო.

---

*ძველი რომაული სამართლის სწავლებით „მონა – სრულიად უუფლებოა, არამხოლოდ სამოქალქო, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებითაც. მონა არ ითვლება პიროვნებად (ადამიანად), მონობა აშორებს მას უფლების მქონე არსებათა წრეს, იგი მას ნივთად აქცევს, საქონლის მსგავსად, მისი ბატონის საკუთრებისა და თვითნებურად განკარგვის საგნად“.

კანონი 41

ქვრივობაში თავის თავზე უფლების მქონეს, შეუძლია უდანაშაულოდ შეუღლდეს, თუკი არავინაა, ვინც ამ თანაცხოვრებას დაარღვევს. რამეთუ მოციქული ამბობს: *„დედაკაცი შეკრულ არს შჯულითა, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს ქმარი მისი. ხოლო უკუეთუ მოკუდეს ქმარი იგი, თავისუფალ არს, უნდეს თუ ქორწინებაი, გარნა ხოლო უფლისა მიერ“* (რომ. 7, 2; 1 კორ. 7, 39).

(მოც. 17; I მსოფ. 8; ტრულ. 3,87; ანკვირ. 19; ნეოკეს. 3,7; ლაოდ. 1; ბასილი დიდის 4, 12, 22, 30, 53, 87)

ქვრივს, რომელიც არ არის დამოკიდებული უფროსებზე, მშობლებზე ან მეურვეებზე, რომლებსაც მასზე გარკვეული უფლება ექნებოდათ, შეუძლია მეორედ იქორწინოს ყოველგვარი წინაღობის გარეშე. სწორედ ამას განაწესებს ბასილი დიდი წინამდებარე კანონში და აფუძნებს მას საღმრთო სამართალზე (იხ. რომ. 7, 2; 1 კორ. 7, 39). თუმცა, ამ განწესებას, სხვა კანონების განწესებებთან კავშირში, თავისი საზღვრები აქვს, კერძოდ: 1) ქვრივი, რომელიც მეორედ დაქორწინდება, ზოგადად მეორედ დაქორწინებულთათვის განწესებულ ეპიტიმიას უნდა დაექვემდებაროს (იხ. ბასილი დიდის მე-4 კან.), და 2) მას შეუძლია დაქორწინდეს ისეთ პირთან, რომელსაც, თავის მხრივ, კანონიერი ქორწინების უფლება აქვს; მაგალითად, მართლმადიდებელი ქვრივი ცოლად ვერ გაჰყვება არამართლმადიდებელს (იხ. ტრულ. 72-ე, ლაოდ. 31-ე, კართ. 21-ე კანონები) და, ამას გარდა, ბალსამონის განმარტებით, ვერ გაჰყვება ცოლად ისეთ ადამიანს, რომელიც მისი წარმომავლობის ღირსი არ არის.* კანონიკური თვალსაზრისით ეს ეხება პირს, რომელიც არ არის თავისუფალი ან არ ცხოვრობს პატიოსანი შრომით (შდრ. ტრულ. 51, 62; კართ. 45, 58; ბასილი დიდის 42, 53); სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით კი მართლმადიდებელ ქვრივს არა აქვს ეგრეთ წოდებული **მორგანიტული ქორწინების** უფლება. ასე ეწოდება ქორწინებას ორ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლებს შორის. ასეთი ქორწინებისას ცოლი და ქმარი, ასევე, შვილები, ვერ სარგებლობენ ყველა იმ ოჯახური და მემკვიდრეობითი უფლებებით, რომლებითაც ისარგებლებდნენ ქორწინების ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში. აღნიშნულ ქორწინებას არაკეთილგანწყობით უყურებდნენ ჯერ კიდევ ძველ-რომაულ სამართალში, თუმცა მოსათმენი იყო, ისევე, როგორც ითმენენ მას ყველა შემდგომ დროში. გერმანელებთან მორგანიტული ქორწინება ასე იმიტომ იწოდება, რომ ცოლი, თავის შვილებთან ერთად, უნდა დაკმაყოფილებულიყო ქმრის ქონების იმ ნაწილით, რასაც საჩუქრად მიიღებდა ქორწინების პირველი ღამის შემდეგ.**

---

*ათენის სინტაგმა, IV, 189.

**ამგვარად ქორწინებას კიდევ უწოდებდნენ „სალიკური კანონით ქორწინებას“, რადგან ყველაზე ხშირად ასეთ ქორწინებებს ადგილი ჰქონდა სალიკელ ფრანკებში; ეწოდება ასევე, „მარცხენა ხელიდან დაქორწინება“, რითაც სიმბოლურად სურდათ მიენიშნებინათ, რომ ცოლი არ მიიღება ქმრის ოჯახის სრულუფლებიან წევრად და მისი სრული მფარველობის ქვეშ, შესაბამისად, არც მისი საზოგადოებრივი და წოდებრივი უფლებებით სარგებლობს. ასევე, შვილებსაც არ აქვთ უფლება ისარგებლონ მამის სახელითა და ქონებით.

მსგავს ქორწინებას, თუკი ის კანონიკური განწესებების დაცვით შედგებოდა, ეკლესია კანონიერად თვლიდა და სრულიად უთანაბრებდა სხვა, სწორად შემდგარ ქორწინებებს.

კანონი 42

მფლობელთა ნების საწინააღმდეგო ქორწინებები, თავისი არსით — სიძვაა. მამის ან ბატონის სიცოცხლეში, შეუღლებულნი უდანაშაულონი ვერ იქნებიან, ვიდრე მათზე უფლების მქონე, თანხმობას არ გამოთქვამს მათ თანაცხოვრებაზე. რამეთუ მხოლოდ ამის შემდეგ იძენს ქორწინება სიმტკიცეს.

(მოც. 82; IV მსოფ. 4; ტრულ. 85; ღანგ. 3; კართ. 82; ბასილი დიდის 22, 38, 40)

თავის 38-ე კანონში ბასილი დიდი ქალწულს უკრძალავს მამის ნებართვის გარეშე ქორწინებას, ხოლო მე-40 კანონში — მონებს, მათი ბატონების გარეშე. წინამდებარე კანონში მას მოჰყავს ორივე ეს განწესება ერთად, და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ უფლებამოსილთა თანხმობის გარეშე დაქორწინება არ შეიძლება. ურჩობის შემთხვევაში კი ასეთი კავშირი სიძვად უნდა ჩაითვალოს. როდესაც ქალწულზე საუბრობს, ბასილი დიდი აქ გულისხმობს საერთოდ ოჯახის შვილებს — ასულებსა და ძეებს, რომლის უფროსიც არის მამა. მამის თანხმობა განაპირობებდა ქორწინების კანონიერებას იუსტინიანეს კანონმდებლობითაც. შემდგომში ბერძნულ-რომაულმა კანონმდებლობამაც მოითხოვა ზოგადად მშობლების თანხმობა. თუმცა, IX საუკუნეში კვლავ აღდგა იუსტინიანეს კანონდებულება და თანაც, ამ საკითხთან დაკავშირებით, უფრო დაწვრილებითი დადგენილება გამოიცა. იგი შესაბამისობაშია ბასილი დიდის წინამდებარე და 38-ე კანონებთან, და ყველა მომდევნო საუკუნეში გამოიყენებოდა აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიის პრაქტიკაში.

კანონი 43

ვინც მოყვასს სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს, ის მკვლელია, — მიუხედავად იმისა, პირველი დაარტყამს, თუ უპასუხებს.

(მოც. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 13, 33, 52, 54, 56, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

ეს კანონი მკვლელების შესახებ ბასილი დიდის მრავალ სხვა კანონს უკავშირდება (იხ. პარალ. კანონები).

კანონი 44

დედათდიაკონი, რომელიც წარმართთან ისიძვებს, შეიძლება მიღებულ იქნეს ლოცვით ერთობაში, მაგრამ წმინდა საიდუმლოსთან საზიარებლად მხოლოდ მეშვიდე წელიწადს დაიშვება, — თუკი სიწმინდეში იცხოვრებს. წარმართი კი, რომელიც სარწმუნოების მიღების შემდეგ, კვლავ მკრეხელო-

ბას მიჰყოფს ხელს, ამით თავის ნათხევარს უბრუნდება. ამიტომ ჩვენ დედათდიაკვნის სხეულს, როგორც შეწირულს, აღარ ვრთავთ ნებას ხორციელი სარგებლობისათვის გამოიყენებოდეს.

(მოკ. 25; IV მსოფ. 15; ტრულ. 4, 6, 14, 21, 40; კართ. 27; ბასილი დიდის 32, 51, 70)

დედათდიაკვნებისა და მათ მიერ ქალწულობის მკაცრი აღთქმის დადების შესახებ, რომელიც შეჩვენების მუქარით სიცოცხლის ბოლომდე უნდა დაეცვათ, – ჩვენ საუბარი გვქონდა IV მსოფ. კრების მე-15 კანონის განმარტებაში. ბასილი დიდის დროს დედათდიაკონთათვის ასეთი მკაცრი კანონი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ ისინი ყოველთვის არ იმარხავდნენ ქალწულობის აღთქმას, და როგორც ვხედავთ, არცთუ იშვიათად ვარდებოდნენ (წარმართებთანაც კი) სიძვის ცოდვაში. ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევა შეახსენა ამფილოქემ ბასილი დიდს. კერძოდ: ერთ-ერთმა დედათდიაკონმა წარმართთან ისიძვა, რის გამოც ამფილოქემ იგი თავისი წოდებიდან განკვეთა და საერთოდ განაყენა წმინდა ზიარებიდან. ამავე დროს, აღნიშნულმა წარმართმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და მოისურვა ცოლად მოეყვანა ეს ყოფილი დედათდიაკონი. მისი აზრით, გახდებოდა რა ქრისტიანი, შეეძლო კანონიერად დაქორწინებულიყო იმაზე, ვინც უკვე აღარ იყო დედათდიაკონი და, შესაბამისად, მისი აზრით, კანონიერი ქორწინების უფლება ჰქონდა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, პასუხობს რა ამფილოქეს, ბასილი დიდი წინამდებარე კანონში ამბობს, რომ დედათდიაკონი სწორად იყო განკვეთილი მეძავეობის გამო, თუმცაღა, არ არის საჭირო მისი სრულიად განყენება ეკლესიისგან, რამეთუ საკმარისად არის დასჯილი იმითაც, რომ დაკარგა ღვთის მადლი, რომლის ღირსიც იქმნა დედათდიაკვნობით. წმინდა ბასილი განაწესებს, რომ მან უნდა დაჰყოს ეპიტიმიის ქვეშ შვიდი წელი და თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში წმინდად შეინახავს თავს და წრფელად მოინანიებს საკუთარ ცოდვას, მაშინ მიეცეს მას წმინდა ზიარება, ამასთან, რა თქმა უნდა, ოდესმე გათხოვების უფლების გარეშე. იმ წარმართის შესახებ, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო და ყოფილი დედათდიაკვნის ცოლად მოყვანა განიზრახა, ბასილი დიდი ამბობს, რომ ამით ის სიწმინდეს შებილწავდა და როგორც ძაღლი, თავის ნათხევარს მიუბრუნდებოდა, ანუ – თავის ძველ წარმართობას და ისეთ საქციელს, რომელიც მხოლოდ წარმართობაში – და არა ქრისტიანობაში – იქნებოდა მოსათმენი. ვინაიდან, – ამბობს ბასილი დიდი, – ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ დედათდიაკვნის სხეული, როგორც ერთხელ შეწირული, კვლავ სქესობრივ კავშირს ემსახურებოდეს. ეს უკანასკნელი განწესება ეფუძნება იმ საერთო ძირითად კანონს, რომელიც ასე გამოითქმის: **რაც წმინდაა, ის არ შეიძლება შებილწულ იქნეს.*** ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხში, რომლის დაცვასაც ზოგიერთები ცდილობენ, რომ თითქოს დაქვრივებულ სასულიერო პირებს შეუძლიათ დაქორწინდნენ, რაკი მათ უკვე სასულიერო წოდება ჩამოერთვათ, – რის შესახებაც ჩვენ საგანგებოდ ვისაუბრეთ ტრულის კრების მე-6 კანონის განმარტებაში.

*ათენის სინტაგმა, IV, 193.

კანონი 45

თუ ვინმე, მიიღო რა ქრისტიანის სახელი, ქრისტეს გმობს, ასეთს არანაირი სარგებელი არა აქვს სახელწოდებისგან.

სიტყვასიტყვით რომ გაგვეგო კანონში ნათქვამი: „ქრისტეს გმობს“, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ კანონი განიკითხავს ღვთისგმობას, რისთვისაც წმინდა წერილი ცოდვილებს ღმერთის შურისგებით ემუქრება.* ბიზანტიური კანონმდებლობა მკაცრად სჯის ღვთისმგმობელობის დანაშაულს, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც იუსტინიანეს ერთ-ერთ ნოველაშია ნათქვამი, თუკი ადამიანების საწინააღმდეგო ბოროტსიტყვაობა არ რჩება დაუსჯელი, მაშინ, მით უფრო იმსახურებენ სასჯელს ისინი, ვინც ღმერთის მიმართ ბოროტსიტყვაობენ. სლავურ „კორმჩაიაში“ (თავ. მე-10) გვხვდება ბიზანტიური კანონმდებლობის დადგენილება, რომელიც ღმრთისმგმობელი ადამიანისთვის ენის მოჭრას ბრძანებს.

თუმცაღა, ბერძენი კომენტატორები სხვა ახსნას აძლევენ ქრისტეს „გმობას“, რომლის შესახებაც ბასილი დიდის წინამდებარე კანონშია ნათქვამი, კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ ამ კანონში განიკითხება ის პირები, რომლებიც არ ცხოვრობენ საღმრთო მცნებებთან თანხმობაში, არღვევენ მათ და ამით ღმერთს, რომლის სახელსაც ატარებენ, — შეურაცხყოფას აყენებენ. ამ განმარტებასაც თავისი საფუძველი აქვს.

ვინც ქრისტიანის სახელს ატარებს, მაგრამ არ ასრულებს იმას, რასაც ქრისტიანობა მოითხოვს, და ამით, შესაბამისად, ქრისტეს შეურაცხყოფს, — ასეთი პირი ვერ ისარგებლებს მადლმოსილი ძღვენით, რომელსაც ეკლესია თავის ერთგულებს ანიჭებს და ამდენად, ის ეკლესიის გარემყოფად (გარეწარი, უცხო) უნდა ითვლებოდეს. წინამდებარე კანონი არის ბასილი დიდის მე-7 ზნეობრივი წესის მოკლე ფორმა, რომელიც სრულად ასე გამოითქმის: „ვინც ცდილობს თავი უფლის აღმსაარებლად და მისი მოძღვრების მიმდევრად წარმოაჩინოს, მაგრამ მისი მცნებებისამებრ არ იქცევა, ის განსჯილია, თუნდაც მას, განსაკუთრებული საღმრთო განგებულებით, მრავალი სულიერი ნიჭი ჰქონდეს მიმადლებული“. ამასთანავე, იქვე მოყვანილია შესაბამისი ადგილები წმინდა წერილიდან (მათე 7,21-23; ლუკა 6,46; ტიტე 1, 16). იგივეს ამბობს ბასილი დიდი ესაია წინასწარმეტყველის წიგნის განმარტებაში: „არავინ აცდუნოს საკუთარი თავი სიტყვებით: თუმც მე ცოდვილი ვარ, მაგრამ — ქრისტიანი, ამიტომ არ მოვხვდები გეჰენიაში, სადაც კერპთაყვანისმცემლების ადგილია, რამეთუ მე თავად ქრისტიანის სახელი შემეწევა, თუნდაც რომ ქრისტეს მცნებები არ შემესრულებინა“.

კანონი 46

დროებით თავისი ცოლის მიერ დატოვებულთან უმეცრებით შეერთებული, შემდეგ კი პირველი ცოლის დაბრუნების მიზეზით გაშვებული, სიძვობ-

*იხ. მთ. 12, 31; 15, 19; 28, 65; ლკ. 5, 21; ინ. 10, 33.

და ასეთი კავშირით, თუმცა – უმეცრებით. ამიტომ ქორწინება მას არ ეკრძალება, მაგრამ უკეთესია, თუ ასე დარჩება.

(მოც. 93; ბასილი დიდის 9, 31, 36)

წინამდებარე კანონი შევიდა ტრულის კრების 93-ე კანონში, რომლის განმარტებაშიც ძირითადად განმარტებულია ბასილი დიდის წინამდებარე კანონიც. ზონარა, ამ კანონის კომენტირებისას, ყურადღებას ამახვილებს მსგავს განწესებაზე ბასილი დიდის მე-9 კანონიდან, სადაც წმინდა მამა ამბობს, რომ მრუშია ყველა ის ქალი, ვინც თავის ქმარს დატოვებს და სხვა მამაკაცთან წავა. მის მიერ მიტოვებული ქმარი კი სულგრძელობის ღირსია; ასევე, ქალი, რომელიც ამის შემდეგ მასთან იცხოვრებს, დამნაშავე არ არის. წინამდებარე კანონში კი ის ამბობს, რომ მრუშია ყოველი ქალი, რომელიც, თუნდაც უმეცრებით, გაპყვება ისეთ კაცს, ვინც, თუნდაც დროებით, კანონიერმა ცოლმა მიატოვა, და შემდგომში, როდესაც ის (კანონიერი ცოლი) დაბრუნდება, მას გაუშვებენ. იქ (მე-9 კანონში) ბასილი დიდი საუბრობს მამაკაცზე, რომელიც ცოლმა სულ დატოვა და აღარ სურს მასთან დაბრუნება, ამიტომაც ბასილი დიდი სულგრძელობას იჩენს ასეთი ქმრის მიმართ და არ განიკითხავს დედაკაცსაც, რომელიც მასთან მეორედ იქორწინებს. წინამდებარე კანონში კი საუბარია დედაკაცზე, რომელმაც რაიმე მიზეზით დროებით მიატოვა თავისი ქმარი. ამიტომ, თუ რომელიმე ქალი მიტოვებულ მამაკაცთან იქორწინებს, რომლის კანონიერმა ცოლმაც იგი დროებით მიატოვა და ამის შესახებ მან იცოდა, ასეთ შემთხვევაში იგი მრუშობაშია დამნაშავე, ვინაიდან სხვისი ქმარი მიითვისა, – როგორც ეს ნათქვამია ბასილი დიდის მე-9 კანონის ბოლოში. ხოლო, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა (შესაძლებელია, სხვა მხარის მკვიდრი იყოს), მომავალში კი ქმრის დროებით მიმტოვებელი ცოლი დბრუნდება და მათ შორის პირველი ქორწინება აღდგება, მაშინ მეორე ცოლი, თუმც უმეცრებით, მაგრამ მაინც სიძვაშია დამნაშავე. ხოლო იმის გამო, რომ ამ ქალს არ ჰქონდა სიძვის განზრახვა, არამედ კანონიერი გათხოვება სურდა, ამიტომ არ ეკრძალება მას სხვა მამაკაცთან ქორწინება. თუმცაღა, უკეთესი იქნებოდა, რომ ის ამ მდგომარეობაში დარჩენილიყო, ანუ საერთოდ აღარ გათხოვილიყო, – ამბობს ბასილი დიდი, – რაშიც იგი, სხვათა შორის, ეთანხმება სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილებასაც, რომლის თანახმადაც, დაქორწინების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმდენად არა იმას, რაც ნებადართულია, რამდენადაც იმას, რაც პატიოსანია.

კანონი 47

ენკრატიტები,* საკოფორები და აპოტაქტიტები*** იგივე სასჯელს ექვემდებარებიან, როგორსაც ნოვატიანელები, რადგან ამათთაგან ზოგიერთთა შესახებ მიღებულია კანონი, თუმც არა ერთგვაროვანი; სხვების**

*თავშემკავებლები.

**ძაძით მოსილები.

***განყენებულები.

შესახებ კი არაფერია თქმული. ხოლო ჩვენ, ერთნაირ სასჯელს წარმოვთქვამთ და ასეთებს თავიდან ვნათლავთ. და თუმც ჩვენთან არ არის მიღებული გადანათვლის ეს ჩვეულება, მსგავსად რომაელებისა, ზოგიერთი კეთილშეხედულებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენი მტკიცებულება ბრალდებისა, დაე, ძალაში იყოს. რამდენადაც მათი მწვალებლობა არის ერთგვარად მარკიონიტების მწვალებლობის ამონაყარი, რომელიც იძაგებს ქორწინებას, უარყოფს ღვინის მიღებას და ღვთის შექმნილს სიბილწეს უწოდებს, ამიტომ ჩვენ არ ვიწყნარებთ მათ ეკლესიაში, თუ არ ინათლებიან ჩვენი ნათლისღებით. დაე, ნუ იტყვიან, რომ ნათელიღეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, როდესაც ისინი, მარკიონისა და სხვა მწვალებლების მსგავსად, ღმერთს წარმოადგენენ ბოროტების შემოქმედად. ამდენად, თუ სათნოდ გიჩანთ, უნდა შედგეს ეპისკოპოსთა სიმრავლის შეკრება და გამოიცეს კანონი, რათა მოქმედიც უხიფათო იყოს და პასუხის მიმცემსაც ამგვართა შესახებ შეკითხვაზე, ჰქონდეს პასუხის ღირსსარწმუნო საფუძველი.

(მოც. 46, 47, 48; I მსოფ. 8, 19; II მსოფ. 7; ტრულ. 95; ლაოდ. 7, 8; კართ. 57; ბასილი დიდის 1, 5)

ენკრატიტებისა და სხვა მწვალებლების შესახებ, რომლებიც წინამდებარე კანონში მოიხსენიებიან, ბასილი დიდი საუბრობს თავის 1 კანონშიც, თანაც, შენიშნავს, რომ მათი მონათვლაა საჭირო, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიაში გადმოდიან. თუმცა, იქვე დასძენს, რომ ასეთია მისი კერძო აზრი, ხოლო კანონიკურ განწესებას ამის შესახებ გამოსცემს ეპისკოპოსთა კრება, რომელიც მსგავს საკითხებს განაგებს. სწორედ ეს კანონიკური განწესება გამოსცა II მსოფლიო კრებამ; იგი შეიკრიბა ბასილი დიდის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ და ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელი მწვალებლების მონათვლა არის საჭირო მართლმადიდებლობაში მოქცევისას და რომლის — არა.

კანონი 48

ქმრისგან დატოვებული, ჩემი აზრით, უქორწინებელი უნდა დარჩეს. რადგან, როდესაც უფალმა თქვა, რომ თუ ვინმე გაუშვებს თავის ცოლს, გარდა სიძვაში ბრალდებისა, მას ამით მრუშობის საბაბს აძლევსო (იხ. მათე, 5, 32), მაშინ უწოდა რა მას მრუში, ამით მას აუკრძალა სხვასთან თანაცხოვრება. რამეთუ, როგორ შეიძლება ქმარი დამნაშავე იყოს, როგორც მრუშობის მიზეზი, ცოლი კი უდანაშაულო, თუ იგი უფლისგან მრუშად იწოდება სხვა მამაკაცთან შეერთებისათვის?

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 31, 36, 46, 77, 80)

აქაც ბასილი დიდი გამოთქვამს თავის კერძო აზრს დედაკაცის შესახებ, რომელიც ქმარმა სახლიდან განუტევა, ამასთან, შენიშნავს, რომ მას აღარ აქვს გათხოვების უფლება; თუ იგი ვინმე სხვა მამაკაცთან თანაცხოვრებას დაიწყებს,

მაშინ მრუშად უნდა ჩაითვალოს. თავის ამ აზრს წმინდა ბასილი აფუძნებს იესო ქრისტეს სიტყვებზე (მთ. 5, 32), რომლებიც კანონში მოჰყავს, და შენიშნავს, რომ რაკი ქრისტემ იმ დედაკაცს მრუში უწოდა, ეს ნიშნავს, რომ მას არა აქვს თანაცხოვრების უფლება სხვა მამაკაცთან, ვინაიდან თუ ქმარი დამნაშავეა იმაში, რომ ცოლს მრუშობისაკენ უბიძგა, მაშინ მრუშობისათვის ცოლიც უნდა დაისაჯოს, რომელიც თვით უფლის მიერ არის მრუშად წოდებული.* სხვა დანარჩენის შესახებ იხ. ტრულის კრების 87-ე და 93-ე კანონების განმარტებები – დედაკაცების შესახებ, რომლებიც ქმრებს შორდებიან და მამაკაცების შესახებ, რომლებიც ასევე ცოლებს ტოვებენ.

კანონი 49

თუ ვინმე ძალადობით შეიბილწება, დაე, ბრალდებას არ დაექვემდებაროს; ამიტომ მონა-ქალი, თუ გაუპატიურებული იქნება თავისი ბატონის მიერ, – უდანაშაულოა.

(ანკვირ. 11; გრიგოლ ნოსელის 1; ბასილი დიდის 30)

მავანმა ბატონმა ერთ-ერთი თავისი მონა ქალწული გააუპატიურა; ამფილოქეს კითხვაზე, ექვემდებარება თუ არა ეს ქალწული მეძავთათვის განწესებულ ეპიტიმიას, ბასილი დიდი თავის წინამდებარე კანონში პასუხობს, რომ იგი არანაირ ეპიტიმიას არ იმსახურებს, მსგავსად იმისა, როგორც საერთოდ არანაირ სასჯელს არ იმსახურებენ ქალწულები, რომლებიც იძულებულნი ხდებიან დაუშვან, რომ ვინმემ ისინი ძალდატანებით შებილწოს.

კანონი 50

მესამე ქორწინებაზე არ არის კანონი, ამიტომ მესამე ქორწინება კანონით არ იკურთხება. ასეთ საქმეებს ვუყურებთ, როგორც უწმინდურებას ეკლესიაში, მაგრამ საჯარო განკითხვას მათ არ ვუქვემდებარებთ, როგორც უმჯობესს, ვიდრე გარყვნილი მეძავეობაა.

(ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 4, 80)

ამ კანონიდან ჩანს, რომ ამფილოქე ვერ დააკმაყოფილა პასუხმა მესამე ქორწინების შესახებ (იხ. მე-4 კან.), ამიტომ სვამს ამ კითხვას მეორედ. წმინდა ბასილი თავის წინამდებარე კანონში პასუხობს, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც მესამედ ქორწინების ნებას დართავდა, რა თქმა უნდა, იგულისხმება ასეთი **საეკლესიო კანონი**, რამეთუ ამის შესახებ სამოქალქო კანონის დადგენილება დიდი ხანია არსებობს.** მსგავსად იმისა, როგორც თავის მე-4 კანონში მან მესამე ქორწინებას უწოდა „დასასჯელი სიძვა“ და იგი პოლიგამიას შეადარა, ასევე აქ,

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 199.

**იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 204.

წინამდებარე კანონშიც იგივე აზრს იმეორებს, და მესამე ქორწინებას უწოდებს უწმინდურებას ეკლესიაში. მაგრამ, რადგანაც მესამე ქორწინება ფართოდ იყო საზოგადოებაში გავრცელებული და ეკლესია უმეტესი ბოროტების თავიდან ასაცილებლად ითმენდა მას, ამიტომ წმინდა ბასილი ამბობს, რომ მესამედ დაქორწინებული პირების **საჯაროდ დასჯა** არ არის საჭირო; ხუთწლიანი ეპიტიმიით (მე-4 კან.) ნება მიეცი მათ ილოცონ ეკლესიაში ერთგულ მორწმუნეებთან ერთად. წმინდა ბასილი ამას იმიტომ განაწესებს, რომ მესამე ქორწინება მაინც უკეთესად ითვლება, ვიდრე აღვირახსნილი მეძავეობა. ესე იგი, სჯობს რომელიმე კონკრეტულ პირს მესამედ ქორწინების უფლება მიეცეს, ვიდრე მან თავისი ხორციელი ჟინი სხვადასხვა დედაკაცებთან ურთიერთობით დაიკმაყოფილოს. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით იხ. ამავე წმინდა მამის მე-4 კანონის განმარტება.

მესამე კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა იკონიის ეპისკოპოსისა, ამფილოქეს მიმართ

კანონი 51

კლერიკოსთა შესახებ კანონი დადგენილია განურჩევლად. იგი ბრძანებს დაცემულებს განეწესოთ ერთი სასჯელი – მსახურებიდან განკვეთა; იქნებიან ის სამღვდელო ხარისხებში, თუ მსახურებას ასრულებენ სამღვდელო ხელდასხმის გარეშე.

(მოც. 25, 30; ტრულ. 4; კართ. 27; ბასილი დიდის 3, 32, 44)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასილი დიდმა ამფილოქე იკონიელს გაუგზავნა ორი კანონიკური ეპისტოლე, რომლებმაც შეადგინეს ზემომოყვანილი 50 კანონი. წმინდა ბასილისგან ეპისტოლეების მიღების შემდეგ, ამფილოქემ კვლავ მიმართა მას სხვადასხვა კანონიკური ხასიათის შემცველი კითხვით, რაზედაც ბასილი დიდმა ახალი ეპისტოლეთი უპასუხა, რომელიც, თავის მხრივ, 35 კანონად იყოფა. მათგან პირველს წარმოადგენს წინამდებარე (51-ე) კანონი. მოკლე შესავლის შემდეგ, წმინდა ბასილი პასუხობს თითოეულ დასმულ კითხვაზე ცალ-ცალკე, და პირველ ყოვლისა, შეკითხვაზე იმის შესახებ, არსებობს თუ არა განსხვავება კლერიკოსთა დასჯაში მათი ხარისხებიდან გამომდინარე.

კლერიკოსებს ბასილი დიდი მიაკუთვნებს ეკლესიის ყველა მსახურს ზოგადად, მსგავსად იმისა, როგორც ეს ნათქვამია I მსოფლიო კრების მე-16 კანონში, სადაც კლერიკოსები შემდეგნაირად აღინიშნებიან: „დავთარში შესულნი“, ან „ეკლესიის დასის წევრები“, შესაბამისად, ეს ის პირებია, რომლებიც ეკლესიის მსახურებისათვის არიან დადგინებულნი ქიროტონიის ან ქიროტესიის წესით. აღნიშნულ კლერიკოსებთან მიმართებით, – ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, – ბასილი დიდი, იმეორებს რა თავის 32-ე კანონით გამოცემულ განწესებას, ამბობს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ისინი მსახურებიდან დაყენებას ექვემდებარებიან, ეს კი ნიშნავს, რომ **განკვეთით** ისჯებიან.* ეს განწესება უნდა გავიაზროთ წმინდა ბასილის 32-ე კანონთან კავშირში, რომლის თანახმადაც კლერიკოსი საკმარისად არის დასჯილი წოდებიდან განკვეთით, ამიტომ აღარ არის საჭირო მისი განყენება ეკლესიის ერთგული ერისკაცების ერთობიდანაც. სხვა დანარჩენთან დაკავშირებით იხ. წმინდა ბასილის 32-ე და სხვა პარალელური კანონების განმარტებები.

კანონში მოყვანილ დაყოფასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, იმათზე, ვინც „სამღვდელო ხარისხშია“ და, მეორე მხრივ – ვინც „მსახურებას სამღვდელო ხელდასხმის გარეშე ასრულებს“, – წინამდებარე კანონის განმარტებაში როგორც

*იხ. ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 206.

ზონარა, ისე **ბალსამონი,** წერენ: „უფრო ძლიერად არ სჯის იმათ, ვისაც უმაღლესი ხარისხი აქვს, სახელდობრ, მღვდლებს, დიაკვნებსა და იპოდიაკვნებს, რომლებსაც ხელდასხმა აქვთ მიღებული“ **(ზონარა);** „ყველა კლერიკოსი ერთნაირად ისჯება – ერთადერთი განკვეთის გზით, ანუ თავიანთი წმინდა მსახურებიდან დაყენებით, მიუხედავად იმისა, ხელდასხმულნი არიან როგორც მღვდლები, დიაკვნები და იპოდიაკვნები, თუ ასრულებენ საეკლესიო მსახურებას მხოლოდ კურთხევის გზით, როგორც წიგნის მკითხველები, მგალობლები, ზედამხედველები და მსგავსნი“ **(ბალსამონი).** როგორც ჩანს, ეს ორი ბერძენი კომენტატორი მტკიცედ დგას იმ თვალსაზრისზე, რომ იპოდიაკვნებიც უმაღლეს სასულიერო იერარქიას მიეკუთვნებიან და მასში შეადგენენ ცალკე სამღვდელო ხარისხს, მსგავსად დიაკვნებისა და მღვდლებისა (და ეპისკოპოსებისა), რამეთუ ისინიც დადგინებულნი არიან ხელდასხმის (ქიროტონიის) და არა მხოლოდ ხელთდადების (ქიროტესიის) გზით, როგორც ეს ხდება უმდაბლესი იერარქიის წევრების, ანუ წიგნის მკითხველების, მგალობლებისა და სხვა მსგავსთა შემთხვევებში. ტრულის კრების მე-6 კანონის განმარტებაში ჩვენ ვაჩვენეთ იპოდიაკვნის ხარისხთან მიმართებით ამ ბერძენი კომენტატორების მსჯელობის სრული უმართებულება და ამას აქაც ვიმეორებთ. გაცილებით სწორია ის, რასაც ვკითხულობთ ამ კანონის **არისტინესეულ** განმარტებაში: „ეკლესიის მსახურნი, იქნებიან ისინი მღვდლების, დიაკვნების, იპოდიაკვნების, მგალობლებისა და წიგნის მკითხველების ხარისხში, თუ არ ექნებათ მიღებული ხელდასხმა, როგორებიც არიან ზედამხედველნი, მნათენი და ისინი, ვისაც წმინდა საკურთხევლის კარის დაცვა ევალებათ, – თუკი სიძვაში ჩავარდებიან, ერთი სასჯელი ეკუთვნის ყველას – თავისი მსახურებიდან განკვეთა“. ეს უფრო სწორია იმიტომ, რომ აქ კეთდება განსხვავება ერთი მხრივ, იმ კლერიკოსებს შორის, რომლებიც უშუალოდ ღვთისმსახურებაში იღებენ მონაწილეობას, და მეორე მხრივ – რომლებიც საეკლესიო ღვთისმსახურებისას ეკლესიაში მხოლოდ მატერიალურ მსახურებას ეწევიან. ასეთი განმარტება, ჩვენი აზრით, უფრო მეტად პასუხობს იმ აზრს, რომლის გამოთქმაც ბასილი დიდს სურდა თავის წინამდებარე კანონში. რომელიც, ამასთან, არის მკაცრად კანონიკური, ვიდრე ორი ზემომოხსენიებული კომენტატორის განმარტება.

კანონი 52

ქალი, რომელიც გზაში მის მიერ შობილს უგულებელყოფს, შეეძლო გაფრთხილებოდა და უყურადღებოდ დატოვებს, ან ამით ცოდვის დაფარვას განიზრახავს, ან სავსებით მხეცურ და არაადამიანურ ზრახვას გაჰყვება, დაე, დაისაჯოს ვითარცა კაცისმკვლელი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოუფრთხილდა, უდაბური ადგილის ან აუცილებელის უკმარისობის გამო და ახალშობილი გარდაიცვალა, მაშინ დედა ლმობიერების იმსახურებს.

(ბასილი დიდის 33)

წინამდებარე კანონით ბასილი დიდი უფრო დაწვრილებით ახსნას აძლევს თავის განწესებას, რომელსაც 33-ე კანონი გამოსცემს. იგი ადასტურებს, რომ დედა, რომელიც თავისი ნებით დაუშვებს გზაში დაბადებული ბავშვის სიკვდილს, უნდა

დაისაჯოს რიგორც მკვლელი. ასეთი დედის მიმართ ის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერაფრით შესძლებდა მისი სიცოცხლის გადარჩენას და, ამასთან, შეუძლია დაამტკიცოს, რომ ცდილობდა მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

კანონი 53

დაქვრივებულ მონა ქალს არცთუ ბევრი შეუცოდავს, როდესაც მეორედ ქორწინებას დათანხმდა მოტაცების იმიტაციით. ამიტომ სრულიადაც არ არის საჭირო ამისთვის მისი დადანაშაულება. რამეთუ ისჯება არა გარედან დანახული ქმედებები, არამედ – განზრახვები. ცხადია მხოლოდ ის, რომ მეორე ქორწინებისათვის განწესებულ ეპიტიმიას ექვემდებარება.

(მოც. 82; IV მსოფ. 14; ტრულ. 85; ლანგ. 3; კარტ. 82; ბასილი დიდის 22, 28, 40, 42)

მაკანმა მონა-ქალმა, დაქვრივების შემდეგ კვლავ გათხოვება გადაწყვიტა; მაგრამ ბავშვების გამო იყო, თუ პირველი ქმრის ნათესავებისა შეეშინდა, აშკარად ამის გაკეთებას მოერიდა. ამიტომ ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს იგი იმ კაცმა მოიტაცა, ვისსაც გათხოვებას აპირებდა. წარმოდგენილი კანონის მიხედვით, ასეთი საქციელის გამო ეს ქალი არ ისჯება, რადგან ფაქტიურად მოტაცებას ადგილი არ პქონია, და ეს მხოლოდ მოსაჩვენებლად გათამაშდა იმ მიზნით, რომ მეორედ დაქორწინებულიყო. ბასილი დიდი ამას შემდეგნაირად ხსნის: „ისჯება არა გარედან დანახული ქმედებები, არამედ – განზრახვები". ყოველ შემთხვევაში, კანონი მოითხოვს, რომ ასეთ დროს დედაკაცი დაექვემდებაროს მეორედ დაქორწინებულთათვის განსაზღვრულ ეპიტიმიას.

კანონი 54

რამდენადაც მახსოვს, უნებლიე მკვლელობების შესახებ, ჩემი ძალებისამებრ, ადრე მოვწერე შენს კეთილმსახურებას. შენი კეთილგონიერების საქმე იქნება, შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, გაუგრძელო სასჯელი თუ შეუმსუბუქო.

(მოც. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43. 56, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

ამფილოქეს კითხვაზე, რა სასულიერო სასჯელს იმსახურებს უნებლიე მკვლელობის ჩამდენი პირი, ბასილი დიდი აგზავნის იმასთან, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ ითქვა პირველ ეპისტოლეში, ანუ თავის მე-8 კანონთან. ბასილი დიდი ამასთანავე დასძენს, რომ გარემოებებისა და პირადი შეხედულებების გათვალისწინებით, ამფილოქეს, როგორც ეპისკოპოსს, უნებლიე მკველობისათვის განწესებული სასჯელი შეუძლია დაუმძიმოს ან შეუმსუბუქოს.

კანონი 55

თუ ვინმემ ავაზაკი მასზე თავდასხმისას მოკლა, და თავად საეკლესიო მსახური არ არის, დაე, წმინდა ზიარებიდან განკანონდეს; ხოლო თუ კლერიკოსია – ხარისხიდან განიკვეთოს; რამეთუ ნათქვამია: *„ყოველთა, რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ“* (მათე, 26, 52).

(ანკვირ. 22, 23; ათანასე დიდის 1; ბასილი დიდის 8, 13, 43; გრიგოლ ნოსელის 6)

თავის მე-13 კანონში წმინდა ბასილი საუბრობს ომში მოწინააღმდეგის მოკვლაზე, და თუმც ასეთ მკვლელობას არ განიკითხავს, მაინც განაწესებს, რომ ჯარისკაცს არ მიეცეს წმინდა ზიარება 3 წლის განმავლობაში, რამეთუ ხელები ადამიანის სისხლში აქვს გასვრილი. წინამდებარე კანონში კი საუბრობს ავაზაკების შესახებ და განაწესებს, რომ ერისკაცი, რომელიც მასთან ორთაბრძალაში ჩაებმება და მოკლავს მას, წმინდა ზიარებიდან განიყენება, ხოლო კლერიკოსი – განკვეთას ექვემდებარება. ამ თავის განწესებას ბასილი დიდი აფუძნებს წმინდა წერილზე: *„ყოველთა, რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ“* (მთ. 26, 52). „ეს კანონი მძიმეა, – *შენიშნავს* ზონარა,* რადგან ძნელია ადამიანმა თავი შეიკავოს, როდესაც მას ყაჩაღები სიკვდილით ემუქრებიან და კიდევ ბევრ სხვასაც ბოროტებას უქადიან“.

კანონი 56

განზრახ მკვლელი, და შემდგომ სინანულში მოსული, დაე, ოცი წელი წმინდა საიდუმლოთა ზიარების გარეშე დარჩეს. ეს ოცი წელიწადი მას შემდეგნაირად უნდა გადაუნაწილდეს: ოთხი წელი შეტირილად დაჰყოს, იდგეს სამლოცველო ტაძრის კარიბჭის გარეთ და მასში შემავალი ერთგული მორწმუნეებისაგან თავისთვის ლოცვა ითხოვოს, ამასთან, საკუთარ დანაშაულსაც აღიარებდეს. ოთხი წლის შემდეგ, დაე, წმინდა წერილის მსმენელთა შორის იქნეს შეწყნარებული და ხუთი წელი მათთან დაჰყოს. შვიდი წელი შევრდომილებთან გაატაროს და ილოცოს. ოთხი წერილი ერთგულებთან იდგეს, მაგრამ ზიარების გარეშე. ყოველივე ამის აღსრულების შემდგომ, დაე, ეზიაროს წმინდა საიდუმლოს.

(მოც. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

წინამდებარე კანონი ეპიტიმიას განუწესებს იმ პირებს, რომლებიც განზრახ მკვლელობას ჩაიდენენ და შემდეგ მოინანიებენ. ეს სასჯელი მათ საჯაროდ უნდა მოიხადონ 20 წლის განმავლობაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ თანდათანობით უნდა გაიარონ დადგენილი სინანულის საფეხურები, კერძოდ: 4 წელი დაჰყონ პირველ საფეხურზე, 5 წელი – მეორეზე, 7 – მესამეზე და 4 წელი მეოთხე საფეხურზე. სინანულის ამ ხარისხების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ I მსოფ. კრების მე-11 კანონის განმარტებაში.

---

*ათენის სინტაგმა, IV, 212.

კანონი 57

უნებლიე მკვლელი ათი წელი დარჩეს წმინდა საიდუმლოთა ზიარების გარეშე. განაწილება კი მისთვის ამ ათი წელიწადისა, დაე, შემდეგი იყოს: ორი წელი იტიროს, სამი წელი მსმენელთა შორის დაჰყოს, ოთხი წელი – შევრდომილებთან, წელიწადი მხოლოდ იდგეს ერთგულების გვერდით, და მერმე მიიღოს წმინდა ზიარება.

(ძოკ. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 56; გრიგოლ ნოსელის 5)

56-ე კანონთან დაკავშირებით, აქ ეპიტიმია განიწესება უნებლიე მკვლელობისათვის, კერძოდ – ათწლიანი.

კანონი 58

მემრუშენი თხუთმეტი წლით განიყენონ წმინდა ზიარებიდან. გადანაწილება კი ამ თხუთმეტი წლისა, მათთვის ასეთნაირია: ოთხი წელი შეტირილებად უნდა დაჰყონ, ხუთი წელი – წმინდა წერილის მსმენელებად, ოთხი წელი – შევრდომილებად; ორი წელიც ერთგულებთან ერთად იდგნენ ზიარების გარეშე.

(ტრულ. 87; ანკვირ. 20; ბასილი დიდის 9, 21, 34, 37, 39, 77; გრიგოლ ნოსელის 4)

'სიგადად, რა არის მრუშობა, – ჩვენ ავხსენით რამდენიმე კანონის განმარტებაში, კერძოდ, ბასილი დიდის 21-ე კანონის განმარტებაში. მრუშობის ცოდვაში დამნაშავე, თხუთმეწლიან ეპიტიმიას ექვემდებარება.

კანონი 59

მეძავი, დაე, შვიდი წელი არ ეზიაროს წმინდა საიდუმლოს: ორი წელი, დაე, იტიროს; ორი, დაე, ისმინოს, ორიც შევრდომილი იყოს, და ერთი წელი, დაე, მხოლოდ იდგეს ერთგულებთან, მერვე წელს დაშვებულ იქნეს წმინდა ზიარებაზე.

(ბასილი დიდის 4, 21, 22, 26, 79, 80)

წინამდებარე კანონით შვიდწლიანი ეპიტიმია განიწესება მეძავთათვის.

კანონი 60

ქალწულობის აღთქმის დამდებელთ და თავისი აღთქმისაგან განდგომილთ, დაე, მეძავთათვის განწესებული სასჯელის ვადა შეეფარდოთ; ხოლო აღნიშნული ვადა მისი ცხოვრებიდან გამომდინარე გადანაწილდეს. იგივე განეწესოს ვინც მონოზვნობის აღთქმა დადო, მაგრამ დაეცა.

(IV მსოფ. 16; ტრულ. 44; ანკვირ. 19; კართ. 16; ბასილი დიდის 6, 18, 19, 20, 44)

ანკვირიის კრების მე-19 კანონით ერთწლიან ან ორწლიან ეპიტიმიას ექვემდებარება (მეორედ დაქორწინებულთა მსგავსად) პირი, რომელიც ქალწულობის აღთქმას დადებს და მერე სიძვის ცოდვით დაეცემა. ბასილი დიდის წარმოდგენილი კანონი კი ასეთ პირებს, – ისევე, როგორც სიძვაში ჩავარდნილ მონოზვნებს, – ისეთ ეპიტიმიას განუწესებს, როგორიც განსაზღვრულია მრუშობისათვის, ანუ – თხუთმეტწლიან სინანულს. „ძალაში უნდა დარჩეს ბასილი დიდის წინამდებარე კანონის განწესება, – ამბობს **ბალსამონი**, – რადგან გამოცემულია გაცილებით გვიან, ვიდრე ანკვირიის კრების აღნიშნული კანონი“.*

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 61

მპარავი, რომელიც მოინანიებს და თავად აღიარებს დანაშაულს, დაე, ერთი წლით განიყენოს მხოლოდ წმინდა ზიარებიდან; ხოლო თუ მხილებული იქნება, მაშინ – ორი წლით, ეს დრო კი მისთვის განაწილდეს შევრდომასა და ერთგულებთან დგომაში, მერე კი ეღირსოს ზიარებას.

(გრიგოლ ნეოკესარიელის 3, 4, 5; გრიგოლ ნოსელის 6)

თავისი ცოდვის მომნანიებელი მპარავი ერთწლიან ეპიტიმიას ექვემდებარება, ხოლო თუ თავად არ აღიარა და სხვამ ამხილა, ასეთ შემთხვევაში ორი წლით განიკანონება წმინდა ზიარებიდან. თუმცა ეპიტიმია მისგან არ აღხოცავს ზნეობრივ ლაქას, რომლითაც საზოგადოებაში თავი შეირცხვინა, „რადგან, – ამბობს **ბალსამონი**, ეყრდნობა რა ბერძნულ-რომაული კანონმდებლობის შესაბამის ადგილს, – მპარავი, თუნდაც მან მოინანიოს და მოპარული პატრონს დაუბრუნოს, მაინც მპარავად რჩება“**

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 62

ვინც მამათა აღრევის უშვერობა ჩაიდინოს, სინანულის ვადა იმავე სახით მოიხადოს, როგორც ეს მრუშობისათვის არის განწესებული.

(ბასილი დიდის 7; გრიგოლ ნოსელის 4)

წარმოდგენილ კანონში აღნიშნული საძაგელი ცოდვისათვის ბასილი დიდი განაწესებს თხუთმეტწლიან ეპიტიმიას, ისევე, როგორც მრუშობისათვის.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 63

ვინც თავისი უწმინდურება პირუტყვთან გამოავლინა, სინანულის შემთხვევაში იგივე დრო დაჰყოს აკრძალვაში.

(ანკვირ. 16, 17; ბასილი დიდის 6; გრიგოლ ნოსელის 4)

ზუსტად ისევე, ამ საძაგელი ცოდვისათვის განიწესება თხუთმეტწლიანი ეპიტიმია.

---

*ათენის სინტაგმა, IV, 218.

**ათენის სინტაგმა, IV, 219.

კანონი 64

ფიცისდამრღვევი ათი წელი არ ეზიაროს: ორი წელი შეტირილთა შორის იყოს, სამი – წმინდა წერილის მსმენელთა რიგებში, ოთხი – შეერდომილებთან, ერთიც – ერთგულებთან იდგეს, და შემდეგ ეღირსოს ზიარებას.

(მოც. 25; ტრულ. 94; ბასილი დიდის 10, 17, 29, 82)

წინამდებარე კანონში ათწლიანი ეპიტიმია განეწესებათ პირებს, რომლებიც ფიცს დაარღვევენ. აქ იგულისხმება ღმერთის სახელით მიცემული ფიცი. ფიცის დარღვევის ცოდვა უთანაბრდება ღვთისმგმობელობის ცოდვას. თავის 29-ე კანონში ბასილი დიდი ამბობს, რომ ფიცი საერთოდაც აკრძალულია და ეყრდნობა წმინდა წერილის იმ ადგილს, სადაც საუბარია თითოეული ქრისტიანის ზნეობრივ სრულყოფაზე, რომელიც იმდენად მართალი და დადებითი პიროვნება უნდა იყოს, რომ მისი ყველას სჯეროდეს და მისგან საკმარისი უნდა იყოს: ჰო ან არა. თუმცაღა, წმინდა წერილი უშვებს ფიცს მნიშვნელოვან შემთხვევებში, მაგრამ ეს ფიცი უნდა იყოს წესიერი და ეფუძნებოდეს ჭეშმარიტებას; აკრძალულია დაუფიქრებელი და ცრუ ფიცი. ამ ჭეშმარიტ ფიცს გულისხმობს წმინდა ბასილი თავის წინამდებარე კანონში, როდესაც მის დამრღვევს სასჯელს განუწესებს, რადგან ფიცს იძლევიან ღმერთის მოწმედ მოხმობით, იმ ჭეშმარიტების დასადასტურებლად, რასაც კონკრეტული პირი ამტკიცებს ან დაპირებას იძლევა, რისთვისაც პასუხისმგებელი ხდება ღმერთის წინაშე. საეკლესიო კანონები მით უფრო განიკითხავენ ფიცის დამრღვევს, რაც უფრო საზეიმოდ იყო ის დადებული და რაც უფრო მნიშვნელოვანია საქმე, რის გამოც ფიცი დაიდო. თუკი მკაცრად ისჯება ფიცის დარღვევისათვის ერისკაცი, მაშინ მით უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს ასეთი ცოდვისათვის მღვდელმსახური, რამეთუ, ასეთი სიმკაცრე რომ არ არსებობდეს მღვდელმსახურთა მიმართ ფიცის დარღვევისათვის, მაშინ ეს მორწმუნეებს საცდურს შეუქმნიდა და ისინი დაუსჯელად დაარღვევდნენ მიცემულ ფიცს. ამიტომ, მოციქულთა 25-ე კანონი ეკლესიის დასის ყოველი წევრისათვის განკვეთას განაწესებს მიცემული ფიცის დარღვევისათვის. სლავური „კორმჩაია“ შეიცავს ბიზანტიური კანონმდებლობის განწესებას ფიცის დამრღვევთა წინააღმდეგ, სადაც ნათქვამია: „დაე, მოეჭრას მას ენა“.

კანონი 65

ვინც თავისი გრძნეულობა ან მომწამვლელობა მოინანიოს, დაე, კაცისმკვლელისთვის განწესებული ვადა გაატაროს სინანულში, და ეს იმის შესაბამისად გადაუნაწილდეს, როგორც საკუთარი თავი ამხილა თითოეულ ცოდვაში.

(ტრულ. 61, 65; ლაოდ. 36; ბასილი დიდის 72, 83; გრიგოლ ნოსელის 3)

იგივე სასჯელს, როგორსაც მკვლელობისათვის, ანუ თორმეტწლიან ეპიტიმიას, განუწესებს წინამდებარე კანონი გრძნეულებსა და მომწამვლელებს იმ შემთხვევაში, თუ ცოდვა თავად აღიარეს და მოინანიეს; ხოლო თუკი არ აღიარებენ და

სხვებმა ამხილეს, ასეთ შემთხვევაში ისინი ექვემდებარებიან ზიარებიდან განყენებას სიცოცხლის ბოლომდე, და მხოლოდ სიკვდილის წინ, თუ მოინანიებენ, შეეძლებათ მიიღონ წმინდა ზიარება. იგივე სასჯელს განაწესებს ერისკაცთათვის ტრულის კრების 64-ე და 65-ე კანონები, სასულიერო პირთათვის კი – განკვეთას. სასჯელის სიმკაცრე იმით აიხსნება, რომ გრძნეულები და მომწამვლელები ცდილობენ ადამიანში ჩაკლან სულიერი შესაძლებლობები, რითაც მას, შესაბამისად, სულიერ სიკვდილს უქადიან. გრძნეულება მდგომარეობდა ბოროტი სულების მოხმობასა და დაწყევლაში, რათა მოყვასისათვის ბოროტება მიეყენებინათ. მომწამვლელობა კი – სხვადასხვა ბალახეულის გამოყენებაში იმ მიზნით, რომ მოყვასისათვის აზროვნების უნარი წაერთვათ. ბიზანტიური კანონმდებლობა ამ კატეგორიის დამნაშავეებს სასიკვდილო განაჩენს უწესებს.

კანონი 66

ვინც საფლავი გათხაროს გაძარცვის მიზნით, დაე, არ ეზიაროს წმინდა საიდუმლოს ათი წლის განმავლობაში: ორი – დაე, იტიროს, სამი – დაე, ისმინოს, ოთხი – დაე, შეუვრდეს, ერთი წელი, დაე, ერთგულებთან იდგეს, და მერმე უკვე მიეახლოს.

(გრიგოლ ნოსელის 7)

საფლავთმთხრელობა ეწოდება, როდესაც ვინმე მიცვალებულის საფლავს თხრის და იქიდან ძვირფასეულობას იპარავს. ამავე დანაშაულზე საუბრობს გრიგოლ ნოსელიც თავის მე-7 კანონში და დამნაშავეებს ისევე, როგორც ბასილი დიდის წარმოდგენილი კანონი, ათწლიან ეპიტიმიას განუწესებს. ამ კანონის ზონარასეულ განმარტებაში ნათქვამია, რომ იგივე სასჯელს იმსახურებს საფლავის ქვების წამღებიც.* თუმცა, ამის შესახებ სხვაგვარად საუბრობს გრიგოლ ნოსელის მოხსენიებული კანონი, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ.

კანონი 67

ძმასა და დას შორის სისხლისაღრევა მკვლელებისათვის დადებულ სინანულის დროს მოითხოვს.

(ბასილი დიდის 75)

წინამდებარე კანონი საუბრობს სიძვის ცოდვაზე და-ძმას შორის, ერთი დედ-მამის შვილებზე, რაც წარმოადგენს „ნათესაურ სისხლაღრევას“ – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დამნაშავეებს ისეთივე სასჯელი განეწესებათ, როგორიც განზრახ მკვლელებს, ანუ ოცწლიანი განყენება წმინდა ზიარებიდან. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მათ თავი დაანებეს ამ უწმინდურ საქმეს. ეს წმინდა მამა თავისი 76-ე კანონით და-ძმას, მაგრამ არა ერთი დედ-მამის შვილებს, მსგავსი დანაშაულისათვის სხვა სასჯელს უწესებს.

*ათენის სინტაგმა, IV, 222.

კანონი 68

ქორწინებით ადამიანთა შეუღლება, რომლებიც ამისთვის აკრძალულ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან, თუკი შემჩნეული იქნება მომხდარი, როგორც ადამიანური ცოდვა, ექვემდებარება მრუშობისათვის განწესებულ ეპიტიმიას.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 23, 27, 75, 76, 78, 79, 87; ტიმოთე ალექსანდრიელის 11; თეოფილე ალექსანდრიელის 5)

ნათესაობის რომელ ხარისხებშია ქორწინება აკრძალული, – ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ ტრულის კრების 54-ე კანონში. ბასილი დიდი აქ განაწესებს, რომ ყველა ის პირი უნდა დაუქვემდებაროს სასჯელს, როგორც მრუშობისათვის, ვინც იცოდა, რომ არსებობდა მისი ქორწინებისათვის კანონიკური წინაღობა და მაინც დაქორწინდა; სასჯელი კი ითვალისწინებს წმინდა ზიარებიდან თხუთმეტწლიან განკანონებას.

კანონი 69

წიგნის მკითხველი, თუ ქორწინებამდე შეერთდება თავის დაწინდულთან, ერთი წლით მსახურებიდან განყენების შემდეგ, შეუდგეს კითხვას, მაგრამ დარჩეს მაღალ ხარისხებში აყვანის გარეშე. ხოლო თუ დაწინდვის გარეშე ფარულად შეერთდება, მაშინ დაე, მსხურებიდან განიძეოს. ასევე იპოდიაკონიც.

(მოც. 26; IV მსოფ. 14; ტრულ. 6, 13, 30; კართ. 16; ბასილი დიდის 3, 6, 32, 51, 70)

წიგნის მკითხველი, რომელსაც სქესობრივი კავშირი ექნება თავის საცოლესთან (მისივე თანხმობით), არ შეიძლება მეძავად ჩაითვალოს ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, რადგან ის არ ჩავარდნილა ცოდვაში მისთვის სრულიად უცხო ქალთან; თუმცა იმის გამო, რომ არ დაელოდა დაქორწინებას, უნდა დაისაჯოს ერთწლიანი ეპიტიმიით და მსახურებიდან განკანონდეს. ეპიტიმიის შემდეგ კვლავ შეიძლება იმავე ადგილზე მისი დაბრუნება, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხის მიღებას უკვე ველარ შეძლებს, ვინაიდან აღნიშნული მაგალითით აჩვენა, რომ არ არის მტკიცე ზნეობრივი პრინციპების მატარებელი. თუ რომელმე მკითხველი სქესობრივ კავშირს ამყარებს სხვა ვინმესთან, – არა თავის საცოლესთან, – მაშინ მისი საეკლესიო მსახურებაზე დატოვება საერთოდ აღარ შეიძლება და მაშინვე უნდა განძევდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ ქალთან მომავალში კანონიერად იქორწინებს. ამასთან, კანონი დასძენს, რომ ყველაფერი ეს ეხება აგრეთვე იპოდიაკონსაც, თუმცა ტრულის კრებიდან მოყოლებული (მე-6 კანონით) იპოდიაკვნებისათვის ამ საკითხმა სხვა მიმართულება მიიღო, კერძოდ: მათ აეკრძალათ დაქორწინება და, შესაბამისად, დაწინდვაც იპოდიაკვნის ხარისხის მიღების შემდეგ.

წინამდებარე კანონში მოხსენიებულია გარკვეული დანაშაულისათვის ერთი საგანგებო სასჯელი დასის წევრების მიმართ, კერძოდ ის, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ კლერიკოსი უნდა დარჩეს იგივე ხარისხში, რომელშიც იყო დანაშაულის ჩადენის მომენტში – ხარისხში ამაღლების უფლების გარეშე. აღნიშნულ სასჯელს კანონი უფარდებს წიგნის მკითხველებსა და იპოდიაკვნებს. ტრულის კრების მე-3

კანონი კი მსგავსი დანაშაულისათვის ასეთივე სასჯელს ადებს დიაკვნებსაც და მღვდლებსაც, და განაწესებს რომ „**ყველა ასეთი პირი ისჯება ღვთისმსახურებიდან მოკლევადიანი განყენებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ აღედგინონ თავიანთ წოდებაში, მაგრამ სხვა, უფრო მაღალ ხარისხში აყვანის აკრძალვით**“. მსგავსი სასჯელია განწესებული იუსტინიანეს ერთ-ერთი ნოველითაც, რომელიც აღმოსავლური ეკლესიის კანონიკურ კრებულებშიც შევიდა, მაგრამ ეს სასჯელი, როგორც ჩანს, დავიწყებულია ამ ეკლესიის სასამართლო პრაქტიკაში.

კანონი 70

დიაკონს, რომელიც ბაგეებით შესცოდავს და აღიარებს, დაე, აეკრძალოს მღვდელმსახურება, მაგრამ დიაკვნებთან ერთად ზიარების ღირსი დარჩეს. ზუსტად ასევე მღვდელსაც. ხოლო თუ ამაზე მეტ ცოდვაში იქნება ვინმე შემჩნეული, რომელ ხარისხშიც არ უნდა იყოს, დაე, განიკვეთოს.

(მოც. 25; IV მსოფ. 16; ტრულ. 4, 40, 44; ანკვირ. 19; ნეოკეს. 4; 16; ბასილი დიდის 3, 6, 32, 51, 69)

ზონარას განმარტების თანხმად, წინამდებარე კანონიკური სასჯელი განეწესება დიაკონს, რომელიც ქალთან თავის ურთიერთობაში მივიდა ვნებიან, სასიყვარულო კოცნამდე.* **ბალსამონის** მიხედვით, ეს ნიშნავს რაღაც უფრო უარესს, რაზედაც მიდიან აფროდიტეს ცეცხლით გახურებული ადამიანები, რომლებიც თავიანთ ბაგეებს იბილწავენ ქალთან კავშირში განსაკუთრებული სისაძაგლით.** იმ სასჯელის სიმძიმით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც წინამდებარე კანონი თავისი ბაგეების შემბილწველ დიაკონს უფარდებს, ვფიქრობთ, რომ მისაღებია ზონარას აზრი, ვინაიდან, ბალსამონის აზრს თუ გავიზიარებთ, მაშინ მსგავსი ცოდვისათვის დიაკონი საერთოდ ქრისტიანის სახელის ღირსიც არ არის, რამეთუ ასეთი საქციელის წარმოდგენა ძნელია თვით უბრალო და ყველაზე გახრწნილი ერისკაცის შემთხვევაშიც კი. თანაც, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ასეთი დიაკონი მთლიანად გახრწნილია სულითაც და ხორცითაც. სასჯელი, რომელსაც მსგავსი დანაშაულისათვის კანონი განუწესებს დიაკონს ან მღვდელს, მდგომარეობს მსახურების აკრძალვაში თავისი წოდების პატივისა და თანამუშაკებთან ერთად წმინდა ზიარების უფლების შენარჩუნებით. თუკი დიაკონი ან მღვდელი ჩაიდენს მსგავსი სახის უფრო დიდ ცოდვას, მაშინ სრულიად უნდა განიკვეთოს თავისი წოდებიდან და გადავიდეს ერისკაცთა რიგში. პირველ სასჯელთან დაკავშირებით, ზონარა ამბობს, რომ ის უნდა მოვიაზროთ, როგორც დიაკვნობის დროებითი აკრძალვა, რამეთუ ეს სავსებით საკმარისი სასჯელია მსგავსი ცოდვისათვის. თავის შეხედულებას იგი იმით ამტკიცებს, რომ კანონი დიაკვნობას საბოლოოდ უკრძალავს პირს, უფრო დიდი ცოდვისათვის და, შესაბამისად, იგივე სასჯელს ვერ დაუქვემდებარებს იმას,

*ათენის სინტაგმა, IV, 228.

**ათენის სინტაგმა, IV, 229-230.

ვინც ჩაიდენს აღნიშნულ ნაკლებ ცოდვას. სასჯელის ხანგრძლივობა კი, დროებით დიაკვნობის (მღვდელმოქმედების) აკრძალვა დამოკიდებულია მმართველი ეპისკოპოსის შეხედულებაზე. ზონარას ასეთი მსჯელობა, ნაკლები ცოდვისათვის სასჯელთან დაკავშირებით (თუ მივიღებთ, რომ ცოდვა იმაში მდგომარეობს, რაშიც მას კომენტატორი ხედავს), გამართლებულია ნეოკესარიის მე-4 კანონითაც, რომლის თანახმადაც საღმრთო მადლს უნდა მიეწეროს, რიდესაც ადამიანი მძიმე ცოდვაში არ ვარდება.*

კანონი 71

რომელიმე ზემოდასახელებულ ცოდვასთან შეხებაში მყოფი, რომელმაც არ აღიარა, მაგრამ მხილებულ იქნა, დაე, იმდენივე დრო დარჩეს ეპიტიმიის ქვეშ, რამდენსაც ბოროტების ჩამდენი იხდის.

ეს კანონი წარმოადგენს წინა კანონების (51-70) ერთგვარ, დასკვნით ნაწილს, და განაწესებს, რომ თითოეული იმათგანი, ვინც იცის ვინმეს მიერ ჩადენილი ისეთი ცოდვის შესახებ, რომლებიც ზემოაღნიშნულ კანონებშია მოხსენიებული, და არ სურს ეპისკოპოსს აცნობოს, ფარავს და ხელს უწყობს ცოდვილს, — ექვემდებარება იგივე სასჯელს, რასაც იმ ცოდვის ჩამდენი იმსახურებს.

წინამდებარე კანონი შეიცავს სამოქალაქო სისხლის სამართლის ძალიან მნიშვნელოვან განწესებას. წინა კანონებში ჩამოთვლილი დანაშაულებისათვის დამნაშავენი დადგენილ სასჯელს ექვემდებარებიან, მაგრამ იგივე სასჯელით ისჯებიან ისინიც, ვინც დანაშაულთან შეხებაში იყო. ანუ, ანკვირიის კრების 25-ე კანონის გამოთქმით — „თანადამნაშავენი". თანამონაწილეობის შესახებ სწავლება განვითარებულია რომის სამართალში, და ამ სწავლებამ გამოხატულება ჰპოვა წინამდებარე კანონში. თანამონაწილედ, ზოგადი გაგებით, ითვლება ყოველი, ვინც შეგნებულად ეხმარება მთავარ დამნაშავეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობა შეიძლება იყოს ორგვარი სახის: უშუალო, როდესაც გარკვეული პირი იწონებს და აქტიურად ეხმარება დამნაშავეს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შესრულებაში, და — მეშვეობითი ან ინტელექტუალური, როდესაც პირი შეგნებულად უბიძგებს ვინმეს დანაშაულის ჩადენისაკენ. თანამონაწილეობაა ისიც, როდესაც პირი დამნაშავეს ეხმარება ისეთი ქმედებით, რომელიც კავშირშია დანაშაულებრივ საქმესთან და სრულდება მისი უფრო იოლად აღსრულებისათვის, ან დანაშაულის დასაფარავად და დამნაშავის სასჯელისაგან დასახსნელად. თანამონაწილეობაში არიან დამნაშავენი ის პირებიც, რომლებიც მალავენ ამა თუ იმ დამნაშავეს, მის შესახებ არ ატყობინებენ მმართველ ხელისუფლებას და ყოველმხრივ ცდილობენ, მისგან სასჯელის არიდებას.

*სრახვით ამისთვის უკვე გამზადებული.

კანონი 72

ვინც გრძნეულებს ენდობა ან სხვა ვინმე მსგავსს, დაე, იმდენივე დრო დაჰყოს ეპიტიმიის ქვეშ, რამდენიც მკვლელისთვის არის განსაზღვრული.

(ტრულ. 61, 65; ანკვირ. 24; ლაოდ. 36; ბასილი დიდის 7, 65, 81, 83; გრიგოლ ნოსელის 3)

ვინც გრძნეულებთან და მათ მსგავსებთან ეძებს დახმარებას, თორმეტწლიანი ეპიტიმიით ისჯება.

კანონი 73

ვინც ქრისტეს განუდგა და დამნაშავე გახდა გამოხსნის საიდუმლოს წინააღმდეგ, იგი მთელი თავის ცხოვრება შეტირილთა რიგებში უნდა დარჩეს, და აღიაროს; ხოლო სიკვდილის წინ ელირსოს სიწმინდეთა ზიარებას, თუ ღვთის კაცთმოყვარეობის რწმენა ექნება.

(მოც. 62; I მსოფ. 10; ანკვირ. 1, 2, 3, 12; პეტრე ალექსანდრიელის 8, 10, 14)

განდგომილებთან მიმართებით, ანკვირიისა და პეტრე ალექსანდრიელის კანონები ისე მკაცრი არ არის, როგორც ბასილი დიდის წარმოდგენილი კანონი, რომელიც განაწესებს, რომ ქრისტესგან განდგომილი მთელი ცხოვრება უნდა დარჩეს სინანულის პირველ საფეხურზე, რაც ნიშნავს, რომ საეკლესიო მსახურებისას ყოველთვის უნდა იდგეს ეკლესიის კარიბჭის გარეთ და ცრემლით ევედროს ერთგულ მორწმუნეებს ილოცონ ღმერთის წინაშე მისთვის, და მხოლოდ სიკვდილის წინ შეუძლია ეზიაროს იმის რწმენით, რომ ღმერთი ცოდვებს შეუნდობს. ეს სიმკაცრე, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანკვირიის კრებისა და პეტრე ალექსანდრიელის უფრო მეტი ლმობიერება განდგომილთა მიმართ, აიხსნება დროის ვითარებით, კერძოდ იმით, რომ ბასილი დიდის დროს ქრისტიანული სარწმუნოება უკვე განმტკიცებული იყო მსოფლიოში, ამიტომ, შესაბამისად, განდგომილების უფრო მკაცრად დასჯა შეიძლებოდა, ვიდრე IV საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეკლესია ჯერ კიდევ იდევნებოდა და ბევრს ძალის გამოყენებით აიძულებდნენ განდგომას.

კანონი 74

ვინც არ უნდა იყოს ზემოაღწერილ ცოდვაში დაცემული, თუკი აღიარებს და გამოსწორების მოშურნე შეიქმნება, მაშინ ის, რომელმაც კაცთმოყვარე ღმერთისგან გახსნისა და შეკვრის ხელმწიფება მიიღო, განკითხვას არ დაიმსახურებს, – როცა დაინახავს რა შემცოდებლის უაღრესად გულწრფელ აღსარებას, გახდება მის მიმართ უფრო მოწყალე და ეპიტიმიას შეუმცირებს. რამეთუ წმინდა წერილის მონათხრობები გვიჩვენებს, თუ რაზომ სწრაფად იღებენ საღმრთო გულმოწყალებას აღსარების დიდ ღვაწლს შედგომილნი.

(I მსოფ. 12; IV მსოფ. 16; ტრულ. 102; ანკვირ. 5)

წინამდებარე კანონი მიეკუთვნება წმინდა ბასილის ამ ეპისტოლეში ჩამოთვლილ კანონთა (51-73) ჯგუფს. განაწესა რა ზემოთ ჩამოთვლილ კანონებში ეპიტიმიები სხვადასხვა ცოდვისათვის, ბასილი დიდი წინამდებარე კანონით უფლებას აძლევს ეპისკოპოსს, – რომელსაც ღმერთისგან მიეცა ხელმწიფება შეკვრისა და გახსნის, – მიუტეოს ცოდვილს, თუ იგი გულწრფელად ინანიებს და, შესაბამისად, შეუმციროს მის მიერ განწესებული ეპიტიმიის ვადები. ამის შესახებ იხ. აგრეთვე I მსოფლიო კრების მე-12 და ტრულის კრების 102-ე კანონების განმარტებები.

კანონი 75

ვინც თავის დასთან – მამის ან დედის მხრიდან – შეიბილწა, მას არ მიეცეს სამლოცველოში შესვლის უფლება, ვიდრე არ მიატოვებს ურჯულო და საძაგელ ქმედებას. ხოლო მას შემდეგ, რაც გააცნობიერებს საშინელ ცოდვას, სამი წელი დაე, იტიროს მან, სამლოცველო სახლის კარებთან მდგომმა, და სალოცავად შემსვლელთაგან ითხოვოს, რათა თითოეულმა თანაგრძნობით შესწიროს უფალს მისთვის გულმხურვალე ლოცვები. ამის შემდეგ, მომდევნო სამი წლით დაე, დაშვებულ იქნეს მხოლოდ წმინდა წერილის მოსასმენად, მოსმენისა და სწავლის შემდეგ კი, დაე, განიდევნოს ეკლესიიდან, და არ იქნეს ლოცვებში ერთობის ღირსი. მერმე, თუ კი ცრემლებით იქნება უფლისადმი შევრდომილი, შემუსვრილი გულითა და ღრმა სიმდაბლით, მიეცეს მას სხვა სამი წელი შევრდომისათვის. და ამგვარად, როდესაც გამოჩნდება ნაყოფნი ღირსნი სინანულისა, მეათე წელიწადს დაე, მიღებულ იქნეს ერთგულებთან ლოცვისათვის, ზიარების გარეშე: ორი წელი იდგეს ლოცვების დროს ერთგულების გვერდით, დაბოლოს, ყოველივე ამის შემდეგ, ეღირსოს წმინდა ზიარებას. *(ბასილი დიდის 67; გრიგოლ ნეოკეს. 11)*

თავისი 67-ე კანონით ბასილი დიდი განაწესებს ოცწლიან ეპიტიმიას და-ძმას შორის სისხლის აღრევის ცოდვისათვის. წინამდებარე კანონით იგი თორმეტწლიან ეპიტიმიას განუწესებს ძმას იგივე ცოდვისათვის, – თუ მხოლოდ დედით ან მამით არიან და-ძმანი. ეს სასჯელი ცოდვილმა საჯაროდ უნდა მოიხადოს, ანუ თანმიმდევრულად გაიაროს სინანულის თითოეული, ოთხივე საფეხური.

კანონი 76

იგივე განეწესება თავის რძალთან შეგინებულს.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 23, 27, 67, 68, 75, 78, 79, 87; ტიმოთე ალექსანდრიელის 11; თეოფილე ალექსანდრიელის 5)

ბასილი დიდი თორმეტწლიან ეპიტიმიას ავრცელებს აგრეთვე იმ პირების მიმართაც, რომლებიც თავიანთ რძლებთან ირყვნებიან.

კანონი 77

ვინც კანონიერად შეულლებულ ცოლს მიატოვებს და სხვას მოიყვანს, უფლის განჩინებისამებრ მრუშობისათვის სასჯელს ექვემდებარება (იხ. მათე, 19, 9). ჩვენი მამების კანონებით კი დადებულია, რომ ასეთბმა ერთი წელი იტირონ, ორი წელი ისმინონ, სამი — შევრდომაში გაატარონ, მეშვიდე წელი კი ერთგულებთან იდგნენ, და ასე იქმნენ ღირსნი წმინდა ზიარებისა, თუკი ცრემლებით მოინანიებენ.

(მოც. 48: ტრულ. 87, 93; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 35, 48, 58; ტიმოთე ალექსანდრიელის 15)

იხ. სხვათა შორის, მოც. 48-ე კანონის განმარტება. წინამდებარე კანონში ბასილი დიდი მოიხსენიებს ჩვენი მამების ძველ განწესებას, რომლის თანახმადაც შვიდწლიან ეპიტიმიას ექვემდებარება ყოველი, ვინც კანონიერ ცოლს დაუტევებს და სხვას მოიყვანს ცოლად. ბასილი დიდი იგივე ცოდვისათვის, უფლის სიტყვების საფუძველზე (მთ. 19, 9), განაწესებს თხუთმეტწლიან ეპიტიმიას, როგორც მრუშობისათვის.

კანონი 78

იგივე განწესება იქნეს დაცული იმის მიმართაც, ვინც თანამცხოვრებად ორ დას მოიყვანს, თუნდაც სხვადასხვა დროს.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 23, 87; თეოფილე ალექსანდრიელის 5)

თხუთმეტწლიანი ეპიტიმიით ისჯება, ვინც თავისი ყოფილი ცოლის დაზე დაქორწინდება. ამის შესახებ იხ. ამავე წმინდა მამის 87-ე კანონის განმარტება.

კანონი 79

თავის დედინაცვალთან შერყვნილი, იგივე კანონით ისჯება, როგორითაც თავის დასთან შერყვნილი.

(ბასილი დიდის 67, 75)

ბასილი დიდი იმას, ვინც თავის დედინაცვალთან ისიძვებს, თავის დასთან იგივე ცოდვის ჩამდენთან ათანაბრებს, ან მკვლელთან, და უქვემდებარებს ოცწლიან ეპიტიმიას.

კანონი 80

მრავალცოლიანობაზე მამებს არაფერი უთქვამთ, რადგან ეს არის პირუტყვული საქმე და სრულიად უცხო კაცთა მოდგმისათვის. ჩვენ კი ეს ცოდვა სიძვაზე უმძიმესად გვესახება. ამიტომ კეთილად განსჯილი იქნება

ასეთების დასჯა წესების თანახმად, ანუ ერთი წელი შეტირილებად დაჰყონ, სამი წელი — შევრდომილებად, და ამის შემდგომ შეიძლება მათი მიღება.
(მოკ. 48; ტრულ. 87; ბასილი დიდის 4, 9, 50, 77)

მრავალცოლიანობას კანონი უწოდებს არა მხოლოდ იმას, როდესაც ვინმეს ერთდროულად მრავალი ცოლი ჰყავს, არამედ, იმასაც, როდესაც გარკვეული პირი მრავალჯერ ქორწინდება. კანონების თანახმად, მხოლოდ პირველი ქორწინება ითვლება წმინდად და ღვთივკურთხეულად; მეორედ დაქორწინებული იმსახურებს კანონიკურ სასჯელს; მესამე ქორწინება ეკლესიაში უკვე ითვლება უწმინდურად და შეიძლება მხოლოდ მოთმენილ იქნეს, რამეთუ ის მაინც უკეთესია, ვიდრე აღვირახსნილი სიძვა (იხ. ბასილი დიდის 4, 50). ყოველ შემდგომ ქორწინებას ეწოდება მრავალცოლიანობა და ბასილი დიდი მას პირუტყვულ და არაადამიანურ საქმედ თვლის, და მას სიძვაზე უარეს ცოდვად მიიჩნევს. მრავალცოლიანობისათვის, ანუ ყოველი ქორწინებისათვის მესამის შემდეგ, წმინდა ბასილი ოთხწლიანი ეპიტიმიით სჯის. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ოთხი წელი არის სრული ეპიტიმია მრავალცოლიანობისათვის. **ზონარას** განმარტების თანახმად, ამ ოთხი წლიდან პირველ წელიწადს ცოდვილები ატარებდნენ სინანულის პირველ საფეხურზე, დანარჩენი სამი წელიწადი უნდა მდგარიყვნენ შევრდომილებთან ერთად, კათაკმეველთათვის ლოცვების შემდეგ კი, ტაძრიდან გასულიყვნენ. მხოლოდ ოთხწლიანი ეპიტიმიის შემდეგ დაიშვებოდნენ ისინი ტაძარში ერთგულ მორწმუნეებთან ერთად ლოცვაზე, ანუ სინანულის მეოთხე საფეხურზე, სადაც ისინი იქამდე უნდა დარჩენილიყვნენ, სანამ ამას მათი ეპისკოპოსი ჩათვლიდა საჭიროდ, რომელიც გამოიკვლევდა მონანულის სიწრფელესა და გულმოდგინებას, და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა წმინდა ზიარების მიღების უფლებას.*

კანონი 81

რადგანაც ბარბაროსების შემოსევისას, ბევრმა ჩაიდინა ღვთის რწმენის საწინააღმდეგო დანაშაული, იფიცებოდნენ რა წარმართული ფიცით და ჭამდნენ მოგვების მიერ კერპებისათვის შეწირულ სხვადასხვა შებილწულ საჭმელს, ამიტომ ასეთებს უნდა მოვეპყრათ მამების მიერ უკვე გამოცემული კანონებისა და განწესებებისამებრ. ვისაც მძიმე სატანჯველი შეემთხვა, ვერ გაუძლო და ქრისტეს უარყოფამდე მივიდა, სამი წელი დაე, მიულებელნი იყვნენ ეკლესიაში, რის შემდეგაც ორი წელი წმინდა წერილი ისმინონ, სამი — დაე, შეუვრდნენ, და მაშინ შეიძლება მიღებულ იქნენ ერთობაში. ხოლო ვინც დიდი შეჭირვების გარეშე უღალატა ღვთის რწმენას, შეეხო ეშმაკის ტაბლას და წარმართული ფიცით იფიცებოდა, ასეთებმა, დაე, სამი წელი ეკლესიიდან განკვეთაში დაჰყონ, ორი — წმინდა წერილის მსმენელებად, სამი წელი დაე, შევრდომილებთან ილოცონ, სხვა სამი წელი ლოცვების დროს ერთგულებთან დადგნენ, და ამის შემდეგ, უკვე, შეიძლება მათი მიღება წმინდა საიდუმლოთა საზიარებლად.

*ათენის სინტაგმა, IV, 243.

(მოკ. 62; I მსოფ. 10, 11, 12; ანკვირ. 1-9; პეტრე ალექსანდრიელის 2 და შემდგ.; ბასილი დიდის 73, 82)

განდგომილებთან მიმართებით, რომლებიც ინანიებენ და ეკლესიას უბრუნდებიან, ბასილი დიდი განაწესებს, რომ იმ კანონებს უნდა ჰქონდეთ ძალა, რომლებიც უკვე გამოცემულია ჩვენი მამების მიერ, კერძოდ: ანკვირიის კრების კანონებს, სადაც დაწვრილებით არის ნათქვამი, როგორ უნდა მოეპყრან იმათ, რომლებმაც დეენილობის ჟამს კერპებს სცეს თაყვანი. ამ განდგომილებში, – რომელთა შესახებაც წინამდებარე კანონში ბასილი დიდი საუბრობს და რომლებსაც ანკვირიის კრების კანონებთან თანხმობაში შესაბამის ეპიტიმიებს განუწესებს, – ისეთები იგულისხმებიან, რომლებმაც სასტიკი დევნა გადაიტანეს და საკუთარი სისუსტით დაუთმეს ძალადობას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება არცთუ ძლიერ ძალადობას ჰქონოდა ადგილი; იმ განდგომილთა მიმართ კი, რომლებმაც ძალადობის გარეშე, საკუთარი ნებით უარყვეს ქრისტე, ბასილი დიდი თავისი 73-ე კანონით განაწესებს სინანულს მთელი ცხოვრების განმავლობაში და მხოლოდ სიკვდილის წინ აძლევს მათ წმინდა ზიარების მიღების უფლებას.

კანონი 82

რაც შეეხება ფიცის დამრღვევებს, თუკი ძალადობითა და შეჭირვებით დაარღვიეს ის, ექვემდებარებიან ნაკლებად მძიმე სასჯელს, და ექვსი წლის შემდეგ შეიძლება სრულ ერთობაში იქნენ მიღებულნი. შეჭირვების გარეშე თავისი სარწმუნოების მოღალატემ კი, ორი წელი დაე, შეტირილად დაჰყოს, და ორი – მსმენელად. მეხუთე წელს დაე, ილოცოს შევრდომილებთან ერთად, და კიდევ ორი წელი ლოცვით ერთობაში მიიღებოდეს – ზიარების გარეშე, და ამგვარად, აჩვენებს რა ღირსეულ სინანულს, საბოლოდ აამაღლებენ მას უფლის ხორცის საზიარებლად.

(მოკ. 25; ტრულ. 94; ბასილი დიდის 10, 17, 29, 64)

თავის 64-ე კანონში, ბასილი დიდი ათწლიან ეპიტიმიას განუწესებს ფიცის დამრღვევებს; წინამდებარე კანონში კი იგი განასხვავებს: იმათ, ვინც ძალდატანებით დაარღვია ფიცი, ექვსწლიან ეპიტიმიას განუწესებს, ხოლო, ვინც ყოველგვარი ძალადობის გარეშე – თერთმეტწლიანს.

კანონი 83

გრძნების მოქმედნი და წარმართულ ჩვეულებათა მიმდევარნი, ან ასეთების საკუთარ სახლში შემომყვანებელნი – მისნობისა და განწმენდისათვის, დაე, ექვსწლიან განწესებას დაექვემდებარონ: წელიწადი შეტირილებად დაჰყონ, წელიწადი – მსმენელებად, სამი წელი – შევრდომილებად, და ერთი წელი ერთგულების გვერდით იდგნენ, და ამგვარად მიიღებოდნენ.

(ტრულ. 61, 65; ანკვირ. 24; ლაოდ. 36; ბასილი დიდის 65, 72)

წარმოდგენილი კანონის თანახმად, ვისაც გრძნეულების სჯერა, ექვსწლიან ეპიტიმიას იმსახურებს, ხოლო ამავე წმინდა მამის 65-ე კანონით, ოცწლიანი ეპიტიმიით ისჯება ის, ვინც თავად იყო ამ საქმიანობით დაკავებული.

კანონი 84

ყოველივე ამას ვწერთ იმის გამო, რომ სინანული გამოიცადოს. რამეთუ ჩვენ არამარტო დროით ვმსჯელობთ ამის შესახებ, არამედ სინანულის ხარისხსაც ვუმზერთ. თუკი ვინმე დაუძლეველად დგას თავის ზნეობაზე და ურჩევნია ხორცის სიამოვნებას ემსახუროს, ვიდრე უფალს, და არ იწყნარებს სახარებისეულ ცხოვრებას, მაშინ ასეთთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს. რამეთუ დაუმორჩილებელ და მოდავე ერში ჩვენ ამის მოსმენა გვისწავლია: *„ცხოვნებით აცხოვნე სული შენი“* (დაბადება, 19, 17)

(I მსოფ. 12; ტრულ. 102; ბასილი დიდის 3, 74, 85; გრიგოლ ნოსელის 4, 5)

თავის 74-ე კანონში ბასილი დიდი ეპიკოპოსების ხელმწიფებას გადასცემს ეპიტიმიის ვადების შემცირებას იმათთვის, ვინც გულწრფელად მოინანია. წინამდებარე კანონში კი განაწესებს, რომ ეპიტიმიიდან არ გაათავისუფლონ ის პირები, რომლებიც არ ამყლავნებენ წმინდა სინანულის ნაყოფს, და დატოვონ ეპიტიმიის ქვეშ, უფრო მეტიც, – ასეთი გამოუსწორებელი ცოდვილები საერთოდ უნდა მიატოვონ ბედის ანაბარა, რადგან მათთან მუდმივი ურთიერთობის დროს, შეიძლება საკუთარი სულის საფრთხეში ჩაგდება (შდრ. დაბ. 19, 17).

კანონი 85

ამდენად, კი ნუ დავუშვებთ, რომ ასეთებთან ერთად ჩვენც წარვწყმდეთ, არამედ გვეშინოდეს მძიმე სასჯელისა, თვალწინ გვედგას საშინელი დღე უფლის მისაგებელისა და ნუ მოვინდომებთ სხვის ცოდვებთან ერთად დაღუპვას. უკუეთუ ვერ განვსწავლულვართ უფლის საშინელი განჩინებით, და ამდენმა დარტყმებმა გონს ვერ მოგვიყვანა და ვერ შეგვაგონა, რომ ჩვენი ურჯულოების გამო მიგვატოვა უფალმა და ბარბაროსების ხელთ გადაგვცა, და რომ ხალხი ტყვედ წაასხა მტერმა და გაფანტა, ვინაიდან ასეთ საქმეებზე გაკადნიერდნენ ქრისტეს სახელის მატარებელნი; უკუეთუ ვერც გააცნობიერა, ვერც მიხვდა, რომ ამისთვის გარდამოვიდა ჩვენზედ ღვთის რისხვა, მაშინ რაღა გვაქვს მათთან საერთო? მაგრამ დღისითაც და ღამითაც, საჯაროდაც და ცალკეც, ჩვენ უნდა დავუმოწმოთ მათ ჭეშმარიტება; მაგრამ, ნუ იყოფინ, რომ გატაცებულ ვიქნეთ მათი ურჯულოებით, უმეტესად კი ვილოცოთ, რათა შევიძინოთ ისინი და ამოვიყვანოთ მზაკვრის მახედან. ხოლო, თუ ამას ვერ შევძლებთ, ვისწრაფვოთ, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი სულები მაინც ვიხსნათ საუკუნო სასჯელისაგან.

(I მსოფ. 12; ტრულ. 102; ბასილი დიდის 3, 84)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს 84-ე კანონის გაგრძელებას, ამიტომ რუსულ „კორმჩაიაში“ ორივე კანონი ერთ (84-ე) კანონადაა გაერთიანებული.* ისინი წარმოადგენს ამფილოქეს მიმართ ბასილი დიდის მესამე კანონიკური ეპისტოლეს დასკვნით ნაწილს. წინამდებარე 85-ე კანონი შეიცავს ეპისკოპოსების მიმართ დარიგებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოექცნენ ცოდვილებს, კერძოდ: მტკიცედ უნდა იდგნენ წმინდა კანონების განწესებათა ნიადაგზე და ყოველმხრივ იზრუნონ მათი გადარჩენისათვის, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში უნდა ეცადონ, რომ თავად არ დასნებოვდნენ ცოდვით და მარადიული სატანჯველისაგან, უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარი სული მაინც გადაირჩინონ.

სხვა კანონიკური ეპისტოლედან წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა იკონიის ეპისკოპოსის, ამფილოქეს მიმართ

კანონი 86

გამორჩეულ ენკრატიტებს (თავშემკავებლებს) მათ მნიშნელოვან შესიტყვებაზე, თუ რატომ არც ჩვენ ვჭამთ ყოველივეს, ასეთი პასუხი უნდა გაეცეთ: ჩვენ ჩვენი გამონაყოფიც გვძაგს. რამეთუ ღირსების მიხედვით, ჩვენთვის ბალახეული მწვანილიც ისეთივეა, როგორც ხორცი. მაგრამ, რაც შეეხება სასარგებლოს, როგორც მწვანილში ვარჩევთ ერთმანეთისგან მავნებელსა და მარგებელს, ისევე გამოვყოფთ ხორცშიც — მარგებელს მავნებელისგან. ვინაიდან კონიონიც მწვანილია და ძერის ხორციც ხორცია, მაგრამ საღი აზროვნების მქონე არავინ შეჭამას ლენცოფას, არც ძაღლის ხორცს მიეკარება, თუ არა უდიდეს გაჭირვებაში. ამიტომ მის მჭამელს არ შეუცოდავს.

(მოკ. 51, 53; ანკვირ. 14; ღანგ. 2; ბასილი დიდის 1, 28, 47)

წინამდებარე კანონი აღებულია ბასილი დიდის ეპისტოლედან, რომელიც მის მიერ გაგზავნილია ამფილოქე იკონიელის მიმართ 376 წელს. ის ეხება იმავე ენკრატიტებს, რომელთა შესახებაც წმინდა ბასილი საუბრობს თავის 1 და 47-ე კანონებში. ენკრატიტები თავს იკავებდნენ ხორცის ჭამისგან, იმავდროულად, მართლმადიდებლებს საყვედურობდნენ, რომ ისინიც ერიდებიან ზოგიერთ კერძს. სწორედ ამ ცილისწამების უარყოფას შეიცავს წინამდებარე კანონი.

*ანალოგიურად არის ქართულ „დიდ სჯულისკანონშიც“.

ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი. კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა ტარსის ეპისკოპოს დიოდორეს მიმართ

შესავალი

ჩვენამდე მოვიდა წერილი, რომელსაც დიოდორეს ხელმოწერა ჰქონდა; დანარჩენი მასში სხვა ვინმეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დიოდორეს. რამეთუ ვგონებ, ვინმე ცბიერმა, შენი სახელის მითვისებით გადაწყვიტა მსმენელის წინაშე თავისი სიტყვები სარწმუნო გაეხადა. მას მავანი ეკითხება, დასაშვებია თუ არა გარდაცვლილი ცოლის დასთან შეუღლება. და იმის ნაცვლად, რომ ამ შეკითხვას შეეძრწუნებინა, იგი გულგრილად იღებს გაგონილს და შემკითხველს საკმაოდ გაბედულად და ძალისხმევით უბამს მხარს ამ სამარცხვინო გულისთქმაში. ახლა რომ ეს წერილი მქონდეს, აუცილებლად გამოგიგზავნიდი და საკუთარი ძალებით დაიცავდი შენს თავსაც და ჯეშმარიტებასაც. მაგრამ, რამდენადაც იმან, ვინც წერილი მაჩვენა, უკან წაიღო, და როგორც ჩემზე გამარჯვების ერთგვარ ნიშანს, — რომელიც მანამდე მსგავს ქორწინებებს ვრძალავდი, — ყველგან თან დააატარებს და ამბობს, რომ აქვს ამაზე წერილობითი ნებართავა. ამიტომ გწერ ამჟამად, რომ საკუთარი ხელით შევიარაღდეთ ამ ყალბი წერილის წინააღმდეგ და გამოვაცალოთ მას ყოველგვარი ძალა, რათა ვერ შესძლოს იოლად აენოს მკითხველს.

კანონი 87

ამდენად, პირველი, და თანაც ამგვარ საქმეებში ფრიად მნიშვნელოვანი, რაც შეგვიძლია შევთავაზოთ, ეს არის ჩვენთან დაცული ჩვეულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, რადგან ეს დადგენილებანი წმინდა მამებისგან გადმოგვეცა. ჩვეულება კი ასეთია: თუ ვინმე, უწმინდური ვნებით შეპყრობილი, ჩავარდება უწესო კავშირის ცოდვაში ორ დასთან, მაშინ ეს ქორწინებად არც კი ითვლება და ეკლესიის შეკრებაში ასეთები მანამ არ მიიღებიან, ვიდრე ერთმანეთს არ დაშორდებიან. ამიტომ, სხვა არაფრის თქმაც რომ არ შეიძლებოდეს, ეს ჩვეულებაც საკმარისია ბოროტების საწინააღმდეგოდ. მაგრამ რადგანაც წერილის დამწერს მცდელობა ჰქონდა, რომ ცრუ დასაბუთებით ცხოვრების წესად ექცია მსგავსი სისაძაგლე, ამიტომ გვმართებს გონიერება მოვიკრიბოთ, თუმცა დღესავით ნათელ საქმეებში წინასწარი აზრი ყველასათვის უფრო ძლიერია, ვიდრე ფხიზელი მსჯელობა. ასე, ლევიტელთა წიგნში წერიაო, ამბობს იგი: „*და ცოლად დაი ცოლისა შენისა შენსა არა მოიყვანო საწოლსა ზედა ხარჭად სიცოცხლესა მისსა გამოცხადებად სარცხუცნელი მისი*“ (ლევ. 18, 18), და აქედან თითქოს ცხადი ხდება, რომ ნებადართულია ცოლის სიკვდილის შემდეგ მისი დის შერთვა. ამაზე პირველ რიგში იმას ვუპასუხებ, რომ „*რაოდენსა შჯული*

იტყჳს, მათ ეტყჳს, რომელნი-იგი შჯულსა ქვეშე არიან“ (რომ. 3, 19). რამეთუ სხვაგვარად ჩვენ წინადაცვეთა უნდა ჩაგვეტარებინა, შაბათის უქმობა დაგვეცვა და ზოგიერთ კერძსაც მოვრიდებოდით. მაგრამ, ნუთუ ჩვენ, როდესაც ჩვენი სიამტკბილობის დასაკმაყოფილებლად რამე გვჭირდება, რჯულის უღელს უნდა დავემორჩილოთ, ხოლო როცა რომელიმე მისი განწესება ძნელი მოგვეჩვენება, მაშინ ქრისტეში არსებული თავისუფლებისკენ მივემართოთ? ჩვენ გვეკითხებოდნენ, იძლევა თუ არა წმინდა წერილი ცოლის შემდეგ მის დაზე დაქორწინების უფლებას? ჩვენ ვპასუხობდით: არა, — რაც უხიფათოც არის ჩვენთვის და ჭეშმარიტებაც; მაგრამ კეთილად მოჩვენებული დასკვნით აზრის დაწესება იმის თაობაზე, რაზედაც საღმრთო წერილი დუმს, ეს ნიშნავს რჯულმდებლობას და არა რჯულის დამოწმებას. რამეთუ ამის დაწესებით, ვინმე კადნიერს ნება მიეცემოდა ცოლის სიცოცხლეშიც შეერთო მისი და, რადგან ასეთი ცრუმსჯელობის მისადაგება ამ შემთხვევისთვისაც შეიძლება. დაწერილიაო, იტყვის იგი: „*არა მოიყვანო საწოლსა ზედა ხარჭად* “, შესაბამისად, რჯული არ კრძალავს მოიყვანო, თუ ეჭვიანი არ არისო* ამიტომ ვნების დამცველი ამბობს, რომ დებს არა აქვთ ეჭვიანი ხასიათიო. ამდენად, როდესაც არ არსებობს ორივესთან თანაცხოვრების ამკრძალავი მიზეზი, მაშინ რა უშლის ხელს ორივე დასთან შეუღლებას? ეს არ წერიაო, ვიტყვით ჩვენ, მაგრამ არც ის არის განსაზღვრული. ამ დასკვნიდან გამომავალი აზრი კი ერთის ნებასაც იძლევა და მეორისაც. გვმართებდა ოდნავ უკან მიბრუნება, იქით, რაც წინ უსწრებს რჯულის ამ გამონათქვამს და ამით გაგვეფანტა ეს გაურკვევლობა. რამეთუ შენიშნულია, რომ რჯულმდებელი ცოდვის ყველა სახეს არ განიხილავს, არამედ საგანგებოდ ეხება ეგვიპტელთა ცოდვებს, — საიდანაც გამოვიდა ისრაელი, და ქანაანელთა, — სადაც იგი უნდა შესულიყო. რადგან იკითხება ასე: „*მსგავსად სლვათა მათ ქუეყანასა ეგჳპტელთასა, რომელთა შორის დამკჳდრებულ იყუენით თქუენ, ეგრე არა ჰყოთ მსგავსად სლვისა მის ქუეყანასა ქანაანელთასა, ვიდრე იგი შეგიყვანნე თქუენ მუნ, არა ჰყოთ, და შჯულსა მათსა არა ხვიდოდით*“ (ლევ. 18, 3). როგორც ჩანს, ცოდვის ამ სახეს არ ჰქონია მაშინ ადგილი წარმართთა ცხოვრებაში, ამიტომაც რჯულმდებელს არ დასჭირვებია ერის მისგან დაცვა, — საკმარისი იყო სწავლების წინმსწრები ჩვეულება ამ სისაძაგლის უარსაყოფად. მაგრამ რატომ დადუმდა ნაკლებზე, როდესაც აკრძალა უმეტესი? იმიტომ, რომ ბევრ ხორცისმოყვარეს, პატრიარქის მაგალითში, — ცოლის სიცოცხლეშივე მისი დის შერთვასთან დაკავშირებით, — თავისთვის საზიანო დაენახა. ჩვენ კი რისი ქმნა გვმართებს? დაწერილი ვილაპარაკოთ, თუ დადუმებული ვეძიოთ? რამეთუ აღნიშნულ კანონებში არც ის წერია, რომ მამა და ძე ერთ ხარჭთან არ უნდა შევიდნენ, მაგრამ წინასწარმეტყველთან ეს უდიდეს სასჯელს იმსახურებს. ამბობს: „*ძე და მამა მისი შევიდოდეს მისვე მჭეველისა მიმართ,*

*სათარგმნ წყაროში ნაცვლად: „ხარჭად“, გვხვდება: „ეჭვიანი მეტოქე“, „ревнивуя соперница“.

რათა შეაბილწონ სახელი ღუთისა მათისა“ (ამოსი 2, 7). და კიდევ რამდენი უწმინდური ვნების სახე მოიგონა ეშმაკის სასწავლებელმა, რომელთა შესახებაც წმინდა წერილი დუმს? არ სურდა რა დაერღვია თავისი წმინდა მნიშვნელობა სისაძაგლეებისათვის სახელწოდებების მინიჭებით, მან უწმინდურობას ზოგადი სახელი მისცა, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: „*სიძვაჲ და ყოველი არაწმიდებაჲ გინა ანგაჰრებაჲ ნუცარა სახელ-ედებიან თქუენ შორის, ვითარცა შუენის წმიდათა*“ (ეფეს. 5, 3). „არაწმიდების“ სახელქვეშ იგი აერთიანებს მამაკაცებისა და დედაკაცების სხვადასხვა ქმედებებს, რომლებიც სახელწოდების ღირსიც კი არ არიან. ასე რომ, დუმილი არ იძლევა სიამტკბილობის უფლებას. მე კი ვიტყვი, რომ რჯულმდებელი არ დადუმებულა ურჯულოების ამ სახეობაზე, არამედ ძალიან მკაცრადაც აკრძალა იგი. რამეთუ სიტყვები: „*კაცად კაცადი ყოველივე თჳსსა ჰორცსა არა მოუხდეს გამოცხადებად მარცხუჱნელისა*“ (ლევ 18, 6), ამ სახის ნათესაობას მოიცავს. რადგან ქმრისთვის ვინ უნდა იყოს თავის ცოლზე უფრო ახლობელი, ანუ – თავის ხორცზე? ისინი ხომ უკვე ორნი კი არა, ერთხორც არიან. ამგვარად, ცოლის მეშვეობით, მისი დაჲ უნათესავდება ქმარს: როგორც არ შეუძლია მას თავისი ცოლის დედაზე იქორწინოს, ან მის ასულზე, რადგან არ შეუძლია – საკუთარ დედაზე ან მის ასულზე, ასევე არ შეუძლია თავისი ცოლის დის მოყვანა, იმიტომ, რომ არ შეუძლია საკუთარი დის მოყვანა; და პირიქით, ცოლისთვისაც დაუშვებელია ქმრის ნათესავებთან თანაცხოვრება, რადგან ნათესაობის სამართალი ორივესთვის საერთოა. მე კი თითოეულს, ვინც ქორწინებასთან დაკავშირებით რჩევას მეკითხება, ვუმოწმებ, რომ „*წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ. ჯამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან; და რაჲთა რომელთა ესხნენ ცოლ, ესრეთ იყვნენ, ვითარმცა არა ესხნეს*“ (1 კორ. 7, 31, 29). თუკი ვინმე შემეპასუხება და შემდეგ ნათქვამს წარმომიდგენს: „*აღორძინდით და განმრავლდით*“ (დაბ. 1, 28), მაშინ მე გამეცინება იმაზე, ვინც ვერ ასხვავებს რჯულის დადების ჟამს. მეორედ ქორწინება არის სიძვის წინააღმდეგ სამკურნალო საშუალება, და არა – სიამტკბილობის წაქეზება. ნათქვამია: „*უკუეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინნედ*“ (1 კორ. 7, 9). მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ უნდა იურჯულონ. ხოლო ისინი, რომლებიც სულს იბილწავენ უწმინდური ვნებებით, არც ბუნებას აქცევენ ყურადღებას, ძველთაგანვე რომ ასხვავებდა ნათესაობის გვარობას. საინტერესოა, რა გვარობის ნათესავებს დაარქმევენ ორი ასეთი ქორწინებიდან დაბადებულებს? ძმებს უწოდებენ მათ თუ დეიდაშვილებს, რადგან აღრევის მიზეზით მათთვის ერთის წოდებაც შეიძლება და მეორისაც. არ ჰყო, ადამიანო, შენი შვილების დეიდა მათ დედინაცვალად, და იმას, ვინც გარდაცვლილი დედის ნაცვლად უნდა მოეფეროს მათ, ნუ აღჭურავ დაუცხრომელი ეჭვით. რადგან დედინაცვალის ერთი ეჭვი საფლავს იქითაც ავრცელებს სიძულვილს, ან უფრო მეტიც: ყოფილი მტრები მკვდრებს ურიგდებიან, დედინაცვალნი კი სიკვდილით იწყებენ სიძულვილს. ხოლო მთავარი ზემოთქმულიდან შემდეგია: ვისაც კანონიერი ქორწინება სურს, მისთვის მთელი სამყარო ხსნილია;

მაგრამ თუკი მის სურვილს ვნება მართავს, მაშინ მით უმეტეს უნდა აეკრძალოს მას ქორწინება, რათა ისწავლოს *„თავისი თესისა ჭურჭელი მოგებად სიწმიდით და პატივით, ნუ ვნებითა გულის თქუმისაჲთა“* (1 თეს. 4, 4, 5). მინდა მეტი ვთქვა, მაგრამ წერილის ზომა მაკავებს. ვისურვებდი, რომ ან ჩემი შეგონება აღმოჩნდეს ვნებაზე ძლიერი, ან ეს ურჯულოება არ დათესილიყო ჩვენს სამთავროში, არამედ დარჩენილიყოს იმ ადგილებში, სადაც მასზე გაკადნიერდნენ.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 23, 68, 76, 78; ტიმოთე ალექსანდრიელის 11)

წინამდებარე კანონი შედგენილია ტარსელი ეპისკოპოსის დიოდორეს მიმართ ბასილი დიდის ერთი ეპისტოლედან (დაახ. 373 წ.). ბალსამონის სიტყვებით, მავანი შეეკითხა ეპისკოპოს დიოდორეს, შეუძლია თუ არა თავისი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მის დასთან იქორწინოს. ეპისკოპოსმა წერილობით უპასუხა, რომ შეუძლია, რამეთუ არ არსებობს ამისთვის რაიმე კანონიკური წინაღობა.* იმავდროულად, ბასილი დიდმა გამოსცა მსგავსი ქორწინებების აკრძალვის მკაცრი განწესება და ამ დროს მას აცნობეს თუ რა დაწერა ამის შესახებ დიოდორემ. ამ ეპისტოლეს შესავალში, ბასილი დიდი თავს ისე აჩვენებს, თითქოს არ სჯერა, რომ ეს დიოდორემ დაწერა და არა სხვა ვინმემ. აქ წმინდა ბასილი საფუძლიანად ამტკიცებს, რომ უპირობოდ უნდა აეკრძალოს ქვრივ მამაკაცს გარდაცვლილი ცოლის დასთან ქორწინება.

ეს აკრძალვა რომ საღმრთო სამართალს ეფუძნება, ჩვენ უკვე ვიხილეთ მოციქულთა მე-19 კანონის განმარტებაში, ხოლო პირი, რომელიც ასეთ ქორწინებაზე გაკადნიერდება, სიცოცხლის ბოლომდე რომ წმინდა ზიარებას ვერ ეღირსება, ამას გვეუბნება ანკვირიის კრების მე-2 კანონი. აღნიშნული ქორწინების უკანონობას ბასილი დიდი ამტკიცებს, პირველ რიგში, ეკლესიაში დამკვიდრებული ჩვეულებით, შემდეგ წმინდა წერილიდან მოხმობილი ციტატებით, დაბოლოს, არასწორი ოჯახური ურთიერთობებით, რაც, შეიძლება, ასეთი სახის ქორწინებამ გამოიწვიოს.

ჩვეულებასთან დაკავშირებით, ბასილი დიდი ამბობს, რომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საკითხში არის – ყურადღების გამახვილება ჩვეულებაზე, რადგან ჩვეულებას კანონის ძალა აქვს. მას ეკლესიაში ყოველთვის კანონის თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა, თუკი ეკლესია მის გამამართლებელ საფუძველს ხედავდა და თუ იგი განწმენდილი იყო ხანგრძლივი პრაქტიკული გამოყენებით. ჩვეულების კანონიერი ძალისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობის წესად მიღებული იყო ბერძნულ-რომაული კანონმდებლობის განწესებანი, რომელთაგან ზონარა თავის განმარტებაში რამდენიმეს იშველიებს.** ჩვეულებრივი სამართლის

*ათენის სინტაგმა, IV, 259.

**მაგალითად: „რასთან დაკავშირებითაც არ არსებობს დაწერილი კანონი, უნდა იყოს დაცული ჩვეულება... ძველი ჩვეულებები გამოიყენება კანონის თანასწორად... ხანგრძლივ ჩვეულებებს კანონის ძალა აქვთ იქ, სადაც არ არის კანონები წერილობითი სახით... ხანგრძლივი ჩვეულებით დამტკიცებული და მრავალი წლის განმავლობაში შენარჩუნებული, დაწერილ კანონებზე არანაკლებ მნიშვნელობისაა“. ათენის სინტაგმა, 1, 39.

მიხედვით, წმინდა ბასილის სიტყვებით, ორ დასთან ქორწინებას უკანონო ურთიერთობა ეწოდება და არასდროს ითვლებოდა ქორწინებად. ის, ვინც ერთ დაზე იყო დაქორწინებული და მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე დაზე დაქორწინდა, ეკლესიაში შესვლის უფლებასაც კი კარგავდა, ვიდრე არ განეშორებოდა იმას, ვისთანაც უკანონოდ ცხოვრობდა. მარტო ამის საფუძველზეც კი, სხვა მტკიცებულებაც რომ არ არსებობდეს, – აგრძელებს ბასილი დიდი, – ყველასათვის ცხადი ხდება, თუ რაზომ ბოროტებაა ამგვარი ქორწინება. იმის გამო, რომ თავისი აზრის გასამართლებლად დიოდორე ეყრდნობა წმინდა წერილის ზოგიერთ ადგილს, ამიტომ ბასილი დიდიც წმინდა წერილს მიმართავს და დახვეწილად აანალიზებს შესაბამის ადგილებს.

დიოდორემ მოიყვანა სიტყვები ლევიტელთა წიგნიდან (18, 18), სადაც ნათქვამია, რომ მამაკაცმა არ უნდა მოიყვანოს ცოლად ის, ვინც თავისი დის მიმართ იეჭვიანებს, არც იურთიერთოს ასეთთან, ვიდრე მისი და ცოცხალია, და აქედან დასკვნა გამოიტანა, რომ ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მის დაზე დაქორწინება. ამაზე ბასილი დიდი უპირველესად პასუხობს პავლე მოციქულის სიტყვებით (რომ. 3, 19), რომ რჯული, თუკი რამეს ამბობს, რჯულქვეშ მყოფთათვის ამბობს, რადგან ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ წინადაცვეთა უნდა ჩაგვეტარებინა, შაბათის უქმე გვედღესასწაულა და გარკვეული კერძებისაგან თავი შეგვეკავებინა. ეს კი იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ძველი აღთქმიდან გვსურს იმის მიღება, რაც მოგვწონს, სხვა დანარჩენი კი, რაც არ მოგვწონს, გვერდზე გვინდა გადავდოთ და ქრისტეს რჯულით შევცვალოთ. კითხვა დამისვეს, – აგრძელებს წმინდა ბასილი, – იძლევა თუ არა წმინდა წერილი ყოფილი ცოლის დაზე დაქორწინების უფლებას, და მე ვუპასუხე, რომ არ იძლევა, და ეს წმინდა სიმართლეა; ხოლო იქიდან, რაც „უთქმელია“, გამოპყავს დასკვნა, ანუ ამბობს: „თუკი კანონი კრძალავს ჯერ კიდევ ცოცხალი ცოლის დაზე დაქორწინებას, რათა ეჭვი არ გააღვივოს, მაშინ, აქედან გამომდინარე, ამის გაკეთება შეიძლება, როდესაც ის მოკვდება, რამეთუ მაშინ ეჭვის მიზეზი აღარ ექნება, – ხომ არ ნიშნავს ეს თავის თავზე კანონმდებლის როლის აღებას, საკუთარი კანონების შემოღებას და არსებული კანონების უგულებელყოფას? ვინაიდან, თუ ჩვენ ქმარს ნებას მივცემთ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მის დაზე დაქორწინდეს, იმის გამო, რომ მაშინ, უკვე, ეჭვის ადგილი აღარ რჩება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ამის ნება შეგვიძლია მივცეთ ცოლის სიცოცხლეშიც, – თუ გვეცოდინება, რომ თავიანთი ბუნებით ეს დები ეჭვიანები არ არიან. შეიძლება შემოგვედავონ, რომ ეს არ არის წმინდა წერილში ნათქვამი, მაგრამ წმინდა წერილში არც ის არის ნათქვამი, რომ ცოლის გარდაცვალების შემდეგ ქმარს შეუძლია მის დაზე იქორწინოს“. ამის მერე ბასილი დიდი დასძენს, რომ აზრის სიცხადისათვის ყურადღება უნდა მივაპყრობთ იმ გარემოებას, თუ რა პირობებში დააწესა ეს მოსემ. რჯულმდებელს არ ჰქონია განზრახვა ცოდვის ყველა გვარობა გამოემყღაენებინა,არამედ მხოლოდ ეგვიპტელების ცოდვა, ვისთანაც ადრე ებრაელი ერი ცხოვრობდა, და – ქანაანელების, ვისთანაც შემდგომში ამ ერს ურთიერთობა მოუწევდა. სარწმუნოა, რჯულმდებელმა ეს ცოდვა იმიტომ აკრძალა [დიოდორეს მიერ მოსხენიებული], რომ ზოგიერთებმა მოინდომეს პატრიარქ იაკობის მაგალითს მიჰყოლოდნენ, რომელიც ერთდროულად ორ

დასთან – ლიასთან და რაქელთან ცხოვრობდა. რჯულში,– ამბობს ბასილი დიდი, – ბევრი რამ „უთქმელია“, მაგრამ მაინც აკრძალულია; ასე მაგალითად, რჯულში არ არის ნათქვამი, რომ მამამ და ძემ ერთდროულად ერთი და იგივე ხარჭი არ უნდა იყოლიონ, მაგრამ წინასწარმეტყველმა ეს აკრძალა, როგორც უკანონო ქმედება (იხ. ამოსი, 2, 7). „ეშმაკის სასწავლებელმა“ ადამიანებს ბევრი ცოდვა და უკეთური ვნება ასწავლა, მაგრამ წმინდა წერილმა არ ინება ყველა ისინი ჩამოეთვალა, და მათ ერთი საერთო სახელი – **უწმინდურება („არაწმიდებაი“)** უწოდა, რათა საძაგელი სიტყვებით არ შებილწოს საკუთარი სიწმინდე, როგორც ამის შესახებ პავლე მოციქული საუბრობს (იხ. ეფეს. 5, 3); და თუ ამის გამო არაფერია ნათქვამი ზოგიერთი ცოდვის შესახებ, ეს მაინც არავის აძლევს უფლებას უხამსი საქმეები ჩაიდინოს. თუმცა, ეს ცოდვა არ არის „უთქმელი“ წმინდა წერილში, – ამბობს ბასილი დიდი, – ვინაიდან, თუკი რჯულმდებელი იტყვის, რომ არავინ მიუახლოვდეს თავის ხორციელ ნათესავს იმ მიზნით, რომ მისი სიშიშვლე იხილოს (ლევ. 18, 6), ამით აღნიშნული სახის ცოდვაც იკრძალება. თუკი ცოლი და ქმარი ერთხორც არიან, როგორც ამას წმინდა წერილი ამბობს, მაშინ ყველამ უნდა აღიაროს, რომ ნათესაურად ქმარი ძალიან ახლოს არის თავისი ცოლის დასთან; და მსგავსად იმისა, როგორც არავის შეუძლია დაქორწინდეს თავისი გარდაცვლილი ცოლის დედაზე, ან თავის გერზე (რადგან ისინი გაიგივებულია საკუთარ დედასთან და ასულთან), ასევე, ვერავინ დაქორწინდება თავისი გარდაცვლილი ცოლის დასთან, რამეთუ ვერ დაქორწინდება საკუთარ დასთან. ამგვარი ქორწინების დამცველთა მიერ მოყვანილ სიტყვებს წმინდა წერილიდან ***„აღორძინდით და განმრავლდით“*** (დაბადება, 1, 28), ბასილი დიდი პასუხობს, რომ მას მსგავსი ადამიანები სასაცილოდ ეჩვენება, რამეთუ ისინი ერთმანეთისგან ვერ ასხვაებენ იმ დროს, – როდესაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი, – და დღევანდელ დროს. აღნიშნული სიტყვები მიემართებოდა პირველ წყვილს, მაშინ როდესაც ადამიანები დედამიწაზე ძალიან ცოტანი იყვნენ. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ადამის შვილებს ერთმანეთში უნდა ექორწინათ, მაგრამ, ნუთუ ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ახლაც უნდა დაქორწინდნენ ერთმანეთზე ღვიძლი დები და ძმები? ზუსტად ასევე, ბასილი დიდი უარყოფს მოწინააღმდეგეთა სხვა შეხედულებასაც, თითქოს მეორედ დაქორწინება ნებადართული ყოფილიყოს. ის ამბობს, რომ მეორე ქორწინება მხოლოდ სიძვის თავიდან ასაცილებლად არის ნებადართული, და არა – ავხორცეული ჟინის დასაკმაყოფილებლად. თუკი პავლე მოციქული ამის უფლებას იძლევა (იხ. 1 კორ. 7, 9), ის მაინც არ იძლევა მისი საშუალებით ურჯულოებაში ჩავარდნის ნებას. ეს ქორწინება კი, რომლის გამართლებასაც ცდილობდნენ, სწორედ რომ ურჯულოებაა.

წმინდა წერილის იმ ციტატების გარჩევის შემდეგ, რომლებითაც დიოდორე აღნიშნულ ქორწინებაზე თავის მიერ გაცემული ნებართვის გამართლებას ცდილობდა, ბასილი დიდი ყურადღებას მიაპყრობს ოჯახურ ურთიერთობებსაც და ამბობს, რომ მსგავსი ქორწინებების შემთხვევაში ისინი ერთმანეთში გადაიხლართებოდა. მაგალითად, თუ გარდაცვლილ ცოლის დაზე დაქორწინებულ პირს შვილები ეყოლება როგორც პირველი, ისე მეორე ცოლისგან, მაშინ რა სახის ნათესაობას ექნება მათ შორის ადგილი? ისინი ერთმანეთის მიმართ ძმებიც (დები, და-ძმა)

იქნებიან და დეიდაშვილებიც: ღვიძლი ძმები (დები, და-ძმა) იქნებიან მამის მხრიდან, ხოლო დეიდაშვილები – დედის მხრიდან. განა ეს ბუნების საწინააღმდეგო არ არის? კიდევ, ბასილი დიდი ჩერდება შვილების მდგომარეობაზე პირველი ქორწინებიდან, რომლებსაც დედინაცვლად ეყოლებათ საკუთარი დეიდა, ამასთან დაკავშირებით, ზემომოყვანილ კანონში იძლევა ბრწყინვალე რჩევას: „ნუ გახდი, ადამიანო, შვილების დეიდას მათ დედინაცვლად“ და ა. შ. (იხ. ზემოთ).*

ბასილი დიდის ამ კანონთან, ანუ ეპისტოლესთან მიმართებით, ბალსამონი წერს: „დიდი მამის ეპისტოლე დიოდორეს მიმართ, თუმც სავსეა ყოველგვარი სიბრძნითა და ჭეშმარიტი მჭერმეტყველებით და მასში ისმის ყოვლადწმიდა სულის სიმების ხმა, ახლანდელი დროის (XII ს.) პრაქტიკაში მაინც გამოუყენებელია: იგი აკანონებს, რომ არავინ იყოლიოს ცოლად ორი და, რაც ღვთის მადლით, ამჟამად არც ერთ ქრისტიანს აზრადაც არ მოუვა... მაგრამ ყოველთვის გახსოვდეს ეს საღმრთო ეპისტოლე, რამეთუ ის, რაც მასში განწესებულია, მართალია, დღევანდელი ცხოვრებისათვის მიუსადაგებელია, მაგრამ მასში გადმოცემული დასკვნა, მსჯელობა და შედარებები, განსაკუთრებით ის რაც შედგენილია და არგუმენტად არის მოყვანილი ძველი აღთქმისა და დიდი პავლე მოციქულის სიტყვების საფუძველზე, საკმაოდ სასარგებლოა სხვა მიზნებისათვის“.**

ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა გრიგოლ მღვდლის მიმართ

კანონი 88

უდიდესი მოთმინებით წავიკითხე შენი წერილი და გამიკვირდა, რომ შენ, შეგეძლო რა იოლად გაგემართლებინა თავი ჩემ წინაშე საქმით, ამჯობინებ იმაში დარჩე, რაშიც ბრალი დაგედო და ცდილობ მრავალსიტყვაობით განკურნო განუკურნებელი. ჰოი, გრიგოლ, ჩვენ არც პირველები ვართ და არც ერთადერთი კანონმდებელნი. ნუ იყოფინ ქალი და კაცი ერთ ჭერქვეშ. წაიკითხე კანონი ნიკეის კრებაზე ჩვენი წმინდა მამების მიერ განცხადებული, რომელიც აშკარად კრძალავს თანასახლეულად დედაკაცის ყოლას; უქორწინებლობის ღირსება სწორედ იმაშია, რომ დედაკაცისგან განცალკევებით იცხოვრო. ხოლო ისინი, ვინც ქალწულების სახელით წარმოდგებიან, სინამდვილეში კი იმას აკეთებენ, რასაც ქალებთან მცხოვრებნი, ასეთებს, როგორც ჩანს, მხოლოდ სახელით უნდათ ქალწულობის პატივის მოპოვება, საქმით კი არ სურთ სასირცხვილო სიამტკბილობა დაუტეონ. მით უფრო გმართებდა შენ ჩემი თხოვნა შეგესრულებინა, რაკი თვითონ ამბობ, რომ თავისუფალი ხარ ყოველგვარი ხორციელი ვნებისაგან. არ ვფიქრობ, რომ

*ამ კანონთან დაკავშირებით იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 264-268.
**ათენის სინტაგმა, IV, 268.

სამოცდაათი წლის ადამიანი დედაკაცთან ვნებით ცხოვრობდეს და, რაც ჩვენ დავადგინეთ, დავადგინეთ არა რაიმე სრულიად უკანონო ქმედებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მოციქულთაგან ვისწავლეთ: არ შეიძლება ძმას მივცეთ დაბრკოლებისა და საცდურის მიზეზი (იხ. რომ. 14, 13) და ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი რამ ერთისთვის უაღრესად წმინდა, მეორესთვის შეიძლება ცოდვის მიზეზი გახდეს. ამიტომაც დავადგინეთ, მივყევით რა წმინდა მამათა განწესებებს, რომ შენ იმ ქალს უნდა დაშორდე; და რად სდებ ბრალს ქორეპისკოპოსს და იხსენებ ძველ წყენას? რატომ გვსაყვედურობ, თითქოს იოლად ვისმენდეთ ცილისწამებებს და ამ დროს არ საყვედურობ საკუთარ თავს იმისათვის, რომ არ შეგიძლია შეელიო მიჩვეულ ქალს? ასე რომ, გაიყვანე ის შენი სახლიდან და მონასტერში გაამწესე. დაე, ქალწულებთან იყოს, შენ კი მამაკაცები მოგემსახურონ, რომ თქვენგან ღვთის სახელი არ იქნეს შეგინებული (შდრ. რომ. 2, 24), და სანამ ამას არ შეასრულებ, ათასი გამართლებაც არ გიშველის, რასაც წერილში მოიყვან; თანაც იცოდე, მოკვდები როგორც უმოქმედო და, ღმერთის წინაშე პასუხს აგებ მოუმუშაკებლობისათვის; ხოლო თუ არ გამოსწორდები და სამღვდელო მსახურებას ისე განიზრახავ, შეჩვენებულ იქნები მთელი ერის წინაშე, შენი შემწყნარებელნი კი ეკლესიიდან განიკვეთებიან".

(I მსოფ. 3; ტრულ. 5, 12, 13; VII მსოფ. 18; კართ. 3, 38, 70)

იხ. I მსოფლო კრების მე-3 კანონის განმარტება, სადაც წინამდებარე კანონის, ანუ გრიგოლის მიმართ ეპისტოლეს შესახებ იყო საუბარი.

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა ქორეპისკოპოსების მიმართ

კანონი 89

ძალიან ვწუხვარ, რომ მამათა კანონები დატეეებულია და ყოველგვარი სიმკაცრე განდევნილია ეკლესიიდან. ვშიშობ, რომ საეკლესიო საქმენი სრულ არეულობაში არ მოვიდეს, როდესაც ეს გულგრილობა ნელ-ნელა თავისი გზით წავა. საღმრთო ეკლესიებში ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, ეკლესიის მსახურებად მიიღებოდნენ მკაცრი გამოცდით და ყველა მათი საქციელი გულმოდგინედ გამოიძიებოდა: ხომ არ არიან ბოროტისმეტყველნი, მემთვრალენი, შფოთისკენ მიდრეკილნი, კრძალვით თუ ატარებენ სიჭაბუკეს? — რათა შეუდგნენ სიწმინდეს, *„რომლისა თუნიერ ვერვინ იხილოს უფალი"* (ებრ. 12, 14) და ამას იკვლევდნენ მათ ახლომახლო მცხოვრები მღვდლები და დიაკვნები, შედეგებს კი ქორეპისკოპოსებს აუწყებდნენ. ისინი კი, მიიღებდნენ რა უტყუარ ცნობებს ჭეშმარიტი მოწმეებისაგან, წარუდგენდნენ ეპისკოპოსებს, ამგვარად ხდებოდა მათი ჩარიცხვა

წმინდა დასში. ამჟამად კი, უპირველესად ჩვენ უარგვყავით, შეტყობინებასაც აღარ თვლით საჭიროდ და მთელი ხელისუფლება ხელში გაქვთ ჩაგდებული. შემდეგ, იჩენთ რა დაუდევრობას ამ საქმეში, მღვდლებსა და დიაკვნებს უფლება მიეცით ვინც მოესურვებათ, მათი ცხოვრების გამოუძიებლად, მაგრამ მიკერძოებით – ან ნათესაობის, ან სხვა რამე სახის მეგობრობის მიზეზით – თუნდაც ულირსნი, შეიყვანონ ეკლესიაში. ამიტომაც ბევრი ეკლესიის მსახურია თითოეულ სოფელში, მაგრამ არავინაა საკურთხეველის ღირსეული მსახური, როგორც ამას თავადვე მოწმობთ, როდესაც ამბობთ, რომ ვერ პოულობთ სამღვდელოდ ასარჩევ მამაკაცებს. რადგან ამ საქმემ საბოლოოდ მიიღო განუკურნებელი ხასიათი, განსაკუთრებით ახლა, როცა ძალიან ბევრი სამხედრო სამსახურში გამოძახების შიშით მიდის ეკლესიის მსახურად, ამიტომ მე, აუცილებლობიდან გამომდინარე, მოვითხოვ მამათა კანონების აღდგენას. ამასთან დაკავშირებით, მოგმართავთ, რომ გამომიგზავნოთ თითოეული სოფლის ეკლესიის მსახურთა ნუსხა, იმის ჩვენებით, ვინ ვის მიერ არის დადგინებული და როგორია მისი ცხოვრების წესი. თქვენც იქონიეთ ასეთი ნუსხები, რათა შესაძლებელი იყოს ჩემთან არსებულ ჩანაწერებთან შედარება, რომ არავის მიეცეს საშუალება საკუთარი თავის ჩაწერა, როცა მოესურვება. ამგვარად, რომლებიც მღვდლების მიერ არიან მიღებულნი პირველი ინდიქტიონის შემდეგ, დაე, ერისკაცთა რიგებში იქნენ გადაყვანილნი და მხოლოდ თქვენგან ჩატარებული გამოცდის შემდეგ, თუკი ღირსნი აღმოჩნდებიან, მიღებულ იქნენ კვლავ თქვენი გადაწყვეტილებით. განწმინდეთ ეკლესია, განაძევეთ მისი მსახურებიდან ულირსნი, და შემდგომში ღირსეულნი გამოსცადეთ და მიიღეთ, მაგრამ დასში არ ჩარიცხოთ, ვიდრე მე არ წარმომიდგენთ. სხვაგვარად, იცოდეთ, ვინც საეკლესიო მსახურებაში ჩემი ნებართვის გარეშე იქნება მიღებული, ერისკაცად ჩაითვლება.

(I მსოფ. 8; VII მსოფ. 14; ნეოკეს. 14; ანტიოქ. 8, 10; ლაოდ. 57; თეოფილე ალექსანდრიელის 7)

წინამდებარე კანონი შედგენილია ბასილი დიდის ეპისტოლედან თავისი ქორეპისკოპოსების მიმართ, რომელიც მან დაწერა კესარიის კათედრაზე თავისი დადგინების პირველ წელიწადს, შესაბამისად – 370 წელს. ქორეპისკოპოსებისა და ეკლესიაში მათი მნიშვნელობის შესახებ, ჩვენ ვისაუბრეთ ანკვირიის კრების მე-13 კანონის განმარტებაში. ზოგიერთი სხვა კანონების განმარტებაში კი (იხ. პარალ. კანონები), ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცდილობდნენ ქორეპისკოპოსები უკანონოდ მიეთვისებინათ ქალაქის ეპისკოპოსის ზოგიერთი უფლება. წარმოდგენილი კანონის დასაწყისში, ბასილი დიდი იხსენებს მამების კანონებს ამ საკითხთან მიმართებით და დანანებით ამბობს, რომ ქორეპისკოპოსებმა დაივიწყეს ისინი. ეხება რა იმ უწესრიგობებს, რაც ყოველივე ამას მოჰყვება ხოლმე, შენიშნავს, რომ ამის უმთავრესი მიზეზი დასში სხვადასხვა პირის განურჩევლად მიღებაა. ამის შემდეგ, წმინდა ბასილი განუწესებს მასზე დაქვემდებარებულ ქორეპისკოპოსებს, შემდგომში მკაცრად გამოსცადონ კლირიკოსობის მსურველი თითოეული პირი და როდესაც ვინმეს

ღირსად ჩათვლიან, გააკეთონ მისი წარდგენა, ხოლო ბასილი თავად გადაწყვეტს, მიიღონ თუ არა აღებული პირი სასულიერო დასში.

წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი. კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა მასზე დაქვემდებარებული ეპისკოპოსების მიმართ

კანონი 90

იმ საქმის უცნაურობამ, რომლის შესახებაც გწერთ, და რომელიც საერთოდ გახდა ეჭვებისა და მოარული ხმების საგანი, ჩემი სული მწუხარებით აავსო; თუმცაღა, მე ეს დაუჯერებლად მომეჩვენა. ამდენად, ეს წერილი დამნაშავეებმა მიიღონ, როგორც სამკურნალო; უდანაშაულებმა – როგორც გაფრთხილება; ხოლო ვინც ერთნაირად გულგრილია კეთილისა და ბოროტის მიმართ, რისი აღმოჩენაც თქვენში არ მინდა, – როგორც მოწმობა თავის წინააღმდეგ. რა არის ეს, რის შესახებაც ვსაურობ? მაკანონი ამბობენ, რომ ზოგიერთი თქვენგანი ფულს იღებს თქვენ მიერ ხელდასხმული პირისგან, და ამას კეთილმსახურების სახელით ნიღბავს, – რაც კიდევ უფრო უარესია. რადგან, თუკი ვინმე ბოროტებას სჩადის, კეთილს ამოფარებული, ესევითარი განსაკუთრებული სასჯელის ღირსია; იმისთვისაც, რომ არაკეთილს იქმს, და იმისთვისაც, რომ იყენებს კეთილს, – ასე ვთქვათ, – დამხმარედ ცოდვის აღსრულებაში. თუკი ეს ასეა – ამიერიდან აღარ იყოს, დაე, გამოსწორდეს. ვერცხლის ამღებს უნდა ეთქვას ის, რაც მოციქულებმა უთხრეს ვერცხლის მიცემის მსურველს, რომელსაც ამით სულიწმიდის მადლის ყიდვა უნდოდა: *„ვერცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა“* (საქ. 8, 20). რამეთუ ნაკლებად სცოდავს ის, ვისაც უმეცრებით სურს იყიდოს ღვთის ნიჭი, ვიდრე მისი გამყიდველი, – ეს სწორედ რომ გაყიდვა არის. და თუ უსასყიდლოდ მიღებულს ჰყიდი, ეს იგივეა, რომ სატანაზე მიგიყიდია, ამიტომაც წაგერთმევა ბოძებული. რამეთუ შენ უკანონო ვაჭრობა შემოგაქვს სასულიერო საქმეებსა და ეკლესიაში, სადაც ჩვენ ქრისტეს ხორცი და სისხლი მოგვანდეს. ყოვლად დაუშვებელია ამასთან ასეთი ქმედება. გეტყვით რაში მდგომარეობს ცბიერება. ფიქრობენ, რომ არ სცოდავენ, როდესაც იღებენ არა უშუალოდ ხელთდასხმისას, არამედ – მერე. ქრთამი, როდესაც არ უნდა მოხდეს მისი აღება, ყოველთვის ქრთამია. ასე რომ, გევედრებით, მიატოვეთ ეს შემოსავალი, ან უფრო სწორედ, გეჰენიაში შესასვლელი ეს კარი, და ნუ ჰყოფთ თქვენს თავს წმინდა საიდუმლოთა აღსრულების უღირსად, – ასეთი ქრთამით ხელების შებილწვით. შემინდეთ, რომ თავიდან თითქოსდა არ მჯეროდა, შემდეგ, თითქოსდა, დავიჯერე, და ახლა გემუქრებით: თუკი ვინმე ამ ჩემი ეპისტოლეს შემდეგ რაიმე მსგავსს ჩაიდენს, დაე, მოშორდეს აქაურ საკურთხ-

ევლებს და სხვაგან ეძებოს ადგილები, სადაც შესძლებს იყიდოს და გაყიდოს ღვთის ნიჭი. რამეთუ ჩვენ და საღმრთო ეკლესიას ასეთი ჩვეულება არა გვაქვს (შდრ. 1 კორინ. 11, 16). ერთსაც დავსძენ და დავასრულებ: ეს ხდება ვერცხლისმოყვარეობიდან, ვერცხლისმოყვარეობა კი ყველა ბოროტების ფესვია (იხ. 1 ტიმოთ. 6, 10), და იწოდება კერპთმსახურებად (იხ. კოლას. 3, 5). ამდენად, ნუ გაცვლით ქრისტეს კერპებში ვერცხლის სანაცვლოდ, და უფრო მეტიც: ნუ მიბაძავთ იუდას მექრთამეობაში; მეორედ ნუ გაყიდით ერთხელ უკვე ჩვენთვის ჯვარცმულს, რამეთუ ასეთი ნაყოფის გამომღებელთა სოფლებსაც და ხელებსაც აკელდამა დაერქმევა.

. (მოც. 29; IV მსოფ. 2; ტრულ. 22; VII მსოფ. 19; გენადის ეპისტოლე; ტარასის ეპისტოლე)

ეს კანონიც შედგენილია ბასილი დიდის მიერ თავისი მღვდელთმთავრობის პირველ წელიწადს დაწერილი ეპისტოლედან, მასზე დაქვემდებარებული ეპისკოპოსების მიმართ.

IV საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, სიმონია არამცთუ ფართოდ იყო გავრცელებული ეკლესიაში, არამედ მისი გამართლებისათვის ბევრი პირი არგუმენტებსაც კი იშველიებდა. ეპისკოპოსები, რომლებსაც წინამდებარე ეპისტოლე მიემართებათ, თავს იმით იმართლებდნენ, რომ ფულს ხელდასხმის დროს კი არ იღებდნენ, არამედ მის შემდეგ და, შესაბამისად – არ სცოდავდნენ. ამაზე ბასილი დიდი პასუხობს, რომ ქრთამი ყოველთვის ქრთამია, როდესაც არ უნდა აიღო. ამიტომ მკაცრად განიკითხავს მათ და დამნაშავეებს მღვდელმოქმედების აკრძალვით ემუქრება, ამასთანავე, ეუბნება, რომ ასეთმა პირებმა თავისთვის სხვა ადგილი მოძებნონ, სადაც შესძლებდნენ ღვთის ნიჭის ფულით ყიდვა-გაყიდვას. სიმონიის წყაროა ვერცხლისმოყვარეობა – ყოველგვარი ბოროტების ძირი (იხ. 1 ტიმ. 6, 10), ვერცხლისმოყვარეობა კი კერპთაყვანისმცემლობაა (იხ. კოლ. 3, 5), და აქედან გამომდინარე, ვინც ვერცხლისმოყვარეობით ჰყიდის ღმერთის ძღვენს, ის ამით აჩვენებს, რომ კერპებს უფრო სიამოვნებით სცემს თაყვანს, ვიდრე ღმერთს და, ამგვარად, ემსგავსება იუდას; რამეთუ, როგორც იუდამ გაყიდა ქრისტე ვერცხლის გამო, ასევე სიმონიტი ყიდის ხელმეორედ ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტეს. ხელთადასხმისათვის სიმონიტის მიერ აღებულ ქრთამს უნდა ეწოდოს აკელდამა („სისხლის დაბა", იხ. საქმ. 1, 19), ვინაიდან, როგორც ის მიწა, ფულით ნაყიდი და იუდას მიერ ქრისტეს გაცემისათვის მიღებული იწოდა სისხლის საფასურად, ასევე უნდა იწოდებოდეს ის ფულიც, რომელსაც სიმონიტები იღებენ ღმრთის მადლის გაყიდვით, და ის ადგილებიც, რომლებისთვისაც ხარისხში აჰყავთ ფულის გადამხდელები. ბასილი დიდის წინამდებარე კანონი თავის ეპისტოლეში მოჰყავს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ტარასისაც (იხ. ქვემოთ).

წმინდა ბასილის, ნეტარი ამფილოქესადმი სულიწმიდის შესახებ დაწერილი წიგნის 27-ე თავიდან

კანონი 91

ეკლესიაში დაცულ დოგმატებსა და ქადაგებებს შორის ზოგიერთი წერილობითი დამოძღვრებით გვაქვს, ზოგიერთი კი მოციქულთა გადმოცემით გვაქვს მიღებული, საიდუმლოდ. ერთსაც და მეორესაც ერთნაირი ძალა აქვს კეთილმსახურებისათვის, და ამას არავინ ხდის საკამათოს, ვინც კი ოდნავ მაინც გაცნობიერებულია საეკლესიო განწესებებში. რადგან, თუკი უარვყოფთ დაუწერელ ჩვეულებებს, როგორც დიდი ძალის არმქონეთ, მაშინ აუცილებლად ვავნებთ სახარებას მნიშვნელოვან საკითხებში, ან უფრო მეტიც – ჩვენი ქადაგება შეიკვეცება და მხოლოდ სახელწოდება დაგვრჩება. მაგალითისთვის დავასახელებ უპირველესსა და საერთოს: ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მსასოებლებმა პირჯვარი რომ უნდა გამოისახონ, ვინ გვასწავლა ეს წერილით? აღმოსავლეთისკენ პირშექცევით ლოცვა რომელმა წერილმა გვასწავლა? მოხმობის სიტყვები პურის გარდაქცევისას ევქარისტიაში და კურთხევის ბარძიმში, რომელმა წმინდანმა დაგვიტოვა წერილობით? რამეთუ ჩვენ არ მივიჩნევთ საკმარისად იმ სიტყვებს, რომლებსაც მოიხსენიებს მოციქული ან სახარება, და მანამდე ან მის შემდეგ წარმოვთქვამთ სხვა სიტყვებსაც, როგორც საიდუმლოში უდიდესი ძალის შემცველს, და რომლებიც მიგვიღებიეს დაუწერელი ქადაგებით. რომელი წერილით ვაკურთხებთ, ასევე, ნათლისღების წყალს და მირონცხების ზეთს, და თვით ნათლისმიმღებელთ? დაფარული და საიდუმლო გადმოცემით ხომ არა? და კიდევ რა? თვით ზეთისცხება რომელმა დაწერილმა სიტყვამ გვასწავლა? საიდან არის მიღებული ადამიანის სამგზის შთაფლვა? და სხვა, რაც ნათლისღებისას სრულდება: სატანისა და მისი ანგელოზებისაგან განდგომა, რომელი წერილიდან არის აღებული? იმ გამოუქვეყნებელი და გამოუჩინებელი სწავლებიდან ხომ არა, რომელიც ჩვენმა მამებმა შემოინახეს ცნობისმოყვარეთათვის მიუწვდომელი და გამოუკვლეველი მდუმარებით, რამეთუ ჯანსაღად იყვნენ განსწავლულნი წმინდა საიდუმლოთა დაცვაში? რადგან, რარიგ შესაფერისი იქნებოდა წერილობითი გაცხადება სწავლებისა იმის შესახებ, რაზედაც საიდუმლოში განუსწავლელებისა და შეუწირველებისათვის შეხედვაც კი დაუშვებელია? და ასე შემდეგ. ეს არის დაუწერელი გადმოცემის მიზეზი, რადგან დოგმატების მრავალგზისი შესწავლით, ბევრმა შეიძლება კეთილკრძალულება დაკარგოს, როგორც სჩვეოდა. რამეთუ სხვა არის დოგმატი, და სხვა არის ქადაგება. დოგმატის შესახებ დუმან, ქადაგება კი გამოაშკარავებულია. დადუმების სახე არის ასევე გამოუჩინებლობა, რომელსაც იყენებს წმინდა წერილი, როცა იგი დოგმატებს გონებისათვის საჭვრეტად მიუწვდომელს ხდის, თვით მკითხველის სასარგებლოდ. ამიტომაც აღმოსავლეთისაკენ ვიმზირებით ყველანი

ლოცვის დროს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამის საშუალებით ვეძებთ უძველეს სამშობლოს – სამოთხეს, რომელიც ღმერთმა ედემში დანერგა, აღმოსავლეთში (იხ. დაბადება, 2, 8). ასევე, ფეხზედგომით ვასრულებთ ლოცვებს ერთშაბათს, მაგრამ ამის მიზეზი ყველამ არ ვიცით. რამეთუ არამხოლოდ როგორც ქრისტესთან აღდგომილნი და ზეციურის მაძიებელნი, კვირა დღეს ლოცვების დროს ფეხზედგომით საკუთარ თავს ვახსენებთ ბოძებული მადლის შესახებ, არამედ, აგრეთვე, იმიტომ ვმოქმედებთ ასე, რომ ეს დღე წარმოადგენს მოსალოდნელი საუკუნის ერთგვარ ხატებას. ამიტომაც, როგორც დღეთა დასაბამი, მოსესთან იგი სახელდებულია არა პირველად, არამედ – ერთად. „*და იქმნა*, –ამბობს, – *მწუხრი. და იქმნა განთიად, დღე ერთი*“ (დაბადება, 1, 15): თითქოსდა ერთი და იგივე დღე მრავალჯერ მოიქცეოდა. ამდენად, ერთი, რომელიც იმავდროულად მერვეც არის, აღნიშნავს იმ არსებითად ერთ და ჭეშმარიტ მერვე დღეს, რომელსაც ფსალმუნთმგალობელი მოიხსენიებს ფსალმუნის ზოგიერთ ზედწარწერილში, და რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს ამ საუკუნის შემდგომ მდგომარეობას, მოუკლებელ დაუღამებელ დღეს, უცვლელ, დაუსრულებელ და დაუბერებელ საუკუნეს. ასე საფუძვლიანად ასწავლის ეკლესია თავის აღსაზრდელებს, რომ ამ დღეს ილოცონ მდგომარედ აღმართულებმა, რათა ხშირი ხსენებით დაუსრულებელი საუკუნის შესახებ, დაუდევარნი არ დავრჩეთ იქ მიმყვანებელი საგზლის მიმართ; და მთელი დრო სულიწმინდის მოფენის დღეებისა, ასევე არის აღდგომის შეხსენება, რომელსაც მომავალ საუკუნეში მოველით. რამეთუ ერთი და პირველი დღე, შვიდჯერ შვიდწილქმნილი, შეადგენს წმინდა ერგასის შვიდ შვიდეულს. ერგასი, დაწყებული შვიდეულის პირველი დღით, იმავეთი სრულდება; ორმოცდაათჯერ მოიქცევა მსგავს დღეებს შორის, რითაც ამ ბრუნვას საუკუნის სახე ეძლევა, როგორც თითქოსდა წრიული მოძრაობის მქონე ერთი და იგივე წერტილ-ნიშნებიდან დაწყებული და მათზევე დასრულებული. საეკლესიო განწესებანი გვასწავლიან ჩვენ ამ დღეს უპირატესობა მივანიჭოთ სხეულის ზეაღმართულ მდგომარეობას ლოცვებისას, და ამით, აშკარა შეხსენებით ერთგვარად გადააქვს ჩვენი გონება ახლანდელიდან მომავალში. ხოლო ყოველი მუხლდრეკისა და წამოდგომისას, ჩვენ ქმედებით ვაჩვენებთ იმასაც, რომ ცოდვით დავეცით მიწაზე, და იმასაც, რომ შემოქმედის კაცთმოყვარეობით, კვლავ ზეცაში ვართ ხმობილნი. მაგრამ დრო არ მეყოფა ვილაპარაკო ეკლესიის ყველა დაუწერელ საიდუმლოზე. ამიტომ დანარჩენს ვტოვებ. თვით სარწმუნოების აღმსარებლობა, რომ უნდა გვწამდეს მამა და ძე და სულიწმიდა, რომელი წერილიდან გვაქვს? თუკი კეთილმსახური გონების დასკვნით, ვალდებულნი ვართ ისე გვწამდეს, როგორც პირჯვარს ვისახავთ, ნათლისღების შესახებ გადმოცემიდან ვადგენთ სარწმუნოების აღმსარებლობას, ნათლისღებაში საიდუმლოს აღსრულებისას წარმოთქმულის შესაბამისად, მაშინ უფლება უნდა მოგვეცეს, ამავე დასკვნის თანახმად, სარწმუნოების აღსაარებაში შესაბამისი დიდებისმეტყველებაც აღვავლინოთ. მაგრამ თუკი დიდებისმეტყველების ამ სახეს უარყოფენ, როგორც

დაუწერელს, მაშინ წარმოგვიდგინონ წერილობითი მტკიცებულება როგორც სარწმუნოების აღმსარებლობისა, ისე სხვათა, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ. ამგვარად, რაკი ეგზომ ბევრია დაუწერელი, და იგი ძალამოსილია მხოლოდ კეთილმსახურების საიდუმლოში, მაშინ ნუთუ ერთის გამოთქმის შეწყნარების უფლებას არ მოგვცემენ, რომელიც მამათაგან გადმოგვეცა, რომელიც შეუთხზავი ჩვეულებიდან დაუზიანებლად შევინარჩუნეთ ეკლესიებში და რომელიც არცთუ მცირე მნიშვნელობისაა და არცთუ მცირე სარგებლობა მოაქვს საიდუმლოს ძალისთვის?

(I მსოფ. 19; ტრულ. 102; VII მსოფ. 7; ბასილი დიდის 87)

წინამდებარე (91-ე) კანონი და ამის შემდგომი (92-ე), აღებულია ბასილი დიდის წიგნიდან სულიწმიდის შესახებ. ეს წიგნი წმინდა ბასილმა დაწერა დაახლოებით 375 წელს შემდეგი მიზეზით: ერთ-ერთ დღესასწაულზე ბასილი დიდი თავის ეკლესიაში საღმრთო ლიტურგიას აღავლენდა; მსახურებას ესწრებოდა იკონიის ეპისკოპოსი ნეტარი ამფილოქე და უამრავი მართლმორწმუნე. იქვე მრავლად იყვნენ მწვალებლებიც; მათ სძულდათ წმინდა მღვდელთმთავარი და მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ, რომ თუნდაც რამე წვრილმანში დაედოთ ბრალი. ლოცვის დროს, შესაბამის ადგილებზე, წმინდა ბასილი ასამაღლებელი სიტყვების წარმოთქმისას ხან ამბობდა: „დიდება მამას ძისა მიერ სულიწმიდაში“, ხან კიდევ: „დიდება მამას ძესთან სულიწმიდითურთ“. ამან მწვალებლებს საბაბი მისცა ბრალი დაედოთ ბასილი დიდისათვის იმაში, რომ იგი არ აღიარებს სულიწმიდის ჭეშმარიტ ღმრთეებას. ამფილოქემ ამაზე მიაპყრო წმინდა ბასილის ყურადღება, და მან პასუხად დაწერა წიგნი სულიწმინდის შესახებ, სადაც ამართლებას გამოთქმას: „სულიწმიდითურთ“ და ამტკიცებს, რომ ერთნაირი დიდება შეეფერება ძესა და სულიწმინდას, ისევე, როგორც მამას, რამეთუ ისინი ერთი არსისანი არიან მასთან ერთად. მიზეზის შესახებ, რამაც ის აღნიშნული წიგნის დასაწერად აღძრა, ნათქვამია წიგნის პირველ თავში, სადაც, სხვათა შორის, წმინდა ბასილი საუბრობს **ზეპირი გადმოცემის** შესახებ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სწავლების ბევრი საკითხის გადასაწყვეტად. ამ წიგნის იმ ნაწილებიდან, სადაც ის ზეპირი გადმოცემის დიდმნიშვნელობას ამტკიცებს, შედგენილია ორი წინამდებარე კანონი (91-ე და 92-ე), კერძოდ, 27-ე და 29-ე თავებიდან.

პირველ მათგანში (91-ე) წმინდა ბასილი ამბობს, რომ დოგმატები და ქადაგებები გამომდინარეობენ ორი წყაროდან – წერილობითი სწავლებიდან ან მოციქულთა გადმოცემიდან, რომელიც საიდუმლოდ არის მიღებული და დაცული. თანაც, ორივე ეს წყარო კეთილმსახურებისათვის ერთნაირი მნიშვნელობის შემცველია. კანონის მეორე ნახევარში წმინდა ბასილი განმარტავს, რატომ არის გადმოცემით ბევრი რამ შენარჩუნებული მოციქულებისა და მათი მემკვიდრეებისგან, და როგორ არის ამ გადმოცემაზე დაფუძნებული ეკლესიის ბევრი ჩვეულება. ზოგადად, ჩვეულებების მნიშვნელობაზე, ბასილი დიდი საუბრობს თავის ეპისტოლეში დიოდორეს მიმართ, და მის, ან სხვაგვარად – 87-ე კანონის, განმარტებაში ჩვენ ვთქვით ამის შესახებ რაოდენიც საჭირო იყო. წინამდებარე (91-ე) კანონში ბასილი დიდი კიდევ უფრო წინ სწევს ჩვეულების მნიშვნელობას. თუ ჩვენ უარეყ-

ოფთ, — ამბობს, — დაწერილ ჩვეულებებს და ვიტყვით, რომ მათ დიდი ძალა არ გააჩნიათ, ამით ჩვენ განზრახ დავაკნინებთ სახარების მნიშვნელობას მათვარ საკითხებთან დამოკიდებულებით, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იქ ნათქვამს დავიყვანთ უბრალო სიტყვების თამაშამდე. ამასთანავე, კეთილმსახურების იმ საკითხებიდან, რომლებიც ეკლესიაში დაცულია დაუწერელი ჩვეულების (გადმოცემის) გზით, ბასილი დიდის რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. უპირველესად მოიხსენიებს პირჯვრის გამოსახვის ჩვეულებას, რომლითაც ჩვენ გამოვხატავთ მუდმივ სასოებას ღმერთზე. ამის შემდეგ საუბრობს ჩვეულებაზე, რომლის მიხედვითაც, ლოცვისას მიმართულნი ვართ აღმოსავლეთისაკენ. საუბრობს, აგრეთვე, ევქარისტულ მსხვერპლზე და პურისა და ღვინის უფლის ხორცად და სისხლად გარდაქცევის მომენტზე, და მოჰყავს ეკლესიის სწავლება ამასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე აღებულია დაუწერელი სწავლებიდან; წმინდა ბასილი ამბობს, რომ პავლე მოციქულთან და, აგრეთვე, სახარებაში მოყვანილი სიტყვები საიდუმლოს დაწესების შესახებ (იხ. 1 კორ. 11,23-25; მთ. 26,26-28; მარკ. 14,22-24; ლკ. 22,19-22), არ არის საკმარისი გარდაქცევის აღსრულებისათვის, — საჭიროა სხვა ლოცვებიც, რომლებსაც მღვდელმსახურები კითხულობენ ჯერ საიდუმლო წესამდე და მერე მის შემდეგ, კერძოდ, საჭიროა სულიწმინდის მოხმობის სიტყვები თვით გარდაქცევის მომენტში.* გადმოცემის მეშვეობით ეკლესიაში დაცული კეთილმსახურების

*იხ. ზონარას განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 284. წმინდა ბასილი დიდის ეს დამოძღვრა, რომლის თანახმადაც პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქცევისათვის ევქარისტიის საიდუმლოს დაწესების სიტყვების გარდა, კიდევ საჭიროა სულიწმიდის მოსახმობი ლოცვის თქმა, ეკლესიის დასაბამიდანვე დაფუძნებულია წმინდა გადმოცემაზე. როდესაც ზოგიერთმა არამართლმადიდებელმა XIII და XIV საუკუნეებში დაიწყო იმის მტკიცება, თითქოს სულიწმინდის მოსახმობი ლოცვა ზედმეტია, მათ საპასუხოდ **წმინდა სვიმეონ თესალონიკელმა** დაწერა შემდეგი: „ზოგიერთი არასწორად მოაზროვნე, სულიწმინდის მოხმობასა და ძღვენის შეწირვასთან დაკავშირებით, გაკვირვებას გამოთქვამს, უფრო სწორად, გამოდის იმის წინააღმდეგ, რაც გადმოგვეცა მაცხოვრისა და მისი მოციქულებისაგან, ასევე, მათი მემკვიდრე ღმერთშემოსილი მამებისაგან. ისინი გვეკამათებიან და გვეკითხებიან: საღმრთო ძღვენის შეწირვისას რატომ არ ვკმაყოფილდებით მხოლოდ უფლის სიტყვებით და საკუთარი ლოცვების აღვლენაზე ვკადნიერდებით? ამით ისინი თავხედურად და მკრეხელურად უარყოფენ სულიწმინდის მოხმობის საჭიროებას და უარყოფენ — სათქმელადაც კი საშინელია! — მის მოქმედ ძალას, რომელიც აღთქმული და ჭეშმარიტად მოცემულია თვით მაცხოვრისგან მოციქულებისათვის. მოციქულები მის მიერ იქნენ ხელდასხმულნი მღვდელმსახურებად და მწყემსებად სწორედ იმ დროს, როდესაც სულიწმინდა გარდამოვიდა მათზე და ცეცხლოვანი ენების საშუალებით დაამკვიდრა მათში თავისი ძალა — მაკურნებელი და სასწაულთმოქმედი. ევქარისტიის დროს ძალმოსილია არა თავისთავად სიტყვები: **„და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა“** და სხვა, არამედ ის, რომ მღვდელმსახური ამას წარმოთქვამს სულიწმინდით, ანუ მადლით, ან, სხვაგვარად — სამღვდელო ძალით. აქედან ცხადია, რომ თუნდაც ათიათასობით ადამიანმა, თუნდაც ყველა მართლმორწმუნემ ერთად, ვინც კი არის მთელ დედამიწაზე, წარმოთქვას უფლის სიტყვები და ყველა საღმრთო მოწოდება, — აქედან მაინც არაფერი გამოვა, თუ იქ მღვდელი არ იქნება; მათ მიერ შეწირული ძღვენი არ განიწმინდება და ქრისტეს ხორცად და სისხლად არ გარდაიქცევა, რადგან ამ დროს იქ უნდა იმოქმედოს არა კაცმა, არამედ ღმერთმა მღვდლის მეშვეობით, რომელიც, თავის მხრივ, სულიწმინდის მადლს იხმობს, და ის, რასაც მღვდელი ამბობს, მოქმედებს არა მისი ძალით: ეს არის ღმერთის ძალა, რომელიც არ გააჩნია სხვა არც ერთ მორწმუნეს, გარდა

სამღვდელმსახურო ხელდასხმის მიმღებელისა. მის თითოეულ ლოცვას აღმასრულებელი ძალა აქვს მხოლოდ საღმრთო მადლით. ხოლო ვისაც ეს არ სწამს და არ აღიარებს, ის არ აღიარებს არც ნათლისღებას, არც მირონცხებას, არც სამღვდელო წოდებების ხელდასხმას, არც ცოდვების მიტევებას, არც სამონოზვნო წესის წმინდა ლოცვებს; იგი უახლოვდება ურწმუნოებს და განაშორებს საკუთარ თავს ქრისტეს წიალზვედრილობისაგან, ვინაიდან, ყოველივე ჩამოთვლილი აღესრულება სამღვდელო პირთა ლოცვებით. ამიტომ, ნათლისღებას აღვასრულებთ გადმოცემისამებრ და ვნათლავთ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და განვწმენდთ მოსანათლავ პირს წმინდა სამების მოხმობით; არ ვკმარობთ მხოლოდ მაცხოვრის მიერ გადმოცემულ სიტყვებს, არამედ მანამდე ვბეჭდავთ ჯვრის გამოსახვითა და სულის შებერვით, და მოსანათლავ პირს წინასწარ განვწმენდთ სატანისგან განდგომით, ქრისტესთან შეერდომით, ლოცვებით, ნაკურთხი ზეთის ცხებით, ჯვრის გამოსახვით, სულის შებერვით და წმინდა სამების მოხმობით. თვით ნათლობის წყალსაც ვწმენდთ ჯვრის გამოსახულებით და სულიწმიდის მოწოდებით. მსგავსად იმისა, როგორც წმინდა მირონი იკურთხება სამთავარეპისკოპოსო ლოცვებითა და ჯვრის გადასახვით, ხოლო ნათლისღების შემდეგ ახალმონათლულზე და მირონცხებულზე წმინდა ლოცვებს ვკითხულობთ, ზუსტად ასევე, მტკიცედ გვწამს, რომ პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქცევა აღესრულება მღვდელმსახურის ლოცვებით, ჯვრის გადასახვითა და სულიწმინდის მოხმობით მოყოლებული იქიდან, რაც უფლის სიტყვებით: **„მიიღეთ და ჭამეთ... და სუთ ამისაგან ყოველთა...“**, ასევე: **„ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“**, ერთხელ და სამუდამოდ ებოძათ მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს ლოცვების საშუალებით ამის შესრულების უფლების მადლი. ამიტომ, მიმართავს რა მამა ღმერთს და ადიდებს სულის აღმშენებლობით საქმეს, მღვდელი პირველად გამოთქვამს ქრისტეს საღმრთო სიტყვებს და ეუბნება, რომ მან ეს გადმოგვცა და ამიტომ შემოგწირავთ შენ ამ ძღვენს ყველას სახელით, — მისი მცნებისამებრ, — და გევედრებით შენ, გარდამოავლინე სული შენი ჩემზე და შემოწირულ ძღვენზე და სულით შენით წმიდით გარდააქციე ისინი მის ხორცად და სისხლად — როგორც მან თქვა. ამ სიტყვებთან ერთად, მღვდელი ჯვარს სახავს წმინდა ძღვენს და სწამს, რომ სამგზისი გადასახვის შემდეგ, პური და ღვინო, თავისი არსით, უკვე ქრისტეს ხორცი და სისხლია, და როგორც თვით ქრისტე აქ თავად არის შემწირველიც და შეწირულიც, მღვდელმოქმედი და სამღდელმოქმედოც, მიმღებელიც და დამრიგებელიც, ჩვენც ასევე ვამბობთ დიდი შესვლისას წმინდა ლოცვებში. იმისათვის, რომ ეს ნათლად აჩვენოს, მღვდელი იმ დროს, როდესაც ამბობს: **„მიიღეთ და ჭამეთ... და სუთ ამისაგან ყოველთა...“**, ჯვრით არ სახავს ძღვენს. ამ სიტყვებს, როგორც უკვე ვთქვით, მღვდელი მიმართავს მამისადმი, და მის შემდეგ ძღვენი ჯერ კიდევ გარდაუქცეველია, როგორც ამას ბასილი დიდი ამბობს. მაგრამ, ძღვენის შეწირვის, სიტყვების **„შენი შენთაგან“** და სულიწმინდის მადლის მოხმობის შემდეგ, მღვდელი (მას სწამს, რომ სწორედ ამ დროს ხდება მისი გარდამოსვლა სამღვდელო ლოცვის ხმით) აღდგება, ჯვარს გადასახავს საღმრთო ძღვენს, იტყვის: **„და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა“**, და აკურთხებს პურს; შემდეგ ამბობს: **„ბარძიმსა ამას შინა, პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისესა“**, აკურთხებს ბარძიმსაც; მესამედ აკურთხებს ერთსაც და მეორესაც და ამბობს: **„შესცვალე სულითა შენითა წმიდითა — ამინ“**, ამით ადასტურებს საიდუმლოს აღსრულებას და კადნიერად აღიარებს, რომ შეწირული ძღვენი არსებითად არის ქრისტეს ხორცი და სისხლი — მისი (ძის), მამის და სულიწმინდის ძალით. აქ არაფერია ადამიანური, ყველაფერი საღმრთო მადლით აღესრულება. ამიტომ ძღვენის შემწირველი არის პირი, რომელსაც ხელდასხმა აქვს მიღებული; ტრაპეზი, სადაც ძღვენი (მსხვერპლი) შეიწირება, ნაკურთხია და ამის გარეშე არაფერი განიწმინდება. ამდენად, უფლის სიტყვები, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს მღვდელმოქმედების პირველ საფუძველს, მაგრამ ქმედებაში ისინი მოდიან მღვდლის ლოცვებით. თუმცა, იქ მოქმედებს არა ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი ადამიანია, არამედ ქრისტე სულიწმინდაში მღვდლის სამღვდელო ქმედებით. მსგავსად იმისა, როგორც ღმერთმა ერთხელ თქვა: **„აღმოამორჩენ ჟუჟანამან“** და სიტყვა მისი ჭეშმარიტია, ასე რომ მიწა აღმოამორჩებს, ან როდესაც თქვა: **„იქმენინ ნათელი“** და ყოველთვის იქმნება ნათელი, — ზუსტად ასევე მან თქვა: **„ამას**

ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“ და მისი სიტყვა ყოველთვის მოქმედებს მღვდლების მეშვეობით. ამიტომ სიტყვები: **„და ჰყავ უკუე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა“**, ქმედება'ში მიდის სამღვდელოების სა'შუალებით. სწორედ ამიტომაც აღსრულებული მღვდელმოქმედების შემდეგ, ჭეშმარიტად ვიღებთ ქრისტეს ხორცსა და სისხლს, და არა ხატოვნად, რამეთუ თავად მოქმედებს მღვდლების მეშვეობით, და თავად მოგვცა მცნება, რომ ეს ასე უნდა იყოს, ანუ ლოცვის გზით მოხდეს მღვდელმოქმედება. როგორც დაწერილია, მან აიღო პური, აღიხილნა თვალნი ზეცად, მამა ღმერთს მადლობა აღუვლინა, განტეხა და მისცა თავის მოწაფეებს სიტყვებით: **„მიიღეთ და ჰჭამეთ... და... სუთ ამისგანა ყოველთა“** და ასე შემდეგ. ასე რომ, თვითონაც მღვდელმოქმედებდა ლოცვების გზით, თუმცა, როგორც ყოველის'შემძლე ღმერთი, იგი მას არ საჭიროებდა, მაგრამ ამით ჩვენ გვაჩვენებდა, რომ სამების ძალა ერთია, და რომ, როდესაც თავის თავ'ზე აღასრულებს მღვდელმოქმედებას, ამაზე მას აქვს მამის თანაკურთხევა და სულიწმიდის თანაქმედება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მისი ღვთაებრივი განკაცებისას. შესაბამისად, ვინც უარყოფს სამღვდელო ლოცვებს საიდუმლოს აღსრულებისას, ის არ აღიარებს არც სხვა აღმასრულებელ ლოცვას წმინდა საიდუმლოებების შესრულებისას; ის ქრისტიანიც კი არ არის, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, არ აღიარებს არც ნათლისღებას, არც მირონცხებას, არც სინანულს... რამეთუ ყოველივე ეს სამღვდელო ლოცვებით სრულდება. ასეთი დე, საერთოდ ნუ იტყვის ლოცვას, ნურც მღვდელმოქმედების წინ, ნურც მის შემდეგ, და ამდენად, ნუ მოიხმობს სულიწმინდის მადლს, რათა არ ჰქონდეს ქრისტესთან ერთობა, ასევე, ნუ მოიხმობს სულიწმინდის მადლს ნათლისღებაზეც, არც სხვა მღვდემოქმედებისას, და საერთოდ ნუ იქნება ქრისტიანი, ან უწოდებს რა თავის თავს ქრისტიანს და აღიარებს მღვდლების ლოცვებს, მაშინ ეს აღმასრულებელი ლოცვებიც მიიღოს, რომლებიც მიმართულია მამა ღმერთისადმი და თავის თავში შეიცავს სულიწმინდის მოხმობას, როგორც ეს გვამცნო საიდუმლოს აღსრულების ჟამს თვით ქრისტემ, როდესაც მადლობა აღ'უვლინა მამას. ამას თავიანთი მაგალითებით გვასწავლიან მოციქულებიც: ისინი ერთად ასრულებდნენ ევქარისტიას და *პურის* *განტეხვას*. იგივე გადმოგვცეს მამებმაც — ბასილმა და ოქროპირმა... ვიმარხავთ რა ჩვენ მიერ მიღებულ გადმოცემას, რომელიც თავად უფალმა გვიანდერძა მოციქულებისა და წმინდა მამების მეშვეობით, ჩვენ აღვასრულებთ საშინელი ზიარების საიდუმლოს ღმრთეებრივი სულის მოხმობით, უფლის სიტყვების გამოთქმით და სამღვდელო ლოცვით; და გვწამს, — საღმრთო გადმოცემის თანახმად, — რომ ყველა ღვთაებრივი მღვდელმოქმედება იღებს სავსებას მღვდლის ლოცვით, საღმრთო მოხმობითა და ჯვრის გამოსახვით“ (Migne, s. g., t. 155, ᲗᲐ 88, col. 733-740). როგორც ვხედავთ, ის, რასაც თესალონიკელი წმინდა მღვდელთმთავარი ამბობს, წარმოადგენს ბასილი დიდის წინამდებარე (91-ე) კანონში გამოხატული აზრის საუკეთესო და სრულ განმარტებას, ასევე — მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებისასაც, რომელსაც ყოველთვის ასე სწამდა. განსხვავებით აღმოსავლური ეკლესიისა, — სადაც ყოველთვის ერთი და იგივე სწავლება იყო დამკვიდრებული ლიტურგიაზე წმინდა ძღვენის გარდაქცევისათვის სულიწმინდის მოსახმობელი ლოცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, — დასავლურ ეკლესიაში, XIII საუკუნიდან მოყოლებული, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება იჩენდა თავს, რომელთა ერთ აზრამდე შეჯერება დღემდე ვერ მოხერხდა.

საკითხებიდან, წმინდა ბასილი მოიხსენიებს კიდევ წყლის კურთხევას ნათლობისათვის და ზეთის კურთხევას მირონის საცხებლად, წყალში შთაფლვას და სატანისაგან განდგომას ნათლისღების დროს, ასევე, ლოცვებისას დგომას ან მუხლმოდრეკას. დაბოლოს, კანონის ბოლოში მოიხსენიებს დიდებისმეტყველებას, რომლის შესახებაც არ წერია თუ როგორ უნდა იკითხებოდეს, მაგრამ რომელიც წმინდა ბასილმა წარმოთქვა ორნაირად (როგორც ეს ნათქვამია ამ კანონის განმარტების დასაწყისში) და რისთვისაც მტრებმა მისი დადანაშაულება მოინდომეს. ბასილი დიდი, ამასთან, აღნიშნავს, რომ სიტყვა: „ურთ“ („თან“) დიდებისმეტყველებაში საკუთ

ჯეროვანია და რომ იგი ეკლესიებში შეინარჩუნეს მართლმადიდებლურად მორწმუნე ადამიანებმა უწყვეტი გადმოცემის (ჩვეულების) გზით. ბასილი დიდის წინამდებარე კანონი, მართალია, კანონიკური სამართალისთვის მნიშვნელოვანია, რამეთუ მასში წარმოჩენილია გადმოცემისა და ჩვეულების დიდმნიშვნელობა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იგი უშუალოდ საღვთისმეტყველო მეცნიერებისათვის.

წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა იმავე თხზულების 29-თავიდან

კანონი 92

შემოპასუხებაზე, რომ დიდებისმეტყველებაში „სულიწმიდითურთ“ (ასამაღლებელ ლოცვაში: „დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა“) დამოწმებული არ არის და წმინდა წერილით დადასტურებულიო, ვპასუხობთ: თუ სხვა არაფერი შეიწყნარება წმინდა წერილის გარეშე, მაშინ არც ეს მიიღებოდეს, მაგრამ თუკი საიდუმლოთაგან საკმაოდ ბევრი დამკვიდრებულია ჩვენთან წმინდა წერილის გარეშე, მაშინ სხვა მრავალთან ერთად ესეც შევიწყნაროთ. ვგონებ, რომ მოციქულთაგან არის ესეც, რომ დავიცვათ დაუწერელი გადმოცემანი. რამეთუ *„გაქებ თქუენ, ძმანო,* – ამბობს მოციქული, – *რამეთუ ჩემი ყოველივე გაჴსოვს, და ვითარცა-იგი მიგეც თქუენ, მოძღურებაჲ იგი შეიკრძალეთ“* (1 კორინ. 11, 2). და სხვა ადგილას: *„შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა, გინა წიგნითა ჩუენითა“* (2 თესალ. 2, 15); ერთი ამათგან მით უფრო არის ის, რომლის შესახებაც ვმსჯელობთ, რომელიც პირველდამდებლებმა თავის მემკვიდრეებს გადასცეს, და დროთა განმავლობაში მისი ხანგრძლივი გამოყენებით და ჩვეულებით ეკლესიაში დამკვიდრდა. ამდენად, თუკი ჩვენ, თითქოსდა სამსჯავროზე ვიყოთ, არასაკმარისი წერილობითი მტკიცებულების პირობებში, ჩვენი საქმის სასარგებლოდ წარმოვადგინეთ უამრავი მოწმე, ნუთუ არ მივიღებთ თქვენგან გამამართლებელ განაჩენს? მე ასე ვფიქრობ. რამეთუ ორი ან სამი მოწმით მტკიცდება ყოველი სიტყვა (იხ. მეორე შჯული, 19, 15). თუკი მიგითითებთ თქვენ ხანდაზმულობაზეც, რომელიც აშკარად ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, ნუთუ არ წარმოვჩნდებით თქვენ წინაშე უფლებამოსილნი ვთქვათ, რომ ჩვენ წინააღმდეგ დავა წარმატებული ვერ იქნება? რამეთუ უძველესი დოგმატები, ერთგვარ კეთილკრძალულებას შთაგვაგონებენ, წარმოგვიდგენენ რა თავიანთ სიძველეში, როგორც ერთგავარ სიჭაღარავეში, პატივსაცემ სახეს.

(I მსოფ. 19; ტრულ. 102; VII მსოფ. 7; ბასილი დიდის 87)

წინა (91-ე) კანონის განმარტება, ბასილი დიდის წინამდებარე (92-ე) კანონის განმარტებასაც ემსახურება.

კანონიკური პასუხები წმინდა ტიმოთესი. ალექსანდრიის ეპისკოპოსისა, რომელიც იყო ერთ-ერთი მამათაგანი კონსტანტინოპოლში შეკრებილ ასორმოცდათთა შორის

კანონი 1

კითხვა 1. თუ ყრმა კათაკმეველი, შვიდიოდე წლისა, ან სრულწლოვანი ადამიანი, დროს გამონახავს ლიტურგიის აღსრულებაზე დასასწრებლად და თავისი გაუცნობირებლობით ეზიარება, როგორ უნდა მოვექცეთ ასეთს?

პასუხი. უნდა განვანათლოთ იგი ნათლისღებით, რამეთუ მოწოდებულია ღმერთის მიერ.

(I მსოფ. 2, 14; ტრულ. 78, 96; ლაოდ. 19, 46)

ტიმოთე ალექსანდრიელის როგორც წინამდებარე, ისე მისი სხვა კანონები, ეს არსებითად არის მისი კანონიკური პასუხები ზოგიერთი ეპისკოპოსებისა და კლერიკოსების დასმულ შეკითხვებზე.

კანონი 2

კითხვა 2. თუ კათაკმეველი ეშმაკეული იქნება და თვითონ ისურვებს, ან მისი ნათესავები ინდომებენ წმინდა ნათლობა მიიღოს, უნდა მოინათლოს თუ არა, და განსაკუთრებით — თუკი მომაკვდავი იქნება?

პასუხი. თუ ეშმაკეული ჯერ არ განწმენდილა არაწმიდა სულისაგან, მას არ შეუძლია მიიღოს წმინდა ნათლობა, მაგრამ თუ სიკვდილის პირასაა, — ინათლება.

(მოც. 79; ტრულ. 7; ტიმოთე ალექსანდრიელის 3, 4, 15)

კანონი 3

კითხვა 3. თუ რომელიმე მართალი მორწმუნე ეშმაკის მიერაა შეპყრობილი, უნდა ეზიაროს თუ არა წმინდა საიდუმლოთ?

პასუხი. თუკი არ არღვევს საიდუმლოს, არ გმობს ღმერთს რაღაც სხვა სახით, მაშინ, დაე, ეზიაროს, ოღონდ არა ყოველდღე: საკმარისი იქნება მისთვის მხოლოდ დროდადრო თუ ეზიარება.

(მოც. 79; ტრულ. 7; ტიმოთე ალექსანდრიელის 2, 4, 15)

კანონი 4

კითხვა 4. თუ ვინმე კათაკმეველთაგან, სნეულებაში მყოფი, საღ აზრს მოაკლდება და არ შეეძლება თავად წარმოთქვას სარწმუნოების აღიარება,

ხოლო მისი ახლობლები ითხოვენ, სანამ ცოცხალია მოინათლოსო, — უნდა ნათელ-იღოს თუ არა?

პასუხი. უნდა ნათელ-იღოს, თუკი არ გამოიცდება არაწმიდა სულის მიერ.

(მოც. 79; ტრულ. 60; ნეოკეს. 12; ლაოდ. 47; კართ. 45; ბასილი დიდის 5; ტიმოთე ალექსანდრიელის 2, 3, 14, 15; კირილე ალექსანდრიელის 5)

კანონი 5

კითხვა 5. თუ ცოლი ღამეს თავის ქმართან იქნება, ანდა ქმარი — თავის ცოლთან, და დილით ღვთისმსახურება აღესრულება, შეიძლება თუ არა მათთვის ზიარება?

პასუხი. არ შეიძლება. რადგანაც მოციქული ამბობს: *„ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით რაამე, ჟამ რავდენმე, რაამთა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად; და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რაამთა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა“* (1 კორ. 7, 5).

(დიონისე ალექსანდრიელის 3; ტიმოთე ალექსანდრიელის 13)

კანონი 6

კითხვა 6. თუკი კათაკმეველმა ცოლმა თავისი სახელი ნათლისღებისათვის ჩაწერა, ხოლო ნათლობის დღისათვის მას ქალთა ჩვეული წესი შეემთხვევა, შეიძლება ასეთის მონათვლა იმ დღეს, თუ უნდა გადაიდოს ნათლობა, და თუ გადაიდოს, რამდენი ხნით?

პასუხი. უნდა გადაიდოს, სანამ არ განიწმიდება.

(დიონისე ალექსანდრიელის 2; ტიმოთე ალექსანდრიელის 7)

კანონი 7

კითხვა 7. თუ ქალი ნახავს, რომ მას ქალებისათვის ჩვეული (წესი) რამ შეემთხვევა, უნდა მიეახლოს თუ არა იმ დღეს წმინდა საიდუმლოთ?

პასუხი. არ უნდა მიეახლოს, სანამ არ განიწმიდება.

(დიონისე ალექსანდრიელის 2; ტიმოთე ალექსანდრიელის 6)

კანონი 8

კითხვა 8. თუ ქალი შვილს შობს წმინდა აღდგომის წინ, ანუ დიდ შვიდეულში, უნდა იმარხულოს და არ დალიოს ღვინო, თუ თავისუფლდება მარხვისაგან და ღვინის დალევის აკრძალვისაგან იმის გამო, რომ იმშობიარა?

პასუხი. მარხვა დაწესებულია ჩვენი სხეულის დასაოკებლად. ასე, რომ როცა სხეული დაოკებულია და უძლურებაშია, მაშინ იგი უნდა იღებდეს საჭმელ-სასმელს, როგორც ისურვებს და რისი მიღებაც შეუძლია.

(მოც. 69; ტრულ. 29, 89; ლაოდ. 49, 50; დიონისე ალექსანდრიელის 1; ტიმოთე ალექსანდრიელის 10)

კანონი 9

კითხვა 9. უნდა ილოცოს თუ არა მღვდელმსახურმა არიანელთა ან სხვა მწვალებელთა თანდასწრებით? თუ არანაირად საზიანო არ იქნება მისთვის ის, როცა მათი თანდასწრებით აღასრულებს თავის ლოცვას ან მღვდელმოქმედებას?

პასუხი. საღმრთო ლიტურგიის დროს დიაკვანი ამბორის-ყოფის წინ ღაღადებს: უზიარებელნო, განვედით! ამიტომ ასეთნი არ უნდა ესწრებოდნენ, თუკი პირობას არ დებენ, რომ შეინანებენ და მიატოვებენ მწვალებლობას.

(მოც. 45, 64; ლაოდ. 6, 9, 32, 33, 34)

მოციქულთა 45-ე და 64-ე კანონების განმარტებებში ჩვენ ვისაუბრეთ მწვალებლებთან ლოცვითი ურთიერთობის აკრძალვასთან დაკავშირებით. წინამდებარე კანონში კი მღვდლებს ეკრძალებათ ლოცვა მწვალებლების თანდასწრებით, ანუ – ბალსამონის განმარტებით – უსისხლო მსხვერპლშეწირვა. არამართლმადიდებელთაგან თუ ვის მიიჩნევს ეკლესია მწვალებლებად, – ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ II მსოფლიო კრების მე-6 და მე-7 კანონების განმარტებებში. როდესაც ეკლესიაში წინდა ლიტურგია აღესრულება, შეიძლება სხვა სარწმუნოების მიმდევრებიც ესწრებოდნენ მართალთა ლიტურგიამდე, ე. ი. სანამ დიაკონი იტყვის: „კათაკმეველნო, განვედით!“ ან, როგორც ამ კანონშია ნათქვამი: „უზიარებელნო, განვედით!“ და მაშინ ყველა არამართლმორწმუნემ უნდა დატოვოს ტაძარი. კანონი აქვე დასძენს, რომ შეიძლება მათი დატოვება, „თუ ისინი შენანებისა და მწვალებლობისაგან განდგომის აღთქმას დებენ“. ამასთან დაკავშირებით ბალსამონი შენიშნავს, რომ მათ ნება უნდა მიეცეთ დარჩნენ არა უშუალოდ ტაძარში, არამედ – გარეთ, კათაკმეველებთან ერთად, ხოლო თუ არ დებენ მწვალებლობიდან განდგომის აღთქმას, მაშინ არც კათაკმეველებთან უნდა იდგენენ და საერთოდ უნდა განიძეონ.

კანონი 10

კითხვა 10. თუ ვინმე ავად არის და მძაფრი სნეულებისაგან სრულიად გამოფიტულია, ამასთან წმინდა აღდგომა ახლოვდება, უსათუოდ უნდა იმარხულოს ასეთმა, თუ მისი დიდი მოუძლურების გამო მღვდელმსახური ნებას დართავს იხმიოს, რისი მიღებაც შეუძლია – ზეთი და ღვინო?

პასუხი. სნეულს ნება უნდა მივცეთ მიიღოს საჭმელ-სასმელი იმისდა მიხედვით, რისი ხმევაც მას შეუძლია. რამეთუ სრულიად გამოფიტულისთვის ზეთის გამოყენება – მართებული საქმეა.

(მოკ. 69; ტრულ. 29, 89; ლაოდ. 49, 50; დიონისე ალექსანდრიელის 1; ტიმოთე ალექსანდრიელის 8)

კანონი 11

კითხვა 11. თუ ვინმე მღვდელმსახურს სთხოვს ქორწინების კურთხევას, და ის გაიგებს, რომ ეს ქორწინება ურჯულოა, ანდა სისხლის აღრევითია, – მაგალითად, შესაუღლებელი არის და ი გარდაცვლილი ცოლისა, – მაშინ უნდა ისმინოს მღვდელმსახურმა მათი, თუ მათთვის მსხვერპლშეწირვა აღასრულოს?

პასუხი. გადაჭრით თქვით: თუ მღვდელმსახური გაიგებს ქორწინების უკანონობის შესახებ, და თუ ქორწინება ნამდვილად არასჯულიერია; ასეთ შემთხვევაში მღვდელმსახური არ უნდა ეზიაროს სხვის ცოდვებს.

(ტრულ. 53, 54)

წინამდებარე კანონი საუბრობს უკანონო ქორწინების შესახებ; ასეთია ყველა ის ქორწინება, რომელიც სამოქალაქო სამართლის დადგენილებების საწინააღმდეგოა, აგრეთვე „სისხლაღრევითი" ქორწინება, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ ის ქორწინებები, რომლებიც შედგება სულიერი და ხორციელი ნათესაობითი ხარისხების დარღვევით. ასეა ნათქვამი შეკითხვაში, პასუხში კი მოიხსენიება მხოლოდ უკანონო ქორწინება, რომლის კურთხევაც მღვდელს ეკრძალება, ასე რომ, აქედან შეიძლება დავასკვნათ: მღვდელს ეკრძალება ზოგადად ყველა იმ ქორწინების კურთხევა, რომელიც არღვევს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო სამართლის განწესებებს, შესაბამისად, ყველა აკრძალული ქორწინების კურთხევა. პასუხში არაფერია ნათქვამია სასჯელის შესახებ, რომელსაც აკრძალული ქორწინების მაკურთხებელი მღვდელი უნდა დაექვემდებაროს და გაკეთებულია მხოლოდ მინიშნება, რომ იგი არ უნდა „ეზიაროს სხვის ცოდვებს"; აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ იგი ექვემდებარება საეკლესიო სასჯელს, ასევე, შეიძლება სამოქალაქო წესით დასჯასაც, როგორც სხვისი დანაშაულის თანამონაწილე ანუ – როგორც ბასილი დიდი ამბობს თავის 71-ე კანონში – სხვის ცოდვასთან შეხებაში მყოფი.*

კანონი 12

კითხვა 12. თუკი ერისკაცი, რომელსაც უწმინდური სიზმარი ჰქონდა, სთხოვს მღვდელმსახურს, უნდა დაუშვას თუ არა იგი საზიარებლად?

პასუხი. თუ ქალის მოსურვებას დაექვემდებარა, მაშინ არ უნდა ეზიაროს; ხოლო თუ სატანა აცთუნებს, რათა ამ მიზეზით მოაკლდეს საღმრთო საიდუმლოთა ზიარებას, მაშინ უნდა ეზიაროს. რამეთუ სხვაგვარად მაცთური არ შეწყვეტს მასზე თავდასხმას იმ დროს, როცა იგი უნდა ეზიაროს.

(ათანასე დიდის 1; დიონისე ალექსანდრიელის 4)

---

*დიდი კურთხევანის ნომოკანონის 53-ე კანონით განკვეთა განეწესება იმ მღვდელს, რომელმაც იცოდა უკანონო ქორწინების შესახებ და, მიუხედავად ამისა, აკურთხა ის.

კანონი 13

კითხვა 13. დაქორწინებულებმა შვიდეულის რომელ დღეებში უნდა შეიკრძალონ თავი ერთმანეთთან შეერთებისაგან და რომელ დღეებში აქვთ მათ ამის უფლება?

პასუხი. უწინაც მითქვამს და ახლაც ვამბობ, რომ მოციქული ამბობს: *„ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით რაამე, ჟამ რავდენმე, რაითა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად; და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რაითა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინოებითა თქუენითა“* (1 კორინ. 7, 5). თუმცა, აუცილებლად უნდა შეიკავონ თავი შაბათს და კვირას, იმიტომ, რომ ამ დღეებში სულიერი მსხვერპლი შეიწირება უფლისადმი.

(დიონისე ალექსანდრიელის 3; ტიმოთე ალექსანდრიელის 5)

კანონი 14

კითხვა 14. თუკი ვინმე, იქნება რა შეურაცხადი, თავს მოიკლავს, ანდა სიმაღლიდან გადაიგდებს თავს, ესევითარისთვის შეიძლება თუ არა მსხვერპლის შეწირვა (ლოცვა, ლიტურგიის აღსრულება)?

პასუხი. ასეთის შესახებ მღვდელმსახურმა უნდა გამოკვლიოს, ნამდვილად გონებაშეშლილმა გააკეთა მან ეს, თუ არა. რამეთუ ხშირად ვნებულის ახლობლები, სურთ რა მიაღწიონ მისთვის მსხვერპლის შეწირვასა და ლოცვის აღვლენას, სიმართლეს არ აღიარებენ და ამბობენ, რომ იგი შეურაცხადი იყო. მაგრამ შესაძლოა მან ეს ადამიანთაგან მიყენებული შეურაცხყოფის მიზეზით გააკეთა, ანდა სულმოკლეობით სხვა რამ შემთხვევის გამო, – ასეთისათვის არ არის მართებული მსხვერპლის შეწირვა, რამეთუ თვითმკვლელია. ამიტომ მღვდელმსახურმა უსათუოდ მთელი გულმოდგინებით უნდა გამოიძიოს, რათა სასჯელს (განკითხვას) არ ეწიოს.

(მოც. 65; ანკვირ. 23; ბასილი დიდის 8, 11; გრიგოლ ნოსელის 5)

მსგავსად იმისა, როგორც სასჯელს იმსახურებს სხვისი სიცოცხლის მომსწრაფველი, ზუსტად ასევე იმსახურებს საჯელს თვითმკვლელი; და როგორც მკვლელობა შეიძლება იყოს განზრახ და უნებლიე, ასევეა თვითმკვლელობის შემთხვევაშიც. განზრახ თვითმკვლელობად იწოდება ისეთი თვითმკვლელობა, როდესაც ვინმე სიცოცხლეს მოისწრაფებს – ამ კანონის გამოთქმით – „ადამინთაგან შეურაცხყოფის მიზეზით, ანდა სულმოკლეობით სხვა რამ მიზეზის გამო“, ხოლო უნებლიე – როდესაც ეს პირი „გონებაშეშლილ მდგომარეობაშია“. თვითმკვლელი უკვე აღარ არის ეკლესიის ცოცხალი წევრი, ამიტომ ეკლესიას არ შეუძლია დაუქვემდებაროს იგი რაიმე ისეთ სასჯელს, რომელიც მისი ცოცხალი წევრებისთვის არის დადგენილი. თუმცა, დანაშაულის სუბიექტებად, გარკვეულ გარემოებაში, ეკლესია აღიარებს ცოცხალი პირების გარდა გარდაცვლილებსაც, მაგალითად, სხვადასხვა მწვალებლობის მამამთავრებს მათი სიკვდილის შემთხვევაში მანამ, ვიდრე მათ საბოლოოდ დაგმობდნენ; ამიტომ მათთან მიმართებით გამოიყენებს გარკვეულ სასჯელებს. აღებულ შემთხვევაში, წინამდებარე კანონი განზრახ თვითმკვლელთან

მიმართებით განაწესებს, რომ „ასეთისათვის არ არის მართებული მსხვერპლის შეწირვა“, ესე იგი, არ უნდა აღესრულოს ეკლესიაში მათთვის წესის აგება და სულის განსასვენებელი ლიტურგია და, შესაბამისად, არ უნდა დაიკრძალონ ნაკურთხ სასაფლაოზე. სასჯელს იმსახურებს თვითმკვლელობის მცდელობაც, როგორც **პატრიარქ ნიკიფორეს** ერთ-ერთი კანონი ამბობს, რომლის თანახმადაც თორმეტწლიანი ეპიტიმია ეკისრება იმას, ვინც თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ წარუმატებლად. იმ თვითმკვლელებთან მიმართებით, რომლებმაც სიცოცხლე გონებაშეშლილობის აფექტში ჩაიდინეს, უგონო მდგომარეობაში, რაკი ასეთი პირი არ არის საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელი, ეკლესია მღვდელს უფლებას აძლევს ილოცოს მისი სულის განსასვენებლად, თუკი, რა თქმა უნდა, ის ამის ღირსია.

კანონი 15

კითხვა 15. თუ ვინმეს ცოლი ბოროტი სულითაა შეპყრობილი იმ ზომამდე, რომ ბორკილებს ატარებს, მისი ქმარი კი ამბობს – თავშეკავება არ შემიძლიაო და სხვისი მოყვანა სურს ცოლად, უნდა შეირთოს ასეთმა სხვა, თუ არა?

პასუხი. ამ საქმეში მრუშობაა დაფარული. და არ მაქვს პასუხი და არც ვიცი, რა გითხრათ ამაზე.

(ტრულ. 87; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 35, 39, 77)

აქ საუბარია ცოლის გონებაშეშლილობაზე, როგორც განქორწინების მიზეზზე, კერძოდ: აქვს თუ არა უფლება ქმარს, რომლის მეუღლეც ბოროტი სულით არის შეპყრობილი და საერთოდ ჭკუაზე აღარ არის, განქორწინდეს მასთან და სხვა ქალთან იქორწინოს? ასეთ შემთხვევაში ტიმოთე ხედავს მრუშობას და თვლის, რომ ქმარი, რომელიც კანონიერი ცოლის სიცოცხლეში სხვასთან იქორწინებს, მრუშობას სჩადის და ამიტომ მსგავსი ქორწინება აკრძალულად ითვლება. რადგან არ არსებობს სხვა კანონი, რომელიც ამას განქორწინების მიზეზად ჩათვლიდა, ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლის მიხედვით, კანონიერი ქორწინება არ შეიძლება დარღვეულ იქნეს რომელიმე მეუღლის გონებაშეშლილობის მიზეზით, თუნდაც ეს განუკურნებელი სენი იყოს. ბიზანტიური კანონმდებლობა ამას სხვაგვარად უყურებდა და ბალსამონი, ამ კანონის განმარტებაში, მოიხსენიებს იმპერატორ ლეონ ბრძენის ნოველას, რომელიც ქმარს, რომლის ცოლიც განუწყვეტლად იგვემება ბოროტი სულისგან, განქორწინების უფლებას აძლევს; ქორწინების დარღვევის შემდეგ კი შეუძლია კანონიერად შეუღლდეს სხვასთან.*

*ათენის სინტაგმა, IV, 340.

კანონი 16

კითხვა 16. თუ ვინმე, მარხულობს რა წმინდა საიდუმლოთა ზიარებისათვის და პირის დაბანისას ან აბანოში ყოფნისას უნებლიედ გადასცდება წყალი, უნდა ეზიაროს თუ არა?

პასუხი. უნდა ეზიაროს, რამეთუ სხვაგვარად სატანა, ჰპოვებს რა შემთხვევას განაშოროს იგი ზიარებისგან, უფრო ხშირად გააკეთებს ხოლმე ამას.

(მოც. 69; ტრულ. 29, 89; ლაოდ. 50; კართ. 41)

კანონი 17

კითხვა 17. ხშირად ვისმენთ რა ღვთის სიტყვას და არ აღვასრულებთ, ამით თავს განკითხვაში ხომ არ ვიგდებთ?

პასუხი. მართალია, არ აღვასრულებთ, მაგრამ არ შეიძლება თავს არ ვკიცხავდეთ, რომ ვისმენთ და არ ვემორჩილებით. ხოლო საკუთარი თავის გაკიცხვა ცხონების ნაწილია.

(I მსოფ. 12; ლაოდ. 2; კართ. 43; ბასილი დიდის 84; გრიგოლ ნოსელის 4, 5)

კანონი 18

კითხვა 18. ადამიანის რომელი ასაკიდან განისჯება მისი ცოდვები ღმერთისგან?

პასუხი. თითოეულის შემეცნებისა და განსჯადობის ზომისაებრ; ზოგნი ათი წლის ასაკიდან განისჯებიან, სხვები კი — შემდგომი წლებიდან.

(მოც. 52; კართ. 110)

წინამდებარე კანონში საუბარია არასრულწლოვნებზე: არიან თუ არა ისინი პასუხისმგებელნი თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის; თანაც ნათქვამია, რომ ამ პასუხისმგებლობის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ „თითოეულის შემეცნებისა და განსჯადობის ზომისამებრ“, ზოგადად, დაწყებული ათი წლის ასაკიდან. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი, თავისი გონებრივი განვითარებით, მზად არის გააცნობიეროს, რომ დაუშვებელს სჩადის, და თუ აცნობიერებს, ასეთ შემთხვევაში მას ეკისრება შესაბამისი სასჯელი. ბალსამონი, თავის 50-ე კანონიკურ პასუხში პატრიარქ მარკოზისადმი, ამბობს, რომ არასრულწლოვნად უნდა ჩაითვალონ 14 წლამდე ასაკისანი, თუ მამრობითი სქესის არიან, და 12 წლისანი, თუ — მდედრობითი სქესის.* ეს შეიძლება განმარტებად მოემსახუროს წინამდებარე კანონის სიტყვებს: „ზოგიერთები კი შემდგომი წლებიდან“.

*ათენის სინტაგმა, IV, 484.

წმინდისა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იმის შესახებ, თუ ძველი და ახალი აღთქმის რომელი წიგნები უნდა იკითხებოდეს

იმისათვის, რომ შენი გონება უცხო წიგნებით არ ცდუნდეს, რამეთუ მრავალი ცრუთხზულება გამოჩნდა, არასწორი ზედწარწერილობით, მიიღე, საყვარელო, ჩემი ეს სარწმუნო ჩამონათვალი. ძველი ებრაელური სიბრძნის ისტორიული წიგნი სულ თორმეტია. პირველი არის შესაქმე (დაბადება), შემდეგ — გამოსვლათა, ლევიტელთა, შემდეგ — რიცხვთა, ამის შემდეგ — მეორე რჯული; მერმე მოდის ისუ და მსაჯულთა, მერვე არის რუთი, მეცხრე და მეათეა მეფეთა საქმენი, პარალიპამენონი (ნეშტთა) და ბოლოა ეზდრა. პოეტური წიგნი ხუთია: პირველი იობის, შემდეგ — დავითის, ამის შემდეგ სამი სოლომონის: ეკლესიასტე, ქებათა ქება და იგავნი. ასევე ხუთია წინასწარმეტყველური სულის შემცველი. ერთ წიგნად არის გაერთიანებული შემდეგი თორმეტი: ოსე, ამოსი და მესამე მიქია, შემდეგ — იოველი, ამის შემდეგ — იონა, აბდია, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგია, მერმე მოდის ზაქარია და მალაქია. ეს ყველა ერთი წიგნია. მეორე კი ესაიასი არის, მის შემდეგ ჩვილობიდან ხმობილი იერემიასი, შემდეგ მოდიან ეზეკიელი და დანიელი მადლიერი. შემოგთავაზე ძველი აღთქმის ოცდაორი წიგნი, იმდენივე, რამდენი ასოცაა ებრაულ ანბანში. ამის შემდეგ აღრიცხე ახალი საიდუმლოს წიგნები. მათემ დაწერა ქრისტეს სასწაულების შესახებ ებრაელთათვის, მარკოზმა — იტალიისათვის, ლუკამ — აქაიასათვის, ყველასათვის კი — იოანემ, დიდმა მქადაგებელმა და ცადმავალმა. მათ მოსდევს საქმენი ბრძენ მოციქულთა, თოთხმეტი ეპისტოლე პავლესი, შვიდი კათოლიკე, რომელთაგან ერთი არის იაკობის, ორი — პეტრესი, შემდეგ, სამი — იოანესი, მეშვიდე — იუდასი; ეს არის სულ. ამათ გარდა რაც არის, შეუწყნარებელია.

(მოც. 85; ლაოდ. 60; კართ. 24; ათანასე დიდის 2; ამფილოქესი)

ეს კანონი შედგენილია ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური წიგნების შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეტური თხზულებებიდან. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (სხვაგვარად: ნაზიანზელი) თავის თხზულებებს უმეტესწილად ლექსების სახით წერდა. ათანასე დიდის მსგავსად (კან. მე-2), ეს წმინდა მამაც ჩამოთვლის კანონიკურ წიგნებს, რათა ადამიანის გონება არ იქნეს გატაცებული გარეშე წიგნებით, რომლებიც ცრუსათაურებს ატარებდნენ და სინამდვილეში აპოკრიფული წიგნები წარმოადგენდნენ.

ძველი აღთქმის კანონიკური წიგნების რიცხოვნობა წინამდებარე კანონში იგივეა, რაც ათანასე დიდთან. გრიგოლ ღვთისმეტყველი ძველი აღთქმის ყველა წიგნს ებრაელების მსგავსად სამ ჯგუფად ჰყოფს; ეს ჯგუფებია: ისტორიული, პოეტური და წინასწარმეტყველური,* სულ — 22 წიგნი. „წიგნი ესთერის“ არ შეუტანია იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ეს ათანასე დიდმა გააკეთა.

*შემდგომში მიღებულ იქნა კანონიკური წიგნების სხვაგვარი დაყოფა, სახელდობრ: 1) რჯულმდებლური, 2) ისტორიული; 3) სამოძღვრო) და 4) წინასწარმეტყველური. იხ. „მართლმადიდებლურ ქრისტიანულ კატეხიზმოში“ თავი „წმინდა წერილის შესახებ“.

ახალაღთქმისეული წიგნებიდან წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი მოიხსენიებს 26 წიგნს. მასთანაც, ისევე, როგორც ლაოდიკიის კრების მე-60 კანონში, „აპოკალიფსისი“ არ შედის იმ მიზეზით, რომ ეს წიგნი ჯერ კიდევ არ იყო დასული ყველა ადგილობრივ ეკლესიამდე და, შესაბამისად, ყველა ადგილობრივი ეკლესიის მიერ არ იყო აღიარებული.

წმინდისა ამფილოქე ეპისკოპოსისა სელევკის მიმართ, იმის შესახებ, თუ რომელი წიგნებია მისაღები

უაღრესად საჭიროა იცოდე, რომ ყველა წიგნი, რომელმაც მოიპოვა წმინდა წერილის საპატივცემულო სახელი, არ არის ღირსსარწმუნო. რამეთუ ზოგჯერ გვხვდება ცრუსათაურიანი წიგნები, ზოგი ნამდვილის მსგავსია და, ასე ვთქვათ, ახლოს დგას ჭეშმარიტების სიტყვებთან, სხვები კი ყალბია და მაცდუნებელი, როგორც ყალბი მონეტებია ხოლმე: სამეფო ზედწარწერილობა აქვს, მაგრამ თავისი შემადგენლობით ნამდვილი არ არის. ამიტომ დაგისახელებ თითოეულ ღვთივსულიერ წიგნს. მაგრამ, იმისათვის, რომ ცალ-ცალკე შეისწავლო, ჯერ ჩამოგითვლი ძველი აღთქმის წიგნებს. ხუთწიგნეული შეიცავს: შესაქმეს, შემდეგ გამოსვლათას, და ლევიტელთა შუა წიგნს; მათ მოსდევს რიცხვთა და მერმე მეორე რჯული. ამათ მიუმატე ისუ და მსაჯულთა, შემდეგ – რუთი, ოთხი წიგნი მეფეთა, და ორი – ნეშტთა. მერმედ – ეზდრას პირველი და მეორე წიგნი. ამის შემდეგ დაგისახელებ ლექსად შექმნილ ხუთ წიგნს, ესენია: ღვაწლმოსილი და მრავალვნებული იობის, სულის დამატკბობელი და მაკურნებელი ფსალმუნთა წიგნი, ყოვლადბრძენი სოლომონის სამი წიგნი – იგავნი, ეკლესიასტე და ქებათა ქება. ამათ დაუმატე თორმეტი წინასწარმეტყველი: პირველი ოსე, შემდეგ ამოსი, მიქია, იოველი, აბდია და იონანა – სამდღიანი სიკვდილის წინასახე; მათ მოსდევს ნაუმი, ამბაკუმი, შემდეგ – სოფონია, ანგია და ზაქარია, და სახელოვანი კეთილმაუწყებელი მალაქია. ამათ შემდეგ შეისწავლე ოთხი წინასწარმეტყველი: დიდი ესაია – კადნიერად მეტყველი, თანამგრძნობი იერემია, იდუმალი ეზეკიელი და ბოლოს – დანიელი, საქმითა და სიტყვით ყოვლადბრძენი. ზოგიერთი ამათ უმატებს ესთერს. ახლა დროა ახალი აღთქმის წიგნები დაგისახელო: მიიღე მხოლოდ ოთხი მახარებელი – მათე, შემდეგ მარკოზი, მათ შეუერთე მესამე – ლუკა, იონანე ჩათვალე დროის მიხედვით მეოთხედ, მაგრამ ის პირველია დოგმატების სიმაღლით; ვინაიდან, მართებულად არის იგი ქუხილის ძედ წოდებული, რამეთუ დიდებულად იქუხა (იქადაგა) ღმერთი-სიტყვა. მიიღე მეორე წიგნიც ლუკასი: მოციქულთა კათოლიკე საქმენი. ამათ მერმე დაუმატე რჩეული ჭურჭელი, წარმართთა ქადაგი და მოციქული პავლე, რომელმაც საოცარი სიბრძნით მისწერა ეკლესიებს თოთხმეტი ეპისტოლე: ერთი რომაელთა, ორი კორინთელთა, გალატელთა და ეფესელთა მიმართ; ამათ შემდეგ – ფილიპიაში მცხო-

ვრებთ, შემდეგ კოლასელებს, თესალონიკელებს — ორი, ტიმოთეს — ორი, ტიტესა და ფილიმონს — თითოეულს თითო, და ერთი ეპისტოლეთითაც ებრაელებს მიმართა. ამ უკანასკნელს ყალბს უწოდებენ არაკეთილგანზრახვით, მაგრამ მასში ჭეშმარიტი მადლია. ბოლოს, რა გითხრა კათოლიკე ეპისტოლეების შესახებ? ზოგი ამბობს, რომ შვიდია მათგან მისაღებიო, ზოგიც მხოლოდ სამს ასახელებს, ესენია: ერთი იაკობის, ერთი პეტრესი, ერთი იოანესი. ზოგიერთი იოანესგან სამ ეპისტოლეს იწყნარებს, მათ გარდა კი — პეტრესგან ორს და მეშვიდეს იუდასგან. იოანეს „გამოცხადება" ზოგიერთებს წმინდა წერილის წიგნებში შეაქვთ, ზოგიერთს კი ნამდვილ წიგნად არ მიაჩნია.

დაე, ეს იყოს შენთვის უტყუარი კანონი ღვთივსულიერი წერილის აღრიცხვისა.

(მოკ. 85; ლაოდ. 60; კართ. 24; ათანასე დიდის 2; გრიგოლ ღვთისმეტყველისა)

სელევკის მიმართ თავის ეპისტოლეში, რასაც წინამდებარე კანონი შეადგენს, ამფილოქე ჩამოთვლის როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ღვთივსულიერ წიგნებს, რომლებსაც ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია კანონიკურად აღიარებს; კერძოდ, ეს წიგნებია: 22 ძველი და 27 ახალი აღთქმის, სულ 49 წიგნი.*

---

*იმასთან შესაბამისობაში, რომ, როგორც ათანასე დიდის მე-2 კანონის განმარტებაში აღნიშნეთ, ძველაღთქმისეულ კანონში ზოგჯერ ორი ან მეტი წიგნი ერთ წიგნად არის გაერთიანებული, საერთო რიცხოვნობა ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური წიგნებისა 68-ს აღწევს, კერძოდ: 1) დაბადება, 2) გამოსლვათა, 3) ლევიტელთა, 4) რიცხვთა, 5) მეორე რჯული, 6) ისუ ნავეს ძისა, 7) მსაჯულთა, 8) რუთისა, 9) ესთერისა, 10) პირველი მეფეთა, 11) მეორე მეფეთა, 12) მესამე მეფეთა, 13) მეოთხე მეფეთა, 14) პირველი ნეშტთა, 15) მეორე ნეშტთა, 16) პირველი ეზდრასი, 17) მეორე ეზდრასი, 18) ფსალმუნნი, 19) იგავნი სოლომონისი, 20) ეკლესიასტესი, 21) ქებათა ქება, 22) იობისი, 23) წინასაწარმეტყველისა ესაიასი, 24) წინასწარმეტყველისა იერემიასი, 25) გოდება იერემიასი, 26) ეპისტოლე იერემიასი, 27) ბარუქისი, 28) წინასწარმეტყველისა ეზეკიელისა, 29) დანიელისა, 30) ოსიასი, 31) იოველისი, 32) აბოსისი, 33) აბდიასი, 34) იონასი, 35) მიქიასი, 36) ნაუმისი, 37) ამბაკუმისი, 38) სოფონიასი, 39) ანგიასი, 40) ზაქარიასი, 41) მალაქიასი, 42) სახარება მათეოსგან, 43) სახარება მარკოზისაგან, 44) სახარება ლუკასაგან, 45) სახარება იოანესაგან, 46) საქმენი მოციქულთა, 47) ეპისტოლე იაკობისი, 48) 1 ეპისტოლე პეტრესი, 49) 2 ეპისტოლე პეტრესი, 50) 1 ეპისტოლე იოანესი, 51) 2 ეპისტოლე იოანესი, 52) 3 ეპისტოლე იოანესი, 53) იუდასი, 54) ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 55) 1 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 56) 2 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 57) ეპისტოლე გალატელთა მიმართ, 58) ეფესელთა მიმართ, 59) ფილიპელთა მიმართ, 60) კოლასელთა მიმართ, 61) 1 ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, 62) 2 ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, 63) 1 ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, 64) 2 ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, 65) ტიტეს მიმართ, 66) ფილიმონის მიმართ, 67) ებრაელთა მიმართ და 68) აპოკალიფსისი (გამოცხადება იოანესი). უახლესი დროის ბერძნულ ეკლესიაში ითვლება მხოლოდ 33 კანონიკური წიგნი ძველი და ახალი აღთქმებისა, იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების წლების შესაბამისად. მათგან 22 ძველი აღთქმიდან, ისევე, როგორც ეს ჩვენს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ კატეხიზმოშია შეტანილი, და 11 — ახალი აღთქმიდან, სადაც ერთ წიგნად ითვლება პავლე მოციქულის 14 ეპისტოლე, ერთ წიგნად — პეტრეს ორი ეპისტოლე, ასევე ერთ წიგნად — იოანეს სამი ეპისტოლე. იხ. მიტროფანე კრიტოპულოსის „აღმსარებლობა" (VII თავ. ეკლესიის 'შესახებ.

წინამდებარე ეპისტოლედან კარგად ჩანს, თუ როგორ მერყეობდნენ ცალკეული ადგილობრივი ეკლესიები წმინდა წერილის ამა თუ იმ წიგნის კანონიკურობასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ჩვენ ვისაუბრეთ რამდენიმე პარალელური კანონის განმარტებებში. ამფილოქე მოიხსენიებს მერყეობას, რომელიც ეხებოდა ძველი აღთქმის ერთ წიგნს – ესთერისას, და ახალი აღთქმის ექვს წიგნს: პავლე მოციქულის ეპისტოლეს ებრაელთა მიმართ, იოანე მოციქულის მეორე და მესამე ეპისტოლეებს, პეტრე მოციქულის მეორე ეპისტოლეს, მოციქულ იუდას ეპისტოლეს და მოციქულ იოანეს გამოცხადებას. თუმცაღა თავად ამფილოქე თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი წიგნი შეადგენს სავსებით ჭეშმარიტ კანონს, თუმც კი ზოგიერთებს ეჭვი შეაქვთ მათ კანონიკურობაშიო; და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის IV საუკუნის ეკლესიის მამის მოწმობა.

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა გრიგოლისა, ნოსელი ეპისკოპოსისა ეელიტინის ეპისკოპოს ლიტოის მიმართ

კანონი 1

1. ისიცაა წმინდა დღესასწაულის ერთ-ერთი კუთვნილება, რომ ჩვენ გულისხმავჰყოთ მოქმედების რჯულიერი და მართებული სახე შეცოდებულთა მიმართ, რათა ყოველგვარი სულიერი სნეულება განიკურნოს, აღმოცენებული რომელიმე ცოდვისაგან. შესაქმეს ეს საყოველთაო დღესასწაული, რომელიც დაწესებულია წლიური წრის მოქცევის მიხედვით და ყოველწლიურად აღესრულება მთელ მსოფლიოში, იდღესასწაულება დაცემულის აღდგომის მიზეზით. მაგრამ დაცემა არის ცოდვა, ხოლო აღდგომა არის წამოდგომა ცოდვიანი დაცემისაგან. ამრიგად, კეთილშესაფერისი იქნება ამ დღეს არამარტო ღმერთთან მიყვანა ემბაზის მადლის მეშვეობით აღმოშობით განახლებული ადამიანებისა, არამედ მკვდარ საქმეთაგან ცხოვრების გზაზე მოქცევისა და სინანულის მეშვეობით კვლავ დაბრუნებულთა წინამძღვრობაც მაცხონებელი სასოებისაკენ, რომლისგანაც ისინი ცოდვის მიზეზით გაუცხოვდნენ. არცთუ მცირედი საქმეა, რომ სიტყვები ამის შესახებ განგებულ იქნეს სამართლიანი და გამოცდილი კანონის მსჯავრით, მცნებისამებრ წინასწარმეტყველისა, რომელიც გვიბრძანებს სიტყვების განგებას სამსჯავროზე *(„განაგნეს სიტყუანი მისნი საშჯელსა შინა“)*, რათა საღმრთო წერილის ნათქვამისამებრ, *„არა შეირყიოს, სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი“* (ფსალმ. 111, 5, 6). რამეთუ როგორც სხეულებრივ მკურნალობაში სამკურნალო ხელოვნების მიზანი ერთია: ჯანმრთელობის დაბრუნება სნეულისათვის, ხოლო მკურნალობის სახეები განსხვავებულია, რამეთუ სხვადასხვა სნეულებათა კვალობაზე თითოეულ სნეულებას მკურნალობის შესაბამისი ხერხი მიესადაგება, ასევე სულიერ სნეულებებშიც, ვნებების სიმრავლისა და მრავალფეროვნების კვალობაზე, აუცილებელი ხდება მრავალფეროვანი საკურნებელი მზრუნველობა, რომელიც სნეულების გვარობიდან გამომდინარე, ახდენს კურნებას. მაგრამ იმისთვის, რომ გარკვეული მართებულობით განვიხილოთ წინამდებარე საგანი, შემდეგნაირად დავაწყოთ სიტყვა:

ჩვენს სულში, თავდაპირველი დაყოფის მიხედვით, იხილვება სამი ძალა: გონების ძალა, მოსურნეობის (წადილის, გულისთქმის) ძალა და გაღიზიანების (გულისწყრომის) ძალა. ამ ძალებში აღესრულება კეთილად მცხოვრებთა ღვაწლნიც და ბოროტისაკენ მიდრეკილთა დაცემაც. ამიტომ ვისაც სურს შესაფერისი კურნება გამოიყენოს სულის სნეული ნაწილისათვის, პირველ ყოვლისა, უნდა განიხილოს, თუ რომელ ნაწილში აღმოცენდა სნეულება, და შემდეგ ვნებულს უმკურნალოს შესაფერისად, ისე, რომ საკურნებელი საშუალების არცოდნის გამო კურნება ერთ ნაწილს არ მიეცეს, მაშინ, როცა სნეულება სხვა ნაწილშია, როგორც ამას სინამდვილეშიც ვხედავთ ბევრ მკურნალთან, რომლებიც, თავიდანვე ვერ გამოიცნობენ რა სხეულის

სნეულ ნაწილს, თავიანთი მკურნალობით კიდევ უფრო ამძაფრებენ სნეულებას. სნეულება ხშირად წარმოიშობა სიცხის სიჭარბისაგან, მაგრამ რამდენადაც ზედმეტი სიცივისაგან დაუძლურებულთათვის სასარგებლოა თბილი და გამათბობელი, ამდენადვე იგივე საშუალება, ბუნებრივად სარგებლობის მომტანი ესევითართათვის, წინდაუხედავად გამოყენებული უკიდურესი სიცხით მოწყლულთათვის, უკურნებელად აქცევს სნეულებას. ამგვარად, როგორც მკურნალთათვისაა აღიარებული ყველაზე საჭიროდ სხეულებრივ დასაბამთა თვისებების შეცნობა, რათა ვნებულ ანდა არავნებულ ნაწილთაგან გამოსწორებას სწორედ ის იღებდეს, რომელიც არაბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება, ამგვარადვე ჩვენც, მივმართავთ რა სულში არსებულ ძალთა ამ (გარკვეულ) დაყოფას, საერთო მოხილვა დავადგინოთ ვნებების შესაბამისი კურნების საფუძვლად. ამრიგად, სულისათვის დამახასიათებელი მოძრაობების სამმაგი დაყოფის მიხედვით, როგორც ვთქვით, გონების, მოსურნეობისა და გაღიზიანების ძალებად, გონების ძალის კეთილი მოქმედებანი სულში შემდეგია: ღვთაებრივის კეთილმსახური გაგება, კეთილისა და ბოროტის გარჩევის ხელოვნება, ცხადი და შეურევნელი მსჯელობა საგნების თვისებებზე — თუ არსებულთაგან რომელნი არიან ღირსნი არჩევისა და რომელნი უარყოფისა და ზურგის შექცევისა. დაპირისპირების მიხედვით, უეჭველია, იხილვება აგრეთვე ბოროტი მიმართულებაც სულის ამ თვისებისა, როცა მასში ღვთაებრივ საგნებთან მიმართებაში იქნება უკეთურება, ჭეშმარიტად კეთილთან მიმართებაში — განუსჯელობა, საგანთა ბუნების დამახინჯებული და ცრუ გაგება, ისე, რომ *„იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად, დასდებენ ბნელსა ნათელად და ნათელსა ბნელად“*, — როგორც საღმრთო წერილი ამბობს (ესაია 5, 20). მოსურნეობის ძალის კეთილმოქმედი მიმართულება არის სურვილის მისწრაფება არსებითად სასურველისადმი და ჭეშმარიტად მშვენიერისადმი, და ჩვენში არსებული სიყვარულის მთელი ძალისა და განწყობის განმსჭვალვა იმაში დაჯერებულობით, რომ არაფერი სხვა არ არსებობს თავისი ბუნებით სასურველი, გარდა სათნოებისა, სიკეთისა და იმ ბუნებისა, რომელიც სათნოებას, კეთილმოქმედებას წარმოადგენს. ხოლო ამ უნარის განდრეკა (დამახინჯება) და ცოდვიანი მოძრაობა მაშინ არის, როცა ვინმე მოსურნეობას ოცნებისმიერი ქედმაღლობისაკენ ანდა აყვავებული სხეულებრივი სილამაზისაკენ მიაქცევს. აქედან აღმოცენდება: ვერცხლისმოყვარება, დიდებისმოყვარება, და ამის მსგავსი მანკიერებანი, რომელთაც თავიანთ დასაბამად ბოროტების ეს სახეობა აქვთ. დაბოლოს, გაღიზიანების ძალის კეთილი მოქმედება არის ბოროტების სიძულვილი, ბრძოლა ვნებების წინააღმდეგ და სულის განმტკიცება მხნეობაში, რათა სარწმუნოებისა და სათნოებისათვის მოღვაწე არ შეუშინდეს ყოველივე იმას, რაც მრავალთ საშიში ეჩვენებათ, არამედ სისხლის დაქცევამდე იღვწოდეს ცოდვის წინააღმდეგ, უგულებელყოფდეს სიკვდილის საფრთხეს, უმძიმეს სატანჯველთ და განშორებას იმისაგან, რაც ყველაზე სასიამოვნოა, — და ერთი სიტყვით, იყოს ყოველივე იმაზე მაღლა, რაც ბევრს ვნებების ტყვეობაში ამყოფებს ჩვეულე-

ბებისა და ცრუ შეხედულებების მიერ. ხოლო ამ ძალის დამახინჯებული მოძრაობები ყველასთვის აშკარაა: შური, სიძულვილი, მტრობა, ბოროტსიტყვაობა, თანამზრახველობა, იჭვნეული და შურისმაძიებლური განწყობა, დიდ დროზე გაწელილი ძვირისმხსენებლობა, რომელსაც ბევრნი მიჰყავს მკვლელობამდე და სისხლის დაღვრამდე. რამეთუ განუწვრთნელი ზრახვა, რომელმაც არ იცის, სარგებლობით როგორ გამოიყენოს იარაღი, საკუთარი თავის წინააღმდეგ მიაქცევს რკინის მახვილს, და მაშინ ღმერთისგან ჩვენს დასაცავად მოცემული იარაღი, დამღუპველად ექცევათ მის ბოროტად გამომყენებელთ.

(მოც. 52; ტრულ. 102)

გრიგოლ ნოსელის ეპისტოლე, რომლიც მან 390 წელს მისწერა ლიტოის, მელიტინის ეპისკოპოსს, შეადგენს ამ რვა კანონს, რომლებიც სულიერი მოძღვრების სახელმძღვანელოს წარმოადგენს – თუ როგორ უნდა განსაჯონ სხვადასხვა ცოდვა და რა სახის ეპიტიმიები განუწესონ მათთვის დამნაშავეს. გრიგოლ ნოსელი ყველა ცოდვას სამ ჯგუფად ჰყოფს, სულის სამი ძალისა და თვისების შესაბამისად, რომლებსაც ის კანონში მოიხსენიებს და რომლებისგანაც გამომდინარეობს როგორც ყველა სათნოება, ასევე ყველა ცოდვა. სულის ძალების ეს დაყოფა, როგორც ბევერეგია აღნიშნავს,* წმინდა გრიგოლმა აიღო პლატონის ფილოსოფიიდან, და ამით აიხსნება ის, რომ იგი კანონში ამბობს, ასეთივე იყო პირველადი დაყოფაო. სულიერმა მკურნალმა, როდესაც ვინმეში რამე ცოდვას შენიშნავს, წინასწარ უნდა გამოიკვლიოს სულის რომელი ძალიდან გამომდინარეობს ის, და მასთან შესაბამისობაში გამოუწეროს შესაფერისი წამალი, რათა შემთხვევით არ შესცდეს და სხვა წამალი არ მისცეს იმის ნაცვლად, რასაც მისი ავადმყოფობა მოითხოვს. დებს რა ამას საფუძვლად, წმინდა გრიგოლი ამის შემდგომ იძლევა საკუთარ რჩევებს, თუ რაგვარი მოქმედებაა საჭირო ცოდვების გამოკვლევისა და მათი მკურნალობისას. სწორედ ეს შეადგენს გრიგოლ ნოსელის ყველა კანონის ერთობლივ შინაარს, რომელთა შორისაც პირველი წარმოადგენს დანარჩენი შვიდი კანონის შესავალს.

კანონი 2

ამრიგად, ზემოთქმული წესით ცოდვების დაყოფის მიხედვით, ის ცოდვები, რომლებიც განეკუთვნება სულის აზროვნებით უნარს, მამების მიერ აღიარებულნი არიან უმძიმესებად და უფრო მეტ, ხანგრძლივ და უმკაცრეს სინანულს მოითხოვენ. მაგალითად, თუ ვინმე განუდგა ქრისტეს და ან იუდეველობას მიექცა, ან კერპთაყვანისმცემლობას, მანიქეველობასა თუ სხვა რამე სახის უკეთურებას, ასეთს, თუკი თავისი ნებით მიქცევია ბოროტებას, მაგრამ შემდეგ შეუნანია, თავისი სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა უნდა ჰქონდეს სინანულის დროდ. რამეთუ იგი საიდუმლო ლოცვის აღსრულებ-

*E. sine Pandectae, II, Annotat, p. 228.

ისას არასდროს გახდება ღირსი მრევლთან ერთად თაყვანი სცეს ღმერთს, არამედ, დაე, განმარტოებით ლოცულობდეს, ხოლო წმინდა საიდუმლოთა ზიარებას, დაე, სრულიად განეყენოს. მაგრამ ამა ცხოვრებისაგან განსვლისას, დაე, ღირსიქმნას ზიარებისა. ხოლო თუკი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, იგი ცოცხალი დარჩება, მაშინ კვლავაც იმავე სასჯელში იცხოვროს და თავის აღსასრულამდე უღირსად დარჩეს წმინდა საიდუმლოთა მიღებისა (სიკვდილის წინ კი ეზიაროს). ხოლო ისინი, რომელნიც ტანჯვითა და სინდისის სასტიკი ქენჯნით იქნენ იძულებულნი (განდგომოდნენ ქრისტეს), განსზღვრული დროით ექვემდებარებიან ეპიტიმიებს. რამეთუ წმინდა მამებმა ასეთი კაცთმოყვარეობა იმიტომ გამოუჟღავნეს მათ, რომ მათი სული კი არ დაქვემდებარებია დაცემას, არამედ სხეულებრივმა უძლურებამ ვერ შესძლო წინააღდგომოდა სატანჯველთ. ამის მიზეზით ძალადობრივი და ტანჯვის გამო იძულებითი განდგომისათვის, ეპიტიმიის ზომა დაცემულის სინანულად მოქცევის შემდგომ, განისაზღვრება სიძვით შემცოდეთა მაგალითისამებრ.

(მოკ. 62; I მსოფ. 10,11,12,14; ტრულ. 102; ანკვირ. 1-9,21; ლაოდ. 2,19; კართ. 43; გრიგოლ ნეოკესარიელის 2, 11; ბასილი დიდის 3, 73, 74, 75, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის 2, 3; გრიგოლ ნოსელის 3)

ამ კანონში, ისევე, როგორც ამის შემდგომ კანონში (მე-3კან.) წმინდა გრიგოლი განიხილავს იმ ცოდვებს, რომლებიც გამომდინარეობენ სულის გონიერი შესაძლებლობებიდან (ნაწილიდან); იგი ასეთებს მიიჩნევს ყველაზე მძიმე ცოდვებად და რჩევას იძლევა, რომ მათთვის განიწესოს უმკაცრესი ეპიტიმიები. ამ სახის ცოდვებს უპირველესად განეკუთვნება ცოდვები წმინდა სარწმუნოების წინააღმდეგ, კერძოდ, როდესაც ვინმე უარყოფს ქრისტეს და იუდეველობაში ან წარმართობაში გადადის, ან — ეკლესიის მიერ დაგმობილ რომელიმე მწვალებლობაში, ვინაიდან სწორედ ეს აღნიშნავს სიტყვებს — „ან სხვა რამე სახის უკეთურებას". თუკი ვინმე განზრახ (შეგნებულად) მოიქცა ასეთნაირად, გარეგანი ძალდატანების გარეშე, და შემდგომში მოინანია, ის უნდა დარჩეს სასჯელის ქვეშ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში წმინდა ზიარების მიუღებლად. ხოლო თუ იგი სარწმუნოებას განუდგა გარეგანი ძალდატანებით, ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, მაშინ იგი ისეთივე სასჯელით უნდა დაისაჯოს, როგორიც ამ წმინდა მამის მიერ განწესებულია მეძავთათვის.

კანონი 3

ისინი კი, ვინც გრძნეულებთან, ან მკითხავებთან მიდიან, ანდა იმათთან, რომლებიც დემონების მეშვეობით პირდებიან რაღაც განწმედასა თუ ზიანის თავიდან აცილებას, დაე, დაწვრილებით იქნან გამოკითხულნი და გამოცდილნი: ქრისტეს რწმენაში თუ რჩებოდნენ ამ დროს და შეჯირვების მიზეზით ხომ არ იქნენ მიზიდულნი ასეთი ცოდვისაკენ, იძულებულნი რაღაც უბედურებით ან აუტანელი გაჭირვებით, თუ სრულიად უგულებელყვეს ჩვენ მიერ

მათთვის მინდობილი აღმსარებლობა და ამ სახით მიმართეს დემონების დახმარებას. რამეთუ თუ ეს რწმენის უარყოფით ჩაიდინეს და იმისთვის, რომ არ ეწამათ, რომ ღმერთი არის ქრისტიანთაგან თაყვანცემული, მაშინ ისინი უეჭველად დაექვემდებარებიან განკითხვას რწმენისაგან განდგომილებთან ერთად. ხოლო თუკი აუტანელმა გაჭირვებამ მიიყვანა ისინი ამ ზომამდე, ეუფლა რა მათ სუსტ სულს და აცთუნა რაღაც ცრუ იმედით, მაშინ მათაც კაცთმოყვარეობა უნდა გამოვუვლინოთ იმათ მსგავსად, რომლებმაც აღმსარებლობის დროს ვერ შესძლეს წინაღდგომოდნენ ტანჯვა-წამებას.

(ტრულ. 61,65; ანკვირ. 24; ლაოდ. 36; ბასილი დიდის 7,65,72,81,83; გრიგოლ ნოსელის 2)

ვინც მისნობით, მარჩიელობითა და მსგავსი საქმეებით არის დაკავებული და სწამს ყოველივე ამისი, ის ამით აჩვენებს, რომ ღმერთის რწმენა არ გააჩნია და, შესაბამისად, წმინდა სარწმუნოების მოღალატეა. აქედან გამომდინარე, წმინდა გრიგოლი ამ სახის ცოდვის სათავედ სულის იგივე ძალას (ნაწილს) მიიჩნევს, რომლისგანაც გამომდინარეობს განდგომა და რომლის შესახებაც მე-2 კანონი ლაპარაკობს, და ამ სახის შემცოდებელთათვის (მათი მონანიების შემთხვევაში) იგივე ეპიტიმიას განაწესებს, რასაც ამ კანონში მოხსენიებულ განდგომილთათვის.

კანონი 4

მოსურნეობისა და ავხორცობისაგან მომდინარე ცოდვები შემდეგნაირად განიყოფა: ერთნი მრუშობად იწოდება, სხვანი — სიძვად. ზოგიერთმა გამოწვლილვით გამომეძიებელმა, კეთილად ინება სიძვის ცოდვისთვისაც მრუშება ეწოდებინა, რადგან ერთია კანონიერი კავშირი: ცოლისა — ქმართან, და ქმრისა — ცოლთან. ამრიგად, ყოველივე არაკანონიერი უკვე რჯულის საწინააღმდეგოა, და არათავისის ამღები აშკარად სხვისას ითვისებს. რამეთუ ადამიანს ღმერთისგან ერთი შემწე მიეცა, და ცოლსაც ერთი თავი ჰყავს დადგენილი. ამრიგად, თუ ვინმეს თავისი საკუთარი ჭურჭელი შეუძენია, როგორც ღვთაებრივი პავლე ამბობს (1 თეს. 4, 4), იმას ბუნებითი რჯული მისი სამართლიანი გამოყენების უფლებას ანიჭებს. მაგრამ თუ ვინმე არათავისას მიექცევა, ასეთი, უეჭველია, სხვისას მიიტაცებს. ყველასთვის სხვისი არის ის, რაც არ არის მისი საკუთარი, თუნდაც არ ჩანდეს ამ მისაკუთრებულის მფლობელი. ამიტომაც, ამ საგნის უფრო მკაცრად გამომეძიებელთათვის სიძვა არც თუ დიდად ნაკლებ ცოდვად წარმოსდგება, ვიდრე მრუშობა, რამეთუ საღმრთო წერილი ამბობს: *„ნუ დაიყოვნებ უცხოსა თანა დედაკაცისა“* (იგავნი 5, 20). მაგრამ, რადგანაც ყველაზე უძლურთა მიმართ მამები ერთგვარ შემწყნარებლობას ავლენდნენ, ამიტომ ამ ცოდვაში დადგენილ იქნა ასეთი საერთო გარჩევა: სიძვად იწოდება გულისთქმის შესრულება, ვინმესთან ჩადენილი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე, ხოლო მრუშობად — სხვისი კავშირის ხელყოფა და შეურაცხყოფა. ამასვე მიაკუთვნებენ პირუტყვთმავლობას და მამათმავლობას, იმიტომ, რომ ეს

ცოდვებიც ბუნების საწინააღმდეგო მრუშობას განეკუთვნებიან, რამდენადაც შეურაცხყოფა მიადგება სხვის გვარს, და ამასთან – ბუნების საწინააღმდეგოდ. ამგვარ სახეობებად დაყოფისას, ამ ცოდვის საერთო კურნებაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი სინანულის მეშვეობით განიწმიდოს ვნებისმიერი სიშმაგისაგან ხორცის ასე საამებლად. ხოლო რამდენადაც სიძვით შებილწულის შემთხვევაში ამ ცოდვასთან არ არის შერწყმული სხვისი შეურაცხყოფა, ამიტომ სინანულის ორმაგი დრო არის განსაზღვრული იმათთვის, რომელთაც თავი მრუშობით ანდა სხვა მძიმე ცოდვებით შეიბილწეს, როგორებიცაა: პირუტყვებთან აღრევა ან შმაგი ლტოლვა მამრობითი სქესისადმი. რამეთუ ამ შემთხვევებში, როგორც ვთქვი, ცოდვა ორმაგი ხდება: ერთი მდგომარეობს ნებადაურთველ, დაუშვებელ ავხორცობაში, მეორე კი – სხვისთვის მიყენებულ შეურაცხყოფაში. ამიტომ, დაე, სინანულის სახეობის რაღაც სხვაობა იყოს ავხორცობის ცოდვებში. საკუთარი თავის თავადვე აღმძვრელი ცოდვების აღიარებად, როგორც თავისი სნეულების კურნების უკვე დამწყები იმით, რომ საკუთარი ნებელობით გადაწყვიტა თავისი საიდუმლოებების მამხილებელი ყოფილიყო, და როგორც უმჯობესისაკენ თავისი შეცვლის ნიშნის წარმომაჩინებელი, დაე, უფრო შემწყნარებლურ ეპიტიმიას დაექვემდებაროს, ხოლო ბოროტებაში შემჩნეული ან რაღაც ეჭვის მიტანითა თუ ბრალდებით უნებლიეთ მხილებული, ექვემდებარება უფრო ხანგრძლივ გამოსწორებას, რათა განიწმიდება რა სიმკაცრით, ამ სახით იქნას შეწყნარებული წმინდა საიდუმლოთა საზიარებლად. კანონი ამაზე ასეთია: სიძვით შებილწულნი სამი წლით იქნან სრულიად განშორებულნი საეკლესიო ლოცვას, მომდევნო სამი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღონ საღმრთო წერილის მხოლოდ მოსმენაში, სხვა სამი წელიწადი მონანულ შეერდომილებთან ერთად ილოცონ, შემდეგ კი, დაე, ეზიარონ წმინდა საიდუმლოებს. ხოლო სინანულში უფრო მეტი მოშურნეობით მყოფთათვის და თავიანთი ცხოვრებით კეთილისადმი დაბრუნების წარმომაჩინებელთა შემთხვევაში, – საეკლესიო აღმშენებლობის საქმეში სასარგებლო წვლილის შემტანისათვის ნებადართულია, მოსმენის დრო შეუმციროს და უფრო მალე მიიყვანოს ესევითარნი მოქცევამდე; მსგავსადვე შეუმციროს ამის დროც და უფრო მალე დაუშვას ისინი ზიარების მისაღებად, იმის შესაბამისად, როგორადაც თავად იგი შეიცნობს საკუთარი გამომცდელობით განსაკურნებელის მდგომარეობას. რამეთუ, როგორც მარგალიტის დაყრა გვეკრძალება ღორებისათვის, ასევე უადგილო იქნებოდა ძვირფასი მარგალიტის მოკლება იმისთვის, ვინც ცოდვისაგან მოშორებით და განწმედით უკვე ადამიანი გამხდარა. ურჯულოება კი, ჩადენილი მრუშობით ანდა უწმინდურობის სხვა სახეობით, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველივეში დაე, იმავე მსჯავრით განიკურნოს, როგორც სიძვის ცოდვა, მაგრამ დროის (ეპიტიმიის ვადის) გაორმაგებით. ამასთან, დაე, გათვალისწინებულ იქნეს განსაკურნებელის განწყობა, ისევე, როგორც სიძვის უწმინდურობით შეპყრობილის შემთხვევაში, რათა, ადრე იქნება თუ გვიან, მიეცეთ მათ სიკეთესთან ზიარების საშუალება.

(მოკ. 48, 61; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; ნეოკეს. 1, 8; კართ. 102; ბასილი დიდის 3, 7, 9, 18, 21, 31, 37, 38, 39, 58, 59, 60, 62, 63, 77)

ამ კანონში წმინდა გრიგოლი ყურადღებას ამახვილებს იმ ცოდვებზე, რომლებიც სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილებისა და სიამისმოყვარეობის შედეგებია, კერძოდ: სიმძიმით პირველ ადგილზეა მრუშობა, რომელიც სქესობრივი ჟინის – ავხორცობის შედეგია, სიძვა კი გამომდინარეობს სიამისმოყვარეობიდან. წმინდა გრიგოლი არ ეთანხმება იმათ, ვინც სიძვასა და მრუშობას აიგივებენ და აღნიშნავს, რომ **სიძვა** უნდა ეწოდოს იმ ცოდვას, როდესაც ვინმე იკმაყოფილებს თავის ხორციელ ჟინს სხვა პირისათვის შეურაცხყოფის მიუყენებლად, ხოლო – **მრუშობა,** როდესაც ბოროტება და შეურაცხყოფა ადგება სხვა პირს. მეძავთათვის წმინდა გრიგოლი განაწესებს ცხრაწლიან ეპიტიმიას, ხოლო მრუშთათვის – ორმაგს და, შესაბამისად, თვრამეტწლიანს; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ შემცოდებელმა მოინანია და ცოდვა დაუტევა. ორმაგს იმიტომ განაწესებს, რომ თავად ცოდვაა ორმაგი; ერთი მდგომარეობს აკრძალულ სიამისმოყვარეობაში, მეორე – მოყვასისადმი მიყენებულ შეურაცხყოფაში. სიძვით კი მესამე პირს შეურაცხყოფა არ მიეყენება. წმინდა მამა ფიქრობს, რომ მრუშობის შემთხვევაში ერთნაირ სასჯელს იმსახურებს როგორც ცოლის მოღალატე ქმარი, ისე ქმრის მოღალატე ცოლიც. როგორც ჩანს, ამ დანაშაულთან დაკავშირებით, წმინდა გრიგოლის აზრი არ ეთანხმება ბასილი დიდისას (იხ. ბასილი დიდის მე-9 და 21-ე კან.). წმინდა გრიგოლს რომ სწორედ ასეთი მოსაზრება აქვს მრუშობისათვის სასჯელთან მიმართებით, ამტკიცებს მისი სიტყვები: „მრუშობა ეწოდება სხვისი კავშირის ხელყოფასა და შეურაცხყოფას". ხოლო სიტყვაში: „სხვისი" რომ ცოლიც და ქმარიც უნდა ვიგულისხმოთ, ამას კანონის სიტყვები ამტკიცებენ: „რამეთუ ერთია კანონიერი კავშირი: ცოლისა – ქმართან, და ქმრისა – ცოლთან".

წმინდა გრიგოლი მრუშობასთან ერთ კატეგორიაში აყენებს და შესაბამის სასჯელს უქვემდებარებს ბუნების საწინააღმდეგო ყველა მეძავურ ქმედებასაც, კერძოდ პირუტყვთან დაცემას, მამათმავლობას, ან სიშმაგეს მამაკაცის სქესისადმი, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ ბასილი დიდის მე-7 კანონის განმარტებაში.

კანონი 5

ამის შემდეგ გვრჩება გამოკვლევას დავუქვემდებაროთ გაღიზიანების (გულისწყრომის) სულიერი ძალა, როცა იგი, განდრეკილი განრისხების კეთილი გამოყენებისაგან, ცოდვაში ვარდება. გაღიზიანებისაგან მრავალი ცოდვის საქმე და ყოველგვარი ბოროტება მომდინარეობს. მაგრამ ჩვენს მამებს ენებათ ზოგიერთი მათგანის გამო არ შესულიყვნენ ბევრ გამოწვლილვაში და არ აღიარეს საჭიროდ დიდი მზრუნველობა გაღიზიანებისაგან მომდინარე შეცოდებების საკურნებელად. საღმრთო წერილი კრძალავს არამხოლოდ მსუბუქ ჭრილობას, არამედ ყოველგვარ ბოროტსიტყვაობასა თუ გმობას (კოლას. 3, 8; ეფეს. 4, 31), და ყველაფერ ამის მსგავსს, მომდინარეს გაღიზიანებისაგან, მაგრამ მამებმა მხოლოდ მკვლელობის

ბოროტმოქმედების საწინააღმდეგოდ დაადგინეს დაცვა ეპიტიმიებში. ხოლო განიყოფა ეს ბოროტმოქმედება საკუთარი ნებით ჩადენილი და უნებლიე მკვლელობების განსხვავების კვალობაზე. საკუთარი ნებით ჩადენილი მკვლელობა, პირველ ყოვლისა, არის ის, რომლის ჩასადენადაც განზრახ გაკადნიერებულა ამ ბოროტმოქმედებაზე წასული ადამიანი, რომელმაც ამის გაკეთება გადაწყვიტა; კვალად, ისიც მიეკუთვნება ნებსით ჩადენილ მკვლელობებს, როცა ვინმე, ორთაბრძოლისას, როცა ჰგვემს სხვას და თავადაც იგვემება სხვისგან, ხელით გარკვეულ სახიფათო დარტყმას მიაყენებს მოწინააღმდეგეს. რამეთუ ერთხელ მრისხანებით მოცული და მრისხანების კვეთებისაგან ძლეული, ვნების მძვინვარების დროს გონებაში აღარ მიიღებს არაფერს, რასაც ბოროტების შეჩერება შეეძლებოდა. ამრიგად, ურთიერთჭიდილისას მომხდარი მკვლელობა ნებელობის მოქმედებას მიეწერება, და არა — შემთხვევითობისას. უნებლიე მკვლელობებს კი ცნობილი ნიშან-თვისებები აქვთ, როცა ვინმე, განზრახული აქვს რა რაღაც სხვა, შემთხვევით ჩაიდენს მძიმე ბოროტებას. ამათგან, საკუთარი ნებით ჩადენილი მკვლელობა მოითხოვს დროის სამმაგ ხანგრძლივობას იმათთვის, რომელნიც სინანულში მოქცევით მკურნალობენ ნებსით დანაშაულს. მათთვის დადგენილია სამი ცხრაწლეული, ცხრა-ცხრა წლის დაწესებით სინანულის თითოეული საფეხურისათვის. მონანულმა, დაე, სრულ განყენებაში გაატაროს პირველი 9 წელიწადი, ისე, რომ ეკლესიაში შესვლაც აღეკვეთოს. ამდენივე მომდევნო წელიწადი, დაე, მსმენელთა ხარისხში დაჰყოს, ღირსიქმნება რა მხოლოდ მოუსმინოს მოძღვრებსა და საღმრთო წერილს; მესამე ცხრაწლეულში კი, დაე, სინანულით შევრდომილებთან ერთად იყოს, — და შემდეგ მიეახლოს წმინდა საიდუმლოს საზიარებლად. ხოლო, ცხადია, რომ ასეთ ადამიანსაც დააკვირდება ეკლესიაში სულის აღმშენებლობის აღმსრულებელი, და ცოდვილის მოქცევის შესაბამისად შემოკლდება მისთვის ეპიტიმიათა ხანგრძლიობა, ისე, რომ ნაცვლად ცხრა წლისა — სინანულის თითოეული საფეხურისათვის, განწესებული იქნება მისთვის რვა წელი, ან შვიდი, ანდა ექვსი, ან კიდევ მხოლოდ ხუთი წელი, თუკი სინანულის სიდიდით, იგი წინ უსწრებს დროს და საკუთარი თავის გამოსწორების მოშურნეობით აღემატება იმათ, რომელნიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაკლებ ქმედითად განიწმედენ თავს სიბილწეთაგან. ხოლო უნებლიე მკვლელობა აღიარებულია სულგრძელების ღირსად, ოღონდ — არა ქების. ეს მე ვთქვი იმის ნათელსაყოფად, რომ თუ ვინმე, თუნდაც უნებლიეთ, შეიბილწება მკვლელობის ჩადენით, ესევითარი, როგორც უკვე არაწმინდად ქცეული არაწმინდა საქმის გამო, კანონმა აღიარა უღირსად წმინდა მადლის მიღებისა. ხოლო რა დროც არის დაწესებული უბრალო სიძვისაგან განსაწმედად, ასეთივე დრო იქნა კეთილად განგებული უნებლიე მკვლელებისათვის, აქაც მონანულის სულიერი განწყობის გათვალისწინებით. ამგვარად, თუკი ჭეშმარიტი იქნება მოქცევა, მაშინ, დაე, ნუ დაიცავენ წელთა რიცხვს, არამედ დროის შემცირებით მიიყვანებოდეს მონანული ეკლესიაში დაბრუნებისა და წმინდა საიდუმლოთა ზიარებისათვის. ხოლო თუკი ვინმე,

რომელსაც ჯერ არ შესრულებია სინანულისთვის კანონით განსაზღვრული ვადა, სიკვდილის პირას აღმოჩნდება, მაშინ მამების კაცთმოყვარეობა გვიბრძანებს ვაზიაროთ იგი წმიდა საიდუმლოთ, რათა საგზლის გარეშე არ გაემართოს უკანასკნელ და შორეულ მოგზაურობაში. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ წმინდა საიდუმლოთ ზიარებული, კვლავ მოუბრუნდება სიცოცხლეს, მაშინ, დაე, დაელოდოს დადგენილი ვადის ამოწურვას იმავე საფეხურიდან, რომელზეც მისთვის აუცილებლობის გამო მიცემულ ზიარებამდე იმყოფებოდა.

(მოც. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 8, 11, 56, 57)

განიხილა რა მე-2, მე-3 და მე-4 კანონებში სულის ორი მხარე, ადამიანის სულიერი ძალების 1 კანონში დადგენილი დაყოფების შესაბამისად, წინამდებარე კანონში წმინდა გრიგოლი იწყებს იმ ცოდვების განხილვას, რომელთა სათავეც სულის მესამე შესაძლებლობაა (ნაწილი) – ეს არის „გაღიზიანების ძალა“ („сила раздражения“, „irascentem partem“). ამ სახის ცოდვებს შორის წმინდა გრიგოლი მოიხსენიებს მკვლელობას, და ამ დანაშაულში ასხვავებს ერთმანეთისგან განზრახ და უნებლიე მკვლელობებს; ამასთან, ერთისთვისაც და მეორისთვისაც განაწესებს შესაბამის სასჯელებს. მკვლელობის შესახებ ჩვენ საკმარისად ვისაუბრეთ ბასილი დიდის მე-8 კანონის განმარტებაში.

კანონი 6

ხოლო კერპთმსახურების სხვა სახეობა, – რამეთუ ასე უწოდებს წმინდა მოციქული ანგარებას (კოლას. 3, 5), არც კი ვიცი რატომ დატოვეს ჩვენმა მამებმა კურნების მიუთითებლად. ეს ბოროტება, როგორც მე ვგონებ, არის სულის სნეულება სამგვარი მიმართებით: რამეთუ გონება, – შეცთომილი სიკეთის განსჯაში, – ოცნებობს, თითქოსდა, სიკეთე ნივთიერებაში მდგომარეობდეს, და არ უჭვრეტს უნივთო სიმშვენიერეს; მოსურნეობა ამქვეყნიურს მიესწრაფვის, – განეშორება რა ჭეშმარიტად სასურველს. სწორედ ამ მიზეზით მიიღებს ხოლმე სულის ჭირვეული და გაღიზიანებითი განწყობა ბევრ ასეთ შემთხვევას. და საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სნეულება შეესატყვისება ანგარების მოციქულისმიერ აღწერას. რამეთუ ღვთაებრივმა მოციქულმა იგი არამხოლოდ კერპთმსახურებად აღიარა, არამედ ყველა ბოროტების *„ძირადაც“* (1 ტიმოთ. 6, 10). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოდვის ეს გვარობა დატოვებულ იქნა საგანგებო განხილვისა და კურნების გარეშე, რის გამოც ეს სენი მრავლდება ეკლესიებში, და არავინ გამოსცდის სამღვდელო დასში მისაღებ პირებს იმაში, შებილწულან თუ არა ისინი კერპთმსახურების ამ სახეობით. თუმცა, რადგანაც ჩვენს მამებს არ უხსენებიათ იგი, ამიტომ საკმარისად მივიჩნევთ ამის კურნებას, რამდენადაც შესაძლებელია, საჯაროდ დასამოძღვრავი სიტყვით, და ანგარებისმოყვარეობის სნეულებანიც, როგორც ერთგვარი ავადმყოფობა მოჭარბებული კეთილდღეობისგან, ჩვენ უნდა განვწმიდოთ გონივრული განსჯადობით. ჩვენ მხ-

ოლოდ ქურდობას, საფლავთთხრასა და სიწმიდეთმკრეხელობას ვთვლით მძიმე სნეულებად, იმიტომ, რომ ამის შესახებ მემკვიდრეობითი გადმოცემა გვაქვს მამებისაგან. საღმრთო წერილის მიხედვითაც აკრძალულ საქმეთა რიცხვს განეკუთვნება ვახში და აღნადგინები, და სხვისი საკუთრების საკუთარ მონაგარზე მიმატება ერთგვარი დაუფლებით, თუნდაც ეს ხელშეკრულების სახით იყოს გაფორმებული. ამრიგად, რადგანაც ჩვენი შეხედულება სარწმუნოა იმისათვის, რომ კანონებისათვის დამახასიათებელი ძალა ჰქონდეს, ამიტომ უკვე ნათქვამს დავურთავთ მსჯელობას კანონების მიხედვით უდავოდ აკრძალული საგნების შესახებ. ქურდობა განიყოფება ავაზაკობად და ხვრელის გაყვანად (ფარულ პარვად). ორივეს მიზანი ერთია — სხვისი კუთვნილების წართმევა, მაგრამ მათ შორის უდიდესი განსხვავებაა სულის განწყობაში. რამეთუ ავაზაკი, თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, კაცისკვლასაც იყენებს, და ამისთვის იარაღითაც ემზადება, თავისი მსგავსი ადამიანების შეგროვებითაც და შესაფერისი ადგილების შერჩევითაც, რის გამოც ესევითარი კაცის მკვლელის მსჯავრს უნდა დაექვემდებაროს, — თუკი სინანულის გზით დაუბრუნდება ღვთის ეკლესიას. ხოლო სხვისი ქონების ფარული მიტაცების გზით მიმთვისებელმა და შემდეგ აღსარების მეშვეობით თავისი ცოდვის მღვდლისათვის გამომცხადებელმა, დაე, იმ საშუალებით უმკურნალოს თავის სენს, რომელიც მისი ვნების საპირისპიროა, ანუ ქონების დარიგებით ღარიბ-ღლახაკთათვის, რათა გაიღებს რა იმას, რაც აქვს, ანგარების სენისაგან განწმედილად წარმოაჩინოს თავი. ხოლო იმას, ვისაც არაფერი აქვს, გარდა საკუთარი სხეულისა, მოციქული უბრძანებს სხეულებრივი შრომით უმკურნალოს ამ ვნებას. ეს ბრძანება ასე იკითხება: *„მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროსლა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თჳსითა ჴელითა, რაჲთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უჴმდეს“* (ეფეს. 4, 28).

(მოც. 25, 72; კართ, 5; გრიგოლ ნეოკესარიელის 2, 3, 4, 5; ბასილი დიდის 61)

სხვა ცოდვა, რომელიც სულის იმავე გაღიზიანებული მდგომარეობიდან (ნაწილიდან) გამომდინარეობს, რის შესახებაც მე-5 კანონში იყო საუბარი, ეს არის — ანგარებისმოყვარეობა, რომლის შესახებაც, ეყრდნობა რა პავლე მოციქულის სიტყვებს (კოლას. 3, 5), წმინდა გრიგოლი შენიშნავს, რომ ის იგივეა, რაც კერპთაყვანისმცემლობა. თვით ანგარებისმოყვარეობიდან გამომდინარე ცოდვებს შორის წმინდა გრიგოლი მოიხსენიებს სამს: ქურდობას, საფლავთმთხრებლობას და მკრეხელობას. ამათგან პირველ დანაშაულზე საუბრობს წინამდებარე კანონში, სხვა ორზე კი — ორ შემდგომ კანონში.

ძველ რომაულ სამართალთან შესაბამისობაში, წმინდა გრიგოლი ქურდობას ჰყოფს ძარცვასა და ჩასაფრებაზე. ამ უკანასკნელში იგულისხმება სხვისი უძრავი ქონების ბოროტგანზრახული მზაკვრული მითვისება თავის სასარგებლოდ და თავის საკუთრებად. თუკი სხვისი ქონების მითვისებისას იარაღიც იქნება გამოყენებული, თანაც, ვინმეს, საკუთარი ქონების დამცველთაგანს დაჭრიან ან მოკლავენ, ასეთ შემთხვევაში ეს იქნება ყაჩაღობა, რომელიც ისეთივე დანაშაულად კვალი-

ფიცირდება, როგორც მკვლელობა. იგივე სასჯელს ექვემდებარება ჩასაფრებული დამნაშავეც, თუკი ის იარაღს გამოიყენებს მისატაცებელი ქონების მესაკუთრის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში კი, თუ დამნაშავე დანაშაულს აღიარებს და მოინანიებს, მან უნდა დააბრუნოს არამარტო მითვისებული, არამედ თავისი საკუთრებაც კი ლატაკებს უნდა დაურიგოს, და მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სასჯელისაგან. წმინდა მამა ქურდობას მიაკუთვნებს ასევე, „მევახშეობასაც და აღნადგინებასაც (პროცენტით გასესხება) და სხვის თანამონაწილედ აყვანას ძალდატანების გზით". **მევახშეობა** ეწოდება ქმედებას, როდესაც ვინმეს სესხად აძლევენ გარკვეულ თანხას და შემდგომ მისგან მოითხოვენ გაცილებით მეტს; **აღნადგინები** – როდესაც გამსესხებელი მოითხოვს დიდ პროცენტებს. სხვისი ქონების მითვისების მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ის შემთხვევა, როდესაც ვინმე თავად არ იყენებს არც ძალას, არც რაიმე საშუალებას სხვისი ქონების მისატაცებლად, არამედ – სხვა პირის მეშვეობით, ან თავისი თანამდებობრივი მდგომარეობისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით. ამ უკანასკნელი ხერხით სხვისი ქონების მითვისების შესახებ საუბრობს სპეციალური მე-4 კანონი VII მსოფლიო კრებისა, რაც ზოგადად რომის სამართალში იწოდებოდა „იმ ფულთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც უკან დაბრუნებას ექვემდებარება" (როგორც უკანონოდ მიღებული).

კანონი 7

თვით საფლავთმთხრელობაც (საფლავის მძარცველობაც) განიყოფება შესანდობელად და შეუნდობელად. რამეთუ თუკი ვინმე, დაინდობს რა მკვდართა ღირსებას და არ შეეხება სამარეში დაფლულ სხეულს, რათა მზის წინაშე არ გამოჩნდეს ბუნების უსახურება, არამედ, მხოლოდ, საფლავად დადებულ ზოგიერთ ქვებს გამოიყენებს რამე შენობის ასაგებად, მაშინ ეს, თუმც საქები არ არის, მაგრამ მაინც, ჩვეულებრივ, შესანდობელია, რადგან ეს ნივთიერება (საგნები) რაღაც უფრო კარგისა და საერთო სარგებლობისათვის იქნა მიმართული. ხოლო მიწად მიქცეული სხეულის ნეშტის ქენჯნა და ძვლების შეწუხება იმის იმედით, რომ მიცვალებულთან ერთად დამარხულ რაღაც სამკაულს იპოვნიან, – ეს ცოდვა ისეთივე სასჯელს იმსახურებს, როგორსაც უბრალო სიძვა, იმ განსხვავების გათვალისწინებით, რომელიც წინამავალ სიტყვაში წარმოვაჩინეთ, ანუ: დაე, იმდენად ყურადღებით დააკვირდეს წინამძღვარი (მღვდელი) განსაკურნის მკურნალობას თვით მისი ცხოვრების მიხედვით, რომ შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში შეუმციროს კანონებით განსაზღვრული ეპიტიმიის ვადები.

(ბასილი დიდის 66)

ბასილი დიდის 66-ე კანონიდან ჩვენ ვიცით, რომ „საფლავების მთხრელნი" ექვემდებარებიან ათწლიან ეპიტიმიას. იგივე დანაშაულზე საუბრობს წმინდა გრიგოლ ნოსელი წინამდებარე კანონში. ამასთან, საფლავთმთხრელებს ჰყოფს „მისატევებელზე" და „არამისატევებელზე". სასჯელს არ ექვემდებარება ის, ვინც ცალკეულ

ქვებს აგროვებს საფლავიდან, თუკი მხოლოდ ის ამ ქვებს იყენებს რამე უფრო მიზანშეწონილი საქმისათვის, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ეკლესიის მშენებლობისათვის, ქველმოქმედებითი დაწესებულებებისთვის, და თუ ამასთან, არ დაუზიანებია საფლავში დასვენებული მიცვალებულის ნაწილები. მაგრამ თუ ვინმე თხრის საფლავებს და აწუხებს გარდაცვლილთა ძვლებს, მასში ჩამარხული რაიმე ძვირფასეულობის მიტაცების მიზნით, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე იმსახურებს სიძვისთვის დაწესებულ სასჯელს, ანუ ცხრაწლიან ეპიტიმიას. სასჯელის ეს ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს, თუკი დამნაშავე, სასჯელის მოხდის პერიოდში, გამოავლენს გულის შემუსვრილობასა და კეთილ საქმეებს.

კანონი 8

მკრეხელობა ძველ აღთქმაში არანაკლები სასჯელის ღირსადაა შერაცხული, ვიდრე კაცისკვლა. რამეთუ მკვლელობაში მხილებულსაც და ღმერთისათვის მიძღვნილის მიმტაცებელსაც ერთნაირად უქვემდებარებდნენ ჩაქოლვას (იხ. ისო ნავ. თავი 7). საეკლესიო ჩვეულებებში კი, არ ვიცი როგორ, შემოვიდა გარკვეული შემწყნარებლობა და შერბილება, და მიჩნეულ იქნა, რომ ამ სენის განწმედა უფრო იოლად არის შესაძლებელი. რამეთუ მამებისეული გადმოცემით ესევითართათვის განწესებულია უფრო ნაკლები ხანგრძლივობის ეპიტიმია, ვიდრე მრუშობისათვის. ხოლო დანაშაულის ყოველგვარ სახეობაში პირველ ყოვლისა, უნდა მივხედოთ, თუ როგორია განსაკურნებელის განწყობა, და კურნებისათვის საკმარისად მივიჩნიოთ არა დრო (რამეთუ როგორი კურნება შეიძლება იყოს დროისგან?), არამედ იმ ადამიანის ნებელობა, რომელიც სინანულით იკურნავს თავს. ამას შენ, ღვთის კაცო, დიდი მეცადინეობით შეკრებილს იმისგან, რაც ხელთა გვაქვს, გულმოდგინედ გიგზავნით, რადგანაც მორჩილნი უნდა ვიყოთ ძმათა ბრძანებებისა. შენ კი ნუ შესწყვეტ ღმერთისადმი ჩვეული ლოცვების აღვლენას ჩვენთვის, რამეთუ შენ, ვითარცა კეთილმზრახველმა ძემ, შენი ლოცვებით უნდა ასაზრდოო სიბერეში ღმრთის მიერ შენი მშობელი, საღმრთო მცნებისამებრ, რომელიც მშობლების პატივისცემას გვიბრძანებს, *„რაითა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“* (გამოს. 20, 12). ხოლო სარწმუნოა ის, რომ ამ წერილს მიიღებ როგორც წმინდა საღმრთო ნიშს და არ უგულებელჰყოფ მოძღვნილს, დაე, თუნდაც იგი შენს მაღალ სულზე დაბალი იყოს.

(მოკ. 72, 73; ანტიოქ. 25; ორგზ. 10; გრიგოლ ნეოკესარიელის 3; თეოფილე ალექსანდრიელის 14)

მკრეხელობად საეკლესიო სამართალში იწოდება ისეთი დანაშაული, როდესაც ვინმე დააზიანებს ან შებღალავს საღვთისმსახურო დანიშნულების წმინდა საგნებს; ასეთად იწოდება აგრეთვე წმინდა საგნების მოპარვა ან რაიმე სახით მითვისება. ამ მეორე მნიშვნელობის მკრეხელობაზე საუბრობს წინამდებარე კანონი და მოიხსენიებს წმინდა წერილიდან (ისო ნავ. მე-7 თავ.) ადამიანს, რომელმაც

მიიტაცა ღმერთისთვის შეწირული და ამისთვის დაიმსახურა სასჯელი, როგორც მკვლელობისათვის. წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელის მე-3 კანონის თანახმად კი მსგავსი დანაშაულისათვის „დამნაშავე ისჯება ღვთის ეკლესიიდან განყენებით", და ეს წმინდა მამაც (წმინდა გრიგოლ ნოსელი) მკრეხელობისათვის განაწესებს დაახლოებით იგივე სასჯელს.

წინამდებარე კანონის დასკვნა იმავდროულად არის ამ წმინდა მამის ეპისტოლეს დასკვნითი ნაწილი ეპისკოპოს ლიტოის მიმართ, რომელ ეპისტოლედანაც შედგენილია წმინდა გრიგოლის ზემომოყვანილი კანონები.

კანონი თეოფილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა მის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც წმინდა ღმრთისგანცხადების დღესასწაულის წინა დღე კვირა დღეს დაემთხვევა

კანონი 1

ჩვეულებაც და ვალდებულებაც მოითხოვს ჩვენგან, რომ პატივს მივაგებდეთ ყოველ კვირა დღეს, და ვდღესასწაულობდეთ მას; რადგან ამ დღეს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოგვმადლა მკვდრეთით აღდგომა. ამიტომაც ეწოდება ამ დღეს „პირველი“ წმინდა წერილში, რამეთუ ის ჩვენი ცხოვრების დასაწყისს წარმოადგენს, და – „მერვე“, როგორც იუდეველთა შაბათის შემდგომ დამდგარი. მაგრამ როდესაც ამ დღეს წმინდა ღმრთისგანცხადების წინა მარხვა ემთხვევა, ჩვენ კეთილად უნდა დავაწესოთ და ბრძნულად მივუდგეთ ამ ორივე გარემოებას. მცირედი ფინიკის მიღებით, თავიდან ავიცილებთ მწვალებლურ ჩვეულებას, რომელიც არად აგდებს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომის დღეს; ამით, ამასთანავე, სათანადო პატივს მივაგებთ მარხვის დღეს სამწუხრო შეკრების მოლოდინში, რომელიც ღვთის ნებით ამ დღეს აღესრულება. ამგვარად, ამ დღეს შევიკრიბოთ მეცხრე ჟამიდან.

(მოც. 66; ტრულ. 55; ლაგ. 18)

თეოფილე ალექსანდრიელის კანონებისა და იმის შესახებ, თუ საიდან არის ისინი შედგენილი, ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. წინამდებარე კანონი (1) მრგვლივ-მოსავლელი {ცირკულარული} განცხადებაა იმის შესახებ, თუ როგორი მარხვაა მართებული ღმრთისგანცხადების (ნათლისღების) წინ, თუკი ეს დღე დაემთხვევა კვირას, როდესაც კანონების თანახმად მარხვა აკრძალულია. თავის წინამდებარე „განცხადებაში“ თეოფილე განმარტავს, თუ როგორი იქნება მართებული ქმედება.

შეგონება თეოფილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა მიცემული ამონისათვის

კანონი 2

იმათ მიმართ, რომლებიც არიანელებთან იყვნენ ერთობაში და დღემდეც ეკლესიების მართვაში იღებენ მონაწილეობას, ჩვეულების მიხედვით უნდა მოვიქცეთ, ანუ მათ ნაცვლად სხვები დავადგინოთ, ვინც უკვე გამოიცადა მართლმადიდებლობაში; ისინი კი დარჩნენ ერთობაში, ხოლო განკარგულება მათ შესახებ შესაბამისი იყოს იმასთან, როგორც თებაიდაში მოექცნენ ასეთებს მართლმადიდებელი ეპისკოპოსები. ვინც ეპისკოპოს აპოლონიო-

სის მიერ არის დადგინებული და ეკლესიების მქონე არიანელებთან შევა ერთობაში – განკანონდეს, თუ ეს თავისი ნებით ჩაიდინა; ხოლო – თუკი თავისი ეპისკოპოსის მორჩილებით, მაშინ დარჩეს ერთობაში, როგორც გაუცნობიერებელი იმისა, რომ უგუნურად მოიქცა. თუმცა, თუკი ასეთებს მთელი ერი უარყოფს სხვებთან ერთად, მაშინ მათ ნაცვლად, დაე, სხვები იქნენ ხელდასხმულნი, ხოლო თუ მათ მიიღებენ იმათთან ერთად, ვისთანაც ერთობაში იყვნენ, მაშინ მათ მიმართაც იქნეს გამოყენებული ის ჩვეულება, რომელსაც მიჰყვა ყველა თებაიდელი ეპისკოპოსი.

(მიც. 92; I მსოფ. 10; ანკვირ. 1, 2, 3, 9, 12; პეტრე ალექსანდრიელის 10, 14; ათანასე დიდის 3)

წინამდებარე და შემდგომი ცხრა კანონი (2-11) შედგენილია **შეგონებიდან,** რომელიც გადაეცა ამონს – თეოფილეს მიერ ლვიკოში წარგზავნილს. ამ დროს ლვიკოს ეპისკოპოსი იყო აპოლონიოსი; შეგონება მიზნად ისახავდა ზოგიერთი იმ საკითხის გადაწყვეტას, რომლებიც აპოლონიოსის მიერ იყო დასმული თეოფილეს წინაშე. ზოგიერთი მართლმადიდებელი მღვდელმსახური არიანელების შემოტევისას, მათთან საეკლესიო ერთობაში შევიდა, თუმცა თავად არ აღიარებდნენ არიოზის სწავლებას. როდესაც არიანელთა შემოტევა დასრულდა, აღნიშნულმა სწავლებამ თავისი ძალა დაკარგა და მართლმადიდებლები ეკლესიებს დაუბრუნდნენ, რომლებიც მათ მწვალებლებმა ჩამოართვეს; ამის შემდეგაც ბევრ ეკლესიაში მღვდლებად ისეთი პირები მსახურობდნენ, ვინც, თუნდაც დროებით, არიანელთა მხარეს იყვნენ გადასულნი. კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ მღვდლებთან მიმართებით, თეოფილე პასუხობს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა გაითვალისწინონ სხვა ქვეყნების პრაქტიკა, კერძოდ, თებაიდის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მართლმადიდებლობაში მერყეობისთვის მოხსენიებული მღვდელმსახურნი გაძევებულ უნდა იქნენ მსახურებიდან და მათ ადგილზე დადგინდნენ სხვა პირები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს მართლმადიდებლობაში საკუთარი სიმტკიცე. ამასთან, მსახურებიდან გაძევებულებს უნდა შეუნარჩუნდნენ მღვდელმსახურის სახელიცა და პატივიც, მაგრამ შემდგომში ყოველგვარი იერარქიული ხარისხების მიღებაზე უფლების გარეშე. აპოლონიოსის მიერ დადგინებულ მღვდლებთან მიმართებით, რომლებიც, მიუხედავად ეპისკოპოსის შეგონებისა ურყევი დარჩენილიყვნენ სარწმუნოებაში, მიიდრიკნენ არიანელობისაკენ, თეოფილე განაწესებს დაუქვემდებარონ ისინი შესაბამის სასჯელს. ხოლო რაც შეეხება იმ მღვდლებს, რომლებიც ასევე მიიდრიკნენ არიანული მწვალებლობისაკენ, მაგრამ ამაში მიჰყვნენ თავიანთი ეპისკოპოსების რჩევებს, თეოფილე განაწესებს, რომ ასეთი მღვდლები, იმის გამო, რომ შეუძლებელია მათი სრული დადანაშაულება, არ უნდა დაისაჯონ, და უნდა დარჩნენ თავიანთ ადგილებზე – თუკი მართლმადიდებელი ერი არ იქნება ამის წინააღმდეგი. ამ კანონის უფრო დაწვრილებით განმარტებას ემსახურება ათანასე დიდის ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ, ანუ ათანასე დიდის მე-3 კანონი.

კანონი 3

ერში მღვდლად დადგინებული ვისტიოსის შესახებ, საჭიროა გამოძიება ჩატარდეს. თუკი მან ქმარს განშორებულ დედაკაცზე ძალადობა ქმრის სიცოცხლეშივე იხმარა, მაშინ მას მღვდლობა აეკრძალოს, რადგან, ასეთ შემთხვევაში იგი ეკლესიაში ვერ უნდა შევიდეს ერისკაცის სახელითაც კი, რამეთუ ეკლესია ასეთებს, ჩვეულებრივ, ერთობიდან განაყენებს. თუმცაღა, ეპისკოპოს აპოლონიოსს ეს არ უნდა წაეყენოს ბრალდებად, თუ მან იგი უმეცრებით დაადგინა. რამეთუ წმინდა კრებამ იმ უღირსების განკვეთა ბრძანა, რომელთა დანაშაულიც მათი ხელდასხმის შემდეგ გახდა ცნობილი.

(მოც. 25, 61; I მსოფ. 2, 9, 10; ნეოკეს. 9, 10; ორგზ. 17; ბასილი დიდის 89; თეოფილე ალექსანდრიელის 5, 6)

აპილონიოსს მღვდლად დაედგინა ვინმე ვისტიოსი. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ვისტიოსს ხელდასხმამდე ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული, კერძოდ სქესობრივი კავშირი ჰქონდა დედაკაცთან, რომელიც ქმარგაშორებული ცხოვრობდა. ამასთან დაკავშირებით თეოფილე განაწესებს, რომ საქმე ყურადღებით უნდა იქნეს გამოძიებული და თუ დანაშაული სახეზე აღმოჩნდება, ვისტიოსს მაშინვე უნდა ჩამოერთვას ხარისხი. აპოლონიოსს კი, თუკი მან უმეცრებით დაადგინა ის მღვდლად, არ უნდა ჩაეთვალოს ეს დანაშაულად, რამეთუ ამას მოითხოვს წმინდა კრება, სახელდობრ – I მსოფლიო კრების მე-9 კანონი, რომლის განმარტებასაც მეტი თვალსაჩინოებისათვის უნდა მივმართოთ.

კანონი 4

სურთან დაკავშირებით, – ვინაიდან ეპისკოპოსი აპოლონიოსი ამტკიცებს, რომ განდევნა იგი და ეკლესიისთვის უცხოდ შერაცხა, – დაე, იყოს ისე, როგორც ეპისკოპოსმა განაჩინა; მაგრამ, დაე, მიეცეს მას საშუალება თავისი სიმართლის აღიარებისა, თუ სურს, და უკმაყოფილო თუ არის ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით.

(მოც. 28; I მსოფ. 5; IV მსოფ. 9; ანტიოქ. 4, 12, 20; სარდიკ. 3, 4, 5, 14; კართ. 29, 65; ბასილი დიდის 88)

გარკვეული დანაშაულის გამო მღვდელი სური განკვეთა ეპისკოპოსმა აპოლონიოსმა. იმის გამო, რომ სურის მრევლი ამით უკმაყოფილო დარჩა, თეოფილემ განაწესა, რომ მართალია, ეპისკოპოსის გადაწყვეტილება ძალაში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ სურს შეეძლო საჩივრით მიემართა მმართველი ეპარქიალური კრებისთვის, და იქ, თუ შეძლებდა, თავი გაემართლებინა. ამის შესახებ იხ. პარალელური ადგილების განმარტებანი.

კანონი 5

ლევიკოში დიაკვნად დადგინებულ პანუფთან დაკავშირებით, საჭიროა გამოძიება ჩატარდეს. თუ დამტკიცდება, რომ კათაკმეველობის პერიოდში თავის დედამამიშვილის ასულზე დაქორწინდა, მაშინ, რაკი ნათლისღების შემდეგ გაწევრიანდა სამღვდელო დასში, დაე, დარჩეს კლირიკოსად, თუკი მხოლოდ მისი მეუღლე გარდაცვლილია და ნათლისღების შემდეგ მასთან ხორციელი კავშირი აღარ ჰქონია. ხოლო, თუ აღმოჩნდება, რომ უკვე ქრისტიანად მონათვლის შემდეგ დაქორწინდა მასზე, ასეთ შემთხვევაში, დაე, უცხო იქმნეს სამღვდელო დასისთვის. ეპისკოპოს აპოლონიოსს კი, თუკი მან უმცრებით აღასრულა მისი ხელდასხმა, ეს ბრალად არ უნდა წაეყენოს.

(მოც. 19, 25, 61; I მსოფ. 2, 9; ანკვირ. 12; თეოფილე ალექსანდრიელის 3, 6)

საუბარია ლევიკელ დიაკონ პანუფზე, რომლის დანაშაულიც მსგავსია იმ დანაშაულისა, რომელიც განხილულია თეოფილეს მე-3 კანონში. ნათლისღებამდე ჩადენილი დანაშაული მხედველობაში არ მიიღება საეკლესიო დასში მიღებისას, ვინაიდან ნათლისღება ყოველი ცოდვისგან განბანს; მის შემდგომ ჩადენილი დანაშაული კი, ხელის შემშლელია დასში გაწევრიანებისათვის. სწორედ ამაშია თეოფილეს წინამდებარე კანონის აზრი.

კანონი 6

იაკობის შესახებ გამოძიებულ უნდა იქნეს. თუკი მან წიგნისმკითხველად მსახურებისას სიძვის ცოდვა ჩაიდინა და ამისთვის მღვდლებმა განკვეთეს, ხოლო შემდეგ ხელდასხმა მიიღო, დაე, განიკვეთოს თავისი ხარისხიდან, თუმცა, ეს უნდა მოხდეს გულმოდგინე გამოძიების შედეგად, და არა ცილისწამებისა და ბოროტსიტყვაობის ნიადაგზე აღძრული ეჭვის საფუძველზე. თუ დამნაშავე არ აღმოჩნდება, დაე, დარჩეს სამღვდელო დასში; რამეთუ ყურადღება არ უნდა მიექცეს ამაო დასმენებს.

(მოც. 25, 61; I მსოფ. 2, 9, 10; ნეოკეს. 9, 10; ბასილი დიდის 69, 70, 89; ტიმოთე ალექსანდრიელის 3, 5)

მსგავსად იმისა, როგორც თავის მე-3 კანონში თეოფილე განაწესებს, რომ კლერიკოსის დასჯამდე წინასწარ უნდა მოხდეს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გამოძიება, ასევე განაწესებს იგი წინამდებარე კანონშიც, რომ გამოძიებულ იქნეს საჩივარი, რომლიც შესულია ვინმე იაკობ მკითხველის წინააღმდეგ, რის გამოც იგი მსახურებიდან დაითხოვეს, მერე კი, გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ აიყვანეს უმაღლეს ხარისხში. თუკი დანაშაული დამტკიცებულია, ასეთ შემთხვევაში იაკობი ხარისხის ჩამორთმევას ექვემდებარება, და პირიქით, თუ მას ცილი დასწამეს და მისი უდანაშაულობა დამტკიცდება, მაშინ, დაე, დარჩეს სასულიერო დასში.

კანონი 7

ხელდასხმის მიღების მსურველთთათვის ასეთი წესი დაიდოს: კანდიდატის გამორჩევასთან დაკავშირებით, მთელმა სამღვდელო კრებულმა გამოთქვას თანხმობა, რის შემდეგაც ეპისკოპოსმა გამოსცადოს და სამღვდელოებასთან შეთანხმებით და ერის თანდასწრებით აღსრულოს მისი ხელდასხმა შუა ტაძარში; ეპისკოპოსმა მიმართოს ერს, ამოწმებს თუ არა ისიც კანდიდატის ღირსებას. ფარულად კი ხელდასხმას ადგილი არ ჰქონდეს, რადგან, როდესაც ეკლესიაში მშვიდობა სუფევს, მაშინ ხელდასხმას შეშვენის ეკლესიაში წმინდანების* თანდასწრებით აღსრულება. იმ ადგილებში კი, სადაც მორწმუნეების მწვალებლებთან თანაზიარებას აქვს ადგილი, ხელდასხმა აღესრულოს არა სხვაგვარად, თუ არა ჭეშმარიტად მართლმადიდებელი მღვდელმსახურების მხრიდან კანდიდატის გამოცდის შემდეგ, ასევე ეპისკოპოსის თანდასწრებით და მისი მიმართვით ერისადმი; მხოლოდ ამგვარად, რათა არ მოხდეს სწორი გზიდან რამენაირი გადახვევა.

(მოც. 2; I მსოფ. 9; ბასილი დიდის 89)

წინამდებარე კანონში არსებითად იგივეა ნათქვამი, რასაც ბასილი დიდი ქორეპისკოპოსების მიმართ თავის ეპისტოლეში, სხვაგვარად, 89-ე კანონში მღვდლებისა და კლერიკოსების გამორჩევისა და დადგინების შესახებ საუბარში ამბობს. მთელი სამღვდელოება უნდა შეთანხმდეს და გამოირჩიოს პირი, რომელსაც ხელნი უნდა დაასხან. როდესაც კანდიდატად დასახელებული პირი მიიღებს იმ ეკლესიის ყველა სასულიერო პირის ხმას, რომლის დაქვემდებარებაშიც თავად იმყოფება, მაშინ ეპისკოპოსი უტარებს მას გამოცდას იმ მიზნით, რომ რომ პირადად დარწმუნდეს, ღირსია თუ არა ის სასულიერო ხარისხისა. თუკი ეპისკოპოსიც დარწმუნდა კანდიდატის ღირსებაში და, შეაბამისად, ეთნახმება სამღვდელოების აზრს, მაშინ იგი იწყებს მისი ხელდასხმის პროცედურას, თანაც ტაძრის შუაგულში და ერის თანდასწრებით, რათა, როდესაც ეპისკოპოსი განაცხადებს, რომ კანდიდატი ღირსია სამღვდელო ხარისხისა, ერსაც შეეძლოს ამის დამოწმება. ამდენად, სამღვდელო კანდიდატი რომ ხელთდახმის ღირსი გახდეს, კანონის თანახმად საჭიროა, კონკრეტული ეკლესიის სამღვდელოება ურთიერთშეთანხმებაში მოვიდეს და გამოირჩიოს კანდიდატი, შემდეგ, ადგილობრივმა ეპისკოპოსმა გამოსცადოს და დაამტკიცოს გამორჩევა, დაბოლოს, თვით ხელდასხმის მომენტში, ერმა ეკლესიაში თავისი ხმით დაამოწმოს, რომ ეპისკოპოსის მიერ ღირსეულ კანდიდატად გამოცხადებული, ნამდვილად არის ხელდასხმის ღირსი. ეს კი ისე უნდა მოხდეს, ამბობს კანონი, „რათა არ მოხდეს სწორი გზიდან რაიმენაირი გადახვევა“. ანუ, რომ არ მოხდეს რაიმე სახის სიცრუე ხელთდასხმისას და მღვდლად არ ეკურთხოს ულირსი კანდიდატი. კანონი მოითხოვს, რომ ხელთდასხმა აღესრულოს აშკარად, გაცხადებულად და კრძალავს მის ფარულად ჩატარებას. ეს განწესება თავის დასაბამს იღებს ჯერ კიდევ ეკლესიის პიველი საუკუნეებიდან; მას უკვე ვხვდებით მოციქულთა განწესებებშიც (VIII, 4), და რადგანაც ის ეხებოდა მღვდლებისა და

*იგულისხმება მართლმორწმუნენი; შდრ. ებრ. 3, 1.

დიაკვნების ხელდასხმას, ამიტომ მით უფრო ესებოდა ეპისკოპოსების ქიროტონიასაც. გრიგოლ ღვთისმეტყველი კონსტანტინოპოლის კათედრასთან დაკავშირებულ დავაში მაქსიმე კონსტანტინოპოლელს ყველაზე მეტად იმაში დებდა ბრალს, რომ ის არ იყო ხელთდასხმული ეკლესიაში საჯაროდ, ერის წინაშე, არამედ კერძო სახლში, რომელიც ეხიარულების ადგილს წარმოადგენდა.* იგივეს ამბობს სოკრატე ურსინის შესახებ, რომელიც ცდილობდა დამასისთვის რომის კათედრა წაერთვა, რომ იგი „უკანონოდ იყო ხელთდასხმული („არა ეკლესიაში, არამედ დაფარულ ადგილას“). ეკლესიის ეს საერთო განწესება შემდგომში შევიდა მღვდელთმთავრის მიერ ქიროტონირების წესში: ეპისკოპოსმა ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ სამღვდელო კანდიდატი ღირსია ხელდასხმისა, რაზედაც, სამღვდელოების შემდეგ, ეკლესიაში დამსწრე მრევლი მგალობლებთან ერთად პასუხობს: „აქსიოს, ღირსია“.

კანონი 8

უსისხლო მსვერპლისათვის შენაწირი, რაც საიდუმლოს აღსრულების შედეგ დარჩება, ერთმანეთში უნდა გაინაწილონ დასის წევრებმა; არ შეჭამოს და არ შესვას იქიდან კათაკმეველმა, არამედ მხოლოდ კლერიკოსმა და მათთან თანაზიარმა ერთგულმა ძმებმა.

(მოკ. 3, 4, 38, 41; ლაგ. 7, 8; კართ. 37)

იხ. მე-3 და მე-4 კანონების განმარტებები.

კანონი 9

ვინაიდან იერაქსი ამბობს: სიძვაში დადანაშაულებულთაგან არავინ დარჩეს სამღვდელო დასში, მაგრამ ეპისკოპოსი აპოლიონოსი მაშინ ამტკიცებდა, რომ მის წინაღმდეგ [ვისაც იერაქსი ადანაშაულებდა] არც ერთი ბრალმდებელი არ გამოჩენილა, ამიტომ ჩატარდეს გამოძიება ამასთან დაკავშირებით. და თუ აღმოჩნდება ვინმე ღირსსარწმუნო ბრალმდებელი, და დანაშაული დამტკიცდება დამაჯერებელი მოწმეების ჩვენებებით, მაშინ, დაე, განიკვეთოს იგი ეკლესიიდან. ხოლო თუკი კლერიკოსობის ღირსი აღმოჩნდება და თავისი უბიწოების დამადასტურებელ მოწმობას წარმოადგენს, მაშინ, დაე, დარჩეს დასში.

(მოკ. 25, 61; I მსოფ. 2, 9, 10; II მსოფ. 6; IV მსოფ. 21; კართ. 8, 128, 129, 130, 131)

ამ კანონში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, რომელიც მსგავსია თეოფილეს მე-3 კანონში განხილული შემთხვევისა. ვინმე იერაქსმა დაასმინა, რომ რომელიღაც მღვდელი სიძვის ცოდვაში ჩავარდა და ამიტომ მას აღარ შეუძლია მღვდელმსახურება განაგრძოს. ეპისკოპოსმა აპოლონიოსმა კი, რომლის ეპარქიაშიც მსახურობდა აღნიშნული მღვდელი, განაცხადა, რომ მას ამის შესახებ არავითარი საჩივარი

*საკვარაუდოდ, ეს იყო სახლი, სადაც სადღესასწაულო ტრაპეზი იმართებოდა. — მთარგ.

არ მიულია. ამასთან დაკავშირებით, თეოფილე განაწესებს, რომ საქმე უნდა გამოიკვლიონ სასამართლო წესით და თუ აღმოჩნდება, რომ ბრალმდებელი ნდობას იმსახურებს და დანაშაულიც დამოწმებული იქნება სარწმუნო მოწმეებით, ასეთ შემთხვევაში ხსენებული მღვდელი იმსახურებს ეკლესიიდან განკვეთას; ხოლო თუ დანაშაული არ დამტკიცდა, მაშინ ის დასში უნდა დარჩეს.

კანონი 10

მთელი სამღვდელოების თანხმობით უნდა დაინიშნოს სხვა იკონომოსი, რომლის დადგინებაზე თანხმა იქნება ეპისკოპოსი აპოლონიოსიც, რათა სათანადოდ ხდებოდეს საეკლესიო ქონების განკარგვა.

(მოც. 38, 41; IV მსოფ. 25, 26; ტრულ. 35; VII მსოფ. 11, 12; ანკვირ. 15; ლანგ. 7, 8; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26, 33; ორგზ. 7; თეოფილე ალექსანდრიელის 11)

მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებს შორის, დროის მიხედვით ეს პირველი კანონია, რომელიც საუბრობს იმის შესახებ, რომ თითოეულ ეპარქიალურ მმართველობასთან ეპარქიის საეკლესიო ქონების მართვისათვის უნდა არსებობდეს ეპარქიის სამღვდელოების მიერ შერჩეული იკონომოსი. ეს ეპარქიალური იკონომოსები რომ პატრიარქ თეოფილემდე არსებობდნენ, ანუ 412 წლამდე, როდესაც თეოფილე გარდაიცვალა, ჩანს წინამდებარე კანონიდან, რომელიც განაწესებს, რომ ლვიკოს ეპარქიაში დაინიშნოს სხვა იკონომოსი, ნაცვლად იმისა, რომელიც მანამდე იყო იქ აღნიშნულ თანამდებობაზე. შემდგომში იკონომოსების შესახებ მიიღეს შესაბამისი განწესებანი IV მსოფ. კრების 26-ე და VII მსოფ. კრების მე-11 კანონებით, რომელთა განმარტებებშიც ჩვენ ვისაუბრეთ რაოდენ საჭიროც იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კანონი 11

ქვრივებმა, უქონლებმა და მოსიარულე მწირებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი დახმარება; არავინ მიითვისოს ეკლესიის კუთვნილება.

(მოც. 38, 41; IV მსოფ. 25, 26; ტრულ. 35; VII მსოფ. 11, 12; ანკვირ. 15; ლანგ. 7, 8; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26, 33; თეოფილე ალექსანდრიელის 10)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს თეოფილეს მე-10 კანონის გაგრძელებას. მე-10 კანონი საუბრობს იმის შესახებ, რომ იკონომოსმა ზედამხედველობა უნდა გასწიოს, რომ საეკლესიო შემოსავალი გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ, ხოლო ამ (მე-11) კანონში ზუსტად არის მინიშნებული, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იხარჯებოდეს საეკლესიო შემოსავალი, კერძოდ: გარდა საეკლესიო დასის შენახვისა (იხ. მოც. 41-ე კან.), ის, ასევე, უნდა ხმარდებოდეს „ქვრივებს, უქონლებსა და მოსიარულე მწირებს“.

ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს აფინგიონის მიმართ ეგრეთ წოდებულ „განწმენდილთა“ შესახებ

კანონი 12

განმიცხადა მე შენმა კეთილმსახურებამ, რომ ზოგიერთებმა იმათგან, რომლებიც თავიანთ თავს განწმენდილებს უწოდებენ, ეკლესიის ერთობაში შემოსვლა განიზრახეს. ხოლო, რადგანაც, ნიკეაში შემდგარი ჩვენი ნეტარი მამების დიდმა კრებამ განაწესა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქცეული მწვალებლების ხელთდასხმა, ამიტომ კეთილი ინებე, შენც დადგენილი წესით აღასრულო ეკლესიასთან შემორიგების მსურველთა ხელდასხმა, თუკი მხოლოდ ცხოვრება მათი კეთილსინდისიერია, და არავითარი წინააღმდეგობა ამისთვის არ არსებობს.

(I მსოფ. 8; II მსოფ. 7; ტრულ. 95; ლაოდ. 7; ბასილი დიდის 1,47)

წინამდებარე კანონი წარმოადგენს თეოფილეს საპასუხო ეპისტოლეს ეპისკოპოს აფინგიონის მიმართ, შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ეკლესიისკენ მოქცეულ კათარებს (ნოვატიანელებს, ე. წ. „განწმენდილებს“). ამასთან, თეოფილე შემკითხველ ეპისკოპოსს ურჩევს ყურადღება მიაქციოს I მსოფლიო კრების განწესებას, სახელდობრ – მის მე-8 კანონს.

ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს აგათონის მიმართ

კანონი 13

მაქსიმე ამტკიცებს, რომ ვინაიდან უკანონოდ დაქორწინდა საეკლესიო კანონების უმეცრებით, და რადგანაც მას აძრწუნებს ეკლესიის ერთობიდან განყენება, ამიტომ ირწმუნება, რომ ცოლის თანხმობით განეშორება მასთან უკანონო თანაცხოვრებას. თუკი დაინახავ, რომ ისინი ამას აკეთებენ ურთიერთთანხმობით და არ თვალთმაქცობენ, მაშინ, რაკი ათი წელი უკვე გავიდა მათი შეუღლებიდან, თუ კეთილგენებება დააყენო ისინი კათაკმეველებთან, გააკეთე ასე. ხოლო თუ შენიშნავ, რომ მოტყუება სურთ, მაშინ მათ წინააღმდეგ კიდვ უფრო მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო. აღასრულე ის, რასაც ღმერთი შეგაგონებს და ყველაფერში წინდახედულად იხელმძღვანელე. რამეთუ ადგილზე უფრო ზუსტად შეგიძლია შეაფასო მათი ნამდვილი განზრახვა.

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 31, 36, 46, 48, 77, 87)

წინამდებარე კანონში საუბარია ცოლ-ქმარს შორის ურთიერთშეთანხმებით განქორწინებაზე. განქორწინების ეს სახე დაშვებული იყო ბერძნულ-რომაული კანონმდებლობით, მაგრამ ეკლესია არასდროს აღიარებდა ასეთ განქორწინებას, გარდა ორი შემთხვევისა, კერძოდ, როდესაც მეუღლეები ისწრაფვოდნენ უფრო სრულყოფილი ცხოვრებისაკენ, რაც ეკლესიის სწავლებით მონოზვნურ ღვაწლში მდგომარეობდა, ან, როდესაც ქმარი ეპისკოპოსად იქნებოდა გამორჩეული და ცოლი დათანხმდებოდა ქორწინების გაუქმებას. ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ ტრულის 48-ე კანონის განმარტებაში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესია კრძალავს ქორწინების გაუქმებას ურთიერთშეთანხმებით (გარდა მოხსენიებული ორი შემთხვევისა), არ უნდა დავასკვნათ, რომ თეოფილე ალექსანდრიელის წინამდებარე (მე-13) კანონი თითქოს ეწინააღმდეგებოდეს განქორწინების შესახებ საეკლესიო სამართლის სწავლებას, ვინაიდან აღებულ შემთხვევაში საუბარია ვინმე მაქსიმეს უკანონო შეუღლებაზე, რის გამოც საეკლესიო სასამართლოს მიერ იგი განყენებულ იქნა ეკლესიის ერთობიდან. ის, როგორც ჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, აგრძელებდა თავის ცოლთან უკანონო ქორწინებაში ცხოვრებას, ხოლო, როდესაც მასში სინდისი ალაპარაკდა და იგრძნო საეკლესიო სასჯელის სიმძიმე, მაშინ მოინანია და განაცხადა, რომ ცოლთან შეთანხმებით ის გაწყვეტს მასთან ქორწინებით კავშირს. შესაბამისად, აქ ადგილი არ ჰქონია შეთანხმებით განქორწინებას მაშინდელი სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, არამედ, ეს იყო საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი, რომელმაც სცნო აღნიშნული ქორწინების უკანონობა და, შესაბამისად, ის გაუქმებულად გამოაცხადა. პატრიარქი თეოფილე ურჩევს ეპისკოპოს აგათონს დარწმუნდეს არა იმაში, ჭეშმარიტია თუ არა შეთანხმებითი განქორწინება, არამედ – ჭეშმარიტია თუ არა ამ პირთა სინანული და ნამდვილად ემორჩილებიან თუ არა საეკლესიო სასამართლოს განაჩენს, – და თავისი დასკვნის შესაბამისად მოიქცეს.

ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს მინას მიმართ

კანონი 14

რჯულიერი საქმე მოუმოქმედებიათ დაბა გემინოის მღვდელმსახურებს, თუკი ჭეშმარიტებას ამბობს წერილის მომტანი ევსტათია. იგი ყვება, რომ კირადია, რომელიც წყენას აყენებდა სხვებს და არ სურდა უსამართლობა შეეწყვიტა, ეკლესიის ერთობიდან განაკანონეს. მაგრამ დავრწმუნდი, რომ იგი თავის სენს მკურნალობს და ეკლესიაში დაბრუნება სურს, ამიტომ შეეცადე განაწყო, უპირველესად, უსამრთლობა შეწყვიტოს და სინანულში მოვიდეს, და თუკი დარწმუნდები, რომ ღვთის რჯულს უბრუნდება და საეკლესიო ერთობაში ყოფნა სურს, მაშინ ნება დართე მას მორწმუნე ერთან იყოს.

(I მსოფ. 12; IV მსოფ. 16; ტრულ. 102; ანკვირ. 5; ბასილი დიდის 74; გრიგოლ ნეოკესარიელის 3)

ვინმე ევსტათიამ თეოფილეს აცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქ გემინოიში ვინმე კირადია ბინძური ფულის მაქინაციებით იყო დაკავებული და ამ მისეზით გემინოიელმა მღვდლებმა ის ეკლესიის ერთობიდან განაყენეს. თეოფილე იწონებს მღვდლების გადაწყვეტილებას; თუმცა, როცა დარწმუნდა, რომ მოხსენიებულმა კირადიამ მიატოვა ცოდვითი საქმიანობა და ეკლესიასთან ერთობის აღდგენის სურვილი გამოთქვა, იგი წერს მმართველ ეპისკოპოს მინას (სწორედ ეს წერილი შეადგენს წინამდებარე კანონს), რომ მან გამოიყენოს ძალისხმევა ამ დედაკაცის მოსაქცევად და მისი მხრიდან გულწრფელი მონანიების შემთხვევაში, მიიღოს უკან, ეკლესიის წიაღში. წინამდებარე კანონი მოჰყავთ გრიგოლ ნოსელის მე-8 კანონის განმარტებაში ზონარასა და ბალსამონს იმ მიზნით, რომ აჩვენონ თუ რაოდენი ძალა ჰქონდა ჯერ კიდევ IV საუკუნის საეკლესიო პრაქტიკაში გრიგოლ ნეოკესარიელის მე-3 კანონს მომხვეჭელობის წინააღმდეგ.

კანონი წმინდისა მამისა ჩვენისა კირილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა. კანონიკური ეპისტოლე ანტიოქიის პატრიარქ დომნოს მიმართ

კანონი 1

როდესაც ჩვენი ყოველი საქმე ღვთისსათნო წესების დაცვით ხორციელდება, მასინ ის ვერ იქნება ჩვენში შფოთის წარმოშობის მიზეზი, პირიქით, სხვათა საყვედურს გვაცილებს თავიდან; უფრო მეტიც, კეთილმოაზროვნეთა მოწონებასაც გვახვეჭინებს. ვინ არ დაეთანხმება მიუკერძოებულ შეფასებას, როცა მას ვინმე სამართლიანად გამოთქვამს? ამას ვწერ ახლა, როდესაც შენმა კეთილმსახურებამ თავის წერილში, — რომელიც მოგვემართება მე და მის ყოვლადღირსებასა და უკეთილმსახურეს ძმასა ჩვენსა და თანაეპისკოპოს პროკლეს, — პეტრეს უწოდა ყოვლადკეთილკრძალული და ღვთის უსაზღვრომდმოსიყვარულე ეპისკოპოსი. ის კი, ამ დროს, გოდებს და თავის თავს უსამართლოდ ჩამოშორებულად მიიჩნევს მისთვის რწმუნებული ეკლესიისგან. ჯეროვანი კი იქნებოდა მღვდლობის სახელი თავის საქმესთან ერთად ჰქონოდა, ან თუ ღირსი არ არის ღვთის სამსხვერპლოს წინაშე წარდგომისა, მაშინ არც ეპისკოპოსის წოდებით ყოფილიყო პატივდებული. შეიძლება ჩემი სიტყვა შენს ღვთისმოყვარეობას მოეჩვენოს სასტიკი და ძმურ სიყვარულს მოკლებული, მაგრამ სინამდვილეში ის ასეთი არ არის. რამეთუ ჩვენ ვფიქრობთ ლმობიერნი ვიყოთ მოხუცის მიმართ, როცა მისთვის გვსურს მხოლოდ წოდების შენარჩუნება, მაგრამ ბევრად უკეთესი იქნებოდა სხვა რამეზეც მიგვექცია ყურადღება:

იგი ამბობს, რომ თავის გამართლება შეუძლია, მაგრამ ამაზე მას დრო არ მიეცა, და არც არავინ შესთავაზა საქმის განხილვა კანონებთან შესაბამისობაში. საქმე რომ გამოძიებულიყო, მაშინ იმხილებოდა მასში დამნაშავე, დამტკიცებული და აღიარებული, და ამიტომ უკვე ვეღარ შეძლებდა ელაპარაკა როგორც განაწყენებულს, ან კიდევ, გარკვევით გამოჩნდებოდა მისი უდანაშაულობა, რაც დაუბრუნებდა მას მისთვის მინდობილი ეკლესიის მმართველობას. იმის გამო, რომ ასეთი არაფერი ჩატარებულა, იგი ღაღადებს ყველაფერ ამის წინააღმდეგ და ჩივის, რომ აუტანელი გულისტკივილი განიცადა, რამეთუ არასწორად განკვეთეს. დასძენს აგრეთვე, რომ ყველაფერი, რაც საკუთარი ებადა, წაართვეს მას. ამდენად, შენი ღირსება მიიღებს რა საგულისხმოდ, თუ რას ითხოვს საღმრთო კანონები, და რა შეშვენის ეკლესიასა და წმინდა მსახურებისათვის მასში დადგინებულთ, ამასთან, პატივს მიაგებს რა ჩვენს წერილსაც, გვჯერა, რომ შეუშრობს ცრემლებს მოხუც კაცს. ხოლო თუკი მოინდომებს იგი სასამართლო განსჯას იმათთან, რომლებმაც მის წინააღმდეგ ბრალდება აღძრეს, დე, გასამართლდეს მიღებული ჩვეულების თანახმად შენი კეთილმსახურების წინაშე, ცხადია, შენი ქვეშევრდომი უკეთილმსახურესი ეპისკოპოსების თანდასწრებით, იმათ გარდა, რომლებსაც ვერ მიიღებს, როგორც ბრალდების მხარეს. ჩვენ არ ვვარაუდობთ, რომ რომელიმე უკეთილმსახურეს ეპისკოპოსს ძმის წინაშე მტრული აზრები ჰქონდეს, მაგრამ იმ მიზნით, რომ ეს არ აღმოჩნდეს საბაბი დანიშნული სასამართლოს ძალაში ეჭვშესატანად, თითქოს მისი შემადგენლობა არ იყო სამართლიანი, ამიტომ ოდნავადაც არ იქნება შეურაცხმყოფელი, თუკი ზოგიერთები, მათ მიუკერძოებლობაში შეტანილი ეჭვის გამო, არ დაესწრებიან სასამართლო კრებას.

(მოც. 28, 74; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 9, 17; ანტიოქ. 4, 12, 14, 15; სარდ. 3, 4, 5; კართ. 19)

ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსმა კირილემ, ეპისკოპოს პეტრესთან დაკავშირებით, რომელსაც საეპისკოპოსო კათედრა ჩამოართვეს, მისწერა კანონიკური ეპისტოლე ანტიოქიის მთავარეპისკოპოს დომნოს. მანამდე, პეტრეს საქმის შესახებ, დომნომ თავად მიმართა კირილეს, ასევე – პროკლეს, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს, და დაინტერესდა მათი აზრით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დომნოს ამ შეკითხვას კირილემ უპასუხა ეპისტოლეთი, რომელიც შეადგენს ამ და შემდგომ ორ (მე-2 და მე-3) კანონს. მოხსენიებული ეპისკოპოსი პეტრე ჩიოდა იმის შესახებ, რომ კათედრა უსამართლოდ ჩამოართვეს, იმავდროულად – მთელი თავისი ქონება, და იმისათვის, რომ ეს უკანონო ქმედება გაემართლებინათ, გადადგომა გამოსძალეს. ამ საჩივრის პირველი პუნქტის პასუხს წარმოადგენს წინამდებარე კანონი, რომელიც თვით ტექსტის შინაარსით საკმაოდ ნათელია.

მოხსენიებულ პეტრეს, როგორც ჩანს, დაატოვებინეს კათედრა კანონიერი სასამართლო განხილვის გარეშე, ამიტომ კანონის დასაწყისში კირილე აღნიშნავს, რომ ყოველი საქმე ისე უნდა წყდებოდეს, როგორც ამას კანონები განაწესებს, რამეთუ მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან

აცილება ეკლესიაში და მაშინ აღარ წამოიჭრება პეტრესთან დაკავშირებული საქმის მსგავსი გაურკვეველი საკითხები, პირიქით, ყველაფერში ფრიადი წესრიგი იქნება და ვერავინ გაბედავს იჩივლოს, როდესაც დაინახავს, რომ თითოეული საქმე სამართლიანად და კანონის გზით წყდება. ამასთან, კირილე გაკვირვებას გამოთქვამს, თუ როგორ შეეძლო დომნოს მოხსენიებული პეტრესთვის ეპისკოპოსი ეწოდებინა, როდესაც ამ უკანასკნელს თავის მმართველობაში ეკლესია არ გააჩნდა. ეს მნიშვნელოვანი შენიშვნაა. რაკი ეპისოპოსი ეპისკოპოსად იწოდება, ის სინამდვილეშიც ასეთი უნდა იყოს, ანუ უნდა ჰქონდეს თავისი ეპარქია, სადაც ასრულებს თავის საეპისკოპოსო ხელმწიფებას – მთავარი მოძღვრის, მღვდელთმთავრისა და მწყემსმთავრის რანგში. თუკი რომელიმე ეპისკოპოსი არ არის ღირსი აღასრულოს ასეთი ხელმწიფება და იდგეს ეპარქიის სათავეში, მაშინ მან არც ეპისკოპოსის წოდება უნდა ატაროს და მმართველმა კრებამ უნდა გამოაცხადოს ის ეპისკოპოსობის ღირსად და ჩამოართვას წოდება. სხვა სიტყვებით – განკვეთოს; მხოლოდ განსაკუთრებული სულგრძელებით, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პირი ამას იმსახურებს, შეიძლება მისთვის დატოვებულ იქნეს, კირილეს აზრით, ეპისკოპოსის პატივი, როგორც ეს მოხდა პეტრესთან მიმართებით, მისი საპატიო ხანდაზმულობიდან გამომდინარე, რაც მისი უდანაშაულობის მაჩვენებელია. პეტრეს საეპისკოპოსო წოდებასთან დაკავშირებული ამ შენიშვნის შემდეგ, კირილე ასკვნის, რომ მას საეპისკოპოსო კათედრა კანონიერი სასამართლოს გარეშე ჩამოერთვა, და რომ ახლანდელმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს განაჩენი შესაბამისად წმინდა კანონების განწესებებისა. ნორმალურ ვითარებაში ეპისკოპოსის გასამართლება შეუძლია იმ სამთავროს ეპისკოპოსთა კრებას, რომელსაც მიეკუთვნება ბრალდებული ეპისკოპოსი (იხ. მოც 74-ე და პარალ. კანონები). კირილე ურჩევს დომნოს, რომ სწორედ ასეთ კრებას მიმართოს პეტრეს საქმის გადასაწყვეტად. კირილეს აზრით, პეტრეს მიმართ შესაძლებელია, მისი მოხუცებულობისა და ცრემლების გათვალისწინებით, გამოჩენილ იქნას ლმობიერება, რამდენადაც ამის უფლებას კანონი იძლევა, და მიეცეს მას საშუალება გასამართლდეს ისეთი კრების მიერ, რომლის შემადგენლობაშიც არ იქნებიან ის ეპისკოპოსები, რომელთა მიმართაც პეტრე ეჭვობს, რომ მასთან დამოკიდებულებაში ისინი ობიექტურნი არ არიან. თუმცაღა, თავის ამ რჩევას კირილე იქვე უმატებს ძალიან მნიშვნელოვან შენიშვნას, კერძოდ, მას არ სჯერა, რომ შეიძლება მოიძებნებოდეს ისეთი ეპისკოპოსი, რომელსაც სიძულვილი ექნებოდა თავისი ძმის – ეპისკოპოსის მიმართ, ხოლო ითქვა ეს იმიტომ, რომ ბრალდებულს არ მიეცეს საბაბი იჩივლოს სასამართლოს მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე, რასაც იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ კრების მუშაობაში ისეთი პირები მიიღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც მის მიმართ ასეთ დამოკიდებულებაში არიან ეჭვმიტანილნი.

კანონი 2

რაც შეეხება მისთვის უსამართლოდ ჩამორთმეულ ქონებას, სამართლიანობა მოითხოვს, რომ დაუბრუნდეს მას ორი მიზეზით: პირველი ის არის, რომ ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო, მეორეც, უკეთილმსახურეს ეპისკოპოსებს, მთელ დედამიწაზე, ფრიად გულსტკენთ და უკიდურეს უკმაყოფილებაში აგდებთ მათი ხარჯების ანგარიშის მოთხოვნა – იქნება ეს საეკლესიო

შემოსავალთან თუ ვინმეს მიერ შემოწირულთან დაკავშირებით. რამეთუ ყოველი ჩვენგანი თავის დროზე ჩააბარებს ანგარიშს ყოველთა მსაჯულს. ეკლესიის სიწმინდეები და უძრავი ქონება ეკლესიებმა გაუსხვისებლად უნდა დაიცვან. ხოლო, რაც შეეხება დროდადრო არსებულ შემოსავალს, მისი განკარგვა თავისუფლად შეუძლია საღმრთო სამღვდელოების მმართველს საკუთარი შეხედულებისამებრ.

(მოც. 38, 41; IV მსოფ. 26; VII მსოფ. 12; ანტიოქ. 24, 25; კართ. 26, 33)

პეტრეს მეორე საჩივარი იმაში მდგომარეობდა, რომ მას წაართვეს მთელი თავისი ფული კათედრასთან ერთად. კირილე ასეთ ქმედებას არასამართლიანად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ პეტრეს უნდა დაუბრუნდეს ყველაფერი, რაც მასთან იპოვეს საეკლესიო შემოსავლიდან კათდრის ჩამორთმევის მომენტში. ამასთან, იგი იხსენებს მოციქულთა 38-ე კანონის პირველივე სიტყვებში გამოხატულ აზრს, რომ ეპისკოპოსი უნდა ზრუნავდეს ყველა საეკლესიო ნივთზე და ეკლესიის ქონებას მართავდეს თავისი სინდისით, თანაც ახსოვდეს, რომ ყველაფერში ღმერთის წინაშე მოუწევს პასუხისგება. თუმცა, რასაც კირილე ამბობს პეტრეს ფულთან დაკავშირებით, ყველაფერში არ ეთანხმება მოციქულთა მოხსენიებული კანონის განწესების შემდგომ ნაწილს, რამეთუ აღნიშნული კანონი მკაცრად უკრძალავს ეპისკოპოსს საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონებიდან რაიმეს მითვისებას; ასევე, საეკლესიო შემოსავლიდან. პეტრეს მიმართ გამოჩენილი უდიდესი ლმობიერებით უნდა აიხსნას წინამდებარე კანონის განწესება. ყოველ შემთხვევაში იმითაც, რომ კირილე პეტრეს მიიჩნევდა კანონიერ ეპისკოპოსად, ვიდრე კრება არ გამოიტანდა მის მიმართ თავის განაჩენს (კან. 1) და, შესაბამისად, საეკლესიო შემოსავლების მთავარ განმგებლად.

კანონი 3

რაც შეეხება თავისი მოვალეობისაგან გადადგომის შესახებ ხელწერილს,* როგორც თავად ამბობს, საკუთარი ნებით არ მიუცია, არამედ იძულებით, შიშითა და ზოგიერთის მხრიდან მუქარით. მაგრამ, გარდა ამისა, საეკლესიო განწესებებთან შეუსაბამოა, რომ რომელიმე მღვდელმსახურმა გადადგომის ხელწერილი წარმოადგინოს. რადგან, თუკი ღირსია, დაე, იმსახუროს, ხოლო თუ უღირსია, მაშინ განიკვეთოს მსახურებიდან არა საკუთარი გადადგომის საფუძველზე, არამედ ქმედებების გამო გასამართლებით. ამის წინააღმდეგ შეიძლება ვინმე ხმამაღალი ღაღადით გამოვიდეს, რადგან ეს ქმედება ყოველგვარ წესს სცილდება.

(III მსოფ. 9; ორგ. 16; პეტრე ალექსანდრიელის 10)

იხ. III მსოფლიო კრების მე-9 კანონის განმარტება, სადაც კირილეს წინამდებარე კანონიც არის მოხსენიებული; ასევე, ორგზისი კრების მე-16 კანონის განმარტება.

---

*„ქარტა ჯმნისა, იხ. „დიდი სჯულისკანონი", გამომცემლობა „მეცნიერება", 1975, გვ. 603.

კირილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა, ლიბიისა და პენტაპოლისის ეპისკოპოსთა მიმართ

კანონი 4

გვმართებს, ვიზრუნოთ ყველაფერ იმაზე, რაც სასარგებლო და აუცილებელია ერის სულიერი აღშენებისათვის, და რაც ემსახურება წმინდა ეკლესიის დიდებას, რამეთუ ნათქვამია წმინდა წერილში: *„მოშიშ იქმნნეთ ძენი ისრაელისნი“* (ლევ. 15, 31). თებაიდის მხარეში მოქმედი მონასტრის მამები, კეთილმოშიში მამაკაცები, რომლებიც საკვირველ მოღვაწეობას ეწევიან, როდესაც ალექსანდრიაში მოვიდნენ და მათ იქაური მონასტრული ცხოვრების შესახებ გამოვკითხე, განმიცხადეს, რომ იქ ბევრი ბრკოლდება შემდეგი მიზეზით: ზოგი ახალდაქორწინებული, შეიძლება ითქვას, საქორწილო სარეცელიდან ეს-ეს არის წამომდგარი, თავის ბადეში ახვევს ზოგიერთ უკეთილმსახურეს ეპისკოპოსს და, შეიძლება იმიტომ, რომ ვერავინ ამჩნევს მის შინაგან მდგომარეობას, მღვდელმსახურად იკვეცება, ანუ მღვდლად. სხვები, თვით მონასტრებიდან განდევნილები, ასევე იტაცებენ ხელდასხმას, და ახლა უკვე მღვდლის ხარისხით უბრუნდებიან იმავე მონასტერს, საიდანაც გააძევეს და სურთ უსისხლო მსხვერპლი შესწირონ და აღასრულონ ყოველივე ის, რაც მღვდელმსახურს ევალება. ამის გამო კი, ზოგიერთები, ვინც მას იცნობენ, საეკლესიო შეკრებებს გაურბიან და მათი მსახურებისას ზიარებაზე უარს ამბობენ. ამგვარად, ყველაფერი, რაც ჩემ მიერ ზემოთ ითქვა, უნდა შევასრულოთ ერის აღსაშენებლად: დაე, ამას ყურადღება მიაქციოს თქვენმა კეთილმოშიშებამ, და თუ ვინმეს მღვდელმსახურად ხელდასხმა სურს, გამოძიებულ იქნეს მისი ცხოვრება, ასევე, ჰყავს თუ არა ცოლი, როგორ და როდის შეირთო; ხომ არ არის განკვეთილთა შორის სხვა უკეთილმსახურესი ეპისკოპოსის მიერ, ან — მონასტრიდან გამოძევებული, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უბიწო აღმოჩნდება, აღესრულოს მისი ხელთდასხმა. ასეთნაირად შევძლებთ დავიცვათ შეუბღალავად ჩვენი სინდისი, და წმინდა და საპატიო ღვთისმსახურება.

(მოც. 80; I მსოფ. 2; VII მსოფ. 2; ნეოკეს. 12; ლაოდ. 3,12; სარდ. 10; ორგზ. 17)

თებაიდელი მონოზონები ალექსანდრიაში საჩივრით ჩავიდნენ იმის შესახებ, რომ ლიბიასა და პენტაპოლისში ზოგიერთი ეპისკოპოსი ზოგჯერ მღვდლად ადგინებდა ამ წოდებისათვის უღირს პირს, რაც, თავის მხრივ, საცდურს წარმოშობდა, რის გამოც ბევრი მართლმორწმუნე, პირადად იცნობდა რა ასეთ პირებს, მათი მსახურებისას ეკლესიაში აღარ მიდიოდა ან არ ეზიარებოდა. ამ საჩივრის პასუხად კირილემ დააგზავნა მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე ლიბიისა და პენტაპოლისის ეპისკოპოსების მიმართ. სწორედ ეს ეპისტოლე შეადგენს წინამდებარე (მე-4) კანონს. კირილე ეპისკოპოსებს შეახსენებს, რომ ისინი პირველ რიგში მოწოდე-

ბულნი არიან იზრუნონ ყოველივე იმაზე, რაც ემსახურება ერის კეთილდღეობასა და ეკლესიის დიდებას, და რომ მათი მთავარი ამოცანაა, წმინდა წერილის სიტყვებისამებრ, ღვთისმოშიშად აღზარდონ მათდამი რწმუნებული ერი (იხ. ლევ. 15,31). კირილე, მონოზვნების საჩივრიდან გამომდინარე, შენიშნავს, რომ არაგონივრულია მღვდლად ხელთადასხმა გამოუცდელი პირებისა, კერძოდ კი, არაგონივრულია ყურადღება არ მიექცეს კანდიდატების ქორწინების საკითხს და იმას, ხომ არ იმყოფებიან ისინი კანონიერი სასჯელის ქვეშ. ამის შედეგად, ის, როგორც ალექსანდრიის საეკლესიო სამთავროს (საპატრიარქოს) მეთაური, მოხსენიებული პროვინციების ეპისკოპოსებს განუწესებს მომავალში მკაცრი ყურადღება მიაქციონ, თუ ვის ადგინებენ მღვდლად, გულისხმით გამოიკვლიონ სამღვდელო კანდიდატების ცხოვრება და კერძოდ – რომელიმე მათგანს ხომ არ დაურღვევია მღვდლის ქორწინების შესახებ კანონი, ანდა ხომ არ არის ეპისკოპოსის, ან მონასტრის იღუმენის მიერ სამღვდელო მსახურებიდან განყენებული. როდესაც დარწმუნდებიან, რომ კანდიდატი ყოველმხრივ შეუბღალავია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი ხელდასხმა. იმოქმედებენ რა ამგვარად, ეპისკოპოსები სუფთად დაიცავენ საკუთარ სინდისს და უმწიკვლოდ შეინარჩუნებენ წმინდა მსახურებას.

კანონი 5

თუ ზოგიერთი კათაკმეველი ცოდვით დაცემის მიზეზით განკანონებულია და ამ მდგომარეობაში სასიკვდილო სარეცელზე აღმოჩნდება, დაე, მოინათლოს; ნუ იყოფინ, ამ ცხოვრებიდან მადლის უზიარებელი გავიდეს, ანუ – წმინდა საიდუმლოსთან თანაზიარების გარეშე. რამეთუ, ვგონებ, ესეც თანახმიერია ეკლესიის წესდებებთან. მოიკითხეთ თქვენთან მყოფი ძმები. ჩვენთან მყოფნი უფლისმიერ მოგიკითხავენ.

(I მსოფ. 13, 14; ლაოდ. 47; კართ. 45)

ეს არის წინა, მე-4 კანონში მოხსენიებული კირილეს მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეს მეორე ნახევარი. აქ, უკვე არსებულ კანონებთან შესაბამისობაში, განიწესება, რომ საჭიროა მონათვლა და ზიარების მიცემა კათკმეველთათვისაც, თუკი ისინი სიკვდილის პირას არიან, და ნათლობისათვის მზადების პერიოდში, კათაკმეველთა ხარისხში, ჩაიდინეს გარკვეული დანაშაული, რისთვისაც იხდიდნენ შესაბამის ეპიტიმიას.

მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გენადისა, კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და მასთან ერთად წმინდა კრებისა, ყველა ყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტისა და რომის პაპის მიმართ

ყოვლადღვთისსათნო თანამწირველს მოგმართავს გენადი და ახალ რომად წოდებულ სამეფო ქალაქში შემდგარი წმინდა კრება.

ჩვენმა მეუფემ და ღმერთმა და მაცხოვარმა იესო ქრისტემ, მისცა რა თავის წმინდა მოწაფეებს სახარების ქადაგების ხელმწიფება და წარგზავნა ისინი მთელ მსოფლიოში ადამიანთა დასამოძღვრად, ნათლად ამცნო მათ, რომ მისგან უსასყიდლოდ მიღებული ძღვენი, უსასყიდლოდვე უნდა გადაეცათ სხვებისთვის; სანაცვლოდ არ უნდა აეღოთ არც სპილენძი, არც ვერცხლი, არც ოქრო და, საერთოდ, ნივთიერი თუ მიწიერი მოსახვეჭელი. რამეთუ მიწიერი და ხრწნადი ვერ იქნება სანაცვლო ზეციურისა და სულიერის. ეს მცნება მან არამარტო იმათ მისცა, არამედ მათი მეშვეობით ჩვენც, რომლებიც ღირსგვყო მათი ხარისხებისა და ადგილის. და როგორც ისინი იმარხავდენ მაშინ ამ მცნებას, ჩვენც ზუსტად ისე გვმართებს ამჟამად მისი დამარხვა და დაცვა. ამაოდბრძნობა არ არის საჭირო იმის მიმართ, რაც ვერ ითმენს ამაოდბრძნობას, ამიტომ არ უნდა გავკადნიერდეთ სახიფათო ზრახვაზე. *„უსასყიდლოდო, — ამბობს, — მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა* სარტყელთა თქუენთა“* (მთ. 10, 8, 9). მარტივი და ნათელია ამ მცნების სიტყვები; მასში არ არის ორაზროვნება, გაურკვევლობა და ისეთი რამ, რაც განმარტების ხელოვნებას მოითხოვს. ჩემგანო, — ამბობს, — თქვენ მიიღეთ სამღვდელო ღირსება, და თუ ამისთვის თქვენ ჩემთვის რამე გადაგიხდიათ, ცოტა ან ბევრი, და ეს ღირსება მე თქვენთვის მომიყიდია, მაშინ თქვენც მიჰყიდეთ ის სხვებს, ხოლო თუკი უსასყიდლოდ მიგიღიათ, თქვენც უსასყიდლოდ გაეცითო. რა არის ამ მცნებაზე უფრო ნათელი? და რა არის უფრო სასარგებლო იმისთვის, ვინც მას დაემორჩილება? ჭეშმარიტად, ვაი იმათ, ვისაც ჰგონიათ, რომ ღვთის ნიჭს ფულით იყიდიან, ან ფულზე გაყიდიან. რამეთუ ასეთები, წმინდა პეტრეს გამონათქვამისამებრ, თავიანთი ვერცხლისმოყვარეობით შეკრულნი ნაღველის სიმწარესა და ცოდვის ბორკილებში იმყოფებიან (შდრ. საქ. 8, 23). უფლის ამ კანონთან თანახმიერი კანონი მიიღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ქალკედონში შეკრებილმა წმინდა და ღვთაებრივმა მამებმა წმინდა და დიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. იგი ნათლად არის ჩვენთვის გადმოცემული შემდეგი სიტყვებით: *„ეპისკოპოსი, რომელიც ფულის სანაცვლოდ მოახდენს ხელდასხმას და, მადლს, რომელიც არ იყიდება, სავაჭრო საგნად აქცევს: ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, მღვდელს, დიაკონს ან დასის სხვა წევრს ქრთამით დაადგინებს; საძაგელი*

*სპილენძი.

ანგარებით აკურთხებს ვინმეს იკონომოსად, ეკდიკად, დეკანოზად ან საერთოდ რამე საეკლესიო მსახურებაზე, – ასეთ საქმეებში მხილებულ, ან თუნდაც მცდელობაში შემჩნეულ ეპისკოპოსს, ხარისხი უნდა აეყაროს; მის მიერ ამ გზით დადგინებული პირი კი ნაყიდი ხელდასხმისა და ადგილის გარეშე დარჩეს, ჩამოერთვას ფულით შეძენილი პატივი და წოდება. შუამავლის მიმართ კი (თუ ასეთი აღმოაჩინეს) ვადგენთ: სამღვდელო პირი ხარისხიდან განიკვეთოს, ხოლო ერისკაცი ან მონოზონი ანათემას გადაეცეს". მშვენიერია და ფრიად კეთილი წმინდა მამების ამ კანონით ნამცნები – მას ძალუძს მოიგერიოს სატანის ყველა შემოტევა სულიერ ძღვენზე და გვიხსნას ეშმაკის ყოველგვარი ხელყოფისაგან. რამეთუ არც კი უშვებენ, რომ ხელთადასხმის აღსრულება შეიძლება მოხდეს ფულით, ანუ – სასულიერო ხარისხის მიღება ან გაცემა ფულის გადახდის გზით; ხელთდსხმამდეც, მის შემდგომაც და თვით ხელთდასხმის დროსაც, ყოვლად დაუშვებელია რაიმე სახით ქრთამის აღებ-მიცემა. მაგრამ, რადგანაც, ახლანდელ დროში, მიუხედავად ასეთი აშკარა აკრძალვისა, გალატიაში ზოგიერთები შემჩნეულია იმაში, რომ ბილწი მონაგარისა და ვერცლისმოყვარეობის მიზეზით უგულებელყოფენ და გარდადიან ამ მაცხონებელ და კაცთმოყვარე მცნებას, ამიტომ კეთილად მივიჩნიეთ წმინდა კრებასთან ერთად, რომელიც ამ სამეფო ქალაქში – ახალ რომში შედგა, კვლავ აგვეღორძინებინა მოცემული მცნება, რათა ადგილი არ ჰქონდეს ვერაგობისა და ცრუბრძნობის რამე საბაბს, და ეს საძაგელი და უკეთური ჩვეულება, რომელმაც არავინ იცის როგორ შემოაღწია ეკლესიის სიწმინდეში, სრულიად აღმოიფხვრას, რათა ჭეშმარიტად მოუსყიდველი ქმედებისას, როდესაც მღვდელთმთავრები ხელდასასხმელზე სულიწმინდას იხმობენ, გარდამოვიდეს მათზე ზეგარდამო მადლი სულიწმიდისა. ხოლო ახლა, ფულით აღსრულებული ხელთდასხმისას, და უწმინდური ხელებით მოქმედებისას, არც კი ვიცი, გარდამოდის სულიწმინდის მადლი ხარისხში ასაყვან პირზე თუ პირიქით – მიიქცევა მისგან. ამიტომ, იცოდე შენ, ყოვლად კეთილკრძალულო კაცო, რომ ყოველი, ვინც არ უნდა იყოს ის, რამე ამდაგვარში მხილებული, ეპისკოპოსი თუ ქორეპისკოპოსი, პერიოდევტი, მღვდელი თუ დიაკონი, ან სხვა ვინმე საეკლესიო მსახურებაში მყოფი, ან ერისკაცი, – შეირისხება ზოგადი განწესებითა და მღვდელთმთავართა საერთო განაჩენით, როგორც ამის შესახებ ზემოთ მოყვანილი წმინდა მამების კანონი ამბობს. რამეთუ მადლი მადლად უნდა რჩებოდეს და ვერცხლი არსად უნდა იყოს მისთვის შუამდგომელი. ამგვარად, განქიქებულ იყოს და არის კიდეეაც, და ყოველგვარი სამღვდელო ღირსებისა და მსახურებისაგან უცხო, და შეჩვენების წყევით შერისხული როგორც ის, ვისაც ჰგონია, რომ სულიწმინდის მადლს ფულით მოიხვეჭს, ასევე ის, ვინც მის გადაცემას ფულის სანაცვლოდ პირდება, – კლერიკოსი იქნება ის თუ ერისკაცი, მხილებული იქნება ამ საქმეში თუ სხვებისთვის გაუმხილებელი, რამეთუ შეუძლებელია შეუმსგავსებელთა ოდესმე შემსგავსება და მამონას ღმერთთან შეთახმება, ან მისი მსახურისთვის ღმერთის მსახურება. უფლისა არის ეს უცვალებელი

განჩინებაც: *„ვერ ჰელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა“* (მთ. 6, 24). ამ სიტყვებით განმტკიცებულნი ჩვენი ძალისამებრ, და მორჩილნი მათი, ამ სიტყვების გამომოქმელ უფალთან ერთად, განვაწესებთ განაჩენს ასეთ დანაშაულში დამნაშავეთათვის. იზრუნოს შენმა კეთილმსახურებამაც, მთელი ძალისხმევით შეასრულოს ეს, აუწყე შენს ქვეშევრდომ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსებსა და პერიოდევტებს და ყველა სხვას ამ ეპისტოლეს პირის გაგზავნით, რათა ერთბაშად ყველა ქრისტიანმა, ერთი სულითა და ერთი გულით, გაძლიერებულებმა საერთო მტრის წინააღმდეგ, ღვთის შეწევნით შევძლოთ მტრის მიერ ჩვენ შორის დანერგილი ვერცხლისმოყვარეობის ფესვის ამოძირკვა თავისი ბოროტი გამონაზარდებითურთ. მოვიკითხავთ შენს ქრისტესმიერ საძმოს. უფლისგან განმტკიცებულმა ილოცე ჩვენზე, ღვთისმოყვარეო ძმაო.

ეპისტოლეს ამ სიტყვებს, გენადისთან ერთად, ხელს აწერს ასევე სამოცდაცამეტი ეპისკოპოსი.

(მოც. 29; IV მსოფ. 2; ტრულ. 22,23; VII მსოფ. 4,5,15,19; ლაოდ. 12; სარდ. 2; ბასილი დიდის 90; ტარასის ეპისტოლე)

წინამდებარე ეპისტოლე გამოცემულია კონსტანტინოპოლში 459 წელს შემდგარი კრების სახელით, რომელსაც პატრიარქი გენადი თავმჯდომარეობდა. ის ყველა მიტროპოლიტს მიემართება და ასევე – რომის პაპს, კერძოდ, ეპისტოლე, – სადაც დაგმობილია სიმონია და განწესებულია სიმონიაში მხილებულ სასულიერო პირთა განკვეთა, ხოლო ერისკაცთათვის შეჩვენება, – ეყრდნობა წმინდა წერილის შესაბამის ადგილებს და, აგრეთვე, IV მსოფლიო კრების მე-2 კანონს. მოციქულთა 29-ე კანონიდან ჩვენ ვიცით, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის სასულიერო პირები ექვემდებარებიან ორმაგ სასჯელს: წოდებიდან განკვეთას და ეკლესიის ერთობიდან განყენებას.

ეპისტოლე ტარასისა, კონსტანტინოპოლის – ახალი რომის უწმინდესი პატრიარქისა, ძველი რომის პაპის, ადრიანეს მიმართ

უწმინდეს და უნეტარეს ძმასა და თანამწირველს, უფალ ადრიანეს, ძველი რომის პაპს, მოგმართავს ტარასი, ღვთის წყალობით კონსტანტინოპოლის – ახალი რომის ეპისკოპოსი, უფლის მიერ გიხაროდენ.

მრავალმხრივ და მრავალგვარად განვისწავლებით მახარებლების, მოციქულებისა და ეკლესიის მამებისგან, რომ სამღვდელო ხელთდასხმისას ვიქონიოთ ზნე ვერცხლის უყვარებლობისა და არ ავიღოთ ვერცხლი ან ოქრო ნებისმიერი წმინდა კაცის სასულიერო ხარისხში აყვანისას, როგორც ამას ვაჩვენებთ წმინდა წერილის საღმრთო სიტყვებისა და მამათა მოძღვრე-

ბიდან ამონარიდების დამოწმებით. რამეთუ ხელთდამსხმელი სულიწმიდის მსახურია და არა მისი გამყიდველი. სულიწმინდის მადლის უსასყიდლოდ მიმღებელთ, სხვებზე უსასყიდლოდვე გადაცემა დაავალდებულეს იმათ, რომლებმაც უფლის სიტყვით მიიღეს ეს თავისუფლება. თუ ვინმე ოქროთი ყიდვაში იქნება მხილებული, ასეთი პირი სასულიერო ხარისხიდან განკვეთილად ცხადდება, რადგან, თუმც კი მიიღო მან სამღვდელო წოდება, მაგრამ სიტყვა არ შეესაბამება საქმეს. ვერავინ შესძლებს ერთდროულად მამონასაც ემსახუროს და ღმერთსაც, როგორც ამას სახარებიდან ვსწავლობთ (იხ. მთ. 6, 24), ვინაიდან გვესმის ღვთის სიტყვა, რომელიც წინასწარმეტყველის მეშვეობით შეგვაგონებს: *„მღუდელნი ეტყოდეთ გულსა იერუსალიმისასა“* (ესაია 40, 2) და კვლავ: *„ებგურმან* უკეთუ იხილოს მომავალი, და არა საყვირს სცეს საყვირსა* და *არა დაუნიშნოს ერსა* და *ერმან არა დაცუა ყოს* და *ზედა მოსრულმან მახვილმან მიიღოს მათგან სული, და იგი უკუნ ცოდვისათჳს თავისა თჳსისა მიღებულ იქმნა, ხოლო სისხლი მისი ჴელისაგან ებგურისა გამოვიძიო“* (ეზეკ. 33, 6), ამიტომ ჩვენ, გვაშინებს რა დუმილისათვის განკითხვა, ყველა ჩვენი ეკლესიის წინამძღვარს ვამცნობთ, რათა კადიერებით შეგვეძლოს გამეორება ღვთაებრივი მოციქულის სიტყვებისა,: *„უბრალო ვარ მე* (იმათ) *სისხლისაგან“* (საქ. 20, 26), ვინც გარდავიდა დადგენილ წესებს, და განსაკუთრებით, ვინც ქრთამით დაადგინა ან დადგინდა მღვდლად. ღვთაებრივმა მოციქულმა პეტრემ, რომლის საყდარიც დაიმკვიდრა თქვენმა ძმურმა სიწმინდემ, თავისგან განაგდო ისეთნი, როგორიც სიმონ მოგვი იყო. ამიტომ ჩვენ არ ვმერყეობთ გაუწყოთ ჭეშმარიტება, რომელსაც ვიცავთ და ვიმარხავთ, და რომელიც გადმოგვეცა წმინდა მოციქულებისა და ჩვენი სახელოვანი მამების კანონებში. და თუ ვინმე ამ ჭეშმარიტებას რაიმენაირად დაარღვევს, ჩვენ მათ გარემივაქცევთ. შენმა ძმურმა წმინდამშვენიერმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, რჯულიერად და ღვთის ნებით წარმართა რა თავისი სამღვდელთმთავრობო მოღვაწეობა, დიდად გაითქვა სახელი. რამეთუ პირველმა და უდიდესმა მღვდელთმთავარმა ქრისტე ღმერთმა ჩვენმა, წინასწარმეტყველის მეშვეობით თქვა: *„მადიდებელი ოდენ ჩემი ვადიდო“* (1 მეფ. 2, 30). ხომ ხედავ, სულიერთა სასურველო კაცო, რომ მაკედონიოსისა და მის სულთმბრძოლთა მიმდევრების უკეთური მწვალებლობა ნაკლებად დაუთმენელია. რამეთუ ისინი ფუჭსიტყვაობენ, თითქოს სულიწმინდა არის ქმნილება და მონა ღმრთისა და მამისა, ესენი კი, როგორც ეჩვენებათ, თავიანთ მონად რაცხავენ მას (სულიწმინდას). ვინაიდან, ყოველი უფალი (პატრონი) ყველაფერს, რაც მისია, თუკი მოინდომებს — გაყიდის, მონა იქნება ის თუ მისი მონაპოვარიდან სხვა რამე; ასევე მყიდველიც — მოისურვებს რა იყოს შესყიდულის პატრონი, ვერცხლის ფასად იხვეჭს მას. ამგვარად, ვინც ამ ურჯულო საქმეს იქმს, ის სულიწმიდას აკნინებს, სცოდავს რა იმათთან ერთად, ვინც მკრეხელუ-

*კოშკის მეთვალყურე, რომელიც შორიდან ხედავდა მომავალ მტერს და ამის შესახებ მოსახლეობას ატყობინებდა.

რად ამბობდა, ქრისტე დემონებს ბელზებულით დევნისო, ან, უფრო სამართლიანად რომ გამოვთქვათ, გამყიდველ იუდას ემსგავსებიან, რომელმაც ქრისტე ღვთისმკვლელ იუდეველებს ვერცხლის ფასად მიჰყიდა. რადგანაც სულიწმინდა ერთარსია ქრისტე ღმერთისა ჩვენისა, ამიტომ ყველასათვის ცხადია, რომ ესენიც იგივე ხვედრს მოიწევენ, როგორც ეს დამტკიცებულია. და თუ არ იყიდება (რამეთუ აშკარაა, რომ – არც ერთ შემთხვევაში), მაშინ უეჭველია, მათში არ არის სულიწმიდის მადლი, ანუ სამღვდელოების სიწმინდე, და მათ არ მიუღიათ და არც გააჩნიათ იგი (შდრ. 1 კორინ. მე-9 თავ.). დაე, გაიხსენონ წმინდა პეტრე, რომელმაც ასეთ შესყიდვაზე გაკადნიერებულს უთხრა: „არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკჳდრებელი სიტყუასა ამას შინა“ (საქმე მოციქ. 8, 21). რადგან, თუკი სამღვდელო პატივი იყიდება, მაშინ რა თქმა უნდა, ზედმეტია მათთვის ცხოვრების ღვთისმოშიში წესი და სიწმინდითა და სათნოებებით მოღვაწეობა. ზედმეტია მათთვის პავლეც, ღვთაებრივი მციქული, რომელმაც დაგვმოძღვრა, რომ „ჴელ-არს ეპისკოპოსისაი, რაჲთა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ მოყუარე, სწავლულ, სარწმუნოებისა სიტყჳსა, რაჲთა შემძლებელ იყოს ნუგეშინის-ცემადცა მოძღურებასა მას შინა სიცოცხლისასა და სიტყჳის-მგებელთა მათ მამხილებელ“ (1 ტიმ. 3, 2; ტიტ. 1, 9). ყველაფერ ამას აზრი ეკარგება, თუ სამღვდელოების პატივის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება. ქვემომოყვანილი წმინდარჩეული ადგილები ამოწმებს, რომ სრულიად უცხოა სამღვდელოებისაგან ის, ვინც აძლევს ან იღებს საფასურს, რა დროსაც უნდა იყოს – ხელდასხმის წინ, თუ ხელთასხმის შემდგომ, რამეთუ ქრთამი, ყოველთვის ქრთამია. ასევე კრძალავენ ნებისმიერი სხვა საეკლესიო წესის შესრულებას ფულის სანაცვლოდ.

„სასულიერო ხარისხიდან უნდა განიკვეთოს ის ეპისკოპოსი, მღვდელი თუ დიაკონი, რომელიც ამ პატივს ფულით მიიღებს და მისი ხელთდამსხმელიც, და ეკლესიიდანაც სრულიად მოიკვეთოს, როგორც სიმონ მოგვი ჩემგან, პეტრესგან“ (წმინდა მოციქულთა 29-ე კანონი).

„ვითარცა იხილა სიმონ, რამეთუ ჴელთ-დასხმითა მით მოციქულთაჲთა მოეცემის სული წმიდაი, მიუპყრა მათ ფასი და ჰრქუა: მომეცით მეცა ჴელმწიფებაი ესე, რაჲთა, რომელსაცა დავასხნე ჴელნი, მიაქუნდეს სული წმიდაი. ჰრქუა მას პეტრე: ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჴსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად. არა გიც შენ ნაწილი, არაცა სამკჳდრებელი სიტყუასა ამას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა. შეინანე უკუე უკეთურებისა ამისგან შენისა და ევედრე უფალსა, მი-ხოლო თუ-გეტეოს შენ უსჯულოებაი ეგე გულისა შენისაი, რამეთუ სიმწარედ ნაველლისა და თანა შეკრულ ცოდვისა გხედავ შენ, რამეთუ ხარ“ (საქ. 8, 18-23).

„და შედგომად სიტყჳსა ამის არავე მოიქცია იერობოამ სიბოროტისაგან თჳსისა, და მიიქცა და ქმნა ზოგნი მის ერისაგან მღდლად მაღალთა; რომელსა უნებნ აღავსის ჴელი მისი და იქმნნის მღდელ მაღალთა ზედა და იქმნა სიტყუა ესე ცოდვად სახლისა იერობოამისა, და მოსაპოლველად, და უჩინო მყოფელად პირისაგან ქუჱყანისა“ (3 მეფ. 13, 33, 34).

„და მიიქცა ელისეს მიმართ თუთ, და ყოველი ბანაკი მისი, და მოვიდა და დადგა წინაშე მისსა, და ჰრქუა: აჰა აწ მიცნობიეს, რამეთუ არა არს ღმერთი ყოველსა შინა ქუეყანასა, არამედ მხოლოდ ისრაელისა შორის, და აწ მიითვალე კურთხევა მონისაგან შენისა; და ჰრქუა ელისე: ცხოველ არს უფალი, რომლისა წინა ვდგეევარ წინაშე მისსა, უკეთუ მივიღო; და აიძულებდა იგი მიღებად, და არა ისმინა და ჰრქუა ნემან: უკეთუმცა არა გნებავს მიღებად, ამად მოეც მონასა შენსა ტკრთი უღლეულთა ჯორთა მიწისა ამისგან, რამეთუ არა ქმნას მონამან შენმან ამიერითგან ყოვლად დასაწუწლი და მსხუწრპლი ღმერთთა სხუათა, არამედ ღუთისა ერთისა სიტყუსაებრ ამის, და ამათ თქმათათუს, და განწმიდნოს უფალმან მონა შენი სიტყუსაებრ ამისა და ჰრქუა ელისე ნემანის მიმართ: წარვედ მშუდობით, და განვიდა მისგან ქაბრათსა ზედა ქუეყანისასა და ჰრქუა გეზი ყრმამან ელისესმან: აჰა რიდა უფალმან ჩემმან ნემანს ასურსა ამას რომელ, არა რაი აღიღო ჭელისაგან მისისა რომელი მოართვა მან; ცხოველ არს უფალი, რამეთუ მივირბინო უკანით მისსა, და აღუღო მისგან რაიმე და მირბიოდა გეზი უკანით ნემანისა, და იხილა იგი ნემან მსრბოლი უკანით მისსა, და მოაქცია ეტლი შემთხუვად მისა, და ჰრქუა, მშუდობა არსა და ჰრქუა გეზი, მშუდობაი; უფალმან ჩემმან წარმომგზავნა მე, მეტყუელმან: აჰა აწ მოვიდენ ჩემდა ორნი ყრმანი მთისგან ეფრემისა ძეთაგან წინასწარმეტყუელთასა, მოეც უკუმ ამათ ტალანტი ვეცხლი, და ორი საცვალი სამოსელი და ჰრქუა ნემან: აღიღე ორი ტალანტი ვეცხლი, და აღიღო მან ორი ტალანტი ორითა ტომარაკითა, და ორი საცვალი სამოსელი, და დაასხნა ორსა ზედა ყრმასა თუსსა, და წარიღეს იგი წინაშე მისსა და მივიდეს მწუხრად და მიიღო ჭელთაგან მათთა, და დაფარა სახლსა შინა, და განუტევნა კაცნი იგი და თუთ შევიდა და წინ დაუდგა უფალსა თუსსა, და ჰრქუა მას ელისე: საითგან მოხვედ გეზი; და ჰრქუა გეზი: არა გასულა მონა შენი არა სადა და ჰრქუა მას ელისე; არა ვიდოდა გული ჩემი შენთანა, ოდეს მოაქცია კაცმან მან ეტლი მისი შემთხუვად შენდა; და აწ მოგიღებიეს ვეცხლი, და სამოსელნი ცხოვარნი, და ჯარნი, და ყრმანი და მჭეკალნი და კეთრიცა ნემანისა მოეფინნეს შენ ზედა, და თესლსა შენსა უკუნისამდე, და განვიდა იგი პირისაგან მისისა კეთროვანი ვითარცა თოვლი“ (4 მეფ. 5, 15-27).

„ღმერთმა მოგვცა რჯული შესაწევნელად, რომლის შესახებაც იტყვიან: არა არს სხვა სიტყვა, როგორც ეს, რომლისთვისაც შეუძლებელია საფასური გაიღო. ეს რჯული არ ჰგავს მუცლითმეზღაპრის მონაყოლს, რამეთუ გამოგონილი არ არის, როგორც ის — საცდუნებლად, არამედ — ჭეშმარიტების მოძღვარია. თანაც ეს მეზღაპრენი ვერცხლის საფასურად ყვებიან თავიანთ სიცრუეს; ეს სიცილს იმსახურებს, რადგან ცდუნებულნი მათ ვერცხლს უხდიან ჯილდოდ სიცრუისათვის. რჯულის სიტყვა კი ისეთი არ არის, რომ მასში ფული გადიხადო, რამეთუ მადლს არავინ ყიდის. „უსასყიდლოდ მიგიღებიეს, — ამბობს, — უსასყიდლოდ მისცემდით“ (მთ. 10, 8). ხომ ნახე, როგორ განრისხდა პეტრე სიმონის მიმართ, რომელმაც ვერცხლი შესთავაზა სულიწმინდის მადლისთვის? „ვეცხლი ეგე შენი, — ეუბნება, —

შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა ამას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად“ (საქ. 8, 20). ამდენად, სახარების სიტყვა არ იყიდება მუცლითმეზღაპრეთა სიტყვების მსგავსად. რამეთუ ვის შეუძლია მისი ღირსების ტოლფასი საზღაური გაიღოს? მოუსმინე დავითს, რომელიც გაკვირვებული ამბობს: „რაჲ მივაგო უფალსა ყოველისაჲთჳს, რომელი მომაგო მე“ (ფსალ. 115, 3)? ამიტომ შეუძლებელია, მიღებული მადლის ღირსი ძღვენის გაღება. ერთადერთი ძღვენია მისი ღირსი: შეინარჩუნო ბოძებული. ის, ვინც საუნჯე გიბოძა, მისთვის საფასურს კი არ ითხოვს შენგან, არამედ მის ღირსეულად შენარჩუნებას“ (ბასილი დიდის განმარტებიდან ესაია წინასწარმეტყველზე).

„ჰგონიათ, თითქოს არ ცოდავენ, როდესაც იღებენ არა ხელდასხმისას, არამედ შემდგომ: ქრთამი, როცა არ უნდა აიღო, მაინც ქრთამია. ასე რომ, გემუდარებით მიატოვეთ ეს შემოსავალი, უფრო სწორედ — ეს გეჰენიაში შესავალი, და ნუ ჰყოფთ საკუთარ თავს, მომხვეჭელობაში ხელების გასვრით, წმინდა საიდუმლოთა აღსრულების უღირსად“ (მისივე ეპისტოლედან მისი ქვეშევრდომი ეპისკოპოსების მიმართ).

„მიადგა ყველა ეპისკოპოსს ჩვენი სიტყვის გაგრძელების მიზეზი, ევსები, სხვა ექვსი ეპისკოპოსის ბრალმდებელი, და ითხოვა მიეღოთ იგი ერთობაში. ზოგიერთი ეპისკოპოსი წინააღმდეგ გამოვიდა: არ უნდა მივიღოთ იგი, როგორც ცილისმწამებელი. ამაზე მან მუდარით უპასუხა: რადგან საქმე ორი წლის განმავლობაში ირკვევა და უმეტესწილად გამოძიებულია, და განხილვა გადატანილია მოწმეების მიზეზით, ამიტომ ვთხოვ თქვენს ღვთისმოყვარეობას, მომეცეს უფლება ახლა წარმოგიდგინოთ მოწმეები, ამავ ჟამს. რადგან, მართალია, გარდაიცვალა ეპისკოპოსი ანტონინი, რომელმაც ხელდასხმაში ოქრო აიღო, მაგრამ ცოცხლები რჩებიან ისინი, რომლებმაც გადაიხადეს და ამისთვის ხელდასხმა მიიღეს. დამსწრე კრებულმა სამართლიანად მიიჩნია შედგომოდა საქმის განხილვას. განხილვა იწყება ჩანაწერის წაკითხვით იმის შესახებ, რაც მანამდე იყო ქმედებული. შემოვიდნენ მოწმეები, შემოვიდნენ ის ექვსნიც, რომლებმაც გადაიხადეს და ხელდასხმა მიიღეს. ისინი თავიდან არ აღიარებდნენ, მაგრამ მოწმეები მტკიცედ იდგნენ თავისაზე, ერისკაცებიც და მღვდლებიც, რომელთა იმედიც, როგორც ჩანს, იმათ ჰქონდათ. მოწმეებმა დაუწყეს გახსენება დროისა და ადგილების, სადაც მათ ნივთები მისცეს, და მიცემული ნივთების სახეობებისა და რაოდენობის ჩამოთვლა. მაშინ მათი სინდისი აღშფოთდა და ნებაყოფლობით, ბევრი დაძალების გარეშე აღიარეს ყოველივე შემდეგი სიტყვებით: ვაღიარებთ, რომ მივეცით, მაგრამ ჩვენ გვეგონა, რომ ასეთი იყო წესი, რათა გავთავისუფლებულიყავით სამოქალაქო სამსახურიდან. ამჟამად გთხოვთ, თუ ღვთისმოთნეობისათვის მიუღებელია ჩვენი მსახურება ეკლესიაში, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, უკან მივიღოთ ის ოქრო, რომელიც გადავიხადეთ, რადგან ჩვენ ცოლების სამკაულები მივეცით. ამაზე იოანემ აღუთქვა კრებას: მე გავათავისუფლებ მათ სამოქალაქო მსჯავრისგან, შევთხოვ ამას მეფეს. თქვენ კი უბრძანეთ, რომ ანტონინის მემკვიდრეებმა დაუბრუნონ

ამათ ის, რაც ანტონინს მისცეს. კრებამ ბრძანა: ოქრო აიღონ მათ ანტონინის მემკვიდრეებისაგან, ეზიარონ საკურთხეველში, მაგრამ დარჩნენ სამღვდელოების გარეთ, რადგან თუ მათ ვაპატიებთ, არ იქცეს ეს იუდეველების ჩვეულად, ან ეგვიპტელებისათვის – სამღვდელო პატივის ყიდვა-გაყიდვად. რადგან, ამბობენ, რომ იუდეველთა თვითმარქვია პატრიარქი ყოველწლიურად თუ ორ წელიწადში ერთხელ ცვლის სინაგოგის წინამძღვრებს ვერცხლის შესაგროვებლად, მსგავსადვე მოქმედებს მისი მიმბაძველი ეგვიპტელი იუდეველების პატრიარქი; დაე, აღესრულოს ნაწინასწარმეტყველები სიტყვა: „მღდელნი მისნი სასყიდლისა თანა მიუგებდეს, და წინასწარმეტყველნი მისნი ვეცხლისა თანა მისნობდეს“ (მიქ. 3, 11) (იოანე ოქროპირის ცხოვრებიდან).

„ეპისკოპოსი, რომელიც ფულის სანაცვლოდ აღასრულებს ხელდასხმას და, მადლს, რომელიც არ იყიდება, საეჭვრო საგნად აქცევს: ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, მღვდელს, დიაკონს ან დასის სხვა წევრს ქრთამით დაადგინებს; საძაგელი ანგარებით აკურთხებს ვინმეს იკონომოსად, ეკდიკად, დეკანოზად ან სხვა რაიმე საეკლესიო მსახურებაზე, – ასეთ საქმეებში მხილებულ, ან თუნდაც მცდელობაში შემჩნეულ ეპისკოპოსს, ხარისხი უნდა აეყაროს; მის მიერ ამ გზით დადგინებული პირი კი ნაყიდი ხელდასხმისა და დადგინების გარეშე დარჩეს, ჩამოერთვას ფულით შეძენილი პატივი და წოდება. შუამდომელის მიმართ კი (თუ ასეთი აღმოაჩინეს) ვადგენთ: სამღვდელო პირი ხარისხიდან განიკვეთოს, ხოლო ერისკაცი ან მონოზონი ანათემას გადაეცეს“ (ქალკედონში შეკრებილ 630 წმინდა მამათა კანონებიდან).

„ამგვარად, განქიქებულ იყოს და არის კიდეევაც, და ყოველგვარი სამღვდელო ღირსებისა და მსახურებისაგან უცხო, და შეჩვენების წყევით შერისხული როგორც ის, ვისაც ჰგონია, რომ სულიწმინდის მადლს ფულით მოიხვეჭს, ასევე ის, ვინც მის გადაცემას ფულის სანაცვლოდ, პირდება, – კლერიკოსი იქნება ის თუ ერისკაცი, მხილებული იქნება ამ საქმეში თუ სხვებისთვის გაუმხილებელი, რამეთუ შეუძლებელია შეუმსგავსებელთა ოდესმე შემსგავსება და მამონას ღმერთთან შეთახმება, ან მისი მსახურისთვის ღმერთის მსახურება. უფლისა არის ეს უცვალებელი განჩინებაცა: „ვერ ჰელ-ეწოფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“ (მთ. 6, 24)“ (კონსტანტინოპოლის უწმინდესი მთავარეპისკოპოსის გენადის მრგვლიემოსავლელი ეპისტოლედან).

„ეპისკოპოსი ან სხვა ნებისმიერი ხარისხის სასულიერო პირი, რომელიც ფულით იქნა ხელდასხმული, და არა გამოცდითა და გამორჩევით თავისი ღვთისსათნო ცხოვრების შედეგად, განკვეთილ იქნეს; განიკვეთოს, აგრეთვე, მისი ხელთდამსხმელიც“. (წმინდა VI მსოფლიო საეკლესიო კრების 22-ე კან.)

ყველამ მოვისმინოთ ეს, და შევიგონოთ არა მხოლოდ მღვდელთმთავრებმა, არამედ, ასევე, ყველა კლერიკოსმა და, საერთოდ, მსოფლიოს ყველა მცხოვრებმა. რამეთუ გვმართებს *„უმეტესად კრძალვაჲ ჩუენი, რომელთა-*

ესე გუასმიეს, რაჲთა არა მოუძლურდეთ“ (ებრაელ. 2, 1); „*რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროჲთა იჴსნენით თქუენ ამაოჲსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა*“ (1 პეტ. 1, 18, 19). ასე დაგვმოძღვრე ჩვენც, უწმინდესო კაცო, რათა გავყვეთ წმინდა წერილის, სახარების, მოციქულების, წმინდა კანონებისა და მამების მცნებებს. რამეთუ ჩვენ ვიდრიკებით თქვენს ბაგეთაგან გამოსული სიტყვების მოსასმენად. *მოიქეც მაღლით*, აღიმაღლე ხმაჲ სიმტკიცით, *ფართო-ყვენ სლვანი შენნი*, იქადაგე კაცნიერად, და აღმოიფხვრება და განადურდება საბოლოოდ ქრთამით ხელდასხმა და ყოველივე ის, რაც მისი თანამდევია ვერცხლისმოყვარეობით, უსამართლობითა და საძაგელანგარებიანი მსყიდველობით. რადგან, როდესაც ეს და მისი მსგავსი უწმინდურებანი აღმოიფხვრება ქრისტეს სახელით წოდებულ რჩეულ ერში, რომელმაც უსასყიდლოდ მიიღო სიკვდილისაგან გამოსყიდვა, მაშინ ამ სენიდან მომდინარე ყველა სხვა სიბილწეც ამოიძირკვება; მაშინ მღვდლები *ფინიკივით აყვავდებიან*, გადასარჩენ ერს ქრისტეს კეთილსურნელებას შთაბერავენ და ეკლესიაში გამარჯვების *საგალობელს მიუთხრობენ: „მოძარცუნა უფალმან უსამართლოებანი შენნი*“ (სოფ. 3, 15). ამგვარად მოწეული ნაყოფით დატკბებიან, და განამრავლებენ მათ *სიბერესა სიპოხისას* — აჩვენებენ რა მემკვიდრეებს წმინდა ცხოვრებით მიღებულ ნეტარებასა და უკვდავებას.

(მოც. 29; IV მსოფ. 2; ტრულ. 22, 23; VII მსოფ. 4, 5, 15, 19; ლაოდ. 12; სარდ. 2; ბასილი დიდის 90; გენადის ეპისტოლე)

სიმონია VIII საუკუნეშიც აგრძელებდა ქრისტეს ეკლესიის შებილწვას. ამიტომ კონსტანტინოპოლის დიდი პატრიარქი ტარასი VII მსოფლიო კრების შემდეგ, მალევე, იძულებული გახდა ხმა აემაღლებინა. თავის ეპისტოლეში, რომის პაპ ადრეანეს მიმართ, იგი თხოვს ამ უკანასკნელს დაეხმაროს ეკლესიაში ამ ბოროტების აღმოფხვრის საქმეში. როგორც თვით ეპისტოლეს ტექსტიდან ჩანს, ის წარმოადგენს ყველა იმ განწესებათა კრებულს, რაც კი წმინდა ტარასის დრომდე გამოცემული იყო სიმონიის საკითხთან დაკავშირებით.

✠

დამატებითი კანონები

კანონები წმინდისა იოანე მმარხველისა

კანონი 1

ვინც ყოველგვარი იძულების გარეშე, თავისი უგუნურებით განუდგა ქრისტეს, მას შეუძლია – ბასილი დიდის 73-ე კანონის თანხმად – მხოლოდ სიკვდილის წინ მიიღოს წმინდა ზიარება. ვერავინ გაათავისუფლებს მას ეპიტიმიიდან და ვერც ლმობიერებას გამოიჩენს ვინმე მის მიმართ. წმინდა გრიგოლ ნოსელი, როდესაც რიგის მიხედვით ჩამოთვლის ყოველივეს, რაც აპოსტატებს (განდგომილებს) ეხებათ, იგივე სასჯელს უქვემდებარებს ყველა იმას, ვინც ნებაყოფლობით გადადის სარწმუნოებიდან ცდომილებაში, ამასთან, განსაზღვრავს, რომ სასჯელის ვადა უნდა უთანაბრდებოდეს თითოეული შემცოდებლის მთელ დარჩენილ ცხოვრებას. იმ პირებს კი, რომლებიც იძულებით განდგნენ, მეძავთათვის განსაზღვრულ სასჯელს განუწესებს, ანუ ათწლიან ეპიტიმიას. აპოსტატების ზუსტად ასეთივე დაყოფას აკეთებს ანკვირიის კრება, ასევე, წმინდა მღვდელმოწამე პეტრე ალექსანდრიელი და ბასილი დიდი თავისი 81-ე კანონით. თუმცაღა, ეკლესია ამჟამად მიჰყვება იმას, რაც დაადგინა და განაწესა კონსტანტინოპოლის უწმინდესმა პატრიარქმა მეთოდემ, და მასთან შესაბამისობაში მოქმედებს იმათთან დამოკიდებულებით, რომლებსაც ასე თუ ისე ბრალი მიუძღვით აღნიშნულ დანაშაულში. რამეთუ იგი (მეთოდი) ამბობს, რომ ვინც ბავშვობიდან შეიპყრო უკეთურმა სულმა და იგი შიშით, უმეცრებით თუ სარწმუნოებაში გაუცნობიერებლობით იძულებული გახდა მამათა რწმენას განდგომოდა, მერმე კი, მოწიფულ ასაკში, კვლავ დაუბრუნდება ქრისტიანულ ცხოვრებას და კათოლიკე ეკლესიასთან ერთობაში შევა სინანულითა და აღსარებით, – დაე, ყოველდღიურად, მეშვიდე დღემდე, ისმინოს მღვდელთან ოთხი დაწესებული ლოცვა, მერვე დღეს კი განიბანოს; შემდეგ თავისი სამოსელისგან განიძარცვოს და არდაგი მოირტყას წელზე, და ცხონ მას მირონი ახალნათელღებულის მსგავსად; ყოველივე ამის შემდეგ, ბოლოს, ღირსიქმნეს წმინდა ზიარების მიღებისა. შემდგომი რვა დღის განმავლობაში დაესწროს ეკლესიაში წმინდა ღვთისმსახურებას ახალნათელღებულის მსგავსად. ასეთივე კაცთმოყვარეობის ღირსი გახდეს ისიც, ვინც ზრდასრულ ასაკში შეიპყრეს უკეთურებმა და წამებით აიძულეს მამათა რწმენა უარეყო. ოლონდ, ასეთმა, მანამდე უნდა იმარხულოს ორჯერ ორმოცორმოცი დღე – თავი შეიკავოს ხორცის, ყველისა და კვერცხისგან, ამას გარდა, ყოველ შვიდეულში სამი დღე – ღვინისა და ზეთისგან. მელი ამ ხნის განმავლობაში ილოცოს და მუხლდრეკები ჰყოს, რამდენიც ამისთვის ძალა ექნება. მერმე, როცა ეს ვადა შესრულდება, – ორჯერ ორმოცორმოცი დღე, – შვიდი დღის განმავლობაში ყოველდღე მოისმინოს ლმობიერსაყოფი ლოცვები, მერვე დღეს კი, ზემონათქვამის მსგავსად, განი-

ბანოს, მირონი იცხოს და წმინდა ზიარებას ეღირსოს. შემდგომი რვა დღის განმავლობაში საეკლესიო მსახურებებს დაესწროს. რაც შეეხება სარწმუნოებიდან ნებაყოფლობით განდგომილებს, მათ საშინელი სასჯელი მოელით, მაგრამ, ღვთის ენითგამოუთქმელი კაცთმოყვარეობით, ასეთიც მოწყალებით უნდა განიკურნოს. ამიტომ, დაე, იმარხულოს მან ორი წელი – შეიკავოს თავი ხორცის, ყველისა და კვერცხისგან, და, ამას გარდა, ყოველ შვიდეულში სამ-სამი დღე – ზეთისა და ღვინისგან; ყოველდღიურად, ძალისამებრ, ასი ან ორასი მეტანია ჰყოს. როდესაც ორი წელიწადი შესრულდება, დაე, მანაც შვიდი დღე ლმობიერსაყოფი ლოცვები ისმინოს, დანარჩენში კი ისე უნდა მოექცნენ მას, როგორც ეს ზემოთ ითქვა.

(მოც. 62; I მსოფ. 10, 11, 12, 14; ტრულ. 102; ანკვირ. 1-9, 12, 21; ლაოდ. 2, 19; კართ. 43; გრიგოლ ნეოკესარიელის 2, 11; ბასილი დიდის 3, 73, 81, 84; პეტრე ალექსანდრიელის 1-14; გრიგოლ ნოსელის 2)

იოანე მმარხველის წინამდებარე და სხვა კანონები, რომლებიც აქ მოყვანილია „ათენის სინტაგმიდან“, თავისი ორიგინალური ტექსტის მიხედვით არ არის ის, რომელიც თავად მმარხველმა შეადგინა. თვით კანონები კი, ან უფრო ზუსტად, მმარხველის „კანონიკონი“, საეჭვოა, რომ თავისი პირველი რედაქციით დღეს უკვე არსებობდეს. „კანონიკონი“ სამაგიდო წიგნი იყო სულიერი მოძღვრებისათვის სხვადასხვა ცოდვებისათვის ეპიტიმიების განსაზღვრისას. თანაც, ყოველი მოძღვარი ახდენდა ამ წიგნის გადაწერას საკუთარი გამოყენებისათვის და ამატებდა მას სხვა კანონებსაც იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც იოანეს არ ჰქონდა გათვალისწინებული. ამის შედეგად, მმარხველის „კანონიკონმა“ დროთა განმავლობაში იმდენად დაკარგა თავისი თავდაპირველი სახე, რომ მის მრავალრიცხოვან რედაქციათა შორის ძნელი საცნაური გახდა, რომელი იყო მათგან მმარხველის ნამდვილი „კანონიკონი“. ამიტომ ბევრმა დაიწყო მისი უგულებელყოფა და შედეგად, მისი ძველი ავტორიტეტი თანდათან დაეცა. XIV საუკუნეში მათე ბლასტარმა კვლავ აამაღლა იოანე მმარხველის წიგნის თავდაპირველი მნიშვნელობა. მან მისგან შეადგინა საკმაოდ ვრცელი სინოპსისი (48 კანონი) და მიუერთა იგი თავის ალფაბეტურ სინტაგმას. როგორც ბლასტარის ამ სინოპსისმა, ისე ალფაბეტურმა სინტაგმამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა აღმოსავლურ ეკლესიაში; აღნიშნული სინოპსისის მიხედვით იოანე მმარხველის კანონები კვლავ შევიდა საყოველთაო გამოყენებაში. მრავალ ძველბერძნულ ხელნაწერთა შორის არის ბლასტარის სინოპსისიც, რომელიც ერთ-ერთი ამ ხელნაწერის მიხედვით დაიბეჭდა ათენის სინტაგმაში. იმავე სინოპსისის მიხედვით მმარხველის კანონები შევიდა ბლასტარის სინტაგმის ძველბერძნულ ხელნაწერში, როგორც ამის შესახებ ამბობს პროფ. თ. დ. ფლორინსკი თავის წიგნში „სერბებისა და ბერძნების მეფის დუშანის კანონმდებლობითი მოღვაწეობის ძეგლები“ (კიევი, 1888, გვ. 309 და შემდგ.). მოყვანილი შენიშვნიდან, რომლის წამძღვარებაც მმარხველის კანონების განმარტებისათვის ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, იოლი გასაგები იქნება ყოველი ცალკეული კანონის აზრი, რომლებიც, ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მკაცრი გაგებით საკუთრივ არ არის მმარხველის კანონები.

წმინდა იოანე მმარხველის ყველა კანონი დაყოფილია სამ ჯგუფად, რაც შეესაბამება გრიგოლ ნოსელისეულ დაყოფას თავის პირველ კანონში სულის სამი ძალის მიხედვით: გულისსიტყვა (გონიერი, აზრობრივი), გულისთქმა (წადიერი, მოსურვეობითი) და გულისწყრომა (გაღიზიანებითი, გაბრაზება, განრისხება), რომელთაგანაც შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ცოდვა. წმინდა გრიგოლ ნოსელის კანონების მსგავსად, წმინდა იოანე მმარხველიც ცოდვებს ჩამოთვლის ზემომოხსენიებული სულის ძალების სქემით. მისი „კანონიკონის" კანონების ცალკეულ ჯგუფს ბლასტარის სინოპსისის ორიგინალში ქვეჯგუფების შესაბამისი საკუთარი სახელწოდებებიც აქვთ მინიჭებული. პირველ ჯგუფს ზედწარეწერება „გონის ძალა, გულისთქმის ძალა და გულისწყრომის ძალა" და თავის თავში შეიცავს, როგორც გრიგოლ ნოსელთან, სარწმუნოების საწინააღმდეგო ცოდვების შესახებ კანონებს (1 და მე-2); მეორე ჯგუფი – „სულის მოაზროვნე ნაწილის შეცოდებანი" შეიცავს კანონებს (4-30) ზნეობრიობის საწინააღმდეგო ცოდვების შესახებ; მესამე ჯგუფი კი – „გულისთქმის ნაწილის შესახებ" გადმოგვცემს კანონებს (31-48), რომლებიც ეხება მოყვასის სიყვარულის საწინააღმდეგო ცოდვებს. სინოპსისის კანონიკონის შვიდი კანონის გარდა, ყველა დანარჩენი ეკუთვნის იოანე მმარხველს. ამ შვიდი კანონიდან 1-ში, მე-2-ში და მე-16-ში არის ჩართული ტექსტები მათე ბლასტარისგან, ხოლო 22, 23, 26 და 27 კანონები თვით ბლასტარმა შეადგინა. წინამდებარე პირველი კანონი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი, რომელშიც მოიხსენიება ანკვირიის კრებისა და წმინდა მამების – პეტრე ალექსანდრიელის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის კანონები ქრისტესგან განდგომილთა შესახებ, ეკუთვნის წმინდა იოანე მმარხველს, რომელიც მიიჩნევს, რომ განდგომილთათვის სასჯელის განსაზღვრისას, მათი ეკლესიაში დაბრუნების შემთხვევაში, საჭიროა შესაბამისობა ზემომოხსენიებული კანონების განწესებებთან. კანონის მეორე ნაწილი კი მათე ბლასტარს ეკუთვნის, რომელმაც იოანე მმარხველის კანონი შეავსო კონსტანტინოპოლის კრების განწესებით; ეს კრება პატრიარქ მეთოდეს დროს (842-846) გაიმართა და მასში საუბარია ქრისტესგან განდგომილთა ეკლესიაში მიღების წესზე. სწორედ ასეთ წესი იყო ძალაში მათე ბლასტარის დროს.

კანონი 2

იმათ, ვინც გრძნეულებითა და მომწამვლელობით არს დაკავებული, ბასილი დიდი თავისი 65-ე კანონით მკვლელებისათვის დაწესებულ სასჯელს უფარდებს, ანუ ოცწლიან ეპიტიმიას. ზუსტად ასევე, 72-ე კანონის თანახმად, იმათაც, ვინც მკითხაობს, ან, უბრალოდ, სჯერა მათი. გრიგოლ ნოსელი კი, თავის მე-2 [მე-3] კანონში, ცოდვების მისეულ დაყოფასთან შესაბამისობაში, აპოსტატის (განდგომილის) მსგავსად სჯის ყველას, ვინც ტოვებენ ჩვენს სარწმუნოებას და მკითხავებს მიმართავენ. მეორე მხრივ, ვინც იძულებით მიდის მათთან ან სულმოკლეობით, ისჯება როგორც მემრუშე. VI მსოფლიო კრების 61-ე კანონი ამ უკანსკნელებს ექვსწლიან ეპიტიმიას განუწესებს, ანკვირიის კრება კი ამ სასჯელს ხუთ წლამდე ამცირებს. წაიკითხე ლაოდიკიის 36-ე კანონი, სადაც დაწვრილებით არის განხილული

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული განსხვავება. გრძნეულებითა და მომწამვლელობით დაკავებულ პირებს იოანე მმარხველმა სასჯელი სამ წლამდე შეუმცირა, მაგრამ ეს იმ პირობით, თუ ისინი მკაცრად იმარხულებენ: იკმარებენ ყოველდღიურად, მეცხრე ჟამის შემდეგ, მშრალ და ხმელ საჭმელს, ანუ საკვებს მიიღებენ მხოლოდ იმისათვის, რომ იარსებონ; ამასთანავე, ყოველდღე ორას ორმოცდაათ მეტანიას შეასრულებენ და მოკრძალებით მიიტანენ შუბლს ზედ მიწამდე. იგივე სასჯელს განუსაზღვრავს თილისმანის მატარებელ და ჯადოს დამამზადებელ დედაკაცებსაც.

(ტრულ. 61,65; ანკვირ. 24; ლაოდ. 36; ბასილი დიდის 7,65,72,81,83; გრიგოლ ნოსელის 3)

წინამდებარე კანონი შედგენილია მათე ბლასტარის მიერ იოანე მმარხველის შესაბამისი კანონის საფუძველზე. მასში თავიდან საუბარია კრებებისა და წმინდა მამების კანონების შესახებ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჯადოსნობით იყო დაკავებული. ამის შემდეგ კი მოყვანილია იოანე მმარხველის განწესება ასეთი შემცოდებლების წინააღმდეგ.

კანონი 3

ის, რომ ჩვენ (ამბობს იოანე მმარხველი) ვამცირებთ სინანულის ვადებს, ვფიქრობ, რომ იმათ, ვინც სწორად სჯის, უსაფუძვლოდ არ მოეჩვენება. რაკი არც ბასილი დიდს, არც სხვა უფრო ძველი დროის ჩვენს ღვთაებრივ მამებს არ განუჩინიათ ცოდვილებისთვის მარხვები, მღვიძარება, მეტანიების რაოდენობა, არამედ, მხოლოდ — წმინდა ზიარებიდან განყენება, ამიტომ ჩვენ ვგონებთ, რომ იმათთვის, ვინც გულწრფელად ინანიებს და მზად არის მოაუძლუროს ხორცი თავისი მკაცრი მოღვაწეობით, იცხოვროს კეთილგონივრულად ისე, რომ ახალი ცხოვრება სრულიად საპირისპირო აღმოჩნდეს მისი ძველი ბიწიერი ცხოვრებისა, — მართებული იქნება, თავშეკავების საზომისამებრ, ზომიერების ფარგლებში შეუმცირდეთ სასჯელის ვადები. ასე, მაგალითად, თუკი ვინმე აღთქმას დადებს, რომ ღვინოს არ მიიღებს გარკვეულ დღეებში, მაშინ ჩვენ თანახმა ვართ შევუმციროთ მას ერთი წლით მამების მიერ მისი დანაშაულისათვის განსაზღვრული ეპიტიმიის ვადა. ზუსტად ასევე, თუკი ასეთი პირი აღთქმას დადებს, რომ გარკვეულ დღეებში თავს შეიკავებს ხორცისგანაც, მაშინ ჩვენ თანახმა ვართ კიდევ ერთი წლით შევუმციროთ მას სასჯელის ვადა, ან მისი მხრიდან ყველისა და კვერცხისგან თავშეკავების შემთხვევაში, ან თევზისგან, ზეთისგან, — თანახმა ვართ, რომ თითოეული დასახელებული პროდუქტისგან თავშეკავების შემთხვევაში, კიდევ თითო წლით შეუმცირდეთ დაწესებული სასჯელი. ზუსტად ასე უნდა მოვექცეთ ყველა იმათგანს, ვინც ხშირი მეტანიებით ცდილობს ლმობიერჰყოს მის მიმართ ღმერთი და განსაკუთრებით, თუ ავლენს ძალდაუტანებელ გულმოდგინებას წყალობის გაცემაში. შემდეგ, ჩვენ თანახმა ვართ კიდევ უფრო შევუმციროთ სასჯელი ისეთ პირს, რომელიც

დაცემის შემდეგ იწყებს ღვთისმოშიშ და განმხოლოებულ ცხოვრებას და ყველა იმ ღვაწლს ტვირთულობს, რაც ამ სახის ცხოვრებას ახასიათებს.
(I მსოფ. 12; IV მსოფ. 16; ტრულ. 102; ანკვირ. 5; ბასილი დიდის 74)

იოანე მმარხველის მიერ სხვადასხვა ცოდვისთვის დაწესებულ ეპიტიმიებს თუ შევადარებთ საეკლესიო კრებებისა და ძველი დროის წმინდა მამების მიერ განწესებულ ეპიტიმიებს იმავე ცოდვებისათვის, დიდ სხვაობას დავინახავთ. ეს უკანასკნელნი საკმაოდ დიდი სიმკაცრით გამოირჩევიან, იოანეს მიერ განწესებული სასჯელები კი გაცილებით ლმობიერია. იმისათვის, რომ წმინდა მამებისეული განწესებების მოშურნეთაგან რისხვა არ დაემსახურებინა, წმინდა იოანემ საჭიროდ ჩათვალა აეხსნა, თუ რაში იყო საქმე და რატომ ამცირებდა სინანულის ვადებს სანახევროდ. იგი შენიშნავს, რომ ბასილი დიდი და სხვა წმინდა მამები, სხვადასხვა ცოდვებისათვის განაწესებდნენ ცოდვილების მხოლოდ განყენებას წმინდა ზიარებიდან, მეტი ან ნაკლები ხანგრძლივობით. ამასთან, მხედველობაში არ იღებდნენ მარხვას, მღვიძარებასა და მეტანიებს, როგორც სასჯელის ერთგვარ სახეს, რომლებიც გულწრფელი სინანულის პირობებში, შეიძლება დაეხმაროს მონანულს იმაზე ადრე გახდეს წმინდა ზიარების ღირსი, ვიდრე ამას დაიმსახურებდა, რომ არ დაქვემდებარებოდა მარხვას, მღვიძარებასა და მეტანიებს. იოანე მმარხველი ხაზს უსვამს ამ გარემოებას და შენიშნავს, რომ თუკი ის უმცირებს სინანულის ვადას ზოგიერთ ცოდვილს, რომლებიც თრგუნავენ საკუთარ ხორცს მარხვით, მღვიძარებითა და მეტანიებით, და ნებას აძლევს მათ მიიღონ წმინდა ზიარება ვადაზე ადრე, ვიდრე ეს წინანდელი კანონებით იყო გათვალისწინებული, სადაც ამ საშუალებათა შესახებ არაფერია ნათქვამი, მაშინ სინანულის ვადების შემცირება უნდა მიიჩნიოს სავსებით საფუძვლიანად ნებისმიერმა, ვისაც სურს სწორად განსაჯოს. მით უფრო, რომ ამაზე რწმუნებას იძლევა თვით ბასილი დიდიც თავისი 74-ე კანონით. ამის შემდეგ იოანე მმარხველს მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ასა თუ იმ ცოდვილისათვის სინანულის ვადის ეს შემცირება გამოიყენებოდეს სასჯელის გვარობიდან გამომდინარე. თუმცაღა, სინანულის ვადების ეს შემცირება, რომლის შესახებაც იოანე მმარხველი საუბრობს, ეხება მხოლოდ ცოდვის რიგძლიერ სახეს, მაშინ, როდესაც ყველა სხვა დანარჩენი სახის ცოდვისათვის, ის საკადაგებულოდ თვლის ადრინდელი მამების მიერ განწესებულ სასჯელს. ზუსტად ასევე, იყი აუცილებლად მიიჩნევს ამ ეპიტიმიებს იმ ცოდვებისთვისაც, რომელთათვისაც ის განაწესებს ნაკლებად მკაცრ სასჯელებს, თუკი აღებული პირი გულმოდგინედ არ ასრულებს მის განწესებას მარხვებსა და მეტანიებთან დაკავშირებით, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ.

ეს სრულიად სწორი და საფუძვლიანი მსჯელობა იოანე მმარხველისა, მაინც არ იყო სასურველი ეპიტიმიების დადებისას ძველი განწესებებით სარგებლობის მომხრეთათვის. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ბევრისთვის საზიანო იყო ცოდვილების მიმართ ასეთი ლმობიერება. ათონელი მონოზენების შეკითხვაზე, მისაღებია თუ არა ეპიტიმიების დადებისას იოანე მმარხველის „კანონიკონით" სარგებლობა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ III (1084-1111) პასუხობს, – რასაც შემდგომში ვიხილავთ, – იმ აზრით, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: კერძოდ, უპასუხა, რომ

თავისი უდიდესი ლმობიერებით ამ „კანონიკონმა“ ბევრი დაღუპა. თუმცაღა, თანდათან იოანე მმარხველის კანონების შესახებ ეს აზრი შეიცვალა, და დროთა განმავლობაში აღმოსავლურ ეკლესიაში საყოველთაოდ დაიწყეს მათი გამოყენება. ასე რომ, ამჟამად სულიერი მოძღვრები საბერძნეთში ვალდებულნი არიან შემცოდებელს, აღსარების შემდეგ, ეპიტიმია სწორედ ამ კანონების მიხედვით დაადონ.

კანონი 4

გულში უწმინდური აზრების მოქმედება, თუ ცოდვა ჯერ კიდევ არ არის ჩადენილი, სასჯელს არ ექვემდებარება.

ამ კანონში თავისი გამოხატულება ჰპოვა რომის სამართლის კანონმა, რომლის თანახმადაც, ჩაფიქრებული დანაშაული არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული იმისათვის, რომ მხოლოდ ამის საფუძველზე მიიღონ ზომები ვინმეს წინააღმდეგ. ჩაფიქრებული დანაშაული უნდა დასრულდეს კიდეც – დადებითად ან უარყოფითად, რათა შესაძლებელი გახდეს მასზე მსჯელობა, როგორც დასასჯელ ქმედებაზე.

მართალია, რაც ითქვა, ძალმოსილია საეკლესიო სასამართლოს გარეგან საქმეებში, მაგრამ ის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შინაგანი საეკლესიო სასამართლოსთვისაც, კერძოდ, მოძღვრებისთვის წმინდა აღსარებისას, რომელთათვისაც, საკუთრივ, განკუთვნილია ეს კანონი. ამის შესახებ იხ. შემდეგი (მე-5) კანონი.

კანონი 5

გულის თანაგრძნობა ზრახვების მიმართ, თორმეტი მეტანიით იწმინდება.

მე-4 კანონში ნათქვამია, რომ ჩაფიქრებული დანაშაული არ ექვემდებარება სასჯელს, იმ ვარაუდით, რომ ჩაფიქრებულს ჰქონდა შემთხვევითი და წარმავალი მნიშვნელობა, და რომ მან ვერ დაიპყრო ადამიანის გული. თუმცა, თუკი ეს მოხდება, ანუ ბოროტი განზრახვა განმტკიცდება ადამიანში, მაგრამ არ გადაიზრდება რამე დანაშაულში მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ხელი შეუშალა მისგან დამოუკიდებელმა გარემოებამ, მაშინ სულიერ სასჯელს იმსახურებს თვით ბოროტი ზრახვაც, როგორც ნათქვამია წინამდებარე (მე-5) კანონში. რომის სამართალშიც ჰქონდა მას ძალა გარკვეულ ვითარებებში. ამასთან, აღნიშნულ სამართალში მხოლოდ პირობითად არის ნათქვამი: „განზრახვა შეიძლება დარჩეს დაუსჯელი“. ბოროტი განზრახვა შეიძლება დარჩეს დაუსჯელი, თუ, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშაულში არ გადაიზარდა, მაგრამ ეს განზრახვა რომ ყოველთვის დაუსჯელი უნდა დარჩეს, ამის შესახებ რომის სამართალში არსადაა ნათქვამი.

კანონი 6

ბრძოლა (ვნებებთან) იმსახურებს ან ჯილდოს, ან სასჯელს.

ადამიანი ჯილდოს დაიმსახურებებს, თუ ვნებებთან ბრძოლაში არ დათმობს და გაიმარჯვებს მათზე. სასჯელს კი დაიმსახურებს იმ შემთხვევაში, თუ თავის თავში

ვერ იპოვის შეწინააღმდეგობის ძალას და ვნებებს დაემორჩილება. სასჯელი მას დაეკისრება ცოდვის სიმძიმის გათვალისწინებით.

კანონი 7

თანხმობა (უკეთურ აზრებთან) არის სასჯელის მიზეზიც და დასაწყისიც.

წინამდებარე კანონი წარმოადგენს წინა სამი კანონის (მე-4, მე-5 და მე-6) განმარტებას და ამბობს, რომ ადამიანი თავად არის დამნაშავე, თუ მოჰყვება სასჯელის ქვეშ იმისათვის,რომ ვერ იპოვა თავის თავში ძალა დაეპირისპირებინა სათნოება ვნებებისათვის. რამეთუ თავად დაიმსახურა სასჯელი იმით, რომ აღასრულა მის მიერვე ჩაფიქრებული დანაშაულებრივი საქმე.

კანონი 8

ვინც ძილში ეკრიზისით იბილწება, ერთი დღით აკლდება წმინდა ზიარებას, და ჩაითვლება უწმინდურობიდან განწმენდილად, თუ წაიკითხავს 50-ე ფსალმუნს და შეასრულებს 49 მეტანიას.

ათანასე დიდი თავის პირველ კანონში სვამს შეკითხვას: „რა აქვს ცოდვიანი ან უწმინდური ბუნებრივ გამონაყოფს?“ შესაბამისად, იგი ამისთვის სასჯელს არავის უქვემდებარებს. ასევე, დიონისე ალექსანდრიელიც, საუბრობს რა თავის მე-4 კანონში ღამის უნებლიე გამონაყოფზე (თესლდენა), შენიშნავს, რომ პირი, რომელსაც ეს შეემთხვევა, თვითონ არის საკუთარი თავის მსაჯული; მაგრამ სასჯელს ამისთვის არ ადებს. წინამდებარე კანონი კი, პირიქით, განაწესებს, რომ არ უნდა დაუშვან ის პირი ზიარებაზე, რომელიც წინა ღამით უწმუნდურებით შეიბილწა, რამეთუ ის არ არის წმინდა და მხოლოდ შესაბამისი ეპიტიმიით შეიძლება განიწმინდოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იოანე მმარხველის წინამდებარე კანონის განწესება კარგია და მართებული.

კანონი 9

ვინც მღვიძარე მდგომარეობაში შეიბილწება ეკრიზისით, ექვემდებარება შვიდდღიან განყენებას წმინდა ზიარებიდან, ამასთან, ყოველდღე უნდა წაიკითხოს 50-ე ფსალმუნი და შეასრულოს 49 მეტანია.

(დიონისე ალექსანდრიელის 4; ათანასე დიდის 1)

აქ უკვე საუბარია არა „ღამისეული თესლდენითი“ შებილწვით ძილში და, მაშასადამე, უნებლიე ცოდვაზე, არამედ, როდესაც ადამიანი მღვიძარე მდგომარეობაში იბილწება განზრახ, ნებსით. სასჯელი, რომელსაც ამ ცოდვისათვის განაწესებს წინამდებარე კანონი, დიდი არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ რა გარყვნილი ზნეობის ადამიანი უნდა იყოს ის, ვინც სრულ ცნობიერებაში მყოფი ნებას აძლევს თავის თავს ასეთი სამარცხვინო, ბუნების საწინააღმდეგო უწმინდურება ჩაიდინოს.

კანონი 10

ვინც მალაკიას ჩაიდენს (ჩუკენობა), ექვემდებარება ორმოცდღიან ეპიტიმიას, რომლის განმავლობაშიც მხოლოდ მშრალი საჭმელი უნდა მიიღოს, ამას გარდა ასი მეტანია ყოველდღიურად.

ჩუკენობა განკითხულია ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წმინდა წერილით, როდესაც ღმერთმა დასაჯა პატრიარქ იუდას ძე ონანი, რომელმაც მიწაზე დაღვარა თესლი (იხ. დაბ 38, 8-10), ამიტომაც ამ ბუნების საწინააღმდეგო საძაგელ ცოდვას, სხვაგვარად ონანიზმიც ეწოდება. სასჯელი, რომელსაც წინამდებარე (მე-10) კანონი ჩუკენობისათვის განაწესებს, ჩენ საკმაოდ მსუბუქად მიგვაჩნია, რამეთუ ეს ცოდვა უშუალოდ ღმერთის მცნებას შეურაცხყოფს.

კანონი 11

როდესაც ორი ერთურთს უკეთებს მალაკიას, ისჯებიან როგორც ორმაგი მალაკიისთვის, ოთხმოცდღიანი ეპიტიმიით.

იოანე მმარხველის წინამდებარე კანონს ჩვენ განვიხილავთ მამათმავლობის შესახებ მის 29-ე კანონთან კავშირში, რომელსაც მოიხსენიებს გრიგოლ ნოსელი თავის მე-4 კანონში, და რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ ბასილი დიდის 62-ე კანონის განმარტებაში. თავის წინამდებარე კანონში, იოანე მმარხველი ამ სისაძაგლეს უწოდებს ორმაგ ჩუკენობას, რაც არის ის კიდევაც სინამდვილეში, მაგრამ, მაინც, დამნაშავეებისათვის განაწესებს, დანაშაულის სიმძიმით რომ ვიმსჯელოთ, უმნიშვნელო სასჯელს, ბასილი დიდი ამ დანაშაულისთვის თხუთმეტწლიან ეპიტიმიას აწესებს, ისევე, როგორც მრუშობისთვის; გრიგოლ ნოსელი კი, ზემომოხსენიებულ კანონში – თვრამეტწლიანს. ვფიქრობთ, საეკლესო პრაქტიკისათვის ძალაში უნდა იყოს სწორედ გრიგოლ ნოსელის განწესება და არავითარ შემთხვევაში იოანე მმარხველისა მამათმავლობის შესახებ. თავის 29-ე კანონში წმინდა იოანე მმარხველმა მართალია სახეცვლილება შეიტანა წინამდებარე (მე-11) კანონის განწესებაში და ეპიტიმია სამ წლამდე გაზარდა, ხოლო მისი შესრულებისას გულმოდგინების გამოუჩინებლობის შემთხვევაში – თხუთმეტ წლამდე, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი ეს სასჯელი სამი წლით ნაკლებია ვიდრე გრიგოლ ნოსელს აქვს განწესებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იოანე მმარხველი მამათმავლობისათვის ვადებთან დაკავშირებულ ეპიტიმიას უერთებს ყოველდღიურ მძიმე ხორციელ ღვაწლსაც – მოუკლებელ გულშემუსვრილ ლოცვასა და მარხვას, საღამოობით კი დამნაშავე უნდა დაკმაყოფილდეს მშრალი საჭმელით და ყოველდღიურად შეასრულოს ორასი მეტანია.

კანონი 12

თუ რომელიმე კლირიკოსი სამღვდელო ხელდასხმამდე ჩუკენობის ვნებით იყო შეპყრობილი და აქვს იმის შიში, რომ შეიძლება არ მიიღონ სამღვდელო კრებულში, დაე, მიიღონ იგი დაუბრკოლებლად, მაგრამ შესა-

ბამისი ეპიტიმიის შემდეგ. თუკი სამღვდელო ხარისხის მიღების შემდეგაც ჩავარდება იგივე ცოდვაში, მაშინ ერთი წლით განკანონდეს მღვდელმსახურებიდან, რასაც შეიძლება კვლავ დაუბრუნდეს განწესებული სასჯელის მოხდის შემდეგ. ხოლო თუ თავისი ცოდვის გაცნობიერების შემდეგაც კვლავ, მეორედ და მესამედ მიეცემა იგივე ბიწიერებას, ასეთ შემთხვევაში მას უნდა ჩამოერთვას სამღვდელო ხარისხი და ჩამოქვეითდეს წიგნისმკითხველთა რიგში.

ამ წმინდა მამის მე-3 კანონის განმარტებაში ჩვენ დადებითი შეფასება მივეცით სხვადასხვა ცოდვისათვის სასჯელების განსაზღვრისას მისი მხრიდან ლმობიერიების გამოვლენას. თუმცაღა, წინამდებარე (მე-12) კანონში გამოჩენილი ლმობიერება, ჩვენი აზრით, მეტისმეტია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცოდვის სიმძიმეს, რომლის შესახებაც ეს კანონი ლაპარაკობს; ასევე იმას,რომ ეს ცოდვა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებასა და ღვთის მცნებებს, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ წმინდა მამის მე-10 კანონის განმარტებაში და განსაკუთრებით, როდესაც ამ ცოდვაში ვარდებიან სასულიერო პირები, რომლებსაც ეს კანონი მიემართება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს წმინდა მამა არ თვლიდა ჩუკენობას იმდენად მძიმე ცოდვად, როგორსაც ის სინამდვილეში წარმოადგენს. იგი უშვებს სამღვდელო დასში ისეთი პირის დაუბრკოლებლად მიღებას, რომელიც ჩუკენობის ცოდვაში იყო ჩავარდნილი ხელდასხმამდე, თუკი მხოლოდ მან ორმოცდღიანი ეპიტიმია მოიხადა. ამავე ცოდვაში მეორედ ჩავარდნილთათვის განაწესებს სამღვდელო მსახურებიდან ერთწლიან განყენებას, და ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ უშვებს მღვდელმსახურის მოვალეობის შესასრულებლად. ჩუკენობა შედის ბუნებასაწინააღმდეგო სიძვისა და სოდომის ცოდვის ყველაზე სამარცხვინო დანაშაულთა რიცხვში, და თუ თავად ღმერთმა განიკითხა სოდომის ცოდვა, რაც დასტურდება როგორც ძველაღთქმისეული, ისე ახალაღთქმისეული წმინდა წერილებით (იხ. დაბ. 18, 20 და შემდგ.; რომ. 1, 26, 27; 1 კორ. 6, 9), მაშ, როგორღა შეიძლება მღვდელთა რიგებში ისეთ პირთა დათმენა, რომლებიც თუნდაც ერთხელ აღმოჩნდნენ აღნიშნულ ცოდვაში? წინამდებარე კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვს ამ ცოდვისათვის სასულიერო პირის სამღვდელო დასიდან განკვეთას, როდესაც დამტკიცებული იქნება, რომ ის განაგრძობს აღნიშნულ ცოდვაში დადგრომას.

კანონი 13

მალაკიისათვის ეპიტიმიას დედაკაციც ექვემდებარება, რომელიც ეამბორება მამაკაცს და მასთან შეხებაში მოდის, თუნდაც, ამ დროს, საქმე შებილწვამდე არ მივიდეს.

სავსებით სამართლიანად სჯის წმინდა მამა დედაკაცსაც, რომელიც კოცნის მისთვის უცხო მამაკაცს და მასთან ახლოშეხებაში მოდის, თუნდაც რომ ასეთი ურთიერთობა სიძვის ცოდვით არ დამთავრდეს. რამეთუ ქალის ეს კოცნა უცხო

მამაკაცთან და მასთან ხორციელი შეხება სქესობრივ გალიზიანებას იწვევს და თესლის გამოყოფით მთავრდება, ანუ – ბუნებასწინააღმდეგო სიძვით. აქ წმინდა მამა გულისხმობს, ეჭვგარეშეა, დაუქორწინებელ პირებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მრუშობა იქნებოდა.

კანონი 14

მეძავი წმინდა ზიარებიდან განიყენება ცხრა წლით – წმინდა გრიგოლ ნოსელის მე-3 [მე-4] კანონით, ხოლო ბასილი დიდის 59-ე კანონით – შვიდი წლით.

(ბასილი დიდის 4, 21, 22, 26, 59, 79, 80; გრიგოლ ნოსელის 4)

კანონი 15

ბასილი დიდის 21-ე კანონი ამბობს, რომ თუ ცოლიანი მამაკაცი ჩავარდა სიძვაში, იგი უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე იგივე ცოდვით დაცემული უცოლო მამაკაცი.

ბასილი დიდის 9, 19, 21, 26, 34, 37, 39, 58, 59, 77, 79, 80; გრიგოლ ნოსელის 4)

წინამდებარე კანონში ლაპარაკია მრუშობის შესახებ, თანაც, ქმრის მხრიდან; ცოლის მხრიდან ამის შესახებ კი, არაფერია ნათქვამი, ისევე, როგორც არაფერია ნათქვამი ამის შესახებ ბასილი დიდის 21-ე კანონში, რომლის შინაარსიც მოჰყავს წმინდა იოანე მმარხველს. მის წინამდებარე კანონს ჩვენ მოვიაზრებთ როგორც მრუშის შესახებ განწესებულს, რამეთუ ვეყრდნობით თვით კანონის სიტყვებს, თუმცა, მოხსენიებულ კანონში ბასილი დიდი კანონიერი ცოლის მოღალატე კაცს უწოდებს მეძავს. ხოლო თუ რაგვარ სასჯელს ექვემდებარება მემრუშე, ამის შესახებ ნათქვამია გრიგოლ ნოსელის იმავე კანონში, რომელიც იოანე მმარხველს მოჰყავს თავის მე-14 კანონში, კერძოდ – თვრამეტწლიან ეპიტიმიას.

კანონი 16

ბასილი დიდის მე-60 კანონი მონოზვნებს, ისევე, როგორც შეწირულ ქალებს, სიძვით დაცემისათვის უქვემდებარებს მრუშობისათვის დაწესებულ სასჯელს, რამეთუ მათ შებღალეს კავშირი თავიანთ სულიერ სიძესთან. ტრულის კრების 44-ე კანონი განაწესებს, რომ სიძვაში ჩავარდნილი მონოზონი დაისაჯოს ზუსტად ისე, როგორც ერისკაცი. ჩვენ კი (ამბობს იოანე მმარხველი) ვგონებთ, რომ თითოეულისათვის, ვიც ისიძვებს, საკმარისი იქნება წმინდა ზიარებიდან ორი წლით განკანონება, მაგრამ, ამასთან, მან უნდა იკმაროს საკვების მიღება მხოლოდ მეცხრე ჟამის შემდეგ, ისიც – მშრალი სახით, და ყოველდღე შეასრულოს ორას ორმოცდაათი მეტანია. თუ ამაში უდიერი აღმოჩნდება, მაშინ მამების მიერ განწესებული სასჯელის მთელი ვადა უნდა დაითმინოს.

(IV მსოფ. 16; ტრულ. 44; ანკვირ. 19; კართ. ბასილი დიდის 6, 18, 19, 20, 44, 60)

წინამდებარე კანონი საუბრობს მონოზონების შესახებ, რომელთაც არ მიულიათ ხელდასხმა, და შეწირულ ქალებზე, ანუ ისეთ პირებზე, რომლებიც არ არიან ქორწინების კავშირით შეკრულნი, და რომლებიც ჩავარდნენ სიძვის ცოდვაში. ამის გამო, მათე ბლასტარმა სავსებით მართებულად შეიტანა იოანეს ამ კანონში ტრულის კრების 44-ე კანონი, რომლის თანახმადაც სიძვაში ჩავარდნილი მონოზონი (ზუსტად ასევე, შეწირული ქალებიც, რომლებიც კრძალულებით მონოზონებს ემსაგავსებიან), ექვემდებარება მეძავისთვის განწესებულ სასჯელს, ანუ შვიდწლიან ეპიტიმიას. იოანე მმარხველმა ეს სასჯელი მთელი მესამედით შეამცირა. მაგრამ ზონარა, ტრულის კრების მოხსენიებული კანონის განმარტებაში, შენიშნავს, რომ აუცილებელია ტრულის კრების განწესების დაცვა, როგორც უფრო გვიან მიღებულის, ვიდრე ბასილი დიდის მე-60 კანონია, რომელიც იოანე მმარხველმა თავის წინამდებარე (მე-16) კანონში მოიყვანა. ჩვენი აზრით, ზონარა ამ შემთხვევაში მართალია.

კანონი 17

მამების განწესების თანახმად, შებილწვა, რომელიც ძალადობით ხდება სასტიკი ადამიანების ან მებატონეების მხრიდან, სასჯელს არ ექვემდებარება. ამის შესახებ, კერძოდ, საუბრობს ბასილი დიდი თავის 49-ე კანონში.

(ანკვირ. 11; გრიგოლ ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 30, 49)

კანონი 18

კლირიკოსებთან მიმართებით, რომლებიც სიძვობენ, ბასილი დიდი თავისი 32-ე კანონით განაწესებს, რომ ისინი უნდა განიკვეთონ ხარისხიდან, მაგრამ ეკლესიასთან ერთობაში რჩებიან.

(მოც. 25, 29, 30; I მსოფ. 9; ტრულ. 4, 21; ნეოკეს. 1, 8; კართ. 27; ბასილი დიდის 3, 32, 51, 70, 82)

აქ მოყვანილ ბასილი დიდის 32-ე კანონში, მოხსენიებულია სასიკვდილო ცოდვა, რომლის გამოც, მასში ჩავარდნილი კლირიკოსი უნდა განიკვეთოს. სასიკვდილო ცოდვებში შედის სიძვაც, ამიტომაც იოანე მმარხველის მხრიდან ბასილი დიდის კანონზე დაყრდნობა მართებულია, თუკი ვივარაუდებთ, რომ აქ იგულისხმება უქორწინებელი კლირიკოსები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მრუშობისათვის სასჯელი ეკუთვნის.

კანონი 19

თავის მე-4 კანონში ბასილი დიდი ამბობს, რომ მეორედ დაქორწინებულებს ზოგიერთები სჯიან ერთწლიანი, ზოგიერთებიც — ორწლიანი ეპიტიმიით, მესამედ დაქორწინებულებს კი წმინდა ზიარებიდან განაყენებენ სამი და ოთხი წლით. ხოლო ჩვენ, ამბობს, ბასილი, წმინდა ზიარებიდან

განვაკანონებთ – ჩვეულების თანახმად – ხუთი წლის ვადით, თუმცა, ქორწინების დაურღვევლობის პირობით, – წინა ქორწინებებიდან შვილების არყოლის შემთხვევაში.

(მოც. 17; I მსოფ. 8; ტრულ. 3, 87; ანკვირ. 19; ნეოკეს. 3, 7; ლაოდ. 1; ბასილი დიდის 4, 12, 30, 41, 50, 53, 80, 87)

ბასილი დიდის მე-4 კანონზე დაყრდნობა აქ სავსებით სწორია. თუმცაღა, წინამდებარე კანონის განწესების გააზრებისათვის, საჭიროა მივმართოთ ბასილი დიდის მოხსენიებული (მე-4) კანონის ჩვენეულ განმარტებას. კანონის დასკვნა, რომ მესამედ დაქორწინებულთა ქორწინებითი კავშირი არ უქმდება, ეფუძნება ბასილი დიდის 50-ე კანონს, სადაც იგი ასეთ ქორწინებას თუმც კი უწოდებს „უწმინდურებას ეკლესიაში", მაგრამ მიიჩნევს მას უკეთეს მდგომარეობად, ვიდრე „გარყვნილი მეძავეობაა".

კანონი 20

გრიგოლ ნოსელის მე-6 [მე-4] კანონი მრუშობისათვის წმინდა ზიარებიდან განაყენებს თვრამეტი წლით, ბასილი დიდის 38-ე კანონი – თხუთმეტით; ანკვირიის კრების მე-20 კანონი განაწესებს, რომ ეპიტიმია უნდა დასრულდეს შვიდი წლის შემდეგ. ხოლო ჩვენ (ამბობს მმარხველი) ვთვლით, რომ მრუშობით დაცემული შეიძლება წმინდა ზიარებას ეღირსოს სამწლიანი ეპიტიმიის შემდეგაც, თუკი, ამასთან, საკვებად იკმარებს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღე ორას ორმოცდაათ მეტანიას შეასრულებს. თუ ამაში უდიერი აღმოჩნდება, მაშინ მამების მიერ დაწესებული ვადის დასრულებას დაელოდოს.

(მოც. 48; ტრულ. 87, 93, 98; ანკვირ. 20; კართ. 102; ბასილი დიდის 9, 21, 31, 35, 36, 46, 48, 58, 77, 80; გრიგოლ ნოსელის 4)

წინამდებარე კანონში მოიხსენიება მემრუშეთათვის დაწესებული სამი სხვადასხვა ვადის ეპიტიმია: შვიდწლიანი, თხუთმეტწლიანი და თვრამეტწლიანი. იოანე მმარხველი ამ ვადებს სამ წლამდე ამცირებს – ყოველდღიური ხორციელი ღვაწლის პირობების დამატებით. ვიღებთ რა მხედველობაში ქორწინების სიწმინდეს, რომელსაც ბილწავს როგორც მემრუშე ქმარი, ისევე – ცოლი, ყველაზე მართებულ სასჯელად ჩვენ ის სასჯელი მიგვაჩნია, რომელსაც გრიგოლ ნოსელი აწესებს.

კანონი 21

ნეოკესარიის კრების მე-8 კანონის თანახმად, სამღვდელო ხარისხს ვერ მიიღებს პირი, რომლის მეუღლეც მრუშობაში იმხილებოდა. შესაბამისად, სასულიერო პირმა, რომლის ცოლიც მისი ქიროტონიზაციის შემდგომ იქნა მრუშობაში შემჩნეული, მასთან ქორწინებითი კავშირი უნდა გაწყვიტოს, ან უარი თქვას მღვდელმსახურებაზე.

(მოც. 18; ტრულ. 3, 6, 13, 26; ნეოკეს. 8; ბასილი დიდის 27)

სავსებით მართებულია ამ კანონში ნეოკესარიის მე-8 კანონზე დაყრდნობა. ამ უკანასკნელის განმარტებაში ჩვენ სხვათა შორის ვისაუბრეთ მღვდლის ცოლის შესახებაც, რომელმაც თავის ქმარს უღალატა.

კანონი 22

ტრულის კრების 98-ე კანონი იმ პირს, ვინც სხვასთან დაწინდულზე იქორწინებს, გმობს, როგორც მეძავს,.

(ტრულ. 98; ანკვირ. 11; ბასილი დიდის 22, 69)

წინამდებარე კანონი იოანე მმარხველის კანონებში ჩართულია მათე ბლასტარის მიერ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. დაწინდვის მნიშვნელობის შესახებ, როგორც სხვასთან დაქორწინების შემაკავებელი მიზეზისა, ჩვენ საკმარისად ვისაუბრეთ ტრულის კრების 98-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 23

ტრულის კრების 72-ე კანონის თანახმად, ქორწინება მართლმადიდებელ მამაკაცსა და მწვალებელ დედაკაცს შორის და, პირიქით, ითვლება არამტკიცედ და იგი უნდა გაუქმდეს, როგრც უკანონო თანაცხოვრება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები მაინც გადაწყვეტენ ასეთ ქორწინებაში დარჩენას, ისინი წმინდა ზიარებიდან განყენებას დაიმსახურებენ.

(IV მსოფ. 14; ტრულ. 72; ლაოდ. 10, 11; კართ. 21)

ეს კანონიც მათე ბლასტარმა ჩართო წმინდა იოანე მმარხველის კანონებს შორის. ამ (23-ე) კანონში მოყვანილა ტრულის კრების 72-ე კანონის დასაწყისი ნაწილი, რომელიც კრძალავს ქორწინებას მართლმადიდებელსა და სხვა სარწმუნოების მქონე პირს შორის და განაწესებს, რომ ასეთი ქორწინება, თუ იგი უმეცრებით შედგა, უნდა გაუქმდეს. თუმცა, ტრულის მოხსენიებულ კანონში ასეთი ქორწინების, ეგრეთ წოდებული შერეული ქორწინების შესაძლებლობის პირობებზეც არის საუბარი — მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელ პირებს შორის. ამის შესახებ, ისევე, როგორც იმ ნორმის შესახებ, რომელიც დაცული უნდა იყოს შერეული ქორწინებების კურთხევისას, ჩვენ ვისაუბრეთ ტრულის კრების 72-ე კანონის განმარტებაში და ის ნორმა ამჟამადაც იურიდიული ძალის მქონეა.

კანონი 24

სისხლაღრევის ცოდვაში ჩავარდნილებს, ბასილი დიდი წმინდა ზიარებიდან თხუთმეტი წლით განაყენებს, — როდესაც ადგილი აქვს სიძვას საკუთარ დასთან. ჩვენ კი განვაწესებთ, რომ ასეთი პირი ზიარების ღირსიქმნეს სამწლიანი ეპიტიმიის შემდეგ, თუკი ყოველდღე იმარხულებს — იკმარებს რა საღამოობით მშრალ საჭმელს — და ხუთას მეტანიას შეასრულებს.

(ბასილი დიდის 67, 68, 75; გრიგოლ ნეოკესარიელის 11)

დადგენილება, რომელსაც წინამდებარე კანონი ეყრდნობა, არის ბასილი დიდის 67-ე კანონის განწესება, სადაც იგულისხმება ძმის მეძავეობა საკუთარ დასთან – დედმამიშვილთან, ვინაიდან სიძვის ცოდვა დასთან, რომელიც მხოლოდ დედით ან მხოლოდ მამით არის მისთვის დაჲ, ბასილი დიდის 75-ე კანონით უფრო ნაკლები ეპიტიმიით ისჯება, კერძოდ – თორმეტწლიანით. წმინდა იოანე მმარხველის წინამდებარე კანონში ეს განსხვავება არ არის გამოკვეთილი.

კანონი 25

ვინც თავის რძალთან ისიძვებს, ბასილი დიდის თანახმად თერთმეტი წლით განიკანონება წმინდა ზიარებიდან. ჩვენ კი, ასეთ პირს, მხოლოდ ორწლიან ეპიტიმიას ვუწესებთ, მაგრამ, ამასთან, ის ყოველდღიურად მშრალი საჭმელით უნდა დაკმაყოფილდეს, – მისი მეცხრე ჟამის შემდეგ მიღების პირობით, და ყოველდღე სამას-სამასი მეტანია შეასრულოს. თუ ამაში დაუდევრობას გამოიჩენს, მაშინ შეასრულოს ყოველივე ის, რაც მამებმა განაწესეს.

(მოც. 19; ტრულ. 26, 54; ნეოკეს. 2; ბასილი დიდის 23, 27, 67, 68, 75, 76, 78, 79, 87; ტიმოთე ალექსანდრიელის 11; თეოფილე ალექსანდრიელის 5)

წინამდებარე კანონში მოხსენიებული ბასილი დიდის კანონი – ეს არის 76-ე. თერთმეტწლიან ეპიტიმიას,* რომელსაც ბასილი დიდი განაწესებს საკუთარ რძალთან სიძვისათვის, იოანე მმარხველი ამცირებს ორ წლამდე – ყოველდღიური ხორციელი ღვაწლის პირობებში.

კანონი 26

იგივე ეპიტიმიებს ექვემდებარება ისიც, ვინც დარჩებოდა რა ქორწინებაში თავის ცოლთან, იმავდროულად, ვნებით იქნებოდა აღძრული სიდედრის მიმართ; ეს იმ კანონის თანახმად, რომელიც ამბობს, რომ ის, რაც თავიდან არის დაფუძნებული, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც შეურყევლი უნდა დარჩეს. თუმცა, წმინდა და ღვთაებრივი კრება ამჟამად განაწესებს, რომ ის, ვინც ასეთ დაწყევლილ ცოდვაში ჩავარდება, წმინდა ზიარებიდან უნდა განკანონდეს ექვსი წლის ვადით, ამასთან, უნდა დაემორჩილოს შემდეგ წესს: პირველი ექვსი თვის განმავლობაში სრულიად უნდა შეიკავოს თავი ხორციანი კერძისგან, მუდმივად ესწრებოდეს ეკლესიაში წმინდა შეკრებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიზეზი ავადმყოფობა ან რამე გადაუდებელი საქმეა; თანაც, უნდა დადგეს ეკლესიის შესასვლელს გარეთ და ცრემლით ევედროს ღმერთს ცოდვების მიტევება. ამ დროის განმავლობაში ის ვერ მიიღებს ანტიდორს, ვერ შესვამს ნაკურთხ წყალს, –

*ბასილი დიდის 75-ე და 76-ე კანონებში სასჯელის ვადად განწესებულია არა თერთმეტი წელი, არამედ – თორმეტი; იხ. შესაბამისი ადგ.

თუ ეს ღმრთისგანცხადების წინა პერიოდს დაემთხვევა, — შეუძლია მხოლოდ უბრალო პური მიიღოს მოკრძალებით წმინდა სამების სადიდებლად და როგორც საწინდარი, ღვთის კაცთმოყვარეობისა. ეკრძალება, ასევე, წმინდა ხატებზე მთხვევა, — შეუძლია მხოლოდ ხატის სადგამის ძირს ეამბოროს კეთილკრძალული შიშით. იმავდროულად, მთელი ამ ექვსი თვის განმავლობაში, ყოველდღე უნდა შეასრულოს ასი მეტანია შაბათისა და კვირის გარდა, ხოლო ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს მშრალი საჭმელი იკმაროს — თავი შეიკავოს თევზის, ღვინისა და ზეთისგან. ორი წლის განმავლობაში (პირველი ექვსი თვის შემდგომი), შეუძლია ეკლესიაში ლოცვაზე დადგეს მგალობლების უკან და მოისმინოს ღვთაებრივი საგალობლები. დანარჩენი სამ წელიწად-ნახევარი შეუძლია ეკლესიაში დადგეს ერთგულ მორწმუნეებთან ერთად და მათთან ილოცოს და, ამგვარად, ექვსწლიანი ეპიტიმიის ამოწურვის შემდეგ ეღირსება წმინდა ზიარების მიღებას. გარდა ამისა, შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა გაიღოს მოწყალება, განსაკუთრებით მარხვის დღეებში, ანუ ოთხშაბათსა და პარასკევს; კერძოდ, ღატაკებს უნდა დაურიგოს ყოველივე ის, რაც კანონებით შეეძლო მას ეჭამა, სასჯელის ქვეშ რომ არ აღმოჩენილიყო, და ასეთნაირად აღძრას ისინი მისთვის სალოცავად. შემდეგ, თუკი მატერიალური სახსრები აქვს, ყოველ კვირა დღეს უნდა გააგზავნოს ეკლესიაში ლიტურგიისათვის საჭირო ნივთები. ყველაფერ ამასთან ერთად, თავი შეიკავოს სიცრუისა და ფიცისგან, რაც ხშირად იწვევს ფიცის გატეხვას. მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში კი, შეუძლია მიიღოს წმინდა ზიარება, მაგრამ თუ გამოჯანმრთელდა, კვლავ სინანულის იმავე საფეხურს უნდა დაუბრუნდეს, რომელზეც ზიარებამდე იმყოფებოდა (რაც მას მხოლოდ უკიდურესი საჭიროების გამო მიეცა)* და ყოველმხრივ ეცადოს, როგორც შემუსვრილი გულით, ისე ცხელი ცრემლით განიბანოს სული მძიმე ცოდვისგან.

(ბასილი დიდის 87)

ესეც ერთ-ერთი იმ კანონთაგანია, რომელიც მათე ბლასტარმა შეიტანა იოანეს კანონიკონის სინოპსისში. იგივე სასჯელს, რომელსაც ბასილი დიდი განაწესებს რძალთან მრუშობისათვის (ბასილი დიდის 76-ე კან.), ბლასტარის აზრით, უნდა დაექვემდებაროს სიდედრთან მრუშობის ცოდვით დაცემულიც. თუმცა, აქვე მოიხსენიებს სინოდალურ განწესებასაც, რომელმაც ბასილი დიდის თორმეტწლიანი ეპიტიმია ექვს წლამდე შეამცირა, და ამბობს, რომ ეს განწესება ამჟამადაც, ანუ XIV საუკუნეშიც, არის ძალაშიო. აღნიშნული განწესება დამკიცებულ იქნა 1232 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანე II-ს დროს.

*სიკვდილის შემთხვევაში უკანასკნელი საგზლის გარეშე რომ არ დარჩენილიყო.

კანონი 27

იგივე კანონი მოქმედებს გრძნეულების, მრუშების, კაცისმკვლელებისა და ყველა სხვათა მიმართ, ვინც მძიმე ცოდვა ჩაიდინა; თუმცაღა, მათი გულმოდგინებისა და სინანულისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს.

წინამდებარე კანონით, რომელიც ბლასტარის მიერ არის შეტანილი იოანე მმარხველის კანონთა რიცხვში, კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანე II-ს დროინდელი სინოდალური განჩინების თანახმად, წმინდა ზიარებიდან ექვსწლიანი განყენება განეწესებათ: გრძნეულებს, მრუშებს და კაცისმკვლელებს. ბასილი დიდის განწესებების თანახმად, რომლებიც წმინდა იოანე მმარხველის კანონების მთავარი წყაროა, გრძნეულები წმინდა ზიარებიდან განიყენებიან ოცი წლით (65-ე კან), ხოლო ვისაც მათი სჯერა (მისნობის, მკითხაობის) – ექვსი წლით (83-ე კან.), მრუშები – თხუთმეტი წლით (58-ე კან.) და კაცისმკვლელები: უნებლიე მკვლელობისათვის – ათი წლით ((57-ე კან.), განზრახ მკვლელობისათვის – ოცი წლით (56-ე კან.). პირველთათვის მმარხველმა სასჯელი შეამცირა სამ წლამდე (მე-2 კან.), ასევე სხვებისთვისაც (მე-20 კან.), ხოლო განზრახ მკვლელებისათვის – ხუთ წლამდე, უნებლიე მკვლელებისათვის – სამ წლამდე (31-ე კან.). ყველა ამ ცოდვილისათვის ბლასტარს მოჰყავს ზემომოხსენიებული სინოდალური განწესება.

კანონი 28

წმინდა დიონისეს მე-2 და ტიმოთეს მე-7 კანონები დედაკაცისგან, რომელიც „განწმენდაში“ იმყოფება, მოითხოვენ, რომ არაფერს მიეახლოს, რაც წმინდაა. ამას ძველი კანონიც განაწესებს [ძველი აღთქმა]; გარდა ამისა, ეკრძალება მას ქმართან ხორციელი კავშირიც, რადგან ისე ხდება, რომ ის რაც ითესება, შემდგომში ხშირად გამოდის ავადმყოფური და სუსტი, რის გამოც, საღმრთო მოსე ქვებით ჩაქოლვას განუწესებს ასეთი მახინჯი ნაყოფის მშობელ მამას, რადგან იგი, ცოლის თავშეუკავებლობის მიზეზით, არ დაელოდა მის განწმენდას. განიწესება, რომ ორმოცი დღე უზიარებელი დარჩეს დედაკაცი, რომელიც გაკადნიერდება და კანონის აკრძალვის მიუხედავად საღმრთო საიდუმლოს მიეახლება.

(ლაოდ. 44; დიონისე ალექსანდრიელის 2; ტიმოთე ალექსანდრიელის 6, 7)

არც წმინდა დიონისე ალექსანდრიელს და არც ტიმოთე ალექსანდრიელს, თავიანთ კანონებში, რომლებსაც ეყრდნობა წინამდებარე (28-ე) კანონი, არ განუსაზღვრიათ სასჯელი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა „დედათა წესის“ დროს ეკლესიაში სიწმინდეებს მიახლებული დედაკაცი. აკეთებს რა ამ კანონებზე დამატებას, წმინდა იოანე მმარხველი განაწესებს, რომ დედაკაცი, რომლიც ამ კანონს უგულებელყოფს, წმინდა ზიარებიდან უნდა განიყენოს ორმოცდღიანი ვადით.

კანონი 29

ის, ვინც მამაკაცთან სამარცხვინო კავშირს დაამყარებს, გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონის თანახმად, თვრამეტი წლით განიყენება წმინდა ზიარებიდან, ბასილი დიდის თანახმად კი – თხუთმეტი წლით. ხოლო ჩვენ განვაწესებთ, რომ უზიარებელი დარჩეს იგი სამი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ გულშემუსვრილი ილოცებს და იმარხულებს, საღამოობით კი მშრალი საკვებით დაკმაყოფილდება და ყოველდღიურად ორას მეტანიას შეასრულებს. თუ ამაში გულმოდგინებას არ გამოიჩენს, მაშინ თხუთმეწლიანი ეპიტიმია შეეფარდოს.

(ბასილი დიდის 7, 62; გრიგოლ ნოსელის 4)

იხ. ამ წმინდა მამის მე-11 კანონის განმარტება.

კანონი 30

ვინც ბავშვობაში ვინმეს მიერ შეიბილწა, მას არ შეუძლია სამღვდელო წოდება მიიღოს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც არასრულწლოვანს, არ შეუცოდავს, მაინც, მისი სხეული შეიბილწა და გამოუსადეგარი გახდა სამღვდელო მსახურებისათვის. ხოლო თუ მას, როგორც ბავშვს, უწმინდურება მიადგა თეძოებში, მაშინ, შესაბამისი ეპიტიმიის შემდეგ, არ შეიძლება მისთვის სასულიერო დასში შესვლაზე უარის თქმა.

(გრიგოლ ნოსელის 4)

წინამდებარე კანონში საუბარია ბავშვთა გახრწნაზე. კანონიდან ჩანს, რომ ეს ხდებოდა სხვადასხვა უსირცხვილო მეთოდებით, რომელთა შესახებაც ჩვენ არც კი ვილაპარაკებთ. კანონი განაწესებს, რომ ვიღაც მეძავის მიერ ბავშვობაში შებილწული პირი, არ შეიძლება სამღვდელო დასში მიღებულ იქნეს. გამონაკლისი კეთდება იმ პირთათვის, რომლებსაც ბავშვობაში უწმინდურება მიაყენეს თეძოებში (в детстве нечистота учинена была в бедра). მსგავსი შემთხვევისათვის კანონი განაწესებს, რომ შებილწული პირი უნდა დაექვემდებაროს შესაბამის ეპიტიმიას, თუმცა ჩვენ არ გვესმის, რაშია დამნაშავე პირი, რომელიც ვიღაც წამხდარმა ბავშვობაში შებილწა.

კანონი 31

ძველი კანონი [ძველი აღთქმა] განაწესებს, რომ კაცისმკვლელი სიკვდილით უნდა დაისაჯოს; ხოლო ბასილი დიდი, თავისი 56-ე კანონით, ასეთ პირს ოცი წლით განაყენებს წმინდა ზიარებიდან ნებისმიერი განზრახ, და ათი წლით ნებისმიერი წინასწარგანზრახველი მკვლელობისათვის. ჩვენ წმინდა ზიარებიდან განვაყენებთ განზრახ მკვლელობისათვის ხუთი წლით, ხოლო უნებლიე მკვლელობისათვის – სამი წლით, მაგრამ იმ პირობით, რომ ის, ვინც საკუთარი ხელით მოკლა ადამიანი, ყოველდღე საღამომდე იმარხ-

ულებს, საღამოობით კი მშრალ საკვებს დასჯერდება და, თანაც, სამას მეტანიას შეასრულებს. თუ ამაში უდიერებას გამოიჩენს, მაშინ, დაე, მამების განწესება აღასრულოს. ანკვირიის კრების 22-ე კანონში ნათქვამია, რომ ერთ-ერთი ძველი განწესების თანახმად, წმინდა ზიარებიდან შვიდი წლით უნდა განკანონდნენ ის პირები, რომლებიც უნებლიე მკვლელობას ჩაიდენენ, სხვა განწესების თანახმად – ხუთი წლით.

(მოკ. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 21, 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 56, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

დაწყებული ამ 31-ე კანონიდან და 48-ე კანონის ჩათვლით, როგორც იოანე მმარხველის კანონიკონის ბლასტარისეულ სინოპსისშია ნათქვამი, განხილულია მოყვასის სიყვარულის საწინააღმდეგო ცოდვები.

წინამდებარე (31-ე) კანონში საუბარია კაცისმკვლელებზე, თანაც, მოიხსენიებს რა წინანდელ კანონიკურ განწესებებს ამ დამნაშავეთა წინააღმდეგ, იოანე მმარხველი უმცირებს მათ ეპიტიმიის ვადებს: ხუთ წლამდე განზრახ მკვლელობისათვის და სამ წლამდე – უნებლიე მკვლელობისათვის, თუმცა, ჩვეულებრივ, უნიშნავს ყოველდღიურ მძიმე ხორციელ ღვაწლსაც. ათენის სინტაგმაში აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: „ჩვენ კი ვუკრძალავთ ზიარებას სამი წლით“. ვინაიდან ამ ტექსტიდან გაუგებარია, იოანე მმარხველის თანახმად ვინ ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას – უნებლიე თუ განზრახ მკვლელი, მაშინ, როდესაც მას სწორედ ამისთვის უნდოდა გამოეცა ეს განწესება, ამიტომ ჩვენ მოცემული ტექსტი შევავსეთ „პიდალიონიდან“, სადაც ნათქვამია: „ხუთი წლით განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო უნებლიე მკვლელობისათვის – სამი წლით“, და ჩვენს თარგმანში ეს დამატება ფრჩხილებში ჩავსვით.

კანონი 32

ბასილი დიდი თავისი მე-13 კანონით სამი წლით უკრძალავს წმინდა ზიარებას იმ პირებს, რომლებიც ომში კლავდნენ, ხოლო 55-ე კანონით იმათაც, რომლებმაც თავდაცვის მიზნით მოკლეს თავდამსხმელი ყაჩაღები; კლირიკოსებს, მსგავსი დანაშაულებებისათვის, განკვეთით სჯის.

(ანკვირ. 22, 23; ათანასე დიდის 1; ბასილი დიდის 8, 43, 55; გრიგოლ ნოსელის 5)

წინამდებარე კანონის ავტორი, იზიარებს ბასილი დიდის შეხედულებებს, რომლებიც გამოხატულია აღნიშნული კანონების განწესებებში. მაშინ, როდესაც ბასილი დიდის ამ კანონების შუასაუკუნეების კომენტატორები შენიშნავენ, რომ ისინი ძნელად გამოსაყენებელია პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც ჩვენ აღვნიშნეთ კიდეც მათ განმარტებებში.

კანონი 33

დედაკაცს, რომელიც განზრახ კლავს ნაყოფს თავის მუცელში, და აძლევს ან იღებს საწამლავს ჩანასახის მოსაწამლავად და მუცლის მოსაშლელად, ბასილი დიდი, თავისი მე-2 და მე-8 კანონებით, ისეთივე სასჯელს უფარდებს, როგორსაც კაცისმკვლელებს. ჩვენ კი ვადგენთ, რომ ასეთებს განეწესოთ ხუთწლიანი ან სამწლიანი ეპიტიმიები.

(მოკ. 65; ტრულ. 91; ანკვირ. 22, 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 56, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

ჩვენ გადამეტებულად მიგვაჩნია იოანე მმარხველის მიერ გამოჩენილი ლმობიერება ისეთ საშინელ ცოდვილთა მიმართ, როგორებიც არიან თავიანთ მუცელში ნაყოფის განზრახ მომაკვდინებელი დედაკაცები. ვგონებთ, მსგავს შემთხვევებში მკაცრად უნდა იქნეს გამოყენებული ბასილი დიდის მოხსენიებული კანონების განწესებანი. ამის ახსნას ემსახურება ჩვენ მიერ ბასილი დიდის მე-2 კანონის განმარტებაში ნათქვამი.

კანონი 34

ვისაც უნებლიედ მოეშლება მუცელი, ერთწლიან ეპიტიმიას ექვემდებარება.

(ანკვირ. 23; ბასილი დიდის 2, 8, 11, 43, 54, 57; გრიგოლ ნოსელის 5)

კანონი 35

დედა, რომელიც ძილში თავის შვილს მოგუდავს, წმინდა ზიარებაზე დაიშვება მხოლოდ სამი წლის შემდეგ, თუკი, ამასთან, თავს შეიკავებს გარკვეულ დღეებში ხორცისა და ყველის მიღებისაგან, და გულმოდგინედ გამოიღებს სინანულის სხვა ნაყოფსაც. თუ ეს მოხდა მშობლის დაუდევრობითა და უგულისყურობით, მაშინ ისჯება როგორც განზრახ მკვლელობა, ხოლო თუ უნებლიედ, შემთხვევით, მაშინ შეიძლება პატიებაც მიიღოს, მაგრამ მაინც საჭიროა შესაბამისი ეპიტიმია, რამეთუ მოხდა სხვა ცოდვების მიზეზით.

(ბასილი დიდის 8; გრიგოლ ნოსელის 5)

კანონი 36

დედა, რომელმაც უყურადღებობა გამოიჩინა ახლდაბადებული ჩვილის მიმართ, რის შედეგადაც ის მოკვდა, სასჯელს იმსახურებს განზრახ მკვლელობისათვის.

(ბასილი დიდის 33, 52)

კანონი 37

თუ მშობლების დაუდევრობით ჩვილი მოუნათლავი გარდაიცვლება, მაშინ ისინი წმინდა ზიარებიდან განიყენებიან სამი წლის ვადით; ამ დროის განმავლობაში უნდა დასჯერდნენ მშრალ საკვებს და ლმობიერჰყონ ღმერთი მეტანიებით, ტირილითა და შეძლებისდაგვარი მოწყალებით. თუ დაბადებიდან შვიდი დღის ჩვილი მოუნათლავი გარდაიცვლება, მაშინ მშობლები წმინდა ზიარებას მოაკლდებიან ორმოც დღემდე, ამასთან, ამ ხნის განმავლობაში უნდა შემოიფარგლონ მშრალი კვებით და ყოველდღე ორმოცი მეტანია შეასრულონ.

(კართ. 72)

წინამდებარე კანონი სასჯელს განუწესებს იმ მშობლებს, რომლებმაც თავიანთი დაუდევრობით დაუშვეს, რომ შვილი მოუნათლავი გარდაცვლილიყო. სხვათა შორის, ეს კანონი იმითაც არის გამართლებული, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაც, – როგორც ძველი, ისე ახალი, – სჯის იმ პირებს, რომლებმაც შვილების ნათელმიუღებლად გარდაცვალება დაუშვეს. სასჯელს იმსახურებს, ასევე, მღვდელიც – თუ ეს მისი დაუდევრობით მოხდა. კართაგენის კრების 72-ე კანონით ბავშვის მონათვლა განიწესება ყოველთვის, როდესაც არის იმის ეჭვი, რომ იგი შეიძლება მონათლული არ იყოს. პედობაპტიზმის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ I მსოფლიო კრების მე-14 და ტრულის კრების 53-ე კანონების განმარტებებში.

კანონი 38

მონოზონი (დედაო), რომელიც სხვა პირთა მეშვეობით შეიტყობს მომხდარი მრუშობის ან ბავშვის გახრწნის შეხახებ და საქმის ვითარებას არ აცნობებს მონასტრის წინამძვარს, ბასილი დიდის 71-ე კანონის თანახმად იგივე ეპიტიმიას ექვემდებარება, რასაც დაიმსახურებადა მას პირადად რომ ჩაედინა აღნიშნული დანაშაული.

(ბასილი დიდის 71)

წინამდებარე კანონის ტექსტიდან მკაფიოდ არ ჩანს, თუ ვინ წარმოადგენს მრუშობისა და ბავშთა გახრწნის სუბიექტს,რაზედაც ეს კანონი ლაპარაკობს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მონოზონმა, რომელიც ამ ამბავს გაიგებს, იღუმენიას უნდა შეატყობინოს, მაშინ დანაშაულის სუბიექტს სხვა მონოზონი წარმოადგენს, და ასეთ შემთხვევაში მრუშობა არ უნდა გავიგოთ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ასეთი სახის (მრუშობის) დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ქორწინების კავშირით შეკრულ პირს შეუძლია, რაც არ შეიძლება მონოზონს მიესადაგოს. თუკი ვივარაუდებთ, რომ მონოზონი დაეცა ვინმესთან სიძვის ცოდვით, ასეთ შემთხვევასი მრუშობა შეიძლება მხოლოდ ფიგურალურად მოიაზრებოდეს, ანუ, მან უღალატა თავის სულიერ სიძეს – იესო ქრისტეს, რომელსაც საკუთარი ქალწულობა მიუძღვნა. ამით აიხსნება კანონის აზრი, რამეთუ, ვიღებთ რა მხედველობაში, ვინ და ვის უნდა შეატყობინოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ძნელად სავარაუდოა,

რომ დანაშაულის სუბიექტი იყოს საერო პირი და არა – მონოზონი. მონოზონის ბრალი, რომელმაც იცოდა დანაშაულის შესახებ და არ შეატყობინა, იმაში მდგომარეობს, რომ მან დაფარა დანაშაული, ეს კი უკვე სასჯელს იმსახურებს და როგორც ვიცით, დანაშაულის მფარველები ისევე ისჯებიან, როგორც თვით დანაშაულის ჩამდენნი. ამ თვალსაზრისით შეიძლება, ერთგვარად, გამართლებული იყოს იოანე მმარხველის მიერ ბასილი დიდის 71-ე კანონის დამოწმება, თუმცაღა, წმინდა ბასილის აღნიშნული კანონი საგანგებოდ არ საუბრობს დანაშაულის მფარველობაზე, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობაზე; იოანე მმარხველის ეს (38-ე) კანონი კი დანაშაულში უშუალო მონაწილეობაზე არაფერს ამბობს.

კანონი 39

კანონით, მკვლელი ტოლფასად ისჯება ყველა .ის დედაკაცი, რომელიც ჩვილს ეკლესიის კარიბჭესთან მიაგდებს, თუნდაც შემდგომში ის ვინმემ აიყვანოს და გაზარდოს.

(ბასილი დიდის 33, 52)

ბასილი დიდის 33-ე კანონი, ისევე, როგორც 52-ე, ერთნაირ სასჯელს (როგორც მკვლელობისათვის) განუსაზღვრავს დედაკაცს, რომელიც გზაში იმშობიარებს და ახალშობილ შვილს იქვე მიატოვებს – ბედის ანაბარა მიაგდებს. ზოგიერთი ქალები ფიქრობდნენ, რომ ღვთის წინაშე ნაკლებად შესცოდავდნენ, თუ ახალშობილს ტაძრის შესასვლელთან დატოვებდნენ იმ იმედით, რომ ვინმე გულმოწყალეობას გამოიჩენდა და მას ტაძარში შეიყვანდა, სადაც სულიერად მაინც აღიზრდებოდა. იოანე მმარხველი არ იწყნარებს თავის გამართლების ამ მიზეზს და ასეთ დედებს, მათი დანაშაულის გამჟღავნებისას, განუწესებს განზრახ მკვლელობისათვის დაწესებულ სასჯელს.

კანონი 40

ყაჩაღები იგივე სასჯელს იმსახურებენ, როგორსაც კაცისმკვლელები, რადგან თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანისას, ხშირად მკვლელობებსაც მიმართავენ.

(ანკვირ. 22, 23; ათანასე დიდის 1; ბასილი დიდის 8, 13, 43, 55)

კანონი 41

ვინც ნებაყოფლობით აღიარებს და მოინანიებს ქურდობას, ბასილი დიდის 61-ე კანონის თანახმად ერთი წლით განიყენება წმინდა ზიარებიდან, ხოლო თუ სხვისგან იმხილება – ორი წლით. ჩვენ კი განვაყენებთ ორმოცი დღით იმას, ვინც თავად მოინანიებს, და ექვსი თვით – ვისაც სხვა ამხელს ქურდობაში. ამასთან, მხოლოდ მშრალი საკვები მიიღოს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღე ასი მეტანია ჰყოს.

(ბასილი დიდის 61; გრიგოლ ნეოკესარიელის 3, 4, 5; გრიგოლ ნოსელის 6)

კანონი 42

ვინც საზოგადოებრივი ქონების ხელყოფაში იმხილება, რასაც არსებითად ქურდობა ჰქვია, მას აღარ აქვს უფლება სამღვდელო დასში გაწევრიანდეს. ხოლო თუ ქურდობაში შემჩნეული იქნება მღვდლის ხარისხის მიღების შემდეგ, მაშინ კარგავს მას მოციქულთა 25-ე კანონის საფუძველზე.

(მოც. 25, 72, 73; ორგზ. 10; გრიგოლ ნოსელის 6, 8)

საზოგადოებრივი ქონების ქურდობაში უნდა ვიგულისხმოთ იმის მოპარვა, რაც ეკლესიასა და საქველმოქმედო დაწესებულებებს ეკუთვნით, და რასაც მკრეხელობა ეწოდება. ვინც ჯერ კიდევ ერისკაცობაში ჩაიდენს მსგავს დანაშაულს, სასულიერო პირი ველარასოდეს გახდება, ხოლო თუ ამას სასულიერო პირი ჩაიდენს, მაშინ იგი თავისი წოდებიდან განიკვეთება. წინამდებარე კანონის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია მიმოვიხილოთ მოციქულთა 25-ე, 72-ე და 73-ე კანონების განმარტებები, ხოლო წმინდა ნივთებთან დაკავშირებით, კერძოდ, ორგზისის მე-10 კანონის განმარტება, სადაც ნაჩვენებია განსხვავება წმინდა საკურთხევლის კუთვნილ ნივთებსა და საკურთხევლის გარეთ გამოსაყენებელ ნივთებს შორის, და მითითებულია შესაბამისი სასჯელი, როგორც ამ, ისე სხვა წმინდა და ნაკურთხი ნივთების ქურდობისათვის.

კანონი 43

ბასილი დიდის 66-ე კანონით განიწესება, რომ ვინც საფლავს გათხრის გაძარცვის მიზნით, ათი წლით კარგავს წმინდა ზიარების მიღების უფლებას. ჩვენ კი ასეთ პირს განვაყენებთ ერთი წლით, ამასთან, ის უნდა დასჯერდეს მშრალ საკვებს მეცხრე ჟამის შემდგომ და ყოველდღიურად ორასი მეტანია შეასრულოს.

(ბასილი დიდის 60; გრიგოლ ნოსელის 7)

აქაც გადაჭარბებულ ლმობიერებად უნდა მივიჩნიოთ წმინდა იოანე მმარხველის დამოკიდებულება იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც საფლავებს თხრიან და ძარცვავენ. ამიტომ ვთვლით წმინდა ზიარებიდან ათწლიან განყენებას — რასაც განაწესებენ ბასილი დიდი თავისი 66-ე და გრიგოლ ნოსელი თავისი მე-7 კანონებით — სავსებით სამართლიანად. წმინდა ზიარებიდან ერთწლიანი განყენება, რასაც წინამდებარე (43-ე) კანონი მოითხოვს, თუნდაც რომ მას უფრო მძიმე ფიზიკური ღვაწლი ახლდეს, ვიდრე ამას იოანე მმარხველი აწესებს, მაინც, ასეთი სასჯელი, ჩვენი აზრით, ზედმეტად ლმობიერია, თუკი მხედველობაში მივიღებთ დანაშაულის მთელ სიმძიმეს და დამნაშავის ზნეობრივ გარყვნილებას, რომელიც მკვდრებსაც კი შეურაცხყოფს.

კანონი 44

მკრეხელობა, გრიგოლ ნოსელის თანახმად, ისჯება ნაკლები ეპიტიმიით, ვიდრე მრუშობა; ზოგადად კი სამი წლით ისჯება.

(მოც. 25, 38, 72, 73; ანტიოქ. 25; ორგზ. 10; გრიგოლ ნოსელის 8; კირილე ალექსანდრიელის 2)

კანონი 45

ბასილი დიდის 82-ე კანონი განაწესებს, რომ პირი, რომელიც იძულებული გახდება ფიცი გატეხოს, წმინდა ზიარებას აკლდება სამი წლის ვადით, ხოლო ვინც გარედან ძალდატანების გარეშე დაარღვია ფიცი, წმინდა ზიარებას უნდა მოაკლდეს ათი წლით. ჩვენ კი ვგონებთ, რომ ისინი ერთი წლით უნდა განკანონდნენ, ამ ხნის განმავლობაში მიიღონ მხოლოდ მშრალი საჭმელი მეცხრე ჟამის შემდეგ და შეასრულონ ყოველდღიურად ორას ორმოცდაათი მეტანია.

(მოც. 25; ტრულ. 94; ბასილი დიდის 10, 17, 29, 64, 82)

ეს კანონი არ შეესაბამება ბასილი დიდის 82-ე კანონის განწესებას, რომელიც აქ მოიხსენიება. ვინაიდან ამ უკანსკნელში იმას, ვინც ფიცს დაარღვევს ვინმესგან იძულებული ანუ ძალადობის შედეგად, სასჯელად განეწესება ექვსწლიანი განყენება, ხოლო ვინც თავისი ნებით გააკეთებს ამას — თერთმეტწლიანი. იოანე მმარხველის წინამდებარე (45-ე) კანონში კი საქმე სხვაგვარად არის წარმოდგენილი: არ არის ნაჩვენები განსხვავება დანაშაულებს შორის, როდესაც, ერთი მხრივ, ის არის ჩადენილი გარეგანი ძალდატანებით და, მეორე მხრივ, ძალდაუტანებლად — საკუთარი ნებით. ორივე შემთხვევისათვის ერთნაირი სასჯელია განწესებული: ერთწლიანი განყენება და მძიმე ფიზიკური ღვაწლი, რაც ეპიტიმიის თანამდევია, ჩვეულებრივ, იოანე მმარხველის კანონების განწესებებში.

კანონი 46

არც საერო დედაკაცი, არც მონოზონი ეკლესიის ერთობიდან არ განიყენებიან, არამედ მხოლოდ — წმინდა ზიარებიდან, რა ცოდვაც არ უნდა ჰქონდეთ ჩადენილი, რამეთუ კანონი ამბობს, ასე იმიტომ ვმოქმედებთ, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბევრი შერცხვენილი დედაკაცი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს. ზუსტად ასევე, არც მღვდელი, არც დიაკონი, კანონის თანახმად: „არ შურ იგო ორ გზის ერთბამად ჭირსა შინა“ (ნაუმ. 1, 9).

(მოც. 25; ბასილი დიდის 34)

კანონი 47

თუ უწმინდური რამ ჩავარდება ჭაში, ან ზეთში, ან ღვინოში, და ვინმე შესვამს, მაშინ ასეთმა პირმა სამი დღის განმავლობაში თავი შეიკავოს ხორცისა და ყველისგან, და შვიდი დღის განმავლობაში არ ეზიაროს.

(მოც. 63: ტრულ. 67; ლაგ. 2)

კანონი 48

თუ ვინმეს წმინდა ზიარების შემდეგ პირღებინება დაემართება, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, მას ორმოცი დღით ეკრძალება ზიარების მიღება. ამასთან, ყოველდღე უნდა იკითხოს 50-ე ფსალმუნი და ჰყოს ორმოცი მეტანია. და თუნდაც მან იცოდეს, რომ ამაში დამნაშავე არ არის, მაინც უნდა დაექვემდებაროს სასჯელს მისი სხვა შემთხვევითი ცოდვების გამო.

„პიდალიონში" წმინდა იოანე მმარხველის სახელით გვხვდება კიდევ ქვემოთ მოყვანილი კანონები, რომლებიც მოგვყავს იმავე რიგითობით. ჩვენ მათ ვტოვებთ განსაკუთრებული განმარტებების გარეშე, რადგან მათში მოხსენიებული დანაშაულებების შესახებ, უკვე ვისაუბრეთ წმინდა მსოფლიო კრებებისა და წმინდა მამების სხვადასხვა კანონების განმარტებებში.

კანონი 49

ვინც თავის დედინაცვალთან ისიძვებს, ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; თანაც ასეთმა პირმა ყოველდღიურად უნდა იმარხულოს, დასჯერდეს საღამოობით მშრალ საჭმელს და შეასრულოს ხუთას-ხუთასი მეტანია.

კანონი 50

ვინც ისიძვებს დედა-შვილთან, ექვემდებარება ოთხწლიან ეპიტიმიას, თანაც უნდა დასჯერდეს მეცხრე ჟამის შემდეგ მშრალ საჭმელს და ყოველდღიურად შეასრულოს სამასი მეტანია.

კანონი 51

ვინც ისიძვებს ორ ძმასთან, ექვემდებარება იგივე ეპიტიმიას.

კანონი 52

ვინც თავის სიძესთან ისიძვებს, ექვემდებარება ოთწლიან ეპიტიმიას, თანაც, უნდა დასჯერდეს მეცხრე ჟამის შემდეგ მშრალ საჭმელს და ყოველდღიურად შეასრულოს ორასი მეტანია.

კანონი 53

ვინც თავის ძმასთან ისიძვებს, ექვემდებარება რვაწლიან ეპიტიმიას, ამასთან, უნდა დასჯერდეს მეცხრე ჟამის შემდეგ მშრალ საჭმელს და ყოველდღიურად შეასრულოს ოთხასი მეტანია.

კანონი 54

თუ უფროსი ძმა უმცროსთან ისიძვებს, უკანასკნელი კი ამას არ იზამს, მაშინ უფროსი ძმა ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას, თანაც, უნდა დასჯერდეს მეცხრე ჟამის შემდეგ მშრალ საჭმელს და ყოველდღიურად შეასრულოს ასი მეტანია.

კანონი 55

თუ ვინმე ისიძვებს თავის ასულთან მხოლოდ ერთხელ, ექვემდებარება ხუთწლიან ეპიტიმიას, ხოლო მრავალგზის შემთხვევაში – ექვს-შვიდწლიანს; უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და შეასრულოს ყოველდღიურად ხუთასი მეტანია.

კანონი 56

თუ ვინმე ისიძვებს თავის დედასთან მხოლოდ ერთხელ, ექვემდებარება შვიდწლიან ეპიტიმიას, ხოლო თუ მრავალგზის – თორმეტწლიანს; ამასთან, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და შეასრულოს ყოველდღიურად ხუთასი მეტანია.

კანონი 57

ვინც ისიძვებს თავის მონათლულთან (ქალთან) მხოლოდ ერთხელ, ექვემ-დებარება რვაწლიან ეპიტიმიას, ხოლო თუ მრავალჯერ, მაშინ – ათწლიანს; თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს ხუთასი მეტანია.

კანონი 58

ვინც ისიძვებს თავისი ნათლულის დედასთან, ექვემდებარება რვაწლიან ეპიტიმიას, თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემ-დეგ და ყოველდღიურად შეასრულოს სამასი მეტანია.

კანონი 59

ვისაც ჰყავს ცოლი და, ამასთან, მრავალჯერ დაუშვებს „საზიზღრობას“ პირუტყვთან, ექვემდებარება რვაწლიან ეპიტიმიას; თუკი ცოლი არ ჰყავს და აღნიშნულ „საზიზღრობას“ დაუშვებს ერთხელ ან ორჯერ, ან ყველაზე ბევრი – სამჯერ, ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს სამასი მეტანია. იგივე სასჯელს, იგივე დანაშაულისათვის, ექვემდებარება ცოლიც.

კანონი 60

ვინც თავის ძმისწულთან (ან დისწულთან) ისიძვებს, ექვემდებარება ორწლიან ეპიტიმიას, თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და შეასრულოს ყოველდღიურად ხუთასი მეტანია.

კანონი 61

ვისაც კანონიერი ცოლი ჰყავს და, ამასთან, ისიძვებს წარმართთან, ან ებრაელთან, ან თურქთან (მუსულმანთან), ანდა მწვალებელთან, ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს ორასი მეტანია. მსგავს სასჯელს დაექვემდებარება ცოლიც, რომელსაც კანონიერი ქმარი ჰყავს – თუ ისიძვებს ებრაელთან, ან თურქთან, ან მწვალებელთან, ან ლათინთან, ანდა სომეხთან. თუკი ქმარი, რომელსაც ცოლი ჰყავს, და ცოლი, რომელსაც კანონიერი ქმარი ჰყავს, ისიძვებენ რომელიმე წარმართთან ან მწვალებელთან, მაშინ დაექვემდებარებიან ეპიტიმიებს ოთხი ან ხუთი წლით, და უნდა დასჯერდნენ მეცხრე ჟამის შემდეგ მშრალ საჭმელს და ყოველდღიურად შეასრულონ ორას ორმოცდაათი მეტანია.

კანონი 62

თუ მღვდლის ან დიაკვნის ცოლი იმრუშებს, დაექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს სამასი მეტანია. ეს ცოლები უფრო მძიმე სასჯელს ექვემდებარებიან, ვიდრე სხვა მრუშები, იმიტომ, რომ დამნაშავენი არიან თავიანთი ქმრების სულიერი სიკვდილისა, რომლებმაც მათი მრუშობს გამო შეიძლება დაკარგონ მღვდლობის ხარისხი, და დაკარგავენ კიდეც, თუკი მოინდომებენ გააგრძელონ ერთად ცხოვრება თავიანთ მემრუშე ცოლებთან. ხოლო თუ სურთ მღვდლობა შეინარჩუნონ, მაშინ დაუყოვნებლივ, როგორც კი მრუშობა მოხდება, უნდა შეწყვიტონ მათთან ქორწინებითი კავშირი – ნეოკესარიის კრების მე-8 კანონის შესაბამისად.

კანონი 63

ქალი, რომელიც ორ ძმასთან ისიძვებს, ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; ამასთანავე, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს ორასი მეტანია.

კანონი 64

ქალი, რომელიც საჭურისთან ისიძვებს, ექვემდებარება სამწლიან ეპიტიმიას; თანაც, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს სამასი მეტანია.

კანონი 65

ვინც არაბუნებრივი სახით შეეყოფა თავის ცოლს, ექვემდებარება რვაწლიან ეპიტიმიას, ამასთან, უნდა დასჯერდეს მშრალ საჭმელს მეცხრე ჟამის შემდეგ და ყოველდღიურად შეასრულოს ორასი მეტანია.

✠

კანონები წმინდისა ნიკიფორე აღმსარებელისა

კანონი 1

თუ ვინმე უმეცრებით გარეცხავს ოდიკს, ამის შედეგად ის არ კარგავს კურთხევას და არ ხდება უწმინდური.
(მოც. 73; VII მსოფ. 7)

წინამდებარე და შემდგომი 37 კანონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. 287 გვ.) შედგენილია სხვადასხვა საეკლესიო განწესებებიდან, რომლებიც გამოსცა პატრიარქმა ნიკიფორემ თავად ან კრებითად.

წმინდა ოდიკის მნიშვნელობის შესახებ, ჩვენ ვისაუბრეთ ტრულის კრების 31-ე კანონის განმარტებაში. წინამდებარე კანონი კი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ვინმე, უმეცრებით, გარეცხავს მას, და შენიშნავს, რომ ის ამით თავის სიწმინდეს არ კარგავს, და ამიტომაც არ საჭიროებს ხელმეორედ კურთხევას, მსგავსად იმისა, როგორც არ იკურთხება თავიდან არც წმინდა ბარძიმი, არც სხვა რამ წმინდა ჭურჭელი, თუკი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად საჭირო გახდება მისი გასუფთავება.

კანონი 2

მეორედ დაქორწინებული არ გვირგვინდება; იგი ორი წლით განიყენება ყოვლადწმინდა საიდუმლოსგან, მესამედ დაქორწინებული კი — ხუთი წლით.
(მოც. 7; ტრულ. 3; ანკვირ. 19; ნეოკეს. 3, 7; ლაოდ. 1; ბასილი დიდის 4, 12)

კანონის დასაწყისი სიტყვები ნიშნავს, რომ ის, ვინც მეორედ ქორწინდება, გვირგვინით არ იმკობა, თავზე მას გვირგვინს არ ადგამენ. ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს, მთავარი მომენტი არის ის, როდესაც მღვდელი აკურთხებს რა ახალდაქორწინებულებს, ამბობს: „უფალო, ღმერთო ჩვენო, დიდებითა და პატივით დააგვირგვინე ესენი“. ამ სიტყვებს მღვდელი წარმოთქვამს მაშინვე, მას შემდეგ, რაც გვირგვინებს დაადგამს სასიძოსა და სასძლოს. ასე რომ, საიდუმლო, არსებითად, მაშინ აღსრულებულია. აქედან გამომდინარე, თვით საიდუმლოსაც ეწოდება -გვირგვინის კურთხევა“ („დაგვირგვინოსნება“, **венчание**). ამიტომ სიტყვები: „მეორედ დაქორწინებული არ გვირგვინდება“, ნიშნავს, რომ ის, ვისაც მეორედ დაქორწინების სურვილი აქვს, ვერ მიიღებს საეკლესიო კურთხევას. სხვა სიტყვებით: მასზე არ შეიძლება აღსრულდეს საეკლესიო წესი — „გვირგვინის კურთხევა“. შესაბამისად, წინამდებარე კანონის აზრის თანხმად, ეკლესია არ აკურთხებს მეორედ ქორწინებას და მას შეუწყნარებლად მიიჩნევს. სამოქალაქო სელისუფლება კი აღიარებდა ასეთი ქორწინების კანონიერებას, რითაც ბევრი ქრისტიანი სარგებლობდა და მეორედ ქორწინდებოდა. ეკლესია ამას არ აპროტესტებდა, მაგრამ ასეთ პირებს ადებდა ეპიტიმიას — განაყენებდა მათ წმინდა ზიარებიდან ერთი ან ორი წლით (იხ. ბასილი დიდის მე-4 კან.), რასაც წინამდებარე კანონში

იმეორებს წმინდა პატრიარქი ნიკიფორე; და თუ ის ასეთ ეპიტიმიებს უქვემდებარებს მეორედ დაქორწინებულებს, მაშინ რაოდენ მეტად უნდა დაესაჯა მას მესამედ დაქორწინებულები? სწორედ ამის გამო განაწესებს, რომ ასეთები უნდა დაექვემდებარონ ხუთწლიან განყენებას.

წინამდებარე კანონის განწესების გასაცნობიერებლად, – რომლის თანახმადაც მხოლოდ პირველი ქორწინება იმსახურებს საეკლესიო კურთხევასა და გვირგვინით შემკობას, და არა მეორე და კიდევ უფრო ნაკლებად – მესამე ქორწინება, – უნდა გავითვალისწინოთ პირველი საუკუნეების ეკლესიის მსჯელობა მეორედ ქორწინების შესახებ, რაზეც ჩვენ საუბარი გვქონდა ლაოდიკიის კრების I კანონის განმარტებაში. მეორედ ქორწინებაზე ასეთ მსჯელობას, როგორც ჩანს, აღმოსავლურ ეკლესიაში საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა IX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პატრიარქი ნიკიფორე. ის ძალაში რჩებოდა აგრეთვე X საუკუნეშიც, როგორც ეს კონსტანტინოპოლის პატრიარქ სისინიოს II-ს (995-998) „მეორედ დაქორწინებულების შესახებ კრებითი დადგენილებიდან“ ჩანს, სადაც გამეორებულია ნიკიფორეს წინამდებარე კანონი. მხოლოდ შემდგომში, კერძოდ, XI ან XII საუკუნის დასაწყისში შეიცვალა ეკლესიის ასეთი დამოკიდებულება მეორედ ქორწინების შესახებ, როგორც ამას ვხედავთ ირაკლიის მიტროპოლიტის ნიკიტას კანონიკური პასუხიდან ეპისკოპოს კონსტანტინეს შეკითხვაზე. თავის აღნიშნულ პასუხში, მიტროპოლიტი ნიკიტა ამბობს, რომ ეკლესიის ზუსტი სწავლებით, მეორედ დაქორწინებულს არ შეუძლია მიიღოს გვირგვინის დადგმა, რაც, თუმცა, კონსტანტინოპოლის ეკლესიაში მკაცრად არ არის დაცული, და გვირგვინს მეორედ დაქორწინებულებსაც ადგამენ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ისინი განიყენებიან წმინდა ზიარებიდან ერთი ან ორი წლით და მღვდელს ეკრძალება მათ საქორწილო ზეიმში მონაწილეობა.* იქიდან მოყოლებული, კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეს პრაქტიკა გახდა საყოველთაო, ამიტომაც შედგენილ იქნა შესაბამისი ეკლესიური ტიპიკონი (წესმიმდევრობა) მეორედ დაქორწინებულთათვის („**последование о двоебрачном**“), რომლის თანახმადაც, მათზე გვირგვინების თავდადგმა ისეთივე წესით ხდება, როგორც პირველად დაქორწინებულთათვის. ძველი საეკლესიო პრაქტიკიდან ამ გადახვევის გასამართლებლად, დიდ ბერძენ ევქოლოგიონელებთან მოყვანილია ტექსტობრივად როგორც პატრიარქ ნიკიფორეს წინამდებარე კანონი, ისე მიტროპოლიტ ნიკიტას კანონიკური პასუხიც.

კანონი 3

ვინც გაჭირვების გამო მცირე ხნით ეკლესიის სტოაში დასასვენებლად გაჩერდება, ის სასჯელს არ დაექვემდებარება; ხოლო თუ დიდი ხნით გადაწყვეტს იქ დარჩენას, მაშინ იქიდან განიძეოს და ეპიტიმია დაედოს, ეკლესია კი თავისას აიღებს (а церковь возьмет свое).

(მოც. 73; ტრულ. 74, 76, 97)

---

*ათენის სინტაგმა, V, 441.

კანონი 4

მიღებულ უნდა იქნეს ღვთისსათნო ძღვენი, რომელიც შემოიწირება იმათ სასიკეთოდ, ვინც უანდერძოდ გარდაიცვალა და განსაკუთრებით, თუ მათ სიცოცხლეშივე ჰქონდათ ასეთი განზრახვა.

ეკლესია ყოველთვის ლოცულობდა და ლოცულობს თავისი გარდაცვლილი წევრებისათვის. ეს დადგენილია ჯერ კიდევ მოციქულთა განწესებებით, თანაც, ამისთვის საგანგებო დრო არის განსაზღვრული.* ამის გამო, მორწმუნენი ჯერ კიდევ სიცოხლეშივე გამოუყოფდნენ ხოლმე თავიანთი ქონების გარკვეულ ნაწილს ეკლესიას, რაც საერთო ნორმად ითვლებოდა და მის კანონიერ ძალას სამოქალაქო სამართალიც აღიარებდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირი ანდერძის გარეშე კვდებოდა, მაშინაც, მემკვიდრეობითი კანონის თანახმად, მისი ქონების გარკვეული ნაწილი ეკლესიას რჩებოდა მისი სულის მოსახსენიებლად. ხატმბრძოლობის პერიოდში ეკლესიას ამაზე უარი უთხრეს, და ეს აკრძალვა იმდენად შორს წავიდა, რომ ზოგიერთ ეკლესიაში შეუძლებელიც კი გახდა გარდაცვლილის სულისათვის შეწირულობის გაკეთება, თუ გარდაცვლილებს თავიანთ ანდერძში არ ჰქონდათ შესაბამისი განკარგულება ჩაწერილი. თავისი წინამდებარე კანონით, პატრიარქი ნიკიფორე ასწორებს სხვადასხვა ეკლესიისა და მათი მმართველების არასწორ ქმედებას და განაწესებს, რომ ეკლესიის მიერ დაუბრკოლებლად უნდა მიიღებოდეს ყველანაირი შესაწირი გარდაცვალებულის სულის საოხად, და არ უნდა ხდებოდეს იმის ძიება, დატოვა თუ არა გარდაცვლილმა თავის სიცოცხლეში ამის შესახებ რაიმე სახის განკარგულება. ამასთან დაკავშირებული სამოქალაქო ხელისუფლების დადგენილება იმის თაობაზე, რომ გარდაცვლილის სულის განსასვენებლად ანდერძის გარეშეც შეიძლება მისი დატოვებული ქონებიდან გარკვეული ნაწილის ეკლესიისთვის გადაცემა,– გამოსცა იმპერატორმა ლეონ ბრძენმა.

კანონი 5

თუკი ხარების დღესასწაული დაემთხვევა დიდ ხუთშაბათს ან დიდ პარასკევს, ჩვენ არ შევცოდავთ თუ ამ დღეს მივიღებთ ღვინოსა და თევზს.
(მოც. 66; ტრულ. 52)

კანონი 6

იღუმენს, რომელსაც მღვდლის ხარისხი აქვს, შეუძლია თავის მონასტერში დაადგინოს წიგნის მკითხველი და კერძო დიაკონი.
(ტრულ. 33; VII მსოფ. 14)

წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე კანონის თანახმად, იღუმენს, რომელსაც მღვდლის ხელდასხმაც აქვს მიღებული, შეუძლია თავის მონასტერში იპოდიაკონიც

*ათენის სინტაგმა, IV, 402.

აკურთხოს. იღუმენის ეს პრივილეგია კანონებში პირველად მოიხსენიება, რამეთუ VII მსოფლიო კრების მე-14 კანონის მიხედვით, იღუმენს თავის მონასტერში მხოლოდ წიგნის მკითხველის (მედავითნის) დადგინება შეუძლია და სხვა არავისი. ჩვენ არ ვიცით, თუ რის საფუძველზე აღიარებს წმინდა ნიკიფორე იღუმენის უფლებად იპოდიაკვნის დადგინებასაც. შესაძლოა,იღუმენებს ამის ნებართვა მიეცათ ხატმბრძოლობის დროს კონსტანტინოპოლის ეკლესიაში, როდესაც მონოზვნებმა ეკლესიას დიდი სამსახური გაუწიეს წმინდა ხატების პატიესცემის დაცვაში, და ჯილდოს სახით, შესაძლოა, მონასტრების წინამძღვრებს გადაეცათ აღნიშნული პრივილეგია. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკიფორე ცნობილი იყო როგორც ხატმბრძოლობის წინააღმდეგ დიდი შემართებით გამორჩეული და მაშინდელი მონოზვნობის დიდი დამცველი. თავიანთ მონასტრებში იპოდიაკვნად დადგინებას ჩვენ ვერ ვუწოდებთ არაკანონიკურს, როდესაც გავიხსენებთ განსხვავებას სასულიერო იერარქიის უმაღლეს და უმდაბლეს ხარისხებს შორის. უმაღლეს იერარქიას მიეკუთვნებიან ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები. ისინი თავიანთ ხარისხს იღებენ სამღვდელო საიდუმლოს გზით (ხელთდასხმა). რაც შეეხება უმდაბლეს იერარქიას, დაწყებული იპოდიაკვნიდან და ქვემოთ, ასეთებად არ დგინდებიან ხელთდასხმის (ქიროტონიის) გზით, არამედ – ხელთდადებით (ქიროტესიით); თანაც, წმინდა საკურთხევლის გარეთ და ლიტურგიის დაწყებამდე, მაშინ, როდესაც უმაღლეს იერარქიაში თავიანთ ხელდასხმას იღებენ წმინდა საკურთხეველში და წმინდა ლიტურგიის მიმდინარეობის პროცესში. აქედან გამომდინარე, თუკი მოხსენიებული VII მსოფლიო კრება იღუმენს უფლებას აძლევს დაადგინოს თავის მონასტერში წიგნის მკითხველი, მაშინ მისთვის კერძო დიაკვნის დადგინების უფლების მიცემაც შეიძლებოდა, ვინაიდან ამ უკანასკნელებს, ისევე, როგორც მკითხველებს, არ გადაეცემათ საღვთო მადლი, რისი უფლებაც მხოლოდ ეპისკოპოსს აქვს. რამეთუ, იპოდიაკვნად დადგინება, ისევე, როგორც მკითხველებისა, წმინდა საკურთხეველში არ აღესრულება. დანარჩენთან დაკავშირებით და აგრეთვე იპოდიაკონის ხარისხთან მიმართებით, იხ. ტრულის კრების მე-6 კანონის განმარტება.

კანონი 7

ვინც ოცი წელი, ან მეტი, გარყვნილ ცხოვრებაში გაატარა, სამღვდელო წოდებას ვერ მიიღებს, თუნდაც ამის შემდეგ მრავალი სათნო საქმე ეკეთებინოს; რამეთუ წმინდა შეუბილწავი უნდა იყოს.

(მოკ. 61,80; I მსოფ. 2; ნეოკეს. 12; ლაოდ. 3,12; სარდ. 10; ორგ ზ. 17; კირილე ალექსანდრიელის 4; ტიმოთე ალექსანდრიელის 6; ნიკიფორე აღმსარებლის 36)

წინამდებარე კანონით დასტურდება ნიკეამდელი დროის საეკლესიო ნორმა, რომლის თანახმადაც, მღვდლად ვერ ეკურთხებოდა პირი, რომელსაც ისეთი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი, რაც ირგვლივ ყველასთვის საცდურის შემცველი იყო. ამის შესახებ ლაპარაკობს, აგრეთვე, წმინდა კრებებისა და წმინდა მამების რამდენიმე კანონი. საგანგებოდ ამ საკითხზე ჩვენ ვისაუბრეთ მოციქულთა 61-ე კანონის განმარტებაში.

კანონი 8

ბავშვები, რომლებიც იშვებიან ხარჭისგან, ან მეორე და მესამე ქორწინების შედეგად, თუ მღვდლობის ღირსნი აღმოჩნდებიან, დაე, ხელდასხმულ იქნენ.
(ტრულ. 33)

სამღვდელო კანდიდატის ღირსება არ განიპირობება იმით, თუ რომელ საზოგადოებრივ ფენას მიეკუთვნება, არამედ მისი პირადი ღირსებებით, კერძოდ: ის უნდა იყოს შეუბღალავი და მის სახელს ეჭვის ჩრდილიც არ უნდა ადგებოდეს რამე სათაკილო საქმეში გარევით. ტრულის კრების 33-ე კანონი განაწესებს, რომ სამღვდელო კანდიდატის გამორჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს პირად ღირსებას და არა – წარმომავლობას. ითვალისწინებს რა ამ კანონიკურ განწესებას, წინამდებარე (მე-8) კანონი ამბობს, რომ არაფერი უშლის ხელს უკანონო ქორწინებაში დაბადებულ პირებს მღვდლად კურთხევაში, ზუსტად ასევე, იმ პირებს, რომელთა მშობლებიც მეორე და მესამე ქორწინებაში იმყოფებიან, თუკი მხოლოდ მღვდლობის ღირსნი აღმოჩნდებიან და სხვა მხრივ ყველა იმ პირობას დააკმაყოფილებენ, რაც მათ მოეთხოვებათ.*

კანონი 9

ავადმყოფისთვის, რომელსაც სიკვდილი ემუქრება, დასაშვებია წმინდა ზიარების მიცემა ჭამის შემდეგაც.
(ტრულ. 29; კართ. 41)

ტრულის კრებამ თავის 29-ე კანონით განაწესა წმინდა ზიარების მიცემა მხოლოდ უზმოზე. ამ საყოველთაო განწესების შესრულებიდან წმინდა ნიკიფორე თავისი წინამდებარე (მე-9) კანონით ათავისუფლებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც სიკვდილი ემუქრებათ, რათა ისინი არ დარჩნენ „უკანასკნელი და აუცილებელი საგზლის“ გარეშე, – I მსოფლიო კრების მე-13 კანონის გამოთქმით.

კანონი 10

კვირა დღეში და მთელი ერგასის განმავლობაში მეტანიები არ სრულდება, შეიძლება მხოლოდ მუხლის მოყრა წმინდა ხატებზე მთხვევისას.
(I მსოფ. 20; ტრულ. 90; პეტრე ალექსანდრიელის 15; ბასილი დიდის 91)

კანონი 11

ის არ შესცოდავს, ვინც სამისთვის ერთ სეფისკვერს შესწირავს, ან ერთ სანთელს აანთებს.

---

*იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით ბალსამონის 62-ე კანონიკური პასუხი ალექსანდრიის პატრიარქ მარკოზის მიმართ, ათენის სინტაგმაში, IV, 494.

როგორც ჩანს, არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმადაც სამსხვერპლოსე ყველა იმ პირისათვის,ვისი მოხსენიებაც წმინდა ლიტურგიაზე სურდათ, ცალკეულად შეიწირებოდა თითო სეფისკვერი და ინთებოდა თითო სანთელი. თავის წინამდებარე კანონში წმინდა ნიკიფორე ლიტურგიის შესახებ ბასილი დიდის განწესებასაც ითვალისწინებს და შენიშნავს, რომ ერთი სეფისკვერი საკმარისია მაშინაც კი,როდესაც წმინდა ლიტურგიაზე უფრო მეტი პირის მოხსენიება სურთ,და რომ ერთი სანთელიც მრავალთათვის შეიძლება ენთოს.

კანონი 12

წმინდა ბარძიმის კურთხევა არ არის საჭირო, როდესაც წინადაგებულის ლოცვა იკითხება.

კანონი 13

მღვდელმა არ უნდა წიროს მდულარების გარეშე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც სრულიად შეუძლებელია მისი შოვნა.

(ტრულ. 32; კართ. 37)

წმინდა ლიტურგიაში მდულარების* გამოყენება დასაბამს იღებს ეკლესიის უძველესი დროიდან და თავისი საიდუმლო მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა ნაჩვენებია ბალსამონის მიერ ტრულის კრების 32-ე კანონის განმარტებაში. ლათინები და სომხები ამტკიცებდნენ, თითქოს თბილი წყლის დამატება საჭირო არ იყო, რამეთუ ამას არ მოითხოვს არც სახარება, არც ეკლესიის კანონიკური განწესებანიო. ბალსამონი პასუხობს: „შეზავებული სითბო არ ცვლის წყლისა და ღვინის შენაერთს წმინდა ბარძიმში და არ წარმოადგენს რაიმე განსხვავებულს წყლისაგან. ხოლო ისხმება იმის მეტი დამაჯერებლობისათვის, რომ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმინდა გვერდიდან გადმოდინებული სითხე, ანუ სისხლი და წყალი, არის ცხოველმყოფელი და არა უსიცოცხლო. ვინაიდან, არსებითად, ამით აიხსნება ამ სასწაულის სიდიადე, რამეთუ მაშინ, როდესაც მკვდარი სხეულიდან, ჩვეულებრივ, არ გადმოედინება თბილი სისხლი, უფლის სხეულიდან სიკვდილის შემდეგაც გადმოდინდა თბილი სისხლი და წყალი, როგორც ცხოველმყოფელი ცხოველმყოფელი სხეულიდან“.** ამასვე იმეორებს ბალსამონი თავის მე-19 კანონიკურ პასუხში, სადაც დასძენს: „ვინც ამას არ აკეთებს და წმინდა საიდუმლოს აღსრულებისას ღვინოსთან ერთად ცივ წყალს იყენებს, ის არ ადიდებს ისე, როგორც საჭირო, თვით სასწაულის სიდიადეს. ამით ის აჩვენებს, რომ მას არ სწამს იმისა, რომ უფლის მაცხოვნებელი სიკვდილის შემდეგაც, მისმა სხეულმა შეინარჩუნა ღვთაებრიობა, არამედ ამით აჩვენებს, თითქოს იგი მისგან განშორებულიყოს და, შესაბამისად, მისი სხეული თითქოს ჩვენი სხეულის მსგავსი იყოს, ეს კი დიდი მწვალე-

*თბილი, ანადუღები წყალი.

**ათენის სინტაგმა, II, 376-377.

ბლობის დაშვებას ნიშნავს... ვინც არ აკურთხებს საღმრთო ბარძიმს ცხელ წყალთან ერთად, ისინი მართლმადიდებელთა სამკვიდრებელიდან უნდა აღხოცონ, როგორც მწვალებლები".*

კანონი 14

ვინც სამონოზვნო წესი მიატოვა და მერე კვლავ დაბრუნდა (მონასტერში), თავიდან უნდა შეიმოსოს სამონოზვნო შესამოსელით, მაგრამ დადგენილი ლოცვების წაკითხვის გარეშე.

(მოც. 81, 83; IV მსოფ. 3, 4, 6, 7; VII მსოფ. 10; კართ. 16; ორგ ზ. 11)

წინამდებარე კანონი წმინდა ნიკიფორეს მიერ სხვა ადგილას უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული და შემდეგნაირად გამოითქმის: „მონოზონი, რომელიც წმინდა სქემას დატოვებს და მერე კვლავ დაბრუნდება, ძმებმა უნდა განსწავლონ რაშიც საჭიროა, მაგრამ არა განსამზადებელი, არამედ თვით უფლის სიტყვებით; წყნარი ხმით იგალობოს სინანულის კანონი, მისი შესამოსელი კი უნდა დაიგოს საკურთხეველში წმინდა ტრაპეზის ფეხებთან, თითქოს ის პირველად იღებდეს აღკვეცას. ამის შემდგომ, ლიტურგიაზე წაკითხული სახარების მერმე, აღკვეცს მას იღუმენი და შემოსავს თავის შესამოსელით, მაგრამ ყოველგვარი ასამაღლებელის გარეშე".**

კანონი 15

მონოზვნებს (დედებს) შეუძლიათ შევიდნენ წმინდა საკურთხეველში სანთლებისა და კანდელის ასანთებად, ასევე, საკურთხევლის დასალაგებლად და გამოსაგველად.

(ტრულ. 69; ლაოდ. 19, 44)

ჩვენი თარგმანი შესრულებულია „ათენის სინტაგმის" ტექსტის მიხედვით. ხოლო „კორმჩაიაში" წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე კანონი იმგვარად არის გადმოცემული, რომ მონოზონ დედებს ეკრძალებათ საკურთხეველში შესვლა: „არაჯეროვანია მონოზონ დედებისათვის საკურთხეველში შესვლა, არც სანთლების ანთება...". არმენოპულოს კანონიკურ „ამონარიდებში" ტექსტი ისეთივეა, როგორიც „ათენის სინტაგმაში". ჩვენ არ ვიცით, საიდან მოხვდა სლავურ „კორმჩაიაში" აღნიშნული თარგმანი წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე კანონიდან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ მონოზონ დედებისათვის საკურთხეველში შესვლის აკრძალვა, როგორც ეს „კორმჩაიაშია" ნათქვამი, გაცილებით უკეთ პასუხობს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, ვიდრე ნებართვა, რომელსაც კანონი შეიცავს ათენის სინტაგ-

*ათენის სინტაგმა, IV, 462-463; შდრ. ბლასტარის ალფაბეტურ სინტაგმასთან, Ê, 8 (ათენის სინტაგმა, VI, 321).

**ათენის სინტაგმა, IV, 431.

მის, არმენოპულოს, ასევე პიდალიონის* ტექსტების მიხედვით. ჩვენი მოსაზრების საფუძვლად შეიძლება გამოდგეს მოწმობა, რომელიც მოვიყვანეთ – მივყევით რა ზონარას – ლაოდიკიის კრების 44-ე კანონის განმარტებაში. ხოლო ჩვენი მოსაზრების მტკიცებულებას, ვფიქრობთ, ემსახურება ათონის მონოზონთა ის კითხვაც, რომელიც მათ დააყენეს კონსტანტინოპოლის კრების წინაშე პატრიარქ ნიკოლოზ III-ის დროს, თითქმის 300 წლის შემდეგ პატრიარქ ნიკიფორედან: „შეუძლია თუ არა მონოზონს საკურთხეველში შევიდეს?“ კრებამ, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, უპასუხა, რომ მონოზონს შეუძლია საკურთხეველში შესვლა. ხოლო თუკი XII საუკუნეში საჭირო გახდა, რომ კრებას გადაეწყვიტა, შეუძლია თუა რა მონოზონ მამას საკურთხეველში შესვლა, მაშინ, მონოზონ დედებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ეს თავისთავად ცხადი იყო; სახელდობრ, რომ არ შეუძლიათ. ვითვალისწინებთ რა ლაოდიკიის კრების 44-ე კანონის განწესებას, ჩვენ გაუგებრად გვეჩვენება, როგორ დართო ნება პატრიარქმა ნიკიფორემ IX საუკუნეში მონოზონ დედებს ის, რაც XII საუკუნეში პატრიარქ ნიკოლოზს უნდა გადაეწყვიტა მონოზონ მამებთან დაკავშირებით?! ყველაფერ ამის შედეგად, ჩვენ ვგონებთ, რომ წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე (მე-15) კანონის ტექსტი უფრო სწორია რუსულ „კორმჩაიაში“, ანუ იმ ბერძნულ მანუსკრიპტში, საიდანაც ის გადათარგმნილია „კორმჩაიასთვის“, ვიდრე ზემოხსენებულ ბერძნულ გამოცემებში.

კანონი 16

დიდ პარასკევს მონოზვნებმა არ უნდა შეასრულონ მიწის სამუშაოები და ამ საბაბით მიიღონ ღვინო და ზეთი, რამეთუ ეს მუცლისმაამებლობაა.

კანონი 17

მონოზონს შეუძლია მონასტერი დატოვოს სამი მიზეზით: ა) თუ იღუმენი მწვალებელია; ბ) თუ ქალები (თავისუფლად) მოდიან მონასტერში და გ) თუ მონასტერში ერისკაცთა ბავშვები სწავლობენ.

კანონი 18

რამეთუ მიუღებელია, რომ მათი მეშვეობით ქვეყანას მოედოს ის, რაც მონასტერში კეთდება.

(IV მსოფ. 4; VII მსოფ. 21; კართ. 80; ორგზ. 4)

ეს ორი კანონი (მე-16 და მე-17) კორმჩაიაში, ისევე, როგორც „პიდალიონში“, ერთ კანონს შეადგენს, და სავსებით სწორადაც, რადგან მე-18 კანონი სხვა არაფე-

*„პიდალიონის“ გამომცემლები დასძენენ, რომ მონოზონ დედებს საკურთხეველში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ თავიანთ მონასტრებში, ამასთან, ეყრდნობიან ტრულის კრების 69-ე კანონს, თუმცა ამ უკანასკნელს ნაკლებად აქვს საერთო მოცემულ საკითხთან.

რია, თუ არა მე-17 კანონის ბოლო პუნქტის დასაბუთება; კერძოდ, თუ რატომ ეძლევა მონოზონს მონასტრის დატოვების უფლება, როდესაც მასში (უფრო სწორედ – მის საერთო საცხოვრებელში) ერისკაცთა შვილები სწავლობენ. ნიკიფორეს კანონების სხვა კრებულში ორივე ეს კანონი ერთი ნომრით დგას, და იქვე ნათქვამია, რომ მონოზონს უფლება აქვს დატოვოს მონასტერი, თუ იქ ერისკაცთა შვილები სწავლობენ, იმიტომ, რომ არაჯეროვანია მთელ სოფელს მოედოს თუ რა სიკეთე კეთდება მონასტერში. ამასთან, ამას ემატება მათეს სახარებიდან ის ადგილი, სადაც ნათქვამია: ***ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა*** (მთ. 6, 2).*

კანონი 19

მონოზვნებს, რომლებიც ეპიტიმიის ქვეშ იმყოფებიან, სხვებთან ერთად შეუძლიათ ჭამონ და ილოცონ, მაგრამ რაც შეეხება კურთხეული პურის ან კატაკლასტონის მიღებას, ეს მხოლოდ აღსარების შემდეგ შეუძლიათ.

კურთხეულ პურზე ანუ ანტიდორზე ჩვენ ვისაუბრეთ ლაოდიკიის კრების მე-14 კანონის განმარტებაში. ამ პურს ეწოდებოდა, ასევე, კატაკლასტონი.

კანონი 20

მონასტერში მცხოვრებ მონოზვნებს წმინდა მოციქულებისა და წმინდა ფილიპეს მარხვის მთელ პერიოდში, ასევე ოთხშაბათობითა და პარასკევობით, შეუძლიათ საზრდელი მიიღონ დღეში ერთხელ, საღამოს; ხოლო, ვინც მინდვრის სამუშაოებითაა დაკავებული, შეუძლია მეექვსე ჟამის შემდეგ ისადილოს და საღამოს ივახშმოს.

ყოვლწლიური მარხვის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ მოციქულთა 69-ე კანონის განმარტებაში. წმინდა ფილიპეს მარხვა – ეს არის შობის მარხვა, რომელიც იწყება წმინდა ფილიპეს ხსენების მეორე დღეს.

კანონი 21

მონოზონი (დედაო), რომელსაც ბარბაროსები ან უწესო ადამიანები შერყვნიან, თუ მისი წინანდელი ცხოვრება უბიწო იყო, მხოლოდ ორმოცდღიან ეპიტიმიას ექვემდებარება, ხოლო თუ არ ყოფილა შეუბღალავი მისი ადრინდელი ცხოვრება, მაშინ მას უნდა განეწესოს მრუშობისათვის განსაზღვრული ეპიტიმია.

(ბასილი დიდის 49; გრიგოლ ნეოკესარიელის 1)

*ათენის სინტაგმა, IV, 431.

თავის პირველ კანონში გრიგოლ ნეოკესარიელი ამბობს, რომ ეპიტიმიას არ ექვემდებარებიან დედაკაცები, რომლებიც წამხდარმა ადამიანებმა შებილწეს; იგივეს ამბობს ბასილი დიდიც თავის 49-ე კანონში. წმინდა ნიკიფორე კი, საუბრობს რა მონოზონ დედებზე და მხედველობაში აქვს მათი წმინდა სხეული, განუწესებს მათ ორმოცდღიან ეპიტიმიას მისი (სხეულის) შებილწვისათვის. მაგრამ ის აქ გულისხმობს, რომ ისინი ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ მამაკაცის მხრიდან ძალადობას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მისი წინანდელი არცთუ შეუბღალავი ცხოვრებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რომ მან თავისი ნებით ისიძვა, მაშინ ასეთი მონოზონი სასჯელს ექვემდებარება როგორც სიძვისათვის — თვრამეტწლიან განყენებას წმინდა ზიარებიდან, თანახმად გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონისა.

კანონი 22

ვინც იმიტომ მიიღო სამონოზვნო ხარისხი, რომ სამხედრო ვალდებულებას გაექცა, ან სხვა რაიმე ცბიერი ჩანაფიქრი ჰქონდა და შემდგომ, როდესაც საჭიროებამ გაიარა, მონოზვნობა მიატოვა, ექვემდებარება ეპიტიმიას სამი ორმოცდღიანი ვადით, როგორც სამონოზვნო წესის შეურაცხმყოფელი, რის შემდეგაც შეიძლება დაშვებულ იქნეს წმინდა ზიარების მისაღებად.

აღებული პირი ექვემდებარება სამ ორმოცდღიან უზიარებლობას, ანუ წმინდა ზიარებიდან განიყენება ასოცი დღით.

კანონი 23

მონოზონი დედები არ უნდა ეზიარონ ახალგაზრდა მღვდელმონოზონთან, როდესაც ასეთი პირი ატარებს მსახურებას და აზიარებს.

(ტრულ. 47; VII მსოფ. 18, 20, 22)

მიზეზი, რამაც აღძრა ტრულის კრების მამები მიეღოთ 47-ე კანონი, რომლის თანახმადაც, არც დედაკაცებს მამათა მონასტერში და არც მამაკაცებს დედათა მონასტერში ღამის გათევის უფლება არა აქვთ, იგივეა, რამაც VII მსოფლიო კრების მამები — მე-18 კანონის მისაღებად, რომლის მიხედვითაც დედაკაცებს მამათა მონასტერში ყოფნა ეკრძალებათ, და ასევე — მე-20 კანონისა, რომლითაც აკრძალეს „ორმაგი მონასტრები"; ზუსტად ამან აღძრა პატრიარქი ნიკიფორეც წინამდებარე (23-ე) კანონის გამოსაცემად.

კანონი 24

იღუმენმა არ უნდა მოხადოს მოწაფეს კუნკული და გააძეოს.

„მოწაფეში“ იგულისხმება ყველა მონოზონი, რომელიც თავისი მდგომარეობით იღუმენზეა დამოკიდებული და ამიტომაც მის მოწაფედ ითვლება. „კუნკული“ – ეს არის თავსაბურავი, რომლითაც ძველად ყველა მონოზონი იფარავდა თავს. თანამედროვე ჩვეულებრივი მონოზვნისათვის კი (ვინც მცირე სქემაშია) – *„ვითარცა ჯაჭვ იგი სარწმუნოებისაჲ“* (1 თესალონ. 5, 8); ამჟამად კუნკული ეძლევათ მხოლოდ დიდი და ანგელოზებრივი ხარისხის მონოზვნებს (დიდი სქემა). *„შეიმოსა იგი კუნკული უბოროტებისაი“* – ვკითხულობთ დიდ და ანგელოზებრივ ხარისხში აყვანის წესში.

კანონი 25

ვინც წმინდა ხარისხი (სამონოზვნო) დაუტევა და არ გამოსწორდა, ჭერქვეშ არ მიიღება, არც მოკითხვით („გიხაროდენ“) შეიძლება მასთან შეხვედრა.

(მოც. 81, 83; IV მსოფ. 7; ნიკიფორე აღმსარებლის 35)

ამ კანონის საფუძველზე, მონოზონი, რომელიც მონოზვნურ ცხოვრებას დაუტევებდა, საერთოდ უნდა მიეტოვებინათ ბედის ანაბარა და მონასტერში აღარასოდეს მიეღოთ. თუმცაღა, ეს იქნებოდა ამავე პატრიარქის 35-ე კანონის საწინააღმდეგო, რომლის თანახმადაც, მონოზონი, რომელიც თავის ხარისხს დაუტევებს, ძალით უნდა იქნეს დაბრუნებული და ჩაკეტილი თავის მონასტერში. ჩვენ არ ვიცით, თუ რა საფუძველი არსებობდა ამ 25-ე კანონისათვის; უფრო მზად ვართ ვაღიაროთ იგი როგორც ინტერპილაცია* და სწორედ იმიტომ, რომ წმინდა ნიკიფორეს მოხსენიებული 35-ე კანონის გარდა, ჩვენ სხვა კრებულში ვპოულობთ მის კანონს 91-ე ნომრით, რომლის მიხედვითაც „განდგომილი“ მონოზონი ძალით უნდა იქნეს დაბრუნებული მონასტერში, გადაეცეს ანათემას და იქ სამუდამოდ ჩაიკეტოს. ამავე აზრში გვამტკიცებს ისიც, რომ თავისი ხარისხიდან განდგომილ მონოზონს, რომელიც სამოქალაქო სამსახურში გადავა, IV მსოფლიო კრების მე-7 კანონი ანათემას გადასცემს. ასევე მკაცრად უდგება „განდგომილ“ მონოზვნებს ბიზანტიური კანონმდებლობაც, რომლის განწესებანიც მიღებულია მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო-იურიდიულ კრებულებში.

კანონი 26

ვინც ავად არის და სურს მიიღოს ნათლისღება ან წმინდა ხარისხი (სამონოზვნო), მას მაშინვე უნდა მიეცეს რასაც ითხოვს და მადლის მოქმედებას ხელი არ შევუშალოთ.

(ტიმოთე ალექსანდრიელის 4; ტრულ. 43; კართ. 45)

---

*ავტორისაგან დამოუკიდებელი შემდგომი ჩამატება, ყველაზე ხშირად გადაწერის დროს.

იმის შესახებ, რომ უნდა მოინათლოს ყოველი, ვისაც ამის სურვილი აქვს, ან ვისზედაც ნათესავები ითხოვენ, — ლაპარაკობენ კართაგენის 45-ე და ტიმოთე ალექსანდრიელის მე-4 კანონები, რაც ზემოთ აღინიშნა. თავის მხრივ, ტრულის 43-ე კანონი განაწესებს, რომ მონოზონთა რიგებში მიღებულ უნდა იქნეს ყოველი, ვისაც ამის სურვილი აქვს, მიუხედავად მისი ადრინდელი ცხოვრებისა და თუ, რა თქმა უნდა, არ არსებობს რაიმე ხელის შემშლელი გარემოება. ხოლო, რაც შეეხება მონოზვნად აღკვეცისას მიღებულ „მადლს", რომელიც მოიხსენიება წინამდებარე (26-ე) კანონში, ის უნდა მოვიაზროთ როგორც საფუძველი (მონოზვნური ცხოვრების არჩევისათვის), მოყვანილი მოხსენიებულ ტრულის კრების კანონში.

კანონი 27

მღვდელმონოზონს არა აქვს უფლება მანტიის გარეშე იმსახუროს.

მანტიას* იღებს თითოეული მონოზონი „მცირე სქემის წესის" შესაბამისად და მას ამჟამად იცვამენ ყველა საეკლესიო მსახურებისას იმ მონასტრებში, სადაც კანონები მკაცრად არის დაცული.

კანონი 28

სულიერმა მოძღვარმა, რომელიც აღსარებას იბარებს (მონანულთაგან), ზიარებიდან უნდა განაყენოს ისინი, რომლებიც დაფარულ ცოდვებს აღიარებენ, მაგრამ არ უნდა დაუშალოს არც ეკლესიაში სიარული, არც ცოდვების გაცხადება, არამედ მშვიდად დამოძღვროს და აღძრას სინანულისა და ლოცვისათვის; ეპიტიმიები დანიშნოს თითოეულის სულიერი მდგომარეობის შესაბამისად.

(კართ. 132; ბასილი დიდის 34)

წინამდებარე კანონში მეორდება განწესება მღვდლის მხრიდან აღსარების საიდუმლოს შენახვის თაობაზე, რაზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კართაგენის კრების 132-ე კანონის განმარტებაში, და რასაც განაწესებს ბასილი დიდი თავისი 34-ე კანონით; წმინდა ბასილი მიუთითებს, აგრეთვე, აღსარების გაცემის აკრძალვის მოტივსაც: „არ მივცეთ მხილებულთ სასიკვდილო მიზეზი".

კანონი 29

მემრუშენი და პირუტყვთან დაცემულნი, ისევე, როგორც კაცისმკვლელები და მათი მსგავსნი, თუკი საკუთარი განზრახვით აღიარებენ ცოდვებს, რომლებიც საჯაროდ არ გახმაურებულა, წმინდა ზიარებიდან უნდა გან-

*„მაზარა" — სამონოზვნო მანტია.

კანონდნენ და დაექვემდებარონ ეპიტიმიას, ტაძარში კი დარჩნენ მხოლოდ კათაკმეველთა შესახებ ლოცვამდე; ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მათი ცოდვები გამოაშკარავდა, ეპიტიმიები უნდა შეასრულონ საეკლესიო განწესებების თანახმად.

(ბასილი დიდის 34, 56, 58, 63, 74)

როგორც წინამდებარე კანონიდან ჩანს, სულიერმა მოძღვარმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს მისთვის აღსარებაში გამხელილი ცოდვა, რარიგ მძიმე დანაშაულის შემცველიც ის არ უნდა იყოს. ერთადერთი, რითაც გარეშე პირებმა შეიძლება დაასკვნან, რომ კონკრეტული პირის სინდისი ცოდვით არის დამძიმებული, ეს არის მისი განყენება წმინდა ზიარებიდან და ტაძრიდან დათხოვნა კათაკმეველებთან ერთად. ხოლო, რაც შეეხება მის მიერ კანონდარღვევას, ეს საიდუმლოდ რჩება და უნდა დარჩეს გარეშე პირთათვის.

კანონი 30

ერისკაცებს, რომლებიც საკუთარი სურვილით აღიარებენ ცოდვებს, სულიერი მოძღვარი მთელი გულისყურით უნდა მოეპყრას.

(I მსოფ. 12; ბასილი დიდის 74; ტრულ. 102)

ეს არის ბრძნული კანონიკური განწესება. ერისკაცები, კლირიკოსებისაგან განსხვავებით, არ არიან სავალდებულო კანონებით შეკრულნი საეკლესიო მცნებებისა და, საერთოდ, ზნეობრივი განწესებების შესასრულებლად. მცნებებისა და ზნეობრივი განწესებების შესრულება მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და ამიტომ ეკლესია მთელი ყურადღებით უნდა მოეპყრას მათ, როდესაც ისინი ეკლესიაში მოდიან იმის მოსაყოლად, რაც მათ სინდისს ამძიმებს და ეძებენ სულიერ ნუგეშს. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია I მსოფლიო კრების მე-12 კანონის განწესება და ბასლი დიდის 74-ე კანონი, ასევე ტრულის 102-ე კანონი.

კანონი 31

ეპისკოპოსის ნებართვით* მღვდელსაც შეუძლია აღასრულოს სტავროპიგიის წესი.

(მოც. 31; IV მსოფ. 18; ტრულ. 31)

აქ „სტავროპიგიაში“ უნდა ვიგულისხმოთ ჯვრის აღმართვა ეკლესიის საძირკვლის კურთხევისას, რაც შეიძლება მღვდელმაც აღასრულოს, *ვის წარგზავნასაც მღვდელთმთავარი კეთილინებებს*, – ნათქვამია დიდ კურთხევანში (თავ. 105).

*ლოცვა-კურთხევით.

კანონი 32

არ შეიძლება მევახშისთვის წმინდა ზიარების მიცემა, ან მასთან ჭამა, ვიდრე ჯიუტად რჩება თავის ურჯულოებაში.

(მოც. 44; I მსოფ. 17; ტრულ. 10; ლაოდ. 4; კართ. 5, 16; ბასილი დიდის 14; გრიგოლ ნოსელის 6)

მევახშეობა რომ ეკლესიის მიერ ყოველთვის მკაცრად განიკითხებოდა, ამის შესახებ მრავალი საეკლესიო და წმინდამამებისეული კანონები ლაპარაკობენ (იხ. პარალ. კანონები). ხოლო, თუ როგორ მკაცრად უყურებდა აღმოსავლური ეკლესია IX საუკუნეში ამ დანაშაულს მევახშეობაში მხილებულ ერისკაცთა შემთხვევაშიც, ეს კარგად ჩანს წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე კანონიდან, რომელიც განაწესებს, რომ ერთგულ მორწმუნეებს მათთან პირად ცხოვრებაშიც კი არ უნდა ჰქონდეთ რაიმე ურთიერთობა.

კანონი 33

მონოზვნებმა უნდა იმარხულონ ყველიერის კვირაში ოთხშაბათსა და პარასკევს, პიველშეწირული ლიტურგიის დამთავრების შემდეგ კი შეუძლიათ იხმიონ ყველი, — სადაც უნდა იმყოფებოდნენ, — იაკობის სწავლებისა და ტეტრადიტების მწვალებლობის უკუსაგდებად.

ტეტრადიტების შესახებ საუბარი იყო II მსოფლიო კრების მე-7 კანონის განმარტებაში. იაკობის სწავლების მიმდევრებში კი იგულისხმება იაკობიტები; ამ სახელით იწოდებიან მონოფიზიტები: კოპტები და სომხები. ხოლო, ტეტრადიტებთან ერთად რომ სომეხი — იაკობიტებიც შერყვნილად მსჯელობდნენ ყველის შესახებ, ამას გვეუბნება ტრულის 56-ე კანონი.

კანონი 34

იმ პირისგან, ვისაც სახლში ხარჭი უზის და არ სურს მისი გაშვება, და არც მღვდლისგან ითხოვს მისი თავისთან დატოვების კურთხევას, ეკლესიაში შესაწირის მიღება დაუშვებელია, რამეთუ თავისი საძაგელი საქმეებით იგი საღმრთო კანონებს შეურაცხყოფს.

(მოც. 17; ტრულ. 3; ბასილი დიდის 3)

IX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქორწინებითი კავშირის გარეშე თანაცხოვრება ჯერ კიდევ მოსათმენი იყო ბიზანტიის იმპერიაში. მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში გამოსცა ბასილი მაკედონელმა განწესება, რომლის თანხმადაც, ვერავინ იყოლიებდა ხარჭას — ან უნდა დაქორწინებულიყო მასზე, ან არადა, სახლიდან გაეშვა. ამ (34-ე) კანონიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესია IX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ითმენდა უკანონო თანაცხოვრებას და მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ აღებულ პირს მიემართა მღვდლისთვის ლოცვისა და კურთხევის მისაღებად

ასეთი თანაცხოვრების გასაგრძელებლად. თუმცაღა, წინამდებარე კანონმა აღნიშნული დროის (IX საუკ.) შემდეგ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

კანონი 35

მონოზონი, რომელიც წმინდა ხარისხს დაუტევებს, ხორცის ჭამას დაიწყებს, ცოლს მოიყვანს და უკან დაბრუნებაზე საბოლოოდ უარს იტყვის, ანათემას უნდა გადასცენ, ძალით ჩააცვან მონოზვნის შესამოსელი და მონასტერში დაამწყვდიონ.

(მოც. 81, 83; IV მსოფ. 7, 16; VII მსოფ. 10; კართ. 16; ორგ ზ. 11)

წინამდებარე კანონი ჩვენ ვახსენეთ ამავე პატრიარქის, წმინდა ნიკიფორეს 25-ე კანონის განმარტებაში. ვფიქრობთ, რომ ამ (35-ე) კანონს ახლაც უნდა ჰქონდეს სრული ძალმოსილება.

კანონი 36

ვინც ერთხელ ისიძვა, მისი ხელდასხმა არ შეიძლება, თუნდაც მას დაეტევებინოს ეს ცოდვა, რამეთუ ბასილი დიდი ამბობს, ასეთმა მკვდარიც რომ აღადგინოს, მაინც ნუ იქნება მღვდელმსახურიო.

(მოც. 18, 61; ტრულ. 3, 26; ბასილი დიდის 3; ნიკიფორე აღმსარებლის 7)

თავის მე-7 კანონში წმინდა ნიკიფორე განაწესებს, რომ ვინც დიდხანს ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, არ შეიძლება ხელდასხმულ იქნეს. ამ (36-ე) კანონში კი იგი შეგვახსენებს, რომ არ შეიძლება არც ისეთი პირის ხელდასხმა, ვინც თუნდაც ერთხელ ისიძვა; ამასთან, ეყრდნობა ბასილი დიდის სიტყვებს, თუ რატომ არ შეიძლება აღნიშნული პირის მღვდლობა.

კანონი 37

მოციქული იტყვის: *„უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს მეძავ... ესევითარისა მის თანა არცალა ჭამად“* (1 კორ. 5, 11). ასეთი მეძავში უნდა ვიგულისხმოთ არა ის პირები, რომლებიც ვინმეს მიერ მხილებულნი არიან მეძავეობაში, არამედ პირები, რომლებსაც ასე უწოდებენ და ყველასათვის გაცხადებულნი არიან, რამეთუ ცოდვები, რომლებიც უსირცხვილოდ აღესრულება, გაცილებით მეტ სასჯელს იმსახურებს.

(მოც. 25; ნეოკეს. 1; ბასილი დიდის 3, 32, 59, 70; გრიგოლ ნოსელის 4)

წინამდებარე კანონში წმინდა ნიკიფორე განმარტავს პავლე მოციქულის სიტყვებს 1 ეპისტოლედან კორინთელთა მიმართ (5, 11) და შენიშნავს, რომ ეს სიტყვები აღნიშნავს იმას, რომ კონკრეტული პირის მეძავეობა ყველასთვის და თითოეულისთვის ეჭვშეურევნელად უნდა იყოს ცნობილი, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, — თანახმად მისივე 36-ე კანონისა, — იგი აღარ მიიღება სამღვდელო დასში.

კანონი 38

როდესაც დედაკაცი შობს, და ჩვილს სამი ან ხუთი დღის შემდეგ საშიშროება დაემუქრება, იგი სასწრაფოდ (მაშინვე) უნდა მოინათლოს და გამოსაკვებად სხვა დედაკაცს გადაეცეს – მონათლულსა და წმინდას. დედამისი კი არ შევიდეს ოთახში, სადაც ის იმყოფება, არ შეეხოს მას, ვიდრე ორმოცი დღე არ შეუსრულდება, ვიდრე სავსებით არ განიწმინდება და არ მიიღებს მღვდლისგან ლოცვებს.

(დიონისე ალექსანდრიელის 2; ტიმოთე ალექსანდრიელის 7)

კანონი 39

აუცილებელი საჭიროების ან იძულების გარეშე, კვირა დღეებში არ არის მართებული მოგზაურობა.

ეს და შემდეგი ექვსი კანონი (45-ის ჩათვლით) აღებულია წმინდა ნიკიფორეს კანონიკურ განწესებათა სხვა კრებულიდან.

კანონი 40

არ არის შესაწყნარებელი პავლეს აპოკალიფსისი, ასევე წიგნები: ვრონტოლოგია, სელინოდრომია და კალანდოლოგია, რამეთუ ყველა ეს უწმინდურია.

(მოც. 60; ტრულ. 63; VII მსოფ. 9; ლაოდ. 59)

ახალაღთქმისეულ მრავალ აპოკრიფთა შორის გვხვდებოდა პავლეს აპოკალიფსისიც. იგი შედგენილი იყო უფრო გვიანდელ დროში პავლე მოციქულის სიტყვებზე 2 ეპისტოლედან კორინთელთა მიმართ (12, 1 და შემდგ.): ***„მოვიდე ხილვასა და გამოცხადებასა უფლისასა...“**** ვრონტოლოგია – ეს არის წიგნი, რომელიც ქუხილის შესახებ მსჯელობს, სელინოდრომია – მთვარის, კალანდოლოგია კი – მომავალი წლის მოვლენებზე.

კანონი 41

არ არის შესაწყნარებელი აპოკალიფსისი ეზდრასი და ზოსიმესი, ორი აღწერა: წმინდა გიორგის მოწამეობისა და წმინდა მოწამეთა კვირიკესი და ივლიტასი, და მარკოზისა და დიადოხოს წიგნი, რამეთუ ესენი, ყველა, უარყოფილია და მიუღებელი.

(მოც. 60; ტრულ. 63; VII მსოფ. 9; ლაოდ. 59)

---

*იხ. ტ. I, მოციქულთა მე-60 კან. განმარტება.

კანონი 42

დაუშვებელია მუშაობა მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, ასევე, საგალობელის: „უბიწონი“ (ფსალ. 118, 1) აღვლენა ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს, და ხუთშაბათის დღესასწაულობა.

(მოც. 66; ლაოდ. 29; თეოფილე ალექსანდრიელის 1)

კანონი 43

ვინც სცემს და განზრახ მოკლავს მშობელ მამას, ექვემდებარება მკვლელის სასჯელს – ოცდათხუთმეტწლიან ეპიტიმიას.

(მოც. 65; ანკვირ. 22; ბასილი დიდის 43, 56; გრიგოლ ნოსელის 5)

კანონებში არ არის საუბარი საგანგებოდ საკუთარი მამის მკვლელობის დანაშაულის შესახებ. დამნაშავეს, ასეთი დანაშაულისათვის, რომის სამართლის თანახმად, ცოცხალ გველთან ან ძაღლთან ერთად კრავდნენ და ზღვაში ან მდინარეში აგდებდნენ. ამდენად, საეკლესიო კანონმდებლობა არ საჭიროებდა რაიმე განსაკუთრებული განწესების გამოცემას ამასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში კი, თუ მამისმკვლელი ეკლესიაში დაიწყებდა თავშესაფრის ძებნას, და თუ ეკლესია იძულებული ხდებოდა გაესამართლებინა იგი, მაშინ, წმინდა ნიკიფორეს წინამდებარე კანონის თანხმად, დამნაშავე ისჯებოდა ოცდათხუთმეტწლიანი განკანონებით.

კანონი 44

აუცილებლობის შემთხვევაში უბრალო მონოზონსაც შეუძლია მონათლოს, ზუსტად ისე, როგორც საჭიროების დროს ნათლავს დიაკონი.

(მოც. 49, 50)

ნათლისღების საიდუმლოს აღსრულება ხელეწიფება ეპისკოპოსს ან მღვდელს; ამის შესახებ საუბარი გვქონდა მოციქულთა 49-ე კანონის განმარტებაში. წინამდებარე კანონში წმინდა ნიკიფორე ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, დიაკონს და ასევე უბრალო მონოზონსაც შეუძლია ნათლისღების საიდუმლოს აღსრულება. ჩვენ კი, იმასთან დამატებით, რაც ვთქვით მოხსენიებული მოციქულთა კანონის განმარტებაში, დავსძენთ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ნათლისღების საიდუმლოს აღსრულება შეუძლია თითოეულ ერისკაცს და ქალსაც კი.

კანონი 45

თუ რომელიმე ადგილას შეუძლებელი იქნება მღვდლის მოძიება, მაშინ მოუნათლავი ჩვილების მონათვლა შეუძლია ნებისმიერს, ვინც იქვე, ადგილზე აღმოჩნდება. არ არის ცოდვა: მონათლავს მშობელი მამა თუ სხვა ვინმე, მთავარია ქრისტიანი იყოს.

(მოც. 49, 50)

წინამდებარე კანონი არის დამატება წმინდა ნიკიფორეს 44-ე კანონზე. ამასთან, ის ამტკიცებს ჩვენ მიერ მოციქულთა 49-ე კანონის განმარტებაში ნათქვამს იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია, – მწვავე საჭიროების შემთხვევაში, – მონათლოს ჩვილი, როდესაც ადგილზე მღვდელი არ არის.

კანონი 46

მწვალებლების მიერ დაარსებულ ეკლესიაში შეიძლება შესვლა მხოლოდ საჭიროების გამო, როგორც უბრალო სახლში; ხოლო თუ ჯვარი შუაგულში დაიდგმება, იქ უკვე გალობაც შეიძლება. თუმცა, ამასთან, დაუშვებელია საკურთხეველში შესვლა, კმევა, ლოცვა, კანდელის ან სანთლების ანთება.

(მოც. 10, 11, 45, 46, 64; I მსოფ. 19; II მსოფ. 7; III მსოფ. 2, 4; ტრულ. 11, 95; ლაოდ. 6, 7, 8, 10, 14, 31, 32, 33, 34, 37; ბასილი დიდის 1, 47; ტიმოთე ალექსანდრიელის 9)

კანონი 47

არ არის მართებული ისეთ მღვდელთან ზიარება, რომელიც არ მარხულობს ოთხშაბათსა და პარასკევს, თუნდაც ის მართლმადიდებელის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, რამეთუ ერთ საკითხში კეთილმსახური იყო, მეორეში კი იბილწებოდე – არ არის წმინდა საქმე.

(მოც. 69; ტრულ. 29, 56, 89; ღანგ. 19; ლაოდ. 49, 50, 51, 52; დიონისე ალექსანდრიელის 1; პეტრე ალექსანდრიელის 15; ტიმოთე ალექსანდრიელის 8, 10)

კანონი 48

მონოზვნებს, რომლებიც წმინდა დიდმარხვაში სამუშაოს ასრულებენ, შეუძლიათ მცირეოდენი პური იხმიონ მეცხრე ჟამზე, საღამოს კი ივახშმონ.

წინამდებარე კანონით წმინდა ნიკიფორე ავსებს თავისი მე-20 კანონის განწესებას წმინდა მოციქულების* და შობის მარხვების შესახებ.

კანონი 49

თუ ისე მოხდა, რომ რომელიმე ადგილას მღვდელიც, დიაკონიც და წიგნის მკითხველიც განკვეთის ქვეშ მოჰყვნენ, ადგილზე კი მონოზონი აღმოჩნდება, დაე, მან აკურთხოს ტრაპეზი.

(მოც. 28; I მსოფ. 5; II მსოფ. 6; IV მსოფ. 29; სარდ. 14; ანტიოქ. 4, 12, 15; კართ. 29, 65; ბასილი დიდის 88)

---

*პეტრე-პავლობის.

აქ იკულისხმება მონოზონი, რომელსაც არ გააჩნია რაიმე იერარქიული ხარისხი. კანონების თანახმად, ასეთ მონოზონს კურთხევის უფლება არა აქვს, ისევე, როგორც ამის უფლება არა აქვთ არც დიაკონს და არც წიგნის მკითხველს, რომლებსაც კანონი მოიხსენიებს. ამიტომ, როდესაც აქ ნათქვამია, რომ მონოზონი აკურთხებს, უნდა მოვიაზროთ, რომ საუბარია ტრაპეზისწინა ლოცვაზე, რომლის წაკითხვის უფლება კეთილმსახურ ერისკაცსაც აქვს და, მით უმეტეს იმას, ვინც ღირსიქმნა წმინდა სამონოზვნო წესისა ეკლესიის ლოცვა-კურთხევის გზით.

ეს ბოლო ოთხი კანონი (46-49) აღებულია წმინდა ნიკიფორეს მეორე კრებულიდან, სადაც, თუკი „ათენის სინტაგმაში" ზოგიერთი მათგანის ნუმერაციით ვიმსჯელებთ, მათი რიცხოვნობა გაცილებით მეტი იყო (ყოველ შემთხვევაში არანაკლებ 66-სა), თუმცა ისინი მთელი თავისი შემადგენლობით ჯერ არ დაბეჭდილა.*

„ათენის სინტაგმაში" ზემომოყვანილ კანონებს მოსდევს წმინდა ნიკიფორეს ეპისტოლე 17 პასუხით, რომლის სათაურიც ზემოთ არის მოყვანილი (იხ. 288 გვ.) ძველი დროის მწერლები ამ ეპისტოლეს პატრიარქ ნიკიფორეს მიაწერდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთად, დედნად, მიიჩნევდნენ მას „ათენის სინტაგმის" გამომცემლებიც, რადგან არავითარი შენიშვნა არ გაუკეთებიათ მის წარმომავლობაზე. თუმცაღა, დამტკიცებულია, რომ აღნიშნული ეპისტოლე ეკუთვნის არა პატრიარქ ნიკიფორეს, არამედ მის თანამედროვე **თეოდორე სტუდიელს** († 826). ამიტომაც მოგვყავს ჩვენ აქ ამ ეპისტოლეს თარგმანი ცალკე და სხვა სახით, ვიდრე წმინდა მამების სხვა ნამდვილი კანონები.

„ათენის სინტაგმაში" არ არის ნათქვამი, თუ ვის მიემართება წინამდებარე ეპისტოლე, მაგრამ ეს ნათქვამია მინას (Migne) გამოცემაში, სადაც ის დაბეჭდილია ნომრით: CCXVI, კერძოდ — **მონოზონ მეთოდეს**. ეს უნდა გავითვალიწინოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ეპისტოლეს დასაწყისი და დაბოლოება გაუგებარი დარჩებოდა.

გთავაზობთ **წმინდა თეოდორე სტუდიელის** ამ ეპისტოლეს მონოზონ მეთოდეს მიმართ.**

რაოდენ შენს ღირსებას სურს იხილოს ჩვენი სიმდაბლე, იმდენად, დარწმუნებულ იყავ, ჩვენც გვსურს პირისპირ საუბარი, მაგრამ რადგანც წერია: ***„არცა რომელსა-იგი უნებს, არცა რომელი-იგი რბის, არამედ რომელი ეწყალის ღმერთსა"*** (რომ. 9, 16), ამიტომ მას დავუთმოთ ეს სურვილი და მას მივანდოთ საზრუნავი, და იგი ***ყოს,*** როცა ინებებს ***„ნებაი მოშიშთა მისთაი"*** (ფსალ. 144, 19). ახლა კი სათანადოდ უნდა ვუპასუხო შენი კეთილმსახურების მეშვეობით ჩვენი სულიერი ძმების, ილარიონისა და ევსტრატეს მიერ შემოთავაზებულ კითხვებს. ხოლო, იმისათვის, რომ ნათქვამი ადვილად გასაგები იყოს, პასუხსაც თითოეულ შემოთავაზებულ კითხვასთან განვათავსებ.

---

*ათენის სინტაგმა, IV, 43.

**შემოთავაზებული რუსული თარგმანი დამოწმებულია სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის გამოცემიდან „Творения преподобного Феодора Студита в русском переводе" (1908), ტ. II, გვ. 622-627, ზოგიერთი შენიშვნებითა და უმნიშვნელო ცვლილებებით „ათენის სინტაგმის" ტექსტთან მიმართებით. (რუსული გამოც. რედ.)

კითხვა 1. მღვდლების შესახებ,ხელდასხმულთა რომში,ნეაპოლსა და ლანგობარდიაში, მსახურების ადგილის განწესების გარეშე და მერე გაშვებულთა ნებისმიერ ადგილზე მსახურებისათვის: უნდა მივიღოთ თუ არა ესევითარნი და ვიქონიოთ მათთან ერთობა — ერთად ვიტრაპეზოთ და ერთად ვილოცოთ?

პასუხი. მწვალებლობის პერიოდში, აუცილებლობიდან გამომდინარე, ყველაფერი არ აღესრულება ზუსტად იმ კანონების მიხედვით, რომლებიც მშვიდობის დროს არის დადგენილი. ჩვენ ვხედავთ, რომ ასე მოქმედებდნენ ნეტარი ათანასეც და უწმინდესი ევსებიც, რომლებიც კანდიდატებზე ხელდასხმას ახორციელებდნენ არა საკუთარ სამთავრო'ში. ახლაც, ვხედავთ, ამჟამინდელი ერესის პირობებშიც იგივე ხდება. ამდენად, თუ მოხსენიებულნი აშკარად განსჯილნი არ არიან, სრულებით დაუშვებელია მათი უარყოფა იმ მიზეზით, რომ ამგვარად არიან ხელდასხმულნი; ისინი უნდა მიიღებოდნენ ოთხი პირობის დაცვით.

კითხვა 2. მღვდლების შესახებ, ხელდასხმულთა სიცილიაში სხვის სამთავროში: უნდა მივიღოთ თუ არა ესვითარნი?

პასუხი. ეს კითხვა წინას მსგავსია, თუმცა განსხვავდება მისგან ადგილთან მიმართებით. ცხადია, რომ მას ისეთივე პასუხი ექნება.

კითხვა 3. ეკლესიების შესახებ, რომლებიც მღვდლებმა წაბილწეს მწვალებლობასთან ზიარებით და ახლა მათვე უპყრიათ: შეიძლება თუ არა იქ შესვლა ლოცვისა და ფსალმუნთგალობისათვის?

პასუხი. აღნიშნული მიზნით ასეთ ეკლესიებში შესვლა ყოვლად დაუშვებელია, რამეთუ წერილ არს: ***„აჰა ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოჴრად“*** (მთ. 23, 38). ჭეშმარიტად, როგორც კი შემოვიდა მწვალებლობა, მფარველმა ანგელოზმა მყისიერად დატოვა იქაურობა, როგორც ამას ბასილი დიდი იტყვის* და ასეთი ტაძარი ჩვეულებრივ სახლად იქცა. ***„მოვიძულე*** — ამბობს ფსალმუნთმგალობელი — ***კრებული უკეთურთაჲ“*** (ფსალ. (25, 5), და მოციქულიც ამბობს: ***„რაჲ სწორება არს ტაძრისა ღმრთისა კერპთა თანა?“*** (2 კორ. 6, 16).

კითხვა 4. ეკლესიების შესახებ, წაბილწულთა იმავე მღვდლების მიერ, მაგრამ რომელნიც მათ არ უპყრიათ: შეიძლება თუ არა მათში გალობა და ლოცვა?

პასუხი. შეიძლება ასეთ ეკლესიებში შესვლა საგალობლად და სალოცავად, თუკი, მხოლოდ, ის აღარ იქნება მწვალებლების მიერ შებღალული, არამედ მართლმადიდებლები დაიკავებენ სამუდამოდ. თუმცა, ასეთი შემთხვევისათვის განწესებულია, რომ ეკლესიის ამოქმედება მოხდეს შეურყვნელი ეპისკოპოსის ან მღვდლის მიერ, შესაბამისი ლოცვის წარმოთქმით. თუ ეს გაკეთდება, მაშინ იქ ჟამისწირვის აღსრულებაც არ არის აკრძალული. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჩვენთვის ათანასე დიდი: როდესაც მისგან იმპერატორმა კონსტანტიოსმა ერთი წყალობა ითხოვა, — არიანელებისათვის შესაკრებად ალექსანდრიის ერთი-ერთი ტაძარი დაეთმო, — მას უარი არ უთქვამს იმ პირობით, თუ თავადაც მიიღებდა

*წერილი CCXXX

მსგავს წყალობას, ანუ თუ კონსტანტინოპოლში მართლმადიდებლებს შეეძლებოდათ არიანელების მიერ დაკავებულ ერთ რომელიმე ტაძარში შეკრება.

კითხვა 5. წმინდანთა წმინდა ნაწილების შესახებ: შეიძლება თუ არა მათ განსასვენებელში (აკლდამაში) შესვლა, ლოცვა და თაყვანისცემა, თუკი ეს განსასვენებლები უწმინდურ მღვდლებს უკავიათ?

პასუხი. კანონი უფლებას არ იძლევა ასეთ განსასვენებლებში შესვლას ზემომოყვანილი მიზეზით, რამეთუ წერილ არს: ***„რაჲსათჳს აზნაურებაჲ ჩემი განიკითხვის სხჳსა იჭჳსაგან?“*** (1 კორ. 10, 29); — მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე შეიძლება შესვლა, მხოლოდ წმინდანთა წმინდა ნაწილების სათაყვანებლად.

კითხვა 6. უწმინდურ მღვდელთა მიერ მონოზვნად აღკვეცილთა შესახებ: რაგვარად უნდა მიიღებოდნენ ესევითარნი?

პასუხი. ისინი უნდა მიიღოთ მას შემდეგ, რაც აღიარებენ, რომ შესცოდეს და გარკვეულ ხანს ეპიტიმიის ქვეშ დაჰყოფენ; ხოლო, შემდგომ ამისა, დაიბეჭდებიან (აღიკვეცებიან) შეურყვნელი მღვდლის მიერ.

კითხვა 7. ხელისმომწერთა და იმავე მწვალებლობასთან თანაზიარქმნილ მონოზონთა და კლერიკოსთა შესახებ: რაგვარად მიიღებიან ესევითარნი, ეპიტიმიით თუ მის გარეშე? თუკი ისინი აღთქმას დებენ, რომ აწ აღარ იმღვდელმსახურებენ, შეგვიძლია თუ არა მაინც დავადოთ მათ ეპიტიმია?

პასუხი. ცხადია, რომ სათანადო ეპიტიმიებით, რამეთუ სინანულის ნაყოფის გამოუღებლად როგორღა შეიქმნებიან მართლმადიდებლურ სხეულთან შეერთების ღირსნი? ასეთებისათვის ეპიტიმიების დაწესება ჩვენთვისაც არ არის საძრახისი, რამეთუ წერილ არს: ***„ურთი-ერთარს სიმძიმე იტჳრთეთ და ესრეთ აღასრულეთ შჯული იგი ქრისტესი“*** (გალ. 6, 2).

კითხვა 8. მონოზვნების შესახებ, რომელნიც განურჩევლად იქცევიან ყველა შემხვედრთან, ლოცულობენ და ჭამენ მათთან ერთად: შეიძლება თუ არა ესევითართა დაშვება საერთო ტრაპეზსა და ფსალმუნთგალობაზე?

პასუხი. როდესაც მოციქული გამცნობთ ***„განშორებად თქუენდა ყოლისაგე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდის, და არა მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან“*** (2 თესალ. 3, 6), — რატომ თავადვე ვერ სჯით კეთილგონივრულად? ამდენად, თუკი ისინი განეკრძალებიან ცოდვით ჩვევებს და შესაბამის ეპიტიმიებს მოიხდიან, მაშინ შეიძლება მიღება. თუმცა, საჭიროა გამოიკვლიოთ, ვინ არიან ისინი, ვისაც თქვენ „ყველა შემხვედრს“ უწოდებთ — მწვალებლები არიან თუ აშკარა გასაკიცხნი თავიანთი ცხოვრებით? ესევითართა შესახებ ამბობს მოციქული: ***„უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს მეძავ ანუ ანგაჰრ, გინა კერპთ-მსახურ,*** და მისთ., ***ესევითარისა მის თანა არცაღა ჭამად“*** (1 კორ. 5, 11).

კითხვა 9. მღვდლების შესახებ, რომლებსაც მწვალებლებთან ერთად მიუღიათ საჭმელი ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ მათთან ერთობაში არ შესულან, ან ხელი არ მოუწერიათ, ან არ უმსახურიათ ერთად: შეიძლება თუ არა ესევითართა დაშვება საერთო ტრაპეზსა და ფსალმუნთგალობებზე, ბეჭდით (კურთხევით) თუ მის გარეშე?

პასუხი. ასეთების მიმართ გამოკვლეულ უნდა იქნეს: აღნიშნულმა მღვდლებმა საჭმელი ჭამეს მწვალებელ მღვდლებთან თუ მწვალებელ ერისკაცებთან, და ცნობილ მწვალებლებთან თუ მართლმადიდებლურად მოაზროვნე, მაგრამ, იმავდროულად, მწვალებლებთან ურთიერთობის მქონე პირებთან? თუ მღვდლებთან ჰქონდათ აღნიშნული კავშირი, მაშინ მსჯავრი გაცილებით მკაცრია. თუმცა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაშიც, სათანადო სინანულის პირობებში, შეიძლება მათი დაშვება საჭმელზეც, ლოცვაზეც და ბეჭდითაც.

კითხვა 10. ერისკაცთა შესახებ, რომლებმაც მწვალებლობას მოაწერეს ხელი და მასთან თანაზიარება აქვთ: შეუძლიათ თუ არა ასეთ ერისკაცებთან მართლმადიდებელ ერისკაცებს საჭმელის მიღება?

პასუხი. განურჩევლობა ბოროტების მიზეზია. ***„შორის წმიდისა და ბილწისა არ განარჩევდეს“,*** ნათქვამია წმინდა წერილში (ეზეკ. 22, 26). ამიტომ, თუკი მართლმადიდებლებს მოშურნეობა აქვთ, მათ არ უნდა დაუშვან ერთად ჭამა, სანამ ისინი წინასწარ არ დაექვემდებარებიან ეპიტიმიებს უწმინდური ხელმოწერისათვის და ვიდრე უარს არ იტყვიან მწვალებლებთან ურთიერთობაზე. მაგრამ, რადგანაც, ზოგიერთი იბილწება მწვალებელთან ურთიერთობით შეჭირვებულ ვითარებაში, — გაურბის რა საშიშროებას, — ამიტომ შეიძლება მათი დაშვება საჭმელის ერთად მიღებამდე, თუკი აღიარებენ, რომ ამას შემთხვევით აკეთებდნენ და ამჯერად ინანიებენ. თუმცა, მაშინაც არა განურჩევლად, არამედ ზოგიერთებთან, შესაბამისი პირობების დაცვით, რათა ეს დაშვება სარგებელის მომტანი იყოს როგორც ერთთა, ისე მეორეთათვის, და არა — სულის დამაზიანებელი.

კითხვა 11. ნათლისღების მსურველთათვის, როდესაც ვერ მოიძებნება მართლმადიდებელი მღვდელი ან ვინმე უმწიკვლო: შეიძლება თუ არა ისინი მოინათლონ მწვალებლებთან თანაზიარი მღვდლებისგან, ან ისეთებისგან, რომელთა შესახებაც არ ყოფილა ნაუწყები, განსაკუთრებით, როცა სიკვდილის საშიშროება დგას?

პასუხი. ამასთან დაკავშირებით, აღმსარებლების, იერარქებისა და იღუმენების მიერ ასეთი წესია გაცხადებული: მღვდლებს, რომლებიც მღვდელმსახურებიდან დაყენებულნი არიან მწვალებლებთან თანაზიარებისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილზე არ იმყოფება შეურყვნელი მღვდელი, ნება ეძლევათ ჩაატარონ ნათლობა და გადასცენ წმინდა საიდუმლო, რომელიც მანამდე ნაკურთხი იქნება უდანაშაულო მღვდლის მიერ; ასევე, აღკვეცოს მონოზვნის ხარისხში, წაიკითხოს ლოცვები დაკრძალვაზე, ცისკარზე და შეასრულოს ღმრთისგანცხადების წყალკურთხევა, — შეჭირვებული გარემოებების გამო (როგორც ნათქვამია), — რათა ერი სრულიად არ მოსწყდეს სახარების მოსმენას და გაუნათლებელი არ დარჩეს. თუ თქვენ მოგწონთ, დაე, დაცულ იქნეს ეს წესი მაქაურ ადგილებშიც.

კითხვა 12. განდგომილთა და მერმედ სინანულით მოქცეულებთან დაკავშირებით: შეგვიძლია თუ არა ესევითარებს ეპიტიმიები დავადოთ, თუ პირდაპირ შევიწყნაროთ?

პასუხი. ზემოთ გადმოცემულში უკვე განმარტებულია, თუ რისი დადება შეიძლება; ზედმეტია ორჯერ ერთი და იგივეს გამეორება.

კითხვა 13. თუ ეპისკოპოსი დანაშაულს ჩაიდენს და კრება განკვეთს, ხოლო შემდეგ, უკვე განკვეთილი, ვინმეს მღვდლად აკურთხებს და ეს მღვდელი მოვა რა მონასტერში, დროებით ეპიტიმიას მიიღებს თავისი იღუმენისგან, რის შემდეგაც მღვდელმოქმედებას შეუდგება, ასეთ ვითარებაში, გვსურს ვიცოდეთ, უნდა მივიღოთ თუ არა ეს მღვდელი, თუკი ის უდანაშაულოა?

პასუხი. რადგან აქ აშკარა უაზრობას აქვს ადგილი, ამიტომ თქვენ არც გმართებდათ გეკითხათ ასეთი დანაშაულის შესახებ. რამეთუ უფალმა თქვა: ***„არა არს... ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი“*** (ლკ. 6, 43). ამიტომ, ასეთი, თუნდაც რომელიმე წმინდანისგან, არამცთუ თავისი იღუმენისგან მიეღოს ეპიტიმია, მღვდელმსახურებაზე არ დაიშვება; იგი მღვდელი არ არის და მისი გამხსნელი წმინდანი არ არის. ასეთი გზით თუ ვიარეთ, დაემხობა და მოისპობა ყველა კანონიკური განწესება.

კითხვა 14. მღვდლების შესახებ, რომლებიც მართლმადიდებლების მიერ არიან ხელდასხმულნი, არ მოუწერიათ ხელი (მწვალებლობაზე) და არც თანაზიარება ჰქონიათ, მაგრამ მხოლოდ მიტროპოლიტ კონსტანტინესთან ერთად მიუღიათ საჭმელი.

პასუხი. ზემოთქმულში შემოთავაზებულია მსჯელობა ამის შესახებ. ამრიგად, კონსტანტინესთან ექნება ადგილი ამ საჭმელის ჭამას თუ სხვა ვინმე ურწმუნოსთან, მის მჭამელს, – სათანადო მონანიების შემდეგ, – ეხსნება დანაშაული არა მხოლოდ იმისთვის, რომ შეურყვნელებთან ერთად შეეძლოს ჭამა, არამედ მღვდელმოქმედებაც აღასრულოს, რომლის ღირსიც იქმნა ის თავის დროზე. რაც შეეხება ეპიტიმიის ზომებს, ცალსახად მისი განსაზღვრა შეუძლებელია, – ეს დამოკიდებულია კონკრეტული პირის თვისებებსა და ზნეობის ხარისხზე; ყოველ შემთხვევაში, საკმარისია მისთვის ეპიტიმიის დანიშვნა ორი ან სამი ორმოცეულის განმავლობაში.*

კითხვა 15. მღვდლების შესახებ, ასევე, მართლმადიდებლების მიერ ხელდასხმულთა და უმეცრებით იმ მღვდლებთან ერთად მჭამელთა შესახებ, რომლებმაც იმავე მიტროპოლიტთან ერთად ჭამეს.

პასუხი. წერია, რომ უმეცრებით ჩადენილი ყოველი ცოდვა განიწმინდება (შდრ. ლევიტ. 4, 2). ამდენად, ისინი არავითარ ეპიტიმიას არ იმსახურებენ.

კითხვა 16. მართლმადიდებელი მღვდლების, სახელდობრ ილარიონ და ევსტრატე მონოზვნების შესახებ: აქვთ თუ არა მათ ხელმწიფება ეპიტიმიების დანიშვნისა?

---

*ოთხმოცი ან ას ოცი დღის ვადით.

პასუხი. ზემოთ ითქვა, რომ მათ შეუძლიათ ეპიტიმიების დანიშვნა. მაგრამ, რადგან კითხვა გამოხატავს, შეუძლია თუ არა მღვდლობის ხარისხის არმქონეს ეს გააკეთოს მღვდლის არყოფნის მიზეზითა და მოახლეებულის რწმენით, მაშინ გეტყვით, რომ კანონების საწინააღმდეგო არ იქნება უბრალო მონოზვნისთვისაც ეპიტიმიის დანიშვნა.

კითხვა 17. მონოზვნის შესახებ, რომელმაც წმინდა ხარისხი უმეცრებით მიიღო განკვეთილი ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმული მღვდლისგან.

პასუხი. სხვა ადგილას ნათქვამია, რომ ყოველი ცოდვა, უმეცრებით ჩადენილი, განიწმინდება. ამიტომ, არ უნდა განვერიდოთ საჭმლის მიღებას ასეთ პირთან და არც სხვა რამე ისეთს, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთანხმობასა და მეგობრობას.

ეს ჩვენ შეძლებისდაგვარად განგიმარტეთ შენ, როგორც ერთსულოვანსა და თანამოღვაწეს ჩვენსას. *„არა ყოველთაი არს სარწმუნოებაი“* (2 თესალ. 3, 2), და არა მრავალთათვის არს გადმოცემული ესე, არამხოლოდ ურჯულოთა უგუნურების გამო, არამედ, აგრეთვე, ხელისუფლებისგან მომდინარე მიზეზითაც. ესოდენ ბევრი და მშვენიერი ამანათისთვის, რომლებიც უკეთილმსახურესმა ადამიანებმა მოგვიძღვნეს, დაე, ღმერთისგან მიეღოთ მათ საზღაური. ეს ორი პატარი კალათა გეგზავნებათ მეგობრობის სამახსოვროდ. იყავთ ჯანსაღნი უფლისმიერ, დიდად პატივცემულნო, ჰყავთ ლოცვა და გამოითხოვეთ ჩვენ ცოდვილთათვისაც *„უმჯობესი და მახლობელი ცხორებისაი“* (ებრ. 6, 9).

ნიკოლოზის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანონები

კანონი 1

კითხვა. **შეუძლია თუ არა მონოზონს შევიდეს წმინდა საკურთხველში, რამეთუ ამას კრძალავს ტრულის წმინდა კრების 33-ე კანონი, რომელიც უფლებას არ აძლევს მკითხველად დაუდგინებელ მონოზონს ამბიონიდან იგალობოს და იკითხოს. ამას კრძალავს, ასევე, ლაოდიკიის კრების მე-15 და 21-ე და მეორე ნიკეის კრების მე-14 კანონები?**

პასუხი. **დაუდგინებელ მონოზონს ეკრძალება ამბიონზე შეასრულოს მკითხველის მოვალეობანი; თუმცაღა, მონოზვნური წესისადმი პატივისცემის ნიშნად, არა მგონია, რომ მონოზონს, რომელიც ყოველგვარი დანაშაულისაგან თავისუფლია, ეკრძალებოდეს საკურთხეველში შესვლა სანთელისა და კანდელის ასანთებად.**

(მოც. 33, 69; VII მსოფ. 14; ლაოდ. 15, 19, 21, 44)

როგორც ყველა სხვა, ისე პატრიარქ ნიკოლოზის წინამდებარე კანონებს ჩვენ ვთარგმნით „ათენის სინტაგმიდან". აღნიშნულ კრებულში წინამდებარე კანონები ანუ კანონიკური პასუხები მოყვანილია სხვა რედაქციით, ვიდრე დანარჩენ კრებულებში; ნაკლებია რიცხოვნობითაც. შესაძლებელია, რომ უფრო ზუსტი რაოდენობა (17) პატრიარქ ნიკოლოზის ამ პასუხებისა, შესული იყოს **გედეონის** „კანონიკურ დადგენილებებში", რასაც შეესაბამება მათი რიცხვი ჩვენს „კორმჩაიაშიც" (თუმცა, არა თვით პასუხების რედაქციით). ჩვენ უფრო საფუძვლიანად მივიჩნიეთ აქაც მივყოლოდით ათენისეულ კრებულს, მით უმეტეს, რომ ის თანხმობაშია **ბევერეგიას** გამოცემასთან, ხოლო არსებითში — „პიდალიონთანაც".

პატრიარქ ნიკოლოზის ეს კანონები მოხსენიებული გვაქვს ტრულის 69-ე და პატრიარქ ნიკიფორეს მე-15 კანონების განმარტებებში; ხოლო, მისი უკეთ გაგებისათვის, საჭიროა დანარჩენი პარალელური კანონების განმარტებების შედარება.

კანონი 2

კითხვა. **ნამდვილად არ შეიძლება შაბათს მუხლდრეკა, როგორც ეს კვირა დღესა და ერგასის განმავლობაშია აკრძალული?***

პასუხი. **კანონით ეს აკრძალული არ არის; თუმცა, ბევრი არ იდრეკს მუხლს იმის გამო, რომ შაბათს არ მარხულობენ.**

*ანუ აღდგომიდან სულთმოფენობამდე.

(მოც. 66; I მსოფ. 20; ტრულ. 55, 66, 90; ღანგ. 18; ლაოდ. 29; პეტრე ალექსანდრიელის 15; ბასილი დიდის 91; თეოფილე ალექსანდრიელის 1)

რადგანაც კანონებში შაბათი დღე მარხვასთან მიმართებით გათანაბრებულია კვირა დღესთან (იხ. მოც. 66-ე კან.), ამიტომ ბევრს ეგონა, რომ რაკი შაბათობით მარხვა არ შეიძლება, მაშინ არც მუხლდრეკა შეიძლება ისევე, როგორც არ შეიძლება ეს კვირაობით (იხ. I მსოფ. მე-20 კან.). წინამდებარე კანონში ნათქვამია, რომ კანონიკური განწესება, რომელიც შაბათობით მუხლდრეკას კრძალავს, არ არსებობს და, შეაბამისად, მუხლდრეკით არ სცოდავენ.

კანონი 3

კითხვა. **უნდა დავიცვათ თუ არა მარხვა აგვისტოს თვეში?**

პასუხი. **ძველ დროში ამ მარხვას იცავდნენ. შემდგომში ის გადატანილ იქნა, რათა არ დამთხვეოდა წარმართულ მარხვებს, რომლებიც ამავე თვეში აღესრულებოდა. თუმცა, ბევრი ახლაც იცავს ამ მარხვას.**

(ტრულ. 26, 56; ლაოდ. 49-52; პეტრე ალექსანდრიელის 15; ტიმოთე ალექსანდრიელის 8, 10)

კანონიკურ მარხვას წარმოადგენს პასექის დღესასწაულის წინა, წმინდა ორმოცეულის მარხვა, და ოთხშაბათს და პარასკევს ყოველ შვიდეულში. ეს არის მოციქულთა 69-ე კანონის განწესება. დროთა განმავლობაში სხვა მარხვებიც დადგინდა, რომელთა შორისაც არის ეგრეთ წოდებული „მიძინების მარხვა“* აგვისტოს თვეში. სწორედ ამ მარხვაზეა საუბარი პატრიარქ ნიკოლოზის წინამდებარე კანონში. როგორც ამ კანონიდან ჩანს, იმ დროს (XII საუკ. დასაწყისი) ამ მარხვის ხანგრძლივობის საკითხი სადავო იყო. ბალსამონი თავის 55-ე კანონიკურ პასუხში ალექსანდრიის პატრიარქ მარკოზის მიმართ, განმარტავს რა წინამდებარე (მე-3) კანონს, ამბობს, რომ ის არის სინოდალური დადგენილება ამ პატრიარქის (ნიკოლოზის) დროინდელი. ეს დადგენილება იმაში მდგომარეობდა, რომ წლის ყველა მარხვაში, მათ შორის მიძინების მარხვაშიც, მხოლოდ შვიდი დღე უნდა ყოფილიყო მარხვა, რადგან მხოლოდ ერთი მარხვა გრძელდებოდა ორმოცი დღე, სახელდობრ – მარხვა წმინდა დიდი პასექის წინ. თუმცა, თუ ვინმე მოისურვებს სხვა დღესასწაულების წინაც იმარხულოს, მათ შორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების წინ, შვიდ დღეზე მეტ ხანს, ან თუ ეს რომელიმე ქტიტორული წესდებით არის განწესებული, – ამის უფლება მას აქვს.* პატრიარქ ნიკოლოზის წინამდებარე (მე-3) კანონი განიხილებოდა კონსტანტინოპოლის კრების სხდომაზე პატრიარქ ლუკას დროს (1156-1169). ბალსამონის ცნობით, ამ კრებაზე ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ არ არის ამ მარხვის დაცვა საჭირო, რადგან ის სხვა დროისთვის არის გადატანილი, როგორც ამას პატრიარქ ნიკოლოზის ეს პასუხი

*„მარიამობის მარხვა“.

*ათენის სინტაგმა, IV, 488.

მოწმობსო. სხვები, პირიქით, ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა მისი დაცვა, რამეთუ თავად პასუხშია ნათქვამია, რომ ძველ დროში მას იცავდნენ და შემდგომში იქნა სხვა დროისთვის გადატანილიაო. თუმცა, როდის და სად მოხდა ეს, – პასუხში ნათქვამი არ არის. პატრიარქმა სხვა ეპისკოპოსებთან ერთად კრებაზე განაჩინა, რომ აღნიშნული მარხვა უპირობოდ უნდა იქნეს დაცული, ამასთან, ამის დასტურად, იმოწმებდნენ 921 წლის ცნობილ „ერთიანობის ტომოსს [ტომარი, გრაგნილი, ქარტია]", სადაც ნათქვამია, რომ მესამედ დაქორწინებულებს შეუძლიათ წმინდა ზიარება მიიღონ წელიწადში სამჯერ, კერძოდ: აღდგომის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისა და ქრისტეშობის დღესასწაულებზე, ვინაიდან ამ დღესასწაულების წინ, ჩვეულებრივ, მარხულობენ. როდესაც მოწინააღმდეგებმა აღნიშნეს, რომ არსად წერია, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს მარხვა, ამაზე პატრიარქმა შენიშნა, რომ თუკი ამ მარხვაზე (მიძინების, ისევე, როგორც შობისაზე, არ არსებობს წერილობითი დადგენილება, მაშინ მაინც, ჩვენ ყველანი უნდა მივყვეთ ეკლესიის წერილობით გადმოცემას და დავიწყოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მარხვა 1 აგვისტოს* ქრისტეშობის მარხვა კი – 15 ნოემბერს** პატრიარქ ლუკას ეს განწესება გახდა საყოველთაოდ მიღებული აღმოსავლურ ეკლესიაში; ასე რომ, მასთან შესაბამისობაში უნდა მოვიაზროთ პატრიარქ ნიკოლოზის წინამდებარე კანონიც.

კანონი 4

კითხვა. **უნდა ვაზიაროთ თუ არა წმინდა საიდუმლოს ეშმაკეული, რამეთუ წმინდა ტიმოთე მისთვის დასმულ შეკითხვაზე სხვაგვარად პასუხობს, წმინდა მოციქულებისაგან განსხვავებით, და კიდევ სხვაგვარად უფრო გვინდელი მამები?**

პასუხი. **თუ ვინმე ბნედადაცემულ მდგომარეობაში იქნება ისე, რომ საფიქრალია, თითქოს უწმინდური სულით იყოს შეპყრობილი, ასეთებს არ შეიძლება ზიარება აეკრძალოთ; ხოლო თუ ის ნამდვილად ეშმაკეულია, მაშინ არასგზით შეიძლება იგი წმინდა ზიარების ღირსიქმნეს, რამეთუ *„რაი ზიარებაი არს ნათლისა და ბნელისა"* (2 კორ. 6, 14)?**

(მოც. 79; ტრულ. 60; ტიმოთე ალექსანდრიელის 2, 3, 4, 14)

კანონი 5

კითხვა. **შეუძლია თუ არა მღვდელს გამოიყენოს განურჩევლად (თავისი შეხედულებისამებრ) და რაოდენიც სურს ეკლესიის შემოწირულობიდან, ანუ სეფისკვერი და ღვინო, და შეუძლია თუ არა სეფისკვერი ჭამოს ჩვეულებრივი პურის სახით, და თუ ყველაფერი ეს ბევრი შეგროვდა, რა ეუყოთ მას?**

---

*ძვ. სტილი.

**ძვ. სტილი.

პასუხი. ნაწილები, რომელიც რჩება სამსხვერპლოზე შეწირული სეფისკვერიდან – არავითარ შემთხვევაში. აღნიშნული ნაწილების მიღება შეიძლება მხოლოდ ეკლესიაში და მთლიანად, მისგან ნეშტი არ უნდა დარჩეს. რაც შეეხება სხვა სეფისკვერს, ის ცალკე უნდა იჭმებოდეს და არავითარ შემთხვევაში რძესთან, ყველთან, კვერცხთან და თევზთან ერთად.

(მოც. 3, 4, 38, 41; ლანგ. 7, 8; თეოფილე ალექსანდრიელის 8)

კანონი 6

კითხვა. თუკი მონოზონი, სადაც არ უნდა ჰქონდეს აღკვეცა მიღებული, რაიმეთი შეძრწუნებულია, რაც მის სულს ამძიმებს და ამიტომ მონასტრიდან წასვლა სურს, ილუმენი კი ამის გამო მას საკრველს დაადებს, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს იგი: ყურადღება არ მიაქციოს სულიერ შეძრწუნებას თუ საკრველს?

პასუხი. იგი ილუმენს უნდა მოუყვეს შერწუნების მიზეზს, და თუ მას ამისგან აშკარა საშიშროება მოელის, დაე, წავიდეს იქიდან, საკრველი კი უყურადღებოდ დატოვოს.

(IV მსოფ. 4; VII მსოფ. 19, 21; კართ. 13; ორგზ. 2, 3, 4)

წინამდებარე კანონის აზრის უკეთ გასაგებად, ის ბევრწილად უნდა შევადაროთ ორგზის კრების მე-3 და მე-4 კანონების განწესებებს – მონოზვნების მონასტრებიდან წასვლის შესახებ. ის, რომ წინამდებარე კანონით მონოზონს შეუძლია უყურადღებოდ დატოვოს მის მიმართ ილუმენის მიერ გამოტანილი სასჯელი, არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, თითქოს მონოზონს შეეძლოს თავად მოიხსნას მმართველი წინამძღვრის ეპიტიმია, არამედ იმ აზრით, რომ აღებული პირი, წავა რა მონასტრიდან, ვალდებულია ადგილობრივ მმართველ ეპისკოპოსთან მივიდეს, რომელიც მას განსჯის და თავისი შეხედულებისამებრ ნებას მისცემს არ დაბრუნდეს მონასტერში, რადგან, არსებითად, სწორედ ამაში მდგომარეობდა მის მიმართ ილუმენის მიერ გამოტანილი სასჯელი, რომელიც კანონში აღნიშნულია სიტყვით: „საკრველი“.

კანონი 7

კითხვა. თუკი ილუმენი სიკვდილის წინ დატოვებს თავის შემცვლელს და დაავალდებულებს მას არ დატოვოს თავისი ადგილი, შემცვლელი კი, გააცნობიერებს რა საკუთარ უძლურებას, განეშორება, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს იგი ,აღებული ვალდებულების მიმართ?

პასუხი. ამ ვალდებულებას აზრი არა აქვს, შესაბამისად, ძალა არ გააჩნია. ამიტომ ის, ვინც აღნიშნული ვალდებულების საკრველით იყო შეკრული, მისგან გაიხსნება, თუ მივა მღვდელთმთავართან და თავის შესახებ ყველაფერს მოუყვება.

(მოც. 32; სარდ. 14; კართ. 141)

შეიძლება ისე მოხდეს, რომ სიკვდილის პირას მისული რომელიმე იღუმენი მონასტრის საძმოდან ვინმესთვის მოისურვებს თავისი საიღუმენო ხელმწიფების გადაცემას, ვინც მისთვის მისაღებია. იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი სურვილი, წერილობით ან ფიცით (რამეთუ ამას აღნიშნავს ამ შემთხვევაში კანონის სიტყვა: „საკრველი“) კრავს შერჩეულ ძმას აღთქმით იმის თაობაზე, რომ ის ნამდვილად იქნება მის შემდეგ იღუმენი და პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონიკურ სასჯელს დაექვემდებარება. იღუმენის სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრედ დადგინებული ძმა, პირობის თანახმად, იღუმენობას იღებს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, რწმუნდება, რომ მმართველობა არ შეუძლია და უარს ამბობს იღუმენობაზე. აი, ამაში მდგომარეობდა კითხვა და ამ კითხვაზე კანონი პასუხობს, რომ აღნიშნული იღუმენის განკარგულება არ არის საფუძვლიანი და სავალდებულო, ამიტომ აზრსმოკლებილია, რასაც ახალი იღუმენი (ამაოდ) დაემორჩილა. ხოლო რადგანაც ვალდებულება მაინც არსებობდა, წერილობით ან ფიცის სახით, ამიტომ მისთვის ფორმალურად ძალა უნდა გამოეცლიათ, რისთვისაც კანონი ადგილობრივ ეპისკოპოსს, როგორც ხელისუფლების მქონეს, აძლევს ამის ნებას.

კანონი 8

***კითხვა.* შეუძლია თუ არა მღვდელს, რომელიც რამე დნაშაულის გამო განკვეთილი იყო, ან თვითონ, საკუთარი გადაწყვეტილებით უარი თქვა სამღვდელო წოდებაზე, მაგრამ შემდგომში აღიარა თავისი დანაშაული, — წარმოთქვას ასამაღლებელი: „კურთხეულ არს ღმერთი“, და „ღმერთო, წყალობა მოგვმადლე“, და „ქრისტე ჭეშმარიტი“, ასევე შეასრულოს კმევა ან ეზიაროს საკურთხეველში?**

***პასუხი.* არა, ვინაიდან ის უკვე ერისკაცთა რიგში ითვლება.**

(მოც. 62; I მსოფ. 9; III მსოფ. 9; ტრულ. 21, 26; ნეოკეს. 9; ბასილი დიდის 3, 27; კირილე ალექსანდრიელის 3)

საუბარია იმის შესახებ, შეუძლია თუ არა მღვდელმოქმედება აღასრულოს მღვდელმა, რომელიც გარკვეული დანაშაულის შედეგად განკვეთილი იყო, ან ნებაყოფლობით განდგა მღვდლობიდან. ამ კითხვაზე პასუხი აბსოლუტურად უარყოფითია, რამეთუ ასეთი პირი მღვდელი აღარ არის — ის უკვე ერისკაცია. ეს დასკვნა ეფუძნება ტრულის კრების 21-ე კანონს, რომლის შესახებაც ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ თავის ადგილზე. შემდეგ, ეფუძნება მოციქულთა 62-ე კანონს იმ პირთა შესახებ, რომლებიც უარყოფენ კლირიკოსის სახელს, რის შესახებაც დაწვრილებით ითქვა ეფესოს კრების მე-9 კანონის განმარტებაში, ანუ ამ კრების ეპისტოლესა პამფილიის მიტროპოლიტ ევსტათის მიმართ. ხოლო იმის შესახებ, რომ არც ერთ სასულიერო პირს, რომელიც კანონიკურად არის განკვეთილი, უფლება არა აქვს რამე სახის მღვდელმოქმედება აღასრულოს, და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მის მღვდელმოქმედებას არც თავისთავად აქვს რამე მნიშვნელობა და არც იმისთვის, ვისთვისაც ის სრულდება, — ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ ანტიოქიის კრების მე-4 კანონის განმარტებაში.

კანონი 9

კითხვა. **რას ნიშნავს, როდესაც ბასილი დიდი ამბობს მცირე ეპიტიმიებში: დაე, მოაკლდეს კურთხევას დაცემის ზომისამებრ?**

პასუხი. **ე. ი. ვინმესთვის საეკლესიო კურთხევის მოკლებას.**

საეკლესიო კურთხევა, რომელიც აქ მოიხსენიება, არის ის კურთხევა, რომელიც ეპისკოპოსებისა და მღვდლების მეშვეობით ერთგულ მორწმუნეებს ლოცვისათვის გადაეცემათ ან ღვთის შეწევნაში განმტკიცებისათვის. ამიტომ ამ კურთხევას მეტნაკლებად კარგავს ესა თუ ის ცოდვილი იმ ცოდვის ზომის შესაბამისად, რომელშიც ის ჩავარდა.* მცირე ეპიტიმიები ეს ის სასჯელებია, რომლებიც ბასილი დიდმა განაწესა მცირე ცოდვებისათვის და რომლებიც შედის ბასილი დიდის სხვა საერთო ეპიტიმიების რიცხვში ნომრებით 11-დან 60-ის ჩათვლით (მინას (migne) გამოცემის მიხედვით).

კანონი 10

კითხვა. **შეუძლია თუ არ სამსხვერპლოზე შემოწირული სეფისკვერის ნაწილი ჭამოს იმან, ვისაც ზიარება აკრძალული აქვს?**

პასუხი. **თეოდორე სიკეოტელი ცხვრებაში ნათქვამია, რომ მათ ეს ეკრძალებათ.**

(მოც. 3, 4, 38, 41; ღანგ. 7, 8; ლაოდ. 14; კართ. 37)

წმინდა თეოდორე სიკეოტელი, — რომლის ცხოვრებაშიც ნათქვამია, რომ ეკლესიაში ვერ მიიღებს ანტიდორს ის, ვინც წმინდა ზიარების ღირსი არ არის, — იყო რამდენიმე მონასტრის არქიმანდრიტი და ანასტასიოპოლის ეპისკოპოსი. გაბრწყინდა იგი მრავალი სასწაულებით და გარდაიცვალა 613 წელს.**

კანონი 11

კითხვა. **საჭიროა თუ არა დასასჯელი პირისთვის მმარხველის კანონიკონით განწესებული ეპიტიმიების დადება?**

პასუხი. **აღნიშნულმა კანონიკონმა თავისი ლმობიერებით ბევრი დაღუპა; ამიტომ, ისინი, ვინც იციან თუ რა არის კეთილი და კეთილს განეშორებიან, დაე, გამოსწორდნენ.**

ეს კანონი ჩვენ მოვიხსენიეთ წმინდა იოანე მმარხველის მე-3 კანონის განმარტებაში და ვიხილეთ, რომ მიუხედავად ასეთი ულმობელი შეფასებისა, **მმარხველის კანონიკონი** მაინც შევიდა აღმოსავლური ეკლესიის საყოველთაო მოხმარებაში, და მის საფუძველზე, უმთავრესწილად, **შედგენილია ჩვენი დიდი კურთხევანის ნომოკანონი.**

---

*ბალსამონის განმარტება ათენის სინტაგმაში, IV, 425.

**ხს. დღე 22 აპრილი, ძვ. სტ.

წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირის და ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის სხვადასხვა კანონიკური განწესებანი

1. რა ბოროტება დავითმინეთ ჩვენ? მხოლოდ ერთიღა გვაქვს სადარდებელი, რომ არაფერი დაგვითმენია, ვერ გავხდით ღირსნი ტანჯვისა და გინებისა ქრისტეს სახელისათვის (შდრ. საქმ. 5, 41). თუ თქვენ იმას წუხართ, რომ სხვები სალოცავ სახლს ფლობენ, თქვენ კი ღია ცისქვეშ გიხდებათ თაყვანისცემა ცისა და ქვეყნის შემოქმედისათვის, მაშინ გაიხსენეთ: თერთმეტმა მოწაფემ დაიმკვიდრა ზეციური სავანე, უფლის ჯვარმცმელი იუდეველები კი ყოვლად ჩინებულ ტაძარში აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. იუდა, რომელმაც სამარცხვინო ცხოვრებას თავის ჩამოხრჩობა ამჯობინა, კინაღამ იმათზე უკეთესი აღმოჩნდა, რომლებიც ამჟამად გულგრილად იღებენ ადამიანთა საყვედურებს და უსირცხვილოდ მზად არიან ყოველგვარ საძაგელ საქმეზე წასასვლელად. არ ცდუნდეთ, მხოლოდ, მათი ცრუ ქადაგებებით, როდესაც თავისთვის მიიწერენ სარწმუნოების ჭეშმარიტებას; რამეთუ ისინი ქრისტეს გამყიდველნი არიან და არა — ქრისტიანენი; ამ ცხოვრებაში სასარგებლო მათ ყოველთვის ურჩევნიათ, ვიდრე ჭეშმარიტი ცხოვრება. როცა ჩაიფიქრეს აქაური ფუჭი ხელმწიფება მოეხვეჭათ, ქრისტეს მტრებს შეურთდნენ, ხოლო როცა ერის მრისხანება იხილეს, კვლავ მართლმადიდებლობის ნიღაბი აიფარეს. ეპისკოპოსად არ ვაღიარებ და ქრისტეს მღვდელმსახურად არ მივიჩნევ იმას, ვინც სარწმუნოების შესარყვნელად შებილწული ხელებით მოვიდა მთავრობაში. ასეთია ჩემი გადაწყვეტილება! თქვენ კი, თუკი ჩემთან რამე საერთო გაქვთ, ცხადია, ასეთივე აზრის იქნებით. თუ რამეს თქვენის მხრიდან თავად მოიფიქრებთ, ნება თქვენია — ნებისმიერი თავისუფალია საკუთარ აზრში, ჩვენ კი სუფთა ვართ ამ სისხლისაგან.*

ეს არის ამონარიდი ბასილი დიდის ერთ-ერთი (376 წლის) ეპისტოლედან (240 ალ. 192) ნიკოპოლის მღვდლების მიმართ. ვინმე ფრონტონი უკანონოდ იქნა დადგინებული ნიკოპოლის ეპისკოპოსად; იგი ცდილობდა ნებისმიერი საშუალებით, ძალით თუ ცბიერებით, მყარად მოეკიდა ფეხი ნიკოპოლის ეკლესიაში. თავისი მიზნის მისაღწევად ფრონტონი დევნიდა იმ მღვდლებს, რომლებიც მას ეპისკოპოსად არ აღიარებდნენ. წმინდა ბასილი მიესალმება მღვდლების ამ ნაწილს, ურჩევს მათ სულით არ დაეცნენ და ღმერთის შეწევნის იმედად დარჩნენ, რომელიც მათ გააათავისუფლებს იმ პირისაგან, რომლის შესახებაც თავად ამბობს, რომ ეპისკოპოსად მას არ აღიარებს.

2. კარგია და უაღრესად სასარგებლო ყოველ დღე ზიარება და საღმრთო საიდუმლოს მიღება, რამეთუ თავად ქრისტე ნათლად ამბობს: „რომე-

*ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 286.

ლი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი" (ინ. 6, 54). თუმცა, ჩვენ ვეზიარებით ოთხჯერ, ყოველ შვიდეულში: საუფლო დღეს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს, ასევე სხვა დღეებშიც, თუკი რომელიმე წმინდანის ხსენებაა. ხოლო ოდნავადაც საშიში რომ არ არის, თუ ვინმე, დევნილობის უამს, მღვდლის ან მსახურის არყოფნის შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე თავისი ხელით მიიღებს ზიარებას, — ზედმეტი იქნებოდა ამის მტკიცება დაგვეწყო, რადგან დიდი ხნის ჩვეულება ამას თვით საქმით ადასტურებს. რამეთუ თითოეული მონოზონი, რომელიც უდაბნოში მოღვაწეობს, სადაც მღვდელი არ არის, ზიარებას სახლში ინახავს და თვითონ თავის თავს აზიარებს. ალექსანდრიასა და ეგვიპტეში კი, ყოველი ნათელღებული ქრისტიანი, უმეტესწილად, სახლში ინახავს ზიარებას და თავად ეზიარება, როცა მოისურვებს. რადგან, როდესაც მღვდელმა მსხვერპლშეწირვა ერთხელ აღასრულა, მისმა მიმღებელმა, როგორც ყოვლადმთელისა, ეზიარება რა ყოველდღიურად, სამართლიანად უნდა ირწმუნოს, რომ იღებს და ეზიარება თვით გადმომცემისგან (მღვდლისგან). ვინაიდან ეკლესიაშიც მღვდელი გადასცემს წმინდა ნაწილს, და მიმღებელსაც სრული უფლებით უჭირავს იგი და საკუთარი ხელით მიაქვს პირთან. ამიტომ ერთი ძალა აქვს — იღებს თუ ვინმე მღვდლისგან ერთ ნაწილს, თუ ბევრ ნაწილს ერთად.*

ესეც ასევე არის ბასილი დიდის ეპისტოლე (93 ალ. 289), რომლითაც მან 372 წელს ვინმე კესარის მიმართა. ეპისტოლე ორ საკითხს ეხება: 1) როგორ უნდა მოხდეს ქრისტეს წმინდა ხორცსა და სისხლთან ზიარება და 2) დევნილობის უამს, როდესაც მღვდელი არ არის, შეიძლება საკუთარი ხელიდან ზიარება. მეორე საკითხთან დაკავშირებით იხ. ტრულის კრების 58-ე და 101-ე კანონების განმარტება.

3. ეცადე, მღვდელმსახურო, იყო შეუბღალავი მოღვაწე, მართლად აღასრულებდე ჭეშმარიტების სიტყვას. არასოდეს მიხვიდე საეკლესიო მსახურებაზე, თუ ვინმესთან მტრობაში იმყოფები, რათა სულიწმინდამ არ დაგტოვოს მსხურების დღეს. არ იკამათო და არ იდავო იმ დღეს, არამედ იქნები რა ეკლესიაში, ილოცე და იკითხე, ვიდრე საღმრთო საიდუმლოს აღსრულების უამი დადგება, და მაშინ უკვე შემუსვრილი და წმინდა გულით მიეახლე წმინდა საკურთხეველს, ამასთან, აქეთ-იქით ყურებას ნუ დაიწყებ, არამედ ძრწოლითა და შიშით წარსდეგი ზეციური მეუფის წინაშე. კაცთმოთნეობის მიზეზით ნუ იჩქარებ და ნუ შეამცირებ ლოცვებს, ნუ მიაქცევ ადამინებს ყურადღებას, არამედ მიაპყარ მზერა შენი იქ დამსწრე მეუფესა (უფალს) და ირგვლივ წარმოდგენილ ზეციურ ძალებს. იყავ ღირსეული აღმსრულებელი წმინდა კანონებისა. ნუ იმსახურებ იმათთან, ვისაც ეს აკრძალული აქვთ. გახსოვდეს, ვის წინაშე დგახარ, ვის ემასხურები და ვის აზიარებ. ნუ დაივიწყებ უფლისა და წმინდა მოციქულების მცნებას,

*ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 389.

რომელიც გვეუბნება: *„ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა“* (მთ. 7, 6). გამოიცანით ძაღლები და სხვები. გულისხმაჰყავ, რომ არ დაეცე კაცის შიშით, და ძე ღვთისა უღირსებს არ ჩაუგდო ხელში. იმ ჟამს ნუ შეგეშინდება მიწიერი მთავრებისა და იმისაც კი, ვინც დიადემას ატარებს. ვინც საღმრთო ზიარების ღირსნი არიან, უსასყიდლოდ აზიარე, როგორ უსასყიდლოდაც თავად *მიგიღებიეს** იმათ კი, ვისაც საღმრთო კანონებით ეს ეკრძალებათ, ნუ აზიარებ, რამეთუ ისინი არიან ვითარცა წარმართნი, და თუ არ მოექცევიან, — ვაი, მათდა და იმათ, ვინც მათ აზიარებს. ყურადღებით იყავი, რომ შენი დაუდევრობით წმინდა ძღვენს არ მიეკაროს თაგვი ან სხვა რამე, რომ ძღვენი არ გაფუჭდეს, რომ კვამლისგან არ გაიმუროს, რომ არ შეეხოს უწმინდური და უღირსი ხელი. თუკი მუდამ გემახსოვრება ყოველივე ეს და სხვა მსგავსი, მაშინ შგეძლება საკუთარი თავის ხსნაც და — შენი მსმენელებისაც.**

„სიტყვა სამღვდელო კურთხევის წინ“ — ასე ეწოდება მინას გამოცემაში (მიგნე) ბასილი დიდის წინამდებარე შეგონებას მღვდლის მიმართ, რომელმაც წმინდა ლიტურგია უნდა აღასრულოს. ეს შეგონება წმინდა ბასილმა შეადგინა 375 წელს; ამასთან, უნდა ითქვას, რომ მის ასლს თითოეული მღვდელი იღებდა მაშინვე, ხელდასხმისას.

4. [ამ ადგილზე ავტორს მოყვანილი ჰყავს სახელმძღვანელო სულიერი მოძღვრებისათვის, ბერძნულიდან სერბულ ენაზე ნათარგმნი ათენის სინტაგმიდან (IV, 387), რომელიც ეკუთვნის წმინდა იოანე ოქროპირს და რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი (იხ. 288 გვ.) და რომელიც მოყვანილია I მსოფლიო კრების მე-11 კანონის განმარტებაში. რუსული გამოც. რედ.]

5. ვამჩნევ, რომ ბევრი უბრალოდ, როგორც მოეხერხებათ, უფრო ჩვეულებისა და მიღებული წესის თანახმად ეზიარება ქრისტეს ხორცს, ვიდრე განსჯადობითა და გაცნობიერებით. ისინი ამბობენ, წმინდა ორმოცეულის დროა და წმინდა პასექის დღე, და ყველა — როგორიც უნდა იყოს ის (შინაგანი განწყობით) — უნდა ეზიაროს წმინდა საიდუმლოსო. დღესასწაული შეიძლება არ იდღესასწაულო, სინდისი კი აუცილებლად უნდა განიწმინდო და მხოლოდ მას შემდეგ ეზიარო. ვინაიდან, ვინც წმინდა არ არის და უღირსია, უფლება არა აქვს დღესასწაულზე ეზიაროს წმინდა და უსაშინელეს ხორცს. გაიხსენე, რომ ძველად მსვერპლშეწირვაში მონაწილენი უაღრეს სიფრთხილეს იჩენდნენ. ისინი წინასწარ იწმინდებოდნენ და ყოველმხრივ წმინდად წარსდგებოდნენ ხოლმე. შენ კი, როდესაც მსხვერპლს მიეახლები, რომლის წინაშეც ანგელოზებიც ძრწიან, ამ საქმის აღსრულებას გარკვეული დროით საზღვრავ და კადნიერდები უწმინდური ბაგეებითა და ხელე-

*მთ. 10, 8.

**ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 391-392.

ბით მიიღო ქრისტეს ხორცი? შენ მეფის ხელზე მთხვევასაც კი ვერ გაბედევ, თუ პირიდან ცუდი სუნი გდის, მაშ, როგორღა კადნიერდები ამბორი უყო ზეციურ მეუფეს მყრალი, ავსუნიანი სულით? ასეთი ქმედება შეურაცხმყოფელია მისთვის. ამიტომ, თუ შენ ზიარების ღირსი არა ხარ, ასეთ შემთხვევაში არ მიეკუთვნები იმათ, რომლებიც დალოცვასა და საეკლესიო მსახურებაზე დასწრებას იმსახურებენ. მოუსმინე უფალს, რომელიც ამბობს, რომ მოვიდა *წოდებად ცოდვილთა, რათა შეინანონ,** ხოლო, ვინც არ ეზიარება, ის სინანულში არ არის.**

წინამდებარე კანონიკური განწესება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივეახლოთ წმინდა ზიარებას, აღებულია წმინდა იოანე ოქროპირის საუბრიდან პავლე მოციქულის ეპისტოლეზე ეფესელთა მიმართ.

6. ბევრი ამ (წმინდა) მსხვერპლს ეზიარება წელიწადში ერთხელ, სხვები კი — რამდენჯერმე. ჩვენი სიტყვა მიემართება ყველას, არა მხოლოდ აქ დამსწრეთ, არამედ უდაბნოში მყოფთაც, რამეთუ ისინი წელიწადში ერთხელ ეზიარებიან. ვისი მოქმედება მოვიწონოთ? იმათი, ვინც ერთხელ ეზიარება, თუ — ვინც ხშირად, ან იქნებ იმათი, ვინც — იშვიათად? არც პირველთა, არც მეორეთა და არც მესამეთა, არამედ იმათი, ვინც ეზიარება წმინდა სინდისით და შეუბღალავი ცხოვრებით. ასეთები, დაე, ყოველთვის მიეახლონ, ხოლო ვინც ასეთი არ არის — არც ერთხელ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი საკუთარ თავზე მოიწევენ მსჯავრს, გასამართლებას, სასჯელსა და ტანჯვას. ნუ გაგიკვირდებათ: საჭმელს, თავისთავად, მკვებავი თვისება აქვს, მაგრამ, როდესაც აშლილ კუჭში მოხვდება, იწვევს ზიანს და მთელი სხეულის მოშლილობას და, ამდენად, ავადმყოფობის მიზეზი ხდება. ასევეა საშინელ (წმინდა) საიდუმლოს მიღების შემთხვევაშიც. შენ ღირსი ხდები სულიერი ტრაპეზისა, მერე კი კვლავ უწმინდურებით იბილწავ პირს; შენ იცხებ კეთილსურნელოვან ზეთს, მერე კი კვლავ სიმყრალით ივსები, ერთი წლის შემდეგ კი ზიარებას ეახლები. ხომ არ გგონია, რომ ორმოცი დღე შენთვის საკმარისია მთელი დროის განმავლობაში დაგროვილი შენი ცოდვების განსაწმენდად, ერთი კვირის შემდეგ რომ კვლავ ძველებურ ცხოვრებას უბრუნდები? მითხარი, შენ რომ ორმოცი დღის განმავლობაში ხანგრძლივი ავადმყოფობიდან გამოდიოდე, შემდეგ კი ისევ იმ საკვებს დაუბრუნდე, რომელმაც შენში ავადმყოფობა გამოიწვია, განა ამით მთელ შენს ნაღვაწს წყალში არ გადაყრი და შენს თავს უფრო არ დაიღუპავ? თუკი ამგვარად ირყვნება ბუნებრივი წესრიგი, მაშინ, მით უფრო — ზნეობრივი, რომელიც ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ორმოც დღეს სულიერი სიჯანსაღის აღდგენას ახმარ, შეიძლება ორმოც დღესაც არა, — და ამით ფიქრობ ღმერთის ლმობიერყოფას? მითხარი, ხომ არ ხუმრობ? იმიტომაც ამბობს დიაკონი ასამაღლებელს: „წმიდა არს წმიდათა“, ანუ ვინც წმინდა არ არის, ნუ

*იხ. ლუკ. 5, 32.
**ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 390.

მიეახლებაო. არ თქვა მხოლოდ: „ვინ არის წმინდა ცოდვისგან, და ვინ არის წმინდაო“.*

ეს კანონიკური განწესებაც წმინდა იოანე ოქროპირს ეკუთვნის; აღებულია მისი საუბრიდან პავლე მოციქულის ეპისტოლეზე ებრაელთა მიმართ.

7. კითხვა. რა არის უკეთესი: ხშირად ზიარება თუ იშვიათად?

პასუხი. მოციქული ამბობს: *„გამო-ღაიცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ. ხოლო რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასაშჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ჴორცნი უფლისანი. ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ და წვანან მრავალნი. რამეთუ უკუეთუმცა თავთა თჳსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით. ხოლო გა-თუ-ვიკითხვით, უფლისა მიერ განვისწავლებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“* (1 კორ. 11, 28-32). ცხადია, რომ ჩვენ წინასწარ უნდა განვიწმინდოთ და წმინდად წარვსდგეთ ყოველგვარი საწინააღმდეგო საქმეთა-გან და მხოლოდ მაშინ მივეახლოთ საღმრთო საიდუმლოს, რათა არ გახდეს ის ჩვენი სულისა და ხორცის წარწყმედის მიზეზი. რამეთუ ღმერთი მოსეს პირით მიმართავს ისრაელს: *„ყოველი კაცი, რომელი მოვიდეს ყოველისაგან ნათესავისა თქუენისა სიწმიდესა მას, რაოდენ-რაჲ განწმიდონ ძეთა ისრ-აჱლისათა, ღმრთისა და არაწმიდებაჲ იგი მის თანა იყოს, მოისპოს სული იგი ჩემგან, მე ვარ უფალი“* (ლევ. 22, 3), და სხვა ადგილას: *„და მოშიშ ქმნენით ძენი ისრაჱლისანი არაწმიდებათაგან მათთა და არა მოწყდენ არაწმიდებათა მათგან შეგინებითა მით მათითა კარავი იგი ჩემი, რომელ არს მათ შორის“* (ლევ. 22, 3). რამეთუ მოციქულიც ეუბნება უღირსად მაზიარებლებს, როგორც ზემოთ ითქვა, რომ ბევრი ჩვენგანი უძლური და სნეულია, და არცთუ ცოტა კვდება, ანუ ავად არიან და კვდებიან. ამიტომ საღმრთო დავითსა და მის თანმხლებთ, როდესაც მათ შეწირული პურის ჭამა მოინდომეს, რომელიც ქრისტეს ხორცის წინასახეს განასახიერებდა, მღვდელთმთავარმა უთხრა: *„აწ წმიდა თუ არიან ყრმანი შენნი დედათაგან, მიიღეთ და ჭამეთ“* (1 მეფ. 21, 4).**

ეს კანონიკური პასუხი ეკუთვნის წმინდა ათანასეს, ანტიოქიის პატრიარქს (561 წ.). როგორც ჩანს, ეს პასუხი ეხება იმავე საკითხს, რომელსაც მიემართება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კანონიკური განწესებანი შემდეგი ნომრებით: 2, 5 და 6, ეს საკითხი, კერძოდ, მოიცავს კითხვას: როდის და როგორ უნდა მიიღებოდეს წმინდა ზიარება?

წმინდა კანონების დასასრული

*ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 390.

**ბერძნული ტექსტი იხ. ათენის სინტაგმაში, IV, 390.

წმინდა ადგილობრივი კრებების კანონები

წმინდა ადგილობრივი კრებების კანონების შესახებ 3

ანკირიის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები 5

ნეოკესარიის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები..... 25

ღანგრის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები 35

ანტიოქიის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები..... 45

ლაოდიკიის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები 72

სარდიკიის წმინდა ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონები..... 103

კონსტანტინოპოლის წმინდა (მეშვიდე) ადგილობრივი

კრების საეკლესიო კანონი 125

კართაგენის წმინდა ადგილობრივი კრების საეკლესიო კანონები 128
ეპისტოლე რომის ეკლესიის ეპისკოპოს ბონიფანტეს მიმართ,
სრულიად აფრიკის კრებისგან, რომის ეკლესიის
ადგილისმცველთა — ეპისკოპოს ფავსტიანესა, და
ხუცესების — ფილიპესა და ასელის
მეშვეობით გაგზავნილი 242
ეპისტოლე აფრიკის კრებისა კელესტინეს, რომის პაპს
საყვარელ მეუფეს და უპატიოსნეს ძმას კელესტინეს:
ავრილიოსი, პალატინოსი, ანტონიოსი, ტუტიოსი,
სერვუსდელი, ტერენტიოსი და სხვანი ყოველნი, პოვნილნი
კართაგენის საერთო კრებაზე 246

კონსტანტინოპოლის წმინდა ადგილობრივი კრება
(სხვაგვარად — ორგზისი), რომელიც შედგა წმინდა
მოციქულთა სახელობის ტაძარში კონსტანტინოპოლის
წმინდა ადგილობრივი კრების (სხვაგვარად — ორგზისი) კანონები ... 250

კანონები წმინდა ადგილობრივი კრებისა, რომელიც შედგა
ღვთის სიტყვის სიბრძნის (სოფიას) ტაძარში 274

წმინდა მამების კანონები

წმინდა მამების კანონების შესახებ 280

დამატებითი კანონების შესახებ 287

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა დიონისესი,
ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა ეპისკოპოს
ვასილიდის მიმართ 289

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა გრიგოლისა, ნეოკესარიის
მთავარეპისკოპოსისა, სასწაულთმოქმედისა 294

კანონები წმინდა პეტრესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა
და მოწამისა, მისი სიტყვიდან სინანულის შესახებ 303

ეპისტოლე წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის
მთავარეპისკოპოსისა მონოზონ ამონის მიმართ 314
წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის
მთავარეპისკოპოსისა დღესასწაულების შესახებ
39-ე ეპისტოლედან 317
ეპისტოლე წმინდისა ათანასე დიდისა, ალექსანდრიის
მთავარეპისკოპოსისა, რუფინიანეს მიმართ 321

პირველი კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა
ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა
იკონიის ეპისკოპოს, ამფილოქეს მიმართ 325
მეორე კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა
ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა
იკონიის ეპისკოპოს ამფილოქეს მიმართ 351
მესამე კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა
ბასილისი, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა
იკონიის ეპისკოპოსის, ამფილოქეს მიმართ 381

ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი,
კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა ტარსის ეპისკოპოს
დიოდორეს მიმართ 399
ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი,
კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა გრიგოლ
მღვდლის მიმართ 405
კანონიკური ეპისტოლე წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი,
კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა ქორეპისკოპოსების
მიმართ 406
წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი,
კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა მასზე
დაქვემდებარებული ეპისკოპოსების მიმართ 408
წმინდა ბასილის, ნეტარი ამფილოქესადმი სულიწმიდის
შესახებ დაწერილი წიგნის 27-ე თავიდან 410
წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიის
მთავარეპისკოპოსისა იმავე თხზულების 29-თავიდან 416

კანონიკური პასუხები წმინდა ტიმოთესი, ალექსანდრიის
ეპისკოპოსისა, რომელიც იყო ერთ-ერთი მამათაგანი
კონსტანტინოპოლში შეკრებილ ასორმოოცდათთა შორის 417

წმინდისა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იმის შესახებ,
თუ ძველი და ახალი აღთქმის რომელი წიგნები
უნდა იკითხებოდეს 424
წმინდისა ამფილოქე ეპისკოპოსისა სელევკის მიმართ,
იმის შესახებ, თუ რომელი წიგნებია მისაღები 425

კანონიკური ეპისტოლე წმინდისა გრიგოლისა, ნოსელი
ეპისკოპოსისა მელიტინის ეპისკოპოს ლიტოის მიმართ 428

კანონი თეოფილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა
მის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმის შესახებ, თუ
როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც წმინდა ღმრთისგანცხადების
დღესასწაულის წინა დღე კვირა დღეს დაემთხვევა 441
შეგონება თეოფილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა
მიცემული ამონისათვის 441

ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს
აფინგიონის მიმართ ეგრეთ წოდებულ
„განწმენდილთა“ შესახებ 448
ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს
აგათონის მიმართ 448
ალექსანდრიის მთავარეპისკოპოს თეოფილესი, ეპისკოპოს
მინას მიმართ 449

კანონი წმინდისა მამისა ჩვენისა კირილესი,
ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა. კანონიკური
ეპისტოლე ანტიოქიის პატრიარქ დომნოს მიმართ 450
კირილესი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა,
ლიბიისა და პენტაპოლისის
ეპისკოპოსთა მიმართ 454

მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გენადისა,
კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და მასთან ერთად
წმინდა კრებისა, ყველა ყოვლადუსამღვდელოესი
მიტროპოლიტისა და რომის პაპის მიმართ 456

ეპისტოლე ტარასისა, კონსტანტინოპოლის — ახალი
რომის უწმინდესი პატრიარქისა, ძველი რომის პაპის,
ადრიანეს მიმართ 458

დამატებითი კანონები

კანონები წმინდისა იოანე მმარხველისა 465

კანონები წმინდისა ნიკიფორე აღმსარებელისა 492

ნიკოლოზის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანონები 516

წმინდა ბასილი დიდის, წმინდა იოანე ოქროპირის და
ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის სხვადასხვა კანონიკური
განწესებანი 522